ჯაბა იოსელიანი
სამი განზომილება

„ზის ლამანჩელი კაფეში, ძველს დაუკვეთავს კონიაკს, გახუნებული აფიშა სატრფოს ბარათი ჰგონია.

ქლესური გადაძახილით თავები წაუქონიათ, მტერზე მახვილით მიმავალს სიკვდილი მღერა ჰგონია, ტრამალის ქარი დაბმული საკანის ტიპიკონია, ეს სახიჩარი ქვეყანა რაინდს სამშობლო ჰგონია.“

დათო მაღრაძე. „ლამანჩელი კაფეში“.

შავნაბადა

ნაშუაღამევია. ჭადრაკის სასახლეში, ჩვენს შტაბ-ბინაში, რომან გვენცაძე (შს მინისტრის მოადგილე) და საბურთალოს მილიციის უფროსი რაულ ალანია არიან. ვაჩვენებ და ვასმენინებ პირველი მხედრიონელი ქალის, ჟურნალისტ მაყვალა ოქროპირიძის ვიდეოფირზე ჩაწერილ გამოსვლას. იგი მოგვითხრობს, თუ როგორ დაიბარეს შსს საინფორმაციო ცენტრში ვინმე გოგოლაშვილთან და შესთავაზეს მასთან ერთად შსს მუშაკების ჩემს სახლში შემოღწევის გეგმა. რომან გვენცაძე იფიცება, რომ ასეთი რამ არ შეიძლება მომხდარიყო და ეს ცილისწამებაა. მე მჯერა მაყვალასი, მიუხედავად იმისა, რომ ეგზალტირებული პიროვნებაა და, როგორც შემოქმედს, უყვარს გადაჭარბება. ალანიას, ვატყობ, სურს, დამიმარტოხელოს. ამის საშუალება არ არის. აქ არიან თამაზ ყურაშვილი (ბუღა), ზაზა ვეფხვაძე, გია სვანაძე, ჩემი შვილი კოწია, მხედრიონელები: ედიშერ წულაძე, ლანჩხუთელი ოთარი. ალანია მაინც ცქმუტავს, თითქოს არც რომანს უნდა გააგებინოს, ისიც არ არის გამორიცხული, თამაშობდეს, ვითომ რაღაც საიდუმლო აქვს სათქმელი და ვერ ახერხებს, ფრთხილობს. ზაზა და კოწია კასპიდან ახალი ჩამოსულები არიან, დილით შავნაბადას

ორმოცკაციანი ჯგუფი წაიყვანეს კასპის მილიციაში, სადაც, ჩვენი მონაცემებით, იგეგმებოდა ჩემი მოკვლა. მილიციის უფროსი განიარაღებულია და აქა ჰყავთ მოყვანილი. ისიც იფიცება, რომ ყველაფერი ეს ტყუილი და საგანგებოდ ჩაწყობილი პროვოკაციაა. ბუღა კარგი გამომძიებელივით წარმართავს დაკითხვას. შუაღამე კარგა ხნის გადასულია. ვხედავ, ასე აქედან არაფერი გამოვა, ვინ იკისრებს, თქვას, მართლაც შენი მოკვლა მინდოდაო. ვემშვიდობები შსს-დან მოსულებს, კასპის მილიციის უფროსს იარაღს ვუბრუნებ, თან ვაფრთხილებ: „კარგი, მოვრჩეთ, ხოლო თუ კიდევ ჭორად მაინც გავიგონებ ასეთ რამეს, მაშინ სხვანაირად ვილაპარაკებთ“. მიდიან. ჩვენ ცოტა ხანს კიდევ ვყოვნდებით შტაბში, ნაჩქარევად ვაჯამებთ შთაბეჭდილებებს და ვიშლებით.

როგორც კი ჩემი ოთახიდან გამოვედით, სამორიგეოში მორიგემ განგაში ატეხა: „შავნაბადაზე თავდასხმაა! რაციით გადმომცეს, ისმის სროლები“. ყველანი რაციას ვეცით. „შავნაბადა, შავნაბადა“. რაცია ხრიალებს და დუმს. „წავედით! - ვბრძანებ მე. - ახლავე გადაურეკე ყველას, ყველანი შავნაბადასკენ წამოვიდნენ“. სწრაფად ვსხდებით მანქანებში, მე - კოწიას ახალ „09“-ში, ჩემთან ერთად - ბუღა. მეორე მანქანაში - ზაზა ვეფხვაძე, გია სვანაძე, მესამეში - ედიშერი და ოთარი. ზაზამ და გიამ გაგვისწრეს, მაგრამ შავნაბადას ასახვევში კოწიას ვეუბნები, ჩართოს მაქსიმალური სიჩქარე, პირველები ჩვენ უნდა შევიდეთ.

გზაში სრული სიცარიელეა, მხოლოდ კასპიდან მომავალი ჩვენი ბიჭების ავტობუსი ჩამოვიტოვეთ. ირგვლივ სიმშვიდეა. მივქრით. იმასაც ვფიქრობ, რაიმე გაუგებრობა ან პანიკა ხომ არ არის. შავნაბადას ტერიტორიაზე კარგა ღრმად შევედით, მივუახლოვდით სასტუმროს და ერთბაშად ატყდა სროლა. ისვრიან სამი მხრიდან, საფარში შეგვიტყუეს. მანქანას ვაჩერებთ, რამდენიმე ტყვიამ უკვე გაკენწლა კარები, ჩაამსხვრია და გაიწუილა ფანჯრებში. სწრაფად გადმოვდივართ, გავრბივართ შუაგულისაკენ, საიდანაც ისვრიან, და ჩემს მაუზერს ალალბედზე ვამუშავებ. წითელ პეპლებად მფრინავი ტყვიების მოციმციმე შუქზე იკვეთება ჩვენკენ მოძრავი ტექნიკის სილუეტები. „ბეტეერი“, „ბე-ემ-პე“, ტანკი! ვინ არიან? ამდენი ტექნიკა ჩვენს მილიციას და გვარდიას არა აქვს. ნუთუ რუსებია? ქვაფენილზე ვწვები, ვიყურები, სად არიან ბიჭები. კოწია და ბუღა ჩემს უკან, მიწაზე

გაწოლილან. მგონი ესენიც ისვრიან, მაგრამ საით, ჩემი არ იყოს?! ოთარი და ედიშერი დაკუზულები მორბიან ჩვენკენ, ზაზას და გიას მანქანა არ ჩანს. ტექნიკა მიდის მანქანებისაკენ, ერთი, ორი, სამი, ხუთი, ათი... ეტყობა, ჯერ ვერ შეგვამჩნიეს. ჩვენს ზურგში ბორდიური მიჰყვება გზატკეცილს, იქით - გამწვანება, მერე - ხევი. დაჩოქილები ვეფარებით ბორდიურს, ტყვიების წივილსა და მოტორების ზუზუნში გაისმის მუხლუხების ხრიალ-ღრჭიალი, ეტყობა, ჩვენს მანქანებს გადაუარეს. გაქვავებულები ვეკრობით ბორდიურს. შავნაბადას სასტუმროში გია და დათო ვაშაკიძეების, გია ხუბულაშვილისა და კიდევ ერთი ქუთაისელის მეტი არავინ იქნებოდა. ისინი უკვე ან გაქცეულები არიან, ან აყვანილები, ან... შავნაბადელი ორმოცი ბიჭი, რომლებიც კასპში წაიმძღვარეს ზაზამ და კოწიამ, გზაში ჩამოვიტოვეთ. მათ იარაღი არა აქვთ, გაიგებენ სროლის ხმას და უკან დაბრუნდებიან. თუ განგაშზე ქალაქიდან წამოვიდნენ, ესენი აღარ გამოუშვებენ. შეტაკებას აზრი არა აქვს, უამრავი ტექნიკაა, ჩვენები კი ორ-ორ, სამ-სამ კაციან ჯგუფებად წამოვლენ და ყველას აიყვანენ. ზაზამ და გიამ თუ მოასწრეს მობრუნება, ხომ კარგი, თუ არადა... ოთარი გვარწმუნებს, რომ მათ ხევში გადახტომას მოჰკრა თვალი, ჩვენც ხევისკენ მივფოფხავთ. უცებ შავნაბადას ტერიტორია პროჟექტორებით გაბდღვრიალდა. გვეძებენ? თავს წამოვყოფთ თუ არა, ჩვენი გიგანტური აჩრდილები განათებულ მიწას შავი ღრუბელივით ედება. „დაწექით!“ - ვბრაზობ მე. კოწიას ხევის ჩრდილოვანი მხარისაკენ უჭირავს გეზი. ცხინვალსა და ლიახვის ხეობაში თან დამყვებოდა, მაგრამ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში პირველად არის, კარგად უჭირავს თავი, ფაქტობრივად, ჩვენი მეგზურია და, ამრიგად, მეთაურიც. ორიენტაციის საუცხოო უნარი აქვს, უნდა მივენდოთ. სროლა შეწყდა. პროჟექტორები დაბორიალობენ, საეჭვო ადგილებში ყოვნდება მათი შუქი. არ ვინძრევით. შემდეგ ისევ ხოხვით მივიწევთ, მგონი, თბილისისაკენ. კოწიამ გაზის გაყვანილობა აღმოაჩინა, ვდგებით და ძუნძულით მივყვებით მილებს. სახიფათო ზონას გავდივართ. ახლა ბუჩქნარიდან ბუჩქნარში გადავდივართ. ისევ ზაზასა და გიას ჯავრი გვაწუხებს. ოთარი გვაჯერებს, რომ ისინი გამოსულები უნდა იყვნენ. განთიადისას გავედით მაგისტრალზე. ბენზინის გასამართ ჯიხურთან სასწრაფო დახმარების რამდენიმე მანქანამ ჩაგვიქროლა. ალბათ მსხვერპლია, ან დაჭრილები, მაგრამ ვინ? ესეც შენი პატრიოტი ზვიად გამსახურდია.

ჯიხურთან მსუბუქი მანქანა დგას, მძღოლი კანისტრით ბენზინს იმარაგებს. ბუღა მიეჭრა, უბრძანებს, წაგვიყვანოს. გაფითრებული მძღოლი უსიტყვოდ ჯდება საჭესთან. ოთართან მივდივართ, ვარკეთილში. ვიდრე მანქანა თვალს არ მიეფარა, კორპუსებთან ვდგავართ, სახლში არ შევდივართ - სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ნაჩქარევად ვსაუზმობთ. ოთარს და ედიშერს ვგზავნით ამბის გასაგებად, რა ხდება შავნაბადაზე და ქალაქში. ჩვენ კი, უძილოები, მივეყარეთ სავარძლებსა და სკამებზე. საღამოსათვის ყველაფერს დაწვრილებით ვიგებთ. გია და დათო ვაშაკიძეები აქეთ-იქითა სროლის შემდეგ, როცა ტყვიები გაუთავდათ, დანებებულან. გია ხუბულაშვილი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა უიარაღოც. თვით რუსები აღუფრთოვანებია ბიჭების მამაცობას. ქუთაისელი გაქცეულა. კასპიდან დაბრუნებული ბიჭები გზაში აუყვანიათ. არიან დაჭრილები ორივე მხრიდან, მოკლულია ერთი რუსი ოფიცერი. აყვანილები სასტიკად უცემიათ. ჩვენ გვეძებენ. ზაზა და გია ჯერჯერობით არ ჩანან. ჩვენი შტაბ-ბინის მორიგე შემოგდებული აგენტი გამოდგა, იქაურობა მიუტოვებია და გამქრალა. შეუძლებელია, ბოროტებას რაღაც სიკეთეც არ ახლდეს. კიდევ კარგი, ჩემი ბრძანება არ შეასრულა და განგაშზე მხედრიონელები არ გამოიძახა, ყველას გზაში აიყვანდნენ, უაზრო მსხვერპლი მოჰყვებოდა ამ უთანასწორო შეტაკებას. რუსების სპეცდანიშნულების, ე. წ. „ღამურების“ პოლკი ტექნიკის ორმოცი ერთეულით მოქმედებდა ორმოცი უიარაღო ბიჭის აყვანაში - გამოდის თითო ტანკი, ან „ბე-ემ-პე“ ან „ბეტეერი“ თითო კაცზე. ოპერაციაში გვარდიაცა და ჩვენი მილიციაც მონაწილეობდა. ნუთუ გვენცაძემ ეს არ იცოდა?! იმასაც ვფიქრობ, ალანიას ჩემი დამარტოხელება რომ სურდა, ხომ არ იცოდა თავდასხმის გეგმის შესახებ და გაფრთხილებას ხომ არ აპირებდა?!

მეორე დღეს, 5 საათზე, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას მიტინგი აქვს დანიშნული. გადავწყვიტე, მიტინგზე გამოვიდე - ვიდრე გამსახურდია ცრუ ინფორმაციას გაავრცელებს, ჯობია, ხალხს მოვუთხრო საქმის ვითარება. მირჩევენ, დავიმალო, ბუღაც მაგ აზრისაა. ჩემი დამალვა ომს გამოიწვევს. თუ გავედი, ბიჭებიც გამომყვებიან. ეს „ბიჭები“ ორი ათასამდე კაცია. არ შეიძლება, ხალხი ვერ გაგვიგებს. არჩევნები სულ ახლახან ჩატარდა, ვითომ ეროვნული მთავრობა გვყავს. დამიჭერენ? - რა ვქნა, დამიჭირონ, სისხლი არ უნდა დაიღვაროს. ზვიად

გამსახურდიამ ჩვენთან დიალოგს რუსებთან ალიანსი ამჯობინა. ჩვენ, ორასმა კაცმა, ოპერის ბაღში იმიტომ ვიშიმშილეთ, რომ „ეროვნულ კონგრესსა“ და ახლად არჩეულ უმაღლეს საბჭოს შორის მოლაპარაკება გამართულიყო. ორივე ლეგიტიმური ორგანოა. ეროვნული კონგრესის არჩევნები ხომ უპრეცედენტო, მრავალპარტიული, თავისუფალი არჩევნები იყო მთელ საბჭოთა კავშირში?! მრგვალმა მაგიდამ მოგვატყუა, მხედრიონსა და ირაკლი წერეთელსაც შიმშილი შეგვაწყვეტინა, შეგვპირდა შეხვედრებს, შეთანხმებებს და არაფერი შეასრულა. აკაკი ასათიანი პირადად მე შემითანხმდა, ტელევიზიაშიც გამოცხადდა, კონგრესის მხრიდან კომისიაც ჩამოყალიბდა, თითქოს გამოჩნდა ეროვნული მოძრაობის და, აქედან, ერის გამთლიანების პერსპექტივა, და კვლავ ზვიად გამსახურდიამ, ფორუმის მუშაობის ჩაშლისდაგვარად, აქაც ერთიანობას დაპირისპირების პოლიტიკა ამჯობინა. მიუხედავად ამისა, ხალხის აქტიური, დიდი ნაწილი მაინც გამსახურდიას ემხრობა. ასე რომ, ჩვენს წინააღმდეგობას მოღალატურად ჩათვლიან და შესაძლოა რუსების დახმარებით საალყო რეჟიმიც გამოცხადდეს ქვეყანაში.

ოპერასთან საკმაო ხალხი შეგროვილა. გამოდის თამრიკო ჩხეიძე და მოკლედ ჰყვება შავნაბადას ამბავს. ჩემი გამოსვლისას ვიღაცამ ჰაერში გაისროლა და გაიქცა. ჩვენმა ბიჭებმა დააკავეს, მომიყვანეს შეშინებული ახალგაზრდა, ენის ბორძიკით ლაპარაკობს. მწერალ ლევან სანიკიძის შვილი აღმოჩნდა, პროკურატურის მუშაკი. ვუშვებ, მგონია შევარცხვინე - ხალხს რატომ ესვრი-მეთქი. ჩემი გამოსვლა მოკლეა, ვყვები უმთავრესს, ვადანაშაულებ გამსახურდიას, მრგვალ მაგიდას, ვადანაშაულებ ფაშიზმში. შემომაქვს წინადადება, ჩამოყალიბდეს ანტიფაშისტური პოლიტიკური ორგანიზაცია. აქვე ამას მხარს უჭერს სამტრედიის ახალგაზრდული ორგანიზაცია, მათი ხელმძღვანელი ანგია გამოდის სიტყვით, გულთან, ბუშლატზე ამომწვარ ნატყვიარს აჩვენებს ხალხს. ეს სამტრედიის პრეფექტურის პიკეტირების დროს ესროლეს ზვიადისტებმა.

ბნელდება. მიტინგი იშლება. ზაზა ვეფხვაძე და გია სვანაძე მანქანაში მელოდებიან, ჰყვებიან, თუ როგორ გამოაღწიეს შავნაბადას ალყას - ჩვენ დახოცილები ვეგონეთ. მიმაცილებენ ამირან გოგეშვილთან, ჩემს ძველ მეგობართან. მირჩევენ, დღეს, ამ ცხელ გულზე ნუ წავალ სახლში. ღამის ორი საათისათვის

ტელეფონით მიკავშირდება გია ჭანტურია და მაფრთხილებს, რომ აქვს უტყუარი ცნობა: დღეს ან ხვალ გადაწყვეტილია ჩემი დაპატიმრება. მე ისევ იმ აზრზე ვარ: დამაპატიმრებენ და დამაპატიმრონ - ომს არ დავიწყებ. არადა, მრგვალი მაგიდის გარეკვას წინ არაფერი დაუდგება. გვარდია ჯერ ახლა იწყებს ჩამოყალიბებას, არც ხალხი ჰყავს საკმარისი, არც იარაღი, პოლიცია ამორფულ-ნეიტრალური ბრბოა, საქართველოს მხედრიონს კი ექვსი ჯავშანტექნიკა, ათას ხუთასი კარგად შეიარაღებული მებრძოლი, ორი მაგდენიც უიარაღო წევრი ჰყავს. და მაინც, ასეთი გადაწყვეტილების მიღება გამორიცხულია. ჯერ ერთი - ჩვენ ხომ იმისათვის არ ვართ მოწოდებული, რომ ძალაუფლება ჩავიგდოთ ხელში, ჩვენი მიზანია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, მოსახლეობისა და დემოკრატიის დაცვა, მეორეც - ზვიად გამსახურდია რუსებს დაგვასევს, როგორც შავნაბადაზე. ალიონზე მაღვიძებს გია სვანაძე, მატყობინებს, რომ ზაზა ვეფხვაძე აიყვანეს, თვითონ კი მოსულია ბიჭებთან ერთად, რათა მე გადამმალონ. უარს ვეუბნები ისევ იმ მოტივით და მეორე დღისთვის ვნიშნავ შეხვედრას ჩვენი მოქმედების გეგმის შესამუშავებლად. დილის 8 საათზე ორმოცამდე მილიციელი და გვარდიელი მოვიდა ჩემს წასაყვანად. გამჩხრიკეს. „იარაღი გაქვთ?“ - მეკითხებიან. „რასაკვირველია. შეიძლება მხედრიონის უფროსს იარაღი არ ჰქონდეს?“ მახსენდება დადიანების გაძარცვის ლეგენდა. „გამოიტანეთ ოქრო-ვერცხლი, ყველაფერი! - იძახის დიასახლისი, - ამ მათხოვრებს იმას ვათქმევინებ, დადიანის სახლი გავძარცვეთ და არაფერი ჰქონდათო?“ მივყვები წყნარად, წინააღმდეგობის მცდელობის გარეშე. ამირანი ტირის: „ასეა, დადე თავი, ირბინე შენს შვილთან ერთად ტყე-ღრეში საქართველოსთვის და ასე დაგიფასებს შენი ხალხი“. ნაძალადევად ვიღიმები, ვაწყნარებ: „ეს ყველაფერი დროებითია, ჩემო ამირან“.

ციხეში თითქოს არაფერი შეცვლილა ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, თითქოს გუშინ გადავყავდი ამ მიწისქვეშა გვირაბით. ისევ „შმონი“, იდიოტური შეკითხვები ამნისტიის შესახებ, ცნობისმოყვარეობით დაღებული პირები, ნესტი, ანტისანიტარია, ვირთხები, ძველბიჭური თომარი. ერთი ღამე გავათიე ვიღაც მანქანის გამტაცებელთან ერთ ლოგინზე. ტირის, შვილებს იფიცებს, თუ ახლა გაუშვებენ, აღარასოდეს არაფერს ჩაიდენს.

შავნაბადაზე ნაცემი ბიჭები ციხის საავადმყოფოში ჰყავთ. ზვიადის ერთგულებაში თავი გამოუჩენიათ გვარდიელებსაც და მილიციასაც. ველაპარაკე ზაზა ვეფხვაძესა და გია ხუბულაშვილს. გვერდი-გვერდ კამერებში არიან. მეორე დღეს, შუადღისას, გამიყვანეს. კვლავ გასაჩხრეკ („შმონის“) ოთახში გადავყავარ. ეს უფანჯრო, იზოლირებული საკანია. აქ არ შემოდის არავითარი ხმაური. აქედანაც შენს ხმას ვერავინ გაიგებს. მოდის ახლად დანიშნული ციხის რეჟიმის უფროსი, რომლის შესახებაც კამერაში მიამბეს. მრგვალი მაგიდის წევრი და გაქანებული ზვიადისტია, პატიმრებს ურტყამს და აშინებს. ჩემთან დაჭიმულია. ერთი სული აქვს, შეურაცხყოფა მომაყენოს. მეც ყველა უკიდურესობისათვის მზად ვარ. ამჯერად რაღაც დაბნეულია, მის გარშემო მოფუსფუსე ზედამხედველები ჩემთვის ამოუხსნელად, უჩვეულოდ იქცევიან. გუნებაში მეცინება - ეს ზვიადა ნამდვილად მოკლე ჭკუის გამოდგა, რა რეკლამას მიკეთებს... მახსენდება რუსული კულტურის ტრადიცია - ყველაზე დიდი პოპულარობის მომტანი ჟანდარმერიის „მეურვეობა“ იყო. გამჩხრიკეს, დამტოვეს მარტო, ე. ი. სადღაც მივყავარ. სად? ალბათ „კაგებეს“ ციხეში. როგორც გავიგე, გია და დათო ვაშაკიძეები იქა ჰყავთ. დიდხანს, დიდხანს ველოდები. არაფერი ისმის. არავინ მოდის, არსად მივყავარ. ვაბრახუნებ - არც ბრახუნზე იბერტყავს ვინმე ყურს. ვაგრძელებ ხმაურს. როგორც იქნა, ვიღაცამ კარი გააღო. ეს ციხის უფროსის მოადგილეა. „ბატონო ჯაბა, - მეუბნება ფერწასული, - ცოტა კიდევ გვადროვეთ, ეტაპი მოვიდა, სასწრაფოდ უნდა მივიღოთ და მერე თქვენ მოგხედავთ“. ვიცდი კიდევ ერთ, შეიძლება ორ საათს. მერე გამიღეს კარი, უკვე დაღამებულია, მართლაც, დახურულ „კაგებეს“ ციხეში მივყავარ. იქ ვიგებ, რა მოხდა.

ხუთი ათასამდე კაცი შეგროვილა და „ჯა-ბა, ჯა-ბას“ სკანდირებით ციხეს მოსდგომიან, მოითხოვენ ჩემს გათავისუფლებას. ადმინისტრაციამ სასწრაფოდ იმიტომ ჩამკეტა „შმონის“ ოთახში. შეეშინდათ, არ გამეგო და საპასუხო რამ არ მომეწყო. ამავე დროს, ციხის რომელიღაც თანამშრომელი აუგზავნიათ მეოთხე კორპუსის მაღლივ კამერაში და იქიდან, ვითომცდა პატიმარი ყოფილიყოს, ციხის გალავანს შემორტყმულ ხალხს ფანჯრიდან გადასძახა თურმე: „ჯაბა აქ არ არის, წაიყვანეს, არ ვიცით, სადაო“.

რამდენიმე დღის შემდეგ გამსახურდიამ შავნაბადაზე

თავდასხმის ამბავი პროვოკაციად მონათლა. თურმე რუსის ჯართან შეტაკება მე და საქართველოში საბჭოთა ჯარის მთავარსარდალს, გენერალ პატრიკეევს გაგვითამაშებია, რათა ყველაფერი ზვიადისთვის დაგვებრალებინა. ხოლო მე როგორ აღმოვჩნდი ციხეში, ან ამას მსხვერპლი რატომ მოჰყვა, ან ნაცემ-ნაგვემ მხედრიონელებს ციხის საავადმყოფოში რა საქმე ჰქონდათ, ან ასე ნატურალისტურად რატომ წარიმართა ინსცენირება, ჩვენი საკუთარი ავტოფარეხი დავანგრიეთ, ოთხასამდე სატვირთო თუ მსუბუქი ავტომანქანა ჯართად ვაქციეთ - ყველაფერი ეს გაუშიფრავი აბსურდის თეატრის თემა გახლდათ. ერთი წლის შემდეგ თენგიზ კიტოვანისგან გავიგე, ამ ოპერაციაში გამსახურდიას 250 ათასი მანეთი გადაუხდია „ღამურებისთვის“, ვინც მონაწილეობდა ჩვენს დარბევაში. მაშინ 250 ათასი მანეთი დიდი ფული იყო - დაახლოებით 100 ათასი ამერიკული დოლარის ეკვივალენტი. გენერალ პატრიკეევს ამის შესახებ „კაგებეს“ ციხიდან იუმორისტული წერილიც კი გავუგზავნე, სათაურით „ღია წერილი“ და „გრიფით“ „ყოვლად საიდუმლოდ“ - „Совершено секретно“ (წერილის ასლი ჩემს პირად არქივში ინახება).

„კაგებეს“ ციხე, მიუხედავად იმისა, რომ ოცდაათიან წლებშია აშენებული, თანამედროვე საბჭოთა ციხეების სტანდარტებზე მაღლა დგას. მართალია, ყველა კამერაში ფარული აპარატურაა დამონტაჟებული და ისმინება, სამაგიეროდ, სინათლიანია, ხის იატაკითაა გაწყობილი. სასეირნო პატარ-პატარა ეზოებიც აქვს, კარგი აბანო, მედიცინის პუნქტი, სამრეცხაო. პატიმრებს ნორმალურად კვებავენ, ციხის უფროსიც პრინციპული კანონიკია, ერთი სიტყვით, ჯდომა შეიძლება. ყოველდღე ვიღებთ პრესას. მთელი გაზეთები ჩემსა და მხედრიონის გინებაში არიან - შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრიდან დაწყებული, ახლად გამოჩეკილი მრგვალი მაგიდის ნოველისტებით დამთავრებული. აქვეა, როგორც კომუნისტების დროს, კოლექტიურად ხელმოწერილი სტატიები, სადაც გვგმობენ და მოითხოვენ ჩვენს დასჯას. ცენტრალური გაზეთის მეშვეობით პროკურატურამ გაავრცელა ჩემი 35 წლის წინანდელი განაჩენი. გამსახურდია ხალხს არწმუნებს, რომ მე ბანდიტი ვარ! მახსოვს ზვიად გამსახურდიასთან პირველი კონტაქტები. მე თეატრის, კინოსა და მუსიკის მუზეუმის დირექტორის მოადგილე ვარ. ეს 1975-1976 წლებია. ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან, სამსახურში მოდის

და მთხოვს, ვითანამშრომლო მის ახლად შექმნილ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“. მანამდე მას გამარჯობა-გაგიმარჯოთი ვიცნობდი, თუმცა, ბ-ნ კონსტანტინესა და ქ-ნ მირანდასთან უწინ ახლო ურთიერთობა მქონდა.

1966 წელს, როცა მე, ახალი განთავისუფლებული, ჩემს ცოლთან ერთად გაგრაში ჩავედი დასასვენებლად, იქ გამსახურდიების ოჯახი დამხვდა და ჩემს პატივსაცემად ბ-ნმა კონსტანტინემ სასტუმრო „გაგრიფშში“ პურმარილიც კი გაშალა. მართალია, სულ ოთხ პერსონაზე: მე, ჩემი ცოლი, თვითონ და ქ-ნი მირანდა, მაგრამ ესეც ადგილობრივი მასშტაბის სენსაციად იქცა. სასტუმროს და რესტორნის ადმინისტრაცია გაკვირვებულები მხრებს იჩეჩდნენ: ბ-ნი კონსტანტინე ცნობილია სიძუნწით, მისი დაპატიჟებული კაცი ჯერ არავის უნახავს, ჩვენც აქ ყოველ კაპიკს გვითვლის. შენ ვინ ყოფილხარ, გაგვაფრთხილა, ფული არაფრით არ გამოართვათო.

მთელი საღამო მოსკოვის „ლუბიანკის“ საპყრობილეში თავისი პატიმრობის (მე მაინც ვფიქრობ - შეთხზულ) ამბავს მიყვებოდა და ცდილობდა, მეც ავყოლოდი. ვეჭვობ, რაღაც პროფესიული დაინტერესება თუ ამოძრავებდა. სურდა, ჩემგან მიეღო პროტოტიპური მასალები. ქ-ნი მირანდა სულ იცინოდა და უშლიდა: კარგი ერთი, თავი დაანებე, კაცი ძლივს გამოვიდა, შენ კიდევ ისევ ციხის ამბებს უბრუნდებიო. ბ-ნი კონსტანტინე ცხარობდა: „გაჩერდი! შენ რა იცი, მაგას სწორედ ეგ აინტერესებს“. „იმდენი რა გითხრა“, ვამბობდი გულში და ქ-ნ მირანდას მადლიერების გრძნობით ვუღიმოდი. ერთი-ორჯერ მათთან ზვიადიც ჩამოვიდა. სხვა დროს ბიჭვინთაში, თავის სახლში მოვინახულე. მასთან ჩამოსულ რუს დისიდენტს შევხვდი. ასე რომ, ჩემს სამსახურში მისი გამოჩენა სულაც არ გამკვირვებია. იცოდა, როგორი ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური განწყობითა და იდეებით ვიყავი გამსჭვალული. მის წინადადებაზე სიხარულით დავთანხმდი, მხოლოდ გავაფრთხილე, ჩემს თანამშრომლობას მაინცდამაინც აფიშირებას ნუ გაუკეთებთ, უპირველეს ყოვლისა, ჩემით დააშინებენ ხალხს. თქვენს კომპრომეტირებას ჩემით შეეცდებიან სტანდარტული ფრაზით: „უგალოვნიე ელემენტი“. ისინი ამ „უგალოვნი ელემენტებს“ აბრალებდნენ კომუნისტების წინააღმდეგ მოწყობილ უნგრეთის რევოლუციას, პოლონეთის აჯანყებას, ნოვოჩერკასკის გამოსვლებს და, საერთოდ, ეს კომუნისტთა ახალი თაობის

შანტაჟისტური ფანდია, თორემ სტალინი და ბერია ტყვიას და მორფს კი არ უდებდნენ ჯიბეში ბუხარინსა და ორახელაშვილს. ჩემთვის, პირიქით, კარგი იქნება პოლიტიკური სტატუსი თუ მექნება, გინდაც დამიჭირონ.

ახლა უკვე „კაგებეს“ ციხეში ვიგონებ ამ ამბავს და გუნებაში მწარედ მეცინება - თვითონ კომუნისტებს დაასწრო და გამოიყენა ეს შანტაჟისტურ-კომუნისტური ილეთი, ოღონდ იარლიყი - „უგალოვნიე ელემენტი“ - უფრო ტევადი ინტერნაციონალური ტერმინით - „კრიმინალით“ შეცვალა, რამაც შემდგომ დიდი ავალა ნახა ყოველი დემაგოგის ლექსიკონში. ჩვენი შეხვედრის საქმიან დიალოგს გამსახურდიამ, როცა დასჭირდა ჩემი მზარდი ავტორიტეტის დაკნინება, სულ სხვა ინტერპრეტაცია მისცა. 1989 წლის 23-24 ნოემბრის ცხინვალში გასვლითი მიტინგის წარუმატებლობის შემდეგ ამ ღონისძიების იდეის ავტორად მე მასახელებდნენ. ვერ დავიჟინებ, იქნებ მართლაც ასე იყო, რადგანაც წინააღმდეგი არ ვიყავი. საქმე ის არის, რომ კომუნისტების მმართველობის ბოლო წლებში საქართველოს ეთნიკური უმცირესობა ნომენკლატურული და, აქედან გამომდინარე, სოციალური პრივილეგიებით სარგებლობდა. განსაკუთრებით შევარდნაძის მმართველობის პერიოდში. იგი, როგორც თავმოწონებული ინტერნაციონალისტი და ჭეშმარიტი კომუნისტი, მოქმედებდა სტალინის ლოზუნგით - „ურტყი შენიანს, რომ სხვას ეშინოდეს“ (სხვათა შორის, ეს დაუწერელი დებულება ბიბლიურ და ქრისტიანულ მცნებათა თავდაყირა დაყენებული სიმბიოზია: „გიყვარდეს მოყვასი და გიყვარდეს მტერი შენი“). ედუარდ შევარდნაძე ძალაუფლებაში მოსვლისთანავე მწერალთა კავშირის ტრიბუნიდან კრემლის კომუნისტურ მედავითნეთა წარმომადგენლის, ვინმე შაუროს თანდასწრებით დაემუქრა ქართველ ხალხს და შავი დღე აყარა „ნაციონალისტ“ მწერლებსა და კინემატოგრაფისტებს. ოსებს, თათრებს და, ნაწილობრივ სომხებს, როცა კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში სოციალური პირველობა გაინაღდეს, იმის პრეტენზიაც გაუჩნდათ, რომ ეს სამუდამოდ დაეკანონებინათ (1989 წ. ივნისის ბოლნისისა და მარნეულის მოვლენები, ე. წ. ბორჩალოს რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნა). აფხაზებმა კი ტოპონიმიკური ომით დაიწყეს სეპარატისტული მოძრაობა. ასე რომ, ქართველებს ეროვნული თავმოყვარეობა მართლაც შელახული ჰქონდათ. ყველაფერ ამის გამო მიმაჩნდა:

ქართველს უნდა დაბრუნებოდა თავისი სამშობლოს ბატონ-პატრონის გრძნობა და, რასაკვირველია, პასუხისმგებლობის მოვალეობაც, რაც ჩვენთან ერთად მცხოვრებ ეთნოსთან თანასწორუფლებიანობას გვაკისრებდა. ასე იყო თუ ისე, მხედრიონმა ითავა 1989 წლის ნოემბრის მიტინგის უსაფრთხოება და მოსამზადებელი სამუშაოებიც ჩაატარა. ცხინვალში ამოვირჩიეთ ადგილი, სადაც მოსახერხებელი იქნებოდა ოსებთან ერთად მიტინგის მოწყობა. ეს იყო ლენინის მოედანი. სასტუმროში, რომელიც ამ მოედანზე დგას, ორ სართულზე ინკოგნიტოდ შევასახლეთ შეიარაღებული მხედრიონელები. ასევე ხუთსართულიანი სახლის ერთ-ერთი ბინა, რომლის ფანჯრებიც მოედანს გადაჰყურებდა, ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდა. ამავე სახლის სახურავზე განვალაგეთ რამდენიმე სათვალთვალო და საცეცხლე პუნქტი. დავიკავეთ სარკინიგზო ვაგზლის მოედანზე გამოსასვლელი და მოპირდაპირე მხარის „სახანძროს“ მიდამოები. ერთი სიტყვით, დაცვა საიმედოდ მოეწყო. საუბედუროდ, მიტინგმა ცხინვალში ვერ შემოაღწია. ამის მიზეზი მოგვიანებით გაირკვა: ზვიად გამსახურდიამ და გივი გუმბარიძემ ბოლო მომენტში ღონისძიების ხელმძღვანელობის დაუკითხავად განიზრახეს, მიტინგი ცხინვალში კი არა, მის მისადგომებთან გამართულიყო. ამან გამოიწვია დაბნეულობა, შეუთანხმებელი მოქმედება, ქაოსი, ოსების გაგულისება, რომელთაც წაეხმარა ცხინვალში დისლოცირებული საბჭოთა ჯარის ნაწილი. ცხინვალის შესასვლელთან აღიმართა ცოცხალი კედელი. დაიწყო გაქაჩვა-გამოქაჩვა, გადაყვირ-გადმოყვირება, ლანძღვა-გინება. ასეთ ვითარებაში მოლაპარაკებასა და პარალელურად ძალის დემონსტრირებას (რაც მიტინგის მიზანს შეადგენდა) ვეღარ შევძლებდით. ხალხი ისე დაიმუხტა, რომ ან ხელჩართული ბრძოლა უნდა დაწყებულიყო, რაც უამრავ მსხვერპლს მოიტანდა, ან უნდა დავბრუნებულიყავით, საიდანაც მოვედით. მე კიდევ ერთ გამოსავალს წავეპოტინე: ორივე მხარეს შევთავაზე, ორას-ორასი კაცი შევხვედროდით ერთმანეთს ცხინვალის თეატრში, წარგვედგინა ჩვენ-ჩვენი პრეტენზიები და დაგვეწყო მოლაპარაკება. ეს ოპტიმალური ვარიანტი შუა გზაში ჩაშალეს ზვიად გამსახურდიამ და ირაკლი წერეთელმა. ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მივიღეთ. ერთი დღე-ღამის უაზრო ბორიალმა ხალხს ენთუზიაზმი გაუნელა, გააღიზიანა და მომიტინგეები ნელ-ნელა გაიკრიფნენ. ჩვენმა ჩანაფიქრმა სრული ფიასკო განიცადა, ოსთა მხარე კი

გამარჯვებული გამოიყურებოდა. ხმა დაირხა, ვითომც ცხინვალში ქართველ მოსახლეობას დაერივნენ. მხედრიონი მაშინვე გაეშურა, შემოვლითი გზით შევიდა ცხინვალში, მაგრამ იქ მხოლოდ საზეიმო განწყობილება სუფევდა და იმ ღამეს ქალაქში არაფერი მომხდარა. მხედრიონი დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში განლაგდა, ფარული საგუშაგოებით კონტროლს დაექვემდებარა ცხინვალ-როქის გზა. მე შვიდი კაცით სოფელ ქურთაში დავიდე ბინა. ის-ის იყო, დასაძინებლად ვეწყობოდით, რომ სროლა შემოგვესმა. გარეთ გამოვცვივდით. ღრიანცელით, სროლა-სროლით ჩაგვიარა ორმა განათებულმა ავტობუსმა და ერთმა „ნივამ“. ჩვენს ბედზე, ჭიშკართან იდგა ძრავაგამოურთავი სატვირთო „კრაზი“. მყისვე შევახტით და დავედევნეთ: მე, თენგიზ მანაგაძე, თემური „ციხე“. სოფელ კეხვთან, ქემერთის ხიდთან არმისულებს წამოვეწიეთ, საპასუხო ცეცხლი გავუხსენით და საბურავები ჩავუფუშეთ. ავტობუსები გაჩერდნენ, „ნივამ“ გაქცევა მოასწრო. საბურავების მიმართულებით ეფექტისათვის კიდევ გადავატარეთ ავტომატის ჯერი და სიბნელიდან ჩვენი „კრაზით“ მინათებულ ავტობუსის ფანჯრებთან ამოვყავით თავი - ხუთმა მხედრიონელმა და ერთმა ილია მართლის საზოგადოების წევრმა ავთომ, რომელიც ამ დროს საფარში იჯდა და წინ შემოგვეგება. ტყვეები სათითაოდ გადმოგვყავდა. მაგრად შეშინებულები ჩანდნენ. რას წარმოიდგენდნენ, რომ ჩვენ მხოლოდ ექვსნი ვიყავით, ერთი ავტომატითა და პისტოლეტებით. ერთ-ერთმა, როცა ავტობუსიდან გადმოვიდა, თავის ხელაწეულ მეზობელს რაღაც გადაულაპარაკა და გულწასული იქვე დავარდა. თენგიზ მანაგაძე მივარდა, ავტომატის კონდახი მოუღერა და უღრიალა: „რა გითხრა მაგან? თქვი, რა გითხრა!“ „არაფერი, ცუდად ვარო“, - იყო პასუხი. ამ დროს მოგვისწრეს სხვა მხედრიონელებმა. გაირკვა, რომ თამარაშენთან ამათ ფეხში დაუჭრიათ მხედრიონელი გიგა არველაძე (სიძე), ქურთაში კი - ორი სოფლელი, ერთი მათგანი 16 წლის ბიჭი - თავში. იარაღი თან არავის აღმოაჩნდა, ავტობუსებში დაეყარათ სამი შაშხანა, ხუთი სანადირო თოფი, მაკაროვის სისტემის ერთი პისტოლეტი და ტყვია-წამალი. 86 მამაკაცი და ოთხი ქალი გამოდგნენ დაბა ჯავიდან ცხინვალელების დასახმარებლად ჩამოსული ახლად გამომცხვარი ბოევიკები, 18-35 წლის დარჩეული ახალგაზრდები (მათი გვარები, სახელები, მისამართები და სხვა მონაცემები ჩემს პირად არქივში ინახება). ქალები იქვე გავუშვით,

მამაკაცები კი კეხვის სკოლის ფიზკულტურის დარბაზში შევყარეთ. საბჭოთა კავშირში ასეთი მასშტაბის მძევლად აყვანის პრეცედენტი ჯერ არ არსებობდა. ატყდა ერთი ვაი-უშველებელი. ამის შესახებ მეორე დღესვე იცოდა მიხაილ გორბაჩოვმა. გივი გუმბარიძემ შუამავლად გამომიგზავნა გურამ მგელაძე. რუსის გენერალი ბე-ემ-პე-თი მოადგა კეხვის სკოლას, შსს-დან ჩამოვიდნენ რომან გვენცაძე და სხვა ხელმძღვანელები. მე ყველანი უარით გავისტუმრე და უშუალოდ დავუკავშირდი ოსთა ლიდერებს: ალიკა ცხოვრებოვს (ჯაყოს), ალიხანას და ნიხასის თავკაცებს. ჩოჩიევი ცხინვალიდან გაიქცა. ბევრი ვიმსჯელეთ, ვიკამათეთ და ბოლოს მივედით იმ დასკვნამდე, რომ აწი ყველაფერს ერთად, შეთანხმებულად გავაკეთებთ, ჩამოვაყალიბებთ ადგილობრივ საბჭოს, სადაც პარიტეტულ პრინციპზე შერჩეული ქართველი და ოსი მოსახლეობის წარმომადგენლები ყველა კონკრეტულ საკითხს თვითონ გადაწყვეტდნენ. მანამდე კი ხალხი უნდა დაგვეწყნარებინა, მოგვეშალა პიკეტები, შეგვერიგებინა მოწინააღმდეგენი. ასეც დავიწყეთ. მე გავუშვი ყველა ტყვე (ჩვენი დაპირისპირების შემდეგ ზვიად გამსახურდიამ ხმა დაყარა, რომ მე ტყვეები გოჭებში გავცვალე), ალიკა ცხოვრებოვთან ერთად შემოვიარეთ ცხინვალი, ოსური და ქართული სოფლები, მოვშალეთ პიკეტები, ორივე მხრიდან შევარჩიეთ წარმომადგენლები. ორი კვირის შემდეგ, როცა თითქოს დაშოშმინდა ხალხი, მხედრიონმა დატოვა ცხინვალი და ხეობა. თოვდა. ქარი ქროდა და სუსხიც ძალას იკრებდა. გზაში შემოგვაღამდა. თითქმის ყოველ კილომეტრზე ქართველებს პიკეტები გაემართათ, სანადირო თოფებითა და კეტებით შეიარაღებულები კოცონებთან იდგნენ, მანქანებს აჩერებდნენ და მგზავრებს ჩხრეკდნენ. მათი მოთავეები მკაცრად დავტუქსე: „იქ, ცხინვალში და მის შემოგარენში, სადაც შერეული მოსახლეობა და ფაქტობრივი კონფლიქტის ზონაა, ყველაფერი დამშვიდდა და თქვენ ახლა აქ, გორის რაიონში ურევთ?“ ვუბრძანე დაშლილიყვნენ. მათი უმეტესობა მთვრალი ჩანდა. ვერაფერი გაგვიბედეს, მაგრამ უკმაყოფილოდ ბუზღუნებდნენ, ქართველებზე თავდასხმის გავრცელებულ ჭორებს იმოწმებდნენ, ასახელებდნენ ზვიად გამსახურდიას და ვაჟა ადამიას. გზად მეღვრეკისის შტაბში შევიარეთ. გვინდოდა, სიტუაცია დაგვეზუსტებინა. ეს სკოლის შენობა ერთგვარ გამანაწილებელ პუნქტად გამოიყენებოდა მიტინგის მომდევნო დღეებში, როცა ჩვენ ხეობაში ვიყავით. აქ

მოჰქონდათ ჩვენთვის გადმოსაცემი სურსათი. აქვე იკრიბებოდნენ მოხალისეები ჩვენს დასახმარებლად. ვაჟა ადამია, მაშინ ილია მართლის საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ჩამოვიდა სოფ. ქემერთში, სადაც დროებითი შტაბი გვქონდა. ავუხსენი, რომ უკვე ყველაფერი წყნარდება, ამიტომ ის მოხალისეები, რომლებიც მოვლენ მეღვრეკისში, აღრიცხე, დაიტოვე კოორდინატები და უკანვე, სახლებში გაუშვი. ვაჟა ადამიამ მომისმინა, მაგრამ საქმე სხვაგვარად წაიყვანა. მოხალისეები სახლებში კი არ დააბრუნა, თავისთან დაიტოვა და აქცია ახალ სამხედრო ფორმირებად, რომელსაც დაარქვა მერაბ კოსტავას საზოგადოება. აი, ეს ხალხი აქტიურობდა ახლა; გორის რაიონის სხვადასხვა სოფლებიდან კრებდნენ ოსებს, ჩხრეკდნენ, მოჰყავდათ მეღვრეკისის შტაბში, უწყობდნენ რაღაც დაკითხვებს, შეურაცხყოფას აყენებდნენ. ეს იყო ნამდვილი პროვოკაცია. ჩვენი იქ მისვლისას ორმოცამდე პატიმარი ჰყავდათ: ქალები, მოხუცები, მგზავრები - ყველა გავათავისუფლე და ეროვნული მოძრაობის იქ შეკრებილ ლიდერებს ვუთხარი, რომ კონფლიქტის ზონაში მოიშალა პიკეტები, ხალხი წყნარდება, ოსმა სეპარატისტებმა კარგი გაკვეთილი მიიღეს, საჭირო აღარაა კონფლიქტის ესკალაცია, პირიქით, ოსების უმრავლესობას სურს ჩაება ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში, იქმნება გაერთიანებული საბჭო და ჩვენ ეს უნდა გამოვიყენოთ. ჩემმა მონათხრობმა კამათი გამოიწვია. ზვიად გამსახურდიას და მის თანამოაზრეებს სულაც არ ხელს აძლევდათ სიმშვიდე, ისიც - მხედრიონის მიერ მოპოვებული. პირიქით, მათ განზრახული ჰქონდათ, აეგორებინათ ეს შოვინისტური ტალღა. მივხვდი, რომ ჩემს სიტყვებს ესენი არაფრად ჩააგდებდნენ, მათი დარწმუნება შეუძლებელი იყო. ამიტომ დავემუქრე: თუ არ მოშლით ამ პროვოკაციის ბუდეს, ორ დღეში ჩამოვალ და გაგყრით-მეთქი. აი, მაშინ წამომაძახა ზვიად გამსახურდიამ: „ახლა დიდი გული გაქვს, აკი ფრთხილობდი, ღიად გეთანამშრომლა ჟურნალშიო“. ახლა ისიც გამახსენდა, რომ მუზეუმში ზვიადის მოსვლამ სიხარულთან ერთად, რაღაც უსიამო განწყობა დამიტოვა. წასვლისას მკითხა: შენ ჭაბუა ამირეჯიბთან იჯექი ციხეში, ხომ? არა, ისე შევხვედრივარ-მეთქი. მაინც გეცოდინება, მაგაზე ამბობენ, „კაგებეს“ აგენტიაო. არ გამიგია, მაგასთან ოთარ მექვაბიშვილი იჯდა-მეთქი. რომელი, ხრუშჩოვის აფეთქება რომ უნდოდა, ისო, ჩამეკითხა. ჰო, ახლა პუშკინზე, საკომისიოს დირექტორად მუშაობს-მეთქი. წამომყევიო, მთხოვა. არ მცალია-მეთქი,

მოვიმიზეზე, შემდეგისათვის გადავუდე - მომეჩვენა, რაღაც ბინძურ განზრახვაში მითრევდა. მაშინ ჭაბუას რომანი „დათა თუთაშხია“ ახალი გამოქვეყნებული იყო და დიდი პოპულარობით სარგებლობდა. იქნებ შური ამოძრავებდა, თვითონაც ხომ მწერლობის პრეტენზია ჰქონდა?! არ ვიცი.

დაიწყო მხედრიონელთა მასობრივი დაპატიმრება. კახეთში დაიჭირეს ასამდე მხედრიონელი. სასიკვდილოდ დაჭრეს გელა გოდერძიშვილი და კიდევ რამდენიმე წევრი. ერთ-ერთს, თავისთვის მშვიდად შინ მიმავალს, უკანალში ესროლეს. შემდეგ, სასამართლოზე, მილიციელები თავს იმართლებდნენ: ჩვენ შესაშინებლად და გასაფრთხილებლად ზემოთ ვისროდით, ჰაერშიო. დაჭრილმა რეპლიკა მიახალა: „მა მე რა, ყვავი ვიყავი, ტრაკში რომ მამარტყით“. ყველა მხედრიონელს ადანაშაულებდნენ ან იარაღის ტარებაში, ან დოსააფის მანქანების გატაცებაში. არადა, დოსააფის მანქანები და ტექნიკა თვით მათ უფროსთან, გუდაძესთან შეთანხმებით წამოვიყვანეთ. დოსააფი - „დობროვოლნოე ობშესტვო სოდეისტვია არმიი ი ფლოტა“ - როგორც ორგანიზაცია, იშლებოდა. მის კუთვნილ ტექნიკას - სატვირთო მანქანებს, ბულდოზერებს, ტრაქტორებს - რუსეთში გასატანად ამზადებდნენ . ამ დროისათვის ჩვენ უკვე მაშველთა კორპუსის - საზოგადოებრივი ორგანიზაციის ოფიციალური სტატუსით, შევიერთეთ დოსააფი თავისი ავლიდიდებით. დავდეთ ხელშეკრულება ხელმძღვანელობასთან - ეს ყველაფერი გაფორმებულია საერთო კრებაზე დოკუმენტურად, ვიდეოკასეტაზე, მოწმეების ჩვენებებით. და მაინც, პროკურატურა, თავისი ჩვეული საბჭოთა მეთოდებით, ჯიუტად გვაკერებს ამ „დაყაჩაღებას“. ქაღალდის მთელი ზეწრები შეუდგენიათ, დაუხატავთ, დაუხაზავთ, ვინ საიდან წამოიყვანა ეს მანქანები. ბევრი მათგანი შავნაბადაზე, ფარეხში გვქონდა შენახული. დარბევის დღეს რუსის ჯარმა დალეწა, ტანკებით გადაუარა ამ მამასისხლად შეძენილ ტექნიკას. ციხეში, გამოძიების მხრიდან, ყველა მხედრიონელი საშინელ ზეწოლას განიცდის. აშინებენ, ზოგს სცემენ. ამანათებს არ იღებენ, უნდათ გამოსძალონ რაიმე ჩემი კომპრომეტირებისათვის. მაგრამ ჯერ ვერც ერთი პროვოკატორი ვერ მოიძიეს. ჩემი დაპატიმრების სანქცია გაცემულია ხულიგნობაზე, ვითომც მე მიტინგზე ვიღაც ორ ქალს (ზვიადისტს) შეურაცხყოფა მივაყენე და ორი თვის

შემდეგ მიჭერენ იმ იმედით, რომ პროკურატურა ისევ სტალინისტური ლოზუნგით მუშაობს: „კაცი იყოს, საქმე მოიძებნება“. ახლა ცდილობენ, მხედრიონი ბანდად წარმოაჩინონ, მე კი - ამ ბანდის ხელმძღვანელად. ლილიმ, ჩემმა დამ, ვექილად ქართლოს ღარიბაშვილი აიყვანა. ვფიქრობ, სწორი არჩევანია. ქართლოსი სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობაშია, მას პოპულარობა სჭირდება. ჩემს ავტორიტეტს გამოიყენებს, მიტინგებზე, შეკრებებზე გამოვა ხოლმე სიტყვით. ეგ მეც წამადგება, თორემ სასამართლოზე ან საქმის წარმოებისას რაში მჭირდება დაცვა ან რა მაქვს დასაცავი?! ასეც მოხდა. ქართლოსმა პოპულარობა მოიპოვა კიდევ იმითაც, რომ მალე იგი ჩემს საქმეს ჩამოაცილეს, როგორც კანონის დამრღვევი ვექილი, რომელმაც დაარღვია საგამოძიებო პროცესის კონფიდენციალობის წესი და ჩემი უდანაშაულობის ამბავი საქვეყნო მსჯელობის საგნად აქცია. მის ნაცვლად შემოგვთავაზეს მარინა დალაქიშვილი, ჩემი დიდი ხნის გულშემატკივარი. მისი ენთუზიაზმი მხიბლავს და მეც ვთანხმდები.

გარეთ პრიმიტიული ნაციონალიზმი პარპაშებს. ზვიად გამსახურდიამ შემოიკრიბა ყველა ხელმოცარული პოეტი, რეჟისორი, მსახიობი ან, უბრალოდ, სოციალურად დეგრადირებული პირი. მას განსაკუთრებით ერთგულებენ პროვინციელები. ისიც ერის მამობას იჩემებს. დაავიწყდა, როგორ ჩააფურთხა სულში ეროვნულ მოძრაობას - უპირველესად, თავისი აბიურაციით - ორგზის ტელეგამოსვლით, როცა ყველაფერს ლაფი დაასხა და პატიება სთხოვა თავის მეციხოვნე-კომუნისტებს. იგივე შევარდნაძეს, ვისაც ახლა დორბლმორეული აგინებს, იმ შევარდნაძეს, რომელიც ახალი მეთოდებით ებრძოდა ეროვნულ მოძრაობას. მან რენეგატ ზვიად გამსახურდიასათვის ორი წელი გამოითხოვა და საკუთარი „ლაგერი“ გაუხსნა ყიზლარში, რაც სანატორიუმი უფრო იყო, ვიდრე საპატიმრო. მერაბ კოსტავა კი, როგორც ურჩი და მოუდრეკელი, 8 წლით ციმბირის ჯურღმულებში გააგზავნინა.

ჩვენი ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერისა და ინტელიგენციის დიდ დანაშაულად მიმაჩნია ის მკრეხელური პოზიცია, რითაც გამსახურდიას ამ გამცემლურ აქტს გამართლება მოუძებნეს, „ტაქტიკური სვლა“ უწოდეს. საუკუნეობით, ათასობით მსხვერპლის მიერ გამომუშავებული

ზნეობრივი ნორმა გააუფასურეს. ვფიქრობ, აქედან დაიწყო ჩვენი ეროვნული მოძრაობის მორალური დეგრადაცია. როცა ქალაქში ხმა გავრცელდა გამსახურდიას გათავისუფლების შესახებ, მასთან შეხვედრას ვერიდებოდი. მაინც შევეჩეხე ქუჩაში, ზემელზე. საკოცნელად წამოიწია. ხელი ვუბიძგე. რა იყოო - გაიკვირვა. არ იცი-მეთქი? რა მოხდა, ისინი თუ გვატყუებენ, ჩვენ რატომ არ უნდა მოვატყუოთო? თქვა ურცხვად. აი, დღესაც ამ პრინციპით მოქმედებს ჩვენი პოზიცია-ოპოზიცია და პარტიების უმრავლესობა. აი, ეს არის მათთვის პოლიტიკა! ძალაუფლებას დახარბებული, ნაუცბათევად შეკოწიწებული ორგანიზაცია - ბლოკი „მრგვალი მაგიდა“ - განაგებს ქვეყანას. საქართველო ორადაა გაყოფილი: პატრიოტებად და ერის მოღალატეებად. პატრიოტები, რაღა თქმა უნდა, ზვიადის მომხრეები არიან. სიტყვა „ეროვნული“ უკვე „სახაზინოს“ სინონიმი გახდა: ეროვნული მილიცია, ეროვნული ოპერა, პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი და ა. შ. - აშკარა ტინგიცობაა (ქუჩაში გამვლელს ტაქსი არ გაუჩერეს: „ცარიელი იყო, ეგ ერის მოღალატე“ - ამბობს განაწყენებული).

საველე კარვებით გარემოცული მთავრობის სასახლე ცენტრალური ბაზრის შენობას, შორიდან კი ყორჩიხა-ხანის საომარ ბანაკს ჰგავს. გულახდილად რომ ვთქვათ, ეს ჩვენგან მოდის. როცა მხედრიონი შიმშილობდა, ზამთარი იდგა და ანზორ ქაჯაიამ, ჩვენმა მარიფათიანმა მომმარაგებელმა, ოპერის ბაღში კარვები გაგვიშალა. მაშინ ხელისუფლებამ გამოიყენა მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრებისათვის უპრეცედენტო ხერხი - გამოჩნდნენ ახალი ტიპის შტრეიკბრეხერები, გამსახურდიამ ჩვენს შიმშილობას ქალების „შიმშილობა“ დაუპირისპირა - შიმშილობა შიმშილობის წინააღმდეგ. მათი დევიზი იყო: შიმშილობა ხელისუფლების დასაცავად. ჰოდა, დასცეს ბანაკი მთავრობის სახლის წინ. მართალია, მათი „შიმშილობა“ ცოტა სხვაგვარი იყო - მუსლიმურ „ურაზას“ უფრო წააგავდა, საღამოობით რომ იციან ჭამა, მაგრამ მაინც შიმშილობად ითვლებოდა. ასე შემორჩა ეს კარვები „ქვედა პალატად“ პარლამენტისა და მთავრობის მისადგომებს. შექსპირის „მაკბეტის“ დამდგმელ რეჟისორებს გადაუჭრელ პრობლემად ესახებათ პროლოგსა თუ ინტერმედიებში ჭინკების სცენის გადაწყვეტა. მეც ხშირად მიფიქრია, ნეტა რა მხატვრულ-იდეურ დატვირთვას ანიჭებდა გენიოსი შექსპირი

ამ სცენებს. კარვის ქალების არსებობის ფაქტი უბრალოდ ხსნის ამ ჩანაფიქრს: ეს არის ძალაუფლების ვნების გამოხატვა, მისი უზნეობის ცოცხალი სურათი. ციხიდანაც კი შეიმჩნევა, რომ ნაციონალიზმი ქსენოფობიამდე ადუღდა. არბევენ და ასახლებენ ოსებს, ციხეში აქა-იქ ბერძნები და ფულის გამოსაძალავად დაჭერილი თათრები არიან. ჩემს სართულზე ზის ვითომც მოსალაპარაკებლად შემოტყუებული ოსების ლიდერი ყულუმბეკოვი. გურამ პეტრიაშვილი, ყოფილი კინოტიპაჟი, ტელევიზიიდან მოძღვრავს ხალხს. ზვიად გამსახურდია და მისი გარემოცვა ამბიციურობის მწვერვალზე შემოსკუპებულან: რას წარმოადგენს საფრანგეთის პრეზიდენტი მიტერანი, ძირს ამერიკის პრეზიდენტი ბუში! ჩვენი მესია ზვიადია. „ზვიადი საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“,- გაისმის პერიფრაზი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოდან“. როგორ? ჩვენც ხომ ჩვენი პრეზიდენტი უნდა გვყავდეს?! დაპატიმრებამდე ორი კვირით ადრე ედპ-ს შტაბ-ბინაში ამერიკელი კორესპონდენტი ინტერვიუს დროს მეკითხება: ამბობენ, რომ თქვენ კარგად იცნობთ ზვიადს. როგორ მიგაჩნიათ, იგი ამბიციური კაცია? „ვერ გეტყვით, - ვპასუხობ, - ერთი რამ შემიძლია გითხრათ. ქართულად სიტყვა „ამბიციას“ „ზვიადობა“ ჰქვია“. „ნუთუ“? - იცინის იგი. თუ ჩვენ ბუშს, მიტერანს, ტეტჩერს და, საერთოდ, ყველას ვჯობივართ, რატომ არ უნდა გვყავდეს პრეზიდენტი?

სასწრაფოდ იკრიბება უზენაესი საბჭო და ტაშის გრიალში, კომუნისტების ერთსულოვანი მხარდაჭერით, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას ირჩევენ პრეზიდენტად. აქვე, მეტი დამაჯერებლობისა და პომპეზურობისათვის, ინიშნება პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნები 26 მაისისათვის, საქართველოს განთავისუფლების სადღესასწაულო დღისათვის. რა პრეზიდენტია, როგორი, რა უფლებამოსილებით - ამაზე არ არის ლაპარაკი. ეს რომ ფაქტობრივად გადატრიალებას ნიშნავს და ახალი სოციალური ფორმაციის შემოღებას - არც ამაზეა მსჯელობა. პრეზიდენტი - მორჩა და გათავდა! პარალელურად ტარდება რიტორიკული რეფერენდუმი: სურს თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ჯერ კიდევ ჩემი გარეთ ყოფნის დროს, 9 აპრილის მოვლენების შემდეგ, ჯუმბერ პატიაშვილის ნაცვლად პოლიტბიუროს წევრმა ედუარდ შევარდნაძემ ცეკას მდივნად დაგვიტოვა გივი

გუმბარიძე, რომლის მეცადინეობითაც აღზევდა გამსახურდია. ჯერ კიდევ მაშინ ჩანდა, რომ გამსახურდია თავისი არაკომპეტენტურობით, ავტორიტარული მისწრაფებით, ავანტიურული პოლიტიკით და შოვინისტური კურსით საქართველოს დაღუპვის პირამდე მიიყვანდა. ამიტომაც გადავწყვიტე, სისრულეში მომეყვანა ისევ ის გეგმა, რომელიც, საუბედუროდ, ვერ განხორციელდა ერთი მხრივ ჯუმბერ პატიაშვილის და მეორე მხრივ, აკაკი ბაქრაძის ინფანტილური დამოკიდებულების გამო, გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის ნგრევის პირობებში დამოუკიდებლობის გზაზე საქართველოს თანდათანობით გამოყვანას. ამისათვის არსებობდა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური წანამძღვრები. პოლიტიკურ ასპექტში ამას წარმოადგენდა რუსთაველის საზოგადოება, სადაც გაერთიანდა კონფორმისტულ ყოფას ახლად თავდაღწეული, ფრთხილი ინტელიგენცია, მთელი რიგი პოლიტიკური შეფერილობის ორგანიზაციები და ცალკეული ავტორიტეტული პიროვნებები. იმ დროისათვის რუსთაველის საზოგადოება ყველაზე მრავალრიცხოვან, მართვად-სისტემურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

ამავე ორგანიზაციას ჰქონდა ახალი ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედების შანსი, ვინაიდან იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობის უმრავლესობას, რომელიც რუსთაველის საზოგადოების წევრი იყო, ჩრდილოვან ეკონომიკასთან ჰქონდა უშუალო კავშირი და იმედოვნებდნენ, გაეზიარებინათ პოლიტიკური არაფორმალების ბედი - მიეღწიათ ლეგიტიმიზაციისათვის, როგორც კერძო საკუთრების პრაქტიკოსებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის საზოგადოებას უკვე ამ მხრივ კონკურენტი გამოუჩნდა ნახევრად სახაზინო წესით შექმნილი სახალხო ფრონტის სახით, მაინც მჯეროდა მათი გაერთიანების შესაძლებლობისა და ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეულ ზოგიერთ კომუნისტთან თანამშრომლობით მსურდა გადავსულიყავით დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური აღორძინების გზაზე. ყველაფერ ამისათვის საჭიროდ მიმაჩნდა ზვიად გამსახურდიას ნეიტრალიზება. ამ თემაზე მასთან საუბარს აზრი არ ჰქონდა - გინდ ლენინი გადაგვერწმუნებინა რევოლუციის უვარგისობაში, გინდ გამსახურდია და მისი თანამოაზრენი ამ კურსის სიკეთეში. ოფიციალურ

ხელისუფლებაში კი ამას ხელს უშლიდა ცეკას პირველი მდივანი გ. გუმბარიძე, რომელიც ზ. გამსახურდიასთან შეუთანხმებლად ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამდა - აუცილებელი იყო მისი მოცილება. ეს უმტკივნეულოდ შეეძლო შევარდნაძეს. ამის თაობაზე ველაპარაკე გურამ მგელაძეს. იგი დამთანხმდა, დაკავშირებოდა შევარდნაძეს და ეს საკითხი გადაეჭრა. მოსკოვში ერთ-ერთი მივლინების დროს მგელაძე მართლაც შეხვდა შევარდნაძეს და აუხსნა ყველაფერი ზემოთ აღნიშნული. მან უარით გამოისტუმრა: სულ ერთი წელია, რაც რეკომენდაციით დაინიშნა და ახლა მისი გადაყენება ვერ მოხერხდებაო. სამაგალითოდ დაუსახელებია ანალოგიური ვითარება აზერბაიჯანში. სამაგიეროდ სხვათა შორის უთქვამს ფრიად მნიშვნელოვანი რამ: ახლა რუსეთს თქვენთვის არ სცალიაო. ამან მე გამიჩინა აზრი, ჩვენ თვითონ ხომ არ გადაგვეყენებინა გ. გუმბარიძე. ერთი შეხედვით, ეს შეიძლება მომხდარიყო სულ უბრალოდ: ცეკას ბიუროს წევრებს მისთვის უნდობლობა უნდა გამოეცხადებინათ, მაგრამ საქმეც ის იყო, თუ ვინ შეაბამდა კატას ეჟვანს. ბიუროს ზოგიერთი წევრი შემპირდა ამის გაკეთებას, მხოლოდ პირველკაცობაზე უარს ამბობდნენ. ის ყბადაღებული აზრი, რომ ყველა ქართველს პირველობა სურს, სწორი არ გამოდგა. მივაკითხე პროფკავშირების მაშინდელ ბოსს, პეტრე (ზურაბ) ჩხეიძეს. ისიც ბიუროს წევრი გახლდათ. პირველ მდივნობაზე არ დათანხმდა, მაგრამ დასძინა, თუ სხვა ვინმე გამოჩნდება, თუ გინდა, გურამ მგელაძე, მე მხარს დავუჭერო. ჩემთან, სახლში შევიკრიბეთ მგელაძე, რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, გია ჭანტურია (ედპ-ს ლიდერი), ირაკლი წერეთელი (ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი). ავუხსენი ვითარება. ცალკე წერეთელი, ცალკე ჭანტურია (მოგვიანებით მოვიდა) სკეპტიკურად შეხვდნენ საკითხის ასეთ გადაწყვეტას. ბოლომდე არც მე გამიხსნია კარტი, კერძოდ, ეროვნული მოძრაობის პერმანენტული განვითარების გეგმაზე არაფერი მითქვამს - ეს ხომ ერთისთვისაც და მეორისთვისაც პრინციპულად მიუღებელი იქნებოდა. მაგრამ იმაში, რომ გუმბარიძეს მგელაძე ჯობდა, ყველა მეთანხმებოდა. ბიურომდე დარჩენილ დროში მგელაძეს თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი და ვამხნევებდი, თვითონაც იმედიანად გამოიყურებოდა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, მგელაძე ბიუროდან ყურებჩამოყრილი დაბრუნდა.

ვერავინ ვერაფერი გაბედა. უპირველესად კი თვითონ მან. „შენ არ იცი, რა არის ეს ცეკას მდივნის ინსტიტუტი, მის წინააღმდეგ წასვლა წარმოუდგენელია“! ამბობდა იგი, წელში მოღუნული და თავჩარგული. აკი წარმოდგენილი გქონდა-მეთქი, შევეპასუხე. არა! არა! ეს თეორიულად... პრაქტიკაში ასე არ მოხდება. ჰოდა, ახლა მგელაძე მონათლულია ერის მოღალატედ, გაქცეულია რუსეთში, ზვიად გამსახურდია კი პრეზიდენტი ხდება. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში და მხედრიონის გადარჩენილ ნაწილში დაიბადა აზრი, რომ მე წარმადგინონ პრეზიდენტობის კანდიდატად. თუ ვერ გავიმარჯვებ (და ალბათ ასეც იქნება), პატიმრობიდან ხომ მაინც გავთავისუფლდები. საჩქაროდ მომიგზავნეს ჩემი ვექილი, პარალელურად სანდო პირმა შემომიტანა წერილი, სადაც მარწმუნებდნენ, რომ ეს ჯერჯერობით ერთადერთი გამოსავალია ჩემს გასათავისუფლებლად. დავთანხმდი. შეგროვდა ხელმოწერები, გამზადდა ყველა საბუთი, საჭირო იყო მხოლოდ ჩემი ხელწერილი თანხმობის შესახებ. საბუთების მიღების ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 22 აპრილი. მე ოცში დავთანხმდი და ხელწერილიც გავგზავნე, მაგრამ იგი სულ ბოლო დღემდე ციხეში იდო. ასეც ვვარაუდობდი. მოვაწყვე ალიაქოთი. მაშინ იკადრეს და 22 აპრილს ყველა საჭირო საბუთს, რომელიც უკვე დიდი ხანია ცსკ-ში ჰქონდათ ჩაბარებული ჩემს აქტივისტებს, დაემატა ჩემი ხელწერილიც. გამსახურდიამ განგაში ატეხა. სასწრაფოდ, 23 აპრილს, მოიწვია უზენაესი საბჭო და მიაღებინა უპრეცედენტო დადგენილება: აღმკვეთი ღონისძიებით პატიმრობაში მყოფ პირებს ეკრძალებოდათ არჩევნებში მონაწილეობა. 25 აპრილს კი დილით მომიტანეს ცსკ-ის დადგენილება ვახტანგ ხმალაძის (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) ხელმოწერით, საიდანაც შევიტყვე, რომ მე, ჯერ ერთი, დავაგვიანე საბუთების შეტანა (ვითომდა ეს მოხდა 23-ში და არა 22-ში), მეორეც - საქართველოს უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი დადგენილებით მეკრძალებოდა წარმედგინა ჩემი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე. ეს დადგენილება 24 აპრილს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (ყოფილი „კომუნისტი“). მინაწერში ცხადდებოდა, რომ კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე, ე. ი. იგი 23-ში უკვე მოქმედებდა, რაც ყველა საერთაშორისო კანონისა და მიღება-გავრცელების ნორმების უხეში დარღვევაა: ის, რაც მე მეხება, მე უნდა ვიცოდე, გამოუქვეყნებლად მისი ძალაში შესვლა

თაღლითობაა. აქვე ირღვეოდა საერთაშორისოდ მიღებული კანონის უკუქმედების პრინციპი: მე უკვე პატიმრობაში ვიყავი, როცა ეს კანონი მიიღეს. ასე რომ, გაუარესების შემთხვევა ჩემზე არ უნდა გავრცელდეს. ამ დადგენილებით ირღვეოდა ასევე უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიც: ვიდრე სასამართლო არ მცნობს დამნაშავედ, არავის შეუძლია ასეთად ჩამთვალოს. ასე რომ, საქმე გვქონდა: 1) ორჯერად თაღლითობასთან - გამოუქვეყნებლად კანონის ძალაში შესვლა და რიცხვის ფალსიფიკაცია, 2) უკუქმედების უკანონო გავრცელება, 3) უდანაშაულობის პრეზუმფციის უგულებელყოფა. ყველა ეს ნორმა ადამიანთა უფლებების ფუძემდებლური პოსტულატებია. საქართველო ოფიციალურად მათი პრიმატით განსაზღვრავს ჩვენს კანონმდებლობას. ასე რომ, ადამიანთა უფლებების დარღვევა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდა. მერედა, ვინ სჩადის ამას? ადამიანთა უფლებების დამცველი ჰელსინკის ჯგუფის თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. ვაცხადებ საპროტესტო შიმშილობას. მოვითხოვ, გადადგეს გამსახურდია, მონაწილეობა არ მიიღოს არჩევნებში. მოვითხოვ აგრეთვე, გაათავისუფლონ მხედრიონის წევრები, რომელთაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვით და საქმეს უთითხნიან. შიმშილობის მიზეზის ფორმალურად დასაფიქსირებლად მოდის ვახტანგ გვარამია - გენერალური პროკურორის მოადგილე, ვისაც დაევალა ჩემს დაპატიმრებაზე სანქციის გაცემა და მხედრიონელთა საქმეების წარმოების ხელმძღვანელობა. უწინ, ჯერ კიდევ მილიციაში მუშაობის დროს, პოლიტიკაში ერეოდა. ჯერ ფორუმისა და შემდეგ ეროვნული კონგრესის გულშემატკივრის როლს თამაშობდა, გია ჭანტურიას ახლობლობდა, ახლა გამსახურდიასთან გადაუნაცვლია. ისმენს ჩემს პრეტენზიებს, ცინიკურად იღიმება. შემდეგ გულახდილად ლაპარაკობს. „თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ, რა ხდება გარეთ - ხალხი აღმერთებს გამსახურდიას! ახლა პრეზიდენტად აირჩევენ, ყველაფერი დამთავრდება. ოპოზიცია უხერხემლოა, მასები მათ მხარს არ უჭერენ. თქვენი საქმე ხომ საერთოდ უიმედოა. ერთ დროს მხედრიონი ქუხდა, ახლა ვინა ხართ თქვენ? ერთი მუჭა ბანდიტების, ყაჩაღების ჯგუფი“. მე თავს ვერ ვიკავებ და ლანძღვაზე გადავდივარ. შემდეგ ვეუბნები იმას, რაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ყოველმხრივი ანალიზის შედეგად ჩამომიყალიბდა: „მომავალ მაისს გამსახურდია აღარ იქნება, დიდი-დიდი, კიდევ ერთი

წელიწადი“. თავდაჯერებულად იცინის: „თავს ტყუილად ნუ გაიტანჯავთ, თქვენი შიმშილობა არაფერს მოიტანს“. რასაკვირველია, ძალიან კარგად ვიცოდი, რომ შიმშილობით ჩემი არც ერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ ეს აუცილებელი იყო არა მხოლოდ ისტორიისთვის, არამედ ეროვნული მოძრაობისა და დემოკრატიის პრინციპების დასაცავად.

ციხესთან ხშირად მოდიან ჯგუფები, იმართება მცირე მიტინგები, ისმის სკანდირება: „ჯა-ბა! ჯა-ბა!“ მეთხუთმეტე დღეს მომიტინგეებმა დელეგაცია შემოგზავნეს „კაგებეს“ უფროს ხატიაშვილთან. ჩემი ნახვა უნდათ. მხოლოდ ლუიზა შაკიაშვილმა შემოაღწია. მაიმედებს, თანაც, მთხოვს, შევწყვიტო შიმშილობა. უარზე ვარ. ვწერ მოწოდებას საქართველოს მოსახლეობის მიმართ (დაცულია ჩემს არქივში). ვურჩევ, კარგად დაფიქრდნენ, ვიდრე ბიულეტენში ზვიად გამსახურდიას სახელს შემოხაზავენ. „შეიძლება ეს თქვენი უბრალოდ შემოხაზული წრე სისხლის ფასად დაჯდეს“ - ვაფრთხილებ. „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“... ისიც კი არ ვიცი, გამოქვეყნდა ეს მოწოდება სადმე თუ არა. თუ ჰო, ამას ალბათ ცოტა ვინმე თუ მიაქცევდა ყურადღებას. მე ჩემი ვქენი...

ნოვოჩერკასკის „დაკეტილ ციხეში“ (საგანგებო რეჟიმის ციხეზეა საუბარი, თორემ რომელი ციხე არ არის დაკეტილი?) იყო ერთი პატიმარი. მარტო იჯდა. ციხის სულ განაპირა ეზოში, საიდანაც არაფერი ჩანს და ვერც ვერავინ ხედავს ამ პატარა, მივარდნილ, ბეტონით შემოკავებულ მიწის ნაგლეჯს, იგი ყოველდღე გამოჰყავდათ სასეირნოდ. ყოველდღე ხელში ტრანსპარანტი ეკავა. ეს იყო ან ცოცხის ღეროზე წამოცმული პირსახოცი ან ზეწრის მოხეული ნაწილი, ან ბუშლატის ზემოდან მკერდზე შემოკრული პერანგის სახელო. ეტყობა, ყოველი დაბრუნებისას საკანში ართმევდნენ ამ ტრანსპარანტს. რამდენჯერმე თავშეხვეულიც გამოვიდა, ალბათ სცემეს და თავი გაუტეხეს. ტრანსპარანტს მაინც ჯიუტად აფრიალებდა სულ მოულოდნელი მასალისაგან და მოულოდნელ ფორმაში. ტრანსპარანტის ტექსტი უცვლელი რჩებოდა. „ძირს კომუნისტური ტირანია“. ეს ხდებოდა 1960 წელს, კომუნისტების გაგანია თარეშის ხანაში. ბოლოს ზედამხედველები შეეჩვივნენ და იცინოდნენ: „ბიჭო, რად გვაცემინებ თავს, ამას ხომ ჩვენს მეტი ვერავინ ხედავს“. ის არ პასუხობდა. ახლა მე მესმის მისი.

ჩემი შიმშილობის ოცდამეთორმეტე დღეს ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტად გამოაცხადეს. მოდის მილოცვები. შევარდნაძე საზღვარგარეთიდან ულოცავს - ოჰ, ეს პოლიტიკური პირფერობა! ოცდამეთხუთმეტე დღეს მომინახულა ნოდარ ნათაძემ, როგორც პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა. ვადაგასულ თეატრალურ აფიშას მაგონებს მისი ვიზიტი. ჩემი შიმშილობა 41 დღეს გაგრძელდა. სპეციალურად მეწვია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. მომიტანა ნაკურთხი კვერი, სანთლები, ხატი, მთხოვა, მიმეღო საჭმელი და, რაც მთავარია, შთამაგონებლად მითხრა: „თქვენ სჭირდებით საქართველოს, იფიქრეთ ამაზე“. სიკვდილის პირას ვიყავი მისული. დავთანხმდი. შიმშილობის მოხსნიდან ერთი კვირის შემდეგ დამეწყო ჯერ ფარული, შემდეგ კი ღია სისხლის დენა კუჭ-ნაწლავიდან. შეიკრიბნენ ექიმები, სასწრაფოდ საოპერაციო ვარ, მაგრამ გამსახურდიამ არავის მისცა უფლება, საავადმყოფოში გადავეყვანე. გადაუწყვეტიათ, მოვმკვდარიყავი. ღმერთმა სხვაგვარად ინება, ყოველგვარი რადიკალური მკურნალობის გარეშე გამოვჯანმრთელდი.

ერთი სამარცხვინო ამბავი მაინც უნდა აღვნიშნო: ასეთი ხანგრძლივი შიმშილობის შემდეგ, ბუნებრივია, ციხის უხეში საკვების მიღება არ შეიძლებოდა, ამიტომაც ერთი-ორჯერ ნება დამრთეს, სახლიდან ბულიონი და რაღაც წვნიანი მიმეღო. ეს შეუტყვია გამსახურდიას ცოლს, მანანას და ციხის უფროსს, ტარიელ დილიბაზაშვილს თურმე შავი დღე აყარა. რა ვიცი, ეკადრებოდა საქართველოს პრეზიდენტის მეუღლეს ასეთი საქციელი?

ვზივარ და ვწერ ჩემს რომანს „ლიმონათის ქვეყანას“. მუშაობა ძნელად მიდის, მასალები არა მაქვს. ნებას არ მრთავენ, ქართულ-რუსული ლექსიკონი მომიტანონ სახლიდან. არადა, არის რუსული ჟარგონი, რომელსაც შესატყვისი არ მოეძებნება ქართულ „სლენგში“. ლექსიკონიდან კი რაიმეს გამოვძებნიდი, კალკა რომ არ გამოვიდეს.

საქართველოში საშინელი მიწისძვრებია. დაინგრა პატარა და დიდი ლიახვის ხეობების სოფლები. დაბა ჯავა, ცხინვალის ნაწილი, რაჭა - განსაკუთრებით ოსური სოფლების მიმდებარე რაიონები. რა არის ეს, თუ არა ღვთის წყრომა?! ასე არ მოხდა ომის დაწყების წინ სომხეთში, სპიტაკში?! გამსახურდია

სისულელეს სისულელეზე ახვავებს. ბლოკადა გამოუცხადა რუსეთს. ისევ იმ ნაცადი ავანტიურისტული ხერხით, რომლითაც შეაშინა ადგილობრივი კომუნისტები და საარჩევნო კანონი მიაღებინა, იმითვე სურს „დააჩოქოს“ რუსეთი: სამტრედიაში გადაკეტა რკინიგზა, ეს იგივეა, ჩემი ხის ერთი ტოტი მეზობლის ეზოში გადადიოდეს და მის ჯინაზე ხე მოვჭრა. გამსახურდიას გარშემო მყოფი მლიქვნელები კი აღფრთოვანებულნი შეჰღაღადებენ: „თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, თავი არ უნდა დაიმციროთ, მოსკოვში არ ჩახვიდეთ. დაე, ისინი გეახლონ!“ ისიც ბავშვივით გაგულისებული აცხადებს: „ჩემი ფეხი არ იქნება კრემლში!“ თანდათანობით ირკვევა, თუ რას წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტი. თურმე, ნუ იტყვით, ყველაფრის უფლება აქვს: დანიშნოს და მოხსნას ბაზრის დირექტორი, უმაღლესი სასწავლებლის რექტორი, მოსამართლე, პრეფექტი, პრემიერ-მინისტრი და კანონებით კი არა, საკუთარი ბრძანებულებებით მართოს ქვეყანა. გამსახურდიას ბრძანებით, ახლად აფრენილი თვითმფრინავი დასვეს, შიგ მსხდარი ირინა სარიშვილი და გია ჭანტურია ჩამოსხეს და დააპატიმრეს, მოსკოვში გარბოდნენ ეგ კრემლის აგენტებიო. დაკავებული არიან: მამუკა გიორგაძე (ესეც ედპ-ს ერთ-ერთი ლიდერი), ცნობილი კინოოპერატორი გოგა ხაინდრავა, მონარქისტული პარტიის დამაარსებელი თემურ ჟორჟოლიანი. გამსახურდია დიალოგზე არ მიდის. არადა, ხალხის არჩეული კონგრესი ამდენი პარტიით, პრეტენზიით, პოლიტიკური ცხოვრების ინერციით; საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლების ტკბილი ბურანი, მასში მონაწილეობის თავბრუდამხვევი აღტყინება რით იქნება კომპენსირებული? ჩახშობით, კომუნისტური მეთოდებით? ამის აღარც ძალაა, აღარც დემაგოგია ჭრის. მაშ, რისი იმედი აქვს? მართალია, მან ახალი სოციალური ფენა ჩართო პოლიტიკაში, ეს ძლიერი სტიმულია, მით უმეტეს, ამ შემთხვევაში, როცა ეკონომიკური პრეტენზიები სულ მარტივად - თანამდებობებზე დანიშვნით იჭრება, მაგრამ ეს ხომ დროებითი ფაქტორია. კარიერიზმი საზრდოს ხომ ეკონომიკაში უნდა ჰპოვებდეს? კარგა შებორძიკებული, დასაცემად განწირული საბჭოთა სოციალიზმი აღარ გამოდგება მყარ დასაყრდენად, ახალი პარვენიუების აღსაზევებლად. იზოლაციონიზმი ხომ მთლად ბოლოს მოუღებს საქართველოს.

ნელ-ნელა განახლდა მიტინგები. გადაყენებულია პრემიერ-

მინისტრი თენგიზ სიგუა, ეროვნული ფორუმიდან მოყოლებული მისი მიმდევარი. მის ადგილზე ნიშნავს ბესარიონ გუგუშვილს, რომელიც სოციალიზმს აცხადებს საუკეთესო სოციალურ სისტემად. ეს ეროვნული მოძრაობის ლიდერებისათვის ახალი ბრალდებების წაყენების წყაროა - ისევ კომუნისტურ რეჟიმს ვუბრუნდებით, მას შემდეგ, რაც ისინი გავყარეთ უმაღლესი საბჭოდან და ავკრძალეთ კიდეც მათი არსებობა. ამას ემატება გკჩპ-ს 17-19 აგვისტოს მოსკოვის მოვლენები. ერთბაშად შიშვლდება ჩვენი მოჩვენებითი დამოუკიდებლობა. მოსკოვიდან სასწრაფოდ ჩამოდის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჟურავლიოვი. კონფიდენციალურ შეხვედრაზე ამიერკავკასიის სარდალ პატრიკეევთან ტუქსავენ ზვიად გამსახურდიას. შეშინებული, მეორე დღესვე დაშლილად აცხადებს მის „იმედს“ - გვარდიას (რომელიც ფაქტობრივად მხედრიონთან დასაპირისპირებლად შექმნა) და აქვეყნებს ბრძანებულებას, რომ გვარდიის ნაწილები შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდნენ. გვარდიის სარდალი თენგიზ კიტოვანი ათასობით გვარდიელთან ერთად პროტესტის ნიშნად გადის რკონის ხეობაში და აცხადებს დაუმორჩილებლობას. ეს უკვე სერიოზული მოვლენაა. გამსახურდია ისევ ქალაჩუნურ მეთოდებს იყენებს. გვარდიელების დედები შვილებს მიუგზავნა, რომ სახლებში წაიყვანონ, თანაც, პასუხისმგებლობას უხსნის მათ. კიტოვანს ჩემთან ერთად კრიმინალად აცხადებს, ამავე დროს ფარულად დესპანებს უგზავნის შემოსარიგებლად. კიტოვანი მტკიცედ მოითხოვს გვარდიის სტატუსის აღდგენას. უცებ ირკვევა, რომ გამსახურდია, ეს რუსეთის „დამჩოქებელი“ კრემლს ვერ გაანაწყენებს - საბჭოთა ჯარის პარალელურად კიდევ ჯარს ვერ შექმნის. გადადგა გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, ერთხანს ვითომ ჩემი თანამოაზრე, მერე - ზვიადისტი და ჩემი დაპატიმრების მომხრე. ახლა რაღაც იყნოსა და აქაურობას გაეცალა. გამსახურდია ცდილობს, კვლავ მიტინგებით მართოს ქვეყანა. ფორპოსტი კვლავინდებურად კარვებს უკავიათ. ჩვენი ციხე მთავრობის სახლის გვერდითაა, გვესმის ქალების წივილ-კივილი და ბოლოს სკანდირება: „ზვი-ა-დი, ზვი-ა-დი!“ ეს გამსახურდიას დემოკრატიულობის დემონსტრირება, ხალხთან უშუალო გასვლის, მის მხარდამჭერთა საყოველთაოობის ეფექტია, მაგრამ მაგარიც ისაა, რომ პარალელურად მის წინააღმდეგაც იკრიბება ხალხი კინოსახლთან. ციხის ერთი

ზედამხედველი ჩვენი გულშემატკივარი ანტიზვიადისტია. როგორც კი დროს იხელთებს, გვიყვება ჭორსა და სიმართლეს. „გუბერსკი“ ციხიდან ჩვენს სართულზე გადმოიყვანეს გია ჭანტურია, მამუკა გიორგაძე, გოგა ხაინდრავა. ამ უკანასკნელს საგამომძიებლო ოთახთან შევხვდი, კარგ გუნებაზეა, იმედიანად არის. ახლა პოლიტპატიმრები ბევრნი ვართ: მე, ზაზა ვეფხვაძე, გელა გოდერძიშვილი, გოგა ხაინდრავა, გია ჭანტურია, მამუკა გიორგაძე, გია და დათო ვაშაკიძეები, თამაზ ყურაშვილი (ბუღა). აქვეა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პოლიტპატიმრად აღიარებული ცხინვალის მთავრობის ხელმძღვანელი ყულუმბეკოვიც. ერთი სიტყვით, „კაგებეს“ ციხე გამოცოცხლდა. ეს კი იმის ანარეკლია, რომ გარეთ შეუქცევადი პროცესები დაიწყო. ციხის წინ ხალხმა მოუხშირა შეკრებას, უფრო ძლიერად გაისმის: „ჯა-ბა! ჯა-ბა! ჯა-ბა!“ ვახტანგ გოგუაძემ დაბადების დღეზე წერილი შემომიგზავნა - მაქებს და მამხნევებს. ჩემს ცოლს, როგორც იქნა, დართეს ჩემთან შეხვედრის ნება. თან ჯაბუკა მოჰყავს. წლინახევრისაა, უკვე ტიკტიკებს, მეთამაშება. წასვლის დრომ მოაწია, დაბნეულია, თავისი პაწია თბილი ხელი ჩამკიდა, გარეთ მექაჩება: „ბაბუ! წამო, წამო სახლში!“ ჭირვეულობს და არ მიჰყვება ბებიას, ტირის. ციხის უფროსი ტარიელი გვესწრება, ისიც იცრემლება - თვითონაც ბაბუა ყოფილა.

კიტოვანი საფუძვლიანად მოეწყო თბილისის ზღვაზე. ერთ-ერთი თანამშრომლის პირით მითვლის, თუ რამე მსურს, დავაბარო მასთან. ვერ ვენდობი, უბრალოდ ვეუბნები, არ იცის, რა მინდა?! უზენაეს საბჭოში რეალური ოპოზიცია გაჩნდა, ვაჟა ადამია თავისი „კოსტავას საზოგადოებით“ ოპოზიციონერებში გადაეწერა. გვარდიის ნაწილი კიტოვანთან არის, ნაწილი დაიფანტა, ზოგიც ერთგულებას უცხადებს გამსახურდიას. შედარებით თავისუფლად მოაზროვნე გაზეთები დაიხურა იმ საბაბით, ვითომც ქაღალდი არ იშოვება, შემდეგ ღიად - გამსახურდიას ბრძანებით გაუქმდა. ტელევიზია გაიფიცა. წამყვანი დიქტორი ვალერი კვარაცხელია დააპატიმრეს. კინოსახლთან მიტინგი დაარბიეს. ირაკლი წერეთლის შტაბ-ბინაში, ყოფილი „იმელის“ შენობაში, გამსახურდიას ერთგული გვარდიელები ვინმე ლოთი ქობალიას მეთაურობით შეცვივდნენ და, როგორც ამბობენ, გადათელეს იქაურობა, ირაკლი წერეთელიც გალახეს. თბილისი გაივსო რაიონებიდან ჩამოყვანილი გამსახურდიას მხარდამჭერი მომიტინგეებით.

ესენი მეტწილად დასავლეთიდან არიან. კიტოვანის გვარდიელებმა შავნაბადაზე, მხედრიონის ყოფილ ბაზაზე გადაინაცვლეს. გვარდიელებით სავსე რამდენიმე მანქანა დემონსტრაციულად ჩაიქროლებს ხოლმე მთავრობის სახლის წინ. გვესმის მათი შეძახილები.

გადამდგარი პრემიერ-მინისტრი სიგუაც გამოჩნდა ჰორიზონტზე. გამსახურდია იმუქრება, თბილისის ზღვაზე გზავნის მილიციას, მაგრამ წარუმატებელი შეტაკების შემდეგ მოლაპარაკებაზე გადადის. ოპოზიცია ცდილობს, ქუჩა გააკონტროლოს. ეს ძნელი საქმეა. „კარვის ქალები“ ცერბერებივით დაძრწიან, მილიცია მათ მხარეზეა. პრეფექტების მიერ ავტობუსებით ჩამოყვანილი ხალხი უდიდესი ბოროტებაა: მტრობას, გათიშულობას, ქვეყნის გახლეჩას და დაპირისპირებას ეყრება საფუძველი. ხდება საზოგადოების უკიდურესი პოლარიზება. ორივე მხარე ფარულად იარაღდება. ინტელიგენცია უნივერსიტეტის კიბეებზე ატარებს მჯდომარე საპროტესტო აქციას. ჩემს დას, ლილი იოსელიანს, დიდი ტრანსპარანტი დაუკიდებია და შიგ კრაზანების ბუდეში - კარვებთან დადის წარწერით: „თავისუფლება ჯაბა იოსელიანს“. გამსახურდია მიტინგს მიტინგზე აწყობს. ხან იმუქრება, ხან აბდაუბდას ერეკება: „იმათმა გვესროლონ ტყვიები, ჩვენ მათ ვარდებს ვესვრით“ და იქვე გაჰკივის: „გადავუვლით!“ უნივერსიტეტის სტუდენტობა გიორგი მაისურაძისა და სხვათა მეთაურობით ულტიმატუმად ითხოვენ ჩემს და პოლიტპატიმრების გათავისუფლებას. „ვერაფერს ააგორებთ!“ - პასუხობს გამსახურდია. ახლა უკვე ჩემი გარეთ ყოფნა აუცილებელია. ვამზადებ გაქცევას. მიმდინარეობს ჩვენი საქმის გაცნობა, გამოძიება დამთავრდა. „საუკეთესო“ ბოლშევიკური ტრადიციების მიხედვით შეკერილია საქმე, იურისპრუდენციაში გამოყენებულია კომუნისტური დიალექტიკის ე. წ. ზოგადფილოსოფიური მეთოდი - მთვარისა და ძაღლის კუდის დაკავშირება. საფუძველი: ერთ გალაქტიკაში ყოფნა. ეგ სულაც აღარ მადარდებს. საგამომძიებლო ოთახის ერთი ფანჯარა პირდაპირ ქუჩაში გადის. მართალია, ორმაგი გისოსებითაა შემოჭედილი, მაგრამ გარედან თუ ვინმე მომეხმარა, ორი ადგილია გადასაქლიბი და გავეტევი. გიგა არველაძეს ვატყობინებ, რომ გაქცევა მწადია. ჯერ კონკრეტულ დეტალებს არ ვაცნობ, იქნებ თვითონ უკეთესი რამე მოიფიქროს. ვინაიდან აქ

გამომძიებლის გაკოჭვა დამჭირდება - მეთვალყურე ხშირად მარტო გვტოვებს, მაქვს მეორე გეგმაც. ჩემს გვერდით ოთახში საქმეს ეცნობა ზაზა ვეფხვაძე. ყოველდღე თითქმის ერთდროულად გვეძახიან, კავშირიც გვაქვს. საქმის გაცნობა დიდხანს გაგრძელდება, ბევრი შეთითხნილ-შემოთითხნილი მასალაა. ციხეში მომსვლელი ერთი სულიერი ავტომატის ნაწილ-ნაწილ შემოტანას მპირდება. თუ ეს მოხერხდა, მე და ზაზა საერთოდ ციხეს გავათავისუფლებთ. საკანში რომ ვბრუნდები, სტატიებს ვწერ გაზეთში გამოქვეყნებული სახაზინო წერილების საპასუხოდ. რომანზეც ვმუშაობ. დღედაღამ იმის ფიქრში ვარ, როგორ უნდა დამყარდეს ერთობა საქართველოში, როგორ და ვის შეუძლია, შეარიგოს ამდენი მტრულად განწყობილი, დაქსაქსული პარტიებისა თუ ორგანიზაციების ამბიციური ლიდერები და მათ აყოლილი ხალხი. რა შეაჩერებს ხელისუფლების ძალადობის კურსს? მონარქიის მეტი ალბათ ვერაფერი გვიშველის, მაგრამ, მონარქისტთა ლიდერის, თემურ ჟორჟოლიანის თქმისა არ იყოს, „სად არის მეფე, ტო?“ შეიძლება ჯერ რეგენტთა საბჭომ მართოს ქვეყანა, სადაც გაერთიანდება ყველა პოლიტიკური ლიდერი. ვწერ მოწოდებას ამის შესახებ და ვუგზავნი ყველა პარტიასა და ორგანიზაციას. ასევე კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს (მოწოდება ინახება ჩემს პირად არქივში). როგორც შევიტყვე, ყველამ მიიღო ჩემი მოწოდება, მაგრამ არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. ხელისუფლებამ კინოსახლთან კიდევ ერთი მიტინგი დაარბია. ერთ-ერთი საბაბი ჩემი შვილი კოწია გახდა: ვიდეო დაუმტვრიეს, ხელჩართული ბრძოლა გაიმართა, მილიციამ იარაღი გამოიყენა, ვიღაც დაჭრეს, პოეტი და მსახიობი რუსლან მიქაბერიძე სცემეს, ბევრნი დაშავდნენ. ასე აგორდა ახალი ტალღა. რესპუბლიკის მოედანზე, როგორც გადმოგვცეს, 60-ათასიანი მიტინგი ჩატარდა. შეიარაღებულ გვარდიელთა გარემოცვაში ამ ემოციურ შეკრებას თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანიც ესწრებოდნენ. „კაგებეს“ ციხემდეც აღწევდა ხალხის ხმაური. ტელევიზია აღარ მუშაობს, გაზეთები დახურულია.

21 დეკემბერი სტალინის დაბადების დღეა. 1949 წელს, როცა სტალინს 70 წელი შეუსრულდა, ლენინგრადის „კრესტების“ ციხეში ვიყავი. რადიოში, რომლის ხმაც ეზოდან შემოდიოდა, დილიდან გაისმოდა დიდი ბელადისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო მარშები, სიმღერები, ლექსები. საღამოს

დაიწყო ტრანსლაცია დიდი თეატრიდან. როგორც დიქტორმა ლევიტანმა თქვა, ჩართული იყო საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური. სტალინის გამოჩენას სცენაზე მოჰყვა ერთსაათიანი (შეიძლება მეტიც) ტაში, ოვაციები, შეძახილები, ისტერიული შეკივლებები. გამოფიტული ვუსმენდი ამ ბნელ-მონური ფსიქოზის დღესასწაულს. შუაღამისას კი, როცა ციხე თავის შფოთიან მწუხარებაში ირინდებოდა, ავძვერი ფანჯარაზე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვიყვირე: „დალოი, გუტალინშიკ!“ ასე ეძახდნენ პატიმრები სტალინს. გუტალინი გასაპრიალებელი კრემია, რასაც ფეხსაცმლის მწმენდავები ხმარობდნენ რუსეთში. მწმენდავების უმეტესობა ულვაშიანი აისორი იყო. ჰოდა, სტალინიც, თავისი ულვაშით, ვითომც მათი ტოლი მდაბიო იყო.

იმ ღამეს, როგორც ყოველ დღესასწაულზე, ციხეში გაძლიერებული დაცვა და რეჟიმი იყო. სამარისებურ სიჩუმეში ორად ორჯერ მოვასწარი დაღრიალება - იცოცხლე, მოცვივდნენ ჩეკისტები, ცემა-ცემით გამაფრინეს კარცერისაკენ. ისეთი „გუტალინი“ მაჩვენეს, სტალინის დაბადების დღეს რომ ვიგონებ, დღესაც წელი მიხურს, თანაც, 20 დღეს იზოლატორში, ცემენტის იატაკზე ვეგდე. მაშინ ღმერთკაც სტალინს რომ სცოდნოდა, რომ მისთვის ყველაზე საყვარელი არსება, მისი ქალიშვილი, დევნილი სვეტლანა, აი, იმ კარცერში მყოფი, სიცივით აკანკალებული, თავისივე მუხლებში თავჩარგული მონის საპატრონო გახდებოდა, მე შევიფარებდი, დავუმეგობრდებოდი და, როცა 60 წელი შეუსრულდებოდა, მე გადავუხდიდი დაბადების დღეს, ვფიქრობ, ჩვენი, ორივეს ცხოვრება ცოტა სხვაგვარად წავიდოდა. არც არასოდეს მიამბნია ეს სვეტლანასთვის. მაშინ 23 წლის ბიჭი ვიყავი, დღეს 65-ისა ვარ - ისევ ციხეში ვზივარ და, ასე მგონია, მას შემდეგ გარეთ არც გამოვსულვარ. დღეს 21 დეკემბერია - ყველაზე გრძელი ღამე. საინტერესო მინიშნებაა. ძლივს ვიძინებ. საშინელ სიზმარს ვხედავ. სიზმარს კი, უტყუარად ვიცი, როგორსაც ვნახავ, თითქოს უვერტიურა ყოფილიყოს, ისევე მისრულდება. ბნელი, უსაშველოდ გაუვალი, ნოტიო, თითქმის ატალახებული გამოქვაბულის შესასვლელში ვდგავარ, რაღაც ქვეწარმავლებისა და ჭიაღუების ტალღა იგორგლება. ირგვლივ გამოუთქმელი შემზარაობა სუფევს. დამძიმებული გულით მეღვიძება, ვიცი, ვეღარაფრით შევიბრუნებ ძილს. შევცქერი გისოსებს მიღმა მტრედისფერ განთიადს. მეყსეულად მესმის

საშინელი წივწივი, მერე - აღელვებული ზღვის ხმაური ან ქარიშხლის მოახლოების ექო; უეცრად ბნელდება, თითქოს სარკმელში შავი ფარდა ჩამოუშვეს. ვძვრები ფანჯრის რაფაზე, მაყრუებს გამუდმებული ჭყივილი. გვერდითა საკნიდან გია ვაშაკიძისა თუ მამუკა გიორგაძის გაურკვეველი შეძახილის ბგერები მესმის. ცა დაბნელებულია. ახლახან ხომ თენდებოდა, რა არის ეს? შავი ღრუბლით დაფარულია მთელი ცა, გისოსები არ იძლევა საშუალებას, თავი გავყო და ჰორიზონტს გავხედო, ვიხილო სიგრძე-სიგანე ამ შავი ღრუბლისა, რომელიც საზარლად კივის და ჩახვეულად, ხუჭუჭად მოძრაობს. ვაკვირდები - ეს ხომ ყვავებია. ყვავები სასოწარკვეთით ჭყივიან, ჩხავიან. მთელ ცაზე წყვდიადია, არსად სინათლის ნაგლეჯი. გაოგნებული ვდგავარ. ჩემი თანამესაკნე თხელ, დახეულ საბანზე გადაფარებულ პალტოში გახვეულა და სძინავს. ვეხმიანები გვერდით საკანს - ვაშაკიძეებს. რაღაცას მპასუხობენ. ვერ ვიგებ - ყურებში ყვავთა გნიასი მიდგას, სადღაც მარცხნივ ვიწრო ნათელი ზოლი გამოჩნდა. ნელ-ნელა ფართოვდება იგი, ყვავთა ურიცხვი ლაშქარი თანდათანობით გადადის მარჯვნივ, მთავრობის სასახლისაკენ და იქ, თითქოს რაღაცას მიაგნესო, უმატებენ გნიასსა და წრიულ მოძრაობას. შემდეგ, როგორც მოულოდნელად დააბნელეს იქაურობა, ასევე უცბად გაუჩინარდნენ. მაგონდება: 12-13 წლისა ვიყავი. შექსპირის მიერ „კორიოლანოსში“ თუ „იულიუს კეისარში“ აღწერილმა ყვავების სცენამ ასეთივე გამაოგნებელი და დამთრგუნველი შთაბეჭდილება დამიტოვა. არა! თუგინდ დღენიადაგ გავიმეორებ - ღვთაებრივია შექსპირი, გენიოსთა მეფე!

ვახშმის შემდეგ მოძახილის მსგავსი ავტომატის კაკანი გაისმა. ატყდა სროლა. რა ხდება? რატომღაც საკანში ვერ აღწევს და ეზოში იფრქვევა ქარის მოტანილი ღრიანცელი; შემდეგ - ტყვიამფრქვევების მძიმე ჯერები. კვლავ ფანჯარაზე ვძვრები. ეტყობა, გია ვაშაკიძეც ფანჯარასთანაა. „ჰა, დაიწყო?“ - ვეხმიანები. „ეს დეშეკაა“, - ამბობს მხიარულად. გარეთ ბინდბუნდია, რაღაც ლითონზე აბრახუნებენ, გაურკვეველი ჩოჩქოლია. ეს ციხის რკინის ალაყაფის ჟღარუნია, მეუბნება ყურდაცქვეტილი ჩემი თანამესაკნე კაკო ნეფარიანი. ბრახუნი გრძელდება, უხეში გადაძახება-გადმოძახების ხმებია. ჩვენს „კარმუშკასთან“ (კარში დატანებული ფანჯრისმაგვარი დახურული ჭრილი) კორპუსის უფროსი, მაიორი გია

მორიდებით მაძლევს შენიშვნას: „არ გინდა, ბატონო ჯაბა, ნუ ადიხარ ფანჯარაზე“. „რა ხდება?“ - ვეკითხები. დაბნეულია, ვერაფერს მპასუხობს და მიკეტავს „კარმუშკას“. ბრახუნი შეწყდა. ვაანალიზებ. რა იყო ეს? კაკო მიმტკიცებს, თქვენს წასაყვანად იქნებიან მოსულიო. მეც რაღაც ამდაგვარს ვფიქრობ, მაგრამ განგებ ვჯიუტობ - „არა, არა, ალბათ რამეს არემონტებენ“. ვგრძნობ, რაღაც გარდაუვალი უბედურება დაიწყო, სტიქია აბობოქრდა. ვანთებ სანთელს და ვლოცულობ ილია II მოტანილ ხატთან. კარი იღება, ციხის უფროსთან მეძახიან. მატყობინებს: „საქმე კარგად არის, გამსახურდია მთავრობის სახლში ჩაიკეტა, გვარდიელები და ოპოზიციონერები შემოერტყნენ სასახლეს“. „რა ბრახუნი იყო?“ - ვეკითხები. სიტყვას ბანზე მიგდებს. „ჩვენ რას გვიპირებთ?“ „არ ვიცი, ახალი „კაგებეს“ უფროსი გვყავს, ნინუა, რას გადაწყვეტს“. მთელი ღამე მიდის აქეთ-იქეთ სროლა, ხრიალებს ბარაბნიანი ტყვიამფრქვევი, ეს მგონი ჩვენი მხრიდან არის, ტელეგრაფის შენობიდან, სხვენზე ზის. ტელეგრაფის შენობა ციხის გაგრძელებაა. ცა შიგადაშიგ „ტრასირის“ ტყვიებით ნათდება, ვაზნები ჩვენს ეზოში ცვივა. ერთი საათი თუ გვეძინა, მთელი ღამე ტყვიამფრქვევები მუშაობდნენ ორივე მხრიდან. „ჩვენი“ ტყვიამფრქვევი რაღაც დაღლილად ხრიალებს. დილაადრიან ქვემეხმა დაიგრუხუნა, კიდევ და კიდევ. დაიწყო მთავრობის სახლის დაბომბვა. ვითვლი გასროლებს. დღისით ხანგამოშვებით ავტომატების კაკანია. აქ უკვე ვეღარ ვარკვევთ, რომელი მხარე ისვრის. ვახშმის შემდეგ გავყავარ „კაგებეს“ უფროსთან, მაგრამ მის ნაცვლად მოადგილე მხვდება. მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობს. მე ხმას არ ვიღებ. უცებ მეუბნება: „თქვენს წასაყვანად არიან მოსული“. „ვინ?“ შემოდის მხედრიონელი ელექტროკუკური. „ბატონო ჯაბა, უნდა წამოხვიდეთ, გარეთ ბიჭები გელოდებიან, მე შემომიშვეს, თამაზ-წესრიგაც აქ არის“. „ჩემთან ერთად ამ ციხეში მყოფი ყველა მხედრიონელი უნდა გაათავისუფლოთ, - ვეუბნები „კაგებეს“ უფროსის მოადგილეს, - აგრეთვე გია ჭანტურია, გოგა ხაინდრავა და მამუკა გიორგაძე!“ „ამას მე ვერ გადავწყვეტ“. „მაშინ მე არ წავალ“, - მტკიცედ ვამბობ და ვდგები. „კარგი! ახლა საკანში წადით, ყველაფერს დავაზუსტებ“.

კამერიდან ყველაფერს ვატყობინებ გია ჭანტურიას, ზაზას, გელას და ვაშაკიძეებს. გია ჭანტურია მეძახის ფანჯარასთან და

მირჩევს, არ წავიდე. ეტყობა, თვითონ არ სურს წამოსვლა. „ეგ პროვოკაციაა, რაღაცას გიწყობენ“, „ არა, ჩვენი ბიჭები არიან მოსული“. „არ დაიჯერო!“ - მაინც თავისას გაიძახის. გამთენიისას ვერტმფრენმა გადაგვიფრინა და, მგონი, რეხვა. ჩვენს ეზოში ძლიერმა აფეთქებამ წამით დაგვაყრუა. „სასახლეში ჩამოაგდო ბომბი“, - მიყვირის გია ვაშაკიძე. მე ეჭვი მეპარება. აფეთქება მოხდა ან ჩვენი ეზოს დასაწყისში, ან პირველი სკოლის ეზოში. „ჩვენი“ ტყვიამფრქვევის ხრიალი აღარ ისმის. ეს გვაშფოთებს. ავტომატებიც კანტიკუნტად ისვრიან. შუადღისას გავყავარ ტარიელს: „ჯაბა, ცუდად არის საქმე, თქვენმა ბიჭებმა უკან დაიხიეს“. „როგორ?“ „აქამდე სასტუმრო „თბილისში“ იყვნენ, ახლა კი, სახლიდან აქეთ რომ მოვდიოდი, ლაღიძის წყლების შესასვლელთან იდგნენ და აქეთ აღარ მიშვებდნენ. „იქნებ პატრული იყო?“ - ჩავეკითხე რამე საიმედოს გასაგონად. „არა, აქეთ უკვე აღარავინაა“. „მთელ დღეს ქვემეხი ისროდა, არავითარი შედეგი არ მოჰყვა ამას?“ - უფრო ვიღაცას ვსაყვედურობ, ვიდრე პასუხს ველი. „კაცო, ისინი ბუნკერში არიან, ეს გერმანელების აშენებულია, რა დაანგრევს“... „ჩვენ რა გვეშველება?“ „არ ვიცი“ - მპასუხობს მართლაც დაბნეული. გულდამზრალი ავდივარ საკანში. მე მაინც გავყოლოდი ელექტროკუკურის. ჩემი იქ ყოფნა აუცილებელია. ახლა თუ ზვიადისტები ბუნკერიდან გამოვიდნენ (და ალბათ გამოვლენ), ინიციატივას ხელში ჩაიგდებენ და დამთავრებულია საქმე. კაკოს ყველაფერს არ ვეუბნები. ვემზადები. ჩვენ თვითონ უნდა ვიმოქმედოთ, ავიყვანოთ აქაური ზედამხედველები და უფროსობა, თორემ მერე გვიან იქნება, შემოგვიცვივდებიან და დაგვხოცავენ. ჩემი რომანი მენანება. ცოცხალი თუ გადავრჩი, მეორედ ამას რა დაწერს. კაკოს არაფერი ემუქრება. ციხეში თუ დარჩა, მით უმეტეს. ჩვენთან უფრო საშიშია მისი ყოფნა. მას საფინანსო მაქინაციები ედება ბრალად. „კაკო, - ვეუბნები, - ერთი თხოვნა უნდა შემისრულო. რაც არ უნდა მოხდეს, ამ რომანს, ჩემს ხელნაწერს, უპატრონე, შვილივით შეინახე. თუ გადავრჩი, რაღაცნაირად მოგაკითხავ და გადმომცემ. არადა, შენ იცი, თითქმის მზად არის, როგორც კი მომენტი ჩაგივარდება ხელში, გამოაქვეყნე, არაფერს წააგებ. იცოდე, მეც დიდ საქმეს გამიკეთებ“. „რაზეა ლაპარაკი, - მპირდება, - ყველაფერს ვიღონებ, ამას წიგნად გამოვცემ, არ დაგიკარგავ, გულდამშვიდებული იყავი“. მოხერხებულად ვიცვამ, რომ სირბილი შემეძლოს. გია ვაშაკიძეს ვაფრთხილებ, ყოველ წუთს

მზად იყვნენ. ციხეში მოძრაობა შეწყდა. გამომძიებლები, ვექილები, ამანათები - აღარავინ მოდის, აღარავის მოაქვს. ჩემი წინანდელი გეგმა აღარ გამოდგება. ვაპირებ ხვალისათვის უფროსთან გასვლას, დაბრუნებისას კი კამერაში „კორპუსნოის“ შემოტყუებას, გასაღების წართმევას, იქვე ვაშაკიძეების კამერის გაღებას და შემდეგ რამდენსაც გააღებს - გააღებს, რასაც არა, იქ, კომენდატურაში წავართმევთ ან მძევლად ავიყვანთ. მერე თვით საქმე გვიჩვენებს. შიგნით უფროსობას იარაღი არა აქვს, გარეთა დაცვა კი, ვფიქრობ, სროლას ვერ გაბედავს, ბევრნი ვიქნებით. გვიანია. ვერ ვიძინებ. მოშორებით ისმის ავტომატების კაკანი. „ჩვენი“ ტყვიამფრქვევი დუმს, არა! დამთავრებულია საქმე, თუკი ასეთი უპირატესობა ვერ გამოიყენეს, ფართო ფრონტზე ხელმეორედ პოზიციების აღდგენა თითქმის შეუძლებელი იქნება.

ყველა - მინუს ერთი

დილის ოთხი-ხუთი საათი იქნება. ჯერ კიდევ შუაღამესავით ბნელა, საკანი ხმაურით იღება. „ჩქარა უფროსთან!“ - აქეთ-იქით იყურება და მოუსვენრად ადგილზე ცქმუტავს ზედამხედველი. გაუხდელი ვარ, ფეხსაცმელში ჩავკარი ფეხი და სწრაფად გავდივარ. კაკოს სძინავს. ससუუ! - მაფრთხილებს გზაში. ვიდრე უფროსის კაბინეტში შევიდოდი, კიბეზე ვიღაცეებმა ბრაგუნით ამოირბინეს. წინ მეჩეხებიან. ვიღაც ქლოშინით მეხვევა. „ბატონო ჯაბა, ჩქარა, თქვენს წასაყვანად მოვედით“. ეს ხომ გელა ლანჩავაა - გვარდიელი. მასთან ჩვენი ბიჭებიც არიან. შევდივართ უფროსთან. ტარიელს ბოლომდე არაფერი აქვს გადაწყვეტილი, დაბნეულია, ვატყობ, ახლა უკვე ჩემს ბრძანებას დაექვემდებარება. „ჩუმად და სასწრაფოდ გამოიყვანეთ ზაზა ვეფხვაძე, გელა გოდერძიშვილი, ვაშაკიძეები, გია ხუბულაშვილი, გია ჭანტურია, მამუკა გიორგაძე. მე მანამდე ხელწერილს დაგიტოვებ, მთავრობის პირველივე მოთხოვნაზე უკან დავბრუნდებით“. - ხავსს

ვთავაზობ ხელის ჩასაჭიდებლად. „ბუღაც გამოიყვანეთ“. „ბუღა არ გინდა, ვერაა ჭკუაზე“, - უფრო მირჩევს, ვიდრე მეწინააღმდეგება ტარიელი. „რაღაც დამრჩა, ახლავე ჩამოვალ“. ზევით ავრბივარ. ვხედავ, ბიჭები გამოდიან საკნებიდან. „ჩქარა, - ვეუბნები, ახლა ვერ ჩამოვალ“. შევდივარ კაკოსთან, მინდა ჩემი რომანი წამოვიღო. გარედან ავტომატების შედლუხი ისმის, შეიძლება ეგრევე ბრძოლაში ჩავერთო, ახლა ამ უშველებელი საქაღალდით სად ვირბინო, ან რას იტყვიან, რა დროს ეგ არი?! ჯანდაბას! კაკოს გაჰღვიძებია, შეშფოთებული მომჩერებია, ალბათ, ჰგონია, თან წამოყოლას მოვთხოვ. „კაკო, მე მივდივარ, შენ იცი, რომანი არ დამიკარგო!“ გულზე მოეშვა. „ნუ წუხხარ, ყველაფერი რიგზე იქნება“. ვკოცნი და გავრბივარ.

ყველანი ტარიელთან შეკრებილან, აღგზნებულები ლაპარაკობენ. გია ჭანტურია ფეხს ითრევს. ბუღა არ წამოჰყოლია ბიჭებს, საკნიდან არ გამოსულა. „წავედით!“ - ვბრძანებ. ჩავრბივართ. სუფთა, სუსხიან ჰაერს დენთის სუნი შერევია. თავისუფლება ავტომატების გამაყრუებელი კაკანით გვხვდება. ვინ ისვრის, საიდან, არაფერი ვიცით. ლანჩავა გვერდზე მომდევს, როგორც ნადავლს, მიფრთხილდება. გამოვდივართ რუსთაველის პროსპექტზე. „აქეთ!“ - მეუბნება დაფეთებული. ქუჩაა გადასარბენი. გეზი, როგორც ჩანს, სასტუმრო „თბილისისკენ“ გვიჭირავს. ველოდებით, ოდნავ მაინც ჩაცხრეს სროლა - ტყვიების წვიმაა. მე ვეღარ ვითმენ, ასე შეიძლება გათენებამდე გაგრძელდეს. გადავჭერი ქუჩა, არ ვიცი, მომყვებიან თუ არა დანარჩენები. შევრბივარ მთლად დამწვარ სასტუმროში, როგორც ჩანს, ყოფილი სარკმლიდან - ერთბაშად ვერც მიხვდები, სად იყო აქ შესასვლელი კარი. სასტუმროს უკანა მხარეს ჯერ კიდევ ცეცხლი უკიდია. იქ, სადაც უწინ ლიფტის ჰოლი იყო და ახლა რაღაც დაჟანგული, ცეცხლს გადარჩენილი არმატურა ჰკიდია, ხალხი ფაციფუცობს: მეხვევიან, მივყავარ სიღრმეში. კუთხეში, ყუთებზე, როგორც სავარძელში, თენგიზ სიგუა ზის, ფეხებზე შინაურულად პლედი მოუხურავს. ერთმანეთს ვეხვევით. ეს უფრო პოზიციების შერწყმაა, ვიდრე ახლობლების შეხვედრის გამოხატულება. აქვე პორტატული მაგნიტოფონით მეძგერა რადიოკორესპონდენტი ლულუ ჩხენკელი. „რა დროს ინტერვიუა“, - მეცინება და ხათრს მაინც არ ვუტეხ, ორიოდე სიტყვას ვამბობ.

მინდა გავერკვე ვითარებაში. მგონი ევაკუაცია ხდება. ბიჭები

მოდიან, რაღაცეები გააქვთ, ვიღაც უკარნახებს: იმელში შეიტანეთ“. „ტოვებთ აქაურობას?“ - ვკითხულობ. „ჰო, გუშინ დავტოვეთ, მაგრამ ისინი ჯერ არ გადმოსულან!“ მპასუხობენ. აქ იყო ოპოზიციის, ასე ვთქვათ, საველე შტაბი. ეს ძველი, სოლიდური, კაპიტალური სასტუმრო, ყოფილი „მაჟესტიკი“, შემდეგ „თბილისი“, ახლა ავტობუსების ფარღალალა მოსაცდელს დამსგავსებია. რასაკვირველია, აქ გამაგრება აღარ შეიძლება, მით უმეტეს, რომ სასახლის მოპირდაპირე და სასტუმროს მეზობელი შენობა - მხატვრის გალერეაც მიტოვებულია. მიკვირს, ამდენ ხანს რატომ არ გადმოინაცვლეს ზვიადისტებმა. პოზიციებიდან მოირბინეს მხედრიონელებმა გიგა არველაძემ, წესრიგამ, ზორომ. ვიღაც გვერდებში მკლავს მიყრის და მიჭერს. „ბაბა!“ - ძუნწად მეუბნება ჩემი კოწია. კოსტავას საზოგადოების ხალხს წუხელ მიუტოვებია სადარაჯოდ განკუთვნილი მათი მოედნის ნაწილი. ახლა მთავრობის სასახლეში გამოკეტილებს ფაქტობრივად მოეხსნათ ალყა. სულ 12 მხედრიონელი დარჩა. გიგა არველაძე შეტევას შეტევაზე აწყობს. არადა, რის იმედით? უბრალოდ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ მოედანზე დიდი ძალა გვყავს. საერთო სიტუაციას ხეირიანად მაინც ვერავინ მიხსნის. მხედრიონელებს გავყავარ განზე, მატყობინებენ, რომ გვარდიელები ცოტანიღა დარჩნენ, არიან მოკლულები, ზოგი დაჭრილია, ზოგიც მიიმალა. ასი მეომარიც აღარ იქნება. სიტუაცია თითქმის უიმედოა. სასახლეში სავარაუდოდ 4 ათასი კაცია. გარეთ რომ გამოვიდნენ, ამით დამთავრდება ყველაფერი. მილიცია არ აქტიურობს. აქეთ-იქით თამაშობს, შინაგან საქმეთა მინისტრმა ხაბულიანმა სიმულანტური ხერხით თავი დაიძვრინა, ვითომ რაღაც აუფეთქდა და თვალები დაევსო - ერთი დღით საავადმყოფოში დაწვა, მერე კი სადღაც გაქრა. რომან გვენცაძე (მისი მოადგილე) ფეხშია დაჭრილი. „სასწრაფოდ შეკრიბეთ მხედრიონელები!“ - ვავალებ გიგას და კოწიას. მოდის თენგიზ კიტოვანი, მეხვევა და მჩუქნის პისტოლეტს. მეცინება: „ეს არ ეყოფა, თენგიზ, საქმეს“. დაბნეული მეჩვენება - კონკრეტულად არ იცის, რა მოიმოქმედოს. „გადავდივართ იმელში, - მიხსნის, - იქ გავმაგრდებით“. გამოჩნდა ელდარ შენგელაია: „გაზეთებს არ უნდათ თანამშრომლობა, - ჩივის, - ქაღალდი არა გვაქვსო, თავს არიდებენ. მე საწყობში დავადექი თავზე და დღეს გამოუშვებენ“. „არ მიმიყვანონ, მაგათი დედა...“ - განგებ უხეშად ვიგინები. საჭიროა სიმხნევე დაუბრუნდეს

ადამიანებს. უნდა დავიანგარიშოთ ჩვენი ძალები.

გათენებულა. სროლა შეწყვეტილია. „სნაიპერები მუშაობენ, - მაფრთხილებენ, - ჩეჩნეთიდან არიან ჩამოსულები“. მინდა, შინ მივიდე, ვნახო ჩვენები, ჩემი ჯაბუკა. ნეტავი თუ მიცნობს... ხვალისათვის, 28 დეკემბრისათვის, ვნიშნავ მხედრიონის შეხვედრას ჩვენ მიერ მიტოვებულ ჭადრაკის სასახლეში. დავინტერესდი, ვისა ჰყავს შეიარაღებული ხალხი, ვინ არიან ისინი და რა სურთ. ვითვლით. თენგიზ კიტოვანის გვარდიელები 30-40 კაცამდე, ვაჟა ადამია 30 კაცამდე, ჩვენ ჯერჯერობით, ახლად გამოსულებიანად - 20 კაცი. გაურკვეველი საქმის ხალხი, რომლებიც გულშემატკივრობენ, ბევრია, ჩვენ მებრძოლები გვინდა. ტექნიკა არის - ერთი „ბეტეერი“, ერთი „ბე-ემ-პე“, ორი ოთხმოციანი ნაღმმტყორცნი, ერთი ქვემეხი უჭურვებოდ. ქორწინების სასახლეში არიან სვანები - 60 შეიარაღებული კაცი. ჩვენი მხედრიონელი, დათო გადრანი გვპირდება, ისინი ან ჩვენკენ იქნებიან, ან, უარეს შემთხვევაში, არ ჩაერევიან. ამის იმედი მეცა მაქვს. იქ, როგორც გავიგე, ავთო იოსელიანია, ჩემთან კარგ ურთიერთობაში მყოფი ვაჟკაცი, წესიერი ბიჭი. გამსახურდია საშველად უხმობს მილიციას, პრეფექტებმა რაიონებიდან უნდა ჩამოიყვანონ ისინი. შინაგან ჯარებს - ომონს ხელმძღვანელობს ვანო ჭელიძე. იგი გამსახურდიას მომხრეა. ამას წინათ ერთი ავტობუსი ტყვია-წამალი შეუტანა ბუნკერში. საჩხერელი ბესიკ ქუთათელაძე თავისი ოცდაათი კაცით ფუნიკულიორზე ტელეანძას უდარაჯებს. შეიარაღებული რაზმების ყველა ხელმძღვანელს ხვალისთვის ტელევიზიაში ვიბარებ.

რესპუბლიკის მოედანზე იკრიბება მიტინგი, მთხოვენ, დავენახო ხალხს და სიტყვით გამოვიდე. ვთანხმდები. დიდი მიტინგი არ არის, ასე 400-500 კაცი იქნება. ნაცნობი სახეები. ჩემთან მოდის ხოშტარია, გამსახურდიას ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი. ახლა ოპოზიციაში გადმოინაცვლა. ვესალმები, თუმცა, ჩემზე რაღაც-რაღაცეებს ბოდავდა. ახლა ყველანი ერთად უნდა ვიყოთ, ყველანი! მხოლოდ ზვიად გამსახურდიამ უნდა დატოვოს პოსტი და, ჯერჯერობით, საქართველოც. „ყველა - მინუს ერთი!“ ვაცხადებ მიტინგზე. ტაშით მხვდებიან. „გაჩნდა მესამე ძალა“, - ამბობენ ზვიადისტები. „ჩვენ მესამე ძალა ვართ, ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ“.

მივდივარ იმელში. იქ ყარყარაშვილი ისტერიკაშია ჩავარდნილი, მეხუთე მეგობარი მოუკლეს. მასთან საუბარი უტაქტობა იქნება. დღევანდელი საღამო და ხვალინდელი დილა მადარდებს. დღეს თუ დაგვარტყეს, გაგვფანტავენ, ორგანიზებულები არა ვართ. ხალხიც არ ჩანს, სადაა გვარდია? იმელში ტარიელაა - კასპის ბატალიონის უფროსი (ბატალიონში 20 კაცია), მხედრიონელებიდან ნიკუშა რურუა, გია სვანაძე, გიგა არველაძე არიან. „ბიჭებო, დღეს როგორმე უნდა გავძლოთ, ხვალიდან დედას ვუტირებთ!“ გიგა მაწყნარებს. „ყველაფერი რიგზე იქნება“. დასაძინებლად სახლში მივდივარ. ჩემი ცოლი - სუსკია, სოფიკო, ლეილა, ნათესავები, ცრემლები... ჯაბუკა თან მცნობს და თანაც ვერა, იმ წუთში მომიშინაურდა.

გარეთ, სიბნელეში, „ტრასირები“ წითელი კრაზანებივით დაწუილებენ. ქალაქის ცენტრიდან დახშული გუგუნი ისმის. მოუსვენრად მძინავს. ვაითუ იერიშზე გადმოვიდნენ. კოწიასაც არ სძინავს. დილით ადრე ვდგები, ვიცვამ ჯავშანჟილეტს, ვიღებ ავტომატს. საჭესთან კოწია ჯდება. ჩვენთან არიან მეზობლები, კოწიას მეგობრები - ვატო და რეზიკო. მივდივარ ლილისთან, ჩემს გატანჯულ დასთან. ცრემლები, უაზრო ჭკუის დარიგება, სიფრთხილის თვალსაზრისით. ვჩქარობ იმელში. აქ მოულოდნელი სიწყნარეა. ქვედა სართულზე მედპუნქტს ვათვალიერებ. პირველი დახმარებისათვის მეტ-ნაკლებად ყველაფერი არის. თენგიზ კიტოვანი არ გამოჩენილა. ამბობენ, მას და სიგუას ამ კრიტიკულ ღამეს რუსების შტაბში ეძინათ. ზედა სართულებზე არავინაა. წუხელ რამდენიმე ტყვიას შემოუღწევია, ფანჯრები ჩამსხვრეულია. პირველ სართულზე, მაგიდასთან, რეზო ჭანკვეტაძე თვლემს, კასპელი ტარიელა და მხედრიონელი იმედაძე კამათობენ. მოდიან გიგა არველაძე, გია და დათო ვაშაკიძეები, ელექტროკუკური, წესრიგა, დათო მამულაშვილი. გელა გოდერძიშვილი კახეთშია წასული, იქნებ ხალხი ჩამოიყვანოს. დათო ვაშაკიძე სამტრედიაში მიდის იმავე მიზნით. მოდის მხედრიონელი ვახტანგ ბეგიაშვილი, გიო ხვიჩია, რემკა, კოტე ბიბილაური. კმაყოფილი ვარ, ასეთი ბიჭები თუ კვლავ ჩემთან მოდიან, ესე იგი, საქმე კარგად წავა. „ამას რა ტყვია ასცდება“, - ხუმრობს ვახტანგი და ბუმბერაზ დათო ვაშაკიძეზე მიუთითებს. აღგზნებული გიგა არველაძე წუხანდელ ამბავს გვიყვება. გაჭირვებით გამოუკვლევიათ გზა ცეცხლმოკიდებული სახლიდან. მაინც ერთი წუთითაც არ ასვენებდნენ სასახლეს, რა იცოდნენ იქ, რომ სულ ხუთიოდე

მხედრიონელი ბობოქრობდა ასე. ელექტროკუკური ამხელა თავითა და უკანალით ძლივს გამოტეულა რაღაც სარკმელში. ბიჭები იცინიან.

ედპ-მ კაცი გამოგზავნა, მთხოვენ, მივიდე მათთან კონსპირაციულ ბინაში. მივყვები. სადღაც თბილისის ძველ რაიონში სარდაფის მსგავსი ბინა. გია ჭანტურია არ დამხვდა, სამაგიეროდ, დანარჩენები აქ არიან: ირინა სარიშვილი, მამუკა გიორგაძე, ირაკლი ქადაგიშვილი და სხვები. გადაუწყვეტიათ, ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღონ და სხვაგვარად ყველაფრით დაეხმარონ ოპოზიციას. ამასვე მირჩევენ მე. ჩვენ მერე მოვალთ ხელისუფლებაში, ასკვნიან ისინი. მეცინება. მერე როგორღა მოხვალთ, თუ ახლა წააგებთ?! საქმე წკიპზეა მისული. სხვისი ხელით ცეცხლიდან წაბლის დათრევას არ ვარ ჩვეული და არც პატიოსნებად მიმაჩნია. არა მგონია, რომ ეს კაცების მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა, ვფიქრობ, ირინას ქალური სიფრთხილე უფროა. მას თურმე ისიც არ სურდა, რომ გია ციხიდან გამოსულიყო. იქ უფრო უსაფრთხოდ გადაიტანდა ამ ცხელ დღეებსო. ვითომ? ეჭვი მეპარება. დღეისათვის ფაქტობრივად ომი წაგებულია. საჭიროა მხოლოდ, ზვიადისტები ბუნკერიდან გამოვიდნენ და მოეფინონ მთელ ქალაქს. ჩვენს ბასტიონ იმელში სულ რამდენიმე ათეული კაცია, - როგორც იტყვიან, ეს არის და გორის ციხე. მერე? მერე სადღა მივდივართ?! ამას, რასაკვირველია, არ ვამბობ. მეგობრულად ვემშვიდობები და მივდივარ ტელევიზიაში. იქ შეიარაღებული ჯგუფების მეთაურები უნდა მოვიდნენ. მოვლენ კი? რა შედეგს მოგვცემს შეხვედრა მხედრიონთან ჭადრაკის სასახლეში? ტელევიზიის რომელიღაც დარბაზში მრგვალი მაგიდაა. მადლობა ღმერთს, თითქმის ყველანი აქ არიან, ვაჟა ადამიას გარდა. აქვე ვხედავ პროკურორ ვახტანგ რაზმაძეს. „ვახტანგ, - ვეუბნები, - მე ყველაფერი დავივიწყე“. „მეც, მეც“, - მპასუხობს გახარებული. „შენ რაღა გქონდა დასავიწყებელი?!“ - მეცინება. ვუსხდებით მაგიდას. გია და დათო ვაშაკიძეები ფეხზე რჩებიან. აქ არიან თავდაცვის მინისტრი ნოდარ გიორგაძე, გამსახურდიას ერთ-ერთი გავლენიანი სამხედრო მეთაური და უზენაესი საბჭოს დეპუტატი ბესიკ ქუთათელაძე, გვარდიის შენაერთის, „თეთრი არწივის“ ხელმძღვანელი გია ყარყარაშვილი, მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსი გივი კვანტალიანი, შინაგანი ჯარების სარდალი ვანო ჭელიძე. ვკითხულობ, რატომ არ

მოვიდა ვაჟა ადამია? რაღაც ყოფით მიზეზს ასახელებენ. ყარყარაშვილი მიმტკიცებს, რომ ვაჟა ჩვენთან არის, უბრალოდ, ვერ მოვიდა. მე ვიწყებ მოკლე შესავლით. ვამბობ, რომ პრეზიდენტი, რომელიც სამოქალაქო ომამდე მიიყვანს ქვეყანას, უნდა გადადგეს. არავინ მეწინააღმდეგება. ვაცხადებ ისევ ჩემს ფორმულას: „ყველა - მინუს ერთი“. ზვიად გამსახურდია უნდა წავიდეს საქართველოდან, დროებით მაინც, არჩევნებამდე. რაც სისხლი დაიღვარა, საკმარისია, ნუღარ მოხდება კონფლიქტის ესკალაცია. არავის ხელს არ ვახლებთ, კიდევ ვიმეორებ: ყველანი მოვიდნენ, დეპუტატებიც, სამხედროებიც, მთავრობის წევრებიც, ერთად ვიყოთ. თუ ჩემი არ სჯერათ, ზვიადს მე თვითონ გავაცილებ საზღვრამდე. თუ ესეც არ უნდა, ნახევრად ხუმრობით დავძენ, მზად ვარ, ორივენი - მე და ზვიადი - ჩავსხდეთ ციხეში, ერთ კამერაში. დაე, ხალხმა განგვსაჯოს! მცირე პაუზის შემდეგ განვაგრძობ: „ვინც კი შეგვეწინააღმდეგება (მუშტს ვურტყამ მაგიდას) დედას ...“ (ცხარედ ვიგინები). თან ვფიქრობ, ჯერჯერობით ვისი იმედიცა მაქვს... მხედრიონი ოც კაცს ითვლის; ყველანი მისმენენ, არავინ არაფერს ამბობს. ვაკეთებ დასკვნას: თქვენ, ნოდარ (მივმართავ გიორგაძეს), როგორც თავდაცვის მინისტრს, წინადადებას გაძლევთ, წახვიდეთ ბუნკერში და ყველაფერი ეს გადასცეთ გამსახურდიას. პასუხს ველი ხვალამდე. ჩვენი მხრიდან არ იქნება არც ერთი გასროლა (ეს ერთი დღე მეც მჭირდება საორგანიზაციოდ). ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ქარტიაში (ამა და ამ პუნქტში, ვასახელებ პუნქტებს) წერია, თუ ქვეყანაში მეტი გამოსავალი აღარ არსებობს, ხალხს აქვს უფლება, აჯანყდეს და ისე მოიცილოს დიქტატორული რეჟიმი.

ჩემ გვერდით ზის ვანო ჭელიძე. თუ გამსახურდიასთან ურთიერთობა გააგრძელა, ყველაზე რეალური მოწინააღმდეგე ალბათ ეს იქნება. ვიცი, რომ იგი გოგი ჩიქოვანის (ჩემი ძველი მეგობრის) სიძეა. ფეხზე ვდგები, რაც იმას ნიშნავს, რომ შეხვედრა დამთავრებულია. სხვათა შორის, მის გასაგონად ერთი-ორი სიტყვა გადავუგდე გივი კვანტალიანს. გივი მხურვალედ მეფიცება ერთგულებას. უწინ შევხვედრივართ ცხინვალში. ოსური კონფლიქტის ნეიტრალიზების თაობაზე ერთ ჭკუაზე ვიყავით. „როგორც კი მეტყვი, ჩემი 500 კურსანტი შენს განკარგულებაში იქნება“. ეჭვი მეპარება, ვიცი, ბრახაბრუხისტია, მაინც კარგია - ყველას გასაგონად ამბობს.

ყველაზე მთავარი მაინც ბესიკ ქუთათელაძის პოზიციაა. მას ტელეანძა უკავია, ტექნიკა აქვს, ზვიადზეც გავლენას ახდენს. ისედაც ვაჟკაცი და პატრიოტია. ერთხანს მხედრიონში იყო, მერე ზვიადმა გადაიბირა, ფული გადაურიცხა საჩხერის ბატალიონისათვის. ვუამბობ, რატომ ჩააბარეს ფრანგებმა გერმანელებს პარიზი. დე გოლმა მაშინ თქვა, რომ პარიზის დანგრევას დანებება სჯობია. მისმენს. მერე ეგ გამოიყენა თავის სატელევიზიო გამოსვლაში. ბესიკს ჩვენს ძველ მეგობრობას ვუხსენებ, თვითონაც ორჭოფობს, როგორც ვიცი, ომის მეორე დღესვე ზვიადს წინადადება მისცა, დათანხმებულიყო თენგიზ სიგუას მოთხოვნაზე, რომელმაც ომის დაწყებამდე შეუთვალა, გადამდგარიყო.

ყარყარაშვილი გზაში მეუბნება, რომ ვაჟა ადამიამ გვიღალატა, მოედანზე მოხსნა თავისი ხალხი, მაგრამ ეს არ თქვა შეხვედრაზე. არ სურდა, სხვებს გაეგოთ. მაინც იმედი აქვს, ვინაიდან „ყაჩაღანა“ გელა გელაშვილი, დუშეთის ბატალიონის უფროსი, მისი მეგობარია და ვაჟას გადაარწმუნებს.

ჭადრაკის სასახლეში გულზე მომეფონა - 200-მდე მხედრიონელი მიცდის. ვინ-როგორ შეიარაღებულები. აქვე ტრიალებენ ზაზა ვეფხვაძე, გია სვანაძე, ჩვენი ძველი ნაპო - ნაპოლეონა, ზურა დანელია, დათო გადრანი, ერეკლე ნარსავიძე, დათო დანელია. ტაშით მხვდებიან. ვეხვევი, ვკოცნი. ბევრი ძველია, ზოგიც ახალი, ანთებული თვალებით. „აბა, ჰაიდა! წავედით, ბიჭებო! ეს სასახლე შტაბად არ გამოდგება. დაშორებული ვიქნებით მოვლენებს. რაც შეიძლება, ალყა უნდა შევიწროვდეს“.

გავდივართ ქალაქში, ვეძებთ ადგილს, სად დავბანაკდეთ. შენობაც კაპიტალური უნდა იყოს. დივერსია ან თავდასხმა არ მოგვიწყონ. იმელში გვარდიაა, თუმცა, ისინიც აღარ არიან. იქაურობა ნახევრად იცხრილება. ვირჩევთ აკადემიას ზემელზე. შეგვიძლია ზემოდან შემოვუაროთ სასახლეს, შპილზე ნაღმმტყორცნსა და ტყვიამფრქვევს დავდგამთ - იქიდან მთელ არემარეს გადაჰყურებ, მთავრობის სასახლეც ხელისგულივით მოჩანს. კავშირგაბმულობა წესრიგშია, ოთახებში - სითბო, სინათლე, ერთი სიტყვით, საუკეთესო ობიექტია. ვსახლდებით. აკადემიის ხელმძღვანელობა დამალულია. ვპოულობთ, ვუხსნით ვითარებას, ვპირდები - ყველაფერს მოვუვლით, არაფერი დაგეკარგებათ. როგორც კი ომი დამთავრდება,

ყველაფერს ხელუხლებლად ჩაგაბარებთ (ასეც მოხდა. როგორც ამბობენ, მხოლოდ ერთი ტელევიზორი დაიკარგა). ერთ საათში განვლაგდით, ყაზარმული რეჟიმი გამოვაცხადე, კარებში ყარაულები ჩავაყენე - ზედმეტი არავინ შემოუშვან.ვაწყობ ათეულებად. საერთო ხელმძღვანელობას გია სვანაძესა და გიგა არველაძეს ვაბარებ. შტაბში ზაზა ვეფხვაძე დაამყარებს წესრიგს. ყარაულის უფროსად ზორო იქნება. ჩემთან არიან კოწია, წესრიგა-თამაზი, გიო ხვიჩია, ირაკლი ჯიბლაძე, დათო გადრანი. გადავდივართ იმელში. თენგიზ კიტოვანი მხვდება დადარაჯებული: „როგორაა საქმე?“ „კარგად“ - ვპასუხობ. „რამდენი კაცი მოვიდა?“ „ორასი“. კმაყოფილი იღიმება. ვადგენთ თავდასხმის გეგმას. ხვალ, დილაადრიან, 5 საათზე, ვიკრიბებით და აქედან გავდივართ საიერიშოდ. აქვეა გია ყარყარაშვილი. „მე მომყავს ორმოცდაათი კაცი“. „მეც მაგდენს მოვიყვან“ - ამბობს თენგიზი. ყარყარაშვილი ხმას არ იღებს. თუ გამოგვივიდა იერიში და ავაგდეთ, ხომ კარგი, მაშინ პროცესის დროს კიდევ ას კაცს დავუმატებ, თუ არა და, ვმაგრდებით მოედანზე, ალექსანდროვის ბაღთან და ყოფილი ბანკის შენობაში. შტაბებთან კავშირი საპიორნის ქუჩით იქნება. გზას პატრული გააკონტროლებს. შემოგვიერთდა „ყაჩაღა“. მათ „ბეტეერი“ აქვთ. კისრულობს მთავრობის სასახლის ზემოდან კონტროლს. ფუნიკულიორის ქვედა სადგურთან შექმნის სარეზერვო პუნქტს, ჰყავს ოცდაათი მებრძოლი. ვბრუნდები აკადემიაში, ვეძახი ბიჭებს. გიგა არველაძე ირჩევს, ვინ წაიყვანოს საიერიშოდ. ემზადებიან, იარაღს წმენდენ, საიდანღაც ხელყუმბარებს შოულობენ, ჯავშანჟილეტებს თხოულობენ. შემოსასვლელ კართან შეჯგუფულან კორესპონდენტები. მათი მიღების დრო არა მაქვს. თუმცა, რაღაც ოფიციალური განცხადების გაკეთებაა საჭირო. პარტიის ლიდერები არსად ჩანან. მათგან მეტს არც მოველოდი. განა უფიქრიათ იმ პასუხისმგებლობაზე, რაც უნდა მოჰყვეს მასების აზვირთებას, აბორგებას, ვაშას ძახილს, როცა უშუალო საშიშროება ჯერ არ ჩანს?! გადამწყვეტ მომენტში რა ბუჩქებისკენ გარბიხარ?! დავუშვათ, ახლა მე არ ჩავერიო, როგორც „ედეპეელები“ მირჩევენ, რა მოხდება? ხომ კურდღლებივით გამოიჭერენ თითოეულ მათგანს და, თუ ხეებზე არ ჩამოკიდებენ, ციხეებში მაინც შერეკავენ. პოლიტიკოსები! პოლიტიკის კრახს ომი მოჰყვება. არ უნდა მიიყვანო საქმე აქამდე, ხოლო თუ მიიყვანე - კეთილინებე და წინა რიგებში იყავი. მერე მოსვლა რას მიქვია?! ან როგორ

მოხვალ, ან რა უფლება გაქვს, შენ ხომ პოლიტიკის მეცხრე ტალღას შეატოვე შენი თანამოსანგრენი?! სამაგიეროდ, მოდიან და მოდიან მხედრიონელები. მე ვამბობდი, რომ მხედრიონი ფენიქსია, და ასეც არის. ახლა უკვე ვიქნებით 450-500 კაცი. იარაღი არა გვაქვს. გამსახურდია დასდევდა მაშველთა კორპუსს, განაიარაღებდა და იჭერდა.

აკადემია გაივსო თბილისელებით. ახალგაზრდებს სურთ მხედრიონში ჩაწერა, ზოგს უბრალოდ ჩვენ გვერდით დგომა უნდა. გვარიშვილების ოჯახიდან ოთხი თაობის მამაკაცები მოვიდნენ. ჩემი ცოლის ბიძა - ილიასი, მისი შვილი კუკური, შვილიშვილი მამუკა, ბადიში ბაკუნა, სანადირო თოფებითა და პატარა იარაღებით. თუ ასე, ოჯახებით მოდიან, ესე იგი, გამსახურდიას მაგრად გაუმწარებია ინტელიგენცია. ოთარ ლითანიშვილმა (ქალაქის ყოფილი მთავარი მხატვარი) თბილისის დეტალური რუკა და მთავრობის სასახლის შენობის გეგმა მოიტანა. გია სვანაძეს ვავალებ, გრიბოედოვის ქუჩიდან იმელამდე და ზურგშიც, მოსკოვის ქუჩაზე, მთელი ღამე პატრულებმა იმოძრაონ. შპილიდან სათვალთვალოდ მორიგეებს ვუშვებ. „დეშეკას“ ტყვიამფრქვევი და ნაღმმტყორცნიც გვაქვს. თუ დაგვჭირდა, კარგი გასაშვები პლაცი აქვს და არც სპეციალური კორექტორი დაგვჭირდება - ჩვენივე თვალით დავინახავთ შედეგს.

ვიღებ ფრანგ კორესპონდენტს. ეტყობა, ჭკვიანი ახალგაზრდაა, სურს გაერკვეს პოლიტიკურ ვითარებაში, სიღრმისეულ შეკითხვებს მაძლევს, იაფფასიანი ეფექტი არ აინტერესებს. რა არის მიზეზი ყველაფერ იმისა, რაც საქართველოში ხდება? მოკლედ როგორ უნდა ავუხსნა? თვითონ პოულობს გამოსავალს - ამ შეკითხვას რამდენიმე ქვეშეკითხვად ანაწევრებს. ჩემი პასუხი დაახლოებით შემდეგნაირია. ისტორიული ეტაპების გამოტოვება კატაკლიზმებს იწვევს. საუბედუროდ, რევოლუციები, როგორც ცნობილია, უმთავრესად მხოლოდ ტერმინების ცვლით მთავრდება. ალბათ, ვერც ჩვენ ავცდებით ამ არქეტიპულ სქემას. ყველგან, სადაც წონასწორობა ირღვევა, იწყება ქაოსი: ბუნებაში, ცხოვრებაში, ორგანიზმში, ხელოვნებაში, პოლიტიკაში. კომუნისტების შემდეგ შეიქმნა ვაკუუმი. ხელისუფლებაში მოვიდა საქართველოს პოლიტიკური ძალების ერთი შტო - მრგვალი მაგიდა, რომელსაც არ სურს, აღადგინოს წონასწორობა და ითანამშრომლოს სხვასთან. ოპოზიცია

ეროვნული კონგრესის სახით, რომელიც ასევე ლეგიტიმური ორგანოა (ვინაიდან არჩევნების საფუძველზეა შექმნილი), ჩამოცილებულია ქმედით პოლიტიკურ ცხოვრებას. ეს ზოგადად. კონკრეტულ საკითხებში კი ზნეობრივი თვალსაზრისით, სამართლიანობის, კანონიერების, პრაგმატული მართვის თვალსაზრისით, ეკონომიკური და პოლიტიკური იზოლიაციონიზმი და ქსენოფობია საქართველოს უფსკრულისკენ მიაქანებს. ზვიად გამსახურდია ისევ ავტორიტარულ რეჟიმს ამყარებს. პრეზიდენტის მმართველობის შემოღებას საქართველოში არავითარი კანონიერი საფუძველი ან ტრადიცია არ გააჩნია. იმის თქმა, რომ იგი ხალხმა აირჩია, პროფანაციაა. ხალხს ხომ უნდა სცოდნოდა, ვინ არის ეს პრეზიდენტი, რა უფლებამოსილება აქვს. პრეზიდენტის ინსტიტუტის შესახებ აუცილებელი იყო რეფერენდუმის ჩატარება ან საყოველთაო სახალხო გარჩევა მაინც. გარდა ამისა, ქვეყანა მოელის ახალი ფორმაციის დამკვიდრებას, კერძო საკუთრების პრიმატით განპირობებულ რეფორმებს, როცა გამსახურდიას კვლავ სოციალისტური გეზი უჭირავს. თორემ თავი დაინიშნო პრეზიდენტად და მერე მოაწყო არჩევნები, არჩევნების შემდეგ გამოაცხადო პრეზიდენტის უკონტროლო ძალაუფლება - ეს უზურპაცია და დიქტატურის დამყარებაა. ყველაფერმა ამან ერთად მოიყარა თავი, ამიტომ გამსახურდია უნდა გადადგეს. ის კი ძალაზეა და სისხლს ღვრის თავისი სავარძლისთვის. ასეთ ვითარებაში ჩვენ აღარაფერი დაგვრჩენია - ძალით უნდა მოვიცილოთ.

იყო თუ არა მცდელობა მასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების ჩასატარებლად? - არაერთი, სპეციალური მასობრივი შიმშილობები ორგანიზაციებისა და პარტიებისა. მაგალითად, 250 მხედრიონელი შიმშილობდა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ გამსახურდიას რეჟიმი მოლაპარაკებებზე წამოსულიყო. ასევე შიმშილობდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრები. პრესა, ტელევიზია დახურულია ოპოზიციისათვის. სასტიკად ირღვევა ადამიანთა უფლებები. უზენაესი საბჭო ფაქტობრივად დაიშალა. ტოტალიტარული სისტემა ქუჩაშია გამოტანილი. ქვეყნის პლებსი წაქეზებულია ინტელიგენციაზე. სოფელი დაპირისპირებულია ქალაქს. მაშ, ჩვენ რა დაგვრჩენია? რა შეგვიძლია გავაკეთოთ, ნუთუ კვლავ ციხეში წავიდეთ და ვუყუროთ, როგორ იღუპება ქვეყანა? - არ ვიცი, დამიჯერა თუ

არა, მაგრამ, ვფიქრობ, ბევრ რამეზე ჩაფიქრდა. სხვა კორესპონდენტები მოდიან და უპირველესად, შეფარვით თუ თავხედურად, მეკითხებიან, თქვენ, ვიდრე პოლიტიკით დაინტერესდებოდით, ვინ იყავით? პროფესორი, - ვპასუხობ. - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დრამატურგი, მწერალი. ეს მათ არ აკმაყოფილებს. მაშინ - ახალგაზრდობაში ცნობილი ქურდი. გაწყობთ სენსაციისთვის? რამდენიმე ხნის შემდეგ სადღაც მათქმევინეს კიდეც, რომ ხელისუფლებაში მოვიდნენ უცნობი მხატვარი თენგიზ კიტოვანი და ცნობილი ქურდი ჯაბა იოსელიანი - ეს რუსულად კარგად ჟღერდა.

ხშირად იმასაც მეკითხებიან, აი, თქვენ ხომ მის გვერდით იდექით, როცა ის დისიდენტი იყო, ახლა რატომ განუდექით. მე მას მაშინვე გადავუდექი, როცა ოფიციალურად დაგმო დისიდენტური მოძრაობა და ყოველგვარი გამოთქმული აზრიც კი კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. მან გასცა თავისი თანამოაზრეები, თავისი მონანიებით შეგვარცხვინა მთელი მსოფლიოს წინაშე. იგი ხომ ნატანჯი იყო, ნახევარი ცხოვრება ციხეში გაატარა? - მეცინება. ეს შეთხზული რომანტიკული საბურველია. თუ ნახევარი ცხოვრება პატიმრობაში გაატარა, მაშასადამე, 4 წლისა ყოფილა. გამსახურდია ორ წელიწადსაც არ მჯდარა. თუ რამე „დადებითი“ შეიძლება ითქვას, ეს მისი შემართებაა. ძალიან ძნელია ასეთი მორალური დაცემის შემდეგ კვლავ წამოდგე, აბიურაცია არაფრად ჩააგდო და განაგრძო შენი საქმე. ამას დიდი თავხედობა სჭირდება. თუმცა, თავისი დაცემით იგი მაინც დაკომპლექსებულია, აქედან - ფსიქოლოგიურად ნაკიანი, ვინაიდან ეს კომპლექსი მას ბევრ ცუდ საქმეს ჩაადენინებს.

ქალაქში პურის გასაჭირია, დენი პერიოდულად ითიშება, საწვავი არ შემოდის. ქალაქის მერი და მისი მოადგილეები გაქცეული არიან. ჩემთან მოდის თბილისის აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ზამბახიძე, ჩემი ახლობელი, პატიოსანი და მშრომელი ადამიანი. ვავალებ მიხედოს ქალაქს. „წაიყვანე ჩვენი ბიჭები და მიხედეთ უპირველესად, სინათლეს, პურს“. „მიხედეთ... კი მიხედეთ, მაგრამ ვინ ხარ, ან ვის უნდა მოკითხო?!“ - გაურკვევლად იცინის და ხელებს შლის ჯემალი. „მიდი, მიდი, ჩვენ მოვთხოვთ ჯერ ძველებს“. „ისინი ბუნკერში არიან“. „ახლები დააყენე“. „მერე მე ვინ ვარ?“ „მაგას მერე გავარკვევთ“. „საქართველოს მოსახლეობა არის კი მზად

დემოკრატიისათვის?“ - მეკითხება ერთ-ერთი უცხოელი ჟურნალისტი. „რომ არ არის, უნდა მოვამზადოთ. აი, ჩვენ მოვანგრიეთ თითქმის ყველა ბელადის ძეგლი. ამ ხნის განმავლობაში მე მოვიარე მთელი საქართველო. ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძის ყველა ძეგლი მონგრეულია, მაგრამ კვარცხლბეკი ყველგან ხელუხლებელია. თითქოს ელიან, ვინმე ახალი წამოჯდეს ან ხელგაშლილი წამოდგეს მასზე. კვარცხლბეკებიც უნდა დაინგრეს და უპირველესად - ჩვენი ხალხის შეგნებაში“. ჟურნალისტი არაფერს მპასუხობს, ტუჩებს პრუწავს და ეჭვის გამოსახატავად თავს აქეთ-იქით იქნევს.

გვიან ღამით ოთარ ლითანიშვილთან ერთად გადავდივარ იმელში. ქუჩაში ბნელა. ლამპიონების ნაწილი ჩამქრალია, ნაწილიც - ჩამტვრეული. კანტიკუნტად ისმის სროლის ხმა. იმელსა და მთავარ ტელეგრაფს შორის, მოფარებულში, დგას მეთაურის გადახურული მანქანა. შიგნიდან სინათლე გამოდის. შიგ ყარყარაშვილია. რაციით უკავშირდება ვიღაცას, მგონი „ბეემპესთან“ არეგულირებს კავშირს. ვაჩვენებ თბილისის რუკას, საიდან დავიწყოთ დილით იერიში. მინდა შევთანხმდეთ და უკვე დაწვრილებით ყველაფერი ვიცოდე. მაკვირვებს ყარყარაშვილის უინტერესო დამოკიდებულება, ვერ ვანამდვილებ, არასერიოზულად ეპყრობა ამ ამბავს თუ პროფესიული სიმშვიდეა, ან, სანამ თენგიზ კიტოვანთან არ შევთანხმდებით, დროის დაკარგვად მიაჩნია. ვბრუნდები აკადემიაში. ერთი-ორი საათით თვალს მოვატყუებ, თორემ ხვალ ძნელი დღე მოდის, ხვალ კი არა, უკვე დღეს - თორმეტ საათს გადაცილებულია.

ჩემს კაბინეტში, დივანზე, ზოროს გაუშლია ლოგინი. „სამ საათზე გამაღვიძეთ“, - ვეუბნები ბიჭებს. აქვეა წესრიგა - გია ხუბულაშვილი. ესენი ჩემს დაცვას არეგულირებენ. ჩემი პროტესტი უშედეგოა. ვფიქრობ, თვითონ მიხვდებიან, რომ ომში პირადი დაცვა სისულელეა. კოწია ჩემს ოთახში, სავარძელზე, გაუხდელი წვება. იმედი არა მაქვს, რომ ნოდარ გიორგაძე მოიტანს გამსახურდიას თანხმობას გადადგომაზე. მაინც ვლოცულობ, იქნებ მოხდეს სასწაული და ავცდეთ სისხლისღვრას. მაღვიძებენ ოთხ საათზე. სასწრაფოდ ვიცვამ. ბიჭებს არ ეძინათ, ორმოცდაათი კაცი მზად არის, აღჭურვილი, აღგზნებული და ხაზგასმით მხიარული. ვლოცულობ, ღმერთს მადლობას ვწირავ, გუშინ (და არა წუხელ ღამეს) რომ გადავრჩით. გუშინ ღამით რომ გამოსულიყვნენ ბუნკერიდან,

ვერც ორგანიზებას მოვასწრებდით და ხალხიც გაგვეფანტებოდა. იმელში ხუთი-ექვსი კაცის მეტი არავინაა. ვკითხულობ, სად არიან საერთოდ გვარდიელები, სად სძინავთ. ამბობენ, რომ სასტუმრო „ივერიაში“ 15-20 კაცია. უკვე ხუთი საათია, არავინ ჩანს. მე ვღელავ და ვბუზღუნებ. გამთენიისას მოდის გელა ლანჩავა „ბეემპეთი“ , რაღაცას ქოთქოთებს, მგონი, თავი გაიტეხა თუ „ბეემპედან“ ან გადმოვარდა. ამას მნიშვნელობა აღარა აქვს, მზად არის, ჩვენთან ერთად წამოვიდეს. მაგრამ არც თენგიზ კიტოვანი და არც მისი შეპირებული 50 კაცი არ ჩანს. გიგა არველაძეს ვავალებ, მთავრობის სასახლის შემოგარენის შესამოწმებლად დაზვერვაზე გაგზავნოს ერთი ათეული. მინდა დავასაქმო, განვმუხტო ასეთი უპასუხისმგებლობით დაბნეული ჩემი ბიჭები. კარგა გათენებულზე მოდის ყარყარაშვილი. „გია, რა ხდება, სად არის თენგიზი?“ „ალბათ ზღვაზეა ან სადმე, მას აქ არ სძინავს ხოლმე“. „გამთენიისას ხომ უნდა დაგვეწყო შეტევა?“ „რასაც ეგ ლაპარაკობს, მე ყურადღებას არ ვაქცევ“ - ამბობს ირონიული ღიმილით. განხიბლული ვარ, არ მსურს დავეჯახო, ჯერ კარგად გავერკვე ვითარებაში. ვუბრუნდები ჩემს ბიჭებს: „აიყვანეთ კონტროლზე საპიორნის ქუჩა, ბანკის შენობაში ან კინოთეატრ „რუსთაველში“ მოაწყვეთ საველე შტაბი, თუ დაკავებულია, გამოყარეთ. ლანჩავა წაიყვანეთ „ბეემპეთი“ . გია ყარყარაშვილთან ერთად პოდპოლკოვნიკი პაატა დათუაშვილია, არტილერისტი. აქვეა დევი ჭანკოტაძე, ესეც საკადრო ოფიცერი. „დღეს, ჯობია, მთელი დღე ვბომბოთ“ - ამბობს ყარყარაშვილი, - და ხვალისათვის მოვიფიქროთ რამე“.

იწყება სჯა-ბაასი, საიდან დავიწყოთ დაბომბვა. დევი ჭანკოტაძე გვთავაზობს, პირდაპირ იმელის წინ, რუსთაველის ქუჩაზე, ნაღმმტყორცნი დავამონტაჟოთ, პაატა კი კომკავშირის ხეივანს აძლევს უპირატესობას. გადაწყდა: ერთი იქიდან, მეორე აქედან. დათუაშვილი მიდის, რათა მოამზადოს იქ ყველაფერი, დევის კი უკვე გამოაქვს ნაღმმტყორცნი რუსთაველზე. მეც რაღაცეებში ვეხმარები, თანაც, ჩვენს დაზვერვას ველოდები. შუადღისათვის მოდიან გვარდიელები. „ბატია მოვიდა, ბატია მოვიდა“. „ვინ ბატია?“ - ვფიქრობ. შემოდის კიტოვანი. „კარგი კლიჩკა გიშოვია, - მეღიმება, - სადა ხარ ამდენ ხანს, ხუთი საათიდან გელოდებით“. რაღაც გაუგებრად მპასუხობს: „ის, იქ, ისე რა, ეგ როგორ არის“. გვერდზე გავყავარ: „კაცი გამოჩნდა, რომელმაც იცის ისეთი

შესასვლელი ბუნკერში, პირდაპირ ზვიადას ოთახს მიადგება“. „სად, როგორ?“ იღიმის. თავს დამაჯერებლად მიკრავს. „რად გვინდა ბიჭები დაგვეღუპოს. ეგრევე მივადგებით, ავიყვანთ იმას იქ“. „ვინ არის ეს კაცი და საიდან რას მიადგება?“ - ვეკითხები. თვალს მიპაჭუნებს, იღიმის და კვლავ მრავალმნიშვნელოვნად მიკრავს თავს. ამას ისე დამაჯერებლად აკეთებს, რომ თითქმის ეჭვიც მეფანტება. იქნებ მართალია, რა არ ხდება ცხოვრებაში. მერე ირკვევა, ის კაცი დღეს საღამოს მოვა. ადგილი კი მოედნის მეტროა. იქ რაღაც საიდუმლო კარი ყოფილა, გვირაბში შესასვლელი, რომელსაც მთავრობის სასახლეში შევყავართ სასადილოსთან, სადაც ბუნკერია. ვნახოთ, ვნახოთ. მოირბინა გიგა არველაძემ. „ბანკის შენობასა და გვერდით შენობაში კინო „რუსთაველთან“ უკვე შეიჭრნენ, - ამბობს გახარებული. - დედა ვუტირეთ, გავყარეთ, სულ კუდამოძუებული გარბოდნენ. ახლა მთელ ქუჩას ვაკონტროლებთ“. ვიდრე აკადემიაში წავიდოდე, თენგიზს ვთხოვ რამდენიმე ათეულ ავტომატს: „ბიჭები მოდიან, იარაღი კი არ გვაქვს“. მპირდება. აკადემიაში გია ჭანტურია მხვდება. „ჩვენი შტაბ-ბინა მიტოვებული გვაქვს (თეატრალური ინსტიტუტის ერთი ნაწილი. კომუნისტების დროს ინსტიტუტს წაართვეს. ეთერ გუგუშვილი, ინსტიტუტის რექტორი, ყოველი შეხვედრისას მთხოვდა, უთხარი რამე, იქნებ დაგვიბრუნონო. მაგ ჭკუაზე იყვნენ), ხომ იცი, უბინაოდ ვართ, იქნებ დროებით თქვენი ჭადრაკის სასახლე დაგვითმოთ“. „დიდი სიამოვნებით, მიდით, თუ გინდა დღესვე, ოღონდ ერთი სამორიგეო ოთახი დაგვიტოვეთ, კავშირებისათვის გვჭირდება. იქ რაციაცაა და ტელეფონებიც“.

მადარდებს ასეთი დინებას მიშვებული მოქმედება, რაღაც მკაცრი გეგმა და რეჟიმია შესაქმნელი. მოდიან ბიჭები რაიონებიდან, მოდიან მხედრიონელები, ქალაქელები. ჩემი ვარაუდით, შვიდასამდე კაცი ვიქნებით. ეს უკვე ძალაა, შეიძლება ავანტიურის გარეშე დაიგეგმოს სამხედრო მოქმედება. ყველას, ალბათ, აჯობებს მჭიდრო ალყა, ნაკლები მსხვერპლი იქნება. ტელევიზია არ მუშაობს, ანძას ბესიკ ქუთათელაძის ხალხი იცავს. აუცილებელია, სასწრაფოდ ჩავიგდოთ ხელში ტელევიზია. ბუნკერიდან რადიო ავრცელებს ჭორებსა და მოწოდებებს. გამსახურდია ავალებს მილიციის თანამშრომლებს, რაიონებიდან ჩამოვიდნენ და მოსაშველებლად ჩამოიყვანონ ხალხი. ვკრებ მხედრიონის

მეთაურებს, ვითვლით, რამდენი ვართ. მართლაც, შვიდას კაცამდე მოგროვილა, მაგრამ ნახევარზე მეტი უიარაღოა. არის წინადადებები რუსეთის საწყობებზე თავდასხმის კონკრეტული გეგმებით. ეს არ შეიძლება. ახლა რუსები თუ გადავიკიდეთ, არ ივარგებს, მით უმეტეს, რომ გვატყობინებენ, გამსახურდია ელცინს უკავშირდება, სურს ახაროს დსთ-ში შესვლის თანხმობა და სათანადო დახმარება სთხოვოს. კიტოვანი გვპირდება ავტომატებს - სიგუასთან ერთად ხშირად აკითხავს რუსების შტაბს. აქვეა ვაჟა ხაჭაპურიძე, ჩემი ძველი ნაცნობი ცხინვალის მოვლენების დროიდან. ისიც გვპირდება, იარაღს მოვიტანო. მე არ მჯერა, თუმცა, არაფერს ვამბობ. გადავწყვიტეთ, ხვალიდან შევკრათ მოედანი, გადავიწიოთ საპიორნის ქუჩიდან რუსთაველზე. ზემოდან კი ჯავახიშვილის, გოგებაშვილის ქუჩებთან და კომკავშირის ხეივანზე პატარ-პატარა შეიარაღებული მოძრავი ჯგუფების პუნქტები შევქმნათ. ასე თანდათანობით ჩავწიოთ რკალი, სასახლეში მყოფთ არ მივცეთ მოძრაობის საშუალება, გადაიკეტოს ყველა სავარაუდო კავშირი გარესამყაროსთან, ამავე დროს თბილისის ყველა შემოსასვლელი ჩაიხერგოს. პიკეტზე ორიოდე შეიარაღებული კაციც ეყოფა, კონტროლში უიარაღონიც კარგად გამოდგებიან. მოედნიდან თამაზ-წესრიგა მოდის. ცეკას სასახლიდან ზვიადისტები უშენენ და წვავენ შტაბის შენობას, ჩვენებიდან ჯერ არავინ დაზარალებულა. ჩასაქრობად მოიყვანეს მეხანძრეები, მაგრამ სნაიპერმა ერთი მეხანძრე მოკლა, დანარჩენებმა ცხედარი წაიყვანეს და მოუსვეს. სხვა სახანძროს არაფრით არ უნდა წამოსვლა, - ეშინიათ. ვერც გაამტყუნებ, დაუცველნი არიან. გოგებაშვილის ქუჩასა და კომკავშირის ხეივანში ვგზავნი პატარა ამირანას, დააზუსტოს, რასა იქმს „ყაჩაღა“ თავისი რაზმით. გვატყობინებენ, რომ დიდუბეში, ჰა და ჰა, შემოვა გამსახურდიას დასახმარებლად ფოთის პრეფექტის მიერ გამოგზავნილი მილიციელებით სავსე ერთი ავტობუსი.

ზუგდიდის მხედრიონის უფროსი შაქრო ჭითანავა მინდა გავგზავნო თხუთმეტ კაცთან ერთად. ვატყობ, შეშინებულია, მე კი მეგონა, მოვიდა, რათა დანაშაული გამოისყიდოს. როცა ჩვენ დაჭერილები ვიყავით, იარაღი ჩაუბარებია და მგონი ტელევიზიითაც გამოსულა, რაღაცას ინანიებდა, თუმცა, უარობს და, როგორც თვითონ ამბობს, „მეგრული ხიტრობა“ იხმარა. თავს ვანებებ და ჯამბულ ცინდელიანს ვავალებ,

თავისი სვანების ჯგუფით ფოთელები აიყვანოს. მართლაც, სულ მალე ჯამბულმა განიარაღებული ტყვეები მოიყვანა. რა უნდა ვუყო? ნოტაციას ვუკითხავ, ჭკუას ვარიგებ, საბუთებს ვიტოვებ და ვუშვებ, თანაც, ვაფრთხილებ: „თუ კიდევ გნახავთ, სადმე თბილისში, მერე თქვენს თავს დააბრალეთ“. მეფიცებიან, რომ ახლავე დაბრუნდებიან ფოთში.

საღამოს შინიდან საჭმელი მომიტანეს. ყელში არ გადადის. გავრბივარ იმელში. ყარყარაშვილი კვლავ „კამანდირსკი“ მანქანაში, რაციაზე ზის. თენგიზ კიტოვანი იარაღის მოსატანადაა წასული. ვბრუნდები აკადემიაში. ამირანი არ ჩანს, არ ვიცი, რა ხდება მთაწმინდის რაიონში. გადავწყვიტე, მე თვითონ შევათვალიერო იქაურობა. ჩემი ახლად შედგენილი დაცვა მომყვება. გზადაგზა გვესვრიან. „ჩეჩენი სნაიპერები არიან“ - ამბობს ვიღაცა. „ჩეჩნები არა, ტოროლა! - გული მომდის, - თქვენც რომ ჭორებს იმეორებთ, სხვა რაღას იზამს“. ეს მიდამოები სასახლის ზურგია, არავითარი „ბეტეერი“ და ყაჩაღა. ისევ ჩვენი ბიჭები უნდა დავაყენო, თორემ სხვის იმედზე ჩემი მტერი იყოს. გია სვანაძე და გიგა არველაძე კისრულობენ ამ საქმის მოგვარებას, აქვე არიან დათო მამულაშვილი, ვიქტორა, „ვამპირა“. აკადემიის შესასვლელთან უამრავი ხალხი ფუსფუსებს. ზემოთ კი ხმაურია. ჩემს ოთახთან ზაზა ვეფხვაძე ავტომატებს ახარისხებს, ვაჟა ხაჭაპურიძეს მოუტანია. „უჩემოდ არ დაარიგოთ, მხოლოდ მეომარ ბიჭებს მიეცით, სიები შეადგინეთ, ავტომატების ნომრები აღრიცხეთ“. ვაჟა ხაჭაპურიძე თავმომწონედ მხვდება: „ხომ გითხარით, ბატონო ჯაბა, აგერ ორასი ავტომატი, კოწია გამაყოლეთ, „ბეტეერსაც“ და ტყვიამფრქვევსაც მოვიტან“. განცვიფრებული ვარ: ორი ღერი რუსული არ იცის, ვინ ენდობა, როგორ ამყარებს ურთიერთობას?! ამირანაც გამოჩნდა. „ყველაფერი რიგზეა, ყაჩაღას ხალხი „ბეტეერით“ დაპატრულობს კომკავშირის ხეივანში“. „მე რომ ვერ ვნახე?“ „ახლა მოვიდნენ, მეც ველოდებოდი“. ძალიან კარგი! გამოჩნდა თენგიზ კიტოვანი: „ავტომატები მოგიტანეს?“ „ვაჟამ მოიტანა“. „მე გამოვგზავნე“. აღარ მაინტერესებს, მათ შორის რომელმა მოგვცა. ბიჭები მიყვებიან, კიტოვანმა სილა გააწნა ვაჟასო. თენგიზს ვურჩევ, აქ გადმოვიდეს, გვერდით ოთახში დაიძინოს ხოლმე. ყოყმანობს. მოდიან კორესპონდენტები, გვიღებენ სურათებს. ისევ გვეკითხებიან: „დარწმუნებული ხართ, რომ გაიმარჯვებთ?“

ჩემი დავალებით ბუნკერში მისული თავდაცვის მინისტრი ნოდარ გიორგაძე დაუპატიმრებიათ და მოღალატედ გამოუცხადებიათ. გამსახურდიას იქ, ბუნკერშიც აქვს საპატიმრო. ჩვენ კი, ვისაც დავიჭერთ, განვაიარაღებთ და ვუშვებთ. გიგა არველაძემ გვარდიელებთან ერთად კიდევ რამდენიმე სახლი გაათავისუფლა. ტყვეებიც მოიყვანეს. იფიცებიან, რომ ძალით შეაგდეს ბუნკერში. გვატყობინებენ: იქ ორი-სამი ათასამდე კაცია. მეეჭვება. ორი-სამი ათასამდე რა სიტყვაა? ათას კაცს ისე მოჰკიდეს ყურში ხელი, ვითომც გინდ აქეთ იყოს, გინდ იქით? ჩვენ, გვარდიასთან ერთად, ჯერ ათასიც არა ვართ. თენგიზს ვეკითხები, სად არის სიგუა, იქნებ აღადგინოს მისი პრემიერ-მინისტრობის დროინდელი სამეურნეო კავშირები, თორემ მალე ქალაქში შიმშილი დაიწყება, დენი არ იქნება, „საქენერგო“ ისედაც საბოტაჟს გვიწყობს. თუ ჩვენი ბიჭები თავზე არ ადგანან, დენი გამოთიშულია. რაღაც ტექნიკურ მიზეზებს იგონებენ. პრესა დუმს. გამოჩნდა არჩილ გოგელია, მისი გაზეთი „დრონი“ ბოლო ხანს კარგად მუშაობდა. „აჩიკო, ააწყვე საქმე!“ მპირდება, მაგრამ მისი საუბარი უფრო ტელევიზიის გარშემო ტრიალებს. ტელევიზია ჩვენია, ხოლო ანძის საკითხი ჯერ გაურკვეველია. ბესიკოსთან კიდევ ერთი შეხვედრაა საჭირო. „ჩემი სახელით შეუთვალე, სისხლს ნუ დაგვაღვრევინებს“, - ვეუბნები კიტოვანს. ასევე გასარკვევია ვაჟა ადამიას პოზიცია. მართალია, ყაჩაღა ჩვენთანაა, მაგრამ ეს ყარყარაშვილის გავლენით ხდება.

პირველი ღამეა, ცოტა ადამიანურად - ექვსი საათი მძინავს. დილით ადრე მოდის გია ჭანტურია. „თქვენი ჭადრაკის სასახლე არ გამოდგება, დაუცველია. იქნებ აქ შევაფაროთ თავი. თანაც, ჩვენი ბიჭები დაგეხმარებიან“. „ძალიან კარგი, - ვთანხმდები - მეოთხე სართულზე არის ცარიელი ოთახები“.

დერეფანში დილიდანვე ღრიანცელია. ავტომატებს არიგებენ. ზორო ციბრუტივით ტრიალებს. აგზნებულია. ხვალ კი ახალი წელია! 1992! ღამეს სახლში ვერ შევხვდები. იქნებ ახლა შევირბინო. მომენატრა ჯაბუკა. ბავშვი სათამაშოდ მიწვევს. სულ არ უკვირს, რაც ირგვლივ ხდება, ყველაფერი ნორმალურად მიაჩნია. ჩემი ცოლი, ჩემი და - დაბნეული სახეები. რა უნდა მირჩიონ, რა უნდა მითხრან?!

საღამოს აკადემიაში მოდის რუსლან მიქაბერიძე. „შენთან ვიქნები“ - მეუბნება და რჩება მართლაც ჩემთან, წინა ოთახში.

მოდიან ნაცნობები, თბილისელები, უცნობები: „ჯაბა, შენთან ვართ, იცოდე“. ჩემთან არიან... მაგრამ მიდიან. ტელევიზიაში საჭიროა ბიჭების მორიგეობა. ნუკრი ჭელიძეს ვავალებ ამ საქმეს. მოვიდნენ ჩემი კოწია და გიო ხვიჩია, მოაგორეს „ბეტეერი“. გახარებულები არიან - რუსებისგან დაუთრევიათ. ვაჟაც დახმარებია. ვსხდებით „ბეტეერზე“ და მივდივართ ტელევიზიაში. იქ უკვე ნუკრის პროფესიულად განულაგებია ბიჭები. ავდივართ თანამშრომლებთან, მაინტერესებს, შეიძლება თუ არა ანძის გარეშე ავამუშაოთ ტელევიზია. გამორიცხულიაო. აქვე ვხვდები თენგიზ სიგუას. ველაპარაკები სამეურნეო საკითხებზე, ვულოცავ დამდეგ ახალ წელს.

ვბრუნდებით აკადემიაში. სამი ბოთლი შამპანური. ვიწრო წრე. ვულოცავთ ერთმანეთს. გარეთ ისვრიან. ალბათ ახალ წელს აღნიშნავენ. ბიჭები მთხოვენ, სასადილოში ჩავიდე. ღარიბული პურმარილი გაუშლიათ, სასმელი აქვთ. „თითო ჭიქა, ბიჭებო, მეტი არა“. იცინიან: „არ დავთვრებით, ნუ გეშინიათ“. თითქოს გარდაცვლილის მოსაგონარი წლისთავის სუფრაზე ვიყოთ. ნამდვილი მხიარულება არ არის, რაღაც სევდიანი, შინაურული სითბოა. ვცდილობ, მხნედ გამოვიყურებოდე, რიხიანად ვლაპარაკობ, სახაზინო ახალი წლის მილოცვა გამოდის. კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ, არ დათვრნენ, და ზემოთ ავდივარ. კარგია, რომ კოწია ღამით ჩემთან რჩება. ვათვალიერებ შემოსულ ქაღალდებს, საჩივრებს. ხალხის ნაწილს უკვე ბუნებრივად მიაჩნია ჩვენი მოსვლა ხელისუფლებაში. მიუხედავად იმისა, რომ გადაღლილი ვარ, დიდხანს ვერ ვიძინებ.

„კაგებეს“ ციხეში, სანამ გავთავისუფლდებოდი, ფაფაში, ცელოფანში გახვეული მოკლე წერილი აღმოჩნდა: „ჯაბა! ამბობენ, უნდა გაიქცე. გემუდარები, აქ არ დამტოვო, - იწერებოდა მზარეულად მომუშავე პატიმარი ქალი, - ჩემი ოთახი იქვეა, თქვენი დერეფნის გამოსასვლელში“. ნეტავი ჩემი რომანი კაკომ თუ გადაიტანა „გუბერსკის“ ციხეში. ამბობენ, „კაგებეში“ დარჩენილი პატიმრები უშიშროების თვალსაზრისით იქ გადაიყვანესო. ვინ იძლევა ამ განკარგულებას? ალბათ, ინერცია მოქმედებს. მიკვირს, როგორ მოდის ონკანში წყალი. მადლობა ღმერთს, თუ კიდევ ვინმე აკეთებს თავის საქმეს.

ხვალ აუცილებლად უნდა ვნახო ბესიკ ქუთათელაძე,

საბოლოოდ დავიყოლიო. მიშტერებული ვუყურებ, როგორ წრიალებს სავარძელზე მძინარე კოწია.

დილით კიტოვანი მეუბნება: „დღეს აქ დავრჩები“. ვათვალიერებ კაბინეტს ჩემსავე დერეფანში. დაცვისათვისაც იქვეა ოთახი. კმაყოფილი მიკრავს თავს. გოგა ხაინდრავა გამოჩნდა ათიოდე თბილისელ ბიჭთან ერთად. ციხიდან გამოსვლის შემდეგ არ მინახავს. შეიარაღებულები არიან. გოგა რატომღაც მათ „დევიატკას“ - ცხრიანს - უწოდებს. გვთხოვენ, გამოვუყოთ ოთახი. ამყავს მეოთხე სართულზე.

უცებ მეძახიან. ჭადრაკის სასახლეში, ჩვენს პოსტზე, განგაშია. ზვიიადისტები თავს დაესხნენ. გავრბივარ. მოვიგერიეთ. ბიჭებმა მისდიეს და კვალმა საქენერგოში მიიყვანა. ჩვენი ორი ბიჭი დაჭრილია. პატარა შეტაკების შემდეგ ჩვენებმა 11 კაცი აიყვანეს. მოიყვანეს ჭადრაკის სასახლეში. მათი უფროსი ახალგაზრდაა, ვინმე ბულია. მიცხადებს: „თქვენი ნათლულის მეგობარი ვარ“. „ვისი?“ „ლაშა თაბუკაშვილისა“. რა ვუყო ახლა ამას? ეს არის საქართველოში სამოქალაქო ომი! ვუშვებთ. გვეფიცებიან, რომ აწი მათი მხრიდან ასეთი რამ არ გამეორდება.

აკადემიაში ირინა სარიშვილი და გია ჭანტურია მელოდებიან მათი პარტიის აკადემიაში მოთავსების თაობაზე. ესენიც მეოთხე სართულზე ამყავს. ქალაქის განმკარგავად სიტყვიერად დანიშნული ჯემალ ზამბახიძე ჩივის: „ყველა ბენზოჯიხური დაკეტილია, ვერავის ვპოულობ. საცხობებში და ორიოდე პურის ქარხანაში დავამყარე წესრიგი“. შეიარაღებულ ხალხს თხოულობს. გამსახურდია რას აპირებს, ვერ გაგვიგია. ვუგზავნით დესპანებს, რომ წავიდეს. სიცოცხლის გარანტიას ვაძლევთ მთელ ოჯახს, ახლობლებს და ყველას, ვინც მასთან ერთად წასვლას მოისურვებს. მისგან არაფერი ისმის. იქნებ ჩვენი დესპანები ბუნკერში ვერ აღწევენ. ან სულაც იქვე იტოვებენ, როგორც მოღალატეებს.

ვხვდებით ბესიკ ქუთათელაძეს. დიდხანს ვსაუბრობთ. ვუმტკიცებ, რომ გამსახურდიას წაგებული აქვს ყველაფერი. გაჯიუტებული მეჩვენება, ჩუმად მისმენს. მოულოდნელად თანხმდება ყველაფერზე. თვითონ თამაშიდან გადის და ელოდება ჩვენს რაზმს ანძაზე, შემდეგ თავის ხალხთან ერთად წავა შინ - საჩხერეში. ჯერ თითქოს გვიტოვებდა ტექნიკას - სამ თუ ოთხ „ბეტეერსა“ და „ბე-ემ-პეს“. მერე შემოგვითვალა, რომ

ტექნიკასაც თან წაიყვანს. მეშინია, არ გადაიფიქროს. ზაზა ვეფხვაძემ მომიყვანა ბორჯომელი გიგა გელაშვილი, თავისი ხალხით. მხნე ბიჭი ჩანს, ვუმატებ რამდენიმე კაცს და ვგზავნი ანძაზე. მაინც ვაფრთხილებ, რაიმე პროვოკაცია არ მოუწყონ. ჯერ მეთაურებს შეხვდი, მოელაპარაკე და მერე შეიყვანე ბიჭები. ალყას უფრო და უფრო ვავიწროებთ. გიგა არველაძე შიგადაშიგ თავზე ხელაღებულ, დაუგეგმავ იერიშებს აწყობს. დღეს ქალაქის მერის ყოფილი მოადგილე, ჩვენი ძველი ნაცნობი „თეთრი გიორგიდან“ გრიშა ელისაშვილი მოიყვანა. ზვიადის ანგარიშჩასაგდები ბოევიკია, მხედრიონის ერთ-ერთი პირველი ნაფიცი წევრი და პირველი მოღალატე. ზის ჩემ წინ, ოთახში, ტურასავით იყურება აქეთ-იქით... არ ვიცი, რა ვქნა. ბიჭები მარწმუნებენ, გარდა იმისა, რომ ფიცი გატეხა, ბევრი ცოდვა აქვს ჩადენილი. მე მაინც სიკეთის იმედი მაქვს. უბრალოდ, ალბათ გონება აერია, გამსახურდია უფრო პერსპექტიულად ან იქნებ უფრო დიდ პატრიოტად მიიჩნია. გავაშვებინე. ვუთხარი, წადი სახლში და მორჩი ყველაფერს (ვაგლახ, შემდეგ ჩემს აფეთქებაში, ხილიანის ქუჩაზე, მთავარი მოქმედი პირი აღმოჩნდა). როგორც კი გავუშვი, გია ყარყარაშვილი მოვარდა: „ბატონო ჯაბა, არ იყო საპატიებელი, როგორ გაუშვით, მაგან ჩემი მეგობრები დახოცა“. გიასაც ხომ ჰქონდა წინათ შეხება მხედრიონთან, არცთუ სანაქებო. ვიმეორებ შექსპირის სიტყვებს: „ყველას ისე რომ მოექცე, რისი ღირსიც არის, გაუჯოხავი არავინ დაგრჩება“. მომენტით სარგებლობა არ არის ვაჟკაცის საქმე. ზაზა ვეფხვაძეს ცალკე გავყავარ, დამნაშავესავით იღიმება: „ბუღას უნდა მოსვლა“. „გაუშვეს?“ „პატიებას ითხოვს“. „რის პატიებას, რა დააშავა?“ „ასეთ დროს ვუღალატე, ნემსზე დავჯექიო“. „ხვალ მოვიდეს, ხომ დაანება თავი?“ „აქ არის!“ შემოდის ბუღა, არავისი ერიდება, ამდენ ხალხში პირდაპირ ფეხებში მივარდება, მუხლებზე მეხვევა, ტირის: „მაპატიე, მაპატიე“. „ადე, ბიჭო!“... ყელში რაღაც მეჩხირება, ფეხზე ვაყენებ, ვეხვევი. „რამდენიმე დღე დაისვენე და მერე მოდი“. ეს პატრიოტული აღტყინება, თავისუფლებისაკენ სწრაფვის სიკეთე, მიძინებული მხედრული სულის აღორძინება, მონობიდან გამოსვლის ანარქიული აღმაფრენა იმედს იძლევა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი ეს დასარეგულირებელია, ვინაიდან ამ სტიქიონის გაუფრთხილებლად გამოყენება ბოროტებაში თავის დანახარჯს გამოიღებს. და მაინც, თუკი ერში მხედრული სული აღდგა, საღათას ძილიდან გამოვიდა, ის არ დაიღუპება. ასე

გაგრძელება აღარ შეიძლება, გამსახურდიას ხელისუფლება აღარ მოქმედებს, სამეურნეო ცხოვრება პარალიზებულია. ჩვენ ვინა ვართ, ან რა გვინდა - ესეც გაუფორმებელია. ასე სულ მალე ანარქია დაიწყება. რახან მოვკიდეთ ხელი, ბოლომდე მივიყვანოთ. დღეს ტელევიზია შეიძლება ჩვენი გახდეს, უნდა შეიქმნას დროებითი ხელისუფლება. რასაკვირველია, სამხედრო. პოლიტიკური პარტიების ლიდერები კვლავ არსად ჩანან, გულითა და სულით ჩვენკენ არიან, მაგრამ მაინც ვინ იცის, როგორ დამთავრდება ყველაფერი.

დღეს ვაჟა ადამია გამოჩნდა. მოვიპატიჟე, აქტიურად ჩართულიყო. დამეთანხმა, თუმცა, მისი იმედით ყოფნა არ შეიძლება. ისე, კაცმა რომ თქვას, არც აქვს რაიმე მნიშვნელოვანი ძალა. ერთი ეს „ყაჩაღანას“ ოცდაათკაციანი რაზმია, ისიც ვოლუნტარულად მოქმედი. კიტოვანმა აკადემიაში, ეტყობა, ძალიან მყუდროდ ვერ იგრძნო თავი. „თენგიზ, - ვეუბნები - უკვე ავიღოთ ხელში ძალაუფლება, გამოვაცხადოთ, რომ არჩევნებამდე დროებით ჩვენ ვმართავთ ქვეყანას. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. გამოდის, რაღაც ბანდები ეომებიან ერთმანეთს, ვიკისროთ პასუხისმგებლობა, გამოვაცხადოთ სამხედრო საბჭოს ძალაუფლება!“ უხმოდ მეთანხმება. სავარძელში ზის, თითქოს განცხრომაშია. უცებ დაბნეული კითხულობს: „მერე საბჭო?“ - „მე და შენ, ორი კაცი უკვე საბჭოა. თენგიზ სიგუა დავნიშნოთ პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებლად, აღადგინოს თავისი ყოფილი კაბინეტი, ჯერჯერობით ასე, და მერე ვნახოთ“. იღიმება და დასტურის ნიშნად თავს მიქნევს: „კარგი!“ „შეხვდი იმ კაცს, რაღაც გვირაბის გზა-კვალი რომ იცის სასახლისკენ? „არა, მატყუარა გამოდგა. შეხვედრაზე არც მოვიდა“. ეგრეც ვიცოდი, ირგვლივ იმდენი ავანტიურისტი და ფანტაზიორი ტრიალებს, ერთსაც რომ დავუჯეროთ, გაგვაფრენინებენ.

მოდის სიგუა, მასთან არის „ყურშა“, თამაზ დუმბაძე, ჯემალ ჭუმბურიძე. ეს ორნი - გვარდიის ფორმაში გამოწყობილნი. სიგუას ვუზიარებ ჩვენს გადაწყვეტილებას. არაფერს ამბობს. ეს ის შემთხვევაა, როცა რუსები ამბობენ: „Молчание знак согласия“. „თუ გინდა, აქ დაიდე ბინა“. „არა, ჯერ ტელევიზიაში ვიქნებით“. მოდის და მოდის ხალხი, ალბათ, სუნი თუ იკრეს კარიერისტებმა. ჩვენ არჩევის თავი ჯერ არა გვაქვს. მოდიან ისეთებიც, რომლებიც ჩუმ-ჩუმად ჩემ წინააღმდეგაც გამოდიოდნენ. ჩემი ძველი მეგობარი ჯერ კიდევ თეატრალური

მუზეუმიდან ოთარ სახოკია ყველას კარგად იცნობს. ჩემს მისაღებში ერთ-ერთი ცნობილი პოეტი და მედროვე შეამჩნია. „შენ აქ რა გინდა, ბლიად?“ - ეკითხება მეგრული აქცენტით.

ტელევიზია ჩვენია. საღამოს გამოვიდა ბესიკ ქუთათელაძე. კარგად ილაპარაკა, თავისი პოზიცია გამოხატა, ძმათამკვლელ ომში მონაწილეობას ვერ მივიღებო. კარგი პოზიციაა, მაგრამ რეალურია? დაგვიანებული არ არის? ახლა გამოსვლა დანებების ტოლფასია. რეპრესიებისა და ტერორის ან ანარქიისა და ბოლოს მაინც უფრო მეტი სისხლისღვრის საწინდარია. გერმანელების მიერ პარიზის ოკუპაციის მაგალითიც მოიყვანა. შევადგინე ტექსტი, ვუკითხავ თენგიზს, ვაცხადებ სამხედრო საბჭოს ძალაუფლებას; ყველა პარტია ლეგალური ხდება, მოვუწოდებთ მათ თანამშრომლობისაკენ: იგივე ფორმულა „ყველა - მინუს ერთი“. პრესა და ტელევიზია თავისუფალია, ცენზურა გაუქმებულია. თბილისში გამოცხადებულია კომენდანტის საათი. კომენდანტად ინიშნება გია ყარყარაშვილი, მოადგილედ - გიგა არველაძე. დროებით აკრძალულია მიტინგები. ბუნკერში მყოფთ, დანებების შემთხვევაში, გარანტირებული აქვთ სიცოცხლე და, სურვილისამებრ, ქვეყანაში დარჩენა ან უსაფრთხო გასვლა. რეპრესიები არ ჩატარდება. ყველაფერ ამაზე სამხედრო საბჭოს სახელით ხელს ვაწერთ: თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი. გიგა გელაშვილი გვატყობინებს: ტელეანძას უკვე ჩვენები აკონტროლებენ. ბესიკმა სიტყვა შეასრულა და საჩხერეში წავიდა.

საღამოს აკადემიის შენობაში პრესკონფერენციაა ჟურნალისტებისათვის. ჩვენი და უცხოელი ჟურნალისტები გვაძლევენ ათასნაირ შეკითხვას. მე და თენგიზი ვპასუხობთ. დაწოლა აქვს საკითხს ჩვენი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შესახებ. მე ციტატა მომაქვს ადამიანთა უფლებების 1948 წლის ქარტიიდან, რომელშიც პირდაპირ წერია, რომ დემოკრატიისათვის მებრძოლ ხალხს უფლება აქვს, უკიდურეს შემთხვევაში მიმართოს აჯანყებას. ვფიქრობ, რომ ჩვენი ვითარება პოლიტიკური პარამეტრებით უკიდურესია. დილით მეოთხე სართულიდან ჩამოდიან ირინა სარიშვილი და გია ჭანტურია. გია რაღაცნაირად აღრენილია, მეყსეულად მეუბნება: „შენ რა, შენი ხალხი ჩამისვი იმ ოთახებში?“ - ვერ ვხვდები, რას ამბობს. „რა ოთახები, რომელი ხალხი?“ „შენი დამკვირვებლები“. ირინას ვეუბნები: „შენი ქმარი

ნორმალურია? რას მეუბნება, ვერ გამიგია“. მგონი ორივენი ხვდებიან, რომ რაღაც სულელურ ეჭვიანობას აჰყოლიან და ბანზე მიგდებენ სიტყვას. მეც აღარ ვამწვავებ, თუმცა ნაწყენი ვრჩები. ქალაქში, სხვადასხვა რაიონებში, ცალკეული შეჯახებების სახით ომი გრძელდება. ვფიქრობ, ეს მანევრული ფანდი ხომ არ არის ჩვენი ძალების გაფანტვის მიზნით. ვიბარებ გია სვანაძეს. ვეუბნები, არავითარ შემთხვევაში არ აჰყვნენ, საალყო ძალებიდან არ მოხსნან ბიჭები და არ მოდუნდნენ. ჩვენი მხრიდან უკვე ბევრნი არიან დაჭრილები: ნიკუშა რურუა, დათო ხაჟომია. გვარდიელებშიც: ზაზა ჩაჩუა, უმძიმესად არის დაჭრილი კახა გველესიანი. გადარჩენის შანსი ცოტაა. დღეს მოგვიკლეს მხედრიონის მშვენება, უჭკვიანესი, ულამაზესი, ყველაზე ახალგაზრდა მებრძოლი სანდრო შაიშმელაშვილი - ჩვენი „სკილეტა“. მის დღიურებში ერთი ასეთი ბრძნული აზრია: ცხოვრება ნასკვია, ვიდრე მას გამოხსნი, მთავრდება კიდეც. საუკეთესო მსროლელი, თვითონაც კვიცივით მოხდენილი, ცხენების მოყვარული, 18 წლის ტანწერწეტა ჭეშმარიტი რაინდი. მახსოვს, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს შავნაბადაზე მოვაწყვეთ სროლაში შეჯიბრება. გამარჯვებულს გეკოს ავტომატურ თოფს შევპირდით. მე არ მეცალა და შეჯიბრებას ვერ დავესწარი. მასში ჩვენი ყველა „ასი“ მონაწილეობდა. საღამოს ჩემს ოთახში ვზივარ, რაღაც საბუთებს ვათვალიერებ. ვხედავ, კარებში თავისი ლამაზი თავი შემოყო „სკილეტამ“. შიგნით არ შემოდის. არაფერს ამბობს. „ჰა, რაშია საქმე? - სხვათაშორის ვკითხე, - შავნაბადაზე იყავი?“ „დიახ“, - მეუბნება. „შეჯიბრება ჩატარდა?“ „დიახ“, - კვლავ თავს მიკრავს მოკრძალებულად. „ვინ გაიმარჯვა? „მე“, - ამბობს ღიმილით.

შეძრწუნებული ვარ. რა ვუყო მამამისს, ერთადერთი ვაჟის დაკარგვა როგორ ვუთხრა. როგორც ამბობენ, დაჭრილი ჯერ ბუნკერში მიუყვანიათ, იქ უწამებიათ და მერე ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს, ქალს (დედას!) ციხეში გადაუგზავნია. მიყვანისთანავე გარდაცვლილა. გავდივარ მოსაცდელში. იქ მამამისი ზის, ჯავრით ჩაფერფლილი. ყველაფერი იცის. ვეხვევი. „რა ვქნათ, ჯაბა, - თითქოს აქეთ მაწყნარებს, - ასეთი ყოფილა ჩემი ბედი“. ღმერთო, გვაპატიე, ღმერთო, ფუჭი არ გამოდგეს ეს ამოდენა მსხვერპლი.

კიდევ ერთი ბიჭი მოკლეს - დღეს მიღებული საქართველოს მხედრიონში. არც გვარი ვიცით, არც სახელი. მოვიდა

ჩვენებთან, მოედანზე, მინდა მხედრიონელი გავხდე, თქვენთან ვიბრძოლოო, - უთქვამს. გია სვანაძეს და ბიჭებს მიუღიათ, საღამოს კი ჩემთან უნდა მოეყვანათ გასაცნობად. საღამომდე ტანკმა გადაუარა პუშკინის მოედანზე. ესეც უცნობი ჯარისკაცის საფლავი. მაგონდება ბუღას სიტყვები. ერთი წლის წინ ორი მხედრიონელი კამათობდა, ერთი ყოყლოჩინობდა მეორის წინაშე - მე მეორე წელია მხედრიონელი ვარ, - შენ როდის მოხვედიო. ბუღა მივიდა ყოყლოჩინასთან და დატუქსა: „იცი, რას გეტყვი, მაგას არა აქვს მნიშვნელობა. შეიძლება შენ ათ წელიწადს იყო მხედრიონში, მე კი დღეს მოვიდე და დღესვე ტყვია მომხვდეს შუბლში“.

პრემიერ-მინისტრად ვნიშნავთ სიგუას. ყველაზე მნიშვნელოვან - შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე - რომან გვენცაძეს. ჩემი აზრით, გამოდგება, გაგებული კაცია და მილიციაში ავტორიტეტით სარგებლობს, მაგრამ ახლა ფეხშია დაჭრილი, საავადმყოფოში წევს; ვეძებ სხვა ვინმეს. აქვე, ჩემს მისაღებში, თვალი მოვკარი დათო სარალიძეს, მგონი მინისტრის მოადგილე იყო თუ რაღაც ასეთი პოსტი ეკავა შინაგან საქმეთა სამინისტროში. ინტელიგენტი კაცია და კარგი ოჯახის შვილი. ვეძახი. არ მთანხმდება. ესეც რომანს მირჩევს. მე წავალ საავადმყოფოში და დავიყოლიებო. სასწრაფოდ შესაცვლელია პრეფექტები, თუ სადმე დარჩა. ახლა ესენი არიან გამსახურდიას დასაყრდენი. ისინი უკეთებენ ორგანიზაციას რაიონულ წინააღმდეგობას, ბუნკერში გზავნიან ხალხს.

რუსთავში ვუშვებ თემურ ხაჩიშვილს. ვწერთ ბრძანებას. ყველა ბრძანებულებაზე მე და თენგიზი ვაწერთ ხელს. მინისტრებზე თენგიზ სიგუა იზრუნებს, დანიშვნას ჩვენი დასტური სჭირდება. მისაღები გაივსო მაძიებლებით. ტელევიზიაში კვლავ აჩიკო გოგელიას ვგზავნით. მიუხედავად იმისა, რომ მოთამაშე კაცია, ვფიქრობ, მაინც ქაჯი არ არის. გამოსულ ბიჭობაზე თავს დებს, ესე იგი, რაღაც ნამუსი მოეკითხება.

შევარდნაძე

არ ვიცი, ვინ მოიყვანა კაკო მიქაძე, „მოსკოვსკიე ნოვოსტის“

კორესპონდენტი. ჩემი პოლიტპატიმრად აღიარების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მისმა პუბლიკაციებმა. მე და თენგიზი ახლაც გამოგვჭიმა - მთელ გვერდზე ჩვენი სურათია. „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ რუსეთში, ჩვენში და ბევრ სხვა ქვეყანაშიც პოპულარული გაზეთია. შემოჩენილია, გინდა თუ არა, ედუარდ შევარდნაძეს დაურეკეო. შევარდნაძეს ერთხელ შევხვედრივარ, როცა შინაგან საქმეთა მინისტრი იყო საქართველოში. მაშინ მე და ჩემს დას ლილის ჩვენი რძლისაგან, ენათმეცნიერი პროფესორის, დავით ჯაფარიძის მეუღლისაგან მოგვივიდა მიწვევა შეერთებულ შტატებში. დავითი, ჩვენი მამიდაშვილი, 1921 წელს 6 თვისა ლტოლვილმა მშობლებმა საზღვარგარეთ წაიყვანეს. საფრანგეთში გაიზარდა. იქ, სორბონის უნივერსიტეტში მიიღო განათლება, ბოლოს კი პრინსტონის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი და რუსული განყოფილების დირექტორი გახდა. სულ ახალგაზრდა, 47 წლისა გარდაიცვალა. მისი მეუღლე, იუსტინა ბეშაროვა ბათუმელია, სომხური წარმოშობის. ისიც პროფესორია, ენათმეცნიერი, სლავისტი. მან გამოგვიგზავნა მიწვევა. ეს 1969 თუ 1970 წელს მოხდა. მე, ჩემი თავგადასავლებისა და პატიმრობების შემდეგ, ის-ის იყო ვამთავრებდი თეატრალურ ინსტიტუტს. მაშინდელი კომუნისტური კანონებით, ჩემი ამერიკაში წასვლა კი არა, მგონი მოსკოვში გასეირნებაც პრობლემა იყო, მაგრამ რადგან ლილისთან, ჩემს დასთან, ცნობილ რეჟისორთან ერთად ვიყავი მიპატიჟებული, იქნებ რაიმე გამოსულიყო, მით უმეტეს, რომ ჩვენმა რძალმა აქეთ-იქითა ბილეთების ფული უკვე გადაიხადა და სამგზავროდაც ათასი დოლარი გადმორიცხა ჩვენს ბანკში, რაც ჩვენი ხარბი ბიუროკრატიისათვის ერთგვარ სატყუარად გამოდგებოდა. მაშინდელი კურსით, 700 დოლარი ღირდა რუსული მსუბუქი ავტომანქანა „ფიატი“. ერთი სიტყვით, ბედი ვცადეთ და შევიტანეთ განცხადებები. ამაში, როგორც ყოველთვის, გვეხმარებოდა მედეა ჯაფარიძე - ჩემი მფარველი ანგელოზი. ასევე მისი წინადადებით შევხვდი შევარდნაძეს. მედეა ვარაუდობდა, რომ პირადად ჩემი გაცნობა მასზე შთაბეჭდილებას მოახდენდა და საქმეს წაადგებოდა. მართლაც, სამი საათისთვის დაბარებული, ზუსტად სამ საათზე მოვხვდი მის კაბინეტში. ასეთი მოქცევა მაშინდელი კომუნისტური „მოდუს ვივენდისათვის“ დემოკრატიზმის მწვერვალი გახლდათ. უნდა გამოვტყდე, რომ ამ შეხვედრამ დადებითი აზრი შემიქმნა მის პიროვნებაზე, მით უმეტეს, რომ შემდეგ

გავიგე, თურმე მისი დაპირება ლიტონი სიტყვები არ ყოფილა. როგორც თვითონ დავრწმუნდი, იგი საკმარისად გაისარჯა, თუმცა, ამერიკაში მაინც არ გამიშვეს. დამამახსოვრდა და გამაოცა მისმა პასუხმა, როცა ვუმტკიცებდი, რომ გამქცევი არა ვარ. „ჯაბა, თქვენ რომ იქ არ დარჩებით, მე მჯერა, მაგრამ ამათ დააჯერებ?!“ თქვა და თავით გვერდით ეზოში მდგარი შენობისაკენ მიმითითა. მისი კაბინეტის ფანჯრებში „კაგებეს“ რუხი შენობა იცქირებოდა. ვინ იყვნენ „ამათ“ და ვინ იყო თვითონ?! შემდეგ რამდენჯერმე შემეცვალა მასზე აზრი. მე, ეს კომუნისტების მოძულე კაცი, მჟავანაძესთან მისი კონფლიქტის დროს, ერთი პირობა ცხარედ ვუჭერდი მხარს. მართალია, ჩემი ეს მხარდაჭერა მაღალი დონის ინტერესებზე იოტისოდენადაც არ მოქმედებდა, სამაგიეროდ, ხალხში მისი პოპულარობისათვის არ იყო ცუდი შენაძენი. აღსანიშნავია, რომ შევარდნაძე უცებ გახდა, როგორც სტალინი ცინიკურად იტყოდა, „ხალხოსანი“. სადაც კი გამოჩნდებოდა, გულწრფელი ტაშით ხვდებოდნენ. მასში ხედავდნენ ახალი ცხოვრების მებაირახტრეს, უბრალო ადამიანთა ქომაგს. მახსოვს, რარიგ მოწადინებული იყო მედეა ჯაფარიძე, შეხვედროდა გენერალურ მდივან ლეონიდ ბრეჟნევს ვასილ მჟავანაძისა და ედუარდ შევარდნაძის დაპირისპირების დროს და მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ბრეჟნევი დაერწმუნებინა შევარდნაძის პატიოსნებასა და სიმართლეში. მაშინ მედეა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახლდათ და ამ აუდიენციის მოწყობას ჰპირდებოდნენ თავისი ბიძაშვილები, კრემლში მცხოვრები ალიოშა ჯაფარიძის (სამოქალაქო ომში დახვრეტილი ბაქოელი კომისრების გუნდის წევრი) ქალიშვილები. გამოუსწორებელ იდეალისტ მედეას მიაჩნდა, რომ მისი გულწრფელი სიტყვა ფუჭად არ ჩაივლიდა, ის იმოქმედებდა ბრეჟნევის გადაწყვეტილებაზე. მეც დაახლოებით ასეთ ტალღაზე ვიყავი შეგდებული უსაზღვრო ნდომისა და საქართველოში შექმნილი ვითარების პირობებში. თუმცაღა, მერე, როცა შევარდნაძემ გაიმარჯვა და ჩაატარა მთელი სერიალები კომუნისტური „პაკაზუხური“ კამპანიებისა მყვირალა სათაურებით: „მავნე ტრადიციებთან ბრძოლა“, რომელიც გამოიხატა ქელეხებისა და ეკლესიური დღესასწაულების აკრძალვაში, „კერძომესაკუთრულ გადმონაშთებთან ბრძოლა“, „ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა“ და სხვ., რომლებმაც უბედურების მეტი არაფერი მოუტანეს ქართველ ხალხს; როცა ციხეები დაიტენა და დაიწყო

საეჭვო სამართლიანობის მქონე სასამართლო პროცესები, განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული განაჩენები: კობახიძისა, გელბახიანისა, ლაზიშვილებისა, ჟვანიასი, ანანიაშვილისა, მეღვინეებისა, უდანაშაულო ახალგაზრდა მღვდლის, თემურ ჩიხლაძის დახვრეტა, სოსო წერეთელი, დათო მიქაბერიძე, გეგა კობახიძე, ორი ძმის, კახა და პაატა ლეკიშვილების (ივერიელების) სიკვდილით დასჯა და განაჩენის სისრულეში მოყვანის დამალვა, ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის დატუქსვა იმ საბაბით, რომ მათ პეტიცია მიართვეს შევარდნაძეს სიკვდილმისჯილთა შეწყალების შესახებ; ყველაფერმა ამან, რასაკვირველია, არათუ განმხიბლა, არამედ მის მოწინააღმდეგედ მაქცია და არა მარტო მე. ხალხში სარკაზმის საგანი გახდა შევარდნაძის გადაჭარბებული მლიქვნელობა ზემდგომ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, მისი გახმაურებული „აფორიზმი“ - „მზე ჩრდილოეთიდან ამოდის“. პატრიოტულად განწყობილ ადამიანებს არც ის მოსწონდათ, რომ მწერალთა კავშირში ე. წ. ნაციონალიზმი დაგმო და რუსეთის თვალში იდეური ინტერნაციონალისტის როლი გაითამაშა. „კორუფციასთან მებრძოლმა“ პოლიტიკამ ხომ ერთთავად კორუმპირებული გახადა მთელი რეპრესიული ორგანოები, რომელნიც, ასე ვთქვათ, მაფიოზური პრინციპით მოქმედებდნენ - ხელი ხელს ბანდა და სამართალი იყიდებოდა. ამავე დროს, ისიც სათქმელია, რომ ცალკეულ შემთხვევებში იგი არ იქცეოდა, როგორც სტანდარტული კომუნისტი, უფრო მეტიც, მისი იანუსის სახე ხშირად საგონებელში აგდებდა ადამიანს. მაგალითად, ე. წ. ბრეჟნევის კონსტიტუციის მიღების პროცედურის აღრევა. შეფარულად პროვოცირება და ქართული ენის საკითხის სადისკუსიოდ გამოტანა, როცა თვით ინტრიგებში გაწაფული პარტიული ფუნქციონერები ვერ გარკვეულიყვნენ, რას უჭერდა მხარს შევარდნაძე, ბრეჟნევისეულ ტექსტს, რომელშიც ქართული ენა გათანაბრებული იყო სხვა ერების კულტურულ უფლებებთან, თუ იმას, რომ იგი საქართველოში უნდა დაკანონებულიყო სახელმწიფო ენად?! ასევე საინტერესო ორმაგი თამაშით გამოირჩეოდა რუსთაველის თეატრში მხატვრული შემოქმედების პროტესტანტული დინებისათვის ხელშეწყობა. იმ დროისათვის ყველაზე პოპულარული დისიდენტის, აკაკი ბაქრაძის დანიშვნა თეატრის დირექტორად და, ამავე დროს, მისი კომპარტიაში შეტყუება. სპექტაკლ „ყვარყვარეს“

დაგმობის ოფიციალური მხარდაჭერა და არაოფიციალური მოწონება. პროტესტანტი კინორეჟისორის, ოთარ იოსელიანის საზღვარგარეთ გაშვება (როგორც გაირკვა, სამუდამოდ), თენგიზ აბულაძესთან თანამშრომლობა ფილმ „მონანიების“ შესაქმნელად და იქვე: შედარებით თავისუფალ კრიტიკოსს, გურამ ასათიანს, მწერალთა კავშირის მდივნის თანამდებობის საფასურად, შეუკვეთა რეცენზია ლეონიდ ბრეჟნევის წიგნებზე, სადაც ხოტბა ჰქონდა შესხმული ისტორიის ფალსიფიკაციას, მაკულატურულ ნაჯახირევს. ძნელი სათქმელია, რა უნდოდა შევარდნაძეს: მარქსის, ლენინისა და სტალინისგან განსხვავებით, ერთ რესპუბლიკაში აეშენებინა კომუნიზმი (მარქსი ვარაუდობდა სოციალიზმის გავრცელებას მთელ მსოფლიოში, ლენინი - ცალკე აღებულ ქვეყანაში, სტალინი კი უკვე კომუნიზმის დამყარებას ერთ ქვეყანაში - საბჭოთა კავშირში გვპირდებოდა), თამაშობდა უმწიკვლო კომუნისტის როლს, თუ სერიოზულად სჯეროდა „სოციალიზმისა ადამიანური სახით“. არადა, ჩეხოსლოვაკიის მოვლენებს დიდი ხანია ჩაილურის წყალი ჰქონდა დალეული. რა ვიცი, მაშინ მე მეჩვენებოდა, თუ მართლა რაღაც პროგრესულ განვითარებაზე შეიძლებოდა მსჯელობა, ეს იუგოსლავიის პრაქტიკა იყო - კერძო საკუთრებისკენ საგრძნობი შემობრუნება. შევარდნაძე კი, ვფიქრობ, ხელოვნური ეკონომიკური ოაზისების შექმნითა და მათი პროპაგანდით ფსევდომეცნიერულ რაციონალიზაციას უძებნიდა საბჭოთა „მოდუს ვივენდის“. აბაშის გახმაურებული ექსპერიმენტი კი შეუთავსებლის შეთავსება იყო. ამ ექსპერიმენტის მედროშის, გურამ მგელაძის მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ შეაფასა გორბაჩოვმა შევარდნაძის მიერ კერძო ინიციატივაზე დაყრდნობილი ხორცის დამზადების პრობლემა, ეჭვს არ ტოვებს, რომ მათ სწორედ კოზმა პრუტკოვის „ობიატ ნეობიტნოეს“ იმედი ჰქონიათ. გორბაჩოვს უთქვამს: „გურამ, მიასო ნადო, ნო ოტ მარქსა უხოდიტ ნე ნადო!“

ასე იყო თუ ისე, კომუნისტური ჭაობი მთელ მსოფლიოში ატოკდა, დამყაყებული წყალი უკვე მოძრაობდა და ტალღებად იშლებოდა, გამოსავალს ეძებდა. მინდა ვაღიარო, რომ სწორედ შევარდნაძის მოსვლამ ხელისუფლებაში განაპირობა ჩემი, როგორც დრამატურგის, გამოჩენა. რეზი თვარაძის ფრონდამ, რომელმაც ცოტა ხანს იბოგინა მარჯანიშვილის თეატრში და

რეჟისორ მედეა კუჭუხიძის ინიციატივამ შესაძლებელი გახადა ჩემი პოლიტიკური ფარსის „ტაკიმასხარას“ დადგმა; სხვა ნაწარმოებებთან ერთად ისიც არაერთ წელიწადს მედო უჯრაში. მაშინ ასეთი ტერმინიც კი შემოვიდა: „პისატ ვ სტოლ“ („წერა მაგიდაში“), ვინაიდან „ არა-სოცრეალისტური რეალიზმის“ ნაწარმოებების გამოქვეყნება ვერ ხერხდებოდა და მაგიდის უჯრაში თავის დროს ელოდა. უპრეცედენტო იყო აფხაზეთში პოლიტიკური გაფიცვების მოთხოვნათა დაკმაყოფილება. მართალია, ეს მოსკოვთან შეთანხმებული ან წინასწარ სანქცირებული აქციების განმუხტვა იყო, მაგრამ თვითონ ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირში გაფიცვით რაღაცის მიღწევა შეიძლება, ახალ პოლიტიკურ ატმოსფეროს ქმნიდა იმპერიაში. საინტერესო და მრავლისმთქმელია შევარდნაძის მიერ მაშინდელი აფხაზური პრობლემის, ასე ვთქვათ, მოგვარების აპოთეოზი - ისტორიის ფალსიფიცირება კეთილი მიზნით. მხედველობაში მაქვს რუხის დღესასწაულის შემოღება, აფხაზთა და ქართველთა მეგობრობის სიმბოლოდ მისი გამოცხადება. ვითომც საბრძოლველად მისული ჩვენი წინაპრები XIX საუკუნეში ურთიერთს შეურიგდნენ. სინამდვილეში კი, საქართველოს ჯარმა დადიანის რაზმების შემოერთებით, რომელიც იმ დროისათვის გაურკვეველ პოზიციაზე იდგა, აფხაზებისა და ჩრდილოკავკასიელების ჯარი უკუაქცია. რა იყო ეს? ვიღაც მლიქვნელმა ისტორიკოსმა შეცდომაში შეიყვანა იგი თუ მკრეხელური გადაწყვეტილება იყო მიმდინარე მომენტის უზენაესობისა ყოველგვარ სხვა ვითარებათა უგულებელყოფის პირობებში?! მე ვიტყოდი - თავისებური პოლიტიკური სოციალისტური რეალიზმი.

შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში შემექმნა შთაბეჭდილება, თითქოს იგი გაბოროტდა, ხელი ჩაიქნია ფარისევლობაზე და უკვე ცინიკური სწორხაზოვნობით, ისევ იმ, საუკუნეობით გამოცდილი მარტივი ხერხით, დაუფარავი მლიქვნელობით გასწია წინ, კარიერის მწვერვალებისაკენ. შესაძლოა ეს მისივე განხიბვლიდან მოდიოდა; შესაძლოა იგი დარწმუნდა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც სიკეთისაკენ სწრაფვა კეთილი ხერხებით შეუძლებელია, ვერც ცუდი ხერხებით მიაღწევ სიკეთეს. შემდეგ დადგა ის ჭეშმაერიტად ისტორიული ხანა, როცა შევარდნაძემ მიხაილ გორბაჩოვთან ერთად შეასრულა იმპერიის დაშლისა და აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლების დიდი მისია. გაოგნებულმა სვეტლანა

ალილუევამ (სტალინის ქალიშვილმა) პირველმა დამირეკა მოსკოვიდან და შემატყობინა შევარდნაძის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის ამბავი. სიტყვამ მოიტანა და, მისი დამოკიდებულება შევარდნაძისადმი მკვეთრად უარყოფითი იყო. მასთან საუბრისას მგონია, რომ ლავრენტი ბერიას ველაპარაკებიო, - ამბობდა სვეტლანა. გორბაჩოვს კი ერთგვარი სიმპათიით იხსენიებდა: „მაინც ლომონოსოვის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, ჩვენი „ალმა მატერი“. ახლა კი ასეთი არჩევანით აღშფოთებული ჩანდა. „ასეთ დროს, როცა რუსეთი ჭეშმარიტი დემოკრატიის გზას ირჩევს, ეს ფანატიკოსი კომუნისტი?“ სვეტლანა ცდებოდა. შევარდნაძე არასოდეს ყოფილა ფანატიკოსი, იგი თამაშობდა ამას, თავსაც იტყუებდა და სხვასაც ატყუებდა. და საერთოდ, განა ფანატიკოსობა სასოწარკვეთილი ურწმუნოება არ არის? მე ჯერ არ დავიჯერე, მაგრამ შემდეგ, როცა დავფიქრდი, ეს ნაბიჯი გორბაჩოვის ზეშთაგონებულ სვლად ჩავთვალე. საერთოდ, მიხაილ გორბაჩოვი ერთადერთ პროგრესულ პიროვნებად მიმაჩნდა და მიმაჩნია საბჭოთა კავშირის ლიდერების ისტორიაში, თავისებური რომულ დიდი, რომელიც შეგნებულად წავიდა ამ უსაშველო ბოროტების წინააღმდეგ (ნიკიტა ხრუშჩოვისაგან განსხვავებით), რომელსაც შურისგება, ბოღმა და მისთვის შეუგნებელი ობიექტური ძალები ამოძრავებდნენ. რა თქმა უნდა, გორბაჩოვსაც არ ეგონა, რომ მისი „პერესტროიკა“ ასეთ გლობალურ ნგრევას გამოიწვევდა. იგი, როგორც ყველა კომუნისტი, არ მოელოდა, რომ საბჭოთა იმპერია ნაბუქოდონოსორის სიზმრის თიხისფეხებიანი გიგანტი გამოდგებოდა. და მაინც, გორბაჩოვის მისწრაფება სიკეთისაკენ ფასდაუდებელია. საგარეო საქმეთა მინისტრად შევარდნაძის დანიშვნა რაღას ნიშნავდა? ასე თუ ისე, გორბაჩოვის თანამოაზრე, საკმაოდ პოპულარული, ამავე დროს, გამბედავი და ელასტიკური. რაც მთავარია, როგორც ალბათ გორბაჩოვს მიაჩნდა, მადლიერი და, აქედან, ერთგულიც, რადგან ასეთ დიდ საქმეს უკეთებდა - პროვინციელი პარტიული ფუნქციონერი გამოჰყავდა მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე. რამდენად ერთგული გამოდგა შევარდნაძე, ეს სხვა საქმეა. ან მადლიერების გრძნობა განა ერთგულებას განამტკიცებს? თუ ლევ ტოლსტოის დავუჯერებთ, ცხოვრებაში პირიქით ხდება. შევარდნაძის კანდიდატურის მიმზიდველობა გარე სამყაროსთვის იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ეროვნებით რუსი არ იყო, შინაგანი

ძალებისა და ხალხისთვის კი - ის, რომ შევარდნაძე ქართველია, როგორც სტალინი, ვისი ნოსტალგიაც უკვე გამოკვეთილად მოქმედებდა ძველ პარტიულებსა და უბრალო ხალხზე. შევარდნაძის ქართული აქცენტი არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა - საგარეო საქმეთა მინისტრებს უმთავრესად თარჯიმნებით უხდებათ მუშაობა. ჩვენ სულ მალე გავხდით იმის მოწმენი, რომ გრომიკოსეული რკინა-ბეტონის „პროტოკოლიდან“ შევარდნაძემ იოლად შემოიდო ფეხი ფეხზე და ეს პროვინციელი კომუნისტი დენდის თუ არა, დიპლომატიური კორპუსის საკადრო მუშაკს მაინც დაემსგავსა. მან სწრაფად აუღო ალღო საბჭოთა ხალხის, უმთავრესად რუსების განწყობას. მიხვდა, რომ ძლიერების, მუქარის, იარაღის ჟღარუნის კომუნისტურმა პროპაგანდამ დაძაბულობაში მყოფ ხალხს მესამე მსოფლიო ომის საშიშროება რეალურად წარმოუჩინა. ამ საფრთხობელასთან ბრძოლა კი არათუ იოლი, კეთილშობილური და მომგებიანიც გამოდგა. რუსი ხალხის სულიერ კონიუნქტურას კარგად გადმოსცემს იმდროინდელი პოპულარული მოსკოვური „ჩასტუშკა“: С неба звездочка упала, Прямо милому в шаты, Пусть там все бы оторвало, Лишь бы не было войны.

თუ პირველ ხანებში შევარდნაძე, პოლიტბიუროს წევრებს კი არა, კანდიდატებსაც გარეგნულად დიდ ანგარიშს უწევდა და მოკრძალებულად თავმდაბლობდა, მერე და მერე, აღლუმების დროს, ლენინის მავზოლეუმზე ხელისუფლების ელიტით ჩაჭედილ ტრიბუნაზე იდაყვებით მოურიდებლად იკვლევდა გზას და პირველ პლანზე „იჩითებოდა“. ადამიანებთან ურთიერთობის ქართულმა ტრადიციულმა მეგობრულმა ფორმამ მონუსხა ვეგეტარიანულ დამოკიდებულებას მიჩვეული უცხოელი სახელმწიფო მოღვაწეები და დიპლომატები, იუმორმა კი მახვილგონიერი და საინტერესო მოსაუბრის იმიჯი შეუქმნა მას. მით უმეტეს, რომ „პერესტროიკის“ სახელმწიფო კურსი უდიდეს საშუალებას იძლეოდა კონსტრუქციული წინადადებების, კომპრომისული ან, სულაც, დამთმობი შეთანხმების მისაღებად. შევარდნაძის ავტორიტეტი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მთელ მსოფლიოში. რუსეთში ვერც ხალხი და ვერც ხელისუფლება ჯერ ვერ აცნობიერებდა, თუ რას მოიტანდა საბჭოთა იმპერიის ასეთი მოულოდნელი რადიკალური ცვლილებები. თუკი სახელმწიფო ფსიქოლოგიურად მზად იყო ეღიარებინა, რომ

„მეფე შიშველია“, უმწეო გამოდგა, ასევე ქმედითად დაეწყო „მეფის შემოსვა“. გორბაჩოვის გუნდმა გახსნა „პანდორას ყუთი“. ახალი მოვლენებისა და ვითარებათა რაციონალური წარმართვის, პოლიტიკური ნების გამოვლენის საქმეში კი სრული აბულია გამოავლინა. ამაში შევარდნაძეს არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა, პირიქით, ის, რომ რუსეთი ომს გადაურჩა, ევროპაში ჩამოიხსნა რკინის ფარდა, დაინგრა ბერლინის კედელი და რუსეთმა, როგორც დემოკრატიის გზაზე დამდგარმა ქვეყანამ, პირი მოიბანა, შევარდნაძის პოლიტიკური კაპიტალის აქტივში იწერებოდა. რუსეთისათვის, როგორც იმპერიისათვის, როგორც პარაზიტული სახელმწიფოსათვის, ამ მსოფლიო პრობლემების გადაჭრის ნეგატიური მხარე ჯერ მიუღწეველ ექოდ მოძრაობდა. ეს მომავალს უნდა გაერკვია და გაარკვია კიდეც, როცა ასი ათასობით სამხედრო ულუკმაპუროდ და უსახლკაროდ დარჩა, როცა შეფარული კაბალური ეკონომიკური ურთიერთობანი სატელიტებთან, სულ მცირედი კომპენსაციის ფონზე, სამართლიანობის პრინციპზე აიგო. როცა კომუნისტური, ფარისევლური ინტერნაციონალიზმი საპნის ბუშტივით გასკდა და მოიტანა სისხლიანი კონფლიქტები ფერგანაში, თბილისში, ყარაბახში, ბაქოში; და კიდევ, როცა სხვა მრავალი იმპერიული ამბიციის დაუკმაყოფილებელი მატერიალური თუ ფსიქოლოგიური პოსტულატები გამოცლილი დარჩა.

ეს ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო. ახლა შევარდნაძე ჭეშმარიტ დემოკრატად, დიდ დიპლომატად და სახელმწიფო მოღვაწედ იქნა აღიარებული, როცა შინაგანი წარუმატებლობა გორბაჩოვს ბრალდებოდა. შევარდნაძემ ყველაფერი ეს სწორად გააანალიზა, გორბაჩოვის შერყეულ პოზიციებს გამოეყო, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან თავისი გადადგომა დემოკრატიულ პროცესს დაუკავშირა და პროტესტად მონათლა. თუმცა ეს რომ ჭეშმარიტი პროტესტი კი არა, პრევენტიულ-კარიერისტული სალტო-მორტალე იყო, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის ხელმძღვანელის პოსტზე მისმა დაბრუნებამ ნათელჰყო. სამაგიეროდ, „თეთრი სახლის“ მოვლენების დროს ელცინს ტანკზე ხატოვნად ამოუდგა გვერდში.

ამის პარალელურად საქართველოში მიმდინარეობდა უკუპროცესი. შევარდნაძის დისკრედიტაცია მაშინ დაიწყო,

როცა აშშ პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა მთელ მსოფლიოში დემოკრატიის პრიორიტეტულ დინებად ჰელსინკის დასკვნითი აქტი და ადამიანთა უფლებების დაცვა გამოაცხადა, როცა ზვიად გამსახურდიას ჰელსინკის ჯგუფი რეპრესირებულ იქნა შევარდნაძის აქტიური ჩარევით. აქაც, როგორც ყველგან, შევარდნაძემ თავი გამოიჩინა - მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ზვიად გამსახურდიამ, მცირე სასჯელისა და პატიმრობაში კარგი პირობების საფასურად, შეარცხვინა დისიდენტური მოძრაობა შევარდნაძესთან უსიტყვო შეთანხმებით და მისივე ზეგავლენით დაგმო თავისი ნამოღვაწარი.

შემდეგ დადგა ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ხანა. შევარდნაძის მოღვაწეობა საქართველოში აღქმულ და შეფასებულ იქნა, როგორც რუსეთის სატრაპის სამსახური, მისი საერთაშორისო არენაზე გასვლა კი - როგორც რუსეთის იმპერიის მოდერნიზაციის სტრატეგიული ჩანაფიქრის გამოვლენა. ამ მხრივ ყველაზე ვნებიანად გამსახურდია ირჯებოდა. მის თვითგამოცემულ ჟურნალებში „ოქროს საწმისი“ და „საქართველოს მოამბე“ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით იბეჭდებოდა შევარდნაძის საქმიანობის გადამეტებული განქიქება, შემდეგ კი, ალბათ, თავისივე უღირსი საქციელით დაკომპლექსებული (ვინაიდან იგი აბიურაციის ფაქტს შევარდნაძის ხრიკებს უკავშირებდა) მიტინგებზე შევარდნაძის ლანძღვა-გინებით კომპენსაციას უკეთებდა საკუთარი ზნეობრივი უკმარობის გრძნობას. მოსკოვში შევარდნაძის გადადგომა გამსახურდიამ ლამის საქართველოს დღესასწაულად გამოაცხადა. მიტინგზე ბრბოდ შეყრილი აბორგებული ქალები სკანდირებდნენ: „შევარდნაძე უმუშევარი დარჩა“. ყველა პარტიის ლიდერი თუ აქტიური წევრი შევარდნაძის გინებას კარგ ტონად მიიჩნევდა. მასთან ურთიერთობაში მყოფი პიროვნება კი მიტინგებზე, ტელევიზიასა თუ პრესაში „ერის მოღალატის“ იარლიყით ჯილდოვდებოდა. 9 აპრილისადმი მისი დამოკიდებულებაც არ შეფასდა ობიექტურად. ის, რომ კომენდანტის საათმა ერთ კვირასაც არ გასტანა, ის, რომ რეპრესიები არ განხორციელდა (თუ არ ჩავთვლით ზ. გამსახურდიას, ი. წერეთლის, მ. კოსტავას და გ. ჭანტურიას ოცდღიან პატიმრობას), მიეწერებოდა ეროვნული მოძრაობის სიძლიერეს და არა პოლიტბიუროს წევრის ლიბერალიზმს. ასეთ დასკვნას,

რასაკვირველია, აქვს საკმაოდ მყარი საფუძველი, მაგრამ არც ის არის მართებული, რომ შევარდნაძეს მთლად დავუკარგოთ 9 აპრილის ირგვლივ გამოვლენილი პოზიცია, თუნდაც, საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში ამ მოვლენის განხილვის პერიოდში. მართალია, არის ისეთი მოსაზრებაც, ვითომც მას შეეძლო, უფრო ადრე ჩამოსულიყო თბილისში და არ დაეშვა სისხლისღვრა. იმასაც ამბობენ, რომ შევარდნაძეს კი სურდა ჩამოსვლა, მაგრამ ჯუმბერ პატიაშვილმა შეუთვალა, ჩვენ თვითონ მოვუვლით ამ საქმესო, მაგრამ ეს მომენტები საქართველოს უახლეს ისტორიას ჯერ არ გამოუმჟღავნებია. უნდა გვახსოვდეს, რომ პრობლემებისა და მოვლენებისადმი შევარდნაძის დამოკიდებულება პოსტფაქტუმის პოლიტიკაა, უკვე მომხდარი მოვლენის ინტერპრეტაციაში მდგომარეობს, აქედან ლოგიკური დასკვნებისა და სათანადო რეაქციის წინდახედულებაში გამოიხატება. შევარდნაძე ნაყოფს ხეზე არასოდეს წყვეტს. იგი, ნებით მომარჯვებული, ელოდება მის ჩამოვარდნას. ხანდახან ნაყოფი დამპალი გამოდგება, მაგრამ არასოდეს არ არის მკვახე, უმწიფარი. სიდამპლე კი ბევრ ვინმეს და რამეს შეიძლება დაბრალდეს. ჰოდა, ყველაფერ ამის და კიდევ მეტის მცოდნეს, ახლა მე უნდა დამერეკა შევარდნაძისათვის? რატომ? ეს რაღაც სამომავლო ურთიერთობის საწინდარი იქნებოდა, რომლის სილუეტსაც ჯერ ვერ ვხედავდი. თუკი ბოლომდე გულწრფელი ვიქნებოდი, უნდა მეღიარებინა, რომ კარგად გაკონტროლებული, უკეთ - არაერთპიროვნულად მმართველი შევარდნაძე საერთაშორისო იზოლაციაში მოხვედრილ საქართველოს ჰაერივით სჭირდებოდა. მსოფლიოში მისი დიდი ავტორიტეტი, გამოჩენილი მეგობრები: აშშ პრეზიდენტი ბუში, სახელმწიფო მდივნები: შულცი, ბეიკერი, ინგლისის პრემიერი მეიჯორი, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, გავლენიანი გენშერი და თვით ელცინი. ეს პიროვნული კავშირები ხელწამოსაკრავი სინამდვილე არ გახლდათ. აქ ერთი პრობლემა იჩენდა თავს. სწორედ მისი ავტორიტეტი, ამავე დროს, მისი კარიერისტული „ალტერ ეგო“ და ცეკას მდივნის ინერციის ამოქმედება მონობიდან ახლად გამოსულ საქართველოს სულ იოლად შეაბრუნებდა თავისივე სადგომში და, რაც მთავარია, ჯერ ვინც მისი ჩამოყვანის განზრახვას გაამჟღავნებდა, წამსვე ჩაიქოლებოდა, როგორც მოღალატე. მე, მაგალითად, მის ადგილას, დავბრუნდებოდი, როგორც უბრალო მოქალაქე, ქართველი კაცი სამშობლოს გასაჭირის დროს; ხალხიდან,

ქვემოდან დავიწყებდი მოქმედებას და ახალი ავტორიტეტის შექმნას. ეს იქნებოდა ჭეშმარიტი განწმენდისა და დემოკრატიულობის ულამაზესი აქტი. მაგრამ ამას მე ვიზამდი, შევარდნაძეს კი, როგორც შემდეგ გაირკვა, პირდაპირ ტახტზე დაჯდომა სურდა. ასე არაფერი გამოვიდოდა. თუ მაინცდამაინც, შევარდნაძის მოწვევის საკითხს ჯერჯერობით შეპარვით, განსჯა-ალბათობის სფეროში უნდა გაევლო აპრობაცია. არც ის ივარგებდა, რომ ჩემი ინიციატივით შემდგარიყო ჩვენი სატელეფონო საუბარი, რისკენაც აკაკი მიქაძე მიბიძგებდა.

ახლა, ამ გაგანია ომის დროს, მასთან კავშირი, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში უმუშავარი დადიოდა, მაინც კრემლთან ასოცირდებოდა. ვერც ჩემი თანამებრძოლები და კოლეგები, ვერც პარტიის ლიდერები და ვერც ხალხი ამას ვერ გაიგებდა. კაკო მიქაძე კი, მის მოგზავნილ კაცად თუ არა, რუსების აგენტად მაინც მიმაჩნდა. რაღა თქმა უნდა, არც ის ივარგებდა, რომ შევარდნაძის არსებობის ფაქტორი უგულებელმეყო. ამიტომაც დავთანხმდი მიქაძის წინადადებაზე, მხოლოდ გავაფრთხილე, ამ სატელეფონო საუბარს სასხვათაშორისო სახე უნდა მისცემოდა. ჩემთან უკვე მოშინაურებულმა მიქაძემ კი მაინც ისე გამოიყვანა, ვითომც მე დავურეკე შევარდნაძეს. და ეს არ მოხდა შეგნებულად. აქ სწორედ იმ სინდრომმა იმუშავა, რისიც მეშინოდა: თუ ჩემთან დაკავშირებული პირები ერთ დონეზე ან მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ ჩემთან, იგივე ადამიანები მასთან მონურ ნებელობას იჩენდნენ, რამაც შემდგომ შევარდნაძის მიერ ბიუროკრატიულ-დიქტატორული ძალაუფლების რესტავრაციაში გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ჩვენი პირველი სატელეფონო საუბარი არავითარი ღირსშესანიშნაობით არ გამოირჩეოდა. მე თავაზიანად და კეთილგანწყობით დავიწყე. იგი, პაუზებით, რაღაც მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებისათვის ემზადებოდა. ვუთხარი, რომ ჩვენ, მე და კიტოვანმა, სამხედრო საბჭო შევქმენით და ხელში ავიღეთ ძალაუფლება, მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდია ჯერ ისევ ბუნკერშია. ვიდრე ყურმილს კვლავ მიქაძეს დავუბრუნებდი, დავძინე: „როგორც კი სიტუაცია გამოიკვეთება, ჩვენ ალბათ კვლავ დავუკავშირდებით ერთმანეთს“. საინტერესო ის არის, რომ ერთსა და იმავე პიროვნებებს ჩემი - თავზე ხელაღებულის, ყაჩაღის, ბანდიტის - სულაც არ ეშინოდათ, როცა ამ წესიერი

კაცის - შევარდნაძის ხსენებაზეც კი აკანკალებდათ.

ერთხელ იმ ლაგერში მიმიყვანეს, სადაც ერთი ცნობილი ქურდი ბობოქრობდა: ქურდებიც და ლაგერის მოსახლეობა - პატიმრები შავ დღეში ჰყავდა. მიმიქარავს ხანი ან „უდელნი კნიაზი“, ისე იყო ჩაბუჟუნებული. მარტო დილით მისი ადგომა მთელი რიტუალი იყო. პირსაბანისაკენ მიდიოდა პროცესია: ერთს მიჰქონდა გამოსაცვლელი ქოშები, მეორეს - საპონი, მესამეს - პირსახოცი, მეოთხეს - წამოსასხამი, მეხუთეს - სარკე და სავარცხელი. სხვებიც, დაახლოებული პირები, ლაგერში ღამით მომხდარ ამბებსა და ჭორებს უყვებოდნენ გზადაგზა. პურის ჭამა ხომ ვიწრო წრის მდიდარ ქეიფს ჰგავდა. უმისოდ ზონაში არაფერი გაფაჩუნდებოდა, ყველაფერი მისთვის უნდა ეკითხათ. ერთხელ კლუბში ფილმი ისე გაუშვეს, რომ იგი ჯერ არ გამოჩენილიყო. დაგვიანებით მოსულმა ხელახლა გააშვებინა, მექანიკოსი კი სასიკვდილოდ სცემა. ლაგერის ერთი მეწაღე მხოლოდ მისთვის მუშაობდა. ხან მას უკერავდა ჩექმებს, ქოშებს, ნაირ-ნაირ ფეხსაცმელს, ხან - მის საყვარლებს, რომლებიც ხშირად აკითხავდნენ. თანაც, შიგადაშიგ, ეს ჩვენი „უდელნი კნიაზი“ სხვათა შორის მიტყეპდა ხოლმე უბედურს. ერთი სიტყვით, ცემას ვინ დაეძებდა. მეწაღე თავისი სარჩოსთვის ერთ-ორ კაპიკს ძლივს იტოვებდა. ისე მოხდა, რომ ჩემი მისვლიდან რამდენიმე დღეში „უდელნი კნიაზი“ მაგრად გაილახა, თავისი ადგილი მონახა და ლაგერიდან გაქრა. ლაგერში ნორმალური ცხოვრება დაიწყო - ხან ჩხუბი, ხან შერიგება, ხან სიმღერა, ხან გლოვა - ყველამ თავის თავსა და საქმეს მიხედა. მეც ჩემთვის ისევე ვცხოვრობდი, როგორც სხვები. პირველ ხანებში მეწაღე შემიჩნდა, გინდა თუ არა, ჩექმებს შეგიკერავო. უარი ვუთხარი. კარგი ხელოსანი იყო, შეკვეთები ბლომად ჰქონდა. გაიფურჩქნა, გამდიდრდა.

გავიდა ხანი. ეს ყველაფერი ყველამ თავის თავს მიაწერა, ყველამ ყველაფერი დაივიწყა, მაგრამ ბევრს „უდელნი კნიაზის“ წესრიგის ნოსტალგია ღრღნიდა. მეწაღე, როცა დათვრებოდა, ან ახალ ვინმეს თუ უყვებოდა ძველ ამბებს, ან თუ სიტყვა მოიტანდა, ამბობდა: „ეჰ, ჯაბა რა ქურდია, აი, ქურდი ის იყო, „უდელნი კნიაზი“ - მაგარი ვინმეო“. ამას რომ მიყვებოდნენ, მეამაყებოდა.

აკადემიაში დათო გადრანმა შეიარაღებული სვანების ლიდერები მომიყვანა ქვეშევრდომული განწყობის

დასამოწმებლად. რამდენიმე ათეული კაცი ქალაქშია გაბნეული. ერთნი შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, დილარ ხაბულიანის სვანური საძმოს წევრები არიან, მეორენი - ზვიად გამსახურდიას დაცვის უფროსის ახლობლები. არიან მხედრიონელების ნათესავებიც და გულშემატკივრებიც. ხაბულიანი დაკარგულია, გამსახურდია ბუნკერშია. ახლა მათ არ იციან, ვის მიეკედლონ. დათოს დიდი იმედი აქვს, რომ ისინი ჩვენს მხარეს აქტიურად ჩაებმებიან ომში, მაგრამ მე ვატყობ, ეს ქვიშაზე აგებული დამოკიდებულებაა. კრიტიკულ მომენტში მათ იმედზე ყოფნა არ შეიძლება. დათო თითქოს ჩემს აზრებს კითხულობს და მათ გასაფანტავად დემონსტრირებას უკეთებს თავის გავლენას - სვანურად უყვირის რაღაცას, უდროო დროს ტუქსავს. მათთან ერთად, მაგრამ როგორღაც განცალკევებით დგას ავთო იოსელიანი, თითქოს მეუბნება, მე მაგათთან არა ვარო. მისი მჯერა, ნამუსიანი ვაჟკაცია.

სადგურზე ზვიადისტებს დიდი მიტინგი გაუმართავთ და ისტერიული წივილ-კივილით აქეთ მოდიან. ამბობენ, უკან, შეფარულად, ავტომატიანი ჯგუფიც მოჰყვებაო. ეს უკვე მიტინგი კი არა, სამხედრო ოპერაციაა. აქედან თუ ისინი შემოვიდნენ და ბუნკერიდანაც გამოვიდა ხალხი, დიდი სისხლისღვრა იქნება. ვგზავნი ბიჭებს, ვუკავშირდები ყარყარაშვილს - დაფანტონ, ვიდრე რაიმე უბედურება არ მომხდარა. „თუ სროლა მოგიხდეთ, მხოლოდ და მხოლოდ ჰაერში. მეგაფონებით მოუწოდეთ, რომ დაიშალონ. ომი მიმდინარეობს და მიტინგები აკრძალულია“.

ჯერ კიდევ არაფერი ვიცი, თუ როგორ დამთავრდა მიტინგი. მოვარდა თამრიკო ჩხეიძე. გაბრაზებული მიყვირის: „რა, ჩვენც იმასვე ვაკეთებთ, რასაც გამსახურდია?“ „რაშია საქმე? - ვეკითხები - თქვენმა ბიჭებმა და გვარდიელებმა მიტინგი დაარბიეს“. „მაშ რა ვქნათ, თამრიკო, ეგრევე ჩავბარდეთ? ხომ გამოვაცხადეთ კომენდანტის საათი? მიტინგები აკრძალულია“. ბრუნდებიან დაღლილი, აგზნებული ბიჭები. „რა მიტინგი, რის მიტინგი, ბატონო ჯაბა! აქეთ მოდიოდნენ. როგორც ფაშისტებს სჩვევიათ, წინ ქალები, უკან კი ორი მანქანა შეიარაღებული ჯგუფი. მათ პირველებმა გახსნეს ცეცხლი. კიდევ კარგი, ხალხი გაიფანტა და მსხვერპლი არ არის. ჩვენგან ერთი კაცია დაჭრილი და მათთანაც ალბათ ასე. გაიქცნენ“.

გვატყობინებენ: რუსთაველის თეატრს წვავენ,

„ზაჟიგატელნებით“ ესვრიან მთავრობის სახლიდან. „კაგებეს“ ციხე იწვის. ვეძახი გიგა არველაძეს: „გიგა! სასწრაფოდ! ციხის დედაც ვატირე. რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, რუსთაველის თეატრი გადაარჩინეთ! ჯგუფი შეუშვი ტელეგრაფთან ან ისევ სასტუმრო „თბილისთან“, ყურადღება გადაატანინეთ და სახანძრო გამოიძახეთ“. გვიან საღამოს გასავათებული გიგა და ბიჭები ბრუნდებიან. ციხეს აღარაფერი ეშველება, სახანძრო არ მოვიდა, თეატრის სახურავზე კი მხედრიონელებმა ჩააქრეს ხანძარი.

ნელ-ნელა იკრიბებიან პარტიებისა და საზოგადოებების წარმომადგენლები, მონარქისტები, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. ირაკლი წერეთელი დაკარგულია, არსად ჩანს. ნუკრი ცისკაძეს ვავალებ მათთან ურთიერთობას. საჭიროა სამხედრო საბჭოსთან შეიქმნას სათათბირო დარბაზი ან რაღაც სხვა ცივილური ორგანო, რომელიც ჩვენთან ერთად მიიღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. კიტოვანი სკეპტიკურად უყურებს ამ იდეას, თუმცა არც წინააღმდეგია. სიგუას კი მოსწონს და ებმება ამ სამუშაოში. ვეძახით გამსახურდიას პარლამენტის წევრებსაც: „ყველა - მინუს ერთი“. რაიონებში ვნიშნავთ ახალ გამგებლებს. რუსლან მიქაბერიძეს უსაქმობა აწუხებს, მთხოვს, სადმე რამე ოპერაციაზე თან წავიყვანო. საღამოობით ჩემთან იძინებს.

დავით სარალიძემ ყავარჯნებზე დაყრდნობილი რომან გვენცაძე მოიყვანა. ჩემდა გასაკვირად, დიდად აღფრთოვანებული არ ჩანს შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნის გამო. არც უარს ამბობს, მაგრამ ავადმყოფობას იმიზეზებს და რაღაც იმტვრევა. არადა, ახლა პირველ რიგში საჭიროა შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაცია, ახალი ხალხით მისი შევსება. ვატყობ, ასეთი განწყობით რომანი თავს ვერ გაართმევს ამას. აქ საჭიროა ენთუზიასტი.

ჩემთან ხშირად მოდის სანდრო კავსაძე. ურიგო კაცი არ ჩანს, მაგრამ ძველი კომუნისტების არც იმედი მაქვს და არც არის საჭირო ისინი წამყვან ძალაში ჩავრთოთ. ისევ რომანს ვამხნევებ. დათო სარალიძეც მხარს მიბამს. ჯერჯერობით საავადმყოფოში იქნება. დროის გაყვანის პოლიტიკაა. რა ვქნათ, რაც არის არის - ისევ მხედრიონს უნდა დავეყრდნოთ. ნომინალურად მაინც მას ვნიშნავთ. კიტოვანი კი გულუას უშვებს ქალაქის სამმართველოს უფროსად. გვარდიელია,

პირველმა გადააგდო კომუნისტის მანდატი. მართალია, მერე ზვიადისტი იყო, მაგრამ ახლა ჩვენთანაა. როგორც იქნა, გამოჩნდა მერაბ ალექსიძე. საზღვარგარეთ ყოფილა. გულზე მომეშვა. მერაბი თუ ჩვენთან არ იქნებოდა, ეჭვი შემეპარებოდა ჩვენი საქმის სამართლიანობაში. არავითარი თანამდებობა არ სურს. სადაც საჭიროდ ჩავთვლი, იქ წავა. რა კარგია, რომ საქართველოს კიდევ მოეძებნება ასეთი შვილები. დახვეწილი ინტელიგენტი, განათლებული, ცნობილი მეცნიერი და, რაც მთავარია, ვაჟკაცი, პატიოსანი, პირდაპირი, უშიშარი ადამიანი. მას საკუთარი გეგმები აქვს პრივატიზაციასა და დემოკრატიული სახელმწიფოს მმართველობაზე. აი, ვინ იქნებოდა კარგი პრემიერ-მინისტრი. მაგრამ თენგიზ სიგუა, თავისი პოლიტიკური კაპიტალით, აქტივობითა და პოპულარობით, თავისი ძველი ბიუროკრატიული კავშირებით ჯერჯერობით, რასაკვირველია, კონკურსგარეშეა. მერაბს ვთხოვ, ჩაერთოს სათათბიროს შეკრება-ჩამოყალიბებაში.

გამსახურდიას უზენაესი საბჭოს ოპოზიციონერი დეპუტატები რაღაც გაერთიანებას აპირებენ. ქალაქში თითქოს აკაკი ასათიანი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეც გამოჩნდა. მინდა, რომ ეგენიც შემოგვიერთდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეშინიათ და ჯერ ვერაფერი გადაუწყვეტიათ. იარაღის და ტყვია-წამლის პრობლემა მწვავედ დგას. ხალხი ბევრია, იარაღი - ცოტა. გენერალ-ლეიტენანტი შარაშენიძე კისრულობს ამ საკითხის მოგვარებას. როგორც ამბობს, მეგობრები ჰყავს, რუსი სარდლები, ყველას სახელითა და მამის სახელით იხსენიებს. რეკავს ტელეფონით, „ვეჩეთი“ - აძლევს შეკვეთას, არც აქეთ, არც იქით, პირდაპირ: „მასკვა, კრემლ!“ რაღაცას პასუხობენ - „პაშოლნა...“ იგინება. ყურმილს ჰკიდებს და ბოლთას სცემს. რაღაც ფანტასტიკურ გეგმებს სახავს. კიტოვანი მეტსახელად „პიპინიას“ ეძახის, ექილიკება.

საღამოს მოდიან სომხეთის მთავრობის წარმომადგენლები. ბუნკერში ყოფილან. ეგეც ჩვენი რკალი! - როგორ შეაღწიეს? ვერ ვიგებთ, რა უნდათ. რაღაცას მიედ-მოედებიან. კიტოვანი უყვება, რომ ჩვენ ამდენი ხალხი გვყავს, რომ ახალი შეიარაღებაც მივიღეთ, რაღაც თანამედროვე არტილერია (ბლეფობს, აშინებს), რომ გამსახურდიას წინააღმდეგობას აზრი აღარა აქვს და საჭიროა ჩვენმა მეგობარმა სომხებმა დაარწმუნონ ამაში. თუ არ სჯერათ, შეუძლიათ წაიყვანონ და ახლავე დაათვალიერებინონ. რას ათვალიერებინიებს, არ ვიცი,

რაღაც ბავშვური „დედას გეფიცების“ ნაირსახეობაა, თეთრი ძაფით ნაკერი. საუბარში აღარ ვერევი, არადა, ვატყობ, სომხების ვიზიტს სულ სხვა დანიშნულება აქვს. ელდარ და გიორგი შენგელაიები აქტიურად მოქმედებენ. ელდარი შეძლებისდაგვარად პრესას აკონტროლებს, გიორგი რაღაცას ჩალიჩობს, რუსეთის პოლიტიკურ მოღვაწეებსა და გამოჩენილ ხელოვანებზე მესაუბრება: ბაბურინი თუ ბურბულისი, კინორეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი, გენერალი გრომოვი... თურმე ყველანი ჩვენ თანაგვიგრძნობენ. გუნებაში მეცინება, მახსენდება გამსახურდიას იარლიყი: „კრემლის აგენტები“. რადიო და სატელეფონო კავშირები ბუნკერში ჯერ არ შეწყვეტილა. გამართლდა ხმები, რომ გამსახურდია დაჟინებით მოითხოვს პეტრე ჩხეიძის ან მოსკოვში საქართველოს წარმომადგენლისგან, დაუკავშირდეს ელცინს და სხვა პირებს, ვისზეც დამოკიდებულია „ესენგეს“ საკითხების მოგვარება, რათა საქართველო დაუყოვნებლივ მიიღონ „ესენგეს“ (დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) წევრად. თვით გამსახურდია ტელეფონით ვიღაც დიდ ჩინოვნიკს ელაპარაკა ამის შესახებ, მაგრამ მოსკოვიდან კონკრეტული პასუხი ჯერ არ მიუღია.

ვიბარებ ფელიქს ტყებუჩავას - კავშირგაბმულობის მინისტრს. იგი ბუნკერში არ წაჰყვა გამსახურდიას, თუმცა არც ჩვენკენ მოუბრუნებია პირი. ცდილობს, დამარწმუნოს, რომ გუშინდლიდან ბუნკერში საქალაქთაშორისო კავშირი გამოთიშულია. მთხოვს, გავუშვა შვებულებაში 2-3 თვით. „გადავიღალე, მკურნალობა მჭირდება“. ეს ის ტყებუჩავაა, რომელიც აფხაზეთის გაყოფილი უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა. მცირეოდენი წვლილი მეც მიმიძღვის ამ საქმეში. ვახტანგ გოგუაძეს - მაშინდელ გავლენიან პრორექტორს ვთხოვე, მხარი დაეჭირა მისთვის. 1989 წლის აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით მხედრიონი რამდენჯერმე ჩავიდა სოხუმში. ნოემბერში კი მოგვიწია ახლად გამოცალკევებული უნივერსიტეტის დაცვა აფხაზი ექსტრემისტებისაგან, რომლებიც იმუქრებოდნენ, რომ ქართულ უნივერსიტეტში არ დაუშვებდნენ მისაღები გამოცდების ჩატარებას. შეშინებული რექტორატი ამაოდ ელოდა თბილისიდან - ცეკადან და განათლების სამინისტროდან - ნებართვას და, რაც მთავარია, ხელშეუხებლობის გარანტიას. შემდეგ მე მთხოვეს მხედრიონს

ეკისრა ეს მისია. ჩვენ იქ მანდარინის ბუჩქებში ჩაფლულები, წვიმაში გალუმპულები, უსმელ-უჭმელები მაგათ ვდარაჯობდით, ეგენი კი თურმე გაქანებული ქრთამებს იღებდნენ აბიტურიენტებისგან. „o, sancta simplicitas!“ შემდეგ ტყებუჩავა ზვიადისტი გახდა. ახლა ჰგონია, რახან ასე ძველებურად ველაპარაკები, არაფერი ვიცი. ყასიდად ვეკითხები: „მერე სამინისტროში ვინ დარჩება? სამი თვე დიდი დროა“ (ჰგონია, სამ თვეში ყველაფერი გაირკვევა და მერე მიიღებს გადაწყვეტილებას). „ჩემი მოადგილე, დიდი პროფესიონალი...“ „ჰო, კარგი“, - ვთანხმდები. მისი არც დარჩენა და არც წასვლა არაფერს შეცვლის.

თენგიზ სიგუა ნელ-ნელა აკოწიწებს დროებით მთავრობას. მოადგილედ ქვილითაია აიყვანა. იგი ჯერ კომუნისტების დროს დაწინაურდა მინისტრთა საბჭოში. მერე გამსახურდიამ მოძებნა და აღადგინა, ახლა სიგუა მეუბნება, კარგი სპეციალისტიაო. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მეც ვიცნობ, როგორც ნორმალურ კაცს. ორ-სამ თვეში არჩევნებს მოვაწყობთ და მაშინ ყველა სერიოზულად გაისინჯება. მე ჯერ საკუთარი საკითხიც არ გადამიწყვეტია, დავრჩები კი ხელისუფლებაში?

გია ხუბულაშვილმა ჩემს ბინაში დაცვა დააყენა, შესასვლელთან პატარა სამორიგეო ამოაშენებინა. „არ გინდა, ბიჭო, სამი თვისთვის რას აშენებ“. ყურს არ მიგდებს. იცის თავისი საქმე. მე კი ჯერ ისიც ვერ გადავწყვიტე, ჩამოვიყვანო თუ არა შევარდნაძე. მისი გამოჩენა, რასაკვირველია, ნაადრევია, მაგრამ მუშაობაა საჭირო, სათანადო ატმოსფეროს შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ცოტა პლუსი მოქმედებს მისი ჩამოყვანის სასარგებლოდ. არსებობს საშიშროებაც: გადაიქცა კი სავლე პავლედ? ძნელი დასაჯერებელია. თვით ეს ბიბლიური ხატი - მწვალებელი სავლეს წმიდა პავლედ გარდასახვაც კი მრავლის მთქმელია. პავლედ განწმენდილი სავლე ხასიათს არ იცვლის, იგი იცვლის მიზანსა და საქმიანობას, თორემ ხერხები ძველიდან აქვს შემორჩენილი. მაგალითად, თავის გადასარჩენად ის სიცრუეს არ ერიდება, ფარისევლებს ეუბნება, რომ ფარისეველია. ხან არწმუნებს მსაჯულებს, რომ რომაელია, ხან იუდეველია. სხვა მოციქულებისაგან განსხვავებით, ხშირად აურზაურს ტეხს, შეიძლება განხეთქილებაც შეიტანოს საკუთარ გარემოცვაში. სადღაც მოგვსაც აბრმავებს. შევარდნაძე რომ ბუნებით და ათეულწლობით გამომუშავებული ჩვევებით დემოკრატი არ

არის, მტკიცებას არ საჭიროებს. ეს თვითონაც აღიარა 9 აპრილის თაობაზე შეკრებილ აკადემიის სხდომაზე: ჩვენ ახლა ვსწავლობთ დემოკრატიას, ჯერ ხეირიანად ვერც კი გამოგვითქვამს სიტყვა პლურალიზმიო. 60 წელს გადაცილებული კაცი რომ პლურალიზმს პირველად გაიგებს, რისი იმედი უნდა გქონდეს. თუმცა, ასეთი გულწრფელობა კომუნისტებს საამაყოდაც მიაჩნიათ. მახსოვს, საბჭოთა კავშირის ხელოვნების მუშაკთა შეკრებაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა ისიც თქვა, რომ 28 წლისა იყო, როცა პირველად გაიგო ბალეტი. თუმცა, ამ აღსარებას სულაც არ შეუშლია ხელი, იქვე ჭკუა ესწავლებინა აბსტრაქციონისტებისთვის, როგორ უნდა ხატვა.

ამ ჩემს ეჭვებს ვუპირისპირებ მტკიცებებს, რომ შევარდნაძე ჭკვიანი კაცია, მას ესმის, რომ ახლა სხვა დროა და საჭიროა საქმის ახლებურად წარმართვა. ამავე დროს ჩვენც ისეთი კონსტრუქციის მართვის სისტემა უნდა შევქმნათ, რომ დიქტატურა ან ავტოკრატიული ხელისუფლება გამოირიცხოს. შევარდნაძის ფაქტორის გამოყენებაში საჭიროა უწინარესად დავარწმუნო ჩემი კოლეგები და შემდეგ უარყოფითად განწყობილი ხალხის უმრავლესობა. ყოფილი კომუნისტური ფუნქციონერები მისი დაბრუნების შესახებ ოცნებასაც ვერ ბედავენ, საკუთარი ბედის ეშინიათ, ბევრმა მათგანმა დიდი ხანია საჯაროდ ჩაწიხლა კიდეც იგი. ყოფილი პრივილეგირებული ინტელიგენცია თავისი ადგილისა და როლის გარკვევითაა დაკავებული. ვფიქრობ, დავიწყო კერძო საუბრები, რჩევების სახით გამოკითხვები, პრესაში მეთოდურად, შიგადაშიგ მისი ხსენება, ტელევიზიით მე თვითონ გამოვალ და მისი დაბრუნების შესახებ ხმამაღლა განვაცხადებ. როცა დაინახავენ, რომ მე, ეს რადიკალურად განწყობილი ხელისუფლების მქონე კაცი, ამას ვთაობ, რაღა თქმა უნდა, მხარს დამიჭერენ.

ველაპარაკები ძმებს, შენგელაიებს, ვალერი კვარაცხელიას, ვახტანგ გოგუაძეს, ნანა ჯაფარიძეს (მისი ნათესავია და, კარგი იქნება, ვიდრე შევარდნაძე მოსკოვშია, იქ აღებული ინტერვიუ ჩამოიტანოს). გაკვრით ვეუბნები ქართლოს ღარიბაშვილსაც. მისგან სერიოზულად არ აღიქვამენ, მე კი რეაქციას შევიტყობ. მოსახლეობაც შესამზადებელია, თორემ იმდენი აგინეს და იმდენს ჩასჩიჩინებდნენ შევარდნაძის ავკაცობას, რომ გასაკვირი არ იქნება, ზვიადისტებმა აიყოლიონ და რამე მასობრივი აქცია ან წინააღმდეგობა მოგვიწყონ.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მთავარ რედაქტორად ვნიშნავ თამაზ წივწივაძეს. პოპულარული სატირიკოსია, სატირა კი სწორედ ისაა, რაც ახლა აუცილებელია: გაატრიზავოს ის, რაც ჯერ დამარცხებული არაა. კიტოვანი გვარდიელებით აკომპლექტებს თავდაცვის სამინისტროს, რომელიც მხოლოდ ნომინალურად არსებობს. ვიღაც საშა - რუსი პოლკოვნიკი დაჰყვება კონსულტანტად.

ტრიუმვირატი

სამომავლოდ ბევრი ზოგადი გეგმა მაქვს. ისევ ჩემს იდეას - საქართველოს მხედრიონს ვუბრუნდები. რაში გვჭირდება დიდი რეგულარული არმია? ეს ხომ ჩვენს ძირძველ ტრადიციებში არ ჯდება. ტრადიცია კი პრაქტიკით გამართლებული გამოვლენაა. სახალხო ლაშქრის სისტემა - ასე მოვიტანეთ ჩვენი თავი, სულ ცოტა, ოცი საუკუნეა. საკმარისია 15-20 ათასიანი მხედრიონი, რომელიც შეასრულებს არმიის უმცროსი და უფროსი ოფიცრების დანიშნულებას, ომის შემთხვევაში კი, საყოველთაო მობილიზაციით, ორასი ათასიანი ლაშქრის ხელმძღვანელობას. ყოველი თვის ბოლოს დაწესდება ლაშქრის სამდღიანი სასწავლო შეკრებები და ყოველი წლის ბოლოს - ერთთვიანი ყაზარმული ვარჯიში, წვრთნა. მხედრიონს დაევალება შინაგანი ჯარების ფუნქციები, ასევე სტიქიური უბედურებების და სამოქალაქო თავდაცვის საქმე. ეკონომიკურ რეფორმებს წინ უნდა უსწრებდეს რეფორმები მმართველი სისტემის ადმინისტრაციულ და სასამართლო სფეროებში. გაუქმდეს პროკურატურა, შეიქმნას ერთი დამოუკიდებელი საგამომძიებლო დეპარტამენტი. საბაჟოს დაევალოს სასაზღვრო ჯარის მეთვალყურეობის ფუნქციები. შეიქმნას დამოუკიდებელი სასამართლო, „კაგებე“(სუკი) შეიცვალოს საინფორმაციო-სადაზვერვო უწყებით. სამინისტროები შეცვალოს პარლამენტის დარგობრივმა კომისიებმა მხოლოდ კოორდინატორის უფლებით. მიწა დაუყოვნებლივ გადაეცეს კერძო საკუთრებაში. დაიწყოს ქვეყნის რეალური ინვენტარიზაცია და შემდეგ - პრივატიზაცია. ყველაფერი ეს კი შესაძლებელია ერის გამთლიანების

პირობებში. მერე ვინ შეძლებს ამას, რომელი პარტია ან პიროვნება? შევარდნაძე? ეჭვი მეპარება. იგი რამდენიმე წელიწადს მოუნდება თავის მართლებას და ფორმალურად ახალ ამპლუაში დამკვიდრდება. ზვიადისტები არასოდეს შეურიგდებიან მას. ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებიც კრემლის ხელისუფლებასთან აიგივებენ. მაინც ვცადოთ. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. თუ პარლამენტი მოამზადებს ნიადაგს კონსტიტუციური მონარქიის შემოსაღებად... მეფე, რომელიც პარტიულ ქიშპობაზე, პიროვნულ ამბიციებზე მაღლა იდგება და ტრადიციული კანონიერების საფუძველი ექნება, თანაც, პროკომუნისტურ საბჭოთა სივრცეში მოუხელთებელი გახდება პოლიტიკური სტრუქტურების ინტერვენციისათვის.

კი, მაგრამ წინა პლანზე კვლავ გამოდის სუბიექტ-ობიექტის პრობლემა - სად არის მეფე? ვინ? ბაგრატიონებიდან ჯერ რეალური კანდიდატურა არ არსებობს. რეგენტთა საბჭო? ვნახოთ, მე ყველაფერს პარლამენტის არჩევნებს ვუკავშირებ. დღეს კი დღის წესრიგში დგება მხედრიონისა და გვარდიის ურთიერთობა. გამსახურდიამ გვარდია ფაქტობრივად ჩემთან დასაპირისპირებლად შექმნა. ჯერ იყო და, მოახერხა შიგ მხედრიონში განხეთქილება ჩამოეგდო და თვითონ მიემხრო ერთი ჯგუფი, რომელსაც „თეთრი გიორგი“ დაარქვა. აბა, პოლიტიკურ პარტიას რად სჭირდებოდა შეიარაღებული ხალხი? მერე კი, ძალაუფლებაში მოსვლისთანავე, გვარდიის შექმნა დაიწყო. ეროვნული ძალების განვითარების თვალსაზრისით, გვარდია შტრაიკბრეხერული სამხედრო ორგანიზაცია იყო. სხვა საკითხია, რომ კიტოვანმა, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ფუნქცია შეუცვალა მას, თუმცა, გვარდიის დიდი ნაწილი ისევ გამსახურდიას პირადი ინტერესების დამცველია. მართალია, კიტოვანის გვერდიელები ჯერ ჩვენს ბიჭებთან ერთად ომობენ და მეგობრობენ კიდეც, მაგრამ რა მოხდება, თუ ისინი პარალელურ სტრუქტურებად დარჩებიან? მილიციასთან ხომ დიდი ბრძოლა მოგვიწევს. ეს ბოლომდე გახრწნილი კომუნისტური სტრუქტურა თუ ხარისხობრივად და ფუნქციურად არ შეიცვალა, დემოკრატიულ საქართველოზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მადლობა ღმერთს, გამსახურდიამ ის მაინც შეძლო, რომ „კაგებე“ დააძაბუნა და მისი ახალ ინსტიტუტად გადაქცევა სიძნელეს აღარ წარმოადგენს. დადის მისი შეფი მაისურაძე და რაღაც ზღაპრებს მიყვება. რა ქნას? აღარც ფული, აღარც შიში, აღარც შანტაჟის თავი, აღარც

აგენტურა. ეს ჩემი იდეები არც ქაღალდზეა გადატანილი, არც თანამოსაგრენი მყავს. თანამოაზრე კი ბევრია, რომლებსაც საუბრების მზაობის გარდა ჯერ არაფერი შეუძლიათ.

ასლან აბაშიძე გამოდის კავშირზე, მთავაზობს, აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გავუგზავნო კუკური გვარიშვილი, ჩემი ცოლის ბიძაშვილი. ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტია, ესე იგი, აჭარა ჩვენთან თუ არაა, არც ჩვენი წინააღმდეგია. კუკურის ვაცნობ ასლანის წინადადებას. ყოყმანობს. ვითარების შესასწავლად ბათუმში ვგზავნი მამუკა გვარიშვილს, კუკურის ვაჟს, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტების დროიდან ადმინისტრაციულ ორგანოებში მუშაობს. სიგუაც ხომ საბჭოთა ყაიდაზე აწყობს მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურას. მამუკას ნიშნავს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსად. კაცმა რომ თქვას, რა საჭიროა ეს პარაზიტული ბიუროკრატიული უჯრედი -კლასიკური კომუნისტური პარალელიზმის სისტემა, ფორმალურად შინაგან საქმეთა სამინისტროს მაკონტროლებელი რგოლი?! მახლას! ჯერ ამის დრო არ არის.

აფხაზეთში არეული მდგომარეობაა. გამსახურდიასა და მოსკოვის პროტეჟე ვლადისლავ არძინბას გვაროვნულ-კასტური პრინციპით ეთნოკრატია მოჰყავთ ხელისუფლებაში. ამას ხელს უწყობს გამსახურდიას მიერ მიღებული აპარტეიდული კანონი - უმაღლესი საბჭოს ეროვნული პრიმატით დაკომპლექტების შესახებ: 28 აფხაზი და 26 ქართველი დეპუტატი, როცა ელექტორატი შესაბამისად 1-3 ეფარდება. თბილისში შფოთიანი განწყობილებაა, კვლავ დაჟინებული ხმები ჩეჩენი სნაიპერების ქალაქში გაფანტვის შესახებ. აეროპორტში მართლაც აიყვანეს სხვადასხვა ეროვნების ჩრდილოკავკასიელი. მივდივარ აეროპორტში. იქ ვაგზლის კონტროლს გვარდიელები ხელმძღვანელობენ. ნასვამები არიან. ბუზღუნ-ბუზღუნით ისმენენ ჩემს შენიშვნებს. ვყვირი, ვიმუქრები და მათ რიგებში მხედრიონელები შემყავს. არამეგობრულად იბღვირებიან. ეს იმის სიმპტომია, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები. ამის შესახებ კიტოვანს უნდა მოველაპარაკო.

ვაშაკიძეებმა სამტრედიიდან მცირერიცხოვანი, მაგრამ ძლიერი ბიჭებით დაკომპლექტებული რაზმი ჩამოიყვანეს. მინდა ასლანთან გავგზავნო, იარაღს არის შეპირებული. იგი

ჯერჯერობით მხოლოდ მე მიკავშირდება. სიგუას და კიტოვანის დამოკიდებულება მასთან უნდო და დაძაბულია, მეჩვენება, რომ ძველი ანგარიშები მოქმედებს. ამას ემატება აჭარის პოლიტიკური პარტიების, უზენაესი საბჭოს დეპუტატების - დავით ბერძენიშვილის, ავთანდილ დიასამიძისა და სხვათა პრეტენზიები ასლანისადმი. გოგა ხაინდრავა შეუჩნდა სიგუას - როსტომ დოლიძე დანიშნოს აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. ამის დაშვება არაფრით არ შეიძლება, სერიოზულ კონფლიქტს გამოიწვევს. ვეწინააღმდეგები კიტოვანსაც და სიგუასაც. ჩვენ მოკავშირეები გვინდა ახლა თუ მოწინააღმდეგეები? თანაც, ჯერ ხეირიანად ძალაუფლება არც კი აგვიღია ხელში. გოგაც აქ არის, ცხარობს, მაგრამ ბოლოს მეთანხმება, მოიცადოს და უკეთესი დრო შეირჩეს ამ საკითხის გადასაწყვეტად.

გვარდიისა და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა უკვე ერთია. ვიკრიბებით მხედრიონის მეთაურებიც. გვინდა დავგეგმოთ სერიოზული სამხედრო ოპერაცია და დავამთავროთ საქმე. თუ გვნებდებიან, დაგვნებდნენ, არადა, გაჭიანურება აღარ შეიძლება - ეს ორხელისუფლებიანობაც კი არაა. ცოტაც და, ანარქია დაიწყება. სამხედროები ჰყვებიან, თუ რა კარგი იერიში ჰქონდათ ჩაფიქრებული ჩემს გამოსვლამდე, მაგრამ ვერ განხორციელდა. „რატომ?“ - ვეკითხები. თურმე დაუქირავებიათ რუსების „ბეემპე“ თავისი ეკიპაჟით, რომელიც შეიჭრებოდა მთავრობის სასახლის ეზოში, მიანგრ-მოანგრევდა იქაურობას, მერე კი გვარდიელები უნდა გადასულიყვნენ იერიშზე. ამის პირველი ნაწილი შესრულდა, მაგრამ იერიში არ გამოვიდა. რუსების ეკიპაჟიც დაიღუპა. „ასეთი რამის გამეორებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მე ჩემს კისერზე ვიგემე ამგვარი ოპერაცია შავნაბადაზე. ჩვენს საქმეში არავის ჩარევა არ არის საჭირო“. „ამის საშუალება არც არის - ახლა რუსები ამაზე აღარ წამოვლენ“, - მაწყნარებენ აქეთ-იქიდან. ისევ გიგა არველაძეს, გია სვანაძეს და გია ვაშაკიძეს ვავალებ, ხვალ საღამომდე საფუძვლიანი დაზვერვა განხორციელდეს, ბიჭები მოემზადონ და ზეგ დილით ადრე თავს დავესხათ იქ, სადაც ნაკლებ წინააღმდეგობას გაგვიწევენ. ხვალ კი მთელი დღე ყარყარაშვილმა, დათუაშვილმა და დევიმ არტილერია ამუშაონ - ისე, სხვათა შორის, რომ მოსვენება არ მივცეთ და ყურადღებაც გადავატანინოთ.

აკადემია სავსეა ახალგაზრდა თბილისელი ბიჭებით, ერთ

პატარა ჯგუფს ჩემი ახლო მეგობრის, აწ გარდაცვლილი შოთა სალუქვაძის შვილი ანანია ხელმძღვანელობს. ეს განსაკუთრებით მიხარია. შოთა, დიდი პატრიოტი, აღფრთოვანებული იქნებოდა ამით.

საინტერესო დამთხვევაა. დღეს, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, 1996 წლის 6 იანვარია. შევარდნაძის მიერ დაპატიმრებული, შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორში ვიმყოფები. ბრალდება დაახლოებით იგივეა, რაც მქონდა 5 წლის წინ გამსახურდიას მეცადინეობით. ჰოდა, დღეს ვიხსენებ, რომ 4 წლის წინ, სწორედ 1992 წლის 6 იანვარს, გამსახურდია გაიქცა ბუნკერიდან. 5 იანვარს, შუაღამისას, მატყობინებენ, რომ ინტენსიური მოძრაობაა გამსახურდიას სახლში - კოლხურ კოშკში. ვგზავნი კვლავ პატარა ამირანას, მხოლოდ და მხოლოდ სათვალთვალოდ. ცოტა ხანში მატყობინებს, რომ რუსების ორი „ბეტეერი“ მოადგა სახლს, რაღაც-რაღაცეებით დატვირთეს და გაიტანეს. ეგ ტრასა „ყაჩაღას“ ხალხს უნდა ეკონტროლებინა. ტრასა ცარიელია. ჩვენი პატრულიც არ ჩანს. ვტეხ განგაშს. ზაზა ვეფხვაძე აგროვებს ბიჭებს და იქით მიიჩქარის. „დევიატკა“ და გოგას მეგობრები მოედნისკენ მიდიან. იქ გია სვანაძეა, მათ შეუერთდებიან. „კაგებეს“ შენობა, ციხიანად, ორი დღეა ნელ-ნელა იწვის. ახლოს ვერ ვეკარებით. იქაურობა სასახლიდან იცხრილება. არადა, „კაგებეში“ იწვის ძვირფასი აპარატურა. მაისურაძე მარწმუნებს, რომ ყველაზე თანამედროვე და ძვირად ღირებულია. „ჩვენ ამ ელექტრომოსასმენით ირანს ვუსმენდით“. გიგა არველაძის მზვერავები მოცვივდნენ: „გამსახურდია გარბის, გამსახურდია გარბის! შესაძლებელია მათი აყვანა ან ჩაცხრილვა, ავტობუსებში სხდებიან!“ გადავრბივარ იმელში. იქ კიტოვანია. მასაც გაუგია ეს ამბავი. „რა ვქნათ?“ „ადგილზე გადავწყვიტოთ“, - ვეუბნები და ჩემი ბიჭებით მივეშურები სასახლისაკენ. „რა გინდა, რომ მიდიხარ. ბიჭები მოუვლიან“, - ამბობს თენგიზი. არ ვუსმენ, გადამწყვეტი მომენტია, იქნებ სულაც რაიმე შესატყუებელი მანევრი ან ხაფანგია. ვუახლოვდებით სასახლეს სამხატვრო გალერეის მხრიდან. ფრონტალური შეტევისთვის ვამზადებ ბიჭებს. სასახლეს შიგნიდან ცეცხლი ეკიდება. ისმის ხანგრძლივი, გაუთავებელი კანონადა. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს სასახლის ეზოში და შიგ შენობაში ხელჩართული ბრძოლაა. ჩვენკენ არავინ ისვრის. მართალია, ჯერ კიდევ ბნელა, მაგრამ უკვე ღიად ვართ

გამოსული რუსთაველის გამზირზე. ვემზადები იერიშისათვის. ველოდები წინა რიგებიდან გაგზავნილ დაზვერვას, მორბიან გახარებული გიო ხვიჩია, ზურია, ირაკლი ჯიბლაძე: „იქ აღარავინაა, სასახლე იწვის“. „მაშ რა კანონადაა?“ - ვეკითხები. „ეს მიტოვებული და მიყრილ-მოყრილი ტყვია-წამალი ფეთქდება“. კოწია ბიჭებთან ერთად გადარბის სასახლეში. „წესრიგა“ ჩემთან რჩება. როცა ვრწმუნდები, რომ სასახლე მართლაც ცარიელია, ვბრუნდები აკადემიაში. იქ ქუჩის შეტაკებებში მონაწილე ბიჭები, რემბო და ვამპირა მხვდებიან. მატყობინებენ, რომ სასახლიდან ავტომანქანების კოლონა დაიძრა სოლოლაკისკენ.

თათრის მოედნის გასასვლელთან გია სვანაძისა და „დევიატკის“ ბიჭებს ცეცხლი გაუხსნიათ, მაგრამ მეტეხიდან წამოსულ ორ რუსის ტანკს კოლონა თავისი მფარველობის ქვეშ აუყვანია. „წითელი ხიდისკენ მიდიან, გადევნება შეიძლება“. „მიდიან და ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ“, - ვაცხადებ, როგორც გადაწყვეტილებას. ერთმანეთს გამარჯვებას ვულოცავთ. მადლობა ღმერთს! დიდ სისხლისღვრას გადავრჩით. ხვალ შობაა! კარგია, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა, რომ გამსახურდია არ შემოგვაკვდა ან ტყვედ არ ჩაგვბარდა. უნდა გაგვესამართლებინა და ამას მთელი დავიდარაბა მოჰყვებოდა. წავა და იყოს თავისთვის. ამის თაობაზე ათასი აზრია. ზოგი ამტკიცებს, რომ ჩვენ ეს ძვირად დაგვიჯდება, ზოგი, სამართლიანობის თვალსაზრისით, დასჯას მოითხოვს, რადგან სავარძლისათვის ასეთი უბედურება დაატრიალა. ზოგი კონსტანტინე გამსახურდიას იგონებს და ამბობს, რომ მისი შვილის დასჯა კარგი საქმე არ იქნება. ასეა თუ ისე, ახლა ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. ჩვენ მას არ გამოვეკიდებით.

მოჰყავთ ტყვეები, გამსახურდიას ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები, კიკნაძე, ლიტერატორი ტალიაშვილი. ციხეში ყოფნისას მისი პუბლიკაციები ხშირად გულს მწყვეტდა. კიკნაძე მამასთან ერთად არის მოსული. ფეხებში მივარდება: „ბატონო ჯაბა, არ მომიკლა შვილი“. უხერხულად ვგრძნობ თავს, ვაწყნარებ. ყველას ვუშვებ. როგორც პოლიტიკურ პლატფორმას, კვლავ ვაცხადებ: „ყველა - მინუს ერთი“. არც ფორმალურად, არც სერიოზულად მას არავინ იღებს. ან არ ენდობა, ან რაღაც ფარული გეგმები აქვთ. სათათბირო შეკრებილია. ვთავაზობ თანამშრომლობას პარტიების

ლიდერებს, პოლიტიკური საზოგადოებების ხელმძღვანელებს, უზენაესი საბჭოს ყოფილ დეპუტატებს, გამოჩენილ პიროვნებებს, საზოგადო მოღვაწეებს: აკაკი ბაქრაძეს, ლალი ჯავახიშვილს, რუსლან მიქაბერიძეს, ჭაბუა ამირეჯიბს, მერაბ ალექსიძეს, ნაირა გელაშვილს. აფსუს, რომ მამარდაშვილი ცოცხალი აღარ არის... ციხიდან ვათავისუფლებ ყველა მხედრიონელს - ასამდე კაცია. გია სვანაძე მიდის და სიით გამოჰყავს ისინი. ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ყველა პოლიტპატიმარია. შეთითხნილი საქმეებით სხედან.

ჩემთან მოდის „კაგებეს“ ციხის უფროსი ტარიელა. ციხე დაეწვა, უმუშევრად დარჩა. რაიმე სამსახურს მთხოვს. ვპირდები, ოღონდ არ ვიცი, სად გამოვიყენო. მახსენდება ჩემი რომანი, ვეკითხები: „სად არის კაკო, ჩემი თანამესაკნე?“ „ციხეში გადაიყვანეს“. „მას ჩემი ნივთები და ხელნაწერები ჰქონდა. ხომ არ იცი, რა უყო?!“ - ვეკითხები სხვათაშორის, დარწმუნებული, რომ ამის შესახებ ბაიბურშიც არაა. „შენი ყველა ნივთი, რაც კი კამერაში დაგრჩა, ხელნაწერიანი დიდი საქაღალდეც, გამოვართვი და ჩემთან, შემნახველ საკანში ჩავიტანე, მაგრამ რა გინდა რა, ყველაფერი დაიწვა“. დამცეცხლა: „ვახ, კაცო, ხელნაწერებს შენთან რა უნდოდა, მე ხომ მეიფარიანს მივაბარე, ვუთხარი, როგორც შვილს, ისე მოუარე-მეთქი“. „მე რა ვიცოდი, რომ ციხეს დაწვავდნენ. ვიფიქრე, ჩემთან უკეთ შეინახებოდა“. ვზივარ გამოფიტული, განადგურებული. ტარიელიც შეწუხებულია. არ ეგონა, თუ ასეთ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი რაღაც ხელნაწერებს. „წადი, ტარიელ, ნახე, იქნებ არ არის დაკარგული ან დამწვარი“, - ვამბობ უიმედოდ, თითქოს სამძიმარს ვეუბნები ჩემს თავს. „ეეხ! მეც ჩემი ქალიშვილის ახალთახალი ავეჯი იქ მქონდა შენახული. ყველაფერი დაიწვა“, - თანაგრძნობას მიცხადებს და თავს იქნევს ტარიელი. „იქნებ მაინც წააწყდეთ სადმე, ბიჭებს გაგაყოლებ, მოძებნეთ“. „კარგი“, - მთანხმდება, მაგრამ ისეთი გამომეტყველება აქვს, როგორც ცხედართან დაგვიანებით მისულ ექიმს. ზოროს ვავალებ, ტარიელს წაჰყვეს, თან ვინმე გაიყოლოს. ამას უფრო ჩემი თავის გასამართლებლად ვაკეთებ. ტარიელი, ზორო და კიდევ ვიღაც კიბეზე ჩადიან. ვფიქრობ, ხომ არ გავყოლოდი, გულს მაინც მოვიოხებ, გადავაყოლებ, მე თვითონ დავრწმუნდები. ვეძახი წესრიგას, ქუჩაში ვეწევით. ტარიელი გახარებულია, რომ მტრის ჯინაზე ჩემ გვერდით მიაბიჯებს. ხალხი ქუჩაში გამოფენილა, მცნობენ, ტაშით

მხვდებიან. შორიდან შევხედე გადამწვარ, უზარმაზარ გროვებად ახორხლილ ნაციხარ ნანგრევებს. იმედის ბოლო ნაპერწკალიც გამიქრა: აქ რას იპოვი - რა დაგიკარგავს, რას ეძებ. მივყვები ტარიელს, უაზროდ მივაფლატუნებ. შემნახველი საკანი დაახლოებით ამ ადგილას იყო, - ამბობს იგი, ბოლოს და ბოლოს და აგურების ერთ დიდ გორაკზე მიმითითებს. იქვეა რაღაც წამოყენებული სინკარისმაგვარი შედუღებული ნიშა. ვუახლოვდებით. ჩაფერფლილი მუგუზლების ქვეშ აქა-იქ ღვივის ნაღვერდალი. შიგადაშინ კბილსა ჰკრავს რაღაც გადარჩენილ საწვავს. მეყსეულად ვხედავ, მოლანდებაა თუ სიზმარი: ჰაერში ჩამოკიდებული თუ ხატივით მიყუდებული ჩემი საქაღალდე! აქეთ-იქიდან პაწია ლურჯი ალები ლოკავენ. ვახ! - აღმომხდა და ეგრევე კარგი მეკარესავით დავახტი თავზე. ჩემია, ჩემი რომანი! საქაღალდეს მუქი ყავისფერი არშია შემოვლებია. ალაგ-ალაგ ცეცხლს შეუჭამია. თბილია და მხუთრის სუნი ასდის. ერთი წუთიც და... მისგან აღარაფერი დარჩებოდა, აგიზგიზდებოდა ჩემი ნაოფლარი. მოვრბივარ გახარებული, ვათვალიერებ. ყველაფერი რიგზეა - ბოლო ფურცლამდე. ესეც შობა, ესეც სასწაული! დიდება შენდა ღმერთო, დიდება შენდა!

დღეს აკადემია ჭიანჭველების გაქექილ ბუდეს ჰგავს. ხალხი ფუსფუსებს, მიდის, მოდის. ჩემს მოსაცდელში სამასამდე კაცი ზის. რაზე არ არიან მოსული, ყველას პირადი სათხოვარი აქვს. სიგუას მიერ ჩამოყალიბებული, მაგრამ ჯერ დაუკომპლექტებელი მინისტრთა კაბინეტი ხვალიდან თითქმის დაუზიანებელ ცეკას ყოფილ შენობაში გადადის. კიტოვანი ამბობს, რომ ჩვენც იქ უნდა გადავიდეთ. მაშ, არჩევნებამდე აკადემიაში ხომ არ დავრჩები!

ტელევიზიით ხშირად გამოდის ყარყარაშვილი და, როგორც ქალაქის კომენდანტი, კითხულობს ბრძანებულებებს საალყო წესების შესახებ. დღეს კი მოდის და გვიცხადებს, რომ გადაღლილია, სურს, ათი დღით დაისვენოს, ქალაქიდან გავიდეს. ლიახვის ხეობა და ცხინვალი მიუხედავია. როგორც კი ციხიდან გავთავისუფლდი, ოსებმა კაცი გამომიგზავნეს, „ბეტეერებით“ დაგეხმარებით, თუ პირადად შენ გჭირდებაო - ისინი ხომ თავის პირველ მტრად გამსახურდიას მიიჩნევენ. მე უარი შევუთვალე, მაგრამ ახლა რაღაც უნდა ვიღონოთ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შევრიგდეთ. ეს საქმე სასწრაფოდ მისახედია. ალბათ გაძნელდება. ადგილობრივი მოსახლეობის

კონფრონტაციამ, ამ ჩვენი ვაი-პატრიოტების წაქეზებით, უკვე ღრმად გაიდგა ფესვი. დიდია მსხვერპლი ორივე მხრიდან. რა იოლად შეიძლებოდა ყველაფრის მოგვარება თავის დროზე, მაგრამ რა გინდა, გამსახურდია ამ შოვინისტურ ტალღაზე ამოტივტივდა. ეს კოსტავას საზოგადოებაც, რომელიც დაპირისპირების დროს შეიქმნა, ადგილობრივი მოსახლეობითაა დაკომპლექტებული. კიტოვანი და სიგუა იმდენ გამბედაობას ვერ იჩენდნენ, რომ დინების წინააღმდეგ წასულიყვნენ, ამიტომ ახლა, თავის გასამართლებლად, ყველაფერს ოსებს აბრალებენ და პროვოცირებულ ინერციას მისდევენ. არადა, 1989 წლის ნოემბრის ბოლოს, ცხინვალის მოვლენების დროს, სოფელ ქემერთში, ღამის ორ საათზე ხომ თენგიზ კიტოვანი მოვიდა ჩემთან სათხოვრად, როცა მე კეხვში ასამდე ოსი ბოევიკი ტყვედ ავიყვანე. მას თან ახლდნენ ცხინვალის ოსი საქმოსნები და მოსამართლე. მაშინ, კომუნისტების დროს, კიტოვანი პოლიტიკას ჯერ კიდევ შორიდან ეთამაშებოდა, მაგრამ ახლა აღარ დამთანხმდება, აქტიურად გავატაროთ შემრიგებლური პოლიტიკა - ნაკლებ პატრიოტობაში ჩაეთვლება.

ყულუმბეკოვიც სასწრაფოდ გასათავისუფლებელია. ისიც ხომ პოლიტპატიმრად არის აღიარებული. გოგა ხაინდრავაც ამ აზრზეა. ამ საქმის მოგვარებას მას ვავალებ.

გვატყობინებენ, რომ გამსახურდია სომხეთში გადასულა და დილიჟანთან დაბანაკებულა თავისი ამალით. აი, რატომ მოვიდა ჩვენთან სომხების დელეგაცია გამსახურდიას გაქცევის წინა დღეებში! მანამდე კი ბუნკერში მოინახულეს გამსახურდია.

გადავდივართ ცეკას შენობაში. სიგუას ყოფილი პირველი მდივნის კაბინეტი დაუკავებია, თენგიზ კიტოვანს - მეშვიდე სართული. მე მეხუთე ამირჩიეს ბიჭებმა. ჩემთვის სულ ერთია - სამ-ოთხ თვეში ყველა სართული მათთვის დამითმია. ვიკრიბებით სიგუასთან. გადასაწყვეტია, როგორ მოვიქცეთ, რა რეაგირება მოვახდინოთ გამსახურდიას სომხეთში გაქცევაზე, მოვთხოვოთ თუ არა სომხეთის მთავრობას მისი გადმოცემა. სხვადასხვა მოსაზრებებია. მე მიმაჩნია, რომ ჩვენს პოზიციას მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ექნება და, ალბათ, საჭიროა რაღაც პროტესტისმაგვარი მიმართვა მივიღოთ. საქმე ისაა, რომ, რაკი გამსახურდია რუსების ტანკებმა გააცილეს,

მას... ძალიანაც კარგი. მისი აქ ციხეში ყოფნა და გასამართლება სულ არ არის საჭირო. ასეც გადაწყდა. სიგუა ტელეფონით დაუკავშირდება ტერ-პეტროსიანს, სომხეთის ხელმძღვანელს და შედგება ნახევრად ოფიციალური საუბარი.

ყარყარაშვილი დასასვენებლად წავიდა. რა დროს დასვენებაა? კომენდანტად ლანჩავას ვნიშნავთ. მოადგილე ისევ გიგა არველაძეა. მოდიან და მოდიან კორესპონდენტები ყოველი მხრიდან. ვიღებ მხოლოდ ნაცნობობით. გერმანულ ჟურნალ „შტერნის“ კორესპონდენტს მოჰყვა თარჯიმანი ქალი. საოცრად კარგად თარგმნის. და თარგმნის არა მხოლოდ იმას, რასაც ვამბობ ლაკონიურად, მოკლედ, არამედ უცხოელისთვის გაუგებარ მომენტებს ავსებს ისე, როგორც მე ვიტყოდი, ღრმად რომ ჩაეკითხა ამ კორესპონდენტს. ეს მთარგმნელი ქალი ან კარგი ფსიქოლოგია, ან - თხემით ტერფამდე ჩემი თანამოაზრე. საიდანღაც მეცნობა, მაგრამ ვერ ვიხსენებ. თურმე ნაირა გელაშვილია, მწერალი. კომუნისტების დროს აკაკი ბაქრაძის სახლში შევხვედრივართ ერთმანეთს, როგორც პროტესტანტ-დისიდენტები. მას გამოქვეყნებული აქვს სტატიები, სადაც, ურაპატრიოტებისაგან განსხვავებით, ჰუმანური და კრიტიკული პოზიცია უკავია ეგრეთ წოდებული თურქი მესხების საკითხში. აქვე ვთავაზობ ამ პრობლემასთან დაკავშირებით კომისიის შექმნას და მის ხელმძღვანელობას. გაჭირვებით მეთანხმება.

ვალერი კვარაცხელია წინადადებას მაძლევს, გამოვიდე ტელევიზიით ღია ეთერში ახალი რუბრიკით - „პირისპირ“. ძალიან კარგი. ასე უნდა დავიწყოთ უშუალოდ ხალხთან დიალოგი - ეს ჩემი ოცნებაა. რუბრიკას მე ვხსნი. როგორც შემდეგ გამოჩნდა, ეს გამოსვლა ჩემთვის პირველი და უკანასკნელი გამოდგა. კვარაცხელია კონიუნქტურის გზით წავიდა, თუმცა, ამ ოთხი წლის განმავლობაში მრავალი საინტერესო დიალოგი შემოუნახა ისტორიას. ჩემი გამოსვლა სენსაციას მიეწერა. ზვიადისტებმა რამდენჯერმე გამორთეს დენი შიგ ტელევიზიაში. ეს მეტ ხალისსა და სტიმულს მანიჭებდა. შემოსული შეკითხვებიც საშუალებას მაძლევდა, ღიად მელაპარაკა ყველაფერზე. ამ გამოსვლაში პირველად ვისაუბრე შევარდნაძის ჩამოსვლის აუცილებლობის შესახებ. დღესაც, თუ ვინმეს სურს მისაყვედუროს შევარდნაძის პრობლემასთან დაკავშირებით, წამსვე მომაძახებს ხოლმე: „შენ არ იყავი, რომ ამბობდი, ოქროს ზოდიაო“.

საღამოს მოდის გივი კვანტალიანი და პროფესიულად ჩაწერილ-გაანალიზებული ოპერატიული ცნობები მოაქვს. იმდენად დახვეწილი, დაგეგმილი მასალებია, რომ ამ აწეწილ-დაწეწილ დროს დეტექტიური ფილმის პერსონაჟის განსჯას მაგონებს. მისი აგენტები (ერთ-ერთი სომეხია) მოამზადებენ გამსახურდიას მოპარვას, ამა და ამ საათზე ჩამოვლენ მასთან და მოახსენებენ ყველაფერს, ის კი, თავის მხრივ, მე ჩამაყენებს საქმის კურსში - შეიძლება წავიდეს? თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ. თან ვფიქრობ, რომელ აგენტებზე ლაპარაკობს, რის მოპარვაზე. როცა გამსახურდია აქ იყო, მაშინ შემპირდა 500 კაცს. მე და კიტოვანი ავედით კიდეც მის სკოლაში. მყარი დაპირებების მეტს ვერაფერს გამოვრჩით.

სიგუა კიტოვანის და თავის ხალხს ნიშნავს და ნიშნავს თანამდებობებზე. მე მხოლოდ ხელს მაწერინებენ. არ ვიცნობ, ვინ არიან. კრიტერიუმი ერთია: ოდნავ წესიერი ბიოგრაფიული მონაცემები და მათი ნაცნობობა-რეკომენდაცია. დასაწუნებლად ხშირად იყენებენ ტერმინ ზვიადისტს. მე ვეწინააღმდეგები: „ნუ ვიქმნით საკუთარ მოწინააღმდეგეებს. ასე, ერთ დროს ყველა ზვიადისტი იყო“ (ეს ქარაგმაა მათზე). სიგუა ზვიადის ლანდს ჰგავდა, კიტოვანი კი ეროვნულ ფორუმში თავის გვერდით და ჩემს საპირისპიროდ ეჯდა გამსახურდიას.

ქალაქი თანდათან წყნარდება. შეტაკებები აღარ არის. მიტინგებიც ჩაცხრა. სამაგიეროდ, დივერსიები დაიწყო, განსაკუთრებით, საქენერგოში.

ახალგაზრდა ენერგეტიკოსების რაღაც ორგანიზაცია განაგრძობს მოქმედებას. ჯერ კიდევ გამსახურდიას არ ვყავდი დაპატიმრებული, როცა ტელევიზიაში ჩემი ხუთწუთიანი გამოსვლისთანავე დაემუქრნენ ტელევიზიის ხელმძღვანელობას: თუ კიდევ გამოიყვანთ ჯაბას ან სხვა ოპოზიციონერს, დენს გამოგირთავთო. შიგადაშიგ აკი რთავენ კიდეც. აღარაფერს ვამბობ ჩემს სახლზე, იოსელიანის ქუჩაზე. ჩვენ გარდა, მთელი კვარტალი განათებულია. ზამთარში, „პატრიოტული“ მოსაზრებით, დენი გამოურთეს ცხინვალს. ეს, გამსახურდიას დავალებით თუ არა, მასთან შეთანხმებით მაინც მოხდებოდა, მაგრამ პასუხისმგებლობა მათ იკისრეს. ამ აქციის ირგვლივ საერთაშორისო უარყოფითი აზრიც მათ მიეწერა.

გახშირდა მსუბუქი ავტომანქანების მოპარვა-დაყაჩაღება. ზოგი მხედრიონისა და გვარდიის სახელს იყენებს. ზაზა ვეფხვაძეს ვავალებ, მიხედოს ამ საქმეს. თუ მართლა ჩვენიანი აკეთებს ამას, სახალხოდ გალახონ, წაართვან მედალი და აქ მომგვარონ, თუ სხვაა, არც ის დაინდონ.

ბუღა უკვე ჩვენთანაა, დეპრესიიდან გამოვიდა. მას თავისებური ლოგიკა აქვს. „ყველას საკუთარი გვარი აქვს. მე თუ რამე უსამართლობას ჩავიდენ, ყურაშვილი ვარ და არა მხედრიონელი. გაიგე? უუ! თუ გავხსენი ციხე თბილისში...“ გულზე მჯიღს იცემს, ემუქრება ვიღაცას და არა თავჩაქინდრულ ეჭვმიტანილს.

კურიოზი ბევრია. ცხოვრებაში თუ ვინმესთან რამე ურთიერთობა მქონია, ყველა მისაღებშია. გარდა ჩემი ძველი ნაღდი მეგობრებისა - ისინი დამეკარგნენ. აღარ ჩანან. მოდის ერთი მოხუცი კაცი. ამბობს, რომ ჩემთან სწავლობდა. ვუყურებ. საუკუნეა, არ შევხვედრივარ. მაინც ვცნობ, სამჯერ დარჩენილი მეოთხე კლასში იყო ჩემთან. „ჯაბა, - მეუბნება დამწუხრებული სახით - შენ ხომ იცი, მამაჩემი რომ დაიჭირეს“. „ვაიმე, - ვფიქრობ, - საიდან ვიცი. ეს ხომ ჩემზე სამი-ოთხი წლით უფროსია, ესე იგი, სამოცდაათს უკაკუნებს. ნუთუ მამამისი ცოცხალია? და თუ ცოცხალია, რა ჩაიდინა ამ ხნის კაცმა, რომ დაიჭირეს“. „რატომ?“ - ვეკითხები. „როგორც ტროცკისტი“. „ტროცკისტი? როდის?“ „1937 წელს“... გულზე მომეშვა. „მერე რა?“ „როგორ თუ რა, როგორც რეპრესირებულის შვილს, ერთი მანქანა არ მეკუთვნის?“

სათათბირომ დაიწყო ფუნქციონირება. თამრიკო ჩხეიძე, ლუიზა შაკიაშვილი, რუსლან მიქაბერიძე, მამუკა გიორგაძე, ირინა სარიშვილი. ერთი-ორჯერ გაიელვა ნოდარ ნათაძის სილუეტმა. ჩემთან შესახვედრად გამოჰყავთ აკაკი ასათიანი. მათ ასეთი იდეა აქვთ: შეკრიბონ უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატები და ლეგიტიმური გახადონ ჩვენი ხელისუფლება. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდ ეს ალბათ არ გამოვა, რადგანაც უმრავლესობა დაიქსაქსა, ბევრიც გამსახურდიას გაჰყვა. მით უმეტეს, უზენაესი საბჭო, როგორც იყო დე-ფაქტო დაშლილი, ჩვენც დე-იურე გაუქმებულად გამოვაცხადეთ. ყოფილი დეპუტატები, პაატაშვილი, ურიდია, დიხამინჯია, ქმნიან ახალ პარტიას „ქარტია-91“. დაფუძნებას დავესწარი, კონსტრუქციული პირი უჩანს. მათ სათათბიროში ვიწვევ.

მთელ სამხედრო მემკვიდრეობას: სამინისტროსა და გვარდიის შენობებს, რუსის ჯარის დანატოვარ ყაზარმებს, იარაღს, ულუფებს, ჯამაგირებს, ჩინებს, „ტაუს“ ყოფილ შენობას, შავნაბადას გვარდია ეუფლება. ჩვენ? მხედრიონს? ჩვენი მომავალი ფუნქცია ჯერ გაურკვეველია. ალბათ, კვლავ მაშველთა კორპუსის ოფიციალურ რესტავრაციას შევუდგებით. ყველა მინისტრი და თანამდებობის პირი, ვინც არ გაიქცა, თავის ადგილზე რჩება. ჩემი მოთხოვნით ერთადერთ, ფინანსთა მინისტრად ინიშნება ფარნაოზ ანანიაშვილი. დიდი სპეციალისტია, განათლებული კაცი და, თან, ჩემი მეგობარიც. კულტურის მინისტრად ვერა და ვერ გავიყვანე ვახტანგ გოგუაძე. ვერ გაუძღვება - მიწუნებს სიგუა. კი მაგრამ, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, უნივერსიტეტის ყოფილი პრორექტორი, რომელსაც ფაქტობრივად მიჰყავდა საქმე თსუ-ში. გარდა ამისა, ეროვნული კონგრესის წევრი, მშვიდობის მაძიებელი, ანტიზვიადისტი. პარტიული მანდატიც კომუნისტების დროს გადადო. მიტინგებიც უნივერსიტეტის ეზოში ხომ მისი წაყრუებით და ზოგჯერ თანამშრომლობითაც იმართებოდა. ვეჭვობ, ეს იმიტომ ხდება, რომ იგი ჩემს ახლობლად მიაჩნიათ.

კიტოვანი გარშემორტყმულია გასამხედროებული საქმოსნებით. ისინი რუსი სამხედროების გამოთავისუფლებულ შენობებს, ჰოსპიტლებს, რომელიღაც გასამხედროებულ ქარხნებს უმიზნებენ, მათ ხელში ჩასაგდებად ჩალიჩობენ. მახსენდება სამოქალაქო ომის დროს რუსეთში აღმოცენებული რუსული „ბლატნოი“ სიმღერის - „კირპიჩიკის“ რეფრენი: „ი პო ვინტიკუ, პო კირპიჩიკუ, რაზაბრალი ვეს ნაშ ზავოდ“.

მამუკა გვარიშვილს ჩემთან მოჰყავს ვიღაც ვახტანგ რჩეულიშვილი, გინდა თუ არა, რუსის ჯარის რომელიღაც ყოფილი ქარხანა ჩვენ გადმოგვეცით, რაღაც ფირმას თუ კოოპერატივს ვხსნითო. „ვინა ხართ ეს თქვენ?“ - მათ ჩემი კოწია აუყოლიებიათ, რაღაც კორპორაცია შევქმნათო. ძალიან თავხედი ვინმეა. კოწიას მაგრად დავუცაცხანე, მამუკასაც უარი ვტკლიცე, თუმცა არც ვიცი, რა ქარხანაზეა საუბარი.

რომან გვენცაძე გამოჩლახუნდა სამუშაოზე. ასე თუ ისე, შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოდის კოლაფსიდან. მალე საჭირო იქნება მათი გამოჯანსაღება, ახალი ადამიანებით,

ახალგაზრდობით დაკომპლექტება. ხალხთან მათი მტრული დამოკიდებულების, მათი კატის ფსიქოლოგიის, ძაღლების იარლიყის ბუნებრივი შეცვლა - ეს ძალიან ძნელი პროცესი გამოვა. რაც მაგათ რუსეთის საპატიმრო ჯურღმულებში, ჩრდილოეთის ლაგერებსა და ციმბირში ახალგაზრდობა ჩაალპეს და დაღუპეს... საბოლოოდ გავაუქმებთ პროკურატურას - ამ საბჭოთა კანიბალისტურ ორგანოს - თვითონ იჭერს, თვითონ იძიებს, მისი ზედამხედველობით მიმდინარეობს სასამართლო. ჯერჯერობით, ვიდრე პარლამენტი არ შეიკრიბება, ხელი არ უნდა ვახლოთ. მეუბნებიან, იქაურობა ზვიადისტებითაა სავსეო. მეც ვიცი. დღეს დერეფანში შემხვდა ვახტანგ გვარამია, დარცხვენილი აეკრა კედელს. გამახსენდა ჩვენი საუბარი „კაგებეს“ ციხის საგამომძიებლო ოთახში. ვესალმები და მეგობრულად ვუღიმი, რაც იყო - იყო.

ბიჭები უკან დამდევენ: ბატონო ჯაბა, არ იჭერთ, სამსახურიდან არ ხსნით. ჯანდაბას! გაგვალახინეთ მაინც ეგ ჩვენი უნამუსო გამომძიებლებიო. წადით, დაიკარგეთ! თქვენ რომ აგყვეთ, აქ ყველა დასახოცი გამოდგება.

ჩემი თანაშემწე ნუკრი ცისკაძეა - მხედრიონის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე. მშვენივრად უძღვება საქმეს. მომთხოვნი, პატიოსანი, განათლებული და მუშა ბიჭია. ჩემთან მოზღვავებულ მოთხოვნებს ჭკვიანურად ცხრილავს.

ხშირი სტუმარია მიშიკო იოსელიანი. მატერიალურად მეხმარება, ბიჭებს პროდუქტებს უგზავნის - ჩვენ ხომ ჯერ ისევ ყაზარმულად ვცხოვრობთ. მთავრობას რა აქვს, ჩვენ რა უნდა მოგვცეს. ამაზე არც ვფიქრობთ. აფსუს, მიშიკო, ეს უჭკვიანესი ახალგაზრდა კაცი ავადმყოფობს. აი, ვინ უნდა ჩაუდგეს სათავეში კვების მრეწველობას, სოფლის მეურნეობას. მხოლოდ ასეთი, ამ დამყაყებული, კომუნისტური აზროვნებისგან თავისუფალი ადამიანი, ნამდვილად თანამედროვე პრაგმატიკოსი, ყოველგვარი კომპლექსების გარეშე, ფართოდ მოაზროვნე და იუმორით სავსე. რა უბედურება გვჭირს - ან რეზო თაბუკაშვილი უნდა მოკვდომოდა ახლა საქართველოს? განათლებული, ჭკვიანი, პროფესიით დიპლომატი, მწერალი, პოეტი, კინორეჟისორი, საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი ქართველი, დარბაისელი ინტელიგენტი, ბრწყინვალე მოქართულე და მორუსულე

ორატორი, გულადი და პატიოსანი ადამიანი, შესახედავად ულამაზესი ვაჟკაცი. რა უბედურებაა ჩვენს თავს?! ღმერთო, შეგცოდე!

გულითადი შეხვედრა მომიწყო უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II. მას ალბათ ჰგონია, რომ მე ფიგურალურად ან მადლიერების გამოსახატავად ვამბობ, რომ მან სიცოცხლე შემინარჩუნა, მაგრამ მე ხომ ვიცი - შიმშილობას არავითარ შემთხვევაში არ შევწყვეტდი. არადა, უკვე არაამქვეყნიური ვიყავი. ის, რაც ჩემს ირგვლივ ხდებოდა, უცხო, უინტერესო და უსიცოცხლო მეჩვენებოდა. ერთ-ერთი პარტიის ლიდერს თურმე ჩემი სიკვდილი პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად სჭირდებოდა: რად გინდათ, რომ მისი გათავისუფლებისათვის იბრძვით, აცალეთ კაცს ღირსეული სიკვდილიო. ილია II მათვალიერებინებს თავის რეზიდენციას, მიჩვენებს ნატყვიარებს, ზვიადისტებმა თურმე რამდენჯერმე ცეცხლი გაუხსნეს საპატრიარქოს. „აი, ხომ გეუბნებოდით, თქვენ სჭირდებით საქართველოს, ხომ ახდა ასე!“ - სათნო ღიმილით მეუბნება იგი. მე ვეამბორები.

ქალაქში და, საერთოდ, ქვეყანაში სასწრაფოდ მოსაგვარებელია პურის პრობლემა. გამსახურდიას გაქცევის დღისთვის ორი დღის მარაგიღა იყო. ასეთ დღეში ვართ საწვავის მხრივაც. ენერგეტიკოსები დივერსიას რომ არ აწყობდნენ, დენს ენგურჰესი იძლევა და თბილსრესიც მუშაობს.

სიგუა რაღაცას ახერხებს - შემოაქვს ფქვილი, საწვავიც. ბანკები დაცარიელებული აღმოჩნდა. ჯერ დაუდგენელია, ოქროს ვინ რა მარაგი გაიტანა. ან იყო თუ არა საერთოდ იგი. ამბობენ, გამსახურდიამ პირველი დამოუკიდებლად შემოსული ვალუტიდან ორი დაჯავშნული „მერსედესი“ იყიდა. ერთი ასლან აბაშიძეს აჩუქა, მეორე თვითონ დაიტოვაო. ეს მართლაც ასეა. ერთი „მერსედესი“ ცეკას ავტოფარეხში დგას, ერთიც აჭარაშია.

გამსახურდიას არ გვაძლევენ, მაგრამ ერევანშიც არ უშვებენ, კვლავ დილიჟანთან არის დაბანაკებული. ჩვენც თავს არ ვიკლავთ, კატეგორიულობას არ ვიჩენთ. გივი კვანტალიანის ოპერაცია, რაღა თქმა უნდა, ბლეფი აღმოჩნდა. ის მაინც იხტიბარს არ იტეხს. დადის კალმითა და ბლოკნოტით ხელში. ახლა უკვე კიტოვანს აბრუებს, დიდ, გავლენიან კაცად მოაქვს თავი.

სიგუას კაბინეტში ელვაშეკრებაა. „ჩე-პე“ - განსაკუთრებული მდგომარეობა: ზვიად გამსახურდია სომხეთიდან გაქრა! ჩვენ გარდა, აქ არიან სამხედროები, „კაგებეს“ შეფი მაისურაძე. რუსული ავიაგამანადგურებლით დაცული თუ თვით გამანადგურებელში მყოფი გამსახურდია მიფრინავს გაურკვეველი მიმართულებით. ეს ცნობა რუსი სამხედროებისაგან მოიტანეს. გენერალი „პიპინია“ ოთახში ბოლთას ცემს და უმისამართო ბრძანებებს იძლევა. „აუშვან გამანადგურებელი, დაეწიოს და ჩამოაგდოს. კ ჩორტოვოი ბაბუშკე - ნადაელო, ბოლოს და ბოლოს, ეს გამსახურდია“. ალბათ გროზნოსაკენ უჭირავს გეზი - მოდის დამატებითი ცნობა. ვფიქრობ, იგი დიდი ხანია გროზნოშია. რუსებმა ფაქტის წინაშე დაგვაყენეს და ვითომ პროცესში ჩაგვრთეს. ეს რომ ხმამაღლა ვთქვა, უსაგნო დავას გამოიწვევს, თენგიზები შეურაცხყოფად მიიღებენ. ისე უჭირავთ თავი, თითქოს რუსები მათ გარეშე ნაბიჯსაც არ დგამენ. საბოლოოდ ირკვევა, რომ გამსახურდია, ოჯახთან ერთად, დაცვითა და მცირე ამალით გროზნოშია, დუდაევთან. რუსთავის მხედრიონიდან გვატყობინებენ, რომ ხალხი, რომელიც გამსახურდიას გაჰყვა, უკან ბრუნდება. რუსთავში ცოტა გაურკვეველი მდგომარეობაა. თემურ ხაჩიშვილი გავგზავნე ქალაქის გამგებლად. საპასუხისმგებლო რეგიონია, მრავალი შეიარაღებული დაჯგუფება შეიქმნა სპონტანურად მას შემდეგ, რაც მხედრიონის წევრები დააპატიმრეს. თვით მეთაურიც რუსეთის სამხედრო დაზვერვის აგენტი გამოდგა. ახლა იქ თემურ ტალახაძის ჯგუფი ხან მხედრიონელობს, ხან დამოუკიდებელ საქმიანობას ეწევა. ქარხნები, კომბინატი და საწარმოები შეწუხებული ჰყავთ. კომბინატის დირექტორი, გურამ ქაშაკაშვილი, ჯერჯერობით დაბნეულია, ორიენტაცია ვერ აუღია, ეძებს გავლენიან პატრონს.

ხაჩიშვილმა მიატოვა რუსთავის გამგებლობა ისე, რომ არაფერი მკითხა. „ყველაფერი რიგზეა, - მეუბნება. - მე საერთო მეთვალყურეობას გავუწევ, ასე აჯობებს“. ეჭვი მეპარება. ვფიქრობ, ვერ შეეწყო, თავი ვერ მოაბა საქმეს. კონფლიქტური ურთიერთობა აქვს ტალახაძესთან, კიდევ ვიღაც ძმებ ჭიჭიკოშვილებთან, თუმცაღა მერე, როდესაც საქმე საქმეზე მიდის, მათ იცავს. „არ შეიძლება, მხედრიონის გარდა იყოს რაღაც შეიარაღებული უკონტროლო ჯგუფები“. „ყველაფერს მოევლება“, - ამბობს თვითდაჯერებული. მისი ეს

თვითდაჯერებულობა ყოველთვის მაფიქრებდა. რა არის ეს? ასეთი კატეგორიულობა რაღაც ავადმყოფურია. აღარ ჩავსდიე. რუსთავში სხვა კარგი ბიჭებიც არიან: ზაზა ფეტელავა, ბესიკი, თვით თემურ ტალახაძეც მართვადია, ოღონდ სისტემატური ურთიერთობაა დასამყარებელი. სიკეთისკენ ისწრაფვის, ხელის შეწყობაა საჭირო. „მაგას ჯაბობა უნდა“, - ირონიული ღიმილით ამბობს ხაჩიშვილი.

ახალციხიდან ვიბარებ ამირან ბაბუნაშვილს, ვეუბნები, ფრთხილად იყვნენ. იქ ათი მხედრიონელიც არ არის, ამიტომ დაუკავშირდნენ ბორჯომელებს და თვალი ადევნონ საზღვართან მოძრაობას, შესაძლოა, დაბრუნებულმა ზვიადისტებმა შემოუტიონ. გიგა გელაშვილი თავისი ბიჭებით მოიხსნა და ბორჯომში დაბრუნდა. ტელეანძაზე მილიციის ბადრაგი დავაყენეთ, მაგრამ მეორე დღესვე მიატოვეს პოსტი. რომანს ვსაყვედურობ. „რა ვქნა, ათ კაცზე ორი ავტომატიც არ მოდის, მიატოვებენ, აბა რას იზამენო“. „ექვსი ათასი ავტომატი რუსეთს თქვენ არ დაუბრუნეთ?“ - ვიღრინები. ანზორ ქაჯაიას ხელმძღვანელობით ისევ თბილისის მხედრიონს ვუშვებ. ღმერთმა ნუ ქნას - ანძა აგვიფეთქონ. პატარ-პატარა ელექტროჯიხურებს გვიზიანებენ. ერთ დღეს ტელევიზიაზეც მოაწყვეს თავდასხმა, მაგრამ ნუკრი ჭელიძემ თავისი ათეულით იმარჯვა და უკუაქცია თავდამსხმელები. გიგა არველაძეს მოჰყავს თავისი სიძე, იურისტი ალეკო ბოჭორიშვილი. ერთი შეხედვით ქალაქელი გაგებული ადამიანია. ითხოვს, ჩემთან რამე თანამდებობაზე გავუშვა. იყოს კანცელარიის გამგედ. მართალია, ჯერ არავითარი კანცელარია არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ჩემს თანაშემწეს, ნუკრი ცისკაძესა და ჩემს ბიძაშვილს, ომარ ჟღენტს, მაგრამ ერთგული იურისტი სასწრაფოდ არის საჭირო, ათასგვარი საბუთია გასაფორმებელი. მოდიან ძმები შენგელაიები. ესენი უფრო სიგუასთან ურთიერთობენ. ისევ რუსულ თემას ეხებიან, ჩემს გამოსვლას შევარდნაძის შესახებ. ეტყობა, მოსწონთ ჩემი ინიციატივა, მაგრამ ფრთხილობენ. „მიდით, იმუშავეთ“ - მოვუწოდებ მე. იხსნებიან: მათ უკვე რაღაცა კავშირები დაუმყარებიათ. „ჰოდა, განაგრძეთ“. ორივე კარგი რეჟისორია, რას უყურებენ? ასეთი უნიკალური მასალაა, ასე ვთქვათ, ნატურალური სახით, გადაიღე და გადაიღე! „გააკეთეთ ერთი ფილმი, - ვიცინი მე - „რევოლუცია პო-გრუზინსკი“.

ქალაქის კომენდანტი გელა ლანჩავა ცოლს ბაზარში ტანკით

მიაგრუხუნებს. დილით კომენდატურიდან გაუვლის, ფანჯარაში შესძახებს და ისიც კალათებით ჩამოცუნცულდება. იქვე ქალების ბრბო შეკრებილა. აა, მიტინგია?! - იძახის ლანჩავა და ტანკის ქვემეხს მათკენ ატრიალებინებს. „არა, კაცო, - კივიან ქალები, - პურის რიგია, პურის“. „ჰო? მაშინ ორი პერი მეც ამიღეთ“. ისე, კაცმა რომ თქვას, რიგებიც ხომ თავისებური მიტინგებია. ბავშვობიდან სულ რიგები მახსოვს: პურის, შაქრის, კარაქის, ძეხვის და ა. შ. განა ისინი მდუმარე ეკონომიკურ მიტინგებად არ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა?

ჩემმა თადარიგმა გაამართლა - ჩემი გაფრთხილების მეორე დღესვე ახალციხესა და ბორჯომს შორის გზაზე მხედრიონელებმა ჩვენს რწმუნებულ ჩადუნელთან ერთად აიყვანეს გამსახურდიას ამალის უკან დაბრუნებული ბოევიკები - 60-მდე შეიარაღებული კაცი. თბილისში ჩამოიყვანეს და ქალაქის მილიციას ჩააბარეს. ვურეკავ გია გულუას: „დაკითხეთ და ჯერჯერობით მანდ გყავდეთ“.

ნაირა გელაშვილი საქმეშია. კომისიის მთელი შემადგენლობა მოდის კონკრეტული ღონისძიებების დასაგეგმად და ჩასატარებლად. ამ კომისიაში არის რამდენიმე თურქი მესხი, სიმპათიური რუსი ქალი, რომელსაც ჩემი რომანი, „სანიტარიული მატარებელი“, წაუკითხავს და ერთგვარი გამოსახმაურებელი წერილიც შეუდგენია. უხარია, რომ პირადად შემხვდა. აქვეა გურამ მამულია. მე თამრიკო ჩხეიძესაც ვუხმობ. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაც ჩემს სართულზეა განლაგებული. თავის დროზე თამრიკომ დიდი ომი გადაიტანა ქარელში ჩასახლებული მესხების გადასარჩენად. ახლა მათ ვაბრუნებთ. კომისიამ კრასნოდარის მხარის მთავრობის ულტიმატუმური წერილი გადმომცა. თუ რამდენიმე თვეში არ მივიღებთ ლტოლვილ მესხებს, ისინი მათ უარეს დღეში ჩააყენებენ, ვიდრე ეს გადახდათ ფერგანაში - შუა აზიაში. გადავწყვიტეთ, რომ კომისიის წევრები გაემგზავრონ კრასნოდარის მხარეში, მოინახულონ ლტოლვილები, შეხვდნენ მთავრობის წარმომადგენლებს, აუხსნან ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა, შეაგნებინონ, რომ ეს საქმე ერთბაშად ვერ გამოვა. ან რას ჰგავს ეს ყაჩაღური ულტიმატუმი?

სახალხო ფრონტიდან პაატა კოღუაშვილი რაღაცას ქაქანებს მიწის განკერძოების, კოლექტივებისა და მეურნეობების გაუქმების შესახებ. სადღაა კოლექტივები, კომუნისტების

ბოლო წლებში მხოლოდ ქაღალდზე ირიცხებოდნენ. სინამდვილეში ეს შემორჩენილი კოლექტივობა სახელმწიფო გადასახადების ასეთი ორიგინალური ფორმა იყო. გლეხები, ე. ი. კოლმეურნეობის წევრები, სხვაგან ნაშოვნი და ნაჩალიჩარი ფულით ბაზრებში ყიდულობდნენ ყველს, კვერცხს და ასე აბარებდნენ საგეგმო პროდუქტს - ნატურალურ გადასახადს. მერე ისე წავიდა საქმე, საერთოდ მხოლოდ ნაღდ ფულს იხდიდნენ თავისუფლების საფასურად. მეურნეობების საკითხი კი უფრო რთულად არის, ზოგან შეინარჩუნეს, ზოგან ყველაფერი დატაცებულია. ერთი სიტყვით, სოფლის მეურნეობას სასწრაფოდ და პირველ რიგში უნდა მივხედოთ. ეს დილეტანტური მსჯელობა, უცხოელების პროექტები არავითარ სიკეთეს არ მოიტანს. ამ პრობლემას ჩვენებური გადაწყვეტა ესაჭიროება.

ერთი-ორჯერ მოიყვანეს თედო ნინიძე. გამსახურდიას უზენაეს საბჭოში რაღაც იურიდიული საქმით ჰყავდათ დაკავებული. ესეც თეორიულ სიბრძნეებს აფრქვევს, არადა, ყველა პოსტულატის საბოლოო გადაკვეთა კომუნისტურ-შავრაზმულია. იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი საქმის მცოდნე, მაგრამ უპრინციპო კარიერისტია. მე ვუკვეთავ ამნისტიის პროექტს. ამნისტიის საკითხზე აზრის გამოთქმას ყველა ერიდება. მხოლოდ თენგიზ კიტოვანი იღიმება და თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს. თუ გვინდა ახალი ცხოვრება დავიწყოთ, ამის საშუალება ყველას უნდა მიეცეს. ჩვენ ჯერ კიდევ კომუნისტების დროის და მათი კანონებით გასამართლებული პატიმრები გვყავს საპატიმროებში. განა საზოგადოება უცოდველია? საბჭოთა კავშირში დამნაშავეობა ბედი იყო და არა ბოროტმოქმედება. ორი მშენებელი ამხანაგი მყავდა. ერთმა ცხრა კვადრატული მეტრი პარკეტი მოიპარა სახლისთვის და ხუთი წელი მიუსაჯეს. სანამ ის ანგელოზივით იჯდა და სასჯელს იხდიდა, მეორემ იმდენი საშენი მასალა მოიპარა, ერთი ქალაქი აშენდებოდა - ჰოდა, მინისტრი გახდა. ამ სამი წლის განმავლობაში კი ყველაფერი აირია, რაც მთავარია, სამოქალაქო ომმა გადაგვიქროლა. თუ ერის გამთლიანება გვსურს, ყველას ყველაფერი უნდა ვაპატიოთ, თუ რაიმე საშინელება არ ჩაუდენია. ჩვენ გავიმარჯვეთ. გამარჯვებულს მართებს სულგრძელობა, რაც ვაჟკაცობის შემადგენელი ნაწილია. აღარ მახსოვს, ჰიუგო თუ ზოლა ამბობს, რომ ადამიანთა ენაზე არ არსებობს ამნისტიაზე უკეთესი სიტყვა.

ძველი ახალი წელიც მოვიდა. ადრე წავალ შინ. ცოტათი დაწყნარებულ ატმოსფეროში, ჩემს ჯაბუკასთან შევხვდები. ქალაქის მილიციის სამმართველოდან გვირეკავენ, როდის გადავიყვანთ გამსახურდიას ამალას ციხეში. „არც როდის! გავუშვათ! გავაფრთხილოთ და გავათავისუფლოთ. ძველ ახალ წელს თავ-თავიანთ ოჯახებში შეხვდნენ“. უკვე მეთერთმეტე საათია. ყველანი სახლებში გაკრეფილან. ჩემი ხელით ვწერ ბრძანებას ქაღალდის ნაგლეჯზე და ალეკო ბოჭორიშვილს სასწრაფოდ ვგზავნი სამმართველოში: „წადი, მიულოცე ახალი წელი, დაე, მშვიდობამ დაისადგუროს საქართველოში!“ პირველად მესმის ქობალიები. „ვინც გინდა იყვნენ, ჩვენ ვთქვით: ყველა - მინუს ერთი. მიდი!“

შინ ბევრი სტუმარია. მელოდებიან. არც ძველით ახალ წელიწადს გამოდის ნამდვილი მხიარულება. ამღვრეული დღეებია. ამბობენ, გაქცეული პრეფექტები ხალხს აიარაღებენო. კარვის ქალებმა და ზვიადისტებმა რაიონებში გადაინაცვლეს და იქ აწყობენ მიტინგებს. ქალაქში აქა-იქ სროლები ისმის. საღამოს 8 საათის შემდეგ ქუჩა მკვდარია. ყველა სახლშია ჩაკეტილი. მხედრიონს რეორგანიზაცია ესაჭიროება. არა გვაქვს სანიტარიული ნაწილი. ექიმი ბესიკ ბურკიაშვილი დაფაცურობდა თბილისის ბრძოლებში. ვავალებ, შეკრიბოს ექიმები, ექთნები, იშოვოს მედიკამენტები. სიგუა მინისტრთა კაბინეტის სხდომების ჩატარებას შეუდგა. ერთი-ორჯერ დავესწარი. ჯერ თავის მოწონების სიტუაციაა. სპეციალურად გავრცელებული ჭორია თუ სინამდვილე, ვერ დავადგინეთ - გამსახურდია სოხუმში ჩამოვიდაო. ტელევიზიით თვითმფრინავის ტრაპზე რაღაც სილუეტი დალანდეს. ისიც ვერ გავიგეთ, ვინ ჩაგვერთო გადაცემაში. ხომ არ გვაშინებენ? ტელევიზიაში ბევრი ზვიადისტია, ხელს არ ვახლებთ, ვასრულებთ დანაპირებს - რეპრესიებს არ ვატარებთ.

მირეკავს კიტოვანი: „სიგუასთან შევიკრიბოთ, იქ ყველა ტელეფონი მუშაობს. სალაპარაკოა“. კაბინეტში მეტწილად სამხედროები, უარმიო გენერლები არიან. მოვიდა ცნობა, რომ გამსახურდია ზუგდიდში ჩავიდა; დასავლეთიდან მიტინგია აგორებული. 40-60 ათასი კაცი ხვალ ქუთაისს მოადგება. თვით ქალაქშიც დამხვდური მიტინგი მოეწყობა, რაღა თქმა უნდა, ჩვენ წინააღმდეგ. ასეთი მიტინგების შემდეგ ეწყობა დარბევა. ჩვენი მომხრეები გარბიან და ზვიადისტები კვლავ ხელში იგდებენ ძალაუფლებას.

ოთახში ბოლთას სცემენ და ეწევიან. სამომავლოდ რაღაც გეგმებს სახავენ. კიტოვანი გვპირდება, რომ ორ-სამ დღეში გვარდიის მობილიზაციას მოახდენს. სიგუა ქუთაისის პრეფექტს, მალხაზს ელაპარაკება ტელეფონით. ეს ინფორმაცია მისგან მოდის. „60 ათასია და არა 100 ათასი! - ვამბობ გაბრაზებული, - ეს ჭორია!“ ჩემთვის კი ვფიქრობ: პანიკა იწყება. საჭიროა სასწრაფოდ ქუთაისში ჩასვლა. ყველაფერი ადგილზე გამოჩნდება. სიგუა, ვითომ ეკითხება, მალხაზს დარიგებას აძლევს: „ხომ შეგიძლიათ, თქვენი ძალებით არ დაუშვათ მიტინგი?“ პასუხი ორჭოფულია. თვით მალხაზიც არამყარ პოზიციაზეა. ფეხზე ვდგები: „დილისთვის მოამზადონ თვითმფრინავი. 200 მხედრიონელით ხვალ იქ ვიქნები“. ჩავდივარ ჩემს კაბინეტში. სასწრაფოდ ვუხმობ გია არველაძეს, დათო გადრანს, ერეკლე ნარსავიძეს, წესრიგას, გია სვანაძეს, ზაზა ვეფხვაძეს, გია ვაშაკიძეს, გია ხუბულაშვილს. „ხალხი მოამზადეთ, დილაადრიან მივფრინავთ ქუთაისში“. თადარიგს ვიჭერ. საჭიროა, აქაც დარჩეს რაღაც ძალა. ქალაქი აწეწილია. ორგანიზებული რაზმები მხოლოდ კომენდატურაშია. გვარდიელთა უმრავლესობა რაიონებში დაბრუნდა. კიტოვანი მპირდება, რომ ზეგ გამომიგზავნის თავის ხალხს. ჩვენთან მოდიან ტატიშვილები, - მამა და შვილი. შვილი მხედრიონელია, მხატვარი, მამა - ინჟინერი. ინტელიგენტების ოჯახია. „თქვენ რატომ მოდიხართ?“ - მაინტერესებს. „ერთადერთი შვილი მარტო როგორ გავუშვა!“ გულმა რეჩხი მიყო. ჩემი ერთადერთიც აქ არის.

დილით ზორომ თბილისის აეროპორტში მიგვაცილა და შუადღისას კოპიტნარში დაგვხვდა. ვიდრე ჩვენ ჩავეწყვეთ, ვიდრე თვითმფრინავში საწვავი ჩაასხეს, საკმაო დრო გავიდა. ზოროს გიჟივით უვლია. ჯერ თვითმფრინავი არ გაჩერებულა, ტრაპი არ მოუგორებიათ, ბიჭები კი ზედიზედ ხტებიან. ბევრს ახალი აფრიკული ფორმა აცვია. ხმა გავარდა, ჯაბამ უცხოელი დაქირავებული დესანტი ჩამოიყვანაო. სალიასთან მართლაც ზუგდიდიდან წამოსული და გზაში შემატებული მომიტინგეების ავტობუსებია. შლაგბაუმთან შეხლა-შემოხლაა. ქუთაისის გვერდიის უფროსი რეზო ჭანკვეტაძე ავტობუსებს არ უშვებს. ჩვენმა გამოჩენამ ისინი დააფრთხო და უკან მოუსვეს. 40-60 ათასი კი არა, სულ 20 ავტობუსი იქნებოდა. ცენტრში ორიათასიანი მიტინგია, გვეუბნებიან ქალაქში. მივადექით გამგეობას. აქაც გაუგიათ ჩვენი ჩამოსვლა და

გაფანტულან. მიტინგი არ შედგა. ბინდდება. მალხაზი ურიგო კაცი არ გამოდგა, ცდილობს, მშვიდობიანად მოგვარდეს ყველაფერი. მის ოთახშივე გვიცდის სამტრედიის მილიციის უფროსი ზურაბ ნიკოლაიშვილი.

სამტრედიის პრეფექტი ზვიად ძიძიგურია, ერთ-ერთი პირველი მხედრიონელი. აფხაზეთის პირველი ლაშქრობის დროს თან მახლდა. ჭუბერიდან წებელდამდე 19 საათი ფეხით ვიარეთ და სოფელ შრომაში დავბანაკდით. ეს ვეკუას დასაფლავების დღეები იყო, 1989 წლის ივლისში, როცა აფხაზები გუდაუთიდან განმეორებით თავდასხმასა და სოხუმის დარბევას აპირებდნენ. შემდეგ ძიძიგური თავგადაკლული ზვიადისტი გახდა.

ქუთაისის ბუნტის თავი ვიღაც აშარი ქალია, მგონი, მასწავლებელი. ხვალ კვლავ სურთ მიტინგის მოწყობა. მალხაზი ენერგიულ ზომებს ვერ იღებს. მე ვუხსნი, თუ რა უნდა ელაპარაკონ ამ ქალს. მალხაზს ჩემს მიამიტობაზე ეღიმება. „მასზე არავითარი მტკიცებები არ მოქმედებს. თვალები კვრინჩხში აქვს გადაჯვარედინებული“.

მოგვდის ცნობა - ვანში ასამდე შეიარაღებული ზვიადისტი აპირებს წინააღმდეგობის გაწევას. სამოცამდე ავტომატი აქვთ. რა ვქნათ? ინერციის შენელება არ შეიძლება. თბილისში დამარცხების შემდეგ ჯერ გონს ვერ მოსულან. გადავწყვიტე, რაზმი გავყო ორ ნაწილად და შუაღამისას შევიჭრათ სამტრედიასა და ვანში. გია სვანაძე წარმოშობით ვანელია. კისრულობს, წარმატებით ჩაატაროს ეს ოპერაცია - განაიარაღოს ვანში თავშეფარებული ზვიადისტები. უკავშირდება ვიღაც გავლენიან ვანელებს. ჩვენს ორ ბიჭს მათთან ერთად გზავნის დაზვერვაზე. იქნებ უბრძოლველად დაგვნებდნენ. განვაიარაღებთ და დავშლით. ხელს არავის ვახლებთ. მილიციის უფროსის, ნიკოლაიშვილის მეშვეობით ასეთივე მოლაპარაკება გვაქვს ზვიად ძიძიგურთან. დაღამდა. თბილისში კიტოვანს ველაპარაკე. „ქუთაისში ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. მივდივარ წინ“. „დღეს ორი ათას კაცს ვუშვებ შენს დასახმარებლად“ - მპასუხობს კმაყოფილი. ქუთაისში შემოგვემატა 50-მდე კაცი, ცხოვრებაში საკმაოდ ნატანჯი, მაგრამ მოკრძალებული და ვაჟკაცი ბიჭიკო შერვაშიანის მეთაურობით. ჩვენი ბუღას ბავშვობის მეგობარია. რამდენიმე ბიჭით მიდის სამტრედიის დასაზვერად. ვიდრე

ქუთაისიდან გავალთ (ეს ალბათ შუაღამე იქნება), აუცილებელია, დემონსტრაციულად მოვიაროთ მთელი ქალაქი.

სამასამდე კაცი კარგად შეიარაღებული ვართ. ვშოულობთ ავტობუსებს, მსუბუქ მანქანებს, წრეს ვუვლით ქუთაისს. ორად ვიყოფით. პირველი რაზმი გია სვანაძისა და გია ვაშაკიძის ხელმძღვანელობით წავა ვანში. მეორე რაზმს გაუძღვება დათო ვაშაკიძე. მზვერავებს ველოდებით. ყველაფერი რიგზეა. ზურაბ ნიკოლაიშვილი გვატყობინებს, რომ ზვიად ძიძიგური სამტრედიას უბრძოლველად დატოვებს. ამას ადასტურებს დაზვერვიდან დაბრუნებული ბიჭიკოც: „სამტრედიიდან გადიან შეიარაღებული ჯგუფები“. გია სვანაძე მსტოვრებს აღარ ელოდება. „ჯობია მოულოდნელად დავესხათ თავს, დროს ნუღარ ვკარგავთ, თორემ დაგვათენდება“. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილებაა. „ვანის მისადგომებთან ჯერ ჩვენი წარგზავნილების ინფორმაციას დაელოდეთ. თუ მაინც წინააღმდეგობას გაგიწევენ, მაშინ მათ თავს ანებებთ და პირდაპირ მოდიხართ სამტრედიაში, ჩვენ გვიერთდებით. სამტრედიაში სადგურთან ველოდებით ერთმანეთს“ - ვარიგებ ორ გიას. მთავარია სამტრედია - საკვანძო ცენტრი, დასავლეთ საქართველოს კარიბჭე. მე სამტრედიის რაზმს მივყვები. რამდენიმე მანქანით წინ ვუშვებ დათო ვაშაკიძეს. შემდეგ მთელი კოლონა მოდის. დაძაბულნი ნელ-ნელა მივიწევთ წინ. სიბნელეში მხოლოდ წინა მანქანას აქვს ჩართული გაბარიტული შუქი. გამორიცხული არ არის, რომ შეგვიტყუონ და ეს შუამავლური მოლაპარაკება ფანდი იყოს. სამტრედია ჩაბნელებულია, ქუჩები - უკაცრიელი. მაინც იგრძნობა, რომ ქალაქს არ სძინავს. დილის 4 საათია და ფანჯრებში ლანდები ჩანან. სადგურიც ჩამკვდარია. მანქანებს მოედანზე ვაჩერებთ, გადმოვდივართ და უეცრად ავტომატების ჯერისა და სროლის გრიგალი. დალახვროს ეშმაკმა! ხაფანგში შეგვიტყუეს. ერთადერთი თავშესაფარი სადგურის შენობაა, თუ იქაც არ არიან ჩასაფრებულები. „ყველა ჩემკენ!“ გადავრბივარ სადგურისაკენ, ტყვიების ნიაღვარი შრიალებს, თითქოს ყოველი მხრიდან ისვრიან. „წესრიგა“ ხელს მკრავს და მაქცევს, თავისი ჭკუით, მიფარავს და ზემოდან მაწვება. „რაღა შენ დაგისახიჩრებივარ და რაღა ტყვიას - გული მომდის, ვუწყრები. წამოვხტი და გავრბივარ - ორმოცდაათი ნაბიჯია, რა, ხოხვით ხომ არ წავალთ?“ შენობაში არავინაა. მადლობა ღმერთს! ესე იგი, ხაფანგი არ არის. ბიჭები შემორბიან, სვეტებსა და

კედლებს ეფარებიან. „ბრძანების გარეშე არ ისროლოთ!“ - ვყვირი. დათო ვაშაკიძე არსად ჩანს. გიგა არველაძეს ვუბრძანებ - შემოურბინონ შენობას, ავიდნენ ზედა სართულებზე და გაარკვიონ, რაშია საქმე. საიდან ისვრიან? ვფიქრობ: ალბათ პატარა დივერსიული ჯგუფი თუ დატოვეს - აბა, სხვას რას მივაწერო... თუ სერიოზულ თავდასხმას გვიპირებდნენ, შემოსასვლელში უკეთესი შესაძლებლობა ჰქონდათ. ზაზა ვეფხვაძე და გია ხუბულაშვილი მირჩევენ, ქალაქიდან გავიდეთ. არავითარ შემთხვევაში! ვიდრე დანამდვილებით არ შევიტყობთ საქმის ვითარებას, არავითარი გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება. სროლა გრძელდება. მართალია, ისე ინტენსიურად არა, მაგრამ ავტომატების განუწყვეტელი კაკანია. მორბის გიგა: „მოპირდაპირე შენობა მგონი რკინიგზის სამმართველოა და მისი სახურავიდან გვესროდნენ. ახლა ჩვენები ისვრიან“. „სასწრაფოდ შეწყვიტონ! - ვყვირი, - შეიძლება ვანიდან ჩვენები შემოვიდნენ და მაშინ უბედურება დატრიალდება, ამ სიბნელეში ერთმანეთს დავხოცავთ!“

ცეცხლი შეწყდა. ვანის რაზმი შემოდის ქალაქში. მაინც რა უბედურებაა... ვერ დადგინდა, რა მოხდა. ამ ოპერაციის განსახორციელებლად ორ რაზმს განზრახ ტყუპი ძმები, სამტრედიელი გია და დათო ვაშაკიძეები დავუნიშნე ხელმძღვანელად, რომ რაიმე გაუგებრობა არ მომხდარიყო. გვყავს დაჭრილები. ორი ბიჭი დაგვეღუპა და, ღმერთო შეგცოდე, ერთი მათგანი ტატიშვილია, მამასთან ერთად წამოსული მხედრიონელი... მორბის მამამისი. მისი უკანასკნელი იმედი ჩემი სიტყვებია. მუდარითა და გაოგნებული თვალებით შემომცქერის. „ნუთუ ეს მართალია, ჩვენივე ტყვიით“... არ სურს, თქვას სიტყვა „მოკლული“, უფრო მეტიც, თუ ეს ასეა, არ სურს, მისი ერთადერთი ვაჟი უაზროდ დაიღუპოს. ეს არის ადამიანობა! ეს არის საერთოდ ყველა სიცოცხლის არსის გამართლება...

სასტუმროში დავბანაკდით. თენდება. სასწრაფოდ ვადგენ პატრულების, დაზვერვისა და მოწინავე რაზმის ჯგუფებს. მართალია, ბიჭები უძილოები და დაღლილები არიან, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. მოწინავე რაზმი სვანებისაგან შევადგინე. დათო გადრანმა ასე ისურვა. დაზვერვას სამტრედიელები განახორციელებენ. პატრულს ზაზა ვეფხვაძე მოუვლის. გია სვანაძე პატარა ჯგუფით ვანში დარჩენილა და ხვალ შემოგვიერთდება. ვანის წინააღმდეგობა დაძლეულია

უსისხლოდ, ოღონდ იქ არსებული ავტომატები და მათი პატრონები ვეღარსად იპოვეს - გაქცეულან. მეც ორი დღის უძილო ვარ, მაგრამ აუცილებელია, დღესვე ავირჩიოთ ქალაქის ხელმძღვანელობა. მილიციის უფროსად დარჩეს იგივე ნიკოლაიშვილი. მართალია, ზვიადისტია, მაგრამ მოლაპარაკებებში გვეხმარებოდა. ზოროს ვავალებ, აქაური ინტელიგენცია, გავლენიანი ადამიანები, პარტიის ლიდერები (თუ არიან ასეთები, ვიცი, ედპ-ს აქვს აქ რაღაც უჯრედი) შეკრიბონ თეატრში ან პრეფექტურაში. გასინჯონ, დანაღმული არ გამოდგეს აქაურობა. თბილისში ტელეფონით ვუკავშირდები კიტოვანს. მამხნევებს: „დღეს კასპის ბატალიონს გიგზავნი. ხვალ ყარყარაშვილიც ჩამოვა“. დაზვერვა გვატყობინებს: ზვიადისტები აბაშაში არიან გამაგრებული. ხიდთან, აქეთ-იქითა სახლებში, სნაიპერები ჰყავთ. დათო გადრანის რაზმი პოზიციებს იკავებს შემოსასვლელში. დასათვალიერებლად და ერთგვარი რეკოგნოსცირების თვალსაზრისით მივდივარ ხიდთან. ეტყობა, იქითა მხრიდან გვითვალთვალებენ. ჩემი გამოჩენისას ატყდა შედლუხი. მანქანებიდან გადმოვდივართ, ვწვებით გზისპირა დაქანებაში. გადარბენებით მივიწევთ წინ. მომიკლეს დაცვის ახალი წევრი, კოწიას ამხანაგი, ერთი კვირის მოსული იასონი. ათი დღის წინ ცოლი დაეღუპა ავარიაში. ესეც ერთადერთი შვილია ოჯახისა. არც მათ დარჩათ ვინმე - ახალდაქორწინებულები იყვნენ. ამოწყდა კიდევ ერთი ოჯახი.

ბოლო საფარი ბეტონის პატარა შენობაა. აქედან მთელი არემარე მოჩანს. მიზანში ვართ ამოღებული. ცეცხლი გაგვიხსნეს. როგორც დაზვერვამ გადმოგვცა, პირველი რკალი სოფელ მარანში ჯაჭვურად აქვთ განლაგებული. სიღრმეში კი ტექნიკა და მთავარი ძალაა. ცეცხლის გამხსნელი კერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მართლაც ასე უნდა იყოს. კარგი იქნებოდა, დღესვე დაგვერტყა, ინერცია არ დაგვეკარგა, მაგრამ დაღლილებიც ვართ და საიერიშოდ არცთუ საკმარისნი. ხვალ თუ მართლა ორი ათასი კაცი ჩამოვა (რაშიც ეჭვი მეპარება), ხომ კარგი, არადა, ათასი ხომ მაინც იქნება და გვეყოფა. მინდა შევცვალო სვანები, დაისვენონ. დათო არ მთანხმდება, აქვე დაისვენებენ, ახალი ხალხის მოყვანა არ ღირს, იერიშს ვერ გაბედავენო.

ვბრუნდები ქალაქში. ცეცხლის ზონა ჯერ არ დაგვიტოვებია, ამიტომ სამანქანო გზაზე არა ვართ გამოსული. მიმოფანტული

მოვდივართ. ასფალტზე წამოსეტყვილი ტყვიები ცვივა. ვხედავ, შუა გზაზე ვიღაც მოდის, ავტომატი მხარზე გადაუკიდია, ხელში სანიტარიული ჩანთა უჭირავს, რაღაც ნაცნობი მიხრა-მოხრაა, ვაკვირდები - გიგოლი ჯღამაძე, ჩემი მეგობრის - ოთარის შვილი, კოწიას ნათლია, მხედრიონის ექიმთაგანი. მოაბიჯებს, როგორც განწირული. ვუყვირი: „გზიდან გადადი, ბორცვებითა და ბუჩქებით იძრომიალე! გამომიხვედი ნახიმოვი!“

მგონი თეატრის დარბაზია. შეკრებილან ქალაქის გავლენიანი პირები, ზოროს უმარჯვნია. პატარა შესავლისა და ზოგადი პატრიოტულ-დემოკრატიული სენტენციების შემდეგ, რასაც მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არ ისმენენ, ვთხოვ აირჩიონ ქალაქის ხელმძღვანელობა, გამგებელი. დამფრთხალნი არიან. წუხანდელმა კანონადამ საკმაოდ დააშინა მოსახლეობა. აქტიურობას ვერავინ ბედავს. ისევ ზორო მარიფათობს. რეკომენდაციას უწევს რემი ვაშაკიძეს - საქართველოს რკინიგზის უფროსს, სამტრედიის მკვიდრს. რემი, თავის მხრივ, ასახელებს ყოფილი აღმასკომის თავმჯდომარეს, არცთუ ახალგაზრდა სათვალიან კაცს. ვთანხმდები. მოვუწოდებ, სასწრაფოდ დაიწყონ მუშაობა.

ზაზას საპატრულო საქმე კარგად დაუყენებია. სასტუმროში ყაზარმული წესებია. ირგვლივ დაცვაა. ქალაქში რამდენიმე ჯგუფი მანქანებით ტრიალებს. დანარჩენები ისვენებენ. მეთაურები იკრიბებიან ჩემს ლუქსში. ხვალინდელი იერიშის დეტალებზე ვმსჯელობთ. ყველა იმ აზრზეა, რომ ჩვენ მაინც მხოლოდ საკუთარი ძალების იმედი უნდა გვქონდეს.

თუ ერთი საათი მაინც არ წავუძინე, აღარაფერი მესმის, თვალები მეწვის. ის იყო მივწექი, რომ გია სვანაძე შემოგვიერთდა ვანში დარჩენილი ჯგუფით. ჰყვება, როგორ დამყარდა ვანში ჩვენი ხელისუფლება. გვიანობამდე მაინც ვერ დავიძინე. ყოველ საათში რეკავენ თბილისიდან. სიგუა მიმტკიცებს, რომ გვარდია უკვე დღეს უნდა ყოფილიყო სამტრედიაში. „რა ვქნა, არ არიან და...“

დილით აუცილებლად ვიწყებთ იერიშს. დაზვერვის მონაცემებით, ზვიადისტები ას კაცზე მეტი არ არიან. სოფელში ემისრები გაუგზავნიათ - იქნებ შეკრიბონ დამხმარე ძალა. აქვთ ორი „ბეტეერი“, სხვა არავითარი ტექნიკა. ჩვენც, ავტომატებისა და ყუმბარმტყორცნების გარდა, არაფერი გვაქვს. ვაშაკიძეები

შემოვლითი იერიშის გეგმას გვთავაზობენ. გია ხუბულაშვილის აზრით, ყველაფერი ადგილზე უნდა გადავწყვიტოთ. შესაძლოა, დღეს საღამოს მოწინააღმდეგემ გადააადგილოს ძალები, ან სხვა რამ ცვლილება მოხდეს. რასაკვირველია, მათ გავრეკავთ, მაგრამ აბაშის იქით წინ ვეღარ წავალთ. აბაშაში დაგვჭირდება საგარნიზონო რაზმის დატოვება. შემდეგ სენაკი, ფოთი, ზუგდიდი. ხალხი არ გვეყოფა. მართალია, ხვალ გურიის მხედრიონი შემოგვიერთდება, მაგრამ ისინიც 50-ზე მეტი არ იქნებიან.

დილით ჩამოდის გია ყარყარაშვილი კასპის ბატალიონთან ერთად. მათი უფროსი ტარიელ შარიფაშვილია. ბატალიონში 60 გვარდიელია. ესეც შენი ორი ათასი კაცი! „ჩვენ ასეთი ბატალიონი გვყავს!“ - იცინის ყარყარაშვილი. ხვალ კიდევ ჩამოვა ტყიბულის ბატალიონი - ასამდე კაცი, და დევი, პატარა საარტილერიო დივიზიონით. ასე თუ ისე, დღევანდელი შეტევა გადაიდო. დათო გადრანთან ვგზავნი ცვლას. მათ თავისთან იტოვებს და სვანებსაც არ უშვებს დასასვენებლად. საქმეს ასე ურჩევნიაო, - მითვლის. სასტუმროში ადგილები აღარ არის. ყარყარაშვილი და შარიფაშვილი, გვარდიელებთან ერთად, ე.წ. კურორტის შენობაში ეწყობიან. მე პრეფექტურაში მივდივარ. ახალი გამგებელი საქმეს შესდგომია. უხეში, მაგრამ მუშა კაცი ჩანს. ვესწრები ქალაქის მცხოვრებლების იმპროვიზებულ შეკრებას. სხვადასხვაგვარ შეკითხვებს მაძლევენ. ხალისიანად ვპასუხობ. მაგალითები მათივე ცხოვრებიდან მომყავს. ვიხსენებ სამტრედიის იდიოტურ აქციას - გამსახურდიას პოლიტიკის „შედევრს“, რუსეთის ჯინაზე, ჩვენი მატარებლების მოძრაობის ჩახერგვას. ვყვები ანეკდოტს: კომუნისტების დროა. ჩაის კრეფა დაწყებულია. მაშინ ვიეტნამში ომი იყო და საბჭოთა პროპაგანდა ამერიკელებს უკიჟინებდა: „გაეთრიეთ ვიეტნამიდან“. ჰოდა, გურულმაც გამოაცხადა: „სანამ საზიზღარი ამერიკელები არ გავლენ ვიეტნამიდან, არ გავალ ჩაში“.

შუადღისას მოხდა უსიამოვნება - ხონში ანარქისტებს დაუკავებიათ ნასვამი ყარყარაშვილი და იარაღი წაურთმევიათ. მიდიან გია ვაშაკიძე, გია სვანაძე და ჩვენი ბიჭები და აგვარებენ ამ კონფლიქტს. სასტუმროში გველოდება ენუქი კიკაბიძე. ცალკე გავყავარ. ჩემთან შეხვედრა სურთ ზვიადისტების ლიდერებს - ვალტერ შურღაიას და ქობალიებს. სიამოვნებით შევხვდები. იქნებ დავამთავროთ ყველაფერი და ავცდეთ

სისხლის ღვრას. საღამოს რვა საათისათვის ვუნიშნავ შეხვედრას. ენუქი თავის სახლს მთავაზობს, ხონში. მინდა, რაც შეიძლება, ცოტანი წავიდეთ. მიმყავს ყარყარაშვილი. მას შარიფაშვილიც მოჰყვება თავისი გვარდიელებით. მეც ზაზა ვეფხვაძე, გია სვანაძე, გიგა არველაძე, ანზორ ქაჯაია და რამდენიმე ბიჭი მომყვებიან. ენუქის ციხესიმაგრესავით გალავნიანი მშვენიერი სახლი ჰქონია. ოთახების განლაგება, მოპირკეთება, ავეჯი - ყველაფერი თანამედროვეა. მხოლოდ ელექტროგაყვანილობა არა აქვს დამთავრებული, ისიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო - რაიონში დენის საკითხი მოუგვარებელია. მასპინძლები სანთლებითა და ნავთის ლამპებით გვხვდებიან. მანქანები ეზოში შეგვყავს. ტარიელი და ზაზა გალავნის გარეთ იჭერენ თადარიგს. „მაგათ ენდო ტიფამ“, - ამბობს ზაზა. თითქმის ერთდროულად მოვსულვართ. ისინიც მანქანებს აყენებენ და ყარაული გამოჰყავთ. სასტუმრო ოთახში დიდი მაგიდაა გაწყობილი - დალოცვილი ქართული პურმარილი. მოწინააღმდეგეთაგან ვერავის ვცნობ. ყარყარაშვილი ხომ ერთხანს გამსახურდიას გვარდიაში იყო. დამხვდურებს ესალმება. ჩემს პირდაპირ ჯდება ვალტერ შურღაია. გამსახურდიამ იგი თავის ნაცვლად დატოვა საქართველოში. აქეთ-იქიდან ქობალიები და ვიღაც ორი ქუდჩამოფხატული მეგრელი ზის. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე თვალი უნდა შესჩვეოდა უსინათლობას, სახეებს გამოკვეთილად ვერ ვხედავ. ერთი დიდი ლამპა და რამდენიმე სანთელი ვერ ერევა უზარმაზარ ოთახში შემოჭრილ ზამთრის ღამეს. ყარყარაშვილი ისევ ნასვამია და აქტიურობს, საუბარს ის უძღვება. ამბიციებზე გადავდივართ. ასე ვერაფერს მოვილაპარაკებთ. მეც გულუბრყვილოდ ვცდილობ, შურღაია ჩემს მსოფლმხედველობაზე გადმოვიყვანო. დავარწმუნო, რომ გამსახურდიას რეჟიმს აღარაფერი უშველის და რომ მისი პოლიტიკა დამღუპველი იყო საქართველოსთვის. ყარყარაშვილი მოითხოვს ფაქტობრივ კაპიტულაციას. მე რაღაც ფორმებს ვთავაზობ, სადაც ნაკლებად იქნება შელახული მათი თავმოყვარეობა. კონკრეტულად არაფერზე თანხმდებიან. გამოდის, რომ უბრალოდ სურთ, დრო მოიგონ. ამიტომ ყარყარაშვილის აუწყობელ საუბარში აღარ ვერევი. ახლა იმის დარდი მაქვს, ეს უაზრო კამათი შეტაკებაში არ გადაიზარდოს და ყარყარაშვილის გამომწვევ ფრაზებს შიგადაშიგ რაღაც შემრიგებლურ კომენტარს ვუკეთებ. შემდეგ მოულოდნელად ვდგები და ამით ვამთავრებ ვიზიტს. ისინი ითხოვენ, რომ ერთი

კვირის შემდეგ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს. მე ვთანხმდები, თუმცა, უკვე დარწმუნებული ვარ, მათ ეს მოლაპარაკება მართლაც დროის მოგების მიზნით მოაწყვეს და უნდათ, მომავალი შეხვედრაც გაწელონ, რაც თავიანთი რიგების შესავსებად და, როგორც დაზვერვის მონაცემებით ვიცით, იარაღის შემოტანისათვის სჭირდებათ. ხვალ დილიდან უნდა შევუტიოთ. ყარყარაშვილი მარქაფში რჩება, დევის დივიზიონს დაელოდება. თუ დაგვჭირდა, შემოგვიერთდება.

დილის მონაცემებით, მოწინააღმდეგესთან ცვლილებები არ არის. ღამემ აქეთ-იქითა სროლებში გაიარა. მსხვერპლი არაა. ვიკრიბებით და გავდივართ პოზიციებზე. საველე შტაბი ისევ იმ პატარა ბეტონის შენობაშია. დათო გადრანმა ორჯერ გაიყვანა სვანები საიერიშოდ, მაგრამ ას მეტრზე წინ ვერ წაიწიეს. ერთი დაეღუპათ, რამდენიმე კაცი დაიჭრა. მცირე დაბნეულობას აქვს ადგილი. შევაჩეროთ იერიში თუ კიდევ ავწიოთ ხალხი. გია ხუბულაშვილი ირჩევს მეორეს, მიხსნის, თუ როგორ შეიძლება რკინიგზის ხიდის მოვლით მოვექცეთ მოწინააღმდეგის მარცხენა ფერდში, ისე რომ მათი მოწინავე რკალის ზურგში აღმოჩნდები. ამავე დროს საჭიროა ფრონტალური, პირდაპირი იერიშის იმიტირება, მათი ყურადღების კონცენტრირება გზის მონაკვეთზე. ვთანხმდები. ახლა შუა გზაში გაჩერება წაგების ტოლფასია. მოწინააღამდეგეს გული მიეცემა და შეიძლება კონტრიერიშზე გადმოვიდეს. მით უმეტეს, რომ „ბეტეერები“ აქვთ. ხუბულაშვილს მიჰყავს ამორჩეული მეორეები. გზაზე, პირდაპირ შეტაკებას მე ვუხელმძღვანელებ. გიგა არველაძეც ჩემთანაა. ვლაგდებით ფართო ფრონტად, ჯაჭვური განლაგებით მივიწევთ წინ. მოწინააღმდეგე არ გვესვრის. რაშია საქმე? ნუთუ მოიხსნენ? შეტყუებას ხომ არ გვიპირებენ? თუ მართლაც ასე ფიქრობენ, ცდებიან, იმიტომ, რომ დიდი-დიდი, ნახევარ საათში სიღრმის მარცხენა მხარე ჩვენი იქნება. იქით უკვე ხუბულაშვილი მოქმედებს. უცებ ვხედავთ: სიღრმიდან ჩვენკენ მოდიან „ბეტეერები“. ერთი, შემდეგ მეორე და კიდევ მანქანა „კრაზი“ ზემოდან შემოდგმული „დეშეკათი“. ვითარება კრიტიკულია. ჩვენს მოწინავეებს ავტომატებისა და „ლიმონკების“ მეტი არაფერი აქვთ. ჩემს დაცვას აქვს ყუმბარმტყორცნი. ვეძახი თენგიზს, ჩემი დაცვის წევრს: „აბა, შენ იცი“. ყველანი მიწაზე ვართ გართხმულნი. თენგიზი ჩაცუცქული მიდის წინ. პირველი „ბეტეერი“ გვიახლოვდება.

არც კი ვიცი, რა უნდა მოხდეს შემდეგ. მოშორებით, რკინიგზის მარცხენა მხრიდან, იწყება ტყვიამფრქვევის დაჟინებული, მონოტონური ცეცხლი - ეს უთუოდ გიაა, ხუბულაშვილი. ყოჩაღ! ბრძოლაში ითრევს „კრაზს“, რომლისთვისაც „ურჩხული“ შეურქმევიათ. და უცებ - ბახ! ვხედავთ, როგორ ფეთქდება „ბეტეერი“ და როგორ ხტის ადგილზე გახარებული თენგიზი. ყველანი ვდგებით, წინ მივრბივართ. ვიღაც მეწევა. ვხედავ, თბილისში დატოვებული გივი თემქელი. „ბატონო ჯაბა, უჩემოდ რატომ წამოხვედით, მე დევის გამოვყევი. ჩამოვედით. 50 კაცამდე ვიქნებით“, - მეუბნება და, როგორც საბანაოდ წყალში გადაშვებული კაცი, წინ გარბის. მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯს დგამს და იცელება. ტყვია თავსა და გულში ხვდება. ადგილზევე გარდაიცვალა. სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი... დიდება შენდა, ღმერთო. მოწინააღმდეგე გარბის. მეორე „ბეტეერიც“ დაზიანდა. მეუბნებიან, ისევ თენგიზმა ააფეთქაო. ხელმძღვანელობას ვაბარებ გიგა არველაძეს. ვაფრთხილებ, ძალიან ღრმად ნუ შევლენ. პოზიციები მარანს იქით გადაწიონ და დამელოდონ. თუ რაიმე გართულდა, წამსვე აქა ვართ. ახლა სამტრედიაში დავტოვებ თვით სამტრედიელ მხედრიონელებს. ჩვენ ავიკრიფებით და დღესვე წინ წავალთ. ყარყარაშვილი თავის „კამანდირსკი“ მანქანასთანაა. დევი მართლაც ჩამოსულა. ორი ცალი ასმილიმეტრიანი ზარბაზანი და ერთი ტანკი ჩამოიტანეს. „მოემზადეთ. წავიდეთ წინ. მე დარჩენილ ბიჭებს შევკრებ და დავანაწილებ“, - ვეუბნები ყარყარაშვილს. „ჩვენ საცდელად და ეფექტისათვის ერთ-ორ ჭურვს გავუშვებთ აბაშის გზაზე“, - ამბობს დევი. „მხოლოდ მარანს იქით, მოშორებით, თორემ ბიჭები მისდევენ და მათ არ მოხვდეთ“.

სამტრედიის მხედრიონი ქალაქში რჩება. გამორიცხული არ არის, რომ ახლომახლო სოფლებში მოწინააღმდეგის ჯგუფი იყოს გახიზნული. ეგეც არ იყოს, ქალაქს მოვლა სჭირდება. კომენდანტად ვნიშნავ გია ვაშაკიძეს. სამ ცხედარს და რამდენიმე დაჭრილს სანიტარიულ ნაწილს ვუტოვებთ. 4 საათისათვის გავდივართ ქალაქიდან. წამოვეწიეთ ჩვენს ბიჭებს. გზისპირა მიტოვებულ სახლებში გაფანტულან. იქიდან ისროდნენ. გიგა არველაძე აგროვებს მათ, მანქანებში სხდებიან და კოლონა მზად არის. წინ ვუშვებ ტანკსა და ტექნიკას. ნაალაფარი ორი „ბეტეერი“ მისახედია. იქნებ გარემონტდეს. უკან გიგას ათეული მოგვყვება შემკვრელად და მობადრაგედ.

მოსალოდნელია, მოწინააღმდეგემ გაგვატაროს და ზურგიდან დაგვცხოს. მე ყარყარაშვილს ვუჯდები „კამანდირსკში“. ბინდდება. ყარყარაშვილი მირჩევს, აბაშაში გავჩერდეთ, ღამდება, გზაში არაფერი აგვიტეხონო. „არავითარ შემთხვევაში. ისინი გარბიან, შეჯგუფებისა და ორგანიზების საშუალება არ უნდა მივცეთ. თუ გზაში პარტიზანებს გადავეყრებით, იოლად მოვუვლით. სენაკი აქვეა. ერთი საათიც არ დაგვჭირდება. ის კი არა, იქნებ პირდაპირ ზუგდიდამდე „ვხიოთ!“ აბაშაში კი ტყიბულის გვარდიის ბატალიონი გაჩერდეს დროებით გარნიზონად“. გია ყარყარაშვილი მთანხმდება: „სენაკში დავბანაკდეთ და მერე იქ გამოჩნდება“.

სენაკამდე ორჯერ შევჩერდით. ერთხელ დივერსანტი მოგვიყვანეს. ვერ გაიგებ, რა ეროვნებისაა. ხმას არ იღებს. ბიჭებს მაგრად უცემიათ. კბილებამდე შეიარაღებული იყოო. რა ჩანაფიქრი ჰქონდა ამ გზაზე, ღამით, სად მიდიოდა, ვინ არის - ვერ ათქმევინეს. ვფიქრობ, რუსების „გრუ“-ს მსტოვარია.

„რიჩოს“ მანქანა თბილისში ბრუნდება. მას ვაბარებ, კიტოვანს ჩაუყვანონ. კიდევ ერთხელ ვჩერდებით სენაკის შესასვლელთან. ხიდთან შეამჩნიეს მცირე ჯგუფი, აიყვანეს. ორნი არიან, პატარა იარაღით. ერთ-ერთი ჩემი ნაცნობის შვილია. განვაიარაღეთ და შინ გავუშვით. სენაკში პირდაპირ სასტუმროში მივდივართ. საპატრულო სამსახურს დათო მამულაშვილი იბარებს. ყარაულებით გარს ვერტყმით სასტუმროს. ყარყარაშვილი თავის ხალხს მენჯის კუროორტის შენობაში ათავსებს. მკვდარივით მძინავს. დილით ვიღვიძებ, არ ვიცი, სადა ვარ. ვხედავ: კოწია მოკუნტული თვლემს სავარძელში. თბილისში, აკადემიაში მგონია თავი. შემოდის გია სვანაძე და მაცნობს მდგომარეობას: საავადმყოფოში მოწინააღმდეგის 6 დაჭრილია. მათ შორის ყოფილა გოჩა ბახიაც, რომელიც ღამით სადღაც წაუყვანიათ. კარგი იქნებოდა, იქვე მიგვეკითხებინა - ბახია მათი ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელია. თუკი იგი პირადად იბრძვის, ხალხის საქმე კარგად ვერ ჰქონიათ.

გია ხუბულაშვილი და გია ყარყარაშვილი დაზვერვას წინ გზავნიან. ამბობენ, ხიდია აფეთქებული და ცაიშთან არიან გამაგრებულნიო. ვიდრე აქ, სენაკში არ დავარეგულირებთ ვითარებას, წინ წასვლა არ ღირს. გასაწმენდია ფოთი, შემდეგ - ანაკლია და ზუგდიდი. გამსახურდიას ზუგდიდში ყოფნის

ამბავი ჭორი გამოდგა, მაგრამ აქ ყოველდღე მიტინგები იმართება და ომის მოწოდებები გაისმის. დღესვე საჭიროა შეიკრიბოს ქალაქის საქმიანი საზოგადოება, გავლენიანი ადამიანები. სენაკის პრეფექტი გელანტია (?) გაქცეულა. მისი სახლი მენჯშია. ცხრა თვის წინ დანიშნეს და სასახლის წამოჭიმვა მოუსწრია. საიდანღაც მირეკავს ტელეფონით - სახლი არ დამიწვათო. „ჩვენ ასეთ რამეებს არ ვაკეთებთ. სახლი რატომ უნდა დაიწვას, სახლი რა შუაშია. ეს თქვენი მოგონილი ავკაცობაა“, - ვეუბნები. ყურმილს მიკიდებს.

ორი საათისათვის პრეფექტურის შენობაში ქალაქის საზოგადოებრიობის შეკრებაა. სამარისებური სიჩუმეა. ვლაპარაკობ ერთსა და იმავეს: საქართველოში დამოუკიდებლობა არ შეიძლება თავისუფლების გარეშე. მონგრეული ძეგლების კვარცხლბეკებზე ახალი ტირანები არ უნდა შემოსკუპდნენ. ხალხმა უნდა აირჩიოს ხელისუფლება. ადგილობრივი მმართველობაც ადგილზე უნდა იქნას არჩეული და არა - ცენტრიდან დანიშნული. მოვუწოდებ, დღეს იფიქრონ, კონსულტაციები ჩაატარონ და ხვალ აირჩიონ სენაკის გამგებელი - ადამიანი, რომელიც ცნობილი და დაფასებულია ქალაქში. კვლავ სამარისებური სიჩუმეა, მაგრამ სახეები გამოუცოცხლდათ, დაინტერესებულები და გაკვირვებულები არიან - რაც ჩემზე ცუდი სმენიათ! არც ასე ყოფილა საქმე, ჩვენ რომ გვეუბნებოდნენ - მამაკაცები თურმე ყოყმანობდნენ. ზოგიერთ ქალს ისიც კი უთქვამს: „რა ლამაზი ყოფილა ჯაბა, მე კაციჭამია მეგონაო“.

სასტუმროსთან, არცთუ მოშორებით, ორას-სამას კაციანი მიტინგია - მეტწილად ქალები. „ძირს ხუნტა!“ - გაიძახიან. მათკენ მივდივარ. გია ხუბულაშვილი, წესრიგა და ზაზა ვეფხვაძე არ მიშვებენ. მაინც ვიძალე. შემომერტყნენ ოდნავ შემცბარნი, თუმცა, უკანა რიგებიდან ისმის წამოძახილები და ლოზუნგები. წინ ვიღაც სანდომიანი, ცისფერთვალება, ინტელიგენტური გარეგნობის ქალი აქტიურობს. ვუახლოვდები. ლაპარაკს არ მაცლის. არ მოელოდა პირდაპირ კონტაქტს. „რაშია საქმე?“ - ვეკითხები. „თქვენ“... შეცბუნებულია, უნდოდა უხეშად, „შენობით“ მოემართა. უცებ გადაიფიქრა: „თქვენ გინდათ, შევარდნაძე ჩამოიყვანოთ!“ „ვინ გითხრათ?“ „მე თვითონ მოვისმინე - „ოქროს ზოდიაო“. ორი სიტყვით ამას ვერაფერს გააგებინებ. ვიწვევ ცალკე სასაუბროდ. ზურგი შემაქცია და დემონსტრაციულად წავიდა. „თქვენ ისეთ

წინააღმდეგობას, როგორსაც სენაკში მოგიწყობთ, ვერსად შეხვდებით“. მიყვირის ვიღაც. „იგიჟონ, - ვფიქრობ, - ამათ განკურნებას დრო დასჭირდება“.

ოთახში მელოდება მომცრო ტანის შავგვრემანი ახალგაზრდა - თემურ გერგაია, ხობის რაიონის ჩაის ფაბრიკის დირექტორი, საოცრად გაგებული კაცი. სხვათა შორის, ჩემი ძველი მეგობრებიც მოიხსენია. მპირდება, რომ ხობში ყველაფერი კარგად იქნება. ადასტურებს ხიდის აფეთქების ფაქტს, კისრულობს, სენაკის გამგებლად ვინმე გავლენიანი, სერიოზული და სანდო კანდიდატი მოძებნოს.

ზუგდიდიდან მოვიდა დელეგაცია მილიციის უფროსის, თორნიკე ქირიას მეთაურობით. იქ ზვიადისტებისა და ყოფილი გვარდიელების ბოევიკებს გამოკვეთილი მეთაური ჯერ არა ჰყავთ, მაგრამ ქობალიების გვარი უკვე მძლავრობს: ლოთი, ჯემალი, ზაური. მე არც ერთს არ ვიცნობ, თუმცა მეუბნებიან, რომ ენუქის სახლში შეხვედრას რომელიღაც მათგანი ესწრებოდა. სამტრედიიდან ჩემთან ერთად მოგზაურობს ფრიდონ ინჯია, კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე. გზადაგზა დაზიანებულ და განგებ გაწყვეტილ სატელეფონო ხაზებს ჩემთვის გაუგებარი მანქანებით აღადგენს. მაინც ეჭვით ვუყურებ, რაღაც ზედმეტად მეტმასნება. ზუგდიდში ნათესავები ჰყავს. მპირდება, რომ მარტვილის გავლით იქ ჩავა და ნიადაგს მოამზადებს.

თორნიკე ქირიას მილიცია არც ბოევიკებს ემორჩილება და არც ჩვენ, თუმცა ამას ღიად არ აცხადებენ. დამოუკიდებელი ძალაა, მაგრამ იარაღი არა აქვთ. რამდენჯერმე თავს დაესხნენ, შეიძლება მოილაპარაკეს კიდეც და განიარაღების ინსცენირება მოაწყვეს. თვით თორნიკე მაგარი ზვიადისტია. მისი წინადადება ასეთია: თუ ჩვენ არ შევალთ ზუგდიდში, ბოევიკები იქიდან გავლენ. „კი, ბატონო, - ვთანხმდები, - მაგრამ იარაღი თქვენ ჩაგაბარონ. ამაზე პასუხი აგეთ შენ და ვალტერ შურღაიამ, რომელიც ვითომდა მოლაპარაკებას ცდილობს ჩვენთან“. ამით ვისტუმრებ თორნიკე ქირიას და მარტვილის გავლით ზუგდიდში მეთვალყურედ ვუშვებ ფრიდონ ინჯიას.

იმ ღამეს დიდი თოვლი მოვიდა. ახლაც ვეება ფანტელებით იბარდნება არემარე. სასტუმროში ცივა და ბიჭები ოთახების მიხედვით შეგროვილან. კონსერვი, მწნილი, პური და არაყი,

ყველაფერი - მაგიდაზე. მე თავს ვიგიჟებ და სიმკაცრეს მოვითხოვ გიგას, ზაზას, დათო მამულაშვილისა და გია სვანაძისგან, თუმცა, ვიცი, ამ ჯარისკაცურ პურმარილსაც თავისი პეწი აქვს. პრეფექტურაში იგივე ხალხი. კვლავ სიჩუმე. არავის სურს, გარისკოს გამგებლობა. „გამოიყენეთ ეს მომენტი, - ვამბობ ხუმრობით, - თორემ მერე სენაკის ხელმძღვანელად გასვლა დიდი ფული დაგიჯდებათ“.

მოდის პატარა ანონიმური ბარათი: „ჟიული შარტავა ყველასთვის მისაღები კანდიდატურაა“. შარტავა, ვიცი, მოსკოვშია. მიუხედავად იმისა, რომ ცუდი არაფერი გამიგონია, ჩემთვის მაინც კომუნისტი და თავგადაკლული კომკავშირელ-ფუნქციონერია. ასე რომ, მისი გამოძახება ან დათანხმება სამომავლო ამბად თუ ჩაითვლება. კიდევ ერთ დღეს ვაცლი, თუ არა და, ვაცხადებ: „მე თვითონ დაგინიშნავთ და მერე არ გეწყინოთ“.

ქალაქში ისევ ზვიადისტი ქალების ასი-ასორმოცდაათიანი მიტინგია. ჩვენს სასტუმროს გარს უვლიან და სკანდირებენ: „ზვი-ა-დი, ზვი-ა-დი“. ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩემი ოთახი სავსეა გვარდიელებით. დღეს ჩამოსულან თბილისიდან. მათი ხელმძღვანელი ნიკუშა კეკელიძეა. თვითონ, რომ იტყვიან, მთელი ამუნიციითაა აღჭურვილი - ჯავშანჟილეტი, ჩაფხუტი, ავტომატი, ხელყუმბარები, გადაჯვარედინებული პატრონტაში, პისტოტელი „სტეჩკინით“. სპეცნაზი ჰყავს ჩამოყვანილი. სპეცნაზი - სპეციალური დანიშნულების მოიერიშე ბატალიონი. ცოტა არ იყოს, მიკვირს. თვითონ ნიკუშა კი მინახავს თბილისის ბრძოლების დროს იმელში, მაგრამ სპეცნაზი? მენჯში განლაგდნენ. მივდივარ დასათვალიერებლად. ვნახო, ვინ არიან, რამდენნი; ამას გარდა, მინდა გავიგო, რას შვრება ყარყარაშვილი.

ეს პირდაპირ საოხუნჯო სანახაობა გამოდგა - „სპეციალური დანიშნულების მოიერიშე ბატალიონი“. რაც კი თბილისში დედიკოს ბიჭები ყოფილან, მოუგროვებიათ და ჩამოურეკავთ. საწყლებს, ჩამოყრილ ხელებში ავტომატები ცოცხებივით უჭირავთ. მაგრად შეშინებულები ჩანან. აქ ვხედავ ჩემს მეზობლებს, კოწიას ამხანაგებს. „გაუმარჯოს ლომებს!“ - ვესალმები და სიცილს ძლივს ვიკავებ. ბიჭები დაბნეულები შემომყურებენ. „ვაითუ მართლა ჩვენი იმედი აქვთ“ - ალბათ ასე ფიქრობენ ისინი. ყარყარაშვილი ქალაქში გასულა. ნიკუშა

კეკელიძე მეუბნება, რომ კიტოვანი აპირებს ჩამოსვლას. ვუკავშირდები თბილისს. ჩემი ოთახიდან ნუკრი ცისკაძე რაღაც შეწუხებული ხმით მელაპარაკება. „რა ხდება მანდ?“ - ვეკითხები. „ცოტა არეულობაა“. „რაში გამოიხატება არეულობა?“ „ზვიადისტები დივერსიებს აწყობენ“. „მერე ლანჩავა რას უყურებს?“ „რა ვიცი, თქვენ რომ არა ხართ, დიდ გულზე არიან“. ვუკავშირდები სიგუას - „თენგიზი დღეს წამოვიდა, აქ ყველაფერი რიგზეა“, - მეუბნება.

ყარყარაშვილი გვიან ბრუნდება. ვუყვები ზუგდიდის დელეგაციის შესახებ. დაველოდოთ თუ წინ წავიდეთ? „ეგენი, როგორც ხონში, ახლაც დროის მოგების ტაქტიკას ადგანან“, - დაასკვნის ყარყარაშვილი. შევთანხმდით, რომ ხვალ კიტოვანის ჩამოსვლისთვის გადავწყვეტთ, საით წავიდეთ პირველად - ფოთში თუ ზუგდიდში.

ამბავი მოაქვთ, რომ სამი დღის წინათ სენაკის აეროპორტიდან რუსებს ორი „ბეტეერი“ მიუყიდიათ ზვიადისტებისთვის. ჩვენც შეგვიძლია ვიყიდოთ. ეგ ალბათ ის ორი „ბეტეერია“, ჩემი დაცვის თენგომ რომ ააფეთქა. ჩვენ ფული არა გვაქვს. კიტოვანმა თუ ჩამოიტანა, პირდაპირ მისწრება იქნება. ვრეკავთ თბილისში. კიტოვანი არ წამოსულა. ველაპარაკებით. გვპირდება, ხვალ ჩამოვალო. ყარყარაშვილი, გია სვანაძე და ზაზა ვეფხვაძე საეჭვოდ დაძმაკაცდნენ. თუ სვამენ, კიდევ ჯანდაბას, ოღონდ რაიმე საწამლავს არ გაეკარონ. გია სვანაძე არ შემიმჩნევია, ზაზა კი დაჭერამდე იღებდა ნარკოტიკებს. მაგრამ არც ციხეში და აღარც გამოსვლის შემდეგ არავის არაფერი უთქვამს. გასუქდა, დამშვენდა, თვალები დაუწყნარდა.

გერგაიამ მომიყვანა ირაკლი წერეთლის პარტიის წევრი გეგეჭკორი (?) ეგზალტირებული ახალგაზრდა კაცია, ლაპარაკს არ აცდის ადამიანს. ისე, ურიგო ბიჭი არ ჩანს. თვითონ იქაჩება გამგებლად. რა ვიცი, თუ ხვალაც არავინ აირჩიეს, ამას დავაყენებ - მაინც ეროვნული მოძრაობიდანაა, ნაკომუნისტარი და ნახიშტარი არაა.

სასტუმროში თორნიკე ბერიშვილი დამხვდა, თავის მთამსვლელებთან ერთად ჩამოსულა. უკვე საკმაო ძალა ვართ. გურიის მხედრიონიდანაც ჩამოვიდნენ ბიჭები. უკან ვისტუმრებ. მათი დაბანაკება საჭიროა ფოთის მისადგომებთან, რომ ორივე მხრიდან ერთდროულად შევიდეთ. ნიკუშა

კეკელიძეს ფოთიდან მოჰყავს დელეგაცია. მათ თავკაცობს თბილისში ჩემი ნაპატიები ლაშა თაბუკაშვილის მეგობარი. შემპირდა, საერთოდ აღარაფერს გავეკარებიო, არადა, მგონი ფოთის კომენდანტიც ეს არის. ახლა სურს დააზუსტოს, როდისთვის ვაპირებთ ფოთში შესვლას. პრეფექტი ვიღაც ექიმი ყოფილა, გამსახურდიას შვილების ნათლია. შეიძლება მასზე გავლენა მოახდინოს და ურჩევს, ტყუილუბრალო წინააღმდეგობას ნუ გაგვიწევენ, ოღონდ უსაფრთხოების გარანტიას ითხოვს. „ერთხელ ხომ არ გამოვიყენეთ მომენტი?“ მრავალმნიშვნელოვნად ვამბობ და თვალს თვალში ვუყრი. მის გარდა ვერავინ ხვდება. თავხედურად მიღიმის. კიდევ კარგი, გიგა არველაძე და ბიჭები აქ არ არიან, წესრიგა და ხუბულაშვილი კი ვერ ცნობენ. ქუდი ჩამოუფხატავს, სინათლე მკრთალზე მკრთალია, ოთახიც სიგარეტის ბოლით არის სავსე.

ასეთი მოლაპარაკება წყლის ნაყვად მიმაჩნია. წესით, ეს ფეხისხმას აყოლილი ახალგაზრდა რამდენიმე ხნით დილეგში უნდა შეაგდო, მაგრამ სად არის ან დილეგი, ან ყარაული. მართლა ხომ არ მოკლავ. მაინც მოტყუებულივით ვემშვიდობები: „კიდევ ერთხელ გენდობი. ვნახოთ“.

ასე, გუშინ ზუგდიდის მილიციის უფროსის პირით, ვალტერ შურღაიამაც მშვიდობა შემოგვთავაზა, დღეს კი მიტინგზე გამოსულა და შეიარაღებული წინააღმდეგობის გასაწევად მოუწოდა სამეგრელოს ახალგაზრდობას. ჯერ თვით ეს კუთხური ლოზუნგების ხმარება ხომ პროვოკაცია და საქართველოს ღალატია, მეორეც - ზუგდიდში შეკრებილი ბოევიკები მეტწილად არამეგრელები არიან, სხვადასხვა რაიონებიდან გაქცეული პრეფექტები და მათი დამქაშები. ბევრი მათგანი, როგორც მითხრეს, ისინია, ვისაც ძველ ახალ წელს ყველაფერი ვაპატიე და სახლში გავუშვი.

დილაადრიან თავზე დამადგა გეგეჭკორი. ვეღარ ითმენს, სურს, ახლავე დავნიშნო. თემურ გერგაიაც აქ არის. ორივეს ვნიშნავ გამგებლებად, თემურს - ხობში, გეგეჭკორს - სენაკში. მილიციის უფროსები თვითონ შეარჩიონ.

კახელების რაზმს გიო შიოშვილის მეთაურობით ხობში ვაყოლებ თემურ გერგაიას. სენაკის კომენდანტობას კი ვავალებ პავლიკა იოსელიანს. ძალიან მონდომებულია. მიხარია, რომ ამისთანა ბიჭებმა თავი საჭიროდ იგრძნეს სამშობლოს ბედ-იღბლის გადაწყვეტის დროს.

გია ვაშაკიძე გამოვიდა სამტრედიიდან. „იქ შედარებით ყველაფერი რიგზეა - ქალაქი შეუდგა სამშვიდობო ცხოვრებას, თუმცა, ზვიადისტები აქა-იქ შემოგარენში იმალებიან. შევატყობინეთ, რომ დაბრუნდნენ და ხელს არავის ვახლებთ, მაგრამ ჯერჯერობით არ გვენდობიან“.

შუადღისას თავისი ამალით ჩამოვიდა თენგიზ კიტოვანი. მასთანაა ის ვიღაც კონსულტანტი - პოლკოვნიკი საშა. გადავწყვიტეთ, ხვალ მთელი შემადგენლობით შევიდეთ ფოთში, მერე - ზუგდიდში. გია ყარყარაშვილი დღესვე გადის ავანგარდში ტანკითა და ტექნიკით, ზუგდიდის მიმართულებით გაჩერდება თეკლათთან და ჩვენს გამოსვლას დაიცავს ჭალადიდისაკენ, თან ცრუ მანევრი იქნება - ზუგდიდში შესვლის ნაცვლად ჩვენ შემოგვიერთდება ჭალადიდში. ტექნიკის გარეშე ხიდის გადავლა გაძნელდება. ამბობენ, ხიდი დანაღმული აქვთო. მთელი საღამო ვემზადებით. იწმინდება იარაღი, ბიჭები იზომებენ და ერთმანეთს უცვლიან ჯავშანჟილეტებს, რიგდება ტყვია-წამალი. ინდივიდუალური პაკეტები ყველას არ ჰყოფნის. სამაგიეროდ კიტოვანმა პროდუქტები ჩამოიტანა. არის სალიარი და ბენზინი.

დილით ადრე გასვლა მაინც ვერ მოხერხდა. გავდივართ შუადღისას. კარგა მოზრდილი კოლონა ვართ. კიტოვანმა გვარდიის ქარელის ბატალიონი ჩამოიყვანა. ბუნებრივად დაკანონდა: ჩვენებური ბატალიონი ოციდან ასამდე მებრძოლს ითვლის. ჭალადიდამდე მშვიდობიანად მივედით. ხეივანს ოდნავ გავცდით თუ არა, დაგვიშინეს ყოველი მხრიდან. ვჩერდებით და კოლონას რაზმებად ვყოფთ. საერთო ხელმძღვანელობას ვაკისრებთ გია ხუბულაშვილს. იგი ჩემს მანქანაში ზის. რამდენიმე ბიჭით დაზვერვაზე მიდის თვით გიგა არველაძე. პირველი დაჭრილები მოიყვანეს. ვგზავნით სენაკში. წითელჯვრიანი სანიტარული მანქანა დაცხრილეს. არაფერს ერიდებიან ეს ფაშისტები. ჩვენი მთავარი ექიმი ბესიკ ბურკიაშვილი მოკლეს. ორი ღამის უძილო სენაკის საავადმყოფოში უვლიდა დაჭრილებს, მათ შორის - ზვიადისტებსაც. მისთვის დაჭრილი ავადმყოფი იყო და არა მტერი. შიგ გულში მოარტყეს...

ხიდის შესასწავლად გაგზავნილი მენაღმეები ბრუნდებიან - ხიდები დანაღმული არ არის, სამაგიეროდ, ორივე ჩახერგილია.

ზორო კისრულობს ჩახერგილი სარკინიგზო ხიდის განთავისუფლებას, რკინიგზელების ჩამოსაყვანად სამტრედიაში გარბის. გიგა არველაძე ბრუნდება. ორი ტყვე აუყვანია. სულ ახალგაზრდა სოფლელი ბიჭები. ნაცემები არიან. „რამდენი წლისა ხარ?“ - ვეკითხები. „ჩვიდმეტის“. „რისთვის იბრძვი, ვის ესვრი, იცი?“ „დღეში ორმოცდაათ დოლარს შეგვპირდნენ“. ერთ-ერთს მართლაც აღმოაჩნდა რამდენიმე დოლარი. დაჭრილებთან ერთად ვგზავნი სენაკის კომენდატურაში, პავლიკა იოსელიანთან.

მხედრიონის თბილისის შემადგენლობა და დათო გადრანის სვანები შეტევისათვის ემზადებიან. მავნეს ორი ბიჭი მიჰყავს, რათა გურიის რაზმმა, რომელიც მალთაყვას და გრიგოლეთს შუაა დაბანაკებული, ჩვენთან ერთად დაიწყოს მოქმედება. ტექნიკა არა გვაქვს, რომ წინ გავუშვათ. ყარყარაშვილმა გადაიფიქრა ჩვენთან შეერთება, პირდაპირ ზუგდიდისკენ მიდის. არ მესმის, რას ნიშნავს, გადაიფიქრა. ხომ შევთანხმდით - ერთად უნდა შევსულიყავით ჯერ აქეთ, მერე - იქით. კიტოვანი ხმას არ იღებს. პირველი იერიში არ გამოვიდა, ბიჭები გაიფანტნენ და დაჭრილები გამოიყვანეს. ზორო გახარებული მორბის - გზის უფროსი რემი ვაშაკიძე და მისი თანაშემწე პირადად ჩაებნენ ჩახერგილი რკინიგზის ხიდის გასათავისუფლებლად. გიგა არველაძე, ანზორ ქაჯაია, რიჟა, დათო მამულაშვილი ხელახლა იწყებენ შეტევას. კვლავ შეფერხებაა. მოკლეს დათო გადრანი, კიდევ ორი ბიჭი. კიტოვანი მეუბნება, ქუთაისში წავალ, ტყვია-წამალს ჩამოვიტანო. რა დროს ქუთაისია! მთელი ძალები უნდა ჩაერთონ. გია ხუბულაშვილს ვუბრძანებ, მოაგროვოს ხალხი. წინ მივდივარ. მხედრიონელების ზურგში, გზისპირა თხრილებში, ქარელის გვარდიაა ჩაწოლილი. მოწინააღმდეგის მხრიდან კანტიკუნტად ისვრიან. ეტყობა, დამიზნებით. მინდა, ქარელის გვარდია ასიოდე მეტრით წინ გადავწიო და, როცა მხედრიონელები იერიშზე გადავლენ, ესენიც გაჰყვნენ. ვუხმობ ბატალიონის უფროსს. „არ დგება ხალხი, ბატონო ჯაბა“, - მეუბნება დაბნეული. ჰო, ძნელია იერიშზე ჯარისკაცის წამოყენება. აქ მხოლოდ პირადი მაგალითი მოქმედებს. აბა, ავდექით, ბიჭებო, ავდექით! ჰე, ავდექით! - ვუყვირი. იზლაზნებიან, მოძუნძულებენ. ყოველ გასროლაზე ისევ თხრილში წვებიან. ჩვენკენ მორბის გიგა არველაძე, ხელს იქნევს, რაღაცას ყვირის. არ მესმის. ხიდი თავისუფალია, -

მეუბნება გია ხუბულაშვილი. გაიქცნენ! გაიქცნენ! - გვიახლოვდება აქოშინებული გიგა.

ვაგროვებ ყველას. თენგიზ კიტოვანი და საშა პოლკოვნიკიც მოდიან. მანქანაში ვისვამ. ბინდდება. დაჭრილებია გადასაყვანი. დათო გადრანი სვანებს სენაკში გადმოჰყავთ. გული მაქვს ჩაწყვეტილი. დათო... თავს ვიტყუებ, რიტორიკულად ვკითხულობ: „იქნებ ცოცხალია?“ არავინ მპასუხობს. თენგიზი ისევ ქუთაისში მიიწევს ტყვია-წამლის ჩამოსატანად. საშაც იმ აზრზეა, რომ ღამე ფოთში შესვლა სახიფათოა, სჯობს აქ გავათენოთ. „არავითარ შემთხვევაში! როგორ? საშუალება მივცეთ კვლავ შეიკრანენ? ხვალ ხიდი ხელახლა ასაღები გაგვიხდება“. რკინიგზის ხიდიც განთავისუფლებულია, ჩახერგილი ვაგონებიც მოცილებულია, ბეტონის ფილებია გადასაწევ-გადმოსაწევი. ვგზავნით ამწეს, ვაწყობ კოლონას. თენგიზს ჩემს მანქანაში ვსვამ, კოლონის შუაში. კვლავ საგაბარიტო შუქით ვმოძრაობთ. ანზორ ქაჯაიას მეთაურობით ხიდზე პატრულს ვალაგებ. მანქანაში მე, კიტოვანი, კოწია და ხუბულაშვილი ვართ. უეცრად კიტოვანი უყვირის ჩემს მძღოლს: „მოატრიალე მანქანა!“ ინსტინქტურად ისიც ნახევრად ატრიალებს. „რაშია საქმე?“ - ვეკითხები. არაფერს მეუბნება, სწრაფად გადადის მანქანიდან. ალბათ მოშარდვა უნდა, ვფიქრობ. ერთი წუთი, ორი, სამი... ათი... არ არის. კოლონა გახლეჩილია. ნახევარი ხიდზეა, ნახევარი ქალაქში შედის. რაციები არა გვაქვს, რომ შესვლა შევაჩეროთ. ახლა საკმარისია ერთი ავტომატის რიგიანი ჯერი და, პანიკა გარდაუვალია. პატრული ვიღაცას იჭერს. „ვინ არის?“ - ვკითხულობ სიბნელეში. „ბატონი თენგიზი ყოფილა“, - მპასუხობს ნუგზარ ჟღენტი.

ვეწევით წინ წასულებს. სასტუმროსაკენ აუღიათ გეზი. „აქეთ, პორტში! ღამე პორტში გავათენოთ და დილით ქალაქში განვლაგდებით!“ პორტთან გურიის მხედრიონი გვხვდება. თითქმის უბრძოლველად შემოსულან მალთაყვის მხრიდან. ანზორ ქაჯაია მოქმედებს. ვიდრე ჩვენ პორტვაგზლის შენობაში ვბინავდებით, მან მოიძია მილიციის უფროსი, პორტის უფროსი და ვიღაც ჩინოვნიკები. ზვიადისტები გემით ანაკლიაში გაქცეულან. მათი კომენდანტი, ბულია (?) ჩემი ორჯერ გაშვებული ლაშას მეგობარი ყოფილა. ანზორი ნოტაციას უკითხავს შეშინებულ ჩინოვნიკებს, გადამალული ზვიადისტების მისამართებს ითხოვს. მე და კიტოვანი ერთ

ოთახში ვთავსდებით. ნერვიულობს, როგორღაც მყუდროდ ვერ გრძნობს თავს. შუაღამისას ვიღაც ნათესავი თუ ახლობელი აკითხავს და მასთან მიდის დასაძინებლად. დილით პრეფექტის კაბინეტში ვხვდებით ერთმანეთს. ანზორს პრეფექტის ადგილსამყოფელისთვის მიუგნია და მოუყვანია. ტირის, თავს იმართლებს, ჩემზე არაფერი იყო დამოკიდებული, აქ წინააღმდეგობის გაწევის საქმეს კომენდანტი განაგებდაო. თვითონ ექიმია, კიტოვანი იცნობს. სახლში ვუშვებთ და ვაფრთხილებთ, შინ იყოს და ნურავის გაეკარება.

დილითვე კიტოვანი მიდის ქუთაისში და მეორე დილით მირეკავს, უკვე თბილისიდან: „რა არის, ჯაბა, თოთხმეტი წლის გოგო გაუუპატიურებიათ თქვენს ბიჭებს?!“ „როდის?“ - „გუშინ“. „ვინ გითხრა?“ „ფოთის პრეფექტმა, ახლა აქ არის, ჩემს კაბინეტში“. „უჰ, მაგ პროვოკატორების... აი, ასე გვიყრიან ჭორებს, გუშინ შენ აქ არ იყავი?!“ - ვუკიდებ ყურმილს.

ფოთის ახალი მერის არჩევაც პრობლემა გახდა... რამდენჯერ შევკრიბე ქალაქის გავლენიანი პირები, ინტელიგენცია, ვთხოვ, დაასახელონ ღირსეული კანდიდატი. ყველა თავიდან იცილებს... ზოგი ავადმყოფობას იმიზეზებს, ზოგი რას და ზოგი რას... სინამდვილეში კი, გარდა იმისა, რომ ეშინიათ, ვაითუ ჩვენი ძალაუფლება დროებითიაო, ჰომო სოვეტიკუსის მონურ, სულიერი ხიზნის „მყუდრო“ ცხოვრებას შეჩვეულებს, თავისუფლებით გამოწვეული პასუხისმგებლობა აშინებთ.

როგორც იქნა, ორდღიანი თავყრილობის შემდეგ, დერეფანში მეწევა ახალგაზრდა კაცი და ნახევრად საიდუმლოდ მირჩევს, დავასახელო ვინმე ალექსანდრია. გავიკითხ-გამოვიკითხე, ყველამ ნორმალურად მიიღო ეს არჩევანი, თავად კი გამოტყდა, რომ ედპ-ის ფარული წევრია. გამიკვირდა, არ ვიცოდი, თუ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ფარული წევრები ჰყავდა, მაგრამ დავთანხმდი და ანზორ ალექსანდრია დაინიშნა ფოთის გამგებლად.

ანზორმა დიდი მარიფათი გამოიჩინა. 150-მდე ქალის შეკრებები, პირველ დღეებში საპროტესტო მიტინგის სახეს რომ ატარებდა, აღარსად ჩანს. „ჩვენმა კომენდანტმა, - იცინიან ბიჭები, - ანზორ-სესტრიჩკამ, ისე „მოხარშა“ ეს ქალები, რომ „ზვი-ა-დი, ზვი-ა-დის“ ნაცვლად ახლა „ანზორი, ანზორის“ გაჰკივიანო“.

ტყვია-წამალი გვითავდება. აქაური რუსი მესაზღვრეებისგან იაფადმისი ყიდვა შესაძლებელია, მაგრამ ფული არ გვაქვს... საჭირო თანხა ანზორმა მომიტანა. „საიდანაა?“ - ვეკითხები. „აქაური საქმოსნებისგან ვისესხე“. „ისესხე თუ შეაწერე?“ - „არა, ბატონო ჯაბა, როგორ გეკადრებათ; ვისესხე - არ დაეკარგებათ და ვერც მიიღებენ, - იკრიჭება, - იცით, როგორ გაუხარდათ?“ „დაიკარგე, გაუხარდათ არა...“

ქალაქში სიმშვიდეა. კომენდატურას ვტოვებთ ორი ათეული კაცი და მივდივართ ზუგდიდში.

გვარდია, ყარყარაშვილის მეთაურობით, მას შემდეგ, რაც მცირე შეატკება მოხდა ცაიშის ხიდთან, რომელიც ზვიადისტებმა ააფეთქეს, უკვე ორი დღეა ზუგდიდშია. ადმინისტრაციულ საქმეებს მოვაგვარებ და სასწრაფოდ უნდა დავბრუნდე თბილისში, მხედრიონი კი დღესვე გავა ქალაქიდან. გვარდიამ დატოვოს პატარა საკომენდანტო ჯგუფი და თვითონაც გავიდეს. ჩვენ კი თბილისისაკენ გავწევთ. იქიდან უკვე პანიკური ხმები მოდის. გუშინ დიდი მიტინგი მოუწყვიათ და ცეკას ყოფილი შენობა, სადაც ჩვენ და მთავრობა ვართ მოთავსებული, გარშემორტყმული ჰყოლიათ. ბრანდსბოიტებითა და ავტომატების ჰაერში სროლით ძლივს დაუშლიათ. ზეგაც აპირებენ დიდ მიტინგსა და მანიფესტაციას. ოთარ ფაცაცია მარწმუნებს, რომ საკმარისია 10-15 კაცი დავიჭიროთ ან მოვაცილოთ ზუგდიდს და მოხდება სტაბილიზაცია.

გალიდან მოდის დელეგაცია პრეფექტ რუდიკ ცატავასთან ერთად. გაუგიათ, რომ ყარყარაშვილი დღეს საღამოს აპირებს გალში გვარდიის შეყვანას. ეს გამოიწვევს არეულობას. მე ამის შესახებ არაფერი ვიცი. ვპირდები, რომ ეს არ მოხდება. დაიმედებულები მიდიან. სასწრაფოდ ვიბარებ ყარყარაშვილს, ზაზა ვეფხვაძესა და გია სვანაძეს. მთვრალები არიან. მართლაც გადაუწყვეტიათ გალში შესვლა. ყარყარაშვილს ახლა უკვე კატეგორიულად ვუკრძალავ ამის გაკეთებას. ზაზას და გიასაც ვსაყვედურობ. იმის მაგივრად, რომ თავისი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ ცუდად ატეხილი ყარყარაშვილი, თვითონ მოექცნენ მისი გავლენის ქვეშ. დათვრნენ და სურდათ გაეთამაშებინათ ბიჭური ყოყლოჩინობის აქტი „აბა, წავედით!“ საქმე კონფლიქტამდე არ მიმყავს, თავს ვიკავებ, თორემ ისიც გასახსენებელია, რომ ფოთი-ზუგდიდის ოპერაციის

შეთანხმებული ვარიანტი მისი გამოისობით სხვაგვარად წარიმართა. იმის მაგიერ, რომ თეკლათში ჩვენთან შემოერთებულიყო, რაკი ნაკლები წინააღმდეგობა ნახა, პირდაპირ ზუგდიდისაკენ გასწია. ასე რომ არ მომხდარიყო, მასთან ერთად ტექნიკით შესულებს ფოთში ბიჭები არ დაგვეღუპებოდა. დათო გადრანი, ბესიკ ბურკიაშვილი და სხვები იქნებ გადარჩენილიყვნენ. ჩემთანაა ავთო ჩიქობავა, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრი, ძველი მხედრიონელი, დალის ხეობის ლაშქრობის მონაწილე, წალენჯიხელი, კარგი მეომარი. ვავალებ, წალენჯიხაში თხუთმეტი-ოცი კაცი წაიყვანოს და დროებით, ვიდრე სიტუაცია გაირკვევა, გამგებლობა იკისროს. ორჭოფულად მეთანხმება, დარწმუნებული არ არის, რომ მეზობლები მიიღებენ. მოდის შაქრო ჭითანავა - ზუგდიდის მხედრიონის დამაარსებელი და შემდეგ გადამდგარ-გადაყენებული. ახლა არც მიწისაა და არც ცისა. მაინც ჩვენი კეთილმოსურნეა, მირჩევს, მილიციის უფროსად ვინმე მაგარი ბიჭი შევარჩიო. მართლაც, მილიციამ თუ იმარჯვა, ზუგდიდში პრობლემები აღარ იქნება. თორნიკე ქირია არსად ჩანს, იმალება. სად არის მერე ეს მაგარი ბიჭი?! იქნებ თვითონ გვენცაძემ მოიძიოს თავის კადრებში. მანამდე კომენდატურა გასწევს მათ მაგივრობას.

ღამით განუწყვეტლივ თოვდა. დილით კი მზემ გამოანათა. ათი საათისათვის მივდივარ პრეფექტურაში. უწინ რაიკომის მდივნის რეზიდენცია იყო. ზუგდიდის საზოგადოებრიობამ უნდა აირჩიოს გამგებელი. მოვიკითხე ჟორჟოლიანი. მას კომუნისტების დროს შევხვედრივარ. ჯერ „კაგებეში“ უნდოდა მუშაობის დაწყება, მერე - რაიკომში. როცა სახარბიელო აქაც ვერაფერი ნახა, წერეთლის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიაში შევიდა და სამეგრელოს რეგიონს თავკაცობდა. გამსახურდიას რეჟიმის დროს ზვიადისტი და ერთხანს ზუგდიდის გამგებელიც იყო. ერთი სიტყვით, კარიერისტი და მედროვეა, მაგრამ, შედარებით განათლებული და ორგანიზაციული ნიჭის მქონე ახალგაზრდა. ალბათ ვერ მონახეს, ყველაფერს თავი აარიდა და აქაურობას გაეცალა.

დარბაზი ხალხითაა გადაჭედილი. უმეტესობა ინტელიგენცია უნდა იყოს. მხვდებიან ცნობისმოყვარეობითა და გაუმჟღავნებელი სიმპათიითაც. ეს ძლიერ მახარებს. მართლაც, რა მინდა? წესიერი და გავლენიანი კაცი აირჩიონ და თავის თავს თვითონ მოუარონ. სრულებით არ მინდა ვაგინო

გამსახურდია, მაგრამ როგორ არა ვთქვა მთავარი, რომ გვეყო, საჭირო აღარაა ეს კერპთაყვანისმცემლობა, ბოლოს და ბოლოს, გამოვიდეთ ამ მონობიდან და, ამავე დროს, უპასუხისმგებლო განწყობიდან; ჩვენ თვითონ ვიკისროთ ჩვენი და ქვეყნის ბედის განკარგვა. მისმენენ, თუმცა, ეს ჩემი ნათქვამი სტანდარტულ პრელუდიად მიაჩნიათ. მთავარია, მერე რას შევთავაზებ მათ, რატომ შევყარე? ეს ასეც არის. წინადადებას ვაძლევ, აირჩიონ გამგებელი. დარბაზში გამოცოცხლებაა. ასახელებენ სხვადასხვა ადამიანებს, ზოგს დაუსწრებლადაც. შევთანხმდით გურამ გუნავაზე - მათ ყოფილ რაიკომის მდივანზე. როგორც ამბობენ, გამორჩეული იყო თავისი პატიოსნებითა და ენთუზიაზმით. მართლაც ენერგიული და წესიერი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ვბრუნდები სასტუმროში. მხედრიონი უკვე შეკრებილა. ფაქტობრივად ექსპედიცია დამთავრებულია, ჩვენი მისია შევასრულეთ. ბიჭებს უხარიათ, რომ შინ ბრუნდებიან და იმისიც სჯერათ, რომ სამოქალაქო ომი დამთავრდა. ზუგდიდში რჩებიან ყარყარაშვილი და გვარდია. ახლა საჭიროა გაქცეულების შემორიგება. ისინი არცთუ ისე ბევრნი არიან და, თუ მაინცდამაინც ვინმე გაჯიუტებული და შეურიგებელი აღმოჩნდება, მოხდეს მათი დროებითი იზოლაცია.

თოვლის ფიფქები მზეზე ბრწყინავენ, ჰაერში ფარფატებენ და ჩვენი იმედებიც გაზაფხულის განწყობას ქმნიან, თუმცა, ვიცით, რომ ზამთრის სიცივეები ჯერ კიდევ წინაა. წალენჯიხიდან თავისი ხალხით ბრუნდება ავთო ჩიქობავა. გამოგდებით არ გამოუგდიათ, მაგრამ არც არაფერი დაჰკლებია მის იქ გამოჩენას. დარცხვენილი თავს იქნევს, რაღაც ვერ გაუგია თუ განხიბლულია საკუთარი თავით. მოდიან ზუგდიდელი, ასე ვთქვათ, გამოსული ბიჭები - ჯუმბერ ქვარაია თავისი მეგობრებით. ვარცხვენ, როგორ მიიყვანეთ საქმე იქამდე, რომ საკუთარ ქალაქში ვიღაც-ვიღაცეებს აპარპაშებთ-მეთქი. „სულ სოფლელები არიან, ქალაქელი ერთი-ორი კაცი თუ იქნება“, - თავს იმართლებენ. „მით უმეტეს. ახლა მაინც ჩაუდექით ცხოვრების დინებას სათავეში“, - ვეუბნები, მაგრამ, ვგრძნობ, საქმე ასე უბრალოდ ვერ შემოტრიალდება. აქ რაღაც სერიოზული დაინტერესება უნდა გამოჩნდეს.

დაცვას შემოაქვს მეგრული პურმარილი, ცხელ-ცხელი ღომი სულგუნით, მოხარშული დედალი, საწებელა, აჯიკა, ბაჟე,

კარალიოკი, ხურმა. „ბატონო ჯაბა, ეს თქვენ ვიღაც ქალმა მოგიტანათ და წერილიც გადმოგვცა“. ვკითხულობ: „ეს მე ვარ, ნანა, „კაგებეს ციხიდან“. გული მითბება. მახსენდება წიწიბურას ფაფაში ჩამალული წერილი: „გემუდარებით, არ დამტოვოთ აქ“.

თბილისში მეჩქარება. დღეს აუცილებელია ჩემი იქ ყოფნა. ქუთაისიდან გავფრინდები, მხედრიონის საბჭოს ვავალებ, უკანა გზაზე შეიარონ ხობში, სენაკში, სამტრედიაში. ფოთში ანზორი ერთ კვირას დარჩეს პატარა ჯგუფთან ერთად. თემურ გერგაია მთხოვს, ხობში მცირე რაზმით დავტოვო გიო შიოშვილი. გამორიცხული არ არის, რომ გახიზნული ხობელი და ზუგდიდელი ზვიადისტები შეერთდნენ და თავდასხმა მოაწყონ. ვიდრე ხობში მილიცია ჩამოყალიბდება, ოცკაციანი ჯგუფი საკმარისი იქნება. ვთანხმდები. გია ვაშაკიძეს ვავალებ, კურირება გაუწიოს სენაკსა და ხობს. სენაკის გამგებელი გეგეჭკორი საეჭვო ვითარებაში მოხვდა ავარიაში. გაურკვეველია, მოკლეს თუ მანქანა აფეთქდა და შიგ დაიწვა. პავლიკა იოსელიანსაც თავს დაესხნენ. მაგრად უცემიათ. ძლივს გადარჩა. ასე რომ, სენაკს მიხედვა სჭირდება. გია და დათო ვაშაკიძეებთან რჩება გიგა გელაშვილიც. ქუთაისი მყარად დადგა ჩვენი ხელისუფლების მხარეს.

თბილისში არეულობა და დაბნეულობაა. კომენდანტის მოვალეობიდან ვათავისუფლებ ლანჩავას. ავტორიტეტი არა აქვს. ვნიშნავ გიგა არველაძეს. თენგიზ კიტოვანი მთხოვს, ნუ ვიზამ ამას. თვითონ ლანჩავაც მეხვეწება. თენგიზი მეთანხმება, რომ კომენდატურა ვერ მუშაობს ხეირიანად. როგორც კომპრომისულ გამოსავალს, წინადადებას მაძლევს, ლანჩავა დავტოვოთ და მოადგილედ გიგა არველაძე დავუნიშნოთ. ვეთანხმები, მაგრამ შემდეგ მოდის თვით გიგა არველაძე, მთხოვს, მივიღო თენგიზ კიტოვანის წინადადება. „სახელი მაგათი იყოს, საქმე კი ჩვენ გავაკეთოთ“. აი, ეს არის მთელი მხედრიონის შეცდომა: თან ხელისუფლებაში ყოფნა და ძალაუფლების არგაფორმება, სტატუსების მოხვეჭის პერიოდში მათზე უარის თქმა. საუბედუროდ, მეც ასეთი განწყობა მაქვს და, რასაკვირველია, დამიყაბულეს.

ტელევიზიით გამოვდივარ, მკაცრად ვაფრთხილებ რევანშისტებს - დემოკრატია ლობიოობა არ არის, დემოკრატიას ჩვენ დავიცავთ. როგორც ამბობენ, ჩემმა გამოსვლამ ნაყოფი

გამოიღო, ყოველ შემთხვევაში, რევანშისტების ე. წ. მიტინგი და დემონსტრაცია არც დაგეგმილ და არც მომდევნო დღეებში ძალოვანი ექსცესების პროვოცირებით არ შედგა.

ვმუშაობ ამნისტიის პროექტზე. ჯონი ხეცურიანმა - იუსტიციის მინისტრმა, რამდენიმე ტექსტი მომიტანა, მაგრამ ყველა ერთმანეთს ჰგავს. ეს კომუნისტური „წმინდანობია“ ვერა და ვერ გამოდის მათი თავიდან. ამნისტია, მათი აზრით, უნდა შეეხოს მხოლოდ პირველი ნასამართლობის მქონე პატიმრებს და პატარა დანაშაულის ჩამდენთ. ჯერ ერთი, სადღაა პირველი ნასამართლობის მქონე დამნაშავეები, რაღაც უმნიშვნელო პროცენტია. ამას საბჭოთა რეჟიმმა და გამსახურდიამაც შეუწყეს ხელი. დიდი ხანია მოასწრეს აქტიური ახალგაზრდების დამნაშავეებად ჩამოყალიბება. მეორეც - პატარა დანაშაულზე საერთოდ არ უნდა იჭერდნენ. მახსოვს კომუნისტური ამნისტიები. მაგალითად, 1957 წელს ხრუშჩოვის მიერ გამოშვებული - დიდი, პომპეზური, ზოგადი, ჰუმანისტური პრეამბულა და, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, იგი თითქმის არავის ეხებოდა. სისხლის სამართლის კოდექსი ჯერ კიდევ სტალინმა გვერდზე გადადო და ამხელა იმპერიაში მოქმედებდა ე. წ. 1947 წლის ივლისის ბრძანებულება, რითაც მთელი 12 წლის განმავლობაში ასამართლებდნენ ყველა ჯურის სისხლის სამართლის დამნაშავეებს. იგი იწყებოდა 3-დან და მთავრდებოდა 25 წლის პატიმრობით. ჰოდა, ამნისტია კი ხრუშჩოვმა 3 წლამდე გამოუშვა - მოხარშული კვერცხის ბულიონი. ამნისტია უნდა იყოს ამნისტია და არა ციხეების განტვირთვა, რომლის მოვლის თავიც არა გვაქვს. ამავე დროს, ის უნდა შეეხოს ყველა დამნაშავეს - ზოგი მთლიანად განთავისუფლდეს, ზოგსაც შეუმსუბუქდეს. ერთი სიტყვით, ამნისტიის პრინციპი სწორედ ის არის, რომ ყველას უნდა შეეხოს. მოკლედ, დიდი ომი გვაქვს. პროკურატურა, მილიცია, იუსტიციის სამინისტრო ფარულად თუ ღიად მეწინააღმდეგებიან. მართალია, თენგიზ სიგუა არაფერს ამბობს, მაგრამ ისიც უარყოფითად არის განწყობილი. მხოლოდ თენგიზ კიტოვანი მიჭერს მხარს, თუმცა, მაინცდამაინც თავს არ იკლავს. ამნისტია ჩემთვის თვითმიზანი არ არის. თუკი ქვეყანამ ახალი კანონებით უნდა იცხოვროს, ძველი კანონებით პატიმრის შემონახვა არც ჰუმანურია, არც სამართლიანი და არც სახელმწიფო ინტერესებს შეესაბამება. მეორეც - გარდა იმისა, რომ საპატიმროებში ადამიანები დრაკონული საბჭოთა

კანონებით არიან მოთავსებული, ახლა ხომ სამოქალაქო ომმაც გადაგვიარა. თუ ჩვენ შერიგება და ხალხის ერთიანობა გვსურს, საზოგადოების მხოლოდ ერთ ნაწილზე ნუ გადატეხავთ პასუხისმგებლობის ჯოხს, ჩვენც ვიკისროთ იგი. განა ჩვენ ცოტა რამეში ვართ დამნაშავენი?! თუ ბოლომდე გულწრფელები ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ მათი შენახვაც ძალიან გვიჭირს. არ არის სანიტარიული პირობები, კვება, ნორმალური შენობა. ის კი არა, საბადრაგო სამსახურის ხალხიც არა გვყავს. რუსების მერვე პოლკი წავიდა, ქართველები კი საკუთარ ქვეყანაში ჯერ კიდევ თაკილობენ ამ სამსახურს. ერთი სიტყვით, ჩემი გამაქვს და ამ დღეებში ამნისტია გამოქვეყნდება.

შევარდნაძის ჩამოყვანის საქმე დაძრულია. სხვადასხვა საზოგადოებაში, როგორც ობიექტურ პოლიტიკურ აუცილებლობაზე, კონფიდენციალურად ვსაუბრობთ ამის შესახებ. თავს იჩენს ცალკეული გაბედული მსჯელობები ამ საკითხის გარშემო. ჩემთან მოსკოვიდან ჩამოდის ვინმე არველაძე - ახალგაზრდა კაცი, როგორც მაცნობენ, მილიონერი. ქართული არ იცის, მგონი რუსეთში დაბადებული თუ გაზრდილია. ამბობენ, პატრიოტია და სურს, უცბად ნაშოვნი მილიონები საქართველოს მოახმაროს. ჩემთვის ლეგალური მილიონერის გაცნობა ახალი ხილია. ისიც ახალია, რომ ალტრუისტული მიზანსწრაფვა ჰქონია ადამიანს. რასაკვირველია, ეს მისასალმებელი და გასახარია, მაგრამ უნდობლობის ჭია, როგორც ყველა „ჰომო სოვეტიკოში“, ჩემშიც ფუთფუთებს. იგი დაინტერესებულია, რომ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდეს. არ ვეკითხები, ვისი ინიციატივით არის მოსული. ამას ჩემთვის მნიშვნელობა აღარ აქვს. უკვე გადაწყვეტილი მაქვს: შევარდნაძე უნდა დაბრუნდეს საქართველოში.

სიგუასთან და კიტოვანთან კამათი მიჭირს. თუმცა, თითქოს წინააღმდეგი არ არიან. მხოლოდ შევარდნაძის საწყის პოსტად მათ მიაჩნიათ საგარეო სავაჭრო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარეობა ან საგარეო საქმეთა მინისტრობა. მართალია, ალექსანდრე ჩიკვაიძე უკვე ჩამოიყვანეს (ჩემთვის არ უკითხავთ), მაგრამ ჩიკვაიძისთვის ალბათ რაღაც სხვა, უფრო მაღალი პოსტი აქვთ შერჩეული, რადგან მათთვის იგი შევარდნაძეზე ნაკლები პოლიტიკოსი არ არის. მოსკოვში ყოფნისას ერთმაც და მეორემაც მოინახულეს შევარდნაძე,

თუმცა კონკრეტულად არაფერი შეუთავაზებიათ.

სათათბირო უკვე რეგულარულად ფუნქციონირებს. პარტიების ლიდერები და საზოგადო მოღვაწენი მსჯელობენ და რეკომენდაციას იძლევიან ბიუჯეტის, სამინისტროების დაკომპლექტების, გამგებლების დანიშვნის, აფხაზეთის, ცხინვალის, აჭარის პრობლემებთან დაკავშირებით. ყალიბდება კომისიები - ერთი სიტყვით, საჭიროა მათი ერთგვარი ლეგიტიმიზაცია. ორი კაცისაგან შემდგარი სამხედრო საბჭო ვეღარ შეძლებს დემოკრატიული პროცესის წარმართვას და არც არის საჭირო. სასწრაფოდ უნდა მომზადდეს არჩევნები. 1921 წლის კონსტიტუცია, მადლობა ღმერთს, გვაქვს. თანამედროვე პრობლემებთან შეხამებით იგი მშვენიერი საკანონმდებლო ბაზაა - დროებით მაინც. ასე რომ, ჩვენმა სამხედრო საბჭომ ტრანსფორმაცია უნდა განიცადოს, ესე იგი, ჩვენმა ხელისუფლებამ დემოკრატიული განვითარების გზაზე წინ უნდა გადადგას ნაბიჯი. ეს თავისებურად ესმით კიტოვანსა და მის გარემოცვას. როგორც ვატყობ, მათ უბრალოდ სურთ სამხედრო საბჭო გააფართოონ სამხედროებით, ესე იგი, დამყარდეს სამხედრო დიქტატურა. ამას ვერ დავუშვებ. ეს გამორიცხულია. ჯერ ერთი, რევოლუცია იმიტომ მოხდა, რომ ქვეყანას დემოკრატიული მმართველობა დავუფუძნოთ, მეორეც - „ყველა - მინუს ერთი“ - ასეთ შემთხვევაში არ გამოვა. ერი არ გამთლიანდება. ოპოზიციური და პარტიული დაჯგუფებები თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ანდა, ვინ არიან ეს სამხედროები?! რა პოლიტიკური ფიგურები, რა გამოცდილებით, რა ინტელექტით, რა ბიოგრაფიით? იმისათვის, რომ დემოკრატიული პროცესი განვითარდეს, აუცილებელია გავითვალისწინოთ სამხედრო, საზოგადოებრივი, ხალხის სავარაუდო წარმომადგენლობის, ეკონომიკური, კულტურული ძალების მონაწილეობა პარტიებთან ერთად პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათი ხვედრითი წონის მიხედვით ხელისუფლების დაბალანსება. ასეთი თვალთახედვით რა სურათს წარმოაჩენს დღევანდელი სინამდვილე? არის გვარდია - კიტოვანი, არის მხედრიონი - ჯაბა, არის ეკონომიკური სადავეების მქონე ბიუროკრატია - სიგუა, არის სათათბირო - პოლიტიკური პარტია პლუს საზოგადო კულტურის მოღვაწეები და არიან ხალხის სავარაუდო წარმომადგენლები გამგებლების სახით. მაშასადამე, ყველაფერ ამას ახალი გაფორმება სჭირდება. ჰოდა,

თუ სათათბირო სახელმწიფო საბჭოს რანგში ამაღლდება, პარლამენტის ფუნქციებით, არჩევნებამდე გვექნება დემოკრატიული მმართველობა. ხელისუფლების ასეთ სისტემაში შეიძლება ჩაირთოს შევარდნაძეც, როგორც სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, თვით საბჭოში კი - პრეზიდიუმი, როგორც ბალანსი და მაკონტროლებელი ორგანო. ვინ უნდა შევიდეს პრეზიდიუმში? რასაკვირველია, რეალური ძალაუფლების მქონე პიროვნებები. სხვაგვარად დაიწყება ფარული ან ღია ომი. ეს არის ჩემი მოდელი, და, მჯერა, გავიტან. ახლა საჭიროა ვიმუშაო სახელმწიფო საბჭოს კანდიდატებთან, პარტიების ლიდერებთან, რათა ისინი დავითანხმო შევარდნაძის თავმჯდომარედ დანიშვნაზე, შემდეგ კი კიტოვანი და სიგუა დავიყაბულო.

ირაკლი წერეთლის წინადადებით, ვატარებთ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის ცერემონიალს. ხალხი იკრიბება სპორტის სასახლეში. დღესასწაული არ გამოვიდა. ყველაფერს მომზადება და განწყობა სჭირდება. მაინც, ასე თუ ისე, ისტორიული მომენტია. საქართველოს კონსტიტუცია - ჩვენი მამა-პაპის ნაღვაწი და ჟამთა სიავის გამო უმოქმედო - ძალაში შედის. ჩვენი ოპონენტები აღნიშნავენ, რომ შეუსაბამობაა საკუთრებისა და ნაციონალიზაციის საკითხებთან დაკავშირებული ანაქრონიზმის გამო. შემაქვს განმარტება, რომელიც ოფიციალურად აღდგენილ ტექსტში ფიქსირდება: „თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით“. ეს ყოველგვარ წინაუკმობას თავიდან აგვაცილებს. ასე ვთქვათ, შემოქმედებითი ინიციატივის სფეროს აკანონებს.

ქვეყანა თანდათან მშვიდდება. დედაქალაქში არის ელექტროენერგია, გაზი, პურის პრობლემაც ჯერჯერობით მოგვარებულია. მიტინგები და მასობრივი გამოსვლები აღარ იმართება. ჩამოდიან უცხოელი საქმოსნები, დაფაცურობენ, თუმცა, რაიმე შედეგიან გარიგებას ჯერ ვერ ვხედავთ. დაფუძნდა უამრავი ფირმა, მხოლოდ ქაღალდზე. ამას მეტწილად თავობენ ავანტიურისტები ან წვრილფეხა თაღლითები. იწყება სპეკულაცია საწვავითა და იარაღით ვაჭრობაში. თურქეთთან საზღვარი გახსნილია და ჯართომანიაა ქართველი საქმოსნების გატაცება: იაფი და იორღა, ქართული ზერელობის შესატყვისი ბიზნესი. იხსნება კერძო დუქნები და რესტორნები. კრიმინალური სამყაროს სპეციალიზაცია მანქანების მოპარვა-გატაცებაში გამოიხატება. უამრავი

მძღოლი ყიდის სახაზინო ტრანსპორტს და დაყაჩაღების აქტებით ჩამოწერენ მათ. ასევე გახშირდა მილიციის მიერ იარაღის გადამალვა-გაყიდვის ფაქტები. მოსახლეობა მევახშეობაზე გადავიდა. შინაგან საქმეთა სამინისტრო უმოქმედოა - შეშინებული და ამავე დროს პოლიტიზებული. წასვლის წინ კომუნისტებმა მილიციებში მოხვეტეს ექვსი ათასი ავტომატი და რუსეთში გაგზავნეს. ამას დაემატა ომის დროს განიარაღება-გაყიდვა. ასე რომ, მილიცია ფაქტობრივად განიარაღებულია.

უშიშროება - „კაგებე“ - უფრო უსახლკაროდ და უორიენტაციოდ დარჩენილი საზოგადოებაა, ვიდრე ორგანიზაცია. ყველაფერ ამას დალაგება-შეცვლა დასჭირდება. „კაგებეს“ ბედი სულ არ მაღელვებს. საერთოდ, თუ საქართველოს შერჩება დამოუკიდებლობა, „კაგებეს“ რეანიმაცია აუცილებელი არ არის. რაში გვჭირდება! მე შენ გეტყვი, აგენტურული ქსელის მოქრთამვას შევძლებთ თუ ზესახელმწიფოების რეზიდენტების გადმობირება-დაშანტაჟებას. ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაერთოს პოლიციური სულისკვეთება. თუ მაინცდამაინც აუცილებელია, საინფორმაციო-სადაზვერვო ფუნქციების შენარჩუნებით შეიქმნას ერთი პატარა კანტორა მაღალი რანგის სპეციალისტ-ინტელექტუალებით. ყველაფერ ამას დრო სჭირდება. დრო კი არ ითმენს და, რითაც შეგვიძლია, უნდა გამოვიყენოთ ერზაცთა მექანიზმები. ერთ-ერთი ერზაცული ინსტიტუტი მაშველთა კორპუსია, ახალი, აუწყობელი, მაგრამ დემოკრატიული, ხალხის წიაღში დაბადებული ორგანიზაცია, რომელიც ამჯერად პატრიოტულ-ენთუზიასტურ ტალღაზეა შეგდებული. ამიტომაც სადაც რაიმე სირთულეები წარმოიშობა, ვგზავნი მხედრიონელებს.

მოდიან და მოდიან კორესპონდენტები. უმრავლესობა ჩემს სამომავლო პირადულ გეგმებზე მეკითხება: „თქვენ ხშირად ამბობთ, რომ არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წახვალთ!“ „დიახ! - ვპასუხობ მე. - შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის წევრად დავრჩე“. „ასე ამბობენ ხოლმე და მერე აღარ მიდიან“ - მეპასუხება ერთ-ერთი. „მე წავალ“, - ვიმეორებ დაბეჯითებით. მართლაც ასე მაქვს გადაწყვეტილი, მივალაგ-მოვალაგებ ამ ჩემს მხედრიონელებს და არჩევნების შემდეგ შინისაკენ. ან... მაგრამ ამისთვის ჯერჯერობით მზად არა ვარ.

ფარისევლობა, ორიგინალობა და ექსტრავაგანტურობა ასეთი საბოლოო ნაბიჯისათვის მკრეხელობაა. ზვიადისტების ზოგიერთი აქტივისტი ახალ პოლიტიკურ სპექტრში მოხვედრაზე ფიქრობს, თანაც, ზომავს, რამდენად მყარია ჩვენი ხელისუფლება.

ვხვდები აკაკი ასათიანს. მასთანაა გიორგობიანი - თავის დროზე კომკავშირის აქტივისტი. შემდეგ რომელიღაც ახალგაზრდულ პარტიას ხელმძღვანელობდა ირაკლი კაკაბაძესთან (ნათია ამირეჯიბის შვილთან) ერთად. შემდეგ - ანტიზვიადისტი, შემდეგ - ზვიადისტი. ახლა ითხოვს გროზნოში გამგზავრებას გამსახურდიასთან მოსალაპარაკებლად. იქნებ დაითანხმოს გამსახურდია და ოფიციალურად გამოაქვეყნოს გადადგომის აქტი. გუნებაში მეცინება, ეს ან მიამიტობაა, ან ჩემი მოსატყუებელი წინადადება. კი ბატონო, წინააღმდეგი არა ვარ. თუმცა, ვინც იცნობს ზვიადის პატივმოყვარე ბუნებას, იცის, რომ ასეთ, შედარებით უსაფრთხო სიტუაციაში, სადღაც გროზნოში, იგი ამაზე არ წავა. აკაკი ასათიანს კი ისევ ის იდეა აქვს: შეიკრიბონ უზენაესი საბჭოს დეპუტატები და ჩვენს ხელისუფლებასთან შექმნან რაღაც სიმბიოზური სახელმწიფო სტრუქტურა. ეს უკვე მოძველებულია. ჩვენ შეგვიძლია სახელმწიფო საბჭოში პერსონალურად მოვიწვიოთ დეპუტატთა გამორჩეული ნაწილი, მაგრამ ისინი დაქსაქსულები და დაბნეულები არიან. დრო კი აღარ ითმენს. ზაფხულში ჩავატარებთ არჩევნებს. მიიღონ მონაწილეობა, არავითარ პრობლემებს არ შევუქმნით. ხალხმა გადაწყვიტოს.

რამდენიმე სახელმწიფომ სცნო ჩვენი დამოუკიდებლობა და, ამგვარად, ჩვენი ხელისუფლებაც. მოლაპარაკებას ვაწარმოებთ მოსკოვის მერთან, ლუჟკოვთან. შეგვპირდნენ დამწვარი პირველი სკოლის აღდგენას თავისი სახსრებით. ჩამოდის დელეგაცია მისი მეთაურობით. ჩვენ 1921 წლის კონსტიტუცია აღვადგინეთ, სიგუა კი რაღაც ზოგად დემაგოგიურ განცხადებას აკეთებს შეხვედრაზე. ამნისტია მზად არის - ეხება ყველას. ვათავისუფლებთ პატიმრების თითქმის 95 პროცენტს. განახევრებული სასჯელებით რჩებიან მხოლოდ მკვლელები, მოძალადეები და ნარკოტიკების გამსაღებლები. პროკურატურა ბუზღუნებს. მილიცია გაფიცვას აცხადებს და ამასთან დაკავშირებით გაფიცვის თავკაცები ჩემთან მოდიან. არჩილ გოგელია, ყოველი შემთხვევისათვის, თავს იზღვევს და

ტელევიზიით გადასცემს გაფიცვის სიუჟეტს ორაზროვანი კომენტარით. გაფიცულებს ვიღებ მკაცრად, ვადანაშაულებ საბოტაჟში: „თუ თქვენ გგონიათ, რომ პატიმრებზე ნაკლები დამნაშავეები ხართ, ძალიან ცდებით. თქვენ ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დროიდან ხართ გასასამართლებელი: ციმბირის ჯურღმულები გატენეთ ქართველი ახალგაზრდებით. თქვე მექრთამეებო, თქვე მწვალებლებო. ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის ლოზუნგით თქვენ ფაქტობრივად ქართველი ახალგაზრდობის გენოციდს აწყობთ. თუ მაინცდამაინც, დღეს ყველა დამნაშავეა. აბა, მოუსვით აქედან“. საბჭოთა ჩეკისტი გამომივიდა სამართლიანობის დამცველი. მივმართავ სინეკდოქებით და მივჩერებივარ ერთს. ეს ერთი მათ შორის ყველაზე თვინიერი კაცი - ჯიმი სხირტლაძე გამოდგა.

ელდარ შენგელაიას ახლავს საშუალო ტანის არცთუ ახალგაზრდა კაცი. მაცნობს. თემურ მამალაძე, იგივე სტეპანოვი, ედუარდ შევარდნაძის ნდობით აღჭურვილი პირი. ეს სახელი და გვარი შევარდნაძესთან კავშირში უწინაც გამიგია. ვიზიტი კონკრეტულ ხასიათს ატარებს. ბატონ თემურს აინტერესებს პირობები, სტატუსი, რომლითაც შევარდნაძე დაიწყებს საქმიანობას. მე ჩემს მოდელს ვუხსნი. ეს ჯერ მთლიანად არ შემითანხმებია არც კიტოვანთან, არც სიგუასთან, მაგრამ, ვფიქრობ, დათანხმდებიან, ესე იგი, სახელმწიფო საბჭო და პრეზიდიუმი 4 კაცის შემადგენლობით, ვეტოს უფლებით. თავმჯდომარე - შევარდნაძე. ელდარ შენგელაია ფრთხილად გამოთქვამს სურვილს, იქნებ შევარდნაძეს განსაკუთრებული უფლებები მივცეთო. მეღიმება: „ჯერ ერთი, მოდი, ნუ გავაღიზიანებთ ნურც სიგუასა და ნურც კიტოვანს; მეორეც - ისიც საკმარისია, რომ თავმჯდომარეა. დამატებით უფლებებს ის თვითონ მოიხვეჭს“. თემურ მამალაძე იცინის და მეთანხმება. რამდენიმე დღის შემდეგ მოდის მისი თარჯიმანი სერგი ტარასენკო, ემისარი შევარდნაძის მხრიდან. მას თან ახლავს რუსი ახალგაზრდა, რომელიც ყველაფერს იწერს. მე მიტოვებენ შევარდნაძის მოსკოვის ტელეფონის ნომრებს. საუბარი იმავე საგანზეა, იმავე მიზნით. მეც იმავეს ვიმეორებ და ვპირდები, რომ დავურეკავ შევარდნაძეს.

კიტოვანის კაბინეტში სამხედროები შეკრებილან. შარაშენიძე, ყარყარაშვილი, ცქიტიშვილი, დათუაშვილი, ბესიკ

ქუთათელაძე და სხვები. აქვე ვხედავ პროკურორ ვახტანგ გვარამიას. როგორღაც დარცხვენილი მიყრდნობია კედელს. მე შევპირდი, გამსახურდიას მაისში გადავაყენებთ-მეთქი. ახლა ჯერ მარტის პირველი რიცხვებია. ვითომ ვერ ვამჩნევ, არ მინდა ნიშნი მოვუგო. „პარადი“ მიჰყავს შარაშენიძეს. დიდის აპლომბით დადის აქეთ-იქით შუა ოთახში და მაღალფარდოვანი სიტყვებით, ნახევრად რუსულად, ნახევრად ქართულად, ამტკიცებს სამხედრო საბჭოს გაფართოების აუცილებლობას. სიაც ჩამოუწერია: კიტოვანი - თავმჯდომარე, მე - მოადგილე, თვითონ და დანარჩენები - წევრები. ეს ისეთი თვითშემოქმედებაა, რომ მეცინება და ოთახიდან გავდივარ. კიტოვანს ვუთანხმდები, რომ ხვალ შევხვდებით სიგუას კაბინეტში. ეს კარიერისტული ფუსფუსი ალბათ კიტოვანსაც ჭკუაში დაუჯდა. არადა, არავითარი სოციალური, პოლიტიკური, იდეური და, რაც მთავარია, პიროვნული ბაზა არ არსებობს, ეს სამხედრო საბჭოს ორკაციანი უჯრედი გავამრავლოთ და სუფთა ხუნტა შევქმნათ. ვეჭვობ, ხომ არ უნდათ, ეს შევარდნაძის ჩამოსვლას დაუპირისპირონ, ან ფაქტის წინაშე დააყენონ მთელი ქვეყანა. საღამოს ვრეკავ მოსკოვში, შევარდნაძესთან. ვეუბნები მოკლედ, ულტიმატუმურ ფორმაში, რომ იგრძნოს მდგომარეობის სერიოზულობა: თუ ჩამოდიხართ, ათ დღეს აღარ გადააცილოთ. ათი დღის შემდეგ შეიძლება გვიანი იყოს. მანამდე კი თქვენი ჩამოსვლა ნაადრევი იქნებოდა. მეთანხმება. ყურმილს ვკიდებ და ვფიქრობ. მართლაც, თუ ამ ათ დღეში არ ჩამოვიდა, მერე რაღაც ზომები უნდა მივიღო, თენგიზებს მოველაპარაკო, სახელმწიფო საბჭო მაინც შევქმნათ, რომ არჩევნები სასწრაფოდ მოვამზადოთ და სამოქალაქო მმართველობაზე გადავიდეთ.

პარტიებთან იწყება ჭიდაობა. მოდიან დელეგაციები პროტესტის გამოსახატავად, დასაზუსტებლად, რამდენად სერიოზულია ხმები შევარდნაძის ჩამოყვანის შესახებ. განსაკუთრებით ჭირვეულობს ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. არადა, ისინი ჩვენი უახლოესი ხალხი და თანამოაზრენი არიან. ედპ-ს და გია ჭანტურიას გამოუკვეთავი პოზიცია უჭირავთ. არ ამხელენ, თორემ უკვე შეხვედრიან კიდეც შევარდნაძეს.

სახალხო ფრონტის ერთი ნაწილი მომხრეა, მეორე - სასტიკად წინააღმდეგი. ვახტანგ გოგუაძე, ქართლოს ღარიბაშვილი, ოთარ ლითანიშვილი, ვალერი კვარაცხელია, ავთანდილ

მარგიანი აღტაცებულნი ჩანან ამ გადაწყვეტილებით. მათ მოსკოვში გამგზავრებაც სურთ მის ჩამოსაყვანად. ჩემი დაცვის უფროს გია ხუბულაშვილს ვავალებ, შევარდნაძის დაცვისათვის ბიჭები შეარჩიოს. მოსკოვში მისი დაცვის საკითხს კურირებს დათო სანიკიძე, ჩემი ძველი ახლობელი. არ ვიცი, თან ჩამოჰყვება თუ არა. რუსთავის მხედრიონის წევრები მოხალისედ მიდიან მოსკოვში, რათა თვითონაც მონაწილეობა მიიღონ შევარდნაძის უსაფრთხო მგზავრობაში.

გვაქვს ცნობები, რომ ზვიადისტებზე ამ გადაწყვეტილებამ ისე იმოქმედა, როგორც ჩასაფერფლად გამზადებულ მუგუზლებზე ნავთის გადასხმამ. გამორიცხული არ არის, რაიმე დივერსია მოაწყონ. რაიონებში გამგებლებს მოსახლეობის გავლენიანი წრეებიდან ვნიშნავთ. ზოგან კი არჩევნებს მივმართავთ. გამსახურდიას დროინდელი საკრებულოები არ გაგვიუქმებია. არჩევნები ჭირს. მაგალითად, წალკაში რამდენჯერმე მოვაწყვეთ არჩევნები, მაგრამ საბოლოოდ მაინც დანიშვნით გადავწყვიტეთ, ვინაიდან ყველა კანდიდატს თავისი მრევლი ჰყავდა და საქმე სერიოზულ დაპირისპირებამდე მიდიოდა. ასევე მოხდა ადიგენის რაიონში. გოგა ხაინდრავა აქტიურობს, როგორც იტყვიან, საზოგადოებრივ საწყისებზე. ოფიციალურად კი ეს საქმე დაევალა თემურ ფიფიას. მე, სიგუა და კიტოვანი ვიკრიბებით სიგუასთან. დღის წესრიგშია შევარდნაძის ჩამოსვლა. მათ ოფიციალურად ვაცნობ ჩემს მოდელს. ისინიც ძირითადად მზად არიან ამისთვის, ოღონდ არ სურთ ძალაუფლება მთლიანად მან ჩაიგდოს ხელში. არც მე ვარ ამის მომხრე. ამიტომ ვთავაზობ ოთხკაციან პრეზიდიუმს თითოეულის ვეტოს უფლებით.

ფაქტობრივად, სამხედრო საბჭოს ემატება ორი სამოქალაქო პირი: სიგუა და შევარდნაძე, სათათბიროს კი ენიჭება მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქცია. ვფიქრობ, ასე მოკლე დროში, ორ თვეში გადადგმული ეს ნაბიჯი პროგრესული და დემოკრატიული განვითარების ყველაზე ოპტიმალური გზაა. ზაფხულში ან შემოდგომის დასაწყისში ჩავატარებთ არჩევნებს. მადლობა ჩვენს წინაპარს, დაგვიტოვა კონსტიტუცია, გვექნება საპარლამენტო წყობილება, კერძო საკუთრება და დამოუკიდებლობა არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მთელს პოსტკომუნისტურ სივრცეში და, საერთოდ, მსოფლიოშიც ერთ-ერთი ჭეშმარიტად დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყანა იქნება. ამაზე სამივენი ვთანხმდებით და

ვურეკავ შევარდნაძეს. ვერ ვუკავშირდები. ველაპარაკები მის მეუღლეს, ქალბატონ ნანულის, რამაც ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ყურმილში ისმოდა რაღაც პრეტენზიულ-ამბიციური ხმა. და არა მარტო ხმა. მან ერთგვარი მუქარაც შემოთვალა სიგუას მიმართ. არავისთვის არაფერი მითქვამს, ხოლო მე ყოყმანმა შემიპყრო: ხომ არ ვუშვებ გამოუსწორებელ შეცდომას?! ეს ხომ არ გახდება მეორე მანანა არჩვაძე? ასეთმა განწყობამ შევარდნაძესთან საუბრამდე გასტანა. შევარდნაძის მეგობრულმა და საქმიანმა ტონმა უმალ გამიქარწყლა ეჭვები და ჩემს თავს ვუთხარი: შევარდნაძე არ არის ის კაცი, რომელიც ქალის ჭკუას აჰყვება. შევთანხმდით, რომ იგი 7 მარტს ჩამოვიდოდა. საზოგადოებრივი აზრი მომწიფებული თუ არა, ასე თუ ისე შემზადებულია. ტელევიზიით გადაიცა ჩემი გამოსვლა, ვალერი კვარაცხელიას ინტერვიუ, ნანა ჯაფარიძის საათნახევრიანი გადაცემა, სადაც შევარდნაძე ფრთხილად და ზომიერად ლაპარაკობდა საკუთარი მსოფლმხედველობის შეცვლის ირგვლივ.

ქვეყანა წყნარდება. რაიონებში საგანგაშო არაფერია. ფოთში, ხობში ნორმალური ცხოვრება დაიწყო. ანზორ ქაჯაიამ გააუქმა საკომენდანტო რეჟიმი და თბილისში ჩამოვიდა. გაქცეული ზვიადისტები სოხუმში იკრიბებიან. ზუგდიდიდან ჩამოვიდა ჩემ მიერ გამგებლად არჩეულ-დანიშნული გურამ გუნავა. ჩივის გვარდიის ტყიბულის ბატალიონზე, არის მოროდიორობის შემთხვევები, კომენდატურა პროვოკაციულად იქცევა. არადა, იქ ჯერ კიდევ არიან არაორგანიზებული ძალები, რომელთაც კავშირი აქვთ გამსახურდიასთან და ყველაფერ ამას გამოიყენებენ მასობრივი გამოსვლების მოსაწყობად.

თბილისში საკომენდანტო რეჟიმი გაუქმებულია და ზუგდიდში ვითარების დასარეგულირებლად კიტოვანი გზავნის გელა ლანჩავას.

უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი ილია II ხშირად მპატიჟებს თავისთან, მამაშვილურად მეფერება. მართალია, ჩემზე 7-8 წლით ახალგაზრდაა, მაგრამ ეს მას უხდება. მაგონდება მისი პირველი ქადაგებანი და საეკლესიო რიტუალური ზმა. როგორი შერეული გრძნობით აღვიქვამდი მათ. შებრალების, სასოებისა და ნაღვლიანი ღიმილის მომგვრელი გარემო. დარბაისლური ფიგურა კათალიკოსისა, მისი ინფანტილური მზერა, ბრწყინვალე სამოსი, გვირგვინები,

დიადემები და საჭურჭლე, თითქოს XII საუკუნიდან იყო გადმონერგილი ამ სეირის სანახავად მოსულ ნახევრად მორწმუნე მრევლში და გაზიპულ მოსასხამებში ღარიბად აღჭურვილ მღვდელმსახურებს შორის. მაგრამ შემდეგ, ილია II დიდი მეცადინეობითა და მომთხოვნელობით, ეკლესია ეკლესიას დაემსგავსა. ხალხმა პირი იბრუნა ღმერთისაკენ. ეს, რასაკვირველია, დროის ძახილიც იყო, მაგრამ დიდია ამ საქმეში უწმინდესისა და უნეტარესის პირადი დამსახურებაც. ბაგრატიონების პატივსაცემად გამართული ვახშმის წინ ვისაუბრეთ საქართველოს ახლო მომავალზე. ძალიან გახარებულია, რომ ვითავე შევარდნაძის ჩამოყვანა. მონარქიის ჩემს მოდელსაც მხარს უჭერს. ამის შესახებ მას ჯერ კიდევ ციხიდან მივწერე. მეთანხმება იმაშიც, რომ მთავრობის სახლის აღდგენის მაგიერ, რომელიც უწმინდურ დროს (1937 წელს) უწმინდურმა ადამიანებმა ააშენეს, აღვადგინოთ ამ ადგილას მდგარი და კომუნისტების მიერ დანგრეული რუსული სობორო ან ქართული ეკლესია.

პერსონა გრატა

7 მარტია. მივდივარ აეროპორტში შევარდნაძის შესახვედრად. სამთავრობო გასასვლელთან ხალხი შეკრებილა. შევარდნაძეს ელოდებიან. მეორე მხარეს კი, საერთო ვაგზალთან, მიმოფანტულ ჯგუფებად მოჩანან ზვიადისტები. ყოველი შემთხვევისთვის, დაცვას ვგზავნი. მგონი საპროტესტო აქციის ჩატარებას აპირებენ.

თვითმფრინავიდან გადმოდის შევარდნაძე. მას მოჰყვებიან თბილისიდან წასული ქართლოს ღარიბაშვილი, ჩვენი ბიჭები, შევარდნაძის დაცვა - ყოფილ მოჭიდავეთა შემადგენლობა, ნანული შევარდნაძე. შესახვედრად მოვიდა კიტოვანიც. სიგუა ვიღაც უცხოელებს ხვდება. აქვეა ზურაბ წერეთელიც. ვესალმებით, ვეხვევით ერთმანეთს. ხალხის ნაწილი შემოიჭრა თვითმფრინავთან და აქეთ-იქით ექაჩებიან შევარდნაძეს. დაცვასთან ერთად ვაკეთებინებ წრეს და ისე გაგვყავს

მანქანებთან. აქ შემხვედრი ხალხი ტაშს უკრავს. ვსხდებით მანქანებში და გავდივართ. იქითა მხრიდან გვისტვენენ, რაღაცას ყვირიან, შორიდან მუშტებს გვიქნევენ ზვიადისტები. ჯერჯერობით კრწანისში მიგვყავს. „დღეს ჩემი ცოლის დაბადების დღეა“, - დარცხვენილივით ამბობს შევარდნაძე. ზურაბ წერეთელს ხომ მეტი არ უნდა: ყველას გვპატიჟებს თავის ბაგების რეზიდენციაში. ზურასთან, როგორც ყოველთვის, გემოვნებით გაშლილი სუფრაა. ჩვენი ეგრეთ წოდებული ზეპური საზოგადოების წარმომადგენლები, მომღერლები. ნანული იუბილარის დიდ სავარძელში მოთავსდა, შევარდნაძე - ჩემ გვერდით. კიტოვანი და სიგუაც აქ არიან. მათი მადლიერი ვარ, რაღაც უადგილო კაპრიზი არ გამოიჩინეს და გულწრფელად კმაყოფილები ჩანან. შევარდნაძეს ვუყვები ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ყურადღებით მისმენს. გადაწყვეტილი აქვს, ჯერჯერობით კრწანისის აგარაკზე იცხოვროს. „ჩემს სახლში, ვაკეში, მყუდროება არ იქნება. ეს ზვიადისტი ქალები არ მოგვასვენებენ. ჩემი ცოლი ნერვიული ქალია“... წყნეთს ვთავაზობ - მეც ხომ იქა ვარ. „არა, წყნეთში, ჯერ ერთი, საშიში გზაა, მეორეც - წნევისთვის არ ვარგა, არც თქვენ უნდა დადიოდეთ“, - მირჩევს. აბა, სად უნდა ვიყო. იოსელიანის ქუჩაზე არაფერი არ მუშაობს: არც სინათლე, არც ლიფტი, არც სააბაზანო. ჩემი ჯაბუკაც საქათმეში დამწყვდეულივით ბორგავს, როცა წყნეთში ლაღად დარბის სუფთა ჰაერზე. ბოლო თაობების კომუნისტებმა იცოდნენ კარგი ცხოვრების გემო.

სამუშაო კაბინეტს ვუთმობთ ყოფილ ცეკას შენობაში. აქაც თავს იკავებს, აქაც გამოცალკევება სურს. მაგონდება სოლჟენიცინის შედარება კომუნისტური და ქურდული მორალისა - შესაბამისად უბრალო ხალხთან და არიფებთან: დისტანცია უპირველეს ყოვლისა. შევარდნაძე კრწანისიდან ერკვევა ქვეყნის საქმეებში. მე ოთხი წლის განმავლობაში სახლში და აგარაკზე ვერ დავიდგი ტელეფონი „ვეჩე“. შევარდნაძემ მეორე დღესვე მოითხოვა. მართალიცაა: ინფორმაცია, ოპერატიულობა მთავარია ხელისუფლებაში. საღამოობით მოდის ცეკაში ხან ჩემთან, ხან სიგუასთან. ყველასადმი ზრდილობიანი და ყურადღებიანია. ჩვენი ხელისუფლება ფორმდება: ოფიციალურად ცხადდება, რომ სამხედრო საბჭო გარდაიქმნა საბჭოდ. ოთხკაციანი პრეზიდიუმი ვეტოს უფლებით, საბჭოს თავმჯდომარე -

შევარდნაძე, მოადგილე - მე, და საბჭო - დაკომპლექტებული, როგორც გათვალისწინებული იყო, პარტიის ლიდერებით, საზოგადო მოღვაწეებით, გამორჩეული ადამიანებით, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების თითქმის მთელი სპექტრი, პიროვნულად მრგვალი მაგიდიდანაც. ახლა ზვიად გამსახურდიაც რომ არ ურევდეს გროზნოდან, ოფიციალურად გადადგომა გამოაცხადოს და შემდეგ, თუ გინდა, არჩევნებშიც მიიღოს მონაწილეობა, ქვეყანა გამთლიანდება. მაგრამ არა! შევარდნაძის ჩამოსვლამ სულ გადარია ზვიადისტები. ჩამცხრალი მიტინგები ისევ იჩენენ თავს, მართალია, არა უწინდებურად მასობრივი, მაგრამ უფრო ინტენსიურ-ფანატიკური ხასიათისა.

სახელმწიფო საბჭოსთვის შენობაა საჭირო. ცეკაში მინისტრთა კაბინეტი იქნება. შევარდნაძე იმელის შენობაზე შეჩერდება. ვათვალიერებ საბჭოს ფუნქციონირების თვალსაზრისით. გია ხუბულაშვილი მიმითითებს მიმდებარე სახლებსა და ოპერის შენობაზე. მათ სახურავზე ამძვრალი თითო სნაიპერი ყველას ეყოფა. ჩვენთანაა ირაკლი ანდრიაძე, ქალაქის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, შევარდნაძის ახლობელი. შევარდნაძემ იგი უკვე ჩართო რაღაც სამეურნეო საქმეებში, ვგონებ, კრწანისში. ეს სიგუამ გააფორმა. მე არ ვერევი ამ ამბებში. ანდრიაძე გვპირდება, რომ ერთ თვეში, დიდი-დიდი, თვენახევარში, ყველაფერს წესრიგში მოიყვანს, კაბინეტებს დააკომპლექტებს, შეაკეთებს, ღია აივნებს ამოაშენებს ლოჯიების ყაიდაზე. აქვეა დარბაზი სხდომებისათვის, ბიბლიოთეკაც, დარბაზი მართლაც მყუდროა, აქ ხომ ეროვნული კონგრესის სხდომები ტარდებოდა. ერთი სიტყვით, ვთანხმდებით და ანდრიაძეც იწყებს გამალებულ მუშაობას.

თბილისის მერად ვნიშნავთ ოთარ ლითანიშვილს. წინააღმდეგი არავინ არის. მახსოვს, შევარდნაძის მოგონილ დღესასწაულზე, „თბილისობაზე“, საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. ჯემალ ზამბახიძე განაწყენებული რჩება - კაცმა იწვალა და იჯახირა, ასეთი გაჭირვების დროს ქალაქი კრიზისში არ ჩააგდო და ახლა ოთარს უნდა გადასცეს თავისი აწყობილი საქმე. რა ვიცი, ისე, ოთარი, თავისი იმპოზანტურობით, ინტელექტით, რასაკვირველია, მართლაც უფრო შეეფერება თბილისის მმართველობას, მაგრამ ეს ალბათ წყნარსა და აწყობილ დროს. იგი ხომ მაინც მხატვარია, შემოქმედი, და არა კირკიტა საქმის კაცი. გარდა ამისა, სიბარიტიცაა - უყვარს კარგი

ცხოვრება, დროს ტარება. „ჩემი მეგობარია“, - ამბობს შევარდნაძე, ვფიქრობ, სურს მასიამოვნოს. იცის, რომ ჩემი ახლობელიც არის, თორემ, არ მახსოვს, როდიდან გახდნენ მეგობრები - ცეკას მდივნობის დროს თუ საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნისას?!

ზვიადისტები გააქტიურდნენ. თბილისში აქა-იქ საპროტესტო მიტინგები იმართება შევარდნაძის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. სენაკში, მიტინგზე, მისი ფიტული დაწვეს. ზუგდიდში არეულობაა. კომენდატურას რამდენჯერმე თავს დაესხნენ. ლანჩავამ იქ რაღაც აურდაურია. ტყიბულის ბატალიონი ბაჩუკი ბაზიერაშვილის მეთაურობით იქიდან გამოდის. გამგებელი გუნავა თბილისში ჩამოვიდა და აღარ სურს დაბრუნება. იქ ახლა ქობალიები დათარეშობენ. წვავენ ჩვენი მომხრეების სახლებს, აყაჩაღებენ მატარებლებს. ვიკრიბებით სიგუასთან. საჭიროა რაღაც ზომების მიღება, თორემ ასე უყურადღებოდ დატოვება კარგს არაფერს მოიტანს. გადაწყვეტილებას ვერ ვიღებთ. შევარდნაძე დაკავებულია პარტიებთან ფლირტით, სახელმწიფო საბჭოს, ასე ვთქვათ, პერსონალური დამუშავებით. სენაკის გამგებლად შევარდნაძე უშვებს მახუტი კეკელიას. ირონიულად იღიმება: „თურმე კეკელიას მეტსახელად მაყუთას ეძახიან“. ახლა უკვე ხშირად ჩანს მინისტრთა კაბინეტის დარბაზში, სადაც ჯერჯერობით ნახევრად ოფიციალურად ვიკრიბებით. ნოდარ ნათაძესთან ურთიერთობა გაბუტული ბავშვის შემორიგებას ჰგავს. ზედმეტად ამბიციური, რადიკალური, უსაფუძვლო მსჯელობებით ურაპატრიოტული უჭირავს. რამდენჯერმე ვცადე უშუალოდ მესაუბრა. ჩვენ ხომ ძველი, ასე ვთქვათ, თანამებრძოლები ვართ. არ გამოდის. დაძაბული და ეჭვიანი კაცია. ვჩუქნი ჩემს ბოლო წიგნს ჰერმენევტიკის შესახებ. მამამისის, ფსიქოლოგ რეზო ნათაძის ერთ-ერთ ნაშრომზე რაღაც კრიტიკული შენიშვნები მაქვს. არ ვიცი, ეს ვერ მაპატია თუ... ან იქნებ სულაც არ წაუკითხავს, ან სხვა რაღაც კომპლექსი აწუხებს - მე მისთვის უპირველესი მტერი ვარ. თავში ქვა უხლია, კომიკური ფიგურაა.

მერაბ ალექსიძე - ეს ტვინით სავსე ადამიანი, სანთლით საძებნი პატიოსანი ინტელიგენტი, გამოუყენებელი გვყავს. შევარდნაძე მეთანხმება, რომ „კაგებე“ უნდა დაიშალოს, როგორც საბჭოთა ტირანიის დანაშაულებრივი ორგანიზაცია. მის მაგივრად შეიქმნას საინფორმაციო-სადაზვერვო

სამმართველო. ამისათვის საჭიროა შეიქმნას კომისია, რომელიც გადაახალისებს ამ დაწესებულებას. ამ სამმართველოს ან კომიტეტის უფროსად, ჩემდა გასაკვირად, მთავაზობს ირაკლი ბათიაშვილს. ირაკლი - ჩემს ხელში გაზრდილი 30 წლის განათლებული ახალგაზრდა, ჩემთვის უახლოესი ოჯახის შვილი. გახარებული ვარ. მაინტერესებს, იცის თუ არა, რომ ერთხანს იგი თავგადაკლული ანტიშევარდნაძისტი იყო. შეფარვით ვეკითხები. კი, ყველაფერი იცის. „მე ასეთ რამეს ყურადღებას არ ვაქცევ“. ამჯერად მომწონს მისი „უპრინციპობა“. არჩევანი, რასაკვირველია, კონიუნქტურულია, მე ვიტყოდი, პოპულისტურიც. ირაკლიმ პოპულარობა მოიპოვა, როგორც მომიტინგეების ერთ-ერთმა ლიდერმა. ახლა ეს ალიანსი შევარდნაძე - დემოკრატის იმიჯის განმტკიცებას უფრო მოემსახურება, ვიდრე პროფესიული, მაგრამ ჭეშმარიტად დემოკრატიული ახალი სამსახურის ჩამოყალიბებას. ვადგენთ კომისიას. თავმჯდომარედ მერაბ ალექსიძეს ვუშვებთ.

ჩამოდის ჰანს დიტრიჰ გენშერი - გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, მსოფლიოში ერთ-ერთი გავლენიანი პოლიტიკური ავტორიტეტი. ეს საქართველოს დღევანდელობისათვის უდიდესი მოვლენაა - საქართველოს დამოუკიდებლობისა და ჩვენი ჯერ კიდევ არალეგიტიმური ხელისუფლების ცნობა. ვიხსენებ გამსახურდიას მიერ სპეციალურად გავრცელებულ ჭორს, ვითომც უკრაინამ გვცნო, იმ დროს, როდესაც უკრაინის უმაღლეს საბჭოში მხოლოდ სჯა-ბაასი მიმდინარეობდა ამის შესახებ. რა ტაშ-ფანდურითა და ცეკვა-თამაშით შეხვდა ზვიადისტური მიტინგი ამ განცხადებას. ჩემს კაბინეტში ვაწყობთ სახელდახელო პრესკონფერენციას რამდენიმე კორესპონდენტისა და ტელევიზიისათვის. შევარდნაძეს ვეხუმრები: „მგონი გერმანიამ უნდა გვცნოს. ხომ არ გვეცეკვა?“ გენშერს შეხვედრას ვუწყობთ კრწანისის რეზიდენციაში. შევარდნაძე საფუძველს უყრის წესს, რომ ჯერ თვითონ ხვდება ოფიციალურად ჩამოსულ პირს, შემდეგ ჩვენ - პრეზიდიუმის წევრები. მერე სახელმწიფო საბჭოს წევრების ჯერია, თუ ვიზიტი სხვა რამ ღონისძიებით არ არის გადატვირთული. ვფიქრობ, ჩვენ აქვე უნდა ჩავრეულიყავით და მოგვეთხოვა, პირველივე ოფიციალური შეხვედრა პრეზიდიუმთან ყოფილიყო, მაგრამ გვესმის, რომ ამჯერად იგი იყენებს თავის პირადულ-მეგობრულ ურთიერთობას გენშერთან. ეს ვითომ

წვრილმანია, მაგრამ ასეთი წაყრუებით იწყება დიქტატურა, რაც მერე დიდი სისხლის ფასად ჯდება.

პურმარილი კვლავ ზურაბ წერეთელთან გვაქვს. გულითადი ვითარებაა. გენშერი იგონებს ანეკდოტს ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ბეიკერის თვითმფრინავით მოგზაურობათა სიმრავლის გამო. დამსწრე საზოგადოებას სადღეგრძელოში ვახსენებ, რომ ბატონი გენშერი ის ერთადერთი და პირველი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელიც ავღანეთში საბჭოთა აგრესიის დაწყებისას მოსკოვში იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით და, როგორც კი გაიგო, რომ საბჭოთა ჯარები ქაბულში შეიყვანეს, დემონსტრაციულად შეწყვიტა ვიზიტი და გააკეთა საპროტესტო განცხადება. ეს იყო ბრეჟნევის ეპოქა, როცა დასავლეთის ქვეყნებს, რეიგანის თქმით, კრემლის დაცემინებისაც კი ეშინოდათ. მე, რაც შეიძლება, დელიკატურად ვეკითხები, რამდენს გადაიხდიდა ფედერაციული გერმანია დემოკრატიულ რესპუბლიკასთან გაერთიანების წინ, რომ ეს გაერთიანება მომხდარიყო. „ალბათ არაერთ მილიარდ დოლარს, არა?“ „ალბათ!“ „განა ამაში შევარდნაძეს ლომის წილი არ მიუძღვის?“ „რასაკვირველია, - ვერ გაუგია, საით ვღუნავ - ჰოდა, ერთი-ორი მილიარდი გვასესხეთ, მუქთად არ გვსურს, არ გვინდა თქვენს კმაყოფაზე ვიყოთ“. სიცილით მაწყვეტინებს: „რამდენი მილიონი ხართ საქართველოში?“ „ხუთი“. „ჰოდა, იყავით ჩვენს კმაყოფაზე“. ისემც კარგი დაგემართოს. წავიდა და, ჩვენდა საუბედუროდ, გერმანიაში ჩასვლისთანავე, ორ დღეში გადადგა. ზვიადისტები, ჯერ იყო და, გაიძახოდნენ: გენშერი კი არა, გადაცმული სახალხო არტისტი გოგი გეგეჭკორი გამოიყვანეს ტელევიზორშიო. მერე კი, როცა მისი გადადგომა გამოცხადდა - აი, საქართველოში რატომ ჩახვედიო, და გადააყენესო.

დასავლეთ საქართველოში განუკითხაობა იწყება. ზუგდიდში გამგებელი არ არის. მილიცია ადგილობრივი ბანდების ზეგავლენას განიცდის, თვითონ უმოქმედოა და არც ცენტრიდან იკლავენ თავს მომთხოვნელობით. სოჭიდან და თბილისიდან მომავალი მატარებლები გალისა და ზუგდიდის მონაკვეთში პირწმინდად იძარცვება. ცაიშთან ჩამოხსნეს ვაგონები. რაც წაიღეს - წაიღეს, რასაც ვერ მოერივნენ, მოსახლეობა შეასიეს. ეს ნამდვილი უბედურებაა. გარდა იმისა, რომ მატერიალური ზარალი რუსულ ფულზე უკვე მილიარდებს ითვლის, ხალხის გარყვნა იწყება. გამსახურდიას

მოწოდება დაუმორჩილებლობის შესახებ პოლიტიკურ საფარს უქმნის ამ ავკაცობას. მხედრიონელებმა გვარდიელებთან ერთად შემთხვევით აიყვანეს ვინმე ნარუაშვილი, 10-12 კაციანი ჯგუფის თავი, რომელიც ავტოტრასაზე დათარეშობდა. ზუგდიდში მართვის სადავეები ხელში ჩაიგდო პურის მანქანის მძღოლ-ექსპედიტორმა, შემდეგ გამსახურდიას გვარდიის ბატალიონის უფროსმა ვახტანგ (ლოთი) ქობალიამ. მილიციის უფროსად ისევ დაბრუნდა თორნიკე ქირია, რომელიც ლოთი ქობალიას დაუნათესავდა - ვაჟიშვილისა თუ ქალიშვილის მხრიდან. ჩვენი ჩაურევლობის გამო ხელისუფლების ვაკუუმი შეივსო. მიტინგებს ახალი სადენთე ლოზუნგი შეემატა: „შევარდნაძე - კრემლის აგენტი“. იქნებ ოთარ ფაცაციამ, ქაღალდკომბინატის უფროსმა, რამე გააწყოს. ვეთათბირები შევარდნაძეს - გამგებლად ხომ არ დაგვენიშნა. წინააღმდეგი არ არის, თვითონაც პირადად იცნობს. გალის ყოფილი პრეფექტი და ახლა გამგებელი რუდიკ ცატავა ტრიალებს სამ ბორბალს შორის: აფხაზეთი, ზვიადისტები და ჩვენ. სენაკიდან მახუტი კეკელია გამოიქცა. ფოთში ალექსანდრია ისევ ძველი პრეფექტით შეიცვალა. ხობში თემურ გერგაიას სახლს დაესხნენ, ოჯახი ააწიოკეს, მამა მოუკლეს, გამგებელი სოსო ჭანტურიაც გააგდეს. თანდათანობით ბანდები ერთიანდებიან და უწინდელი პოზიციები დაიკავეს აბაშა-სამტრედიის ხიდთან. ამჯერად კიტოვანი და გვენცაძე კისრულობენ, წესრიგი დაამყარონ დასავლეთ საქართველოში. აგროვებენ ტექნიკას, გვარდია და შინაგანი ჯარი ჩადის სამტრედიაში. მეც ვგზავნი მხედრიონელებს. გელა გოდერძიშვილს ვნიშნავ მეთაურად. ლანჩხუთში ბუღა თავს უყრის დასავლეთის მხედრიონს. სიგუა მეუბნება, რომ ჩემი იქ ჩასვლა აუცილებელი არ არის, კიტოვანი და გვენცაძე მოუვლიან საქმეს. შევარდნაძე ხმას არ იღებს, მაგრამ, ვგრძნობ, სკეპტიკურად უყურებს ამ სიტუაციას, ურჩევნია მე უფრო აქტიურად ჩავერიო. მართლაც, გადის ორი კვირა და სამტრედიიდან ამხელა ძალა ვერ იძვრის. გელა გოდერძიშვილი ტელეფონში ჩივის: „ჯულიეტა ვაშაყმაძედ მაქციეს, ყოველდღე ტელევიზორში მაჩვენებენ, საქმე კი წინ არ მიდის“.

ამ ერთი კვირის წინ სამტრედიისა და აბაშის გადასასვლელ ხიდთან მხედრიონელებმა ჩეჩენი მსტოვარი დააკავეს. ტელევიზიაში გამოიყვანეს. გამსახურდიას მოწოდება ჩამოუტანია საყოველთაო წინააღმდეგობის, პარტიზანული და

დივერსიული აქტების შესრულების თაობაზე. ბუღა ჩემი ჩასვლის კატეგორიული წინააღმდეგია: „ჩვენ ვეყოფით, ბატონო ჯაბა, თქვენ მანდა ხართ საჭირო“. ხმები მოდის, ბუღამ მთელი ხელმძღვანელობა ხელში ჩაიგდო, სამტრედიასა და ლანჩხუთს შორის დაჰქრის და ეჯიჯღინება შტაბს, სადაც სამხედროები დათუაშვილის თაოსნობით დღედაღამ რუკებს ჩაჰკირკიტებენ. ბუღა, მხედრიონელებითა და გვარდიის ერთი ნაწილით, ბრძოლით შედის ფოთის შემოგარენში. სიგუა მირეკავს: „რას შვრება ბუღა, რატომ შევიდა ფოთში? ჩვენ გვინდოდა ერთბაშად დაგვერტყა აქეთ-იქიდან. სასწრაფოდ გამოვიდეს, არავის ემორჩილება, დათუაშვილს იარაღი ჩაარტყა თავში“. ვუკავშირდები ბუღას: „რაშია საქმე, გამაგებინე!“ „ორი კვირა სხედან, ბატონო ჯაბა, რუკებს სწავლობენ, რა რუკა უნდა აბაშას? ყველა ბუჩქი და ქვა ნაცნობია“. „ფოთში შეხვედი?“ „არა, მალთაყვაში ვართ“. „ჰოდა, ქალაქში ნუ შეხვალთ“.

ჩემი წასვლა აუცილებელია. მივფრინავ ქუთაისში. იქიდან მანქანებით - სამტრედიაში. უკვე გვიანაა. თენგიზ კიტოვანი და რომან გვენცაძე ცალკე ოთახში ჩაკეტილან და დაფიქრებული სახეებით ლოგინებზე სხედან. არ მელოდნენ. დავინტერესდი საქმის ვითარებით. აბაშაში არიან გამაგრებული და მარტვილთან, ნოქალაქევის ციხესიმაგრეში, 500 კაცია. „ხუთასი არა, ათასი. ვინ გითხრათ?“ - ვფეთქდები. რომანი უცებ მითმობს: „ორასამდე იქნებიან“. ეს კიდევ დასაშვები ციფრია, მაგრამ მაინც საეჭვოა. რა უნდათ იქ? თუ ორასი შეიარაღებული კაცი ზედმეტი ჰყავდათ, ფოთში ვეღარ მოახმარეს?! - გულში ვივლებ, მაგრამ აღარაფერს ვამბობ. „კი მაგრამ, ეს ორი კვირა აქ რომ დგახართ სამასამდე გვარდიელი, ორასი მხედრიონელი, ტანკები და ტექნიკა, ერთი მიწოლა ეყოფა ამ ამბავს“. „არა, მე რუსებს მოველაპარაკე, ორ თვითმფრინავს მაძლევენ 500-კილოგრამიანი ბომბებით, მიწასთან გავასწორებთ იმ ციხესიმაგრეს“, - ამბობს კიტოვანი. „ნოქალაქევი ისტორიული ძეგლია, ბიჭო, ან რაში გვჭირდება ეს დაბომბვა, ან დანამდვილებით იცით, რომ იქ ორასი კაცია?“ გავდივარ მხედრიონელებთან. გელა გოდერძიშვილი ნასვამია. როგორც გავიგე, მემალება. აქ ნიკუშა რურუაა, თბილისის ომში დაჭრილი. მთლიანად გამოჯანსაღებული არ არის. მაინც წამოსულა. სიტუაციას მიხსნის: „ვდგევართ აქ უაზროდ. რას ველოდებით, არავინ იცის“. ვეკითხები ნოქალაქევის შესახებ.

მოდის ენუქი კიკაბიძე, ჩვენი ხონელი ძმა. „არა მგონია, იქ ასი კაცი იყოს, დღეს საღამოს კიდევ დავაზუსტებ“, - მეუბნება და იღიმის. საოცრად მშვიდი კაცია, იმედიანი.

გვიან ღამით ბუღა და გია ვაშაკიძე ჩამოდიან გრიგოლეთიდან. გაუგიათ, რომ სამტრედიაში ვარ. ბუღა აღშფოთებულია: „ფოთში რატომ შეხვედი, უკან გამოდიო“. გია ვაშაკიძე კი, პირიქით, აღფრთოვანებულია ბუღას მოქმედებით: „სულ სმირნაზე დააყენა ეს გვარდიის პოლკოვნიკები და სამხედროები. მაგარი იერიშით შევედით. რომ არ დაერეკათ, ვეღარავინ შეგვაჩერებდა, გარბოდნენ, ახლა ხელმეორედ ასაღები გაგვიხდება“.

დილით ვიკრიბებით მე, კიტოვანი და გვენცაძე. გადავწყვიტეთ: ლანჩავა ტექნიკით პირდაპირ აბაშას შეუტევს. მე მხედრიონით მარტვილიდან მოვუვლი, გავალ ნოქალაქევზე. თუ გზა გავიკაფეთ, გავაგრძელებთ. შევალთ სენაკსა და შემდეგ ფოთში. როცა მივუახლოვდებით, გრიგოლეთიდან ბუღაც შემოუტევს. ენუქის მსტოვარი ამბობს, რომ ნოქალაქევში რამდენიმე ათეული ზვიადისტი და ერთი ტანკია, რომელიც მგონი ვერ მოძრაობს. შუადღისას ორასამდე კაცი მანქანებით გავდივართ. ავტომატების, ტყვიამფრქვევებისა და ნაღმმტყორცნის მეტი არაფერი გვაქვს. მივდივართ. გაზაფხულის მშვენიერი დღეა. სოფლებში, აივნებზე შეგროვილი ქალები ცნობისმოყვარეობით გამოგვცქერიან. ხელს ვუქნევთ. ბუღა და გია ვაშაკიძეც ჩვენთან მოდიან, ჭალადიდიდან გრიგოლეთში გადავლენ. წინ ჩემი მანქანა მიდის, კიდევ უფრო წინ, დაზვერვის მიზნით, ორი მანქანა. ერთი - ბუღასი, მეორე - გოდერძიშვილისა. ქიშპობენ, ვინ იქნება უფრო წინ. ვუახლოვდებით ნოქალაქევს. მთავარი ძალა ჩერდება. ველოდებით ბუღას და გელას ხმას რაციაში: „ვუახლოვდებით ციხესიმაგრეს. ერთი კილომეტრი იქნება“. ცოტა ხნის შხუილის შემდეგ გაისმის: „ციხესიმაგრის ფერდობზე მოჩანს ტანკი. ვუახლოვდებით“. აქედან ვეუბნები: „გადმოდით და ფეხით გადადით დაზვერვაზე“. მპასუხობენ: „არავითარი მოძრაობა არ შეიმჩნევა“. „მაინც გაჩერდით! ჩვენც მოგყვებით. აირჩიეთ პოზიცია“. ადგილიდან დავიძარით. სწრაფად მივდივართ. ცოტა ხანში გვატყობინებენ: „ავიყვანეთ აქაური გლეხი, ამბობს: ციხეში სულ 15 კაცი იყო და დღეს დილით გაიქცნენ. ტანკი საიდანღაც ჰქონდათ მოთრეული. არ დადიოდაო. მანქანებში ვსხდებით და მივიწევთ ციხისკენ“.

„მაინც ფრთხილად იყავით, არ შეგვიტყუონ“, - ვაფრთხილებ. საპასუხოდ ისმის: „200 მეტრით ვართ დაცილებული. ასით. კედელთან ვართ. კაციშვილი არ ჩანს“. ჩვენ სიჩქარეს ვუმატებთ და ხუთ წუთში შევდივართ ნოქალაქევში. ესეც შენი ხუთასი კაცი, ესეც შენი დაბომბვა. ვაი, ჩვენი ბრალი!.. აქ შეყოვნება არ არის საჭირო. ციხესიმაგრე დავათვალიერეთ. ტანკი უვარგისია. შუადღეა. დაღამებამდე ფოთში უნდა შევიდეთ. გავდივართ დაბიდან, მოედანთან ვიწროყელიანი გასასვლელია. აქ რომ გამაგრებულიყვნენ, ცუდი დღე დაგვადგებოდა. ვჩქარობთ. გზაში ვიგებთ, რომ ლანჩავას ტანკებითა და ტექნიკით უკვე ჩაუვლია. წინააღმდეგობის გარეშე ზუგდიდისაკენ წასულა. გავდივართ სენაკით, გაუჩერებლად - თეკლათისაკენ და შემდეგ ფოთისაკენ. ბუღა და გია ვაშაკიძე დაწინაურდნენ. უნდათ, ჭალადიდიდან გრიგოლეთში გადავიდნენ. ქალაქთან ვჩერდებით. დაზვერვაზე ვუშვებ. სულ მალე გახარებულები ბრუნდებიან: გაქცეულან. ფოთი ღიაა. მადლობა ღმერთს, სისხლი არ დაიღვარა. მაინც მენაღმეებს ვუშვებ ხიდის შესამოწმებლად. ყველაფერი რიგზეა. დაღამებამდე შევდივართ ფოთში. ისევ პორტისაკენ გვიჭირავს გეზი, ვხედავთ, ვერტმფრენი ჯდება ზედ მოედანზე. ჯიმი მაისურაძე. კაბინიდან გადმოდის კიტოვანი. ბუღას მეთაურობით გრიგორლეთიდან შემოდიან მხედრიონელები. ყველა გახარებულია, რომ ასე უსისხლოდ დამთავრდა ლაშქრობა. აქვეა ფოთის გამგებელი ალექსანდრია. ეს დღეები სადღაც იმალებოდა. „აბა, თქვენ იცით, - ვეუბნები, - ახლა მაინც იყავით ფხიზლად“. „აწი ჩვენ ვიცით“. „აბა, ჰე, შეუდექით საქმეს“.

კიტოვანი დაღამებამდე ვერტმფრენით ბრუნდება ქუთაისში. შევთანხმდით, რომ ფოთის პორტთან დადგება გვარდიის შავნაბადის ბატალიონი აკია ბარბაქაძის და კობა კობალაძის მეთაურობით. მხედრიონი ხვალვე გავა. ლანჩავაც შესულა ზუგდიდში. ადგილობრივი მოსახლეობისგან ვიგებთ, თუ რა ხდებოდა ფოთში. 50 კაცზე მეტი არ ყოფილა. გემით გაქცეულან სოხუმში. ვფიქრობთ: ამ ბანდებთან ერთხელ და სამუდამოდ დავამთავროთ საქმე, ვერტმფრენით ხომ არ გადავსხათ დესანტი სოხუმის პორტში და იქ დავატყვევოთ ისინი. ცოტა დელიკატური ვითარებაა. არძინბას შექმნილი ჰყავს აფხაზთა ომონი - ორას კაცამდე, რომლებიც ჯერჯერობით პორტებს აკონტროლებენ. თუ ისინი არ ჩავაყენეთ საქმის კურსში,

შეიძლება შეტაკება მოხდეს. სოხუმში ვურეკავ არძინბას. ველაპარაკები, ვუხსნი, რომ ჩვენი ბიჭები მხოლოდ აიყვანენ მათ და აქეთ წამოასხამენ. არძინბა შეშინებულია და მთხოვს, ეს არ ვქნა. „ნაროდ ეტო ინაჩე პოიმიოტ“. მე მაინცდამაინც არ ვაწვები, სხვა თუ არაფერი, შეიძლება ვერც მოესწროს, ან ამის შემდეგ გააფრთხილონ გაქცეულებიც და აფხაზთა პატრულიც და უბედურება შეგვემთხვას: „ხოროშო, - ვეთანხმები, - ბუდ პო ვაშემუ, ნო ეტიხ ბანდიტოვ ნე სლედუეტ პოკროვიტელსტვოვატ“.

ქალაქში სიმშვიდეა. ღამის გასათევად ბათუმში გადავდივარ. ბარემ ასლანს მოვინახულებ, მადლობასაც გადავუხდი. ამას წინათ დიდად დამასაჩუქრა: 400 ახალთახალი რუმინული ავტომატი, 20 ყუმბარმტყორცნი თავის ყუმბარებით - დღეს ეს პირდაპირ ფანტასტიკაა. მხედრიონის მთავარი ბირთვი შეიარაღებული მყავს. თენგიზებს ორასი ავტომატისა და ტყვია-წამლის მეტი არაფერი მოუციათ, ისიც რუსების საჩუქრიდან. ვინ იცის, თავისთვის რამდენი დაიტოვეს. აგერ, ყარყარაშვილის „თეთრ არწივს“ ე. წ. „პოდსტვოლნიკიანი“ ავტომატები „სტეჩკინები“ და რაციები გადასცეს. „თეთრი არწივი“ გვარდიის შენაერთია, მაგრამ ყარყარაშვილს რაც შეიძლება დამოუკიდებლად უჭირავს თავი. კიტოვანიც, ვითომ ვერ ამჩნევს და, ღია კონფრონტაციაზე არ მიდის.

აჭარასთან რთულად არის საქმე. ასლან აბაშიძეს ისეთი მფარველები ჰყავს ორივე მხრიდან (თურქეთი და რუსეთი), რომ ამის გაუთვალისწინებლობა კარგს არაფერს მოიტანს. გაუგია კიტოვანის ტრაბახი „გადავუაროთ“ და, რაღა თქმა უნდა, აღარც სიგუას ენდობა. ჩემთან კარგადაა. გამოცდილი კაცია, ციხეში ნაჯდომი. ალბათ, ჩემი სახელი იქ გაუგია. საერთო მეგობარიც გვყავს - გოგი ჩიქოვანი (დიდი). ასლანს სახლში მივყავარ. ჭუჭყიანი, გაუპარსავი, საველე ფორმაში - მეუხერხულება. მეუღლე, ქალბატონი მაგული, შინაურულად მიღებს. ბევრს არ მაბოდიშებს. ასლანი მიმდინარე პოლიტიკურ მომენტზე მესაუბრება. გახარებულია, შევარდნაძე რომ ჩამოვიყვანე: „მე ისედაც პატივს გცემდი, ახლა კი ძალიან გამახარე. შევარდნაძე აუცილებელია საქართველოსთვის. მოჰყავთ მისი შვილიშვილი გიორგი. მშვენიერი ბავშვია. „აი, ეს არის ჯაბა“, - ეუბნება ასლანი. მე ჩემს ჯაბუკაზე ვუყვები. ასე რომ, ბაბუები კმაყოფილები ვართ ერთმანეთით. ასლანი რემენგტონის ახალი გამოშვების თოფს მჩუქნის. „ძალიან

მანებივრებ, - მადლობას ვუხდი, - იმ შენმა 400 ავტომატმა და ყუმბარმტყორცნებმა სულზე მოგვისწრო“. პურმარილი მეფური გააწყო, მაგრამ გადაღლილი ვარ და მალე სასტუმროში გადავდივარ დასაძინებლად. დილით საუზმეზე ისევ ვხვდებით. მე ვჩქარობ, ფოთში მელოდებიან. მხედრიონი უნდა გამოვიყვანო. მაკითხებს მანანა არჩვაძის - გამსახურდიას მეუღლის მუქარის წერილს. „ქალები რომ არ ერეოდნენ პოლიტიკაში, ალბათ, უფრო მშვიდობიანად გადაწყდებოდა ყველა საკითხი“, - მეუბნება მრავალმნიშვნელოვნად.

ფოთში უსიამოვნება მხვდება: ბუღას და ე. წ. „დევიატკის“ ერთ-ერთ ბიჭს შეტაკება მოსვლიათ. ბუღა მძიმედაა დაჭრილი, ის კი მოკლულია. ამდენი შეიარაღებული ახალგაზრდის ერთი წუთით უყურადღებოდ მიტოვება არ შეიძლება. ვიდრე ქალაქს დავტოვებდით, მოვინახულე გამგეობა. შემდეგ მილიციაში შევიარე. თან თემურ ხაჩიშვილი მახლავს. გვინდა გავერკვეთ, რა მდგომარეობაშია მილიცია. უფროსი ადგილზე არ არის. მის მაგიდასთან ვჯდები. რეკავენ მალთაყვის საწყლო-სათხილამურო კომპლექსიდან: „მხედრიონი ქალაქიდან გადის და მთელი ჩვენი ავეჯი გააქვთ“. „თქვენ ვინა ხართ?“ - ვეკითხები. „ადმინისტრატორი“. ყურმილს ვუკიდებ: „თემურ, აბა, ახლავე გავარდი და ეგ მოროდიორები დააკავეთ. თუ გაგიძალიანდნენ, არ დაინდოთ, ესროლეთ“. ჩემს დაცვას ვაყოლებ. ცოტა ხანში თემური მირეკავს: „ბატონო ჯაბა, ყველაფერი ტყუილია, კარები დაკეტილია, ყველაფერი ადგილზეა“. გულზე მომეშვა. „როცა თქვენ დატოვებდით ქალაქს, თვითონ გაიტანდნენ და თქვენ დაგაბრალებდნენ“, - მეუბნება შემოსწრებული მილიციის უფროსი.

თბილისში შედარებით სიწყნარეა. ეკონომიკის რეფორმებზე გაუთავებლად მსჯელობენ. არის ახალი ტერმინების რახარუხი, ბირჟები, მარკეტები, ფასების ლიბერალიზაცია. ხალხს ვერ გაუგია, რა ჯანდაბაა ეს ფასების ლიბერალიზაცია. სიგუამ თავის ეკონომიკურ გუნდში, ძველი კომუნისტური ნომენკლატურის გვერდით, ჩასვა სახალხო ფრონტის წარმომადგენელი რომან გოცირიძე, პაატა კოღუაშვილი, რომელთაც იდეები აწუხებთ. ვამზადებთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მაჩვენებელი ეკონომიკის მთავარ ბერკეტს - ეროვნული ვალუტის ერზაცს - კუპონს. იწყება მისი კონვერტაცია და ამ არაადეკვატურ პროცესს მოსდევს მთელი რიგი ფინანსური მაქინაციები. რა არის ეს კონვერტაცია?

კითხულობს ხალხი. ერთი მედროვე, მაგრამ არცთუ ცუდი პოეტი შიფრავს: „ჩადე ვალუტა კონვერტში და ისე მიეცი ქრთამი“. ფეხს იკიდებს ახალი ფორმის კორუფცია. ხალხში ამბობენ: „ჯამაგირს გვაძლევენ კუპონებით, ბაზარში ყველაფერი იყიდება რუბლით, ქრთამს კი გვთხოვენ დოლარით“. ქვეყანაში პურისა და საწვავის კრიზისია. მეგონა, შევარდნაძის საერთაშორისო კავშირები, რუსეთიდან დაწყებული, აზიისა თუ ევროპის ქვეყნებით დამთავრებული, მისი დანიშვნისთანავე დაიწყებდა მოქმედებას. ამერიკა კი დღედაღამ ჩვენზე იფიქრებდა. ეს, რასაკირველია, ილუზია გამოდგა, თუმცა, რაღაც ცალკეული დახმარების აქტები განხორციელდა და ეს პირადად შევარდნაძის სახელს დაუკავშირდა. შევარდნაძე ქმნის თავის აპარატს. ყაიდა, რაღა თქმა უნდა, იგივეა: კომუნისტური პარალელიზმი - მრჩევლები ყველა დარგში, რაც მინისტრთა კაბინეტში ფუნქციონირებს. აპარატის უფროსად ინიშნება ვაჟა ლორთქიფანიძე, ახალგაზრდა კაცი, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი ბიუროკრატი. მის დანიშვნაში მეც მიმიძღვის რაღაც წვლილი. შევარდნაძემ მთხოვა, ჩემი აზრი გამომეთქვა მის შესახებ. ვაჟა „პარვენიუ“ არ არის, ინტელიგენტია, თანამედროვედ მოაზროვნე, მტერ-მოყვარის მცნობი, ნიჭიერი ადამიანი. იგი ჩემი ნათლულის, ლაშა თაბუკაშვილის მეგობარია. ამ ოჯახის ახლობელი ჩემი ახლობელიცაა. სიამოვნებით ვახასიათებ და არა მხოლოდ ვაქებ, ვთხოვ კიდეც, ნუღარ გადაიფიქრებს მის დანიშვნას. სიგუა და კიტოვანი უკმაყოფილონი არიან. კიტოვანი მეუბნება: „რა უნდა, ამ ცეკას რომ აკეთებს?“ „რა ცეკაა?“ - ვცდილობ დავიცვა, თუმცა, არც მე მიმაჩნია მართებულად პარალელური სტრუქტურების ჩანასახების აღორძინება, მაგრამ არ მსურს უთანხმოება და დაპირისპირება გამოვიწვიო, მით უმეტეს, მალე არჩევნები იქნება და ჩვენ რადიკალურ ადმინისტრაციულ რეფორმებს ჩავატარებთ.

იმელი მზადაა. არნახული ამბავი მოხდა. ანდრიაძემ თვე-ნახევარში შენობა გადააკეთა. ჯერ მხოლოდ შევარდნაძის აპარტამენტები არ არის მზად. განსაკუთრებული პროექტითა და რუდუნებით მუშაობენ. თუმცა, მეორე სართულზე ჩემი ოთახებისთანებიც არის და ჯერ იქ იქნება. დამთავრდა ოვალური დარბაზი სხდომებისათვის. სახელმწიფო საბჭოც იქ იკრიბება. ელიფსისებურ მაგიდასთან ყველანი ერთად ვსხედვართ. ცენტრში ზის შევარდნაძე, მაგრამ მეჩვენება, რომ

მყუდროდ ვერ არის განსაკუთრებული ტრიბუნა-პრეზიდიუმის გარეშე. სხდომას ხანგამოშვებით ესწრებიან სიგუაც და კიტოვანიც. ალბათ უნდათ თავიანთ დამოუკიდებლობას გაუსვან ხაზი, ან მართლა მოუცლელები არიან. კიტოვანი პარალელური სტრუქტურების წინააღმდეგია, ხოლო თვითონ თავდაცვის სამინისტროში ქმნის გრანდიოზულ სამხედრო პოლიციას და კონტრდაზვერვის სახელით იგორ გიორგაძე აფუძნებს საბჭოთა ყაიდის „კაგებეს“. ხანდახან, პრეზიდიუმის სხდომაზე, შევარდნაძის კაბინეტში ვიკრიბებით. ამ შეხვედრების ზოგადი მონახაზი ასეთია: თენგიზ კიტოვანი რაღაც ბლეფს „დაურტყამს“: „მთვარე იჭმება“, მრავალმნიშვნელოვნად იტყვის იგი, ცალ თვალს ჭუტავს და თავს დამაჯერებლად, დარბაისლურად აქნევს. თენგიზ სიგუა, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. მხარი არ დაუჭიროს კიტოვანს, ხომ არ შეიძლება, არადა, რეგვნობაზე როგორ მოაწეროს ხელი?! „იცი, თენგიზ, როგორც ახლა იჭმება... ნუ, 18 მთელი და ორი მეათედი პროცენტით მართალი ხარ, მაგრამ 80 პროცენტი“... უყვარს ციფრებით ოპერირება. რას იზამ, ზუსტი მეცნიერების წიაღიდანაა - მეტალურგია. დისკუსიაში ერევა ედუარდ შევარდნაძე: „ბატონი თენგიზი მართალია“, - ამბობს ისეთი უშუალო ტონით და მიამიტი გამომეტყველებით, თითქოს ახლა ჩამოფრინდა მთვარიდან. თავს ძლივს ვიკავებ. მაინც რაღაცას უხეშად ვამბობ, ფორმალურად კიტოვანის მისამართით, არადა, ეს ყველას გვეხება.

ზუგდიდში კვლავ დაძაბულობაა. გვარდიის იქ ყოფნამ გააღიზიანა მოსახლეობა. შემთხვევით უდანაშაულო ახალგაზრდას მოხვდა ტყვია. ამ ნიადაგზე ქალაქიდან მათმა გამოსვლამ მთლად ხელ-ფეხი გაუხსნა ზვიადისტებს. გამოჩნდნენ ის ცნობილი შავოსანი ქალები, რომლებსაც გამსახურდია ჯერ კიდევ კომუნისტების შანტაჟისთვის იყენებდა - შვილმკვდარი დედების სახელით. არის მიტინგობია და ქალების წივილ-კივილი.

ლოთი ქობალიას რაზმის გარდა, ყალიბდება ათ-თხუთმეტკაციანი შეიარაღებული ჯგუფები გოჩა ბახიას, ჯემალ ქობალიას, სლავიკ ინჯიას თაოსნობით, ერთიმეორეს ეჯიბრებიან გავლენის სფეროების მოპოვებაში. სახელმწიფო ქონების დატაცება დანაშაულად კი არა, პრესტიჟის საქმედ იქცა. სამგზავრო მატარებლებს აჩერებენ და ძარცვავენ,

დაკავებული ჰყავთ ბესიკ ქუთათელაძე. ყარყარაშვილი, საკუთარი ინიციატივით, კბილებამდე შეიარაღებულ ორმოც გვარდიელთან ერთად ვერტმფრენით მიემგზავრება ზუგდიდში ბესიკ ქუთათელაძის გამოსახსნელად და იქ წესრიგის დასამყარებლად. ბესიკთან იგი ბოლო დროს მეგობრობდა. მეორე დღეს გვაცნობეს, რომ ორმოცივე კაცი და თვით ყარყარაშვილიც დაუტყვევებიათ რუხის ციხესთან, სადაც აპირებდნენ დაბანაკებას.

თბილისშიც აქა-იქ დივერსიებია. არის მონაცემები, ვითომც თანამდებობებზე დარჩენილი ზვიადისტები ფულს აგროვებენ და გროზნოში გზავნიან, გამსახურდიასთან. თვით გამსახურდიამ როგორ და რამდენი ფული ან ოქრო წაიღო, ესეც დაუდგენელია, თუმცა, სიგუა ირწმუნება, რომ ჯანმრთელობის სამინისტროსათვის გამოყოფილი ვალუტა გატანილია ბანკიდან.

აფხაზეთშიც არეულობაა. რევანშისტები სოხუმში იკრიბებიან. მათი სათარეშო პოლიგონებია ზუგდიდი-გალი-სოხუმი. არძინბა ფარულად ხელს უწყობს მათ. ჩვენ დაახლოებით ვიცით, ვინ აფეთქებს ხიდებს. ვავალებთ აფხაზეთის შსს-ს და „კაგებეს“, მიიღონ სათანადო ზომები. გივი ლომინაძე, აფხაზეთის შს მინისტრი, კომუნისტობის შემდეგ თვითონ იყო მრგვალი მაგიდის წევრი. გვპირდება, რომ რაღაცას იღონებს, მაგრამ მისი იმედით ყოფნა არ შეიძლება. რომ მოინდომოს კიდეც, შემსრულებელი არავინ ჰყავს. ასეთივე მდგომარეობაშია ავთანდილ იოსელიანი - აფხაზეთის „კაგებეს“ უფროსი. ვუშვებ 20 მხედრიონელს სოხუმში, სადაც რევანშისტების სავარაუდო ბუდეებია. მხედრიონელები ადგილობრივი „კა-გე-ბე“-დან მიიღებენ ინფორმაციას და თვითონ აიყვანენ დივერსანტებს, რაკი იქაური შსს და „კაგებე“უმწეონი არიან და არ ძალუძთ მათი დაკავება. თემურ ხაჩიშვილი მაცნობებს, რომ მზადდება რაღაც პროვოკაცია, აპირებენ ჩემი და კიტოვანის - მხედრიონისა და გვარდიის დაჯახებას.

არ ვიცი, საიდან მიიღო ეს ინფორმაცია. მას ხშირად მოაქვს კონფიდენციალური სახის ცნობები. მხედრიონის მომავალი ახლა უკვე სხვაგვარად უნდა წარიმართოს, ვიდრე თავდაპირველად ვფიქრობდი. მისი შემადგენლობის ნაწილი შს სამინისტროს განკარგულებაშია, ნაწილი - გვარდიაში,

ნაწილი - სადაზვერვო სამსახურში, დანარჩენები კი - მაშველთა კორპუსში, რომელიც არჩევნების შემდეგ დამტკიცდება ცალკე სახელმწიფო უწყებად. ჩემი ოცნება - სწორედ მხედრიონმა გააერთიანოს ეს სტრუქტურები, გახდეს უნივერსალური, მობილური და ეკონომიკურად გამართლებული, პატარა ქვეყნის ძალოვანი და სამშვიდობო სექტორი - აღარ გამოვა. ამისათვის, ჩვენს გარდა, არავინაა მზად. ეს კიდევ ერთ ომს გამოიწვევს. ასეთი დაშტამპული, ჩინოვნიკური ფსიქოლოგიით, ამბიციურ-კარიერისტული მისწრაფებებით გარშემორტყმულ ვითარებაში ვერ გაიხარებს. ის კი არა, შს სამინისტროსა თუ პოლიციაში ცალკეული ბიჭების დასაქმების შემთხვევებში ისეთ აბუეტობას წავაწყდით, როგორიცაა ნასამართლობის მქონე პირთა მიუღებლობა. ეს კომუნისტური „წმინდანობის“ მოთხოვნა რასაც ემსახურებოდა, ყველამ ვიცით. უფრო კორუმპირებული პირადი შემადგენლობა, ვიდრე საბჭოთა შსს იყო, წარმოუდგენელია. ვითომ რაო, ნასამართლევი მეტს გამოსძალავდა თავის მსხვერპლს?! პირიქით - თუ გვსურს ჭეშმარიტად დემოკრატიული და ჰუმანური ქვეყანა შევქმნათ, სწორედ გამოცდილი ადამიანები უნდა მსახურობდნენ სახელმწიფოსთვის ამ მნიშვნელოვან და ფაქიზად მოსავლელ სტრუქტურებში. თუ მაინცდამაინც, განა „ჟავერის სინდრომი“ ნაკლებად საიმედო რამაა სახელმწიფოს ერთგულებისთვის?!

მერაბ ალექსიძის კომისია ამთავრებს მუშაობას. ამბობენ, რომ „კაგებეს“ მთელი პირადი შემადგენლობა გაგებით შეხვდა მათი უწყების ტრანსფორმაციის ფაქტს. მრავალი მათგანი პენსიაზე გადის, ახალგაზრდების ნაწილი რჩება. ერთი ნაწილი იგორ გიორგაძესთან გადადის, კიტოვანის გვარდიის კონტრდაზვერვის სამსახურში. სიგუა ბიუჯეტიდან აფინანსებს მათ, როცა მხედრიონისთვის ერთი კაპიკი ან ერთი ტყვიის საფასური ჯერ არ გაუმეტებიათ. არა უშავს, როგორც რუსები ამბობენ, „კარგი თევზი თავისივე ქონში იწვება“. სადაზვერვო-საინფორმაციო კომიტეტის თავმჯდომარედ ინიშნება ირაკლი ბათიაშვილი. „ახალგაზრდა ფილოსოფოსი, ყოფილი დისიდენტი“ - იწყება თავმოწონება საინფორმაციო არხებში. მოადგილეებად ვუშვებთ თემურ ხაჩიშვილს და შოთა კვირაიას. ესენი ჩემი რეკომენდაციით მივიღეთ. ხაჩიშვილი თავგადაკლული შევარდნაძისტია, კვირაია კი - ჩემს ოჯახთან დაახლოებული, პროფესიონალი ჩეკისტი, მოსკოვში,

ინტერპოლში ნამუშევარი. პირველად გივი ბერაძემ, საბჭოეთის „შავი სამყაროს“ ერთ-ერთმა ცნობილმა ავტორიტეტმა მომიყვანა - სენაკელი, კარგი ოჯახის შვილია, ჩუმი, წყნარი, შეთხზული სენსაციების მოყვარული. 1992 წლის იანვარ-თებერვალში შსს-ში რომან გვენცაძის მოადგილედ დავნიშნე. ახლა ვფიქრობ, მან უნდა გააწონასწოროს ამ ორი ახალგაზრდის - ბათიაშვილისა და ხაჩიშვილის ურთიერთობა. პირველი ამბიციურია, მეორე - ჯიუტი და თავნება. ბინად ირჩევენ ყოფილ ცეკას ჩიტაძის ქუჩაზე.

საქართველოში პრობლემათა პრობლემა ნაციონალურ-ეთნიკური საკითხია. ხომ არ შეგვექმნა რაღაც კომიტეტისმაგვარი სახელმწიფო უჯრედი, რომელიც მხოლოდ ამ საქმით იქნება დაკავებული. ამ იდეას ვთავაზობ შევარდნაძეს. იგი ორი-სამი დღის შემდეგ მაცნობს თავის შეხედულებას. ასეთი კომიტეტი აუცილებელია, მაგრამ მას ერთი ფუნქციაც უნდა დაემატოს: ადამიანის უფლებების დაცვა. „ერთმანეთთან დაკავშირებულ პრობლემებთან აქვთ საქმე“, - ამბობს იგი დარწმუნებით. ეს მართლაც ასეა, მაგრამ პარადოქსია, ადამიანის უფლებები დაიცვა სახაზინო სტრუქტურით. ამას ვედავებოდი ზვიად გამსახურდიას. „შენ - პრეზიდენტი და შენვე - ადამიანთა უფლებების დაცვის ჰელსინკის ჯგუფის თავმჯდომარე? მაშ, ვისგან იცავ იმ დაზარალებულს, შენგან?“ ამას ვფიქრობ, მაგრამ არ ვეკამათები. არ მინდა ისე გამოვიდეს, თითქოს მსურს, ყველაფერი ჩემებურად გადაწყდეს. გარდა ამისა, ალბათ, საზოგადოებრივ საწყისებზე თავისთავად შეიქმნება ადამიანთა უფლებების დაცვის რაღაც პარალელური ორგანიზაცია. უპირველესად, მისახედია ავტონომიები. მშვიდობაა დასამყარებელი ცხინვალსა და მის შემოგარენში. კარგი მომენტია. შევარდნაძე არ უნდა იყოს მიუღებელი პიროვნება ოსებისათვის. მეც რაღაც სიმპათიური კაპიტალი მაქვს მოპოვებული ოსურ მოსახლეობაში. თანაც, სულ ახლახან გავათავისუფლეთ ყულუმბეკოვი. ჩრდილო-ოსეთის ხელმძღვანელობაში შევარდნაძეს არაერთი ნაცნობი ჰყავს. ყველას იმედი გაუჩნდა. დროის დაკარგვა არ შეიძლება. თუ ოსური საკითხი სამართლიანად გადაწყდება, დანარჩენებსაც უსაფუძვლო პრეტენზიები მოეხსნებათ. ვამყარებთ კავშირებს: შევარდნაძე - ვლადიკავკაზში, მე - ცხინვალში. შევთანხმდით, რომ მე და შევარდნაძე ჩავალთ ცხინვალში, იქვე ჩამოვა

ჩრდილო-ოსეთის დეპუტატი რუსეთში ალექსანდრ ზასოხოვი, გავლენიანი პირი როგორც ჩრდილო ოსეთში, ისე ცხინვალსა და მოსკოვშიც. ვითარების გასაკონტროლებლად დილით ადრე მივდივარ გორში, ნიქოზში, ერგნეთში. ერთ წელზე მეტია, აქეთ არ ვყოფილვარ. ერგნეთის მოსახლეობა გახიზნულია, სოფლის არემარე საფრონტო ხაზსა ჰგავს. ირგვლივ გვარდიის ტექნიკაა. თვითონაც აქ არიან. არტილერიას ჩემი ძველი ნაცნობი დევი ჭანკოტაძე მეთაურობს.

საიდანღაც მორბიან აქაური ქალები, მტრული, საჩხუბრად მომზადებული სახეებით. ეტყობა, ვიღაცამ ისევ მოწამლა ატმოსფერო: „შენ რა, გინდა შეგვარიგო? ეგ არ მოხდება, ყველანი დავიხოცებით და არ შევურიგდებით“, - კაპასობს ერთი მათგანი. „მაშ, როდემდე გინდათ ასე იცხოვროთ?“ „ვიდრე არ ამოწყდებიან“. მივდივარ სკოლის შენობაში. ვხვდები შეიარაღებულ სოფლელებს, ბევრს ვცნობ, კოსტავას საზოგადოების წევრები არიან. იციან, რისთვისაც ჩამოვედი. თავის პოზიციას არ ამჟღავნებენ, ვითომ ჩემს დარიგებას ყურს უგდებენ, თვალთმაქცობენ. „თქვენ გინდათ, გვარდია გაიყვანოთ აქედან? მაშინ ჩვენც ავიყრებით და წავალთ, მივატოვებთ სოფლებს“. გაისმის მოშორებით მდგარი ჯგუფიდან. „და�ა...“ - ვფიქრობ. აქ ისევ ის აგრესიული განწყობაა, იმ განსხვავებით, რომ უწინ ეს იმედიანი და დაჯერებული ექსტაზი იყო, ახლა სასოწარკვეთის პირას მდგარი გაღიზიანებაა. ნიქოზში, სოფლის განაპირას, სროლაა. მივადექით სანგრებში ჩაწოლილ გვარდიელებს. „რაშია საქმე?“ - ვეკითხები. ვხედავ, ყოფილი მხედრიონელები, ხაშურელები, სხვადასხვა დანაშაულის გამო ბუღას მიერ გაგდებული პეტრე ტელეფუესი, რიჟა და სხვები. „გვესვრიან, ბატონო ჯაბა, მა რა ვქნათ, გვესვრიან. აი, იქ რუსების ვერტმფრენების პოლკის ოჯახის საერთო საცხოვრებელია, აი, იქიდან; მათ ეფარებიან...“ „ახლავე შეწყვიტეთ! არ გაგაფრთხილეს, რომ მე და შევარდნაძე ცხინვალში შევდივართ?“ „რო გვესვრიან?“ გორში ვბრუნდები. აქ უნდა ჩამოფრინდნენ შევარდნაძე და ჩრდილო-ოსეთის მთავრობის წარმომადგენელი, რომ მერე ერთად შევიდეთ ნიქოზიდან ცხინვალში. წაგვიყვანს რუსი სამხედრო პატრული. გორის სტადიონზე ვხვდები მათ. ყველანი მივდივართ ცხინვალში. პირველი გაჩერება ვერტმფრენთა აეროპორტია. იქ გვხვდება რუსეთის სამხედრო ნაწილის უფროსი და ცხინვალის ადმინისტრაცია ყულუმბეკოვის

მეთაურობით. გვინდა, ქალაქში შევიდეთ. ოსები ამისათვის მზად არ არიან. უნდათ, აქვე დავიწყოთ მოლაპარაკება, რუსი მეთაურის ოთახში, მისივე თანდასწრებით. პირველი საკითხი, რასაკვირველია, ცეცხლის შეწყვეტას ეხება. ვთანხმდებით, რომ ეს უპირობოდ უნდა შესრულდეს. შემდეგ იწყება ზოგადი მსჯელობა. ოსური მხარე მაინც დამნაშავის ძიებისაკენ მიმართავს საუბარს. მე ვცდილობ, საქმეზე გადავიდეთ. მეგობრულად ვეუბნები ყულუმბეკოვს: „ჩვენ ხომ ერთი ბედი გავიზიარეთ „კაგებეს“ ციხეში, ორივენი პოლიტპატიმრები გაგვხადა გამსახურდიამ“. ვატყობ, ამ გარემოცვაში ჩემი მეგობრული ტონი სულაც არ ეპიტნავება. ოდნავ შეშფოთებულია, ფრთხილობს კოლეგების წინაშე. ალბათ, ეჭვიანობენ, იქნებ რამე დააბრალონ კიდეც. უცებ რუსი მეთაური ინიციატივას იღებს და როგორღაც მუქარით ლაპარაკობს. შევარდნაძემ საკადრისად მოუჭრა პასუხი და თავის ადგილას დასვა. შევარდნაძე კვლავ ქალაქში შესვლაზე ამახვილებს ყურადღებას. მეც მხარს ვუბამ. „ჩვენ უსაფრთხოებას ვერ უზრუნველვყოფთ“, - იმეორებენ ისინი. „გაუშვი, მესროლონ, - ვამბობ მე, - თუ ამის ღირსი ვარ“. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად, ყველაზე კეთილგანწყობილიც მეჩვენება. ის კისრულობს ჩვენს წაყვანას დაცვის გარეშე, რუსების მეთაურის სამხედრო მანქანით, ინკოგნიტოდ. ვთანხმდებით. ქალაქში მაინც გაიგეს ჩვენი ჩასვლა. მანქანიდან გადმოვედით თუ არა, გარს შემოგვეხვია ბრბო. ქალები ტირიან, კაცები ცნობისმოყვარეობით ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებიან. ამდენი მტრობისაგან ხალხი დაიღალა. ჩვენს შეხვედრას ქალაქის საბჭოში ოფიციალური სახე აქვს. საკითხები იგივეა - მშვიდობისა და სტატუსის შესახებ. შევთანხმდით, რომ კომისიები შევადგინოთ და უახლოეს დროში ეს საკითხები მოვაგვაროთ. გვინდა, შევხვდეთ ქართულ მოსახლეობას. როგორც გვეუბნებიან, ორი ათასამდე კაცი დარჩენილა. დღეს ეს ვერ მოხერხდება. „მაშინ გავალთ პიკეტებზე“. ამის წინააღმდეგიც არიან. მეც დიდი ენთუზიაზმით არ ვითხოვ. მეშინია, შევარდნაძეს არაფერი მოეწიოს. ეს აბუეტობა იქნება. ჩვენი იქ გამოჩენა აუცილებელი არ არის. შევარდნაძეს თავისი გააქვს. მივდივართ თამარაშენის პიკეტზე. აქეთ ოსები დარაჯობენ, იქით - ქართველები, შუაში ნახევარ კილომეტრამდე ცარიელი გზატკეცილია, ასე ვთქვათ, არავისი ზონა, ან უფრო - საცეცხლედ დატოვებული სივრცე.

ველაპარაკებით თოფმოღერებულ ოს ბიჭებს. ვერაფერი გაუგიათ, ასრულებენ, რასაც ჩვენი თანმხლები საბჭოს თავმჯდომარე ეუბნება. გვიშვებენ ცარიელ ზონაში. უკაცრიელი არემარე, სიჩუმე. მივდივართ ორნი - შევარდნაძე და მე. ის წინ მიბაკუნობს, ხაზგასმული, მტკიცე ნაბიჯით. ეტყობა, კმაყოფილია, რომ საშუალება მიეცა, გამოიჩინოს გამბედაობა. ძველი, კომუნისტური ეტიკეტის პრინციპით, მე ოდნავ ჩამოვრჩები. პიკეტს რომ მივუახლოვდით, ატყდა მოძრაობა. ვიდრე ბეტონის ფილებისა და კასრების ბარიერი არ გადავლახეთ, არავინ შეგვხვედრია. გადასვლისთანავე მოგვეგებნენ. „ჩვენ გვეგონა, რაღაც ხაფანგს გვიწყობდნენ“, - ამბობს ავტომატმომარჯვებული, წვერმოშვებული შუახნის კაცი. მე მას ვიცნობ ჯერ კიდევ 1989 წლის მოვლენებიდან. ერთ-ერთი შეტაკების მონაწილე იყო. საიდანღაც გამოჩნდნენ ქალები. ნაცნობი სახეებია, მხოლოდ რაღაც უფერულები და დამჭკნარები მეჩვენებიან. აქვეა რამდენიმე გვარდიელი. ირგვლივ გადამწვარ-გადაბუგული სახლებია, ყოფილი მაღაზიის შენობა - აყირავებული. „მათი გაყვანა თუ გინდათ, ჩვენც ავიყრებით, ან გავოსდებით“, - ყვირის ერთი ქალი. შევარდნაძე რაღაცას ესაუბრება წვეროსანს. იგი ხმამაღლა, თითქმის ყვირის: „მაშ, ძმა რომ მომიკლეს?!“ უცებ მახსენდება იმ შეტაკების მიზეზი და ამავე კაცის მაშინდელი, ამავე ინტონაციით ნათქვამი სიტყვები: „მაშ, ძმა რომ გამილახეს?!“ თავს ვეღარ ვიკავებ და ვერთვები. „შენ ხომ გახსოვს, ერთი წლის წინათ რას ამბობდი? მე მაშინ გირჩევდით, მშვიდობიანად მოგვეგვარებინა ეს დაპირისპირება. გეუბნებოდით, როცა ერთმანეთს დახოცავთ, გვიან იქნება-მეთქი. გახსოვს?!“ მაშინვე მივხვდი, რომ ამის შეხსენება უადგილო იყო, მაგრამ სიტყვა უკვე გამიფრინდა. თანაც, ასეთი დამთხვევის უგულებელყოფა არ შემეძლო. არაღნიშვნა იმისა, რისთვისაც ამ წლების განმავლობაში თავი მქონდა გადადებული, ძალიან ძნელი იქნებოდა ჩემთვის. საუბარი კამათად იქცა. ისევ შევარდნაძე არეგულირებს ვითარებას. მართალია, ბანალური ფრაზებით, მაგრამ მაინც თავის საქმეს აკეთებს - ყურადღება გადააქვს. მე ვჩუმდები. შევარდნაძე ჰპირდება ყოველგვარ დახმარებას და ტექნიკის შემოყვანას მათ დასაცავად.

უკან ვბრუნდებით. არ გვაცილებენ. ისევ მიაბაკუნებს შევარდნაძე წინ, მე, ასე ვთქვათ, კომუნისტური პროტოკოლით

- დისტანციაზე. ცხინვალში ჩვენი მეგზური გვიჩვენებს სკოლის ეზოს, სადაც ჩვენი აგრესიის შედეგად დაღუპული ბავშვები არიან დამარხული. უკვე ბინდდება. გვაჩქარებენ. მივდივართ ისევ აეროპორტში, საიდანაც მოვედით. გზაში გვესმის არტილერიის კანონადის ხმა, ჩვენი „ალაზნების“ ცეცხლი! ნუთუ ჩვენები ისვრიან? რუსები უხეშად გვხვდებიან: „თქვენ აქ ხართ და იქიდან ისვრიან, რა არის ეს?“ „ამისთვის მოხვედით?“ - კვერს უკრავენ ოსებიც. შევარდნაძე გაკვირვებული შემომცქერის. რა ვთქვა... მე კი ვიცი, ვინც არიან ესენი. ეს იგივე ხალხია, ვინც ააბუნტა აქაურობა, ვინც პოლიტიკური, მატერიალური თუ პიროვნული გამორჩენა მოიმკო ოსურ ტალღაზე, ვინც ამ სისხლზე მუქთად იშოვა ჭეშმარიტი პატრიოტისა და გმირის სახელი. „ეს რაღაც გაუგებრობაა, - მსურს გავფანტო უხერხულობა - ან პირდაპირი პროვოკაცია. ჩავალთ და გავარკვევთ“.

ნაჩქარევად ვემშვიდობებით და ვბრუნდებით ნიქოზში. გზაში ჩვენს თავებზე გადაჰქრის „ალაზნის“ ჭურვები. გორში კიდევ უარესი ფაქტი მოხდა. სანამ მილიციაში შეკრებას მოვაწყობდით, ჩოჩქოლი ატყდა. ირკვევა, რომ რომელიღაც ბინაში ცოცხლად დაწვეს ვიღაც ოსი. სად იწყება ეს ქსენოფობია და სად არის ჭეშმარიტი ეროვნული გრძნობის საზღვარი? ნუთუ ეროვნული თვითშეგნება სხვა ერის სიძულვილზე უნდა დამკვიდრდეს? ან რა ხდებოდა და რა ხდება საქართველოში ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე? კომუნისტური იდეის გაფურჩქვნისა და პრაქტიკაში მისი განხორციელების მცდელობის პიკის ხანაში დაკვირვებული ადამიანები ამბობდნენ: კომუნისტებს ბოლოს მოუღებს თავისივე ზღვარს გადასული პროპაგანდა. საბჭოთა პატრიოტიზმის უსაგნო ბუნებამ, მისმა გამძაფრებულმა კულტივირებამ, როგორც კი მომენტი ნახა, ტრადიციულ ეროვნულ ნიადაგს მოეკიდა: ათეულწლობით დათრგუნვილმა ენერგიამ უცებ იფეთქა და ქსენოფობიისა და პათოლოგიის სახე მიიღო. ამიტომაც იყვნენ ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერები არანორმალურები, ამიტომაც იყო ჩვენი ხალხი ასე ეგზალტირებული. გიჟებში ყველაზე დიდი გიჟი ნორმალური ადამიანია. ამიტომაც რეალობის ადეკვატური აღქმა ან მოღალატეობად ითვლებოდა, ან არანორმალურობად. შეიძლება ეს მეც მეხება. არ ვიცი. განა რომელიმე გიჟს უთქვამს, გიჟი ვარო?! ერთი სიტყვით, ახლა მთავარია, ხალხმა გაიგოს, რომ სხვა ერის სიძულვილი არ არის

შენი ერის სიყვარული! საჭიროა, ფეხდაფეხ ჩავყვეთ ყველა შოვინისტური და პარტიკულარული ნაციონალიზმის გამოვლენის საფუძვლებს და, რაც შეიძლება, უმტკივნეულოდ, თანდათანობით გავაჯანსაღოთ ჩვენი ეროვნული შემართება.

ავიღოთ თუგინდ აფხაზეთის პრობლემა. განა ის ასე პრიმიტიულად უნდა განვსაჯოთ ორივე მხრიდან? განა საქმე მხოლოდ ტოპონიმიკაში ან აფსუების და ჯიქების წინაისტორიაშია? თვით დღევანდელი ვითარება იქ ფენად-ფენადია: ეთნიკური, სოციალური, ისტორიული, ინსპირირებული, კულტურული, ფსიქოლოგიური და მერკანტილური.. კომუნისტებმა ეს ვითარება სტანდარტულად, ე. წ. ნაციონალური კადრების მეთოდით გადაწყვიტეს. დაწესებული ლიმიტით: თუ თავმჯდომარე ქართველია, მოადგილე აუცილებლად აფხაზია, ან პირიქით. წამყვანი ნომენკლატურა, რასაკვირველია, აფხაზური შემადგენლობისაა. შევარდნაძე მათ, თითქმის ყველას, კარგად იცნობს. მისი გამოზრდილი ჩეკისტია, მაგალითად, ალიკა ანქვაბი, პარტიული კადრი - სერგეი ბაგაპში, სამეურნეო ხელმძღვანელი - ზურაბ ლაბახუა. ვლადისლავ არძინბასაც იცნობს, არ ვიცი, საიდან.

ჩამოდის მათი დელეგაცია ბაგაპშის მეთაურობით. არძინბა თავს იფასებს, იქნებ ეშინია და იმიტომ არ ჩამოჰყვა. განვიხილავთ თითქმის ყველაფერს, რაც კი აფხაზეთში ტრიალებს. ეს ნახევრად სხდომა თუ ნახევრად მოლაპარაკება შევარდნაძეს დიდი ოსტატობით მიჰყავს. საკითხი, რომელიც წამოიჭრება მსჯელობის დროს, მის გამოწვლილვით დამუშავებას განიცდის. შევარდნაძე ატრიალებს მას, როგორც კარგი მყიდველი - საქონელს: ყოველმხრივ ათვალიერებს, სინათლეზე გახედავს. თუ დასახელებული სიკეთე გამოუყენებელია, გაკვირვებული ვრჩები მისი გამჭრიახობით. სხვადასხვა კონფიგურაციით ფურცლებზე იწერს შენიშვნებს, დედააზრს. ამის კულტურა ქართველებს არა გვაქვს. სხდომის შემდეგ ვეკითხები: „ამ ჩანაწერებს მერე რას უშვრებით?“ იღიმება, გაურკვევლად მპასუხობს: „ხან რას, ხან რას“.

აჭარის საკითხი თვითდინებაზეა მიშვებული. შეგნებულად არ ვეხებით. შევარდნაძე ფრთხილობს, ჩემთან აქებს ასლანს, თუმცა, შიგადაშიგ ისეთს გაურევს, რომ ვხვდები, მაინცდამაინც გულზე არ ეხატება. ასლანი თბილისში არ

ჩამოდის, უსაფრთხოებაში დარწმუნებული არ არის. ყველა რაღაცას ელოდება. აქტიურობა არავის სურს. მეც უმრავლესობის განწყობით ვარ შეპყრობილი. არჩევნები პანაცეად მიმაჩნია და დიდი იმედით ველოდები მის ჩატარებას.

თურქეთიდან მოდის მიწვევა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე, თურქეთის პარლამენტის სადღესასწაულო დღეებზე დასასწრებად. შევარდნაძე წამსვლელი არ არის - ხუთდღიანი ზეიმია. გადავწყვიტე, წავიდე. 65 წლისა ვარ და უცხოეთში ჯერ არ ვყოფილვარ. გზად ბათუმია. ასლანი მეგობრულად მხვდება, მიყვება მასზე მოწყობილი თავდასხმის შესახებ, მიჩვენებს ვიდეოფირს, რა როგორ მოხდა. მიხსნის თავისი პოზიციის სამართლიანობას. მას არ სურს, ჩაერიოს სამოქალაქო ომში, მიუხედავად იმისა, რომ გამსახურდია სუსტ პიროვნებად და მისი პოლიტიკა დამღუპველად მიაჩნია. ამავე დროს ნათელ-მირონით არიან დაკავშირებულნი და აჭარის ხელისუფლად მის დამკვიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვის. მაცნობს ქართული წარმოშობის თურქს - სულეიმანს, რომელიც კისრულობს ჩემი ამალის პატრონობას თურქეთში.

საზღვარზე გვხვდებიან რუსების მაღალი რანგის სამხედროები. ასლანს მათთან უფროსული ურთიერთობა აქვს. გვაცილებენ ზედ საზღვრამდე, სადაც თურქეთის პარლამენტის წარმომადგენელი და ესკორტი გველოდება. ხუთდღიანი თურქული არდადეგები ჩემთვის რაღაც სიზმრისეული აღქმით მიმდინარეობს. ციხიდან სულ ორი თვის გამოსული, პირდაპირ ცეცხლში ვიყავი შევარდნილი. ეს უსაფრთხოება, ნებივრობა, მონოტონურობა დღესასწაულშიც კი ჩემს ფსიქოლოგიურ არითმიას იწვევს - აღფრთოვანებით ხან სული მეხუთება, ხან აპათია მეუფლება. ყველაფერი ამაოების უაზრო ჩარხბრუნვად მეჩვენება. სტამბოლი - ჭრელი ქალაქი. ასევე ჭრელია მიღებები, რაუტები, ნადიმები. პარლამენტის საზეიმო სხდომაზე ყველა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები, მთავრობის ან პარლამენტის ხელმძღვანელები არიან. თურქეთის პარლამენტის სპიკერი ბატონი ჯინჯერუკი ოფიციალურად პირველ კაცად არის დატოვებული პრეზიდენტ ოზალის მიერ, რომელიც საოპერაციოდ გამგზავრებულა შეერთებულ შტატებში. ჯინჯერუკი ზედგამოჭრილი ჩემი მეგობარი, აწ გარდაცვლილი როლანდ ყიფიანია. სრული შთაბეჭდილებაა, რომ მასთან მაქვს

ურთიერთობა. ყველა დელეგაციის ხელმძღვანელს ხვდება ხუთი-ათი წუთით. მე, როგორც საქართველოში ახალი ვითარების ერთ-ერთ წარმმართველსა და ხელმძღვანელს, მითმობს ოც წუთს, თუმცა, ფაქტობრივად, ნახევარ საათს ვისაუბრეთ. ჩემი მთავარი სადარდებელია თურქი-მესხების თურქეთის ტერიტორიაზე განთავსების პრობლემა. იგი ყველაფერზე თანახმაა და ამჯერად 50 ათასი კაცის მიღების პირობას იძლევა. მგზავნის სახელმწიფო მინისტრთან, რომელსაც ეს საკითხები ეხება. მანამდე შევხვდი პრემიერ-მინისტრ დემირელს. ეშმაკი, საქმიანი, მოფუსფუსე კაცია. იცინის და მეუბნება: „თქვენ რა, ქართველები პირდაპირ ამერიკას რომ ეცემით, ჯერ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეთ, იქნებ თქვენს მეზობლებსაც შეუძლიათ რამე“. მიღება ფორმალური ხასიათისაა. პურმარილები, ნადიმები, ექსკურსიები ერთმანეთზეა გადაბმული. გემოვნება ღალატობთ, თორემ ისე მდიდრული და ხელგაშლილი მასპინძლობაა. ჩემს ამალას - გია ხუბულაშვილს (დაცვა), „წესრიგა“ - თამაზ ფანჩულიძეს (მთარგმნელს) და ალეკო ბოჭორიშვილს (კანცელარიის გამგეს) - ასლანის მეგობარმა სულეიმანმა ღია ანგარიში გაუხსნა. ბოჭორიშვილი თავხედობს და სხვის ხარჯზე ბიჭებს ანავარდებს. ვტუქსავ, მაგრამ უკვე გვიანია - ჩემი ვიზიტი სულეიმანს ოცდაათი ათასამდე დოლარი დაუჯდა.

სეფესუფრა ბოსფორის სრუტეში, გემზეა გაშლილი. სუფრას უძღვება ჯინჯერუკი. მეუღლე ახლავს. ჩემთან არიან თამაზი და გია ხუბულაშვილი, ჩემი დაცვის უფროსი. ცოტა დაგვიანებით ავდივართ გემბანზე. „რა ლამაზები ხართ ქართველები“, - გვეუბნებიან. ჩვენს გვერდით ბელორუსიისა და რუსეთის დელეგაციებია. უკვე კარგად დაულევიათ. „მეგობრობა - მეგობრობად, მაგრამ ისე გასაწყვეტია მაგათი ჯური“, - ხითხითებს ერთ-ერთი მათგანი.

საქართველოში დაბრუნებულები ერთი დღით ისევ ბათუმში ვჩერდებით. ასლანი მიწყობს შეხვედრას უნივერსიტეტში. ეს რაღაც ისევ დაგეგმილ მიტინგს წააგავს. მახსენდება ჩემი დაჭერის კვირაძალზე მოსახლეობის შეკრება ბათუმის თეატრში. იქ სუფევდა ჭეშმარიტად იმპროვიზებული, თავისუფალი ურთიერთობა. დარბაზში ისხდნენ ჩემი მტრებიც, მაგრამ მათი გამოსვლები ხალასი იყო, რაც მეც მაძლევდა საშუალებას, ბოლომდე გულწრფელი ვყოფილიყავი.

აქ კი, უნივერსიტეტში, თავმჯდომარე ცდილობს, თავიდან აიცილოს რაიმე ექსცესი, ამიტომ ცდილობს, ზერელედ, სწრაფად მიაფუჩეჩოს ყველაფერი და ჩაითვალოს, რომ შეხვედრა მომიწყვეს. მე კი ეს არ მინდა. მსურს გავიგო, ვიგრძნო, რა განწყობითაა ხალხი დღევანდელი ხელისუფლების მიმართ. ჩემი პირადი რეიტინგიც მაინტერესებს. არიან ზვიადისტებიც. ერთ-ერთ მათგანს ჩემი შოკირება განუზრახავს და წარსულს მახსენებს. თავმჯდომარე ღელავს. მეცინება. ეს იმას ნიშნავს, რომ არგუმენტი არა აქვს.

ასლანი სულ ჩემთანაა, მათვალიერებინებს თავის სამეურნეო წამოწყებებს, ხიდის მშენებლობაზე გავყავარ. უნდა ითქვას, მეურნე კაცია, საქმეში კარგად ჩახედული. ოჯახშიც შინაურულად მექცევიან. ვშორდებით, როგორც ნამდვილი მეგობრები.

შევარდნაძე არავითარ ინტერესს არ იჩენს ჩემი მოგზაურობის მიმართ, არადა, თურქი-მესხების პრობლემა უკვე ცხვირწინ ტრიალებს. 50 ათასი გამორჩეული თურქი ერთჯერადად თუ გადავულოცეთ თურქებს, ცუდი არ იქნებოდა, მესხებს კი ჩვენ თვითონ მოვუვლიდით. „კარგია, კარგი“, - მეუბნება, თვითონ კი სხვა რამითაა დაკავებული.

ილია II გვპატიჟებს საეკლესიო დღესასწაულზე. თბილი და გულითადი ატმოსფეროა, ვახშამიც - მაღალი ეტიკეტით დაცული. შევარდნაძეს ვეკითხები, აპირებს თუ არა გაქრისტიანებას. ეს აქტი, სხვა თუ არაფერი, პოლიტიკურად აუცილებელია. ეტყობა, თვითონაც ნაფიქრი აქვს, მხოლოდ მონათვლის დროა შესარჩევი, ნათლია - მოსაძებნი, ანტურაჟი - მოსამზადებელი. აღარ ვეძალები. არ იფიქროს, მისი ნათლიობა მსურდეს.

მოდის კახეთის რაიონების გამგებელთა დელეგაცია. გელა გოდერძიშვილს ითხოვენ რწმუნებულად. მან ჯერ კომუნისტების დროს გამოუცხადა ბრძოლა მედეა მეზვრიშვილის მაფიას და მოუგო კიდეც. ხალხში ავტორიტეტი აქვს. ვუთანხმდები შევარდნაძეს. მეზვრიშვილს, რასაკვირველია, არ ვახსენებ. ვიცი, ერთ დროს მისი ახლობელი იყო და ახლა ამაზე ლაპარაკი უტაქტობა იქნება. ვნიშნავთ. მე მისი დიდი იმედი მაქვს. სამართლიანობის გრძნობა არ ღალატობს, ენერგიულია, სოფლის მეურნეობაც ესმის. ეროვნულმა მოძრაობამ მასებთან ურთიერთობას აზიარა,

ლიდერის ხასიათი აქვს.

სამსახურში ყოველდღე დღის თერთმეტის ნახევარზე მივდივარ. ჩემი დაცვის უფროსი საბოლოოდ თამაზია. გია ხუბულაშვილი შევარდნაძეს დავუთმე. თამაზს ხან დოლიძეზე გაჰყავს მანქანები და იქიდან მივდივართ „იმელში“, ხან ჩიქოვანის (ხილიანის) ქუჩით, ხან პირდაპირ ბალანჩივაძის ჩიხით. დღეს ჩიქოვანისკენ გავუხვიეთ. ხილიანთან, გასასვლელში, ჩვენ წინ, გარდიგარდმო თეთრი „ვოლგა“ შეყოვნდა. ვუპიპინებთ. უაზროდ ფაცურობს, ჩვენი მოწინავედან რაღაცას უყვირიან, შეიძლება აგინებენ კიდეც. გავდივართ ჩიქოვანზე და, ასი მეტრიც არ გვექნება გავლილი, გულის შემძვრელი აფეთქება გაისმის. მანქანა წამიერად ააგდო კიდეც. საჭესთან ამირანი ზის. მანქანას აჩერებს. „რაშია საქმე?“ - ვკითხულობ. „წადი წინ! რას აჩერებ, სწრაფად!“ - უყვირის ამირანს თამაზი. „ალბათ გაზი აფეთქდა რომელიმე სახლში“, - ვვარაუდობ მე. მოდიან მომდევნო მანქანებში მსხდომი ბიჭები. ნაპომ კონტუზია მიიღო, სახე აქვს დაზიანებული. ქუჩაში მსხვერპლია, არიან დაჭრილებიც, მარცხენა მხარეს პატარა სახლები დაინგრა. გასაგებია: აფეთქება მომიწყვეს ზვიადისტებმა.

შევდივარ ოვალურ სხდომათა დარბაზში, დაგვიანებისთვის ბოდიშს ვიხდი და ჩემს ადგილას ვჯდები, შევარდნაძის გვერდით. რაღაც კანონ-პროექტზე მსჯელობენ. სხდომის დასასრულისათვის მოდიან და მოაქვთ ცნობა: დაიღუპა სამი ქალი, 8 წლის ბავშვი და ერთი მამაკაცი, რამდენიმე კაცი დაჭრილი და დაშავებულია. სახელმწიფო საბჭოს წევრები ამას ჩვეულებრივ ამბად იღებენ, არც უმსჯელიათ, ისე იშლებიან და მიდიან სახლებში. გუნებაში მეცინება - ამათ იმედზე იყოს ჩემი მტერი. შევარდნაძეც მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენს. ხაჩიშვილს ვავალებთ, გამოიძიოს ეს საქმე. საღამოს ჩემთან, სახლში, მოდის დავით ზეიკიძე, ვიღაცაზე მეუბნება, რომ თავდასხმა მისი მოწყობილია. ვატყობ, ჩემთან თავის გამოჩენა უნდა. ვგზავნი ხაჩიშვილთან. სულ მალე ირკვევა, რომ ამის ჩამდენნი ჩემი კარგი ნაცნობები და ახლობელი ადამიანები არიან. და კიდევ ერთხელ მტკიცდება ის სამარცხვინო აზრი, რომ ადამიანს არ უყვარს ის, ვინც მას სიკეთე გაუკეთა. ამფეთქებლებში არის ზაზა წიკლაური, ერთ-ერთი პირველი მხედრიონელი, რომელმაც ცხინვალის მოვლენების დროს თავი გამოიჩინა და ვფიქრობდი, მომავალში მხედრიონი მისთვის

ჩამებარებინა. ასევე ამ ჯგუფში აქტიურობდა გრიშა ელისაშვილი, რომელსაც იანვრის დასაწყისში სიცოცხლე ვაჩუქე. ჩემთვის ყველაზე მოულოდნელი აღმოჩნდა მამა-შვილ გელბახიანების მონაწილეობა ამ საქმეში. პეტრე - უფროსი - ჩემი უახლოესი მეგობრის, ოთარ ჯღამაძის მეუღლის ბიძაა. თავის დროზე იგი შევარდნაძემ „ნეგატიურ მოვლენებთან“ ბრძოლის კამპანიის ერთ-ერთ მსხვერპლად აირჩია და სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 63 წლის კაცი, 15 წლით ციხეში გაამწესა. პეტრე ცეკას მდივნის, ვასილ მჟავანაძის ფავორიტი გახლდათ. ასე რომ, ამ ოჯახში იკრიბებოდა უამრავი ხალხი - მთხოვნელები, მეგობრები, ნათესავები, მოკეთეები, მაგრამ მისი დაპატიმრების შემდეგ, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, კაციშვილი აღარ აკითხავდა. სწორედ ამ დროს დავუახლოვდი მის ვაჟიშვილს, გედის. მინდოდა როგორღაც გამემხნევებინა. პეტრე უფროსს მივაკითხე რუსთავის კოლონიაში. მაშინ კოლონიაში ჩემი მისვლა მნიშვნელოვან ჟესტად ჩაითვალა, მით უმეტეს, რომ იქ ვითარების წარმმართველი იყო ნუგზარ მახარაძე, ჩემი დიდი პატივისმცემელი. ეს ის პერიოდია, როცა შევარდნაძის რისხვისა ყველას ეშინოდა. დავუმეგობრდი მის მეუღლეს - თამარს.

ახლა კი ვიგებ, რომ ჩემს სიკვდილს სწორედ ეს ოჯახი ამზადებდა. დიდება შენდა, ღმერთო! როცა მიზეზი ჰკითხეს, უპასუხიათ, მაშ, შევარდნაძე რატომ ჩამოიყვანაო.

სახელმწიფო საბჭოს სხდომები უკვე სააქტო დარბაზში იმართება. როგორც იქნა, შევარდნაძე თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში: პრეზიდიუმი, მიკროფონები, განკერძოებული შესასვლელ-გასასვლელები. იწყება ბჭობა იმის თაობაზე, თუ როგორ გამოვიხსნათ ყარყარაშვილი. ნოდარ ნათაძე და ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლები გვთავაზობენ, შევქმნათ დელეგაცია, რომელიც დაიწყებს მოლაპარაკებას რევანშისტებთან. ამ აჟიოტაჟში არ ვერევი - ეს ხომ იმის პრეცედენტი იქნება, რომ, ასე თუ ისე, მათ რაღაც მხარედ ვცნობთ. ჩემთან ხშირად მოდის ჩხოროწყუს გამგებელი გოგუა, ჩქარი და ტემპერამენტიანი წითური კაცი. მას ვერ გაუგია, რატომ ვართ ასეთი ინერტულები, რას აკეთებს მილიცია, როცა საჭიროა სულ 10-15 კაცის დაკავება, რომ სამეგრელოში მშვიდობა დამყარდეს. ზუგდიდში თითქმის ყოველდღე იმართება მიტინგი ყოფილ რაიკომის მოედანზე.

გამსახურდიასთან სოლიდარობის ნიშნად ახლა მას გროზნოს უწოდებენ. ცაიშის მიდამოებში დაუნდობლად ყაჩაღობს და მძვინვარებს ჩვენგან ნაპატიები ნარუაშვილი. ინგირთან კვლავ იძარცვება ვაგონები და მატარებლები. სასწრაფოდ შესაცვლელია ზუგდიდის მილიციის უფროსი. რომან გვენცაძე გვთავაზობს მერაბ რაფავას. პროფესიონალია, რუსეთში ნამუშევარი. მართალია, ზვიად გამსახურდიას მმართველობის ბოლო პერიოდში მინისტრის მოადგილედ დააწინაურეს, მაგრამ რომანი ირწმუნება, რომ მისი ერთგულია. შევარდნაძე პარალელურად ნიშნავს ხაზალიას არარსებული რეგიონის მილიციის უფროსად, მინისტრის მოადგილის რანგში აყვანით. ეს ის ჟილბერტ ხაზალიაა, რომელსაც 1976-1977 წლებში ზვიად გამსახურდიას გამოძიების საქმე მიჰყავდა, ამავე დროს მოსკოვში რაღაც გამოჩენილ ჩეკისტურ სამუშაოებს ასრულებდა. ამის შესახებ ყველაფერი კარგად იცის შევარდნაძემ, თუმცა, როგორც მარადიული ჩეკისტი, საიდუმლოდ ინახავს ამ ინფორმაციას. დიდი სიმპათია აქვს მის მიმართ, მაგრამ რადგან მეგრელია, სკამის მაძიებელი, ამჟამად თითქმის უმუშევარი, ენთუზიაზმით მოკიდებს ხელს ახალ სამუშაოსო, მიმტკიცებს. შეიძლება ასეც არის, მაგრამ უმხარეო სამხარეო პოლიციის უფროსობა ზედმეტ ბიუროკრატულ პარალელიზმად მიმაჩნია.

თავისი სახლის კართან, მანქანაში ჩაჯდომისას ააფეთქეს თამაზ ყურაშვილი. აღარ არის ერთ-ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა, ჭეშმარიტი პატრიოტი, ქართველი ვაჟკაცი, საქართველოს ახალი ცხოვრებისათვის შინაგანად მომწიფებული პიროვნება, მონური ფსიქოლოგიის ანტიპოდი - ჩვენი ბუღა. მასთან ერთად აფეთქდა რემბო (სერგო შკუბელიანი). მან ვერ მოასწრო მანქანაში ჩაჯდომა და გადარჩა, თუმცა, მძიმედ არის დაშავებული. ეტყობა, ტერორით დაგვიწყეს ფარული ბრძოლა. ბევრი მტერიც ჰყავდა ცხონებულს. პირში მთქმელი, შეუპოვარი და სიმართლის მოყვარული კაცი იყო. არ მახსოვს, ზურგს უკან ვინმე ეგინებინოს. თუ ვინმე რამეს დააშავებდა, ანდა ისე არ მოიქცეოდა, როგორც ვაჟკაცს მოეთხოვება, დაუნდობლად გამოლანძღავდა, დაემუქრებოდა. როცა ეს ამბავი ჩემამდე მოაღწევდა და მე რაღაც რადიკალური ზომების მიღებას დავაპირებდი, მაშინ დამნაშავის მაგიერ დამიწყებდა პატიების თხოვნას, მის კეთილ თვისებებზე ან საქმეებზე მიმითითებდა, თუმცა, ამის შესახებ თვით დამნაშავემ არაფერი

იცოდა. ბუღა მას კვლავინდებურად უბღვერდა და უყვიროდა: „ვინც რამე ცუდს ჩაიდენს, მან თავისი გვარი გაიხსენოს. თუ არაკაცურად მოვიქცევი, მე მხედრიონელი კი არა, თამაზ ყურაშვილი ვარ“. 1989 წლის ბოლოს და 1990 წლის დასაწყისში თბილისში ცრუვაჟკაცობისა და ამბიციების მიზეზით ახალგაზრდებს შორის გახშირდა მკვლელობები. ქვეყანაში მორალურ-ძალისმიერი ავტორიტეტული ზემოქმედების ინსტიტუტი არ არსებობდა. მილიცია ხომ არასოდეს ყოფილა ცნობილი სამართლიანობითა და ჭეშმარიტი გულშემატკივრობით. პირიქით, ყველა წესიერი ადამიანი გაურბოდა მილიციასთან საქმის დაჭერას. ამიტომ ახლად დაარსებულ საზოგადოებას, „თბილისელს“, რომელსაც განაგებდა დავით (ციცკა) ციციშვილი - ჩემი თაობის გამორჩეული ინტელიგენტი და მამულიშვილი, გადაუწყვეტია, ეთხოვა ჩემთვის, რათა გამოვსულიყავი ტელევიზიით და გამომეთქვა ჩემი უარყოფითი აზრი ამ უბედურებასთან დაკავშირებით. მე, რასაკვირველია, არ დავთანხმდი, თუნდაც იმიტომ, რომ საჯაროდ ჭკუის დარიგება ჩემში ყოველთვის ირონიას იწვევდა. მე შევთავაზე უფრო ქმედითი რამ. საქართველოს მხედრიონი საღამოს ათიდან დილის ოთხ-ხუთ საათამდე ერთგვარ მოძრავ პატრულად იმორიგეებდა დედაქალაქში და ამ საქმეს თავისებურად მოუვლიდა. ასეც შევთანხმდით, მხოლოდ ერთი პირობით: ციცკას უნდა გაეფრთხილებინა ქალაქის მილიციის სამმართველო, რომ ჩვენი გამოსვლის შემდეგ მილიციას ქუჩაში აღარაფერი ესაქმებოდა, პასუხისმგებლობას ჩვენ ვკისრულობდით. პირველსავე დღეს, თითქოს განგებ მოგვიწყვესო, ერთი დიდი უბედურება შევაჩერეთ. სადგურის მოედანთან ორ ბანაკად გაყოფილი ახალგაზრდების 15-20-კაციანი ჯგუფი ის-ის იყო, დანებით შეიარაღებულები უნდა დარეოდნენ ერთმანეთს, რომ ჩვენ შუაში ჩავუდექით. ყველაზე აქტიურები ორივე მხრიდან გავკოჭეთ და თავ-თავიანთ სახლებში დავარიგეთ. მეორე დღეს კი ბუღამ შეარიგა ისინი. ორი კვირის განმავლობაში, ვიდრე ცხინვალში მოგვიწევდა წასვლა, მრავალი შემთხვევის პროფილაქტიკა შევძელით. არასოდეს დამავიწყდება ბუღას ნაამბობი, მისი საზოგადო მოღვაწეობის დაწყებითი პერიოდის ერთ-ერთი ეპიზოდის შესახებ.

ლეჩხუმში, ცაგერის მიდამოებში, ერთი მიტოვებული ეკლესია და არაოფიციალური სალოცავი ყოფილა. კომუნისტების დროს

ვინმე სასწაულად გადარჩენილი ან დიდ უბედურებას აცდენილი კაცი თუ მიაკითხავდა ამ ადგილს და მსხვერპლშეწირვის აქტს პატარა ქეიფსაც მიაყოლებდა. ეროვნული მოძრაობის აღორძინების ხანს კი, როცა ერმა ღვთისაკენ მორცხვად მიაპყრო პირი, ამაღლების დღესასწაულის აღსანიშნავად ამ ეკლესიაში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ბუღაც, ლეჩხუმის ეროვნული მოძრაობის აქტივისტი, თუმც ჯერ გამოუკვეთელი ლიდერი, რაღა თქმა უნდა, დასწრებია ამ დღეობას. მისი ცოდნა რიტუალების საკითხში ქრისტიანული ინტუიციის მეტს არაფერს ეყრდნობოდა. მიუხედავად ამისა, ბუღას მეინახეებისთვის ჭკუის სწავლება დაუწყია. მისი ასკეტიზმის თეორია არათუ გაიზიარა დღესასწაულზე საგანგებოდ მოსულმა მღვდელმა, არამედ, კარგა შეზარხოშებულს, მოქეიფეთათვის მხარი დაუჭერია და ბუღა შეურცხვენია. ამას მოჰყოლია ბუღას პროტესტი თავაშვებული ღრეობის თაობაზე. თავის მხრივ, მოქეიფეებს კარგა მაგრად დაუძუყნიათ ეს ვიღაც აბეზარი არამკითხე მოამბე. გვერდებდაზელილი და თავპირდასისხლიანებული იმ სიშორიდან ფეხით მარტო წამოსულა. მოგვიანებით, მთვარე უკვე კარგა ხნის ამოსული იყო, როცა შუა გზაში წამოსწევიან მთვრალი მოქეიფეები მღვდელთან ერთად და დიდსულოვნად შეუთავაზებიათ, სოფლამდე მანქანით ჩაგიყვანთო. ბუღას კატეგორიული უარი უთქვამს და ჩანჩალ-ჩანჩალით, საუკეთესო გრძნობებში შეურაცხყოფილი, შინ დაბრუნებულა. ეს იყო ხალასი იუმორით დეტალიზებული ნოველა, გამოკვეთილი ხასიათებით გაწყობილი გალარეა, მაღალი ირონიით გასხივოსნებული ფილოსოფიური ხედვა.

ერთხელ ვაჭრებმა ახალი, დაზეთილი იარაღი მოგვიტანეს და ორმოცი ათასი მანეთი მოგვთხოვეს. კაპიკი არ გვქონდა. ამ იარაღის ხელიდან გაშვებაც არ შეიძლებოდა. დავიტოვეთ და შევპირდით, რომ ორ დღეში მივცემდით ფულს. საგონებელში ჩავცვივდით - ასე უცებ სად გვეშოვა, ვისთვის გამოგვერთმია ან ვისგან გვესესხა.

ბუღა და ერთი მხედრიონელი, საკუთარი ინიციატივით, საბურთალოს მილიციას ეწვივნენ. ბუღა მტკიცე ნაბიჯით გაემართა მილიციის უფროსის კაბინეტისაკენ. უფროსი არ დახვდა. მაშინ პირველივე ოთახში შევიდა, თვალები დაიელამა, „მაუზერის“ ტარი მაგიდაზე დაარტყა და

ჩახლეჩილი ხმით დაიღრიალა: „ყველა გამომძიებელი და მექრთამე ოფიცერი აქ ამოვიდნენ! სასწრაფოდ!“ გაოგნებული თანამშრომლები დაფაცურდნენ, ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, შეშინებული კითხულობდნენ: „ვინ არის, რა უნდა?“ ბუღა მოკლედ შეკრეჭილ ოქროსფერ წვერს ატარებდა. მილიციელები ამით ვარაუდობდნენ, რომ ეს ტიპი ეროვნული მოძრაობის საგიჟეთიდან უნდა ყოფილიყო შემოჭრილი. როცა ყველა შეიკრიბა, ბუღამ ყველაზე დიდი ჩინოსანი ამოირჩია და ჯიქურ შეეკითხა: „შენა ხარ ამათი უფროსი?“ „არა!“ - უპასუხა გახარებულმა, ეგონა, შეტევა თავიდან აიცილა და თვალების ბლეტვით შეხედა ბუღას. „დახარე თვალები!“ უღრიალა ბუღამ და მუქარით ჩააშტერდა მზერაგაცუდებულ მსხვერპლს. „გაგიშვია ღიპი... სალაპარაკო დრო არა მაქვს. ხვალ 3 საათზე მოვალ და 40 ათასი მანეთი დამახვედრეთ. მე ბუღა ვარ! უუ! თქვე მექრთამეებო, ყველაფერს რომ ვირთხებივით სახლში ეზიდებით. ხვალ 3 საათზე“... გაიმეორა, მაგიდაზე მიგდებული „მაუზერი“ ქამარში გაირჭო და ოთახში ჩამოვარდნილი სამარისებური სიჩუმიდან გარეთ გამოვიდა. მეორე დღეს ჭადრაკის სასახლის ეზოში აჩერებს მანქანას. გადმოდის, მიღიმის, ხელაწეული შორიდან რაღაც პაკეტს აქნევს, თითქოს ზარს რეკდეს: „40 ათასი მილიციას შევაწერე!“ - მახარებს თვალებაჟუჟუნებული. მასთან მყოფი მხედრიონელი დეტალებს მიყვება. მე გავწყერი, ბუღა კი მოჭარბებული ტემპერამენტით მიმტკიცებს: „მაშ, მაგათ გასაკეთებელ საქმეს ჩვენ რომ ვაკეთებთ? მაგათ ქრთამები აიღონ და ხალხი ძარცვონ?“ გუნებაში მეცინება - ეს პირველი შემთხვევაა საბჭოთა კავშირში: მილიციას ფული „შეაწერეს“.

კრაზანების ბუდე

1992 წლის 23-24 ივნისია. გვიან ღამით დავიძინე შინ, იოსელიანის ქუჩაზე. მგონი უმიზეზოდ ვიღვიძებ. ასე ხშირად მემართება. თენდება. რაშია საქმე? კარზე ბრახუნი და ზარის ხმა ერთდროულად მესმის. მივდივარ, ვკითხულობ: „ვინა

ხარ?“ „მე ვარ, ბატონო ჯაბა, გელა ლანჩავა“, - აქოშინებული მპასუხობს გარედან. შემოდის აღელვებული. „კაცო, სულ აქოშინებული როგორ უნდა იყო?“ „ტელევიზიაში შეიჭრნენ, ჯერ ჩემს ნაწილს დაესხნენ თავს, ერთი ტანკი წაიყვანეს. ახლა ტელევიზიაში არიან და აცხადებენ თავიანთ ხელისუფლებას. რადიოთი მოუწოდებენ ხალხს, ტელევიზიასთან მოვიდნენ, მიტინგზე“. „ვინ არიან?“ - ერთბაშად აზრზე ვერ მოვდივარ. „ზვიადისტები, ზოგი ჩემი შინაგანი ჯარის ოფიცერიც გაჰყვა...“ სწრაფად ვიცვამ. „ახლა ისინი ყველანი ერთად არიან, ასე ჯობია, გამოვიჭერთ“, - თავისი ჭკუით მამხნევებს. ვრეკავ თამაზ-წესრიგასთან, ვგზავნი ჩემი დაცვის წევრს ირაკლი მხეიძესთან - საბურთალოს მილიციის უფროსთან, ყოფილ მხედრიონელთან, სასწრაფოდ მოვიდნენ ჩემთან. ყველაზე ახლოს ეგენი არიან. კოწია თავის მეგობრებს უხმობს. ნახევარ საათში 30 კაცამდე მზადა ვართ. ვახტანგ ბეგიაშვილს ვავალებ, სასწრაფოდ შეკრიბოს მხედრიონი. მერვე საათია. ჩვენი სახლის ირგვლივ ფორიაქია. მეზობლები შეშფოთებული მეკითხებიან: „რა არის? როგორ იქნება ჩვენი საქმე?“ ვსხდებით მანქანებში, ვიცინი და უდარდელად ხმამაღლა ვამბობ: „ნუ გეშინიათ, ტელევიზიაში „მარიანას“ სერიალი არ შეწყდება. დღეს საღამოს უყურებთ „მარიანას“.

საქმე კი სერიოზულად არის. გამოვედით თუ არა პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, ვხედავ: აქეთ-იქითა ქუჩებიდან, ასევე ქვემოდან - გმირთა მოედნიდან, მოდიან ზვიადისტების მცირე ჯგუფები, უმეტესობა ქალები. ჯერ კიდევ გაუბედავად მოძრაობენ, მოედანზე გამოსვლას ვერ ბედავენ, ელოდებიან დიდ მასას და მოვლენათა განვითარებას. ეტყობა, სურთ, შეიკრიბონ ტელევიზიის წინ, შეავსონ გმირთა მოედანიც და ამით გამოხატონ მხარდაჭერა „კანონიერი“ ხელისუფლებისადმი, როგორც ამას მოუწოდებენ რადიოთი. ეს უკვე მთელი მოსახლეობის სახელით გამართული მიტინგი იქნება. და თუ ეს მოხდა - ხალხით შეივსო მოედანი - მერე ვიღა იკითხავს, ვინ ზვიადისტია და ვინ არა. შენს დასახმარებლად მოსული ცნობისმოყვარეც „კანონიერი ხელისუფლების“ მომხრედ ჩაითვლება. ტელევიზიაში კი, ლანჩავას თქმით, 200-300 შეიარაღებული კაცია. სასწრაფოდ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება. მერე მომიტინგეებით სავსე მოედანს ვერაფერს მოუხერხებ - ხალხს ხომ არ დავერევით. ლანჩავასაგან მოტაცებული ტანკი ტელევიზიის წინ დგას.

ალბათ შესასვლელსა და მიმდებარე არემარეს დარაჯობს. თვით ლანჩავა თვალსა და ხელს შუა დამეკარგა. ასე იცის კრიტიკულ მომენტში - რადიკულიტი შეახსენებს ხოლმე თავს. ვიდრე მაშველი გამოჩნდება, ვყოფ ჩემს ოცდაათ კაცს, ტელევიზიის შენობას სამი მხრიდან მეჩხერ ალყას ვარტყამთ. კოწიას ოთხი კაცი - მათ შორის ალეკო ბოჭორიშვილის ვაჟი, დიმა - ტელევიზიის მოპირდაპირე მხარეს, თერთმეტსართულიანი სახლის სახურავზე აჰყავს. თამაზ-წესრიგა და ჩემი დაცვის ბიჭები კედელ-კედელ გადარბენებით უახლოვდებიან შენობას. ჩემთან რჩება თენგო ყუმბარმტყორცნით ხელში, თვალებში შემომცქერის და ანცად მიღიმის. „რეკე ტანკს!“ - ვეუბნები. გადარბის მოპირდაპირე მხარეს, ჩაჩოქება და - ბახ! - ტანკი აფეთქებულია. უკვე ავტომატის ჯერიც გაისმა. ირაკლის ვგზავნი თავის განყოფილებაში: იქ ვინც კი არის, გამორეკოს და ვარაზისხევში ჩააყენოს, სასწრაფოდ დაუკავშირდეს ქალაქის მილიციას. ზოოპარკის მხარე დასაკეტია. საპასუხო სროლა ტელევიზიიდან. ვხედავ, აქეთ-იქიდან მორბიან მხედრიონელები, შეიარაღებული თბილისელი ბიჭები. „აბა, ალყა!“ აქ უკვე ბრძანება აღარაა საჭირო: „ტელევიზია უნდა იყოს ალყაში, სანამ არ დაგვნებდებიან“, - ვუბარებ ვახო ბეგიაშვილს. ზვიადისტების ჯგუფები სროლის ატეხისთანავე გაიკრიფნენ, აღარსად ჩანან. მივდივარ იმელში. იქ მარტო ალეკო ბოჭორიშვილია: „ჩვენ გარდა დღეს სამსახურში არავინ გამოცხადებულა“, - მეუბნება ირონიული ღიმილით. ვრეკავ მინისტრთა საბჭოში. ყველას იქ მოუყრია თავი. ველაპარაკები შევარდნაძეს: „ყველაფერი რიგზეა, ისინი ალყაში მოვამწყვდიეთ, თქვენ მანდ რა გინდათ?“ „რა ვიცი, კიტოვანმა და რომან გვენცაძემ აქ წამომიყვანეს უსაფრთხოების მიზნით“, - უკმაყოფილო ტონით ბოდიშობს იგი. კიტოვანისგან რიგიანად ვერაფერს ვიგებ. ვიბარებ რომანს. „დაუყოვნებლივ მოვიდეს აქ და ერთად გავალთ ადგილზე!“ მილიცია უნდა ავამოქმედოთ და მისი იქ ყოფნა აუცილებელია. მართლაც, ათ წუთში რომანი ჩემთანაა. მიჯდება მანქანაში, გავდივართ. ვუახლოვდებით გმირთა მოედანს. ისმის კანონადა. ვარაზის ხევი გადაუკეტავს ქალაქის მილიციას. „ისინი აქეთ ვერ გამოვლენ, პირდაპირ კი მხედრიონელები არიან“, - გვიპატაკებს ვიღაც პოლკოვნიკი. გადავწყვიტეთ, ზემოდან დაგვევლო, გაგვეგო, რა მდგომარეობაა პოლიტექნიკური ინსტიტუტის და ხილიანის ქუჩის მხრიდან. გავდივართ ვაკე-

საბურთალოთი. პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან ისმის ჟრიამული. სროლა შეწყვეტილია. ტელევიზიის მთელი წინა არემარე შეიარაღებული ხალხითაა გადატენილი. ტელევიზიის კარიდან გამოჰყავთ ხელებაწეული ზვიადისტები. მოჩანან ჩვენი ბიჭები: „მავნე“, „ბაჭია“, ვიქტორა, „შიმშილა“. ხილიანის ქუჩის ბორდიურზე ზის გია ყარყარაშვილი. ტყვეობის შემდეგ აღარ მინახავს. გადავრბივარ მასთან, ვეხვევი, ვულოცავ ყველაფერს ერთად. საუბედუროდ, არის მსხვერპლი. დაღუპულია მხედრიონის ყოფილი იარაღის შემკეთებელი, უმძიმეს მდგომარეობაშია დიმა ბოჭორიშვილი, კოწიასთან, სხვენზე დაიჭრა. დაჭრილია აგრეთვე „იუზგარა“, ჩემი ძველი ამხანაგი ზურაბ ქარსელაძე. ამბობენ, რომ რევანშისტებსაც ჰყავთ ორიოდე დაჭრილი. დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მალე ჩაგვბარდნენ. ხალხი სტვენით ხვდება ხელებაწეულ ვალტერ შურღაიას - ამ აქციის მოთავეს, ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოს გამგებლად ახლად დანიშნულს. ტელევიზიის შენობა ოდნავ დაზიანდა. უმთავრესად ფანჯრები დაიმსხვრა. აპარატურა და ტექნიკა გადარჩა. რატომღაც დარბეულია მულტფილმების ოთახი, შესაძლოა, მისი არქივიც. „დღეს გადაცემები არ უნდა შეფერხდეს. აუცილებლივ გაუშვით „მარიანა“, - ვუბარებ ტელევიზიის ხელმძღვანელობას, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩანს ადგილზე.

დასავლეთში იგივე მდგომარეობაა. ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ სამეგრელოში წესრიგის დამყარება აუცილებელია, რომ ასაყვანია იქ მოქმედი ბანდიტური ჯგუფები, რომელთაც პოლიტიკური შეფერილობა აქვთ. ზუგდიდში, ჩხოროწყუში, წალენჯიხაში ჩვენი ხელისუფლება უნდა დავამყაროთ. ეს უმთავრესად ევალება საქართველოს მხედრიონს, რომელსაც დაეხმარება ქუთაისის „ომონი“ ელგუჯა ბუცხრიკიძის მეთაურობით. არ მესმის, რატომ ავალებენ მაინცდამაინც მხედრიონს. იგი ხომ ოფიციალურად არავინაა. ჯამაგირს არავინ უხდის და მადლობას არავინ ეუბნება. ვიკრიბებით კვლავ ჭადრაკის სასახლეში და გავდივართ დასავლეთისაკენ. ხობის სპორტულ კომპლექსში, სადაც ვჩერდებით, აღარც წყალია, აღარც კანალიზაცია. ოთახებიც დამწვარ-დანგრეული დაგვხვდა. გარდა იმისა, რომ გვაქვს კონსერვები და სხვა მრავალი პროდუქტი, თემურ გერგაია დღეში ერთხელ ცხელ საჭმელსაც

მოამზადებინებს ჩვენთვის. ვაყენებ წრიულ დაცვას. ტერიტორიის ვერც შიგნით და ვერც გარეთ უნებართვოდ ვერავინ გავა-შემოვა. ხობში სიწყნარე და ნორმალური ცხოვრებაა. ზუგდიდიდან საღამოობით გზაზე გამოდიან და ყაჩაღობენ. ატერორებენ ჩვენს მომხრეებს, უწვავენ სახლებს. ერთ დროს ყველა რეგიონულ რაზმზე ძლიერი იქაური მხედრიონი ახლა პარალიზებულია. მურმან გუჩუას და ძმებ მაკარიძეებს ვერაფერი უღონიათ. „ყველა ის, ვინც ღამით ურევს, დღისით ზის ბაღთან, ვითომც არაფერი. მილიციამ სუყველა იცის, ვინ არიან, მარა არ კიდებენ ხელს, - მეუბნება მურმანი, - იკრიბებიან ლოთი ქობალიას უბანში, წალენჯიხასა და ჩხოროწყუს შუა. მუხურის ყოფილ სამხედრო სანატორიუმში ბანაკი აქვთ“.

გადავწყვიტე, ზუგდიდში არ შევიდეთ. ჯერ ერთი, რომ ცაიშის ბანდაა გასაუვნებელი, მეორეც - ყოველგვარ პროვოკაციას თავს ვარიდებთ. აქედან ვიმოქმედებთ. დაზვერვამ გვიჩვენა, რომ ცაიშის ხიდთან და ზემოთ, ფერდობებზე, ამწეებზე მსროლელები ჰყავთ ჩასმული. ვერტმფრენით ჩამოგვაკითხა ჯიმი მაისურაძემ. გიგა არველაძემ, ზაზა ვეფხვაძემ და გია სვანაძემ ვერტმფრენით დასაზვერად შემოიფრინეს იქაურობა. ცაიშთან ცეცხლი გაუხსნეს. ტყვიებმა კაბინაშიც შეაღწია. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. ნარუაშვილის იქაური ოცი-ოცდაათ კაციანი ბანდა არავის ემორჩილება. ქობალიებთანაც უფრო მტრულად არის განწყობილი, ვიდრე მეგობრულად. ნარუაშვილი ჩვენ დაპატიმრებული გვყავდა. შევარდნაძემ გაუშვა, ვინაიდან ზუგდიდიდან გვაცნობეს, რომ ინგირში, მისი განთავისუფლების მოთხოვნით, ქალებმა რკინიგზა გადაკეტესო. „ნუ გავამწვავებთ სიტუაციას“, - თავი იმართლა მაშინ შევარდნაძემ. არადა, როგორც მერე გაირკვა, სულ რამდენიმე ქალი, ნარუაშვილის საყვარლის მოთავეობით, მისულა ინგირის სადგურის უფროსთან და მხოლოდ დამუქრებიან, თუ არ გაუშვებთ, გადავკეტავთო. ახლა ეს ბანდა უფრო გაზრდილა. ისინი არა მხოლოდ ძარცვავენ, კლავენ კიდეც მგზავრებს. უპირველესად ეს გზაა გასაწმენდი. გარიჟრაჟზე თავს დავესხით მათ ბუნაგს. გაიქცნენ, ამწეზე გადმოკიდებული მხოლოდ ერთი სნაიპერი ჩამოხსნეს ჩვენმა ბიჭებმა. ვფიქრობ, ერთი რაზმი ჩავაყენო მიტოვებულ ჩაის მეურნეობის შენობებში, ქალაქის შემოსასვლელში. არც ქალაქში ვიქნებით, თანაც, კონტროლს დავამყარებთ ტრასაზე.

იქ ხალხს ვტოვებ, პატარა ჯგუფით კი ზუგდიდში შევდივარ. ამას წინათ მილიციას თავს დასხმიან, დაუწვავთ სასტუმრო, ქაღალდკომბინატის ერთ-ერთი ლამაზი შენობა, აუფეთქებიათ გალის სატელევიზიო ანძა - ყველაზე ძლიერი დასავლეთ საქართველოში. გამოდის, რომ აფხაზეთში ჩვენი ტელევიზია ვეღარ იმუშავებს. მოდიან ჩემი ძველი ნაცნობები, ზუგდიდელები. საიდუმლოდ გავყავარ. შეშინებულებს აქეთ-იქით გაურბით თვალები. მიუხედავად იმისა, რომ მარტონი ვართ, ჩურჩულით მსაყვედურობენ: „რა გახდა ათი-თხუთმეტი კაცის დაჭერა, ხელად ყველაფერი შეიცვლება, ხალხი დაშინებულია, ხომ იცით, სადაც ძალას ხედავენ, იქით მიდიან. აღარავინ მუშაობს, საწარმოები დახურულია. მილიცია მაგათ ემსახურება. თუ რამე წამოგცდა, მიტინგზე მოღალატედ გამოგაცხადებენ, მერე სახლის დაწვით გემუქრებიან“. ვაიმედებ და ვპირდები, რომ ამ განუკითხაობას სულ მალე მოევლება. მხოლოდ საჭიროა ადგილობრივმა ადამიანებმა ხელში აიღონ ინიციატივა. ჩვენ რა, ჩამოვედით, დავამყარეთ რაღაც წესრიგი, წავედით, ცოტა ხანში კი ისევ ის ძალები იგდებენ ხელში სადავეებს. ვერ გამიგია, ნუთუ მართლა ზვიად გამსახურდიას მეგრელობის ფაქტორი მოქმედებს? „გამსახურდია აქ აღარაფერ შუაშია, აქ ახლა უბრალოდ შიში მუშაობს“... მეუბნებიან იმით გაღიზიანებულები, რომ ასეთ მარტივ რამეს ვერ ვხვდები და, ამდენად, ალბათ, არც არაფერი შეიცვლება.

პირისპირ ვხვდები მილიციის უფროსს, მერაბ რაფავას. ორმაგ თამაშს ეწევა. მე მაინც კიდევ იდეალისტად დავრჩი - მგონია, ადამიანს ჭეშმარიტებისაკენ თავისთავად მიუწევს გული, საკმარისია დაანახო იგი. მავიწყდება ბანალური სიბრძნე: სიმართლე, ვიდრე თავში მოხვდება, კუჭსა და გულზე გადის. ვუმტკიცებ, რომ გამსახურდიას პოლიტიკას გამარჯვება არ უწერია, რომ იგი დამღუპველია საქართველოსთვის, რომ შურღაია და ქობალიების პოლიტიკური დაპირისპირება სასაცილოა და ა. შ. თავს მიქნევს, მაგრამ, ეტყობა, სულ სხვა რამეზე ფიქრობს. მოდის ჟილბერტ ხაზალია, ჩვენგან გამოგზავნილი უფლებამოსილი მაღალი ჩინი. იგი უარმიო გენერალია - არავინ არაფრად აგდებს. ვხვდები პროკურორს, აქაურ „გამოსულ“ ბიჭებს, რომელთაც დიდი ხანია გავლენა დაუკარგავთ. თავს იმით იმართლებენ, რომ ეს შეიარაღებული ჯგუფები მეტწილად შედგენილი არიან სოფლელებითა და არა

ზუგდიდელებით, რომ მათი მთავარი ბუდე წალენჯიხაშია და არა აქ. ქუჩაში შავოსანი ქალები მელოდებიან. ვუსმენთ მათ გაზეპირებულ ფრაზებს. მახსენდება მხედრიონის შიმშილობა ოპერის ბაღში. იქ ვხედავდი ასეთი ტიპის მოგზავნილ ქალებს. ყველა მათგანი ასე იწყებდა: „მე ოთხი შვილის დედა ვარ“!.. როგორც კი რომელიმე ჩემს კარავში შემოჰყოფდა თავს, მაშინვე ვეკითხებოდი: „ოთხი შვილის დედა ხარ?“ - „ჰო, ჰო“, მიმოწმებდნენ გახარებულები და ენთუზიაზმით შეიმართებოდნენ. მე კი ამ დროს შევყვირებდი: „აბა, მოუსვით აქედან, მე თქვენ გაჩვენებთ ოთხ შვილს!“ გარბოდნენ წყევლა-კრულვით და გინებით. მხედრიონელები კი სიცილს დააყრიდნენ ხოლმე. ამათთან არც ხუთწუთიან და არც ერთთვიან საუბარს აზრი არა აქვს.

ვერტმფრენი პირდაპირ ქალაქის მთავარ მოედანზე ჯდება. ჯიმი და ჩვენი ბიჭიები ჩემს წასაყვანად არიან მოსულნი. კაბინიდან ხტებიან ამერიკულ საკამუფლაჟო ფორმებში გამოწყობილი, კბილებამდე შეიარაღებული, ორმეტრიანი მოხდენილი ვაჟკაცები: გია სვანაძე, ზაზა ვეფხვაძე, ძმები ვაშაკიძეები, ჩემი კოწია. შთამბეჭდავი სურათია. ერთგვარი რეკოგნოსცირული შემოფრენის შემდეგ კვლავ ხობში ვჩერდებით. ქუთაისიდან ბუცხრიკიძე მოდის 30-კაციან ჯგუფთან ერთად. ჩვენი აქ ასე მასიურად დაბანაკება უმნიშვნელო შედეგს მოიტანს, გაიქცევიან ტყეში, მიდი და სდიე ქარსა და ბოლს. გადავწყვიტე, ჩვენი შენაერთი სამ შტაბად გავყო. პირველი - გიგა არველაძის მეთაურობით დავტოვო ხობში, მეორე - ბუცხრიკიძის ომონი ავიყვანო ჩხოროწყუში, მესამე - ჩემი ხელმძღვანელობით დავაბანაკო წალენჯიხაში - კრაზანების ბუდეში. ორი კვირის წინათ ჩხოროწყუს მილიცია და მათ დასახმარებლად სენაკიდან წასული 40 თანამშრომელი განაიარაღეს. განაიარაღეს კი? ავტომატით შეიარაღებული ორმოცი მილიციელი! როგორ უნდა მომხდარიყო ეს?! ეჭვგარეშეა, მილიცია მათ ხელს უწყობს. ძირითადი შტაბი წალენჯიხაში დაიბანაკებს, სადაც მე დროებით ჩავსახლდები. იქიდან პატარ-პატარა ჯგუფებად დავიყოფით და გავწმენდთ ტყეებსა და სოფლებს. მთავარია, მათი მოთავეები დავაკავოთ - მერე ყველაფერი დალაგდება. იქნებ შერიგებაზეც წამოვიდნენ. თუ შტაბებს თავს დაესხმიან, ერთიმეორეს დავეხმარებით. ხობიდან ჩხოროწყუმდე, ყველაზე ბევრი, ორი საათი მოუნდება დასახმარებლად წასულებს, ასევე

- ჩხოროწყუდან წალენჯიხამდე და ზუგდიდის გავლით - ხობიდან წალენჯიხამდე. შიგადაშიგ თავისი ვერტმფრენით ჩამოფრინდება ხოლმე ჯიმი მაისურაძე. სენაკიდან ჩხოროწყუმდე ულამაზესი გზაა, ამავე დროს, მოხერხებული ჩასასაფრებლად - ბორცვები და გორაკები, ბუჩქები და ტყეები. გზაში საეჭვო ავტობუსი შემოგვეფეთა. მგზავრებს შორის ოთხი შეიარაღებულია, განვაიარაღებთ და ვგზავნით სენაკის მილიციაში იმის გასარკვევად, თუ ვინ არიან. ჩხოროწყუში მილიციას მივადექით. უფროსის მოადგილე აბაშიძე ჭკვიანი კაცი ჩანს. ჩივის, რომ მილიცია უიარაღოა. აქ ლოთი ქობალია თავისი ხალხით დათარეშობდა, ჩაის ფაბრიკებიდან გაჰქონდა ჩაი. ჩვენი მთავრობის მიერ გამოგზავნილი ფქვილი გზაში ჩაიგდო ხელში და მერე მოსახლეობას დაურიგა, თავისად გაასაღა. „ერთი კარგი რამ იყო - ქურდობა და ყაჩაღობა შეწყდა, - იცინის, - რომ არ შეცილებულიყვნენ“... ვთავსდებით ჩხოროწყუ I, ქალაქის შემოსასვლელში, პროფტექნიკური სასწავლებლის შენობაში. უსაფრთხო ადგილია, ირგვლივ გაშლილი ველი, დიდი მწვანე ეზო. ეზოში ცივი და გემრიელი წყალია. შიგვეა სასადილო. ოთახები ნათელია, არის ლეიბებიც. ვეწყობით. ალყური წესით ვაყენებ დაცვას. გვაქვს ერთი „ბეემპე“, ერთი „ბეერდეემი“, ერთიც ჩლახუნა „ბეტეერი“, სამეთაურო, რომელსაც საცეცხლე წერტილები არა აქვს, მაგრამ შესახედავად მაინც „ბეტეერია“. მოშორებით ვირჩევ საიდუმლო პოსტებს, ღამე იქ ჩასხდებიან ტყვიამფრქვევებით. ბიჭები ეწყობიან, ტანს იბანენ, საჭმელს ამზადებენ. ზაფხულის ცხელი დღეა. მივდივარ ქალაქის ცენტრში. ერთ-ერთ სახლთან ადგილობრივი საავადმყოფოს მთავარი ექიმი დგას. გამოსვლისთანავე მპატიჟებს სახლში. ინტელიგენტი, კეთილმოსურნე კაცი ჩანს. ვსაუბრობთ ეზოში, გამოაქვთ ჭაჭა, თხილი, სიმინდი. ამ სიცხეში ჭაჭა ვერაფერი შვილია, მაგრამ რას იზამ - პურმარილზე წიხლს ვერ ვუკრავ. ვლოცავ ოჯახს, ყურს ვუგდებ აქაურ ამბებს. როგორც ზუგდიდელი მასპინძელი, ესეც აქეთ-იქით იყურება და ჩუმად მეუბნება: „ხალხს ეშინია, თორემ 80 პროცენტი თქვენს მხარეს არის“.

მეორე დღისთვის ვნიშნავ შეხვედრას კლუბში. გავიგო, რა უჭირთ, რით შეიძლება დავეხმარო. მინდა ხალხმა დაინახოს, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ გამგებელ გოგუას, რომელიც ახლა რატომღაც თბილისში წასულა. შეკრებას მისი მოადგილე უკეთებს ორგანიზაციას. ვიგებ, რომ დიდი ხანია რაიონში პური

არ არის. ფოთში ვურეკავ ალექსანდრიას, ვავალებ, სასწრაფოდ გამოგზავნონ ფქვილი. ასევე ვუკავშირდები ასლანს ბათუმში, ვთხოვ საწვავს ჩხოროწყუსათვის. ისიც მპირდება. ხალხთან შეხვედრა მოულოდნელად თბილი და საინტერესო გამოდგა. ძალიან ცხელა. ვიხდი ჯავშანჟილეტს, მე თვითონ ვიძლევი პროვოკაციულ კითხვებს. ხალხი ოხუნჯობს, გულზე მოეშვათ, ეტყობა, კაციჭამიებს ელოდნენ. „ბატონო ჯაბა, - ამბობს ერთი ხნიერი კაცი, - ჩვენთან ახალშობილ ბიჭებს ხშირად ზვიადს ვარქმევდით, ახლა ჯაბაც ბევრი გაჩნდება“.

სენაკიდან ჩამოვიდა მახუტი კეკელია. მთელი სამხედრო ამუნიციით აღჭურვილა, ყელზე მედალიონივით „ლიმონკა“ ჩამოუკიდია. უკან დაბრუნებისას სენაკში გვეპატიჟება, მთხოვს, 50 კაცი ცოტა ხნით დავუტოვო. მოაქვთ ამბავი, რომ ჩვენს ირგვლივ ბანდები იკრიბებიან და თავდასხმას აპირებენ - ან დღეს, ან ხვალ, ღამით. თადარიგს ვიჭერ, ვაძლიერებ დაცვას. ერთი კილომეტრის რადიუსში საიდუმლო საფარი მაქვს. ვიბარებთ რამდენიმე რევანშისტს. ვაფრთხილებთ: თუ რაიმე დივერსია მოხდება, პასუხს ვაგებინებთ. მილიციაში გვიჩვენებენ იმ ყაჩაღების სურათებს, ვინც მათ თავს დაესხა. უმთავრესად სოფელ ლესიჭინიდან არიან. სენაკიდან პურმარილით ამოვიდნენ მანანა - შოთა კვირაიას მეუღლე, და თეა - მისი მეგობარი. ძალიან გამახარეს, ამ სიშორეს მომაკითხეს. ჩხოროწყუში თითქმის ნორმალური ვითარებაა. ჩვენს აქ გაჩერებას აზრი არა აქვს. დავტოვებ მხოლოდ ელგუჯას თავისი ხალხით, მილიციასთან ერთად იმუშაონ ამ ყაჩაღების დასაჭერად. თვითონაც ხომ მილიციელები არიან, იციან ოპერატიული მუშაობა.

მესამე დღეს გავდივართ წალენჯიხაში. კიდევ ერთხელ ვუბარებ ელგუჯა ბუცხრიკიძეს: „თუ თავდასხმას მოგიწყობენ, ერთ-ორ საათს გაძლებ. მერე ზემოდან ჩვენ ჩამოვალთ და ქვემოდან გიგა არველაძე ამოვა“. გზა ორღობეებით გადის შარაზე, სულ მაღლა და მაღლა მივიწევთ. ოდასახლებიდან, აივნებიდან იცქირებიან ბავშვები და ქალები, არიან ახალგაზრდა ვაჟებიც - უსაქმურად შექუჩულან დიდი ხეების ჩრდილში. დაურიგე იარაღი და ჩაწერე რომელიმე რაზმში. როგორც ამბობენ, ქობალიები ასეც აკეთებენ. ახალგაზრდისთვის ნებადართული იარაღი ცხოვრების ბატონ-პატრონის ილუზიას ქმნის, თორემ რა იციან ამ ახალგაზრდებმა, ვინ არის გამსახურდია ან ჯაბა, ვინ არის მათში მართალი?

ჯიმი მაისურაძესთან შეთანხმებული ვარ: დაზღვევისათვის ერთი „სუ-25“ და ერთი ვერტმფრენი გამოგვაცილებს. გზა ტყიანია. გვეუბნებიან, რომ აქ ბუდობენ შეიარაღებული ზვიადისტები. მუხური - ლამაზად მიხვეულ-მოხვეული სოფელი, წაბლის ხეებით დაჩრდილული, თავისი პატარა მდინარით, ხევითა და ხიდით. ბიჭები ამოწმებენ, გზა დანაღმული ხომ არ არის. მარცხნივ, გადასახვევში, ყოფილი სანატორიუმი ჯერ კიდევ კარგად გამოიყურება. დიდი სიამოვნებით დავრჩებოდით აქ, დავისვენებდით, მაგრამ ისეთი გამოჭერილი მდებარეობა აქვს, რამე რომ მოხდეს, ვეღარც გამოხვალ. ჩვენი ტექნიკა ისევ ის „ბეემპე“ და „ბეერდეემია“. ენუქის ნაშოვნი „ბეტეერი“ ბუტაფორიაა, საფარად თუ გამოდგება. წალენჯიხას მივუახლოვდით თუ არა, გაისმა მოტორების ხმა. ჯიმიმ ვერტმფრენით და „სუ-25“-ით ლამაზად ჩაიფრინა. ხალხი ცუდად არ გვხვდება. ბევრი მათგანი ჩხოროწყუს შეკრებას ესწრებოდა. ქალაქის ცენტრში ვჩერდებით. ჯიმიც პირდაპირ სასტუმროს წინ, მოედანზე სვამს ვერტმფრენს. სასტუმრო ხის შენობაა. ერთი ასანთი ეყოფა, აქ გაჩერება არ შეიძლება. არც პრეფექტურის შენობაა მოსახერხებელი - არავითარი ხედვითი სივრცე, გარშემორტყმულია სახლებით: ბაღთან გამოსული ადგილობრივი ხალხი გვირჩევს სტადიონთან მდებარე პროფტექნიკური სასწავლებლის შენობას. დაგვებედა ეს პროფტექნიკური. იქით მივდივართ. ჯიმისაც უნდა ნახოს ჩვენი ადგილსამყოფელი. ვერტმფრენში მეპატიჟება. გადავდივართ სტადიონზე. პირდაპირ - მეტრნახევრიანი ქვის გალავანი. შიგ სამი შენობაა. ორი საცხოვრებელი - ერთი შუაში, ერთიც განაპირას, გალავან-ღობესთან ახლოს. მესამე - ერთსართულიანი სასადილო - ზურგში დგას. გადაღმა, მარცხენა მხრიდან, მაღალი, ტიპური რვასართულიანი კორპუსებია. მარჯვნივ, პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს, კერძო ერთ-ორ სართულიანი ოდებია ჩამწკრივებული. რაღა თქმა უნდა, ყოველმხრივ მოხერხებული ადგილი არ არის, მაგრამ წინა ხედი სტადიონით საკმარისია კონტროლისათვის. მე და ჯიმი სტადიონზე მივდივართ. ბავშვები გუნდ-გუნდად გამოსულან სეირის საყურებლად. ერთი განმარტოებით ზის იქ, სადაც ჩვენ უნდა გავიაროთ, და შემოგვცქერის. ხუთი-ექვსი წლისა იქნება. „ჰა, რას იბღვირები, - ალერსიანად ვეუბნები, - გინდა, თოფი გასროლინო?“ „არა!“ „რატომ?“ „მეშინია“. „ეე, მე შენხელა შვილიშვილი მყავს. იმას არ ეშინია“. „ალბათ შენა

გგავს“. „შენ რა იცი, მე ვინა ვარ?“ „ვიცი, - ამბობს გაბუტულივით, - ჯაბა ხარ“.

ვხვდები ადგილობრივ ხელმძღვანელობას. ყოფილი პრეფექტი, ახლა გამგებელი, შახი ლატარია, მილიციი ს უფროსი - მოულოდელად ინტელიგენტური შესახედაობისა და ქცევის კაცი. რა ვიცი, ნორმალური ხალხი ჩანს. ვთანხმდებით, ორშაბათს მოვაწყოთ სახალხო შეკრება, გულღიად ვისაუბროთ. მილიციის უფროსი მაცნობს ოპერატიულ ვითარებას. შეიარაღებული რაზმები ხშირად შემოდიან ქალაქში, რამდენიმე დღეს რჩებიან, მერე ისევ გადიან. არის ყაჩაღობის შემთხვევები. უმთავრესად ჩაის ფაბრიკებს ატერორებენ - ფული ან ჩაი გააქვთ. უმეტესობა აქაური არ არის. ველარ გავიგე, ყველა ეგრე გაიძახის: „ჩვენს ქალაქში სულ ჩამოსულები არიანო“, - სპეციალურად ხომ არ კეთდება. წალენჯიხაში - ზუგდიდელები, ზუგდიდში - წალენჯიხელები, ჩხოროწყუში - ლესიჭინიდან და სხვა სოფლებიდან. ან იქნებ ადგილობრივები თავს იმართლებენ?! მილიციის უფროსი მარწმუნებს, რომ ამ რაზმებში ძალიან ბევრია თბილისელიც, სვანებიცა და გორელებიც კი. შეიძლება გამოქცეულები არიან. ახლა აქ მაგრად თარეშობს ბახიას ბანდა. ეს ის აბაშაში დაჭრილი ბახიაა. მოდის მოსახლეობა, ჩივიან ადგილობრივ ადმინისტრაციაზე, საყოფაცხოვრებო საკითხებზე, ზოგს პატიმარი ჰყავს შვილი ან მეუღლე. ჩვენი გეგმა ასეთია: შევადგინოთ ორი ოც-ოც კაციანი ჯგუფი და მიმდებარე სოფლებსა და ტყეებში ვსდიოთ მოთავეებს. გავაძლიეროთ ადგილობრივი მილიცია, შევავსოთ ახალი კადრებით და ხალხმა დაიწყოს ნორმალური ცხოვრება. ვინც შეგვირიგდება, ხელს არ ვახლებთ, ის კი არა, სახელმწიფო სამსახურშიც ჩავაყენებთ. მე, როგორც კი საქმე ფეხზე დადგება, ჩავალ თბილისში, გავიგებ, რა ხდება. ინიშნებიან მინისტრები, თანამდებობის პირები, იწყება პრივატიზაცია, რაღაც-რაღაც ქიმერული შეპირებებისა და ფარატინა გარანტიების საფუძველზე გაიცემა კრედიტები. რიგდება მიწები, მე კი აქ ყაჩაღებს დავდევ. და მაინც ვფიქრობ: ახლა აქ წყდება საქართველოს მთლიანობის და ერთიანობის ბედი. თუ რევანშისტებმა ხალხი საბოლოოდ დააშინეს და გაძლიერდნენ, დასავლეთი და შეიძლება აფხაზეთიც დიდი ხნით ჩამოსცილდეს საქართველოს. სახელმწიფო საბჭოში ჯდომით და ენის ტარტალით საქმე არ გაკეთდება. ჩვენი სახელმწიფო კურსი წმინდა წყლის პოპულიზმია. მრგვალი მაგიდის

ყოფილი წევრები ფარულ ოპოზიციაში არიან. იგრძნეს თუ არა უსაფრთხოება, ახლა დემოკრატიის უკიდურესი ფორმებით აპელირებენ. დემაგოგიაში მათ არც სხვა პარტიები ჩამორჩებიან. ეკონომიკაც პოპულისტური ღონისძიებებით მოძრაობს - ბორძიკ-ბორძიკით, ჩავარდნიდან ჩავარდნამდე. შევარდნაძეც ფეხის ხმასაა აყოლილი: აქაოდა, კომუნისტობა და რუსეთის აგენტობა არ დამწამონო, დაკავებულია საბჭოში ურთიერთობის მოგვარებით, პირადი მომხრეების ანგაჟირებით. კერძო ინიციატივის წახალისების საბაბით, სახელმწიფო საბჭოს წევრების გარანტიებით, კრედიტები გადის და გადის. მიწაც, პაატა კოღუაშვილის და სახალხო ფრონტის არასერიოზული პროექტით, ვის ურიგდება და ვინ იყენებს, არავინ იცის. შევარდნაძის ავტორიტეტის წყალობით, სხვა ქვეყნები ზედიზედ ცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

წალენჯიხაში დღისით პაპანაქება სიცხეა, საღამოს კი გრილა. ჩემთან მოდის ვიღაც რუსი ქალი. რაღაც მედლები ჰკიდია. ნასვამი უნდა იყოს. მაქებს და მადიდებს, რომ ეს ფაშისტი გამსახურდია მოაცილე ქვეყანასო. შემდეგ ჰყვება თავის მეზობლებზე, რომ იქ იარაღი ინახება და ზვიადისტები იკრიბებიან. სახლი, რომელზეც ის მიმითითებს, ჩვენს პირდაპირაა, მაღლივ კორპუსში. ბიჭებს ვუშვებ შესამოწმებლად. საეჭვო არაფერია. საღამოს ირგვლივ ვაყენებ დარაჯებს. იმ მაღლივი სახლის წინ ენუქის „ბეტეერია“ და ნოდარ კირკიტაძის ყვარლის მხედრიონის წევრები: მიხო ავაზაშვილი, ზაზა სეფაშვილი, ჭუკლია. რიგრიგობით მანქანაში დაიძინებენ. სტადიონზე - ამირან ბაბუნაშვილი და გულიძე - სვანებში გამორჩეული ვაჟკაცობითა და პატიოსნებით, 50 წელს გადაცილებული, ქვეყნის უანგარო სიყვარულით და სამართლიანობის გრძნობით გამსჭვალული ადამიანი. ჩვენ წინ, გალავანს იქით, „ბერდეემი“ - საბურთალოს მილიციის ინსპექტორის ონიკაურის ხელმძღვანელობით. „ბეემპე“ ხაშურის გვარდიის ეკიპაჟით არის დაკომპლექტებული და ისიც ქუჩაში დგას, შორიახლოს, სათვალთვალოდ. მთელი ყარაულის უფროსად ვნიშნავ ენუქი კიკაბიძეს. ერთად ვამოწმებთ პოსტებს. საოცრად თბილი კაცია, ბავშვივით მეალერსება. უკვე შუაღამეა. დაღლილი რომ არ ვიყო, გავუწევდი ამფსონობას, მასთან ერთად ვუდარაჯებდი. ძალიან უნდა, გული გამიხსნას, არ სურს ჩემთან დაცილება.

ნამდვილად აღდგა საქართველოს მხედრული სული. თუ არა, მაშ ამ უკვე ხანში შესულ ადამიანს, აწყობილი ოჯახის პატრონს, რა უნდა მხედრიონში?! ერეკლე ნარსავიძესა და ჯამბულ ცინდელიანს განაპირა შენობაში ვათავსებ - კონტროლს გაუწევენ პატარ-პატარა სახლების მიდამოს. ვბრუნდები ჩემს ოთახში და ვიძინებ. ბახ! ყველა ვიღვიძებთ. ჩემი ოთახის შემოსასვლელში ვარდება ყუმბარა. ოთახში შემოღწეული მხოლოდ შიშინებს - თავდასხმაა. „აბა! ბეზ პანიკი!“ - ვამბობ ყველას გასაგონად და სასწრაფოდ ვიცვამ ჯავშანჟილეტს. მაქანავებს, თავი მიბჟუის. მგონი კონტუზიაა! არაფრით არ შეიძლება, რომ შემატყონ. რომელი საათია? - ვკითხულობ. ზუსტად ხუთია! - მპასუხობს თამაზი. იწყება ავტომატთა და ტყვიამფრქვევთა შედლუხი, შიგადაშიგ ყუმბარების აფეთქება. ჩვენს ოთახს კიდევ ერთი ყუმბარა ხვდება. გავდივართ დერეფანში. ყველანი ფეხზე არიან, ფანჯრებში გადაყუდებული ავტომატებით. სვანების ოთახიდან სროლა გაისმა. ბორძიკით გავრბივარ იქით. „შეჩერდით! შეჩერდით! - ვღრიალებ, - ამ სიბნელეში ვის ესვრით? იქ, სახლებში ხომ მოსახლეობაა. ბრძანების გარეშე არც ერთი გასროლა! შევამოწმოთ პოსტები!“ - ვავალებ გია სვანაძეს. თავდამსხმელებს მიზანში ამოუღიათ ჩვენი შენობა, ეტყობა, ზეპირად იციან, ვინ სად არის განლაგებული. სანამ სიბნელეა, ხალხი უნდა გავიყვანო. „მოემზადეთ ყველა! სანამ არ დავბრუნდები, ადგილიდან არავინ დაიძრას!“ ვყვირი და ბანცალით გავდივარ ეზოში. კიდევ კარგი, სიბნელეა და ვერავინ მხედავს, რომ ვფარფატებ. გული მერევა. რაც ძალი და ღონე მაქვს, ვიკავებ. ირგვლივ ტყვიების კაკანი და წუილია, თითქოს ქარიშხალი ტრიალებს. ნოდარ კირკიტაძე, ქისტი რუსლანი, გია სვანაძე დაჭრილებს მოაჩოჩებენ. მაღლივი სახლის პოსტი აღარ არის - ოთხივე ჩაუცხრილავთ, ერთი - ავტობუსში, სამიც - მანქანაში. ის მხარე ვიღაცამ უნდა შეავსოს. ვგზავნი ჩემს კოწიას და მალხაზ კორძაიას, რომ იმ კუთხეს კონტროლი გაუწიონ, მტერი არ შემოიჭრას. შენობას ზედიზედ ხვდება ჭურვები, „ალაზნის“ შიშინა ჭურვები, ყუმბარმტყორცნის ყუმბარები. ხეები შრიალებენ ტყვიის ნიაღვარში. გალავანთან ვწვებით, შედარებით უსაფრთხო ადგილია. ყველა აქ უნდა გამოვიყვანო. უსაფრთხოების გარდა, ეს იქნება წრიული თავდაცვა. ეზო გადავჭერი, შენობაში ვბრუნდები. სვანების ოთახი ზურგშია და მოხერხებულია. იქ ვტოვებ ნუგზარს რამდენიმე კაცთან ერთად. „დაჭრილები

პირველ სართულზე! მანანამ მოუაროს“. ნოდარ კირკიტაძე დაშამათებულია - პირველივე შემოტევისას ოთხი კაცი მოუკლეს და ოთხი დაუჭრეს. „შენც დაჭრილებთან დარჩი! - ვეუბნები. - აბა, ყველანი გარეთ!“ ჯგროდ გამოდიან. „გალავანთან! იქ ჩაწექით და დაიკავეთ პოზიციები“. გადარბენის დროს ორი კაცი დაიჭრა: ხაშურის მხედრიონის უფროსი მურმანი და კიდევ ვიღაც. „სად არის ენუქი?“ - ვკითხულობ. „არ ჩანს“, - მპასუხობენ. თენდება. ალყაში ვართ. ჩვენ გარშემო ყველა სახლიდან ისვრიან. ჩვენი „ბერდეემი“ დუმს. არ ვიცი, ონიკაური მოკლეს თუ რაშია საქმე. „ბეემპე“ ხმაურითა და უშნო მანევრით შემოდის ეზოში, სადარაჯო ჯიხურს ედება და ადგილიდან გადააქვს. რიჟა გვარდიელს გადმოჰყავს დაჭრილი მეტყვიამფრქვევე. „ბპმ“-ც დაზიანებულია - ყუმბარმტყორცნის ყუმბარა მოხვედრია.

„გახსენით ცეცხლი, დაუმიზნეთ საცეცხლე წერტილებს“, - ვბრძანებ. გათენებულია. განაპირა შენობიდან, სადაც ერეკლე და ჯამბული არიან, გააფთრებული კაკანი ისმის. გავრბივარ იქით, მიმყავს რამდენიმე კაცი; ვახო ბეგიაშვილიც ჩემთანაა. ერეკლე და ჯამბული თავისი ბიჭებით მეორე სართულზე განლაგებულან. კარგი პოზიცია უკავიათ. „იერიში მოვიგერიეთ, მაგრად იბრძვიან. რას იზამ, ეგენიც ხომ ქართველები არიან“, - რაღაც სევდიანი და ამაყი ღიმილით ამბობს ერეკლე. „გამაგრდით, - ვეუბნები, - მალე ჩვენები ამოვლენ ხობიდან და ჩხოროწყუდან, რვა საათზე კი ჯიმი მოფრინდება“, - ვამხნევებ ბიჭებს. ჯიმი მართლაც შემპირდა, რვა საათზე მოვალო, მაგრამ მე გადავუვადე: „რვაზე არ გინდა, თერთმეტზე მოდი“. ახლა ვნანობ, რატომ ვუთხარი. და მაინც იმედი მაქვს. მან არაფერი მიპასუხა. შეიძლება მაინც რვაზე მოვიდეს, მით უმეტეს, თუ გაიგო ჩვენი ამბავი. აქედან არავისთან არავითარი კავშირი არა გვაქვს. ქალაქიდან თუ ვინმემ შეატყობინა... ნუთუ ეს გრუხუნი არ ისმის ჩხოროწყუში?! სროლა ერთი წუთითაც არ წყდება. ისვრიან ყველაფერს - კარაბინებს, ავტომატებს, ტყვიამფრქვევს, ყუმბარმტყორცნს, ნაღმმტყორცნებს, „ალაზანს“, რომლის ჭურვები უმეტესად არ სკდება და ეზოში მუგუზალივით ანთია. ერთი-ორმა „ლიმონკამაც“ შემოაღწია, ესე იგი, სულ ახლოს არიან. შიგადაშიგ ისმის მათი მგლური ყმუილი. ეს პაროლია, ამბობენ ბიჭები, ყვირიან, დაგვნებდითო. ჩვენი მანქანები ეზოში იწვიან. სამეთაურო მანქანაში ბლომად ტყვია-წამალია დარჩენილი, ჰა და ჰა, აფეთქდება. მგონი

ვალერაა, ლაგოდეხელი, და ჩემი თამაზი, სწრაფად შეცვივდნენ მანქანაში, გადმოყარეს ცინკები და ყუთები, ძლივს მოასწრეს გადმოხტომა და მანქანა აფეთქდა.

ენუქი მოუკლავთ. აი, რატომ იყო წუხელ ასეთი სენტიმენტალური ეს ტანჯვა-წამებაში გამობრძმედილი კაცი. მოკლე გადარბენებით მივაღწიე ჩემს ადგილს გალავნის ცენტრში. აქ ლუხუმაა, გაგრის მხედრიონიდან, დაჭრილი მურმანი, ხაშურის მხედრიონის უფროსი. მანუგეშებს: „მუცელში გვერდულად გაიარა ტყვიამ. მანანამ შემიხვია. ყველაფერი რიგზეა“. მანანაც აქ წევს, თავისი ჩანთით, გამოძახებას ელოდება. ლუხუმა მუშაობს. როგორც კი წამოვდგები და დახმარებას მოვინდომებ, მთხოვს: „კარგი პოზიცია მაქვს, მე მოვუვლი“. ტყვიები ცელავენ ჩვენს თავზე გადმოფარებულ ხეების ფოთლებს, თრთოლვით ცვივიან და გვეფინებიან, როგორც ციური მანანა. მალხაზი და კოწია დაჭაობებულ მიწაზე, კუთხეში ჩაჩოქილან. აქ გალავანი დაბალია, ერთი მეტრიც არ იქნება. მაგრად მუშაობენ. ჯიმი იგვიანებს, ესე იგი, თერთმეტზე მოვა. ახლა ცხრა იქნება. ჩემს თავს ვსაყვედურობ, რატომ ვუთხარი თერთმეტი, ჰაერი მაინც იმედია ბიჭებისთვის. გაფუჭებული ტელეფონივით გადავცემ ყველას, გალავანთან ჩაწოლილ მთელ მწკრივს: „მალე ჯიმი გამოჩნდება. მერე ჩვენებიც ამოვლენ. არც ერთი უმისამართო გასროლა!“ მანანა მკლავში იჭრება. შეშფოთებული ვარ, მაინც ქალია, ვაითუ ისტერიკაში ჩავარდეს. თითქოს მიმიხვდაო, ღიმილით მეუბნება: „ბეჭთან გაიარა, ძვალს არ მოხვედრია, არაფერია“. თავზე ალერსიანად ვუსვამ ხელს, გვერდით ვიწვენ. ერთი წუთი არ არის შესვენება, ან საიდან აქვთ ამდენი ტყვია-წამალი. სტადიონიდან სროლა აღარ ისმის. იქ ამირანი და გულიძე იყვნენ. ალბათ ორივე მოკლეს. ჩემი ვარაუდით, თავდამსხმელები სამასზე მეტნი არიან. ირგვლივ ყველა სახლიდან ისვრიან. როდის მოგვეპარნენ, არავინ შეგვატყობინა. ყველამ გაგვწირა. ვეძახი რიჟას - „ბეემპეს“ მეთაურს: „იქნებ როგორმე გახვიდე, ერთი მიფანტო და ისევ შემობრუნდე, თორემ ძალიან ახლოს მოიჭრნენ“. ტექნიკურ მიზეზებს მისახელებს. ვატყობ, იტყუება. აყოლა არ ღირს, მაინც ვერაფერს გააკეთებს - წამხდარია. ვითომ ვიჯერებ. ზურგი მადარდებს. რაღაც იქიდან არ ისმის სროლა. გადავდივარ შენობაში. ბიჭები კარგად სხედან. „ერთხელ წამოვიდნენ და ტყვიამფრქვევით გავფანტეთ“, - ამბობს ნუგზარი. ახლა კი გია

სვანაძე და თამაზ-წესრიგა შევიდნენ დაჭრილის გამოსაყვანად. ველოდებით. როგორც გამოჩნდებიან, „პრიკრიტიეს“ გავუკეთებთ. სოსო ავღანელს სახელდახელო ფიტული შეუხორხლია, პიჯაკი მოუხურებია, ქუდი ჩამოუფხატავს, პირის ადგილას ანთებული სიგარეტი დაუმაგრებია, ფანჯარაში გადმოუკიდებია - სნაიპერის ყურადღების მისაპყრობად. თვითონ კი ელოდება, აღმოაჩინოს, საიდან ესვრიან. მერე თვითონ მიუშვებს. ამაში გია იმერლიშვილი ეხმარება, ყვარლის მხედრიონიდან. გამოსასვლელ კართან ცხინვალის მხედრიონის ბიჭები დგანან. მათ უფროსს ფერი წასვლია. პირველად არიან ჩვენთან. „აქ იყავით, შენობაში, გარეთ არ გახვიდეთ“, - ამათი სიფათები გვინდა?! საპირფარეშოში ვახტანგ ბეგიაშვილი მხვდება. „ბატონო ჯაბა, ომს რა ფსმა სცოდნია!“ - მეუბნება სიცილით. ვიდრე ჩემს ადგილამდე მივაღწევდე, შუა ეზოში ორი ნაღმმტყორცნის ჭურვი აფეთქდა. ერთმაც შენობის მეორე სართული გამოანგრია. თავი მიბჟუის და სმენა დაქვეითებული მაქვს. რაღაც ყიჟინა უნდა იყოს. ვიძაბები. ვაყურადებ. რა ხდება? „ჯიმი, ჯიმი, ჯიმი!“ მესმის დაგუბებული ყვირილი. „ჯიმი მოფრინდა!“ - მახარა მანანამ. ჩვენი ხეებიდან არაფერი არ ჩანს, გვაყრუებს ბომბების მიყოლებული აფეთქება. და უცებ პანიკური წამოძახილები: „ჩვენ გვირტყამს, ჩვენ გვირტყამს. რას შვრება, ბატონო ჯაბა!“ მართლაც, შენობას ცეცხლი ასდის. „გაჩუმდით!“ - ვყვირი, რაც ძალი და ღონე მაქვს, ჯიმის ვუყვირი, რამ გამოაშტერა. „ჩვენ არა, ეს ნამსხვრევებია! „რა ნამსხვრევებია, პირდაპირ ეზოში ჩამოაგდო“, - მიმტკიცებს ვიღაც. „სისულელეს ნუ ლაპარაკობ! - მინდა გავფანტო შთაბეჭდილება, - ეს ნამსხვრევებია“... ფეხზე ვდგები. თვითმფრინავი აღარ ჩანს. სახლებიდან, საფრებიდან გამოდიან და ჩვენკენ მორბიან ავტომატმომარჯვებული თავდამსხმელები, გვესვრიან და რაღაცას ყვირიან. მურმანი მიმეორებს: „შევარდნაძემ გაყიდა, შევარდნაძემ გაწირა, დაგვნებდით, დაგვნებდით!“. აკაკანდა ჩვენი ტყვიამფრქვევი, ლუხუმა მჭიდებს მჭიდებზე ცლის. ტალახში ამოთხვრილი მორბის ჩემი კოწია: „ტყვია-წამალი, მჭიდები!“ გულზე მეშვება - ცოცხალია. ჩემს მჭიდებს ვაძლევ. ჩვენებიდან ვიღაც ისვრის „ლიმონკებს“, ჩემი დაცვის წევრი მიშკა - ყუმბარმტყორცნს, ერეკლესა და ჯამბულის მხრიდანაც ძლიერი ცეცხლის ხმა ისმის. „გარბიან! გარბიან!“ ამოისუნთქეს ბიჭებმა. ვხედავ, მართლაც გარბიან, რამდენიმემ წაიფორხილა, რამდენიმე შუა გზაში დარჩა. მოვიგერიეთ, მადლობა ღმერთს! ეს ყველაზე

კრიტიკული მომენტი გადავლახეთ. ბიჭები გაგულისებული არიან, ცოტა მეტნი რომ ვიყოთ, იერიშზე გადავიდოდით, მაგრამ ორმოცდაათი კაცით ვერაფერს გავაწყობთ. ცოტა ხანს შესვენებაა. ტყვია-წამალი გვითავდება. ვერ გამიგია, რა იყო ეს ჯიმის ეპიზოდი?.. არ ვიცი, საიდან იგებენ ჩვენები, მეუბნებიან: „ჯემალ ქობალია დაიჭრა, მაგათი უფროსი“. „რომელი საათია?“ - ვკითხულობ. პირველს რაღაც წუთები აკლია“, - მპასუხობენ. კარგა დრო გასულა, ნუთუ ჩხოროწყუსა და ხობში ვერ გაიგეს? თავდასხმიდან თითქმის რვა საათი გავიდა. იქნებ მათაც დაესხნენ? თავიდან ვიცილებ ასეთი რამის დაშვებას. აქ ეგენი, სულ ცოტა, 300-400 კაცი იქნებიან. ამდენივე დასჭირდებოდათ ხობსა და ჩხოროწყუში. სად ჰყავთ ამდენი ხალხი, გამორიცხულია - ვირწმუნებ თავს. ერთ-ერთი მხედრიონელი გვერდით მიჩოჩდება: „ბატონო ჯაბა, ახლა ერთადერთი გამოსავალია: სათითაოდ დავიშალოთ და გავიქცეთ, ზოგი ტყეში, ზოგი სად, ან ჩავბარდეთ“. „მეორედ არ გავიგო ეს სისულელე, თორემ“... მერე ვუყვავებ: „ბიჭო, ხომ ხედავ, გაიქცნენ, მალე ჩვენებიც მოგვეშველებიან“. „ტყვია-წამალი გაგვითავდა“, - ჩურჩულებს უკვე მორჩილად შეგუებული. „გვეყოფა! საცაა გიგა მოგვეშველება“. კანტიკუნტად მაინც ისვრიან. ჩვენებიც პასუხობენ. ახლა, ვიდრე გაფანტულები თავიანთ ადგილებს დაიკავებენ და ახალ იერიშს მოამზადებენ, დასავლელია ყველა, ბიჭები უნდა გავამხნევო. უპირველესად გადავდივარ მთავარ შენობაში. ნოდარ კირკიტაძე და რუსლან ქისტი დაჭრილებს უვლიან. ცხინვალელები, როგორც დავტოვე შემოსასვლელთან, ეგრევე დგანან, გაქვავებულებივით. ნუგზარის სვანებს ყველა ფანჯარაში ჩასმული ჰყავთ ორ-ორი კაცი. ზურგი მაგრად არის. „ტყვია-წამალი გვითავდება“ - მეუბნებიან. „იქნება, იქნება“, - ვეუბნები დაჯერებული ხმით, თან ვფიქრობ, საიდან, ცხინვალელებს ავხსნა?.. ჯერ ადრეა... არაფერი გამოიწვიოს. თუ კიდევ იქნება შეტევა, ესენი თვითონ დათმობენ მჭიდებს და იარაღსაც. ვნახოთ. ეზოში ისევ კანონადაა, ისევ იმათი ნაღმმტყორცნი მუშაობს. გადავრბივარ ერეკლესთან და ჯამბულთან. იმედიანად არიან. კართან ენუქი და გულიძე დაუსვენებიათ. ვეამბორები ერთსაც და მეორესაც: „გმადლობთ, ბიჭებო! ჩემი თაობისანი ხართ, ჩემო მეგობრებო, გმადლობთ“. ერეკლე აპირებს, პატარა რაზმი შეკრას და მოპირდაპირე სახლებიდან გამოყაროს თავდამსხმელები. „მზად იყავი, - ვეუბნები, - კონტრშეტევისთვის აჯობებს ასე, თუ კიდევ წამოვლენ იერიშზე, ჯერ არ გვინდა, მარჯვენა

ფლანგი ვერ აგიბამთ მხარს. აქ მოკლე მანძილია. იქ მოშორებით არიან, არ მიგვიკარებენ“. ჩემს ადგილს ვუბრუნდები. მანანა კვნესის. „რაშია საქმე?“ - ვეკითხები. „მტკივა, ბატონო ჯაბა, მტკივა“. „ცოტაც მოითმინე, მალე ჩვენები გამოჩნდებიან“. გამოჩნდებიან კი?.. მერე? არ მინდა ამაზე ვიფიქრო, ვითარება თვითონ გვიკარნახებს - რა და როგორ... ჩემი ლოგინის ქვეშ ორი ცინკი 5-45 ავტომატის ტყვიები უნდა იყოს. გია სვანაძეს ვგზავნი და ვავალებ, დაურიგოს, ვისაც არა აქვს. ლუხუმა ისვრის. „ნუ ისვრი, ბიჭო, ტყუილუბრალოდ“. „არა, აგერ სტადიონიდან ძვრებოდა“, - მეუბნება. მეყსეულად ისევ ტყვიების ქარიშხალი აწიწინდა. რაღაც მოტორების ხმაური გაისმის, ყუმბარმტყორცნების ბათქი და ყიჟინა: „ჩვენები, ზორო, ზორო! ელგუჯა! ჩხოროწყუდან მოგვეშველნენ“. „რაიმე შეცდომა ხომ არ არის?“ - ვეუბნები ჩემთან მოვარდნილ გახარებულ ბიჭებს. „ეგეთი მოღუნული ფეხები საქართველოში მეტს არავის აქვს - ზოროა, ზორო!“ სიცილით მეუბნება ვახო ბეგიაშვილი. „ჰო, ჰო, მაგ ბავშვობაში დიდ ჯიხაიშში კასრზე იღებდა „ზაგარს“, - ანგლობს ვიღაცა. ყველა წამოიშალა, შევერიეთ მოსულებს, მართლაც ჩხოროწყუს რაზმია - ელგუჯა ბუცხრიკიძის ომონი. მოწინააღმდეგე გარბის. სახლებიდან აღარ ისვრიან. „ნუღა გაეკიდებით, არ გვინდა ზედმეტი მსხვერპლი“, - არ ვუშვებ მოხალისეებს. მოდის ელგუჯა. ვეხვევი. „გვიან გავიგეთ“, - მეუბნება. ახლა სამის ნახევარია. ბიჭები გასავათებული არიან. თითქმის ათი საათია იბრძვიან. ერეკლეს ვავალებ, ბუცხრიკიძის ხალხთან ერთად მიმდებარე სახლები გაჩხრიკონ. ამ დროს კვლავ რაღაც მხიარული ხმაურია. გიგა, გიგა არველაძე - ხობის რაზმიც შემოვიდა ზუგდიდიდან. ცოტა ხანში ვერტმფრენით თბილისიდანაც ჩამოვიდნენ მხედრიონელები: ზაზა ვეფხვაძე, დათო მამულაშვილი, ნიკო და გიო რურუები, კახეთიდან გიო შიოშვილი თავისი რაზმით, სამტრედიიდან ვაშაკიძეები და სხვები. ჩამოვიდა ჩემი ნათლული ლაშა თაბუკაშვილიც. ერთი სიტყვით, არის აჟიოტაჟი. მოლოცვით მოდის ადგილობრივი ხელისუფლებაც: შახი ლატარია, მილიციის უფროსი. ჯობდა, ცოტა ადრე გამოჩენილიყვნენ. გახარებული ვარ, რომ სტადიონზე ამირანიც ცოცხალი გადარჩა: საშინელ სურათს წავაწყდით - ჩვენს დაღუპულ კახელებს, რომელთა გამოყვანაც ბრძოლის დროს ვერ შევძელით, ღორები მისდგომიან და თქვლეფენ. ბიჭები გიჟებს ჰგვანან, დახოცეს საზიზღარი ცხოველები.

ჩვენი ბინა ჯერ კიდევ იწვის. ჩემი ოთახი ერთფანჯრიანი იყო, ახლა ილუმინატორებივით გამოღებულია სამ ადგილას. მოდის შეშინებული მოსახლეობა, რეპრესიების ეშინიათ. ვაწყნარებ. ორიოდე სახლი მოჰყვა დაბომბვაში, ერთი - მაინცდამაინც ჩვენი გულშემატკივრის - კვარაცხელიასი. ნაომარ ბიჭებს აღარაფრის თავი არა აქვთ, მიყრილ-მოყრილან. ზოგს სძინავს, ზოგიც ეიფორიაში ნებივრობს. ჩემს თამაზს (წესრიგას) ვავალებ, კონტროლი გაუწიოს კომენდატურას, რომელიც სახელდახელოდ შევქმენით მილიციის შენობაში. მე, გამოფიტული და თავდაბუჟებული, ზრდილობიანი სახაზინო ღიმილით დავდივარ. ისეთი სახე მაქვს, თითქოს მესმის, რასაც მიყვებიან. დღეს, რასაკვირველია, თავდასხმა გამორიცხულია, მაგრამ ცალკეული დივერსია ან ტერორისტული აქტი მოსალოდნელია. ახლად ჩამოსულებს ვრთავ საყარაულო საქმის ორგანიზებაში. მთელი ქალაქი უნდა გაკონტროლდეს. მოდის დარცხვენილი ჯიმი. „ჩემთან ისხდნენ თქვენი ბიჭები, იმათ შემიყვანეს შეცდომაში. ზემოდან ისე ჩანდა, თითქოს ყველაფერი დამთავრებული იყო. თქვენ აყვანილი გვეგონეთ. ხომ არავინ დაშავდა?“ - მონანიებას ვუადვილებ: „არავინ დაშავებულა, ერთს ხელი გაეკაწრა“. ელგუჯა ფეხშია დაჭრილი. ქუთაისში ვუშვებ. ომონელებიც მიდიან. გავდივარ. მორბის თამაზ-წესრიგა, ჩამოსულებიდან მოროდიორები დაუკავებია. მიტოვებული სახლებიდან ავეჯი გამოჰქონდათო. არ მინდა მოიწამლოს ეს ამაღლებული განწყობა: „პანღურით გაყარეთ!“

დრომ ისე გაირბინა, მგონია, ეს ყველაფერი ათ-თხუთმეტ წუთს გრძელდებოდა და არა ათი-თხუთმეტი საათი. უკვე ბნელდება. ჩამოსული ხალხი გასაცილებელია, დაჭრილები - გადასაყვანი. შესამოწმებელი და ამოსარჩევია პოსტები. ჩვენგან რვა კაცი დაიღუპა, ორიც ცაიშთან მოკლეს. 14 დაჭრილია. ქალაქის საავადმყოფოში მოწინააღმდეგის შვიდი ცხედარია. ერთი ადგილობრივია - წალენჯიხელი. შუაკაცები, ნათესავები ითხოვენ გვამებს, პანაშვიდების, დაკრძალვის, ჭირისუფლების და ნათესავების მისვლა-მოსვლის უფლებას. „რაზეა ლაპარაკი. ეგღა გვაკლია, სატირალი ავკრძალოთ. ეგ მაინც ვიცით კარგად“, - მწარედ მეღიმება.

ხვალ, როგორც დაგეგმილი გვქონდა, მოსახლეობას უნდა შევხვდეთ“, - ვეუბნები შახი ლატარიას. სახლებიდან, საიდანაც გვესროდნენ, ბიჭებს ალაფი მოაქვთ. „დშკ“ -ს ტყვიამფრქვევი ლენტებით, ავტომატები, ტყვია-წამალი, ეკლესიის ეზოდან -

ნაღმმტყორცნი ყუმბარებითურთ. პირველივე დღეს მეუბნებოდნენ, აქაური მღვდელი პირწავარდნილი ზვიადისტიაო. რა უნდა მექნა?

დაცარიელებულ და დარბეულ სახლებში აქა-იქ ბრუნდება მოსახლეობა. ჰყვებიან: თურმე შუაღამის ორ-სამ საათზე ჩვენ ირგვლივ განლაგებულ ყველა სახლსა და მოხერხებულ ბინაში შეჭრილან თავდამსხმელები. დილის 5-6 საათამდე არსად უშვებდნენ. შემდეგ, როცა ბრძოლა დაიწყო, მათი ყარაულობის თავი აღარავის ჰქონდა და გაიხიზნენ, ვინ სად და ვინ სად. ერთ-ერთი სახლის ეზოში ბიჭებმა ნახეს ბენზინით გავსებული სახანძრო მანქანა. როგორც ამბობენ, ჩაფიქრებული იყო ჩვენი დაწვა - მოგვიახლოვდებოდნენ თუ არა მისაწვდომ მანძილზე, შლანგით გადაგვასხამდნენ ბენზინს და ცეცხლს წაგვიკიდებდნენ. ეს „იდეა“ ალბათ ჯემალ ქობალიას ეკუთვნოდა. მერე, როცა შემოვირიგეთ და ოჩამჩირეში ერთად ვიბრძოდით აფხაზების წინააღმდეგ, ასეთივე ხერხის გამოყენება შემოგვთავაზა. ჩვენმა ბიჭებმა მაშინ ბევრი იცინეს, ასე გინდოდათ ხომ წალენჯიხაში ჩვენი დაწვაო.

ქალაქის დაცვას ბევრი ხალხი სჭირდება. ირგვლივ ტყეები და უამრავი შემოსასვლელია. ჩვენ 70-80 კაცი ვიყავით. დავრჩით 50. მართალია, შემოგვიერთდნენ, მაგრამ ჩხოროწყუს რაზმი გავუშვი. გიგასაც 80 კაცზე მეტი არ ამოუყვანია. მარტო პოსტებს, სულ ცოტა, ასი მეომარი სჭირდება. ხვალ კი ჩამოვლენ მხედრიონელები და შინაგანი ჯარიც, მაგრამ დღეს ისევ ჩვენს დაღლილ-დაქანცულ ბიჭებს მოუხდებათ მიხედონ საქმეს. თამაზ-წესრიგამ, ამირანმა და დათო მამულაშვილმა დაცვა ითავეს. მთელი ქალაქი შეკრულია. ურთიერთთან რადიოკავშირი გვაქვს. ღამის ორ საათზე ვაწყობთ შემოვლას. ყველა ფხიზლობს. პროფტექნიკუმის შენობის ზურგში უამრავი ფიცრულია, პატარ-პატარა სახლის ეზოებით გადიხარ მიმდებარე ქუჩაბანდებში - ეს არემარე დაუცველია. დათო მამულაშვილს და თამაზს ვგზავნი შტაბში და ვავალებ, მონახონ სამი კაცი და აქ დააყენონ. მანამდე მე ვუდარაჯებ. ნამგალა მთვარე კუკუმალულობას თამაშობს. ჩაყვინთავს და დააბნელებს აქაურობას, მერე გამოცურდება, შუქჩრდილებად გამოაშუქებს და იქვე სიფრიფანა ღრუბლებს მიეფარება. „დაურტყი კონტრაჟური!“ - მახსენდება მარჯანიშვილის თეატრში, რეპეტიციებისას, გამნათებელ კაკოს ბრძანება ელექტრომექანიკოსებისადმი: „მოუმატე, მოუმატე, დაურტყი

კონტრაჟური!“ განწყობის შესაქმნელ განათებას ეძებენ ჩემი პიესის „ტაკიმასხარას“ დადგმისას. ვდგავარ უკუნეთში ავტომატით ხელში და ვფიქრობ: კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ვინ ვარ მე? რესპუბლიკის ხელმძღვანელი და პრეზიდიუმის წევრი თუ უბრალო ჯარისკაცი? სად არიან ჩემი კოლეგები, რას აკეთებენ ახლა? დავუშვათ, მე არ წამოვსულიყავი ამ ექსპედიციით, ვინ რას გააკეთებდა? თუ ეს ბანდები თავისით დაანებებენ თავს ყაჩაღობას, გზის გადაკეტვას, ჩვენი მომხრეების ტერორს? ან იქნებ გაჩერდებიან, არ გაერთიანდებიან და კვლავ თბილისისკენ არ გამოილაშქრებენ? რა ვალდებული არიან, მაგალითად, კახელი ბიჭები, რომ წალენჯიხაში დაიხოცონ? მხედრიონის უმრავლესობა აქ ჩემი ხათრითაა წამოსული და ამითი ვარ ბედნიერი, რადგან მე აქა ვარ, ალბათ, ასე სჭირდება დღეს საქართველოს და ისინიც აქ არიან.

დათო მამულაშვილი და თამაზი ბრუნდებიან ერთი საათის შემდეგ - ორ კაცზე მეტი ვერ მონახეს. ყველა დაკავებულია. ზოგიც ცვლაში გასვლას ელოდება.

მეორე დღეს მოსახლეობას მაინც შევხვდი. კლუბი გადატენილია. საინტერესოა ადამიანის ბუნება. თავიდან დამნაშავედ გრძნობდნენ თავს, მონანიებასავით იმეორებდნენ, რომ არავინ არაფერი შეგვატყობინა, არ გაგვაფრთხილა, ვერ მოახერხა. მე ვამართლებ მათ, ვაწყნარებ, მერე ნელ-ნელა ზოგიერთებმა პრეტენზიები წამომიყენეს - სახლები გაგვიჩხრიკესო. ერთი ქალი მეუბნება: ჩემი კაბა წაიღეს, სახლი არეულ-დარეული დამხვდაო. „ქალო, - ვეუბნები, - კაბას, ბოლოს და ბოლოს, გიყიდით. მაგრამ სახლი რომ არეულ-დარეული დაგხვდა, განა შენი სახლიდან არ გვესროდნენ? მაშ მე რა ვუთხრა ჩემი დაღუპული ბიჭების ცოლ-შვილს, მშობლებს. გამიცოცხლებ? რაც მოხდა - მოხდა, ახლა ხვალინდელ დღეზე ვიფიქროთ!“ ვაცხადებ კომენდანტის საათს. „დაღამებიდან გათენებამდე გარეთ ნურავინ გამოვა. თუ უკანონობის, ძალადობის, დაშინების ან შეურაცხყოფის რამე შემთხვევა მოხდება, პირდაპირ ჩემთან მოდით“.

ქალაქის ადმინისტრაციას ვავალებ, შექმნან კომისია. მილიციამ ჩვენთან ერთად განახორციელოს პატრულირება. ირკვევა, რომ ჯემალ ქობალია მართლაც დაჭრილა ფეხში, რომ მისი მეთაურობით შეიკრიბა დასავლეთში მყოფი ჩვენი ყველა

მოწინააღმდეგე და რომ მართლაც ღამის ორ საათზე ტრანსპორტი ქალაქის მისადგომებთან დაუტოვებიათ, ფეხით შემოსულან და ყველა მიმდებარე სახლში დაუკავებიათ პოზიციები. თავდასხმამდე წინა დღე-ნახევრის განმავლობაში იმდენი ხალხი მოდიოდა ჩემთან, რომ, ბუნებრივია, მათში მზვერავებიც იქნებოდნენ. თანაც, ისინი ხომ მშვენივრად იცნობენ ქალაქსა და ამ არემარეს. ვაყალიბებ თხუთმეტკაციან ჯგუფს ერეკლე ნარსავიძის ხელმძღვანელობით. ახლომახლო სოფლებში ყოველდღე ივლიან დაზვერვაზე. ამბობენ, სოფელ ნაკიფუში აქვთ შტაბი. გალიდან ჩამოდის დათო შენგელია. მას პირველად ვხვდები. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ბუღა ეპატიჟებოდა მხედრიონში, აქებდა, მაგრამ მაშინ იგი მეტწილად მოსკოვში იყო. ახლა გულახდილად ამბობს, რომ ზვიადისტებმა გამოგზავნეს ნიადაგის მოსასინჯად. ზოგიერთებს შერიგება სურთ. მხოლოდ პირობები აინტერესებთ. პირველ რიგში საჭიროდ მივიჩნევ, გავეცნო ამ ლიდერებს, მოველაპარაკო. შეხვედრის ადგილი თვითონ აირჩიონ. დათო წინადადებას მაძლევს, დღესვე წაიყვანოს გია სვანაძე და შეახვედროს მათ. უსაფრთხოების გარანტიას თვითონ კისრულობს. გია მზადაა, მით უმეტეს, რომ იმ ბანაკში კეთილი ნაცნობებიც ჰყავს. მეც ვთანხმდები.

საღამოს ამირანსა და გიგა არველაძეს მოჰყავთ ტყეში აყვანილი რამდენიმე შეიარაღებული კაცი. დაკითხვის დროს ბიჭებს გაულახავთ. ვსაყვედურობ: „ნუ დავემსგავსებით საბჭოთა მილიციას და ნურც მაგათ“. ვგზავნით სენაკში, რათა იქიდან გადაგზავნონ ქუთაისის ციხეში.

ჩამოდის შინაგანი ჯარი პოლკოვნიკ გუჯარ ყურაშვილის მეთაურობით. ამბობენ, უწინ ზვიადისტი იყოო. რა ვიცი, მეჩვენება თუ... არავითარი პოლიტიკური მრწამსი არა აქვს. ასე ვთქვათ, წმინდა წყლის სალდაფონია. მისი მოადგილეები გამოცდილი ბიჭები არიან. ერთ-ერთი ჩვენი ახლობელიც ეროვნული მოძრაობიდან - ვახო შანავა. ასე რომ, საშიში არაფერია. შინაგანი ჯარის ნაწილი ას კაცამდეა. ცოტა სულს მოვითქვამთ. ჩვენი ალყის ამბავი თბილისში იმ დილითვე, ექვს საათზე გაუგიათ. როგორც აქაური გამგებელი ლატარია მეუბნება, მილიციის უფროსი (კანდელაკი/კალანდია (?)) რაციით კავშირზე გასულა ქუთაისთან. თბილისში შეკრებილან ვიღაც-ვიღაცეები, შეუქმნიათ შტაბი სიგუას ხელმძღვანელობით, რომელსაც მეორე დღეს უნდა დაეწყო

ფუნქციონირება. შტაბის ადგილად შეურჩევიათ წყალტუბო, წალენჯიხასთან მიახლოებული წერტილი. რუკების გამოყენებით უმსჯელიათ, თუ როგორ უნდა დაგვხმარებოდნენ. მათ იმედზე რომ ვყოფილიყავით, კარგი დახლი დაგვიდგებოდა.

გიგა არველაძის ხობიდან დაგვიანებით ამოსვლის მიზეზი ისევ ის ცაიშის მიდამოები იყო. იქ ნაროუშვილი გადაეღობა, ორი საათით შეაყოვნა! შემდეგ გზაში „ბეემპე“ გადაუვარდათ და იმის ამოთრევას დასჭირდა ერთი საათი, გზამაც საათზე მეტი დაიკავა და დააგვიანდათ, როგორც იქნა, დავუკავშირდი თბილისს. ველაპარაკე კიტოვანს. მირჩევს, თბილისში ჩამოვიდე. „რაშია საქმე?“ - ვეკითხები. „ფიფია, ნათაძე და ვიღაცეები აქ რაღაცეებს ჭორაობენ“... „ისევ 14 წლის გოგოს თაობაზე?“ „ჰო, რა, დაანებე თავი, გამოდი“. ვუკავშირდები შევარდნაძეს. გადარჩენას მილოცავს, სხვა არაფერი. „ამ დღეებში ჩამოვალ“, - ვეუბნები. „ჰო, ნახეთ, როგორც აჯობებს“.

გია სვანაძე მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდა. შეხვედრია ვიღაც სლავიკ ინჯიას და სხვა ლიდერებს. ლოთი ქობალია აქ არ არის, ამბობენ, გროზნოშიაო. ჯემალ ქობალია დაჭრილია. მისი წარმომადგენელი ესწრებოდა შეხვედრას. ერთი სიტყვით, თუ არ იტყუებიან, მზად არიან მოსალაპარაკებლად. შეგვატყობინებენ შეხვედრის ადგილსა და შემადგენლობას. მოლაპარაკება მოლაპარაკებად - საქმე საქმედ! თორემ, მაგათ თუ ავყევით, ისევ დროის გაყვანის ტაქტიკას იხმარენ. თუ არ დაგვნებდებიან, წალენჯიხიდან დაქსაქსული ჯგუფები უნდა ავიყვანოთ. ყველაზე სერიოზული და მრავალრიცხოვანი რაზმი სვანების მეთაურობით სოფელ ჯვრის ახლოს გახიზნულა. ნუგზარი და ერეკლე გვპირდებიან, რომ დაუკავშირდებიან და შეეცდებიან, მშვიდობიანად დამთავრდეს შერიგების პროცესი. ერთი დღით მათთან ყოფნისას გიას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ წალენჯიხაში მათი თავდასხმის მთავარი მიზეზი იყო ჩვენი წარმატებები ხობში, ჩხოროწყუში. ისინი ხალხთან ჩვენი ურთიერთობის კეთილმა შედეგებმა შეაშინა. ასე რომ გაგრძელებულიყო, ჩვენ ზუგდიდშიც და გალშიც დავკარგავდით პოზიციებსო, - უთქვამთ პირდაპირ. ყოველივე ამის შემდეგ როგორ უნდა დავუჯეროთ მათ? რა ვიცი, ჩვენ მაინც შემრიგებლური პოლიტიკა უნდა გავატაროთ, აგრესიის საპასუხოდ კი მაგარი მუშტი დავკრათ.

ტელეფონით დავუკავშირდი ჩვენებს. დავაწყნარე. ჯაბუკას ბურტყუნი გავიგონე.

სანდრო კავსაძე აპირებს ჩამოსვლას. 1989 წელს წალენჯიხაში ვიყავი ამოსული. მხედრიონს ვაარსებდი. გერო თაობდა ამას - აქაური გამოსული, გავლენიანი ახალგაზრდა. მაშინ საიდანღაც ძველი, ნიკოლოზის დროინდელი შაშხანა მომიტანეს საჩუქრად, უტუ მიქავას ნაქონიაო. დღეს კი გერო აღარ ჩანს, დაუშინებიათ, ზვიადისტები სახლის დაწვით ემუქრებიან. ეს მათი ზეგავლენისა და ტერორის ყველაზე ეფექტური ფორმაა. ყოველ დილით, ადრიანად, ერეკლეს თავისი ბიჭები 10-15 კილომეტრით ტყეში შეჰყავს, ბუნაგებს ეძებენ. ერთ ადგილას მიაგნეს მეტყევის სახლს, სამი ავტომატი და ტყვია-წამალი იპოვეს. ჯერჯერობით სხვა ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინეს. „სოფლებში არიან, მოსახლეობაში იმალებიან“, - ასკვნის ერეკლე. ვიღაც გვატყობინებს, რომ ამ ნახევარი საათის წინ მუხურსა და წალენჯიხას შორის გზაში მოკლეს ჩხოროწყუს გამგებელი გოგუა და ტყვედ აიყვანეს ჩვენკენ მომავალი სანდრო კავსაძე.

სასწრაფოდ მივეშურებით შემთხვევის ადგილას. მართლაც, მანქანა ნახევრად გადაბრუნებული და დაცხრილულია. თვითმხილველები ჰყვებიან: თეთრმა „ჟიგულმა“ გაუსწრო კავსაძის „ვოლგას“. შემდეგ ზემოდან, მთის მხრიდან ატყდა სროლა. ჩვენ ვერ მივეკარეთ. მერე დავინახეთ, რომ რამდენიმე შეიარაღებულს ორი კაცი ფეხით გადაჰყავდათ. როცა თვალს მიეფარნენ, მივცვივდით და ვნახეთ მოკლული ჩხოროწყუს გამგებელი. კავსაძესთან ერთად ტყვედ აუყვანიათ ჩხოროწყუს საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ჩემი მასპინძელი. ვგზავნი მდევარს. ეს მოხდა საათ-ნახევრის, ორი საათის წინ. ჩავდივარ ჩხოროწყუში. საწყალი გამგებელი სახლში მიუსვენებიათ. არის ასეთი შემთხვევისათვის ჩვეულებრივი წიოკი. მდევარი უშედეგოდ ბრუნდება. იქ ათასი ბილიკი და გზაა, ჩვენებს წარმოდგენა არა აქვთ იმ არემარეზე. ვიღაც ადგილობრივი უნდა ვიპოვოთ. გავიგეთ, რომ მუხურის მეურნეობის მძღოლის „კამაზით“ წასულან. მას ვეძებთ. ვერ ვპოულობთ. ახლა მხოლოდ მოსახლეობისგან თუ გავიგებთ რამეს. არ შეიძლება ვინმეს არ ეცნო რომელიმე. საღამოვდება. ვბრუნდები წალენჯიხაში. რა უნდოდა, რომ მოდიოდა? მე ვიფიქრე, ვერტმფრენით ჩამოვიდოდა, და ეს მანქანით წამოსულა, თანაც, გზად ლესიჭინეში მიტინგის მოწყობა მოუნდომებია.

საკვირველია, რომ იქვე არ აიყვანეს. მეორე დილით ჩამოდიან ირაკლი ბათიაშვილი - ჩვენი „კა-გე-ბე“, ანუ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი და მისი თანამშრომლები. გუნებაში მეცინება - ირაკლი „კაგებეშნიკობს“. ბოლომდე არაფერს ამბობს. მისი ნალაპარაკევიდან ვიგებ, რომ სახელმწიფო საბჭოში თემურ ფიფიასა და ყოფილი მრგვალი მაგიდის წევრების ჩუმი მეცადინეობით ვრცელდება ჭორი, ვითომც ჩვენ აქ საშინელებებს ჩავდივართ, უწყინარ ხალხს ვეომებით. ჰოდა, სანდრო კავსაძეც, როგორც ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, იმ მისიით მოდიოდა, რომ სინამდვილეში შეეტყო, რა ხდება აქ. ღმერთო, შეგცოდე, მაგრამ პირველივე არგუმენტი - „არგუმენტუმ ბაკულინუმ“ გამოდგა. თავისსავე ზურგზე იგემა, თუ როგორ უწყინარ ხალხთან გვაქვს საქმე. ასეთივე რამ მოხდა ზუგდიდში. როცა სახელმწიფო საბჭოში ჩვენი ექსპედიციის საკითხი წყდებოდა, ამის წინააღმდეგი იყვნენ ედპ-ს წარმომადგენლები ვანო ხუხუნაიშვილი და გია კობახიძე. მათი წინადადებით, მოლაპარაკება უნდა გამართულიყო. ვისთან? ამის შესახებ ზერელე წარმოდგენა ჰქონდათ. მაინც წამოსულან ზუგდიდში. ჰოდა, ესენიც... დაუტყვევებიათ იმათ, ვისთანაც მოლაპარაკებას აპირებდნენ. ახლა კი ხობში გიგა არველაძისთვის შემოუთვლიათ, იქნებ გვიშველოთ, როგორმე გამოგვიხსნათო. მართალია, შემდეგ, ვიდრე ჩვენ რამეს ვიღონებდით, თვითონ როგორღაც მოახერხეს რამდენიმე დღის სამარცხვინო ტყვეობიდან თავის დაღწევა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მათაც საკუთარ ტყავზე იწვნიეს ცილისწამებისა და ჭორების „სიკეთე“.

10 ივლისი ჩემი დაბადების დღეა. არ ვიცი, საიდან გაიგეს, ჩამოდის დოდო გუგეშაშვილი, ედპ-ს წევრი, სულითა და გულით მხედრიონელი. მას თან ახლავს ქუთაისელი კორესპონდენტი, ახალგაზრდა ქალი. ამოიტანეს ქალაქური ტორტი, სამი ბოთლი შამპანური. ძლიერ ვიწრო წრეში აღვნიშნავთ თითო ჭიქით. ქეიფის არც დროა და არც განწყობა. ბავშვობიდან მოყოლებული, უმეტესად ასე ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში. თარიღიც მოუხერხებელია საზეიმოდ - ამ დროს ან აგარაკზე, ან სოფელში, ბებიასთან ვიყავი ხოლმე. ჩემი მშობლების მეტს არც არავის ახსოვდა ეს დღე. მახსოვს, შვიდი-რვა წლისა ვიქნებოდი. მახინჯაურში ვისვენებდით. მამა საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისიდან და საჩუქრად ჭადრაკი

ჩამომიტანა. ცხონებულს, ყოველთვის სწამდა, რომ გამოჩენილი ადამიანი უნდა გამოვსულიყავი. მისთვის მოულოდნელად სულ სხვა სამყაროში მოვხვდი და ამან მოუსწრაფა სიცოცხლე. 18 წლისა არ ვიყავი მაშინ. ჩემი პატიმრობის დროს გარდაიცვალა. ჩემთან მოდიოდა პაემანზე... ალბათ, როგორ ინერვიულა...

ირაკლის მივყვები, რომ სანდრო კავსაძის ასავალ-დასავალი გავარკვიოთ. ყველაზე იმედის მომცემი ცნობა მაინც სოფელ მუხურაში მივიღეთ. თანამშრომლებთან ერთად ირაკლი სადღაც მიდი-მოდის. დაკითხეს ცალკეული პიროვნებები. ჩხოროწყუს ექიმი გაუშვიათ. მას ხვდებიან. გარკვევით ვერაფერს ამბობს. შიშნაჭამი და გამოუცდელი კაცია. ირაკლი ორაზროვნად მიღიმის და მეკითხება: „ასე რატომ ეშინიათ აქ მხედრიონის?“ „რა ვიცი, შეეკითხე და გიპასუხებენ“.

მივფრინავ ხობში. იქ, გიგას ნაცვლად, დაბანაკებულია გვარდიის ნაწილი აკია ბარბაქაძის მეთაურობით. მათ ორი ახალთახალი 80-იანი „ბეტეერი“ აქვთ მიღებული და ახლა მინდა, ძალის სადემონსტრაციოდ გამოვიყენო. ჩვენს „ბეემპეს“ არემონტებენ, ენუქის „ბეტეერს“ საბურავები აუფეთქეს, დარჩა ერთი „ბერდეემი“. აკია არ დამხვდა ადგილზე. არც მისი მოადგილე კობა კობალაძეა. არის ვიღაც სვანი ოფიცერი, რომელიც უარს მეუბნება: „ეს გვარდიისაა და მე არაფერი ვიციო“ აკიას უნდა გაეფრთხილებინა, მაგრამ ეს არ მოხდა. ამაში თითქოს არაფერია განსაკუთრებული, მაგრამ საერთო საქმეზე პირადი ან უწყებრივი დამოკიდებულება გამოჩნდა. ვრეკავ შევარდნაძესთან. მირჩევს, თბილისში დავბრუნდე. „შუა გზაში მივატოვოთ საქმე?“ - ვეკითხები. „თქვენს მაგიერ მილიცია გავგზავნოთ“. „არა მგონია, მათ რაიმე ხეირიანად გააკეთონ“. „მილიცია მაინც მილიციაა“, - მპასუხობს დაჯერებული. „კარგი, - ვთანხმდები, - მხოლოდ გამოგზავნეთ, ვიდრე აქა ვარ“. ვერტმფრენით მივდივარ ხონში, ენუქის დაკრძალვაზე. მისი მშვენიერი სახლი გადაჭედილია ჭირისუფლებით, ყველანი ჭეშმარიტად დადარდიანებული არიან - ხალხს უყვარდა! აქ ვხვდები რომან გვენცაძეს. ენუქის ნათესავია. ვუყვები შევარდნაძესთან ჩემი ლაპარაკის შინაარსს. „თქვენ რამდენი ხართ?“ - მეკითხება. „150“. „ჩვენ გამოვგზავნით 300 კაცს“. წალენჯიხაში ვბრუნდები, ქელეხს ვერ ვესწრები. დაბნელდება და ვერტმფრენი ვეღარ იმუშავებს.

ზუგდიდიდან ამოდის ოთარ ფაცაცია. დაგვიანებით მილოცავს დაბადების დღეს. მიყვება იქაურ ამბებს: „ახლა ერთი 10-15 კაცის იზოლირებაა საჭირო და დასავლეთში სიმშვიდე დამყარდება“. „ჰოდა, ჩამოდის მილიცია, დაჭერა მაგათი საქმეა“. სკეპტიკურად იცინის: „არაფრის გამკეთებლები არ არიან“.

ერეკლეს ჯგუფი დასაზვერად იყო ჯვარში. სულ რამდენიმე საათით გაუსწრია ბახიას რაზმს. სვანები არ ჩანან, ალბათ ჭუბერში თუ გადავიდნენ. ბახიას რაზმი შორს ვერ წავიდოდა, იქ, ახლომახლო, კარგი ბაზები აქვთ. გალიდან კვლავ ჩამოდის დათო შენგელია, გია სვანაძე მეორედ მიჰყვება მოსალაპარაკებლად. „თუ „დონე“ იქნება, მეც ჩავერთვები“, - ვაბარებ გიას. საღამოს ვხვდები მილიციის პოლკოვნიკს, საბჭოთა მილიციის ძველ მუშაკს, გრიშა შონიას. ამ ბოლო ხანს სენაკში დაბანაკებულ რეგიონულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ახლა ზუგდიდში გზავნიან. შევარდნაძეს ჰგონია, რაც მეტი პარალელებია საქმეში, მით უკეთესია. მინისტრის მოადგილის რანგში ხომ არის, ვითომც სამხარეო მილიციის უფროსი ჟილბერტ ხაზალია? ახლა იგივე ფუნქციებით - შონია? გრიშა მთხოვს, დავუტოვო ოცი-ოცდაათი კაცი გიგა არველაძის ან დათო მამულაშვილის ხელმძღვანელობით. ხვალ თბილისიდან ელის სამას კაცს. უარს არ ვეუბნები, მაგრამ არც ვპირდები - ვნახოთ, ბიჭები რას იტყვიან. მე სხვა რამ მადარდებს - არაფერი ბოლომდე არ მიგვყავს, ყველა საკითხის გადაწყვეტაში დომინირებს პალიატივი. ბარემ დაგვემთავრებინა ამ ექსპედიციის მისია. სწორედ აქედან, წალენჯიხიდან უნდა მოვუაროთ საქმეს. თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია, მთავარი ძალა დაფანტული და უკუქცეულია. ახლა საჭიროა ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურება, ყველა რაიონში ადგილობრივებს მიეცეთ ხელისუფლების სადავეები. მათ თავი უნდა დააღწიონ ტერორისტების ზეგავლენას. ვიდრე არ შეიქმნება სამოქალაქო მმართველობა, რომელსაც დასაყრდენი, ცენტრის გარდა, ექნება ადგილობრივ მოსახლეობაში, დასავლეთში სიმშვიდე არ დაისადგურებს. ჩამოსული მილიცია უხერხემლოა. მათი ნახევარი ცუდად ორიენტირებული და პოლიტიზებულია. დანარჩენები მაინცდამაინც თავს არ მოიკლავენ რაღაც სარისკო ოპერაციების ჩასატარებლად. ბევრ მათგანს მოქრთამავენ, ნაწილს შეაშინებენ. ხელმძღვანელობას ჯერ თავისთვის ვერ

გაურკვევია, ვის მხარეზეა. ზოგიც თამაშობს, ასე რომ, ისინი აქ ვერაფერს გააწყობენ. და პირიქით, როგორც კი ჩვენ გავალთ, ძალისმიერ ვაკუუმს იმწამსვე შეავსებენ რევანშისტები და ხელახლა საომარ-საჯახირო გაგვიხდება. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩვენი ბიჭებიც გადაღლილები არიან - ყველას სახლში დაბრუნება უნდა. უბრალოდ, მე შემომცქერიან. მათი ნდობა არც მე უნდა გამოვიყენო ბოროტად. მე შენ გეტყვი, ჯამაგირს ვაძლევ ან სხვა რამე მატერიალურ ანაზღაურებას. გიგა გელაშვილმა ჩამოგვიტანა ერთი მანქანა „ბორჯომი“ და კახეთიდან მივიღეთ პურმარილი. ეს არის და ეს. ენთუზიაზმსაც აქვს საზღვარი. მთლად უშედეგოდ რომ არ დარჩეს ეს ამდენი მსხვერპლი, გამოსვლისას ავალ ჯვარში. თუ წავაწყდით ამ დაფანტულ ჯგუფებს, ხომ კარგი, თუ არადა, შემდეგ გალის გავლით შევივლით ზუგდიდში და წამოვალთ თბილისისაკენ. ეს იქნება ერთგვარი გაფრთხილება და ძალის დემონსტრირება. შემდეგ, თუ მართლაც რამე შეუძლია, მილიციამ ჩაატაროს ოპერატიული მუშაობა. დასანანია, რომ გალში დაწყებული მოლაპარაკება იარაღის ჩაბარებისა და უმთავრესი ჯგუფების დაშლის შესახებ ჩაიშლება, რადგან ჩვენ აქ აღარ ვიქნებით. რას იზამ, გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, შევარდნაძე აჰყოლია ამ პოპულისტებს, ეშინია, ანტიხალხურობა არ დასწამონ.

წალენჯიხიდან გამოვდივართ ღამის ორ საათზე. გაუფრთხილებლად და ყველასათვის მოულოდნელად ავდივართ ჯვარში. იქ არავინაა. რიჟრაჟზე შევუყევით მიდამოებს. არც აქაა ვინმე. ეს ულამაზესი ადგილებია - აფხაზეთის, სვანეთისა და სამეგრელოს ნარევი ბუნება - უზარმაზარი მთების დასაწყისი, ველური ენგური, კოხტა მთაგორიან მწვანეში შეყუჟული ოდები რომანტიკული ოცნებისა და პატრიარქარული იდილიის განწყობას ქმნის.

ჩვენი „ბეემპეს“ რახარუხი და „ბერდეემის“ ჩლახუნი სამარცხვინო ანაქრონიზმია, თითქოს ერთი ბოგანო ვინმე უცებ ზეპური საზოგადოების ნადიმზე შემოეღეტა. მთელ კოლონას უკან ვაბრუნებ, ვეშვებით გალში. ამბობენ, იქ, ხიდთან, აფხაზებს რაღაც საზღვარი გაუკეთებიათ, არძინბას ახლად შექმნილი შინაგანი ჯარის ნაწილის ერთი ჯგუფი ჩაუყენებიათ მესაზღვრეებად თუ მებაჟეებად, თუ საერთოდ, საპროვოკაციოდ - გაურკვეველია. პირდაპირ იქით მივდივართ. არა მგონია, რამე გაგვიბედონ. მაგრამ თუ გაგვიბედავენ, იქნებ

ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილიც მივცეთ. მართლაც, გაგვეცალნენ. ხიდთანაც და მთელ გზაზე არავის შევხვედრივართ. შუადღისას გალში შევედით. მივაკითხეთ იმ შტაბ-ბინას, სადაც გია სვანაძე მოლაპარაკებას აწარმოებდა. შენობა ბოქლომით დაკეტილი დაგვხვდა. არ ვჩერდებით, ვუხვევთ ზუგდიდისკენ. ზუგდიდში უკვე ჩამოსულა მილიცია, ქალაქის განაპირას ბანაკდება. ისეთი შიშნარევი ატმოსფეროა, თითქოს ერთი ფეხის დაბაკუნებაა საჭირო, რომ კუდამოძუებულებმა მოკურცხლონ. შევდივარ გრიშა შონიას ოთახში. დაბნეული სახეებით მხვდებიან. ვიდრე გრიშას ვესაუბრები, მომჩივანი მოდის, მხედრიონმა მანქანა წამართვაო. გია სვანაძეს და გიგა გელაშვილს ვგზავნი, სასწრაფოდ მოძებნონ მანქანა და დამნაშავე მოიყვანონ. გიგა არველაძეს კი ვუბრძანებ, მთელმა კოლონამ გაუჩერებლივ განაგრძოს გზა ხობამდე და იქ დამელოდონ. ცაიშში დააკავეს მანქანის გამტაცებელი. ქუთაისის გვარდიის კაპიტანი გამოდგა, მუხლებში მივარდება. ვარცხვენ და ვუშვებ, სხვა რა ვქნა, რა ვიცი?! ხობიდან ტელეფონით კვლავ ვუკავშირდები შევარდნაძეს, მაინტერესებს, ხომ არ გადაიფიქრეს. კმაყოფილი ჩანს, რომ მისი რჩევა შევასრულე. მაიმედებს, „მილიცია მაინც მილიციაა, თავის საქმეს გააკეთებს“. ხობში, გერგაიასთან, სხვა ცხოვრებაა. ხალხი უკვე მუშაობს, შედარებით სიწყნარეა. პატარა პურმარილსაც გვიმართავს და გზის მეორე ნახევარში გეზი თბილისისაკენ გვიჭირავს.

ჩვენთან, ოჯახში, დღესასწაულია - ორივენი მშვიდობით ჩამოვედით. მსაყვედურობენ, კოწია ნუ დაგყავსო. ჩემი დაც მაგ აზრზეა. მე ვიცინი და პატარა ჯაბას ვეკითხები: „შენც ხომ წამოხვალ ჩემთან?“

შევარდნაძე მეგობრულად მხვდება, მეხვევა, მილოცავს გადარჩენას. აქაურ ამბებს ძუნწად მიყვება. მე დეტალურად ვაცნობ საქმის ვითარებას. შეცდომას ვუშვებ: ვურჩევ, პატარა შემრიგებლური ტურნე ჩაატაროს დასავლეთში. მან ხომ ზვიადისტების ტელევიზიაში შევარდნის შემდეგ ეგრეთ წოდებული მანიფესტი გამოაცხადა, ამ გადატრიალების მცდელობის თითქმის ყველა მონაწილე, ვალტერ შურღაიას ჩათვლით, გაუშვა. მას ჰგონია, მე ამ აქტის წინააღმდეგი ვიქნებოდი. ამიტომ მიხსნის: „შურღაია მორწმუნე კაცი ყოფილა. მე შევხვდი, ნორმალურად ვისაუბრეთ. ალბათ, საეკლესიო საქმეს მოჰკიდებს ხელს“. არაფერს ვპასუხობ. „მით

უმეტეს, - ვფიქრობ მე, - ჩემი, ასე ვთქვათ, ძალისმიერი აქციის შემდეგ მისი ლიბერალობა გაგებით იქნება მიღებული“. ეს მისი იდეაც ყოფილა, მაგრამ არა სავსებით გადაწყვეტილებად ქცეული. ჩემმა რჩევამ, ეტყობა, საბოლოოდ დაარწმუნა ამ განზრახვის მართებულობაში. მე ვერ გავითვალისწინე მრავალი სხვა ფაქტორი. ჯერ ერთი, ხომ ვიცოდი, რომ ჩემი გამოსვლის უმალ დასავლეთში ძალისმიერ ვაკუუმს შეავსებდნენ რევანშისტები და არა შიშნაჭამი მილიცია. აქედან გამომდინარე, მოსახლეობაც მათ ნებას აჰყვებოდა, მეორეც და მთავარი (ეს კი ნამდვილად გამომრჩა): შევარდნაძე, რბილად რომ ვთქვათ, დასავლეთში ჯერჯერობით „პერსონა ნონ გრატაა“. ზუგდიდიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, მილიციამ მესამე დღესვე „დაახვია“ და დაბრუნდა თბილისში. როცა გვენცაძეს ვკითხე, რა მოხდა-მეთქი - არაფერი, ხომ არ დავიცდიდით, სანამ ვინმეს არ მოგვიკლავდნენო. მიდი ახლა და ელაპარაკე.

პრეზიდიუმის სხდომაზე ვიხილავთ ამ საკითხს. თენგიზ კიტოვანი ირონიულად იცინის. თენგიზ სიგუას უადგილო ადგილას არგუმენტად რაღაც პროცენტები მოჰყავს. მე თავს ვერ ვიკავებ: „ხომ ვამბობდი, მილიცია არაფრის მაქნისია“. შევარდნაძე გაჩუმებულია. ჩემი შენიშვნა აღიზიანებს, მაგრამ არ სურს, ჩემს თვალში კიტოვანის გვერდით აღმოჩნდეს. არც სიგუას „ზუსტი მეცნიერული“ მიდგომა ეხატება გულზე. ხმას არ იღებს. მეორეხარისხოვან მიმდინარე საკითხებზე გადააქვს ყურადღება. უჩემოდ სახელმწიფო საბჭოში ძალები გადანაწილებულა, დროებითი მოკავშირე-მოწინააღმდეგეები ჩამოყალიბებულან. შევარდნაძე ცენტრიფუგის როლში შედის. ახლა პოპულისტებს ღიად უჭერს მხარს, ბაზრის ტინგიცა ნოდარ ნათაძე პოპულისტებში ყველაზე გავლენიანად მიუჩნევია და მას ეთამაშება. „ესენგეში“ ჩვენი ჩათრევა გამორიცხულია, - ამბობს იგი, - „ესენგეს“ მომავალი არა აქვს. თქვენც ხომ წინააღმდეგი ხართ საპრეზიდენტო წყობისა?“ - მეკითხება. ერთი სიტყვით, პროგრამა მინიმუმი - რუსეთის მოწინააღმდეგე ლიდერის იმიჯის შექმნა - ნაწილობრივ მიღწეულია. ამისი არ სჯერათ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, ზვიადისტებს და დასავლეთის ქვეყნებზე ორიენტირებულ პოლიტიკოსებს, მაგრამ ესენი არ არიან საზოგადოების ცხოვრებაში წამყვანი ძალა.

შევარდნაძის დასავლეთის ტურნე - სენაკი-ჩხოროწყუ-

წალენჯიხა-ზუგდიდი გამოკვეთილი ფიასკოა. იქიდან ჩამოდის დათრგუნვილი, გაღიზიანებული, არ ამბობს, თორემ ამ წარუმატებელი მოგზაურობის გამო ბევრ რამეში მე მდებს ბრალს. შევარდნაძე გზავნის რომან გვენცაძეს, რათა მილიციის გამოქცევის შედეგად გააქტიურებულ ზვიადისტებთან რაღაც ბალანსირება მოხდეს.

მე ვემზადები ესპანეთში წასასვლელად. ზაზა ვეფხვაძეს, გია სვანაძესა და თემურ გიორგაძეს ცნობილი ესპანელი ბიზნესმენი დაუმეგობრდა და ჩემთან ერთად ეპატიჟებიან ორკვირიან მოგზაურობაში პარიზის ჩათვლით. ეს ჩემთვის დიდი სიხარული იქნება. თურქეთს თუ არ ჩავთვლით, უცხოეთში არ ვყოფილვარ. თანაც, ჩემი ბავშვობის ოცნება - ესპანეთი-პარიზი. ლიტერატურიდან და ხელოვნებიდან ცნობილი: ესკარიოლი, კორიდა, ფიესტა, სენჟერმენი, ნოტრდამი, ლათინური კვარტალი და მილიონი სხვა რამ. ხვალ დილით ადრე მივფრინავთ. დღეს საღამოს სასტუმრო „მეტეხში“ გავათენებთ. ვსხდებით საპურმარილოდ. ლუკმა არ გადამიყლაპავს და მეძებენ. „შევარდნაძე, სიგუა, კიტოვანი და ყველანი მინისტრთა საბჭოში არიან შეკრებილნი. თქვენ გეძებენ“. „რაშია საქმე?“ „რომან გვენცაძე ზუგდიდში ტყვედ აიყვანეს“. ყველა მე შემომცქერის. სადღა წავიდე?! პრეზიდიუმში, როგორც მოსალოდნელი იყო, ურთიერთობები რთულდება. კიტოვანმა თავი თავდაცვის მინისტრად დაინიშნა და სამხედრო საკითხებში აღარავის ახედებს. რაღაც ზღაპრებს ჰყვება სკოლის მოწაფეების დონეზე. თურმე მას ატომური იარაღი აქვს, რუსების ნაწილები რომ მიდიოდნენ, დარჩენიათ. სიგუაც რას საქმიანობს, ვერ გაიგებ. ისეთ ბლეფს დაურტყამს, თვალს არ დაახამხამებს. შევარდნაძეც რაღაცას ჩალიჩობს, ვიღაცეებს იბარებს, რაღაც „ტეტ ა ტეტ“ საუბრები აქვს - მომხრეებს ეძებს. ერთი წინადადება შემომთავაზა, ჯერ ჩემზე გააკეთა აპრობირება: მოდი, პრეზიდიუმის პარალელურად შტაბი შევქმნათო. თავმჯდომარე, რაღა თქმა უნდა, თვითონ იქნება. ამის გაკეთება, ომს თუ არა, დიდ უსიამოვნებას გამოიწვევს. კიტოვანი და სიგუა ამაზე როგორ დათანხმდებიან. ეს არც მე მიმაჩნია დროულად. არჩევნებამდე ორი-სამი თვე დარჩა და ახლა აირიოს მონასტერი? რა სულსწრაფობაა? ნაწყენი რჩება. მერე სადღაც წამომაყვედრის კიდეც: „აი, თქვენ ხომ არ გინდოდათ, მე თავმჯდომარე ვყოფილიყავი“. ერთი მე ვარ, რა, ჩემი ყველაფერი იციან, ისიც

კი, თუ რომელ ქალთან ვმეგობრობ. კიტოვანს ვთავაზობ, მხედრიონი და გვარდია ქართულ ჯარად გავაერთიანოთ. მთანხმდება. ეს ფაქტობრივად მხედრიონის დაშლას უდრის. რატომაც არ დამეთანხმება. ოღონდ კი ჩამოვყალიბდეთ და ნორმალური ცხოვრება დავიწყოთ. არჩევნების შემდეგ მე წავალ, ჩემს საქმეს მოვუვლი. თუ მაინცდამაინც, შეიძლება პარლამენტში ვიყარო კენჭი. ყველაზე დისციპლინებული თეთრიწყაროს მხედრიონის ნაწილი - ას კაცამდე, ჩიქობავას მეთაურობით ოფიციალურად, სადღესასწაულო ვითარებაში გადავეცი კიტოვანს. თვითონ რას აკეთებს, სად რა ნაწილებს ჰქმნის, არ ვიცით. სოხუმში ჩამოაყალიბა გვარდიის ბატალიონი სოსო ახალაიას მეთაურობით. ეს არ არის ცუდი საქმე. აფხაზეთში, გაგრის მხედრიონის გარდა, არავითარი სამხედრო ძალა არ არსებობს, ოღონდ თვით პრინციპია მიუღებელი. გვარდია, მაშინაც კი, როცა გამსახურდიამ შექმნა, მხედრიონის პარალელური ძალა გახდა და თავისთავად მოქიშპე-მოწინააღმდეგედ იქცა. მისი დაბადება უპირველესად ამ მიზანს ითვალისწინებდა. ახლა ჯარი უნდა შეიქმნას და არა გვარდია. კიტოვანი და ყარყარაშვილი ერთად წყვეტენ ისეთ საკითხებს, რაც პრეზიდიუმმა უნდა დაამტკიცოს. ისინი კი ფაქტის წინაშე გვაყენებენ. არძინბა აყალიბებს თავის გვარდიას. ძალის დემონსტრირების მიზნით ყარყარაშვილს გვარდია მარშ-ლაშქრობით მიჰყავს გალიდან ფსოუმდე. გაგრაში მათ მხედრიონელები უერთდებიან. ამ აქციის ავკარგიანობა სადავოა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაგრისა და ლესელიძის მოსახლეობამ საჩივრით მოგვმართა მოროდიორობისა და მანქანების დატაცების ფაქტებთან დაკავშირებით. გვარდია ერთ კვირაში დაბრუნდა უკან. ლაშქრობამ ინციდენტების გარეშე ჩაიარა, მაგრამ, ვფიქრობ, აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტის პროცესი საბოლოოდ მოექცა ძალისმიერ ასპექტში. სანდრო კავსაძისა და რომან გვენცაძის ტყვეობას, შს მინისტრის მოადგილეების, დათო სარალიძისა და ჟილბერტ ხაჟალიას მძევლად აყვანის ფაქტებიც დაემატა. სულ უფრო ხშირად გაისმის ლოთი ქობალიას სახელი დივერსიებთან, სახელმწიფო ქონების დატაცებასა და მძევლად აყვანის შემთხვევებთან დაკავშირებით. ზუგდიდსა და წალენჯიხაში მისი უკვე მომძლავრებული რაზმები ბატონობენ. სარკინიგზო მოძრაობა პარალიზებულია. გვეუბნებიან, რომ დაყაჩაღებული ქონებიდან მარტო სომხეთის ვალი რამდენიმე ათეულ

მილიარდ რუბლს აღწევს. შინაგან საქმეთა სამინისტრო უმოქმედოა, ასევეა საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური. მისაღებია რაღაც რადიკალური ზომები. სახელმწიფო საბჭოში გამართული დებატები ამ საკითხების თაობაზე კომიკურია. თუ ორი თვის წინათ ორატორები ლოთი ქობალიას მოიხსენიებდნენ ყაჩაღის ეპითეტით, მერე უბრალოდ - ლოთი ქობალიად, ახლა ამბობენ ბატონი ლოთი ქობალია. ერთმა ორატორმა ისიც კი აგვიხსნა, რომ ზედმეტი სახელი „ლოთი“ ლოთობას კი არ ნიშნავს, არამედ წარმოშობილია ბიბლიური ლოტიდან. „ო, ტემპორა, ო, მორეს!“

საერთაშორისო ურთიერთობებს კარგი პირი უჩანს. ჩამოვიდა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ჯეიმს ბეიკერი. ეს სერიოზული დიპლომატიური გამარჯვებაა. ჩვენ ხომ ჯერ კიდევ არალეგიტიმური ხელისუფლება ვართ. კიდევ უფრო სენსაციურია ის, რომ გაერომ გვცნო და მიგვიღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. 1992 წლის 31 ივლისს გაეროში დაფიქსირდა ჩვენი დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა. ჩამოდის ჩვენი თანამემამულე გენერალი მალხაზ (ჯონ) შალიკაშვილი, ნატოს ბოსი. ბეიკერის ვიზიტი ხაზგასმულად მეგობრულია. მან საქართველოს 1918 წლის 26 მაისისადმი მიძღვნილ მიტინგშიც კი მიიღო მონაწილეობა. რასაკვირველია, ყველაფერი ეს შევარდნაძის წყალობით ხდება. პატარ-პატარა ეკონომიკური დახმარება მივიღეთ თურქეთიდან, ამერიკიდან. რუსეთთან ურთიერთობა უმჯობესდება. რუსი სამხედროების ოჯახები დაცული არიან. ნელ-ნელა ძველი მეგობრული კავშირებიც აღდგება. შევარდნაძეს გაცხოველებული მიწერ-მოწერა აქვს დიდი სახელმწიფოების მეთაურებთან - ინგლისის პრემიერ მეიჯორთან, ამერიკის პრეზიდენტ ბუშთან. ერთმა რამემ განმაცვიფრა და ჩემს შეხედულებაში რაღაც კორექტივი შეიტანა: შევარდნაძემ ბუშისგან მიიღო უაღრესად მეგობრული და საქმიანი წერილი. გახარებულმა, მისი სასწრაფოდ გამოქვეყნება მოვინდომე. შევარდნაძემ ზრდილობიანი, მაგრამ მტკიცე უარი მითხრა: „ახლა მას წინ არჩევნები აქვს. ჩემი დღევანდელი მდგომარეობით, რომელიც შტატებში ჯერ შეუფასებელია, ასეთი ხასიათის წერილის გამოქვეყნებით ხელი არ შევუშალო, მისმა მოწინააღმდეგეებმა არაფერში გამოიყენონ“. არადა, აქ თვითონაც რეკლამა სჭირდება.

საზოგადოებისა და პარტიების უმეტესობა ჯერ მაინც ეჭვის თვალით შესცქერის. ზვიადისტებს კი, ხელისგულზე ერბო-კვერცხი რომ შეიწვას, მაინც ვერ გადმოიბირებს. თამრიკო ჩხეიძესთან უსიამოვნება მომდის: „გინდა თუ არა, კრემლის დავალებით არის ჩამოსული - უნდა დაგვაქციოსო“. „კარგი რა, - ვეუბნები, - ეს უკვე ბიოლოგიური სიძულვილია“. „აი, რომ გამოგიყენებს და რაღაც ხრიკებს მოგიწყობს, მაშინ სხვანაირად ილაპარაკებ“. დავითხოვე ჩემი ოთახიდან.

არჩევნებისთვის მზადება იწყება 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. მაგრამ შევარდნაძეს რა ვუყოთ? თვითონაც არა აქვს მონახული ფორმა - რომელიმე პარტიასთან იყაროს კენჭი თუ მარტო, როგორც უბრალო დეპუტატმა. მერე კვლავ პარლამენტმა უნდა აირჩიოს სახელმწიფოს მეთაური. 1921 წლის კონსტიტუციით, ეს პრემიერ-მინისტრი უნდა იყოს. ეს ხელს არ აძლევს შევარდნაძეს. მას გამოცალკევებული ზოგადი ხელმძღვანელობის, ასე ვთქვათ, პრეზიდენტის მაგვარი, ან ცეკასმაგვარი მოდელი აქვს შესისხლხორცებული: ნაკლები პასუხისმგებლობა, მეტი უფლებები. ასეა თუ ისე, მას მაინც განსაკუთრებული სტატუსი უნდა შევუქმნათ. ვიდრე თამრიკო ჩხეიძესთან უსიამოვნება მომივიდოდა, ჩვენ ასეთი რამ მოვიფიქრეთ: ცალკე იყაროს კენჭი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ. მე ეს მოდელი შევთავაზე შევარდნაძეს: „საკვირველია, - მპასუხობს იგი, - სწორედ დღეს ასეთივე რჩევა მომცა ბურბულისმა. ალბათ მართლაც აჯობებს, ასე გადავწყვიტოთ ეს საკითხი“.

არჩევნების ხელმძღვანელად ვნიშნავთ აკადემიკოს მერაბ ალექსიძეს. მერაბი ამ საქმეში გამოცდილია. პირველი თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნები მთელ საბჭოთა კავშირში - „საქართველოს ეროვნული კონგრესის“ არჩევნები 1990 წლის სექტემბერში მისი თავმჯდომარეობით ჩატარდა - წესიერად, პატიოსნად და ოპერატიულად. საარჩევნო კანონზე კი მუშაობს რესპუბლიკელთა ჯგუფი ვახტანგ ხმალაძის თაოსნობით. ეს ის ვახტანგ ხმალაძეა, რომელიც ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იყო და რომელმაც მონაწილეობა მიიღო გამსახურდიას თაღლითურ ოპერაციაში ჩემ წინააღმდეგ, როცა მე, ციხეში მყოფმა, საბუთები წარვადგინე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ

მე, რასაკვირველია, ხმალაძისათვის არც კი მიგრძნობინებია, რომ იგი მთლად პირნათელი არ იყო კანონისა და ჩემს წინაშე, მაგრამ მერჩია, ამ საპასუხისმგებლო საქმისათვის ვინმე სხვას ეხელმძღვანელა. შევარდნაძემ უკვე შეარჩია იგი და მისთვის ხელის შეშლა პირადი გრძნობების აყოლად ჩამეთვლებოდა. ამ არჩევანით არც მერაბი აღფრთოვანებულა. ხმალაძე მისი თანამშრომელი იყო გეოფიზიკის ინსტიტუტში და ალბათ, მასაც რაღაც ჰქონდა სათქმელი. მართლაც, საარჩევნო კანონი, თავისი საკომპენსაციო სიებით, ისეთი პრეტენზიული და მიკიბულ-მოკიბული გამოდგა, რომ შემდეგ, პარლამენტის შემადგენლობაში ვინ საიდან ხვდებოდა, ვერ გაიგებდი. ამ შემთხვევაშიც შევარდნაძემ თავისი გაიტანა და საარჩევნო კანონში ძველი, კომუნისტური, მაჟორიტარული რაიონული დაყოფა დაამატა - იცოდა, რომ მომავალში პარტიული სიებით არჩეულებს რაიონის ერთეულები დაუპირისპიროდებოდნენ.

თბილისში ჩემი არყოფნისას, ყოველგვარი რეკლამისა და პომპის გარეშე, შევარდნაძე მონათლულა. ნათლიას - უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს, რომელსაც იგი ხანდახან, შეცდომით „უწმინდესსა და უსპეტაკესს“ უწოდებდა, მისთვის ნათლობის სახელად გიორგი მიუცია: ედუარდ (გიორგი) შევარდნაძე. მივულოცე გაქრისტიანება, ცოტა ხანს ვესაუბრე. „როგორ გგონიათ, - ვკითხე, - თქვენს სასწაულებრივ გამარჯვებებში ღმერთის ხელი არ ურევია?“ „რასაკვირველია, - ამბობს გულწრფელად, - დიდი ხანია, მინდოდა მონათვლა, მაგრამ მზად არ ვიყავი. დრო იყო საჭირო!“ შევარდნაძეს პირად ურთიერთობაში ლაპარაკი არ უყვარს, თუ არ შევეკითხე, არც საკუთარ თავზე და არც სხვა რამეზე საკუთარი სურვილით არაფერს გეტყვის. ეს ზოგჯერ გამაღიზიანებელიც არის. ველით ტელეფონის ზარს. ირეკება. იღებს ყურმილს. მოკლე ფრაზებით საუბრობს. ამთავრებს და კიდებს ყურმილს. აგრძელებს დარეკვამდე ჩამოგდებულ თემას. „ვინ იყო?“ - ვეკითხები. ის კაცი ყოფილა, ვის ზარსაც ველოდით. „რა თქვა?“ „მოვალო“. „როდის?“ და ა. შ. სრულად მაინც არ გადმოგცემს საუბრის შინაარსს.

დასავლეთში დატყვევებული რომან გვენცაძის, დათო სარალიძისა და სანდრო კავსაძის განთავისუფლების საქმეში სხვადასხვა ადამიანები ერთვებიან. ლაპარაკია გამოსასყიდ თანხაზე. გამტაცებლები დოლარებს ითხოვენ. აქტიურად შუამავლობს რუდიკ ცატავა, გალის გამგებელი. ნელ-ნელა ეს

ამბავი გვარდება. ფულის შეგროვებაში მგონი შევარდნაძეც მონაწილეობს. მე არაფერს მიმხელენ, ალბათ, ფიქრობენ, საქმე არ გავაფუჭო. ან რა საჭიროა ვიცოდე, ვინ საიდან იშოვის ფულს. ერთია - ცატავას აქტიურობაზე შევარდნაძეს ირონიულად ეღიმება, რაც მიანიშნებს, რომ რუდიკი იბრალებს იმას, რისი გამკეთებელიც არ არის.

თბილისის მილიცია გაიფიცა - ოთხასამდე შეიარაღებული თანამშრომელი ქალაქის სამმართველოს ეზოში ზის და მოითხოვს სამმართველოს უფროსის, გია გულუას გადაყენებას. ამაო გამოდგა თენგიზ კიტოვანის ორდღიანი მცდელობა, დაეწყნარებინა გაფიცულები. გია გულუა გვარდიელია, კიტოვანის დანიშნული. დაპირისპირებულია მილიციის ძველ კადრებთან - ივანოვთან, ზეიკიძესთან. კიტოვანი ჯიუტობს: „მაგათ ვინ კითხავს, ვინ იქნება უფროსი?“ დაუშვებელია კიდევ ერთი კონფლიქტი, ისიც - შეიარაღებულ უწყებაში. შევარდნაძე პასიურობს და მთხოვს, ჩავერიო. მივდივარ სამმართველოში. კიტოვანის შემდეგ ჩემი მისვლა უხარიათ, იმედი აქვთ, მხარს დავუჭერ: „ბატონო ჯაბა, დავიხოცებით და არ შემოვუშვებთ!“

საკითხის მთლად ასე დაყენება არ ვარგა, მილიციის გაფიცვა არ არის კარგი. ვესაუბრები ცალ-ცალკე ოფიცრებს, ხელმძღვანელებს, დაბალი ჩინის მილიციელებს - განწყობილება უაღრესად უარყოფითია. ვიდრე გია გულუას არ ვნახავ, არაფერს ვპირდები. მივდივარ სამინისტროში. აქ სხვადასხვა აზრია. თვით გულუა მთხოვს: მიმიშვით, მე თვითონ დავაწყნარებ, მაგათ ჭკუას ურევენ“. „მიშვებული არ იყავი?“ - ერთვება ზაზა ვეფხვაძე, რომელიც თან მახლავს. იგი ივანოვის მეგობარია - გულუას მოწინააღმდეგისა. შევარდნაძის პოზიცია შემრიგებლურია: გია გულუა გადაყვანილ იქნას სამინისტროში მინისტრის მოადგილის რანგში. ქალაქის მილიციის უფროსად კი, ჩემი რეკომენდაციით, ნიშნავს დავით ზეიკიძეს. თენგიზ კიტოვანი უკმაყოფილოა: „რად გვინდა ზეიკიძე. ის ჩვენი მტერია. ომის დროს მახათის მთიდან ეგენი გვესროდნენ“. „არ ვიცი, მე ასე მგონია, რომ ეგ ნამდვილი მილიციელია. 1990 წელს, შავნაბადაზე, როცა მხედრიონს შეხვედრა ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან, საქვეყნოდ თქვა: „მე არ ვიცი არავითარი პოლიტიკა და პარტიები, ჩემი საქმეა ბოროტმოქმედის დაჭერა“. „მაგ, რასაც გინდა, იმას იტყვის,

არაფრის შერცხვება“.

სადაზვერვო-საინფორმაციო სამსახურშიც დაპირისპირებაა ირაკლი ბათიაშვილსა და თემურ ხაჩიშვილს შორის. ორივეს ვიბარებ. კონკრეტულს არაფერს ამბობენ, შეუთავსებლობაზე ამახვილებენ ყურადღებას. ვეძახი შოთა კვირაიას: „შენ უნდა იყო ამ ორი ახალგაზრდის მომრიგებელი“. „არა, ბატონო ჯაბა, გამიშვით იქიდან, მაგათი შემყურე იქ ვერ ვიმუშავებ“. ასეთი განცხადება ჩემთვის მოულოდნელი და უსიამოვნოა. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მან მართლაც სიტუაცია ვერ გააწონასწოროს, ამის ასეთი განაწყენებული ტონით თქმა მაინც საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებად მეჩვენება. გამოდის, რომ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში საქმე წინ ვერ წავა - ორივე საკმაოდ ამბიციურია. არადა, რა იმედი მქონდა, რომ ახალ, ცივილიზებულ საინფორმაციო სამსახურს შექმნიდნენ. ირაკლი განათლებული ბიჭია, ვაჟკაცობა არ აკლია. თემურიც არ არის დახშული ჭკუის. რისკიანი, დაჯერებული ახალგაზრდაა. კვირაიაც, ვფიქრობდი, ასე თუ ისე, პროფესიონალია. მათი შეხმატკბილებული მუშაობა კარგ ნაყოფს გამოიღებდა. რას იზამ, საჭირო იქნება მათი დაშორება. ამის შესახებ ვეთათბირები შევარდნაძეს. ეს საკითხი მას სულ არ ადარდებს. ის კი არა, მგონი, კმაყოფილიცაა. ასეთი შემადგენლობით თვითონ ნაბიჯ-ნაბიჯ ყოფილ კომუნისტურ ბიუროკრატიას იახლოვებს. ჩემს ნახევრად ხუმრობით მიცემულ შენიშვნაზე მპასუხობს, რომ სხვებმა მუშაობა არ იციან, „ქაღალდს ვერ შეადგენენ წესიერად“. შიგადაშიგ სხდომებსაც ატარებს, თავისი მოკლე, მაგრამ მაინც შემაჯამებელი საბოლოო სიტყვით. ჩემს ირონიულ დამოკიდებულებაზე თათბირებისა და სხდომების მიმართ სერიოზულად მეუბნება: „მაშ, ქვეყანა როგორ უნდა ვმართოთ?!“ „სხდომები საქმის კეთების შესახებ ხომ საქმის კეთება არ არის. სხდომა და მიტინგი რამ გაყო? სხდომა იგივე მინიმიტინგია გადახურულში. სხდომებმა რაც დამართეს ჩვენს ქვეყანას, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ. ეს არის პატარ-პატარა სიცრუის დიდ სიყალბედ გადაქცევის მექანიზმი, პასუხისმგებლობის ანონიმურ ფორმაში გაზავების პროცესი“. არ მისმენს, ვერ იგებს, რას ვეუბნები, თუ მიაჩნია, რომ კამათს აზრი არა აქვს, ვერ გამიგია - არაფერს მპასუხობს. კვლავ ვიმეორებ მაცხოვრის შეგონებას: „ძველ ტიკში ახალი ღვინო არ ჩაისხმება“.

საინტერესო იყო ე. წ. სამართალდამცავი ორგანოებისა და რაიონული ხელმძღვანელების პირველი სხდომები. ერთი-ორჯერ დავესწარი და, უნდა ვთქვა, მართალია, თავდაპირველად კომიკურ ატმოსფეროში ტარდებოდა. კერძოდ, ამ სხდომებს ზოგი დარცხვენილი სახით ესწრებოდა, ზოგიც თითქოს სასეიროდ მოდიოდა. შევარდნაძესაც დიდიდ არ სჯეროდა ამ სისტემის რეანიმაცია, ეშინოდა, დაცინვის ობიექტად არ ქცეულიყო. და მაინც, ფარულად აქეთ-იქით ყურებაში, ამ სხდომების პრაქტიკას არ ეშვებოდა. ასევე ნელ-ნელა აკოწიწებდა თავის აპარატს და იქაც ყოველდღიური სხდომების აუცილებლობას მოითხოვდა.

თენგიზ კიტოვანი რაღაცას ფაფხურობს. გვარდიის ბაზაზე ქმნის თავდაცვის სამინისტროს, მაგრამ მაგარიც ისაა, რომ გვარდია, ასე ვთქვათ, ფეოდალურ პრინციპზე აგებული სტრუქტურაა. მთავარი ძალა რაიონებში მცხოვრები ადამიანებისაგან შედგება. მაგალითად, იგივე კასპის ბატალიონის უფროსი ტარიელ შარიფაშვილი ამავე დროს კასპის ქალაქის გამგებელიცაა - უნდა მას თავდაცვის სამინისტროში გადმოსვლა და ბატალიონის უფროსობა?! მებრძოლთა შემადგენლობაც მყარი არ არის, ისინი მეტწილად მოხალისეები არიან. მაინც რაღაც-რაღაცეები კეთდება. სიგუა მათ აფინანსებს. შექმნილია შტაბი, სადაც პროფესიონალი სამხედროები, რუსის ჯარის ყოფილი ოფიცრები შეიკრიბნენ. შტაბის უფროსად ინიშნება პოლკოვნიკი ცქიტიშვილი. თეორიულად კარგად მომზადებული და გალექსილად მოლაპარაკე ახალგაზრდა კაცია. აქვე არიან კიტოვანის ამხანაგ-მეგობრები. ზოგიერთი მათგანი, ჩემი არ იყოს, მგონი, ჯარშიც არ არის ნამყოფ-ნამსახურევი. რუსებისგან ვიღებთ ტექნიკას, იმ კვოტის ნაწილს, რომელიც საბჭოთა კავშირის გაყოფისას გვერგო. ტანკების მისაღებად კიტოვანს ახალციხეში მივყვები. თენგიზი გახარებულ-გაამაყებულია. ახლად შეღებილი ტანკები თავიანთ ფარეხებში იმედის მომცემად გამოიყურებიან. მე კიდევ არ მჯერა, რომ რუსეთი არათუ ჩვენს დამოუკიდებლობაზე დათანხმდა, კიდევ იარაღსა და ტექნიკასაც გვიტოვებს. ვინ წარმოიდგენდა ამას, დავუშვათ, რვა-ათი წლის წინათ?

შეხვედრა გვაქვს რუსი სამხედროების ოჯახებთან. არიან ისეთებიც, რომლებსაც საქართველოში დარჩენა სურთ, მხოლოდ აინტერესებთ პირობები და გარანტიები. „ჩვენ ჯერ

მოქალაქეობის კანონი არა გვაქვს, - ვუხსნი მე, - მაგრამ, ყველამ, ვისაც საქართველოში ცხოვრება და მუშაობა გადაუწყვეტია, იცოდეს, არც პრივილეგიები და არც შეზღუდვები არ იქნება: ყველანი საერთო პირობებში იცხოვროებენ“.

შევარდნაძის აპარატი ეკლექტიკურია. ირინა სარიშვილი ედპ-დან, ალეკო ბოჭორიშვილი მხედრიონიდან, ირაკლი მაჭავარიანი რესპუბლიკელების პარტიიდან. ვაჟა ლორთქიფანიძე შევარდნაძის ექოსავით არეგულირებს ურთიერთობებს. შევარდნაძეს მიაჩნია, რომ ყველაზე ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალა ჭანტურიას პარტიაა, თუმცა, ამას არ ამბობს, უბრალოდ ეარშიყება. ამბობენ, რომ მათ ლიდერებს ევროპაში ვოიაჟის დროს ფინანსური დახმარებაც გაუწია.

ახლად ჩამოყალიბებული საბაჟოს უფროსად ნიშნავს ირაკლი ქადაგიშვილს - ედპ-ს ერთ-ერთ ლიდერს. მიკვირს, რომ ეს ახალგაზრდა პერსპექტიული მოღვაწე დათანხმდა ასეთ ჩინოვნიკურ-მერკანტილურ სამუშაოზე. „ბიჭო, ირაკლი, მე შენ, სულ ცოტა, საგარეო საქმეთა მინისტრად მოგელოდი, რა ჯანდაბად გინდა საბაჟო? - ვიცინი: - მებაჟეები ჯერ კიდევ ბიბლიური ხანიდან ირიცხებიან კრიმინალებში“. შეცბუნებულია და არაფერს მპასუხობს. მარტო დარჩენილს კი შევარდნაძე მეუბნება: „იქ (ე. ი. საბაჟოში), ფულებს კი არ იღებენ, ასე ხვეტავენ“, - და მკლავით თავისკენ წმენდს მაგიდას.

ქვეყანაში კი არეული ვითარებაა. გაზეთები, აქაოდა, თავისუფლება მოგვცესო, ილანძღებიან უშვერი სიტყვებით. შევარდნაძის წინააღმდეგ იწერება სტატიები და აქა-იქ იკრიბება მიტინგები. ზუგდიდში კი თითქმის ყოველდღიური დემონსტრაციებია: „ძირს ხუნტა, ძირს შევარდნაძე!“ და ა. შ.

რკინიგზა და საავტომობილო მაგისტრალი სამტრედიის იქით უმართავია. ტვირთის გადაზიდვა რუსეთიდან აფხაზეთის გავლით უაზრობაა. თუ რაიმე საინტერესო მოდის, დააყაჩაღებენ. დასავლეთში გახიზნული, ჩვენი უყურადღებობით აღმოცენებული შეიარაღებული ბანდები თანდათან ერთიანდებიან. შევარდნაძე ადრიანი დილიდან გვიან ღამემდე იმელშია. თავისას მაინც არ იშლის - ყოველდღე ოთხ-ხუთ საათს სხდომას ატარებს. საღამოს ვხვდებით.

გამოფიტული და დათრგუნვილი ჩანს: „რა ხდება გაზეთებში, ღამე ოთხი-ხუთი საათის მეტი არ მძინავს. იქნებ დავანებო ყველაფერს თავი და წავიდე“... ამ სიტყვებს სერიოზულად არ ვიღებ, ადამიანს სჭირდება რაღაც წახალისება, მეგობრული სიტყვა. „ახლა თქვენი წასვლა ღალატია. ამ გაზეთებსა და გიჟებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ეგენი დაკარგულ ძალაუფლებას მისტირიან“. „აღარ ვკითხულობ, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა დაგიფასოს ამდენი შრომა“. „ყველაფერი იქნება, მთავარია არჩევნები ჩავატაროთ“. „გზის გამო ზარალი უკვე ორმოცდაათი მილიარდია. აქედან ნახევარი სომხეთის ვალად გვედება. დღეს კიდევ გალში გაუძარცვავთ სოჭიდან შემოსული პროდუქტები“. „წალენჯიხიდან არ უნდა გამოგეყვანეთ“, - ვერ ვითმენ, რომ არ მივაყვედრო ფუჭად ჩატარებული ექსპედიცია. „აქ ერთი ამბავი ჰქონდათ“... სიტყვას არ ამთავრებს. „ვის? თემურ ფიფიას და ნოდარ ნათაძეს? ორივე იაფფასიან პოპულარობას ესწრაფვის. ვინ არიან ეგენი? გაუშვი, მე დამბრალებოდა ყველაფერი, ოღონდ საქმე გაკეთებულიყო. ერთ მოპარულ კაბას გადავაყოლეთ საქართველოს ბედი“, - ვცხარდები მე. არაფერს მპასუხობს. „თხუთმეტი-ოცი კაცი ტყეში იყო შეყუჟული, ერთ კვირაში დამთავრდებოდა საქმე. ახლა, ჩვენი უკუქცევით წახალისებულები, ჯარად იკრიბებიან და ომი დაგვჭირდება“. არ ვისვენებ, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცი, ეს ფორმულა „ხომ ვამბობდი...“ ჯერ კიდევ ადამის ჟამინდელი წინასწარმეტყველების დაუოკებელი ვნებაა - გაფუჭებულ საქმეზე სხვა დაადანაშაულო და დააფიქსირო შენი უპირატესობა. ის კვლავ არაფერს მპასუხობს. არა მგონია მეთანხმებოდეს, ალბათ, მიაჩნია, რომ ეს ლაპარაკი ურთიერთგაღიზიანების მეტს არაფერს მოიტანს. არადა, როცა შინაგან საქმეთა მინისტრი, მისი მოადგილე, შენი თანაშემწე უშიშროების ხაზით, ადამიანთა უფლებებისა და ეროვნებათაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე ბანდიტებსა ჰყავთ დატყვევებული და ვერაფერს ახერხებ, სახელმწიფო საბჭოში კი გიკიჟინებენ, კრემლის აგენტი ხარო, არაა სახარბიელო მდგომარეობა.

მხედრიონს მოუკლეს კიდევ ერთი გამორჩეული მებრძოლი ანზორ ქაჯაია. ჩვენი „სესტრიჩკა“, ფოთის ყოფილი კომენდანტი, თავისივე სახლთან, მანქანაში ჩაცხრილეს. ვერაფერს ვიგებთ, ვინ და რატომ. საერთოდ, გართულებული

ურთიერთობა ჰქონდა ჯერ კიდევ საბჭოთა მილიციასთან. გამსახურდიას დროს კი სასიკვდილოდ დაჭრეს. ძლივს გადარჩა. მერე დაიჭირეს. ტრადიციული პროვოკაცია მოუწყვეს - „ლიმონკა“ ჩაუდეს მანქანის საბარგულში. გამორიცხული არ არის, რომ ეს კვლავ მილიციამ ჩაიდინა. ზედიზედ თავისუფლდებიან დათო სარალიძე, რომან გვენცაძე, სანდრო კავსაძე. რუდიკ ცატავა რაღაც დეტექტივს მიყვება, თუ როგორ გააპარა მან რომან გვენცაძე, მერე სანდრო კავსაძე და ა. შ. ცალი ყურით ვუსმენ. მე სხვა ცნობები მაქვს: აქ ფული დატრიალდა. ტყვეობიდან განთავისუფლებულები რაღაც მონუსხულები არიან. სანდრო კავსაძე მეუბნება: „ჩემს ცხოვრებაში პირველად ვინანე, რომ იარაღი არ მქონდა - მინდოდა, თავი მომეკლა“.

მხედრიონის ბედი გადასაწყვეტია. რაც ჩაფიქრებული იყო, აღარ გამოვა. ამას უპირველესად სჭირდება სულ სხვაგვარად მოაზროვნე კოლეგები და არა დაშტამპული კომუნისტური ფუნქციონერები და მათი მიმბაძველი დილეტანტი პოლიტიკოსები, რომელთაც რუსული იმპერიულ-ადმინისტრაციული იერარქიული წესი სახელმწიფო წყობის აუცილებელ ღერძად მიაჩნიათ და სხვაგვარი მოდელი ვერც კი წარმოუდგენიათ. ასეთ პირობებში რჩება ერთი რამ: ისევ მაშველთა კორპუსად ანუ საგანგებო სიტუაციების კომიტეტად თუ სამინისტროდ ჩამოვყალიბდეთ, მინდა ცოტა დემოკრატიული წყობის ორგანიზაცია შეიქმნას და არა კომიტეტი და არამც და არამც სამინისტრო - კიდევ ახალი ბიუროკრატიული რგოლი. მაშველთა კორპუსის ფუნქციები ცნობილია, პრაქტიკა და გამოცდილება გვაქვს. ჩვენი ბიჭები სამაშველო სამსახურს ეწეოდნენ სტიქიური უბედურების ზონებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. მაგალითად, 1990 წლის ირანის ცნობილი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში აქტიური მონაწილეობისა და თავდადებისათვის საქართველოს მაშველთა კორპუსი ირანის მთავრობამ დააჯილდოვა და იგი დამოუკიდებელ სამაშველო სამსახურად შევიდა მსოფლიო კომპიუტერულ ცენტრში. ყოველივე ამას მოვუთხრობ შევარდნაძეს. თითქოს გულისხმიერად ეკიდება ჩემს ამ კომპრომისულ გეგმებს, მაგრამ შემდეგ შეხვედრაზე, კონკრეტული ღონისძიების გატარების მაგიერ, უკვე ბანზე მიგდებს სიტყვას. ვფიქრობ, ეს სხვადასხვა ძალების უარყოფითი გავლენაა. საერთოდ, შევარდნაძე ცუდს უფრო იოლად იჯერებს, ვიდრე კარგს.

არადა, მაშველთა კორპუსის სახელმწიფო სტრუქტურაში ჩასმა საჩქარო და აუცილებელი საქმეა, არა მხოლოდ უსაქმოდ დარჩენილი ბიჭების ნაწილისათვის, არამედ თვით ქვეყნისათვის. ახალი ეროვნული სისხლისღვრის ჩართვა სულიერ და პრაქტიკულ ცხოვრებაში, არაკომუნისტურ-ჩინოვნიკური სტრუქტურა, რომელიც ფსევდო-ენთუზიასტურ ლოზუნგებს კი არ ემყარება: „ჩვენი სახელოვანი მთამსვლელები“, „ჩვენი გმირი ახალგაზრდობა“, და ა. შ., რომელიც ხალხმა სასაცილოდ აიგდო სარკასტული ლოზუნგით: „ვინც წყალში იხრჩობა, მისი გადარჩენის საქმე უპირველესად მისივე ხელშია“ და სხვა, არამედ, ლაპარაკია ხალხის, ახალგაზრდობის წიაღიდან პატრიოტულ-მხედრული სულის, აღორძინებული ძალის ადგილის მიკუთვნებაზე ქართულ ყოფიერებაში. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგეს ახალგაზრდა კაცი, რომელსაც, სხვა შესაფერისი მონაცემების გარდა, მხედრული ავტორიტეტიც ექნება. ჯერჯერობით არჩევანი ნუგზარ ჟღენტზე შევაჩერე. მან უკვე მოამზადა ამ სტრუქტურის მოდელი და სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე წაიკითხა მისი პროექტი. საუბედუროდ, სახელმწიფო საბჭოს სულ არ აინტერესებს ეს საკითხი. განხილვამაც უფერულად და უშედეგოდ ჩაიარა. ისიც უნდა ითქვას, რომ არიან ძალები, რომლებიც შინაგანად მტრულად ეპყრობიან ამ პრობლემას. ეს მათი შეზღუდული თვალსაწიერის ბრალია, პიროვნული ანტიპათიით ნაკარნახევი განწყობა თუ რაღაც კონკრეტული მერკანტილური ჩანაფიქრი - ჩემთვის გაუგებარია. მაინც ვცდილობ, ბიჭები დავასაქმო და შეძლებისდაგვარად მოვაწყო. ერთი ჯგუფი - ზაზა ფეტელავა, ზალიკო ამაშუკელი, დათო მამულაშვილი, გიორგი ჩარგეიშვილი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში შემყავს. შინაგან საქმეთა სამინისტროში ორივე მხრივ ჭირს ჩანაფიქრის შესრულება. ბიჭებიც თაკილობენ მილიციაში მუშაობას და არც მილიციას სურს, მიიღოს „არაპროფესიონალები“. თავდაცვის სამინისტროს გადავეცი თეთრიწყაროს ბატალიონი. თენგიზ კიტოვანს ერთ-ერთ მოადგილედ გიგა არველაძე შევთავაზე. უბრალო ჯარისკაცებად ბიჭები არ წავლენ - ჯერ ერთი, უმეტესობას ჯარი მოვლილი აქვს, მეორეც - წვევამდელის ასაკისაც ძალიან ცოტაა. ეს პრობლემას ვერ გადაწყვეტს. თენგიზ სიგუა, რამდენჯერაც მაშველთა კორპუსის სტრუქტურად ჩამოყალიბებაზე ვუწყებ საუბარს, ყველაფერზე მეთანხმება და არაფერს აკეთებს. აქ ერთი მომენტიც არის:

გამსახურდიას მმართველობის პერიოდში სიგუა პრემიერ-მინისტრი იყო და ჩვენი ორგანიზაციის - მაშველთა კორპუსის ოფიციალურად გაუქმებაში, რამაც ჩვენ არაფორმალებად გაგვხადა და ჩვენი დაპატიმრების ფსევდო, მაგრამ რაღაც კანონიერების საბაბი მისცა, მასაც მიუძღვის ბრალი. საქმე ის არის, რომ კომუნისტური მმართველობის ბოლო დღეებში მაშველთა კორპუსი მთავრობამ დაამტკიცა, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მისი გაუქმება შეიძლებოდა მხოლოდ სასამართლოს წესით და არა მთავრობის დადგენილებით. ამას ისიც ემატებოდა, რომ ჩვენი ბიჭები გამოუცდელები იყვნენ ბიუროკრატიული პროცედურების ჩხირკედელაობაში და საქმე ერთგვარად დინებაზე ჰქონდათ მიშვებული. ერთი სიტყვით, მხედრიონის რეადაპტაციის პროცესი წინ ვერ მიდიოდა.

სახელმწიფო საბჭო უკვე სააქტო დარბაზში დაფუძნდა. რამდენჯერმე მომიწია თავმჯდომარეობა. მომქანცველი მოვალეობაა. წინდაწინ იცი, რაც უნდა თქვას ამა თუ იმ ორატორმა, მაგრამ ხომ ვერ დაუშლი, გამოდის და ყბედობს. ეს ჩვენი მომიტინგე ლიდერები თანდათან საპარლამენტო დარბაისლობისაკენ იხრებიან. ამაში დიდია შევარდნაძის როლი, საქმიანი დამოკიდებულება, მოპაექრის აზრის გათვალისწინება, ქაღალდითა და ფანქრით აღჭურვილობა, შიგადაშიგ ზომიერი ქათინაურები, მეგობრულ-ირონიული იუმორი. ატმოსფერო მეტ-ნაკლებად ტოლერანტულია. ვემზადები არჩევნებისათვის: პარტიები ბლოკებად ერთიანდებიან, იქმნება ახალი საზოგადოებები და, რასაკვირველია, პოპულისტობენ ტელევიზიის მეშვეობით. არჩილ გოგელია, ძველი გამოცდილებით, შევარდნაძის პერსონის გადამეტებულ რეკლამირებას იწყებს. ვფიქრობ, ეს უკურეაქციას გამოიწვევს მაყურებელში. ამის შესახებ ვეუბნები არა გოგელიას (ეს არაფერს მოიტანს), არამედ შევარდნაძეს. იგი მეთანხმება, თუმცა, გზადაგზა ირკვევა, რომ მას სურს, შემაჯამებელი სიტყვებით, გამოსვლების მთლიანი ტექსტით და ზოგადი ჭკუის სწავლებით ძველებურად ცენტრალურ ფიგურად დამკვიდრდეს ტელევიზიის პროგრამებში. ამას ალბათ, ვერაფერი მოერევა. იქნებ საჭიროცაა. არ ვიცი. ეს თავსმოხვეული ჭკუის დარიგება ჩემში უსიამო ასოციაციებს იწვევს. კომუნისტურ-პროპაგანდისტული შტამპებია, მეტი არაფერი.

ზვიადისტები მთელ ძალ-ღონეს ხმარობენ, რათა არჩევნები არ შედგეს, რომ „ხალხის მიერ არჩეული 87-პროცენტიანი პრეზიდენტი“ - მათი კოზირი - არ გახუნდეს. თვით საბჭოშიც ყოფილი მრგვალი მაგიდის წევრების ერთი ნაწილი, მას შემდეგ, რაც ირწმუნეს, რომ ჩვენგან შურისძიება გამორიცხულია, ცდილობს, რევანშისტული გარე ძალების გავლენა სახელმწიფო საბჭოში შემოიტანოს თავისი პოზიციების გასამაგრებლად. ასეთ მიმართებას ეპიზოდურად უერთდებიან ყოფილი ოპოზიციონერები: ირაკლი წერეთელი, ნოდარ ნათაძე. პოლიტიკის მეთოდების მწვერვალად ედპ-ს მოულოდნელი გადახტომ-გადმოხტომები მიაჩნია. დღეს საქართველოში ყველაზე აქტიური ძალა მხედრიონია. ეს დიდად განაპირობებს არჩევნების შედეგებს.

ჩვენ, როგორც ორგანიზაცია, არჩევნებში არ ვმონაწილეობთ. პერსონალურად სულ სამნი ვართ: მე, გელა გოდერძიშვილი და მურთაზ ჭანკვეტაძე. სამაგიეროდ, მხარს ვუჭერთ შევარდნაძეს და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას. ამიტომ ყველა რევანშისტისა და სხვა პარტიების პირველ მოწინააღმდეგედ ძალაუნებურად ჩვენ გამოვდივართ. ჯერ კიდევ გაუბედავად, მაგრამ მაინც იწყება მოძრაობა მხედრიონის წინააღმდეგ. აღდგა ის ჭორები და ინსინუაციები, რომელსაც დღენიადაგ ავრცელებდა გამსახურდიას რეჟიმი. მხედრიონელისგან რაიმე პატარა დანაშაულიც კი საქვეყნოდ სალაპარაკო ხდება. აი, მხედრიონელმა ვიღაცას ფული წაართვა. როდესაც საქმეში ჩაიხედავ, მეტწილად სხვაგვარად არის ხოლმე ყველაფერი, თუმცა, იყო რაღაც შემთხვევებიც, რისთვისაც ვსჯიდით, მაგრამ ამას არ ვახმაურებდით. მაგალითად, ხაშურის მხედრიონი საერთოდ დავშალეთ და დაყაჩაღებისა და რეკეტიორობისათვის ერთ-ერთ მათგანს ბუღამ ფეხებიც კი გადაუმტვრია. ახლაც იწყება ეს ჩუმი კამპანია. რამდენიმე პროვოკატორი დავაკავეთ. ბიჭებმა კარგა მაგრა დათეთქვეს. ვატყობ, რომ შემოგზავნილი აგენტებიც გვყავს არათუ სხვადასხვა უწყებებიდან, არამედ პარტიებიდანაც. არ მინდა, რომ ჩვენში უნდობლობის და ეჭვიანობის ატმოსფერომ დაისადგუროს, ჩვენ ხომ ერთმანეთს სიცოცხლეს ვანდობთ, ჩვენ ხომ სიკვდილზე ერთად მივდივართ. ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით ვიმეორებ: „ძალიანაც კარგი, თუ აგენტები გვყავს. ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს, დაე, ჩვენი საქმეები ყველამ იცოდეს“.

იწყება მიწის ნაწილობრივი რეფორმა, თუმცა, მე ჯერ კიდევ 1992 წლის იანვარში მოვითხოვე მისი ფართო მასშტაბით გაშლა. ამ პროცესს პაატა კოღუაშვილი, თენგიზ სიგუა და ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობენ. დეტალურად არ ვიცი, მაგრამ ის, რაც მიწის დენაციონალიზაციამ უნდა გამოიწვიოს, ის აჟიოტაჟი, კმაყოფილება, რაც უნდა ახლდეს მიწის უსასყიდლოდ გლეხისათვის გადაცემას, არ ჩანს. მეტიც - რაღაც უსიამოვნო ინციდენტები ხდება. 1992 წლის 18 იანვრიდან მოყოლებული, მიწის რეფორმის პრობლემასთან დაკავშირებული ბრძანებულებების სიჭარბე (წელიწადში ერთი დეკრეტი, ორი ბრძანებულება) და, საერთოდ, ის, რომ გაცემულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 22,2 პროცენტი და ამას ეკონომიკური გამოცოცხლება არ მოჰყვა, მაფიქრებინებს, რომ რეფორმა პალიატიურია. შევარდნაძის შემდგომმა მოღვაწეობამ დამარწმუნა, რომ პრობლემებისადმი მისთვის დამახასიათებელი მიდგომა სწორედ პალიატივია, ან, უკეთეს შემთხვევაში, ასე ვთქვათ, „ნონ ფინიტოს“ მეთოდი: სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალების მქონე გადაწყვეტილების მიღება ან მიუღებლობა და დინებაზე მიშვება. ასე წყდებოდა სამოქალაქო ომის პრობლემები. რაიმე აქციის წამოწყება და შემდეგ ტაქტიკური მოსაზრების ან სიფრთხილის გამო შეწყვეტა. კერძოდ, ასე გამოიყვანეს მხედრიონი წალენჯიხიდან, ასე იყო კუპონის შემოღების შემთხვევაში, ე. წ. ფასების ლიბერალიზაციის გამოცხადებისას, პურის ფასების გადიდებისას, რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმებისას, ბაზების ყოფნა-არყოფნის შეთანხმების გაჭიანურებული პარაფირების დროს, გუბერნატორ-რწმუნებულის ინსტიტუტის შემოღებისას, და ბოლოს, დაუმთავრებელი კონსტიტუციის მიღებისას. ამის შესახებ გზადაგზა საჯაროდ ვსაუბრობდი როგორც სახელმწიფო საბჭოში, ისე პარლამენტსა და ტელევიზიაში, მაგრამ ჩემს სერიოზულ განცხადებებს არათუ რაიმე გამოხმაურება არ მოჰყოლია, ვერც კი გარკვეულიყვნენ, რა დეფექტურ პოლიტიკურ მოვლენასთან გვქონდა საქმე. ასევე ნახევარზომებით ან პარალელიზმებით ხასიათდებოდა საკადრო პოლიტიკაც. ამას უფრო იგებდნენ ჩვენი კოლეგები, რადგან ეს ყველას ეხებოდა.

პარლამენტში ჩემი ერთ-ერთი გამოსვლა სპეციალურად ამ საკითხს დავუთმე. ერთმანეთისაგან განვასხვავებდი

კომპრომისსა და პალიატივს, რადგანაც ჩვენს პოლიტიკურ ქმედებათა გვირგვინად ითვლებოდა კონსენსუსი, კომპრომისი და აქვე შემოპარული პალიატივი. მე ვასაბუთებდი, რომ შევარდნაძის კომპრომისების პრაქტიკა ფაქტობრივად პალიატივიზმია. თუ კომპრომისი ორმხრივ დათმობას ემყარება, პალიატივი საქმის ნახევრად კეთებას, უკეთ, დაუმთავრებლობას, მისი გადაწყვეტის მომავლისთვის გადატანას გულისხმობს. პერიოდულად კერძო საუბრებში და კონკრეტული საკითხების განხილვისას შევარდნაძესთან მიბაასია ამაზე, თუმცა მე ფორმულირებას არ ვუკეთებდი და არ ვაზოგადებდი. ასეთ შემთხვევაში შევარდნაძისათვის მთავარი საზრუნავი პოპულისტური ბალანსი და პიროვნული ურთიერთობის რეგულაციაა.

ისე, კაცმა რომ თქვას, აფხაზეთში თავის დროზე პრობლემებისადმი პალიატიურმა მიდგომამ დღევანდელ შედეგებზე დიდი გავლენა იქონია. აფხაზეთში სეპარატიზმის კანონიერების დროშად ახლაც ფრიალებს გამსახურდიას მიერ კურთხეული აპარტეიდის კანონი. აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოდან მისი გამოყოფის შესახებ. მართალია, ამაში ქართველი დეპუტატები არ მონაწილეობდნენ, მაგრამ 26-28 ლიმიტირებულმა აფხაზთა უმრავლესობამ 11 ნეიტრალური ხმის ნაწილობრივი გადმობირებით რაღაც იურიდიული დოკუმენტი მიიღეო. გარდა ამისა, აფხაზეთში გრძელდება კარიერისტული ომი. კომუნისტების ეროვნული პოლიტიკის დოგმა იყო ეთნიკურად ბალანსირებული ხელმძღვანელობა (როცა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აფხაზია, მაშინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ქართველია და ა.შ.). ამჯერად დიდი ხნის განმავლობაში არ არის მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, თუ ვინ იქნება აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. რატომღაც მგონია, რომ ამას კარგად შეძლებდა გივი ლომინაძე, ახლანდელი შინაგან საქმეთა მინისტრი. მას ჯერ კიდევ კომუნისტების მმართველობის, აფხაზეთში მხედრიონის ექსპედიციების დროიდან ვიცნობ. იგი მხოლოდ მილიციელი არ არის, პოლიტიკაშიც კარგად ერკვევა. კომუნისტებიდან გადაინაცვლა მრგვალ მაგიდაში, ახლა ტრადიციონალისტი და შევარდნაძისტიცაა. ლაპარაკი შეუძლია და პატრიოტობაზე თავს დებს. ამავე დროს, ვფიქრობ, რომ იგი შსს-ში თავის კაცს დატოვებს, ყოველ შემთხვევაში, მისი კადრები იქ დარჩებიან

და ეს მისცემს მის თანამდებობას რეალურ ძალას. შევარდნაძე მეთანხმება, თუმცა, უნდა ვთქვა, რომ აღფრთოვანებული არ არის. ვურეკავ ვლადისლავ არძინბას, გადაწყვიტოს ეს საკითხი. იგი თანახმაა, თუმცა, შემდეგ შევიტყვე, რომ ჩვენი სატელეფონო საუბრის დამთავრებისთანავე უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საჯაროდ უჩივლია: აი, თბილისიდან დამირეკა ჯაბა იოსელიანმა და დამაძალა, გინდა თუ არა, ლომინაძე დანიშნეო. გადავწყვიტე, აღარასოდეს ველაპარაკო მას. ცოტა ხანში ლომინაძეს დაესხნენ აფხაზთა აქტივისტები, თავი გაუტეხეს და სამსახურიდან გამოაგდეს. ასევე მოექცნენ ზურაბ ლაბახუას - მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც სუსტ, მაგრამ მაინც ოპოზიციაში ედგა არძინბას. ერთი სიტყვით, არძინბა დაუფარავ პროვოკაციებზე მიდის. ცხინვალის რეგიონის პრობლემა თვითდინებაზეა მიშვებული, მიუხედავად იმისა, რომ შედგა სამშვიდობო კონტინგენტი: რუსის ჯარი, ჩვენი გვარდიის ნაწილები და ოსთა ბოევიკები - მათ უნდა დაიცვან მშვიდობა. ჩვენი მხრიდან ამას უხელმძღვანელებს პანტელეიმონ გიორგაძე, ძველი საბჭოთა გენერალი, მესაზღვრეთა ჯარების ერთ-ერთი სარდალი. ბოლო დროს იგი ცეკაშიც მუშაობდა. არ ვიცი, იქ რას აკეთებდა. მხოლოდ ის ვიცი, რომ მან, როცა მხედრიონის ჩამოყალიბების ამბავი გაიგო, კაცი გამომიგზავნა და წინადადება მომცა, სამხედრო საქმის შესასწავლად მისთვის გამომეყო რამდენიმე ახალგაზრდა. ეს მაშინ პატრიოტული და არაორდინარული ნაბიჯი იყო ოფიციალური მოხელის მხრიდან. მე ამოვარჩიე ხუთი ახალგაზრდა, მათ შორის, ირაკლი ბათიაშვილიც, მაგრამ მერე ისტორიის ქარბორბალა მოულოდნელად სწრაფად დატრიალდა და ეს საქმე აღარ გამოვიდა. პანტელეიმონ გიორგაძეს პირველად უშიშროების და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე შევხვდი. იგი ანგარიშს გვაბარებდა ცხინვალში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. მე კარგად ვიცი იქაური ვითარება, განწყობა, ყურადღებით ვუსმენ და მიკვირს, ეს უკვე ხნიერი კაცი როგორი შემართებით საუბრობს და მოვლენებს როგორ ობიექტურად აშუქებს. იგი სრულიადაც არ სარგებლობს ჯერ კიდევ გამსახურდიას მიერ დანერგილი შტამპებით, რომ ქართველთა მხარეში (მოსახლეობას შეეხება ეს, გვარდიას თუ ადგილობრივ რაზმეულებს) ანგელოზები არიან და ოსების მხარეში - კაციჭამიები. პანტელეიმონ გიორგაძე გადმოგვცემს რეალურ ვითარებებს. ეს ყურს ჭრის თენგიზ სიგუას, უხეშად აწყვეტინებს და ურაპატრიოტული

ბანალური ფრაზებით ტუქსავს „პოლიტიკაში გაურკვეველ“ გენერალს. ჰოდა, პანტელეიმონმა ისე ღირსეულად, კაცურად, თანაც, არაუზრდელურად, მაგრამ მკაცრად მოაკეტინა ჩვენს ჭკუის დამრიგებელს, რომ მე დიდი სიმპათიით განვიმსჭვალე მისდამი.

კიტოვანს ახალი იდეა აწუხებს - თავდაცვის სამინისტრო ნახევრად ცივილური უნდა იყოს, როგორც, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფინეთში და სხვა ქვეყნებში. პოლკოვნიკ ცქიტიშვილს უკვე სქემები მოუმზადებია და მოდელს გვაცნობს. თეორიულად თითქოს მისაღები პროექტია, მაგრამ მაგარიც ისაა, რომ ჯერ თვით თავდაცვის სამინისტრო არ არსებობს, პირადი შემადგენლობა დამყარებულია გვარდიის არამყარ კონტინგენტზე, რომელსაც სამხედრო ამოცანებსა და მიზნებზე მეტად სამეურნეო საქმეები და პრივატიზაციის სფერო აინტერესებს.

ზუგდიდში, ჩხოროწყუში, წალენჯიხასა და ნაწილობრივ გალში ჩვენი ხელისუფლება არ ფუნქციონირებს. ამ რაიონებში უკვე გამოიკვეთა რევანშისტების ხელმძღვანელობა ქობალიებისა და გროზნოდან გამოგზავნილი ემისრების სახით. ზვიად გამსახურდია ავრცელებს მოწოდებებს „ხუნტის“ წინააღმდეგ პარტიზანული ომის გააქტიურების, დივერსიებისა და დაუმორჩილებლობის თაობაზე. გროზნოში იწვევს უმაღლესი საბჭოს სესიებს, გზავნის სამხედრო დახმარებას.

ცხინვალში თითქოს დაწყებული სამშვიდობო პროცესი ჩაიშალა. სოფელ კეხვთან ახლოს ააფეთქეს ავტობუსი. სამწუხაროდ, დაიღუპა 32 მშვიდობიანი მოსახლე - ოსი ქალები და ბავშვები. ეს პატრიოტობასა და ვაჟკაცობაში ეთვლებათ მის შემსრულებლებს. არის მინიშნებები, რომ ეს გვარდიის ზოგიერთი ურაპატრიოტი ხელმძღვანელის მიერ მოწყობილი აქტია.

ზუგდიდი-გალი-სოხუმის რკინიგზა და ავტოტრასა ფაქტობრივად რევანშისტების კონტროლს ექვემდებარება. არძინბა ინტენსიურად იარაღდება, აყალიბებს შინაგანი ჯარის ნაწილებს აფხაზი მოსახლეობის შემადგენლობით. რევანშისტებთან შემწყნარებლური დამოკიდებულება აქვს.

აფხაზეთი

სახელმწიფო საბჭოში სულ უფრო ხშირად გაისმის ბატონ პრეზიდენტის სახელი. აფხაზეთიდან ჩამოსული დელეგაციები, სახელმწიფო საბჭოს მხარდამჭერნი და პოლიტიკურად უორიენტაციო მოქალაქენი დაჟინებით მოითხოვენ სამხედრო ძალის შეყვანას აფხაზეთში. ბორის კაკუბავა - ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი აფხაზეთში - მთხოვს იარაღს, სურს, სოხუმში ჩამოაყალიბოს მხედრიონი. ვაძლევ რამდენიმე ათეულ ავტომატს და ტყვია-წამალს. უმაღლესი საბჭოს დეპუტატებიც იმ აზრისა არიან, რომ აფხაზეთში ჯარი შევიყვანოთ. არძინბა აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრად ჩვენ დაუკითხავად ნიშნავს ალიკა ანქვაბს. გივი ლომინაძე თბილისის საავადმყოფოში წევს. ტვირთის გადაზიდვის საქმე კრიტიკულ მდგომარეობაშია - სოჭის მხრიდან საერთოდ აღარაფერი შემოდის.

შევარდნაძე პრეზიდიუმის სხდომებს საკითხთა მიხედვით ფართო შემადგენლობით იწვევს. ჩვენ, ოთხნი, უკვე დავიქსაქსეთ. კიტოვანი და სიგუა - ერთად, შევარდნაძე - ცალკე. მე მათ შორის ჯერჯერობით მომრიგებელი ვარ. თუმცა, თვით შევარდნაძე თენგიზებს არ უპირისპირდება. თუ რაიმე წვეტიანი საკითხია, ჩემი ინიციატივის იმედი აქვს და, უნდა ვთქვა, მე ეს ჩემს მოვალეობადაც მიმაჩნია.

ვგეგმავთ რკინიგზის მუდმივი კონტროლის ღონისძიებას სამტრედიიდან სოჭამდე. თავდაცვის სამინისტროსა და შინაგანი ჯარების ხელმძღვანელობას დავალებული აქვთ, აღრიცხონ ხალხის რაოდენობა, აღჭურვილობა, პროვიანტი, ზონები, ხელმძღვანელთა შენაცვლების პუნქტები, სადგურებში კავშირგაბმულობის ცენტრები. ქაღალდზე ყველაფერი, ასე ვთქვათ, „აჟურშია“. მე კი მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი სინამდვილესთან ნაკლებ კავშირშია. ამ ღონისძიების განხორციელებას ორი ათასი ჯარისკაცი სჭირდება. გვყავს ამის შემსრულებელი ადამიანები? თენგიზებმა ლამის სასაცილოდ ამიგდეს. „როგორ? გვარდია, შინაგანი ჯარი“, - ამბობენ ისინი. ამასვე იმეორებენ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელები. შევარდნაძეც მათკენ იხრება. ვიცი, რომ ეს, უკეთეს შემთხვევაში, კამპანია გამოვა. ინერციამ, დიდი-დიდი, ერთ

კვირას გასტანოს. ასეთი სერიოზული, მასშტაბური სამსახურისათვის არც გვარდიაა მზად, არც შინაგანი ჯარი. საქმე რომ გაკეთდეს, ეს ორი ათასი კაცი ხომ იქ უნდა გადასახლდეს? მაგალითად მომყავს კასპის გვარდიის ბატალიონი: რა, ეს კასპელები ოჩამჩირეში, გალში, სამტრედიაში, გულრიფშში, სოხუმში გადასახლდებიან? „მარტო სატრანსპორტო მილიციაში 900 კაცია“, - მპასუხობენ. „ჰო, მაგრამ მათ არც იარაღი აქვთ და სხვა ათასი მოვალეობაც აკისრიათ. ხეირიანად იმასაც ვერ ასრულებენ“. კამათს აზრი არა აქვს. ყველა ძალიან მომხიბვლელად ლაპარაკობს - ენა კომკავშირში აქვთ გალესილი.

მხედრიონს შეგნებულად არ ვრთავ ამ ოპერაციაში. ჯერ ერთი, მინდა, იგი მაშველთა კორპუსში განვალაგო, მეორეც - ვერც მხედრიონელები გასწევენ ამ ყოველდღიურ ჭაპანს. გარდა ამისა, ყველა კრიტიკულ მომენტში მხედრიონის ჩართვამ მათ ჯერჯერობით კარგი არაფერი მოუტანა. პირიქით, თუ რამე ისე არ მოხდება, ან დაშავდება, მაშინვე მხედრიონს დააბრალებენ. ეს ბუნებრივიცაა - ვინც არაფერს აკეთებს, მას ვერც ვერაფერს მოსთხოვ. არადა, დარწმუნებული ვარ, ბოლოს ყველაფერი მაინც ჩვენი გასაკეთებელი იქნება. კიდევ ერთი ფაქიზი მომენტია გასათვალისწინებელი: აფხაზი მოსახლეობისა და მათი ხელმძღვანელების დამოკიდებულება ამ ღონისძიებასთან. შევარდნაძე გვარწმუნებს, რომ არძინბა თანახმაა, თავისი მხრიდან გამოყოს ასი კაცი და ჩაერთოს ამ ოპერაციაში. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ შეიძლება გარისკვა. ამით ორ კურდღელს დავიჭერთ: რევანშისტების, ბანდებისა და ყაჩაღების თარეშს აღვკვეთთ და აფაზეთში მიმდინარე პროცესებზეც, პირდაპირ თუ ირიბად, ზემოქმედებას მოვახდენთ. ვთანხმდები. ჩათრევას ჩაყოლა სჯობია.

ეს გეგმა გაგვაქვს სახელმწიფო საბჭოზე და იქ ვიღებთ ოფიციალურ დასტურს. იწყება სამზადისი. იკრიბებიან გვარდია, შინაგანი ჯარი, სატრანსპორტო მილიციის ნაწილი, ქალაქის მილიცია 500 კაცით, ზეიკიძის მეთაურობით. საერთო ხელმძღვანელი, რაღა თქმა უნდა, კიტოვანია, თუმცა, ეს მხოლოდ სახელია. ყარყარაშვილი ნაკლებად უჯერებს მას, მე არაფერში არ ვერევი. ოღონდ მაკვირვებს მარში: იმის მაგიერ, რომ მობილური ჯგუფები შექმნან, ერთ დიდ კოლონად ჩამწკრივებულან, ახლად მიღებული ტანკებითა და ქვემეხებით, დისტანციის დაუცველად მირიხინებენ. შემდეგ,

როგორც შევიტყვე, გალის მიდამოებში ზეიკიძე თავისი ხალხით დაწინაურებულა. გვარდიას, ოჩამჩირესთან შემოვლით, გზიდან გადაუხვევია. ქალაქის მილიციისთვის კი სოფელ ოხურეისთან აფხაზ ბოევიკებს ცეცხლი გაუხსნიათ. ინციდენტს მსხვერპლი მოჰყვა მილიციის მხრიდან და ზეიკიძე, ტექნიკის რამდენიმე ერთეულითა და მანქანებით, უკან, თბილისში დაბრუნდა ამ სიტყვებით: „ომი რა მილიციის საქმეაო“. ამ დროს კი ჯარმა გაიარა ოჩამჩირე, მიადგა სოხუმის გარეუბანს. არძინბას ბოევიკებმა ბაბუშერას აეროპორტი დატოვეს და სოხუმის შესასვლელთან, წითელ ხიდთან გამაგრდნენ.

მირეკავს შევარდნაძე. შეშფოთებულია. მიყვება იმას, რაც უკვე ვიცი, და მეკითხება: „სად არის კიტოვანი? მეორე დღეა არ ჩანს, არძინბასათვის უნდა დაერეკა. ვერსად ვპოულობ“. პატარა პაუზის შემდეგ დასძენს: „თავი ხომ არ მოიკლა?“ ვიცინი. „ქუთაისში იქნება“. ნაწყენია ჩემი არასერიოზულობით. ყურმილს ვკიდებ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მირეკავს. „იცით, თქვენ მართალი გამოდექით. წყალტუბოში ყოფილა“. მე ვიხუმრე და მართლა იქ არ ყოფილა!..

ვიკრიბებით შევარდნაძესთან. სიტუაცია საგანგაშოა - ომი იწყება. საჭიროა ადგილზე ყოფნა. მე ხომ ვიცი, რა არეულობა და იმპროვიზებული ვითარება იქნება, მით უმეტეს, რომ კიტოვანი იქ არ არის. მე და სიგუა იმ დღითვე მივემგზავრებით სოხუმში. შევარდნაძეს გამოკვეთილი პოზიცია არა აქვს: მე დაჟინებით მოვითხოვ, შეჩერდეს ყოველგვარი სამხედრო აქტივობა. ბაბუშერას აეროპორტში ჩვენი სამხედროები არიან განლაგებული, არის ტექნიკაც. საღამოა. მოსაცდელის დიდ დარბაზში, მკრთალი სინათლის შუქზე, ლანდებივით მოძრაობენ ჩვენი ოფიცრები. არავინ იცის, რა უნდა აკეთოს ან ვინ სად არის. ვცდილობ, გავერკვე ვითარებაში, მივიღო რეალური ინფორმაცია. ერთია, რომ განწყობილება, როგორც ქართველებს გვჩვევია (ვიდრე რაიმე სერიოზულად არ შეგვანჯღრევს), არხეინია. მივდივარ სინოპში, სადაც, როგორც ამბობენ, დროებითი შტაბია. მაფრთხილებენ, რომ გზაში ყურადღებით ვიყოთ. როგორც კი აეროპორტის მიდამოებს გავცდებით, მრავალსართულიანი შენობებიდან ესვრიან გამვლელ-გამომვლელს, განსაკუთრებით ავტომანქანებს.

გავდივართ ტრასაზე. უკუნეთია. ჩქარი სვლით

ვუახლოვდებით აღნიშნულ ადგილს. არავითარი სროლა, მშვიდობიანად მივაღწიეთ სინოპს. აქ გვარდიელები, ნაცნობი ბიჭები გვხვდებიან და მიგვაცილებენ „გოსდაჩამდე“. მის ეზოსა და შესასვლელში უამრავი ხალხი ირევა: სამხედროები, აფხაზეთის ხელისუფლების ქართული წარმომადგენლობა, მოქალაქეები. თენგიზ კიტოვანი არსად ჩანს. ვუსმენ არაოფიციალურ ანგარიშს შექმნილი სიტუაციის შესახებ. სამხედროები ჰყვებიან ოხურეიში მომხდარ ამბავს, იმას, რომ გვარდიელებმა ოციოდე აფხაზი ტყვედ აიყვანეს. მაინტერესებს (ოსური გამოცდილებიდან), ვინ ჰყავთ მხედველობაში - აფხაზი ბოევიკი, მოქალაქე თუ მოსახლე. თურმე ბოევიკები, თუმცა, ბევრ მათგანს იარაღი არ აღმოაჩნდა. ერთიმეორის წაქეზების ატმოსფეროა. საერთო აზრი იქით იხრება, რომ ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს. თუ არ სურთ ჩვენთან ადამიანური ცხოვრება, წავიდნენ, საიდანაც ჩამოთრეულან. უფრო თავშეკავებული აზრი იშვიათია. მათ შორის გამოირჩევა ავთანდილ იოსელიანი, აფხაზეთის „კაგებეს“ უფროსი. „ბატონო ჯაბა, ომის დაშვება არ შეიძლება“. მეც მაგ აზრისა ვარ.

შუაღამეა. მივდივარ, რომ ჩვენი ჯარის განლაგების ადგილი დავათვალიერო. არავითარი პოზიციები. მთელ ტრასაზე წითელ ხიდამდე დგას ერთიმეორეზე მიყრილი ტექნიკა და მანქანები. ჯარისკაცებიდან ზოგი დასაძინებლად ეწყობა, ზოგნი ტანკებთან და მანქანებთან ჩაცუცქულები, საუბრობენ. სადღაც სვამენ კიდეც. სამი-ოთხი დივერსანტი ამათ ააფორიაქებს - მტრისას! ხიდთან ტანკებით და ფილებით ჩახერგილი პიკეტია. ვბრუნდები „გოსდაჩაში“. სიგუაც აქ არის. „ხვალ თენგიზი ჩამოვა“, - მეუბნება. მაინტერესებს, რა ჭკუაზე არიან აფხაზთა ხელმძღვანელები: ბაგაპში, ანქვაბი, ლაბახუა. მათთან კავშირი აქვს ავთანდილ იოსელიანს. ვაბარებ, შემხვდეს ზურაბ ლაბახუა. სიგუაც ჩემს ჭკუაზეა: აუცილებელია, ჯერ ვცადოთ მოლაპარაკება. დერეფანში ვხვდები გენო ადამიას. მეუბნება, რომ მისი ლაშქარი მზად არის საბრძოლველად. მართალია, საკმარისი იარაღი არა აქვთ, მაგრამ ჩვენი და პირადად ჩემი იმედი აქვთ. ქუჩიდან შემოდიან აღელვებული ბორის კაკუბავა და თემურ ჩამბა. გვარწმუნებენ, რომ ქალაქში დაიწყო ქართველი მოსახლეობის რბევა. აფხაზებთან ერთად ჩეჩნებიც შეუმჩნევიათ. ერთსაც ვიცნობ და მეორესაც, თუმცა არაფერს ვამბობ.

პირველ სართულზე, სასტუმრო ოთახში, მაგიდას შემოსხდომიან თამაზ ნადარეიშვილი, გივი ლომინაძე და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს კიდევ რამდენიმე დეპუტატი, მათ შორის, ზვიადისტებიც. ლომინაძეს სუფრის „ავტონომიური“ წრე შეუკრავს და შამპანურს სვამენ. დანარჩენები მსჯელობენ და კამათობენ. ერთი აზრი მომდის, როგორც რუსები ამბობენ, „ნეტ ხუდა ბეზ დობრა“. იქნებ ამ ეროვნულმა სატკივარმა ახლა მაინც გაგვაერთიანოს. ამის სიმპტომები უკვე ჩანს - აქ არიან ცნობილი რევანშისტები: გამახარია, მგალობლიშვილი და სხვები. ჩემთან პირისპირ შეხვედრას ერიდებიან, მაგრამ ამაში მე მათ დარცხვენილობას უფრო ვხედავ, ვიდრე მტრობას.

ტელეფონით ველაპარაკები ზურაბ ლაბახუას. ჩვენ საერთო მეგობარ-ნათესავები გვყავს. მართალია, ამ „ტოპონიმიკური ომის“ პერიოდში ვიჩხუბეთ და ერთმანეთს არ ველაპარაკებით, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. თუ ჩვენთან მოვა, უსაფრთხოების გარანტიისთვის პირადად მე დავხვდები წითელ ხიდთან. თუ არადა, მზადა ვარ, მის ამორჩეულ ადგილას მივიდე. ავთანდილ იოსელიანი უკავშირდება აფხაზთა სხვა ხელმძღვანელებს: ოზგანს, ანქვაბს, ბაგაპშს. ისინიც იმ აზრისკენ იხრებიან, რომ მოლაპარაკება დავიწყოთ. თვით არძინბა არ გამოდის კავშირზე. ეს კარგიც არის და ცუდიც. ცუდია იმიტომ, რომ უმისოდ ალბათ, სერიოზულად არაფერი გადაწყდება. კარგია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი კოლეგები, ბოლოს და ბოლოს, გაიმეტებენ მას და გადააყენებენ როგორც პროვოკატორს, ომის გამჩაღებელს და კიდევ ათასი სხვა ბრალდება შეიძლება წაუყენონ. ჩვენში გაბატონებულია აზრი, რომ ომის პროვოცირება რუსეთმა მოაწყო, რომ არძინბა მზად იყო ამისათვის. ომის პირველი პერიოდიდან გამომდინარე, მე სხვა შეხედულება მაქვს. აფხაზთა მხარე, რასაკვირველია, ჩვენთან შედარებით უფრო მეტად მომწიფებული გამოდგა შეიარაღებული წინააღმდეგობისათვის, მაგრამ თავად დაგეგმილი პროვოკაცია და საპასუხი აქციები არსად გამოჩნდა. მეტიც - ჩვენი პირველი წარმატებები ოჩამჩირეში, სოხუმში, თვითონ ის ფაქტი, რომ აფხაზების მიერ ამ რაიონების დატოვების შემდეგ მოეწყო გუდაუთის აეროპორტ ბომბორაზე განლაგებულ „დშბ“-ზე თავდასხმის ინსცენირება და ორი ათასი ავტომატის აფხაზი ბოევიკებისთვის უსისხლოდ და უომრად „დათმობა“, იმაზე

მეტყველებს, რომ კონკრეტული შემთხვევისათვის ისინი მზად არ იყვნენ და საბაბიც შეგნებულად არ მოუციათ ჩვენთვის. ეს აზრი განმტკიცდა გაგრაში, მათი იქიდან გაქცევის დროს, ასევე ოჩამჩირესა და ტყვარჩელის რაიონებში ბრძოლების მიმდინარეობისას. აქ პირველ ხანებში აფხაზთა მხარეზე, ჯერ ერთი, არ შეიმჩნეოდნენ რუსი სპეციალისტები და მეომრები, მეორეც - თვით მათი შეიარაღება თვითნაკეთი ხელყუმბარებით, სანადირო თოფებით და კუსტარული ასაფეთქებელი მოწყობილობით ამოიწურებოდა. აქტიური მოქმედებისათვის ასეთი მოუმზადებლობა მაფიქრებინებს, რომ რუსეთის ხელისუფლების ზედა ეშელონებში მომხდარი ფაქტის შემდეგ გაიაზრეს მომენტის სარგებლიანობა და რუსეთის გლობალური პოლიტიკის ფარვატერს მიუსადაგეს. ამაზე ნათლად მეტყველებს პირველი მოლაპარაკებების სპონტანურობა, აფხაზთა მხარის დამთმობი პოზიციები და, თუ გნებავთ, მოსკოვის 3 სექტემბრის ხელშეკრულებაც. ის ინკოგნიტო კი, რომელიც იმპერიულ გეგმებს ადგენს და სადღაც კრემლში თუ კრემლთან ახლოს სუპერსაიდუმლო გარემოცვაში მუშაობს, როგორც ჩვენს ობივატელს და ზოგ პოლიტიკოსსაც ჰგონია, უბრალოდ, რუსული ნაციონალური იდეაა! ამ იდეას ისინი XV საუკუნიდან ღვთიურ განჭვრეტას - „ბოჟეე პროვიდენიეს“ - უწოდებენ. რუსული ნაციონალიზმის ეზოთერული არსი ჯერ კიდევ ელიაზარის მონასტრის ბერის, ფილოფეის პროვიდენციულ დოგმაში გამოიხატა: „იაკო ვსია ხრისტიანსკაია ცარსტვა პრიიდოშა ვ კონეც ი სნიდოშასია ვო ედინო ცარსტვო ნაშეგო გოსუდარია პო პროროჩესკიმ კნიგამ, ტო ესტ როსიისკოე ცარსტვო: დვა უბო რიმა პოდოშა ა ტრეტი სტოიტ. ა ჩეტვერტომუ ნე ბიტი“.

ლაბახუა მომყავს „გოსდაჩაში“. ვთანხმდებით, ხვალ შევიკრიბოთ სოხუმში, მინისტრთა კაბინეტის შენობაში. ხიდთან დაგვხვდებიან და მიგვაცილებენ. შეხვედრაზე, ალბათ, იქნება არძინბაც. ქალაქში სროლებია. სოსო ახალაია, სოხუმის ახლად ჩამოყალიბებული გვარდიის მეთაური, საბრძოლველად იქაჩება. ჭამბას ქუჩაზე კვლავ შეტაკებებია. მორბის მხედრიონელი თემური და აგზნებული ჰყვება პერიპეტიებს, ამტკიცებს, რომ ქალაქში, სახლებში ჩეჩენი სნაიპერები სხედან. ჩემთან მოდიან დალის ხეობის სვანები, მხედრიონელი მალხაზ კორძაია, წალენჯიხაში ჩემს კოწიასთან ერთად ნაბრძოლი, გულრიფშის მხედრიონის უფროსი ემზარი - ითხოვენ იარაღს.

ადგილობრივებიდან კონკრეტული საქმით დაკავებულია ისევ გენო ადამია - მიმდებარე სოფლებიდან ლაშქარს აგროვებს.

აფხაზებთან შეხვედრაზე მივდივართ მე, სიგუა, ლორიკ მარშანია, ავთანდილ იოსელიანი, აგრეთვე ორიოდე ადგილობრივ დეპუტატი. მინისტრთა კაბინეტში გვხვდებიან ბაგაპში, ანქვაბი, ლაბახუა, ზურაბ აჩბა, დავით ფილია. ველოდებით არძინბას. სანამ ის გამოჩნდება, ცალ-ცალკე ვსაუბრობთ. ანქვაბი დინჯი და ნორმალურად მოაზროვნე კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. მას პირველად თებერვალში ზუგდიდში შევხვდი. ჩემს სანახავად ჩამოვიდა. მაშინ რატომღაც ცინიკოსად მომეჩვენა. ახლა სერიოზულად შეწუხებულია და უფრო მეტს გვისმენს, ვიდრე ლაპარაკობს. სერგეი ბაგაპშს ჯერ კიდევ 1989 წლის მოვლენებიდან ვიცნობ, როცა 30 ათასამდე ქართველი მიადგა მდინარე ღალიძგას. მაშინ იგი ოჩამჩირის რაიკომის მდივანი იყო და ჩვენი შეხვედრა ოფიციალურად ჩაითვალა. მე - აჯანყებულების წარმომადგენელი, ბაგაპში კი, ცეკას მდივან გივი გუმბარიძესთან ერთად, საქართველოს მთავრობის ინტერესებს იცავდა. მეორე შეხვედრაზე, იმელში, შევარდნაძესთან ერთად, პირიქით, მე საქართველოს მთავრობის ინტერესებს ვიცავდი, ის კი - აჯანყებულებისა. იქაც და აქაც სხვის ნებას ასრულებს. არძინბა თავპატიჟს იდებს თუ მართლა არ მოდის - ვერ გაგვიგია. ბაგაპში ხშირ-ხშირად გადის მეორე ოთახში, ტელეფონებთან. რაღაცას იტყუებიან: „დავუკავშირდით მანქანას“, მერე - „ვერ დავიჭირეთ“. მერე - „მოდის“, მერე - „არ მოდის“. ერთი სიტყვით, ვითომ ირკვევა, რომ დღეს აქ არ არის, გუდაუთაში წასულა. ახლა უკვე გვიანია. ხვალისთვის დაგვიკავშირდებიან და შევთანხმდებით შეხვედრაზე. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ არძინბა აქ არის. თუ ამ შენობაში არა, ყოველ შემთხვევაში, სოხუმში მაინც. ერთ მომენტში, ბაგაპშის ტელეფონთან საუბრის დროს, იქიდან აქაურობაზე დამატებითი ცნობები ითხოვეს. ბაგაპშმა აფხაზურად რაღაც გადაულაპარაკა აჩბას, შემდეგ ისევ ტელეფონით შეატყობინა, რასაც ითხოვდნენ. იქიდან დირექტივა მოისმინა. მე თავზე ვადექი, რომ ყურმილი გამომერთმია და დავლაპარაკებოდი არძინბას. უცებ მეუბნება: „ეს არძინბა არ არის“, - და სასწრაფოდ გათიშა ხაზი. სიგუა ამბიციაში ვარდება. მართალიცაა. ასე თუ ისე, პრემიერ-მინისტრია. განაწყენებულები ვბრუნდებით, თუმცა,

შევთანხმდით, რომ ცეცხლი არ განახლდება. მე იმედი დავკარგე, რომ ხვალ არძინბას შევხვდებით. დილით ჩამოდის კიტოვანი. ვრჩებით მარტო, პირისპირ. ფანჯრებიდან სროლა ისმის. „რა არის? - მეკითხება. - ძალიან ახლოდან ისვრიან“. „ჰო, - ვპასუხობ. - გუშინ რამდენიმე ტყვიამ აქაც შემოაღწია“. „გადავიდეთ სააბაზანოში, - მეუბნება. - აქ ცხელა“. „ომი იწყება“, - ვაფრთხილებ. „გადავუვლით“, - ამბობს ჯიუტად, მაგრამ ვერ ვიტყოდი, რომ შინაგანი რწმენით, უფრო ბავშვურ სიჯიუტეს წააგავს. „ვერაფერსაც ვერ გადავუვლით. ხომ არ გგონია, მარტო დარჩებიან. სხვა თუ არაფერი, ამდენი უმუშევარი პროფესიონალი რუსი სამხედრო, ჩრდილოკავკასიელი ნაციონალისტები, თურქები“... „თურქებმა თავის თავს მიხედონ, თორემ...“ - იგინება. „კარგად ყოფილხარ, თუ თურქებსაც გადაუვლი“, - ვფიცხდები მე.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, თენგიზ კიტოვანი ჯიუტია, მაგრამ ხშირად უინიციატივო ხდება და თავის რაიმე დაჟინების წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებას მოულოდნელად ეთანხმება. ახლაც არ უნდა, რომ აფხაზებთან მოლაპარაკება ჩაიშალოს.

ცეცხლის შეწყვეტა ვერ მოხერხდა. ის კი არა, შუადღისთვის ჩვენებს იერიში მიაქვთ წითელ ხიდთან. მირეკავს ლაბახუა, აღელვებული მეკითხება: „ეს არის ცეცხლის შეწყვეტა?“ „ყველაფერს გავიგებ, ახლავე გავაჩერებინებ!“ - ვპირდები და, მართლაც, თენგიზ კიტოვანს ვთავაზობ, წავიდეთ წინა ხაზზე და შევაჩეროთ ეს იმპროვიზებული იერიში. კიტოვანს წამოსვლა არ უნდა: „ახლა იქ ვის რას გააგებინებ, აქედან დაუკავშირდი“. „კავშირი არა გვაქვს“. „ვინმე გაგზავნე“. „ომის დაწყება არ შეიძლება. არ შეიძლება სოხუმში ისე შეხვიდე, როგორც მტრის ქალაქში. მერე უკან დასახევი გზა აღარ გვექნება“, - ვუმტკიცებ მე. არ მეკამათება, მაგრამ მისი ფლეგმატურობა ეჭვს მიჩენს, სადავეები მიშვებული აქვს. თუნდაც ის ფაქტი, რომ უკვე მეოთხე დღეა ომის ვითარებაში ვიმყოფებით და იგი დღეს ჩამოვიდა, ამაზე მეტყველებს. ვეძებ რომელიმე გავლენიან სამხედროს, რომ სასწრაფოდ გავგზავნო, ან მასთან ერთად გავიდე ხიდთან. მარტო ჩემმა მისვლამ შეიძლება შედეგი არ გამოიღოს. იქ ხომ მეტწილად გვარდიელები არიან და შესაძლოა არ დამემორჩილონ. ისევ ლაბახუა რეკავს, გაწიწმატებული ყვირის: „მთავრობის სასახლეს ქვემეხებით ბომბავენ“! მართლაც ყურმილში

აფეთქებების ხმა ისმის. ვაწყნარებ: „ახლავე მე თვითონ მოვალ“. „შენს მოსვლამდე აქ აღარაფერი დარჩება, უბრძანე, შეწყვიტონ სროლა!“ ვპირდები, მაგრამ ვიცი, ამას აღარაფერი ეშველება. მაინც კიტოვანთან მივდივარ. იქნებ დავუკავშირდეთ ვინმე მოწინავეს. გამორიცხულია. ეზოშია გასული, ვერ ვპოულობ. ერთი სიტყვით, ომი დაიწყო. აქ ჩემს გაჩერებას აზრი არა აქვს. ვრეკავ აეროპორტში, რომ თვითმფრინავი მოამზადონ. ჩემთან ერთად სიგუაც ბრუნდება. გვაცილებს კიტოვანი: „ბიჭებმა მთავრობის სახლი აიღეს“, - იღიმება და თვალს მიპაჭუნებს. თან მანქანისთვის ჯავშანფარდას მჩრის. „არ მინდა“, - ვეუბნები. „ამბობენ, გზაში სახლებიდან ისვრიანო“.

ბინდდება. გავდივართ ტრასაზე. იქ, იმ მაღლივი შენობებიდან დაგვაყარეს. ჩვენც ვპასუხობთ. ჩემთან არიან დათო მამულაშვილი და ჩემი დაცვა თამაზის მეთაურობით. ტყვიები მანქანის კაპოტს ხვდება. ვუმატებთ სიჩქარეს. გზაში შეგვხვდა „ბეემპე“. ვეუბნებით, საიდანაც ისვრიან და ვავალებთ, გაწმინდონ იქაურობა. მალე უკვე ზურგიდან ისმის ქვემეხის ჭურვების აფეთქების ზათქი და ტყვიამფრქვევის კაკანი. „ბეემპე“ მუშაობს“, - ამბობს კმაყოფილი თამაზი. მე კი ძალიან ცუდ გუნებაზე ვარ. კიდევ ომი გვინდოდა?!

სიგუა კარგ გუნებაზეა. პატარა კამათი მოგვდის. ამჯერად რეალური არგუმენტი აქვს: „თუ უნდოდათ, მშვიდობიანად მოგვარებულიყო საქმე, მოსულიყო გუშინ“. რას იტყვი, თუ მაინცდამაინც წინ არ გაიხედავ, სამართლიანი პოზიციაა.

თბილისში კმაყოფილებაა. დაფრინავს მოარული ფრაზა: „რამდენ ხანს უნდა ვუგოროთ კოჭი“. შევარდნაძე თავის განწყობას არ ავლენს, არც აზრს გამოხატავს. „ახლა მთავარია, არ მოხდეს ომის ესკალაცია, ახლავე დავიწყოთ მოლაპარაკება“, - ვიძლევი წინადადებას. „არძინბა მოითხოვს, ჯარი გამოვიყვანოთ და მოვილაპარაკოთ“, - საქმის კურსში მაყენებს შევარდნაძე. მის ტონში რაღაც ნიშნის მოგება იგრძნობა. „სასწრაფოდ გავგზავნოთ ვინმე, ან - დელეგაცია. იქ თუ კიტოვანი აჰყვა ადგილობრივ კარიერისტებს, და ალბათ აჰყვება, ამას კარგი არაფერი მოჰყვება“. მეთანხმება.

ეს ჩემი სოხუმიდან დაბრუნების პირველი დილაა. უცებ კარი იღება და დინჯად, მოკრძალებული გამარჯვებულივით შემოდის კიტოვანი, ხელში რაღაც მომწვანო ქსოვილი უჭირავს.

მიდის პირდაპირ შევარდნაძესთან, ამ ჭინჭს მაგიდაზე უფრო უგდებს, ვიდრე დებს და ეუბნება: „მაგათი დროშაა. მთავრობის სასახლიდან მოვხსენით, - იღიმება და გვიხსნის: - აი, ეს მუსულმანური ემბლემაა, ხელს ხედავთ?!“ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდები. ფარსული სიტუაციაა. გავდივარ გარეთ, მათ მარტო ვტოვებ იმ პირობით, რომ საღამოს პრეზიდიუმზე შევიკრიბებით. სოხუმის გარდა მინდა ვიცოდე, რა ხდება აფხაზეთში. ვუკავშირდები გაგრას, ველაპარაკები მხედრიონის უფროსს ბადრი ფირცხელანს. ისინი უკვე აკონტროლებენ ქალაქს. სულ ორმოცდაათი მხედრიონელია. სხვათა შორის, ბადრიმ გაგრაში მოახერხა, ნორმალური ურთიერთობა დაემყარებინა არა მხოლოდ ქართველებთან, არამედ აფხაზ და სხვა ეროვნების მოსახლეობასთანაც. სხვათა შორის, მან იმდენი დიპლომატიაც გამოიჩინა, რომ, იმ დროს, როცა ჩვენ ყველანი დაპატიმრებული ვიყავით, ზვიად გამსახურდიამ იქ მხედრიონი არ გააუქმა. რასაკვირველია, ამის სხვა ობიექტური მიზეზებიც არსებობდა. ჯერ ერთი, აფხაზეთში ქართველებს სხვა არავითარი ძალა არ გააჩნდათ გაგრის მხედრიონის გარდა, მეორეც - შინაგან საქმეთა მინისტრი ხაბულიანი ბადრის ახლობელი იყო. ბადრის ახლაც კარგი ურთიერთობა აქვს იქაურ ძალებთან და აფხაზებიც ანგარიშს უწევენ მხედრიონელებს. „ბადრი, - ვეუბნები, - თქვენ ნუ აჰყვებით ფეხის ხმას. რაც სოხუმში ხდება, მანდ ნუ გაიმეორებთ, იქ შევეცდებით შევაჩეროთ შეტაკებები და მოვილაპარაკოთ. თუ მანდაც წარმოიშვა კონფლიქტი, არ ივარგებს“. მაწყნარებს. მეუბნება, რომ ყველაფერი რიგზეა და შეეცდება, დაიცვას სიმშვიდე. ყურმილს გადასცემს ჯონი ლატარიას - ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარეს აფხაზეთში და გაგრის გამგებლის მოადგილეს. ქალაქის გამგებელი რუსლან იაზიჩბა არძინბას ბიძაშვილია. ჯონი საერთოდ კი არის ძალისმიერი მეთოდების მომხრე აფხაზეთში, მაგრამ ამჯერად ჩემს პოზიციაზეა - ომი არ სურს.

ტყვარჩელიდან მოდის ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნობა: ერთი, რომ იქ სიმშვიდეა, მეორე - დაიწყო ქართველი მოსახლეობის დარბევა. ოჩამჩირის რაიონში არიან გია ყარყარაშვილი თავისი გვარდიის ნაწილით და პოლკოვნიკი გუჯარ ყურაშვილი. ვიცი, რომ მათ ტექნიკაც აქვთ, მაგრამ რა ხდება - ვერ დავადგინე. რუსების რეაქციის შესახებაც არაფერი ვიცი. მათთან ურთიერთობა აქვთ კიტოვანს, სიგუას და

შევარდნაძეს, ყველას - თავის დონეზე ერთი რანგით ნაკლებ პირთან. კავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელები „მახნოს“ მეძახიან. მათთან მაკავშირებს მხოლოდ შავნაბადაზე თავდასხმა და მთავარსარდალ პატრიკეევთან „კაგებეს“ ციხიდან გაგზავნილი ერთი სარკასტულ-იუმორისტული წერილი. სხვათა შორის, როცა გავთავისუფლდი, თავიანთ რომელიღაც დღესასწაულზე მიმიწვიეს. იქ შევხვდი მთავარსარდალ პატრიკეევს და ვკითხე, მიიღო თუ არა ჩემი წერილი ციხიდან. „და! და! ბილო ტაკოე, ბილო!“ - გაიცინა მან.

თენგიზებთან დადის წარმოშობით ყაბარდობალყარელი გენერალი სუფიან იუზუროვიჩ ბიგპაევი. მთავარსარდლის მოადგილეა. მის სამხედროობაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ეშმაკი პოლიტიკოსია. საერთოდ, ჩემმა შემდგომმა დაკვირვებებმა დამარწმუნა, რომ რუსეთში პოლიტიკის სათავეებთან სამხედროები დგანან და ერთი შეხედვით ეს უტუ სალდაფონები სინამდვილეში მაგარი შებერტყილები არიან.

იკრიბება პრეზიდიუმი გაფართოებული შემადგენლობით. შევარდნაძე განაგრძობს პრეზიდიუმის დიფუზიას. ასე რომ, „პრეზიდიუმი ვეტოს უფლებით“ მხოლოდ სათქმელად თუ იხმარება. ჩემ გარდა (მე თითქმის ყველაფერს შევარდნაძეს ვუთანხმებ), თავის საქმეში არავინ არავის ახედებს, არავის არაფერს ეკითხება. თვითონ განსაზღვრავს, სად არის ამ საქმეების თავი და ბოლო. არა უშავს. დიდ იმედს ისევ არჩევნებზე ვამყარებ. რაღაც ორ თვეზე ნაკლები დარჩა. ახლა არ ღირს ხმაურის ატეხა.

ჩვენი ჯარი სოხუმში, მდინარე გუმისთასთან გაჩერდა. ქალაქში უწესრიგობის ბაკქანალია იწყება. აფხაზ მოსახლეობას ჯერ არ გადაუწყვეტია, გავიდეს თუ დარჩეს ქალაქში. პრეზიდიუმს ასეთ გეგმას ვთავაზობ: შევეცადოთ, საომარი მოქმედება არ გაფართოვდეს და დავიწყოთ მოლაპარაკება. დავნიშნოთ ჩვენი რწმუნებული აფხაზეთში, რომელიც ითავებს როგორც სამოქალაქო პროცესის წარმართვას, ასევე მჭიდრო კავშირში იქნება სამხედრო ხელმძღვანელობასთან. სასწრაფოდ დაინიშნოს სამხედრო პასუხისმგებელი პირი - ყველა სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელი. დაუყოვნებლივ გამაგრდეს საზღვარი ფსოუზე, გაგრაში გაიგზავნოს ჯარი, რათა გადაიკეტოს ბზიფის ხეობა, საიდანაც, როგორც იტყობინებიან,

უკვე შემოდის ჩრდილოკავკასიელთა რაზმეული. ჩემი წინადადებებიდან მიღებულია მხოლოდ რწმუნებულისა და სარდლის დანიშვნის საკითხები. დანარჩენ პრობლემებზე უსაგნო, ზოგადი საუბრებითა და ცრუ შეპირებებით დავკმაყოფილდით.

ვიწყებ მხედრიონის შეგროვებას. ის იყო, მათ დაშლა-დაბინავებას ვაპირებდი... ახლა მხედრიონის გარეშე არაფერი გამოვა. გაგრაში, ბადრისთან, ხალხია გასაგზავნი... ამათ რომ ვუყურო... სიგუამ თქვა, ვითომც უკვე გაიგზავნა 950 კაცი. ეთქვა მაინც - 1000 ან 500, არა - 950! ისემც მაგას რა ვუთხრა! კიტოვანიც კვერს უკრავს. არა, მე რას მატყუებენ, ვერ ვიგებ. შევეცილები თუ... ბადრისთან ყოველ ოთხ-ხუთ საათში ვრეკავ. გაგრის გამგეობაში ტელეფონთან ზის. „ვეჩე“ მუშაობს. ვეკითხები, 950 კაცი თუ ჩამოვიდა? რის 950, რის 100 - საერთოდ არავინ ჩანს. გაგრაში ჯერ სიმშვიდეა. ვუკავშირდები გაგრის გამგებელს იაზიჩბას. ვეუბნები იმავეს, რაც ბადრის ვუთხარი: „არ ავყვეთ სოხუმის მოვლენებს, ჩვენ მეგობრულად განვაგრძოთ ცხოვრება“. მეთანხმება, მაგრამ ისეთი ტონი აქვს, რომ ჩემი არ სჯერა.

გიგა არველაძე და გია სვანაძე ამზადებენ მხედრიონს. გაგრაში მოხვედრა შეიძლება მხოლოდ სოხუმიდან ვერტმფრენით ან ფოთიდან გემით. კიტოვანი და შევარდნაძე აფხაზეთში საომარი ოპერაციების სარდლად ნიშნავენ გია ყარყარაშვილს. აფხაზეთის რწმუნებულად, ჩემი რეკომენდაციით, გოგა ხაინდრავას. აფხაზთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ელიტაში გოგას ბევრი ნაცნობი ჰყავს. ენერგიული და ინიციატივიანი ახალგაზრდა კაცია, ცნობილი პატრიოტი, ქართული ინტელიგენციის სამაგალითო პიროვნების, ლევან ხაინდრავას შვილი. ყარყარაშვილთან მეგობრობს და თბილისის ომის დროს პატარა გამოცდილებაც მიიღო. კულტურის მინისტრად, როგორც იქნა, დავნიშნეთ დავით მაღრაძე - პოეტი, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი, ინტელიგენტი, ფართო გაქანების ახლებურად და არა კომკავშირულად მოაზროვნე ახალგაზრდა კაცი, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ელგუჯა მაღრაძის ვაჟიშვილი. შევარდნაძე დიდხანს, დიდხანს ამუხრუჭებდა ამ საქმეს. ეს ადგილი კომუნისტობისას მის მიერვე დაწინაურებული და დანიშნული კულტურის მინისტრისთვის, ვალერი ასათიანისათვის ემეტებოდა. მინისტრთა საბჭოში სხვა

საკადრო ცვლილება არ შეიმჩნევა. ჯერ ყველა სიგუას მიერ ამორჩეული, ჩემი და კიტოვანის მიერ დამტკიცებული მინისტრია.

იწყება ინტენსიური მუშაობა და მსჯელობა ეროვნული ვალუტის შემოღების ირგვლივ. გადაწყვეტილია, როგორც გარდამავალი ეკონომიკური ტრამპლინი, ბრუნვაში შემოვიდეს კუპონი. ასეთი სერიოზული აქტის მხარდასაჭერად ან უარსაყოფად აუცილებელია, კარგად ერკვეოდე ჩვენს დღევანდელ ეკონომიკურ ვითარებაში და ხედავდე პოტენციურ შესაძლებლობებს, რაც სათანადო შესწავლას მოითხოვს. მე ამის არც სურვილი მაქვს და არც დრო. უბრალოდ, როცა მახსენდება მენშევიკების დროინდელი ბონების ისტორია, უნდოდ შევცქერი კუპონის ირგვლივ ატეხილ ფაციფუცს.

ამ ომის თაობაზე რუსების რეაქცია ვერ შევიტყვე. შევარდნაძე არაფერს მეუბნება, კიტოვანის და სიგუას არც ერთი სიტყვის აღარ მჯერა. იცვლება რუსების სარდალი პატრიკეევი. მის ადგილას გამოგზავნეს გენერალი ფიოდორ რეუტი. ამბობენ, სომხების წარმატებები ყარაბახში აზერბაიჯანის წინააღმდეგ მისი დიდი დამსახურებაა. მასთან შეხვედრამ მისივე კაბინეტში ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ შემიქმნა. მომეჩვენა, რომ დაბნეულია თავისი ახალი სამსახურით და უკმაყოფილო - ჩვენი უყურადღებობით: „ჩემთვის განკუთვნილი ბინა თქვენს საგარეო საქმეთა მინისტრს გადასცესო“, - შემომჩივლა.

გაგრიდან ბადრი მატყობინებს: „ქალაქის გამგებელი იაზიჩბა გუდაუთაში გაიქცა. აფხაზი მოსახლეობის უმეტესობა ქალაქიდან გადის. რა ვქნა?“ „რაღა უნდა ქნა, ძალით ხომ ვერ დააკავებ“. პრეზიდიუმზე ვტეხ განგაშს: გაგრაში სასწრაფოდ გასაგზავნია ჯარი, გადასაკეტია ფსოუ და ბზიფის ხეობა. ავადხარიდან, ალბათ, უკვე გადმოდიან ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები. ახლა მთავარია გაგრა და რუსეთის საზღვრების კონტროლი, თორემ თუ ამ ბოგანო მოხალისეებმა შემოაღწიეს, მერე გაძნელდება. სიგუა და კიტოვანი კვლავ ირწმუნებიან, რომ ხუთასი კაცია გაგზავნილი. ახლა ხუთასზე ჩამოვიდნენ, როცა 950-ზე კამათობდნენ. თავდაცვის სამინისტროს შტაბის უფროსი ცქიტიშვილი რუკებით დატვირთული მოდის. დაგეგმილია სოხუმიდან შეტევის გაგრძელების ოპერაცია,

ასაღებია ეშერას სიმაღლეები, მაგრამ იქ რუსების რაღაც საიდუმლო ლაბორატორიაა. ხეირიანად არავინ იცის, მაინც რას წარმოადგენს ეს ლაბორატორია. ძლივს გამოჩნდა ადამიანი, რომელიც იქ ოთხი-ხუთი თვის წინ ყოფილა - ეს მერაბ ალექსიძეა. მოგვითხრობს, რომ ლაბორატორია, რომელიც, სხვა საქმიანობასთან ერთად, სეისმურ გათვლებს აწარმოებდა, დიდი ხნის წინათ რუსეთში გადაუტანიათ. ეშერაში დარჩენილ ტერიტორიას და ნაგებობებს ორი ან სამი ათეული ჯარისკაცი იცავს.

ერთი სიტყვით, ომი გაჩაღდა. მის შეჩერებას დიდი ძალისხმევა დასჭირდება სამივე მხრიდან: ჩვენგან, აფხაზებისგან და რუსებისგან. ვკრებ მხედრიონს. შეიარაღება სუსტია: ავტომატები და რამდენიმე ყუმბარმტყორცნი. საშოვნელია ჭურვები და ტყვია-წამალი. ვისგან? ისევ რუსებისგან. ჩვენი ბიჭები თვითონ ჩალიჩობენ. კიტოვანი და სიგუა არაფერს იძლევიან. ის კი არა, ეჭვიანობენ, ზედმეტად არ გავძლიერდე. რა ხალხია! ვერაფრით ვერ შევიდა მაგათ თავში, რომ მე ძალაუფლება არ მინდა. მხედრიონიც არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია - ამასაც დღენიადაგ საჯაროდ ვაცხადებ. ჩემი საუკეთესო - თეთრიწყაროს ბატალიონი გადავეცი, ახლაც დაშლისკენ მიდიოდა ჩვენი საქმე. არა! მაინც თავისას ერეკებიან, თუმცა ამას ღიად არ ამბობენ. ეს მათ გამსახურდიამ ჩაუნერგა: „მაგას (მე) პინოჩეტობა უნდა“, - გაიძახოდა ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე.

შევარდნაძე გოგა ხაინდრავას აფხაზეთის სახელმწიფო მინისტრის სტატუსს აძლევს. მივყვები სოხუმში მხარდაჭერის დემონსტრირებისა და რეალური დახმარების გასაწევად. შტაბ-ბინა კვლავინდებურად „გოსდაჩაა“. სამხედროებს კულტურის სახლი აურჩევიათ, კომენდატურა მილიციაშია. სოფლებში: შრომაში, კამანში, თავისუფლებაში, გულრიფშში გენო ადამიას მიერ შეკრებილი სახალხო ლაშქარია. მისივე თხოვნით, შემოვიარეთ სოფლები. იქ მრავალი ყოფილი მხედრიონელი და გულშემატკივარი შემხვდა. განწყობა ოპტიმისტურია. გუმისთის ხიდთან, აჯიკის საამქროში, აჩადარის მაღლივ სახლებში პოზიციებია. ხდება პატარ-პატარა ეპიზოდური შეტაკებები. აფხაზი მოსახლეობა ნელ-ნელა უჩინარდება ქალაქიდან. მოდის საჩივრები დაყაჩაღების და მოროდიორობის თაობაზე. გოგა ენერგიულად ჰკიდებს ხელს საქმეს. შექმნა თავისი პატარა შტაბი, პრესცენტრი, ურთიერთობას ამყარებს

არა მხოლოდ ზვიადისტებთან, არამედ აფხაზ ლიდერებთანაც. თითქმის ყოველდღე ტელეფონით ელაპარაკება ოზგანს, ანქვაბს, ბაგაპშს. გამოუშვა და აფხაზ მოსახლეობას დაურიგა საგარანტიო ქაღალდი მათი ხელშეუხებლობის ბრძანებით.

პორტსა და აეროპორტში უთავბოლობაა. წამსვლელ-მომსვლელი ჯარისკაცები თავნებობენ. გვარდიის პატარა ჩინები ფულს შოულობენ - ციტრუსების გატანაში ხელს უწყობენ გადამყიდველებს. თვითმფრინავში მგზავრებს უბილეთოდ ტენიან. ვხვდები ქალაქის მოსახლეობას, წინადადებას ვაძლევ, მორიგეობა შემოიღონ თავიანთ სახლებთან. ამის ორგანიზაციას ვავალებ ლეონარდო დევდარიანს.

გოგა ხვდება უცხოელ კორესპონდენტებს, ატარებს პრესკონფერენციებს. თუ არ გადაიწვა, ენთუზიაზმით მოჰკიდა საქმეს ხელი. ვახტანგ (ლოთი) ქობალიასთან კარგი ურთიერთობა დაამყარა. იგი ჰპირდება, რომ თავის რაზმებს სოხუმში შემოიყვანს. ეს კარგი საქმე იქნება. სხვა თუ არაფერი, ზუგდიდის გზა გაიხსნება. ახლა, თუ დიდი კოლონა არ არის, სამხედროები ტრასით ვერ მოდიან - ზუგდიდისა და გალის მიდამოებში აყაჩაღებენ, იარაღს ართმევენ, ზოგსაც ტყვედ იგდებენ. ხმები დადის, რომ არძინბა ტყვარჩელისა და ოჩამჩირის მეგრელობას ალიანსისკენ მოუწოდებს. იგივე ლოთი ქობალია, მგონი, გუდაუთაში შეხვდა არძინბას. თუ გოგამ მოახერხა ზვიადისტებისა და ჩვენი შერიგება ან ბრძოლებში გაერთიანება, ამუშავდება ის რუსული ანდაზა: „ნეტ ხუდა ბეზ დობრა“. სამხედრო ხელმძღვანელობა პაატა დათუაშვილს მიჰყავს. ყარყარაშვილი ჩამოდის ოჩამჩირიდან. რბილად ვსაყვედურობ, რომ აქ, სოხუმში, უამრავი საქმეა. მპასუხობს: იქ, ოჩამჩირის რაიონშიც, არანაკლებ სერიოზული ვითარებაა შექმნილი. პარტიზანული ბრძოლებია, ტყვარჩელის მიმართულებით ფრონტი ყალიბდება. აღარაფერი მეთქმის. რომ ვუკვირდები, მართლაც ასეა. თბილისიდან წამოსულმა ჯარმა მარშით გამოიარა სოხუმამდე. ოჩამჩირე და ტყვარჩელის მიდამოები კი მიუხედავი დარჩა. აფხაზები როგორც გაიხიზნენ, ახლა ისევე ბრუნდებიან, მათი რაზმები ერთიანდება, გზა, ტრასა ოჩამჩირე-სოხუმი უკვე მათ ხელშია.

გარშემორტყმულია ოჩამჩირეც, სადაც მხოლოდ კომენდატურა მოქმედებს. ცაგერაში დგას საჩხერის ბატალიონი: ყურაშვილის

რაზმი ტყვარჩელს მიუახლოვდა და, როცა ყურაშვილის ტანკი აფეთქდა, უკან დაბრუნდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ასაწყობ-დასალაგებელია. ჯარი შედგენილია მოხალისეებით, რომელთაც ოფიციალურად არავითარი მოვალეობა არ ეკისრებათ - დღეს ერთი-ორი გაისროლა და ხვალ მოუსვა სახლში. ასეთ დროს კიტოვანი თბილისში ზის...

ვუკავშირდები გაგრას. იქაც ომი დაიწყო. როგორც იქნა, ფოთიდან ლესელიძეში გადასხეს 500 არა, მაგრამ 200 კაცი აკია ბარბაქაძის ხელმძღვანელობით - შავნაბადას ბატალიონი. ამ ბატალიონის რამდენიმე მოხალისე, თბილისელი კარგი ბიჭი დაიღუპა. გაგრას ბზიფიდან შემოუტიეს, კოლხიდამდე მოვიდნენ. გივი კვანტალიანმა მილიციის ასი კურსანტი ჩაიყვანა. ასზე მეტი მხედრიონელი უკვე სოხუმშია. აქედან სასწრაფოდ ვერტმფრენით უნდა გადავიყვანო, მაგრამ საქმე ისაა, რომ შუა გზაში ვერტმფრენს რუსები აკავებენ და მოითხოვენ, დაჯდეს ბომბორას აეროდრომზე. მე პროტესტს ვუცხადებ. ტელეფონით ველაპარაკები გენერალ სიგუტკინს. იგი მპასუხობს: „ჩვენ არ გვინდა ომი გაგრძელდეს, ამიტომ იარაღიან ხალხს იქით არ ვუშვებთ“. „თქვენი საქმე არ არის, ჩვენ სად გავგზავნით იარაღიანს და სად - უიარაღოს“, - ვეუბნები და ყურმილს ვუკიდებ. ისევ ბადრის ვუკავშირდები. ვამხნევებ: „ჩვენ მოვდივართ. დღეს საღამოს უსიკვდილოდ მანდ ვიქნებით“. მართლაც, ორი რეისით გადავიდნენ ბიჭები. მე ბოლო რეისზე მივდივარ. ჯიმის ბიჭებს მივყავარ. შორს მოვლით ერთად მივიწევთ წინ. ვერტმფრენი ზედ ზღვაზეა გაწოლილი. მაინც გამოდიან რაციაზე და ითხოვენ, კურსი ბომბორასკენ დავიჭიროთ. ჯიმი მე მიყურებს. „წადი! ნუ აქცევ ყურადღებას. გაუშვი, გვესროლონ!“ ჯიმი ვერტმფრენს მთლად მუცლით ახოხებს ტალღებზე. რაციაში ეუბნება: „მე მიმყავს რესპუბლიკის ხელმძღვანელი და მას ვემორჩილები“. „ვინ არის?“ - კითხულობენ იქიდან. „ჯაბა იოსელიანი“. ბომბორა აღარ გვეხმიანება. ბნელა. გაგრის სტადიონზე ვსხდებით. მანქანების შუქი ჩაურთავთ - შესახვედრად მოსულან. ვიდრე კომენდატურაში, ესე იგი, ქალაქის მმართველობის შენობაში წავიდოდეთ, მაინტერესებს სამხედრო შტაბი. მეუბნებიან, რომ იგი კოლხიდაშია. აქ ახლო კი მილიციის ქვედანაყოფთან ერთად თბილისელი კურსანტები არიან განლაგებული. შევდივარ. შენობა ჩაბნელებულია. მხოლოდ ერთ ოთახში ანთია მკრთალი სინათლე. ტელეფონთან მორიგე ზის. ჩემს

მისვლაზე მაინცდამაინც არ რეაგირებს. ვიდრე წამოდგება, სკამზე იზლაზნება. ვუყვირი. მერე ვკითხულობ, აქვთ თუ არა კავშირი კოლხიდას შტაბთან. „არა, კომენდატურასთან არა“. ამ დროს შემორბის აქოშინებული კურსანტი: „ტყვიები, 5,45! ჩქარა! გვითავდება! უნდა წავიღო!“ მორიგე ფაცურობს, ვიღაცას ეძახის. სიბნელიდან გამოაქვთ ცინკი, ხსნიან; კურსანტი იყრის ჯიბეებსა და უბეში. ხეირიანად ვერ ვიგებ, სად მიაქვს, საიდან მოირბინა... კარგა ხანია დაღამებულია... „იქ ჩვენმა ბიჭებმა რკალი გაარღვიეს“, - ნაჩქარევად ამბობს და გარბის. ჭკუის დარიგებას აზრი არა აქვს. „ეს რა, ცალ-ცალკე მოქმედებენ? - ვკითხულობ - სად არიან მხედრიონელები?“ „ზოგი კოლხიდაში, სამორიგეოდ, ზოგიც კომენდატურაში გელოდებათ“, - მპასუხობს ბადრი.

კომენდატურის მიდამოები და თვითონ შენობაც სავსეა ხალხით. გიგა არველაძე, რამდენიმე ბიჭთან ერთად, უკვე კოლხიდაში გაქანებულა. ბადრი მაცნობს ახალი გამგეობის წევრებს. ჯონი ლატარია გამგებლად აურჩევიათ. ჯონის ხომ ვიცნობ, წესიერი კაცია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი, პატროიტი. მხვდებიან ადგილობრივი მხედრიონელები. მათთან ერთად ჯერ კიდევ 1989 წელს მივიღეთ ფიცი და ლესელიძეში მღვდელმა გვაკურთხა. გამოჩნდა ლუხუმა, მეხვევა. ახლა ფაქტობრივად ეგ არის გაგრის მხედრიონის უფროსი. ბადრი საკომენდანტო საქმეებითაა დაკავებული.

სასადილო ოთახში პატარა პურმარილი გაშალეს. მიყვებიან აქაური მდგომარეობის შესახებ. ცოტა მოგვიანებით მოდის აკია ბარბაქაძე. გაუგია, რომ ჩამოვედი. თავისი 80 კაცით ლესელიძე-განთიადში დაბანაკებულა. 80 კაცი! „ეს არის 950, მერე 500, მერე 200?!“ - ვეკითხები. იცინის. ეტყობა, ისიც საქმის კურსშია. „აფხაზებმა გაიგეს, რომ ჩამოხვედი. შეშინებული არიან“. ჯონი აფხაზურად უქცევს.

მოსასვენებლად სანატორიუმ „თბილისს“ მთავაზობენ. უკვე გვიანია, მაგრამ რა მომასვენებს, ვიდრე არ გავიგებ, სინამდვილეში როგორაა საქმე. მივდივარ კოლხიდაში. ხიდთან ორსართულიანი სახლი მწვანეში ჩაფლულა. ზურგი შეუქცევია ზედ მის ეზოში შემოსული ტყისთვის. ცხელა. მოშორებით დროგამოშვებით გაისმის ავტომატის ჯერი. შტაბში უსამხრეებო რუსი სამხედროა. „მაგარი ვინმეა“, - მიხსნის აკია. უგუნებოდაა. ორი დღის ჩამოსულ მილიციის კურსანტებს

დღეს საღამოს იერიში მიუტანიათ ერთ-ერთ მთაზე გამაგრებულ აფხაზებზე და თერთმეტი კაცი დაღუპვიათ. თურმე ისე დაბნელდა, ცხედრებიც ვერ გამოიყვანეს. მგონი, ამასაც საშა ჰქვია. კიტოვანი რა სულ საშებს ირჩევს კონსულტანტებად. ჩემს დანახვაზე ცდილობს, თავი გაიმხნევოს. მდგომარეობა არასახარბიელოა. ყველა სიმაღლე აფხაზებს აქვთ დაკავებული, ზღვის პირასაც შემოჭრილან. მართალია, ჯერ რკალი ვერ შეუერთებიათ, მაგრამ ჩვენებიც მოწყვეტილი არიან ერთიმეორეს. დანამდვილებით არ ვიცით, რა ხდება მოწინააღმდეგის მხარეს. ამბობენ, რომ ბზიფის ხეობით 700-მდე ჩეჩენი ბოევიკი შემოვიდა. ამ ჭორს ჯერ კიდევ თბილისში მოვკარი ყური. სამომავლო გეგმა არც ჩვენ გვაქვს. ძალები არ გვყოფნის. იერიშზე ფიქრიც კი ზედმეტია. „ამ კურსანტებმა თვითნებურად წამოიწყეს იერიში და ამიტომ ასე დაშავდნენ. დაჭრილიც ბევრი ჰყავთ. ეს ასი კაცი ფაქტობრივად მწყობრიდან გამოვიდა“, - ჩივის თავჩაქინდრული საშა. მე ვანუგეშებ: „ხვალ ჩვენი ბიჭები ჩაერთვებიან. დილიდან აქა ვარ“. ვემშვიდობები და მივდივარ სასტუმრო „თბილისში“, ვკრებ მხედრიონის მეთაურებს. ადგილობრივ ბიჭებთან ერთად ხვალ დაზვერვაზე წავლენ. შემდეგ გადავწყვეტთ, რას მოვიმოქმედებთ. აკია ლესელიძეში ბრუნდება.

ბიჭები სხვადასხვა ადგილას არიან დაბინავებული. ეს არ ვარგა - კონტროლს ვერ გავუწევ. ჩვენ, ასე თუ ისე, მაინც ამ საშას უნდა დავექვემდებაროთ. თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობიდან, გიგა არველაძეს თუ არ ჩავთვლით, ჯერჯერობით არავინაა. გიგა ხომ მინისტრის მოადგილედ გავუშვი. კიტოვანი დამეთანხმა. ისიც შემატყობინა, უკვე ბრძანებით გავაფორმეო. გიგა შევარდნაძესთანაც მყავდა, მაგრამ მაინც ვეჭვობ, რომ არც არაფერი გაუფორმებია და არც რამე საქმე ჩაუბარებია მისთვის. გიგაც იხტიბარს არ იტეხს, კი, ბრძანება უკვე დაწერილიაო, მეუბნება.

სულ ორიოდე საათი მძინავს. დილაადრიან გავდივარ უკაცრიელ პლაჟზე. ზორო უკვე დარბის და ვარჯიშობს. ზღვა მშვიდი და თბილია. ბევრჯერ ვყოფილვარ აქ, ამ სანატორიუმში, დამისვენია კიდეც, რაღაც სიბარიტული მოგონებებიც მაქვს, მაგრამ იმ ადგილს ვერაფრით ვაკავშირებ ამ ადგილთან. არა, ეს სხვა ზღვაა, სხვა პლაჟია, სხვა სახლებია, სხვა გაზონებია. თურმე ადგილის ცნებაც შიგნიდან იბადება. წესრიგა მაფრთხილებს, შორს არ გავცურო. სად არის მაგის

დრო. მაინც ვეხუმრები, არა, უნდა წავიდე-მეთქი. წესრიგა სპორტსმენია, თუმცა, ცურვაში ვერ არის მაგრად, ამიტომ ვექადნები - არა, უნდა წავიდე. ხომ ვერ გამომყვება. „ნუ წახვალთ, ნუ მიდიხართ“, - მიყვირის. ისტერიკამდე მიდის. ვაწყნარებ. ზღვიდან გამოვდივარ, სასწრაფოდ ვიცვამთ და ახალი ამბების გასაგებად მივდივართ კომენდატურაში, იქიდან კი - კოლხიდის შტაბში. მეთაურებიც იქ მოვლენ.

შევარდნაძეს დიდი საქმე მოუგვარებია - მოსკოვში მოლაპარაკებაზე მიდის არძინბასთან. პრეზიდენტ ელცინის და ჩრდილოკავკასიელ ლიდერთა თანდასწრება-შუამავლობით რაღაც შეთანხმებას უნდა მიაღწიონ. შტაბში გვარდიის ოფიცრები არიან. უმეტესობა ნაცნობია. აქვეა გოგია-პულიმიოტჩიკი, თბილისის ომის მონაწილე. ჯარი ფაქტობრივად არა ჰყავთ - ისევ ის პატრიოტული აღტყინებით წამოსული გამოუცდელი ახალგაზრდები.

საშას მეორე ოთახში გავყავარ, მიჩვენებს შემონგრეულ კედელს: „წუხელ, თქვენი წასვლის შემდეგ ყუმბარმტყორცნის ჭურვმა აქამდე მოაღწია. სულ ახლოს არიან, აგერ, იმ გორაკებზე“, - ფანჯრიდან მითითებს მანდარინისა და ლიმონის ბუჩქებით დამშვენებულ ბორცვებზე.

გავდივართ პოზიციაზე. გზაზე, კოლხიდის შემოსასვლელში, ერთიმეორისაგან ას მეტრზე დაშორებული ორი რიგი გამაგრებაა. ისევ ბეტონის ფილები და არავითარი სანგრები. მხოლოდ მოწინავისთვის ტყეში შეფარული ხის ქოხებია. უწინ აქ რაღაც საწყობები ყოფილა. პოზიციაზე კი ფილებს აფარებული ბიჭები წვანან. ასფალტზე დაბერტყილი კაკალივით რახარუხით ცვივა ტყვიები. „რა, ლომებო, - ვეკითხები, - სანგრებს ვერ გათხრით?“ „ჯერ ერთი, ნიჩბები არა გვაქვს, მეორეც - აქ დგომას არ ვაპირებთ, წინ უნდა წავიდეთ“. „კი მაგრამ, მანამდე გზიდან მაინც გადადით, ასე პირდაპირ, მოშიშვლებულ ადგილას სამიზნედ ყოფნა არ შეიძლება“. სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, ჩემი მოპასუხე ფეხში დაიჭრა. იკადრეს და ტყეს შეაფარეს თავი. დაჭრილი მიჰყავთ ჩვენი მანქანით. ტყის ეს მონაკვეთი ჯერ არავისია, იქით მთები დაყოფილია თითქმის ჩვენს გასწვრივ: ჩრდილოეთით ჩვენები არიან, სამხრეთით - ისინი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ყველა მაღალი მწვერვალი აფხაზებს უკავიათ. ზღვის პირზე ფერმებია, ყოფილი მეურნეობა. ფერმებიც შუაზეა გაყოფილი.

„სასწრაფოდ უნდა შეიკრას რკალი, - ვეუბნები საშას, - მიკვირს, აქამდე როგორ არ შემოიპარნენ. თუ მოგვასწრეს, შეიკვრებიან და გაგრა დაეცემა“. „ჩვენ უნდა გავყაროთ ფერმებიდან და მთებიდანაც, მერე გადავალთ შეტევაზე, მაგრამ ხალხი არაა, - ხელებს შლის საშა და ჩუმად დასძენს: - ეს ბიჭები ვინ გამოგზავნა, ხეირიანად იარაღის ხმარება არ იციან“.

ერეკლე ნარსავიძემ სვანები ჩამოიყვანა: ჯამბული, ამირანი, ემზარი, ნუგზარი - ოცდაათი გამოცდილი მებრძოლი, მხედრიონელები. თვითონ კი ვერტმფრენიდან გადმოხტომის დროს ფეხი იღრძო. დაბანდულია. მიყურებს. თვალებით იღიმის და მამშვიდებს: „მალე გაივლის, არა უშავს“.

გიგა არველაძე ბიჭებთან ერთად კურსანტებს მიხმარებია და დაღუპულების გვამები გამოუტანიათ. დაზვერვაზეც თვითონ ყოფილა. ახლა გია ვაშაკიძესთან ერთად სახვალიო ოპერაციას გეგმავს. საშა ზის, ხმას არ იღებს, ოღონდ ვინმემ ინიციატივა გამოიჩინოს და აღარ დაეძებს. გიგა დაჟინებით ითხოვს ყველაზე მაღალი მთის დაკავებას. „ამ მაღალი მთის იქით კიდევ უფრო მაღალი მთაა, - ფანჯრიდან აჩვენებს გია ვაშაკიძე, - ჰოდა, იმასაც რომ ავიღებთ, პირდაპირ ბზიფში ჩავალთ“. მე ჯერ მთებში პოზიციებზე ვერ მოვასწარი გასვლა, ამიტომ მხოლოდ ყურს ვუგდებ. ერთი რამ უდავოა: ეს პირველი მაღალი მთა უნდა დავიპყროთ და რკალი შევკრათ ტყიდან გზაზე გამოსასვლელად. ბზიფში ხომ ვეღარ გავჩერდებით. იფნარი, ბზიფი, ბიჭვინთა, იქვე გუდაუთა - ხალხი არ გვეყოფა. გია სვანაძეს ვავალებ, ბიჭები, რაც შეიძლება, ახლოს გადაბარგდნენ ერთმანეთთან, ერთად მოიყარონ თავი, თორემ აუცილებლობის შემთხვევაში საძებნი გაგვიხდებიან, განსაკუთრებით ვიღაც-ვიღაცეები, ჩვენ რომ წამოგვყვნენ და წუხელ თვალი მოვკარი. გია ხვდება, რასაც ვეუბნები და ცხარედ მიმტკიცებს: „ბატონო ჯაბა, გეფიცებით, ისინი აღარ იკეთებენ“ (წამალზეა ლაპარაკი). ღმერთმა ქნას! როგორც კი შევამჩნევ, პირველივე ბარჟით გავუშვებ ფოთში“. - ბუზღუნით მივდივარ კომენდატურაში; ვფიქრობ, რა უნდა მოვიმოქმედო ასეთ შემთხვევაში. ახლა მორალის კითხვის დროა? ან ასე იოლად გაჭრის ჩემი სიტყვა? ასე რომ მივყვე, ბევრი საჭირო ბიჭი გამოაკლდება საქმეს. ისევ თვალს ვხუჭავ.

მეთაურებს საღამოსთვის ისევ კოლხიდის შტაბში ვიბარებ. ბადრი კომენდატურაში ისე მოშინაურებულია, რომ ქოშებით

დაფლატუნობს. ლუხუმა, თავისი ორმოცდაათი კაცით, ლესელიძიდან კოლხიდამდე და მათ შემოგარენში დაჰქრის. ლესელიძესთან რამდენიმე კაცი ტყვედ აუყვანიათ - საზღვარზე გადმოსულებს ტყე-ტყე გუდაუთისაკენ ეჭირათ გეზი. ერთი მათგანი ბადრის ოთახშია, დაკითხვაზე. ახალგაზრდა სიმპათიური კაცია, ამბობს, კაზაკი ვარო. დღეში ორმოცდაათი ათასს შემპირდნენ. იარაღს ბზიფში მოგცემთო. გამცილებელი აქაური გზა-კვალის მცოდნე წითელცხვირიანი ბოგანო რუსია. „ვიდეოზე გადაიღეთ და თბილისში, ტელევიზიაში გაგზავნეთ. ოღონდ ალაპარაკეთ - სად, ვინ და როგორ ქირაობდნენ, მათი საბუთები ცალკე მსხვილი პლანით აჩვენონ“, - ვუბარებ ტელეკორესპონდენტს.

ბადრი მაცნობს გაგრის მილიციის უფროსს: „ჩვენი გმირია, - ამბობს იგი, - ეგ რომ არა, პირველ დღეებში გაგრა დაკარგული გვქონდა“. რა უნდა ვუთხრა... მახსენდება, ასეთ შემთხვევაში კომუნისტები სახაზინოდ ართმევდნენ ხელს. მეც უხერხულად ვეუბნები: „გმადლობთ!“

ჯონი ლატარია მთხოვს, შევხვდე მოსახლეობას. თავისი ინიციატივით შუადღისათვის შეუკრებია, მაგრამ რომ აღარ გამოვჩნდი, დაშლილან. მაინც მივყავარ. მგონი კულტურის სახლია. ისევ თავს უყრის მოსახლეობის აქტიურ ნაწილს. ბევრნი არ არიან. ვატყობ, მაინცდამაინც არ ვეპიტნავები. დაძაბულები მისმენენ, მეც ჯიქურ მივდივარ. „თავის დროზე უნდა გეფიქრათ, რომ ამ სამსართულიან სახლებს და მანქანებს დაცვა სჭირდება. მაშინ ამ დღეში არ ჩავცვივდებოდით“. „თქვენმა გვარდიამ რაღა გააკეთა? ხომ იყო აქ? მანქანები დაიტაცეს და წავიდნენ“, - ფეხზე დგება ხანში შესული გაკაპასებული ქალი. „ეს ცნობილი ზვიადისტკაა“, - მიჩურჩულებს ჯონი. მეც ხომ მეტი არ მინდა: „იმ თქვენმა ზვიადმა რაღა გაგიკეთათ, სად არის ახლა ეს დიდი პატრიოტი? გროზნოდან მტრებს გვიგზავნის, არა?“ პაექრობაში ვიღაცეები ერევიან. ეშინიათ, ურთიერთობა არ გამწვავდეს. ახლა მათთვის ერთადერთი იმედი მაინც მე ვარ. რასაკვირველია, მშვიდობიანად ვამთავრებ, პოზიციებს ვთმობ და ვუყვავებ. კოლხიდისკენ მიმავალი კი გზაში ვფიქრობ: ნუთუ სამართლიანია ამ ხალხის პრეტენზიები, ისიც ჩემდამი?! ჩემს შვილთან ერთად ჩამოვედი მათ დასაცავად. ალბათ რაკი ტვირთად იდებ რამეს, კეთილინებე და ნუღა წუწუნებ. „ვზიალსა ზა გუჟ, ნე გოვორი ჩტო დიუჟ“.

ისევ გავლით კომენდატურაში ვარ. დამწუხრებული გივი კვანტალიანი ტელეფონთან ზის, უკავშირდება თბილისსა და სოჭს. თავისი კურსანტები გაჰყავს - თერთმეტი ბიჭი მოუკლეს და ოცდაათამდე დაჭრილია. დანარჩენები მებრძოლები აღარ არიან. ველაპარაკები შევარდნაძეს, ზერელედ და მინიშნებით. მისგანვე ვიცი, რომ „ვეჩეც“ ისმინება. კოლხიდაში მელოდებიან. შეკრებილან მეთაურები, თავდაცვის სამინისტროს ოფიცრები. ხვალინდელ დღეზე ვსაუბრობთ. საჭიროა რკალის გაერთიანება. სიმაღლის აღების პარალელურად, ტყეში, გზისკენ გამოსვლა და ზღვისპირიდან, ფერმებიდან მათი გარეკვა. გიგა არველაძე კისრულობს სიმაღლეზე გასვლას. საშა გზიდან ტყეში გადაიყვანს გვარდიელებს. ამირან პაპუნაშვილი, გიგა გელაშვილი და მამუკა ბარათაშვილი მხედრიონის ბიჭებთან და თავდაცვის სამინისტროს მოხალისეებთან ერთად შეეცდებიან, ფერმებიდან ამოყარონ მოწინააღმდეგის ძალები და გავიდნენ გზაზე, ბზიფის მოსახვევამდე. აქ მხოლოდ ერთი „ბეემპეა“, მეტი არაფერი. აკიას ორი „ბეტეერი“ ლესელიძე-განთიადშია. ჩვენს იერიშში მონაწილეობას თავს არიდებს. მე იქ საზღვარი მაქვს დასაცავი, შევარდნაძემ დამირეკაო - ეს უკვე „ბლეფობს“. საზღვარს ის დაცვა სჭირდება, რომ ცალკეული მოხალისეები არ გადმოვიდნენ. ამას ტექნიკა რად უნდა. თუ რუსებმა ღიად დაგვიწყეს ომი, ორი „ბეტეერით“ გააჩერებ? ჩვენ კი, თუ გზა გავათავისუფლეთ, ისინი წინ წასაწევად გამოგვადგება. ერთი სიტყვით, ამიტომ არის აუცილებელი თავდაცვის სამინისტროდან დანიშნული აქაური საერთო ხელმძღვანელი. ხვალ ალბათ დავუკავშირდები თბილისში კიტოვანს ან სოხუმში - ყარყარაშვილს და გიგა არველაძემ ჩაიბაროს აქაურობა. ვბრაზდები: შეიძლება ასე მიტოვებული იყოს ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტი? მთელი ყურადღება გადატანილია სოხუმზე. მართალია, სოხუმი მისახედია და დიდი მნიშვნელობაც აქვს მის დაცვას, მაგრამ, ჯერ ერთი, რაკი ომი დავიწყეთ, დაცვისთვის არ უნდა განვეწყოთ. მეორეც - სოხუმი თუ დავკარგეთ, რაც წარმოუდგენელია, ვინაიდან აფხაზებს ჯერ არავითარი ძალა არა აქვთ სოხუმის დასაბრუნებლად, და თუ მაინც მოხდა ეს სასწაული, კვლავ შევძლებთ მის დაბრუნებას. მაგრამ გაგრა თუ დაიკარგა და საზღვარი მოიშალა, მორჩა! აქ ვერაფრით ვეღარ მოვხვდებით. ასევე საჩქაროა, სულ ერთი თვით გადაიკეტოს ავადხარა. მერე სიცივეები დაიწყება და იქიდან ვერავინ გადმოვა. თორემ ახლა,

როგორც ჩვენი დაზვერვა იტყობინება (სიტყვა „დაზვერვა“ პირობითია. ეპიზოდურად თუ ვინმე მგზავრი ან მეცხვარე მოგვიყვება რაღაც ამბებს), პატარ-პატარა ჯგუფები სწორედ ბზიფის ხეობაში შემოდიან, და, საერთოდ, გენერალური გეგმისათვის სჯობს, აქედან შევუტიოთ. ჩვენ სიმაღლეებიდან წამოვალთ - ისინი ქვემოთ იქნებიან. ჩვენ ტექნიკა გვაქვს, მათ - ჯერ არაფერი. ტექნიკისათვის კი გუდაუთა-გაგრის გზა გაცილებით მოხერხებულია, ვიდრე სოხუმი-გუდაუთა. აქედან ახალი ღია გზაა, სოხუმიდან კი ბუნებრივად ჩახერგილია. კარგად შეიარაღებულ პატარა რაზმს მთელი არმიის დაკავება შეუძლია. ერთი სიტყვით, თბილისში ჩავალ და განგაშს ავტეხ. მინდა, ადრე მივიდე სასტუმროში. ხვალ ბევრი სამუშაო მექნება. თავი მისკდება ამ უძილობით.

კომენდატურაში შევიარე. ჩამოსულან ვალერი ვაშაკიძე, ნუკრი ცისკაძე, საშკა იოსელიანი, პავლიკა იოსელიანი. ბადრი და ლუხუმა აპირებენ, გაგრის ბატალიონი შექმნან. ას კაცამდე ჰყავთ უზურში, მხედრიონს დაემატებიან, მაგრამ იარაღი არა აქვთ. ვპირდები: „ორი დღით ჩავალ თბილისში და ჩამოგიტანთ. მანამდე თქვენ ხალხი მოამზადეთ“.

ადრე მაინც ვერ ვიძინებ. ადგილობრივი სვანებისაგან ოფიციალურად ვაყალიბებ მესაზღვრე რაზმს. იარაღი არც მათ აქვთ, თუმცა, შეუძლიათ ცოტა ხანს ისე მიეხმარონ ერთიმეორეს. ფორმებს ბადრი ჰპირდება. ის იყო, თავი მივდე დასაძინებლად, რომ განგაშია! „ქალაქში პანიკაა, კოლხიდას თავს დაესხნენ. ზღვიდან დესანტია - ორი კრეისერი!“ საჩქაროდ ვიცვამ, ვიგინები: ეს ბატები, რა კრეისერი, რის კრეისერი, კრეისერი, და ისიც ორი, რუსეთს არა ჰყავს, აფხაზებს ვინ მიაშავებს. გია ვაშაკიძეს ვგზავნი კოლხიდის შტაბში, მე კომენდატურაში შევრბივარ. აფორიაქებულები არიან. ისევ ვიგინები, ვუყვირი ყველას, ვინც კი რამეს მეკითხება, დავცინი: „კრეისერები არა, ტოლმა!“ იცინიან. მივეშურები კოლხიდაში. შტაბიდან გამოდიან აღგზნებული, მაგრამ უკვე გახარებული მეომრები. სიბნელეში ვერ მცნობენ, გაცხარებით ლაპარაკობენ. ავდივარ მეორე სართულზე. გია ვაშაკიძე იცინის და ყვირილით მახარებს: „ჩავძირეთ, ბატონო ჯაბა, ორივე კრეისერი უკვე ჩავძირეთ!“ მერე მიყვება: „რა მექნა, რომ დამეწყო ახსნა, ასე და ისე-თქვა, ვინ დაგიჯერებდა, ან ყურს ვინ დაგიგდებდა? ჰოდა, მოვირბინე და გამოვაცხადე, ორივე უკვე ჩავძირეთ-თქვა. ჰოდა, დაწყნარდნენ. დაიჯერეს

თუ არ დაიჯერეს, ქე მიდიან გახარებულები“.

დილით იერიში არ გამოვიდა. მიზეზი წუხანდელი ღამე გამოდგა. მეთაურები მოდიან - ვინ როდის. რას იზამ, ასეთი დისციპლინაა. უნდა ვთქვა, რომ მხედრიონის მეთაურები საერთოდ არ წასულან დასაძინებლად, შტაბში გაათენეს. პოზიციების დასათვალიერებლად მთებში მივდივარ. თორმეტ საათში ერთხელ იცვლება მორიგეობა. ვფიქრობ, შემოვიღოთ ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა - ნაკლები ფაციფუცი იქნება. შევდივართ მაღალ ბუჩქნარში. მანდარინი, ფორთოხალი, ფეიხოა... ნაყოფი, ჰა და ჰა, დამწიფდება. ირგვლივ მთებია, სამხრეთითაც მაღალი მთაა. იქ აფხაზების პოზიციებია. ეს მთა თითქმის მთელ არემარეზე ბატონობს. ვათვალიერებ იქაურობას. შიგნით, ქალაქისკენ, ქედი მიემართება. აქედან მეჩვენება თუ მართლა ასეა, ამ ჩვენს მთაზე და იმაზეც, სადაც აფხაზები არიან, უფრო მაღალია. მთა ჩვენგან ხელმარცხნივ, შიგ ქალაქის ჩრდილო-სამხრეთ ნაწილშია. ადგილობრივი არავინაა, რომ ამიხსნას, რა არის იმ მთაზე ან მასთან ახლოს. ჩვენს ქვემოთ ხევია. ბიჭები მაჩვენებენ, თუ საიდან გამოჰყავდათ დაღუპული კურსანტები. უცებ სროლის ხმა და... ჩემს გვერდზე ვარდება ჩემი დაცვის წევრი საშა ჯავახიშვილი. გაგვყავს მოფარებულში, ხეებთან. ფილტვშია დაჭრილი. ტირის - ძალიან სტკივა. იქნებ ვინმეს აქვს ტკივილგამაყუჩებელი, თორემ შოკშია და შტაბამდე ვერ ჩააღწევს. ჩვენები პასუხობენ, ისე რა, უმისამართოდ. ვაჩერებ: „ნუ ისვრით! ეს სნაიპერი იყო“. წესრიგა წინ მეფარება: „თქვენ დაგინახეს და გესროლეს“. საშკას ბედზე „ბეემპე“ ამოსულა, საჭმელი ამოუტანია. ვსხდებით. საშკა ხმამაღლა კვნესის. ვცდილობ დავაწყნარო. ტკივილისგან გაოგნებულია, აღარაფერი ესმის. „ბეემპეში“ ვიღაცას აღმოაჩნდა ტკივილგამაყუჩებელი. მადლობა ღმერთს! ცოტათი წყნარდება. საშკა ჩემი მეგობრის, ვალოდკა ლაცაბიძის შვილიშვილია (ლამაზ ვალოდკას ეძახდნენ). იგი 1956 წელს ლენინგრადში დახვრიტეს. უდიდესი ვაჟკაცი და კეთილშობილი კაცი იყო. დაჭრილი საშკა საავადმყოფოში მიჰყავთ. მე კოლხიდაში ვრჩები. იფნარიდან (ჩვენ წინა მთების იქითა სოფელია) მოდის ხანში შესული სომეხი, უფრო სწორად, ჩემთან მოჰყავთ, როგორც „სამი ბოლშოი ნაჩალნიკთან“. ან ყრუა, ან მე ვგონივარ ყრუ, ან იქნებ იმიტომ, რომ მეტი პათოსი ჰქონდეს მის მონათხრობს, - მიყვირის: იფნარში 700-მდე ჩეჩენია. ყველა სახლთან სანგრები გათხარეს და ელოდებიან

ჩვენს შეტევას: სოფელში ყველას ძარცვავენ. მისი მოკვლაც უნდოდათ და აქეთ გამოიქცა. ყველაფერ ამის შემდეგ თვალებში შემომცქერის, ჩემი რეაქცია აინტერესებს. მე ჯერ მისი ტონი მაეჭვებს, მერე ეს ციფრი - 700 - ვეღარ მოსცილდა ჩეჩნების რაზმის განსაზღვრას. გუშინდელი პანიკაც მახსენდება. ეს ხომ თავისთავად არ მოხდა. პროვოკატორის ხელიც ურევია. ეს რომ ხმამაღლა ვთქვა, ამ საწყალს ცუდი დღე დაადგება. აქ არის გოგია „პულიმიოტჩიკი“. მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც წარმოშობით სომეხია, მაინც არ დაინდობს - უყვარს ჟანდარმული სამუშაო.

დილაუთენია მივდივარ ქალაქის საავადმყოფოში. იქ მთავარი ქირურგია მხედრიონელი კოლია. ოპერაციის შემდეგ მძიმე დაჭრილებს გზავნის - ზოგს ბარჟით ფოთში, ზოგს - ვერტმფრენით სოხუმ-თბილისში. პალატები და საოპერაციო - მდგომარეობიდან გამომდინარე - ყველაფერი სანიმუშოდ მოწესრიგებულია. ჩამოსულია ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ავთანდილ ჯორბენაძე. წამლები ჩამოუტანია. საავადმყოფოს ეზოში ვხვდები ჩემი კოწიას მეგობრებს - ლექსო მინდაძესა და რატი კიკაჩეიშვილს. ლექსო ერთ დროს მხედრიონში იყო და ცხინვალშიც მახლდა. რატი კი, რომ იტყვიან, „გაქანებული“ ზვიადისტის, პროფესორ თენგიზ კიკაჩეიშვილის შვილია. მამამისს არ გაემტყუნება, როგორც ამბობენ, ორივე დისერტაცია - საკანდიდატოც და სადოქტოროც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაზე დაუცავს. თვითონ რატი დემოკრატებშია. ამის ნიადაგზე ოჯახში სერიოზული განხეთქილებაა. ამჯერად ლექსო და რატი გვარდიასთან ერთად მოხალისეებად წამოსულან.

ცხელი ამინდი დგება. მზე დაფერილი მუზარადივით ბრწყინავს მთასა და მთას შუა. ზღვიდან წამოსული მონოტონური შრიალი ზღაპრულ ფშვინვად გაისმის. თითქოს თავჩაქინდრული მუზარადიანი გოლიათი, აჰა, თავს წამოჰყოფს, ძილბურანიდან გამოვა და აქაურობას თავისი დამაბრმავებელი ელვარე სახით დარისხავს. ადამიანთა ხმები დილის სიმყუდროვეში ურთიერთობას კი არ ამყარებენ, არამედ ზანზალაკებივით ჟღერენ მოკრიალებულ ლურჯ ცაზე. ადრეა, თითქოს სუნთქვას სადღაც ხვატი ეკიდება. რატის ფარფლებაპრეხილი ჩალის სომბრერო ახურავს. გული გადაუღეღია. მისი ზეთისხილის თვალები ანც ნაპერწკლებს ჰყრიან. დაჭრილი მეგობარი მოუყვანიათ. „შოსეზე აქეთ-იქითა

სროლებია“. ამაყად მეუბნებიან და საქმიანად სხდებიან მანქანაში. პოზიციაზე მიიჩქარიან. გული მეთანაღრება - ასე უპატრონოდ მიტოვებული ეს ბიჭები ჩემთან მაინც წამოსულიყვნენ. კოლხიდის შტაბში ბოლო მონაცემებს ვუსმენ. დღეს უნდა შევუტიოთ. ფართო ფრონტი გამოდის - 3-4 კილომეტრი. ზღვისპირეთმა უკვე დაიწყო მოძრაობა. გავდივარ მთებში. სვანებით დახუნძლული სატვირთო მანქანა „ლილეს“ სიმღერით დაიძრა. ვხედავ, ერეკლე თაბაშირიანი ფეხით ასკინკილით მიეშურება მანქანისაკენ. ზურგზე სნაიპერის შაშხანა ჰკიდია. „რას შვრები ბიჭო, ცალი ფეხით რას ეკონწიალები?“ - დარცხვენილი იღიმება. უდროო დროს დაშავდა: „მე იქ საჭირო ვარ“. და ამის დასამტკიცებლად მარდად ახტება ძარას.

მივდივართ მანდარინის, ფორთოხლის, ფეიხოას ბარდებსა და ბილიკზე ამოსულ ველურ ბუჩქებში. მაინც რა ბარაქიანი მოსავალია! ადამიანს რომ ჭკუა ჰქონდეს, რა ეომება?! პროვოკაციული და საკონტროლო სროლებით იწყება მოთელვა. შემდეგ გიგა არველაძეს ბიჭები იერიშზე მიჰყავს.

აფხაზებმა პირველი მთა დატოვეს და მეორე, უფრო მაღალი მთიდანაც გარბიან. იქით, გადაღმა, გაყოლა საჭირო აღარ არის. ახლა გვერდზე უნდა ჩავსწორდეთ და შოსედან ამოსულებს შევუერთდეთ. ასე რკალი გამთლიანდება. გიგა, როგორც იტყვიან, ეშხშია შესული, ბიჭები წინ და წინ მიჰყავს. იქ, მარცხნივ, უკვე ბზიფია და მარჯვნივ - ბიჭვინთის გზა. ვანელებს ვავალებ, გიგას გადასცენ, წინ ნუღა მიდის, არ ვიცით, იქ რა ხდება. რაცია ერთ კილომეტრზე ძლივს მუშაობს. ბაჭიას ვეუბნები, იმ ყველაზე მაღალ მთაზე ჩასხას მეომრები და გამაგრდნენ. მივემართები ზღვის პირისკენ. მთიდან ჩადიხარ ტყეში, ტყიდან - შოსეზე, შეუწყვეტელი კანონადაა. გგონია, თავი გიბჟუის, ან საფუტკრეში სკიდან სკაზე გადადიხარ. ჩემი დაცვის წევრი მერაბ ლუთიძე რაციით მახარებს: „რკალი შეერთებულია, რკალი შეერთებულია!“ ჩემი დაცვის მეორე წევრმა თენგომ (ყუმბარმტყორცნის ოსტატმა) კონტუზია მიიღო, მაგრამ მე რომ მიყურებს, მაინც წინ მიიწევს, თუმცა, თვალები უაზროდ ებლიტება და ფეხები ეკეცება. ვყვირი და ვუბრძანებ, სასწრაფოდ დაბრუნდეს. აფხაზები ზღვისპირეთის ფერმების თითქმის ყველა ნაგებობიდან გაიქცნენ. გზაში დაჭრილები მხვდებიან. ზოგს მანქანით მიაქანებენ ქალაქისკენ, ზოგს იქვე ეხმარებიან. შეტევაში

შოსეზე მონაწილეობენ: თბილისის მხედრიონის ნაწილი, კახეთის მხედრიონის ნაწილი, ბორჯომის მხედრიონი, ასევე თელავის გვარდიის ბატალიონი ტანკითა და „ბეემპეთი“. თბილისის მხედრიონი შოსეზე ზღვისპირეთიდან გადმოიყვანა მამუკა ბარათაშვილმა. კახეთის მხედრიონს ვაჟა ქრისტესიაშვილი ხელმძღვანელობს, ბორჯომისას - გიგა გელაშვილი. საერთო მეთაური ამირან პაპუნაშვილია. წინა საღამოს, განაწილებისას, ამირანი სევდიანი მეჩვენა. შემდეგ წესრიგამ გაიხსენა, მისთვის უთქვამს, ხვალ მომკლავენო. მას თავის რამდენიმე ახალციხელ ბიჭთან ერთად მთებში ყოფნა ერჩივნა. არადა, საერთო ხელმძღვანელობას მარჯვენა ფლანგზე მის გარდა ვერავის ვანდობდი. თითქოს მიმიხვდა და აღარაფერი უთქვამს, მომეხვია და წავიდა. შეტევა გამთენიისას დაუწყიათ - თანმიმდევრული პოზიციური პრესინგით, წინ-წინ გადარბენებით. ჩემს მისვლამდე სამი პიკეტი აღებული ჰქონდათ, მეოთხეც აღარ პასუხობდა, მიტოვებული ჩანდა. აფხაზებს ციტრუსებში გაეთხარათ მსუბუქი სანგრები. მოწინააღმდეგეს უფრო მომგებიანი პოზიცია ეკავა. ჩვენ, ძალაუნებურად მოშიშვლებულ სამანქანო გზაზე მოგვიხდებოდა გამოსვლა. უპირატესობას ერთ ტანკსა და ერთ „ბეემპეში“ ვხედავდით. თუ სწრაფ, თავბრუდამხვევ იერიშს განვავითარებდით, ბრძოლას მოვიგებდით. ასეც მოხდა - ჩაჩუმებულმა მეოთხე პიკეტმა ცოტა ხნით გახსნა ცეცხლი. მერე აფხაზები იქიდანაც გაიქცნენ.

სოფელი კოლხიდა გავიარეთ. ბზიფის მოსახვევამდე გავიდნენ იერიშის წინა რიგებში მებრძოლი ამირან პაპუნაშვილი, გიგა გელაშვილი, მისი სიძე ვალერი კაპანაძე და ბორჯომელი თემურ კურტანიძე. ისე დაწინაურდნენ, რომ ვაჟას რაზმს 100-150 მეტრით მოსწყდნენ. უცებ ორივე მხრიდან სროლა შეწყდა, ტანკიც გაჩერდა. ამირანი მიიჭრა ტანკთან, ალბათ, უნდოდა გაეგო, რაშია საქმე (ტანკთან რადიოკავშირი არ გვქონდა). გიგა, ვალერი, თემური ასფალტზე დასხდნენ და დაიწყეს ცარიელი მჭიდების შევსება. საიდანღაც ისევ ატყდა კაკანი და ტყვიების წივილი. ვალერის სხეულიდან თითქოს ცეცხლი გამოვარდა, ერთი შეჰყვირა: „ვაიმე, გიგა!“ და გადაქანდა. გიგა მივარდა. უკვე მკვდარი იყო. დასწვდა მის ავტომატს და წინ, ორივე მხარეს, უმისამართო სროლა ატეხა. როცა მჭიდები დაცარიელდა, გამოიქცა „ბეემპესკენ“, რომელიც მის შესახვედრად დაძრა ვაჟამ. ესროდნენ, მაგრამ, ეტყობა, უკვე

შორიდან, წელში მოხრილი ზიგზაგებით მორბოდა. „ძველი რაგბისტია!“ - თქვა ვიღაცამ. იქვე დაიჭრნენ ამირანიც და თემურიც. წინ წასვლა აღარ იყო საჭირო, რკალის ხაზი ჩამოტოვებული გვქონდა. ხალხს ბრმად ვერ გავუშვებდი. სასწრაფოდ გამოსაყვანი იყვნენ დაჭრილები და დაღუპულები. ტანკიც მისახედი გახდა. რკალის შეერთების ორიენტირად ეგრეთ წოდებული ფაცხები გვქონდა დანიშნული. იქ მოვიყარეთ თავი. ბიჭები შევაქე და გავამხნევე, ვახარე, რომ აფხაზები მთებიდანაც გავრეკეთ. იქვე პოზიციების გამაგრება დავაწყებინე. ფლანგის მეთაურად, ამირანის ნაცვლად, რომელიც საავადმყოფოში გააქანეს, გიგა გელაშვილი დავნიშნე. ზოროს დავავალე, ქალაქიდან სასწრაფოდ მოეყვანა ამწე, რათა ბეტონის ფილები ფრონტის გადაწეულ ხაზზე გადაგვეტანა.

ვბრუნდები კოლხიდის შტაბში. გზაში ვხედავ, ლექსო ქვაზე ჩამომჯდარა, თავი ხელებში ჩაურგავს და ზლუქუნებს. „რა ხდება?“ - ვეკითხები. „რატი მოკლეს!“ „სად?“ „აქ“, - მეუბნება თავაუღებლად. ისიც არ ვიცი, მხედავს, მცნობს, თუ ვინმე სხვა ვგონივარ. აქვე ვიღაც მატყობინებს, რომ გიგა არველაძე სასიკვდილოდ არის დაჭრილი. „ტყვია პირდაპირ პირში მოხვდა, ყბა ჩამოუგდო, ცოტა ხანს თვითონ მობანცალებდა, ხელით ეჭირა საკუთარი ნიკაპი, მერე შეეშველნენ“. შტაბში ვიგებ, რომ მოკლეს თბილისის მხედრიონის უსაყვარლესი ახალგაზრდა ბურძგლა. ასევე მთებში დაიღუპა ჩვენი გამოჩენილი სნაიპერი მიხო. მამამისი სიპიტო-ვანელი მის შემდეგ ჩაეწერა მხედრიონში. „ბეემპეს“ მუხლუხებმა ჩაითრიეს კეთილშობილი პავლიკა იოსელიანი. ის ჯერ კიდევ ცოცხალია, მაგრამ კოლიამ მითხრა, არ გადარჩებაო.

რკალი შევაერთეთ, თუმცა, ეს წარმატება ძალიან ძვირად დაუჯდა მხედრიონს - 30 დაღუპული და 80 დაჭრილი. ამირან პაპუნაშვილსაც ცოცხალს ვეღარ მივუსწარი საავადმყოფოში. ამ შეტევას გადაჰყვა მამუკა ბარათაშვილიც, რომელიც ზღვისპირა მხარეს ხელმძღვანელობდა და შეტევის ბოლო წუთებში მოუკლავთ.

შტაბში შემორბის აღშფოთებული ზორო. ამწე ძლივს უშოვია ქალაქში, წამოუყვანია, თვითონ გამოუსწრია თადარიგის დასაჭერად. „ვუცდი, ვუცდი, არ დაადგა საშველი. მანქანა არ ჩანს. დავბრუნდი. ვეძებ, საცა დავტოვე. გვარდიელებს ძალით არ წაუყვანიათ პორტში?! ბარჟაზე მანქანებს ტვირთავს.

ავტომატი გადავტენე, კინაღამ სისხლი დაიღვარა. თავი შევიკავე, რავარც თქვენ მასწავლეთ. თქვენი სახელი ვახსენე და ისე წამოვაბუნძულე ეს კრანი“.

საღამოს კომენდატურაში ბადრი და ლუხუმა მელოდებიან ახალი ამბით - ადგილობრივ მხედრიონს ასი კაცი ემატება, ოღონდ არავითარი იარაღი არა აქვთ. ვრეკავ თბილისში. შევარდნაძე ვერაფრით დამეხმარება. ვუკავშირდები კიტოვანს. როგორც ყოველთვის, უარს არ მეუბნება, მაგრამ მის იმედზე ყოფნა არ შეიძლება. ბადრი ეშმაკობს და მირჩევს: „დავარქვათ გაგრის გვარდია და იარაღს მოგვცემენ“. ვეთანხმები და ხელახლა ვიძახებ თბილისს. ველაპარაკები გაიოზ გალდავაძეს, კიტოვანის მოადგილეს, ვუხსნი, რომ ჩამოყალიბდა გაგრის გვარდია და არა მხედრიონი. ხვალისათვის მჭირდება ასი ავტომატი. გუდაუთიდან „ვეჩეთი“ მირეკავს ვიღაც აფხაზი ქალი, ეტყობა, მიცნობს. მეუბნება, რომ მედეა ჯაფარიძის და, საერთოდ, თაბუკაშვილების ოჯახის ახლობელია: „ნუთუ თქვენ დაუშვებთ, რომ იმ ცხვირმოუხოცავმა ბიჭმა - ყარყარაშვილმა შეასრულოს თავისი დანაქადნევი და გუდაუთაში ამოხოცავთ ქალებსა და ბავშვებს?“ „მე არ ვიცი, რა თქვა ყარყარაშვილმა, ხოლო ჩვენ მშვიდობიან მოსახლეობას არ ვერჩით. ეს გამორიცხულია“.

როგორაა ადამიანი მოწყობილი. ხდება: ერთ წუთში გაიელვებს განვლილი ცხოვრების რაღაც ნაწილი თავისი დიალოგებით, პეიზაჟით, ხმაურით, მელოდიებით, განწყობითა და სურნელებითაც კი. გაგრაში ვართ ახალგაზრდები - მედეა ჯაფარიძე, რეზო თაბუკაშვილი და მე. რასაკვირველია, ჩემს ახლანდელ წარმოდგენაში ის გაგრა სულ სხვაგანაა - ტერიტორიულადაც კი. მაშინ რეზომ მოსკოვიდან „მომიპარა“ სულ უბრალო ფანდით. რამდენიმე დღით საქმეზე იყო ჩამოსული. წასვლისას რესტორან „არაგვში“ პურმარილი გავუმართე. თავის მეგობრებთან ერთად მოვიდა. მე ჩემი მეგობრებით დავხვდი. სხვადასხვა სამყაროს ხალხი შეხვდა ერთმანეთს და თავიდან ერთგვარი უხერხულობა იგრძნობოდა, მაგრამ შემდეგ სუფრა საკმაოდ მხიარულად წარიმართა, მხოლოდ რეზო რაღაც შეფიქრიანებული მომეჩვენა. მე ცოტა ხნით მოსკოველმა ქართველებმა გადამიპატიჟეს. როცა დავბრუნდი, ჩვენი კამპანია ნირშეცვლილი დამხვდა. შევწუხდი, მასპინძლებმა რაიმე უტაქტობა ხომ არ გამოიჩინეს-მეთქი. ურთიერთობაში ვერაფერი შევატყვე. მალე ჩემმა

მეგობრებმა, სხვადასხვა მიზეზით, რიგრიგობით დატოვეს სუფრა. როცა რამდენიმე კაციღა დავრჩით, რეზომ ჯიბიდან თვითმფრინავის ორი ბილეთი ამოიღო და მითხრა, რომ თბილისში უნდა გავყოლოდი. დედა შეუძლოდ არის“, - მითხრა. „რამე ხომ არ მოუვიდა? - ვკითხე თავზარდაცემულმა, რადგან ეს სტანდარტული ფრაზები, უბედურების შესაჩვევი შეტყობინება, საყოველთაოდაა ცნობილი. დაეჭვებულმა, კიდევ რამდენჯერმე ვკითხე, მაგრამ რეზო გაუტეხლად იგივეს იმეორებდა. აღარაფერი დამრჩენოდა - დილით მასთან ერთად თვითმფრინავში ვიჯექი. მაშინ თვითმფრინავი მოსკოვიდან თბილისამდე რვა საათს უნდებოდა. როცა ოცი წუთი გავიდა და სალტეები შევიხსენით, რეზომ დამნაშავის ღიმილით მახარა: „ყველანი კარგად არიან - დედაც, ლილიც. უბრალოდ, მინდა შენთან ერთად დავისვენო ზღვაზე და იმიტომ წამოგიყვანე“. გულზე მომეშვა. რაღა დროს საყვედური იყო. ასე აღმოვჩნდი გაგრაში, შემდეგ - რიწაზე და ბიჭვინთაში, სადაც დღევანდელი კომპლექსებისა და სანატორიუმების ადგილას მხოლოდ რაჭიდან გადმოსახლებული ორიოდე ოჯახი ცხოვრობდა. ყველაზე გულის ამაჩუყებელი ამბავი ის გამოდგა, რომ მედეას და რეზოს გადაუწყვეტიათ, გამოვერიდებინე ჩემი დამღუპველი გარემოცვიდან. იმედი ჰქონდათ, რომ მე, როგორც მხატვრული ნატურა, მათი ხელშეწყობით, რაღაც კონკრეტულ საქმეზე გადავერთვებოდი. რეზო ახალი პიესის წერას იწყებდა, მედეა კი ამზადებდა ბერნარდ შოუს „პიგმალიონში“ ელიზა დულიტლის მთავარ როლს. მისი პარტნიორი სერგო ზაქარიაძე იყო, დამდგმელი რეჟისორი - ჩემი და, ლილი იოსელიანი. მედეა და რეზო 4-5 წლის შეუღლებულები იყვნენ, ხოლო გამოიყურებოდნენ და ერთმანეთს ექცეოდნენ როგორც სიძე და პატარძალი. მათ ირგვლივ იკრიბებოდა ყველა, ვისაც კი საქართველოში კეთილშობილი ადამიანის სახელი ჰქონდა, ან სურდა ასეთი ყოფილიყო. მათ შემყურე ადამიანებს ეუფლებოდა გამოუთქმელი აღმაფრენის გრძნობა, არამიწიერი შეგრძნება ანგელოზთა ხილვისა. ეს არ მოდიოდა მხოლოდ მათი უმშვენიერესი გარეგნობიდან, ეს იყო გამონათება თავისი არეალებითა და ელვარე დიადემებით, კეთილშობილი ფლუიდებითა და სიცოცხლის სიმფონიის ჟღერადობით. ეს წყვილი საქართველოს მომავლის გაურკვეველ და მით რომანტიკულ იმედად ბრწყინავდა, ქართული დარბაისლური ტრადიციების ცოცხალ, ბუნებრივ ზეიმად აისახებოდა. მათთან ურთიერთობა ადამიანს კაცთმოყვარეობისა და

შემწყნარებლობის სულისკვეთებით აღავსებდა და, თუ გნებავთ, ერთგვარი მარადიულობისა და უკვდავების ანგარიშმიუცემელ ქროლას აზიარებდა. მანამდე არც ერთი ჩვენგანი რიწაზე არ იყო ნამყოფი. როცა რესტორნიდან აივანზე გამავალი კარი გაგვიღეს და ანაზდად ნაძვის ხეების ფონზე დათოვლილი მთების ჩარჩოში, ჩამავალი მზის სხივებისაგან მოოქრული, ლურჯი ლივლივა წყალუხვი სივრცე წამოვიდა ჩვენკენ, სამივემ როგორღაც შვებით ამოვიოხრეთ. თუ ამ ჩანაწერებს გამოქვეყნება ეღირსა, დიდად ბედნიერი ვიქნები, თუ თხრობის ამ მონაკვეთში გამოჩნდება მედეას სურათი ელიზა დულიტლის როლში. თხემით ტერფამდე, სულითა და ხორცით არისტოკრატი „უბრალო გოგონა“ ემზადება ზეპური საზოგადოების წინაშე გამოცდის ჩასაბარებლად. მხატვრის ეს სურათი ოდნავ, მაგრამ მაინც წარმოადგენს მედეას მშვენიერებას და, რაც მთავარია, გვახსენებს შილერის იდეისაგან გამოყვანილ დოსტოევსკის მაქსიმას: „სილამაზე იხსნის ქვეყნიერებას“. არ ვიცი, ვინ არის ის ქალი, ვინც მედეა გამახსენა, მაგრამ იგი ჩემი მტერი აღარაა.

ამ გაელვების შემდეგ კაბინეტში ვხედავ შეშლილ სახეებს, უხეშად მოძრავ ადამიანებს და ის წამიერი განწყობა გულძმრად მექცევა. მინდა ვიღაცას გადავეღობო, შევაჩერო, ვუყვირო, გამოვაფხიზლო ამ საშინელი სიზმრიდან. ეს რა ხდება? შემოდის ლულუ ჩხენკელი, მოხალისე კორესპონდენტი. როცა ციხიდან რუსთაველის პროსპექტი გადავირბინე, ცეცხლმოდებულ სასტუმრო „თბილისში“ დიქტოფონით ხელში პირველად ეს ქალი შემომეგება. ახლაც უნდა, ინტერვიუ აიღოს ჩემგან: „არა! ლულუ! არა! თავი დამანებე“, - უზრდელად ვისტუმრებ. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მირეკავენ გუდაუთიდან - ეს კონსტანტინე ოზგანია, აფხაზეთის ერთ-ერთი გავლენიანი ლიდერი. შეხვედრა სურს. „მე მზადა ვარ, როცა გინდათ და სადაც გინდათ“. შევთანხმდით, ხვალ დამირეკავს. ეტყობა, ჩვენმა დღევანდელმა წარმატებამ გვარიანად შეაშფოთა აფხაზთა მხარე. არავითარი დაზვერვა არ არსებობს, რომ შევიტყოთ, რა ხდება იქ სინამდვილეში. აფხაზთა აგენტურა კი არა, მგონი, ქართველები მუშაობენ იმათ სასარგებლოდ. აბა, რა იყო გუშინწინდელი პანიკა ქალაქსა და ფრონტზე ერთდროულად „კრეისერების“ შესახებ?! ჯარს არა აქვს დაზვერვა, გასაგებია, ფაქტობრივად ჯარი ჯერ არც არსებობს, მაგრამ ეს „კაგებე“ -

ლეგენდარული დიდყურა ორგანიზაცია რაღამ დააჩაჩანაკა? დავუშვათ, ცენტრალურ აპარატში მოვახდინეთ ცვლილებები, პერიფერიებში ინერცია მაინც არ მოქმედებს? იქნებ ეს ჩაურევლობა შენიღბული ობსტრუქციაა? მოლაპარაკება თუ შედგა, განსაკუთრებული სიფხიზლე უნდა იყოს ფრონტზე. ისტორიას თუ გავიხსენებთ, მაგალითად, რუხის ბრძოლის ეპიზოდებს - ყველაზე არასანდო პერიოდი აფხაზებთან მოლაპარაკების დროა. ისინი ვითარებას იყენებენ ვერაგული თავდასხმის მოსამზადებლად. როდესაც ჩვენს ხელმძღვანელობას ამ ამბავს ვახსენებ, არავინ სერიოზულად არ აქცევს ყურადღებას - იაფფასიან ოქროპირობაში მეთვლება, არ სურთ გაიხსენონ ისტორიის ეს გაკვეთილი, თუმცა, ადამიანმა როგორ უნდა გაიხსენოს ის, რაც არ იცის?! ძნელია ასეთ ხალხთან ურთიერთობა.

ბადრი მპირდება, რომ სვანი მთამსვლელებისგან შექმნის სადაზვერვო ჯგუფს. ეს, რაღა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ ახლა მთელი ომის უპირველესი პრობლემაა, სასწრაფოდ გადაიკეტოს ავადხარის მიდამოები, ბზიფის ხეობა, საიდანაც შემოდიან ჩრდილოკავკასიელი ინტერვენტები. ოქტომბერში მთაში თოვლი მოვა, გზები და ბილიკები გაუვალი გახდება. უნდა გავფრინდე თბილისში. დავარწმუნო შევარდნაძე, კიტოვანი, სიგუა და ყველა ძალოვანი უწყება, რომ მთელი ყურადღება დაეთმოს გაგრას. გარდა ამისა, თბილისის უპატრონოდ დატოვება არ შეიძლება. შევარდნაძე მთელი კომპანიით მოსკოვს მიემგზავრება ელცინთან მოსალაპარაკებლად. რევანშისტები ნელ-ნელა ისედაც ძლიერდებიან ჩვენი პოპულისტური პოლიტიკის გამო. ვთამაშობთ დემოკრატიას, ფაქტობრივად, ანარქიისაკენ მივექანებით. მხედრიონელებიც შესაცვლელი მყავს - გავნახევრდით: 200 კაციდან 100 მწყობრიდან გამოვიდა, მერე რა ბიჭები... ბევრ თბილისელს ფიზიკური მომზადება აკლია, აქ გაშლილი ფრონტია და არა ქუჩის ხელჩართული ბრძოლები, თანაც, საყოფაცხოვრებო გაჭირვებაა. თბილისში არჩევნების საქმეც მისახედია.

დასაძინებლად სანატორიუმში მივდივარ. ვესტიბიულში ბაჭიას და რამდენიმე მხედრიონელს ვხედავ. „ბიჭო, მე შენ მთებში მგონიხარ, აქ რა გინდა?“ „ჩვენები იქ არიან. მე დილით მივალ“. „დილით რომ იმ მთაზე აფხაზები დაგვხდნენ?“ „კიდევ ავიღებთ“, - იღრიჭება. ამათ ომი რინგზე გამოსვლა ჰქონიათ.

„ახლავე წადი და ფეხი არ მოიცვალო, ვიდრე ცვლა არ მოვა!“ დილით ირკვევა, რომ იმ მაღალ მთაზე მართლაც ისევ აფხაზები მოკალათდნენ. სამტრედიის და ბორჯომის მხედრიონს გია ვაშაკიძის ხელმძღვანელობით ხელმეორედ მოუხდათ მათი იქიდან გარეკვა. ერთი სიტყვით, მთებიდან ზღვამდე რკალი მთლიანად შეკრულია. ერთი კილომეტრით წინ წავიწიეთ. ერთის გარდა, ყველა მაღალი მთა ჩვენია. ამას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. კიდევ ერთი ასეთი ბრძოლის მოგება და ბზიფის გზა გადაჭრილი იქნება, ბიჭვინთა - იზოლირებული, გუდაუთა კი ალყაში აღმოჩნდება. საჭიროა, სულ ცოტა, სამასი კაცი და რაღაც ტექნიკაც. მანამდე - კარგი დაზვერვა. თვით გაგრას კარგა ხანს არავითარი საფრთხე აღარ ემუქრება. დოდო გუგეშაშვილი ხან მთებშია, ხან - შტაბში, ხან - კომენდატურაში. სისტემა შესაცვლელია. ალბათ, აჯობებს თითო დღე-ღამე ერთი და იმავე ხალხმა იდარაჯოს, ვიდრე დღეში ორჯერ ვცვალოთ. ჯერ ერთი, მასობრივი მოძრაობა ყურადღებას იპყრობს. მეორეც - ვიდრე ახალი ცვლა დეტალებში გაერკვევა, მისი შეცვლის დროც აღწევს. ვალერი ვაშაკიძის წინადადებით, რომელიც მთებიდან დაბრუნდა, ერთი კი არა, ორი დღე-ღამით ვგზავნით ჯგუფებს. სამხედრო უწყების ხელმძღვანელობა არსად ჩანს. აკია ბარბაქაძე ლესელიძეშია, საზღვარს იცავს. აქ ჯერ არც სარდლად დანიშნული ყარყარაშვილი ყოფილა. კიტოვანი საერთოდ დაკარგულია, ტელეფონითაც ვერ ვუკავშირდები. არადა, ძვირფასი დრო იკარგება. აფხაზები შეფუცხუნებულები არიან. გია ვაშაკიძეს ვტოვებ საერთო ხელმძღვანელად. მივფრინავ სოხუმში, იქიდან თბილისში წავალ. გუდაუთიდან აღარავის დაურეკავს, ალბათ, გადაიფიქრეს შეხვედრა. ძალიანაც კარგი. თუ აფხაზთა ლიდერებთან მოლაპარაკება შედგებოდა, მე მაინცდამაინც მზად არ ვიყავი რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად.

ყარყარაშვილი არც სოხუმშია. თუმცა, მისი ნაწილი, „თეთრი არწივი“, აგუძერის სანატორიუმში არის განლაგებული. პოზიციებზე უმთავრესად გენო ადამიას სახალხო ლაშქარია. თავის დროზე იგი მხედრიონად ჩამოყალიბდა. ვიდრე გამსახურდია დამიჭერდა, გენო მატარებდა მათ შეკრებებზე. მერე ვითომ გვერდიას უნდა შეერთებოდა, ვაჟა ადამიას კოსტავას საზოგადოებასთან რაღაც ალიანსში იყო, მერე კიტოვანი რკონში გაიჭრა. ახლა ჯერჯერობით სახალხო

ლაშქარია. ითხოვენ იარაღს. ვათვალიერებ პოზიციებს გუმისთიდან სოფელ თავისუფლებამდე. ყველაზე საშიში ადგილია სოფელი შრომა. ჯერ კიდევ 1989 წელს, როდესაც მხედრიონმა ჯვრიდან დალის ხეობით ლაშქრობა მოაწყო, როცა ვეკუას დაკრძალვის შემდეგ აფხაზთა გამოსვლებს ელოდებოდნენ, ჩვენ მაშინ სოხუმში კი არ გავჩერდით, არამედ შრომაში, რადგან მხოლოდ იქიდან შეიძლება სერიოზული ზარალი დაადგეს სოხუმს. ახლაც ყველაზე სუსტი და ამავე დროს სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი შრომაა. ვათვალიერებ სოფელს. იქ მარტო ადგილობრივი მხედრიონის ნარჩენები აქტიურობენ გიგლა ქარდავას თაოსნობით. გავდივართ შრომის წინა სოფელ კამანში. გადმოცემის მიხედვით, აქ წმიდა ანდრია პირველწოდებულმა პირველ საუკუნეში იქადაგა ქრისტეს რჯული. აქვეა ადგილობრივი ქრისტიანი აფხაზის, ანუას მიერ აღდგენილ-აშენებული პატარა კოხტა ეკლესია. სოფელში სულ სამი ათეული კომლია, უმეტესად, სვანები. მათ 18-კაციან რაზმს ხელმძღვანელობს ზაზა, თანაშემწეა არცთუ ახალგაზრდა ჯემალი. ზაზა სადღაც იყო გასული და ჩვენი წამოსვლისას მოვიდა. მანამდე ჯემალმა ბილიკებით აგვიყვანა სოფლის მოპირდაპირე მთაზე, რომელიც მთელ იმ არემარეს გადაჰყურებს. შრომაც ფეხქვეშ აქვს მოქცეული. ეს ჯერ უპატრონოა. ითვლება, რომ აფხაზეთის პოზიციებს ეკუთვნის, მაგრამ აქ ჯერ არავინ ჩანს, ეტყობა, ამისათვის ვერ მოუცლიათ. აქედან კი, თანაც ზურგიდან, არტილერია თავისუფლად მისწვდება ეშერის მიდამოებს. ათონის გავლით, მთებით, პირდაპირ გუდაუთაში გადახვალ. აქ აუცილებელია ჩვენი პოზიციების დაფუძნება. ეს თვრამეტი კაცი კამანისათვისაც ცოტაა, რადგან შრომისგან 3-4 კილომეტრითაა დაცილებული, სოხუმამდე დაკავშირებას კი მოტორიზებული ტრანსპორტით ნახევარ საათზე მეტი სჭირდება. ჯემალი მიყვება მთელ თავის გეგმას - სად, რა, როგორ უნდა განლაგდეს. იგი მონადირეა, რუსის ჯარში ნამსახურევი, აქაურობა ხუთი თითივით იცის. „თუ აქ პოზიცია არ შეიქმნა, კამანი ხუთ წუთსაც ვერ გაძლებს. თუ კამანი დაეცა, მერე შრომა რაღაა? და თუ შრომა დაეცა, სოხუმი იქვე ჩაბარდება“. - მიმტკიცებს იგი. „კაცო, ჩვენ იქით უნდა შევუტიოთ, - ვამბობ მის გასამხნევებლად, - შენ კი აქ რა თავდაცვითი სტრატეგია მომიტანე“. „მერე, თუ შეტევა გვინდა, სწორედ აქედან უნდა დავიწყოთ და არა შოსედან და რკინიგზიდან, სადაც ერთი დანაღმული კილომეტრი შეაჩერებს

მთელ არმიას“, - მპასუხობს განაწყენებული. გენოც კვერს უკრავს.

ჯემალი სოხუმში მიმყავს, შტაბში ვაბარებ პაატა დათუაშვილს. „პაატა, - ვეუბნები, - ყური დაუგდეთ ამ კაცს. ძალიან სერიოზულად მოეპყარით მის თითოეულ წინადადებას“. ვემშვიდობები ჯემალს და ხუმრობით დავძენ: „ნუ გეშინია, თუ თავდასხმა იქნება, იმწამსვე თქვენთან გავჩნდები!“ „ეჰ! მაშინ შენ სად გიპოვის კაცი!“ - არ მოსწონს ჩემი, როგორც თვითონ თვლის, არასერიოზულობა.

გოგა ხაინდრავას საქმე კარგად მიჰყავს. თვითონ დადის გაჭირვების ყველა ადგილას. აეროპორტში მაინც უწესრიგობაა. ვერა და ვერ სრულდება ბრძანება, რომ იარაღიანი არავინ გაუშვან თბილისისკენ. ამაში მხედრიონელებიც ტყუიან. ისინი საერთოდ არ აბარებენ იარაღს, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ მხედრიონელს უმეტესად თავისით ნაშოვნ-ნაჩალიჩარი იარაღი აქვს და არა მთავრობის მიცემული, თანაც, უკვე სამი-ოთხი წელიწადია, ამ იარაღს შეეზარდა. და კიდევ ის, რომ თუ იგი შინ ბრუნდება, სულ რამდენიმე დღით, ჯარისკაცები სხვა საქმეა - თუ დაჭრილია, ან სხვა მიზეზით გადის, იარაღი ხომ ნაწილში უნდა ჩააბაროს? თუ მოხალისედ იყო წამოსული და, ერთი ანეკდოტისა არ იყოს, „ხალისი გამოუნელდა, ძამა, და აღარ მოსწონს ომი“, მაშინ მით უმეტეს - იარაღი სად მიაქვს?! ამის თაობაზე ხშირად ხდება კონფლიქტები აეროპორტში. გოგა თვითონ აკონტროლებს ამ პროცესს. თუმცა, ეს პატრულების სამუშაოა.

გოგა კვლავ შერიგებისკენ მოუწოდებს ლოთი ქობალიას - მიფრინავს ზუგდიდში, მერე ის ჩამოჰყავს სოხუმში, მაგრამ, ეტყობა, ქობალიას მხრიდან ეს თამაშია. ზუგდიდთან გზა მაინც გადაკეტილია და თვითმფრინავებითა და ვერტმფრენებით გვიხდება მოძრაობა. ეს წარმოუდგენლად ძვირი გვიჯდება. თბილისში, შევარდნაძესთან სხდომაზე, ვხვდები კიტოვანს, სიგუას, ყარყარაშვილს, ცქიტიშვილს (სამინისტროს შტაბის უფროსს). მოკლედ ვუამბობ გაგრის ვითარებას, დაჟინებით მოვითხოვ, მივხედოთ უპირველესად გაგრას. ჩემი წინადადებები იძირება უამრავ ცრუ ინფორმაციაში. ვატყობ, ჩემს „აჩემებას“ „უწყებრივ“ მიკერძოებად თვლიან. რადგან გაგრაში მთავარი ძალა მხედრიონია, ვითომც ამიტომ ვარ ასე მონდომებული.

შევარდნაძეც ნაწილობრივ იზიარებს ამ განწყობას, შესაძლოა, პირდაპირ კონფლიქტს ერიდება. მოკლედ, ჩემი წინადადებები რჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. ერთი, რაშიც დავითანხმე კიტოვანი (ამაში შევარდნაძეც დამეხმარა), არის ის, რომ ასი ავტომატი უნდა გავუგზავნოთ ახლად ჩამოყალიბებულ გაგრის ბატალიონს, რომელიც სახელდებული იქნება გვარდიის ნაწილად. ალბათ ბადრის ამ ეშმაკობამ გაჭრა, თორემ, რომ გამჟღავნებულიყო, მათი მხედრიონელობა დაღუპავდა საქმეს. თუმცა, მათ ჯერ მხედრიონობაც ვერ მოასწრეს და არც არავითარი გვარდია არ არის.

თბილისში პოლიტიკური ცხოვრება ჩქეფს. ყველას არჩევნების დიდი იმედი აქვს. იქმნება პარტიათა და უპარტიოთა ბლოკები. სოკოებივით აღმოცენებულ 10-15-კაციან პარტიებს სათავეში უდგებიან უმრევლოდ დარჩენილი ლიდერები. შევარდნაძე კენჭს იყრის, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე (ჩემი წინადადება გასულა). მე დილემის წინაშე ვდგავარ: ან სულ უნდა წავიდე პოლიტიკიდან, ან რა, თვითონ არ ვიცი... ჩემთვის, რასაკვირველია, სჯობს, წავიდე, მაგრამ საქმე? გამოვა, რომ შუა გზაზე მივატოვე. შევარდნაძეს რაღაცას უხიმანდრებენ, გაუშვებენ და ისევ აირევა მონასტერი. მაინც ჩართვა დამჭირდება, თანაც, უარეს პოზიციაში. აი, ეს ომი როგორმე ჩავაქროთ, მერე პარლამენტის წევრი ვიქნები - მორჩა და გათავდა. ბიჭებსაც მიხედვა დასჭირდება, თორემ ესენი ისევ ციხეში შერეკავენ.

ნაძალადევის რაიონიდან მოდიან სხვადასხვა წრეებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, მთხოვენ და მირჩევენ, მათ რაიონში ვიყარო კენჭი. ვთანხმდები. ნდობით აღჭურვილ პირთა შორის არიან ლაშა თაბუკაშვილი, გოგა ხაინდრავა, აკადემიკოსი ნიკო ჭავჭავაძე. რამდენჯერმე გავედით ხალხში, ჩავატარეთ შეხვედრები. ცუდად არ გვხვდებიან. არც ერთ შეკითხვას უპასუხოდ არ ვტოვებ. ერთი დიდი აუდიტორიის წინაშე მომიხდა გამოსვლა. ვიდრე სიტყვას მომცემდნენ, როგორც წესია, ჩემი ნდობით აღჭურვილი პირნი მახასიათებენ. ამჯერად მხოლოდ ნიკო ჭავჭავაძე და გოგა ხაინდრავა მახლდნენ. წინასწარ გაგვაფრთხილეს, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობა ზვიადისტები არიან. გამოვიდა ნიკო ჭავჭავაძე, დაიწყო ცხვირში ბურდღუნი: „რაც თავი მახსოვს, სულ ჯაბა იოსელიანის სახელი მესმოდა, სულ ცუდი რამეები, მერე გავიცანი და კარგი კაცი გამოდგა“. ეს იყო მთელი მისი

დახასიათება. ახლა გოგა ხაინდრავა გამოვიდა. იმანაც დიდად მთამბეჭდავი ვერაფერი გაიხსენა. მერე ოსური კონფლიქტის პერიპეტიებზე შეჩერდა, ჩემი დამსახურების აღნიშვნა უნდოდა. უცებ რაღაც პროვოკაციულ რეპლიკაზე წამოეგო: „როგორ?“ - გაღიზიანდა იგი, ნელ-ნელა აზარტში შევიდა - „როგორ? იმ დროს თქვენ ცხინვალში არ იყავით? არ ყოფილხართ, ხომ? მაშ, რა უფლება გაქვს, ამ საკითხზე ილაპარაკო?“ - „შენზე“ გადავიდა. ვიღაცამ დარბაზიდან შეუძახა, ამან - აქედან: „მე ვიცი, თქვენ ვინა ხართ, უუუ...“ გოგა უკვე მუშტებს ურტყამს ტრიბუნას. ვაიმე, - ვფიქრობ - აქ ჩვენ მაგრად გავილახებით. დარბაზში უკვე არეულობაა. ქვებს დაგვიშენენ და სულ „ზვი-ა-დი, ზვი-ა-დი“-ს ძახილით კუდამოძუებულებს გაგვაქცევენ-მეთქი. ჩავერიე. გოგას ვაწყნარებ. აი, ნდობით აღჭურვილი პირებიც ასეთი უნდა! როგორც იქნა, აუდიტორია დავაშოშმინე. ნამდვილი ამბავი მოვუყევი, თავს გადახდენილი. კომუნისტების დროს ერთი ჩემი მეგობრის შვილი სამედიცინო ინსტიტუტში აბარებდა. გახსოვთ, ალბათ, რა ძნელი იყო იქ მოხვედრა. მოვიდა ეს ჩემი ძმაკაცი და მთხოვს, წავყვე ინსტიტუტში: ხვალ ნუგზარი (მისი შვილი აბარებს ქიმიას. ვიცი, ქიმიის კომისიის თავმჯდომარე შენი ნათესავია და, საერთოდ, გიცნობენ, ჯაბა ხარ! ნუ დამზარდები და ორი სიტყვა შემაწიეო. როგორც მაშინ იყო მიღებული: არაფერი მინდა, ოღონდ ბავშვს ცოდნა არ დაუკარგონო. კი, კაცო, მაგაზე გაწყენინებ-მეთქი? სავარძელი გადაფერთხა, დიდი მოწიწებით ჩამსვა მანქანაში და მივადექით სამედიცინო ინსტიტუტს. ეზოში უამრავი ხალხია - აბიტურიენტები, მშობლები, გულშემატკივრები. შევდივარ შენობაში. ჩემი დაჯერებული მოქმედებით გამხნევებული მეგობარი უკან მომყვება. წამომეწია და წამჩურჩულა, პედაგოგები ჩაკეტილი ჰყავთო. არც მოვტრიალებულვარ - დავადე თავი და მივდივარ. ბიჭოს! არ მიშვებენ. უცხო პირების შესვლა არ შეიძლებაო, მაფრთხილებს კარისკაცი. ყურადღებას არ ვაქცევ, მივდივარ. დამეწია, ხელს მკიდებს, ვუბიძგე - მექაჩება. ამას ერთი ვრეკე, აგერ, ვიღაც გამოხტა. თურმე პროორექტორია. გამოიწია, იმას ღიპში მუხლი ამოვარტყი. ატყდა ერთი აყალმაყალი, გაწევ-გამოწევა. დასაჭერად გვიხდება საქმე. გავრბივართ - მოგვდევენ. ძლივს გამოვასწარით. ჩემი ძმაკაცი იმას დარდობს, მანქანის ნომერი თუ ჩაიწერეს, დავიღუპე, ნუგზარს ეგრევე გამოაგდებენო.

მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ვერ მიცნეს, მაშინ ასეთი პოპულარული არ ვიყავი, მანქანის ნომრის ჩაწერაც ვერ მოუსწრიათ. ნუგზარი თავისით მოხვდა სამედიცინო ინსტიტუტში, სამაღარიჩო პურმარილზე კი ჩემმა ძმაკაცმა საქვეყნოდ გამოაცხადა: „თუ ვინმეს რაიმე საქმის ჩაწყობა დაგჭირდათ, ჯაბა წაიყვანეთ!“ ჩვენი გოგას საქმეც ასეა - თუ დეპუტატად არ ამირჩევთ, მილიციამდე მაინც მშვიდობით მიგვაცილეთ-მეთქი. ხალხმა გაიცინა და შეგვირიგდა.

შევარდნაძეს შინაგან საქმეთა მინისტრის, რომან გვენცაძის მოცილება სურს. არც მე ვარ წინააღმდეგი. რომანი არ არის ცუდი კაცი, მაგრამ ძალიან გაება ამ პოლიტიკურ თამაშში. ის ფაქტიც, რომ მინისტრი ტყვედ ჰყავდათ აყვანილი, ავტორიტეტს უკარგავს სამინისტროს, ისედაც ფულის შოვნის მეტს არაფერს აკეთებენ. ვიდრე რეფორმა მოხდებოდეს, საჭიროა ახალი ძალები, ენთუზიასტები, პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდები. პირველ კანდიდატურად ეროვნული მოძრაობის ძალებიდან თორნიკე ფიფია ავირჩიე. მახსოვს მისი აქტიურობა, მარიფათიანობა, გამჭრიახობა სოფელ ჯვარში (წარმოშობით იქიდან არის), 1989 წლის აფხაზური მოვლენებიდან. აგრეთვე მისი ობიექტურობა - მიუკერძოებლობა ეროვნულ ფორუმში ზვიად გამსახურდიასა და ვაჟა ადამიანთან ჩემი დაპირისპირებისას, აგრეთვე ფორუმთან ატეხილი სროლის მიზეზების გამორკვევის დროს. მაშინ იგი ამ კონფლიქტის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს. გარდა ამისა, თორნიკე ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და ირაკლი წერეთლის მარჯვენა ხელია. ამ აზრს ვუმხელ შევარდნაძეს. ვატყობ, ჩემი არჩევანით აღფრთოვანებული არ არის, არაფერს მპასუხობს. ვესაუბრები თვითონ თორნიკეს. რაღაც ყოყმანს ვამჩნევ. ეს უკვე აღარ მომწონს, აქ მოკრძალება არ ჩანს, ჩემთვის უცნობი მიზეზია. მე ენთუზიასტი მჭირდება, პატრიოტი, კაცი, რომელიც საბჭოურ შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიტიკული თვალით შესცქერის. ამ თემაზე შემდეგი შეხვედრისათვის შევარდნაძეს ვთავაზობ თემურ ხაჩიშვილს. მოკრძალებული, ენერგიული ახალგაზრდა კაცია, რაღაც გამოცდილებაც აქვს. სამ წელიწადს მხედრიონში იყო, ახლა „კაგებეს“, ანუ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილეა, პროფესიულად გახსნა

ჩიქოვანის ქუჩაზე მოწყობილი ჩემი აფეთქების საქმე. საკმაოდ განათლებულიცაა, წარჩინებით აქვს დამთავრებული თეატრალური ინსტიტუტის კულტსაგანმანათლებლო ფაკულტეტი. მზადა აქვს საკანდიდატო დისერტაცია ეროვნული მოძრაობის შესახებ. მართალია, ჯიუტი და თავდაჯერებულიცაა, მაგრამ ეს იქნებ კარგი თვისებაა დღეს მოთამაშე პიროვნებების ფონზე. „ციხეში ნაჯდომია“, - მეუბნებიან. მე ამას დადებით მომენტად უფრო მივიჩნევ იმ კაცისთვის, ვისაც უმთავრესად ადამიანთა უფლებებთან და ციხესთან ექნება საქმე. კომუნისტური ცრუმორწმუნეობის პარაგრაფი ნასამართლობის შესახებ თვალთმაქცობაა. საკითხავია, კომუნისტურ და პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში ვინ უფრო საშიშია: ციხეში ნაჯდომი ხულიგანი თუ კომკავშირში გამობრძმედილი დემაგოგი. შევარდნაძე თავს იკავებს. ვხსნი ბოლო კოზირს. შევარდნაძის ჩამოყვანის იდეა 1990 წლის ნოემბერში სწორედ თემურ ხაჩიშვილმა მომაწოდა. მაშინ მე ერთგვარი ტურნე ჩავატარე დასავლეთ საქართველოში და აჭარაში. ვხვდებოდი ხალხს და უმთავრესად გამოვდიოდი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდიას არჩევის წინააღმდეგ. ჰოდა, ბათუმის თეატრში ჩატარებული შეხვედრის შემდეგ ქობულეთში ხაჩიშვილმა მითხრა: შევარდნაძის ჩამოყვანა თუ მოხერხდა, საქართველოს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო. გაჩუმდი, თავი არავინ წაგაცალოს-მეთქი, გავაფრთხილე. ამას ვუყვები შევარდნაძეს. ვერ ვიტყვი, გადამწყვეტი იყო თუ არა ჩემი არგუმენტი, მაგრამ შემდგომ ბორის სარალიძის (იმხანად შევარდნაძის თანაშემწის) აქტიურობამ ხაჩიშვილის სასარგებლოდ მაფიქრებინა, რომ ბორიას მხრიდან თვითშემოქმედებას არ ჰქონდა ადგილი.

როგორც იქნა, გაგრის შესახებ მთავრობასა და თავდაცვის სამინისტროს ყურები გამოვუფხიკე. ავტომატების საკითხიც გადავწყვიტე.

მივდივარ სოხუმში, იქიდან კი - გაგრაში. სოხუმში დილაადრიან ჩავდივარ. პირდაპირ პოზიციებისკენ მივეშურები, არ შევიარე არც „გოსდაჩაზე“, არც სამხედრო შტაბში. ზღვის პირზე, „მაიაკთან“, თევზის ფაბრიკასთან, კარგად განულაგებიათ საგუშაგოები. ორი ბარჟა ტექნიკით - ათამდე ტანკი და „ბეემპე“, რამდენიმე ასმილიმეტრიანი ქვემეხი ნაპირს მოსდგომია. „ვისია?“ - ვკითხულობ. „წუხელ

მოვიდა ფოთიდან. ეკიპაჟი ჯერ არ გადმოსულა“, - მპასუხობენ. ავდივარ ტრაპზე. ყველა ნაცნობია, ყოფილი მხედრიონელები, ახალციხის ბატალიონი, რომელიც თავდაცვის სამინისტროს გადავეცი. „ვინ არის უფროსი?“ ვხედავ, გამოდის პოლკოვნიკი გია თორაძე - პირველი პროფესიონალი სამხედრო, მხედრიონელი, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მოვიდა ჩვენს ორგანიზაციაში. მე თავს ვიკლავ, ვთხოვ კიტოვანს, შევარდნაძეს, რომ გაგრაში შეიარაღება და ტექნიკა გაგზავნონ. ასი ავტომატი ძლივს გამოვტყუე. აქ კი ამდენი ტექნიკა რა საჭიროა? „გია! - ვუბრძანებ თორაძეს, - ახლავე წადი შტაბში და გადაეცი, რომ მე ვბრძანებ, ეს ბარჟები ასევე, თავისი ეკიპაჟებით, გაგრაში წავიდნენ. მერე მეც შემოვივლი შტაბში!“

ვაგრძელებ პოზიციების დათვალიერებას. სოფელი გუმისთა უკაცრიელის შთაბეჭდილებას ტოვებს. არადა, ხალხი სახლებშია ჩაკეტილი. თუ რაიმე აუცილებელი საქმე აქვთ, ქუჩაში გარბი-გამორბიან. აქ ჩემს მეგობარს, ხუტა ნორაკიძეს აქვს აგარაკი, სადაც თითქმის ყოველ ზაფხულს ვისვენებდი. აქ დავწერე ჩემი დისერტაციების დიდი ნაწილი, აქ ვხვდებოდი აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, არშბებს, მარშანიებს, ლაბახუას, დისიდენტსა და მწერალს სლავიკ ლაკობას, ერთად ვიცინოდით შევარდნაძის კარიერისტულ გაქნილობაზე. ისინი ახლა მტრები არიან. აქ პირდაპირ ზღვიდან იწყება ჩვენი პოზიციები. თავდაცვის თვალსაზრისით, თითქოს ნორმალური პოზიციებია - აქა-იქ გათხრილია ორმოები (სანგრებს ვერ ვუწოდებ). საველე შტაბიც აქვეა, თითქმის წინა ხაზზე, ერთ-ერთი მაღლივი სახლის მეორე სართულზე. შტაბში დაძაბულები მხვდებიან, ირგვლივ მხოლოდ მეგრული ლაპარაკი ისმის. აქვთ სამი ტანკი, რომელიც რამდენიმე ასეულ მეტრში, მოფარებულში უყენიათ. ალბათ, ამიტომ მათ მერე მეექვსე სატანკო ბატალიონი შეარქვეს. უფროსი მაგარი ბიჭი ჩანს - უძილო, დაღლილი სახით, დინჯი, საქმიანი მიხრა-მოხრით არაფერზე არ ჩივის, ძალით ვალაპარაკებ. რაღაც წვრილმანები აკლიათ. კმაყოფილი ვბრუნდები. გზაში მეუბნებიან, რომ ამ ბატალიონის მეომრები და ხელმძღვანელები ერთთავად ზვიადისტები არიან. „მერე, სად არის მაგათი ზვიადი, აქ რატომ არ მოაკითხავს?“ - რიტორიკულად ვბრაზდები. განსჯით ისევ ზვიადის ფენომენს ვუბრუნდები. დარწმუნებული ვარ, არც ერთი მათგანი, არა თუ

იცნობს, არც უნახავს გამსახურდია. მე შენ გეტყვი, ლენინივით ტომები აქვს დაწერილი და ამათ სემინარები აქვთ ჩატარებული ზვიადიზმზე. ამოიჩემებს ხალხი რაღაცას, არ კითხულობს, რისთვის, რა დამსახურება აქვს. ტელევიზორში თავისი თვალით ნახა მისი სულმდაბლური მონანიება, ახლა ჩვენი მტრების გვერდში დგას, ჩეჩნებს გვიგზავნის საქართველოს დასაღუპ-დასარბევად და მაინც... აი, ზვიადი! - მორჩა და გათავდა! არადა, ერთ წელიწადში მოხდა ეს აღზევება. იმ ერთი წლის წინ, კერძოდ, 1988 წლამდე, ხალხი ქოქოლას აყრიდა. რა სახიერად თქვა ანტიკური ხანის ბრძენმა: „ხალხის აზრი სილაა, როგორც იოლად შენდება, ისევე იოლად იშლება“.

აჩადარაში ცუდად არის საქმე. ვინ სად რას დარაჯობს, ან დარაჯობს კი ვინმე - ვერ გაიგებ. მოწინააღმდეგემ რომ დააღეროს თავი, დაუბრკოლებლად ეგრევე შუა ქალაქში შემოვა. ავდივარ სოფელ შრომაში. მხვდება გიგლა ქარდავა. შეშფოთებულია: „იარაღი არა გვაქვს, არც არავინ გვაკითხავს. ყოველდღე დავდივარ შტაბში, ერთი ტანკი მაინც დაგვიყენონ. თქვენ ხომ არ გესწავლებათ, თუ დარტყმა იქნება, აქედან დაიწყება“. „გვარდია ხომ არის?“ „ოცი კაცი. დანარჩენები ჩვენი სოფლელებია“.

შტაბში ვხვდები გენო ადამიას. სოხუმში არც ყარყარაშვილია, არც დათუაშვილი. ახალი სახეებია. ვერ ვცნობ: ჩემს დასანახავად ატარებენ თათბირს. ბატალიონის მეთაურები ანგარიშს აბარებენ, აქვეა მე-6 ბატალიონის უფროსი. ყველაფერი ზერელედ მიმდინარეობს: ისიც არ იციან, რომ წუხანდლიდან ტექნიკა ბარჟებზე დგას, „მაიაკთან“. ბოლოს მე მეკითხებიან, ხომ არაფერს ვიტყვი. „არაფერს! უბრალოდ, აჩადარა „პრახადნოი დვორია“. მიხედეთ. მიხედეთ აგრეთვე შრომას!“ მეუბნებიან, რომ შრომაში ვანის თუ ტყიბულის (ზუსტად არ იციან) ბატალიონი დგას. მეცინება. ბატალიონი - ოცი კაცი! ტექნიკის შესახებ აქ ვის რა უნდა დავუბარო. თორაძე თვითონ გადაწყვეტს ამ საკითხს.

ქალაქში გამოვდივართ. გენო მომყვება. უშვერი სიტყვებით აგინებს სამხედროებს. მივყავარ თავისი რაზმის დასათვალიერებლად. ეს უკვე გუმისთის ხიდთან, მოსახვევში, სვანების რაზმია. თავად ადგილი მშვენიერია - რუსების ყოფილი ბაზა, მაგრამ პოზიცია - სუსტზე სუსტი. ჯერ ერთი,

მისასვლელი ცეცხლის ზონებით უნდა გაიარო, მეორეც - მოწინააღმდეგე პირდაპირ მდინარის იქითა ნაპირის ზემოთ, კლდეში და მაღალ მთაზე არის სნაიპერებად გაბნეული. თვით ბაზის ტერიტორიაზეც საშიშია უთავბოლო მოძრაობა, მთებიდან კარგად ჩანს. ვიდრე პოზიციებამდე მივედით, მთიდან რამდენიმე ადგილას გაგვიხსნეს ცეცხლი. სვანები კარგი ბიჭები არიან, გენოსაც პატივს სცემენ. საიდანღაც მოაქვთ ფოტოაპარატი - ჩემთან და გენოსთან სურათებს იღებენ. მეკითხებიან, როდის გადავალთ შეტევაზე. რა უნდა ვუპასუხო, მე თვითონ არაფერი ვიცი. „მალე, მალე!“ კიტოვანზე გული მომდის: „სად არის ეგ მამაცხონებული, აქამდე არ უნდა ჩამოსულიყო?“ - ხმამაღლა ვკითხულობ უკან დაბრუნებისას. გენო დიპლომატიურად ჩუმად არის, არ მყვება. გადარბენების შემდეგ, როცა სროლის ხმა შეწყდა, მეუბნება: „კიტოვანი რად გინდა? აბა, რომელიმე ოფიცერი ყოფილა აქ შტაბიდან?“

„გოსდაჩაზე“ ავთანდილ იოსელიანი საიდუმლოდ მატყობინებს, რომ ამ დღეებში ყარყარაშვილი იწყებს შეტევას გუმისთაზე. თვითონ მას ვერ ვხვდები. აგუძერაში მივაკითხე. მითხრეს, თბილისში წავიდაო. მივფრინავ გაგრაში. ბომბორაზე მოთავსებული რუსთა სამხედრო ბაზის ხელმძღვანელობა კვლავინდებურად ცდილობს, კონტროლი გაუწიოს ვერტმფრენთა მოძრაობას, გაგრა-ლესელიძისკენ არ გაუშვას შეიარაღებული ხალხი. ჩვენი ენერგიული პროტესტი ხან ჭრის, ხან - არა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არიან მგზავრები. თუ გაუვათ, ხომ კარგი, თუ არა და - არც ამაზე იკლავენ თავს!

კოლხიდის შტაბში პაატა დათუაშვილი მხვდება. როგორც იქნა, ჩამოუყვანია სამხედრო ხელმძღვანელობა. მეთაურია პოლკოვნიკი მიხეილ მარინაშვილი. იგი წარმოშობით გაგრელია, აქ ნათესავები ჰყავს. მოწესრიგებული და საკმაოდ გაბედული პროფესიონალია. ჩემთან ერთად დაიარა ყველა პოზიცია, შტაბში სამხედრო წესრიგი დაამყარა. ქალაქში ლუხუმა ტანკით დაგრიალებს. გია თორაძეს გამოუგზავნია იმ ტექნიკის ნაწილი, რომელიც სოხუმში ჩამოიტანა. ეტყობა, ჩემს ბრძანებას შტაბში კორექტივი გაუკეთეს და ნაწილი მაინც სოხუმში დატოვეს. მეთაურებიდან, მარინაშვილის გარდა, ჩამოსული არიან არტილერისტი ემზარ ჭოჭუა და შოთა ბაიაძე. თავდაცვის სამინისტროს უკვე ექვსასი კაცი ჰყავს ჩამოყვანილი. ახლა შემიძლია, მხედრიონი გავიყვანო, ცოტა

დავასვენო ბიჭები.

ტელევიზორში სამი სექტემბრის მოსკოვის შეთანხმებას ვუყურებ. ელცინი ძალით ართმევინებს ხელს არძინბასა და შევარდნაძეს. უკეთ - არძინბა პირმობრუნებული უჩრის ხელს უფრო ელცინს, ვიდრე შევარდნაძეს. შეთანხმება სამართლიანია: განიარაღდეს ყველა ინტერვენტი, გაყვანილ იქნას საქართველოს ტერიტორიიდან, კერძოდ, აფხაზეთიდან, შეწყდეს ცეცხლი და დავიწყოთ მოლაპარაკება. შეიქმნას სამმხრივი კომისია რუსეთ-საქართველოს, აგრეთვე აფხაზების წარმომადგენლობით. რაც მთავარია, კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს არა რუსი ან აფხაზი, არამედ საქართველოს მთავრობის მიერ შერჩეული პირი. ამ გამარჯვებას ტელეფონით ვულოცავ შევარდნაძეს. ახლა საჭიროა ამ შეთანხმების ცხოვრებაში გატარება. მანამდე დიდი ყურადღება და სიფხიზლე გვმართებს. გაგრაში თავდაცვისათვის ხალხი სამყოფია, არის ტექნიკა. მალე მთებში გზები დაითოვლება და ყველაფერი რიგზე იქნება. მთავარია, არ მოვდუნდეთ. ვთათბირობ პაატა დათუაშვილთან. ყველაფერში მეთანხმება. მერე ერთი დღით ითხოვს სოხუმში წასვლას. წავა და მხოლოდ მაშინ ჩამოვა ლესელიძეში, როცა გაგრა დაეცემა.

ვიდრე მოლაპარაკება დაიწყებოდა, გია ყარყარაშვილმა წამოიწყო შეტევა გუმისთაზე. რუსებმა ჩვენს არტილერიას „გრადის“ სისტემის იარაღი გადასცეს. იერიში დილაადრიან უნდა დაეწყოთ, მაგრამ გამოვიდნენ ნაშუადღევის შემდეგ. 7-8 საათისათვის უკვე ღამდება. ჩვენ კი ღამის მებრძოლები არა ვართ. ავთანდილ იოსელიანმა „ვეჩეთი“ შემატყობინა, რომ რამდენადმე წინ წავიწიეთ. ეშერაში, ლაბორატორიასთან, შეტევა ჩაიფუშა. ამბობენ, ბრძოლაში რუსები ჩაერივნენო. თვით ყარყარაშვილს ვერ გაუგებ, ამის თაობაზე ხან ერთს ამბობს, ხან - მეორეს. ვითომც არ გაუშვეს წინ, მაგრამ ვინ არ გაუშვა, ამას ვერ ამბობს. ესენი შეიძლება ყოფილიყვნენ ან შევარდნაძე, ან კიტოვანი. მე არ მჯერა, რომ, თუ საქმე კარგად იქნებოდა, ყარყარაშვილი ვინმეს დაუჯერებდა. თუმცა, ამ ბოლო დროს შევარდნაძემ ერთი გასაოცარი რამ აღიარა: ელცინმა ტელეფონით ამიკრძალა ლაბორატორიასთან მიახლოება და წინ წასვლაო. კი მაგრამ, ამის შესახებ პრეზიდიუმის წევრებს ან, საერთოდ, ხალხს ოთხი წლის შემდეგ უნდა გაეგო?! აფხაზები პატარ-პატარა, უფრო პარტიზანული ხასიათის თავდასხმებს აწყობენ - თავს ესხმიან

საგუშაგოებს, მაგრამ ჩვენი ბიჭები საკადრის პასუხს აძლევენ.

ბადრიმ, შეპირებისამებრ, მომიყვანა სვანების ოცკაციანი ჯგუფი, რომელიც ავადხარის მიდამოებში წავა დასაზვერად და იქ სადარაჯოს დასაფუძნებლად. მარწმუნებენ, იქ ისეთი ადგილმდებარეობაა (მეც ასე მგონია), ოცი კაცი ათას კაცს შეაჩერებსო. კარგად ვაიარაღებთ. აქვთ სნაიპერის შაშხანები, ხელყუმბარები, ავტომატები და ყუმბარმტყორცნები. ამ ორ-სამ დღეში დანიშნულია მათი გასვლა. გაგრის ახლად შექმნილ ბატალიონს, რომელიც თავდაპირველად მხედრიონად იყო ჩაფიქრებული და ახლა აღნიშნული მიზეზის გამო გვარდიად გადაიქცა, დავურიგეთ ავტომატები, რომელიც თბილისიდან კიტოვანმა გამომატანა.

დარიგებისას ზოგიერთი ახალბედა შემთხვევით დაიჭრა. პოზიციების დათვალიერებისას გამახსენდა, რომ თვით გაგრის ტერიტორიაზე არის ყველაზე მაღალი წერტილი, რომელიც მთელ ამ არემარეზე ბატონობს - ეს არის ეგრეთ წოდებული კირიჩენკოს აგარაკის მიდამოები. მივდივარ იქაურობის შესასწავლად. ეს მხარე სულ დაუცველი ყოფილა. ბზიფიდან, შემოვლითი გზით, აქ თავისუფლად შემოიპარება მოწინააღმდეგე. არავითარი კონტროლი, მხოლოდ სანატორიუმ „თბილისის“ მისადგომებთან რამდენიმე ადგილობრივი მოსახლის მიერ ორგანიზებული თვითმოქმედი პიკეტი. სანადირო თოფებითა და კეტებით შეიარაღებული ხალხი ხის ძირას გაშლილ სუფრასთან შეგროვილა. კოლხიდის შტაბიდან ამომყავს ტანკი, ორი „ბეემპე“ და ორი ქვემეხი. ტექნიკას ვათავსებ კირიჩენკოს აგარაკის მოხერხებულ ადგილას, გზის მოსახვევსა და ბუჩქნარში. აქედან კარგად ჩანს სოფელი იფნარი, მარცხნივ, ქვემოთ კი - ბზიფი. ჩვენმა ახლად ჩამოყალიბებულმა დაზვერვამ მოიტანა ცნობა: იფნარში, სკოლის შენობაში, აფხაზებს საველე შტაბისმაგვარი დანიშნულების გამანაწილებელი პუნქტი ჰქონიათ. იქვე გათხრილია სანგრები. სოფელში ექვსასი-შვიდასი ინტერვენტია - ჩეჩნები, ადიღეელები. ბევრი მათგანი შეუიარაღებელია. აქედან ჭოგრიტით კარგად ჩანს იფნარის სკოლა. მოძრავი ფიგურებიც, ბოხოხებიანები უნდა იყვნენ, მაგრამ ამ სიცხეში რა დროს ბოხოხია. ჭოჭუას ვეუბნები, მოამზადოს არტილერია. ერთი დავცხოთ! ფსიქოლოგიური მომენტიცაა. ისინი აქედან არაფერს მოელიან. ვიდრე მოსკოვის ხელშეკრულება ამუშავებულა, საჭიროა პატარა მიწოლა, რომ

მისი შესრულებით თვითონ იყვნენ დაინტერესებული. გავხსენით ცეცხლი. ჭოჭუას მეომრები, ეტყობა, კარგად ნავარჯიშები არტილერისტები არიან - ყუმბარებს პირდაპირ ყოფილ სკოლის ფანჯრებში ყრიან. ვერავითარ მოძრაობას ვერ ვამჩნევთ. საკმარისია. აქ ვაფუძნებ ახალ პლაცდარმს. აქედან ბზიფში ჩასასვლელი გზებიცაა. თუ ახალ შეტევას დავგეგმავთ, ეს ფლანგი ძალიან მომგებიანი იქნება. ფრონტის ხაზს გავწელავთ, ჩვენ ყველაზე მაღალი ადგილი გვექნება დაკავებული და აქედან გადავჭრით ბზიფს. ბაიაძე მეთანხმება, ჭოჭუას თვალებში რაღაც შიშისმაგვარმა ჩრდილმა გადაუქროლა: „აქ თავს დაგვესხმებიან“, „დაგვესხან. მარტო თქვენ ხომ არ იქნებით? სანგრები გაითხრება და ასი კაცი, ცვლებით, აქ ყელამდე ეყოფა“. არტილერისტები მიჩვეულნი არიან ზურგიდან მუშაობას. აქ მოწინავეზე გამოდის.

მათ ვტოვებ და მივდივარ კოლხიდის შტაბში. მარინაშვილს ვაცნობ ჩემს გეგმას. მთანხმდება და ორმოც კაცს სასწრაფოდ ვგზავნით კირილენკოს აგარაკთან. ისინი მიჰყავს გია ვაშაკიძეს.

გაგრიდან გამომყავს მხედრიონი. მინდა, ბიჭებმა დაისვენონ. აქ ახლა უკვე საკმარისი ჯარია, პოზიციები - მომგებიანი და მყარი. მარინაშვილი მთხოვს, შტაბში დავუტოვო 30-40 მეომარი, როგორც ორგანიზებული ბირთვი. ვასრულებ თხოვნას - გია ვაშაკიძე და ვაჟა ქრისტესიაშვილი რჩებიან თავიანთი ბიჭებით, აგრეთვე, ხაშურელი სოსო მღებრიშვილი - უსიტყვო, ყველაფერში ხელმარდი, უშიშარი და სამხედრო საქმის მცოდნე კაცი. ქალაქში კი ადგილობრივი მხედრიონი, კომენდანტ ბადრი ფირცხელანის ხელმძღვანელობით, დაიცავს უშიშროებას.

მოსკოვის შეთანხმებისამებრ, შევარდნაძე თბილისში ნიშნავს აფხაზეთის ქართველი მხარის კომისიის წევრებს, კომისიის თავმჯდომარედ - თენგიზ სიგუას. ეს დიდი შეცდომაა: კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს აფხაზეთის პრობლემების ყველა წვრილმანში გარკვეული კაცი, იქაური სამხედრო ვითარების მცოდნე, პიროვნება, რომელსაც აქვს მოქმედების სექტორი, რომელიც სათანადო მომენტში ძალას გამოიყენებს და, რაც მთავარია, თავმჯდომარე დღედაღამ აფხაზეთში უნდა იყოს. იქ შეიძლება თვალის დახამხამებაში გამოუსწორებელი რამ მოხდეს. ამისთვის სცალია საქართველოს პრემიერ-

მინისტრს? ყველაფერ ამას ვეუბნები შევარდნაძეს. მას ისევ ის კომუნისტური ჩინოვნიკური მოდელი მიაჩნია გამართლებულად: „დონეა, პრემიერ-მინისტრია“, - მეუბნება დამაჯერებლად. „რა დონეა, - ვღიზიანდები, - რა შუაშია აქ დონე, საქმეა გასაკეთებელი და არა დონე. და მერე, თუ მაინცდამაინც, რა, სხვა დონე აღარ არსებობს?“ „არა, არა, - თავისას გაიძახის იგი, - რუსეთის წარმომადგენელი მოადგილე იქნება, ამიტომ პრემიერ-მინისტრი პრესტიჟულია. რუსეთის წარმომადგენელი მოადგილე ვორობიოვია - საგანგებო ვითარებათა მინისტრის, შოიგუს მოადგილე“. „პრემიერ-მინისტრი ან მისი მოადგილე ხომ არ არის?“ „არა, არა“, - არ მთანხმდება იგი. აღარ ვეძალები. არ იფიქროს, იმიტომ ვურჩევ, რომ მე თვითონ მინდა თავმჯდომარეობა. გულახდილად რომ თქვას კაცმა, თუნდაც ეგრე იყოს, რატომ მე არა? 1989 წლიდან, თუ აფხაზეთში რამე გაფაჩუნებულა, საქმის ყოველ დეტალში გარკვეული, მონაწილე ან ორგანიზატორი ვიყავი. ყველა კრიტიკულ მომენტში იქ ვარ და ხალხში რაღაც ავტორიტეტიც მაქვს. რასაკვირველია, არა იმ ნაკომუნისტარ ჩინოვნიკებში, მეტწილად ვისი ბრალიც არის აფხაზეთის უბედურება. თუ დონეზეა ლაპარაკი, პრეზიდიუმის წევრი და მისი მოადგილე ვარ. მეტი რა დონეა საჭირო. ყველაფერ ამას ხომ ვერ ეტყვი. თვითონ არ უნდა იცოდეს?! ჩემ გარდა, კომისიაში არიან სანდრო კავსაძე, ჩვენი სამხედროები და სხვებიც. ხელშეკრულების აღსრულების საქმე განწირულად მიმაჩნია. ერთის იმედი მაქვს: პროცესის დროს იქნებ მოხდეს გადათამაშება.

გაგრა

„გოსდაჩაზე“ იკრიბება კომისია. რუსების მხრიდან არიან ვორობიოვი, როგორც ითქვა, თავმჯდომარე, სიგუა - მოადგილე, ბორის პასტუხოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი გიორგი კონდრატიევი, „კაგებეს“ უფროსის მოადგილე და

კიდევ ორიოდე ჩინოვნიკი. აფხაზებიდან - თითქმის ყველა უმაღლესი ხელმძღვანელი - არძინბასა და ოზგანის გარდა. ველოდებით ვინმე კაკალიას - აფხაზეთის სამხედრო მინისტრად ახალ დანიშნულს. თენგიზ სიგუა იქვე ვორობიოვის გავლენის ქვეშ ხვდება. მიმდინარეობს ზოგადი საუბარი და არაფერი კონკრეტული, საქმიანი შესრულების მექანიზმსა თუ ღონისძიებებზე. აქტიურობენ აფხაზეთის ხელისუფლების ქართული ნაწილის წარმომადგენლები, ერთგვარი ნიშნის მოგებით ურთიერთობენ აფხაზებთან. აფხაზები გაბუტულები სხედან. გენერალი კონდრატიევი თვლემს ან ნაბახუსევია, ან ყველაფერი ეს ყბედობად მიაჩნია. არადა, მთავარი საკითხია, რა პირობებში და როგორ უნდა შეწყდეს ცეცხლი, როგორ განიარაღდნენ მომხდური ინტერვენტები. ჩატარდა უსაგნო მსჯელობის რამდენიმე სხდომა. შემდეგ მოხდა ის, რასაც მე ვვარაუდობდი. გადაუდებელ საქმეზე (დანამდვილებით არ ვიცი, რა გადაუდებელი საქმე ჰქონდა) თენგიზ სიგუა ოთხი დღით პარიზს მიემგზავრება. მეც ჩამოვდივარ თბილისში. გაგრაში კვლავ ომია. გია ვაშაკიძე მიკავშირდება და მაცნობებს, რომ კირიჩენკოს აგარაკიდან მოიხსნა ჩემ მიერ შექმნილი პოსტი. „რატომ?“ „არ ვიცი. ასე გადაწყვიტა სამხედრო ხელმძღვანელობამ. მარინაშვილი ადგილზე არ არის“. „როცა გამოჩნდება, დამიკავშირდეს“, - ვეუბნები გაბრაზებული. მარინაშვილი არ მიკავშირდება. მესამე დღეს კი მატყობინებენ, რომ ზუსტად იმ ადგილას, სადაც ჩვენი პოსტი იდგა და მოიხსნა, აფხაზებმა ააფეთქეს ავადხარისკენ მიმავალი ავტობუსი,სადაც ჩვენი მზვერავთა და მესაზღვრეთა ახლად ჩამოყალიბებული ჯგუფი იმყოფებოდა. დაიღუპა ექვსი მხედრიონელი. დანარჩენები დაჭრილები არიან. „ეს უკვე დივერსიაა“, - ვცოფდები მე. საჭიროა მხედრიონის მობილიზება და ჩვენი იქ ჩასვლა. თბილისის მხედრიონი ისეა დაზარალებული, რომ კარგა ხანს ფეხზე ვერ დადგება. ორასამდე კაცი მწყობრიდან გამოვიდა, ზოგი დაიღუპა, ზოგი დაიჭრა. გია ვაშაკიძეს ვავალებ, გაგრაში ყველაფერი გადააბაროს ვაჟა ქრისტესიაშვილს და თვითონ სასწრაფოდ ჩამოვიდეს - რაიონებიდან შესაკრებია მეომრები, იარაღის საკითხიც გადასაჭრელია. სამას კაცამდე შევგროვდებით, მაგრამ ასი ავტომატის მეტი არაფერი გვაქვს. კიტოვანი აქეთ შემომტირის, შევარდნაძე რაღაცას მპირდება. გიგა გელაშვილი ბორჯომშია - დაღუპულები და დაჭრილები ჩაიყვანა.

ვუკავშირდები, ვავალებ, ჩამოვიდეს და ჩამოიყვანოს ხალხი, რამდენიც შესაძლებელია, გამოიაროს გორში, რომ იქაური მხედრიონის მეომრებიც მზად იყვნენ. ყოველ საღამოს მირეკავს ვაჟა, მაცნობს ვითარებას. საქმე ვერ არის კარგად, ჩვენი შეკრული რკალი აქა-იქ გაარღვიეს, მაღალი მთა დაკავებული აქვთ. ჯარის ხალხი (მათ ჯარისკაცებს ვერ ვუწოდებ) ბევრია, მაგრამ არავითარი წესრიგი, პოზიციებს ისე ტოვებენ, რომ არავის არაფერს ეკითხებიან. მხედრიონი სულ ოცდაათიოდე მეომარს ითვლის. სადაც კი გარღვევაა, მარინაშვილი ყველგან მათ გზავნის. თავდაცვის სამინისტროს მოხსენებები სულ სხვა ხასიათისაა: გაგრაში ყველაფერი რიგზეა, გაიგზავნა ამდენი და ამდენი კაცი, არის ტექნიკა. მიდის პოზიციური ბრძოლები ჩვენს სასარგებლოდ. „ცრუობენ! იტყუებიან!“ - ვუკიჟინებ შევარდნაძეს. ვერ მიბედავენ, თორემ ზურგს უკან, ალბათ, პანიკიორად მნათლავენ, როცა გავყვირი: „გაგრა, გაგრა!“ თუ გვინდა, წარმატებას მივაღწიოთ, შეტევა მხოლოდ გაგრიდან უნდა დავიწყოთ.

ზღვა მთლიანად გამოუყენებელი გვრჩება. ხომ გვყავს გემები, კატერები. შევაიარაღოთ ისინი, რითაც შეიძლება, და ჩავრთოთ იერიშებში. აფხაზებს ჯერჯერობით არათუ გემები, უბრალო ნავებიც კი არ გააჩნიათ. არც არტილერია აქვთ, რომ ჩვენს გემებს ზიანი მიაყენონ. ამაზე ხმას არავინ იღებს. შტაბის უფროს ცქიტიშვილს ვეკითხები, რამდენ ხანში შეიძლება შევაიარაღოთ ერთი გემი მაინც, დავდგათ ზედ ტყვიამფრქვევები, მსუბუქი არტილერია. „ეს არ არის პრობლემა, - მპასუხობს იგი, - ეგ შეიძლება ხვალვე გაკეთდეს“. ვფეთქდები: „ხვალ ერთი ლურსმნის მიჭედება რომ დაგვჭირდეს, იმასაც ვერ მივაჭედებთ“. ყველაფერი ეს კამათის დონეზე რჩება. კიტოვანი სფინქსივით ზის, ვითომც ეს მას არ ეხება. არც შევარდნაძე იკლავს თავს, ის უფრო იმას აქცევს ყურადღებას, რა ურთიერთობაში არიან მის ირგვლივ მყოფი ადამიანები.

ამერიკის, გერმანიის, თურქეთის ელჩები ჩემთან არაოფიციალურ შეხვედრებს მართავენ. მათ ყველაფერი აინტერესებთ, მე კი ერთი რამ - მინიმალური სამხედრო დახმარება, მაგალითად, ერთი თვითმფრინავი თოფებით ან ავტომატებით. ბოლოს და ბოლოს, ფულს გადავიხდით. „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“...

ვიზიტით მოვიდა პოლკოვნიკი შალიკაშვილი, ჯონის უფროსი ძმა. ის უკვე პენსიაზეა გასული. ჩვენს ჯარში კონსულტანტობა შევთავაზე. არც უარი მითხრა და არც დამთანხმდა. ასი ავტომატი ვერ მიშოვია. ასლან აბაშიძე დამპირდა, მაგრამ ისიც რაღაც ფეხს ითრევს. კიტოვანი თავის კონტრდაზვერვას კბილებამდე აიარაღებს. სამხედრო პოლიციასაც აყალიბებს და ყველაფერ ამის ფულს ალბათ სიგუა აძლევს.

ჩამოდის გიგა გელაშვილი 20-25 კაცით. მასთან გორელებიც არიან როინის მეთაურობით. გია ვაშაკიძეც ჩემს კაბინეტშია, ბოლო ამბებს უყვება.

შეიკრიბა სამასამდე მხედრიონელი. იარაღი მხოლოდ ას კაცს აქვს. 30 მეომარს ვუშვებ გიგას მეთაურობით. საღამოს მირეკავს სოხუმის აეროპორტიდან: ვერტმფრენებს არ მივყავართ, რუსები გუდაუთაში დაგვსვამენ, გაგვაიარაღებენ და შეიძლება აფხაზებსაც გადაგვცენო. „რა ვქნა?“ - მეკითხება. „ისე მოიქეცი, როგორც საჭიროდ ჩათვლი“. გვიან ღამით უკვე გაგრიდან მირეკავს. „რუს პილოტს იარაღი დავადე შუბლზე და ძალით წამოვიყვანე. უკვე აქა ვართ“. მეორე დღეს მე ვერ დამიჭირა. საღამოს გიგა არველაძისთვის სახლში დაურეკავს (დაჭრილს შინ მკურნალობდნენ). უთქვამს, ცუდად არის საქმეო. 22 ოქტომბერს ვაჟა ქრისტესიაშვილი მძიმედ დაუჭრიათ. მოუკლავთ სოსო მღებრიშვილი. მხედრიონელები სხვადასხვა ნაწილებში დაუქსაქსავთ. როინიც ახლად ჩასულ გორელებთან ერთად მოუკლავთ კოლხიდასთან. კოლხიდის შტაბი არ პასუხობს. ქალაქში ბადრის ვუკავშირდები. მეუბნება: კოლხიდის შტაბი დილით დავკარგეთ, მაგრამ ახლა დავიბრუნეთო. ესე იგი, მართლაც ცუდად ყოფილა საქმე. თუ კოლხიდის შტაბთან მოვიდნენ, მაშინ მთებიც მათი იქნება და ეს ნიშნავს გაგრის დაცემას.

შევარდნაძეს კავშირი აქვს ყარყარაშვილთან, რომელიც ჯერ კიდევ სოხუმშია. გაგრაში ჩადის უკვე ისეთ დროს, როცა ქალაქი თითქმის ჩაბარებულია. ძველ გაგრაში გზა უნდა აეფეთქებინათ და ჩაეხერგათ. ესეც ვერ მოხერხდა. გაგრა დაიკარგა. ჩვენი ჯარი გადადის ლესელიძესა და განთიადში, პოზიციებს ამაგრებენ. იქ არიან გია ყარყარაშვილი და პაატა დათუაშვილი. არაფერი ვიცი გიგა გელაშვილისა და დარჩენილი თხუთმეტიოდე მხედრიონელის შესახებ. შევარდნაძემ გადაწყვიტა, გასამხნევებლად ჩავიდეს ლესელიძეში. მას

მიჰყვებიან გოგა ხაინდრავა, ნოდარ ნათაძე და სხვები. უცებ ბადრი რაციით მიკავშირდება: „ვარ მეტეოროლოგიურ სადგურში, მთებში“. შემდეგ კავშირი წყდება. სასწრაფოდ მჭირდება ასი ავტომატი, რომ 250-300 კაცი წავიყვანო და ჩავუსწრო. მართალია, იქ ხალხი სამყოფია, როგორც ვიცი, 700 კაცამდე, მაგრამ მხედრიონი მაინც მხედრიონია. შევარდნაძე მოლაპარაკებულა რომან გვენცაძესთან, დანაპირები შემისრულა - მაძლევს ას ავტომატს. რომანს შევარდნაძეც გაუფრთხილებია და მეც მაფრთხილებს: „თენგიზ კიტოვანმა არ გაიგოს, თორემ უსიამოვნებას შევეყრები“. გამოდის, რომ ასეთ დროსაც კი იარაღს შეგნებულად მიმალავენ. შევარდნაძე კმაყოფილია თავისი თავით - ვერტმფრენი, რომელშიც ის იჯდა, კინაღამ ჩამოაგდეს. ლესელიძეშიც გაამხნევა მეომრები. მე მხედრიონელებთან ერთად საღამოს მივფრინავ სოხუმში. იქვე გადავსხდებით ვერტმფრენებში და ლესელიძეში გადავალთ. შევდივარ შევარდნაძესთან, რომ ბოლო ინსტრუქციები მივიღო და ვითარება დეტალურად გავარჩიოთ. შევარდნაძე წამოწითლებული ისმენს გია ყარყარაშვილის ისტერიულ ყვირილს, რომელიც ყურმილიდან გამოდის. „აი, ჯაბაც აქ არის, - უყვავებს იგი, - ორ საათში 300 კაცით თქვენთან იქნება. გია, არ გინდა რა მაგისთანა რამეები...“ ყურმილს ვართმევ. ისმის: „დაგვტოვეთ, ხომ? გაგვყიდეთ, არა?“ „გია, - ვეუბნები, - დაწყნარდი. ახლავე გამოვდივარ“. ის ყურს არ მიგდებს. ისევ შევარდნაძე აწყნარებს. „არ გინდა, შვილო, დაწყნარდი...“ „შვილო“ არ უშველის საქმეს. გავრბივარ აეროპორტში. იქ 250 მხედრიონელი უკვე თვითმფრინავში ჯდება.

სოხუმის აეროპორტში არეულობაა. გაგრიდან და ლესელიძიდან გამოყვანილმა ხალხმა არ იცის, სად წავიდეს, რა ქნას. აქვე არიან მეომრებიც. ზოგი შეიარაღებულია, ზოგი - არა. ჩვენი ორი თუ სამი ვერტმფრენი ინტენსიურად მუშაობს: სოხუმი-ლესელიძე. ჯიმი მაისურაძე კი, სადაც მოუხერხდება, იქ ჯდება. ჩვენი გადაყვანა შეუძლებელია - ბომბორას აეროდრომი მკაცრ კონტროლს უწევს ვერტმფრენების მოძრაობას. ჯიმი მეუბნება, რომ ახლა ჩვენს იქ ჩასვლას არავითარი აზრი არა აქვს. ეს რომ მოხერხდეს კიდეც, იქ პანიკაა, თორემ ხალხის მეტი რა არის. მე მაინც ვფიქრობ: იქნებ ჩავიდეთ იქ, მთებში, სადაც ბადრია, და პარტიზანულ ომზე გადავიდეთ. ჯიმი მარწმუნებს, რომ ჩვენც ჩამოგვაგდებენ და

ხალხის გამოყვანის უფლებასაც არ მოგვცემენ. ჯიმისი მჯერა, ვიცი, თავის ასარიდებლად არ ამბობს ამას, პირიქით, თითქოს ყოველთვის თვითონ ეძებს ხიფათს.

აეროპორტში ჩემი ყოფნისას კიდევ ერთი გატენილი ვერტმფრენი მოვიდა. კაბინიდან ბადრი ფირცხელანი გამოდის. მორჩა! დამთავრდა! არავითარი პლაცდარმი იქ აღარა გვაქვს. ბადრის ვგზავნი თბილისში, ერთ კვირას დაისვენოს, გადარჩენილი ბიჭები შეკრიბოს და ჩამოვიდეს. სანამ რამე გაირკვევა, მეომრებს გია სვანაძისა და გია ვაშაკიძის თავკაცობით ვტოვებ აეროპორტში. მე მივდივარ სოხუმში, „გოსდაჩაზე“. მთავარი ყურადღება გადატანილია ჯარის გამოყვანაზე. მთელ თავიანთ გავლენასა და კავშირებს იყენებენ ავთანდილ იოსელიანი, გოგა ხაინდრავა. იქითა მხრიდან მათ ეხმარება ალიკა ანქვაბი. მე კი ვზივარ და ხმას არ ვიღებ. ამ განწყობისა და ვითარებისათვის ჩემი აზრები მკრეხელური იქნება. არადა, რას ნიშნავს, როცა მტერი საშუალებას გაძლევს, დატოვო იქაურობა? სად მიდიხარ? 700 კაცი მთელი ჯარია, ასეთი მთაგორიანი ადგილია, გადი, დაიწყე პარტიზანული ბრძოლა, მერე აქედანაც შეგეშველებით. ახლა თუ ჩვენ იქიდან გამოვდივართ, მერე იქ შესვლა, ძნელი კი არა, შეუძლებელი იქნება. სად არის კიტოვანი? თბილისში. სად არის სამშვიდობო კომისიის „პრესტიჟული“ თავმჯდომარე? მგონი, საქართველოში საერთოდ არ არის. შევარდნაძე? გაგრის დაცემის შემდეგ, საღამოს, შევარდნაძე შეხვდა გენერალ კონდრატიევს. მაშინ მე ამას ყურადღება აღარ მივაქციე, ჩვენ ფაქტის წინაშე დაგვაყენეს. რაღა აზრი ჰქონდა, შეხვდებოდა თუ არა რუსთა გენერალს, მაგრამ ახლა, როცა სამი წელი გავიდა, გაზეთ „პარლამენტში“, რომლის რედაქტორიც ერთი მლიქვნელი ვინმე გია ლომაძე თუ ლომიძეა, ძალიან საინტერესო ცნობამ გაიელვა. გენერალ ავთანდილ ცქიტიშვილის მოგონებებში, სადაც შევარდნაძეს აქებს და ადიდებს, ერთი ასეთი პასაჟია: გაგრის დაცემის შემდეგ შევარდნაძე იმ ღამესვე შეხვდა გენერალ-პოლკოვნიკ კონდრატიევს და საკადრისი პასუხი გასცა გაგრის ასე ვერაგულად დაკავების გამო. მის გარდა იქ ყოფილან გივი ლომინაძე, თვითონ ავთანდილ ცქიტიშვილი და მეოთხე ზუსტად არ მახსოვს, მგონი თამაზ ნადარეიშვილი (ეს გამოქვეყნებულია 1995 წლის ივლისის, აგვისტოს ან სექტემბრის ნომერში). კონდრატიევს ვეღარაფერი უპასუხია,

მხოლოდ შეუთავაზებია: „მე ახლა შემიძლია ერთი რამ: მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით გაგრაში შევიყვანო ორი ბატალიონი „დშბ“. ამაზე შევარდნაძე კიდევ უფრო გაბრაზებულა და უთქვამს: „ეს იქნება ანექსია. ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ“. ეს მაგონებს შემდგომში სოხუმის დაცემასთან დაკავშირებულ ანალოგიურ მომენტს და ამიტომაც ვამბობ: აი, ეს არის სუფთა პოპულიზმი! რომელ ანექსიაზეა ლაპარაკი? რა, გაგრაში, გუდაუთაში, ან თუგინდ სოხუმში რუსის ჯარის ნაწილები არ დგანან? კაცი კისრულობს მოსახლეობის უსაფრთხოებას და შენ აქ რაღაც ქიმერულ პოლიტიკურ ამბიციებს აყოლიხარ? არ შეასრულებს? ვერ შეასრულებს? - დავუშვათ! მაგრამ პასუხისმგებლობას ხომ იღებს? ეს არ უნდა გამოიყენო პრაგმატიკოსმა პოლიტიკოსმა?! ამის შესახებ მე არაფერი ვიცოდი. ახლა რომ არ წამეკითხა, ვერც დავიჯერებდი, იმიტომ, რომ ეს ვითარება კვლავ გამეორდა გრაჩოვსა და შევარდნაძე-ყარყარაშვილ-ბათიაშვილის შეხვედრის დროს, რასაც მოჰყვა კიდევ უფრო ტრაგიკული შედეგები.

სამხედროები გაგრის დაცემას რუსეთის ტანკებს აბრალებენ. ტ-80 უახლესი მოდელია, მას ვერაფერი იღებს - ვერც ყუმბარმტყორცნები, ვერც „ნურსები“, ვერც „ტურსები“. ერთი სიტყვით, თითქმის ხიროსიმა-ნაგასაკში ატომური ბომბის გამოყენების ეფექტს ადარებენ. რა ვიცი, ოჩამჩირის დესანტთან ბრძოლაში, სოხუმის დაცემისას და, საერთოდ, საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ ეს ტ-80 ტანკი აღარსად გამოჩენილა. უშუალო მონაწილენი გიგა გელაშვილი, ლუხუმა და სხვები ყველაფერს პანიკას, არაორგანიზებულობას, უთავბოლობას აბრალებენ. რასაკვირველია, რუსთა დახმარება და ჩეჩენ ინტერვენტთა როლი გაგრის დაცემაში გადამწყვეტი იყო, მაგრამ იქაურობისთვის რომ თავის დროზე მიგვეხედა, შეიძლება აფხაზეთის საქმე სხვაგვარად წასულიყო. საოცარია, როგორი მონდომებით გვიწყობენ ხელს რუსებიცა და აფხაზებიც ლესელიძე-გაგრიდან ჯარის გამოყვანის პროცესში, თუ ჯარი ჰქვია დამფრთხალ, იარაღდაყრილ ადამიანებს. გია ყარყარაშვილს ძმა დაეღუპა და მისი გვამის ძებნაშიც ალიკა ანქვაბი რაღაც თანადგომას გამოხატავს. ჯერ კიდევ არ არის ცნობილი გაგრის მშვიდობიანი მოსახლეობის ბედი. ამიტომ აფხაზების ასეთი პოზიცია ერთგვარად ჰუმანისტურად გვეჩვენება. გაგრის დაკარგვის გამო ატეხილ აჟიოტაჟს

აყოლილი ჩვენი სამხედროები და პოლიტიკოსები უბრალო რამეს ვერ ამჩნევენ: სოხუმი თითქმის ალყაშია. ოჩამჩირე-სოხუმის გზა აფხაზებს უჭირავთ. საკმარისია ბლოკირებულ იქნას აეროპორტი და ზღვა, სოხუმი მოწყდება გარე სამყაროს, ვინაიდან დალის ხეობაში, სოფელ ლათასთან, მათი პოზიციის გამაგრებას წინ აღარაფერი უდგას. ირგვლივ აფხაზების და მტრულად განწყობილი სომხების დიდი მასაა. ამაზე არავინ ფიქრობს. არავითარი სტრატეგია, არავითარი ტაქტიკა, არავითარი სამუშაო გეგმა. კიტოვანი კვლავ არ ჩანს, ზის თბილისში და, როგორც თვითონ ამბობს, ტყვიებს შოულობს. ოჩამჩირე ადგილობრივი მხედრიონის ხელშია. ბუთხუზა თოხაძემ მოახერხა ქალაქის შენარჩუნება. იქვე, სოფელ ცაგერაში, ბესიკ ქუთათელაძის ძმის ხელმძღვანელობით საჩხერის ბატალიონი, ესე იგი, ოცი კაცი დგას. რაღაც ტექნიკაც აქვთ, მაგრამ ისინიც ალყაში არიან. გალი-ზუგდიდი გაუვალია - გზას შეიარაღებული ზვიადისტები აკონტროლებენ. აქეთ, ცაგერას გაღმა, აგუძერამდე, მთელი გზა აფხაზების ხელშია. ახლა საკმარისია პატარა იერიში ზემოდან, ტყვარჩელის მხრიდან, და ოჩამჩირეც დაიკარგება. ვიღებ გადაწყვეტილებას: მთელ ჩემს ჩამოყვანილ მეომრებს, რომლებმაც აეროპორტში გაათენეს, დღესვე ვგზავნი ოჩამჩირეში. სოხუმის შტაბთან ვგეგმავ ოჩამჩირე-სოხუმის გზის განთავისუფლების ოპერაციას. შეტევა იქნება ორივე მხრიდან - სოხუმიდან და ოჩამჩირიდან. ვიბარებ გულრიფშის მხედრიონელებს, ემზარ ჩხეტიანს და ნუგზარს. მათთან ერთად ვათვალიერებ დალის ხეობის გზას. ჯერჯერობით იქ სისუფთავეა. არ უნდა დაგვასწრონ. შტაბ-ბინას ვაწყობ მერხეულასთან. შტაბ-ბინის განკარგულებაში იქნება 80 მხედრიონელი. ყველაფერ ამას ვავალებ მალხაზ კორძაიას. როგორც ყველგან და ყოველთვის, განსაკუთრებით, თუ საქმე გვაქვს სვანებთან, უპირველესად ითხოვენ იარაღს, თუმცა, მათ რაღაც-რაღაცეები აქვთ. გია ვაშაკიძეს და გია სვანაძეს ბიჭები ვერტმფრენით მიჰყავთ ოჩამჩირეში. გია ვაშაკიძეს ვავალებ, შეისწავლოს გზის მდგომარეობა, გამაგრდნენ ოჩამჩირეში, ორ დღეში მეც ჩამოვალ, მანამდე აქ შევეშველები ხელმძღვანელობას, გოგას, სამხედროებს სოხუმში, შრომაში, თავისუფლებაში, თორემ ყველაფერი თვითდინებით მიდის. ერთი გენო ადამია ირჯება, როგორც შეუძლია, არადა, არავითარი ოფიციალური სტატუსი არა აქვს. შევარდნაძეს უნდა გავაცნო და რაღაც სტატუსი მივაცემინო. ამის გარეშე სამხედროებთან ურთიერთობა

ძალიან ძნელია. გამოჰყავთ და გამოჰყავთ ხალხი ლესელიძიდან. ბევრი რუსეთის საზღვრით გაერიდა აქაურობას. ჩამოდის გია ყარყარაშვილი, მასთან ერთად - ნოდარ ნათაძეც. ყარყარაშვილი დეპრესიაშია, თბილისში მიემგზავრება. დღეიდან ვინ არის აქ პასუხისმგებელი, ვინ უნდა უხელმძღვანელოს საომარ მოქმედებას - არავინ იცის. მირეკავენ ფოთიდან - გიგა გელაშვილია. ოცამდე მხედრიონელი გამოუყვანია. კითხულობს, რა ქნას, სად წავიდეს. მათ ოჩამჩირეში ვიბარებ.

ჩვენი პრეზიდიუმი სინამდვილეში აღარ ფუნქციონირებს. კიტოვანი თბილისიდან არსად გადის. მისი უმოქმედობა პირდაპირ მაცოფებს. როგორ შეიძლება თავდაცვის მინისტრი ომის დაწყების შემდეგ ერთხელ მაინც არ ჩამოსულიყო ან გაგრაში, ან ლესელიძეში, ან სოხუმში, ან ოჩამჩირეში?! შევარდნაძე სიგუას უახლოვდება. ნელ-ნელა ვიღაც-ვიღაცეებს თანამდებობებზე ანიშნინებს და არჩევნებისთვის თავის გულშემატკივართა გუნდს ამზადებს. ჩემზეც მუშაობენ ბიჭები - ვახო ბეგიაშვილის მარიფათით რაღაცეებს მოაბეს თავი. სოხუმის შტაბში გამოჩნდა პაატა დათუაშვილი. მასთან ვამუშავებ ყველა დეტალს, რაც ოჩამჩირე-სოხუმის გზის განთავისუფლებას შეეხება. სოხუმიდან წამოვა ავღანელების ასკაციანი რაზმი ტექნიკით. ჩვენც - ოჩამჩირიდან. ვთანხმდებით სასიგნალო რაკეტებსა და დროზე. სავარაუდოდ, ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ტამიშ-კინდღის მონაკვეთში გველის. ოჩამჩირიდან წამოსულები სიღრმეში ავიჭრებით, ავღანელებმა ზღვისპირეთიდან უნდა შემოუტიონ. საბოლოოდ გზაზე გამოვალთ და შევერთდებით. ახალ კინდღში ავღანელებს შეუერთდება დათო შონიას ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარი ნახევრად მხედრიონელთა ჯგუფი. ოჩამჩირის შემოგარენში, სოფლებში: ბესლახუბაში, მერკულაში, არადუში, ოხურეიში ბუთხუზთან ერთად გია ვაშაკიძეს განულაგებია პოზიციები. მთავარი შტაბი, კომენდატურა და გამგეობა ერთ შენობაშია მოთავსებული. ადგილობრივი მხედრიონის შტაბი მხედრიონის ბაზაზეა. სოფელ ცაგერაში დგას საჩხერის ბატალიონი სოსო ქუთათელაძის მეთაურობით. ესენი დიდი ხანია აქ არიან, ადგილობრივ მოსახლეობას იცავენ თავდასხმებისაგან. გია ვაშაკიძემ მიამბო ვითარება, დაზვერვის მონაცემები. თვითონაც გასულა გზის შესამოწმებლად. ხიდები

დანაღმულია. როცა ერთ-ერთზე გადაიარეს, ვაშაკიძე მსუბუქი მანქანით იყო. მომდევნო სატვირთო კი აფეთქდა. გზას აფხაზები აკონტროლებენ. შტაბი ტამიშის სკოლაში აქვთ. ვათვალიერებ ჩვენს ბიჭებს, მათგან ვირჩევ 150 მეომარს. რაციით ვუკავშირდები სოხუმს, ხვალ დილიდან ვიწყებთ ოპერაციას. გია ვაშაკიძე მთხოვს, რომ ისიც წავიყვანო. უარს ვეუბნები. შესაძლოა ყველაფერი მოხდეს, ოჩამჩირეს მიხედვა უნდა. საჩხერის ბატალიონი გვაძლევს „ბეემპეს“ თავისი ეკიპაჟით. სოხუმთან შეთანხმების პირობით, ბიჭები შუადღისას მიმყავს. გავცდით თუ არა ცაგერას, იქვე იწყება ომი. დაგვაყარეს ყოველი მხრიდან. ვუბრძანებ ყველას, ვინც მანქანით არის, სასწრაფოდ მიატოვონ ტრანსპორტი და აქეთ-იქიდან ჩაწვნენ კიუვეტში (გზას გაყოლებულ თხრილში). ერთხანს უთავბოლო სროლაა. ჩვენ ვისვრით - ყველა თავის მონაკვეთში, თუმცა, ობიექტი ჯერ არ ჩანს. ჩვენს ბიჭებს გაგრის გამოცდილება აქვთ. თუ ცოტა ხანს გაუძელი, მერე ისინი გარბიან. მართლაც, დაიწყეს გადარბენები გზაზე, ზღვისპირეთიდან სიღრმეში, ყველა ერთი მიმართულებით, ალბათ, ტამიშის შტაბისკენ. ცოტა ხანს გამოვეკიდეთ - მე ჩემი დაცვით, გიგა გელაშვილი, რომელიც, ფოთის გზით გაგრიდან ჩამოსული ოჩამჩირეში დამხვდა. „ბაჭია“ - ეს ამოდენა დევგმირი. „დაიკუზე“, - ვეუბნები. წინ ვუშვებთ „ბეემ“ -ს ზურაბ აბაშიძის მეთაურობით. ჩვენც ვსხდებით მანქანებში, ერთ გადარბენაზე ისევ გამოვდივართ და ისევ კიუვეტში ვწვებით. სკოლამდე შორს აღარ არის, 300 მეტრი იქნება, ძუნძულით შევდივართ სიღრმეში. აქ უკვეა ხეებია და, ასე თუ ისე, დაცულები ვართ. წინ მივიწევთ, გვესმის „ბეემპეს“ ტყვიამფრქვევის ხმა, „ბეემპეც“ ჩანს. აბაშიძე ოსტატურად მუშაობს. მას ყუმბარმტყორცნებს ესვრიან, მარდად ატრიალებს მანქანას და ცხვირზე იღებს დარტყმებს („ბეემპე“ რომ ააფეთქო, გვერდზე ან მუხლუხში უნდა მოარტყა). ჩემს დაცვაშია სანია, ავღანელი ვეტერანი. აღტაცებულია აბაშიძის მანევრებით: „ნუ ი ბეემპეშნიკ, ვოტ, რაბოტაეტ! ოხ, მალადეც! ნუ, ი ბეემპეშნიკ!“ სკოლის წინ აფხაზებს სანგრები აქვთ გათხრილი, იქ ჩაწოლილან. აბაშიძემ რამდენიმე კაცი წყალში ამომხტარი სელაპებივით ამოაგდო ტყვიამფრქვევის ცეცხლით. შემდეგ „ბეემპეს“ ატრიალებს და გზაზე გამოდის, ჩვენკენ მოექანება. მას წესრიგა ეგებება. აბაშიძეს მანქანიდან გადმოჰყავს დაჭრილი და კონტუზიამიღებული მეომრები. ასევე მთელი გუნდი, „ბეემპეში“ ჩამჯდარი ექვსი ახალგაზრდა

ბიჭი. „დარჩნენ, ესენი არ მჭირდებიან“, - ამბობს. საჩქაროდ ჯდება და „ბეემპეს“ მიაგელვებს შტაბისკენ. აქედან წასვლისას და იქიდან დაბრუნებისას დანგრეულ ხიდზე ფრთხილად გადმოიარა. ახლა დროის მოსაგებად ხიდის ასავლელ ბილიკში სწრაფად ჩაეშვა და... აფეთქების ხმა, შავი ბოლი... ბილიკი დანაღმული ყოფილა. თავიდან მოერიდა, ახლა კი ჩქარობდა და გარისკა... ბიჭები მისაშველებლად გარბიან. ვაგლახ! - აბაშიძე დაგლეჯილი, დამწვარი და დაღუპულია. გმადლობთ, დაუფასებელო და გაუხმაურებელო გმირო!

მზე კარგა ხანია, ზღვაში ყვინთავს და იქიდან მიტოვებული, დამწვარი სახლების სახურავებსა და შებოლილ ფანჯრის მინებს ნაირფერ ათინათებს ესვრის. აფხაზების შტაბი ცარიელია. აქ გაჩერებას აღარ ვაპირებთ, სიღრმეში მათ გაყოლასაც არა აქვს აზრი. უნდა წავიდეთ წინ, ვიდრე სოხუმიდან წამოსულ რაზმს არ შევუერთდებით. მეომრები მანიშნებენ შორს ყვითელ აფეთქებებზე. ვაკვირდები, ეს ოპტიკური ეფექტი ხომ არ არის? არა, დათქმული ნიშანია - შუშხუნა, ყვითელი რაკეტები. „უპასუხეთ!“ - ვბრძანებ - ჩვენები არიან! გაუშვით წითელი შუშხუნები!“ მცირე ჯგუფს წინ ვგზავნი დასაზვერად და რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად. ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა გამოდგა, რომ სამხედრო უწყებასთან მოლაპარაკება ზუსტად შესრულდა. მივდივართ ფეხით, ფრთხილად, გამორიცხული არ არის, რომ ნაღმები იყოს მიმობნეული ან სულაც ჩაფლული. უკვე ბინდბუნდში დიდ აფეთქებულ ხიდთან, ანუაბრუს მიდამოებში, ვხვდებით ერთმანეთს. ავღანელებს მეთაურობს გურამ ჯანიაშვილი. მოხდენილი ვაჟკაცია. მეხვევა. მასთან არის მამუკა იოსელიანი, ძველი მხედრიონელი, სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი. მათ ბრძოლა ჰქონიათ სოფელ აგუძერასთან. ჰყავთ დაღუპულები და დაჭრილები, ზოგიც გაუფრთხილებლობით დაზარალებული. ტექნიკის ორი ერთეული მწყობრიდან გამოსულია. აბაშიძის გარდა ჩვენ არავინ დაგვღუპია. გვყავს დაჭრილები. სიბნელეში გვიხდება ფარული და ღია პიკეტების შექმნა. სოხუმელები ბრუნდებიან სოხუმში, მათთან არის გურამ დადვანის გულრიფშის სახალხო ლაშქრის რაზმი, მეტწილად - სვანები. მთელ გზას ვყოფ სამ მონაკვეთად სამი მეთაურით. ტამიშიდან ახალ კინდღამდე - გიგა გელაშვილი ოცდაათი მხედრიონელით, ახალი კინდღიდან აგუძერამდე - მხედრიონელი დათო შონია. იგი კინდღიდან

არის და თავისი თანასოფლელებით დაიცავს ამ მონაკვეთს. აგუძერიდან სოხუმამდე - გურამ დადვანი. დანარჩენებს ვაბრუნებ ოჩამჩირეში. მე ღამის გასათევად ვრჩები დათო შონიას სახლში. დღისით დავათვალიერებ მთელ გზას, მიდამოებს და გავეშურები სოხუმში. დათო შონიას მშვენიერი სახლი ჰქონია ზედ ზღვის პირას. გაოფლიანებული და ჭუჭყიანი ვარ. ვიღებ აბაზანას, ვვახშმობთ და დასაძინებლად ვეწყობით.

შუაღამისას პანიკაა. მორბიან სოფლელები და ყვირიან: „დაგვესხნენ, თავს დაგვესხნენ!“ სასწრაფოდ ვიცვამთ. დაცვასთან ერთად ჩემთან თხუთმეტიოდე მხედრიონელია. სოფლის შუკებით გავდივართ მაგისტრალზე. ხაბაკით, ჩანთებით, ბავშვებით აყრილი ხალხისაგან ვერაფერს ვიგებთ. ყოველი შემთხვევისთვის, ვაწყნარებ: „პანიკაა, არავინ დაგსხმიათ, დაბრუნდით სახლებში, ამ შუაღამისას სად მიდიხართ?“ თან ვფიქრობ, ვაითუ მართალია... მაშ, რატომ არ ისმის სროლის ხმა? ახლად განლაგებული პოსტებია, ვერავინ მოასწრო წინააღმდეგობის გაწევა?! თანაც, დღეს დამარცხებული მტერი ჯერ როდის მოვიდოდა გონს, როდის შეიკრიბებოდა ხელახალი ბრძოლისთვის, ან თავდასხმა სად უნდა მომხდარიყო. ჯერ მე თვითონ ხეირიანად არ ვიცი, როგორ მოეწყვნენ პიკეტები. გზაზე არავინაა, არც ჩვენები და არც აფხაზები. ჩავდივარ ტამიშამდე. ფარულ პოსტებზე, ფერმებთან, მხოლოდ გიგა გელაშვილის ბიჭები დგანან. თვით გიგასაც არ სძინავს, იღიმება: „რის აფხაზები, რა აფხაზები. ეგენი ერთ კვირას გონს ვერ მოვლენ“. ვბრუნდები სოხუმისაკენ. კაციშვილი არსად არის. დათო შონიას თანასოფლელებს გზიდან თავიანთი სოფლის შესასვლელთან გადაუნაცვლებიათ. დადვანის ხალხი საერთოდ დასაძინებლად წასულა და სოხუმამდე ყველაფერი მიტოვებულია. თენდება. გაბრაზებული ვეძებ დადვანს. აგუძერას რომელიღაც სანატორიუმში მივაგენი. ვსაყვედურობ. თავს იმართლებს, პოსტები დავაყენე და, ალბათ, სადმე დასაძინებლად შეაფარეს თავი, ცოტა წვიმდაო. ამათ ომი რვასაათიანი სამუშაო დღე ჰგონიათ. „რა, კიდევ ხელმეორედ დავიხოცოთ და ავიღოთ ეს გზა, თუ რაშია საქმე?“ გამოვრეკეთ მართლაც სახლებში შეყუჟული მოდარაჯეები. ხელახლა ვანაწილებ მათ და პოსტებს ვარჩევ. შემდეგ მივდივარ სოხუმში. შტაბში დათუაშვილს და სხვებს ვავალებ, ახლა მაინც რეგულარულად

მიხედონ გზას. დაუყენონ რაციები და ხელმძღვანელობა შემდეგნაირად განაწილდეს: კინდღამდე პასუხისმგებელია სოხუმი, კინდღიდან ოჩამჩირემდე - ოჩამჩირე. თვითონ კი, თავდასხმების შემთხვევაში, ერთმანეთს დაეხმარებიან. პირველ ხანებში, ალბათ, ხშირი იქნება პარტიზანული შეტევები, რადგანაც ჩვენ სიღრმეში ჯერ ვერ ავედით. გზა უნდა გამოცოცხლდეს. რკინიგზამ, ავტობუსებმა მოძრაობა უნდა დაიწყონ.

გოგა ხაინდრავა სამეურნეო საქმეებსაც განაგებს. კორესპონდენტებსაც იღებს, ჰყავს თავისი პრესცენტრი ბიძამისის - ალიკა ხაინდრავას ხელმძღვანელობით. საკმაოდ კარგად მიდის ჯარის ორგანიზების საკითხი. გენო ადამიას სახალხო ლაშქარი ჯარად კომპლექტდება, უკვე რაღაც სამხედრო ჩინიც მიიღო, მგონი პოლკოვნიკია. ყოფილი პარტაპარატელები და საბჭოთა ჩინოვნიკები სამხედროებთან და კომენდატურასთან ერთად ჩალიჩობენ რაღაც სეინერებსა და ციტრუსების გაცვლა-გატანაზე. ჩემი ერთი სოხუმელი მეგობარი მოვიდა, ყველა საჭირო საბუთი წარმომიდგინა და მთხოვა, დავხმარებოდი ციტრუსების ერთჯერად გატანაში. გოგასთან გავგზავნე. გოგამ უარი უთხრა. ალბათ, ამ სეინერების ოპერაციებში რაღაც უკანონო კომბინაციები ტრიალებს. არ ვიცი, ათასი ჭორი დადის. ფაქტი ისაა, რომ სოხუმის სამხედრო კომენდანტი გია გულუა გაათავისუფლეს და ჯერჯერობით სოხუმი უკომენდანტოდაა. მთხოვენ, ვინმეს კანდიდატურა შევთავაზო. მე არავინ მყავს, ამიტომ უარს ვეუბნები.

გოგა სამხედრო შეკრებებსაც ესწრება. ურთიერთობა აქვს არა მხოლოდ რუს სამხედროებთან, არამედ დიალოგს განაგრძობს აფხაზეთის ლიდერებთან - ოზგანთან, ბაგაპშთან, ანქვაბთან. აფხაზები და სხვა ეროვნების მოსახლეობა მადლიერია გოგას ჰუმანისტური და სამართლიანი საქმიანობის გამო.

სოხუმში დენი არ არის. ტყვარჩელიდან მომავალი ხაზი აფხაზებმა სადღაც ანუახრუს მიდამოებში გაწყვიტეს. მივდივარ ოჩამჩირეში. გზა თავისუფალი და უკაცრიელია. პოსტები დგას. აგუძერასთან - შინაგანი ჯარის ნაწილი და დადვანის ლაშქრის ხალხი, ახალ კინდღთან, ორი პოსტი - ერთი ფარული და ერთიც ძველი კინდღის გზაგასაყართან. ანუახრუსთან, ფერმებთან ახლად ჩამოყალიბებული -

მხედრიონელები დათო შონიას ხელმძღვანელობით. ტამიშის მიდამოებში გიგა გელაშვილს მოძრავი პიკეტები აქვს. ცაგერასთან დგას საჩხერის ბატალიონი სოსო ქუთათელაძის მეთაურობით. გია ვაშაკიძე მხედრიონით ოჩამჩირესა და მის შემოგარენში მყარი პოზიციებით შემოიფარგლა. ოჩამჩირე შედარებით ნორმალური ცხოვრებით ცხოვრობს - არის დენი, პური, წყალი, მუშაობს ბაზარი. ერთი უბედურება ისაა, რომ, ასე ვთქვათ, „მატერიკთან“ კვლავ სოხუმის აეროპორტით გვიხდება დაკავშირება. ზუგდიდი აქეთ ისევ არავის ატარებს, თუმცა, გოგა მოლაპარაკებას აგრძელებს ქობალიასა და ზვიადისტებთან. ოჩამჩირის კომენდანტმა ანზორ მარგიანმა მისვლისთანავე დამიმარტოხელა და აღსარებასავით მითხრა, რომ გამსახურდიას დროს მილიციაში მუშაობისას, ჩემი დაპატიმრების შემდეგ ჩემი სახლის ჩხრეკას ესწრებოდა. მე ამას ყურადღებას არ ვაქცევ. მთავარია, რომ ახლა პატრიოტების და დემოკრატების რიგშია. მას სოფელ კოჩარაში ახლო ნათესავები ჰყავს. ძლივს ვპოულობთ ხელოსნებს - თბილისიდან ჩამოგვყავს სპეციალისტები ელექტროგაყვანილობის აღსადგენად. მათ ჩვენი ბიჭები მიჰყვებიან დასაცავად. სასწრაფოდ აღსადგენია რკინიგზა სოხუმი-ოჩამჩირე მაინც. ესეც რამდენიმე დღეში მოხერხდა და ოჩამჩირეში შემოგუგუნდა სოხუმიდან წამოსული სატვირთო მატარებელი. დავნიშნეთ ავტობუსების რეისები სოხუმამდე. ამ გზაზე მოძრაობის ხალხს ჯერჯერობით მაინც ეშინია. მე დილით სოხუმში ვარ, საღამოს - ოჩამჩირეში. ჩემს მეტი ჯერჯერობით არავინ დადის. ამიტომ „ჯაბას გზა“ დაარქვეს.

აქ ბუთხუზ თოხაძემ გაზარდა მხედრიონი. ყველა ოჩამჩირელი მეომარი მხედრიონშია. გია ვაშაკიძემ შტაბში კარგი კოლექტივი შეკრიბა. აქვეა კაკოც - მისი უფროსი ძმა. ტყუპისცალი დათო კი სამტრედიაშია. იქ დაძაბული ვითარებაა - ზვიადისტები ჩასაფრებულები არიან. პატარა უყურადღებობა და სამტრედია მათ ხელში იქნება. მხედრიონის პოზიციებია: სოფელი მერკულა საქობალიოში, 4-5 კილომეტრით ოჩამჩირიდან, ქვემო ოხურეიში - გალიდან შემოსასვლელში, არადუში, ბესლახუბას ქვემოთა ნაწილში, ცაგერაში. საჭიროა გაშლა, ზემოთ, ტყვარჩელისკენ წაწევა. აფხაზებს ერთი წუთი მოსვენება არ უნდა ჰქონდეთ.

გია ვაშაკიძეს უკვე თავისი დაზვერვა ჰყავს. მათი მონაცემებით, ყველაზე სუსტი და, ამავე დროს,

სტრატეგიულად მომგებიანი ადგილი ბესლახუბაა. ცუდად არის კავშირების საქმე. ბუთხუზს თავის ბაზაზე კი აქვს რაცია, რომელიც სოხუმს უკავშირდება, მაგრამ პოსტებს ზოგან საველე ტელეფონით ვუკავშირდებით, ზოგან - შიკრიკების საშუალებით. ვაწყობთ შეტევას ბესლახუბაზე. ვიდრე ყველაფერს მოვამზადებდით, შევგვიანდით და დღის მეორე ნახევარში გაიმართა ბრძოლა. როგორც ყოველთვის, მათი ტაქტიკაა ორ ან ერთსაათიანი გააფთრებული წინააღმდეგობა, მერე პოზიციებს ტოვებენ და გარბიან. საღამოს ბესლახუბა ავიღეთ. როგორც ჩანს, მათ ჯერ ცუდი შეიარაღება აქვთ. ჩემ გვერდით დაეცა ყუმბარმტყორცნის ყუმბარა. გიგა გელაშვილი თავზე დამახტა, ორივეს კი წესრიგა გადაგვეფარა. ყუმბარა აშიშინდა და არ გასკდა. თვითნაკეთები ხელყუმბარებია, ზოგიც კუსტარული წესით ტყარჩელში დამზადებული. სოფელში რამდენიმე აფხაზი ავიყვანეთ. ახალგაზრდები არიან. თავს იკლავენ, ჩვენ ომში არ ვმონაწილეობთო. ომი ახალი დაწყებულია და ჯერ კარგად არ ვიცით აფხაზთა ვანდალური გეგმები. ბევრნი მართლაც არ ომობენ და არც გაქცეულან. ოჩამჩირეში ასეთი ოჯახებიც შემორჩა. ბესლახუბას ცენტრში ამონალით გატენილმა თვითნაკეთმა გაზის ბალონმა შეგვაფერხა. აღმოჩენით კი აღმოვაჩინეთ, მაგრამ საპიორი არ გვყავს. ერთი ტანკი გვაქვს და, ამ ხიდის გარდა, სხვა გზით მისი გატარება ვერ ხერხდებოდა. როგორც იქნა, ავაფეთქეთ.

ბნელდება. ჯობს აქვე სახელდახელოდ განვლაგდეთ. მიტოვებული სახლებიც არის. ამ ოპერაციას მე ვხელმძღვანელობდი. ახლა მინდა ვინმე გამოცდილს გადავაბარო. გიგა გელაშვილი ტამიშის მიდამოებს უნდა დაუბრუნდეს. გია ვაშაკიძე ოჩამჩირეს ვერ მიატოვებს. ჩვენთან ერთად არის პატარა, 7-8-კაციანი მოხალისეთა ჯგუფი მიხო მორჩილაძის თავკაცობით. იგი კობა იმედაშვილის ძმაა, ისიც - ლიტერატორი. ცოტა უცნაური ვინმეა. თუ მას დავუჯერებთ, ვიეტნამში, ავღანეთში თუ ალჟირში იბრძოდა. აქტიურია და მისმა ჯგუფმა თავიც გამოიჩინა შეტევისას. დროებით მას ვტოვებ უფროსად. თვითონ კი ვბრუნდები ოჩამჩირეში და შემდეგ, ღამე ტრასით - სოხუმში. ჩემთან ერთად არის ალეკო ბოჭორიშვილიც. ბესლახუბაშიც წამოგვყვა იერიშზე. ვეხუმრები. ამხელა მუცლით სად გამორბიხარ-მეთქი. სწყინს, სხვაზე ნაკლებად რა გავაკეთეო.

„გოსდაჩაზე“ დავდგი რაცია. ოჩამჩირეს პირდაპირ

ვუკავშირდებით. არჩევნები ახლოვდება. მინდა თბილისში ჩავიდე, გავიგო, რა ხდება. დილით, სანამ აეროპორტში გავიდოდე, პოზიციების დასათვალიერებლად მივდივარ. მაწუხებს სოფელ შრომის პრობლემა, მინდა შევიტყო, რა ხდება კამანში, დაეხმარნენ თუ არა ზაზას და ჯემალს, სვანები თუ შეაიარაღეს, იქ პოსტი თუ შეიქმნა. წვიმს. შრომამდე არმისული ცაგუროვკის მთიდან ისმის კანონადა. მძღოლს ვაჩქარებ. გზის პირას, ამ რაიონის მცირე შტაბთან, ჩოჩქოლი და ყვირილია. მოარბენინებენ დაჭრილებს. პანიკის წინა განწყობაა. „აქედან შემოდიან!“ - ყვირის ვიღაცა. შტაბში შევდივარ. აურზაურია. დაჭრილებიც არიან. „ჩვენი პოსტი გაარღვიეს, აქედან სასაფლაოს გავლით პირდაპირ სოხუმის შუაგულში მოხვდებიან“, - მიხსნიან დაბნეულები. მე, წესრიგა და ჩემი დაცვის ორი წევრი მივეშურებით იქით, საიდანაც უკვე მორბიან. „რამდენი არიან?“ - ვეკითხები. „ბევრნი“, - გაუჩერებლად მპასუხობენ. ერთი ჯგუფის წინ გინებით, ჩქარი ნაბიჯით მოდის ხელშეხვეული კაცი. „შესდექით!“ ვბრძანებ, ჩერდებიან. წესრიგას მივმართავ, აღარავინ გაუშვას. წესრიგა და ჩემი ბიჭები ავტომატგადატენილნი ეღობებიან. „რაშია საქმე? - კითხულობს ხელშეხვეული. - ჩვენ იქ ვეღარ გავძლებთ, ბევრნი არიან, რამდენიმე კაცი მოგვიკლეს“. ვუყურებ ამ კაცს, ნაცნობი სახეა, მგონი კაკოა, სოფელ თავისუფლებიდან. „თქვენი უფროსი სად არის?“ - ჯიქურ ვეკითხები. „მე ვარ“. „შენ კაკო არა ხარ?“ „ჰო, მე ვარ ბატონო ჯაბა“. „მერე, არ გრცხვენია, ხალხი რომ მოგყავს? ასე ხომ ეგენი სოხუმში შემოვლენ?“ „რა ვქნა, სამი დღე და ღამეა აქ ვართ, ჩემს თანასოფლელებთან ერთად. შემცვლელი არ მოდის“. „აბა, ახლავე შეაბრუნე ხალხი, ახლავე! მეც წამოგყვებით. ნახევარ საათში აქ ასი კაცი გეყოლებათ. ხომ გეყოფათ?“ „კი“. - ამბობს დარცხვენილი. „აბა, ჰე, - ყვირის კაკო, - შევბრუნდეთ. დამხმარე ძალა მოდის, ჰე, მიდი, მიდი“... არ ვიცი რა ვქნა, არ გავყვე - არ იქნება, გავყვე და უჩემოდ ვინ მოიყვანს მაშველს? წესრიგა არ მიმატოვებს. შტაბში სხვას არავის დაუჯერებენ, არც წესრიგას. პოზიციებამდე მივყევი. კიდევ კარგი, მტერს იერიში ჯერ არ დაუწყია, იქნებ არც ფიქრობდა, მაგრამ ესენი რომ მოიხსნებოდნენ, მაშინ?.. პოზიციებს იკავებენ. „კაკო! - ვუბრძანებ, - ფეხი არ მოიცვალო. ნახევარ საათში აქა ვარ!“ ბედი, რომ კაკო აღმოჩნდა, თანაც, მეთაური. იგი ჩემი მასპინძელი იყო 1989 წლის მოვლენების დროს. სოფელ თავისუფლებაში ჩემი ბიჭებით ორი ღამე მის სახლში გავათიე.

კომუნისტების მილიცია გივი ლომინაძის ხელმძღვანელობით დევნით ვერ დევნიდა, მაგრამ თვალყურს ადევნებდა ქართველი მოსახლეობის დასაცავად ჩასულ მხედრიონს. მივქრივართ შტაბში. პაატა დათუაშვილის გარდა, იქ არავინაა. „ჩქარა, - ვეუბნები, - რეზერვი! ცუგუროვკაში პოზიცია მოირღვა. მაშველი ძალაა საჭირო“. „არც ერთი კაცი არ არის, არც არაფერი მაქვს“. „მაშინ შტაბის ოფიცრები გამაყოლე, რაც არის, თორემ იქ პანიკა დაიწყება“. „არავინაა“, - მხრებს იჩეჩავს პაატა. შემოდის პოდპოლკოვნიკი კორნელი ჩალაძე, შეიარაღების უფროსი. „ნუთუ არავინაა? - ვბრაზდები, - შეიძლება ამხელა ქალაქის დაცვისთვის მაშველ ძალად 200-300 კაცი არ გყავდეს?“ ჩალაძემ თავი გამოიდო: „მე წამოგყვებით, ბატონო ჯაბა, ოცამდე კაცი მყავს“. „ჩქარა, ჩქარა!“ - ვთანხმდები. ჩალაძე გარბის და ცოტა ხნის შემდეგ ბრუნდება შეიარაღებული ბიჭებით. „შეიძლება შინაგანი ჯარის ოცდაათამდე კაცი აქვე ავიყვანოთ, აგუძერაში კი „თეთრი არწივია“ განლაგებული. ყარყარაშვილი აქ არ არის. თქვენ თუ დაგემორჩილებიან, თორემ ისე არავის წამოჰყვებიან“. ვუხსნი, სად უნდა მივიდნენ. „ვიცი, ვიცი!“ - მაწყვეტინებს. იგი წარმოშობით გაგრელი ყოფილა. „მაშ, წადით და მეც ამოვიყვან „თეთრი არწივის“ ბიჭებს“, - ვეუბნები. შტაბთან იხსნება უსაქმოდ მოყიალე დაცვის ნაწილი და ცუგუროვკისაკენ მიეშურება. აგუძერასთან სატელეფონო კავშირი არ არის. მივქრივარ მანქანით. გია ყარყარაშვილი მართლაც თბილისშია. ბიჭები კარგად მხვდებიან, ბევრი ნაცნობია. „მოვემზადებით და ამოვალთ“, - მეუბნებიან ისინი. ვბრუნდები ისევ ცუგუროვკაში. ჩალაძეს მიუყვანია თავისი ხალხი, სიტუაცია დამშვიდებულია. ადგილობრივ შტაბში მეუბნებიან, რომ კაკომ მიიღო ჩვენი მაშველი და ამჟამად პოზიციებზე სიწყნარეა. კორნელი ჩალაძეს ვტოვებ უფროსად: „როცა „თეთრი არწივის“ ბიჭები ამოვლენ, ისინიც დროებით შენ დაიქვემდებარე!“ წვიმა ისევ წამოვიდა. ბინდდება. თბილისში წასვლა დღეს აღარ ღირს. მივდივარ „გოსდაჩაზე“ - გავიგო, რა ხდება ოჩამჩირეში. მინდა შევხვდე ცქიტიშვილს, რომელიც ამ დღეებში გენერალი გახდა. სოხუმში შევარდნაძემ და კიტოვანმა გამოგზავნეს საერთო სამხედრო ხელმძღვანელობისათვის. როცა შტაბში მოვიკითხე, მითხრეს, ავთანდილ იოსელიანთან არის, „კაგებეს“იო. მაშინ ვერ დავუკავშირდი. დროც არ ითმენდა. „გოსდაჩისკენ“ მიმავალს გზაში მხვდებიან „თეთრი არწივის“ ბიჭები. ცუგუროვკაში მიდიან. მდგომარეობა გამოსწორებულია.

ვუკავშირდები ოჩამჩირეს. მატყობინებენ, რომ ჩემი წამოსვლის შემდეგ, მორჩილაძის გადაწყვეტილებით, ჩვენი აღებული პოზიციების ნახევარი უბრძოლველად დაუტოვებიათ და ისევ რკინიგზისა და ავტოტრასის გასაყართან დაბანაკებულან. ღამეა და ადგილის უცოდინრობა მოუმიზეზებიათ - შესაძლოა აფხაზები თავს დაგვესხანო. ეს არ იყო მართალი. იქ ადგილობრივებიც იყვნენ, თვით ოჩამჩირის მხედრიონის უფროსი ბუთხუზ თოხაძეც. ასეთი რამ შემდეგშიც ბევრჯერ მოხდა. ეს სენი - ყოფითი პირობების გაუსაძლისობა - იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ჩვენი მეომრები აღებულ პოზიციებზე სანგრებს ან თხრიდნენ და ამჯობინებდნენ შენობებისთვის ან მანქანებისთვის შეეფარებინათ თავი. ან სულაც უბრძოლველად დაეტოვებინათ, როგორც ბესლახუბას შემთხვევაში. ერთხანს აფხაზები რაციაში დაგვცინოდნენ კიდეც: „დოჟდიკ პაშოლ, გრუზინი, იშიტე კრიშუ, ჩტობ ნი ნამოკლი“. უნდა ითქვას, რომ ჩვენს მეომრებს სულისკვეთებაც არაადეკვატური ჰქონდათ, თითქოს ეს ომი რაღაც „ბლიც-კრიგის“ ვარიანტი იყო. ამიტომ, ძალიანაც რომ მოგენდომებინა, ნიჩბებსაც ვერავის დაუნახავდი, ერთი-ორი კაცის გარდა, რომელთაც დანარჩენები პედანტებად მიიჩნევდნენ და დასცინოდნენ კიდეც.

გოგა ხაინდრავა გართულია საკუთარი გეგმის შედგენით, თხზავს ოპერაციას, რომლის შედეგადაც დავიბრუნებთ გაგრას. მოქმედების მთავარი ხაზებია შეტევა სოხუმიდან და ამ დროს 300-400-კაციანი დესანტის გადასხმა გაგრის მთებში. არაფერს ვეუბნები, არადა, სამასი კი არა, შვიდასი ვიყავით! რას გამოგვყავდა?! დავხმარებოდით ჰაერით (სადაც აფხაზებთან შედარებით დიდი უპირატესობა გვაქვს), ზღვით (აქაც მათ ჩვენგან წართმეული ერთი კატერის მეტი არაფერი აქვთ). ჰოდა, გაგვეჩაღებინა პარტიზანული ბრძოლა. მერე აქედანაც შევუტევდით.

ღამით ვუკავშირდები ცქიტიშვილს. ისევ იქაა, „კაგებეს“ი, ავთანდილ იოსელიანთან. შტაბში შეკრებას ხვალისთვის ვნიშნავ.

შტაბში არიან პაატა დათუაშვილი, ვლადიმერ ჩიქოვანი (შევარდნაძის სამხედრო მრჩეველი), გენო ადამია, რომელიც თავისი ლაშქრით თავდაცვის სამინისტროში აყალიბებს ბრიგადას... მე და გოგა ხაინდრავა ცოტა ადრე მივედით.

მინდოდა ჩიქოვანს გავსაუბრებოდი. იგი ჩემი რეკომენდაციით მიიღო შევარდნაძემ. სერიოზული, დისციპლინიანი, რუსულ ყაიდაზე გაზრდილი კაცია, საბჭოთა ჯარების ყოფილი პოდპოლკოვნიკი. მისი სიტყვით, თბილისში აუწყობელია სამხედრო ხელმძღვანელობის საქმე. კიტოვანი შევარდნაძეს ფაქტობრივად არ ემორჩილება, თუმცა, ამ თვალსაზრისით, არც შევარდნაძე აქტიურობს, ურთიერთობას არ ამწვავებს და გია ყარყარაშვილს გარს უვლის. ახლა დასასვენებლად გაუშვა და მოითხოვა მისი წარდგენა გენერლის ჩინზე. ცუდად არის შეიარაღების საქმე, რუსები არ გვაძლევენ შეპირებულ ავტომატებსა და ტყვია-წამალს. შეკრებაზე მოვიდნენ ავთანდილ ცქიტიშვილი და ავთანდილ იოსელიანი. მე გუშინდელი შემთხვევის გარჩევას შევუდექი. ყურადღებას ვამახვილებ იმაზე, თუ როგორ არ შეიძლება რეზერვი არ გყავდეს. მხოლოლ გენო ადამიას ესმის, რა უბედურებას გადავურჩით. ცუგუროვკიდან სასაფლაოს გზით შიგ შუა ქალაქში შემოიჭრებოდნენ, პანიკა უკვე იწყებოდა და, თუ ხიდთანაც ცოტას მოაწვებოდნენ, უბედურება გარდაუვალი იყო. „ხალხი არა გვყავს!“ - ამბობს დათუაშვილი. „ყველა პოზიციიდან ხუთ-ხუთი კაცი რომ მოხსნათ, საკმარისი იქნება. შეადგინეთ ერთი 200-კაციანი დამრტყმელი რაზმი და მზადყოფნაში იყოს - სადაც გარღვევა იქნება, იქით გაგზავნით. ხვალ ჩავატაროთ ასეთი საცდელი სწავლება ცრუ შეტევის გათამაშებით. ვნახოთ, რა გამოვა“, - ვიძლევი წინადადებას.

საღამოს თბილისში მივფრინავ. თვითმფრინავში ვგრძნობ, რომ მარჯვენა მუხლი მოხრისას ძალიან მტკივა. სადღაც გადამიბრუნდა და ვერ შევამჩნიე - ან ცუგუროვკაში, ან ბესლახუბაში. არ მინდა შემამჩნიონ, რომ მუხლი გასივებული მაქვს.

მენისკი - ასეთი დიაგნოზი დამისვეს ექიმებმა. მირჩევენ, სასწრაფოდ გავიკეთო ოპერაცია. მანამდე მასაჟები და მალამოები დამინიშნეს. ზაზა ვეფხვაძე და გია სვანაძე მთხოვენ, მათთან ერთად ესპანეთში წავიდე. ის მიწვევა ჯერ კიდევ ძალაშია, რომან გვენცაძის მოტაცების გამო რომ ვერ წავედი. თემურ გიორგაძის მეგობარი ბიზნესმენი და მეცენატი კვლავ გვეპატიჟება. ოპერაციასაც იქ გამიკეთებენ, საუკეთესო სპეციალისტები გველოდებიან. მე უარზე ვარ, ცოტა გამოკეთდეს აფხაზეთში მდგომარეობა და მერე.

ვხვდები ამომრჩევლებს. კარგად მიღებენ. ყველა შეკითხვაზე გულახდილად ვპასუხობ. შეულამაზებელი სიმართლის მოსმენა მათთვის უჩვეულო ამბავია. თენგიზ კიტოვანი თავდაცვის სამინისტროს შტატებს ბერავს, ახლა სამხედრო პოლიციის ხარჯზე. ჰყავს რაღაც სპეცდანიშნულების რაზმი იგორ გიორგაძის ხელმძღვანელობით. იგორ გიორგაძე „კაგებეს“ ძველი კადრია. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მოვიდა ჩემთან. აფხაზეთში შეფარულ დივერსანტებზე ვსაუბრობდით. სიტყვით ყველაფერს ძალიან იოლად წყვეტს. მისი გაკეთებული საქმე კი ჯერ არ მინახავს. მოსაგვარებელია მხედრიონის გაფორმების საკითხი. ბოლოს და ბოლოს, ამ ბიჭებმა როდემდე უნდა ირბინონ ცეცხლში მხოლოდ ენთუზიაზმის ხარჯზე? ბევრი მათგანი დაოჯახებულია, შვილები ჰყავს, ცოტა თუ ბევრი, რაღაც ორ-ორი კაპიკი მაინც დავურიგოთ. ჩამოყალიბდეს მაშველთა კორპუსის ოფიციალური სტრუქტურა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კონტროლის ქვეშ მაინც გვეყოლებიან. თავმჯდომარის კანდიდატურა ძნელი შესარჩევია. ჭკვიანიც უნდა იყოს, მამაციც, ერუდირებულიც, პატრიოტიც, ბიჭებშიც ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს. ზაზა ვეფხვაძე ან გია სვანაძე მინდოდა. ბუღა აღარ არის. ზაზამ ისევ დაიწყო ნარკოტიკების მიღება. ვიბარებ და მკაცრად ვაფრთხილებ: თუ თავს არ დაანებებ, მხედრიონიდან წახვალ და მეც დამკარგავ. მეფიცება, შუამდგომლობს გია სვანაძეც, მაგრამ მგონი თვითონაც იკეთებს. ვიღუპებით - ეს საშინელი სენი მთელ ახალგაზრდობაზე ვრცელდება.

მაშველთა კორპუსის თავმჯდომარედ ვირჩევთ ნუგზარ ჟღენტს. ეკონომისტია, განათლებულია, ცუდი მეომარიც არ არის, ავტორიტეტიც აქვს. ოღონდ ზაზა და გია რატომღაც არ ემადლიერებიან. ამბობენ, კაცობაში ჩაიჭრაო. მაინც რაში-მეთქი, და არ მეუბნებიან. ნუგზარს მზადა აქვს მაშველთა კორპუსის სტრუქტურის პროექტი.

პროპორციული სიებით პარტიებს თითქმის განაღდებული აქვთ პარლამენტში მოხვედრა. ახალ საარჩევნო კანონში, რომელიც რაღაც იდიოტური საკომპენსაციო სიების პრინციპით შეადგინეს, არავითარი დამაბრკოლებელი პირობები არ არის. მერაბ ალექსიძე ვერ გაუმკლავდა პარტიების მოწოლას და ვახტანგ ხმალაძის ეს წინადადება გავიდა. უპარტიოდ დარჩენილი პრეტენდენტები, რომელთაც მაჟორიტარული

წესით ვერ აირჩევენ, ცდილობენ, მიეტმასნონ შევარდნაძის მხარდამჭერთა ახლად შექმნილ ორგანიზაციას. საარჩევნო კომპანიაში რომ მაჟორიტარული პრინციპიც შევიდა, ესეც შევარდნაძის დიდი დამსახურაბაა. „სხვაგვარად ვერ დავუპირისპირდებით პარლამენტში პარტიულ ჯგუფებსა და ფრაქციებს“. - მეუბნება იგი. მე რომ მკითხონ, პარტიები არაფერი საჭიროა. დავიწყოთ ყველამ საქმის კეთება და არა ლაი-ლაი. ანდა რით განსხვავდებიან ეს პარტიები ერთმანეთისაგან? იდეოლოგიით? სტრუქტურით? მიზნით? იქნებ ხალხის მასების ან საზოგადოების სერიოზული ნაწილის ინტერესების გამომხატველი არიან? მე გამოვდივარ სხდომაზე და ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ვამბობ: მოვეშვათ ამ პარტიულ სისტემას, ამ კასტურობას. პარტიები მხოლოდ საზოგადოების დაპირისპირებას უწყობს ხელს. ბოლოს და ბოლოს, პარტია ხალხის მტერია! ამ ჩემმა აფორიზმმა უამრავი მოწინააღმდეგე გამიჩინა და დებატების დროს ბევრმა ისპეკულანტა კიდეც.

შევარდნაძის დავალებით, რამდენჯერმე წავიყვანე საბჭოს სხდომა სულ უმნიშვნელო საკითხებთან დაკავშირებით. ეს მან ჩემს წასახალისებლად გააკეთა, ჰგონია, რომ დიდად მასიამოვნა. რაც შეეხება სხდომებს, შევარდნაძემ უკვე, ასე ვთქვათ, გაბა კაბელი - ზანტად თუ მარდად, კომუნისტური მართვის ეს მთავარი ატრიბუტი ჩართულია. სახელმწიფოს უმთავრესი ორგანო, ჩვენი ოთხკაციანი პრეზიდიუმი აღარ ფუნქციონირებს. მე ფაქტობრივად და ფორმალურადაც შევარდნაძეს დავუთმე ჩემი ადგილი, უკეთ - ყველგან და ყოველთვის დემონსტრირებას ვახდენ, რომ ვემორჩილები შევარდნაძის გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, რომ მაქვს ვეტოს უფლება. თენგიზ სიგუაც გარეგნულად ამ პოზიციაზეა, მაგრამ მოქმედება ხშირად ამხელს, რომ მისთვის მაინც მთავარია თენგიზ კიტოვანის აზრი. თენგიზ კიტოვანი კი აფიშირებას უკეთებს თავის დამოუკიდებლობას. ჩვენს გარშემო მყოფი ხალხი, უწყებების ხელმძღვანელები, თავიანთი პირადი შეხედულებებით და მომავლის ჭვრეტით ასრულებენ ჩვენს დავალებებს. მაგალითად, ტელევიზია არჩილ გოგელიას ხელმძღვანელობით ყველაზე „სწორ“ პოლიტიკას ადგას - შევარდნაძის დავალებებს პირნათლად ასრულებს, თენგიზ კიტოვანს შიგადაშიგ უკბილო რეკლამას უკეთებს. სიგუას საქმიანად უკავშირდება. მე კი მატყუებს.

დაახლოებით ასეთი სუბორდინაცია მეფობს ჩვენს მმართველობაში.

შევარდნაძეს ესევიან დასავლელი კორესპონდენტები. მათ ყველაფერი აინტერესებთ. ჯერჯერობით მთავარი თემაა მისი კომუნისტური წარსულის მისივე შეფასება. შევარდნაძე, როგორც წესი, ასეთ პასუხს იძლევა: მე გულწრფელად მჯეროდა კომუნისტური წყობის სიკეთის, და საერთოდ... ახალგაზრდობაში ლექსიც კი დავწერე სტალინზეო. ამის შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ. ვუთხარი, რომ ეს უხერხულია, ნუთუ თქვენ, ვისთვისაც კომუნისტური მმართველობის ყველა საიდუმლო ცნობილი იყო, გჯეროდათ ამ აბსურდისა და უკვე შაბლონად ქცეული ფატამორგანასი? მაშინ თქვენ, ბოდიში და, ჭკვიანი არ ყოფილხართ. დუმს. მე ვუყვები ჩემი სანუკვარი იდეის შესახებ, დარწმუნებული ვარ, მიხვდება და გამოიყენებს. „იცით რა? - ვეუბნები, - კომუნისტურ სისტემას, და მთლად იმპერიასაც, ვერავითარი ძალა ვერც გარედან და ვერც შიგნიდან ვერ დაანგრევდა. იყო მხოლოდ ერთი შესაძლებლობა: როგორმე სათავეში უნდა მოხვედრილიყო ვინმე დისიდენტი, რომელიც ზემოდან გეგმაზომიერად დაშლიდა კომუნისტურ სისტემას. ეს ჩემი ათეულწლობით ნაფიქრალ-ნაჯახირალია“. ისევ დუმს. სამაგიეროდ, სულ მალე მის ინტერვიუებში ნელ-ნელა ჩნდება ეს თემა. ჩემთანაც მოდიან უცხოელი კორესპონდენტები. მათთვის მე ეგზოტიკა ვარ. ზოგიერთი, ვფიქრობ, დავალებით ან ბოროტი განზრახვით მოდის. მთავარი შეკითხვა ჩემს წარსულს შეეხება. რაც მთავარია, 40 წლის წინანდელ წარსულს. სულ არ აინტერესებთ, როგორ გავხდი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არ აინტერესებთ ჩემი ლიტერატურული ნაწარმოებების შეფასება, თემები და სხვა. არა! მათ აინტერესებთ, მართალია თუ არა, რომ მე ბანკებს ვტეხდი, რომ მე ვიყავი „კანონიერი“ ქურდი, რობინ ჰუდი და ასე შემდეგ. მეც არაფერს ვუმალავ.

რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, ზვიადისტები მეტი აგრესიულობით მოქმედებენ. ბუნებრივია, ის ფორმალური კოზირი - პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 87% - დაფოლდება. შევარდნაძე არანაკლებ პროცენტებში ჩაჯდება. სამეგრელოში, ხობისა და სენაკის გარდა, არჩევნებში არავინ მიიღებს მონაწილეობას. გამსახურდიამ გროზნოდან გაავრცელა მოწოდებები პარტიზანული ბრძოლებისა და

დივერსიების შესახებ. თბილისში ჩამოვიდა მისი, ასე ვთქვათ, პროპაგანდის ემისარი ნოვოდვორსკაია. ეს აშარი ქალი შეეცადა მოეწყო მიტინგები. არაფერი გამოუვიდა. ბიჭებმა ჩემთან მოიყვანეს. შეშინებულია. „აჰა! შემჭამეთ!“ - ყვირის ისტერიულად. მეცინება: „არა, გეთაყვა, ჯერ უნდა შეგწვათ (ისე, კარგად ჩაპუტკუნებულია)“. მინდა ველაპარაკო, შევაგნებინო რამე - ამაო დროის ხარჯვაა. ბათუმში უნდა წასვლა. ბიჭები სადგურამდე მიაცილებენ.

ირაკლი გოცირიძე საშინელ ცილისმწამებლურ სტატიებს ბეჭდავს თავის გაზეთ „იბერია სპექტრში“. მოვაყვანინე. მაინტერესებს, რატომ აკეთებს ამას. „ახლა ჩვენ საბაზრო ეკონომიკაზე გადავდივართ. სენსაციები კარგად იყიდება“. - მარწმუნებს, რომ ეს უფრო მთავარია, ვიდრე პოლიტიკური პლატფორმა.

ავთანდილ მარგიანი აკოწიწებს შევარდნაძის მხარდამჭერ საზოგადოებას. მარგიანი - ცეკას ერთ-ერთი ბოლო მდივანი - გამსახურდიას უზენაეს საბჭოში შედარებით ვაჟკაცურად მოიქცა, საჯაროდ გამოთქვა თავისი პოზიცია და უარი თქვა დეპუტატობაზე. ახლა პარლამენტში მოხვედრა სურს. ჩემთან მოჰყავს ლევან თედიაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში. ახლა რაღაც ფირმა აქვს. მჩუქნიან სალონიან ვერტმფრენს. მე ეს ზღაპარი მგონია, მაგრამ მალე ჩემს განკარგულებაში აეროპორტში გაჩნდა ახალთახალი ცისფერი ვერტმფრენი (შემდეგ თედიაშვილმა იგი შევარდნაძეს გადააჩუქა). ოჩამჩირეში მივფრინავ. ჩემთან არიან მხედრიონელები, დათო მამულაშვილი და ირაკლი ამირეჯიბი - ჭაბუას ვაჟი. მიგვაქვს კავშირგაბმულობის დანადგარები, რომელიც თამაზმა - ჩვენი კავშირის უფროსმა იშოვა. ოჩამჩირეში თითქმის არაფერი შეცვლილა, პოზიციები იგივეა, ოღონდაც სოხუმ-ოჩამჩირის გზატკეცილებზე, ტამიშის და ანუახრუს მიდამოებში, აფხაზებმა რამდენჯერმე პარტიზანული შეტევა განახორციელეს. გიგა გელაშვილს მოუკლეს ორი კაცი, ერთი მათგანი - სულ ახალგაზრდა, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი. ამ მონაკვეთში ხანდახან შორიდან თავს ესხმიან ტრანსპორტს, რომელიც არაინტენსიურად, მაგრამ მაინც მოძრაობს.

გზატკეცილის მიმდებარე სოფლები დაცარიელებულია. ღამღამობით აფხაზური დაჯგუფების საველე ცენტრებიდან,

სოფლებიდან: კვიტოულიდან და ლაბრიდან გამოდიან დივერსიული ჯგუფები, გზატკეცილებზე დებენ ნაღმებს, თავს ესხმიან საგუშაგოებს. ოჩამჩირის შემოგარენში პოზიციები იგივეა. თუ ასე გაგრძელდა, ოჩამჩირეს დავკარგავთ. თამაზ ჩოგოვაძე, ჩვენი კავშირგაბმულობის უფროსი, თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის თანამშრომელია. მშვენივრად ააწყო საქმე. ვუკავშირდებით სოხუმს, ქუთაისს, ყველა პოზიციას. გვაქვს რამდენიმე საველე რაცია. დოდო გუგეშაშვილი ყველგანაა, ხან რაციაზე, ხან დაჭრილებთან, ხან სამზარეულოში, ხან პოზიციაზე. გია ვაშაკიძე თავისი შტაბით, დაზვერვის უფროს ბადრისთან ერთად რუკაზე მუშაობს. ბუთხუზს მცირე არტილერიაც გაუჩნდა. ყოფილი არტილერისტი და ზვიადისტი, ადგილობრივი ნაური ხელმძღვანელობს ახალბედების სწავლებას. ჩვენი მთავარი მიზანია ტყვარჩელის ბლოკირება, ზევით უნდა ავიწიოთ. დიდი შეტევის დაწყებისთვის ხალხი არ გვყოფნის. აქაც ორასი-სამასი მხედრიონელია, მეტი არა. ადგილობრივები უჩვენოდ არაორგანიზებული შეუიარაღებული მასაა, და რაც მთავარია, თავის სოფელს კი იცავს, მაგრამ მის იქით წასვლა არ უნდა. მთელი ომის განმავლობაში ვერა და ვერ დავძლიეთ ეს ფსიქოლოგიური ბარიერი. ამიტომ ვიდრე ძალებს მოვიკრებთ, ცოტ-ცოტა მაინც წინ უნდა წავიწიოთ. უმოკლესი გზა ტყვარჩელამდე ბესლახუბის რკინიგზა და სოფელ მერკულას შოსეა. მერკულას ნახევარი ჩვენია, ნახევარი აფხაზების, მაგრამ სტრატეგიულად მათი პოზიციები ჯობია. მთავარი ძალა ყველაზე მაღალ კლდოვან მთაშია. იქ აქვთ სანგრები. იქვე, გვერდზე, ვიწრო მდინარეა, რომლის ჩვენკენ მოქცეული ნაპირები დანაღმული აქვთ. უსხედან სნაიპერები, აგრეთვე აქვთ ტყვიამფრქვევი „დეშეკა“, რომელიც დღედაღამ მუშაობს ორი მიმართულებით. მისი გასროლები აღწევენ სოფელ არადუში, ჩვენს შტაბამდეც კი, აგრეთვე - ფერმასა და სოფელ საქობალიომდე.

მერკულას შოსე მოცარიელებულია. ირგვლივ მხოლოდ ჩაის პლანტაციებია. ასე რომ, თუ ეს გორაკი ავიღეთ, არადუსა და მერკულას პოზიციებს შევაერთებთ. შემდეგ შეიძლება მთლიანად მერკულას აღება და ტყვარჩელის გზაზე გასვლა. გია ვაშაკიძე რუკაზე ჭადრაკის ფიგურებს ალაგებს მომავალი ოპერაციის დასაგეგმად. ნაბდის ქუდი ახურავს. „ჭადრაკის ფიგურების მაგიერ კარტოფილები რომ დააწყო, ნამდვილად

ჩაპაევი იქნები“, - ვეხუმრები.

წინა პოზიციაზე გამყავს არტილერია (ორი ასიანი ზარბაზანი). იერიშის წინ გვინდა დავბომბოთ კლდოვანი მთა, მერე ფლანგებიდან შევუტევთ. ყველაზე ახლო და მცირე წარაფვით შეფარული დაბლობიდან შეპარვით, მანევრით განვახორციელებთ თავდასხმას. ამავე დროს, გაშლილი ადგილიდანაც - ჩაის პლანტაციებიდან ნელ-ნელა გადაწევით იქნებ ავიღოთ მათი ეს ციტადელი.

გავხსენით საარტილერიო ცეცხლი პირდაპირი დამიზნებით. ორ საათს ვუბრაგუნეთ. დამკვირვებელი არა გვყავს. იქიდან - არავითარი პასუხი, „დეშეკაც“ კი ჩაჩუმებულია. გვგონია, იქაურობა დაინგრა. ვაძლევთ ნიშანს. ფერმებიდან რაზმი დაძრა ვიქტორ შაფათავამ, ჩაის პლანტაციებში გადადის დათო მამულაშვილის რაზმი. არტილერია ფარდას („პრიკრიტიეს“) უკეთებს მიპარვით იერიშს. ცა ღრუბლებმა დაფარა, წამოვიდა წვიმა, შემოდგომის ქარიც ასისინდა. ზარბაზნები წყვეტენ ცეცხლს. გამორიცხული არ არის, ჩვენიანებს დავცხოთ. არ ვიცით, ვიქტორ შაფათავა რა მანევრით გადაწყვეტს ადგილზე იერიშის დაწყებას - რკალურად, თუ დაელოდება პლანტაციებით მიმავალ რაზმს. ვიქტორთან თამაზ ჩოგოვაძეცაა, კავშირგაბმულობის უფროსი. ვუკავშირდებით. „წინ მივიწევთ, - ისმის რაციაში. - გვრჩება ორასი მეტრი, ასი!“ აქ ხეები ვეღარ დაგვიფარავს, გავდივართ ღია ადგილას. იმედი მაქვს, რომ აფხაზები გაიქცნენ. და უცებ, როგორც ქარიშხალი, ატყდა ხელის ტყვიამფრქვევების სროლა და „დეშეკას“ კაკანი, „ლიმონკების“ აფეთქების ხმა. დათო მამულაშვილი თავისი რაზმით გადადის წარაფიან დაბლობში და იქ წვებიან, ელოდებიან ცეცხლის შეწყვეტას.

როგორც მოულოდნელად ატეხეს სროლა, ისევე მოულოდნელად შეწყვიტეს იგი. მერე კვლავ ისეთივე ინტენსიურობით მუშაობს აფხაზთა მხარე. „თავს არ გვაღებინებენ“, - ისმის რაციაში თამაზის ხმა: გაშლილ ადგილას გასვლა და იქიდან შეტევა დიდ მსხვერპლს მოითხოვს. დათო მამულაშვილის რაზმი გვერდებზე გაიფანტა. მათი შეკვრა ალბათ ვერც მოხერხდება. რაციასთან ვეძახი ვიქტორს. „მსხვერპლი ხომ არ არის?“ - ვეკითხები. „არა, ორი მსუბუქად დაჭრილია“. „როგორაა საქმე?“ - მინდა გავიგო განწყობა. ვიქტორი მიმიხვდა, ჩაიცინა. „რა ვიცი, გაგვიძნელდება. ას

ორმოცდაათი, ორასი მეტრი ღია აღმართზე მოგვიწევს გასვლა, თვით მთასთან კი ციხესიმაგრესავით კლდოვანი რელიეფია. ავბობღდებით? რა ვიცი...“ - ვიქტორი მხნე, პატიოსანი და ჭკვიანი ვაჟკაცია. რახან იგი ყოყმანობს, აღარ ღირს შეტევის გაგრძელება. მით უმეტეს, არ ვიცით, სად დადნა ეს დათო მამულაშვილის რაზმი. „კარგი! ნუ გახვალთ წინ. ნელ-ნელა მოიხსენით და ორგანიზებულად დაბრუნდით საწყის პოზიციაზე“. ასეც ხდება, იერიში არ გამოვიდა. სამაგიეროდ, აფხაზები შევაფუცხუნეთ და თავდასხმის მადა წავუხდინეთ.

შტაბში ვიკრიბებით. დათო მამულაშვილს ვიღაცეები მოჰყავს, თვითნებურად რომ გადაუხვიეს პლანტაციებიდან. არ ღირს მათი დასჯა. ბადრი გვიყვება დაზვერვის მონაცემებს, თუ როგორ არიან იმ მთაზე აფხაზები. „მანდ რუსი ოფიცერი ჰყავთ, ღრმა სანგრები კუთხურად აქვთ გათხრილიო, შემჩნეულია ისლამური დროშა და მწვანეკანტიანი ფაფახები, მაშასადამე, ჩეჩნებიც არიან“. გადავწყვიტეთ, შემდეგი იერიში ასეთივე მანევრით დავიწყოთ და ჰაერიდან იქნებ ჯიმი მაისურაძე ჩავრთოთ. აგრეთვე არადუს მხრიდან გამოსატყუებელი ცეცხლი გავუხსნათ. მერკულას პოზიციებსა და პოსტებს ალიკა მეტრეველი ხელმძღვანელობს. მას ეხმარება გიო რურუა. 20-22 წლის გულადი ბიჭები არიან.

მივდივარ სოხუმში. გზაზე, ტამიშის ხიდთან, ჩვენი პოსტია. ძალიან გვაწუხებენ ლაბრის მხრიდან, ამბობენ ბიჭები. სანგრები არა გვაქვს, მაგრამ ხიდის ქვეშ ვაფარებთ ხოლმე თავს, შორიდან ისვრიან. გამოკითხვა ვერ დავამთავრე, რომ რამდენიმე ტყვიამ გაიწუილა. სახლებს ვეფარებით. ბიჭები ხიდის ქვეშ შედიან. რაცია აქვთ. თუ სერიოზული თავდასხმა იქნება, ოჩამჩირის მაშველი ბრიგადა ნახევარ საათში გარღვევის ადგილზე გაჩნდება.

გზას ვაგრძელებ. ბინდდება. ანუახრუს აფეთქებულ ხიდთან აგვიტეხეს სროლა, მაგრამ ეს ორ ან სამ-კაციანი ჯგუფია. გადმოვდივართ მანქანებიდან და გავრბივართ სროლის მიმართულებით. სროლა წყდება. ჩვენც ღრმად აღარ შევდივართ. ვიდრე მანქანებს დავუბრუნდებით, ჩვენკენ მოჰქრის გიგა გელაშვილი თავისი ბიჭებით. „ამ ბოლო დროს გააქტიურდნენ, - ამბობს გიგა. - გამოდიან და გზასაც გვინაღმავენ“. მანქანები ნელა მიგვყავს სიბნელეში. გიგა ჩემთან ერთად მოდის სოხუმში. კინდღის გადასახვევთან

დათო შონია გვხვდება. გიგას და მას აწყობილი აქვთ ურთიერთობა. თუ რომელიმეს უჭირს, ვიდრე ოჩამჩირეს ან სოხუმს დაუკავშირდებიან, ერთმანეთს შველიან. მუხლი ძალიან გამისივდა. ახლა ფარისევლური შეკითხვების და პასუხების თავი არა მაქვს. მტკივა, განსაკუთრებით, კიბეზე ასვლისას. თამაზ-წესრიგა იცინის: „როცა დარბიხართ, მაშინ ფეხი არ გახსენდებათ“...

გადაწყვეტილებას, რომელიც ამას წინათ მიიღეს, სოხუმი არ ასრულებს. დათო შონიას არც ტყვია-წამალს აძლევენ შტაბში, არც პროვიანტს. ერთი-ორჯერ, თავდასხმის დროს, მაშველი ითხოვა და არც მაშველი გაუგზავნეს. ეს უკვე გენო ადამიას ეხება. იგი ბრიგადას აყალიბებს და, ბუნებრივია, სურს, დათო შონიას ახლად შექმნილი მხედრიონი თავის ბრიგადას შეუერთოს. დათოს ეს არ მოსწონს - ოჩამჩირის მხედრიონთან დაცილების წინააღმდეგია. ორივეს ასეთ წინადადებას ვაძლევ: ირიცხებოდეს გენოს ბრიგადაში, მაგრამ ერქვას მხედრიონი. ამაზე რიგდებიან. მალხაზ კორძაიას სვანების ჯგუფს - გულრიფშის მხედრიონს, რომელსაც დალის ხეობის დაცვა აკისრია, მერხეულასთან შტაბი აქვს. ვარჩევ 50 კაცს და ვგზავნი ოჩამჩირეში, გია ვაშაკიძის განკარგულებაში. მათ ნუგზარი უდგას სათავეში. დანარჩენები გზასთან და გვირაბებთან იმორიგეებენ. თბილისიდან ჩემს სახელზე ჩამოაქვთ ასი ავტომატი. ორმოცდაათს ვაძლევ მალხაზს და ორმოცდაათს - გენო ადამიას. სოხუმის პოზიციებზე უძრაობაა. სოფელ შრომაში იგივე ვითარებაა. სოფელ კამანშიც არავითარი პოსტი და სანგრები, არც დამატებითი სამხედრო ძალა მიუყვანიათ. არც პოზიციაა დაფუძნებული მოპირდაპირე მთაზე. ასე რომ, ეს მცირე უღელტეხილის ყელი ისევ იმ 18 ადგილობრივი სვანის იმედზეა. შტაბში ახალი ხალხია. მათ პაატა დათუაშვილი თავკაცობს. როგორც ამბობენ, უნდა შეიქმნას ერთი კორპუსი, სადაც შევა გენო ადამიას ბრიგადა და ოჩამჩირის მხედრიონი. ძალიან კარგი - ეს სწრაფად უნდა გაკეთდეს, მაგრამ ვის ველაპარაკო? თენგიზ კიტოვანი აქ არ ჩამოდის. გია ყარყარაშვილის როლიც გაურკვეველია. გაგრის მარცხიდან უკვე ერთი თვე გავიდა. დასასვენებლად იყო წასული თუ საერთოდ აღარ სურს აქტიურობა ან უფროსობა - ვერ გამიგია. გოგა ხაინდრავამ წერილიც კი მისწერა პრესის საშუალებით, „რა გული გიძლებს, მანდ რომ ზიხარო“.

გენოს მივყვები ავანგარდულ პოსტზე „წიწაკის ცეხთან“.

როგორც თვითონ ამბობს, შემოვლით მოკლე გზაც არის, მაგრამ იგი ცეცხლის არეშია. ჩვენ ხომ აქ უკვე ვიყავით, - ვეუბნები კერძო სახლების ეზოებით მძრომიალებს. არნახული მოსავალია - მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის, ფეიხოას ჩაყვითლებული, დახუნძლული ბაღები.

„წიწაკის ცეხი“ შუა საუკუნეების მცირე ციხესიმაგრის მსგავსი კომპლექსია. გალავანიც აქვს. თითქმის ამავე ეზოში, მოპირდაპირე შენობაში, აფხაზები ჩასაფრებულან. არ ისვრიან. ამ ადგილს დროდადრო სათვალთვალო პუნქტად იყენებენ. მიკარება ძნელია, მათ თავზე წამომართულ მთის კალთაზე სნაიპერები სხედან. თვით შენობაში, „წიწაკის ცეხში“, ბიჭები კარგად არიან გამაგრებული. აქა-იქ მიყრილ-მოყრილი წიწაკის ტომრები თვალებს წვავს. ძალიან მოუხერხებელი პოსტია, ან აფხაზები უნდა გავყაროთ, ან ჩვენ სხვაგვარად უნდა განვლაგდეთ. ბიჭებს ზურგი არა აქვთ, მოძრაობაც შეფერხებულია. ერთი კვირის წინათ თითქოს გაუყრიათ შენობიდან, მაგრამ თვითონ ვერ გამაგრებულან - აფხაზები ზემოდან აკონტროლებდნენ. ამიტომ მიუტოვებიათ. იქ არც ჩვენები იყვნენ და აღარც ისინი. ამ დღეებში ისევ გამოჩნდნენ. „შტაბიდან ან სამხედრო ხელმძღვანელობიდან აქ ვინმე თუ ყოფილა?“ - ვეკითხები გენოს. გენო იგინება. შტაბში სერიოზულად ვესაუბრები პაატა დათუაშვილს. სოხუმში არ არის შეკრული პოზიციები, კავშირები ყველგან არ არის. კამანი და შრომა მიუხედავია, აეროპორტში წესრიგი არ არის, ვისაც მოესურვება, შეეხეტება თვითმფრინავებთან, ძალადობენ მფრინავებზე, იარაღიანი ხალხი ყოველგვარი ნებართვის გარეშე ბრუნდება თბილისში. მიუხედაობის გამო სოხუმი-ოჩამჩირის გზა სამგზავროდ სახიფათოა. გზის გაწმენდის შემდეგ, სამხედრო ოპერაციის თვალსაზრისით, არაფერი გაკეთებულა. ზემოთ, სიღრმეში უნდა ავიწიოთ, თორემ სადღაც ზღვის პირას, აგუძერასთან, დივერსიული ჯგუფი მოქმედებს - თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებს ესვრიან. ლაბრიდან და კვიტოულიდან ტამიშთან ჩამოდიან პატარ-პატარა ჯგუფები. რაღაც ერთიანი დიდი ოპერაციაა ჩასატარებელი. ასე გულხელდაკრეფილი ჯდომა კარგს არაფერს მოგვიტანს. „სოხუმიდან წინ წაწევა თუ იგეგმება?“ - ვეკითხები პაატას. ის კი ყველაფერს იარაღის უქონლობას, ხალხის ნაკლებობას, უდისციპლინობას აბრალებს.

ვხვდები ლეონარდო დევდარიანს, რომელიც რამდენიმე ხნის

წინათ სამოქალაქო-საპატრულო რაზმის შექმნას მპირდებოდა. ვავალებ, ქალაქში დაიწყონ მორიგეობა, მიეხმაროონ აეროპორტს. ყველაფერზე მთანხმდება, მაგრამ მისი იმედი არა მაქვს.

საღამოობით „გოსდაჩაზე“ იკრიბებიან ადგილობრივი ხელისუფლების თავკაცები: თამაზ ნადარეიშვილი, გივი ლომინაძე, ზურაბ ერქვანია, მესხი და კიდევ ვიღაც ზვიადისტები. ეზოში უამრავი ხალხი ირევა. ჩემს ერთ-ერთ მანქანას ვიღაცამ რაღაც უხიმანდრა, საჭე მოეშალა და „გოსდაჩის“ ეზოდან გამოსვლისას კინაღამ გადავიჩეხეთ.

სოხუმში სინათლე არ არის, ისევ სადღაც ანუაბრუსთან ააფეთქეს ბოძი. დღეში ორჯერ - დილით და საღამოს - ოჩამჩირეში რაციით ველაპარაკები გია ვაშაკიძეს. ხვალ არჩევნების დღეა, სოხუმში ვრჩები, აქ მივცემ ხმას. არ ვიცი, მე ვარ ასეთ ამაღლებულ განწყობაზე თუ მეჩვენება, რომ ხალხი დიდი იმედით მიდის ხმის მისაცემად. ამ გიჟური წლების შემდეგ ამაში ხედავენ ომის დამთავრების შესაძლებლობას, საქართველოს დამოუკიდებლობას და, ბოლოს და ბოლოს, წყნარი, ნორმალური ცხოვრების დაწყებას. საარჩევნო უბნებში ბნელა, მაგრამ სადღესასწაულო განწყობაა: „აქეთ, აქეთ, ბატონო ჯაბა,“ - მესალმებიან და მოღიმარი სახეებით მპატიჟებენ საარჩევნო კომისიის წევრები. „თუ საიდუმლო არ არის, რომელ პარტიას აძლევთ ხმას?“ - მეკითხება ახალგაზრდა მორიგე. „როგორ თუ საიდუმლო არ არის, საიდუმლოა, მაშ! მაგრამ თქვენ გამოგიტყდებით - ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას“.

არჩევნების დღეს ოჩამჩირეში თავდასხმა მოაწყვეს აფხაზებმა და ზვიადისტებმა. ამბობენ, მოილაპარაკესო. არ მინდა ეს დავიჯერო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: თავდასხმა მოხდა ჩვენს პოსტზე გალის მხრიდან, ქვედა ოხურეიში. იქ ასე იოლად აფხაზები ვერ შემოძვრებოდნენ. ამ ადგილას ჩვენი სვანები იდგნენ და ამტკიცებდნენ, რომ რამდენიმე კაცი იცნეს, გალელი ზვიადისტები იყვნენო. მოგვიკლეს ორი მხედრიონელი. აფხაზებმა ბესლახუბასაც შეუტიეს. „ქალაქში ტყვიები ზუზუნებს, ბატონო ჯაბა, მოსახლეობა კი მოკუზული, მარა მაინც გარბის ხმის მისაცემად“, - მახარებს გია ვაშაკიძე.

სოხუმში ჩამოსულია შინაგანი ჯარი 180 კაცის შემადგენლობით, ნორმალურად შეიარაღებულნი, ჩაცმულ-დახურულნი. დრანდაში დაბანაკდნენ, არავინ არაფერს

ავალებს, ისინიც არიან და არიან. ტამიშსა და ანუახრუს შუა, კვიტოულის გამოსასვლელ გზასთან, უკონტროლო მიდამოები გვაქვს. გიგა გელაშვილის ბიჭები, სულ 30 კაცი, აქეთ-იქით სირბილს ვერ აუდიან. გარდა ამისა, უკვე დაიღალნენ, დატილიანდნენ. ერთ თვეზე მეტია, მინდორში და ფერმებში სძინავთ. გიგას ახალშერთული ცოლი ორსულად ჰყავს, მთხოვს, ორი დღით სახლში გავუშვა.

მივდივარ შტაბში. შინაგანი ჯარის ჩამოსვლის შესახებ არაფერი იციან. ვეუბნები: „ასი კაცი მიმყავს ტამიშთან, ოთხმოციც თქვენ გამოიყენეთ პატრულებად აეროპორტში - მაინც დრანდაში არიან დაბანაკებულნი“. სამი იკარუსი ქალაქში ვიშოვე. გავაფრთხილე შინაგანი ჯარის ნაწილის უფროსობა. თვითონ სოხუმში რჩებიან, ას კაცს ავტობუსში ვსვამ და ღამით გავდივართ. როგორც კი გავიარეთ ხიდი, სადაც ფუნდამენტური პიკეტია, „ბეემპეთი“ და „ბეერდეემებით“, ბიჭები გადმომყავს, მანქანებს წინ ვუშვებთ და ჩვენ ფეხით, გზის მარცხენა და მარჯვენა მხარეს გრძელ ჯაჭვად ჩამწკრივებული, მივუყვებით გზას, ვინაიდან აქ სადღაც, აგუძერის მიდამოებში, დიდი დივერსიული ჯგუფი ბუდობს. მთელი სოფელი ჯერ კიდევ აფხაზური მოსახლეობაა. მკაცრად ვაფრთხილებ, რაც არ უნდა მოხდეს, ბრძანების გარეშე არავინ გაისროლოს. გავცდით აგუძერას. ისევ ავტობუსებში ვსხდებით. დავტოვეთ ახალი კინდღი, სადაც დათო შონია შემოგვეგება. ირგვლივ სიწყნარეა. დათო თავისი რაზმით ზემო კინდღში ყოფილა. ღრმად შესულა. იქიდან გაქცეულან, ასე რომ, გზაში თავდასხმა მოსალოდნელი არ არის. უცებ ძველ კინდღთან უკანა ავტობუსმა ატეხა საშინელი სროლა. კოლონას ვაჩერებ, სასწრაფოდ გადმოვდივართ მანქანებიდან. მხოლოდ ბოლო, მესამე ავტობუსი ისვრის უთავბოლოდ. მივრბივარ. „რა ხდება?“ მათი მანქანაც ძალაუნებურად შეჩერდა. მინები კონდახებით დამტვრეულია, კიდევ კარგი, ისვრიან ზღვის საპირისპირო ერთი მიმართულებით. ავტობუსში ავდივარ იმ დროს, როცა ერთ ჯარისკაცს მხარზე ყუმბარმტყორცნი შემოუდია და უნდა გაისროლოს. თამაზ-წესრიგა ეცა: „რას შვრები, ასე ხომ მთელ მანქანას ააფეთქებ“. ართმევს. „შეჩერდით!“ - ვყვირი. ჩვენს დანახვაზე ფხიზლდებიან, სროლა წყდება. უბრალო პანიკა იყო, ვიღაცას გაუვარდა და მერე ყველანი აჰყვნენ. ვაი, ჩვენი ბრალი!..

გზაში შეგვხვდა დათო შენგელია. ეს ის დათოა, წალენჯიხაში

რომ ამოდიოდა მოსალაპარაკებლად. მასთან რამდენიმე ახალგაზრდაა. „აწი მე თქვენთან ვიქნები, ბატონო ჯაბა! - ამბობს იგი. - ეს რა ვნახე, ხალხმა არ იცის, რომ თქვენ შუაგულ ომში ხართ. მაგათ ჰგონიათ, მიხვალთ, ჯარისკაცებს დაენახვებით და მერე სხვებივით ტელევიზიაში გამოხვალთ, აწი, მე ვიცი“. იმეორებს დაბეჯითებით. ძალიან მახარებს ეს შეხვედრა. შენგელია გალში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. გალი თუ ჩაება ომში, მერე მას ზუგდიდიც აჰყვება და მორჩება ეს უაზრო გათიშულობა, მტრობა. რა ვიცი, ზოგი ჭირი იქნებ მარგებელი გამოდგეს - იქნებ ქართველები გავერთიანდეთ და მაშინ აფხაზეთსაც მოევლება.

ოჩამჩირეში ისევ ის ჩვენი ბიჭები მხვდებიან: დათო მამულაშვილი, ირაკლი ამირეჯიბი, ვიქტორ შაფათავა, ზურა - „ნირიოკა“, გიო ხვიჩია, ჩემი კოწია, დათო დანელია, მიშიკო ახვლედიანი, გიო რურუა, ალიკა მეტრეველი, ზურაბ დანელია - „ნაპო“. შტაბში გია და კაკო ვაშაკიძეები ბუთხუზასთან ერთად რაღაცას გეგმავენ. „ერთი სამასი კაცი რომ მომცა, თანაც ჩვენი ბიჭებისნაირი, ტყვარჩელამდე მთელ სოფლებს გავანთავისუფლებ, - მეუბნება გია ვაშაკიძე. - რას შვრება ეს ჩვენი მთავრობა? სადაა ხალხი? მობილიზაცია მაინც გამოაცხადონ, სულ ერთი და იგივე ბიჭები არიან...“ ნაპოლეონა - ნაპო დაბღვერილი გვიგდებს ყურს. მერკულას მთის ასაღებად რომ წავედით, ნაპო არ მიჰყავდათ - ავტომატი არ ჰქონდა. ჩემი ნაჩუქარი „მაკაროვით“ წასულა იერიშზე. ბიჭები იცინიან, ის კი იბღვირება. ნაპო პირველი მხედრიონელია. 1988 წლიდან ჩვენთანაა. როცა პირველად ქვემო ქართლში წავედით, საბჭოთა მილიციამ გზა გადაგვიკეტა. ჩვენ თეთრიწყაროდან ტყით შევედით ბოლნისში, მარნეულსა და თამარისში. მაშინ ნაპოს ჯიბიდან იარაღი ამოუვარდა. უწმაწური შედარებით ვეხუმრე. ახლაც ახსოვს და იცინის. 1990 წელს კი ცხინვალში ოსურ-ქართული დაპირისპირების დაწყებისას, ზაზა ვეფხვაძესთან ერთად თამარაშენში პირველ პოზიციაზე იდგა. ცხრა დღეს დედამისმა არაფერი იცოდა. ეს რომ გავიგე, მივედი თამარაშენის პოსტზე, შემცვლელი მივიყვანე და ვუბრძანე, ახლავე წამომყევი და წადი თბილისში, დედაშენს დაენახე და მერე ჩამოდი-მეთქი. „არ წავალ!“ - მიპასუხა ჯიუტად. „ძალიან კარგადაც წახვალ!“ - ვუჯავრდები. იბუზება და ადგილიდან არ იძვრის. „რა, გეშინია?“ - ვეკითხები. „მეშინია და მაინც არ წავალ“. ბიჭებმა სიცილი დააყარეს. პირველ ხანებში

ახალბედების მიღება ნაპოს ევალებოდა. ისეთ სახეს იღებდა და ისე მკაცრად ეკითხებოდა ყოველ წვრილმანს, ბიჭებს ელეთმელეთი მოსდიოდათ. თვით ბუღა რომ მოვიდა მხედრიონში, ისიც მასთან გავგზავნე. „რა გვარი ხარ?“ - უღრიალა ნაპომ და თვალები დააბრიალა. „ვაიმე, ეს რა „ლუდაედი“ ჰყოლია ჯაბასო“, - ამბობდა თურმე ბუღა. ერთმა ვახტანგ ბეგიაშვილმა გაუგო, რომ „ლუდაედი“ კი არა, კეთილზე კეთილი ბიჭია. ჩვეულებრივად უღრიალია, რა გვარი ხარო. მერე უბრძანებია, წადი, სიგარეტი მომიტანეო. წასულა და მოუტანია. როცა მეორე დღესაც იგივე სიტუაცია გათამაშებულა, ვახოს თვითონ უყვირია: „ახლა წადი და შენ მოიტანეო“. ნაპო დამტკბარა და წაულუღლუღია: „ფული არა მაქვსო“. ბიჭები ამას ჰყვებიან და სათანადოდაც აფორმებენ. თვითონ ნაპოც სიცილით იგუდება.

ბუთხუზი ნელ-ნელა კრებს ადგილობრივებს. მაგრამ იარაღი არა გვაქვს. სოფელ კოჩარაში 6000 მცხოვრებია. „500 ავტომატი რომ მომცა, 500 კაცს გამოვიყვან“, - ამბობს ამ სოფლის თავკაცი გივი, რომელსაც დედა აფხაზი ჰყავს. ეს პრობლემათა პრობლემაა. რუსები მისხალ-მისხალ გვაძლევენ ტყვია-წამალსაც და იარაღსაც. სხვა ქვეყნებიდან დახმარებას არავინ კისრულობს - რუსების ეშინიათ. ასლან აბაშიძე შეპირებულია. მასთან ვგზავნი ჩემს კოწიას.

„არჩევნებმა საუკეთესოდ ჩაიარა, - მიყვება ოჩამჩირის გამგებელი ხუტა გუგუჩია, - მთელმა მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ჩვენს ხელისუფლებას. იყო თავდასხმის რამდენმე მცდელობა საარჩევნო პუნქტებზე, მაგრამ მხედრიონელებმა დროზე აღკვეთეს აურზაურად შენიღბული ეს დივერსია აფხაზთა და ზვიადისტთა მონაწილეობით“. აფხაზები ახლა ახალ ფანდს ათამაშებენ - მეგრელებს აგიტაციას უწევენ: თქვენ ხომ ქართველები არა ხართ, ჩვენ თქვენ არ გერჩით, პირიქით, ადგილობრივები ხართ და ჩვენ ერთად უნდა ვებრძოლოთ ამ ჩამოსულებსო. ვითომც გაგრაში მშვიდობიანი მოსახლეობა მეგრელები და სვანები არ დახოცეს.

თბილისიდან ტელეფონით მიკავშირდებიან. ჩემი ჯაბუკა კერძო საბავშვო ბაღში მიუყვანიათ. იქ სხვადასხვა ასაკის ბავშვები ერთად არიან. „ბაბუ! - ისმის ყურმილში მისი მოჩლექილი ლაპარაკი, - შენ ვინა ხალო, მითხლეს. მე ჯაბა იოსელიანი ვალ. მაშინ მე კიტოვანი ვალო, მე სიგუა ვალო...“

დოდო გუგეშაშვილი დღედაღამ კავშირზე ზის, არეგულირებს პოზიციების ურთიერთობებს. როცა მე მოვდივარ, იმასაც ასწრებს, რაიმე დიეტური საჭმელი მომიმზადოს - ამ კონსერვებმა თორმეტგოჯას ძლივს შეხორცებული წყლული გამიხსნეს.

სასტუმროში მძინავს. ვინმემ რომ ერთი ღერი ასანთი შემოაგდოს, წამსვე დაიწვება - ხის ძველი ორსართულიანი შენობაა, მაგრამ შტაბთან ახლოა. დათო შენგელიამ უკვე დაიწყო დანაპირების აღსრულება. გალიდან მოჰყავს ოცი ბიჭი. მათთან არის თამაზ შონიაც, დათო მამულაშვილის ნაცნობი. მეჩურჩულებიან, რომ შონია წალენჯიხაში ჩვენზე თავდასხმის მონაწილეა. „არა უშავს, მთავარია, რომ ახლა ჩვენთანაა“. - ვაწყნარებ ბიჭებს. ვესაუბრები გალელებს, იარაღს თხოულობენ. „სამურზაყანოს ბატალიონს ჩამოვაყალიბებთ“, - გვპირდებიან ისინი. ვაძლევ 12 ავტომატსა და ერთ ყუმბარმტყორცნს. ყვავს რა ჰქონდა და ბუს გაჰქონდაო. რა ვქნა, უნდა ვენდო, ეს პატარა საქმე არ არის. თუ გალი ჩვენკენ იქნება, ამ ფრონტზე ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდება. დათო მამულაშვილს ვავალებ, მათთან მჭიდრო კავშირი დაამყაროს. საჭიროა დიდი ოპერაციის დაგეგმვა სოხუმთან ერთად, თორემ ასე ერთ ადგილს ვტკეპნით. მართალია, ხალხი და იარაღი არ გვყოფნის, მაგრამ ჩვენ მაინც მზად უნდა ვიყოთ. მერე რამე გამოჩნდება. გია ვაშაკიძესთან, ბადრისთან - დაზვერვის უფროსთან, ანზორ მარგიანთან - ოჩამჩირის კომენდანტთან (იგი კოჩარელია. აქაურობა ხუთი თითივით იცის) ვაზუსტებ სიტუაციას. ოჩამჩირის ირგვლივ ჩვენი პოზიციები მყარია, მაგრამ პარტიზანულმა ჯგუფებმა გზაზე დაიწყეს თარეში. მათი ცენტრებია კვიტოული და ლაბრა. პირველ რიგში ეს ორი სოფელი უნდა მოვიცილოთ. ჩამოდის ვითომც ჩემთვის ნაჩუქარი ვერტმფრენი-სალონი. თბილისში მივფრინავ. იქნებ ხალხი მოვაგროვო ან იარაღი ვიშოვო. ერთი მკრეხელური აზრიც მომდის: ხომ არ დავიწყოთ მოლაპარაკება რუსეთთან, ბოლოს და ბოლოს, გავიგოთ, რა უნდათ.

თბილისის აეროპორტში მხვდებიან კორესპონდენტები, აინტერესებთ, რას ვიტყვი სოჭში კიტოვანისა და არძინბას შეხვედრის შესახებ. აღშფოთებული ვარ, პირველად მესმის. ჩემთვის არ უნდა შეეტყობინებინათ? ან რა მოლაპარაკებაზე წავიდა, რას ჰპირდება, ვინ ურჩია. რომც დაპირდეს კიდეც, რას შეასრულებს? ყველაფერ ამას ვეუბნები ტელეკორესპონდენტ

თამრიკოს. საღამოს ვუყურებ ტელევიზორს. ეს ჩემი ინტერვიუ დაჭრილ-დაჩეხილია, არც ერთი სიტყვა იმის შესახებ, რომ ეს თვითნებური აქტი შეუთანხმებელი და უკანონო იყო. მეორე დღეს საბჭოზე გამაქვს ეს საკითხი. მოვითხოვ, პასუხი აგოს, ვინც დაჩეხა ჩემი ინტერვიუ. გოგელია, როგორც ყოველთვის, მარწმუნებს, ვითომც შემრიგებლური მიზნებით ხელმძღვანელობდა, რომ ჩემი და კიტოვანის ურთიერთობა არ გაფუჭებულიყო. ოფიციალურად, საბჭოზე კი აცხადებს, და მას კვერს უკრავს ღვინჯილიაც (მისი მოადგილე), რომ ეს მათი ნებაა, გადაცემის ავტორები, თურმე, ისინი ყოფილან. როგორც ირკვევა, ამ შეხვედრას სიგუაც ესწრებოდა. ვურეკავ. რაღაცას მიედ-მოედება. „იქ იყო, თანაც, არ იყო“. კიტოვანი კი ისე შეხვდა არძინბას, შემთხვევით. დატაკება აღარ ღირს. პარლამენტი არჩეულია! შევარდნაძე თავმჯდომარეა. ამომრჩეველთა რაოდენობით გამსახურდიას ყბადაღებულ 87%-ს აჯობა. მეც ამირჩიეს თბილისის ნაძალადევის რაიონიდან, მეც ხმების რაღაც 80% მივიღე. 4 ნოემბერს, როგორც 1921 წლის კონსტიტუცია მიგვითითებს, დანიშნულია პირველი სხდომა. ვულოცავ შევარდნაძეს. ახალ აპარტამენტებში გადავიდა, ჩემს ზემოთ. ზის, იღიმება, ცხვირს იფშვნეტს და ნესტოებს ბერავს - ეს იმის ნიშანია, რომ კმაყოფილია. მარტონი ვრჩებით. აინტერესებს, რა პრეტენზია მაქვს, რა თანამდებობა მსურს. პარლამენტის სპიკერი? იქვე თვითონ უარყოფით მიმიკას იღებს. „არა, - ვეუბნები, - ჩემზე ნუ იფიქრებთ. ომი დამთავრდება თუ არა, მივდივარ პოლიტიკიდან“. „კარგით, კარგით, მე ვიცი“, - მრავალმნიშვნელოვნად წყვეტს ამაზე ლაპარაკს. „მაშ, სპიკერი ვინ იყოს? - და იქვე მისახელებს: - ვახტანგ გოგუაძე?“ „რასაკვირველია“, - ვეთანხმები. „ომი სასწრაფოდ უნდა დამთავრდეს. შემდეგ ზვიადისტები შემოვირიგოთ და ყველაფერი კარგად იქნება“, - ვეუბნები. „ომი ღირსეულად უნდა დავამთავროთ. ისე არაფერი გამოვა“. „დავამთავრებთ კი ღირსეულად?“ - ეჭვი შემაქვს მის აზრებში. ფრთხილად კიტოვანის საკითხზე ჩამოაგდო სიტყვა. თენგიზს ახალი ბლეფი გაუშვია: ვითომც რუსებს დაავიწყდათ ატომური იარაღის გატანა და ახლა ეს იარაღი მას აქვს საწყობში. ვიცინი. შევარდნაძეს არ ეცინება. „რა, შეიძლება ასეთი რამ მომხდარიყო?“ - ვკითხულობ. „ჩაგახედებს განა რამეში? რა ვიცი“, - მპასუხობს გაღიზიანებული. „კი მაგრამ, ჩვენი ზონა ხომ არაატომურში შედიოდა საბჭოთა კავშირის დროს. თქვენ

მაინც კარგად უნდა იცოდეთ ეს“. არაფერს მპასუხობს, საერთოდ, არ უყვარს შეკითხვებზე პასუხის გაცემა, განსაკუთრებით, თუ შეკითხვა არ მოსწონს. გაჩუმდება. არც ბანზე აგიგდებს სიტყვას, უბრალოდ, არ გიპასუხებს - მორჩა და გათავდა.

კიტოვანი შესაცვლელია, სპეციალისტია მოსაძებნი. ამბობენ, უკრაინაში არის ვიღაც გენერალი კამკამიძე. ახლა ლვოვში ცხოვრობს, კარგი სპეციალისტია, ნაომარიც, მაგრამ ქართული არ იცისო. ჯარში არეულ-დარეულობაა. რუს სამხედროებთან კიტოვანს ერთი შეხედვით კარგი ურთიერთობა აქვს, მაგრამ ჯარში, გვარდიაში დაბრუნებული გია ყარყარაშვილი მეტი სიმპათიით სარგებლობს. მას ყოველთვის განცალკევებით ეჭირა თავი, დამოუკიდებლად მოქმედებდა. ახლა კი, როცა კიტოვანის რეიტინგმა დაცემა იწყო, ყარყარაშვილი რეალური კონკურენტი ხდება. ამას შევარდნაძეც ხელს უწყობს. ისე, კაცმა რომ თქვას, კიტოვანით მეც უკმაყოფილო ვარ. რამდენი ხანია ომი მიმდინარეობს და ერთხელაც არ ჩასულა აფხაზეთში, თუ არ ჩავთვლით ორ დღეს, როცა სოხუმის აფხაზური დროშა ჩამოიტანა.

ჩემთან მოდიან რუსი ოფიცრები, სპეციალისტები საჰაერო თავდაცვის დარგში, მთხოვენ, ჩავერიო მათი ლიკვიდაციის საქმეში, იქნებ როგორმე შევინარჩუნოთ ეს მილიარდებად ღირებული დანადგარები. ან იქნებ სულაც მოსკოვთან მოვილაპარაკოთ, ჩვენ ხომ გვჭირდება საჰაერო თავდაცვა. ადრე ჩეჩნეთის ლიდერს, დუდაევს უთქვამს, თბილისს უბედურების ზონად ვაქცევ, დავბომბავო. გასაკვირი არაფერი მოხდება, მას კარგი ავიაცია ჰყავს. შევარდნაძეს ამისთვის არ სცალია, საერთოდ, რუსებთან მოლაპარაკებისგან თავს იკავებს. ის კომპლექსი, რომ იგი არ არის კრემლის აგენტი, ჯერჯერობით მაგრად მუშაობს. დიდ ანგარიშს უწევს ყველა მყვირალა პოპულისტს. არადა, უთავბოლოდ იკარგება ჩვენთვის განკუთვნილი სამხედრო ქონება. რუსები მიდიან და ყველაფერს ჰყიდიან, რაღაც გარიგებებს აწყობენ კერძო პირებთან, დატაცების ინსცენირებებს მართავენ, არის უბედური შემთხვევები, მაგალითად, გორის სამხედრო ნაწილზე თავდასხმა, სადაც ოცი გვარდიელი დაიღუპა. ბესიკ ქუთათელაძეც ამ ავანტიურას შეეწირა. რუსთა ჯარის სარდლის პირველი მოადგილე, სუფიან უზუროვიჩ ბეპაევი ეროვნებით ბალყარელია. მისი სამხედრო ნიჭიერების შესახებ

არაფერი ვიცი, ხოლო ჭკვიანი პოლიტიკოსი რომ არის, ფაქტია. ჩემდამი რაღაც სიმპათიებს ავლენს. ეჭვი მაქვს, ჩემი წარსულის გამო დიდ საჩუქარს მიმზადებს: ას ავტომატს და „მაკაროვის“ 20 პისტოლეტს. გავრბივარ ოჩამჩირეში, ავტომატებს გია ვაშაკიძეს ვაბარებ, „მაკაროვებს“ ვურიგებ ბიჭებს, რამდენიმე ცალს კი თამაზ წესრიგას ვაძლევ, დაცვისთვის. გია ვაშაკიძე ბუთხუზის დახმარებით ნამდვილ ბრიგადას აყალიბებს ოჩამჩირეში - ათას კაცამდე ჰყავს, მაგრამ ნახევარი შეუიარაღებელია. მაინც ყაზარმული რეჟიმით ცხოვრობენ. ბუთხუზი სამხედრო ნავსადგურში, მეზღვაურების უფროსებთან ამყარებს კავშირს. თუ კარგად გავირჯებით, შეიძლება ერთჯერადი გამოყენებისთვის სამხედრო გემიც გვათხოვოს. ლაპარაკია, რომ მეზღვაურები და მათი ოჯახები ნოვოროსიისკში უნდა გადაიყვანონ. თუ კარგ პირობებს შევუქმნით, ზოგი დარჩენას აპირებს. მათი უფროსი მპატიჟებს პორტში, რათა განმარტება მივცე დარჩენის მსურველ მეზღვაურებს. მე ეს ყველაფერი ზღაპარი მგონია. როგორ, რუსები მიატოვებენ ოჩამჩირის პოსტს და ჩვენ გადმოგვცემენ ლამაზი თვალების გამო? მათი ტერიტორია ჯერ კიდევ საბჭოთა ჯარის დისციპლინის ინერციით ცხოვრობს. კლუბში მეზღვაურების მთელი პირადი შემადგენლობაა. ვპირდები ყველაფერს, თუ ისინი ორმაგ მოქალაქეობას მიიღებენ, ან პირდაპირ საქართველოს მოქალაქეებად ჩაეწერებიან. სახლებს დავუტოვებთ, ჯამაგირს რუსებზე ნაკლებს არ მივცემთ... როგორღაც მეც დავიჯერე, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელია, თუმცა, მხოლოდ მაშინ, როცა მათთან ვიყავი. თვით ოჩამჩირის პოზიციები იგივეა: ცაგერა, არადუ, მერკულა, ბესლახუბა, ოხურეი. ჩვენი მონაცემებით, ამ ფრონტზე აფხაზებს ორი ათასი მებრძოლი ჰყავთ - არიან რუსებიც, ჩრდილოკავკასიელებიც. მათ ხელმძღვანელობს ოჩამჩირის მილიციის ყოფილი თანამშრომელი მერაბ ქიშმარია. ეხმარება ჯარში მასთან ნამსახურევი ვიღაც კაზაკი, რომელიც დაქირავებული მეომრებითა და მოხალისეებით ავსებს მათ რიგებს. ტყვია-წამალი და იარაღი ვერტმფრენებით მოაქვთ - სვანეთის გადაკვეთით - ტყვარჩელში. ჩემი აზრით, ყველაზე მომგებიანი იქნება, ტყვარჩელს შემოვარტყათ ალყა: ზემოდან - სვანების მეშვეობით, ქვემოდან - ჩვენ წავიწიოთ წინ. უნდა გადაიკეტოს გზა, რომელიც დალის ხეობასთან აკავშირებს მათ, აუცილებელია გავიდეთ სოფელ კოჩარის ბოლოს, მცირე მთიან დასახლებამდე. კოჩარის გზა ექვსი კილომეტრია. სოფელში

აფხაზები დათარეშობენ, მაგრამ პოზიციები არ შეუქმნიათ. მხოლოდ მის გასასვლელში, ცხენისწყალთან, აქვთ უეცარი თავდასხმისა და შემდეგ გაქცევა-გაუჩინარების საშუალება. ფორმალურად კოჩარა არც ჩვენია და არც იმათი. რამდენიმე დღის წინათ ცხენისწყალთან მოკლეს ორი ახალგაზრდა კოჩარელი. ერთი მათგანი იოსელიანია. გვამებს ყურები დააჭრეს. დღეს მათი დასაფლავებაა. „წავიდეთ! - ვეუბნები ანზორ მარგიანს. - დასაფლავებას დავესწრები. ეს მოულოდნელი იქნება და მოსახლეობას გაამხნევებს“. „მაგ კარგი საქმეა, - მეთანხმება ანზორი, - მაგრამ...“ აღარ ვამთავრებინებ. მის მანქანაში ვსხდებით მე და წესრიგა, თვითონ საჭესთან ჯდება. გამორბის გია ვაშაკიძე: „მეც თქვენთან წამოვალ. იქაურობა მაინც დასათვალიერებელია“. მივქრივართ. ცხენისწყალი მშვიდობით გავიარეთ. „ჯერ დასაფლავებაზე მივიდეთ?“ - კითხულობს ანზორი. „არა, ვიდრე დაღამდება, გზის ბოლომდე ავიდეთ, ტყვარჩელის გზის გადაკვეთამდე“. სოფლის ბოლო სახლები სვანი ოჯახებისაა. იქვე ქართული სკოლაა - ბეტონის ორსართულიანი სახლი. კარგი საშტაბო ადგილია, ვფიქრობ ჩემთვის. მანქანიდან გადმოვდივართ. გაკვირვებული ხალხი გარს გვეხვევა. ისევ ის მოარული ფრაზები გაისმის: „თუ იარაღს დაგვირიგებთ, მაგათ ჩვენც ვეყოფით“. „ტყვარჩელის გზაზე დივერსიები უნდა მოეწყოს“, - ვეუბნები გიას. მე უკვე მყავს პატარა ჯგუფი. ამ დღეებში გავუშვებ, - მეთანხმება იგი.

იოსელიანებთან მოზარე ქალები მონოტონურად კივიან. ხანში შესული კაცები ჩვეულებრივზე ხმადაბლა მღერიან. ჩვენი დანახვით შეშფოთებულები აქეთ-იქით იყურებიან. ჩემი მისვლა ასე უბრალოდ არ უნდა დამთავრდეს - მათ ასე სჯერათ. გადავდივართ მეორე მიცვალებულის სახლში. ის სოფელ ქეთევანას დასაწყისშია. ანზორი ჩემი წასვლის წინააღმდეგია - აფხაზები უკვე გაიგებდნენ, რომ აქა ხარ და რამეს მოგიწყობენო. „არა მგონია, დასაფლავების რიტუალზე თავს დაგვესხან, ტრადიციები მათთვის მაინც ნამუსს უკავშირდება“. მივდივართ, ვუსამძიმრებ. რასაკვირველია, ქელეხზე არ ვრჩები. ისევ მივქრივართ. ცხენისწყალთან მაინც გაგვიხსნეს ცეცხლი, აგვცდა და შებინდებისას სამშვიდობოს გამოვედით.

თამაზ შონიას მოუსწრია სამურზაყანოს ბატალიონისთვის ოთხმოცამდე კაცის შეგროვება. უმთავრესად სოფელ ოქუმის

და გალის სხვა სოფლების ბიჭები. დათო შენგელიამ კი ასამდე გალელი შეკრიბა მხედრიონისთვის. ერთ-ერთი მათგანი ილორის ტაძარში ინათლება და მთხოვს, დავესწრო ცერემონიალს. ილორის ტაძარში ისედაც ხშირად დავდივარ. იქ ასათიანია მოძღვარი - სათნო ახალგაზრდა. მე ნათლიად მირჩევენ და შემდეგ დათო თავის სახლში პატარა პურმარილზე გვპატიჟებს. ვფიქრობ, დიდ საქმეს აკეთებს დათო შენგელია. გალი, რომელიც გაურკვეველ პოზიციაზე იდგა, ჩვენკენ იხრება. ამას გრძნობს გამგებელი რუდიკ ცატავაც და ხშირად გვაკითხავს ოჩამჩირეში. ერთი-ორჯერ პროდუქტებიც ჩამოგვიტანა. ბიჭებს თბილი ტანსაცმელი არა აქვთ. საწვიმარი ლაბადებიც სჭირდებათ - დალპნენ სანგრებსა და სველ სილიან ტომრებთან წოლით. ჩემი მოყვანილი შინაგანი ჯარი, რომელიც ტამიშიდან ახალ კინდღამდე განვალაგე, მოხსნილა და სოხუმში წასულა. ხუთი კაცი მოუკლეს და სოხუმიდან ვიღაცამ უბრძანა, მოიხსენით და ჩამოდითო. ასე რომ, გზა ისევ ხიფათიანია, ისევ გიგა გელაშვილი თავისი ბიჭებით თუ აღადგენს უსაფრთხოებას. ვიდრე მე თბილისში ვიყავი, საშინელი რამ მომხდარა: მიხო მორჩილაძის ჯგუფიდან ჭიათურელი ზედმეტსახელად „ბუდულაი“, თავს დაესხა ოჩამჩირის მკვიდრს, ქართველს (მასთან იყვნენ კიდევ ორნი) და დიასახლისი გააუპატიურა, ქმარი კი მოკლა. შემდეგ მთვრალები შტაბში მიცვივდნენ და გია ვაშაკიძეს მოკვლა მოუნდომეს. დოდო გუგეშაშვილმა იმარჯვა. წამით განზე გაიყვანა მომხდურები, რაც საკმარისი იყო იმისთვის, რომ ბიჭებს ორი მათგანი ადგილზე მოეკლათ და მესამე შეეპყროთ, თუმცა, მათ მოასწრეს „ლიმონკის“ აფეთქება. მსუბუქად დაიჭრნენ ირაკლი ამირეჯიბი და დათო მამულაშვილი. მესამე გადასცეს პოლიციას და ქუთაისში გაგზავნეს.

ისევ დივერსია... ააფეთქეს წყალსადენი, შემდეგ ელექტროჯიხურები. ქალაქიდან გადის ინფორმაცია ჩვენი გადაადგილების და სხვა სამხედრო საკითხების შესახებ. ვქმნით საველე პოლიციურ ჯგუფს. სათავეში უდგას მიშიკო იოსელიანი, მილიციის გამოცდილი მუშაკი. ჩემს დაცვაშიც იყო. ვერც თბილისის ომის დროს, ვერც სოხუმში ვერ მოვახერხე მოქალაქეთა მორიგეობა თავ-თავიანთ სახლებთან. ამ მხრივ ოჩამჩირეში კარგად აეწყო საქმე. შუაღამისას მე თვითონ დავდივარ და ვამოწმებ, რა ხდება ქუჩაში. ყოველ მეხუთე

სახლთან პატარა კოცონია. ოჩამჩირის მოსახლეობა ფხიზლობს. მართალია, იარაღი არა აქვთ, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ მონადირეს თავისი ორლულიანი თოფით, რომელიც აქამდე კომუნისტური რეჟიმის გამო გადამალული ჰქონდა. ერთი სიტყვით, კონტროლდება მთელი არემარე. სახლებში აქა-იქ არის ტელეფონიც, რითაც შეიძლება ჩვენს შტაბთან დაკავშირება. კოცონებთან იკრიბებიან როგორც მამაკაცები, ისე ქალები და მოზრდილი ბავშვებიც. ვიდრე რუსეთი სერიოზულად და ღიად არ ჩართულა ამ ომში, სოხუმის შტაბთან ერთად საჩქაროდ დასაგეგმი და განსახორციელებელია ტყვარჩელის იზოლირების ოპერაცია. ჩემი აზრით, მოსაშლელია მათი მთავარი არტერია - ლაბრა, კვიტოული, ჯგერდა. თუ ეს ქვემოდან ზემოთ მიყოლებული სოფლები ავიღეთ, ჯერ ერთი, გზა ოჩამჩირე-სოხუმი მთლიანად უსაფრთხო იქნება. გამოგვითავისუფლდება გიგა გელაშვილის და დათო შონიას ორი სერიოზული და მობილური ჯგუფი. ტყვარჩელს, ჰაერის გარდა, ყოველგვარი კავშირი გადაეკეტება. და თუ დალის (კოდორის) ხეობაში ლათასთან, ზემოთ, ომარიშარში და ჭუბერის გადასასვლელთან ყუმბარმტყორცნებით პატარ-პატარა ჯგუფებს ჩავსვამთ, ტყვარჩელი სრულ ბლოკადაში მოექცევა. მერე თამამად შეიძლება მოლაპარაკების დაწყება (თვითონ შეგვეხვეწებიან) და, როგორც შევარდნაძე ამბობს, „ომის ღირსეულად დამთავრება“. მისახედია თვითონ ოჩამჩირის მოსახლეობის შემადგენლობის საკითხი. მიშიკო იოსელიანი აქტიურად მოქმედებს, მაგრამ, მეჩვენება, ზედმეტად ჩეკისტობს. დივერსანტები და მოღალატეებიც რომ არიან, ფაქტია. რაციით გვიკავშირდება ქვემო ოხურეის პოსტი, სადაც საველე ტელეფონია. ზემო ოხურეიში ჯერ რაცია არა გვაქვს. გვატყობინებს, რომ ზემო ოხურეიში თავდასხმაა - საკმარისი იქნება სასწრაფოდ გაიგზავნოს ტექნიკა და 15-20 კაცი. ჩვენი დამრტყმელი ჯგუფის 15-კაციანი ნაწილი გადის „ბეემპეთი“. ჯგუფი მიჰყავს ირაკლი ამირეჯიბს. ოჩამჩირის დასასრულს ოხუrეიმდე ერთადერთი გზაა, მარცხნივ. გადაუხვია თუ არა, „ბეემპე“ ნაღმზე აფეთქდა. რამდენიმე ბიჭი დაიჭრა, თვით ირაკლი კი, „ბეემპეზე“ ზემოდან ამხედრებული, ათ მეტრზე გააფრინა. მოდის სულ გამურული, მაგრამ უვნებელი. შემდეგ ირკვევა, რომ ზემო ოხურეიზე არავითარი თავდასხმა არ ყოფილა. მაშასადამე, ვიღაცამ შეგვიტყუა პირდაპირ ნაღმზე.

გია ვაშაკიძე სოხუმიდან მოდის ერთი „ბეემპეთი“ და მსუბუქი მანქანით. სოფელ ანუახრუსთან, შინაგანი ჯარის მიერ მიტოვებულ ადგილას, აფხაზებს სანგრები გაუთხრიათ და გზა გადაკეტილია. იმართება ბრძოლა. ვგზავნით მაშველ ჯგუფს ნოდარ კირკიტაძის მეთაურობით. არადუში პოზიციები გადანაწილებულია. ადგილობრივმა მოსახლეობამ ახალი პოსტები შექმნა ზედ ტყის პირას, საიდანაც ხშირად შემოიპარებოდნენ ხოლმე აფხაზები. სანახავად წავედი. იქვე ვისადილე და როცა უკან, შტაბში დავბრუნდი, გავიგე, რომ ოჩამჩირე-სოხუმის გზაზე მდგომარეობა გართულებულა - გია ვერ გამოდის, ჩვენი მაშველი რაზმიც მივიდა და გაცხარებული ბრძოლაა. ახლა კიდევ ათკაციანი ჯგუფი წაიყვანა ირაკლი ამირეჯიბმა, ფრანგ კორესპონდენტს გაჰყვა დასაცავად. გული მომდის - რა დროს კორესპონდენტია. ვიწყებთ არტილერიის გამოყენებას. გია ვაშაკიძე და „ფერმერები“ იძლევიან კოორდინატებს და შესრულებას კორექციას უკეთებენ. ჩვენი ნაური შიგ სანგრებში ჰყრის ყუმბარებს, მაგრამ აფხაზებს დიდი ძალა შეუგროვებიათ. რამდენიმე დავიჭირეთ, მაგრამ აქეთ ვერ გამოგვყავს, ვგზავნით სოხუმში. ბინდბუნდია. გია ვაშაკიძე რაციით გვატყობინებს, რომ ოჩამჩირიდან მოსული მაშველი ირაკლი ამირეჯიბის თაოსნობით, პირდაპირ სანგრებისაკენ გადავიდა იერიშზე. ეს გაუთვალისწინებელი იყო. გადაწყვეტილი გვქონდა, დილამდე შეგვეწყვიტა იერიში და დამატებითი ძალების მოსვლის შემდეგ მოგვეწყო თავდასხმა. ირაკლი მოკლეს. სიბნელეში ბრძოლის გაგრძელებას აზრი არა აქვს ღამის ბრძოლისთვის კი არავითარი ხელსაწყო ან იარაღი არა გვაქვს. ვამუშავებთ მხოლოდ არტილერიას. შეიკრა დამატებითი რაზმი ვახო შანავას შინაგანი ჯარის მეომრებთან ერთად. ბიჭებს დანა პირს არ უხსნის. დამწუხრებული არიან - ირაკლი ყველას უყვარდა. მე რა მეშველება... თბილისიდან წამოსვლისას ჭაბუა შემეხვეწა: „ჯაბა, ხომ იცი, რა გიჟია, ყურადღება მიაქციე“. ვერ მოვუარე, ვერ მივაქციე ყურადღება, რა პასუხი გავცე ჭაბუას?!

ღამით ნოდარ კირკიტაძე ბრუნდება, გვიხსნის მდგომარეობას. უბედურება კიდევ ის არის, რომ ამ არემარეში, სადაც ნოდარმა ირაკლის ცხედარი გადამალა, უკვე აფხაზები არიან. გარიჟრაჟზე ჩვენები კვლავ გავიდნენ იერიშზე. ახლა ირაკლის ცხედარია გამოსატანი. აფხაზებმა შეტევა მოიგერიეს და მოგვიკლეს ვახო შანავა - წალენჯიხაში ჩვენთან ნამყოფი

უანგარო, გულადი ბიჭი. ახლა თამაზ-წესრიგა აგროვებს მხედრიონელებს. ჩემი დაცვა მთლიანად მიჰყავს. მთელ დღეს გააფთრებული ომი იყო - მიწის პატარა მონაკვეთი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. ვერა და ვერ უკუიქცა აფხაზი. მათაც დიდი რაზმები მოიშველიეს.

იმ პატარა მონაკვეთს, თივის ზვინს, სადაც ჩვენი ირაკლი წევს, ვერც ისინი ეკარებიან და არც ჩვენ გვიშვებენ. ვერ მიმხვდარან, რატომ ვეტანებით ამ მოშიშვლებულ პატარა ადგილს. რაკი ასე თავგამოდებით ვესხმით თავს, ესე იგი, რაღაცაშია საქმე. დაღამდა. არაფერი შეცვლილა. ბიჭები ბრუნდებიან. წესრიგა შეპარულა, მაგრამ ნოდარის მიერ მითითებული ადგილისთვის ვერ მიუგნია და ხელცარიელი დაბრუნდა. რა ვქნა, მე თბილისში მეჩქარება. კაზაკების ატამანია ჩამოსული ილია II-სთან. ჩემთან შეხვედრა სურს. ამ მომენტის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. სხვა თუ არაფერი, იქნებ შევაწყვეტინო ამ მოხეტიალე კაზაკების დინება აფხაზეთში. დროებით იერიშები შევაჩეროთ, ყურადღება სხვაგან გადავიტანოთ და მერე რამეს მოვახერხებთ. ბოლოს და ბოლოს, გზა ხომ გასახსნელია? ხმამაღლა ვფიქრობ, თუმცა, გული მეთანაღრება. ბიჭებს წრე შეუკრავთ, უხმოდ, თავჩაქინდრულები დგანან. თამაზ-წესრიგა გამოდის, როგორც სცენაზე, და მკაცრად მეუბნება: „არსად არ წავალთ, ბატონო ჯაბა. ვიდრე ირაკლის არ გამოვიყვანთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლით!“ პირი მიშრება, ნერწყვს ძლივს ვყლაპავ. „კარგით!“ - ვამბობ ხრინწიანი ხმით. მთელი დილა ვამუშავეთ არტილერია, სოხუმის მხრიდან აფხაზთა პოზიციებს გია ვაშაკიძე და გიგა გელაშვილის რაზმი მიადგა, აქედან - წესრიგა და ნოდარ კირკიტაძე. რაციაზე მეძახის თამაზ ჩოგოვაძე, მახარებს: „გამოყვანილია, გამოყვანილია“! აფხაზებმაც სიღრმეში გადაინაცვლეს“. წესრიგას და ჩემი დაცვის წევრს - თენგო ამფეთქებელს გამოუყვანიათ ირაკლის ცხედარი. როგორღაც შვება ვიგრძენი.

მივფრინავ თბილისში. კაზაკთა ატამანი ქრისტიანობაზე დებს თავს, რაღაცას ყოყლოჩინობს. „ცნობილია, რომ ქართველები არ არიან მეომარი ხალხი“. ტვინში სისხლი მასხამს. მატყობს და უკან იხევს: „არა, მხედრიონელები, ვიცი, მაგარი ბიჭები არიან, მაგრამ ისინი ხომ ვერ შექმნიან ამინდს. ყოველ შემთხვევაში, გაგრაში ასე გამოჩნდა. ჩვენთვის სულ ერთია, მეომრები მოსამზადებელი გვყავს. რასაკვირველია, ქრისტიანებთან უფრო მეტი ხალისით ვიქნებით“... ყველაფერ ამას მენტორული

ტონით ამბობს. თბილისის ზღვაზე პურმარილია. დაპატიჟებული ვარ. ატამანიც მიმყავს.

სუფრაზე კიტოვანს ვხვდები. გვერდიგვერდ გვსხამენ. პურმარილის შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, ატამანი ძმა და მეგობარია. მხედრიონის მედალიონს მთხოვს. ვჩუქნი და ვამუნათებ. ყველაფერს მპირდება. ხვალ მივემგზავრები და დილით მოსალაპარაკებლად თქვენთან შემოვივლიო. ასეც იქცევა. შევთანხმდით: როგორც კი ჩავა, დამირეკავს, შემატყობინებს, თუ რა მდგომარეობაა - მარტო თვითონ ვერაფერს გადაწყვეტს. ტელეფონით ამაზე საუბარი არ ივარგებს, საჭიროა დავიცვათ კონსპირაცია, ათასი რამ შეიძლება მოხდეს - მაფრთხილებს. ცოტა ხანს იშმუშნება. მერე მთავაზობს, ვინმე ახლობელი გავგზავნო სტავროპოლში და იქ დაწვრილებით გაირკვევა, რისი იმედი შეიძლება გვქონდეს. მთავარია, პროცესი შემოვაბრუნოთ. თუ მოხალისეებს გამოგვიგზავნიან, სამხედრო დახმარების თვალსაზრისით დიდი არაფერი იქნება, მით უმეტეს, იარაღი ჩვენი უნდა იყოს. სამაგიეროდ, პოლიტიკურ-მორალური ფაქტორი ჩვენზე იმუშავებს: რუსეთს და ჩვენს მოწინააღმდეგეებს კოზირებს გამოვაცლით ხელიდან.

რა ვქნა, როგორ შევხვდე ჭაბუას? დასაფლავებაზე არ მივდივარ. თავს ვარიდებ. თვითონ მომაკითხა. აქეთ გავუხდი დასაწყნარებელი. ვტირი ირაკლის და ჩემს დაღუპულ ბიჭებს - ყველას ერთად.

ორი დღის შემდეგ ატამანი მირეკავს. ქარაგმებით, ჩახლართულად მესაუბრება. არ ვიცი, ვისი ეშინია. ჩვენთან არავინ იწერს საუბარს, ჯერ მაგის თავი არა გვაქვს. თუ იქ ვინმე ესწრება ლაპარაკს? მიმანიშნებს თავის წინადადებაზე, რომ ვინმე ახლობელი გავუშვა სტავროპოლში, მას დახვდებიან. ვგზავნი ჩემს კოწიას, ამაზე ახლობელი ვინ მყავს? თანაც დაკვირვებული ბიჭია.

სოხუმში რაღაც ინტრიგანული პარალელური დანიშვნები გააკეთა შევარდნაძემ. გოგა ხაინდრავას მხარში ამოდგომა ესაჭიროება. მივფრინავ ჩემი ვერტმფრენით. აფხაზები უკვე სცნობენ და ნადირობენ, აგუძერასთან ორჯერ კინაღამ ჩამოგვაგდეს.

კელასური გავიარე და უცებ ისეთი მიყოლებული

საარტილერიო ბათქი გაჩაღდა, რომ დავიბენი კიდეც. ვინ ისვრის, რას ისვრიან - ვერ მივმხვდარვარ. „გოსდაჩიდან“ ჩემს შესახვედრად გამოგზავნილი მანქანის მძღოლი იღიმება, ამაყად ამბობს: „ჩვენი „გრადებია“. დღეში ორჯერ-სამჯერ ისვრიან, ყოველი შემთხვევისათვის“. როგორც იქნა, შტაბის ტერიტორია შემოუფარგლავთ გუშაგებით, კიბეებზე სილით სავსე ტომრები დაუყრიათ, კონტროლდება წამსვლელ-მომსვლელი. მართლაც რუსებისაგან მიგვიღია „გრადის“ ტიპის ოთხი დანადგარი, თავისი ჭურვებით. ეს დიდი საქმეა. აფხაზებს არტილერია ჯერ არ უშოვიათ. ამავე დროს ჩვენ კარგი სპეციალისტებიც გვყავს. თბილისის საარტილერიო სასწავლებლის („ტაუ“) მიერ გამოშვებული თაობები ჩვენს ჯარში მსახურობენ. ერთი რამ არ მომწონს: ეს უპრაგონო სროლა რა საჭიროა! თუ შეტევას ვამზადებთ და არტილერიის ცეცხლით ვიწყებთ - გასაგებია, თუ არა და, ერთი-ორი მანქანისთვის, რომელიც სავარაუდოდ გაივლის აფხაზების მხარეს, ასეთი ბრახუნი, სხვა თუ არაფერი, ფსიქოლოგიურად დაუშვებელია. მოწინააღმდეგე ეჩვევა, შემდეგ ამას ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევს და აღარ შეგვეპუება. არტილერიას ვალერი ქვარაია ხელმძღვანელობს. მეთანხმება. თუმცა, ამჯერად ცეცხლს ამართლებს - მეთვალყურემ შეგვატყობინა, რომ შეიარაღებული ხალხი გადაადგილდაო. ვიჯერებ, მაგრამ საღამოსაც „გოსდაჩაში“ მესმის გრიალ-გრიალი. არადა, ჭურვები ძვირია, კიტოვანი რაღაც ზღაპრულ ფასს ასახელებს.

ჩემს ზოგად გეგმას ტყვარჩელის ბლოკადის თაობაზე შტაბში ვაცნობ დათუაშვილს. იწონებს. ვავალებ, მოამზადონ კონკრეტული ოპერაცია, დაიგეგმოს ორმხრივი შეტევა. მართალია, ხალხი ჯერ არ არის საკმარისი, მაგრამ გია ყარყარაშვილი „თეთრი არწივისთვის“ კრებს მეომრებს, ჩამოვა და განვახორციელოთ. ჩვენ ოჩამჩირიდან შევუტევთ, სოხუმელები კი - კვიტოულისა და ლაბრის მხრიდან. მანამდე ვთხოვ, ერთი „გრადი“ ოჩამჩირეს გადაუნაწილონ. სხვა თუ არაფერი, მერკულიდან და ბესლახუბიდან ტყვარჩელს მისწვდება - სულ 16-17 კილომეტრია. უხალისოდ მთანხმდებიან, მხარს მიჭერს ზაურ უჩაძე. საღამოს გამყავს ერთი „გრადი“ თავისი ეკიპაჟით. გზაში დიდი სიფრთხილე გვჭირდება. არავინ შეიტყოს, თორემ მის დაზიანებას და აფეთქებასაც ერთი ავტომატის ცეცხლი ეყოფა. ვიბარებ დათო

შონიას და ჩემს დაცვასთან ერთად სამი მანქანით შუაღამისას გავდივართ. ღამის გასათევად ვჩერდებით ახალ კინდღში, დათო შონიას სახლში. თივის ზვინებით ვნიღბავთ და ალიონზე განვაგრძობთ გზას. კარგა დატვირთული მანქანა მიდის ნელა, თავისთვის - გლეხს თივა მიაქვს, ვისი რა საქმეა. შორიახლოს გულის ფანცქალით მივყვებით. აფეთქებული დიდი ხიდის მხრიდან ისმის სროლა. ერთ მანქანას ვტოვებ „გრადთან“. ვწინაურდები. ფერმებთან არმისულს გიგას ბიჭები მხვდებიან. „რა სროლა იყო?“ - დავინტერესდი. „გამოსულები იყვნენ ფერმებში, გვესროდნენ. გიგამ ზემოდან დაუარა და გაეკიდა. ბევრნი არ უნდა იყვნენ“. მალე გიგაც გამოჩნდა ტანკით. აგერ, ჩვენი „თივაც“ მოჩანჩალებს. ახლა შეგვიძლია მეტ-ნაკლებად მშვიდად განვაგრძოთ გზა. ერთი ტამიშის ხიდიც თუ გადავიარეთ, მერე გია ვაშაკიძეს გამოვიძახებ - პირადად შემხვდეს. ასეც ხდება. „საიდუმლოების მკაცრი დაცვით უნდა გადამალო. შენსა და ეკიპაჟის მეტმა არავინ არაფერი იცოდეს“, - ვაფრთხილებ გიას. ბავშვს რომ სადღეობო საჩუქარს მიუტანენ, ისე უხარია. „ყველაფერი რიგზე იქნება“, - მპირდება და „თივას“ მართლაც საიმედო ადგილას აბინავებენ.

ზეგ პარლამენტის პირველი სხდომაა. გოგა ხაინდრავა რაციით მიკავშირდება. უნდა, რომ ჩემთან ერთად წამოვიდეს თბილისში. მართალია, კენჭს არ იყრიდა, მაგრამ მაინც სურს დაესწროს პირველ სხდომას. ის ხომ პროფესიით კინოოპერატორ-რეჟისორია. მის მიერ გადაღებულმა დოკუმენტურმა ფილმმა 9 აპრილის მოვლენების შესახებ მთელი მსოფლიოს ეკრანები მოიარა.

ვბრუნდები სოხუმში. ოჩამჩირე-სოხუმის ტრასაზე ჩემს მეტი არავინ დადის. მივქრივარ მანქანასავით ამჩატებული, კმაყოფილი, რომ „გრადი“ ოჩამჩირესაც აქვს.

პოსტებთან საფრებიდან თავს ჰყოფენ ბიჭები, მესალმებიან. ამჯერად მანქანას არ ვაჩერებინებ, მეც ხელის აწევით ვპასუხობ. მახსენდება ბრეჟნევის ჩამოსვლა თბილისში. მაშინ კისლოვოდსკში ვისვენებდი. რეზო თაბუკაშვილის მამა - ბატონი შალვა - გარდაიცვალა და დაკრძალვაზე აუცილებლად უნდა ვყოფილიყავი. დაკრძალვა ოთხ საათზეა. მინვოდიდან გამოვფრინდი იმ თადარიგით, რომ პირველ საათზე თბილისში ვიქნებოდი. ასეც მოხდა - დავფრინდით პირველ საათზე. ვსხედვართ თვითმფრინავში. გადის ხუთი, ათი, თხუთმეტი,

ოცი წუთი. ტრაპი არა და არ მოდის. ატყდა აურზაური. ეკიპაჟი არაოფიციალურად გვატყობინებს, რომ ბრეჟნევი ორ საათზე ჩამოდის და, სანამ მას არ გაისტუმრებენ, აეროპორტი დახურულია, მიმდებარე გზებზე მოძრაობა შეწყვეტილია. მგზავრები და მათ შორის მეც, ვთხოულობთ, ჰაერზე მაინც გაგვიყვანონ. მოდიან მილიციის თანამშრომლები, აეროპორტის წარმომადგენლები და უკმაყოფილონი, რომ ზედმეტი მუშაობა უხდებათ, ბუზღუნ-ბუზღუნით, არცთუ ზრდილობიანად, გვსხამენ ავტობუსებში და გავყავართ აეროდრომის სანგრებთან, ტრიალ მინდორზე: „ჯერ აქ იყავით, ხელს ნუ შეგვიშლით!“ - გვიბრძანებს ერთ-ერთი ჩინოსანი. ჩემს გვერდით მოხუცმა კაცმა უფრო ჩემს გასაგონად ჩაილაპარაკა: „ჰო, ხალხი მთავრობას ხელს უშლის ცხოვრებაში“. კრიტიკულ მდგომარეობაში ვარ - გამოდის, ტყუილად ჩამოვედი. მე არავინ მხვდება. უკვე ორი საათია. შეხვედრის ცერემონიალი, ალბათ, სულ ცოტა, ნახევარ საათს გასტანს. მერე გზა როდის გაიხსნება და რა ტრანსპორტს ვიშოვი? ბარგი არა მაქვს. მივატოვე ჩვენთვის „საბალახოდ“ გამოყოფილი ადგილი და მივადექი მგზავრებით დატბორილ აეროპორტის შესასვლელს. როგორც იქნა, გავაღწიე ტაქსების გაჩერებასთან. მილიციის კორდონს თითქმის ხელიხელჩაკიდებული წრე შეუკრავს. ტაქსები, რასაკვირველია, ცარიელია. ჯობს ახლავე ავიყვანო, თორემ მერე თავ-პირის მტვრევა იქნება. წინ დგას რუსთავის ტალახიანი ტაქსი. კარს ვაღებ და უკითხავად ვჯდები. ამავე დროს ზედ ჩვენთან მომდგარ „ზილში“ ფაციფუცით სხდებიან ორგანოების მაღალი ჩინის პირები. მე და ისინი ერთდროულად ჩავსხედით. ტაქსის მძღოლი მიყურებს მე და ამ მანქანას. „ზილი“ იქვე დაიქოქა და ადგილიდან უნდა მოწყდეს. „წავიდე?“ - მეკითხება მძღოლი. „მიდი!“ - ვუჭრი. „ზილიდან“ ერთი გამოგვხედეს, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და სიჩქარეს მოუმატეს. „არ ჩამორჩე, სდიე!“ ჩემი მძღოლიც უმატებს გაზს. გავდივართ ტრასაზე. ყოველ ოცდაათ-ორმოც მეტრში ჯაჭვურად გამოჭიმულნი დგანან მილიციის ოფიცრები. ჩვენი მანქანა სულ ჩახჩახით მისდევს „ზილს“. ტრასაზე არავითარი მოძრაობა არ არის. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ჩიტებიც კი არ ფრენენ. მივქრივართ. ჩვენს კამპანიას თაკილობენ, თუ ჩვენს ჯინაზე, „ზილი“ სულ უფრო უმატებს სიჩქარეს. სადღაც კახეთის გზატკეცილთან მოგვწყდნენ და ორასი-სამასი მეტრი მარტო მოვგრიალ-მოვჩახჩახებთ ამ ენით ალოკილ ასფალტსა და ახალი კაპიკიანებივით გამოშიშაკებულ, ორივე მხარეს

ჩამწკრივებულ მილიციელებში. უცებ ატყდა სტვენა, განგაში, გადაგვიდგნენ აქეთ-იქიდან. დაგვესივნენ. „ვინა ხართ?“ „რა ხდება?“ - ეტაკნენ მძღოლს. ის მე მიყურებს: „აი, ამან“... „რა ამან, ბიჭო?“ გადმოგვყარეს. მანქანა მძღოლთან ერთად სწრაფად გააქრეს. მე კი ვიცინი და ორი სიტყვით ვუხსნი ვითარებას. „აბა ჩქარა! დაიკარგეთ აქედან!“ პირდაპირ მთებისკენ დავაღირე თავი - ნახევარი გზა მაინც მოვიგე და სირბილ-სირბილით, ზედ ოთხი საათისათვის, როცა ცხედარი ეზოში გამოჰყავდათ, მივუსწარი. სიამტკბილური მამაშვილობა ჰქონდათ ბატონ შალვას და რეზოს, ნელცეცხლიანი ბუხარივით თბილი და უხმაურო. მამისგან შეისისხლხორცა დარბაისლური ქართული. ერთად ნადირობდნენ. ბატონი შალვა ცნობილი მიზანში მსროლელი იყო. რეზო დათრგუნვილი და დამწუხრებულია. „ახლა მივხვდი, თუ რა გულისტკივილი უნდა მივაყენო ლაშას ჩემი სიკვდილით“, - მეუბნება სევდიანად. ეს პირველი უბედურებაა მის თავს. ახლა უკვე შეუქცევადად რჩება იგი სიკვდილ-სიცოცხლის წინა ხაზზე. რამდენიმე დღით თითქმის ძალით მიმყავს კისლოვოდსკში, გული გადააყოლოს.

ჩვენმა ეპოქამ, წესით, დიდი სატირიკოსები უნდა შვას - ყოველ ნაბიჯზე უნიკალური მასალაა. ბრეჟნევთან შეხვედრა თბილისში სტალინისტური ტრადიციითა და გემოვნებით ჩატარდა. ცალტვინა და გაიძვერა პარტოკრატების წრეს პრივილეგირებული არტისტული საზოგადოება „აკეთილშობილებდა“. პრესაში გამოქვეყნდა ამ ცერემონიის, ასე ვთქვათ, ფოტო-ფოკუსი. უკვე კარგა გადაბერებული ვერიკო ანჯაფარიძე ყელზე ორივე მკლავშემოჭდობილი ეამბორება ნირწამხდარ ბრეჟნევს. ეს ხომ მარჯანიშვილისეული „ურიელ აკოსტას“ კლასიკური მიზანსცენაა, როცა წყევლის ეპიზოდის შემდეგ შეჩვენებულ და განდევნილ ურიელს ივდითი ყელზე ეჭდობა სიტყვებით: „ახლა ჩემი ხარ, ჩემი, ურიელ!“ ყველა ტრადიციულ თეატრს აქვს კლასიკად მიჩნეული მიზანსცენები. მაგალითად, იაპონურ თეატრ „კაბუკის“ შემოქმედება უმთავრესად ვითარდება კლასიკური მიზანსცენების გამოყენებით. ქართულ თეატრშიც არის ასეთი პრაქტიკა: იაგოს როლში უშანგი ჩხეიძის მიერ განსახიერებული მიზანსცენა, როცა გულშეღონებულ ოტელოს იგი ქორივით თავზე წამოადგება. ეს შემდეგ გამოყენებული აქვთ ხორავასა და ვასაძის დუეტს რუსთაველის თეატრში,

ჭაბუკიანსა და კიკალეიშვილს საბალეტო სპექტაკლ „ოტელოში“. თავის დროზე, როცა სერგო ზაქარიაძე ასრულებდა ურიელის როლს, ვერიკოსა და მას შორის ცხოვრებაში დიდი სიყვარული იდგა. ეს სცენა განსაკუთრებულ ეფექტს ახდენდა მაყურებელზე. აქ გაცოცხლებული იყვნენ არა მხოლოდ ივდითი და ურიელი, არამედ ხალასი სიყვარულის თავბრუდამხვევ მორევში გვითრევდა დიდი გრძნობით გასხივოსნებული შემოქმედება. ახლა კი ეს - ბრეჟნევის შემთხვევაში - უბადრუკ და უხერხულ ვითარებას აფიქსირებდა. ბრეჟნევის ვიზიტს სხვა კურიოზებიც მოჰყვა. ცეკას ბიუროზე კონფიდენციალურად გაითვალისწინეს ისიც, რომ მას შარდის შეუკავებლობა სჭირდა. ამიტომ, სადაც ნავარაუდევი იყო მისი ხალხში გამოჩენა, კერძოდ, კონსტიტუციის მოედანზე, სახელდახელოდ ტრიბუნა ააგეს, გვერდით კი დადგეს ლენინის უზარმაზარი სკულპტურული თავი, რაშიც დამონტაჟდა ფეხსადგილი! ზურაბ წერეთელმა თავისი მარიფათით საკუთარ სახლში, ბაგებში, ბრეჟნევის ცხოვრების ამსახველი ექსპოზიცია მოაწყო. შევარდნაძის დავალებით, იგი დიდხანს ემზადებოდა ამისთვის. საგანგებოდ დნეპროძერჟინსკშიც წავიდა და, სხვა მასალებთან ერთად, ბრეჟნევის სახლის და გარდაცვლილი დედის ფოტოები ჩამოიტანა. შემდეგ მონტაჟი გააკეთა - ერთ გადიდებულ ფოტოზე ბრეჟნევი დედამისის გვერდით გამოსახა და წინდახედულად შემოსასვლელში დაკიდა. ამით გარანტირებული იყო ბრეჟნევის ყურადღების გამახვილება - შემოსვლისას ან გასვლისას იგი ამ სურათს ძალაუნებურად თვალს მოჰკრავდა. ასეც მოხდა, როცა შევარდნაძემ გამოფენა დაათვალიერებინა, გასვლისას ეს ფოტო შეამჩნია. ბრეჟნევი შეჩერდა, ცრემლები გადმოყარა და წაილუღლუღა: „იცით, მე კი არა მაქვს ეს ფოტო“. ვიზიტის ბოლო აკორდი მაინც ის იყო, რომ შევარდნაძემ, პირველმა და უკანასკნელმა, ეს გამოჩინჩილაკებული ბერიკაცი საქვეყნოდ გენიოსად გამოაცხადა.

სოხუმში კვლავ არ არის შუქი, არც წყალი მოდის „გოსდაჩაზე“. ჭუჭყიანი, გაუპარსავი ვარ. ჩავალ თბილისში და იქ მოვწესრიგდები. დილაა. აეროპორტში წასასვლელად ვემზადებით. განგაშია! შრომას თავს დასხნენ! სოფელი თავისუფლება და მის ზურგში მდებარე სოფელი ოდიშიც ნახევრად აღებულია. მოწინავე პოზიციაზე მდგარი გუშაგები

ამოუხოცავთ, მაშველად გასული ოცდაათკაციანი რაზმიც გზაში გაუნადგურებიათ. ახლა ბრძოლებია შუაგულ შრომაში. გავრბივართ. გოგაც მომყვება თავისი ხუთკაციანი სამხედრო გარემოცვით. ჩვენც მაგდენი ვართ. იმ დროს მივედით, როცა აფხაზები ორგანიზებულად უკან იხევენ. ხიდი, რომელიც დაბლობშია, გადმოუვლიათ, მაგრამ მაღლა ამოღწევა ვეღარ შეძლეს. შრომის მოპირდაპირე ორივე მთაზე სნაიპერების მცირე ჯგუფები ჰყავთ შეფენილი. ისინი უკუქცევას თავისივე ცეცხლით ფარავენ. ჩემკენ მორბის გიგლა ქარდავა, აღელვებული მითითებს: „აგერ, აგერ, „ბეემპეთი“ ამ ტყისკენ მოდიან, ასე ჩვენს ზურგში მოექცევიან“. ჩვენი გადასახედიდან „ბეემპე“ მართლაც თვალს ეფარება. აქედან ტყვიამფრქვევის ცეცხლია გახსნილი. რაღა აზრი აქვს? მთებიდან დამიზნებით გვესვრიან. სულ იმას გავიძახოდი, მთებზე გვქონდეს ფარული პოსტები-მეთქი. ვინ გიჯერებს, ვის უნდა მოჰკითხო?! გამოჩნდა გენო ადამია. მანაც ახლა შეიტყო ეს ამბავი. აფხაზებს მიუტოვებიათ ტექნიკის სამი ერთეული, ერთი მათგანი „ბეემპე „მალიშია“, რომელიც გაგრაში ჩარჩა. ბრძოლაში თავი გამოიჩინეს სამხედრო პოლიციის ახლად ჩამოყალიბებულმა ადგილობრივმა ჯგუფმა, ასევე ავღანელების რაზმმა მიხანაშვილის მეთაურობით. ადგილობრივ მხედრიონსა და გვარდიის ნაწილს უძღვებოდა შოთა ბაიაძე. ეს ის ბაიაძეა, რომელიც გაგრაში, კირიჩენკოს აგარაკთან ავიყვანე. წვიმდა. გადაიღო. ახლა ისევ იწყებს. უკუქცეული არიან, მაგრამ სად? მხოლოდ და მხოლოდ ხიდის გადაღმა? მერე კამანი? თავისუფლება? მიმდებარე ტყიანი მთები? თუ არ მივდიეთ, ამ სოფლებში გამაგრდებიან. კავშირი არ არის არც კამანთან, არც თავისუფლებასთან. ჩქარა! ვიდრე გონს მოეგებიან, უნდა დავედევნოთ. ბაიაძე არაბუნებრივად მშვიდი ნაბიჯით ამოდის ხიდის მხრიდან. გასაგებია: მთავარი ამბავი გადატანილია, მისი შესაძლებლობები ამოწურული. გიგლას ტანკს ვართმევ. ხალხია საჭირო. მიხანაშვილი მორიდებულად უარს მეუბნება. მართლაც, ბიჭები დასველებულები და დაღლილები არიან. თვითონაც გალუმპულა. მარტონი გავდივართ. ბოლო წუთებში გენო ორგანიზებას უკეთებს ოცდაათამდე მხედრიონელსა და ადგილობრივ ბიჭებს. ერთ-ერთმა მათგანმა, 15-16 წლისამ, ამ შეტევის მოგერიების დროს „ბეემპე“ ააფეთქა. ვიდრე საბოლოოდ შევგროვდებოდეთ, გადავდივართ დაზვერვაზე მე, წესრიგა, გიო რურუა და დათო მამულაშვილი, რომელიც თბილისში მიმყავდა დასასვენებლად. უკვე კარგა ხანია

ოჩამჩირეში იბრძვის. აუცილებელია გავიგოთ, რა ხდება კამანის გზაზე, ხიდის იქით. ჩვენ ჯერ აქეთა მხრიდან მივყვებით მდინარეს. თამაზი დაწინაურდა. მოპირდაპირე მთიდან სროლა აგვიტეხეს. დათო მამულაშვილი ბარძაყში დაიჭრა. ვეფარებით ბუჩქებს, გადაბრუნებულ ტრაქტორს. მიხანაშვილს გამოჰყავს თავისი რაზმი და შრომაში ბრუნდება, ქვემოთ ხიდი თავისუფალი და ხელუხლებელია. დათო მამულაშვილი არ მიჯერებს, ბარძაყი ქამრით გადაუჭერია და ჩვენთან ერთად წინ მობობღავს. კანტიკუნტად გვესვრიან, ჩვენ კი მათ ვერ ვხედავთ. არც თამაზ-წესრიგა ჩანს, საკმაოდ გაგვასწრო, გენო ადამიას ჯგუფი ჩამოჰყავს ხიდისკენ, სადაც შეკრებაა დათქმული.

წინ აღარ მივიწევთ. როგორც იქნა, დათო მამულაშვილი დავითანხმე და უკან დავაბრუნე. ველოდებით წესრიგას. სროლა წყდება. ხიდთან იკრიბება სამხედრო პოლიცია, ეტყობა, აქ უნდა დასცენ პოსტი. სანგრებს თხრიან. მერე კამანი? წინა პოზიცია? თავისუფლება? თანაც, მოუხერხებელი ადგილია, ზედ ხიდთან, ყველაზე დაბალ მონაკვეთში? სამდევროდ შეკრებილი ჩვენი ჯგუფი და გიგლას ტანკიც იქ არის. მე მელოდებიან. წესრიგა იგვიანებს. წინ მივიწევთ. ას მეტრში ვხვდებით უკან დაბრუნებულ წესრიგას. „მდინარის აქეთა მხარეს და ამავე მთის ფერდობზე, რომლის ძირშიც ჩვენა ვართ, არ უნდა იყვნენ. კამანის გზაც თავისუფალი ჩანს. აქედან რომ გავედი, მოპირდაპირე მთაზე ტყიდან მესროდნენ, დაბრუნებისას - აღარ“. - გვიყვება წესრიგა. ჩავდივართ ხიდთან, მადლობას ვუცხადებ ახალ შავ ფორმაში ჩაცმულ პოლიციელებს - დღეს ისინი იბრძოდნენ. მათ რაცია აქვთ. რაკი ჩვენ წინ მივდივართ, ესენი აქ დარჩნენ, ჩვენი ზურგი იქნება. „ახლა მთავარია, თავისუფლების გზის და მოწინავე პოსტის მხრიდან არ დაგესხან თავს. სანგრები გათხარეთ და ხვალ დილამდე აქ იყავით“, - ვაფრთხილებ დაღლილ, მაგრამ გამარჯვებით აღტყინებულ ბიჭებს. რაციით ვუკავშირდები ბაიაძეს, სასწრაფოდ გადასცენ შტაბში, რომ „გრადებით“ დაიწყონ მოპირდაპირე მთის დაბომბვა, სადაც აფხაზები არიან შეხიზნული. ჩვენ კი მივდივართ კამანში, მიგვაქვს რაცია და მოგვყვება ერთი ტანკი. 70 კაცამდე ვიქნებით: ჩემთან - ექვსი, გოგასთან - ხუთი, გენო - ოცდაათი კაცით და შრომიდან რამდენიმე ადგილობრივი მოსახლე. ხიდს რომ გავცდით და დავიწყეთ მოძრაობა, რაციით შეგვატყობინეს, რომ შრომაში

დაბრუნებისას გზაში მოკლეს მიხანაშვილი. ვინ იცის, სად რა მოელის ადამიანს. ჩვენთან რომ წამოსულიყო, ალბათ, გადარჩებოდა. იგი ხომ პარლამენტში აირჩიეს. ცხონებული. ვეღარ მოესწრო პარლამენტის პირველ სხდომას, რომელიც ხვალ უნდა გაიმართოს. გიგლა მიყვება, თუ როგორ სიმღერით მოდიოდნენ აფხაზები იერიშზე. უკუქცევის დროს ხიდთან ერთი მოკლული დარჩათ. ცოტა ხანში ერთი აფხაზი თუ ჩეჩენი გამობობღდა და ხოხვით მიიწევდა დაღუპულის გადასათრევად. ჩვენებმა ცეცხლი გაუხსნეს. შემდეგ ვიღაცამ გაგვაჩერა, გვითხრა, ცოდვაა, კარგი ვაჟკაცია, ნუ მოვკლავთო. და ჩვენც საშუალება მივეცით, მოკლული თანამებრძოლი ტყეში გაეთრია“.

მუხლი საშინლად მტკივა. მივკვანჭალებ და ვცდილობ, არაფერი შემატყონ. თან გიგლას მონაყოლზე ვფიქრობ. ქართველი მაინც კეთილშობილია. განა აფხაზები იზამდნენ ამას? რა ვიცი, იქნებ... გოგა ხაზგასმული სიამაყით მიაბიჯებს. გენო იდაყვს მიბიძგებს, იღიმება და გოგაზე მანიშნებს.

ჟინჟღლავს, თუმცა, დილის წვიმას გზა უკვე აუტალახებია. ჩვენ მიერ გადმოვლილი მდინარის ნაპირიდან ცეცხლს გვიხსნიან. იდიოტები! რახან შრომიდან მივდივართ, აფხაზები ვგონივართ. ტალახში მოგვიხდა გორაობა, ვიდრე არ გვიცნეს. ბინდბუნდია. ორი მანქანა უშუქოდ მოდის. შიგ კამანელი ლტოლვილები ჩაჭყლეტილან. ჯერ იქ აფხაზები არ ყოფილან. შრომა რომ დაცემულიყო, კამანი თავისთავად მოჭრილი რჩებოდა. ეტყობა, აფხაზების გეგმაში შედიოდა მხოლოდ და მხოლოდ სოფელი შრომა, როგორც პლაცდარმი, სოხუმის აღების მთავარი ეტაპი. კიდევ კარგი, რომელი გზითაც მოვიდნენ, იმითვე დაბრუნდნენ, თორემ კამანში შეძლებდნენ გამაგრებას. ჩვენი გზა მთის ფერდობის ქვეშ გადის, ისინი კი ალბათ პარალელურად მოძრაობენ, ფერდობზე შეფენილ ტყეში შორს ვერ წავიდოდნენ. დაბნელდა. სოფლამდე ერთნახევარი ან ორი კილომეტრია. გაისმის ზედიზედ მიყოლებული ბათქი. მთაზე ფიჭვების კენწეროები მუქმწვანედ ნათდება, ოქროსფრად იღვრება ჭურვების ნამსხვრევები. სიკვდილი რომ არ მოჰქონდეს, ლამაზი სანახავია „გრადების“ ცეცხლი. ყოჩაღ! ჩვენი არტილერისტები დროულად ჩაერთვნენ. ქვემოდან ზემოთ, მიყოლებით წმენდენ ფლანგს და ჩვენც დაზღვეულები ვართ. სოფელში არეულობაა. არ იციან, რა ხდება, რა ქნან. გახარებულები მორბიან ჩვენკენ - ზაზა, ჯემალი. ყველა

შეიარაღებული, მაგრამ დაბნეულია ვითარების უცოდინარობის გამო. „გახსოვს, ჯემალ, რომ გითხარი, გაჭირვებისას აქა ვარ-მეთქი! მაშინ შენ ვინ გიპოვისო. გახსოვს?“ მეხვევა. ვუხსნით მდგომარეობას. ახლა მთავარია, აქ არ შემოიჭრან. ამიტომ საგუშაგოებზე ვუმატებთ ჩვენს ბიჭებს, ტანკს კი მოფარებულში, შუაგულ სოფელში ვტოვებთ რამდენიმე მეომართან ერთად. იქვე სახელდახელო შტაბი აქვთ. ვაძლევთ რაციას. ვუკავშირდებით შრომას. იქ ყველაფერი რიგზეა. ზაზას ვავალებ, ზემოთ, მთის დასაზვერად გაგზავნოს ორ-სამი კაცი, შევიტყოთ, აფხაზები სადმე გამაგრდნენ თუ მთის გადაღმა თავიანთ პოზიციებს დაუბრუნდენენ. თვითონ მიდის ორ ადგილობრივ სვანთან ერთად. როცა გენომ პირველად ჩამოიყვანა კამანში, ისე მოხდა, რომ აქაური ეკლესია ვერ ვნახე. არსებობს ლეგენდა, ვითომც პირველ საუკუნეში ანდრია პირველწოდებულმა ამ ადგილას დააარსა ქრისტიანული სალოცავი. მეორე ვერსიით, იგი აქვე მოკლეს. მე, როგორც ხალხური თეატრალური სანახაობების სპეციალისტს, ყველა ლეგენდისა და ფოლკლორული მონაცემების მჯერა. 30 საუკუნის მანძილზე ცნობა ტროასა და პრიამის განძეულობის შესახებ უგულებელყოფილი იყო. შლიმანმა დაიჯერა, წავიდა და ჰომეროსის მიერ მითითებულ ადგილას ისე ამოთხარა, თითქოს ახალგაზრდობაში ეს ოქროულობა თვითონ დაემარხა. როცა „აცვენილი“ ვიყავი, მოსკოვში ხშირად მიხდებოდა ყოფნა. იმ დროს თენგიზი „გიკში“ - კინოინსტიტუტში სწავლობდა. ჩემი საწოლი კედელში ჩატანებულ, გაუქმებულ ბუხარზე იყო მიბჯენილი. თვითონ შენობა რევოლუციამდე ვიღაც ცნობილ ვაჭარს ეკუთვნოდა. არსებობდა ლეგენდა, ვითომც ამ სახლში მას სადღაც გადამალული განძი შემორჩა. ასეთი ზღაპრები მაშინ არ მჯეროდა. გავიდა ხანი. მე ხან ციხეში ვიჯექი, ხან გავრბოდი, სადღაც მივემგზავრებოდი. უმთავრესი დრო სულ იმის მეცადინეობაში გადიოდა, ერთხელ და სამუდამოდ რაღაც სერიოზული საქმისთვის მომეკიდა ხელი. ერთხელაც ვხვდები თენგიზ აბულაძეს. იგი უკვე სახელოვანი რეჟისორია. „ჯაბა, - იღიმება თენგიზი. - გახსოვს ჩემს ოთახში შენი ლოგინი?“ „როგორ არა“. - ვპასუხობ დაინტერესებული. „იცი, ის სახლი, რომელშიც საერთო საცხოვრებელი იყო, დაანგრიეს და, შენ რომ თავი გქონდა მიდებული, იმ ბუხარში ტონაზე მეტი ოქრო იპოვეს“. მოდი და ნუ დაუჯერებ ლეგენდებს!

კამანის პატარა კოხტა ეკლესია მთის დაქანებულ ბორცვზე

მიყუჟულა. მოწიწებით ავდივარ მის მიხვეულ-მოხვეულ, ახალი აგურით გაწყობილ კიბეზე. იქნებ აქ, ჩემ ფეხქვეშ ყივის მოციქულის სისხლი, ვინ იცის?! „ეს ეკლესია აღადგინა აქაურმა აფხაზმა ანუამ. ცოლი ქართველი ჰყავს. თვითონ საქმის კაცია და ამ სოფლის პატრონი“, - გიდობას მიწევს გენო. ეკლესიაში არაამქვეყნიური სიმშვიდე სუფევს. გოგაც ჩემთან არის. ვლოცულობთ ხმამაღლა და მხურვალედ: „ღმერთო, შეგვეწიე ჩვენ! მშვიდობა დამკვიდრდეს ჩვენს ქვეყანაში“. რა სისულელეა ეს ომი, განსაკუთრებით მათთან, ვისთან ერთადაც საუკუნეების მანძილზე ვცხოვრობთ, ან რა არის მათი საბოლოო მიზანი - გაქრობა, გაქარწყლება? რუსებთან ასიმილაციას ნახევარი საუკუნე ეყოფა.

ანუა ვახშამზე გვპატიჟებს. აქ, ეტყობა, ყველაფერი დიასახლისის ეგიდის ქვეშ ხდება. აქტიური, სიმპათიური ქალია. ქმართან რაღაც შემწყნარებლური, დედური ურთიერთობა აქვს. მე ჩემს ფიქრებს ვუბრუნდები და ხმამაღლა ვამბობ ამ ომის უაზრობის შესახებ. ანუა თავს მიქნევს და დუმილით მეთანხმება. გვშია თუ ყველაფერი მართლაც ძალიან გემრიელია - აფხაზური კერძები მასპინძელს თავისი ხელით მოუმზადებია. სუფრაზეა აფხაზური წითელი ღვინო „ლიხნი“ და ინგლისური ვისკიც.

ჩემი და გოგას კამანში დარჩენის საკითხი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ამბავს მოიტანს ზაზა. თუ მოსალოდნელია გამწვავება ან თავდასხმა, ვერსადაც ვერ წავალთ, თუ არა და, მაინც მინდა ხვალ დილას თბილისში გავფრინდე, პირველი პარლამენტის პირველ სხდომას დავესწრო.

ნაშუაღამევს ბრუნდება ზაზა. თავისი ორი მხლებელი ზემოთა გზის სათვალთვალოდ დაუტოვებია. აფხაზები არსად ჩანან. მოწინავე სადარაჯო, საიდანაც შეტევა დაიწყო, დაცარიელებულია. ეტყობა, მთის გადაღმა თავიანთ პოზიციებს დაუბრუნდნენ. ზაზას მოჰყვა მაშველი რაზმის გადარჩენილი მებრძოლი. მსუბუქად დაჭრილია, ჰყვება, თუ როგორ მოიმწყვდიეს ხაფანგში. შტაბს ვინ აცნობა თავდასხმის შესახებ, არავინ იცის. ოცდაათი კაცი დასახმარებლად გამოუშვეს. გზაში კი ჩასაფრებული აფხაზები დახვდნენ. რამდენიმე კაცი გადარჩა, მათ შორის ისიც, და აი, ტყე-ტყე იხოხიალა და ახლა მოადგა კამანს. ჯერ კიდევ გონს ვერ

მოსულა, გამოფიტული და ცხოვრების მიმართ ინტერესდაკარგული ჩანს. არც საჭმელს ეკარება. გადავწყვიტე, წამოვიდე. გოგაც მოდის. დიასახლისი ყველას გვასაჩუქრებს. მე წმინდა გიორგის მომინანქრებულ ხატს მჩუქნის. კამანში ვტოვებთ ყველას, ხვალ გამოცვლიან. ვბრუნდებით მე, გოგა, გენო და წესრიგა თავისი ბიჭებით. გენოს ვთხოვთ, შტაბს ნუ დაელოდება, დილიდანვე შეუდგეს მოწინავე პოზიციის აღდგენას, თორემ ხვალ აფხაზები გონს მოვლენ, მოგვასწრებენ და, თუ ეგ სიმაღლე ხელში ჩაიგდეს, კამანი ჩვენი აღარ იქნება.

შრომის ხიდთან პოლიცია სანგრებში ფხიზლობს. ზემოთ ასასვლელი გზაც ჩახერგილია. გამთენიისას მივაღწიეთ „გოსდაჩამდე“. დაძინება და დასვენება აღარ შეიძლება. ვუკვეთავთ თვითმფრინავს, თუმცა, ჩემი სალონი-ვერტმფრენი მგონი სოხუმშია. გოგა მეუბნება: „როგორც ვართ, ასევე მივიდეთ პარლამენტში, რომ იცოდნენ, აქ რა ხდება“... „არა, გოგაჯან! ავტომატით ვერ მივალ პარლამენტის სხომაზე. მე სმოკინგი უნდა ჩავიცვა“.

სხდომა შუადღისას იხსნება. მანამდე მოვასწარი თავის წესრიგში მოყვანა. აბაზანა მივიღე და ცოტა ენერგია მომეცა. გადაქანცული კი ვარ, მაგრამ შევარდნაძეს მაინც შევხვდი. ვუყვები საერთო მდგომარეობაზე აფხაზეთში და ორიოდე სიტყვით გუშინდელ გამარჯვებაზეც. პარლამენტში არის მილოცვები და სადღესასწაულო განწყობა. ჩემი „ბაბოჩკა“ ექსტრავაგანტობას მიეწერა, არადა, საქართველოს პირველი პარლამენტია... უხუცესთა სახელით სხდომას ხსნის ნიკო ჭავჭავაძე. განიხილება საორგანიზაციო საკითხები. შემდეგ გამოდის შევარდნაძე, ინფორმაციას აწვდის აფხაზეთის შესახებ. არის პატრიოტული ბუმი, აფხაზეთის ირგვლივ გამოსვლები და მოწოდებები. მე არავინ არაფერს მეკითხება. ვზივარ და გულში მეცინება - ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება... სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობიდან პარლამენტში ვერ მოხვდნენ საზოგადოების ცნობილი მოღვაწეები და გამოჩენილი პატრიოტები: აკაკი ბაქრაძე, ლალი ჯავახიშვილი, რუსლან მიქაბერიძე, ნაირა გელაშვილი და სხვები. ერთი სიტყვით, სახელმწიფო საბჭოსთან შედარებით, პარლამენტს რეალურ ძალთა წარმომადგენლობა აკლია და ზნეობრივი სახეც შელანძღულად გამოიყურება. პრეზიდიუმმა (სიგუა, კიტოვანი და მე) დარბაზში გადაინაცვლა. ფაქტობრივად, ფორმალურად და სახიერადაც მხოლოდ

შევარდნაძე დარჩა საჭესთან. ირჩევა სპიკერი - ვახტანგ გოგუაძე. მოადგილეებად - ვახტანგ რჩეულიშვილი, რომლის დეპუტატობის საკითხი სულ ბოლო წუთებში გადაწყდა (პარლამენტი არ ამტკიცებდა მის უფლებამოსილებას) და რუსუდან ბერიძე. კომისიების თავმჯდომარეებს პოპულისტური ბალანსირებით ირჩევენ შევარდნაძის წინადადებით. მართლწესრიგისა და კანონიერების კომისიის თავმჯდომარედ - ვაჟა ადამია, უშიშროებისა და თავდაცვის - ნოდარ ნათაძე. სხდომის შემდეგ კვლავ ვხვდები შევარდნაძეს და დაწვრილებით ვიხილავთ აფხაზეთის საკითხს. მე ვურჩევ, დაუკავშირდეს რუსეთის პრეზიდენტს ელცინს და შესთავაზოს მოლაპარაკების დაწყება აფხაზთა მხარის თანდასწრებით. „არა, ჯერ არა! - ნაჩქარევად ამბობს იგი, - ჩვენ რაღაც სამხედრო წარმატებებს უნდა მივაღწიოთ და მერე იოლი იქნება მათთან ლაპარაკი“. „კი, მაგრამ ღირსეულად, როგორც თქვენ ამბობთ, ომს არავინ დაგვამთავრებინებს. გუშინდელი წარმატება საკმარისია, რომ ცუდი თამაშის დროს მივიღოთ კარგი გამომეტყველება“. არ მეთანხმება, მე პესიმისტად მთვლის და სამხედროებისა და კიტოვან-სიგუას ბაქიბუქს უფრო უჯერებს. გარდა ამისა, იგი მთლიანად დაკავებულია რეალურ თუ მოჩვენებით ძალთა ბალანსირებით. აყალიბებს უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს, ა ლა საბჭოთა პოლიტბიურო. ამ საბჭოში თავის მოადგილეებად უმტკივნეულოდ შევყავართ მე, კიტოვანი და სიგუა. მე, ასე ვთქვათ, განთავისუფლებული პირველი მოადგილე ვარ. შემადგენლობა ფორმალურია, საბჭოთა ყაიდის: ძალისმიერი სტრუქტურების მინისტრები, პრემიერ-მინისტრი, სანდრო კავსაძე, როგორც ადამიანთა უფლებებისა და ეროვნებათაშორისი კომიტეტის თავმჯდომარე და რამდენიმე სამეურნეო უწყების ხელმძღვანელი, ნოდარ ნათაძე, და... უკვე გენერალი გია ყარყარაშვილი. მე ორივეს წინააღმდეგი ვარ. თუ თანამდებობრივი კრიტერიუმია, მათ არ ეკუთვნით საბჭოში ყოფნა, თუ პიროვნული - მით უმეტეს. რა დიდი სამხედრო მყავს ნათაძე ან ეკონომისტი ყარყარაშვილი? „ნათაძე აქეთ-იქით დარბის, ყვირის და იყოს აქ, ჩვენთან. საჭიროა“, - მიხსნის შევარდნაძე. „იყვიროს და ირბინოს! სტადიონზე ხომ არ ვეპატიჟებით?!“ „მერე, ეკუთვნის კიდეც, - ახლა სხვა არგუმენტი მოაქვს, - იგი ხომ უშიშროებისა და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეა. წესით, აქაც უნდა იყოს“. „რომელი წესით?“ - ვეკითხები. „როგორ? ყველგან ეგრეა“. - ჯიუტობს

შევარდნაძე. რას იზამ! აღარ ვეძალები. შემადგენლობა მაინც პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს და ყველაფერი იქ გამოჩნდება. თვითონ შერჩევის პრინციპია ძველი, კომუნისტური. „თუ ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო დგება, ის ერისკაცებით უნდა დაკომპლექტდეს და არა ჩინოვნიკებით. მაგალითად, მერაბ ალექსიძე, აკაკი ბაქრაძე, ლალი ჯავახიშვილი“... „მერაბ ალექსიძე ხომ არის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. მეტი რა უნდა?“ - უკმაყოფილოდ მაწყვეტინებს. განსაკუთრებული საუბარი გვაქვს თავდაცვის სამინისტროს ირგვლივ. კიტოვანზე პირდაპირ ძვირის თქმას ერიდება, არ მენდობა, უფრო მე მალაპარაკებს. რასაკვირველია, კიტოვანი თავს ვერ ართმევს სამინისტროს, გავუშვათ ძალოვანი სტრუქტურების სექტორის ვიცე-პრემიერად. „ამას მე მოვაგვარებ, მე დავითანხმებ“. „ჯერ მაინც დავიცადოთ, აი, კამკამიძე ჩამოდის და მერე ვნახოთ“. „ყარყარაშვილი?“ - ვეკითხები. „ყარყარაშვილს ძმა მოუკლეს, ახალგაზრდა კაცია“, - ხეირიანად ვერ მპასუხობს. „რად გვინდა ხელოვნურად რაღაც ხატების შექმნა“. „ასე ხდება ხოლმე... ისტორიაში ბევრი შექმნილი ფიგურაა“. „სტახანოვი, არა?“ - ირონიულად ვკბენ. ერთი სიტყვით, არაფერი გამოდის. პოლიტბიუროსმაგვარი საბჭო მისი შედგენილია. მაშველთა კორპუსის სახელმწიფო სტრუქტურად აღიარების საქმე კვლავ ჭიანურდება. სიგუა ჩვენ გვაბრალებს, თითქოს რაღაც საბუთები გვაკლია. არადა, აღარ შეიძლება ეს თვითშემოქმედება. მინიმალურ ყურადღებასაც კი ვერ ვგრძნობთ სახელმწიფოს მხრიდან.

კოწიასი არაფერი ვიცი. არც არავინ რეკავს სტავროპოლიდან. შეფიქრიანებული ვარ. კაზაკებმა რომ გაიგონ, ჩემი შვილია, არაფერი მოუწყონ. იქ ხომ ჯერ გაურკვეველი მდგომარეობაა. როგორც იქნა, ჩამოვიდა: „თვითმფრინავები რეგულარულად არ დადიან, ჩაკეტილი ვყავდი ვიღაცის „ხატაში“. მომკლეს სალის ჭამით და არყის სმით. საქმის თაობაზე რეალური არაფერი გამოდის. პირდაპირ ვერ ამბობენ - დიდი ფული უნდათ. ისე, შემპირდნენ, ჩვენი მხრიდან აფხაზეთში მოხალისედ აღარავინ წავაო“, - მიყვება უძილო და თვალებდაწითლებული.

შევარდნაძეს ნაბიჯ-ნაბიჯ თავისი აპარატი ისე გაუფართოებია, რომ, მართლაც, როგორც კიტოვანი ამბობს, ცეკას აღარაფერი უკლია. სიგუაც ჩემთან ჩივის: „რად უნდა, რომ ისევ ცეკას აყალიბებს“. მამაცხონებულო, შტატებს შენ უშვებ და აფინანსებ და მე მეუბნები?! ისე, კაცმა რომ თქვას, თვითონ რა

მინისტრთა კაბინეტი შექმნა? იგივე საბჭოთა ყაიდისა. რაღა შორს მივდივართ, ეს ჩვენი პარტიები ვინ არიან, თუ არა ლენინურ-სტალინური სტილის მაფიოზები. მიეცი ერთ რომელიმეს ძალაუფლება და იმწამსვე ოცდაჩვიდმეტ წელს მოგიწყობენ. როცა ერთმა ჩაიგდო ხელში, ხომ ვნახეთ, როგორ გარეკა ფაშიზმისკენ?! შევარდნაძეს რაღა გაემტყუნება - მეტი რა იცის?! ამიტომ ახლა უმთავრესი პრობლემა იქნება ჭეშმარიტი დემოკრატიული რეფორმები და საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის გამოყვანა ამ ტოტალიტარულ-მონური ინერციიდან. და ეს უნდა დაიწყოს თვით ბიუროკრატიული სტრუქტურების გადემოკრატებით, თუ ეს შესაძლებელი გახდა, თუ არა და, მათი ანულირებით. „კაგებე“ ხომ გადაკეთდა ასე თუ ისე დემოკრატიულ სტრუქტურად. ან, საერთოდ, რად გვინდოდა ეს რეპრესიული და სახელგატეხილი ორგანიზაცია. რა, ზესახელმწიფო ვიყავით და მსტოვართა ჯარი გვჭირდებოდა, თუ იმის ეკონომიკური შესაძლებლობა გვქონდა, რომ, მაგალითად, ამერიკელი აგენტი დაგვეინტერესებინა, ჩვენზე ემუშავა?! პარტიებმაც უნდა შეცვალონ თავიანთი რკინა-ბეტონის დისციპლინისა და ეგოცენტრული მისწრაფებებით დაკომპლექტებული სტრუქტურები. პარლამენტი უნდა გახდეს მთავარი ინსტრუმენტი რეფორმების გასატარებლად. საჭირო იქნება დავეყრდნოთ მის კომისიებს ყოველდღიურ მუშაობაში და შედეგები კანონებად ვაქციოთ. არ შეიძლება ბრძანებებითა და დადგენილებებით წარიმართოს რეფორმების პროცესი, თორემ ეს ცეკა, შევარდნაძე რომ აყალიბებს, თავისი მრჩევლების სახით ყველა დარგში ქმნის პარალელურ ბერკეტებს, ინტრიგების პოტენციით გაჟღენთილ თანამდებობებს და არაფერზე პასუხისმგებელ მწყემსებს. უბედურება ისაა, რომ ირგვლივ თანამოაზრეებს ვერ ვხედავ. ერთი მერაბ ალექსიძეა, რომელთან ურთიერთობაც შევარდნაძეს დიდად არ ეპიტნავება. რატომ - ვერ გამიგია. ნუთუ ახსოვს მისი გამოსვლა აკადემიაში 9 აპრილთან დაკავშირებით. მაშინ მერაბმა წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა დემოკრატიით თამაშის ამორალურობის შესახებ. მისი ღრმა და ლაკონიურად გამოთქმული ანალიზი კრემლის „პერესტროიკის“ ავტორებისადმი იყო მიმართული. იქნებ მისი დამოუკიდებლობა, ღირსეული და არამლიქვნელური ურთიერთობა აღიზიანებს?! მახსენდება ცხონებული მამაჩემის ნათქვამი. 14-15 წლისა ვიქნებოდი და მისი სიტყვები

პარადოქსად მივიჩნიე: „ჭეშმარიტად განათლებული ადამიანები ანარქისტები არიან“. იმ დროისათვის ამ თვალსაზრისით ჩემი განათლება კინოფილმ „ჩაპაევს“, კომუნისტური პროპაგანდით დაგმობილ ბაკუნინის გვარსა და ცნობილ გამოთქმას - „ანარქია წესრიგის დედაა“ არ აღემატებოდა. ახლა კი, როცა ამ ჩემს კოლეგებთან ჭეშმარიტ დემოკრატიაზე ვსაუბრობ, მათ ლიდერობიდან გადახრილი ყველა მოდელი ანარქიად მიაჩნიათ. ვაი, ჩვენს დღეს, რა გვეშველება! მაინც იმედი მაქვს, რომ პარლამენტის მუშაობასთან ერთად დავიწყებთ რეფორმებს. უწინარესად უნდა მოხდეს სასამართლო რეფორმა. ყველა რეპრესიული ორგანო, ასეთი ტოტალიტარული უფლებებისა, სასწრაფოდ დავუქვემდებაროთ ხალხის წარმომადგენლების კონტროლს. შინაგან საქმეთა სამინისტრო - ბიუროკრატიული აპარატის ჯაჭვზე დაბმული ეს მონსტრი, რომელიც პოლიტიკური პროცესების მართვაშიც ერევა და მთლიანად მაფიოზურ წესრიგზეა დამყარებული, ძირფესვიანად უნდა გადაკეთდეს როგორც არქიტექტონიკით, ისე ფუნქციურად. პროკურატურა - დიქტატორული მექანიზმის კლასიკური ნიმუში. უწყება, რომლის უფლებამოსილება განუკითხავია. მას აქვს გამოძიების უფლებაც, დევნის მანდატიც და ზედამხედველობის ფუნქციაც. იგი თვითონ ჭრის და თვითონვე კერავს. ეს საბჭოთა რუდიმენტი ან უნდა მოიკვეთოს, ან მიეცეს რაიმე ერთის უფლება: ან გამოძიების, ან ზედამხედველობის. მთლიანად კორუმპირებული, აღმასრულებელი და ძალოვანი სტრუქტურების მონა-მორჩილი სასამართლო უნდა განთავისუფლდეს, გახდეს დამოუკიდებელი და მატერიალურად უზრუნველყოფილი. სასწრაფოდ შესაცვლელია სისხლის სამართლის დრაკონული კანონები. ისინი შესაბამისობაში უნდა მოვიდნენ საერთაშორისო ჰუმანისტურ ნორმებთან. სხვაგვარად არავითარ დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, კერძო საკუთრებაზე, ინვესტიციებზე, რეფორმებზე და, საერთოდ, სახელმწიფოებრივ და ეროვნულ პროგრესზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ყველაფერ ამას ჩემთვის ჩვეული ტაქტით (ჩემს ზერელე ნაცნობს ჩემი ტაქტიანობა ღიმილს მოჰგვრის, მაგრამ ვინც კარგად მიცნობს, დამემოწმება, რომ ჩემი უტაქტობა ყოველთვის რეაქციაა რაღაც უკვე ზედმეტად გათავხედებულ მოქმედებაზე) ვეუბნები შევარდნაძეს. იგი მისმენს, მეთანხმება, მაგრამ ამბობს: „ეგ მერე, ჯერ დავიცადოთ, -

თანაც, მეკითხება, - თქვენ წინააღმდეგი ხართ არა, საპრეზიდენტო ხელისუფლებისა?“ „რასაკვირველია“. „ჰო, მაგრამ, - ფრთხილად დასძენს იგი, - აი, ამერიკის მოდელი იდეალურია ძალაუფლებისათვის“. „ამერიკა ამერიკაა, ჩვენ ჩვენა ვართ“. „ჰო, რაღა თქმა უნდა“. კამათს აღარ აღრმავებს, თუმცა, ნათელია, რომ სხვას ფიქრობს. ამიტომ მომაქვს ჩემი მტკიცებები. „ჩვენ ეგ ეტაპი მოთელვით გავირბინეთ. ხალხში პრეზიდენტობამ კომპრომეტაცია განიცადა. 1921 წლის კონსტიტუცია მარტივი და დემოკრატიული დოკუმენტია. მცირე შესწორებებია საჭირო და საპარლამენტო რესპუბლიკა თითქმის კლასიკური სახით მზადაა. საპრეზიდენტო მმართველობისკენ დაბრუნება უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება და მთელი ეს არეულობის პერიოდი, დაღვრილი სისხლი - მუქთა და გაუმართლებელი, მეორეც - ჩვენ ქართველი კაცის ამბიციური ბუნების ხელის შემწყობი მოდელი კი არ გვესაჭიროება, პირიქით, ისეთი, რომ ამბიციურობა ძირშივე აღმოვფხვრათ. გარდა ამისა, როდესაც არ ჩამოყალიბებულა მეპატრონე, როცა არ არსებობენ ჭეშმარიტი და არა სახაზინო საზოგადოებრივი ინსტიტუტები, როცა კერძო საკუთრება მთელი თავისი უფლებებით არ არის ჩვენს სინამდვილეში საზოგადოების წამყვანი ძალა, როცა პიროვნების მოღვაწეობისა და შრომის თავისუფლების გარანტიები არ მოქმედებენ, როცა ამხელა დაუსაქმებელი ბიუროკრატია არსებობს და ჩინოვნიკურ-მონური ფსიქოლოგიის ინერცია დღეგრძელობს - პრეზიდენტი მყისვე დიქტატორად გადაიქცევა“. არაფერს მპასუხობს. სიტყვას ბანზე მიგდებს. შემდეგი საუბარი ეხება მონარქიას. მე ჯერ კიდევ „კაგებეს“ ციხიდან გამოვუგზავნე მიმართვა პარტიების ლიდერებსა და უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს, სადაც მოვუწოდებდი, ეზრუნათ რეგენტთა საბჭოს (რომლის წევრი მეც ვიყავი) ასამოქმედებლად. დღევანდელი საქართველოს შიდა და გარე პოლიტიკური კატაკლიზმებიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ საშუალებად მონარქიის გათანამედროვეობა და აღდგენა მიმაჩნია. ჯერ ერთი, ამას მოითხოვს ისტორიული სამართლიანობა. ჩვენი სახელმწიფოებრიობა ხომ მონარქიასთან ერთად გაუქმდა? ისიც საფიქრალია, საბჭოთა სივრციდან როგორ მოვწყდეთ ტოტალიტარულ მარწუხებს. ყველა კავშირი: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული, ფსიქოლოგიური ხომ ამ სივრცეში მოქმედი ხრახნილების ყალიბებზეა

გამოჩარხული? ჰოდა, რახან ეს ხრახნილები მოიშალა და გაცვდა, რაღად გვინდა მათი განახლება. კონსტიტუციურ მონარქიას სულ სხვა ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი ფორმები ესაჭიროება. მოდით, ჩვენი ძალისხმევა სწორედ მათ შექმნა-აღდგენას მოვახმაროთ.

ავტომატებისა და სნაიპერების შედლუხია. შემთხვევით ჩემს გვერდზე აღმოჩნდა ახალგაზრდა მეომარი. თამაზ-წესრიგა ეღობება მას და სნაიპერისაგან მოცელილი ახალგაზრდა იმწამსვე ეცემა. გვესვრიან ტყიდან, გვიფეთქებენ „ბეემპეს“ . ორგანიზებულად გარბიან. გაიქცევიან, შემდეგ კვლავ იფანტებიან. ვაწვებით. მიშიკო ყვირის, ბიჭებს იხმობს „ბეემპეს“ ეკიპაჟის გადასარჩენად. დათო დანელია, „ნირიოკა“ ეშველებიან, ყველა გადარჩა, გარდა მექანიკოსისა, რომელიც თითქმის მთლიანად დამწვარია. სოფლის ბოლომდე ვერ გავდივარ. დაზვერვის მონაცემებით, მოტიტვლებული და დანაღმული ადგილებია. დაზვერვაზე ვუშვებ პატარა ჯგუფს. ჩვენ კი კულტურის სახლში თუ რაღაც შენობათა კომპლექსში ვჩერდებით. მესამე ეშელონად ამოგვყავს ქუთაისელები - ორასი კაცი. ვაბინავებ. სროლა კანტიკუნტად ისმის. ბიჭებს შენობებში ვანაწილებ და სასწრაფოდ წრიული დაცვის თადარიგს ვიჭერ. სანამ სინათლეა, მთელი არემარე უნდა დავზვეროთ. ქუთაისელებს კარგი შეიარაღება აქვთ - 40 „რგდ“, ხელის ტყვიამფრქვევები, შაშხანები და ავტომატები. ტანკსაც ვუტოვებ. ხვალ დილიდან შევუდგებით მთაში შემორჩენილ აფხაზთა განადგურებას და სოფლის ბოლომდე გავალთ. შესაძლოა წინაც წავიწიოთ. ჩვენ უკვე ბესლახუბის ზურგში მოვექეცით. მხედრიონელები დასასვენებლად ჩამყავს იქვე, ერთ კილომეტრზე, საქობალიოში. მე ოჩამჩირეში მივდივარ. საშინლად დაღლილი და ოფლიანი ვარ. მინდა, წყალი გადავივლო. ჯავშანჟილეტს ვიხდი და რაციაში ისმის მერკულის ხმა: „ქუთაისელებმა მიატოვეს პოზიციები და სროლა-სროლით გამორბიან, თავდასხმაა!“ „ისევ პანიკაა! - ვყვირი, - არავითარი თავდასხმა არ შეიძლება იყოს!“ სასწრაფოდ ვიცვამ და გავრბივარ. გია ვაშაკიძე მომყვება დამრტყმელი რაზმით. ბნელა. მივქრივართ მერკულისკენ. საქობალიოდან ისმის სროლა. ავტომანქანის შუქზე ვხედავთ ჯარისკაცებს, ქორისაგან აფორიაქებული ქათმებივით ორღობეს ხან აქეთ ეხეთქებიან, ხან იქით. მხედრიონელები კი - მთელი დღის ნაომარი, ტალახში ამოთხვრილი გიო ხვიჩია, ძველ, მგონი

ქალის პალტოში გამოწყობილი „ნირიოკა“, დახეულჯინსიანი დათო დანელია ავტომატის კონდახებით ეღობებიან მათ. მახსენდება ქუთაისელებთან შეხვედრის შემდეგ ოჩამჩირე-სოხუმის გზაზე ჩვენი ბიჭების ნათქვამი: „ჯარი მაინც ჯარია“. ვყვირი: „სად არის ის პანიკიორი?“ - ვთამაშობ, ვითომ პანიკიორს ვეძებ, პიროვნულად რომ დავსაჯო. გია ვაშაკიძე ტკბილი სიტყვით აწყნარებს ყველას. პოზიცია დატოვებულია. კიდევ კარგი, მართლაც არავინ მოსდევდათ, თორემ ასე დაუბრკოლებლად შემოცვივდებოდნენ ოჩამჩირეში - სულ ოთხი კილომეტრია. ვინ უნდა დასაჯო? მათი უფროსი დიმა განზე გამყავს. ნოტაციის მეტი რა შემიძლია?! თავს იმართლებს, ირკვევა, რომ ჩემი წასვლის შემდეგ ტანკი მოიხსნა პოსტიდან - საწვავის ასაღებად წასულა. ვიღაცას უყვირია, თავდასხმაა, ტანკი გარბისო. მერე ვიღაცას გაუსვრია. ასე ამტყდარა პანიკა და თავჭუდმოგლეჯილები გამოიქცნენ. ღმერთო ჩემო, ეს მერამდენედ ხდება! ყველგან ხომ ვერ იქნება კაცი?! ბიჭებმა ორი მოკლული აფხაზი გამოათრიეს. ერთს ბრეზენტის ჩანთაში ტყვიებთან ერთად მეომრის ულუფა ედო - ღომის თხელი ნაჭერი ყველის პატარა ლუკმით. ცუდადა აქვთ საკვების საქმე და, საერთოდ, დათრგუნვილები არიან. როცა ბუთხუზა თოხაძე და გია გოგოლაშვილი აფხაზების მეთაურებს შეხვდნენ ტყვეებისა და დაღუპულების გაცვლის თაობაზე, მათთან დაულევიათ. მერე გულახდილად უსაუბრიათ. ერთ-ერთს უთქვამს, თქვენი უფროსების ან მთავრობის შვილები თუ მონაწილეობენ ამ ომშიო. ბუთხუზას უთქვამს: „აი, ახლა, ამ წუთში, ჯაბას ერთადერთი შვილი ზის მოწინავე სანგარშიო“. აფხაზს ცრემლი გადმოვარდნია: „ჩვენი ასეთების და ისეთების შვილები კი მოსკოვში გულაობენო“. ერთი სიტყვით, განწყობილება ხელსაყრელია, ჯერ თავდაუღწეველ სიღრმეში არ შეგვიტოპავს. შეიძლება სამშვიდობო მოლაპარაკება გავმართოთ უშუალოდ მათთან, ან რუსების მეშვეობით. შევარდნაძეს, როგორც ახლად არჩეულ თავმჯდომარეს და მთავრობის მეთაურს, შეუძლია ჩვენ დაგვაბრალოს ყველაფერი და დაიწყოს მოლაპარაკება. რამდენჯერაც ვცადე და ამის შესახებ სიტყვა ჩამოვაგდე, არ გაიკარა. ის კი არა, უკვე ომისა და ზავის საკითხშიც აღარ მენდობა, უფრო სამხედროებისკენ მიუწევს გული. გასაგებიცაა, ისინი ცრუობენ, აიმედებენ. ადამიანსაც მეტი რა უნდა, რაღა ჩემს პესიმიზმს გაიზიარებს? „ღირსეულად დავამთავროთ ომი“, - გაიძახის.

სოხუმში, უმთავრესად გენოს ლაშქრისგან, ყალიბდება 23-ე ბრიგადა. ბრიგადის უფროსად შევარდნაძე გენოს ნიშნავს. ოჩამჩირეში კი მხედრიონის ბირთვს ემატებიან ადგილობრივი ძალები. აქ იქმნება 24-ე ბრიგადა. უფროსად ნიშნავენ გია ვაშაკიძეს. ასე რომ, თავდაცვის სამინისტროს უკვე ჰყავს ერთი კორპუსი. კორპუსის უფროსია პაატა დათუაშვილი, მოადგილე - ზაურ უჩაძე, რომელიც სოხუმიდან ოჩამჩირეში გადმოდის.

თბილისიდან ჩამოდიან შინაგანი ჯარის ოფიცრები გენერალ გუჯაბიძის თაოსნობით. ბრიგადა ყალიბდება რუსული ჯარის არქიტექტონიკით. გუჯაბიძე შტაბის უფროსი ხდება. კომენდანტ ანზორ მარგიანს სხვადასხვა ადგილებში, მეტწილად გაქცეული აფხაზების სახლებში დავყავარ ღამის გასათევად. პირდაპირ გასაკვირია, რა ეომებოდათ ამ ქონებისა და სახლების პატრონებს. ამჯერად ვინმე ფილიას სახლში ვათევ ღამეს. სახლი კი არა, პატარა სასახლეა შიდა ბაღ-ეზოებით, ატრიუმებით, ანტრესოლებით, მარმარილოს ბუხრებით, საცურაო აუზით, გამორჩეული პარკეტის იატაკით, ხვეული შიდა კიბეებით...

თბილისში ვარ ჩასასვლელი. პოლიტიკურ პროცესებზე რაღაც ზეგავლენა თუ არ მოვახდინე, შევარდნაძე და სიგუა აღმასრულებელ ხელისუფლებას კვლავ ბიუროკრატიული თარგით ლამბავენ. იმას არა აქვს მნიშვნელობა, რომ ფარულად ერთმანეთს მტრობენ. მათ თავში კომუნისტურ-ბიუროკრატიული მოდელის გარდა არაფერია. მისახედია დასავლეთ საქართველო. ზუგდიდი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა და მათი მიმდებარე სოფლები ჩვენი ხელისუფლებიდან თანდათან გამოდიან. ვიდრე ჩემი გეგმა - ლაბრა, კვიტოული, ჯგერდა - განხორციელდება, კარგი იქნება, თუ კოჩარაში გავმაგრდებით. დაზვერვა გვატყობინებს, რომ სოფლებში, ცხენისწყალთან, აფხაზთა მცირერიცხოვანი რაზმია. გარიჟრაჟზე შევდივართ: გორის შინაგანი ჯარის ნაწილი - 40 კაცი, „შევარდენის ლეგიონი“ წიკლაურის მეთაურობით - 100 კაცი, მხედრიონი - ორმოცდაათ კაცამდე, ერთი ტანკი, „ემტეელბე“, ორი ქვემეხით მობმული. აფხაზები გაგვეცალნენ, უომრად დაგვითმეს სოფელი. შინაგანი ჯარის ბიჭები ბოლომდე ამყავს და ვაბანაკებ იმ სკოლაში, რომელიც დასაფლავებაზე ყოფნის დროს შტაბად შევიგულე. აქედან ყველაფერი კარგად მოჩანს, შენობაც მყარია, აქვს დაფარული ეზო. მხედრიონი ყველაზე სახიფათო ადგილას - შუა სოფელში,

რამდენიმე სოფლის გზასაყარზე იდებს ბინას. ცხენისწყალთან „შევარდენის ლეგიონი“ განლაგდა. მეორე დღეს მივდივართ თბილისში და იქ ვიგებ, რომ საღამოს აფხაზებმა ყოველი მხრიდან შეუტიეს და დილით ჩვენებმა კოჩარა მიატოვეს. ბრძოლა ცხარე და დაუნდობელი გამოდგა, მხედრიონის ბიჭებმა, თეომ და გაბუნიამ, ტყვედ რომ არ ჩავარდნილიყვნენ, თავი აიფეთქეს. ამჯერად კოჩარელებმა ატეხეს პანიკა. „ემტელბეს“ საომარი დანიშნულება არა აქვს, იგი უფრო გამწევი ტრანსპორტია - ქვემეხებს უბამენ. აქაც ეგრე იყო. როცა ქვემეხები ამოიყვანეს, უკან დაბრუნებისას კოჩარელები უყვირიან, ტანკები გარბიანო. ატყდა ერთი ალიაქოთი, ხალხი ქუჩაში გამოცვივდა. და ეს ხდება აფხაზების შეტევის წინ. აქ აუცილებლად პროვოკატორის ხელი ერია. სოფლიდან თითქმის ყველა წავიდა, ოჩამჩირეში გაიქცნენ. მეომრებიც დაიბნენ - ხალხის ასეთი ნაკადი (კოჩარაში 6 ათასი მცხოვრები იყო) თავდასხმის პარალელურად ხელ-ფეხს უკრავდა ბიჭებს და, რასაკვირველია, ფსიქიკაზეც მოქმედებდა. აფხაზებმა სასტიკად დაარბიეს და გადაწვეს სოფელი.

პარლამენტში მინისტრთა კაბინეტს ამტკიცებენ. პირველ კენჭისყრაზე თენგიზ სიგუა ვერ ხდება პრემიერ-მინისტრი. შევარდნაძეს ვხვდები. მთხოვს, მხარი დავუჭირო და, ამავე დროს, „ვიმუშაო“ იმ პარლამენტარებთან, ვისზეც გავლენა მაქვს. შევარდნაძე მეორედ შეიტანს იგივე კანდიდატურას. მისი ასეთი პოზიცია მე მაინცდამაინც არ მაკვირვებს, თავის წინააღმდეგ ყველას ერთად არ ამხედრებს. ახლა მისთვის მთავარია კიტოვანის მოცილება. გულახდილი თუ ვიქნები, მეც ვფიქრობ, რომ თენგიზ კიტოვანი სამხედრო მინისტრად არ გამოდგა, მაგრამ მოცილება არ შეიძლება, წავიდეს ვიცე-პრემიერად. მხარს ვუჭერ თენგიზ სიგუას კანდიდატურას პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე: თერთმეტი ხმა ჩემია, სწორედ იმდენი, რამდენიც დააკლდა პირველ კენჭისყრაზე. ამტკიცებენ სულ რამდენიმე ხმის უპირატესობით. ამტკიცებენ აგრეთვე თემურ ხაჩიშვილს შინაგან საქმეთა მინისტრად. სენაკის გამგებლად შევარდნაძემ მოულოდნელად დანიშნა მახუტი კეკელია. იცინის და მეუბნება: „იცით, მაგას თურმე რას უძახიან? „მაყუთა“. რა გინდა - სენაკში ზვიადისტების მიტინგები სულ უბრალოდ შეწყვიტა: მომიტინგე ქალებს ფული დაურიგა.

სამეგრელოში იგივე მდგომარეობაა. მოსახლეობის

უმრავლესობა დატერორებული ჰყავთ. ჩხოროწყუში რომ ვიყავი, ერთმა იქაურმა ინტელიგენტმა მიჩუმათა: „ეს შეიარაღებული ბანდები რომ მოგვაცილოთ, მოსახლეობის 80 პროცენტი შევარდნაძეს მისცემს ხმას“. ერთი ხობია დემოკრატიის ციტადელი - თემურ გერგაია ვაჟკაცურად უძღვება საქმეს. ზვიადისტებთანაც მუშაობს. ოჩამჩირეშიც იყო ჩამოსული, პროდუქტი ჩამოგვიტანა, თანაც, შეგვპირდა, რომ ას კაცს ჩამოიყვანს აფხაზეთან საბრძოლველად. ეს თუ მოხდა, ვფიქრობ, ხობელებს სხვებიც აჰყვებიან. ამ დღეებში ჯემალ ქობალიას შემახვედრებს. ეს ის ჯემალია, რომელიც წალენჯიხაში ჩვენზე თავდასხმას ხელმძღვანელობდა. სურს ჩვენთან ერთად იომოს აფხაზეთში, ოღონდ გარანტიებს ითხოვს. გარანტია ერთია - ყველანი ქართველები ვართ, ქვეყანა თავზე გვენგრევა, რა დროს ანგარიშსწორებაა. მახუტიც მპირდება, ზუგდიდის მილიციის უფროსს თორნიკე ქირიას შემახვედრებს. ზუგდიდში რაღაც სიტყვა ეთქმის. მე მას კარგად ვიცნობ. მართალია, რამდენჯერმე დანაპირები არ შეასრულა, მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა, იქნებ გონს მოეგოს. მივდივარ სენაკში. მახუტის კაბინეტში ვხვდები ჯემალ ქობალიას. გავდივართ ცალკე, გვერდით ოთახში. გულახდილად ვსაუბრობთ. ვთანხმდებით. იგი თავის ხალხთან ერთად ჩამოვა ოჩამჩირეში. შემდეგ ვხვდები ქირიას - თემურ გერგაიამ მოიყვანა. მასთან კონკრეტული არაფერი გამოდის, ისევ ცუღლუტობს. ჯერ ერთი, გაქანებული ზვიადისტია, მეორეც - ყოფილი საბჭოთა მილიციელი! ვაბარებ ქობალიებთან - ლოთისთან და ზაურთან: „ახლა პოლიტიკური განხეთქილების დრო არ არის. თუ მართლა პატრიოტები ხართ, ვიომოთ ჩვენი ქვეყნის მთლიანობისთვის. თორემ, რა გამოდის: კახელი ბიჭები, რომელთაც შავი ზღვა საერთოდ არ უნახავთ, თავს დებენ აფხაზეთში. თქვენ კი, იქ მცხოვრებლები, არათუ იცავთ თქვენს სამშობლოსა და მხარეს, არამედ ხელს გვიშლით და ზურგში დანას გვცემთ“.

ოჩამჩირეში დაგვეღუპა დივერსიული ჯგუფი: ვალერა ლაგოდეხელი, ბაშკირა და სამტრედიელი ზურა. ღამით, ოპერაციის დროს, სოფელ მოქვის სიღრმეში ნაღმზე აფეთქდნენ. ვამზადებთ ფართომასშტაბიან ოპერაციას, რომლის მიზანია: ავიღოთ ლაბრა, კვიტოული და დავიბრუნოთ კოჩარა. ხალხი გვემატება: დათო შენგელიას 60 კაცი გალიდან, ჯემალ ქობალიას 20-30 კაცი. ჩამოდის კასპის ბატალიონი - 80

კაცი ტარიელ შარიფაშვილის ხელმძღვანელობით. თბილისში ოთარ ლითანიშვილმა შექმნა ბატალიონი „თბილისელი“ - 500 კაცით, სადაც საინჟინრო სამსახურიც შეიყვანა თავისი ტექნიკით. მივედი, დავათვალიერე. მართლაც, თბილისელები არიან - ხანში შესულებიც, ახალგაზრდებიც. მათ შორის ბევრი ნაცნობი და ახლობელია. მხატვარი მახარე - ჩემი კათედრის გამგის, პროფესორ დიმიტრი ჯანელიძის ვაჟი, ჩვენი პოპულარული მსახიობი და ეპიგრამისტი, ეროვნული მოძრაობის პოეტი რუსლან მიქაბერიძე. ეს ნამდვილად პატრიოტული აღტყინებით შედგენილი ბატალიონია, მაგრამ, სამხედრო თვალსაზრისით, არამყარი კონგლომერატი. ჩემს ეჭვს ოთარი აქარწყლებს: „აქ არიან ავღანეთში ნაბრძოლი ბიჭები, ჯარში ნამსახურებიც“... მადლობის მეტი რა მეთქმის, ვემშვიდობები ოჩამჩირეში შეხვედრამდე. მეორე დღეს მირეკავს თენგიზ კიტოვანი, მახარებს: „გიგზავნი 500-კაციან ბატალიონს. სულ დარჩეული ბიჭებია“. „აგაშენა ღმერთმა!“ ოჩამჩირეში გახარებული ჩამოვედი: „თუ ათასი კაცი მოგვემატა და გია ყარყარაშვილიც სოხუმიდან წამოვიდა, მაშინ სოფელი ჯგერდაც უნდა მივაყოლოთ და ტყვარჩელის პრობლემაც გადაწყვეტილი იქნება“, - ვეუბნები გია ვაშაკიძეს. მასაც უხარია. შემდეგ ირკვევა, რომ ის 500 კაცი, თენგიზი რომ მპირდება, ოთარ ლითანიშვილის ბატალიონია. ერთი სიტყვით, ერთ თხას ორ ტყავს აძრობენ, ისევ ჩვენი მხედრიონის იმედზე ვრჩებით.

მივდივარ სოხუმში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ყარყარაშვილი ჩამოსულა, მაგრამ მაინც ვერ შევხვდი. სამაგიეროდ, პაატა დათუაშვილთან მოვილაპარაკეთ, დავხაზეთ რუკა. გადაწყდა, რომ ისინი „გრადებით“ დაბომბავენ კვიტოულს, შემდეგ ყარყარაშვილი დაიძრება ოჩამჩირისკენ. ჩვენ კი მთელ ფრონტზე დავიწყებთ შეტევას. სადაც გავალთ - გავალთ. მთავარი დარტყმა მაინც ლაბრა-კოჩარა იქნება. და თუ გიაც მოგვიახლოვდა, იქნებ კვიტოულიც ავიღოთ. ჩვენი მონაცემებით, აფხაზებს მთლიანად ამ რაიონებში 1500-2000 კაცი ჰყავთ, სულ სამი თუ ოთხი „ბეემპე“ და ერთი დაზიანებული ტანკი, რომელსაც ტრაქტორით აქეთ-იქით აჩანჩალებენ.

სოხუმიდან ოჩამჩირეში მომყვება გოგა ხაინდრავა. იგი ხომ აფხაზეთის სახელმწიფო მინისტრია, ოჩამჩირეში კი მხოლოდ ორჯერ არის ნამყოფი. არ ეცალა. სოხუმში იმდენი პრობლემა

ჰქონდა გადასაწყვეტი, დრო არ ჰყოფნიდა, თანაც, იცოდა, ჩემი მეურვეობა - ოჩამჩირეში, გალსა და მიმდებარე რაიონებში ჩარევა მეტიჩრობად ჩაეთვლებოდა. ახლა კი, როცა თამაზ ნადარეიშვილი პრემიერ-მინისტრია, გოგა როგორღაც თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა. ამიტომ, სანამ გულს აიცრუებდეს, საჭიროა გაერკვეს, ვინ არის იგი. შემდეგ თავისი ფუნქციებისა და შესატყვისი მოქმედების მოდუსი დასახოს. მიმყავს ოჩამჩირეში. რასაკვირველია, ამაზე არ ვლაპარაკობთ - ვითარება ისედაც გასაგებია. ხანდახან თუ წამოსცდება გაურკვევლობის შესახებ სიტყვა და განხიბლული, ძვირს იტყვის შევარდნაძესა და, განსაკუთრებით, თამაზ ნადარეიშვილზე.

ოჩამჩირეში, გია ვაშაკიძის ოთახში, ყარყარაშვილი გვხვდება. პატარა ჯარისკაცური პურმარილი გაუშლიათ და ჩვენი მომავალი ოპერაციის დეტალებზე საუბრობენ. ხელს არ ვუშლი, კმაყოფილი ვარ, რომ ასეთი მეგობრული ურთიერთობა აქვთ. ახალგაზრდები არიან, მაგრამ ქარტეხილებით სავსე ოთხმა-ხუთმა წელიწადმა მათ ბევრი ისეთი რამ ასწავლა, რაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში შეიძლება აზრადაც არ მოსვლოდათ. ვინ იცის, კარგია ეს თუ ცუდი?! შეთანხმდნენ, რომ ზეგ დილიდან ყველა ფრონტზე დაიწყება შეტევა და ყარყარაშვილიც წამოვა კვიტოულისკენ. დილით კი „გრადები“ დაბომბავენ კვიტოულს. თბილისის მერი ოთარ ლითანიშვილი ჩამოვიდა თავის ბატალიონ „თბილისელით“. გადაუწყვეტია, დარჩეს. არ მინდა, ვაწყენინო, თუმცა, განწყობა არასერიოზულია, კამპანიური. აქ უამრავი შავი სამუშაოა შესასრულებელი - სადარაჯოზე დგომა, სანგრებში ლოდინი. ესენი იმ იმედით ჩამოვიდნენ, რომ ერთს შეუტევენ, გაყრიან და გამარჯვებულები დაბრუნდებიან თბილისში. კარგი საქმე მოხდა იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენთვის გადაკეტილ ზუგდიდში თავიანთი საინჟინრო ტექნიკით დაუბრკოლებლად გამოიარეს. ჩვენთვის ეს დიდი შეღავათია. მიუხედავად იმისა, რომ დღენიადაგ გავიძახი და მოვითხოვ ხეირიანი სანგრების გათხრას, ყველგან, პოზიციებზე, უბრალოდ წაჩიჩქნილი მიწაა. ყველა ერთი და იმავე ფრაზით იმართლებს თავს: „ჩვენ ხომ აქ დგომას არ ვაპირებთ, უნდა შევუტიოთ“. ამის თაობაზე რუსლან მიქაბერიძემ იქვე შეთხზა ლექსი: „ქართველს სანგრის გათხრას ტყვიის მოხვედრა ურჩევნიაო“. ბატალიონ „თბილისელის“ მეურვეობა კორპუსის უფროსის მოადგილეს,

ზაურ უჩაძეს დავავალე. ზაური სოხუმიდან ოჩამჩირეში გადმობარგდა და კარგიც ქნა - გია ვაშაკიძეს ეხმარება და ასწავლის კიდეც სპეციფიკურ სამხედრო ეტიკეტსა და პროფორმას. დათქმულ დროს, დილაადრიან ვიწყებთ შეტევას მთელ ფრონტზე - ზემო ოხურეიში, ბესლახუბაში, მერკულაში, არადუში, ცაგერიდან კოჩარის მიმართულებით. კასპის ბატალიონი მე თვითონ გამყავს ტამიშთან, სადაც გიგა გელაშვილი გველოდება თავისი ბიჭებით. მასთან არიან აგრეთვე ქუთაისელი ზვიადი და თორნიკე კაპანაძე ლაგოდეხიდან. ჩემთან გოგა ხაინდრავაა. რაციით ვერა და ვერ ვუკავშირდებით გია ყარყარაშვილს. გვაინტერესებს, დაიწყო თუ არა მოძრაობა. გიგას ლაბრის აღების კონკრეტული გეგმა აქვს. კასპის ბატალიონთან (90 კაცი. ამდენივე ჰყავს გიგას) ერთად გიგა იწყებს მოქმედებას. ჩვენ ისევ ვბრუნდებით ოჩამჩირის შტაბში ყარყარაშვილის ამბავი მაინტერესებს. შტაბიც ვერ დაკავშირებია მას. სოხუმში ველაპარაკები დათუაშვილს. იგი ამბობს, რომ გია ყარყარაშვილი სადღაც კინდღის მიდამოებში მოძრაობს. რაც შეეხება კვიტოულის დაბომბვას, იგი, მისი სიტყვებით, დაბომბილია. ყველა პოზიციაზე ჩვენები აქტიურად მოქმედებენ. ზემო ოხურეიდან აფხაზები გაიქცნენ. ჩვენებს შეუძლიათ ჩავიდნენ სოფელ რეკაში, მაგრამ იგი დაბლობშია და იქ გამაგრებას აზრი არა აქვს. ბესლახუბაში ჩვენი არტილერია მუშაობს. მერკულაში აქეთ-იქითა სროლებია. ასევეა არადუშიც. აქ წინ წაწევას არ ვაპირებთ, ეს ყურადღების გადასატანად გვსურს. მთავარია კოჩარა და ლაბრა. თუ მოესწრო და გია ყარყარაშვილი გამოჩნდა - კვიტოულიც. დათო შენგელია ჩამოვიდა. ჯემალ ქობალიასთან ერთად ცაგერასა და მაიმუნების პიტომნიკთან - კოჩარის მთავარი გზის შესასვლელთან დგას. კოჩარის უბნის ხელმძღვანელობა ანზორ მარგიანს დავავალე. იქაურია, გარემო კარგად იცის, ხალხიც თავისი ჰყავს. ბატალიონ „თბილისელის“ სამასი კაცი გამოყვანილია სათადარიგოდ. კოჩარის აღების შემთხვევაში ისინი სოფელში უნდა ჩადგნენ. აქედან ოთხმოცი კაცი ამყავს ზემო ცაგერაში, საიდანაც შეიძლება ცხენისწყლით ზურგში გავიდეთ. აქვეა ოცი ცაგერელი ბიჭი სოსო ცაგერელის თაოსნობით. გადავწყვიტეთ, ორივე მხრიდან შევუტიოთ. მივაკითხე ელგუჯა წიკლაურს - „შევარდენის“ უფროსს, რომელიც ფეხს ითრევს. არადა, წინა ბრძოლის დროს ცხენისწყლის პოზიცია მათ დატოვეს. ცაგერის ზემოთა პოზიციაზე მპირდება, რომ ახლავე გამოიყვანს თავის ხალხს.

დათო შენგელია და ჯემალ ქობალია თავიანთი თანამებრძოლებით ანზორ მარგიანთან, მთავარ გზასთან არიან. „თბილისელებს“ კარგი სანგრების გათხრაც მოუსწრიათ. ვერაფრით ვუკავშირდები გია ყარყარაშვილს. მე და გოგა ხაინდრავამ გადავწყვიტეთ, გავვარდეთ კინდღში, სადაც სავარაუდოდ გიას შტაბია და პირადად ვნახოთ იგი, გავიგოთ, რას აპირებს. მეგზურიც გვყავს. მართლაც, ნახევარ საათში ყარყარაშვილის შტაბს მივაღწიეთ. წინ შეგვეგება რამდენიმე რუსი ჯარისკაცი, ყარყარაშვილის დაქირავებული ათეული. შტაბში მიგვაცილებენ. გია იქ არ არის, აგუძერაში წასულა. რაციით ვეძებთ. ვერ ვუკავშირდებით. მაშინ ეს არ მიფიქრია, მაგრამ ახლა ვეჭვობ: შეიძლება იქ იყო და დაგვემალა. მასთან დასაკავშირებლად გოგა აგუძერაში მიდის. მე ხელი ჩავიქნიე - გია არ დაგვეხმარება. რომ მოინდომოს კიდეც, დაგვიანდა - შუადღის ორი საათია. გაბრაზებული ვბრუნდები ოჩამჩირეში. რა უნდა ქნას კაცმა, ეს ფაქტობრივად ღალატია. მიდი ახლა და ამ დახლართულ ინტრიგებში (ყარყარაშვილი-შევარდნაძე) რაიმე ზომები მიიღე. ახლა კიტოვანიც მათ დაუჭერს მხარს, „მუნდირის სინდისს“ დაიცავს. გზაში, როგორც კი ტამიშს გავცდი, ვხედავ, მოდის დიდი ჯგუფი, ასეთი ვითარებისთვის როგორღაც შეუფერებლად - უდარდელად. ის კი არა, ვიღაც თითქოს მოცეკვავს კიდეც. ეს ქუთაისელი ზვიადია, მწვანე ზოლით გადაკუთხული ჩეჩნური ფაფახი დაუხურავს. ტყვეები მოჰყავთ. მეგებებიან. „ბატონო ჯაბა! ლაბრა ავიღეთ, დედა ვუტირეთ! ორმოც კაცამდე ჩავხოცეთ, დანარჩენები გაიქცნენ. ესენი ტყვედ წამოვიყვანეთ! ჩვენ მხოლოდ ერთი დაჭრილი გვყავს“. „ყოჩაღ“ - ვეუბნები, თანაც, არ მჯერა. სულ რაღაც სამი საათი გავიდა, რაც გიგას დავშორდი. „გიგა სადაა?“ „იქ, ლაბრაში დარჩა. ბიჭებს პოზიციებზე ანაწილებს. ამათ მილიციაში ჩავაბარებ და ისევ ლაბრაში ავალ“, - მეუბნება ზვიადი და ჩეჩნურ ბოხოხს მთავაზობს. „გამანებე თავი, შორიდან ვიღაცას ჩეჩენი ვეგონები და გამიხვრიტავს შუბლს“, - ვიცინი. ტყვეებს ვათვალიერებ. ათი-თორმეტი კაცი იქნება - ორი რუსი, სამი ჩრდილოკავკასიელი, დანარჩენი - აფხაზები.

კოჩარასთან საქმე ვერ არის კარგად. გზის დასაწყისში გაოფლიანებული და ნირწამხდარი ანზორ მარგიანი მიწაზე, ახალგათხრილ სანგრებთან ზის და „პარტიანკებს“ იცვლის. „ვერ შევაღწიეთ. დათო შენგელია პირველივე იერიშის დროს დაჭრეს და მისი ხალხიც გამოგვეთიშა. ჯემალ ქობალია თავისი

ხალხით სადღაც აქ ტრიალებს. ტანკს მუხლუხი დაუზიანდა და იქ, მტერთან ახლოს არის ჩარჩენილი. ჯერ ვერ ეკარებიან“. - მიხსნის მდგომარეობას. „მეორე ტანკი სადაა?“ - ვეკითხები. „არ ვიცი. სადღაც აქ უნდა იყოს“. აქვეა სოსო ცაგერელი. „აბა, სოსო, ჩქარა ტანკი და გამოათრიოს ის ჩარჩენილი. ჩვენ კი სასწრაფოდ შევგროვდეთ და მივყვეთ მას. მეორე მხრიდან, ზემო ცაგერიდან, არაფერი ისმის? ისინი ზურგში უნდა გადასულიყვნენ“. „არა, არაფერი“, - მეუბნება უიმედოდ. აღების შემთხვევაში ყვითელი რაკეტები უნდა ესროლათ. „არა, იქიდან და გზის მარჯვენა მხრიდან, სიმინდებიდან ისვრიან. ეტყობა, სნაიპერები არიან“. - ამბობს თვალებგადმოკარკლული ახალგაზრდა. „სნაიპერები არა, ჩემი ფეხები. ვინც გაისვრის, თქვენ ყველას სნაიპერს ეძახით, - ვამბობ გაბრაზებული. - თამაზ! - ვუბრუნდები წესრიგას, - აბა, მიდი, შეაგროვე ეს გაფანტული ხალხი და წაიყვანე. მანამდე მე ზემო ცაგერაში ავალ და გავიგებ, რა ხდება. რაციით შეგატყობინებ. დასახმარებლად „თბილისელებს“ გამოვუშვებ“. თამაზი ჯარასავით ტრიალებს, სიმინდებში და თხრილებში მიმალულ მეომრებს სულ კინწისკვრით აგროვებს. მე მივდივარ ცაგერაში. შტაბში გია ვაშაკიძეს რაციით ვატყობინებ, კოჩარის გზაზე სასწრაფოდ გამოუშვას ბატალიონ „თბილისელის“ მარქაფში დარჩენილები. ცაგერაში ზემოდან ისვრიან ცხენისწყლისაკენ. მტერი იქ არის ჩამჯდარი, მაგრამ ეს თავის მოსატყუებელი ქმედებაა. ისინი სწორედ ჩვენს ფერდობს არიან ამოფარებულები. სკოლაც, მათი სავარაუდო ადგილსამყოფელი, ჩვენს საკმაოდ ციცაბოდ დაქანებულ ფერდობზეა მიყუჟული და არ ჩანს. წესრიგა რაციით მატყობინებს, რომ წინ მიიწევენ, თუმცა, აფხაზებმა ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს. ჩვენი ტანკი ვერ იძვრის, მაგრამ ტყვიამფრქვევით მუშაობს. ცაგერაში ერთი არცთუ ახალგაზრდა თბილისელი აგროვებს 40 კაცს, ჩემთან მოდის, თვალები უბრწყინავს. უცებ ჩემს წინ ხნიერი კაცი კი არა, სულ ახალგაზრდა, 14-15 წლის ყრმაა, ასევე ბიჭური სიანცით მეუბნება: „აქედან გადავეშვებით, ყოფას ვუტირებთ“. ბოლო სახლთან სირბილით მიჰყავს თავისი არჩეული ბიჭები, შემობრუნდა და მიყვირის: „ყვითელი, ყვითელი“... და მარცხენა ხელს მაღლა იშვერს - ყვითელი რაკეტა სკოლის აღების ნიშანი იქნება. როგორც შევთანხმდით, დილით გავრბივარ თამაზთან. მთავარ გზასა და ცაგერას ბოლო სახლს შორის ერთი კილომეტრი იქნება. მანქანას გზაზე ვტოვებ.

ბიჭები წინ გაწეულან. თამაზ-წესრიგა სულ წინ არის. მისი რაცია დუმს. „თბილისელები“ გზის ორივე მხარეს ჯაჭვურად ჩაწოლილან. ზაურ უჩაძე, ოთარ ლითანიშვილი და რუსლან მიქაბერიძეც აქ არიან. შევდივარ რიგებში, დავხტივარ უსაფრთხო სვლაგეზის ამოსარჩევად. ყოველი მხრიდან ისვრიან. ყველას ვუბრძანებ, ნუ წამოდგებიან, იწვნენ გზის აქეთ-იქითა თხრილში. სადაცაა დაბნელდება და მერე ვნახოთ, მოწინავეები რას შემოგვთავაზებენ. ტანკი ისევ იქ დგას. ყუმბარები ვერ აღწევენ, ჩანს, დაიხიეს. მეორე ტანკი მოსულა გზის დასაწყისში, იქ, სადაც ახალი სანგრებია გათხრილი და არ იძვრის, არ შემოდის. ტყვია ნიაღვარივით მოდის. ჩემს გვერდზე ზაურ უჩაძეს შუბლი გაუკაწრა. არის რამდენიმე დაჭრილი. სასწრაფომ ორი გზა გააკეთა. ვაშა! ყვითელი რაკეტა! ერთი! ორი! სამი! ცაში შუშხუნები იფანტება და ტანში სიხარულის ნაპერწკლებად იღვრება. სროლა ცოტა დაცხრა. სასწრაფო კვლავ შემოდის. ვაჩერებ. დაჭრილები აღარ არიან. „რატომ არ შემოდის ტანკი?“ - ვეკითხები მძღოლს. „არ ვიცი“, - მპასუხობს. ვჯდები. ვიდრე დავიძვრებოდეთ, გია, ჩემი დაცვის წევრი, ამოხტა თხრილიდან. კვლავ სროლა ატყდა. დაიბნა და წინ გვიდგას, მანქანას ეფარება. მძღოლისკენ ვაღებ კარს, ვიწევი, ადგილს ვუთმობ. „ჩქარა!“ - ვუყვირი. მანქანაში შემოხტა, მაგრამ არა ჩემთან, არამედ ჩემს უკან. მე ისევ ჩემს ადგილას ვქანდები. ზუსტად განთავისუფლებულ ადგილას საქარე მინას ტყვია ხვრეტს. ტანკს ეკიპაჟი არ ჰყავს, მხოლოდ მექანიკოსია - შეშინებული ახალგაზრდა. ჩემს დანახვაზე ბიჭები სანგრებიდან ამოდიან, ტანკზე სხდებიან და გზაზე შედიან. სროლა შეწყვეტილია. რაციაში ისმის წესრიგას ხმა: „მოიხსნას ზედმეტი ხალხი“! ვაშაკიძეებს ვავალებ, განალაგონ პოზიციები. თამაზ-წესრიგა ბრუნდება. დეტალებს ჰყვება. მივდივართ შტაბში. ირკვევა, რომ ცხენისწყლის ნახევარი აღებულია, სკოლიდან აფხაზები გადაბარგდნენ მოპირდაპირე მხარეს, ხევის მეორე ფერდობზე. ცაგერიდან ჩასულ ბიჭებს, რომლებიც ყვითელ რაკეტებს ისროდნენ, სკოლამდე ჯერ არ მიუღწევიათ. ლაბრიდან მოდის გიგა გელაშვილი. ძუნწად ჰყვება, როგორ აიღეს ლაბრა. ადგილობრივმა სომეხმა მოვლითი გზით ზურგში ზედ თავზე დააყენა ჩასაფრებულ აფხაზებს. ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოასწრეს. მხოლოდ რამდენიმე კაცმა გაქცევით უშველა თავს. დანარჩენები სანგრებში დარჩნენ. გადარჩენილები ტყვედ აიყვანეს. ბუთხუზმა და გია

ვაშაკიძემ მოგვიანებით ოჩამჩირის ბატალიონის ახალბედები გამოუგზავნეს არტილერისტ ნაურის ხელმძღვანელობით, რათა გამაგრებაში დახმარებოდნენ. შეგვეძლო ზედ კვიტოულის საზღვრებს მივდგომოდით, მაგრამ კარგი პოზიცია ავირჩიეთ. წრიული დაცვა დავაყენეთ, ნაწილობრივ მათი სანგრები გამოვიყენეთ, ნაწილიც ბიჭებმა გათხარეს. მოკლედ, საიმედოდ და კარგად არიან გამაგრებულნი. მსხვერპლი არ არის, დაჭრილია ერთი თუ ორი კაცი. რაც შეეხება სოხუმიდან კვიტოულის დაბომბვას, ტყუილია, ასეთი რამ არ ყოფილა, - გვეუბნება სოფელ ქეთევანადან გამოსული იქაური მცხოვრები. შტაბში ახალი ნომრით მატულობს პოზიცია და საველე კავშირგაბმულობის უჯრედი. თამაზ ჩოგოვაძემ სანიმუშოდ ააწყო საქმე - ყველგან ხმა მიგვიწვდება. დოდო გუგეშაშვილი ახლა ფაქტობრივად შტაბის უფროსის მოვალეობას ასრულებს. ერთ-ერთ წერტილში რაციაზე გვიზის. სულ ახალგაზრდა თბილისელი ქურთის ბიჭი ზურაბი კი აქ, შტაბში მორიგეობს რაციაზე. ხანდახან აფხაზები ასხდებიან ჩვენს ტალღას, ისმენენ ჩვენს საუბრებს. ამ ბოლო დროს გაკვირვებულები ერთიმეორეს ეკითხებიან: „არაა, ნა კაკომ იაზიკე გოვორიატ გრუზინი?“ ეთერში ისმის ქურთული (იეზიდური) ენა.

მერკულიდან შეშფოთებული ხმით გვატყობინებენ: „მაშველი, მაშველი, თავს დაგვესხნენ!“ „ვერ გავიგე, დამშვიდდი და ისე გაიმეორე“. „თავს დაგვესხნენ-მეთქი, მაშველი გვინდა“. „ახლავე ვუშვებ ორ ტანკს. გეყოფათ? ხალხი რამდენი გინდათ?“ - ისე წყნარად დუდუნებს დოდო, თითქოს ბალ-მასკარადზე მიპატიჟებული ცეკვაზე თანხმდება. „არ ვიცი, გავიგებ“. - ისმის მერკულიდან. შეყოვნებაა. რაცია შრიალებს. დაძაბულ მოლოდინში ერთმანეთს შევცქერით. „რა თავდასხმა უნდა იყოს, ახლად გალახულები არიან, - ამბობს ღიმილით დოდო, - რაღაც გაუგებრობაა“... კარგა ხანს ხმას არავინ იღებს. მერე თვითონ დოდო იძახებს: „მეცხრე, მეცხრე“... პასუხი არ არის. „მეცხრე, მეცხრე, მაგნოლია ვარ“. რაღაც ბურტყუნი ისმის. „ჰა, რამდენი კაცი გამოვგზავნო?“ „არა, არაფერი. აქ ვიღაცას სიბნელეში რაღაც მოელანდა და სროლა ატეხა, სხვებიც აჰყვნენ“. - ისმის დარცხვენილი ხმა. ყველანი ვიცინით.

დათო შენგელია დაჭრილია, გალში საოპერაციოდ წაიყვანეს. ჯემალ ქობალია შტაბში ტრიალებს. მიყვება, ბრძოლის დროს როგორ დაკარგა რაცია. ვიცი, სულ ათიოდე კაცი ჰყავდა ჯგუფში, მაგრამ არ ვეპასუხები, მისი აქ ყოფნა მნიშვნელოვანი

პოლიტიკური აქციაა. მოდის თამაზ შონია. მისმა სამურზაყანოს რაზმმა საგრძნობლად წინ წაიწია. ასევე კარგი პოზიციები შეიმატეს ბესლახუბელებმა, სადაც ბრძოლას თვით ბუთხუზა უძღოდა. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ოპერაცია სოხუმის დახმარების გარეშე გამარჯვებით დამთავრდა. ორი დაღუპული და რამდენიმე დაჭრილი მთელ ფრონტზე. ავიღეთ ლაბრა, ცხენისწყლის ნახევარი, გადავიწიეთ ბესლახუბასა და ზემო ოხურეიში. დიდი მსხვერპლი აქვთ აფხაზებს, ავიყვანეთ ტყვეები, ავუფეთქეთ ერთადერთი „ბე-ემ-პე“.

ხვალ დილით ისევ უნდა შევუტიოთ ცაგერადან, ცხენისწყალთან კი გავგზავნოთ საინჟინრო ტექნიკა და გავათხრევინოთ საიმედო სანგრები. მუხლი ისე მაქვს გასივებული, რომ შარვლის გაჭრა მიხდება. ვიდრე დასასვენებლად წავიდოდე, გვიან ღამით, ცხენისწყლიდან ბრუნდებიან გია და კაკო ვაშაკიძეები, ანზორ მარგიანი. მათ მოჰყვა რუსლან მიქაბერიძეც. კაკო ვაშაკიძე გაბრაზებულია: „ამ ადგილობრივებს თავისი საქათმის იქით არ უნდათ წასვლა. ცაგერელები ღამის გასათევად სახლებში დაბრუნდნენ“. ბატალიონ „თბილისელის“ ბიჭები, რომლებიც დღისით შეტევაზე გადავიდნენ, ჯერ არსად ჩანან. გულმა რეჩხი მიყო. გაიელვა შეხნიერებული „თბილისელის“ ბავშვურად გაანცებულმა სახემ. რუსლანი ითხოვს, რომ ცხენისწყალში შესულ მეომრებს საჭმელი გავუგზავნოთ. ტანკს სასწრაფოდ ვტვირთავთ პურითა და კონსერვებით და ვუშვებთ ცხენისწყალში. დილით ადრე კი მაღვიძებენ და მატყობინებენ: ცხენისწყალი მიტოვებულია. ცაგერადან გადასული „თბილისელებიც“ დაბრუნდნენ. გამთენიისას ცაგერაში 8 კაცი დაეღუპათ. „მათი წინამძღოლიც?“ - ვკითხულობ და უკვე ვიცი, რომ ისიც დაღუპულია. აღშფოთებული მივდივარ „თბილისელების“ ყაზარმაში. ვიდრე ეზოში დაეწყობიან, ვინახულე ოთარ ლითანიშვილი. გულის შეტევით წევს. ვურჩევ, წავიდეს თბილისში. მთანხმდება. ეზოში გავდივარ. მოღუშული და დაბნეული „თბილისელები“ ორ მწკრივად დგანან. „რატომ მიატოვეთ პოზიცია? რატომ გამოიქეცით?“ „მა რა გვექნა, ყურადღება არავინ მოგვაქცია“. „რა ყურადღება გინდოდათ, - ვაწყვეტინებ. - მოცარტის ნოქტიურნი დაგვეკრა?“ „საჭმელი არ მოგვიტანეს!“ - შეტევაზე გადმოდის ერთი. „ტყუი!“ „რაღაც კონსერვები?“ „მა, შენ რა, მწვადები

გინდოდა? როგორც ჩამოხვედით, ისევე წაეთრიეთ. არ დაგინახოთ ჩემმა თვალებმა. დღესვე!“ - ვფეთქდები. რიგებში უკმაყოფილო დუდღუნია. „წავალთ, მაშ რას ვიზამთ“, - იქაჩება ისევ ის ერთი. „დასახვრეტები ხართ. მიატოვეთ თქვენი მეგობრები, პოსტი და კურდღლებივით გამოიქეცით. რა, სიბნელის შეგეშინდათ? არ დაგინახოთ ჩემმა თვალებმა!“ შემდეგ რას ვყვირი, აღარ ვიცი. მაწყნარებენ. გონს ვეგები. „მოკლედ, ვისაც ომი არ უნდა, დღესვე დატოვოს ოჩამჩირე!“ - ვასკვნი. არ ვემშვიდობები, ისე გავდივარ ეზოდან იმის შეგრძნებით, რომ ჩემი მოთხოვნა და მათი კეთილი ნება რაღაც საფუძველს არის მოკლებული. ეს ყველაფერი არაბუნებრივად, არადამაჯერებლად გამოიყურება. საღამოს შტაბში მოდიან რუსლან მიქაბერიძე, სიმპათიური სათვალიანი ახალგაზრდა ფიზიკოსი და თემური. მატყობინებენ, რომ ბატალიონ „თბილისელის“ ნახევარმა იარაღი ჩააბარა და წავიდა. ოთარ ლითანიშვილიც საკაცით წაიყვანეს. დარჩენილები წასულების მაგიერ იხდიან ბოდიშს. ადგილზეა აგრეთვე საინჟინრო ჯგუფი ტექნიკით. „ძალიანაც კარგი, - ვამბობ, - წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისა“.

რამდენიმე დღის შემდეგ რუსეთის თვითმფრინავებმა დაბომბეს ოჩამჩირე. სტადიონზე, ჩემი ვერტმფრენიდან ორმოცდაათ მეტრში, ჩამოვარდა ბომბი. მადლობა ღმერთს, ახლომახლო არავინ იყო. ამ საჰაერო თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყვა, მაგრამ ერთ რამეში დაგვარწმუნა: ბოლოს და ბოლოს, რუსებს ვეომებით.

ლაბრაში აყვანილი ორი ტყვის დაკითხვას შევესწარი. ერთი აფხაზია, არაფრით გამორჩეული 30-35 წლის კაცი, არც ჯიუტობს, არც არაფერს ამბობს. მეორე ბოგანო რუსია - საშოვარზე ჩამოსული აფეთქების სპეციალისტი. „თუ ფულს გადამიხდით, თქვენთან ვიომებ“, - ესეც ამას ამბობს, უბრალოდ, თითქოს მზესუმზირას ყიდდეს.

მაინც დიდი ხალხია ეს რუსები. შტაბში შევიდა თბილისიდან ჩამოსული სამი ახალგაზრდა. ციმბირელი კაზაკები არიან. წრიპა, 20-21 წლის ბიჭები. ჯარში მხოლოდ ერთ მათგანს უმსახურია. „ფული არ გვინდა, ჩვენ სარწმუნოებისთვის ჩამოვედით ციმბირიდან. გავიგეთ, რომ ქრისტიანები მუსულმანებს ებრძვით“. გიგა გელაშვილი ესწრება ამ საუბარს. „გიგა, წაიყვან?“ „წავიყვან, კარგი ბიჭები ჩანან“. „ეეხ,

ქართველი ახალგაზრდები თუ წავიდოდნენ ასე საომრად?“ „აქ არ მოდიან, საკუთარი სამშობლოს დასაცავად, და სხვაგან წავიდოდნენ, ისიც, ასეთი მოტივით?!“

გიგას მანქანა არა აქვს. დარბის ბიჭი ხან სატვირთოთი, ხან ფეხით, ხან ტრაქტორით, ხან რით და ხან რით, ლაბრა-კინდღის ფერმები, ოჩამჩირე! არადა, ოჩამჩირის ცენტრში ჯგროდ იკრიბებიან ჯან-ღონით სავსე ადგილობრივი მამაკაცები. ბევრ მათგანს მანქანაც ჰყავს და არც ომში იღებს მონაწილეობას, თითქოს ეს მათ არ ეხებათ. ვეუბნები ხუტა გუგუჩიას, ოჩამჩირის გამგებელს: „სადაც გინდათ, იშოვეთ ერთი მანქანა. ომი არ უნდათ? წაასხით, სიმინდი მაინც მოკრიფონ, ჩალა დაამზადონ. მაგათთვისაც კარგია და ჩვენთვისაც - დივერსიებს, გზებზე თავდასხმებს მეტწილად მიტოვებული ყანებიდან გვიწყობენ. გია გოგოლაშვილი - ოჩამჩირის მილიციის უფროსი და ბუთხუზა მარწმუნებენ, რომ აფხაზები ძალიან ცუდ დღეში არიან. საჭმელ-სასმელი არა აქვთ, ტყვია-წამალიც უთავდებათ, ომის მოგების იმედიც დაკარგეს. გვამების გადაცემის დროს შეხვდნენ მათ ხელმძღვანელებს და ასეთი დასკვნები გამოიტანეს. მოსახლეობას ხომ სული კბილით უჭირავს - გაქცევა უნდათ. სამხედროები გუდაუთელებს აგინებენ: „ჩვენ აქ ამოვწყდით და ისინი იქ ომს ვერც კი გრძნობენო“. ერთი სიტყვით, კარგი მომენტია მოლაპარაკების დასაწყებად. მე გადავწყვიტე, პროკლამაციები გავავრცელო. შინაარსი მარტივი და ქმედითია. მოვუწოდებ, შეწყვიტონ წინააღმდეგობა. ამ პატარა მოწოდებით, რომელსაც ოფიციალური საბუთის ძალა ექნება - ჩემი ფაქსიმილეთი, გარანტირებულია ყველას ხელშეუხებლობა. ასევე ,ჩააბარონ იარაღი მილიციის განყოფილებებში. იმასაც ვწერ, რომ ეს ომი უაზრო და დამღუპველია ორივე ძმისთვის. მაინც იდეალისტი ვარ. მიუხედავად არასახარბიელო მდგომარეობისა, არც პარლამენტი და არც შევარდნაძე ამაზე სერიოზულად არ ფიქრობენ - ურაპატრიოტობენ.

ახალი წლის კვირაძალია. ტყვეებს შორის არის აფხაზი პოეტი ახუბა. იგი ლაბრაში აიყვანეს. მოვაყვანინე მილიციიდან. მაინტერესებს, რას ფიქრობს ამ ომზე, მომავალზე, რისი იმედი აქვთ. მოჰყავთ. ვსაუბრობთ, ვაკითხებ მოწოდებას. თითქოს ყველაფერში მეთანხმება, ვულოცავ ახალ წელს და ვათავისუფლებ. როგორც თვითონ მოისურვა, ბიჭებმა გაიყვანეს ბესლახუბასთან და წავიდა.

ახალ, 1993 წელს, დათო შენგელიას სახლში ვხვდები. დათო უკვე ფეხზეა ოპერაციის შემდეგ. ვიწრო მეგობრული წრეა. ღამის ორ საათზე შამპანურებით გავდივართ პოზიციებზე. აფხაზებისა და ჩვენი მხრიდანაც სალუტები ისმის. ვილოცებით და ერთმანეთს ვუსურვებთ გამარჯვებას, ომის მალე დამთავრებას.

გენერალი კამკამიძე უკვე ჩვენს ჯარშია. ამ დღეებში, ალბათ, ოჩამჩირეშიც ჩამოვა. თავდაცვის სამინისტროდან შტაბის ოფიცრები გვემატებიან. რაღაც იმედია - პროფესიული პრაფორმა მაინც მოქმედებს მეომარზე, რაღაც წვრილმანი დიდი საქმისკენ უბიძგებს შთაბეჭდილებიან ადამიანს. ჩემი აქ არყოფნისას კიდევ ერთი საწყენი ამბავი მოხდა. ჩამოვიდა ავთო იოსელიანი - წესიერი და კარგი ვაჟკაცი. თავის დროზე დათო გადრანთან ერთად მხედრიონში აპირებდა შემოსვლას, მერე კუთხურობამ წასძლია და დილარ ხაბულიანის სვანური საძმოს წევრი გახდა. ცოტა ხანს ზვიადისტებთანაც იყო, მაგრამ მისმა სიმართლისმოყვარულმა ბუნებამ ვერ გაძლო სიცრუის ატმოსფეროში. ახლა აქ იყო, ჩვენთან, მხედრიონთან ერთად საომრად ჩამოვიდა. პოზიციიდან შტაბში შემოუვლია, მგონი, ანზორ მარგიანს ეძებდა. მეომრებით სავსე კომენდანტის ოთახში უცებ „ლიმონკა“ დავარდნილა, წამსვე ზედ დახტომია და აფეთქება ტანით დაუფარავს. ყველა გადარჩა, ავთო კი დაიღუპა.

ჩამოდის გენერალი კამკამიძე. მას შეხვდნენ გია ვაშაკიძე და სამხედრო ჩინები. ათვალიერებს შტაბს, ატარებს თათბირს, გავიდა ორ პოზიციაზე. დაბალი კაცია, სამხედრო კატეგორიულობით ლაპარაკობს, არ მოსწონს ჩვენი შტაბის სამყოფელი - უსაფრთხოების თვალსაზრისით გამოსაჩენ ადგილად მიაჩნია. მართალიცაა, მაგრამ ახალ ადგილს ახალი კომუნიკაციები ესაჭიროება. ჩვენი მწირი მატერიალური შესაძლებლობები გვიკარნახებდა უკვე არსებული კომუნიკაციების გამოყენებით დავკმაყოფილებულიყავით. ჩვენს შორიახლოს, ერთსართულიან პატარა შენობაში, აფუძნებს მეორე შტაბს. „ო-კოპატსა!“ - გაიძახის და ჩვენი უცერემონიო, მეგობრული ურთიერთობები უდისციპლინობად მიაჩნია: „ხოდიატ ტუტ ვ ბურკახ, ცელუიუტსა“... ბიჭები იცინიან: „ამას გამოთაყვანებული რუსის ჯარისკაცები ვგონივართ“. მე კონფიდენციალურად ვესაუბრე მას. ვუთხარი, ჩვენ იმიტომ მოვიწვიეთ, რომ მდგომარეობის გაცნობის

შემდეგ სამხედრო მინისტრად დავნიშნოთ. არ ვიცი, რაზე ილაპარაკეს მან და შევარდნაძემ. მე კი, ჩემი მხრიდან, ყოველგვარ დახმარებას აღმოვუჩენ და მხარში ამოვუდგები. ჩემს შეპირებას დიდ ყურადღებას არ აქცევს, თავდაცვის სამინისტროში არსებულ ძალთა ბალანსირების გეგმები უფრო აინტერესებს. ალბათ, უმაგისობაც არ ივარგებს. სამინისტროში დიდად აღფრთოვანებული არ არიან მისი მოსვლით. თენგიზ კიტოვანი თავის დამოკიდებულებას არ ამჟღავნებს - ჩამოვიყვანეთ სპეციალისტი, სარდლად დავნიშნეთ და ახლა ფრონტს მოუაროს. გია ყარყარაშვილი უფრო აგრესიულად და ეჭვით ხვდება კამკამიძის გამოჩენას. ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ გამოთქვა უარყოფითი დამოკიდებულება: რუსი გენერალი რომ არ ჩამოეყვანათ, ქართველები არ გვყავსო? კიტოვანის ოფიციალური მდგომარეობა ორაზროვანია - შევარდნაძეს არც მისი და არც სხვა კანდიდატურა არ გამოაქვს პარლამენტზე დასამტკიცებლად. არ ჩქარობს. როგორც ყოველთვის, მომენტს ელოდება. არადა, თენგიზი მინისტრად არავის დაუნიშნავს! იყო სამხედრო საბჭოს წევრ-ხელმძღვანელი, შემდეგ - სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და, ამავე დროს, გვარდიის უფროსი. ახლა გვარდია თითქოს თავისთავად გია ყარყარაშვილს გადაებარა. თენგიზი კი თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებას უნდება, მაგრამ სამინისტროს ჯარისკაცი არ ჰყავს, წვევამდელების საკითხი ვერ გვარდება, არც სამხედრო უწყების დოქტრინაა. მართალია, ავთანდილ ცქიტიშვილმა დასამტკიცებლად მოიტანა რაღაც ამერიკულ-ფინური მოდელი, სადაც სავალდებულო არ არის, მინისტრი მაინცდამაინც სამხედრო პირი იყოს, მაგრამ ეს იყო სამხედრო საბჭოს დროს. ახლა შევარდნაძის და პარლამენტის გარეშე ეს არ დამტკიცდება. ამიტომაც შევარდნაძე არ ჩქარობს, პარლამენტში ძალას იკრებს. წუწუნებს, რომ სახელმწიფო მეთაურს საკმაო ძალაუფლება არა აქვს, რომ თავისი ჭკუით არ შეუძლია დანიშნოს და გაათავისუფლოს თანამდებობის პირები. პრესა დაუნდობლად გვლანძღავს, განსაკუთრებით - შევარდნაძეს. არის კარიკატურები, მისი წარსულის ეპიზოდები. ჩემთან ჩივის, გაზეთებს აღარ ვკითხულობ. კაცი თავს აკლავ, რაღაცით მაინც ხომ უნდა დაგიფასონო. მართლაც, დღედაღამ მუშაობს, სიცხიანიც სამსახურში დადის. თათბირების სისტემა აღადგინა, დღეში ოთხ-ხუთ, ხანდახან შვიდ თათბირს ატარებს. აქტივისტების, გამგებლების, სამართალდამცავი ორგანოების შეკრებებს აწყობს. მე

დემონსტრაციულად არ ვესწრები. პრეზიდიუმში ჯდომა და სიყალბის გარემოცვაში ყოფნა ისევ აღადგენს იმ კომუნისტურ მმართველობას, სადაც სიცრუისა და მაამებლობის, გამოთაყვანების, ფსევდო-დიდაქტიკოსობის ვითარებაა გამეფებული. ხანდახან სიტყვას ჩამოაგდებს თავისი წასვლის შესახებ. არ ვიცი, მცდის თუ გამხნევება სჭირდება. მე, რასაც ვფიქრობ, იმას ვეუბნები: „ახლა თქვენი წასვლა ღალატია“. ჭეშმარიტი რეფორმები არ მიმდინარეობს, მიწის რეფორმა შეჩერდა. კარგი გასამართლებელი ფორმულა მოინახა: არ არის სამართლებრივი ბაზა, კანონი და ასე შემდეგ. ჰოდა, მიიღე, რაღას აჭიანურებ?!

პარლამენტი რაღაც დადგენილებებს ამტკიცებს სამეურნეო პრობლემასთან დაკავშირებით. შევარდნაძეც რაღაც ბრძანებულებებს და დადგენილებებს უშვებს პრივატიზაციის შესახებ, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ან პოლიტიკური ზომებია, ან კიდევ უარესი - სოციალისტური მსოფლმხედველობის ნაყოფი. „გაძარცვეს ქვეყანა, - ამბობს შევარდნაძე. - მსხვილი მეურნეობების დაშლა არ იყო გამართლებული. ყველაფერი დაიტაცეს“. „ასე იყო კოლექტივიზაციის დროსაც. როცა მეპატრონე იცვლება, ეს ბუნებრივი მოვლენაა, - ვეპაექრები. - სამინისტროები გასაუქმებელია. ყველაფერი პარლამენტის კომისიებმა განკარგონ. ბიუროკრატები საკუთარ თავს არ გაიუქმებენ“. „ჯერ ადრეა, ჯერ ნიადაგი უნდა მომზადდეს“, - გაიძახის ის. მე კვლავ რეპრესიული ორგანოების რეფორმაზე, პროკურატურის გაუქმებაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალ-ცალკე, დამოუკიდებელ დეპარტამენტებად დაშლაზე ველაპარაკები, ის კი ახალ რეპრესიულ სტრუქტურას - კონტროლის პალატას ქმნის. მახსენდება ძველების შეგონება, რომ ყოველგვარი რევოლუცია მხოლოდ და მხოლოდ ტერმინების ცვლაა და მეტი არაფერი.

პოპულისტური ღონისძიებაა ჩვენი საბრუნავი ერთეულის - ვალუტის ერზაცის, კუპონის შემოღება. იგი რუსული რუბლის კონკურენციას ვერ გაუძლებს, დოლარზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. განა მოხდება ქვეყნის უძრავ-მოძრავი ქონების, კაპიტალის რეალური ინვენტარიზაცია?! ყველაფერ ამას ჩაჯდომა უნდა, ასე ზედაპირული ფრაზებით აპელირება არაფერს მოიტანს. ეს მესმის, მაგრამ მაინც ვლაპარაკობ იმის იმედით, რომ სპეციალისტები ჩაუკვირდებიან, თუმცა, მე მათთვის ავტორიტეტი არა ვარ. საუბედუროდ,

ადამიანებისთვის მთავარია ვინ ლაპარაკობს და არა - რას ლაპარაკობს.

მაშველთა კორპუსის საკითხიც ჰაერშია გამოკიდებული. შენობა არ არის. ბიჭებს ძალადობაზე არ ვუშვებ, თორემ ამდენ ხანს რამეს იშოვნიდნენ. არც სტრუქტურა დაუმტკიცებია მინისტრთა კაბინეტს. თენგიზ სიგუა ისევ ჩვენებს აბრალებს - საბუთები არ მოაქვთო. ცრუობს.

მერაბ ალექსიძემ შემომიარა და დელიკატურად, ვითომც სხვათა შორის, წასაკითხად მომიტანა მაკიაველის ტრაქტატი „ხელმწიფე“. რამდენიმე ადგილი ნოტაბენეთი აღუნიშნავს. ვიცი, ჩემო მერაბ, რაც გაწუხებს: „ვინც სხვისი ძალაუფლების განმტკიცებას უწყობს ხელს თავისი ჭკუითა და ძალით - საკუთარ სამარეს ითხრის, რადგანაც ეს ჭკუა და ძალა აფრთხობს და უნდობლობას იწვევს მასში, ვისაც ეხმარები“. გასაგებია, ხოლო ამჯერად, ვფიქრობ, ძალაუფლების ამ პოსტულატის ამოქმედება არ უნდა დადგეს დღის წესრიგში. მე ხომ ხელისუფლებისკენ არ ვილტვი, მე ჩემი ადგილი მიზანდასახულად დავუთმე იმას, ვინც, მგონია, უკეთ მოუვლის საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის საქმეს. და თუ ეს სტანდარტული ვითარება მაინც წამოიჭრა, მე წავალ. ჩემი ცხოვრების დევიზია: არასოდეს ვიყო იქ, სადაც საჭირო არა ვარ, სადაც არ ვუნდივარ.

მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ რუსები უკვე მთავრობის დონეზე გვეომებიან. თვითმფრინავებით სოხუმის და ოჩამჩირის დაბომბვის ფაქტები გავრცელდა საინფორმაციო საშუალებებით. შევარდნაძე ერიდება პირდაპირ დადანაშაულებას. სამაგიეროდ, მე ყველა უცხოელ კორესპონდენტს ვუსაბუთებ რუსეთის აგრესიას, თანაც, მასხრად ვიგდებ ოფიციალური პირების თავის მართლების გამოკოპიტებულ განცხადებებს, თუნდაც ისეთს, როგორიც ტელევიზიით გააკეთა თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა: „ქართველები თავიანთ თვითმფრინავებს ჩვენი ავიაციის ფერად ღებავენ და თვითონ ბომბავენ საკუთარ სოფლებსო“. გასაქარწყლებლად რუსეთის მთავრობა დიპლომატიურ აქციას მიმართავს და ჩვენთან იწყებს მოლაპარაკებას აფხაზეთის კონფლიქტის ირგვლივ. ამ სამშვიდობო კამუფლაჟის გარდა, მათ სხვა კონკრეტული მიზანიც ამოქმედებთ. ოჩამჩირისა და, განსაკუთრებით, ტყვარჩელის რაიონებში საგანგაშო

მდგომარეობაა. პროდუქტი, საომარი მასალა და ცოცხალი ძალა ვეღარ შედის. სამხედრო წარმატებებიც აღარა აქვთ. აფხაზები მარტონი რჩებიან და სასოწარკვეთის პირას დგანან. რუსებს სურთ, ეგრეთ წოდებული ჰუმანიტარული დახმარების სახელით იქ შეიტანონ პროვიანტი - გახსნან საავტომობილო და საჰაერო გზა. ახლა კარგი მომენტია სერიოზული მოლაპარაკების დასაწყებად. შევარდნაძე კვლავ თავს არიდებს პრეზიდენტ ელცინთან შეხვედრას. ჩემი დაჟინებული რჩევის საპასუხოდ, გაღიზიანებული მეუბნება: „ასე ხომ არ შეიძლება, შეხვედრა უნდა მომზადდეს, მარტო ჩემზე არ არის დამოკიდებული“... მე ისევ ზვიად გამსახურდიას მაგალითს ვიხსენებ: „თქვენ თავი არ უნდა დაიმციროთ და მოსკოვში არ უნდა წახვიდეთ, - უკიჟინებდა მისი მლიქვნელი გარემოცვა. წავალ კი არა, დავიჩოქებ, ოღონდ საქართველოს რამე ეშველოს“, - ვამძაფრებ მომენტის მნიშვნელობისთვის ჩემს დამოკიდებულებას. „რამდენჯერ დავრეკე - ვერ დავიჭირე. ორი საათის შემდეგ სვამს“, - მწარედ იღიმება შევარდნაძე. მე კი ეჭვი მაქვს: იგი ისევ იმ იმედითაა, რომ ჩვენ შევძლებთ „ღირსეულად დავამთავროთ ომი“. ამის გაკეთებას აპირებს კამკამიძის საშუალებით. სოჭში მოლაპარაკებაზე გვგზავნის ჩვენ - სიგუას, კიტოვანს და მე. წინასწარ იცის, რომ აქედან არაფერი გამოვა. დელეგაციის თავმჯდომარედ, რასაკვირველია, თენგიზ სიგუას ნიშნავს. ეს პრესტიჟულია - პრემიერ-მინისტრი! რუსეთის მხრიდან არიან: თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი და საგანგებო სიტუაციების მინისტრის მოადგილე ვორობიოვი. ჩვენთან მოდიან საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის, მიხეილ უკლებას ხელმძღვანელობით და რუსეთის მხრიდან - საგანგებო დავალებათა ელჩი კოვალიოვი. გრაჩოვი ხეპრე, მაგრამ საკმაოდ ვირეშმაკა პოლიტიკოსი გამოდგა. პაექრობა გაიმართა ეშერის ლაბორატორიის გადატანის ირგვლივ, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და ჰუმანიტარული დახმარების ბლოკირების თაობაზე. ჩვენ შევცდით - ჩვენთვის გამოყოფილ სალონში გულახდილი თათბირი გვქონდა, რასაც თურმე ჩვენი მასპინძლები ფარული ტექნიკით იწერდნენ. იყო ცალკე გაყვან-გამოყვანები. ვორობიოვი ნამუსზე მაგდებს: როგორ, თქვენ ჰუმანიტარული დახმარების გატარების წინააღმდეგი ხართ? თქვენ ხომ მაშველთა კორპუსი ხართ, ჩვენი კოლეგები, ჩვენი

ფუნქცია მშვიდობიანი ხალხის დახმარებაა“. „რასაკვირველია, - ვპასუხობ, - მაგრამ დახმარება არა ავტომატებითა და ტყვია-წამლით, რომელიც პურის ფქვილშია შერეული“. კონფიდენციალური საუბრები შედგა თენგიზ კიტოვანსა და პაველ გრაჩოვს შორის, რის შემდეგაც ჩვენს წრეში კიტოვანი რაღაცაში ბრალს დებდა შევარდნაძეს და ამის თაობაზე ჟურნალისტსაც მისცა ინტერვიუ. ორდღიანი შეხვედრა უშგედეგოდ დამთავრდა.

საქმეს ისე ეტყობა, რომ შევარდნაძე ამზადებს კიტოვანის მოხსნის საკითხს. პარლამენტმა დამატებითი უფლებები მიანიჭა სახელმწიფო მეთაურს, მათ შორის: ყველა რანგის თანამდებობის პირის მოხსნისა და დანიშვნის ერთპიროვნული უფლება, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის სათანადო ბრძანებულებების, განკარგულებებისა და დადგენილებების მიღება, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება - ყველაფერი ეს და სხვა მრავალი, ერთი შეხედვით, წვრილმანი ვალდებულებები, შეერთებული ძველი ძალოვანი სტრუქტურების, სასამართლოს, პროკურატურის ტოტალიტარულ სისტემებთან, მათ კონტროლთან და პლუს შევარდნაძის საერთაშორისო ავტორიტეტი დიქტატურის უკიდურესი ფორმაა და მეტი არაფერი. თვით შევარდნაძე ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთ ფარისევლურ შეგონებას გამოთქვამს: „თუ დიქტატურა გინდათ, სხვა ვინმე იპოვეთ, მე ამისათვის არ გამოვდგები“. და იქვე კიდევ რაღაც დამატებითი უფლებების ნუსხა შეაქვს სახელმწიფო მეთაურის კომპეტენციაში. პარლამენტში გამოვდივარ ასეთი უკონტროლო ძალაუფლების ერთი კაცისთვის (ვინც უნდა იყოს იგი) გადაცემის წინააღმდეგ. მართალია, არ ვამბობ, რომ ეს დიქტატურაა, არამედ ვარბილებ და ამას შევარდნაძის პრინციპს ვუწოდებ. თუმცა, ჩემი გამოსვლის პათოსი საგანგაშოა. აკაკი ასათიანი, აწ უკვე ტრადიციონალისტთა კავშირის ლიდერი, იმის მაგივრად, რომ მხარი დამიჭიროს, ან გარკვევით გამოხატოს თავისი პოზიცია, საკუთარ შკოლარულ ერუდირებას უსვამს ხაზს და შემწყნარებლური ტონით ამბობს: „ჰო, არის სახელმწიფო მმართველობის ასეთი ფორმა - პრინციპი, ძველ რომში იყო...“ მახსენდება მისი სიტყვა დაშლის პირას მისულ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე. პოლიტიკაში გემოვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს - ეს აღნიშნა ვაცლავ ჰაველმა, ყოფილმა დისიდენტმა და ახლა

ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა. იგი პროფესიით დრამატურგია და პოლიტიკის ამ მხარეს ალბათ ამიტომ მიაქცია ყურადღება. აი, აკაკი ასათიანს რომ გემოვნება ჰქონოდა, მისი გამოსვლა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ისტორიულად ჩაითვლებოდა: საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელთა შორის მან პირველმა მიმართა აუდიტორიას დამოუკიდებელი ფორმით: თავისი სიტყვა დაიწყო არა „ამხანაგებო“ -თი, არამედ ასე: „ქალბატონებო და ბატონებო“. მაგრამ შემდეგ სწორედ გემოვნებამ უმტყუნა და მოისურვა პოლიტიკური გეოგრაფიის ელემენტარული ცოდნით გაეკვირვებინა დამსწრე საზოგადოება. კანადის პროვინციის კვებეკის არსებობის შესახებ ისეთივე შემწყნარებლური ტონით აუწყა დეპუტატებს, როგორც ჩემს შემთხვევაში, რამაც დარბაზში ნიშნის მოგების სარკასტული სიცილი გამოიწვია და მთელ მის გამოსვლას მნიშვნელობა დაუკარგა. პარლამენტში დისონანსად აჟღერებული ჩემი მოკლე გამოსვლა ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მხარი დამიჭირეს მხოლოდ მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრმა ხავთასმა და თამრიკო ჩხეიძემ. მაშასადამე, დანარჩენებს მიაჩნიათ, რომ ახლა, ამ არეულ დროს, ასეთი მაღალი მომთხოვნელობა საჭირო არ არის, მით უმეტეს, რომ ჩემთვის ხელსაყრელია გაჩუმება. შევარდნაძე ხომ უჩემოდ არაფერს გადაწყვეტს. ის კი არა, სახლში ცოლმა მისაყვედურა, შევარდნაძის წინააღმდეგ შენი გამოსვლა არ არის ლამაზიო. „ხალხო, გაიგეთ, - ვფეთქდები მე, - დიქტატურა დიქტატურაა, ვინც გინდა იყოს პიროვნება. დიქტატურა კი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის კიბოზე უარესია!“

ერთი ლუიზა შაკიაშვილი მეკითხება ჭკუას: „რა ვქნა, საჯაროდ არ გამოვიდე? ისევ ძველებურად მიერეკება!“ „ჯერ არ გინდა, - ვეუბნები, - თუ მაინცდამაინც, ცალკე ელაპარაკე, ხალხში ნურაფერს ეტყვი“.

კიტოვანი ჩივის: „რას აკეთებს, ჩემს მოადგილეებს სათითაოდ იბარებს და კბილს უსინჯავს, ჩემს წინააღმდეგ განაწყობს“... ვიდრე რამე უბედურება ატყდება, მინდა, უმტკივნეულოდ მოგვარდეს ეს საკითხი. კიტოვანი, რა თქმა უნდა, თავდაცვის მინისტრი აღარ უნდა იყოს, მაგრამ ხელისუფლებიდან მისი მთლიანად ჩამოცილება არც სამართლიანი იქნება და კარგს არაფერს მოიტანს. სხვა თუ არაფერი, მას ბევრი გულშემატკივარი და მომხრე ჰყავს. გადავწყვიტე, ვიკისრო ამ

საქმის მოგვარება. ამის თაობაზე უკვე ვესაუბრე შევარდნაძეს. ახლა ხელმეორედ ვთავაზობ ჩემს გეგმას: თენგიზ კიტოვანი გადავიყვანოთ ვიცე-პრემიერად, რომელიც კურირებას გაუწევს თავდაცვის სამინისტროსა და მაშველთა კორპუსს. ვფიქრობ, ამაზე კიტოვანს დავიყაბულებ. ამჯერად შევარდნაძე მთანხმდება. კიტოვანს ვიბარებ სიგუასთან. სამნი ვართ. ყველაფერს გულღიად ვეუბნები. სიგუა მხოლოდ მისმენს. არც კიტოვანი იჩენს საწინააღმდეგო განწყობას, შიგადაშიგ შევარდნაძეზე ძვირს ჩართავს. ახლა შევარდნაძის დაცვის დრო არ არის - რაღაც-რაღაცეებზე ყურს ვიყრუებ, რაღაცეებს კი მართალს ამბობს. დიდხანს მიხდება ლაპარაკი. საბოლოოდ მთანხმდება. მანქანამდე მაცილებს, მეგობრულად ვეხვევით ერთმანეთს. გახარებული მოვდივარ, კიტოვანით მადლიერი, რომ ყველაფერმა ასე იოლად ჩაიარა. ვურეკავ შევარდნაძეს, ვატყობინებ: „ყველაფერი რიგზეა. კიტოვანი ელოდება თქვენს ზარს. შეხვდით და დეტალებზე მოილაპარაკებთ. თუ მოისურვებთ, მეც დავესწრები თქვენს საუბარს. დღესვე დაურეკეთ - თქვენს ზარს ელოდება“. მადლობას მიხდის და ყურმილს ჰკიდებს. გადის ერთი, ორი, სამი დღე - ამ საკითხის თაობაზე კიტოვანთან არავინ რეკავს. არც შევარდნაძე უკავშირდება. შემდეგ კიტოვანი საზღვარგარეთ, მგონი, ბრიუსელში მიემგზავრება სამხედრო მინისტრების რაღაც შეკრებაზე. იქ მას გრაჩოვი ხვდება. რამდენიმე დღეს ერთად ატარებენ. თბილისში სხვა ჭკუაზე ჩამოდის. აწყობს პრესკონფერენციას. დამოუკიდებელ პოლიტიკურ შეხედულებებს აცხადებს. შევარდნაძეზე აგდებულად ლაპარაკობს. ჩემი მცდელობა, მშვიდობიანად მოგვარებულიყო თავდაცვის სამინისტროს საკითხი, ფუჭი გამოდგა.

კამკამიძის მიერ თავდაცვის სამინისტროში მომზადებული შეტევის გეგმა ტყვარჩელის მიმართულებით ჩემი ძველი გეგმის განახლებული ვარიანტია: ერთდროული დარტყმა ყოველი მხრიდან, ყველა პოზიციაზე. ეს ვარაუდი გათვლილია იმაზე, რომ აფხაზები ერთდროულად ყველა პოზიციას ვერ დაიცავენ, ხალხი არ ეყოფათ, სადღაც გარღვევა იქნება და იქიდან დავიწყებთ მთავარ იერიშს ტყვარჩელზე. სოხუმიდან წამოსული ძალის (ყარყარაშვილის მეთაურობით) ამოცანა ისევ კვიტოული-ჯგერდას აღებით შემოიფარგლება, რადგან ახლა ლაბრა ჩვენია. ოჩამჩირის მხრიდან ბრძოლებს უხელმძღვანელებს გია ვაშაკიძე. ამ გენერალურ შეტევაში

ჩართული იქნება ავიაცია, არტილერია, ტექნიკა. ეს ყველაფერი რუკებსა და ქაღალდებზე დახაზული, შეთანხმებული და დამტკიცებულია, მაგრამ მიფუჩეჩებულია მთავარი საკითხი - ვინ უნდა იყვნენ მეომრები. მეუბნებიან, რომ გია ყარყარაშვილს ჰყავს ათასამდე ჯარისკაცი. ვინტერესდები. ესენი არიან ყოფილი გვარდიელები, თვით გიას მეგობრები - „თეთრი არწივის“ წევრები და ქალაქში მოხალისედ აკრეფილი უბნის ბიჭები. უმცროსი მეთაურები საერთოდ არ არსებობენ. გია ვაშაკიძე მირეკავს: „თუ თბილისის მხედრიონი არ ჩამოვა, აქ თავი ვერაფერს მოებმება“.

პარლამენტში თავდაცვის სამინისტროს ირგვლივ მსჯელობენ. გარკვევით არავინ არაფერს ამბობს - ზოგადი ფრაზები, აფხაზეთში აქტიური საომარი მოქმედების დაწყების მოთხოვნა. თვით კიტოვანი ანგარიშს ადგენს, თუ რამდენი ფული დაიხარჯა ტყვია-წამლის შოვნაში. გამოდის კამკამიძე. ბოდიშს იხდის, რომ რუსულად მოუხდება ლაპარაკი. იგი უკვე მთავარსარდალია. ეხება მინისტრის თანამდებობის საკითხს. მიაჩნია, რომ მინისტრი აუცილებლად უნდა იყოს პოლიტიკური მოღვაწე. და ვინაიდან მას ამის პრეტენზია არა აქვს, უპრიანია კიტოვანი დარჩეს თავის ადგილზე. „შეაშინეს“, - მეუბნება დერეფანში შეხვედრილი შევარდნაძე.

ვკრებ თბილისში შემორჩენილ მხედრიონს. ერთი თვითმფრინავი - ას სამოცდაათ კაცზე მეტი შეგროვდა. მაცილებს ჩემი პატარა ჯაბა იოსელიანი, პაწაწკინტელა სათამაშო ავტომატით ხელში. თვითმფრინავში პირველადაა. ბიჭები შემოდიან სერიოზული სახეებით, შეიარაღებულები, დაჯავშნულები. ირგვლივ ქალის ჭაჭანება არ არის. ბავშვი გაოგნებულია, ეძებს ნაცნობ სახეებს, ვერ პოულობს და იწყებს ტირილს: „ბებია მინდა“, - თან ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის. „აიტ! შე გლახა! აკი ომში მოდიოდი!“ ვცდილობ, მდგომარეობიდან გამოვიყვანო, ის კი ტირილს უმატებს. „შეგვარცხვინე, ხომ?“ - ეუბნება მამამისი და თვითმფრინავიდან გაჰყავს, გამცილებელ ქალებს გადასცემს დასაწყნარებლად.

ახლა ოჩამჩირეში ორი შტაბია: კამკამიძის მთავარი შტაბი და მხედრიონის, უკეთ, 24-ე ბრიგადის შტაბი. კამკამიძე გარშემორტყმულია სამხედრო ჩინებით. კორპუსის უფროსის მოადგილე ზაურ უჩაძე დიდი ხანია ჩვენთან, მხედრიონთან

ერთად ომობს. მორჩილი ტანის გენერალია. მისი კოდური სახელია „გოლიათი“. ამ დროს გია ვაშაკიძე, რომლის კოდური სახელია „ძმა“, როცა მასთან დგას ეს მართლაც გოლიათი, უჩაძის შემხედვარეს გვეღიმება. აქვეა 24-ე შტაბის უფროსი გურამ ნიკოლაიშვილი - კარიერისტულ სივრცეში ნელ-ნელა, მაგრამ მიზანდასახულად მოცურავე, თვალის დაუხამხამებლად სიცრუის მთქმელი. ცალკე - დამრტყმელი მხედრიონის რაზმის შტაბის უფროსი დოდო გუგეშაშვილი, კოდური სახელწოდებით „მაგნოლია“.

იწყება მზადება. კამკამიძეს ამოჩემებული აქვს ბრძანება: „ო-კო-პატ-სა!“ შევარდნაძემ რომ მითხრა, შეაშინესო, მგონი მართალია. ყარყარაშვილის თანაშემწეს, გია ახობაძეს რაღაც არაბუნებრივად ექლესება. მიხვდა, რომ აქ სხვა სიტუაციაა - ეს რუსის ჯარი არ არის. მატერიალურ-ტექნიკური დახმარების აღმოსაჩენად და ამ პრობლემების ოპერატიულად გადასაწყვეტად შევარდნაძემ ოჩამჩირე-სოხუმში გამოუშვა პირველი ვიცე-პრემიერი ზურაბ კერვალიშვილი და სხვა სამეურნეო დარგის მუშაკები. რამდენიმე დღის შემდეგ თვითონაც ჩამოდის. ერთ დღეს ოჩამჩირეშია, ხვდება მეომრებს, მოსახლეობას, საერთო სასადილოში ჩვენთან ერთად სადილობს. გვიან საღამოს კი ავტოტრასით სოხუმში მიდის. მას მიჰყვება ერთი ტანკი, ერთი „ბეემპე“ და ათი შეიარაღებული მსუბუქი მანქანა. გზაში ხვდებიან გიგა გელაშვილი და დათო შონია თავიანთი მეომრებით. ასე რომ, უსაფრთხოება გარანტირებულია.

იკრიბება სამხედრო საბჭო. სოხუმიდან ჩამოდის გენერალი დათუაშვილი. მას მკაცრად ვახსენებ ჩვენს ამასწინანდელ შეთანხმებას, რომელიც არ შესრულდა. მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობს, რაღაც მიზეზებს ასახელებს. უმიზეზოდ არაფერი ხდება. ეს მე ჯერ კიდევ რვა წლისამ ვუთხარი მამაჩემს. ვაფრთხილებ, არ გამეორდეს, რბილად რომ ვთქვათ, სიტყვის გატეხა, თორემ დამნაშავეებს საველე სასამართლოს გადავცემ. თუმცა, რომელი საველე სასამართლოთი ვემუქრები, არარსებულით?!

როგორც ვიცი, ასეა, ყოველ შემთხვევაში, არ გამიგია, რომ ვინმე გაესამართლებინოთ. ინიშნება შეტევის თარიღი. გია ვაშაკიძე ითხოვს, ერთი დღით გადავიტანოთ, რადგან იგი მზად არ არის, არა აქვს საკმარისი ტყვია-წამალი. კამკამიძე არაფრით არ

თანხმდება. გია მის რუსულ ლაპარაკს ვერ იგებს: „მაშ, შენ რა, ღალატობ შენს ამხანაგს გია ყარყარაშვილს, ის დაიწყებს და შენ მეორე დღეს შეუერთდები? არავითარ შემთხვევაში! ტყვია-წამალზე ადრე უნდა გეფიქრა!“ - ყვირის ის. „რა უნდა? - თვალებს ბლიტავს გია. რუსული ხეირიანად არ ესმის. - რას ყვირის?“ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ვერევი ცალმხრივ კამათში. გიას მამაშვილურად ვუწყრები. შემდეგ გიამ კამკამიძეს მოუგონა ანეკდოტი: კამკამიძე ჩამოდის ოჩამჩირეში. გაიძახის: „ო-კო-პატ-სა! ო-კო-პატ-სა!“ მერე ბიჭებს ეკითხება: როგორ არის საქმე, ტყვია-წამალი გაქვთ?“ - გამოდის ერთი გამხდარი, ადგილზე მოფარფატე და პასუხობს: „ტყვია კი გვაქვს, მაგრამ წამალი...“ (იგულისხმება ნარკოტიკული საშუალება).

თავდაცვის სამინისტრომ საიერიშოდ გამოგზავნა სამხედრო პოლიცია გია უჩავას ხელმძღვანელობით - 400 კაცი, სოხუმიდან ავღანელები - 80 კაცი გურამ ჯანიაშვილის მეთაურობით. გათენდა შეტევის დილა. ქუთაისიდან ავიაციის თავდასხმა 9-10 საათისათვისაა დანიშნული. ველოდებით. გახდა ცხრა საათი. ათი, თერთმეტი, თორმეტი, პირველი... ვრეკავთ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, მიზეზი ათასნაირია: თვითმფრინავის გაუმართაობა, მფრინავების უდისციპლინობა, საწვავის უქონლობა და სხვა. ავიაციის უფროსს ცერცვაძეს პირში წყალი აქვს ჩაგუბებული - ვერაფერს ამბობს. არტილერია არ მუშაობს, რადგან ჰაერს ელოდება. ბოლოს, ორი საათისათვის, გამოჩნდა ორი კინკილა თვითმფრინავი, ყუმბარები მიყარ-მოყარა და წავიდა. მერე დასცხო არტილერიამ. ჭოჭუას და ნაურის გუნდი მართლაც კარგად მუშაობს.

საერთოდ, არ შეიძლება, ადამიანი მხოლოდ ერთი მოქმედების შედეგით შეაფასო. გაგრაში მომეჩვენა, რომ ჭოჭუა მშიშარაა, რადგან „კირილენკოს აგარკთან“ არტილერიის დაყენებისას ყოყმანობდა. ალბათ, ეს პროფესიულად მიზანშეუწონლად მიიჩნია - არტილერია ყველგან და ყოველთვის ზურგიდან, მოფარებული ადგილიდან მუშაობს. იქ კი, გაგრაში, იმ სიმაღლიდან იგი ყველასთვის თვალშისაცემი გახდებოდა. თუმცაღა, მას სათანადო დაცვას ვუყენებდი ტანკებისა და ცოცხალი ძალის სახით; სტანდარტები, აკადემიური ცოდნა ხანდახან მაინც ბოჭავს ადამიანის შემოქმედებით შემართებას. სამაგიეროდ, ოჩამჩირეში ჭოჭუამ მთელი ომის განმავლობაში ღირსეულად დაიცვა ქართველი არტილერისტის

ტრადიციულად კეთილი სახელი. მან ნაურისთან ერთად მშვენიერი საარტილერიო გუნდი შექმნა. იმ დღესაც კარგად იმუშავეს, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენმა შეტევამ შედეგი ვერ გამოიღო. ბესლახუბაში, სადაც სამხედრო პოლიციამ თითქოს კარგად დაიწყო და ფოქვეშის მაღლობი დაიკავა, საღამოსთვის უკან დაიხია და ისევ იმ გზის გასაყარ პოზიციაზე დადგა, საიდანაც შეტევა დაიწყო. ავღანელებმა ცხენისწყლის მოპირდაპირე მაღლობი დაიკავეს, ხოლო მეორე დღეს, იმის მაგიერ, რომ წინსვლა გაეგრძელებინათ და კოჩარის მიდამოებში განეგრძოთ საომარი მოქმედება, მოიხსნენ და სოხუმში წავიდნენ იმ საბაბით, ვითომც ჩვენს დასახმარებლად ერთი დღით ჩამოვიდნენ ოჩამჩირეში. მერკულაში კი ისევ ქუთაისის ბატალიონმა ერთი ტანკი და ერთი „ბეემპე“ დაკარგა. ეს უკვე საგანგაშო ამბავი იყო, ვინაიდან აფხაზების ხელში ტანკი, რომლითაც ისინი ოჩამჩირის დაბომბვას შეძლებდნენ და ქალაქში პანიკას შექმნიდნენ, საკმაოდ რთული პრობლემების წინაშე დაგვაყენებდა. ამიტომ სასწრაფოდ შევკარი მხედრიონის ჯგუფი ერეკლე ნარსავიძისა და ემზარ კვიციანის ხელმძღვანელობით. მათ ერთადერთი ამოცანა დავუსახე: ამავე საღამოს მერკულაში ჯერ კიდევ პოზიციებზე მდგომი ტანკი და „ბეემპე“ ან ხელში ჩაეგდოთ, ან აეფეთქებინათ. ეს დავალება მეორე დღეს, ნაშუადღევს შეასრულეს. ტანკი აფეთქდა. ერეკლე ნარსავიძე მოჰყვა აფეთქებული „ბეემპეს“ ქვეშ. ბიჭებმა ბრძოლის ველიდან რომ გამოიყვანეს, უმძიმეს მდგომარეობაში იყო.

ბრძოლა მეორე დღესაც გაგრძელდა, მაგრამ ეს უფრო პოზიციური შეხლა-შემოხლა იყო, ვიდრე დაგეგმილი საბრძოლო ოპერაციები. კამკამიძე შტაბში იჯდა და ელოდებოდა, ასე ვთქვათ, მეორე ფრონტის გახსნას, გია ყარყარაშვილის შეტევას კვიტოულზე, მაგრამ ყარყარაშვილმა თავისი ხალხი ჩვენკენ, ოჩამჩირისკენ კი არა, საწინააღმდეგო მხარეს - არმიანსკაიასკენ წაიყვანა. მეორე დღეს აფხაზებმა მათ დასახმარებლად მისული ჯიმი მაისურაძე ჩამოაგდეს. ერთი სიტყვით, ეს ფართომასშტაბიან იერიშად ჩაფიქრებული ოპერაცია ვერ განხორციელდა. ჩვენ დავკარგეთ ცოცხალი ძალა, თავისი ნებითა და უთავობით, საველე ჩანთაში რუკებითა და ჩვენი იერიშის გეგმით. ეს მოხდა იმიტომ, რომ სამხედრო ჩინები შტაბიდან არ გამოდიოდნენ და არ იცნობდნენ პოზიციების განლაგებას. ოფიცრებით გატენილმა „ვილისმა“

მერკულაში ვერ იცნო ჩვენი პოზიციების დასასრულ-დასაწყისი და მოულოდნელად აფხაზთა მხარეს გარეკა, სადაც დაატყვევეს კიდეც. კამკამიძეს ვუსაყვედურე: „რა არის, აქ რომ ზიხართ. გადით პოზიციებზე“. „მე რომ პოზიციებზე გავიდე, აქ საქმეს ვინ გააკეთებს?“ - მიპასუხა განაწყენებულმა.

მომდევნო დღეებში აფხაზები გააქტიურდნენ, განსაკუთრებით, ლაბრასთან, მაგრამ გიგა გელაშვილი, პოზიციების მოულოდნელი გადანაცვლებით, ოსტატურად უმკლავდებოდა მათ. უნდა ვთქვა, რომ ის სამი ციმბირელი კაზაკი გამორჩეულად კარგად ომობს. ერთი მათგანი დაიღუპა, მეორე დაიჭრა. მესამე კი ამ ორის მოვლას მოუნდა.

მხედრიონელებმა ამ წმინდა ბიჭის ცხედარი დიდი პატივით ჩამოასვენეს თბილისში, ეკლესიაში დაასვენეს და მდიდრული პანაშვიდი გადაუხადეს. მათ მშობლებს გავუგზავნე მადლიერების წერილი, ვიდეოზე გადაღებული მთელი ცერემონიალი და ცოტა მატერიალური დახმარებაც. ჩვენი ბიჭების დახმარებით ცხედარი მისმა მეგობარმა გადაასვენა თავის სოფელში, ციმბირში. ღმერთმა აცხონოს მისი სული! როცა ერს ასეთი შვილები ჰყავს, მის არსებობას ღვთიური საფარველი დასტრიალებს თავს. მე ამ ბიჭებს პატარა ჯვაროსნებს ვუწოდებდი.

„ომის ღირსეულად დამთავრება“ არც ამჯერად გამოვიდა. კამკამიძე ნელ-ნელა გაუჩინარდა. ჩვენ ისევ ჩვენი ძალებით ვიბრძვით. დოდომ თავისი ჯგუფი შექმნა და დალის ხეობის სვანების ერთ ნაწილთან ერთად ლათას მიდამოებში მოქმედებს. ჩვენებმა აფხაზთა ვერტმფრენი აიძულეს, დალის ხეობაში დამჯდარიყო. აფხაზთა ვერტმფრენში აღმოჩნდნენ გუდაუთის მთავრობის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ლაბახუა და რამდენიმე რუსი ოფიცერი. შევარდნაძის ცეკას მდივნობის დროს ზურაბ ლაბახუა ეროვნული უმცირესობის ლიმიტირებული პარტიული საკადრო ფუნქციონერი იყო. შევარდნაძემ იგი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედაც კი დანიშნა. რამდენადაც ვიცი, არძინბას გარემოცვაში ახლა იგი ერთადერთი კაცია, რომელიც ბევრ რამეში არ ეთანხმება მას. ის კი არადა, ამ რამდენიმე თვის წინ მასზე თავდასხმაც მოაწყვეს, არძინბას მომხრეებმა თავი გაუტეხეს. ლაბახუა ჩამოჰყავთ სოხუმში, შემდეგ - თბილისში. შევხვდი, ზოგადად ვესაუბრე, შევარდნაძეს შევახვედრე და

ოჯახთან ერთად, რომელიც თბილისში ჰყავდა დატოვებული, გავუშვით მოსკოვში. ვერაფერს იტყვი, კაცურად მოიქცა: მოსკოვში დარჩა და პოლიტიკას თავი დაანება.

თენგიზ კიტოვანი მომყვება ოჩამჩირეში. თან მოჰყავს სამოცდაათი კაცისგან შემდგარი მესაზღვრეთა ბატალიონი ვალერი ჩხეიძის მეთაურობით. წინა დღეს ქუთაისიდან თვითმფრინავები დაიბარა. როგორც მეუბნება, ერთი ხუთასკილოგრამიანი ბომბი უნდა ჩამოაგდოს მერკულას აფხაზურ პოზიციებზე, რაღაც ფსიქოლოგიურ ეფექტზე საუბრობს. ვალერი წინადადებას იძლევა, თვითმფრინავს გადმოვაგდებინოთ ფქვილით სავსე ტომარა, რომელიც ჰაერშივე გასკდება. ავღანეთში თუ ჩარაბახში ამას პანიკა მოჰყოლია, მოწინააღმდეგეს ქიმიური იარაღი ჰგონებია და სანგრები მიუტოვებია. ეს ყველაფერი მე არასერიოზულობად მიმაჩნია და ვალერი ჩხეიძის სამოცდაათი კაცი ამყავს სოფელ არადუში, სადაც ხალხის ნაკლებობაა. თენგიზი შტაბში ეცნობა ჩვენს ბიჭებს. ომის დაწყების შემდეგ პირველადაა ოჩამჩირეში და მეორედ - საერთოდ, აფხაზეთში. ჩვენგან შეკოწიწებულ სამურზაყანოს ბატალიონს გვარდიაში რიცხავს. მინდა, წავახალისო თამაზ შონია - ბატალიონის უფროსი. მან მართლაც დიდი საქმე გააკეთა გალის რაიონში ჩვენი ხელისუფლების ცნობისთვის. ამიტომ თენგიზს ვევაჭრები, მისცეს პოლკოვნიკის წოდება. იგი მაიორობას გვპირდება, ბოლოს ვიცე-პოლკოვნიკობაზე ვთანხმდებით.

ღამის გასათევად ჩემს მეზობლად რჩება. გაზაფხულია, მაგრამ ისეთი ცივი დღეები დაიჭირა, შუა ზამთარშიაც რომ არ ყოფილა. მეორე დღეა, ჩემი კოწია მერკულის მიწათხრილში ზის. წვიმა-წუნწუხი და საშინელი ქარია. დოდო გუგეშაშვილი სამ-სამ დღეში ცვლის მეომრებს. კოწია მცივანაა, თანაც, ბოტკინის შემდეგ ღვიძლი გაღიზიანებული აქვს. კაცმა ყველაფერი თავის თავზე უნდა გამოსცადოს - სამ-სამი დღე ბევრია, ორ-ორი სჯობს. საღამოს მხედრიონის შტაბში დოდოს ვეკითხები: „როდის უნდა შეცვალო მერკულაში ბიჭები?“ მიმიხვდა. იღიმება - თვითონაც ხომ დედაა, მშობელი. „ხვალ დილით, ბატონო ჯაბა, ხვალ დილაადრიან“. გამთენიისას მერკულიდან ძლიერი აფეთქების ხმა ისმის. იქვე თვითმფრინავმა გადაგვიფრინა. ნამძინარევი თენგიზი აივანზე გამოდის: „ჯაბა, რა ხდება, გვბომბავენ?“ „ბიჭო, შენ არ დაიბარე ქუთაისიდან?“ დილაადრიან კი შეცივებული, გაყვითლებული, მშიერი,

გაწუწული, სმენადაკარგული კოწია მოდის პოზიციიდან. იცინის: „პირდაპირ ჩვენ არა გვხია, ორმოც მეტრში ჩემსა და ნაპოს სანგარს შუა“. ესეც შენი ფსიქოლოგიური ეფექტი. მეორე დღეს თენგიზი ქუთაისში მიდის, მე - თბილისში.

საქართველოში ქართული ფულის ერზაცი - კუპონი - ტრიალებს. ამბობენ, რომ პრივატიზაცია მხოლოდ კუპონებით განხორციელდება. ეს ვერ შველის მის ავტორიტეტს. კუპონი საქმოსნების ხელში ხდება ფინანსური მაქინაციების მთავარი საშუალება, რაშიც მეტნაკლებად გავლენიანი პირებიც ერთვებიან. პარტიების ლიდერები და პარლამენტართა დიდი ნაწილი იყენებენ თავიანთ მდგომარეობას და თვითონ ან მათი რეკომენდაციებითა და საგარანტიო წერილ-რეზოლუციებით სახელმწიფო ბანკებიდან გამოაქვთ სესხები, ვითომც წარმოების აღსადგენ-დასაფუძნებლად თუ რაღაც დეფიციტური პროდუქტების შემოსაზიდად. მერე კუპონს ატრიალებენ, კონვერტირებად ვალუტად აქცევენ და ინფლაციური პროცესის პირობებში აბრუნებენ უკვე გაუფასურებული სახით ან სულაც გარბიან საქართველოდან.

სამეგრელოში - ზუგდიდში, ჩხოროწყუში, წალენჯიხასა და მათ რაიონებში - ჩვენი იურისდიქცია უკვე ფორმალურადაც არ მოქმედებს. აჭარაში ასლან აბაშიძე დამოუკიდებელი პოლიტიკით ცხოვრობს. იგი ჯერჯერობით ორი ბატონის - რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობაზე თამაშობს. ჩვენთანაც, ბიუჯეტში რაღაც შემოაქვს. მყარი მდგომარეობაა ფოთსა და ხობში. თემურ გერგაია აგროვებს ახალგაზრდობას, თავისი ხარჯით ყიდულობს იარაღს, აწყობს პატრიოტულ ზეიმს და აფხაზეთში საბრძოლველად მოჰყავს 120-კაციანი რაზმი. ეს საქართველოს ერთიანობისაკენ გადადგმული დიდი, სამაგალითო და ვაჟკაცური ნაბიჯია.

ხობს ფოთმაც მიჰბაძა. ქალაქის მერმა რომან მელიამ კარგად შეიარაღებული ასი კაცი ჩამოიყვანა ოჩამჩირეში. ამასვე მპირდება ოთარ ფაცაცია, ზუგდიდის გამგებელი, თუმცა, იქ რთული ვითარებაა. ლოთი ქობალიამ თითქმის გააერთიანა ბანდებად დაქსაქსული შეიარაღებული ზვიადისტები და განაგებს არა მხოლოდ მათ, არამედ სამოქალაქო ცხოვრებასაც. ჯემალ ქობალია ცდილობდა, შეესუსტებინა ლოთის გავლენა, მაგრამ მისი 20-კაციანი რაზმი ძალას არ წარმოადგენს, ამიტომაც გალისკენ გადმოინაცვლა. გალი, დათო შენგელიას

წყალობით, რომელსაც 200-მდე მხედრიონელი ჰყავს, უკვე მთლიანად ჩვენს კონტროლს ემორჩილება. თამაზ შონიას სამურზაყანოს ბატალიონის შექმნით ჩვენი ხელისუფლება მოქმედებს გალის რაიონის სოფლებშიც.

გია ვაშაკიძეს ერთი იდეა აქვს: ტყვარჩელს მივადგეთ გალის მხრიდან. სოფელ ოქუმიდან, საიდანაცაა თამაზ შონია, ტყვარჩელი ექვსი კილომეტრით არის დაშორებული. მივდივართ, ასე ვთქვათ, რეკოგნოსცირებისთვის, ადგილმდებარეობის შესასწავლად. მართალია, გალის რაიონი ჩვენს ხელისუფლებას მხარს უჭერს, მაგრამ სოფლებში, შიგადაშიგ, დემაგოგიური აფხაზური ლოზუნგი ბოგინებს: „ჩვენ ადგილობრივ მეგრელებთან არავითარი პრეტენზია არა გვაქვს, პირიქით, კეთილმეზობლური ურთიერთობა გვინდა“. არის დივერსიის შემთხვევები. თბილისიდან რომ მოვდიოდი, ერთ ოჯახში სტუმრად ყოფნისას, ყავაზე მიმკითხავეს. სხვადასხვა ზოგად წინასწარმეტყველებასთან ერთად, დაჟინებით გამოიკვეთა ერთი გაფრთხილება: „ხიდზე გადასვლისას ხიფათი გელით“. დღეში ათ ხიდს გადავდივარ. მიდი და გაიგე, რომელ ხიდზეა ლაპარაკი.

გალის რაიონის ზღაპრულად ლამაზი სოფლები. ავდივართ სულ მაღლა და მაღლა. მანქანას უჭირს სოფლის შუკებსა და ვიწრო აღმართებში ასვლა. ზოგან გადმოვდივართ, მანქანას ვამსუბუქებთ და ფეხით ვაგრძელებთ გზას. შემდეგ ისევ ვსხდებით. ვიწრო მდინარე, საცალფეხო ხიდი, წყალი წვივებამდე. მანქანა ფაფხურობს, გასვლა უჭირს. „არ გინდათ, არა, ბატონო ჯაბა, გავალთ, ნუ გადმოდიხართ“, - მეუბნება თამაზი. დაღლილი ვარ. მუხლი გასივებული მაქვს. მართლაც, მეზარება გადმოსვლა. ვუყურებ ხიდს და მახსენდება: „ხიფათი“. გადმოვდივარ და სხვებივით ფეხით გადავდივარ მდინარეზე. არაფერი. ასევე ფეხით მივუყვებით კიბეებად ამოჩიჩქნილ ციცაბო კლდეს უკანა მხრიდან. მთის წვერზე ჩვენი საგუშაგოა. ამ დღეებში აქ ორი ზარბაზანი ამოვათრიეთ, მაგრამ ახლა მივეცი განკარგულება, რომ სოფელში ჩაიტანონ. აქ საშიშია, შეიძლება აფხაზებმა თავდასხმა მოაწყონ და ზარბაზნებს დავკარგავთ - გამოტანას ვერ მოვასწრებთ. წინ, 300-400 მეტრში, აფხაზთა პოზიციაა. ჭოგრიტით ვიყურები. ბურუსიან გარსში ნაირფერი ყვავილებით შემკული მწვანე მოლია. შორს თეთრი ეკლესია დგას. ეს საბერიოა. აქ მარხია ნახევრად აფხაზი ბაგრატ III, საქართველოს გამაერთიანებელი

მეფე. ჩემი ოცნებაა, მის საფლავთან შეკრებილი საქართველოში მოქიშპე ერების, ტომების, შეიარაღებული ძალების მეთაურები თავჩაქინდრულნი, დარცხვენილნი და ძმურად განწყობილნი უსმენდნენ ერთიანობის ფიცის ტექსტს. ამ მოჩვენებიდან მაფხიზლებს ძლიერი აფეთქების ხმა. ცოტა ხნის შემდეგ ვიგებ, რომ მდინარეზე გადმოსვლისას, იმ პატარა ხიდთან, ნაღმზე აფეთქდა ჩვენი „მტლბ“, რომელსაც ზარბაზნები უნდა წაეღო. თამაზი მეუბნება: „მანქანა არ აფეთქდა, იმიტომ რომ ჩვენი გადმოსვლის შემდეგ ამჩატდა“.

ოჩამჩირის შტაბში გია ვაშაკიძე რუკაზე საიდუმლოდ მიჩვენებს მთას, რომელიც ტყვარჩელიდან კილომეტრ-ნახევრით არის დაცილებული. იმ არემარეში ეს ყველაზე მაღალი მთაა, ზემოდან დაჰყურებს მიზანს - ტყვარჩელის შემოსასვლელს. ამ მთას ლაშკანდერი ჰქვია. „მინდა, იქ ავიყვანო ჯერ ორასამდე კაცი, იერიშისას კი ოთხასამდე მეყოფა. თუ ზემოდან სვანებიც შეუტევენ, ხომ კარგი, თუ არადა, ქვემოდან, გზიდან, ოთხასი კაციც რომ დაიძრას, ტყვარჩელი ჩვენი იქნება“. „კარგი ჩანაფიქრია, შეუთანხმდი დაცვის სამინისტროს, შევარდნაძეს და დაიწყე მზადება“. „არავინ არ მინდა, მხედრიონი მეყოფა, ოღონდ მერე მოგვეშველონ, თორემ ორასი კაცი ამხელა ქალაქში მარტო კომენდატურისთვის არ გეყოფა“.

სოხუმში 23-ე ბრიგადის უფროსმა გენო ადამიამ გენერლობა მიიღო და, ასე ვთქვათ, დასავლეთის ფრონტის ფაქტობრივი ხელმძღვანელია. სამხედრო პოლიციას კარგად მოუარა სოსო ახალაიამ. ერთი რამ მაწუხებს: წინ მოძრაობა არ არის. გუმისთაზე თავდაცვითი სტრატეგიაა. ხობის მოხალისეები და მხედრიონელები მერკულაში იკავებენ პოზიციას, ფოთელები - მეფრინველეობის ფერმაში. ვათვალიერებ მათ სანგრებს - ჭკვიანურად გაუთხრიათ. მოწინავე პოსტზე ისე მიხვალ, რომ არც გამოჩნდები. მანამდე ქუთაისელები გადარბოდნენ ცეცხლის ზონაში პოსტიდან პოსტზე. გია ვაშაკიძე თვითონ მიდის ლაშკანდერის დასაზვერად. აღფრთოვანებული ბრუნდება: „ტყვარჩელი ხელისგულივით მოჩანს. მანქანების მოძრაობას, ადამიანებს ხედავ. თუ მეგობარი გყავს, უდურბინდოდ იცნობ. ტყვარჩელიდან მიმავალი ან ტყვარჩელში მომავალი ვერტმფრენი აუცილებლად შენს ზონაში უნდა შემოვიდეს. ჩვენი იქ ყოფნისას ორმა ვეტმფრენმა გადაგვიფრინა. „ჯოხი არ გვქონდა, თუ არა, ქე

ჩამოვაგდებდით, ისე ახლოს მოფრინავდნენ“, - იცინის გია.

სოხუმმა დიდი იერიში მოიგერია. როგორც ამბობენ, აფხაზებს საგრძნობი ზარალი მოუვიდათ. კარგად იმუშავა ჩვენმა არტილერიამ. ყველანი სოხუმში ვიკრიბებით, კიტოვანიც კი ჩამოდის. შევარდნაძის ჩამოსვლას გამოწერილივით დაემთხვა რუსეთის თვითმფრინავის ჩამოგდება. ამან საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. სოხუმში მზად არ იყვნენ. კონტრშეტევის არც ერთი ვარიანტი არ დაგეგმილა, თორემ ამაზე კარგი მომენტი ალბათ აღარასოდეს დადგება: სულ ცოტა, ახალ ათონამდე შეიძლებოდა გადაწევა. უმარჯვია სვანების რაზმს, სადაც მხედრიონელებიც იყვნენ. თუმცა თვითონაც დაიღუპნენ, სამაგიეროდ ქალაქში მხოლოდ ორმა ათეულმა თუ შემოაღწია, რომელიც იქვე გაანადგურეს. ჩამოვიარე პოზიციები. ზღვის პირას, მეექვსე, ეგრეთ წოდებულ სატანკო ბატალიონთან, უცნაური რამ შეგვემთხვა. საველე შტაბთან მისასვლელი უმოკლესი გზის ერთი ნაწილი აფხაზების ცეცხლის მისაწვდომია. მეომრებთან შეხვედრის შემდეგ, უკან რომ ვბრუნდებოდით, ამ გზასთან ძლიერი ცეცხლი გაგვიხსნეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მერეც, როცა უკვე გვეგონა, რომ სამშვიდობოს ვიყავით გასული, დაგვაყარეს და დაგვაყარეს. ვერც მივხვდით, საიდან მოდიოდა ტყვიის ნიაღვარი. გამოითქვა ვარაუდი, ვითომც გვესროდნენ არა აფხაზები, არამედ ამ ბატალიონში მყოფი ზვიადისტები. შევარდნაძეს კვლავ ვახსენებ, ახლა ხომ არ დაგვეწყო მოლაპარაკება-მეთქი. იგი იმდენად ეიფორიულ მდგომაროებაშია, იმდენად მოსჭარბებია ოპტიმიზმი, რომ არ ვიცი, ნამდვილად მისმენს თუ არა, და თუ მისმენს, არა მგონია, მნიშვნელობას ანიჭებდეს ჩემს რჩევას. აფხაზების მხრიდან მოკლულები მეტწილად სომხები არიან, ახლად შექმნილი ადგილობრივი სომხური ბატალიონის, „ბაგრამიანის“ წევრები. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ აქამდე ადგილობრივი სომხები მერყეობენ და, ასე ვთქვათ, აქტიური ნეიტრალიტეტით მოქმედებდნენ, ახლა ღიად გამოდიან ჩვენ წინააღმდეგ.

თბილისში გაქანებული ყაჩაღობაა. საღამოს რვა საათის შემდეგ ქუჩაში ხალხი არ გამოდის. გვარდიელები, მხედრიონელები, პოლიცია, სამხედრო პოლიცია, უშიშროება - ყველა წესრიგის დაცვის საბაბით გამოფენილია ტრასაზე და ყვლეფენ მძღოლებს და ტვირთმზიდი ტრანსპორტის პატრონებს. დასავლეთში ლოთი ქობალია ჩვენი მიუხედავობით ძალას

იკრებს, შესაბამისად, პარლამენტში ყოფილი ზვიადისტები თავიანთ გამოსვლებში ნელ-ნელა პოლიტიკურ საფარს უქმნიან მის მოქმედებებს. მაშველთა კორპუსის ჩართვა სახელმწიფო სტრუქტურაში ისევ ჭიანურდება. პარლამენტის უშიშროებისა და თავდაცვის კომისიის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე ჩუმ-ჩუმად იკბინება და პრინციპულად წინააღმდეგია, მაშველთა კორპუსს ჰქონდეს იარაღი. ეს მისი ძველი მხედართმთავრული პრეტენზიების კრახის მოუნელებელი გულძმარია.

იკრიბება უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო. შევარდნაძე თავმჯდომარეობს. საკითხი ეხება თავდაცვის სამინისტროს. მინდა, დავუბრუნდე ჩვენს შეთანხმებას კიტოვანის შესახებ, მის ვიცე-პრემიერად გადასვლის პროგრამას. ვატყობ, ახლა არც კიტოვანია ამ ჭკუაზე და შევარდნაძეც ისხლეტს ჩემს კონკრეტულ მიმართვებს ამის თაობაზე. მეყსეულად საუბარში ერთვება ირაკლი ბათიაშვილი - საინფორმაციო-სადაზვერვო კომიტეტის (ყოფილი სუკი) თავმჯდომარე. „საერთოდ, უკვე დროა, რომ თოფიანი ადამიანები პოლიტიკიდან წავიდნენ“. „ეს ქარაგმულად ნათქვამი ფრაზა დაზუსტებას საჭიროებს“, - ვამბობ მე. „ჰო, თუ გნებავთ, თქვენც“, - ხელაღებით ამბობს ირაკლი. ჩემთვის ეს იმდენად მოულოდნელი, აბსურდული და მუხანათური გამოხდომაა, რომ თავდაპირველად ვერც კი ვხვდები მის შინაარსს, მაგრამ ირგვლივ ჩამოვარდნილმა სიჩუმემ მაფიქრებინა, რომ ეს ცხელ გულზე წამოსროლილი სიტყვა არ არის. „თუ ეს მართლაც საჭიროა, კი ბატონო, მე მზად ვარ, წავიდე“. „ჰოდა, ჯაბა, რაც შეიძლება, მალე“, - მეუბნება ნოდარ ნათაძე. „ამაზე მალე არ შეიძლება“, - ვამბობ, ვდგები და მივდივარ. „მოიცათ, რა...“ - ერთი კი წამოიძახა შევარდნაძემ და ოთახიდან გამოვედი. რასაკვირველია, აღშფოთებული ვარ, მაგრამ თან მეცინება. კი მაგრამ, რისი იმედი აქვთ - ან აფხაზეთში ვინ უნდა იომოს, ან კარზე მომდგარ რევანშისტ-ზვიადისტებს ვინ დაუდგება. შევარდნაძეს თუ ჰგონია, რომ პარლამენტი მისკენაა?! ან უპატრონოდ გაშვებულ ორი ათას მხედრიონელს რას უპირებენ?! ან იმ ინტელიგენციას რას ეუბნებიან, მხოლოდ ჩემი იმედი რომ აქვთ დემოკრატიული საზოგადოების შენებისას?! ყველაფერი ასეა, მაგრამ რახან ვთქვი, დამთავრდა - უკან დამბრუნებელი აღარ ვარ. ახლა საჭიროა, როგორმე უმტკივნეულოდ წავიდე.

დაპატიჟებული ვარ ქორწინების სასახლეში. რაღაც მიღებაა.

შევარდნაძის გარდა, ყველა იქ არის. ჩემი ადგილი ვახტანგ გოგუაძის გვერდით აღმოჩნდა. ვუჩუმათებ: „ვახტანგ, დღეს პარლამენტის სხდომაზე მომეცი სიტყვა“. „რაშია საქმე?!“ „მივდივარ უშიშროების საბჭოდან - შევარდნაძის მოადგილეობიდან!“ და უცებ: „ოხ, ჯაბა, შენ თუ მართლა მაგას იზამ, მართლაც დიდი ვაჟკაცი იქნები!“ ესეც ასე: მეგონა, ასეთი გადაწყვეტილების შეტყობისას ვახტანგი ტანსაცმელს შემოიხევდა. თურმე ნუ იტყვი, ისიც მათი აზრისა ყოფილა. „ამას არავითარი ვაჟკაცობა არ უნდა“, - ვამბობ უკვე სავსებით დამშვიდებული. ახლა ჩემთვის ერთი საკითხია გასარკვევი - ეს შევარდნაძემ მოამზადა თუ მომენტი გამოიყენა?! ის, რომ მან ნამდვილად გულისწყრომით წამოიძახა: „მოიცათ, რა“, მიანიშნებს იმაზე, რომ ეს მისთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერც ირაკლი და ვერც ნათაძე ვერ გაბედავენ ასეთ გამოხდომას, თუ წინასწარი გასაუბრება მაინც არ ექნებოდათ შევარდნაძესთან. ვფიქრობ, შევარდნაძე უცებ მიხვდა სიტუაციის ხელსაყრელობას და ამიტომაც მომაყარეს ეპითეტები: რაინდი, კეთილშობილი და ა. შ. ასეთი ვითარება უადვილებდა კიტოვანის ჩამოშორებასაც. ერთი სიტყვით, როგორც რუსები იტყვიან, „ოდნიმ მახომ - სემერიხ პაბივახომ“.

სხდომაზე გამოვდივარ გადადგომის განცხადებით. ტაში, მოლოცვები... გუნებაში მეცინება. „მერე, მერე?!“ მხოლოდ ერთადერთმა კაცმა (აღარ მახსოვს, ვინ იყო) ადგილიდან გამოთქვა აღშფოთება: „ნუთუ ჯაბას წასვლის - ამ ლამაზი ჟესტის მიღმა ვერ ხედავთ თქვენს პოლიტიკურ სიბეცეს?“ მაგრამ მისი ხმა ჩაიხშო იმ საყოველთაო აჟიოტაჟში, რაც ჩემს გამოსვლას მოჰყვა. გავხდი რაინდი, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის პირველი კავალერი, მიტოვებენ აგარაკს, კაბინეტს, დაცვას. ერთი სიტყვით, დღესასწაულია. სამაგიეროდ, ტელეფონში გაისმის უცნობ-ნაცნობთა უკმაყოფილება. ოჩამჩირიდან რეკავს გია ვაშაკიძე: „ვხსნი ბრიგადას და მოვდივარ თბილისში“. „არ გაბედო! - ვუბრძანებ, - ჩამოვალ და ყველაფერს მოგიყვები“, - ვატყუებ და ვამშვიდებ მხედრიონის რაზმების მეთაურებს. იმავე დღეს თენგიზ კიტოვანი ჩემს კაბინეტში მთავაზობს შევარდნაძის გაპანღურებას. „როგორც ჩამოვიყვანეთ, ისევე გავუშვათ“.

დაიდგა ცუდი კომედია. გია ყარყარაშვილი იმტვრევა და რამდენიმე საათს თავპატიჟს იდებს, თენგიზ კიტოვანის დაუკითხავად არ წავალ თავდაცვის მინისტრადო. ბოლოს

ყველაფერი გვარდება. მირეკავს შევარდნაძე. ვითომც არაფერი მომხდარა, მთხოვს: „პარლამენტში არ გამოხვიდეთ რა გია ყარყარაშვილის წინააღმდეგ“. „არც მიფიქრია. თუმცა, აჯობებდა, ვიდრე კაცს შეარჩევდეთ, ჯერჯერობით თქვენვე შეგეთავსებინათ მინისტრობა“. მეგობრულად არ მეთანხმება.

მეგობარი რომ გყავდეს, უპირველესად შენ თვითონ უნდა იყო მეგობარი. კაიკაცობა და ავკაცობა დალხინებაში ძნელი გამოსაცნობია. დალხინებული კაცი თუ გაჭირვებულს გაიხსენებს, ის არის მეგობარი, თორემ გაჭირვებულ კაცს კაიკაცობის მეტი აღარაფერი დარჩენია. თუ ხალხი ვინმეს რაღაც იარლიყს მიაკერებს, მერე ძნელია იმ ხატის მოშლა. ცნობილია, როცა შევარდნაძე გაქებს და გეფერება - ფლიდობს, ესე იგი, რაღაც ცუდს გიმზადებს. რა ვიცი, იქნებ დაემთხვა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ჩემს გადადგომამდე ერთი კვირით ადრე მოსკოვიდან ჩამოსულ ტელეკორესპონდენტ კარაულოვისთვის მიცემულ ინტერვიუში შევარდნაძემ თავისებურად შემაქო და მეგობარი მიწოდა. შევარდნაძის ამ თვისების შესახებ თურმე ყოფილი მინისტრი რომან გვენცაძე ჰყვებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. უცებ წამომხტარა ახლად დანიშნული კვირაია და უკითხავს: „ჩემზე კარგი ხომ არაფერი უთქვამსო?“

გორგასლის I ხარისხის ორდენით გვაჯილდოებენ ორივეს - მე და თენგიზ კიტოვანს. მახსენდება სტალინის ცინიკური წერილი, რომელიც მან გაუგზავნა წითელი დროშის ორდენით ახლად დაჯილდოებულს. საქმე ის იყო, რომ ამ ორდენის მფლობელმა თავი ზედმეტად მოკრძალებულად წარმოაჩინა და მლიქვნელობის ახალ ფორმას მიმართა. სამოქალაქო ომის დროს მან თავისი ორდენი სტალინს გაუგზავნა და მისწერა, ამ ორდენის ღირსი მხოლოდ თქვენ ხართო. სტალინმა კი შეუთვალა: ორდენები იმისთვის არსებობენ, რომ არასახელგანთქმული ადამიანები სახელგანთქმული გახდნენ. მე ისედაც სახელგანთქმული ვარო, და ორდენი უკან გაუგზავნა.

მაშველთა კორპუსის საკითხი კვლავ ჰაერშია გამოკიდებული. ათასზე მეტი შეიარაღებული ახალგაზრდა, რომლებმაც არც ჯანმრთელობა და არც სიცოცხლე სამშობლოსთვის არ დაიშურეს, მოუწყობელი, უპერსპექტივო, მატერიალურად გაუმართავი რჩება. „იომეთ? ძალიან კარგი, ახლა თქვენ საჭირო

აღარა ხართ, წადით!“ ოღონდ სად უნდა წასულიყვნენ, ამაზე არავის უფიქრია. პოლიტიკური საზოგადოების ერთი ნაწილის ასეთი დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, უზნეობა და მკრეხელობა იყო. ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ დემოკრატიული ფასეულობის დაცვამ, ახალი ხელისუფლების დაფუძნებამ პარტიების ფიზიკურმა არსებობამ ამ ბიჭების კისერზე გადაიარა. და კიდევ ერთი - ხალხის წიაღში წარმოშობილმა ამ ორგანიზაციამ ქვეყნის ახალი ცხოვრების დაწყების, ახალი წესწყობილების შექმნის იმედით საგანგებო სიტუაციების, კატასტროფების შედეგების განმუხტვის და სამოქალაქო თავდაცვის ფუნქციებიც იკისრა. ყველაფერ ამას ესაჭიროებოდა ყურადღება, უბრალო ადამიანური წესიერება და სახელმწიფო სტრუქტურაში მისი ჩართვა-გაფორმება. ახალი მსოფლმხედველობის მქონე ახალი ძალის მიუღებლობა, ბიუროკრატიულ სტრუქტურებთან მისი შეუთავსებლობა იმდენად ეჭვიანი და სულსწრაფი გამოდგა, რომ მხედველობიდან გამორჩათ: ჯერ არც ახალი ხელისუფლება ჩანდა განმტკიცებული, არც სამამულო და სამოქალაქო ომი - დამთავრებული.

მაშველთა კორპუსის, როგორც სახელმწიფო სტრუქტურის, ყოფნა-არყოფნის საკითხი პარლამენტზე გადის. იწყება სქოლასტიკური დებატები, ნიშნის მოგება, მიკერძოება და პასუხისმგებლობიდან ჩვეულებრივი თავის დაძვრენა. ნოდარ ნათაძე თავის იდეაფიქსს იმეორებს: „მაშველთა კორპუსი უნდა განიარაღდეს“. შევარდნაძე დემონსტრაციულად არ ესწრება ამ საკითხის გადასაწყვეტად მეოთხედ შეკრებილ სხდომას. ჩვენი მტკიცებები, ანალოგიები, სხვადასხვა სამინისტროების დადებითი რეზოლუციები დოღის ტოტალიზატორის წაგებული ბილეთებივით ძირს ცვივა. საჭიროა რადიკალური ნაბიჯი. ბიჭები იკრიბებიან, არის ექსტრემისტული ლოზუნგები, გინება და მუქარა. ბოლოს გადავწყვიტეთ, მოვაწყოთ მშვიდობიანი საპროტესტო აქცია. ჩვენი ტრადიციის მიხედვით, ოპერის ბაღში შიმშილობას ვაცხადებთ. თავის დროზე ზვიად გამსახურდიამ პროტესტის ჩვეულ ფორმას შეიარაღებული შიმშილობა უწოდა. ვსხდებით ბაღში. ვგეგმავთ: პირველ დღეს იწყებს ასი კაცი, მეორე დღეს ემატება ასი კაცი, მესამე დღეს - კიდევ ასი და ა.შ. მოდიან სხვადასხვა საზოგადოების წევრები, სოლიდარობას გვიცხადებენ და გვპირდებიან, რომ რამდენიმე დღეში

შემოგვიერთდებიან. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ხაჩიშვილია და მისი პოზიციის შესახებ არაფერი ვიცით, ქალაქის მილიციის უფროსს, ზეიკიძეს შევარდნაძესთან წაუტრაბახია, ავყრი და დავარბევო. ნეტავი მართლა გაბედოს - ცხვირ-პირს დავამტვრევთ. თენგიზ კიტოვანიც გამოგვეცხადა და ჩემ გვერდით, ოპერის კიბის საფეხურზე ჯდება. მოდიან პარლამენტის წევრები. მთხოვენ, შევწყვიტოთ აქცია, გვარწმუნებენ, რომ ხვალვე დადებითად გადაწყვეტენ მაშველთა კორპუსის საკითხს. ბაღი სავსეა ხალხით. საღამოს მოდის შევარდნაძე. შეცბუნებულია: „რა ვქნა, წავიდე საქართველოდან?“ - ნამუსზე მაგდებს. „რა ვიცი, როგორც გინდათ“. ერთი ერთზე სურს საუბარი, მაგრამ, ვატყობ, აქ არ უნდა. კიტოვანიც ჩემს გვერდითაა. „ვერ მოვიცალე, რომ პარლამენტის სხდომებს დავსწრებოდი“, - თავს იმართლებს. „ოთხი დღე? ოთხ დღეს ვერ მოიცალეთ?“ - რასაკვირველია, ცრუობს. ხვდება, რომ ჯეროვნად ვერ შეაფასა ჩვენი ძალა. „მრჩევლებმა“ გაუადვილეს საქმის არსი. ამდენ გულშემატკივარსაც არ მოელოდა... და ეს ხომ ჯერ დასაწყისია! „სულ არ გვინდა პარლამენტი. მე გამოვცემ განკარგულებას მაშველთა კორპუსის შექმნის შესახებ. მერე დავამტკიცოთ“. „ამას მარტო მე ვერ გადავწყვეტ...“ „ჩვენ გამოგვიყენეთ და ჩვენი ბედი აღარ გაინტერესებთ?..“ - საუბარში ერთვება ზაზა ვეფხვაძე. „ხვალ შეკრება გვაქვს ჭადრაკის სასახლეში. იქ მოვილაპარაკოთ“, - ვთავაზობ მე. შევთანხმდით. ხვალ, ორ საათზე ჭადრაკის სასახლეში!

შეკრებაზე ათას ორასამდე კაცი მოვიდა. რვაასი მხედრიონელია, დანარჩენი - ცნობისმოყვარეები და ნათესავ-მეგობრები. ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია, შეხვედრა ფორმალურ ხასიათს ატარებს. დადგენილება მაშველთა კორპუსის შექმნის თაობაზე მიღებულია. შევარდნაძე მისთვის ჩვეულ, ზოგადფრაზებიან სიტყვას ამბობს.

ვიშლებით. ისე ჩანს, მგელიც კმაყოფილია და ცხვარიც უდანაკარგო. ვიდრე შენობას იშოვის, მაშველთა კორპუსი ჩემს ოთახებში განთავსდება. ყველაზე მტკივნეული საკითხია თავმჯდომარის დანიშვნა. კიტოვანს მირჩევენ. თენგიზი არც უარზეა და არც მთანხმდება. შევარდნაძისთვის ეს კანდიდატურა მიუღებელია, მაგრამ არაფერს ამბობს. ვრჩებით პირისპირ. ვახსენებ ჩვენს წინა საუბრებს. „მე ყოველთვის თქვენს გვერდით ვიქნები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პირადად

თქვენი ერთგული ვარ. ვიდრე საქართველოს ვჭირდებით, მეც და თქვენც...“ „ვიცი, ვიცი“, - მეუბნება. ვფიქრობდი, გულღიად ვისაუბრებდით. არ გამოვიდა. იგი გულწრფელი არ არის. ამიტომ საქმეზე გადამაქვს სიტყვა. თავმჯდომარედ გიგა არველაძეს ვასახელებ. მართალია, ჯერჯერობით სამსახურში ვერ გამოვა - ჭრილობა არ მოშუშებია, მაგრამ დოკუმენტურად გაფორმების პროცესზე ეს არ იმოქმედებს.

ჩამოსულა გია ვაშაკიძე. ლაშკანდერის ოპერაციისთვის ემზადება. თავდაცვის სამინისტროში გეგმას ადგენს. შევარდნაძეს ვახვედრებ. დიდი ხანია შევარდნაძესთან დევს მისი გენერლობაზე წარდგენის საბუთები - არავითარი რეაგირება არ არის. არადა, ირგვლივ ყველანი გენერლები გახდნენ, ეს ბიჭი კი სულ ომშია და, თუ ხელს არ უშლიან, ყველგან წარმატებებს აღწევს. გარდა ამისა, 24-ე ბრიგადის მეთაურია, რომელიც თვითონ ჩამოაყალიბა. თანამდებობითაც ეკუთვნის და დამსახურებითაც.

ზუგდიდთან კვლავ განაიარაღებენ ოჩამჩირიდან სხვადასხვა მიზეზით დაბრუნებულ მეომრებს. ზოგი ტყვედაც აჰყავთ. თავდაცვის სამინისტროდან ოჩამჩირეში გაგზავნილი ტექნიკა და ტყვია-წამალი მატარებლიდან ჩამოხსნეს და ლოთი ქობალიას რაზმმა დაიტოვა. ამბობენ, რომ თავდაცვის სამინისტროს ეს წინასწარ ჰქონდა განზრახული. ჯემალ ქობალიას ვახვედრებ შევარდნაძეს იმ იმედით, რომ დასავლეთში აღმოცენებული პატარ-პატარა რაზმების გაერთიანებას შეძლებს და სახელმწიფო სამსახურში ჩააყენებს.

ზვიად გამსახურდია გროზნოდან კვლავ იმუქრება, თავის მომხრეებს მოუწოდებს, პარტიზანული ბრძოლები გაგვიმართონ, დივერსიები მოაწყონ. ჩეჩენი ბოევიკების შესახებ კი, რომლებიც აფხაზეთში იბრძვიან, „იტყობინება“, რომ ისინი გაფრთხილებული არიან და მის მომხრეებს არ ერჩიან. ვიცინით მე და გაიოზ გალდავაძე თავდაცვის სამინისტროდან, ვინც ეს ამბავი მოიტანა. „ესე იგი, რა - ვამბობ, - ისეთი თოფი მოიგონა, რომ ზვიადისტებს არ ხვდება?“ „ჰო, „ზვინტერ ტრი კალცა“.

ესპანეთიდან ჩამოსულია მარიამ ბაგრატიონი, ირაკლი ბაგრატიონის ქალიშვილი, ჩვენი სამეფო შტოს შთამომავალი, ესპანეთის მეფის, ხუან კარლოსის დეიდაშვილის შვილი და ფრანგი ბურბონების და რუსეთის მონარქთა - რომანოვების

შტოს ნათესავიც. ჩემი გაცნობა სურს. ვხვდებით რესტორან „ქალაქურის“ სუფრაზე მის აქაურ ნათესავებთან ერთად. მშვენიერი ქალია, ჭკვიანი და ტემპერამენტიანი, კეთილშობილი ქართული სახის ნაკვთებით, დიდი პატრიოტი. სურს, საქართველოში გადმოვიდეს საცხოვრებლად. ჰყავს ორი შვილი - 20 წლის ქალიშვილი და 14 წლის ვაჟი. ჩვენი მონარქისტული ე. წ. ტრადიციონალისტთა პარტიების, ასე ვთქვათ, უშუალო ობიექტია, მაგრამ მარიამს მათთან ურთიერთობა არასერიოზულ საქმედ მიაჩნია. მე ჯერჯერობით არ ვურჩევ საქართველოში გადმობარგებას. არეული დროა, ეკონომიკური კრიზისი, ომი. არ მეთანხმება, გაჭირვების ჟამს მინდა აქ ყოფნა, თორემ პირადად მე დალხინებული, უკეთ, წყნარი ცხოვრება იქაც კი მაქვს, ესპანეთშიო. მადრიდში საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა აქვს, ქმარი უნივერსიტეტის პროფესორია, სახლ-კარი და კეთილდღეობის ყველა ატრიბუტი, თანაც, მეფის ახლო ნათესავია. მე დაწერილი მაქვს პიესა „დედოფალი მარიამი“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში იდგმებოდა სათაურით „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“. მწერლის ბედიცა და უბედობაც ის არის, რომ ხშირად მის მიერ შექმნილი წარმოსახვითი სამყარო მეტ-ნაკლებად მის თავზე გადაივლის, ხანდახან კი წინასწარმეტყველურადაც ასრულდება. რაც შენია - ცხოვრებიდან მოგემატება, რაც არა - დაგაკლდება. როცა ჩემი რომანი, „სანიტარული მატარებელი“ დავწერე, არა თუ ომში, ჯარშიც არ ვიყავი ნამსახურები. ახლაც მიკვირს, საიდან ისეთი პერიპეტიების ხილვა, რომელთაც მერე, თორმეტი წლის შემდეგ შევხვდი ჩვენში სამოქალაქო ომის დროს. მაცხოვრის შეგონებას, რომ ძველ ტიკში ახალი ღვინო არ ჩაისხმება, რასაც დღენიადაგ ვქადაგებ, შევარდნაძე თავისებურად წყვეტს. ძველ ტიკში ისევ ძველ ღვინოს ასხამს, ოღონდ ამბობს, ახალიაო. ვნახოთ, თუ არ აძმარდა... ქმნის ნეოკომკავშირს, რაღაც ახალგაზრდულ დეპარტამენტს, რომელსაც კომკავშირის ცეკას ფუნქციები ექნება. პარლამენტში იწყება გადაჯგუფება, იქმნება ფრაქციები. ეროვნულ-დემოკრატები, ირინა სარიშვილის აქტივობით, შევარდნაძეს მოუწოდებენ, შექმნას თავისი გუნდი აღმასრულებელ ხელისუფლებაში, იმ იმედით, რომ ისინი შევლენ ამ გუნდში. პარლამენტში კი უმრავლესობა შეიკრას. თუ შევარდნაძე თავის ირგვლივ პარლამენტის უმრავლესობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს, აღმასრულებელ ხელისუფლებაში არავითარი გუნდი აღარ ესაჭიროება. იგი

მიჩვეულია, ყველაფერში თვითონ ჩაიხედოს. და თუ უმისოდ ვინმე რამეს გადაწყვეტს - სწყინს.

გურამ მგელაძის შვილი - დათო - ხაჩიშვილმა ერთ-ერთ მოადგილედ წაიყვანა, რადგან იცოდა, რომ გურამი შევარდნაძის ახლობელია და თვითონ დათოც ნიჭიერი იურისტია, ენერგიული, თანამედროვე შეხედულებებით. შევარდნაძემ დიდად იწყინა - როგორ არ შემითანხმდაო. მე არცთუ იშვიათად ვეკითხები: „ყველაფერს ხომ ვერ გასწვდებით. ქალაქის რაიონის გამგებელი დანიშნოს ქალაქის მერმა, მილიციის უფროსი — სამმართველოს უფროსმა“. „უჩემოდ ხეირიანად ვერაფერს აკეთებენ“, - მპასუხობს. „თუ ინიციატივას წაართმევ, რასაკვირველია, ვერაფერს გააკეთებენ“. „ინიციატივის წართმევის“ გაგონებაზე გული მოსდის, რაც იმაში გამოიხატება, რომ თავს ძალას ატანს, არ იყვიროს და ხმა უწვრილდება.

პარლამენტში ოპოზიცია გამოიკვეთა. ეროვნული მოძრაობიდან მოსული ძალების უმეტესობა კრიჭაში უდგება შევარდნაძეს და ამით აღიზიანებს ხალხს, რომელიც ყოველი სხდომის ტრანსლაციას უყურებს. თავდაცვის სამინისტროში თითქოს გვარდიას შლიან. მაშინ თავდაცვის სამინისტროც დაიშლება, სინამდვილეში ხელმძღვანელობა გადახალისდება.

აფხაზეთში საქმე ვერ არის კარგად. თავისუფლებისა და შრომის მიდამოებში, აქა-იქ მაღალმთიან ადგილებში, აფხაზეთის პოზიციები ჩნდება. გია ვაშაკიძის წამოწყებული ოპერაცია ჩაიშალა. ლაშკანდერის მთაზე ოცი დღის განმავლობაში მხედრიონელები სოხუმის მხრიდან ამაოდ ელოდნენ შეპირებულ საომარ მოქმედებას ან მოძრაობას ტყვარჩელისაკენ. სულ ერთი მთის ფერდობით მოშორებულნი ბანაკად იდგნენ. ქალაქში უკვე ევაკუაცია იწყებოდა. მაგრამ ორასი კაცით, ტექნიკის, ზურგისა და რეზერვის გარეშე 18-ათასიან ქალაქზე იერიშის მიტანა გაუმართლებელი ავანტიურა იქნებოდა. ის კი არა, ვერტმფრენიც არ გამოუგზავნეს დროულად, რის გამოც დაჭრილებს დახმარება ვერ აღმოუჩინეს და ჩვენი ცნობილი ვაჟკაცი, ლანჩხუთელი ჯამბულ ხოფერია დაიღუპა. ამას ისიც დაემატა, რომ ამ გაზაფხულზე ლაშკანდერზე დიდი თოვლი მოვიდა. საკვები გამოელიათ და გია იძულებული გახდა, რაზმი მთიდან ჩამოეყვანა. ოჩამჩირე-სოხუმის გზაც ჩვენი კონტროლიდან გამოვიდა. გიგა

გელაშვილმა თავისი ჯგუფი დასასვენებლად გამოიყვანა. შვიდი თვის განმავლობაში ბიჭები დალპნენ და დატილიანდნენ. თვითონ გიგა ლაშკანდერის ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას. ახლა გიგას ჯგუფის ნაცვლად ლაბრაში ათ-ათი დღით მილიციის ორას-ორას თანამშრომელს გზავნიან. ავტომატის მეტი არავითარი იარაღი არა აქვთ. როცა ლაბრაში მხედრიონი იდგა, იგი გზასაც დარაჯობდა. ახლა გზას ვინღა დაეძებს - სიმაღლეები არ დაკარგონ. ერთხელაც გამოიქცნენ და მიატოვეს ლაბრა. გვარდიის ბატალიონმა „ავაზამ“ (ტრისტან წითელაშვილის ხელმძღვანელობით) ხელახლა დაიკავა პოზიციები. ოჩამჩირიდან ზაურ უჩაძე და სოხუმიდან პაატა დათუაშვილი ცდილობენ, ლოთი ქობალიას უკვე საკმაოდ მომძლავრებული რაზმი ჩართონ საომარ მოქმედებაში. ზუგდიდში გზავნიან სამხედრო ტანსაცმელს, ტყვია-წამალს, არის ერთი მისვლა-მოსვლა, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. გია ვაშაკიძემ და ბუთხუზა თოხაძემ კარგი ბრიგადა შეკრეს. მართალია, შეიარაღება ნაკლები აქვთ, სამაგიეროდ არტილერია, რამდენიმე თანამედროვე ქვემეხით, მშვენივრად მუშაობს. დისციპლინა და კავშირგაბმულობა ჩვენი პირობებისთვის სანიმუშოა. ახლა სამხედრო საქმეებში ჩემი ჩარევა უხერხულია. მხედრიონის ასეულს თუ ვუხელმძღვანელებ, თორემ სხვა მხრივ არავითარი სტატუსი და, აქედან გამომდინარე, უფლებაც არა მაქვს, ვიმოქმედო. დავდივარ პარლამენტის სხდომებზე, ვუსმენ კანონპროექტებს. სადისკუსიოდ ვამზადებ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურის გამარტივების კონცეფციას. თუ ამ ჩემს გეგმას მხარდამჭერი გამოუჩნდება (და ალბათ გამოუჩნდება), მერე დავიწყებ მუშაობას სამართალდამცავი სისტემის მთლიან რეფორმაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს უხიაგი არქიტექტონიკა თვითონ გვიკარნახებს მისი გამარტივების გზას. ქალაქ თბილისის მილიცია-პოლიციის უშველებელი სამმართველო უნდა გამოეყოს სამინისტროს და, როგორც ადმინისტრაციულად, ისე ეკონომიურად, დაექვემდებაროს ქალაქის მერიას. საგამომძიებლო დეპარტამენტმა უნდა დაიწყოს დამოუკიდებელი ფუნქციონირება. სახანძრო გახდეს მოქალაქეთა დაზღვევის ხარჯზე მოქმედი დამოუკიდებელი ორგანიზაცია ან გადაეცეს მაშველთა კორპუსს. რაიონებში დაფუძნდეს ეგრეთ წოდებული შერიფების სისტემის პოლიცია. შინაგანი ჯარი დაექვემდებაროს პარლამენტს, ვინაიდან მისი დანიშნულება

ეთნიკურად ისეთ ჭრელ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ფაქიზი და კონტროლირებადი უნდა გახდეს. ეს კი დაკავშირებულია შიდა პოლიტიკურ ვითარებასთან, რაც თავისთავად პარლამენტის პრობლემებია. ცალკე სამეურნეო ანგარიშზე იქნება დოკუმენტების გამფორმებელი ამჟამინდელი საპასპორტო განყოფილებები და ა.შ. და ა.შ. ყველაფერ ამის თავის მოსაბმელად მჭირდება ზუსტი გაანგარიშება და ეკონომიკური, პოლიტიკური, პრაქტიკული ვარგისიანობის დასაბუთება. ამას ვავალებ ვალერი ქელბაქიანს, რომელიც ალეკო ბოჭორიშვილმა მომიყვანა.

26 მაისს რესპუბლიკის მოედანზე ეწყობა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი დღესასწაული. ამ რამდენიმე ხნის წინ შევარდნაძეს დანგრეული ტრიბუნის განახლება სურდა. ასე მგონია, მე გადავაფიქრებინე: „რა, ისევ ავბობღდეთ და იქიდან ხელები ვუქნიოთ ხალხს? სირცხვილია. თუ მაინცდამაინც, დავდგეთ ქვემოთ, როგორც ყველა“. მაშინ არაფერი მიპასუხა. ახლა ფიცარნაგს ტრიბუნად აკეთებინებს. მეც ოფიციალურად ტრიბუნაზე მიწვევს. რასაკვირველია, არ მივდივარ.

მოულოდნელად ჯემალ ქობალიას სისხლი ჩაექცა. მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს საავადმყოფოში. სანახავად მივედი. ორადგილიან პალატაში დაუწვენიათ. მეორე საწოლში ერეკლე ნარსავიძე წევს. იცინის: „ბატონო ჯაბა, ეს რა არის? წალენჯიხაში ვინმეს რომ ეთქვა, რამდენიმე თვეში ქობალიასთან ერთად ერთ ოთახში იწვებიო, თავს გავუხეთქავდი“. „რას იზამ, ერეკლე, ასე ყოფილა ეს ცხოვრება“.

შევარდნაძეს იშვიათად ვხვდები. ერთ დღეს მირეკავს: „გცალიათ?“ ავდივარ მასთან. ტამიშთან აფხაზებმა კაზაკებთან ერთად გადმოსხეს რვაასკაციანი დესანტი. ჩვენებიდან ას ორმოცდაათ კაცზე მეტი დაღუპულა. დათრგუნვილია. მინდა გავამხნევო და ვამბობ: „ტყუილია! ორასი ან სამასი კაცი იქნება“. „არა, რუსებმა მითხრეს, აქაური შტაბიდან“. „გვაშინებენ“, - ვჯიუტობ მე. დუმს. „ხვალვე სამას კაცს მოვუყრი თავს და წავალ“.

როგორც ყოველთვის, ჭადრაკის სასახლის კლუბში ვიკრიბებით. სამასამდე ვართ. დანარჩენები სამტრედიაში შემოგვიერთდებიან. კარგად ვართ შეიარაღებული: ავტომატები, ხელყუმბარები, ტყვიამფრქვევები, ორი „აგეესი“,

რამდენიმე „ნურსი“ და „ტურსი“. რუსთაველებსა და კახელებს ბეემპეები და ბერდეემები შეუძენიათ. სამტრედიაში ტანკი დაგვხვდება. მეორე დღესვე გავდივართ, მაგრამ ზუგდიდის გავლა პრობლემაა - ქობალიას ხალხი გაგვატარებს? ხობში ვუკავშირდები თემურ გერგაიას, ვთხოვ, დაიწყოს მათთან მოლაპარაკება, ისიც უთხრას, ნებით თუ არ გაგვიშვებენ, ძალით გავალთ და მერე თავის თავს დააბრალონ. სამტრედიაში უკვე ოთხასი კაცი გავხდით. ვეწყობით ათეულებად, ასეულებად. გერგაია ხობში გვხვდება, ზვიადისტებისაგან გადაწყვეტილი პასუხი არ არის. მე ულტიმატუმად ვუთვლი: ჩვენი დაგვიანება არ შეიძლება. დაიკარგება ოჩამჩირე, გალი და არც ზუგდიდს დაადგება კარგი დღე. სოხუმი თავისთავად ალყაში აღმოჩნდება. ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ. თუ მართლა საქართველოს ბედი აწუხებთ, წამოვიდნენ ჩვენთან ერთად. გერგაია და გიგა გელაშვილი ხვდებიან ლოთი ქობალიას. გვთანხმდებიან, მხოლოდ სვლაგეზს აირჩევენ და მათი მეგზური გაგვაცილებს. ჯანდაბას! ოღონდ ჩქარა, ჩქარა! ყოველი წუთი ძვირფასია.

დილით გავდივართ ხობიდან. ბიჭები გაფრთხილებული არიან, გზაში დიდი ყურადღებით იყვნენ, მათგან ყველაფერი მოსალოდნელია. მივყვებით მეგზურ მანქანა „კამაზს“, რომელშიც ზვიადისტების შეიარაღებული ჯგუფია. მათ ხელმძღვანელობს სოსო. აფხაზეთის პირველი მოვლენების დროს ჩემთან ერთად იყო. „ბიჭო, - ვეუბნები, - შენ მაგათთან რა გინდა?“ „რა ვქნა, ბატონო ჯაბა, ზუგდიდელი ვარ და თქვენთან ყოფნა არ გამოდის“, - მპასუხობს დარცხვენილი.

მთელი ზუგდიდი გამოფენილია, მცნობენ და ცნობისმოყვარეებს უთითებენ: „ჯაბა, ჯაბა!“ ყველა გზაჯვარედინზე და თვალსაჩინო ადგილას ყუმბარმტყორცნებით და ახალთახალი ავტომატებით შეიარაღებული ქობალიას ხალხი დგას. რაღაც მიხვეულ-მოხვეულებით დაგვატარებენ. ბიჭები იცინიან. წინ ერთი და იგივე ჯგუფები გვხვდებიან. ვიდრე ჩვენ მოვუვლით, ისინი მოკლეზე გამოდიან და კვლავ გვეჩვენებიან, „ბევრნი ვართ და მაგრები ვართო“.

ჭუბურხინჯთან გვხვდება თენგიზ კიტოვანი, რომელიც ჩვენზე ადრე წამოსულა. ლოთი ქობალიას ელოდება. ვერ გავიგე, რა საქმე აქვს - მასთან ერთად უნდა წამოსვლა თუ მაგათი რაღაც

ჩახვეული ამბებია. ქობალია, მართლაც, შეგვხვდა გზაში, მანქანიდან არც კი გადმოდის, ისე ელაპარაკება დაუდევრად. გზას ვაგრძელებთ. გალში გვხვდებიან ბუთხუზი და ზაურ უჩაძე. გია ვაშაკიძე გასულია ოჩამჩირიდან. ჩივიან, რომ თენგიზ კიტოვანი ისევ მინისტრობს, გია ყარყარაშვილი სოხუმშია. იქიდან რეკავს და ერთს ბრძანებს, ეს კი აქ თავისას გაიძახის. ოცი კაცი ჰყავს ჩამოყვანილი და აჩიგვარაში, სამურზაყანო ბატალიონის შტაბში დაბინავდნენ. შევდივართ ოჩამჩირეში. იმ დროს, როცა ყველა სამხედრო ხელმძღვანელი შტაბში შეიკრიბა, თენგიზ კიტოვანის დასანახად და გასაგონად ვუპატაკებ ზაურ უჩაძეს, რომელიც ოფიციალურად აქ ახლა ყველაზე დიდი ჩინია (კორპუსის უფროსის მოადგილე): „ჩამოვედი მხედრიონის ოთხასი კაცით თქვენს განკარგულებაში. რასაც მიბრძანებთ, შევასრულებ“.

მდგომარეობა სერიოზულზე სერიოზულია. დესანტი, რომელიც შეუმჩნევლად ტამიშთან ზღვით გადმოსხეს, ყოველი მხრიდან მოქმედებს. სოხუმის გზა გადაჭრილია, ლაბრა - დაკარგული. მათი მოწინავე რაზმი განლაგდა მაიმუნთა „პიტომნიკში“. უტევენ სოფელ ცაგერას. მსხვერპლი დიდია. ტამიშთან დაგვეღუპა ორასამდე მეომარი - შინაგანი ჯარებისა და წამალაშვილის ბატალიონ „ავაზას“ ბიჭები. შტაბში დაბნეულობაა. „გვიკავია დაცვა. გია ყარყარაშვილი უნდა წამოვიდეს სოხუმიდან. ვფიქრობთ, ლოთი ქობალიას რაზმებიც ჩამოვლენ. თბილისიდან ველოდებით ჯემალ ჭუმბურიძეს გვარდიის ტექნიკით. გია ვაშაკიძე დღეს ჩამოდის ვერტმფრენით“, - მიყვება ზაურ უჩაძე. „ქობალია რამდენ კაცს შეგპირდათ?“ „ხუთასს“. „ესე იგი, ას ორმოცდაათს“, - ვაზუსტებ. „არა, არა, - მიმტკიცებს ზაური. - მათი მეთაურები უკვე აქ არიან“. მართლაც, შტაბში სოსო ჟღენტია. წესიერი კაცი ჩანს. „დედაჩემი ჟღენტის ქალი იყო“, - ვეუბნები. არაფერს მპასუხობს და წითლდება. აქვეა მათი შტაბის უფროსი - დაბალი ტანის, მონდომებული, არცთუ ახალგაზრდა, მორუსულე ყოფილი სამხედრო, რომელიც კმაყოფილია იმით, რომ მისი მივიწყებული სპეციალობა საჭირო აღმოჩნდა და იგი მოვლენების შუაგულში ტრიალებს.

მხედრიონი მიმყავს ცაგერასა და ტუმბოებთან. მოწინააღმდეგის სნაიპერები და ავტომატური ცეცხლი გვწვდება. გამაგრებული არიან „მაიმუნებთან“ და მის მოპირდაპირე ბორცვთან. ეტყობა, იერიშისთვის ემზადებიან.

„ჩვენ უნდა დავასწროთ“, - ვაცხადებ შტაბში დაბრუნებული. „ტექნიკას დავუცადოთ. დღეს თუ არა, ხვალ ჩამოვლენ“. - ასეთია საერთო აზრი. „მაშინ დღეს საღამოს შეტევისმაგვარი ცრუ მანევრი გავითამაშოთ“. ამაზე არავინ პასუხობს. მაშასადამე, შეიძლება დამოუკიდებელი მოქმედება. სადილის შემდეგ ჩამოდის გია ვაშაკიძე. მისმა ვერტმფრენმა დაჯდომისას ავარია განიცადა, გია გადმოვარდა და საკმაოდ ძლიერი ტვინის შერყევა მიიღო. დაბინდებისას, ვიდრე რამეს მოვამზადებდე, ოჩამჩირეში პანიკაა. ხმა დაირხა: მტერმა ცაგერა აიღო, ახლა, აქეთ მოდიან. მე და გია ვაშაკიძე სასწრაფოდ მივეშურებით ცაგერასკენ. რუსების თვითმფრინავებმა ცაში გადმოგვიკიდეს ეგრეთ წოდებული „ლუსტრები“. ოჩამჩირე და მიმდებარე სოფლები გაჩახჩახებულია. მეჩხერად შემორჩენილი მოსახლეობის აივნებსა და ეზოებში ისეთი ფაციფუცია, თითქოს რაღაც ცუდ საქმეზე წაასწრესო. ზოგიერთები ფუთებით ხელში ჭიშკრებთან დგანან და დაბნეულებმა არ იციან, საით წავიდნენ. ყოჩებს ელოდებიან. „შედის სახლებში! არაფერი არ არის, ნუ გეშინიათ, ტყუილია, ეს ჩვენებმა გაანათეს აქაურობა“, - ვუყვირი. ორი ტანკი დიდი სიჩქარით მორახუნობს. გადავუდექით. აჩერებენ. უკან ვაბრუნებთ. ცაგერას გზაზე შეგვხვდნენ უწესრიგოდ მომავალი ჯარის ნაწილებიც. ვინ თქვა, რა თქვა, - არავინ არაფერი იცის. ვხედავთ, ტუმბოებდან დაბანაკებული ჩვენი კახელებიც ფეხის ხმას აჰყოლიან: „თქვენ სადღა მიდიხართ?“ „რა ვიცი, წამოდითო და...“ „აბა, მიბრუნდით, ჩქარა“. - უწმაწურად ვიგინები. მადლობა ღმერთს, ცაგერაში სიმშვიდეა. ჩვენი ბიჭები საველე შტაბთან და სასაფლაოს კიდეში ჩასაფრებულან. ბატალიონი „თბილისელი“ თემურის ხელმძღვანელობით და სვანები ბადრისა და ლუხუმას მეთაურობით ზემო ცაგერას პოზიციებზე დგანან. ადგილობრივებს, სოსოს რაზმიდან, დაზვერვაზე ვუშვებ. მოწინააღმდეგე შიგადაშიგ ტყვიებს აკაკანებს. ტყვია ხანდახან გადასასვლელებთან უწევს და ჩაიწუილებს. ამიტომ, ყოველი შემთხვევისათვის, გადავრბივართ. გია ვაშაკიძე ძლივს მომდევს. თავბრუ ეხვევა, მაგრამ დასაწოლად არ მიდის. შემოვიარეთ ყველა პოზიცია. ბიჭები ბაიბურში არ არიან, რომ ქალაქში პანიკა იწყებოდა. ჩვენც არაფერს ვეუბნებით, ვხუმრობთ, ვამხნევებთ და ოჩამჩირეში ვბრუნდებით. „ლუსტრები“ იფერფლებიან. ერთი-ორი ცალიღა შემორჩა ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე. მთვარეს

ვერ ვპოულობთ. „ლუსტრები“ ჰგვანან ჩვენს გალაქტიკაში შემოჭრილი პლანეტის ნამსხვრევებს, რომლებიც დედამიწამდე ვერ აღწევენ და რატომღაც ქანაობენ. ოჩამჩირეში მხედრიონის შტაბი აღარ არსებობს. დოდო გუგეშაშვილი დალის ხეობაში იბრძვის. ბრიგადის შტაბში დარაჯის გარდა არავინაა. განგაშს ვტეხ. გამოჩნდნენ ზაურ უჩაძე, ზურაბ ნიკოლაიშვილი და რამდენიმე ოფიცერი. თავს ძლივს ვიკავებ, არ გავლანძღო. დილით გამოჩნდა ლოთი ქობალია თავისი რაზმით, პირველი ას ოცი კაცით. ლოთის ცაგერას საველე შტაბში ვხვდები, მეგობრულად ვუწვდი ხელს. შეყოვნდა. „ჰა! - ვეუბნები უხეშად, - მოიტა ხელი!“ მიწვდის, თან გასამართლებლად მეუბნება: „რა ქენი შენ წალენჯიხაში?“ „მე თუ თქვენ? მძინარებს დაგვესხით თავს“... „მე სულ არ ვყოფილვარ წალენჯიხაში მაშინ“. „ვიცი! რაც იყო, იყო. მოდი, ახლა საქმეზე ვილაპარაკოთ“. ლოთი თავისი შტაბის უფროსს ჩვენს საველე შტაბში, რაციასთან ტოვებს. მისი რაზმი, რომელსაც კიდევ 80 კაცი დაემატა, ზღვის პირას განლაგდება და ჩვენთან შეთანხმებით იმოქმედებს. სინამდვილეში, ესენი ჩვენს ზურგში იქნებიან და მარცხენა ფლანგის ნაწილსაც გააკონტროლებენ. ასე რომ, მტერი ვერ შემოგვივლის. ვერც ალყას დაგვარტყამს. მხედრიონი კი ფრონტალურად წინ, მოწინააღმდეგის პირისპირ არის განლაგებული. რუსები და აფხაზები იერიშისთვის ემზადებიან. გუშინ უნდა დაეწყოთ, მაგრამ რაღაცამ შეუშალა ხელი. იქნებ ჩვენს პანიკას ელოდებოდნენ, როგორც გაგრასა და კოჩარაში?! დღეს საღამოს შევუტიოთ პოზიციურად, ნელ-ნელა მიწოლით. თუ გაგვიმართლა, ხომ კარგი, თუ არა და ხვალ ან ზეგ ტოტალურ იერიშს მოვაწყობთ. ღამით ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებით „პიტომნიკს“. ლოთის ხალხიც წინ იწევს. მათი მიზანია ტურბაზის დაკავება. როგორც დაზვერვამ გადმოგვცა, იქ აღარავინ უნდა იყოს. დაგვეღუპა ორი მეომარი რუსთავის მხედრიონიდან. ყველა გაფრთხილებული გვყავდა, სიგარეტი არ მოეწიათ. არ დაიჯერეს და სნაიპერმა ორი გასროლით ორი მწეველი მოგვიკლა. ესენი უკვე მართლა პროფესიონალები არიან. ღამით წინ კი წავიწიეთ, მაგრამ „პიტომნიკზე“ იერიში არ გამოვიდა. მისი მოპირდაპირე ბორცვიდან დიდი ცეცხლი გაგვიხსნეს. მუშაობდა მათი „აგეესი“. დაიჭრა ჩემი თამაზ-წესრიგა და ჩემს მძღოლად თბილისიდან წამოყოლილი მილიციის თანამშრომელი, ჩემი ახლობელი ზაზა ჩიტაია.

დილით ჩვენი საველე შტაბი რუსების თვითმფრინავებმა დაბომბეს. სულ ოც-ოცდაათ მეტრში მდგარ ორსართულიან სახლში ჩამოყარეს ყუმბარები. მეხვეწებიან, გადავინაცვლოთ, თორემ კიდევ დაგვბომბავენო. მეორედ ეგენი აღარ მოვლენ, დარწმუნებული არიან, რომ მიზანში მოახვედრეს. როცა წუილით ჩვენს ეზოში გამოჩნდნენ, ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ჩვენი ალვის ხეებიდან ამოცვივდნენ. ჩვენ ხომ მაგ სახლისა და ხეების ჩრდილში, ძველ ვაგონში ვსხედვართ. თუნდაც მოვიდნენ, ისევ აქ ხომ არ დაიცლებიან.

ბიჭები ნოდარ ნათაძეს შეეფეთნენ, მთელი ამუნიციით აღჭურვილი ოჩამჩირეში ჩამოსულა. ხან შტაბში თვლემს, ხან აქეთ-იქით დაბორიალობს. არ იცის, რა გააკეთოს. „ბატონო ნოდარ, მხედრიონს იარაღი არ უნდა, არა? მაშ, ახლა კომბლებით ვიბრძოლოთ?!“ - ნიშნის მოგებით ეკითხება ზაზა ვეფხვაძე. „არა, მე ასე არ მითქვამს, ასე არ მითქვამს“. ზაზას თვალით ვანიშნებ, დაანებე თავი, ერთი მაგისი... ტანკებით ჩამოდის ჯემალ ჭუმბურიძე. ეგრევე, ხელაღებით გადიან შოსეზე და იქვე ფეთქდებიან. მძღოლი დაიღუპა. ჯემალი კონტუზირებულია.

მეორე დღისთვის ვგეგმავთ ფართომასშტაბიან იერიშს. ყველა პოზიცია ჩაერთვება. მთავარი დარტყმა კი იქნება მაიმუნთა „პიტომნიკზე“. ზურგიდან და მარცხენა ფრთიდან იმოქმედებს ქობალიას ხალხი, მარჯვნივ - ტრისტან წითელაშვილის „ავაზა“. მოულოდნელად ტრისტანი უარს აცხადებს, უხელმძღვანელოს თავი რაზმს და გვთავაზობს, ეს საქმე დავავალოთ გოგია „პულიმიოტჩიკს“ (ტრისტანი თავისი ბიჭების დაღუპვის შემდეგ გამოფიტულია). მათი ამოცანაა ცაგერას მარჯვენა მხრიდან იმ ბორცვის ნეიტრალიზება, სადაც სანგრებია გათხრილი და ზის მტერი, რომელიც „პიტომნიკისკენ“ ჩვენს მოძრაობას აფერხებს. „პიტომნიკის“ მისადგომები - ორასი მეტრი ღია მინდორი იცხრილება, როგორც თვით „პიტომნიკიდან“, ისე ირიბად აღმართული მოპირდაპირე ბორცვიდან. ამ მონაკვეთზე ტექნიკის გამოყენება ძნელია. გზა მთლიანად დანაღმულია. ჩამოსულია გუჯარ ყურაშვილი. დიდი ხანი არ არის, რაც ჰოსპიტლიდან გამოვიდა და ახლა შინაგან ჯარშია. ამტკიცებს, რომ, როცა არის შემტევი ფეხოსანი ძალა, ერთი ან ორი ტანკი სავსებით საკმარისია იერიშისთვის. „რაღა მაინცდამაინც ამ შარაგზას დაადგებით, კაცო, გადადი მინდორში, მიუხვ-მოუხვიე“. „გრუნტი ვერ გაუძლებს,

ჩაეფლობა“, - ამბობენ აქეთ-იქიდან. „არაფერი არ ჩაეფლობა, დღესვე გავსინჯავ ყველაფერს“. მართლაც, იგი მარტო მიდის იმ ადგილების დასაზვერად, რომელშიც ტანკმა უნდა გაიაროს და გახარებული ბრუნდება: „არა, კაცო, არაფერი არ ჩაეფლობა. ხვალ აქედან გზის ავლით გავუშვათ ტანკი“.

დილით ვიწყებთ იერიშს. ბადრისა და ლუხუმას სვანები „ლილეს“ სიმღერით გაჰყავთ. წინ არიან გლდანელები „კამისარას“ ხელმძღვანელობით, ლანჩხუთისა და ბორჯომის მხედრიონი. ტამიშის ხიდთან შეგროვებული მოწინააღმდეგის გასაფანტად არტილერია მუშაობს. „პიტომნიკი“ ძალიან ახლოა და შეიძლება ჩვენები საარტილერიო ცეცხლში მოხვდნენ. საველე შტაბი მაინც გადაიტანეს მართლაც ველში, მოფარებულში. რაციასთან სხედან: უჩაძე, რომელიც არტილერიას ხელმძღვანელობს, ყურაშვილს ორ ტანკთან აქვს კავშირი, ქობალიას შტაბის უფროსს - თავიანთ რაზმთან ზღვისპირეთში და გიგა გელაშვილი მხედრიონს ხელმძღვანელობს.

„ავაზა“ ცაგერას სასაფლაოდან უნდა გავიდეს და ზურგში მოექცეს ბორცვზე მყოფ მტერს. იწყება შეტევა. არტილერია მუშაობს, მხედრიონი უახლოვდება „პიტომნიკს“. გოგია „პულიმიოტჩიკი“ რაციით გვატყობინებს, რომ მან უკვე გაიარა ბორცვი და უახლოვდება ლაბრის გზას, ლოთის ხალხი კი თითქმის ტურბაზასთანაა. ერთი ტანკი მაინც ჩაეფლო და ვერ გავიდა საბრძოლო პოზიციაზე, მეორე - „კობრა“ - კარგად მუშაობს, „პიტომნიკს“ ზურგიდან უახლოვდება და ცეცხლს უხსნის. დოდო გუგეშაშვილი გვატყობინებს, რომ საჭიროა, ტანკმა ქვემეხი ესროლოს მთავარ შენობას, სადაც მტერს სახურავზე რამდენიმე ტყვიამფრქვევი უდგას. ტანკთან კავშირი წყდება. გიგა უბრძანებს, რომ გადავიდნენ იერიშზე. დარჩენილია რაღაც ასი მეტრი. მხედრიონელები ერთი წამოდგნენ და ისევ ჩაწვნენ - ბორცვებიდან დააყარეს. „ავაზამ“ ბორცვები ხომ გაიარა?“ - ვკითხულობ. „აბა, რა ვიცი, კი ისვრიან და“... - მპასუხობს გიგა.

ტანკთან კავშირი აღდგა: „კობრა, კობრა, მიდი, მიდი, მიდი, გენაცვალე!“ მუდარით ყვირის ყურაშვილი, წელში იხრება და, თითქოს უნდა ეამბოროსო, რაცია ორივე ხელით სათუთად მიაქვს ტუჩებთან. მხედრიონელები კიდევ ერთხელ წამოდგნენ საიერიშოდ და ისევ ჩაწვნენ. „ადექით!“ - ღრიალებს გიგა. „კაცი

მომიკლეს!“ - ისმის ლანჩხუთის მხედრიონის უფროსის ჯამბულ ხოფერიას ძმის, აჩიკოს ხმა. გიგა იგინება. „კობრა, მიდი, მიდი, გენაცვალე!“ - იხვეწება ყურაშვილი. რაცია შრიალებს, პასუხი არ ისმის. ვეძახი თორნიკე ქურდაძეს, გლდანის მხედრიონის უფროსს. „სასწრაფოდ შეკრიბე დარჩენილი ბიჭები და წავიდეთ! სწრაფად, თორემ მერე გვიან იქნება!“ გიგა და ბიჭები ცდილობენ, შემაკავონ. „ხალხი იქ საკმარისია, ბატონო ჯაბა!“ ამბობს გიგა. „საკმარისზე არ არის საქმე. ახლა თუ უკან დაიხიეს“... აღარ ვამთავრებ, გიგას რაციას ვართმევ, ვუკავშირდები თამაზ ჩოგოვაძეს: „ბიჭებს გადაეცი, მოვდივარ თორნიკესთან ერთად!“ ათ წუთში თორნიკე მზად არის. მანქანებით გავდივართ სასაფლაოს გასწვრივ. თვალებს არ ვუჯერებ - გოგია „პულიმიოტჩიკი“ არხეინად მოდის. „რა ხდება, აკი ლაბრასთან ვარო?“ „სასადილოდ გამოვედი“, - მეუბნება ურცხვად. „რა სასადილოდ, რას მიედ-მოედები, სადაა შენი ხალხი?“ „აქვე არიან, სასაფლაოსთან“. მაშასადამე, არც კი დაძრულან და რაციაში იტყუებოდა. გამოძიების დრო არ არის. გადავრბივართ მინდვრებისკენ. უცებ სროლა წყდება და ისმის ღრიანცელი. ვხედავთ, ჩვენი ბიჭები „პიტომნიკის“ გალავანში შერბიან. მტერი გარბის სატვირთო მანქანებით, რომლებიც დახუნძლულია დახოცილებით და დაჭრილებით. ვესვრით ყუმბარმტყორცნებს. ვეღარ ვახვედრებთ. იქნებ არტილერიამ დააწიოს ჭურვი. „პიტომნიკის“ მოპირდაპირე ბორცვთანაც სანგრები მიტოვებულია. მტერი გაქცეულა. „პიტომნიკის“ ეზოში კანტიკუნტი სროლა და ჟრიამულია. დანგრეული ადმინისტრაციული შენობის სახურავზე რაღაც შეხტა, ოთხი კიდური აიშვირა, სადღაც გადახტა და გაუჩინარდა: მაიმუნი, პატარა მაიმუნი! როგორ შემორჩა ეს უბედური აქაურობას?!

სოხუმიდან წამოსული გია ყარყარაშვილი ისევ ძველ კინდღსა და ანუახრუსთან შეფერხდა, ტამიშისკენ ვეღარ გამოაღწია. ახლა ჩვენ მივეხმარებით და შევერთდებით. ლოთის ხალხიც ტამიშის ხიდთან გამოდის. მტერი ჩვენი მხრიდან ლაბრის გზით და სოხუმიდან მომავალი ჯარის მოწინააღმდეგენი კი კვიტოულის გზით გარბიან სოფელ ჯგერდისკენ. ჩვენი ტანკები ლაბრამდე გამოეკიდნენ, შემდეგ თავი მიანებეს და ისინიც ტამიშის გზაზე გამოვიდნენ. ახლა იქნება შეხვედრის ცერემონია, ტელევიზიით გადასაცემად „პატარა დადგმა“. დაე, ეს ყველაფერი ქობალიას ხალხს მიეწეროს, სამხედრო გამარჯვების - პროფესიონალ რუს დესანტთა მოგერიების

გარდა. პოლიტიკურადაც დიდი მოვლენაა: საქართველოს მტრებთან ბრძოლაში გავერთიანდით!

ჩვენ ოჩამჩირეში ვბრუნდებით. ქობალიას ხალხი, გვარდია თავისი ტექნიკით, შინაგანი ჯარის ნაწილი მიდიან სოხუმში. ცაგერაში ბადრი მთხოვს, შევიარო იმ სახლში, სადაც ბიჭები ღამეს ათევენ. ლუხუმა რაღაც საეჭვოდ იღიმება. ვხვდები - სიურპრიზს მიწყობენ. დღეს ჩემი დაბადების დღეა. არ ვიმჩნევ და მივყვები. მართლაც, სუფრა გაუშლიათ და მელოდებიან. მიხარია - გავიმარჯვეთ! დაჭრილები გვყავს, მაგრამ მსხვერპლი ასეთი დიდი შეტევისათვის მინიმალურია - ალბათ 4-5 კაცი. ნადავლი დიდია: ერთი ტანკი, ავტომატები, „აგეესები“, ტყვია-წამალი, ჯავშანჟილეტები, ხელყუმბარები, ყუმბარმტყორცნები. არადა, სულ ორი დღის წინათ ვიღაც პროვოკატორისა და პანიკიორის წყალობით გავრბოდით. ორი ავტობუსით და რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანით მხედრიონის ერთი ნაწილი მიემგზავრება სახლებისკენ. მეც, მათთან ერთად, ისევ ზუგდიდის გავლით, თბილისში მივდივარ. ზუგდიდის გამგებელი ოთარ ფაცაცია მირჩევს, მაინც მოვერიდო და გზაში ფრთხილად ვიყო. მე კი იმედი მაქვს, რომ გარდატეხა მოხდა, ახლა, პირიქით, საჭიროა გაცხოველდეს ურთიერთობა. და მაინც, ფაცაცია მართალი გამოდგა: მე ვერ გამიბედეს, სამაგიეროდ, ერთი ავტობუსი შეაჩერეს, გაჩხრიკეს, ზოგიერთებს იარაღიც წაართვეს. მეუბნებიან, რომ ეს ლოთი ქობალიას ხალხი არ არის, ეს სხვა დაჯგუფებაა.

ხშირად ამბობენ: ჩვენ ალბათ დიდი ცოდვა გვაქვს ღვთის წინაშე, ასე რომ ისჯება ქართველი ხალხი. ამას კიდევ ვარაუდი სჭირდება? 70 წელს ვცხოვრობდით უღმერთოდ - ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მერე კი მოვინანიეთ ჩვენი მამა-პაპისა და საკუთარი ცოდვები? შემწყნარებლობის, ერთიანობის, ურთიერთპატივისცემის მაგივრად, ჰუმანური არაფერი შევისისხლხორცეთ. 1990 წლის 19 მარტს მხედრიონის მიერ ჩატარებულმა მიტევებისა და ურთიერთშემწყნარებლობის ხალხმრავალმა აქციამ არავითარი გაგრძელება არ ჰპოვა. ეგ კი არადა, გია აბესაძის გმირულმა აქტმა - დაპირისპირებისა და შიდამტრობის საპროტესტოდ თავის დაწვამ - უყურადღებოდ ჩაიარა, თითქოს ქორწილიდან მომავალი მთვრალი ხრამში გადაიჩეხა. ჩვენდამი უფლის განრისხების კიდევ ერთი ნიშანსვეტი: მერაბ ალექსიძეს სოფელში დენმა დაარტყა და

გარდაიცვალა. წავიდა ცხოვრებიდან კაცი, რომელსაც შეეძლო და უფლებაც ჰქონდა, ერის გაჯანსაღების პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრა. დასაფლავებაზე მისი კოლეგები ასეთ შემთხვევისთვის განკუთვნილ სიტყვებს წარმოთქვამენ. მეც მსურს, რაღაცნაირად მოვეფერო, დავემშვიდობო, მაგრამ არა ასე სახალხოდ: გამოშიგნული ვდგავარ და მახსენდება, როგორ პატარა ბიჭივით აღტყინებული ჩამოვიდა ჩემთან, ცხინვალში, გაჭირვების პირველივე დღეებში. ინსტიტუტი მიატოვა და ათ დღეს ჩემთან ერთად არ ეძინა, შეიარაღებულ ტყე-ღრეში დაეხეტებოდა მსოფლიოში ცნობილი აკადემიკოსი და ცხოვრებაში ჰუმანურზე ჰუმანური კაცი, ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც კომუნისტურ პარტიაში ვერასგზით ვერ შეიტყუეს.

ნაძალადევის რაიონში პარასკეობით ვიღებ ამომრჩევლებს. მოსახლეობა უბედურ დღეშია. ცუდიც ის არის, რომ ვერაფერს ვშველი. წვრილმან რაღაც-რაღაცეებს - პირადი ინიციატივით, თორემ სახელმწიფოს რა შეუძლია?! ლტოლვილები, ბინის საკითხები, მშენებარე სახლებში შეჭრილი მრავალშვილიანი ოჯახები. განსაკუთრებული იმედით მოდიან პატიმართა ჭირისუფლები.

მაშველთა კორპუსი ნელ-ნელა საბჭოთა ყაიდის უწყებად იქცევა - პრეზიდიუმით, თავმჯდომარის მოადგილეებით. ბევრი ფიქრის და რჩევის შემდეგ თავმჯდომარედ ვუშვებ გიგა გელაშვილს. მე ვრჩები საპატიო თავმჯდომარედ. მართალია, გიგას განათლება აკლია, მაგრამ სამაგიეროდ ნიჭიერი კაცია, ამ ომებში ავტორიტეტი მოიპოვა, ბიჭები უჯერებენ. პირად ცხოვრებაში კეთილგონიერია, არ სვამს, წამალს არ იკეთებს, არ ეწევა, ახლად დაოჯახებულია. საკანცელარიო და ბიუროკრატიულ საქმეს მოადგილეები წაუძღვებიან. ათი თვეა, რაც აფხაზეთის ომი მიმდინარეობს და მაშველთა კორპუსის წევრებისთვის მთავრობას კაპიკი არ გაუღია. შევარდნაძეს და სიგუას ვთხოვ, ტამიშის ოპერაციის კეთილად დამთავრებისთვის ოთხას კაცს დავურიგოთ ას-ასი ათასი კუპონი. მაძლევენ. არაფერი კი არ არის - ერთი ბაზარში წასვლაც არ გამოდის, მაგრამ მაინც გახარებული ვარ. გია ვაშაკიძეს ოჩამჩირეში ვუგზავნი.

რუსების და აფხაზების მხარე მოლაპარაკებაზე მოდიან. შევარდნაძე ცალყბად მთხოვს, ხომ არ წამოხვიდოდითო.

მივყვები სოხუმში, ამჯერად - ცივილურ კოსტიუმში. „გოსდაჩაში“ იკრიბება ჩვენი და რუსების მხარე. აფხაზები არ ჩანან. ჩვენგან გია ყარყარაშვილი და ირაკლი ბათიაშვილი აქტიურობენ. რუსების მხარის ტონზე, კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბორის პასტუხოვის შეფარულ მუქარაზე, ესენი ყველა პრობლემას რატომღაც აუბრალოებენ. ამ „მოთელვაში“ შევარდნაძე არ მონაწილეობს. ეტყობა, პასტუხოვმა იცის ჩემი გადადგომის ამბავი, ვითომ სხვათა შორის მეკითხება: „თქვენ ვინა ხართ?“ „პარლამენტის დეპუტატი“, - ვპასუხობ.

სოფლებში თავისუფლებასა და, განსაკუთრებით, შრომაში აფხაზთა საპოზიციო პოსტებმა იმატეს. ეს სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს სოხუმს. კამანელი ჯემალის გაფრთხილება ჩვენმა შტაბმა აინუნშიც არ ჩაიგდო. არადა, ის პოსტები, რაც ჩვენ უნდა გაგვეხსნა, აფხაზებმა გახსნეს. ფაქტობრივად შემოჭრილნი არიან სოხუმის გარეუბანში.

საღამოს კორპუსის შტაბში, რომელიც ახლა უკვე ცალკეა (ძველი შტაბი გენო ადამიას დარჩა), ვესწრები სხდომას. გამოდის გუჯარ ყურაშვილი და სიმართლეს ლაპარაკობს შრომის პოზიციების შესახებ: „ჩამოდის ოცი-ოცდაათი კაცი, ბატალიონიო, ამბობენ. კაცო, რა ბატალიონი? ოცი კაცი? ჯარისკაცს თუ გავუწყრები, „დაგბრიდავო“, მეუბნება. რა „დაგბრიდავ“, კაცო, ასე როგორ შეიძლება“... შტაბის ოფიცრები და გენერლები აწყვეტინებენ. ბოლოს ყარყარაშვილი გამოდის. უფრო პოლიტიკური კუთხით ეხება საკითხებს. შევარდნაძე ჩემ გვერდით ზის და მეუბნება: „რა კარგი სიტყვა თქვა გიამ“. სხვანაირად გაიგებს, თორემ პირზე მაქვს მომდგარი საყვედური: „რად გვინდა კარგი სიტყვა, შრომა დაკარგულია!“ რამდენიმე დღის შემდეგ შევარდნაძე-ყარყარაშვილმა სტალინური პრაქტიკა გაიხსენეს - ციხეებიდან ორასამდე პატიმარი გაუშვეს „ს ოტპრავკოი ნა ფრონტ“, როგორც ამ პროცესს უწოდებდნენ კომუნისტები და შრომაში მოწინავე პოზიციაზე გაუშვეს. პირველივე შეტევაზე თითქმის მთელი რაზმი დაიღუპა. გადარჩნენ მხოლოდ ერთეულები.

თბილისში ვბრუნდები. ვუყურებ ტელევიზორს. ყარყარაშვილი და ბათიაშვილი გამოდიან ულტიმატუმით, რაღაც ბავშვურ-სამარცხვინო „ბლეფს“ თამაშობენ ღია კარტებით. ჩვენი სამხედრო ძლიერებით აშინებენ რუსებსა და აფხაზებს. ჯერ

ჩვენი ძალის ოცი პროცენტიც არ გამოგვიყენებიაო, - ეუბნებიან იმას, ვინც ჩვენ ტყვიებს თვლით გვაძლევს... შემდეგ - სოჭის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის, ძალთა დაშორიშორების, სოხუმში „სტატუს კვოს“ აღდგენით და ამ საწყისი ფორმით მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას ვეღარ ვიღებ - ვარ უბრალო დეპუტატი. თუ რაიმე გავლენა შემიძლია მოვახდინო მოვლენებზე, მხოლოდ შევარდნაძის მეშვეობით, ისიც, თუ შემეკითხა და დავაჯერე. ამჯერად ვურჩეთ: 24-ე ბრიგადა, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებულია ადგილობრივი მხედრიონით, რუხში დავაყენოთ. ჯერ ერთი, საბაბი არ მივცეთ, რომ მოლაპარაკების დღის წესრიგში დააყენონ აფხაზეთიდან სამთავრობო ჯარების გაყვანის მოთხოვნა. მეორეც - თუ რამე მოხდება, ოჩამჩირემდე ჩასვლას ნახევარი საათი არ დასჭირდება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ საყაზარმოდ იქ კარგი კომპლექსი არსებობს. გარდა ამისა, ეს ფორპოსტი იქნება ზვიადისტების წინააღმდეგ, რომლებიც პარპაშებენ არა მარტო ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონებში, არამედ ჩვენი ხელისუფლების იურისდიქციიდან ამოაგდეს სენაკიც და აბაშაც. მგონი ჭკუაში დაუჯდა, მაგრამ მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დამარწმუნა, რომ მან ეს საკითხი ვერ ჩასვა (ან არ ჩასვა) სამხედრო ხელმძღვანელობის სამოქმედო გეგმაში. მე კი მაშინვე ოჩამჩირეში გავეშურე, რათა ყველაფერი მომემზადებინა ამ გეგმის განსახორციელებლად. გია ვაშაკიძემ და ბუთხუზა თოხაძემ ძირითადად მოიწონეს ეს აზრი, მხოლოდ ბუთხუზმა საზენიტო არტილერიის და, საერთოდ, არტილერიის ბაზის გადატანა არ მიიჩნია მიზანშეწონილად, ვინაიდან იმხანად 24-ე ბრიგადამ ჩაიბარა რუსების საჰაერო თავდაცვის ყოფილი ბაზა უამრავი საჭურველითა და შეიარაღებით, რომლის გადმოცემის ორომტრიალში მეც დიდი ზეწოლა მოვახდინე პირადად ამიერკავკასიის სამხედრო დაჯგუფების მთავარსარდალ გენერალ რეუტზე.

თბილისიდან მირეკავენ და მთხოვენ, რომ ერთი დღით ჩავიდე. ნათლობაა დანიშნული და მე უნდა გავხდე მარიამ ბაგრატიონის ნათლია. ნათლობა სიონში ჩატარდა. ახალგაზრდა მღვდელმა, მამა თეიმურაზმა, რიტუალი ყველა წესის დაცვით ჩაატარა და მეც 46 წლის შვილი შემეძინა.

სოხუმში მოლაპარაკებები გრძელდება. ახლა საუბარია და დგება შეთანხმების პროექტი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდეს დაშორიშორება და ვის კონტროლს დაექვემდებაროს შესრულება. მე ოფიციალურად ამ პროცესში მონაწილეობას არ ვიღებ, მაგრამ ბოლო დღეს სანდრო კავსაძემ და სამხედრო უწყებიდანაც მთხოვეს, რომ დავსწრებოდი სხდომებს. ჯერ მივედი კომისიის თათბირზე, რომელსაც უძღვებოდა რუსეთის საგანგებო სიტუაციების მინისტრი შოიგუ. ეს თათბირი წყლის ნაყვას უფრო ჰგავდა, ვიდრე საქმიან შეკრებას. მეც არ დავახანე და სასაცილოდ ავიგდე შეთანხმების ტექსტში ვარსკვლავებით აღნიშვნის პროცედურა, ვთქვი, რომ არამც და არამც არ დავუშვებთ ხუთქიმიანი ვარსკვლავებით მანიპულირებას. თუ მაინცდამაინც, ექვსქიმიანი! შემდეგ მივდივარ სამხედრო ექსპერტებთან, რომლებიც სამხედრო სანატორიუმის ბაღში შეკრებილან. აქ არიან როგორც აფხაზები, ისე რუსი და ჩვენი გენერლები. მე მახლავან გიგა გელაშვილი, ალეკო ბოჭორიშვილი და, როგორც ყოველთვის, წესრიგა-თამაზი. კამათობენ იმის შესახებ, თუ როგორ დააშორიშორონ ჩვენი და აფხაზთა შეიარაღებული ძალები. არის ურთულესი გეგმები - რამდენიმე კილომეტრი სოფელ შრომიდან, რამდენიმე - სოფელ თავისუფლებიდან, რამდენიმეც - თვით სოხუმიდან და ა. შ. ვერაფრით ვერ მორიგებულან. რუკები გადაშლილია, ცხელა და უთავბოლოდ მსჯელობენ. მხარეები 30 კილომეტრით უნდა დაშორიშორდნენ. ვიღებ რუკას და სახაზავს. „გუმისთის აქეთა ნაპირზე დგანან ჩვენი ჯარები?“ - ვეკითხები დამსწრეთ. „ჰო!“ - მპასუხობენ. გუმისთის იქით დგას თქვენი შეიარაღებული ხალხი?“ „ჰო!“ - მპასუხობენ. „მერედა, თქვე კაი ხალხო, გადადით ოცდაათი კილომეტრი იქით. ეს იქნება ახალ ათონთან, ხომ? ახლა ჩვენი მხარე გადავა ოცდაათი კილომეტრით და ეს იქნება მაჭარკის ხიდზე, გულრიფშში“. „ვა!“ - უკვირს ყველას. მე კი მეცინება და გავრბივარ აეროპორტში - ათ წუთში ჩამოდის ჩემი ნათლული მარიამი (ვერაფრით გადავათქმევინე, გინდა თუ არა, აფხაზეთში უნდა წამიყვანოო). ჩამოდის ტრაპზე. ვეუბნები: „ყვავილების ნაცვლად ავტომატით გხვდები“. გულში მეკვრება, როგორც ნამდვილ მამას.

სოხუმში რამდენიმე წუთით ისევ სამხედრო სანატორიუმში შევირბინე. ყველანი ისევ იქ არიან. რუკებს და ნახაზებს კრეფენ. დიდ მადლობას მიხდიან როგორც რუსები, ისე

აფხაზები და ჩვენი გენერლებიც, რომ ამდენი დღის პაექრობა ასე იოლად და საქმიანად გადავწყვიტე. მაგრამ რად გინდა! მერე სად ჩაიჭრა ეს გადაწყვეტილება, რატომ არ განხორციელდა, ვინ უარყო იგი - ამის შესახებ არაფერი ვიცი. როცა საქმე საქმეზე მიდგა, მძიმე ტექნიკა ჩვენებმა ფოთში გაიტანეს და, როგორც შემდეგ გაირკვა, აფხაზებს საერთოდ არსად არაფერი გაუტანიათ.

მარიამს ჩამოჰყვნენ მონარქისტული პარტიის წევრები. შეხვედრას უწყობენ ქალაქის საბჭოში, კულტურის მინისტრთან. მიჰყავთ ბატალიონ „ბაგრატიონთან“ შესახვედრად. მეც მივყვები. ეწყობა ბატალიონი, ასე, ოთხმოც კაცამდე, ჩაუცმელ-დაუხურავი - ბოგანოების ბრბოს ჰგავს, თუმცა, ავტომატებით არიან შეიარაღებული. პატაკს გვაბარებს მათი უფროსი. ვხედავ - ეს ჩემი მალხაზ კორძაია არ არის?! მხედრიონიდან ახლა „ბაგრატიონში“ გადაუნაცვლებია. ჩემი მიცემული ავტომატი უჭირავს. ხმას არ ვიღებ, თვითონაც თვალს ვერ მისწორებს. „ეჰ! ჯანდაბას! მთავარია ომობენ!“ მარიამი მთხოვს, წავიყვანო ოჩამჩირეში. გზა ჯერ კიდევ შფოთიანია. მეშინია, არაფერი მოხდეს. მაინც ვერ გადავათქმევინე, პირიქით, რომ გაიგო, სახიფათოაო, უფრო დაჟინებით მეხვეწება. ჩემთან ერთად არიან გიგა გელაშვილი, ალეკო ბოჭორიშვილი, დათო შონია და, რასაკვირველია, თამაზ-წესრიგა. მარიამი მიგვყავს კინდღში. უკვე ათი დღეა, რაც ცეცხლი შეწყდა, მაგრამ გზა მაინც დაუცველია. დათო შონიას სახლი პირდაპირ ზღვის პირასაა. მშვენიერი ამინდია, მშვიდად მფშვინავი ზღვა თავს იკატუნებს, ვითომც არაფერი იცის, რაც ირგვლივ ხდება, ვითომც გუშინ არ იყო აქ ქალებისა და ბავშვების წივილ-კივილი, ავტომატების გრიალი და ტანკების გრუხუნი. „ბატონო ჯაბა, - აღსარებასავით ამბობს გიგა გელაშვილი, - რომ მკითხონ, თუ რა შემძულდა ყველაზე მეტად ცხოვრებაში, ვიტყოდი: ავტომატი, ზღვა და მანდარინი“.

ვახშმის შემდეგ ტკბილად ვიძინებ, თუმცა ფეიხოას კომპოტის არომატი, რომელიც ყელზე მადგას, წამიერად მშფოთვარე ტალღად გადამევლება და ისევ სადღაც აბსტრაქციებში დავბორიალობ.

დილით ვბანაობთ, კარგი მოაგარაკეებივით ზღვის პირას სურათებს ვიღებთ. ალეკოს ერთი დისონანსი შეაქვს, მარიამს ავტომატს ჩრის ხელში - ისტორიისთვის აფიქსირებს, რომ

სამამულო ომში ბაგრატიონიც იბრძოდა. მარიამს სოხუმში ვაბრუნებ. იქიდან გადაფრინდება თბილისში და შემდეგ - ესპანეთში.

ოჩამჩირეში უჩვეულო სიწყნარეა. შტაბი დამსგავსებია სანოტარო კანტორას, რომელსაც რაღაც საბუთების გასაფორმებლად აკითხავენ. ირგვლივ აღარ ჩანან სამხედრო მანქანები, ნერვიულად მოძრავი ადამიანთა ჯგუფები, მკაცრი გამომეტყველების უფროსობა. ქალაქშიც რიტმი მოდუნებულია. „რა მეშველება, ბატონო ჯაბა, ომი მთავრდება და უმუშევარი ვრჩები“, - იღრიჭება ოჩამჩირის მხედრიონის კონტრდაზვერვის უფროსი...? (ტუღუში) რუსების მხრიდან მეთვალყურედ გამოყოფილია ვიღაც პოდპოლკოვნიკი. გია ვაშაკიძე მეუბნება: „ეს ერთ-ერთი იმათგანია, შავნაბადაზე რომ დაგვესხნენ, „ღამურების პოლკიდან“. „ჰოდა, ფრთხილად იყავით, არაფერში ენდოთ“. „არა, თქვენ დიდ პატივს გცემთ“. „წავიდეს, მაგათი“... „ტყვარჩელი-კვიტოულის გზით დესანტიდან გადარჩენილი ორასი რუსი გაიყვანეს, - განაგრძობს გია და ამაყად ამატებს, - გაკვირვებული იყვნენ, „ჩტო ზა მხედრიონი, - გაიძახოდნენ, - მაგრად ომობდნენო“.

საღამოს ცაგერაში ავდივარ. პოზიციებზე თითო-ოროლა კაცი დგას. არც აფხაზთა მხრიდან შეიმჩნევა რაიმე მოძრაობა. მოწმენდილ ცაზე, როგორც დღესასწაულზე, ვარსკვლავები გამოფენილან. მივდივართ ფეხით მე და თამაზ-წესრიგა. ჩემს დაცვაში ჩაწერილივით, მთვარეც უკან მოგვდევს. თამაზი დაჭრილია, კოჭლობს, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს, ერთ დღესაც არ დაწვა საავადმყოფოში, გაგანია ომში კოჭლობ-კოჭლობით გამომეცხადა. აღარაფერს ვეუბნები. დღისით ცხელოდა, ახლა სიგრილეა. დასადგურებული მდუმარების ფონზე ზღვა კვლავ მონოტონურად ფეთქავს. ეს აფხაზეთის გულისცემაა. მახსენდება წინაპართა გაფრთხილება რუხის ბრძოლების დროიდან: „აფხაზებს მოლაპარაკების დროს უნდა ერიდო - მუხანათურად იქცევიან ხოლმე“.

შეგვხვდა ვიღაც ქალი. მთვარის შუქზე ახალგაზრდა ჩანს. ვეკითხები, დაზავების შემდეგ თუ შეხვედრიან თავის მეზობელ აფხაზებს, რას ლაპარაკობენ, რა აზრისა არიან მომავალზე. „ჩვეულებრივად შეგვხვდნენ, ვითომც არაფერი ყოფილა - ჩვენ რა შუაში ვართო“. ქალის ხმაში საყვედური არ ჟღერს. რა მალე ავიწყდება ადამიანს ყველაფერი. იქნებ

მართლაც რა შუაში არიან. ყოველ დღეს თავისი საზრუნავი აქვს. ადამიანი მხოლოდ იმ დღით უნდა ცხოვრობდეს, მომავალი დღეების სადარდებელი დღეს რატომ უნდა იდარდოს. ვინ იცის, იქნებ ტყუილუბრალოდ გამოდგეს მათზე ურვა.

შტაბში სამხედროები რაღაცეებს ჩალიჩობენ. პაატა დათუაშვილი, ზაურ უჩაძე, გურამ ნიკოლაიშვილი... ეს უკანასკნელი, როგორც კომუნისტები იტყოდნენ, „ხარაშო პატკოვან პოლიტიჩესკი“. დალაგებული ცრუპენტელაა. კარიერაც მალე გაიკეთა. შევარდნაძეს უყვარს გალექსილად მოლაპარაკე ხალხი, მისთვის მთავარია, ფორმულირებები დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ, თვით ფაქტის არსი არ აინტერესებს. შესაძლოა ასეთი მიდგომა უფრო მიზანშეწონილია. მთავარია, რა დაერქმევა მოვლენას...

მხედრიონის შტაბი აღარ არსებობს. დოდო გუგეშაშვილი თავისი ხალხით დალის ხეობაში გადაბარგდა. სამხედროებმა ზვიადისტებთან მონახეს საერთო ენა, არის მისვლა-მოსვლა ზუგდიდსა და ოჩამჩირეს შორის. ქობალიას რაზმებს ჩუმ-ჩუმად ამარაგებენ კიდეც ტანსაცმლით, ტყვია-წამლით. აღარაფერში ვერევი, არადა, მეშინია, ყელზე არ დაგვადგეს ეს უკონტროლობა. ჩხოროწყუში მილიცია განაიარაღეს - ორმოცი ავტომატი წაიღეს. ესეც ინსცენირებას ჰგავს. მაშ, ორმოცი კაცი უბრძოლველად როგორ უნდა ჩაბარდეს? თავდაცვის სამინისტრომ ტანკები გამოგზავნა და ზუგდიდში ჩამოხსნეს, ვერტმფრენი დაიტოვეს და აღარ აბრუნებენ. ოჩამჩირიდან დაბრუნებულ დაჭრილ მხედრიონელებს იარაღი აჰყარეს. ამბობენ, ზვიად გამსახურდია ზუგდიდში უნდა ჩამოვიდესო. მე კიდევ ისევ მიმაჩნია, რომ ეს ამბები წალენჯიხიდან ჩემმა გამოყვანამ მოიტანა. ეგ კი არადა, აფხაზეთის ომიც ამას მოჰყვა. ჩვენი მთავარი ამოცანა ხომ რკინიგზის უსაფრთხო მოძრაობა და ზვიადისტების თარეშის აღკვეთა იყო. რასაკვირველია, ეს თავისთავად შეიცავდა ზეწოლას აფხაზ სეპარატისტებზე, რომელნიც ჩვენს შიდა უთანხმოებას აღვივებდნენ ზვიადისტების ფარული მხარდაჭერით. მაგრამ ომი ჩვენ არ გვინდოდა.

აფხაზეთში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი მომენტისადმი თბილისში უდარდელი დამოკიდებულებაა. პოლიტიკურ საზოგადოებაში უფრო კარიერისტული ვნებათაღელვის

ატმოსფეროა. და არა მხოლოდ პოლიტიკურ ელიტაში. კომუნისტების დროს თამაშგარე დარჩენილ ჩვენს ობივატელს პრეტენზია აქვს, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში. ისინი არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან არ თანამშრომლობენ. პირველ ხანებში კომუნისტების ეშინოდათ, ახლა, თავის გასამართლებლად, ამ პარტიებს ადანაშაულებენ ზვიადის მხარდაჭერასა და იდეალისტურ-ლოზუნგურ მოღვაწეობაში. ამ ობივატელს ძველი და ახალი საქმოსნებიც ემატებიან. შევარდნაძე, თავის მხრივ, ამტკიცებს პარლამენტის უმრავლესობას. მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე ავრცელებს ხმას. ზრდის ვიცე-პრემიერების რიცხვს. მათ პირადად მის ერთგულ და მისამხრობად გათვალისწინებულ ადამიანებს შორის ანაწილებს. არადა, ახლა საქმეს ბიუროკრატიზმის გამარტივება ესაჭიროება და არა გართულება. ერთ-ერთ ვიცე-პრემიერად ნიშნავს ირინა სარიშვილს, რითიც იგი საბოლოოდ თავისკენ იზიდავს ეროვნულ-დემოკრატებს.

პარლამენტში უკვე გაისმის ხმები სიგუას გადაყენების შესახებ. ნოდარ ნათაძე, რომელსაც კატონისა არ იყოს, იდეაფიქსი აქვს, შიგადაშიგ თავის გამოსვლას ამთავრებს სიტყვებით: „მხედრიონი უნდა განიარაღდეს“.

შევარდნაძემ რატომღაც აითვალწუნა თემურ ხაჩიშვილი. მეკითხება: „ეგ ჩვენი კაცია?“ „მე მგონი, რა ვიცი... თქვენი თავგამოდებული მომხრე რომ იყო, ვიცი, ჩემი...“ აღარ ვამთავრებ. ჩემი რომ ყოფილიყო, უშიშროების საბჭოდან ჩემს წასვლას არ დათმობდა. ვითომ ძნელი იყო, იქვე ჩაეჩუმებინა ირაკლი ბათიაშვილი და ნოდარ ნათაძე? თუ ვერაფერს გახდებოდა, უნდა წასულიყო მინისტრის პოსტიდან.

სოხუმში შევხვდი უკრაინელებს. ოცკაციანი ჯგუფი იბრძოდა შრომაში. თერთმეტი დაეღუპათ, მათ შორის მამა და შვილი. ჩვენს ბიჭებს დაუახლოვდნენ და მხედრიონის გარდა არავისთან აღარ უნდათ ყოფნა. ესენი არიან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი „უნსოს“ - უკრაინის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წევრები. მათი პაროლია: „სლავა ნაციი“. პასუხი: „სმერტ ვრაგამ“. ჩამოდიან მათი ლიდერები სერგეი კორჩინსკი და ანატოლი ლუპინოზი. ამ უკანასკნელს კარგად ვიცნობ - ძველი დისიდენტია, „გულაგის“ ღვიძლი შვილი. ჩემი არ იყოს, 17-20 წელი გაათავა საბჭოთა ლაგერებში.

იქ მათ „ბენდეროვცებს“ ეძახდნენ (მათი ლიდერის, სტეპან ბანდერას გამო). ანატოლის, როგორც ძველ ლაგერნიკებს, ბევრი ლაპარაკი უყვარს, სამაგიეროდ, გამჭრიახი და პატიოსანი კაცია. „თუ გუმისთაზე ომი წავაგეთ, მაშასადამე, დნეპრზეც წავაგებთ“, - ასეთი ლოზუნგით მიმართავს იგი თანამემამულეებს. უკრაინის მთავრობა მაინცდამაინც არ სწყალობს მათ, ეშინიათ, რუსების გულისწყრომა არ გამოიწვიონ. კორჩინსკი მთავაზობს ხალხს, ხოლო შეიარაღება ჩვენი უნდა იყოს. ჩვენს თავდაცვის სამინისტროსთან ურთიერთობა არ სურთ, განაწყენებული არიან - არც დაჭრილებს მიაქციეს ყურადღება, არც რაიმე მატერიალურ დახმარებაზე უფიქრიათ. მათ ვაბარებ გია ვაშაკიძეს, ოჩამჩირეში წაიყვანოს. გია ჩამოსულია პოლიტიკური ვითარების გასარკვევად. ოჩამჩირეში მხედრიონელები აღარ არიან, თუ არ ჩავთვლით ადგილობრივებს, რომლებიც 24-ე ბრიგადაში ირიცხებიან. სამხედროები თავდაცვის სამინისტროდან ისე აითქვიფნენ ლოთი ქობალიას რაზმელებთან და ისე მოექცნენ ზვიადისტების გავლენის ქვეშ, რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, გაჭირდება მათი სახელმწიფო ინტერესების ქვეშ დაყენება. ჯარში დომინირებს კუთხურობის განწყობა. შევარდნაძესთან საუბრის შემდეგ იგი გია ვაშაკიძეს ნიშნავს მინისტრის მოადგილედ სამოქალაქო თავდაცვის ხაზით. ამით ფაქტობრივად აცილებს ჯარის უშუალო ხელმძღვანელობას. ეს მაშველთა კორპუსის პარალელური სტრუქტურის შექმნის წინაპირობაა.

ზუგდიდში ყოველდღე ეწყობა მიტინგი. არის ჩვენი ლანძღვა-გინება, ხალხს ატყუებენ ცალმხრივი ინფორმაციებით.

ხობში ზვიადისტებმა თავდასხმა მოუწყვეს თემურ გერგაიას - სახლი დაუცხრილეს და მამა მოუკლეს. სენაკშიც ხშირად იმართება მიტინგები. თბილისში აქა-იქ წამოყვეს თავი ზვიადის „კარვის ქალებმა“. რამდენჯერმე მოისურვეს მიტინგის მოწყობა, მაგრამ ქალაქის მილიციის უფროსმა დავით ზეიკიძემ გაყარ-გამოყარა ისინი, რითაც შევარდნაძის კეთილგანწყობა დაიმსახურა და ქალაქელებში პოპულარობა მოიპოვა, როგორც წესრიგის აღმდგენელმა მოხელემ.

თემურ ხაჩიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროში აპირებს ხელმძღვანელობიდან ძველი, დამპალი მილიციელების მოცილებას, რაც, ბუნებრივია, სამინისტროში უკმაყოფილებას

და წინააღმდეგობას იწვევს. შევარდნაძე ხან ერთ მხარეს აქეზებს, ხან - მეორეს. ყველაფრით ეტყობა, ხაჩიშვილის მოცილება უნდა და მე მამზადებს: „კოლეგიის სხდომებს არ ატარებს, ტელევიზიით არ გამოდის, პოლიტიკაში ერევა, ასლან აბაშიძესთან რაღაც ალიანსი აქვს“. ხაჩიშვილს ღიად უპირისპირდება ზეიკიძე. შევარდნაძის წაქეზების გარეშე იგი ამას ვერ გაბედავდა, რადგან სხვა შემთხვევაში ქალაქის მილიციის უფროსი აღმოჩნდებოდა მინისტრის, შევარდნაძის და ჩემს მიერ უგულებელყოფილი და, როგორც ფორმალური, ისე რეალური ძალის წინ მარტო დარჩებოდა.

ქობალიას რაზმმა ხობიდან გამოაძევა ქუთაისის ომონი, შემდეგ შინაგანი ჯარების „სპეცნაზი“ განაიარაღა. მარიამობის დღეს შერიგებისა და დაზავების წინადადებით სენაკში ტყვედ ჩაიგდეს ელგუჯა ბუცხრიკიძის რაზმი. აბაშის გამგებელი სოსო ჭანტურია გამოაქციეს და ქალაქს ზვიადისტები განაგებენ. ჩავდივარ სამტრედიაში, თორემ ასე ეგენი სულ მალე თბილისში შემოვლენ. კაკო ვაშაკიძეს ძლიერი თავდაცვა მოუწყვია, ცხენისწყალს ვერ გადმოვლენ. მხედრიონი მობილიზებულია. შევარდნაძეც შეფუცხუნდა - სამტრედიაში ჩამოდის და ელგუჯა ბუცხრიკიძეს მოღალატეობას აბრალებს. სამტრედიაში მხედრიონელებს შემოემატა დოდო გუგეშაშვილი თავისი რაზმით. ზვიადისტები უკვე კარგა მაგარ, სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. თვითონ კი გაიძახიან, რომ ათი ათასი კაცი ჰყავთ და, საჭიროების შემთხვევაში, ოცდაათი ათასი იქნებიან, მაგრამ, ჩვენი მონაცემებით, სულ ათასამდე არიან, აქვთ მძიმე ტექნიკაც. ასე რომ, წალენჯიხის პატარა ბანდა მალე არმიად წარმოგვიდგება. პარლამენტში გამსახურდიასა და ქობალიას ხსენებისას ეპითეტები „პრეზიდენტი“ და „ბატონი ლოთი“ აღარ ავიწყდებათ. სულ უფრო მეტი დაჟინებით ვრცელდება ხმები ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლის შესახებ. შევარდნაძე, იმის მაგიერ, რომ მიხედოს ამ კრიტიკულ სიტუაციას, კიდევ უფრო ძაბავს ვითარებას.

ყარყარაშვილთან შეთანხმებით გეგმავენ მოულოდნელ თავდასხმას რუსთავის მაშველთა კორპუსზე, აქაოდა, რუსთავში რეკეტიორების მოთავეები მაშველთა კორპუსის, კერძოდ, თემურ ტალახაძის მფარველობის ქვეშ იმყოფებიანო. ასეთი პრინციპულობა გასაოცარია იმ დროს, როცა თვით ყარყარაშვილის გვარდია ყაჩაღობს აეროპორტში, ტრასაზე,

ქალაქშიც კი. თუ სადმე მოტაცებული მანქანაა, ყველა თბილისის ზღვაზე, გია ყარყარაშვილის მამის ავტოფარეხში დგას. და ეს ცნობილია შევარდნაძისთვის. არ ვიცი, ვინ წააქეზა, მაგრამ ახლა რომ ეგ დამღუპველი ოპერაციაა, ცხადზე ცხადია. რუსთაველები არ დანებდებიან, გაჩნდება სამოქალაქო ომის კიდევ ერთი კერა. ნუთუ ეს არ ესმის?! ამ საქმეს ჩემი ჩარევაც ვერ უშველის. ხაჩიშვილმა ეს მცდელობა აღკვეთა: რუსთაველებს შეატყობინა და ყარყარაშვილმა ვეღარ გაბედა თავს დასხმოდა მათ. საპასუხოდ, შევარდნაძემ ხაჩიშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლა და მინისტრობა დროებით თვითონ შეითავსა. რასაკვირველია, ეს საბაბი იყო, თორემ ჭეშმარიტი მიზეზი სხვა, შორს გამიზნული გამოდგა: უკონტროლო ძალაუფლებისაკენ სწრაფვა. მე ვხედავდი, რომ იგი დღენიადაგ იმის ცდაში იყო, აღედგინა თავისი, ყოფილი ცეკას მდივნობის დროინდელი მდგომარეობა. ამას იგი სახელმწიფოს მშენებლობას უწოდებდა. ჩემს მასთან „ერთი ერთზე“, პირისპირ ბაასებს არავითარი შედეგი არ მოჰყვა, პირიქით, ვფიქრობ, მისი დიქტატორული განწყობა უფრო გაკერკეტდა. არც მე გამოვდექი ანანია და არც მას წამოსცვივდა თვალთაგან ცრემლი. გადავწყვიტე, გამოვსულიყავი პარლამენტში და საჯარო მსჯელობის საგნად გაგვეხადა სახელმწიფო მეთაურისთვის მინიჭებული უფლებების მიზანშეწონილობა, მომეხმო მაგალითები და, იმედი მქონდა, ამით რაღაცნაირ ბარიერს შევქმნიდით აბსოლუტური ძალაუფლებისკენ მის დაუოკებელ სწრაფვაში. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი გამოსვლა კორექტული იყო, პირიქით, იგი უფრო უზრდელურადაც შეიძლება აღქმულიყო, მაგრამ ეს ჩემი ნაკლია. სამაგიეროდ, ადამიანებთან ურთიერთობაში დამთმობი ვარ. როცა ჩემს წმიდათა წმიდა შეხედულებებსა და ჩვევებს შეეხებიან (და ეს ძალიან ხშირად ხდება - ადამიანის თავხედობა ხომ თავისით არ ჩერდება), მაშინ მე უცებ ვხდები უზრდელი, უხეში და სადღაც წვრილმანიც კი. ერთი სიტყვით, მე დავადანაშაულე შევარდნაძე ისევ ძველისკენ შემობრუნებაში, პარალელური სტრუქტურებისა და თანამდებობების შექმნაში, ინტრიგანულ მიდრეკილებაში, დიქტატორულ მისწრაფებაში, კომუნისტურ მსოფლმხედველობაში, ბოლშევიკური პრინციპების ერთგულებაში, როგორიც არის, მაგალითად: „ბეი სვოიხ, ჩტობ ჩუჟიე ბოიალის“, „ზა სტაროე სპასიბო, ზა ნოვოე ოტვეჩაი“. ისიც ვთქვი: მართალი ყოფილა ის აფორიზმი, რომ „კაცი თავზე

მაღლა ვერ ახტება“. ყველაზე მტკივნეულად, მგონი, მაინც ეს სიტყვები მიიღო: „საბჭოთა კავშირში 1991 წლის აგვისტოში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით მსოფლიოში ორად ორმა კაცმა გამოთქვა გასაოცარი აზრი, თითქოს გკჩპ-ს შეთქმულება მიხაილ გორბაჩოვმა - საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა თავის თავს მოუწყო. ეს ორი ადამიანი იყო ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძე“. ჩემს შემდეგ გამოვიდა შევარდნაძე, ძალზე ანერვიულებული, განაწყენებული და საჯაროდ გამოაცხადა, რომ გადადგება და თავის გადაფურთხებულს არ ალოკავს. სხდომა შეწყდა. მოულოდნელობისაგან დაბნეულმა პარლამენტარებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ერთნი შევარდნაძეს მისცვივდნენ თხოვნით, რათა გადაეთქვა თავისი განცხადება, მეორენი ჩემთან მოვიდნენ და მირჩევდნენ შევრიგებოდი და ბოდიში მომეხადა. ირინა სარიშვილმა კი შეკრიბა თავისი პარტიის ხალხი, ასევე პარლამენტთან გამვლელ-გამომვლელს მოუყარა თავი. ანალოგიურად მოიქცა ქალაქის პოლიციის უფროსი ზეიკიძე, რომელმაც პოლიციელებსა და მოქალაქეებს გაუკეთა ორგანიზაცია და მთელი ეს ბრბოდ ქცეული მასა პარლამენტის ფასადის მხარეს ქუჩაში დატბორდა. ირინა სარიშვილმა აუგად მოიხსენია მხედრიონი (რა შუაში იყო აქ მხედრიონი), თუმცა ამას თამაზ კვაჭანტირაძემ ღირსეული პასუხი გასცა. ზეიკიძე, როგორც შემდგომში გაზეთ „სარანგის“ ფურცლებზე აღიარა, შევარდნაძის წაქეზებით, დაუსახელებლად მე გადმომწვდა: „იქ, მესამე სართულზე რომ სხედან კაბინეტებში, გამოვიდნენ იქიდან“... მე, რასაკვირველია, ამ მიტინგს არ ვესწრებოდი, მაგრამ იგი ტელევიზიით გადაიცა. მოხდა ყველაზე სამარცხვინო რამ, რაც შეიძლება მოხდეს XX საუკუნის დასასრულს ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში: შეკრებილმა ხალხმა მიჰბაძა თავის ლიდერებს, შევარდნაძეს დაუჩოქა და შესთხოვა, არ მიეტოვებინა საქართველო. რა თქმა უნდა, ეს ბრბო არ იყო ქართველი ერის ნების გამომხატველი მასა. ისიც გასაგებია, რომ ყველა ჯურის მასას აქვს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მოთხოვნა და მაინც ეს მელოდრამატული აქტი ყველა მოაზროვნე მოქალაქისთვის ამაზრზენი გამოდგა. განა ამ ეპიზოდს ტყუილუბრალოდ რამდენჯერმე გადასცემდნენ უცხოური ტელეკომპანიები?!. ერთი სიტყვით, შევარდნაძემ, როგორც მოსალოდნელი იყო, „შეიწყნარა ხალხი“ და დარჩა. მეც, ასე თუ ისე, მობოდიშება მომიხდა. ეს იმდენად მომგებიანად გამოიყურებოდა მავანთა

თვალში, რომ ის ჭორიც კი გაავრცელეს, ვითომც მე და შევარდნაძემ ეს გავითამაშეთ, რათა მისი დაფოლდებული რეიტინგი აგვემაღლებინა. ობიექტურად ეს მართლაც ასე გამოვიდა. ივან მრისხანეს „გადადგომის“ ფანდი, უკეთესი ფორმით, შევარდნაძეს თვითონ ჩაუვარდა ხელში. ჯერ კიდევ კომუნისტური პერიოდის დროს ვაკვირდებოდი შევარდნაძის კარიერის აღმავალ ზიგზაგებს - ყველაფერი ისე ეწყობოდა, რომ მისი მოწინააღმდეგეები თავისთავად ცლიდნენ ასპარეზს - ზოგი კვდებოდა, ზოგი ეგრეთ წოდებული საკადრო პოლიტიკის ლაბირინთებში იტეხდა კისერს, ზოგჯერ კი მის „ზურგის ქარს“ ისეთი მოულოდნელი მოვლენა დაემთხვეოდა, რომ ელვის სისწრაფით გადაილარებოდა წლობით გასავლელი გზა. ხშირად მიფიქრია: რა არის ეს? ნუთუ მიმიკრიის გამძაფრებული ნიჭი ან ვირტუოზული ელასტიკურობა, იქნებ ძალაუფლების ტექნოლოგიის სტანდარტებით უზადო მანიპულირება? ანდა ყველაფერი ერთად? და მაინც, აქ ირაციონალურ ვითარებებთან გვაქვს საქმე. მე ვასკვნიდი, რომ ეს ღვთის ხელია, როცა მისი მოწინააღმდეგენი ბანალური ფრაზით ხსნიდნენ ყველაფერს: „გაყიდულია, სატანას მიჰყიდა სული“. ამის შესახებ მე თვით შევარდნაძესთანაც მისაუბრია. მაშინ იგი ყოყმანობდა - მონათლულიყო თუ არა. მე ვუთხარი: ხომ ხედავთ, ეს ასე უბრალოდ არ ხდება. რაც არ უნდა გეცადათ და როგორც არ უნდა გეცადათ, თუ არა ღვთის ჩაგონება, მიხაილ გორბაჩოვს საგარეო საქმეთა მინისტრად თქვენი დანიშვნა არ დაესიზმრებოდა. იგი დამეთანხმა. რასაკვირველია, თქვა მან, უღმერთოდ ალბათ არაფერი ხდება ქვეყანაზე.

მოკლედ, შევრიგდით. უნდა ვაღიარო, რომ ღირსეულად შევრიგდით და ეს უმთავრესად მისი დამსახურებაა.

დასავლეთში ძალიან ცუდად არის საქმე. რევანშისტები სამტრედიას მოადგნენ და აბაშაში არიან განლაგებული. როგორც ამბობენ, „გრადის“ სისტემის არტილერია მომარჯვებული აქვთ სამტრედიაზე. ჩავდივარ. თავდაცვას კაკო ვაშაკიძე ხელმძღვანელობს. დოდო გუგეშაშვილი კი, თავისი ჯგუფით, ცხენისწყალზე გადად-გადმოდის, ასე ვთქვათ, აქტიური თავდაცვის მანევრებს ატარებს. აქ ხშირად ჩამოდის ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი, შეწუხებულია შექმნილი მდგომარეობით, ესმის, რომ, თუ სამტრედიაში რევანშისტები შემოვიდნენ, ქუთაისი წინააღმდეგობას ვეღარ

გასწევს - მის ქალაქშიც უამრავი ზვიადისტია. სამგლოვიარო ზარივით გაისმა ხმა, რომ აფხაზებმა შეთანხმება დაარღვიეს და სოხუმზე წარმატებითი შეტევა განახორციელეს. ტელეფონით ვუკავშირდები შევარდნაძეს. სოხუმში მიდის. ვპირდები, რომ ორ დღეში ჩავალ. მხედრიონელები სამტრედიის შტაბში ვიკრიბებით. რა ვქნათ? მივატოვოთ სამტრედია? რევანშისტები წამსვე ქუთაისში აღმოჩნდებიან და მერე ვიღა შეაკავებს მათ? არ წავიდეთ - არ ივარგებს. როგორც გადმოგვცემენ, სოხუმი, ჰა და ჰა, დაეცემა. შრომა აღებულია, კამანში სვანების ჯგუფი ამოწყვეტილია - მათთან ერთად ზაზაც, ჯემალიც. ამბობენ, რომ კამანის ეკლესიის მღვდელი დახვრიტეს. ანუას აფხაზ-ქართველთა ოჯახი ტყვედ წაასხეს. კვლავ მახსენდება ანდრია პირველწოდებულის ლეგენდა. ისიც სადღაც აქ მოკლეს. სისხლი სისხლს ითხოვს, სული - სულს?! სოფელი თავისუფლება ნახევრად მათ ხელშია. სოხუმში აჩადარის ხიდამდე შემოჭრილან. არტილერია და მძიმე ტექნიკა ფოთშია გატანილი და ისიც - დაშლილი, ნაწილებად დაკარგული და აუწყობელი. ერთი იმედია: იქნებ ოჩამჩირის ძალები დაეხმარონ. იქ, როგორც ვიცით, თავდაცვის სამინისტროს, ქობალიას ფორმირების, გვარდიის ნაწილების რამდენიმე ათასი კაცია. შვიდი ათასს ამბობენ. მე, როგორც ყოველთვის, არ მჯერა ჩვენი სამხედრო ხელმძღვანელობისა. ისინი მონადირეებივით ზღაპრებს იგონებენ ხოლმე. აქვთ საკმარისი ტექნიკაც. ერთი ეს არის: მხედრიონის გამოსვლის შემდეგ ვინ არის იქ უფროსი ან პასუხისმგებელი - დათუაშვილი, კიტოვანი თუ ქობალია - ვერ გაიგებ. რაც მთავარია, ოჩამჩირე-სოხუმის გზა გადაკეტილია, დახმარება მხოლოდ გარღვევით შეიძლება. გია ვაშაკიძეს ვგზავნი ოჩამჩირეში იგორ გიორგაძის „სპეცნაზითა“ და ას ოთხმოცი მხედრიონელით. სამტრედიას ადგილობრივი მხედრიონის და ცოტაც საგზაო პოლიციის იმედზე ვუტოვებ კაკო ვაშაკიძეს. დანარჩენ 200 მხედრიონელთან ერთად თვითმფრინავით მივემგზავრები სოხუმს.

შტაბში გვხვდება გენერალი ზაურ უჩაძე. დაბნეულია. წინააღმდეგობის არავითარი გეგმა არ არსებობს. პოზიციები უნდა შევინარჩუნოთ და დაველოდოთ კოდორიდან შემოსულ 5-6 ათას კაცს, რომელსაც საკმარისი ტექნიკაც გააჩნია. სოხუმი ინტენსიურად იბომბება. მოწინააღმდეგეს უკვე ძლიერი არტილერია აქვს. მუშაობენ „გრადებით“, ჰაუბიცებით და, რაც

მთავარია, ძალზე ეფექტურად - 120-მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნებით. კასანდრას ბედი მაქვს - სულ იმას გავიძახოდი, ამ კლდე-ღრეში რად გვინდა ეს ტანკები, ჩაგისაფრდა მოსახვევში და აგაფეთქა. ტანკი კარგია რუსეთის ტრამალებზე, გაშლილ ადგილას, 9 კილომეტრზე მიმწვდომი ზარბაზნით. აქ კი, ამ მთაგორიან სივიწროვეში, ხეირიანად ლულასაც ვერ მოაბრუნებს. ჩვენი უპირველესი იარაღი ნაღმმტყორცნი უნდა იყოს. სახლის უკან ხარ - ტრაექტორიით ურტყამ, მთის გადაღმა ხარ - კვლავ ტრაექტორია მუშაობს. სატარებლადაც ადვილია: ორი კაცი და მისი ჯანი. ყურს ვინ გიგდებდა. აი, რას გვიშვრებიან აფხაზები - სოხუმი ნაღმტყორცნებით დაანგრიეს.

„სად წავიყვანო ჩემი ხალხი?“ - ვეკითხები უჩაძეს. რუკას მიხსნის. დაცვის რკალი ყველგან მოშლილია. რუსები და აფხაზები ყველგან შეჭრილ-შემოჭრილან. „ერთი პოზიცია ავიღო თუ სხვადასხვა ადგილებზე გავანაწილო?“ „ჯობია გაანაწილოთ. მხედრიონის მოსვლა ბიჭებს გაამხნევებს“, - მირჩევს უჩაძე.

ვანაწილებთ პოზიციებზე. გიო შიოშვილის კახელების ოცდაათკაციანი ჯგუფი მიმყავს გუმისთაზე ეგრეთ წოდებული სატანკო ბატალიონის დასახმარებლად. შტაბი გუმისთის სკოლის შენობაში გადმოუტანიათ. უწინდელი ადგილი, სადაც წელიწადზე მეტხანს იდგნენ, დაუტოვებიათ. აქაც მოხერხებულად ჩამსხდარან - გზაჯვარედინს აკონტროლებენ. ჩვენთან არის საშა იოსელიანი. ტელეკამერით გვიღებს და შემდეგ მთხოვს, რომ დავტოვო ბიჭებთან. დიდრონი კაკლის მურაბასავით თვალები არაჩვეულებრივად ანთებული აქვს. ვეხვეწები, მინდა ჩემთან წამოვიდეს - გადაიღებს სხვადასხვა პოზიციებს, შეხვედრებს, ინტერვიუებს - მრავალმხრივ ინფორმაციას მოუყრის თავს. მისი აქ მეომრად ყოფნა უაზრობაა, ერთი ავტომატის ჯერი გინდ ყოფილა და გინდ არა. ვერ დავითანხმე. მიმტკიცებს, რომ ბრძოლაში მონაწილეობა უნიკალური კადრების გადაღების საშუალებაა. მართლაც, მან გაგრის დაცემის ბოლო წუთების აღმწერი უნიკალური ფირი შემოგვინახა. შევყურებ და მაგონდება მისი პირველი მთავარი როლი ლაშა თაბუკაშვილის პიესაში „ჭრილობა“, პრემიერის დღე მარჯანიშვილის თეატრში. თეატრისკენ მიმავალი ქუჩაში გვხვდება მე და თეატრის დირექტორ რეზი თვარაძეს. არ გვესალმება, ისე გვეკითხება: „ღელავთ?“ „ჩვენ?“ - იღიმება

რეზი. რაღაც მიშლის გადაწყვეტილების მიღებაში. იქვე რატომღაც ჩემი რომანის გმირის, ვალიკო არადელის (რომლის თამაშიც საშას ეწადა) უბედურმა ხვედრმა გადამირბინა ჩრდილად. არ ვიცი, რა ვქნა. ბიჭები გარშემორტყმულნი მომჩერებიან. რაღა თქმა უნდა, ურჩევნიათ საშა მათთან დარჩეს - ადამიანი ეგოისტია. იოსელიანი მაინც არ იყოს!.. ვტოვებ და თურმე სამუდამოდ: ერთ საათში მოკლავენ.

დოდო გუგეშაშვილის ორმოცკაციან ჯგუფს ვუშვებ მეორე და მესამე ბატალიონს შუა - უმეთვალყურეოდ დარჩენილ არეში. დანარჩენებს ხვალ დილით მე თვითონ წავიყვან სადგურის წინ განლაგებულ სახლებში და სოფელ თავისუფლების მხარეს. მივდივარ გენო ადამიას შტაბში (23-ე ბრიგადა). მასთან შეშფოთებული და დაპატარავებული ზეიკიძე ზის. „წამოდი და გაჩვენებ ჩემს კაბინეტს. იმ კაბინეტში, შენ რომ შეგშურდა, ერთიმეორეზე ორი კვირაც არ ვმჯდარვარ“. „არა, ბატონო ჯაბა, თქვენ ვერ გამიგეთ, მე ეგრე არ მითქვამს“. ყურადღებას აღარ ვაქცევ თავის გასამართლებლად მიკიბულ-მოკიბულ სიტყვებს.

გენოს ვუთანხმდები: დილისთვის ბიჭები უნდა გავიყვანოთ უნივერსამთან. გადავდივარ მთავრობის სახლში. შევარდნაძე იქაა - ჟიული შარტავას ოთახში. თავს ახვევიან ადგილობრივი მთავრობის წევრები, გაეროს დამკვირვებელი, ახლად ჩამოსული გენერალი ხვედეგარტი. აქვეა გია ჭანტურია - ედპ-ს ლიდერი. თავის მოვალეობად ჩათვალა, ასეთი გასაჭირის ჟამს ჩვენ გვერდით გამოჩნდეს. მისასალმებელი ჟესტია. შევარდნაძე შეფიქრიანებულია, იცის, რომ მათი აქ ყოფნა ფრონტს არაფრით უშველის. იქ საქმე ცუდადაა. თუ კოდორიდან დახმარება არ მოვიდა, გარდატეხა ვერ მოხდება. არადა, ოჩამჩირიდან წამოსული ამხელა ძალა შეფერხებულია კინდღსა და აგუძერასთან. რამ წააბორძიკა, შვიდი თუ არა, მძიმე ტექნიკით შეიარაღებული ხუთი ათასი კაცი?! ჟიული შარტავა რაციით ელაპარაკება ლოთი ქობალიას. იქიდან გაურკვეველი დაპირებები და უაზრო სიტყვები ისმის.

ბინდდება. ვატყობ, შევარდნაძეს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ არ სურს, ამდენ ხალხში ხაზი გაუსვას ჩემთან კონფიდენციალურ ურთიერთობას. ინიციატივას ჩემგან ელის. მეც ველოდები შესაფერის მომენტს, როცა, ვითომ სხვათა შორის, გავესაუბრები. გვატყობინებენ, რომ აჩადარას მხრიდან აფხაზები ქალაქში შემოვიდნენ და გენო ადამია ხალხს

აგროვებს წინააღმდეგობის გასაწევად. გავრბივარ გენოს შტაბში. მართლაც, გენო გარეთ გამოსულა და მის ირგვლივ მომიტინგეებივით შემოკრებილან ჯარის სხვადასხვა ნაწილებიდან შემორჩენილი შეიარაღებული მეომრები და უიარაღო სოხუმელი მოქალაქეები. ჩემს დანახვაზე გენო სათავეში უდგება ამ უფრო მომიტინგე მასას, ვიდრე მებრძოლებს, და მუქარ-მუქარით ფეხით მივდივართ აჩადარას ხიდისკენ. მე ჩემი ბიჭებით გვერდზე მივყვები. ეს რაღაც სულელური დემონსტრაციაა, არასერიოზული მოქმედება. ამ სიბნელეში, ასე ჯგროდ, თითქოს დასაფლავებიდან მოვდივართ. ხალხმა უკვე გაგვისწრო, შუაში აღმოვჩნდით მსვლელობის დროს. საით გაგვიწევია, ან მე ამ ჩემი ბიჭებით სად მივყვები? ერთი ავტომატის კაკანი და, აქ პანიკა იქნება - მტრისას! „გენო, რა ხდება, სად მივდივართ?“ „ამბობენ, აჩადარადან შემოვიდნენო“, - მპასუხობს მერყევად. „მერედა, ასე ცხვრებივით სად მივდივართ?“ „ხალხს ხომ არ ესვრიან? თუ გვესვრიან - გვესროლონ!“ ეს რაღაც სასოწარკვეთილი პროტესტის აქცია უფროა, ვიდრე სამხედრო წინააღმდეგობა. ვგზავნი ჩემი დაცვის ბიჭებს - მანქანით წავიდნენ წინ, გაიგონ, ხიდთან მართლა რამე ხდება თუ არა. მათ მიჰყვება ზურაბ ჩიქოვანი - ჩემი მეგობრის, გოგი ჩიქოვანის ვაჟი, რომელიც გენოს ადიუტანტის ფუნქციას ასრულებს. ვაფრთხილებ, ყველას გადასცენ: სასტიკად აკრძალულია ერთი გასროლაც კი. მალე ბიჭები გახარებული ბრუნდებიან - წინ არავინაა, ხიდთან ჩვენები დგანან. ვაგროვებ მხედრიონელებს და ვბრუნდები მთავრობის სახლში. გენო დარცხვენილი მეუბნება: „მაინც კარგი იყო, ქალაქში გამხნევდებიან“. „ჰო, ალბათ“, - ვეთანხმები, არ მინდა ვაწყენინო.

ჟიული შარტავასთან იგივე ხალხი მოუსვენრად ტრიალებს. დადარაჯებული ელიან შეტყობინებას. შევარდნაძე დასასვენებელ ოთახში გასულა. „ყველაფერი რიგზეა“, - ნაძალადევი ღიმილით და საგანგებოდ წყნარად ვამბობ და გავდივარ შევარდნაძესთან. „რა იყო?“ - მეკითხება. „არაფერი. ცრუ განგაში“.

სოხუმი

ამ ორი დღის წინ შევარდნაძე შეხვედრია რუსეთის თავდაცვის მინისტრ პაველ გრაჩოვს. „მითხრა, არაფერი შემიძლია. აფხაზებმა შეთანხმება დაარღვიეს. ახლა, თუ გინდათ, ორ დივიზიას შემოვიყვან და განვალაგებ გუმისთაზე. მერე დასხედით და მოილაპარაკეთო.“ „მერე?“ „არაფერი. უარი ვუთხარი“. „რატომ?“ „ყარყარაშვილი და ბათიაშვილი მახლდნენ. მათ თქვეს, თუ ეს მოხდება, ჩვენ გადავდგებით - ეს ანექსია არისო“. „მე რატომ არ წამიყვანეთ?“ „ისინი მინისტრები არიან“. ირონიულად ვიცინი. სწყინს და მეუბნება: „ხალხი მაინც ვერ გაგვიგებდა“. „ვინ ხალხი ვერ გაგვიგებდა?“ გული მომდის. ოღონდ კი ომი შეწყდეს და, ვინ იქნებოდა ამის წინააღმდეგი. „აი, შევკრიბოთ აქაურები, ჯერ ჩვენი გარემოცვა“.

მართლაც, სხდომის მაგვარ შეხვედრას ატარებს ეგრეთ წოდებულ აქტივთან. მე ჩუმად ვზივარ და ვუსმენ. იგი ინფორმაციის სახით ჰყვება გრაჩოვის წინადადების შესახებ. აქ ეს არავისთვის საიდუმლო არ არის. ამიტომ, რახან დააფასეს და საჭიროდ ჩათვალეს მათი აზრის გაგება, თითქმის ყველანი ურჩევენ, რომ დათანხმდეს და დაუკავშირდეს გრაჩოვს. მე ვერ ვითმენ და ზოგადად, უმისამართოდ ვამბობ: „ანექსია! ვითომც სოხუმში რუსის ჯარი არ არის, ან ბომბორაზე სულ ხევსურები დგანან“.

სოხუმი დღედაღამ იბომბება. სადაც მძინავს - ჯიშკარიანების სახლში, გენოს შტაბის ახლოს, - ეზოში ღამით ბომბი ჩამოვარდა და ხუთი წლის ბავშვი დაიღუპა. ჩვენი ოთახის კიბეც ჩაწვა. დილით მე, გიგა გელაშვილსა და გენოს გაგვყავს გლდანის მხედრიონის ბიჭები „კომისარას“ მეთაურობით და ხიდთან, მაღლივ სახლებში განვალაგებთ. მოპირდაპირე სახლებში აფხაზები სხედან. ეზოში თავს გამოვყოფთ თუ არა, გვიშენენ. გენო მსუბუქად დაიჭრა მკლავში. ჩვენებმა ერთ-ერთ სახლში ტყვეები აიყვანეს - ერთი რუსი და ერთი აფხაზი. მიგვყავს შტაბში. აფხაზები დღეს ვარაუდობდნენ სოხუმის აღებას. მათი ჩვენებებიდან ვასკვნი, რომ მეექვსე, ეგრეთ წოდებულმა სატანკო ბატალიონმა ჩვენი კახელების თაოსნობით წარმატებითი შეტევა განახორციელა და მოწინააღმდეგე ისევ გუმისთის იქით გადარეკა. დოდოს ჯგუფი კი გუმისთის მეორე მხარეს გადავიდა. ახლა გამაგრება

უნდა მესამე ბატალიონს, რომელიც აჩადარასთან დგას და, თუ იქიდანაც გავყარეთ, არათუ აღდგება ძველი პოზიციები, დოდოს ჯგუფი გუმისთის მეორე მხარეს იქნება. მივდივარ მეორე ბატალიონის განლაგებაში, რომელიც სატანკოსა და მესამეს შორის, მაღლივ სახლებში მოქმედებს. იქიდან ხელისგულივით მოჩანს სამივე პოზიცია და მოწინააღმდეგის მოძრაობაც. ბატალიონის უფროსი, ყოფილი ზვიადისტი, კარგი კაცია. პოლიტიკაზე ვესაუბრები. გუშინ კინაღამ დოდოს ჯგუფისთვის ცეცხლი გაუხსნიათ - რაკი გუმისთის იქით იყვნენ, აფხაზები ეგონათ. მდინარის პირას, პატარ-პატარა სახლებში, ჩვენები არიან შეფარულნი. მოჩანს მეექვსე - სატანკო ბატალიონის პოზიციებიც. ისინიც წინ წაწეულან. აქ, მეორეში, კარგად არიან გამაგრებული. ერთი სიტყვით, ეს ფლანგი საიმედო მდგომარეობაშია. ჩემთვის ვფიქრობ: თუ კოდორიდან დახმარება შემოვა, ყურადღება აღარ უნდა მივაქციოთ აღარც შრომასა და აღარც თავისუფლებას. იქ პოზიციურ ბრძოლაში შეგვიყოლიებენ და მომგებიან ადგილმდებარეობას გამოიყენებენ. თანაც, იქ სერიოზული ძალები ჰყავთ გადასროლილი - ვარაუდობენ, რომ ამ დროს გუმისთაზე მივაწვებით და ახალ ათონამდე გავრეკავთ. მაშინ ფაქტობრივად ზურგში მოვექცევით შრომას და თავისუფლებაში თავმოყრილ მოწინააღმდეგეს. მაგრამ კოდორიდან ხომ უნდა შემოვიდნენ! ტექნიკა და არტილერია არა გვაქვს.

ამბობენ, ზვიად გამსახურდია ზუგდიდიდან ოჩამჩირეში ჩავიდაო. ეს თუ ასეა, ჩვენს დასახმარებლად კოდორიდან არავინ მოვა. და მაინც, რა იცი, იქნებ ქართულმა სისხლმა აჯობოს თავკერძ ამბიციებს?!. დილით გია ყარყარაშვილის ეგრეთ წოდებული „დშბ“ - სადესანტო საიერიშო ბატალიონი გამოდის სადგურის მისადგომებთან და მის წინ მიმდებარე სახლებში მარჯვენა ფლანგზე ლაგდება. ჩვენი ბიჭები „კომისარას“ მეთაურობით გაცილებით წინ არიან, მხოლოდ ცენტრისკენ. „დშბ“, რომ იტყვიან, კბილებამდე შეიარაღებულია. ყოველ მესამეს აქვს ტყვიამფრქვევი, ავტომატები „პოდსტვოლნიკებით“, ყოველ მეოთხეს - ყუმბარმტყორცნები, ყოველ ხუთ კაცზე - ერთი რაცია, ორი „აგეესი“. სულ ას კაცამდე არიან. მათთან ერთად ქუჩის მეორე მხარეს განლაგებულია კასპის ბატალიონი ტარიელ შარიფაშვილის მეთაურობით. მათი ამოცანაა, გამოყარონ

სახლებში ჩამსხდარი მოწინააღმდეგე. შეტევას თვითონ გია ხელმძღვანელობს. შტაბში მე და გენო ვემზადებით ბრძოლის მსვლელობის მოსასმენად. გია იძლევა განკარგულებებს. ყველაფერი პროფესიულ დონეზე მიმდინარეობს, ოღონდ მტერი არსად ჩანს, შეტაკება არ არის. ან ისინი არ სხედან იმ სახლებში, რომელზეც გამიზნულია იერიში, ან საპასუხოდ კარგ მომენტს ელოდებიან.

საღამოს შტაბში ვიკრიბებით. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი - ჩვენს მტრებს დღევანდელი დღე ჩავუგდეთ. მათ არათუ შეძლეს რაიმე უპირატესობის მოპოვება, პირიქით, პოზიციები დაკარგეს სატანკო ბატალიონთან, სადგურის მიმდებარე სახლებში. დოდოს ჯგუფი კი გუმისთის იქითაა გადასული. თუ დღეს ღამით ან ხვალ დილით კოდორიდან მაშველი შემოვიდა, მთელ ფრონტზე შევუტევთ. შევარდნაძეს ვეკითხები, დაუკავშირდა თუ არა გრაჩოვს. „ვერ დავიჭირე, არ მაერთებენ. გემით ზღვაშია გასულიო“.

შტაბში დინებას მიშვებული განწყობილება სუფევს. ტარიელ შარიფაშვილი ასეთი დაბნეული არსად მინახავს - არც თბილისის ქუჩის ბრძოლების დროს, არც დასავლეთში, არც ლაბრაში. რაღაც პრეტენზიებს გამოთქვამს - უსაგნოს და უმისამართოს. ეს უბრალო შიში არ არის, ეს რაღაც სხვა, მეტაფიზიკური აღტკინებაა. ზეიკიძე, პატარა ბავშვი რომ გაჯიუტდება და დაბანა არ სურს, ისე არ უნდა თავისი მილიციის ჯგუფთან ერთად მოწინავე პოზიციებზე დგომა. ხელი გადახვეული აქვს. ბიჭები იცინიან, ტყუილად შეიხვიაო. არავითარი სამხედრო ოპერაცია არ იგეგმება. ველოდებით მაშველს კოდორიდან. რაციით ვუსმენთ მცირე შეტაკების პერიპეტიებს და დაბომბვის მიმდინარეობას. დაბომბვა კი კვლავ ინტენსიურია. რუსები მუხანათურად მოგვექცნენ, ხელი მოგვაწერინეს შეთანხმებაზე კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და ტექნიკის გატანის შესახებ. მერე ფაქტობრივად ჩვენ გაგვაიარაღეს და აფხაზები შეიარაღეს. თუმცა რა, ჩვენ ჩვენი ქართველური დაუდევრობით, სამხედრო ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობითა და არაორგანიზებულობით მივენდეთ მტრის სიტყვას. მერამდენედ? ჩემი რჩევით, ვითომც ხომ გადაწყდა არტილერიისა და ტექნიკის - შესაბამისად - ახალ ათონში და მაჭარკაზე დაკონსერვება? რატომ არ მოხდა ეს? ვინ უგულებელჰყო ჩემი რჩევა? ალბათ, საბაბად ის მოიდეს, რომ მე

ოფიციალური პირი აღარ ვიყავი. ან ის რას ჰგავდა, სკოლებში რომ სწავლა აღვადგინეთ, ბავშვები და ქალები სოხუმში დავაბრუნეთ. ამ ერთი თვის წინ აეროპორტში დამესია სოხუმიდან აყრილი ქალებისა და ბავშვების ჯგუფი. „ბატონო ჯაბა, რა ვქნათ, წავიდეთ თუ დავრჩეთ?“ რა უნდა მეთქვა: „ხალხო, თუ ვინმე გყავთ - ნათესავი, ახლობელი, რომელიც მიგიღებთ და დაგაბინავებთ, რასაკვირველია, წასვლა სჯობს“. ვიღაცას შევარდნაძისათვის ენა მიუტანია. მისაყვედურა: „არ ვარგა, ქალაქი რომ დაცარიელდეს“. მე, გაგრისა და კოჩარის გამოცდილებით, სხვაგვარად ვფიქრობ, თუმცა, აღარ შევეკამათე. მოწოდება მოსახლეობისადმი უკვე გამოაქვეყნა, სკოლების ამუშავების შესახებ ბრძანება დაიწერა, რაღა აზრი აქვს... სტალინი რომ სტალინი იყო, იმან მოახდინა ნახევარი ქვეყნის ევაკუაცია მოსახლეობის უშიშროების მიზნით... საქართველოში პირველი მეფისნაცვალი კოვალენსკი, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნები ჰქონდა მოვლილი და მრავალი ხალხის ზნე-ჩვეულებას იცნობდა, განცვიფრებული ადევნებდა თვალს ქართველების დაუდევრობას. ასეთი უდარდელი ხალხი არც მინახავს და არც გამიგონიაო.

გრაჩოვმა უარი შემოთვალა: გადაწყვეტილება მივიღე, ახლა ისევ შევცვალო, არ გამოვა. სხვა თუ არაფერი, ხალხის მომზადება, გადაყვან-გადმოყვანა უამრავი ფული ჯდებაო. მაშასადამე, მშვიდობიანი გზა მოჭრილია. ერთი იმედიღაა - ველოდოთ მაშველს. დილით ვატარებ შემოვლას პოზიციებზე. ყველაზე უარესი მდგომარეობაა აჩადარადან შემოსასვლელში. მოკლეს ტარიელ შარიფაშვილი და მისი კასპის ბატალიონი მოიხსნა. მათ მიჰყვა გია ყარყარაშვილის „დშბ“-ც. არეული ვითარებაა სოფელ თავისუფლების მიდამოებშიც. იქ გაუჩერებლად მუშაობს „გრადი“. ჩემთან ერთადაა კოტე გაბაშვილი, თბილისის მერი. ჩვენ ირგვლივ ჭურვები ოქროს ზოდებად იფანტება. მოკლეს ერთ-ერთი პირველი მხედრიონელი, მინისტრის მოადგილე ნუკრი ცისკაძე. სოხუმში რომ დავინახე, უბრალო ჯარისკაცივით შეიარაღებული და მოწინავე ხაზზე მიმავალი, გავუწყერი: „გეყო, რაც იომე, ეხლა მინისტრის მოადგილე ხარ-მეთქი. ბიძაშვილიც ჰყავდა ჩამოყვანილი. ისიც ჩვენ გვერდით დაიღუპა.

კიდევ ერთი დიდი ტრაგედია ხდება - აეროპორტთან თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ექვსი კაცის გარდა, ყველანი შიგ

ჩაიწვნენ, მათ შორის - ორმოცი მხედრიონელი, სულ ნარჩევი ბიჭები: პარლამენტარი მურთაზ ჭანკვეტაძე, უშიშროების თანამშრომელი, დედისერთა, მეოცნებე ზალიკო ამაშუკელი, უსიტყვო და მხნე გიო ჩარგეიშვილი. მურთაზი თურმე მეორე თვითმფრინავში იჯდა, რომელიც თხუთმეტი წუთით გვიან უნდა გამოფრენილიყო. ჩქარობდა, ვერ მოითმინა და ამ, დასაღუპავად განწირულ თვითმფრინავში გადმოჯდა.

გავედი კოდორთან. იქ მაშველის მოლოდინში თვალებამოღამებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიჭები სახელდახელოდ გათხრილ სანგრებში ჩაწოლილან. აქვეა ჩემი ნათესავი მამუკა გვარიშვილი, ადმინისტრაციული განყოფილების გამგე მინისტრთა კაბინეტში. ეს ერთი კარგი იცის შევარდნაძემ - ძველი ხელმძღვანელობიდან მოსდევს: სადაც თვითონ მიდის, ხელქვეითებმა, კეთილი უნდა ინებონ და წაჰყვნენ.

არა! მაშველთა გამოჩენას პირი არ უჩანს. ის კი არადა, კოდორს გადაღმა მოძრავი აფხაზები აქეთ გვიტევენ. ლაპარაკობენ, ვითომც ჩვენს რადისტებს რუსი სამხედრო ხელმძღვანელობის საუბარი დაუჭერიათ: კოდორთან მდგომი ნაწილებისათვის მკაცრი ბრძანებაა გაცემული: რადაც უნდა დაჯდეს, არ დაუშვან ჩვენი შეერთება, არ მისცენ საშუალება, მაშველმა ძალამ კოდორი გადმოლახოს. ამავე დროს, ვითომც ეს ნაწილები რუსი მედესანტეები არიან. გადავწყვიტე, პოზიციებზე გაბნეული მხედრიონის ჯგუფები გამოვიყვანო და ერთ დამრტყმელ ძალად შევკრა, თორემ ასე ათქვეფილი, ხელმძღვანელობის გარეშე სპონტანურად მოქმედ ბატალიონებთან ვერაფერს გახდებიან. ქალაქში ნაბრძოლები და ქუჩის შეტაკებებში გამოცდილები არიან. ახლა მათთვის გამწმენდის ფუნქცია ზედგამოჭრილია. თანაც, ერთად იქნებიან უღალატო გარემოცვაში. უპირველესად, დოდოს ჯგუფს უნდა მივხედო - ზედმეტად წინ დარჩნენ. მესამე ბატალიონმა თითქმის მთელი პოზიციები ჩააბარა და დოდოს ჯგუფი ალყაში ხვდება, წინ წამსვლელი და მათი დამხმარე არავინ იქნება.

დასაძინებლად გულრიფშში მივყვები დათო შონიას. დილით კი გენოს შტაბში მოვდივარ. შტაბთან უჩვეულო სიწყნარეა. ჯარისკაცები შესასვლელთან აღარ ირევიან. არც არავინ არავის ელოდება. მგონია, რომ გენოც აქ არ არის, მაგრამ თავის

დასასვენებელ ოთახში აღმოჩნდა. ალაგებს ნივთებს, საბუთებს, ესე იგი, სოხუმის შენარჩუნების დიდი იმედი აღარა აქვს. არაფერს ვეუბნები. კონიაკს მისხამს. ფიქრებში დანთქმული მეუბნება: „ყოველი შემთხვევისათვის, მინდა საბუთები აქედან მოვაცილო“. რაციით ვეძებ დოდოს: „მაგნოლია! მაგნოლია!“ ვიძახი ეთერში. თავად თავისუფლებაში გადასულა. მამშვიდებს: „ყველაფერი რიგზეა. ერთ-ერთი სანგრიდან გავყარეთ. თუ ასე გაგრძელდა, ხვალ თავისუფლებიდანაც გავრეკავთ“. ყველას წითელ ხიდთან, სანატორიუმში ვკრებ. სამას კაცამდე ვგროვდებით. ტყვია-წამალიც გვაქვს და ავტომატებიც. სადგურის წინა სახლებში „კომისარაა“ თავისი ჯგუფით, გიო ხვიჩია, ზურია მარუაშვილი. ბრძოლა კი უკვე სადგურზეა. კოდორიდან მაშველი არ ჩანს. გადავდივარ მთავრობის სახლში. შევარდნაძეს დანა პირს არ უხსნის. მატყობინებენ: რადიოკავშირით გამოვიდა გია ვაშაკიძე და დაიბარა, რომ მე გადმომცენ: „მოვდივარ, გზაში ვარ“. გიას ოჩამჩირეში უნდა შეევლო. მიკვირს, ამდენ ხანს რომ არ გამოჩნდა. მას ორასამდე მხედრიონელი ჰყავს და კიდევ - იგორ გიორგაძის ტექნიკა. ნუთუ კოდორი ვერ გადმოლახა? მერე ეს - „მოვდივარ, გზაში ვარ“, რა გზა უნდა - ერთი საათის სავალია. მას ერთი იდეა ჰქონდა: დალის ხეობით, ჩვენი ძველი, 1989 წლის ივლისის მარშრუტით, სოხუმის ზურგში გამოსვლა. ამას ხომ არ აპირებს?! მთავრობის სახლში სინათლე ქრება. ქვემოთ, სამზარეულოში შევდივარ, მინდა წავიხემსო. უცებ სროლის ხმა. კარებში ჩემი დაცვის წევრი, გასისხლიანებული ნიკუშა გედევანიშვილი, შემოხტა: „თამაზ! ნაპადენიე!“ - იყვირა და იქვე გაუჩინარდა. ყველანი სასადილოსა და დერეფანში გაცვივდნენ, მე გადამეღობნენ, არ მიშვებენ. თავს დაგვესხნენ. ნიკუშა დაჭრილია, მაგრამ მოასწრო და თავდამსხმელებიდან ერთი ადგილზევე მოკლა, მეორე - დაჭრა. ქალი, რომელიც მათთან იყო, გაიქცა, ღამის წყვდიადში მიიმალა. ზემოთ ავდივარ. „რა მოხდა?“ - კითხულობს შევარდნაძე. „რა ვიცი, დამესხნენ“. უსიამოვნების გამოსახატავად თავს აქანავებს, მგონი არც სჯერა. ყოველ შემთხვევაში, ამ აქტს არაფერი მოჰყვა, სიტყვითაც არავინ მეკითხება, ასე ვთქვათ, ფორმალური თანაგრძნობისთვის, თუმცა, რა დროს ეგ არის - ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი თარეშობს, არავის აღარაფერი უკვირს.

ხვალ მინდა სადგურს შევუტიო მხედრიონის ძალებით. ვის

უნდა შევუთანხმდე ან გავაფრთხილო, აღარ ვიცი. გია ყარყარაშვილმა გადაწყვიტა, აქედან კოდორზე ფარულად გადავიდეს დიდი ჯგუფით და მერე მაშველი გადმოიყვანოს, თორემ ისინი თავისით არ გადმოდიან. შტაბში ეს უჩემოდ გადაუწყვეტიათ, შევარდნაძის თანდასწრებით. გია უკვე წასულია. ან მე ვარ მთლად უვიცი სამხედრო საქმეში, ან ეს ბავშვური მანევრია. რა, ქორწილში არიან მიპატიჟებული, გზა არ იციან და მაყრიონს ვუგზავნით?! აქედან ჩვენც რომ შევუტიოთ, ეგ სხვა საქმეა, თორემ სხვაგვარად გადაიპარე-გადმოიყვანე რა ოპერაციაა?!

დილით ბიჭებს გენოს შტაბთან ვკრებ. ნაღმმტყორცნებით უსაშველოდ გვირტყამენ, პირდაპირ შტაბის შენობაში. პირველ სართულზე ვაფარებთ თავს. შტაბის ირგვლივ რამდენიმე კაცი დაიღუპა. ეტყობა, ახლომახლოდან ვიღაც კორექტივებს იძლევა: დარტყმები სულ უფრო და უფრო ზუსტი ხდება. კიბეზე ჩემი ჩასვლისას იქ მდგომ ყარაულს ყუმბარამ ორივე ფეხი წააგლიჯა. დაბომბვის შემდეგ მოწინააღმდეგე, ალბათ, იერიშს ამზადებს გენოს შტაბზე. გენო ადგილზე არ არის. სარადისტო დაზიანებულია, რაცია აღარ მუშაობს. სადგურიდან ჯგუფ-ჯგუფად გამორბიან მეომრები. მხოლოდ კონტრშეტევა თუ გვიშველის. გიო რურუას გაჰყავს ბიჭები იერიშზე. დაბომბვა წყდება. სადგური კვლავ ჩვენს ხელშია. ავდივართ გენოს ოთახში. ცოტა ხანში გენოც გამოჩნდა. ვსხედვართ უსიტყვოდ, არც კი ვიცით, რა ვუთხრათ ერთმანეთს. მესამე ბატალიონი გამოიქცა და სოხუმში პირდაპირი შემოსასვლელი ღიაა. მხედრიონელები რამდენ ხანს გაძლებენ სადგურში? მაღლივ სართულებში განლაგებული მეორე ბატალიონიც ძლივს შევაკავეთ. გვეუბნებიან, ბრძანება მივიღეთ, პოზიციები დატოვეთო. ვინ გასცა ბრძანება, ამას ვერ ვაზუსტებთ. მაშველი თუ შემოვიდა კოდორიდან, ხალხს გაამხნევებს, კიდევ რაღაცის გაკეთება შეიძლება, მგონი თავის თავს ელაპარაკება გენო. უცებ ფანჯრიდან ვხედავ, ფუნიკულიორის მთა „გრადის“ ჭურვებით ნათდება. ვიღაც ამბობს: „რას ესვრიან, იდიოტები, იქ არავინაა“. „იქ არავინაა?“ - ვეკითხები გენოს. „თხუთმეტიოდე კაცი იყო, ახლა არ ვიცი“. „ეგენი ტყუილუბრალოდ არ უბრაგუნებენ ფუნიკულიორს. შეტევას ამზადებენ. თუ მანდ შემოაღწიეს, დამთავრებულია სოხუმის საქმე“. ყველანი ფანჯარასთან მოდიან და სიჩუმეში შესცქერიან ფუნიკულიორის ცეცხლწაკიდებულ მწვერვალს.

„გიგა, - მივუბრუნდი გელაშვილს, - წაიყვანე ბიჭები, დაზვერე, რა ხდება. და თუ არავინაა, განლაგდით იქ, მოაწყვე თავდაცვა“. გიგა სასწრაფოდ გადის. „ახლავე დამაკავშირე მესამე ბატალიონის უფროსთან, - უბრძანებს გენო თავის თანაშემწეს. - ფუნიკულიორზე მაგისი ხალხი უნდა ყოფილიყო“. გიო რურუა ბრუნდება გაოფლიანებული, გასავათებული: „გამოვყარეთ. სადგური ჩვენია. ხვალ დილით კიდევ პატარა იერიში და, ხიდამდე გავყრით!“ ჩავდივართ ქვემოთა სართულზე, სადაც კახელების ჯგუფია გიო შიოშვილის და მაჭახელას ხელმძღვანელობით. ესენი მეექვსე ბატალიონიდან გამოვიყვანე. ხვალ დილით მათ თუ გავუშვებ, თორემ ხალხი აღარ მყავს.

ბინდდება. შევარდნაძე მოდის გენოს შტაბში. მე ქვემოთ ვხვდები. მანქანები გადაგვყავს მოფარებულ ადგილას, ბიჭები ხვალამდე ვერ დაისვენებენ, დაბომბვაში მოჰყვებიან. შევარდნაძეს ვუხსნი ვითარებას. ფუნიკულიორის პრობლემაზე ვამახვილებ ყურადღებას. ვურჩევ, წავიდეს მთავარ შტაბში. გენოს შტაბი ახლა მტრის დაბომბვის ნომერ პირველი ობიექტია. ვპირდები, რომ გვიან ღამით შევუვლი. იგი ბინად მინისტრთა საბჭოდან ქალაქის განაპირას, მთავარ შტაბში გადავიდა. გიგა გელაშვილი ბრუნდება. მხედრიონელები ფუნიკულიორის მისადგომებთან, ფერდობზე განულაგებია. „იქ ვერავინ ავა“, - ამბობს ჩვეულებრივად, იმედიანად. გენოსთან მოჰყავთ მესამე ბატალიონის უფროსი. არ ვიცი, ან შიშისგანაა გაოგნებული და ვერაფერზე რეაგირებს, ან წყნარზე წყნარი მუტრუკია. გენო მას მეგრულ-რუსულ-ქართული უცენზურო სიტყვებით ამკობს. „რატომ მიატოვეთ პოზიცია? რატომ გამოხვედით?“ „გვითხრეს, რომ გენომ ბრძანაო!“ - პასუხობს სასხვათაშორისოდ. ამაზე გენო მთლად ირევა. მე ვაწყვეტინებ. ახლა გინებას აზრი აღარა აქვს. თუ ხალხი არ დაუფანტავს, ხვალისთვის იქნებ ჩვენს ბიჭებთან ერთად სადგურიდან წინ წაიწიონ და ისევ ძველ პოზიციებზე დადგნენ. მას ოთხასი მეომარი უნდა ჰყავდეს. „უმეტესობა წავიდ-წამოვიდა. სოხუმელები არიან, ოჯახები ჰყავთ მისახედი“, - მპასუხობს დუნედ. „ფუნიკულიორზე რომ უნდა ყოფილიყო თქვენი ხალხი, სადაა?“ „იქ არიან“, - თვალის დაუხამხამებლად ცრუობს. „სად არიან, რას იტყუები?“ - ერთვება გიგა. „როგორ?..“ „როგორ და ახლა იქიდან მოვდივარ“. „იქვე იქნებიან, სადმე ახლოს - უტიფრად განაგრძობს იგი.

წესით, დასაპატიმრებელია, მაგრამ მესამე ბატალიონს ვინ მოუყრის თავს? „ამას მოადგილე არა ჰყავს?“ - ვეკითხები გენოს. „კი, კარგი ბიჭია“. „ჰოდა, დავუძახოთ და გადავაბაროთ ხელმძღვანელობა“. „ახლავე წავალ და ფუნიკულიორზე მოვძებნი ჩვენიანებს. თუ საჭირო იქნება, კიდევ დავამატებ“, - ამბობს დამაჯერებლად. მე მირჩევნია, გიგას ბიჭები რკინიგზის სადგურში მხედრიონელებს მივახმარო, ვიდრე კონტინგენტი აირიოს. თანაც, ქალაქი, ფუნიკულიორი და მისი მისადგომ-მოსადგომების ამბავიც არ იციან. „კარგი, - ვთანხმდები, - მაშ მიდი, მიხედე. ფუნიკულიორი არ დაიკარგოს, თორემ ყველაფერი შენ დაგბრალდება“. „არა, ბატონო, ახლავე გავაკეთებ მაგ საქმეს“. გიგას ვავალებ, ფუნიკულიორიდან ბიჭები მოხსნას და სადგურზე გადაისროლოს.

გვიან ღამით შტაბში მივაკითხე შევარდნაძეს. სძინავს. მითხრეს, შეუძლოდ არისო. ვბრუნდებით ისევ ჯიშკარიანების დანგრეულ სახლში. გენოს შტაბი აქვეა, გვერდზე. თამაზ-წესრიგა მეუბნება: „აქ დაძინება საშიშია. ხომ გახსოვთ, ორი დღის წინ ბომბი ჩამოვარდა“. „ჰოდა, ამ სახლმა თავისი წილი მიიღო, მეორედ კი აღარ მოხვდება“, - ვეხუმრები. ღამით ირგვლივ უჩვეული სიჩუმე სუფევდა, ავტომატიც ხმაც კი არ ისმოდა. სამაგიეროდ, გათენებისთანავე დაიწყო დაბომბვა. გამოვდივარ ქუჩაში. ირგვლივ სახლები იწვის, ჩვენ თვალწინ ინგრევა. ფუნიკულიორიდან გვირტყამენ პირდაპირი დამიზნებით. გიო რურუა სადგურზე მიდის მდგომარეობის გასაგებად. რაციები არ მუშაობს. გიგას ვავალებ, კვლავ ფუნიკულიორს მიხედოს - მესამე ბატალიონის უფროსმა მოგვატყუა, იქ არავინ აუყვანია. მთავარი შტაბიდან მეძებს შევარდნაძის დაცვის წევრი. შევარდნაძეს ჩემი ნახვა უნდა. ჩემს მოსვლამდე გიო შიოშვილი დაიჭერს თადარიგს. გენო თავის შტაბს ლიკვიდაციას უკეთებს. ჩვენ ქუჩაში, შტაბის კედლებს ვეფარებით, დაბომბვისგან თავს ვიცავთ. გიო რურუა ბრუნდება. „ძნელი გასარჩევია, რომელ სახლში ვინ ზის, ერთმანეთს ესვრიან. სადგურის ნახევარი ჩვენი უნდა იყოს, ნახევარი - აფხაზების, მაგრამ ახლო ვერ მიეკარები“, - ჰყვება იგი. ტექნიკა მაინც გვყავდეს. ჩვენი კახელი ბიჭები კი სოხუმში მშვიდობიანობის დროსაც არ ყოფილან. სად გინდა გაუშვა?! მივდივარ მთავარ შტაბში, შევარდნაძესთან, თან იმედი მაქვს, იქნებ რაიმე ტექნიკა - „ბე-ემ-პე“, ტანკი ან „ბეტეერი“ ვიშოვო და რამდენიმე ადგილობრივთან ერთად ჩვენს კახელებს

გავატანო. შევარდნაძე აულაგებელ ლოგინზე გაუხდელად წევს, თვალები უძილობით დაწითლებული და გუგები შეშუპებული აქვს. „ავად ხართ?“ „მთელი ღამე არ მეძინა. ვფიქრობდი. გადავწყვიტე, „ესენგეში“ შესვლას დავეთანხმო. სხვა გამოსავალი არაა“... ვდუმვარ. წარმომიდგა ზვიად გამსახურდია ბუნკერში. გაქცევამდე რამდენიმე დღით ადრე დაურეკავს პეტრე ჩხეიძისათვის - იმდროინდელი ელჩისთვის მოსკოვში, უთქვამს: „დაუკავშირდი ელცინს, გადაეცი, რომ „ესენგეში“ გაწევრიანების ყაბული ვარო. ასევე გონების თვალით ვხედავ ერეკლე მეორეს, აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დარბევის დროს ანანურის ციხის კედელთან მიგდებულს. ერეკლესაც ალბათ ეს პრობლემა უტრიალებდა თავში: ღირდა კი გეორგევსკის ტრაქტატზე ხელის მოწერა?! საუკუნეების მანძილზე საქართველო არჩევანის წინაშე დგას: სპარსეთი თუ ბიზანტია - ფარტაძე თუ აიეტი? ირანი თუ თურქეთი - ავღანელი სააკაძე თუ თურქი სააკაძე? რუსეთი თუ აღმოსავლეთი - ალექსანდრე თუ ერეკლე? რუსეთი თუ დასავლეთი - შევარდნაძე სავლე თუ შევარდნაძე პავლე? აქედან გამომდინარე, ჩვენი გაორებული ბუნების, დაუდევარი ხასიათის და, მე ვიტყოდი, პოლიტიკური აბულიის გამო ფაქტის წინაშე გვაყენებენ და თავპირისმტვრევით გვითრევენ იმის მაგიერ, რომ ჩვენით ჩავყვეთ აუცილებლობას. აკი „ესენგეში“ ჩვენი შესვლის შემდეგ რუსეთის მმართველ წრეებში ნიშნის მოგებით იტყვიან: „შევარდნაძე პრიპოლზ ვ ესენგე“. სამი წელია გავიძახი, მოვაწყოთ ეგრისის კრება, ისტორიული პერსპექტივის თვალთახედვით საჯაროდ და ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტოთ, რა ორიენტაციას ვადგებით. ეს აქეთ-იქითა ეკვილიბრისტიკა დღეს კომპიუტერების, ინფორმაციის მაქსიმალური მოპოვების პირობებში დამღუპველია. თამაშით თავს თუ მოიტყუებ - ეს სირაქლემას პოლიტიკაა. „რას იტყვით?“ - მეკითხება შევარდნაძე. „რასაკვირველია, სხვა აღარაფერი დაგვრჩენია. ეს თუ გადაარჩენს სოხუმს“... „პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ“. „პასუხისმგებლობას თქვენთან ერთად მეც გავიზიარებ“. „არა, რატომ, მე ვარ სახელმწიფოს მეთაური... ვახტანგ გოგუაძეს დავურეკავ, ეს ოფიციალურად გამოაცხადოს“. საყვედურების თქმა მდაბიური „მე ხომ ვამბობდი“ გამოვა... იქნებ მართლაც გადავარჩინოთ აფხაზეთი. და მაინც, ძალაუნებურად გიტრიალებს აზრი: შევარდნაძეს - საბჭოთა კავშირის პოლიტიკის საჭესთან მდგომ ადამიანს,

კრემლის დარბაზებიდან ჩვენს „იმელში“ გადმოსახლებულს, განა არ უნდა სცოდნოდა, რომ რუსეთი, საბჭოთა იქნებოდა, დემოკრატიული თუ სხვა რამ პოლიტიკური ფორმით არსებული, თავის სასიცოცხლო ინტერესებს, ტრადიციულ „მესამე რომის“ იმპერიულ მისწრაფებას ასე იოლად არ მოეშვებოდა?! „ხალხი ვერ გაგვიგებდა“, - არის მისი პასუხი ასეთი საყვედურის დროს. მაშ რიღასთვის ყოჩობ? თუ პირდაპირ გზაზე დროულად ვერ გამიყვან და ხრამით წელგაწყვეტილს ყველა ბილიკი შარაგზად მომეჩვენება, მაშინ რაღად მინდა სახელმწიფოს მეთაური თუ პოლიტიკური ლიდერი?!.

გია ყარყარაშვილი დაბრუნებულია, ვითომც ორასი კაცი გადმოიყვანა ტექნიკის გარეშე. სად არის ის ორასი კაცი, ან ვის შეხვდა იქ, ან რა უთხრეს, ხეირიანად ვერავინ გეტყვის. ოფიციალურად მე არავინ არაფერს მომახსენებს. სოხუმში ამჯერად მხოლოდ მხედრიონის უფროსი ვარ. მაინც ვერ ვითმენ - გაგვაგებინოს, რას ვაპირებთ. ვეძებ ყარყარაშვილს. მისი გარემოცვა რაღაცას მიედ-მოედება: „გასულია. პოზიციებზეა“. კონკრეტულად სად - ვერ ამბობენ. ბოლოს ირკვევა, რომ გვერდით ოთახში ისვენებს. შევდივარ. ლოგინზე წამოწოლილა. არ ეტყობა, რომ ისვენებს. ფიქრებში თუ ოცნებებშია დანთქმული, უფრო ავადმყოფს ჰგავს. „გამოდი, გაგვაგებინე, რა ხდება, რას ვაპირებთ“. უხალისოდ დგება. ვიკრიბებით ვითომც რაღაც საქმიანის მოსასმენად. შევარდნაძე დუმს. გენერლები წვრილმან შეტაკებებსა და ცალკეულ პოზიციებზე კამათობენ. მოჰყავთ იგივე მესამე ბატალიონის უფროსი. ბრძანების შეუსრულებლობის და არაერთგზის მოტყუების გამო პასუხისგებაშია მისაცემი, მაგრამ აქ ასეთი მომთხოვნელობის ატმოსფერო არ არის. უნდათ, ისევ მას დაავალონ ფუნიკულიორის განთავისუფლების საქმე. მე წინააღმდეგი ვარ. შევარდნაძეც მხარს მიჭერს. საბოლოოდ გადაწყდა: ფუნიკულიორზე წავლენ გიგა გელაშვილი მხედრიონელებით, ირაკლი ბათიაშვილი, რომელსაც ერთი ათეული უშიშროების ხალხი ჰყავს, და გურამ ჯანიაშვილი 60 ავღანელით. რაც შეეხება ყარყარაშვილის ინფორმაციას ან ცნობას მაშველთა მოქმედების შესახებ, ვერ ვისმენთ. ყოველთვის მიკვირდა და ახლაც ამოუცნობია ჩემთვის, როგორ ახერხებს კაცი მთავარ საკითხს თავი აარიდოს და შემთხვევით, იქვე წარმოშობილ ფსევდოპრობლემებზე გადაიტანოს

დამსწრეთა ყურადღება. რაღა თქმა უნდა, ამას განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება.

ოჩამჩირიდან დახმარების იმედმა ჩაილურის წყალი დალია. ალბათ თავიდანვე შეცდომა იყო ამ დაპირების სამოქმედო გეგმაში შეტანა. მეომრები მხოლოდ თავის იმედზე რომ ყოფილიყვნენ, აჯობებდა. ახლა ერთი რამ დაგვრჩენია: რაც შეიძლება დიდხანს შევინარჩუნოთ ქალაქი და ამასობაში, რაკი „ესენგეში“ შევდივართ, იქნებ რუსებმა თავი დაგვანებონ. მაგრამ ამის ხმამაღლა თქმა ჯერ არ შეიძლება. არადა, რამდენიმე დღეში საბრძოლო მასალაც აღარ გვექნება. აეროპორტი დაკეტილია - ფრენა არ არის. ჩვენ უკვე ზღვიდანაც გვბომბავენ. აფხაზებს „საიდანღაც“ სამხედრო ფლოტიც გაუჩნდათ. საღამოსთვის მეორე ბატალიონი მაინც მოიხსნა მაღლივი სახლებიდან. ახლა ქალაქის ყველა შემოსასვლელი დაუცველია. ზღვის ნაპირსა და გუმისთაზე ჯერჯერობით მხოლოდ მეექვსე სატანკო ბატალიონიღა დგას. ფუნიკულიორის დაბრუნებასაც აზრი აღარა აქვს - აფხაზთა მოწინავე ჯგუფები გენოს შტაბთან არიან. ჩემთან დარჩენილი მხედრიონელებისგან ვაკეთებ რკალს პოზიციებიდან წამოსული მეომრების შესაჩერებლად. ეს არც პანიკაა. მოდიან ჯგუფ-ჯგუფად, დაჯერებულები, რომ ვალი მოიხადეს, მაგრამ მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ომი წააგეს. ეს სადღაც მართლაც ასეა. თანაც, ხმა გავრცელდა, რომ გაცემულია ბრძანება პოზიციებიდან მოხსნის შესახებ.

ჩვენ მათ ვაკავებთ, თუმცა, ვინც უნდა დააბრუნოს კონკრეტულ ადგილებზე - მეთაურები - იმალებიან. ჩემს გამოჩენაზე უკვე ჯარისკაცებიც დანგრეულ სახლებს აფარებენ თავს და ბაღების გაზონებში წვებიან, რომ მე არ დავინახო. გენოც ვეღარ უყრის თავს, კონტროლს აღარ ექვემდებარებიან. მეტწილად ადგილობრივები არიან და საკუთარ ოჯახებზე ზრუნავენ. სოხუმიდან გულრიფშისკენ მღვრიე მდინარესავით მიედინება ლტოლვილთა ნაკადი. რუსეთის თვითმფრინავებმა, როგორც თავის დროზე ოჩამჩირეში, აქაც, პანიკის შესაქმნელად, გადმოჰკიდეს ეგრეთ წოდებული „ლუსტრები“. საოცრად განათდა ქალაქი. ეს ავბედითი ფეიერვერკი რაღაც არარეალურ სამყაროს ქმნის. ირგვლივ დაბორიალობენ არა ადამიანები ან მეომრები, არამედ მათი აჩრდილები.

სადგურიდან გამოდის „კომისარას“ შვიდკაციანი ჯგუფი. რამდენიმე დღეს ეკავათ მიმდებარე შენობები. აღარავინ გამოჩნდა დასახმარებლად, კავშირის დასამყარებლად. თვითონ დაჭრილია, ორი კაცი მოუკლეს. აქა-იქ სახლებიდან გამოიყვანეს დაღუპულები და დაჭრილები. იქვე, სადღაც სახლებში დოდო გუგეშაშვილია თავისი ჯგუფით. ფუნიკულიორზე შეტევა ჩაიშალა. გურამ ჯანიაშვილს თერთმეტი კაცი დაეღუპა, ოცამდე დაჭრილია. მოიხსნენ ირაკლი ბათიაშვილის და გიგა გელაშვილის მეომრებიც. ქალაქი ფაქტობრივად ჩაბარებულია. „ხვალ კიდევ ერთი გაბრძოლება ვცადოთ, - ვეუბნები გიგას, - იქნებ წითელ ხიდთან გავმაგრდეთ“.

მთავრობის სახლში ჟიული შარტავაა თავისი ზოგიერთი თანამშრომლითა და დაცვით. შევარდნაძე აპირებს იქ მისვლას და ჟიულის წამოყვანას. ტელეფონით ვუკავშირდები: „ბატონო ჟიული! როგორაა საქმე?“ „ისვრიან“, - მპასუხობს წყნარად, რაღაც სასოწარკვეთილი ნიშნის მოგებით. „ახლა ყველგან ისვრიან“, - ვეუბნები გასამხნევებლად. „არა! აქ პირველ სართულზე არიან შემოჭრილი“. „ნუ გეშინიათ, მოვდივართ“. სწრაფად ვკიდებ ყურმილს. შევარდნაძე თავისი „ამერიკელებით“ - 50-კაციანი სპეცჯგუფითა და მე ჩემი დაცვით - მივეშურებით მთავრობის სასახლისკენ. მისადგომებთან ტყვიამფრქვევებიდან გვიხსნიან ცეცხლს. თვით მოედანიც იცხრილება ჯვარედინი ცეცხლით. ვჩერდებით. გადმოვდივართ მანქანებიდან. გასარკვევია, როგორ და საიდან სჯობს მივუდგეთ. სიბნელეში მოდიან და გვატყობინებენ, რომ გურამ ჯანიაშვილმა გამოიყვანა ჟიული შარტავა და ყველა, ვინც კი იყო მთავრობის სახლში, იქ აფხაზების მეტი არავინაა.

ვბრუნდებით შტაბში. ჟიული არ ჩანს, არც სხვა ვინმე მისი გარემოცვიდან. ჯანიაშვილი გვარწმუნებს, რომ ყველა გამოიყვანა, მხოლოდ ორ ჯგუფად იყვნენ გაყოფილი, ალბათ, სადმე, სხვადასხვა მხარეს შეაფარეს თავი. მე, გიგა, გიო რურუა და წესრიგა გავდივართ სადგურისკენ. მინდა, გამოვიყვანო დოდოს ჯგუფი. იქვე სადღაც არიან გიო ხვიჩია და ზურია მარუაშვილის ხუთკაციანი ჯგუფი. დოდო მატყობინებს, რომ კარგი პოზიცია აქვს, რომ მას შეუერთდნენ გვარდიელების დაქსაქსული ბიჭები. მეექვსე ბატალიონმა, მართალია, უკან, „მაიაკისკენ“ დაიხია, მაგრამ ჯერ დგანან. ძველი ტურბაზის

ზემოთ, სახლებში, ბორია ივანოვია სამხედრო პოლიციის რაზმით. რაციით მიკავშირდება და ამბობს, აქედან ვერავინ გამოგვაგდებს, თერთმეტსართულიან სახლებში ვსხედვართ, მთელ არემარეს ვაკონტროლებთო. რაღაც იმედები ისახება. ხვალ თუ შევკრიბეთ დაქსაქსული მეომრები, მხედრიონი ითავებს კონტრიერიშს. შუა ქალაქში ან წითელ ხიდთან გავმაგრდებით. შტაბში შესვლას აზრი არა აქვს. ოღონდ ვინმემ რამე გააკეთოს, ვინ არის დამშლელი?!

გვიანაა... ორიოდე საათი რომ წავთვლიმო და დილით ადრე მოვხვეტო ბიჭები - გულრიფშში მივდივარ, დათო შონიას ნაპოვნ ბინაში. ინათა თუ არა, ვიცვამთ. ვლოცულობ, როგორც ყოველთვის, ჩემს პატარა ღვთისმშობლის ხატსა და ჯვარზე, რომელთაც, ეს ორი წელია, ყველგან და ყოველთვის უბით ვატარებ. ჩვეული მოძრაობით ფაქიზად ვახვევ ხელსახოცში და... უცებ ღვთისმშობლის ხატი ხელიდან მისხლტება, ძირს ენარცხება. თითქოს რაღაც მძიმე ჩამარტყეს თავში. ვტორტმანებ. მერე გონს მოვდივარ. გიო რურუა და თამაზ-წესრიგა შემკრთალნი, გახევებულნი შემომცქერიან. „არაფერია, - ვამბობ, - ხელიდან გამივარდა“. სოხუმი იბომბება ყოველი მხრიდან - გემებიდან, ქალაქს მომდგარი არტილერიით და, რაც ყველაზე სახიფათოა, ასოციანი ნაღმსატყორცნებით, რომელთა სიმძლავრე, სიზუსტე და მანევრირების უნარი დამანგრეველია.

შუაღამისას მეექვსე ბატალიონიც მოხსნილა. სამხედრო პოლიციასაც დაუტოვებია პოზიციები. ასე რომ, ქალაქი ჩაბარებულია. დარჩენილი 50 კაცით ვეღარაფერს გავაწყობთ. იქნებ აქ, წითელ ხიდთან, დავიკავოთ დაცვა. ბიჭები გამომყავს სანატორიუმიდან. ვაკეთებ წრიულ თავდაცვას ერთი იმედით: თუ სხვა ნაწილებს შევიერთებთ და რაღაც ტექნიკის ერთეულს მაინც გავახერხებთ სადმე. ერთი სიტყვით, ახლა სანატორიუმთან ჩვენი გამაგრება რომაული ბანაკის ფუნქციას თუ შეასრულებს. მეთერთმეტე ბატალიონის უფროსს დათო თევზაძეს ქალაქიდან ორგანიზებულად გამოჰყავს 60-80 კაცამდე. სატვირთო მანქანამ ჩაგვიქროლა. არ აჩერებს. ძარაზე ორი მხედრიონელი და თავში დაჭრილი გიო ხვიჩიაა. „სადგურთან მხედრიონელებიც ჩახოცეს“, - გვიყვირიან. ვგზავნი ჯგუფს, დაზვერონ, ნახონ, თუ რამე შეიძლება. მე, წესრიგა, რურუა და რამდენიმე ბიჭი მივდივართ დოდოს გამოსაყვანად. დათო თევზაძეს ვეუბნები: „იქნებ აქ, ჩვენთან ერთად დარჩეთ და გავმაგრდეთ ხიდთან“. გაურკვევლად

მიქნევს თავს. ეს უფრო ის პასუხია, რომ აქ გამაგრებას აზრი აღარა აქვს.

ყუმბარმტყორცნის ყუმბარები ხან წინ გვიფეთქდება, ხან უკან. გზაში შორიდან ვხედავ, დოდო თავისი შემცირებული ჯგუფით რაღაცას იქაჩება, ბიჭებს რაღაცაში არწმუნებს. ვუახლოვდებით. „გამოდით! - ვეუბნები, - ქალაქში ჩვენები აღარ არიან“. „ზურია მარუაშვილი დარჩა, იქნებ გამოვიყვანოთ“. „ბიჭები წავიდნენ. ვნახოთ“. ვბრუნდებით სანატორიუმთან. წითელ ხიდთან შექუჩული მეთერთმეტე ბატალიონიც აღარაა იქ. სანატორიუმი გამაგრებულია, მაგრამ რად გინდა, თუ ხალხი ვერ შემოვიკრიბე. არც ის ვიცი, საერთოდ რა გეგმაა შტაბში. თუ გასვლაა - შეთანხმებულად გავიდეთ, თუ გამაგრებაა - იქნებ ტექნიკით და ხალხით დამეხმარონ. მივეშურები შტაბში. გიგა სანატორიუმში რჩება. შტაბში აღარავინაა. მიუტოვებიათ და წასულან. მეზობლები, მეტწილად რუსი ქალები, აივნიდან გვიხსნიან, საით და როდის წავიდნენ. ხუთი-ექვსი საათი იქნება. მზე ჩასვლას იწყებს. გიგასთან კაცს ვგზავნი, მოიხსნას და აქეთ წამოვიდნენ. ველოდებით. ვფიქრობ, სად გავმაგრდეთ. სანატორიუმში შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ზურგი და მაშველი გვეყოლებოდა, თორემ ზემოდან დაგვივლიან და 50-60 კაცს ალყაში მოგვაქცევენ. ეზოში ვსხედვართ და ჩვენებს ველოდებით. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წუთს ახლომახლო ყუმბარები ცვივა და გვაყრუებს, ქალები ეზოში გამოდიან და გვესაუბრებიან. ერთ-ერთი მათგანი მეგრელი უნდა იყოს, რუსულად კარგად ლაპარაკობს. ისტერიულად ყვირის: „რატომ არ შევდივართ „ესენგეში“, მითხარით ერთი, რატომ, რატომ?“ მახსენდება შევარდნაძის პასუხი - ხალხი ვერ გაგვიგებდა. „შევდივართ, უკვე შევედით“, - ვეუბნები ღიმილით. მას ეს ირონია ჰგონია, მე კი შევარდნაძის პასუხზე მეღიმება. „თქვენ იცინით. აი, ასეა, აი, ასე! - ყვირის იგი. - სად წავიყვანო ახლა ბავშვები, აგერ, სარდაფში მყავს გამოკეტილი“. ჩვენები ფეხით მოდიან და იგვიანებენ. გიო შიოშვილი მთხოვს, რომ კახელები გავათავისუფლო. „აქ მაინც აღარაფერი გამოვა. წავალთ, ოცი კაციღაა დარჩენილი“. „სად წახვალთ? კოდორზე ზვიადისტები ტყვედ აგიყვანენ“. „ჩვენ გავალთ. კოდორით თუ არა, ზემოდან, სვანეთიდან“. „კარგი“, - ვთანხმდები.

გზაში შემოგვაღამდა. ამხელა მანძილზე კაციშვილი აღარაა. არც კელასურთან დგას ვინმე. ერთი საყარაულო პოსტი მაინც

დაეტოვებინათ. გულრიფშში თავი მოუყრია ოთხასიოდე კაცს. შევარდნაძეც აქ არის, არის ტექნიკაც. სახელდახელო შტაბში უამრავი მსუბუქი მანქანაა. ეზოში ვერ გაინძრევი. ღმერთმა ნუ ქნას, ერთი ყუმბარა რომ ჩამოვარდეს, ყველას დაგვწვავს.

შევარდნაძეზე მეურვეობა შოთა კვირაიას უკისრია. იგი ირაკლი ბათიაშვილის მოადგილეა. დაცვა გამკაცრებულია, მასთან არავის უშვებენ. შევდივარ. სამნი არიან: შევარდნაძე, ბათიაშვილი, კვირაია. რუსებთან აქვთ რადიოკავშირი. თათბირობენ, რითი გაიყვანონ შევარდნაძე - თვითმფრინავით, ვერტმფრენით თუ გემით. შევარდნაძეს არავითარი გადაწყვეტილების მიღება აღარ შეუძლია. იგი ისე უნებისყოფოდ ემორჩილება გარემოცვას, როგორც სასიკვდილო ოპერაციის წინ პაციენტი - ექიმს. მე ვფიქრობ, რომ წინააღმდეგობის გაწევა ჯერ კიდევ შეიძლება. უნდა შევიკრიბოთ, დავსახოთ სამომავლო გეგმა. აფხაზეთი სოხუმით არ თავდება. ჩვენს ზურგს უკანაა გულრიფში, აეროპორტი, კინდღი, ტამიში, ოჩამჩირე, გალი. მთელი ასი კილომეტრი გზა... მართალია, ზვიადისტებმა გვიმუხთლეს და დასახმარებლად არ მოვიდნენ, მაგრამ იქ განლაგებულ ჯარში ბევრი პატრიოტია. თუ ჩვენ აქ გავმაგრდებით, ისინი არ დაემორჩილებიან ზვიადისტებს და ჩვენკენ წამოვლენ. გია ვაშაკიძეც მოდის კარგად ორგანიზებული და შეიარაღებული ორასი კაცით. ჩემი ვარაუდით, ახლა ისინი ჭუბერში იქნებიან. ყველაფერ ამას მდუმარედ, როგორც ცხედრის წინ სამძიმარს, ისე ისმენს შევარდნაძე. მაინც მომყვება შტაბის შეკრებაზე. სინათლე არ არის. სხდომა ჭრაქისა და სანთლების შუქზე მიმდინარეობს. როგორც ირკვევა, ხუთას კაცამდე ვართ. არის ტექნიკაც. წინადადება შემომაქვს გავამაგროთ კელასურის ხიდი, გადავკეტოთ ბაღმარანის გზა, რომ არ შემოგვიარონ და მერხეულაში არ გამოვიდნენ. ყველა მეთანხმება. ახლავე, გადაუდებლად საჭიროა ვიშოვოთ ამწე, ბეტონის ფილებით, რომლითაც სავსეა გზა, გადავკეტოთ ხიდი, ამაღამვე გავთხაროთ სანგრები. გაჩუმებულები სხედან. „შეგვიძლია ეს გავაკეთოთ?“ - ვეკითხები გია ყარყარაშვილს. „რასაკვირველია“, - დამაჯერებლად მპასუხობს. გენო ადამიასაც მოსწონს ეს წინადადება. შემდეგ ყარყარაშვილი, ყველას გასაგონად, შევარდნაძეს ეუბნება: „ბატონი ჯაბა იყოს თავდაცვის მინისტრი“. მეცინება. ისევ ბავშვური ეშმაკობა, თუ... რასაკვირველია, ამას სერიოზულად არავინ იღებს.

შევთანხმდით: ხვალ, დილის ათ საათზე (ახლა ღამის ორი საათია), შევიკრიბოთ სკოლაში. ახლა კი დროს ნუ დავკარგავთ, გავამაგროთ კელასურის ხიდი. კიდევ ერთხელ ვეკითხები გია ყარყარაშვილს: „ეს ხომ შესაძლებელია?“ „კი, კი“, - მაიმედებს გია. შევარდნაძე, ბათიაშვილი, კვირაია და დაცვის ნაწილი მიდიან აეროპორტში, მე, ჩემი ოცი მხედრიონელით - ისევ იქ, დათო შონიას ბინაში. ვიდრე დასაძინებლად დავწვებოდით, ბიჭებს გამოვუტყდი, რომ ხატი თავისით ახტა ჩემი ხელისგულიდან. ეს ალბათ სოხუმის დაცემის ნიშანი იყო. გულის ჯიბიდან ვიღებ ხატს. იგი კარედია. შიგ წმინდა გიორგის თლილი ხის გამოსახულებაა. ხე ძველისძველია, ამბობენ, მე-16 საუკუნისა. გავხსენი კარედი და ელდა მეცა - ხის გამოსახულება შიგ არ არის. ვდგავარ საწოლთან, სადაც დილით დავარდა ხატი. გაოგნებული ვიყურები ირგვლივ და ვხედავ: წმინდა გიორგი ძირს აგდია. ვლოცულობ. მოუსვენრად მძინავს. თვითმფრინავის ხმა მაღვიძებს. რიჟრაჟია. ალბათ შევარდნაძე გაფრინდა. გული მეთანაღრება. ვაღვიძებ დათო შონიას: „დათო, წაიყვანე ერთი-ორი ბიჭი და წადი კელასურის ხიდთან. ნახე, რა ხდება, არის თუ არა იქ პოზიცია“. ვეღარ ვისვენებ. არ მინდა, ბიჭებმა გაიღვიძონ, დაღლილები არიან. ვლოცულობ და ჰაერზე გავდივარ. წესრიგას რა გამოეპარება - ჩაუცვამს და მომყვება. აგინებს მაშველებს, რომლებსაც ათ დღეს ამაოდ ვუცადეთ. „ჩვენ შევარდნაძეს არ უნდა წამოვყოლოდით. ჯობდა, ოჩამჩირეში წავსულიყავით“. „იქ გამსახურდიაა“. „ეგ როგორ იქნებოდა, თქვენს იქ ჩასვლას რომ გაიგებდა, თვითონ აღარ ჩამოვიდოდა“.

დათო ბრუნდება: „ფილები ალაგია, მაგრამ ხიდთან არავინაა“. ვიგინები. ვაყენებ ბიჭებს. ჯერ 7 საათია. ვსაუზმობთ და გავდივართ სკოლაში. შეკრება ათი საათისათვის არის დანიშნული. ჯერ არავინ ჩანს.

იქნებ სულაც არავინ მოვიდეს. არა, ნელ-ნელა იკრიბებიან. გენერალი ვალერი ქვარაია, პოლკოვნიკები გრიგალაშვილი, გოლუბიანი, ჩალაძე - 50-60 კაცამდე ვართ. ყარყარაშვილი არ ჩანს. ვაცნობ მდგომარეობას. საჭიროა, სასწრაფოდ გამაგრდეს კელასურის ხიდი და ზემოთ, ბაღმარანისკენ მიმავალი გზა, რათა ალყისგან დაცული ვიყოთ. მანამდე ვეცადოთ შემოვაბრუნოთ ეს გაქცეული მეთაურები და მეომრები. არის ერთი ტანკი, ერთი „ბეემპე“ და „შილკა“. ბიჭებს ტყვიამფრქვევებიც აქვთ. ვანაწილებ. ქვარაიას თავისი 30 კაცით

ჯერჯერობით ვუშვებ მაჭარკის ხიდთან, გრიგალაშვილსა და გოლუბიანს ვავალებ, დაქსაქსული ხალხი შეკრიბონ. შეკრების დასასრულისთვის გამოჩნდა გია ყარყარაშვილი. ვსაყვედურობ, ხიდთან რატომ არავინ არ არის-მეთქი. ირწმუნება, რომ იქ მისი ხალხი დგას და ზემოთ, ფერდობზეც, ბაღმარანისკენ ას ორმოცდაათი კაცი გაუშვა. შემდეგ მცილდება და იქვე ახლად მოსული მეომრების ჯგუფს ეგებება. ესენი ისინი არიან, ერთი კვირის წინ აეროპორტის დასაცავად რომ გავგზავნე: თემურ ცირეკიძე, ერთი მხედრიონელი და კიდევ ათი-თორმეტი რუსთაველი ბიჭი. გია მათ კელასურის ხიდისკენ გზავნის, თან ეუბნება: „იქ ჩვენები დგანან და შეუერთდით. ჩვენც მალე მოვალთ“. „ვინ არიან?“ - ვეკითხები ყასიდად. „ჩემი ხალხის ნაწილია“. „ეგენი ხომ აეროპორტს იცავდნენ“... ამ დროს ჩერდება უცხოური მანქანა, გადმოდის გენო ადამია, აეროპორტიდან მოდის. „იქ მოიხსნა ჩვენი დაცვა. კოდორიდან უტევენ. შევარდნაძე დილის ოთხ საათზე გაფრინდა“, - გვაყენებს საქმის კურსში. როცა გაიგო, რაზე ვკამათობთ, მანქანაში ჩაჯდა. მასთან არიან ზურიკო ჩიქოვანი და კიდევ ერთი ახალგაზრდა. „წავიდეთ“, - მიმართავს გია ყარყარაშვილს. გიას მიჰყავს ტანკი და სამი მსუბუქი მანქანა მეომრებით. მე ქვარაიას ვეუბნები, რომ საჭიროა მაჭარკაზე დაცვის მეორე ეშელონი შევქმნათ. მართლაც, თუ კელასურთან პოზიცია არსებობს, არა მგონია, დათოს მოვეტყუებინე, მაგრამ, ჩვენი დაუდევარი ხასიათის ამბავი რომ ვიცი, იქნებ იქვე სადმე დასაძინებლად იყვნენ წასული და ახლა ისევ შეიკრიბნენ. გიას ზემოთ, ბაღმარანისკენაც გაუგზავნია ხალხი. ასე რომ, ჯერ კიდევ შეიძლება რაღაც ფხაკური. მაჭარკის ხიდთან, ორივე მხარეს, და ხიდის ქვეშაც ჩასხდნენ ჩვენი ბიჭები და ქვარაიას ხალხი. სხვადასხვა ნაწილებიდან შემორჩენილი ოცამდე მეომარი მდინარის პირას მდგარ ორსართულიან სახლში განლაგდა, ტყვიამფრქვევიც დააყენეს. ვიდრე გია და გენო დაბრუნდებიან და ვითარებას გავარკვევთ, შევდივარ ჩვენს წინ, ხის პატარა რუსულ ეკლესიაში. ოც წუთში ბრუნდება გია ყარყარაშვილი. აღელვებულია. „გენო ან ტყვედ აიყვანეს, ან ბაღმარანისკენ აუხვია და გაიქცა. მტერი კელასურთან არის მოსული. აქედან რომ წავედით, გენომ გამასწრო. ხიდს მიუახლოვდა თუ არა, სროლა აუტეხეს. იქვე, მარჯვნივ, გადასახვევია. მგონი, იქით შეუხვია. ჩვენ დაგვაყარეს და გამოვტრიალდით“. ომის დამთავრებიდან კარგა ხნის შემდეგ, როცა შვილებმა და მეგობრებმა გენოს ცხედარი 50 ათას

დოლარად გამოისყიდეს, აფხაზთა მონაყოლზე დაყრდნობით, ასეთი სურათი დამიხატეს: „დაზვერვაზე რვანი წავედით, - უთქვამთ მათ, - კელასურის ხიდთან არავინ დაგვხვდა. გვინდოდა, კიდევ წინ წავწეულიყავით. დავინახეთ დიდი სიჩქარით მომავალი უცხოური მანქანა. სასწრაფოდ ჩავსაფრდით. სათოფეზე რომ მოგვიახლოვდა, დამიზნებით გავაჩაღეთ სროლა. იქვე გამოჩნდა ტანკი და ორი თუ სამი მსუბუქი ავტომანქანა. ჩვენ ჯერ კიდევ ვყოყმანობდით, დავმალულიყავით თუ მიგვეღო ბრძოლა, როცა მანქანებიცა და ტანკიც მოტრიალდნენ და გაგვეცალნენ. უცხოური მანქანა დაცხრილული იყო. ღია კარიდან გადმობოღბდა ჭაღარა კაცი. მძღოლი მოკლული ჩანდა. უკანა კარიდან გადმოვიდა ვიღაც ახალგაზრდა, აფხაზურად რაღაც დაგვიყვირა. შევცბით, ვიფიქრეთ, ხომ არ შევცდით, აფხაზები ხომ არ არიანო. მან კი ავტომატის ჯერი მოგვიშვა. სასიკვდილოდ დაიჭრა ერთ-ერთი ჩვენგანი. მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა ეს ახალგაზრდა და ჭაღარა კაციც დაცხრილა. როცა მივუახლოვდით, აღარც ერთი ცოცხალი არ იყო. გენო ვიცანით და სასწრაფოდ გადავმალეთ - ოდნავ მოშორებით სილაში ჩავფალით. ვიცოდით, რომ მის გვამში დიდ გამოსასყიდს მივიღებდით. შემდეგ დავბრუნდით ჯართან, რომელიც ნელ-ნელა მოიწევდა კელასურის მიმართულებით. მოვყევით ყველაფერი, ოღონდ გენოს შესახებ არაფერი გვითქვამს. როცა ჯარმა ეს ადგილი გაიარა და მაჭარკის ხიდისკენ წავიდა, ჩვენ ჩამოვრჩით, გენოს გვამი ამოვთხარეთ და საიმედო ადგილას შევინახეთ“. აფხაზთა მონაყოლი ჩემს მაშინდელ ვარაუდს და შთაბეჭდილებას ემთხვევა. გია ყარყარაშვილის დაბრუნებიდან ასე, ნახევარი საათის შემდეგ დაიწყო მაჭარკის ხიდის და მის ირგვლივ მყოფი სახლების დაბომბვა „ჰაუბიცებითა“ და 120-იანი ყუმბარმტყორცნებით ისე პროფესიულად გვბომბავდნენ, რომ შედარებაც კი გამახსენდა - ყბადაღებული „კვადრატნოი გნეზდოვოი სპოსობი“, რითაც ხრუშჩოვი საბჭოთა სოფლის მეურნეობის აყვავებას ჰპირდებოდა ხალხს. მართლაცდა, კვადრატულად, ჭადრაკისებური წყობით ცვიოდა ჭურვები: „იმდენი მაგათ რა ვუთხარი, რაც ესენი აფხაზების არტილერისტები არ იყვნენ“, - ამბობს ვიღაცა ჩემს გვერდით. ჩვენ ბეტონის ხიდის ქვეშ გვაქვს თავი შეფარებული. გამოცდილებით ვიცით, რომ ასე იოლად არ მოგვეშვებიან. სანამ აქაურობას საფუძვლიანად არ დაამუშავებენ, დაბომბვას არ შეწყვეტენ და იერიშსაც არ წამოიწყებენ. „იქნებ შემხვედრი

შეტევა განვახორციელოთ“, - ვეუბნები ყარყარაშვილს. არაფერს მეუბნება, ხიდიდან გამოდის, წინ გარბის. მივყვებით მე, თამაზ-წესრიგა და გიო რურუა. გადარბის მოპირდაპირე მხარეს, სვეტებიან სახლს ეფარება (უწინ, მგონი, პროფკავშირების კლუბი თუ კულტურის სახლი იყო). ჩვენც მივყვებით, თუმცა, ვერ გამიგია, რა უნდა. მისგანვე ვიცი, რომ ზემოთ, ფერდობზე, სწორედ მაგ მხარეს, 150-მდე კაცი ჰყავს გაშვებული. მათი ჩამოყვანა ხომ არ სურს? ცოტა ხანს დორიული ორდერის კოლონასთან აიტუზა, ჭურვის აფეთქებას თავი აარიდა. მერე მომიბრუნდა და მეუბნება: „ახლა მოვიყვან ორას კაცს, იქ, ზემოთ მყავს, საავადმყოფოსთან“. აგაშენა ღმერთმა, - ვფიქრობ - ჩვენც აქ ასამდე მოვგროვდებით. ორი-სამი „ბეემპე“ და ტანკი თუ ვიშოვეთ, მოულოდნელმა თავდასხმამ იქნებ რაიმე შედეგი გამოიღოს. „მიდი, სწრაფად, - ვეუბნები, - აი, გიო წამოგყვება მანქანით“. გიო რურუა ისვამს თავის „05“ -ში და მიქრიან გულრიფშის საავადმყოფო-სანატორიუმისკენ. ჩვენ ვრჩებით ვალერი ქვარაიას ხალხთან ერთად. უცებ გულრიფშის მხრიდან ჩვენკენ მოდის „ბე-ემ-პე“, სვლას ანელებს. ხიდიდან გამოვდივარ. მექანიკოსმა რომ დამინახა, მარჯვნივ, მერხეულის გზისკენ მოუხვია და წავიდა“. „ეი! - ვყვირი. - გააჩერე!“ გარბის. ვიგინები და ბიჭებს ვუბრძანებ, დაეწიონ და მოაბრუნონ. თუ არადა, გადმოაგდონ, თვითონ ჩასხდნენ და წამოიყვანონ. ვიღაცეები გარბიან, მანქანას ეძებენ. დაბომბვა გრძელდება. ისევ გულრიფშიდან მოდის ტანკი. ესეც სვლას ანელებს. ვხედავ, შიგ კორნელი ჩალაძეა. მიხარია - გულადი კაცია. „კორნელი! მეტი ტექნიკა არ არის ქალაქში?“ „ერთი „ბეემპე“ და „შილკა!“ „მიდი, სასწრაფოდ მოიყვანე!“ კორნელი აბრუნებს ტანკს. ბიჭებს ვუშვებ ხიდიდან მარჯვენა ფერდობზე. იქ, ყარყარაშვილის თქმით, მისი მეომრები უნდა იყვნენ შეფენილი. დაბომბვა გრძელდება. გაგზავნილები ბრუნდებიან. იქ არავინაა. ჩალაძის ტანკიც მოგრუხუნებს - ვერც მან იპოვა ვერავინ. გია ყარყარაშვილი იგვიანებს. ჩალაძეს ვთხოვ, გავიდეს რაც შეიძლება ღრმად. როგორც კი ცეცხლს გაუხსნიან, სასწრაფოდ მოტრიალდეს და უკან წამოვიდეს. ვიცოდეთ მაინც, სად არიან. მინდა, დასაზვერად ვინმე გავუშვა, მაგრამ ადგილობრივი აღარავინაა, გზა-კვალი რომ იცოდეს. კორნელიმ გაიყვანა თუ არა ტანკი ტრასაზე, იქვე მოხვდა ყუმბარა. ტანკი დაზიანებულია, ჩალაძემ ძლიერი კონტუზია მიიღო. ზურგიდან მოგვადგა „შილკა“ და „ბე-ემ-პე“. ალბათ ისინია, ჩალაძე რომ

ეძებდა. ეკლესიასთან გაჩერდნენ. „აქ მოიყვანეთ!“ - ვგზავნი ბიჭებს. მათ გამოჩენაზე „ბეემპემაც“ და „შილკამაც“ მთელი სისწრაფით მოუსვეს მერხეულის გზისკენ. ხიდიდან გამოვდივარ. მანქანაში ვჯდები. „დაეწიე!“ - ვუბრძანებ მძღოლს. თამაზ-წესრიგა მეორე მანქანით მომდევს. მივქრივართ. არ ჩანან. ხუთი, შვიდი კილომეტრი, არ შეიძლება, რომ ასე გაესწროთ. სადმე შეეფარნენ, გზიდან გადავიდნენ, თორემ აქამდე გამოჩნდებოდნენ. გავჩხრიკეთ სახლებისკენ გადასასვლელი ერთი-ორი შუკა. არავინაა. ყოველ ორმოცდაათ მეტრში ასეთი შესახვევებია. სად ვეძებოთ, ან ღირს კი უკვე მათი დაბრუნება? განა ახლა ისინი რამეს იზამენ? ვბრუნდებით ხიდთან. იქაც აღარავინაა. ნაღმმტყორცნი კვლავ „კვადრატული“ მეთოდით მუშაობს. შევდივართ ერთ-ერთი მიტოვებული სახლის ეზოში. ვხედავთ, გზაზე, გულრიფშის მხრიდან, მოქრის ჩვენი „05“ - გიო რურუა მარტოა მანქანაში. „როგორაა საქმე?“ - ვეკითხები. „არსად აღარავინ არაა“. „როგორ? გიას ხალხი, ორასი კაცი?“ „რის ორასი? საავადმყოფოსთან რომ მივედით, ხუთი-ექვსი კაცი მწვადებს წვავდა. ხალხი სად არის-მეთქი, ვკითხე. რა ხალხი, სად მყავს ორასი კაცი, ყველაფერი დამთავრებულია. შენც აქ დარჩი და ასე, ტყე-ტყე, კოდორის მარჯვენა ნაპირით, გადავიდეთ სვანეთისკენო“, - ჰყვება გიო. რა ვქნათ... დავრჩით 18-20 მხედრიონელი. ირგვლივ არავინაა. ვალერი ქვარაია აქაურობას არ მიატოვებდა, მაგრამ, მე რომ დამინახა, მერხეულის გზისკენ მიმავალი, იფიქრა, ალბათ მიდისო. თუმცა, არც მის აქ ყოფნას არავითარი აზრი აღარა აქვს. სამოცი გულგატეხილი მეომრით, როცა არსაიდან აღარავინ მოგეშველება, ტექნიკა არა, ტყვია-წამალი - მსროლელზე თითო-თითო და ორ-ორი, „რაჟოკი“... გამარჯვებული ჯარის წინააღმდეგ... ბიჭები შემომცქერიან. „წავედით!“- ვამბობ.

შევუყევით დალის ხეობას. აქაურობაც მისახედია. თუ მერხეულით გადმოვიდნენ, სულ ადვილად დაეწევიან ამ დემორალიზებულ ბრბოს. მხედრიონელი სვანების რაზმი ალბათ სადმე აქვეა, შტაბში. არ ჩანან. შემდეგ წებელდა მოდის. იქ მთელი სოფელი სომხებითაა დასახლებული. მახსოვს, ჯერ კიდევ 1966 წელს, ციხიდან ახალი განთავისუფლებული ვიყავი, წებელდაში წამომიყვანა ჩემმა მეგობარმა ხუტა ნორაკიძემ, გამარიდა ჩემს ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟსა და ქალაქური ცხოვრების ორომტრიალს. ერთ-ერთი პირველი პიესა,

„სტუმარი“ აქ დავწერე. ჰოდა, მაშინ წებელდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ვინმე ბერია. თავმჯდომარის არჩევნები ჩემს იქ ყოფნას დაემთხვა და მან მიამბო, რომ ძლივს აირჩიეს. სოხუმიდან ჩამოსული პარტიის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი რომ არა, ვერც აირჩევდნენ, რადგან მოსახლეობის 70% სომხებია, 20% - ქართველები, დანარჩენი 10% კი აფხაზები, რუსები და ბერძნები ერთად. ათი წლის წინათ (მაშინაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყოფილა) ყველაფერი პირიქით იყო - 70% იყვნენ ქართველები, 20% - სომხები, ყველა დანარჩენი კი - 10%. გავა კიდევ ათი წელი და აქ ერთი ქართველიც არ დარჩებაო. ათიც გავიდა და ოცდაათიც. ახლა ალბათ ქართულად მოლაპარაკეც კი აღარ არის.

წებელდამდე გზა თავისუფალი იყო, მერე კი უამრავი მანქანისა და ხალხის დინებაა. ბინდდება. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ორსართულიანი მდინარე მოჩქეფდეს ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით: ერთი ქვემოთ - ხევით ზღვისკენ, მეორე - ზემოთ, გზაზე, ზღვიდან მთებისკენ. სოფელ ლათასთან ვხვდები ორ ემზარს - კვიციანს და ჩვენს მხედრიონელ ემზარს. მარწმუნებენ, რომ აქ, გვირაბებთან, გამაგრებული არიან და აფხაზები ვერ შემოაღწევენ. ასე რომ, ლტოლვილებს ამის შიში ნუ ექნებათ; ახლა ვიღა გაიგებს, ვინ ლტოლვილია და ვინ უკუქცეული ჯარისკაცი. რაც ტექნიკაა, ყველაფერი აღრიცხეთ, დაიტოვეთ და საბრძოლო მზადყოფნაში გქონდეთ. ემზარი მატყობინებს, რომ გია ვაშაკიძე თავისი ხალხით და ტექნიკით ჭუბერშია. გადმოსვლას აპირებდა. ახლა როგორღა გადმოვა - თითო კილომეტრის გავლას თითო საათს ვუნდებით. ან რა აზრი აქვს? ამ ხალხს ვიღა შემოაბრუნებს? ეს ხომ უკვე პირწავარდნილი ბრბოა და არა ჯარი.

ღამეს ემზართან ვათევთ, სოფელ აჟარაში. დილით გავდივარ, ვათვალიერებ, რა ხდება... ყველა აქ არის: სოხუმის მეექვსე ბატალიონი, მეორე ბატალიონი, მესამე ბატალიონი, ზეიკიძე - თავისი მილიციით, ივანოვი - სამხედრო პოლიციით. ამათ რომ პატრონი ჰყოლოდა... აქვე არიან ქალები, ბავშვები. კატასტროფული მდგომარეობაა. რაც ზემოთ ავდივართ, მით მეტად ცივა. ცუდი ამინდია. გენწისვთან ვხვდები შევარდნაძის დაცვას. მათ „სატელიტი“ მოაქვთ. შეუძლიათ შევარდნაძესთან დამაკავშირონ. გავდივართ მინდორში. გაისმის შევარდნაძის,

ამჯერად პედალირებულად გულისხმიერი, ხმა: „როგორ ხართ, სად ხართ. რაც შეიძლება, მალე წამოდით“. „საჭიროა ვერტმფრენები ვითხოვოთ სომხებისგან, აზერბაიჯანელებისგან, რუსებისგან, თორემ ეს ხალხი აქ ჩაგვიწყდება“, - ვუხსნი მდგომარეობას. „ყველა ზომას ვხმარობთ. ალბათ, რაღაცას გავახერხებთ. ჩქარა წამოდით!“ - მიმეორებს. ხალხი მცნობს და უკან დამდევს: „თქვენი იმედი გვაქვს, ბატონო ჯაბა! თქვენ თუ გვიშველით...“

სოფერ ომარიშარსა და საკენს შორის ვიღაც დალოცვილს რაღაც მაშველი პუნქტივით გაუხსნია. რითაც შეუძლიათ, ეხმარებიან ამ ცხვრებივით მოდენილ ხალხს - ასვენებენ, რაღაც სანოვაგეს ურიგებენ, ჭრილობებს უხვევენ, დაკარგულებს აღრიცხავენ. ამ საქმეს ხელმძღვანელობს ჩვენი „ალიბაბა“. „აბა, შენ იცი, ვიდრე ყველას არ გაისტუმრებ, ფეხი არ მოიცვალო“, - ვეუბნები.

ჭუბერში ვხვდები გია ვაშაკიძეს. დაწვრილებით მიყვება ოჩამჩირის სიტუაციას. თავისი დაგვიანების შესახებ ასეთ მიზეზს ასახელებს: „როცა დავინახე, რომ ოჩამჩირეში ზოგი გამსახურდიას მოღალატურ სვლებსაა აყოლილი, ზოგიც კი პირადი ურთიერთობის გარკვევითაა დაკავებული და არავინ არაფრის გამკეთებელი არ არის, შევეცადე, ჩემი ჯგუფით გამერღვია კოდორის მისადგომები. ახალ კინდღთან ისეთ ძლიერ წინააღმდეგობას წავაწყდი, იძულებული გავხდი, ბიჭები გამომეყვანა, მით უმეტეს, რომ დამხმარე არ ჩანდა. ის კი არა, ვშიშობდი, ზვიადისტებს ზურგში არ დაერტყათ. გადავწყვიტე: ქუთაისი-ლენტეხი-ჭუბერი-დალის ხეობა - ასეთი მარშით სოხუმის ზურგში გამოვსულიყავი. ჰოდა, დამაგვიანდა“.

ნამეტანი უგზოობაა. ჭუბერში ვიძინებ. მეორე დღეს ვერტმფრენით ქუთაისში ჩავდივარ. ახლა ქუთაისი გახდება მთავარი მოქმედი ცენტრი ლტოლვილების გამოსაყვანად. ჯერჯერობით სულ სამი ვერტმფრენი გვაქვს (ერთი დაგვეღუპა გადატვირთვის გამო). შაშიაშვილი - ქალაქის მერი - მარიფათობს, მაგრამ ყველაფერი ამინდსა და ვერტმფრენების სიმრავლეზეა დამოკიდებული.

თბილისში არეულობაა. მოსახლეობა დრტვინავს. ზოგი რას აბრალებს ჩვენს მარცხს, ზოგი - რას. კიდევ კარგი, ჩემი ჯაბუკა წყნეთში ჰყავთ, ასეთი ჭუჭყიანი და გაუპარსავი არ მნახა. სარკეში ვიყურები. იქიდან კარგად დაბერებული უცხო კაცი

შემომცქერის. მახსენდება რიტორიკული გამოთქმა: „ო, როდინა! ნა ჩტო ია სტალ პახოჟ!“ მხოლოდ ახლა აღვიქვამ, რა უბედურება დაგვატყდა. როცა კაცი მძიმე ავადმყოფობიდან გამოჯანსაღებისკენ იქცევს პირს, მხოლოდ მაშინ გრძნობს, თუ რა ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა სულ ახლახან.

შევარდნაძე მეგობრულად მეხვევა. ამაში პირადი გადარჩენის სიხარულიცაა, დამარცხების სინანულიც და რთულ ვითარებასთან თანაზიარობის გამოხატვაც.

პარლამენტში რადიკალური გამოსვლებია. ერთნი მოითხოვენ შევარდნაძის გადადგომას, მეორენი - ანგარიშს, თუ რატომ მოხდა ეს. უმეტესობა დაბნეულია და, საითაც ძალას დაინახავს, იქით დააღირებს თავს. არიან ისეთებიც, ვინც პერსონალურად თანაუგრძნობს შევარდნაძეს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩემთან მოვიდა დელეგაცია: ბიჭიკო რამიშვილი, ბუბა კიკაბიძე, თამაზ ცინცაძე („რიჟა“), გიზო ნიშნიანიძე და სხვები. მთხოვეს, გავმხდარიყავი მათი საზოგადოების - „თბილისელების“ - პრეზიდენტი. მითხრეს, თბილისელები ერთხმად ითხოვენ, რომ მე შევკრა ეს საზოგადოება, რომელიც ფიზიკურად დაიცავს თბილისს და, საერთოდ, საქართველოს, ამ ზვიადისტებისა და პროვინციალების მოძალებისაგან. მე არც უარი ვუთხარი ამ ინიციატივის მოთავეებს და არც ხელიდან გავუშვი ეს აქტივობა. თუმცა, პირადად ჩემი ხელმძღვანელად ყოფნის მოთხოვნას თავი ავარიდე მთელი რიგი მიზეზების გამო (უპირველესი კი ის იყო, რომ მე არ მსურდა პირველკაცობა). ჩემი მიზანია, რაც შეიძლება, სწრაფად დაშოშმინდეს და გაერთიანდეს საქართველო. მერე ჩემს საქმეს - შემოქმედებასაც მივხედავ. რასაკვირველია, არც ისინი მოითხოვდნენ, რომ მე შევარდნაძის ადგილი დამეკავებინა. უბრალოდ, მათ მიაჩნდათ, რომ ამ არეულ სიტუაციას მე უნდა მოვუარო და თბილისელები ჩემი ხელმძღვანელობით ამ საქმის ავანგარდში უნდა იდგნენ. მათ მხედველობიდან გამორჩათ, რომ ასეთი საზოგადოების შექმნა თავისთავად დაუპირისპირდებოდა პარლამენტს, შევარდნაძეს, პოლიტიკურ პარტიებს და, იმის მაგიერ, რომ გამთლიანების პროცესი დაჩქარებულიყო, ახალი დაპირისპირების კერა შეიქმნებოდა. გარდა ამისა, ამ თბილისელებში მე ვერ ვხედავდი ახალგაზრდობას; პირდაპირ უნდა ვთქვა: მათში მერკანტილური მიზნები უფრო ჭარბობდა,

ვიდრე პატრიოტული აღტყინება. თუმცა, 1992 წლის დეკემბერ-იანვრის მოვლენებში ისინი ჩემ გვერდით იდგნენ. ასე იყო თუ ისე, მე დავესწარი მათ პირველ შეკრებას სპორტის სასახლეში. შედეგი, უფრო დიდი შეხვედრა, მომავლისთვის გადაიდო. მერე სოხუმის მოვლენები განვითარდა და, ბუნებრივია, ამისთვის აღარავის ეცალა. ამჯერად კი ეს დელეგაცია, გაფართოებული შემადგენლობით, კვლავ მეწვია, უფრო ეგზალტირებული, აგრესიული და მომთხოვნი. მე შევუთანხმდი მათ, რომ ფილარმონიაში დაენიშნათ შეკრება და, სხვათა შორის, ვუთხარი, შეიძლება იქ შევარდნაძეც მოვიყვანო-მეთქი. ჩემს ამ შეპარვით წინადადებას სხვადასხვა რეაქცია მოჰყვა, თუმცა, მოწინააღმდეგეები საბოლოოდ მაინც დავიყაბულე.

მე და შევარდნაძე ფილარმონიაში დაგვიანებით მივედით. ეს შევარდნაძემ შეგნებულად გააკეთა. ჯერ ერთი, დააზუსტა, ხალხმრავლობა იქნებოდა თუ არა. მეორეც - უნდოდა მოვლენის ცენტრში ყოფილიყო. შეკრება ძლიერ ექსპრესიულ-ემოციური გამოდგა. მას უძღვებოდა პოეტი რეზო ამაშუკელი, რომელმაც დიდი პათოსით მოითხოვა, რომ ზვიად გამსახურდია ერის მოღალატედ გამოგვეცხადებინა, რასაც მოჰყვა მქუხარე ტაში და მოწონების შეძახილები.

დასავლეთ საქართველოში კი გამსახურდიამ თავისი ჩამოსვლით გააააქტიურა არა მხოლოდ შეიარაღებული რაზმები, რომლებიც საბოლოოდ გაერთიანდნენ ლოთი ქობალიას ფორმირებაში, არამედ მოსახლეობის დიდი ნაწილიც. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, იგი მიტინგს მიტინგზე მართავდა, უკანასკნელი სიტყვებით გვაგინებდა და ხალხს მოუწოდებდა დაუმორჩილებლობისკენ, ბრძოლისკენ, „კანონიერი“ ხელისუფლების აღდგენისკენ. ზოგიერთი პარტიების ლიდერები, პოლიტიკური საზოგადოებების ემისრები, პარლამენტარები - ერთნი ფარულად, სხვანი აშკარად, თბილისიდან ზუგდიდს მიემგზავრებოდნენ დავალებების მისაღებად, სამომავლო გეგმების კორექტირებისა და ნიადაგის მოსამზადებლად. თბილისშიც იკრიბებოდა ყველა ჯურის რევანშისტი და მზადდებოდა ხალხმრავალი მიტინგ-შეტევა ზვიადისტების ყაიდაზე. გამოჩნდნენ დივერსიული ჯგუფები. „საქენერგოში“ დაიწყო საეჭვო შეფერხებები დენის მიწოდების პროცესში. ფეთქდებოდა რაიონული სატელეფონო და

ელექტროჯიხურები. ზვიადისტები გამაგრებულნი იყვნენ ზუგდიდში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, ხობში, სენაკში, აბაშაში. 2 ოქტომბერს კი ფოთშიც შეაღწიეს, რაც უკვე იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ ყელში წაგვიჭირეს ხელი. ორი კვირის შემდეგ თბილისში შიმშილი დაიწყებოდა. ფოთიდან ჩვენ არა თუ რაიმე პროდუქტის შემოზიდვის იმედი გვიწყდებოდა, პურის ფქვილიც კი გვითავდებოდა.

პარლამენტის სხდომებზე ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ და შევარდნაძეს მოუწოდებდნენ, გამოეყენებინა მისთვის უხვად მინიჭებული უფლებები. თბილისში დაიწყო განუკითხავი ძარცვა-გლეჯა. შებინდებისას ქალაქი მკვდარი იყო. თუ ვინმე გაბედავდა მანქანით გამოსვლას, მას იქვე აყაჩაღებდნენ. ის კი არადა, თვით მძღოლებმაც დაიწყეს მეპატრონეების „ტექნიკურად“ გაძარცვა - მანქანას გაყიდდნენ, პატრონს კი ეუბნებოდნენ, დამაყაჩაღესო. შევარდნაძე დაბნეული და უმოქმედო ჩანდა, ცდილობდა, პარლამენტარები დაერწმუნებინა, რომ მას ბუნებით არ შეუძლია მკაცრი ზომების მიღება. სხვათა შორის, ეს ჩემთვისაც ბევრჯერ უთქვამს: „ძნელია ადამიანის დასჯა, სამსახურიდან მოხსნა. ეს ჩემს ხასიათში არ არის“. როცა დელიკატურად შევახსენებდი მის კომუნისტურ ჟამთა მოღვაწეობას, ნაღვლიანი ღიმილით ჩაილაპარაკებდა: „მაშინ სხვა დრო იყო... - და უცებ, თითქოს გამოფხიზლდაო, რა ვიცი, იქნებ დავბერდიო“, - დააყოლებდა.

მე კი მიტევდნენ ყოველი მხრიდან, მიკიჟინებდნენ, რაიმე მეღონა. ბოლოს მოვიდა ჯგუფი პარლამენტიდან გიგა ლორთქიფანიძის თაოსნობით. განმიცხადეს, რომ შევარდნაძეს უკვე შეუთანხმდნენ და მე უნდა ამეღო ძალაუფლება. მე დავთანხმდი მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს იქნებოდა დროებით და ფორმალურად, მაინც შევარდნაძის თაოსნობით. ვიწრო წრეში შევარდნაძესთან კი მივიღეთ გადაწყვეტილება: ჩამოყალიბდეს საგანგებო კომიტეტი ფართო ძალაუფლებით, ჩემი თავმჯდომარეობითა და სახელმწიფო მეთაურის ეგიდის ქვეშ. შევარდნაძის აზრით, ამ კომიტეტს დელეგირების სახით უნდა გადასცემოდა ის უფლებამოსილებანი, რაც გააჩნდა აწ გაუქმებულ უშიშროების საბჭოს. შემდეგ ჩვენ ორნი დავრჩით. შევარდნაძე - დათრგუნვილი და მაინც გადარაჯებული, მე - ოდნავ უხერხულ მდგომარეობაში მყოფი და მოწადინებული, რაც შეიძლება, გულწრფელი, ურთიერთნდობის განწყობის შესაქმნელად. სამწუხაროდ, მისი პირველივე ფრაზა

ეჭვიანობის ელფერით აღსავსე გამოდგა: „აიღეთ მთელი ძალაუფლება“, - დაბალი და გამომცდელი ხმით მითხრა. სინანულით გამეღიმა: „ნუთუ კიდევ ვერ გაიგეთ, რომ ეს არ მოხდება“, და აღარ დაველოდე ურთიერთმტკიცებებს, რაც, ჩემი ფიცხი ხასიათის გამო, არასასურველ ატმოსფეროს შექმნიდა. საქმეზე გადავედი. „ყველა ნაბიჯს თქვენ შეგითანხმებთ. მე ვთხოულობ მხოლოდ ინიციატივის უფლებას“. დღემდე ვერ გამიგია, მცდიდა თუ მართლა წასვლისკენ ეჭირა თვალი. მაშინ საქმისთვის ეს სულ ერთი იყო. მოსახდენი მოხდა. ახლა სასწრაფოდ უნდა დაგვეწყო მოქმედება. კომიტეტის შემადგენლობისთვის, რასაკვირველია, გამოვრიცხე საბჭოური ნომენკლატურული მოდელი. წევრებად შევიყვანე: გია ჭანტურია, გოგა ხაინდრავა, გია ჟორჟოლიანი, მთავრობის სახლთან დახეიბრებული ინტელექტუალი, ყოფილი გვარდიელი კახა გველესიანი, დავით მაღრაძე. ძალოვანი სტრუქტურების მინისტრები: გია ყარყარაშვილი, ავთანდილ იოსელიანი (შინაგან საქმეთა მინისტრი ნომინალურად თვით შევარდნაძე იყო), ირაკლი ბათიაშვილი, შევარდნაძის აპარატის ხელმძღვანელი ვაჟა ლორთქიფანიძე. თბილისში გამოვაცხადეთ კომენდანტის საათი. კომენდანტად დავნიშნე ზაზა ჩაჩუა. შევკრიბე საქართველოს მხედრიონი (იმ მეომრების გარდა, რომლებიც სამტრედიაში და ფოთის მისადგომებთან იყვნენ განლაგებული). ფილარმონიაში ჩატარდა იგივე თბილისელების მიტინგი, სადაც მგზნებარე პატრიოტული სიტყვებით გამოდიოდნენ პოეტები, მსახიობები. მოწოდებები მოღალატეთა დასჯისა და განკიცხვის შესახებ სულ ტაშის გრიალში იძირებოდა. მიტინგის მეორე დღეს კი ზვიადისტებმა აიღეს ხონი და სამტრედიასაც შეუტიეს. დილით ადრე მოვდივარ „იმელში“. ჩემს დერეფანში ვხედავ თბილისელი აქტივისტების შეშფოთებულ ჯგუფს გიზო ნიშნიანიძის თავკაცობით. მივესალმე. შემომეხვივნენ. გიზო აღელვებული მეუბნება: „ბატონო ჯაბა, ზვიადისტებმა ხონი აიღეს, ხომ?“ „კი“, - ვუდასტურებ რაც შეიძლება მშვიდად. „ჩვენ გადავწყვიტეთ ასეთი რამ, თქვენი თანხმობა გვინდა“. „რა?“ - ვეკითხები, რატომღაც კურიოზის მომლოდინე. „თბილისში შევკრიბოთ ყველა ზვიადისტი, გავიძღვანიოთ წინ, - ამბობს იგი დიდი პათოსით და შეკრული მუშტით, - გავიძღვანიოთ წინ და ... დავიწყოთ მოლაპარაკება ზვიად გამსახურდიასთან“. განვაგრძობ გზას. თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ გადავიხარხარო.

ეს ის ხალხია, გუშინ რომ გაჰკიოდნენ, „მოღალატე უნდა დაისაჯოსო“.

ყოველ საღამოს იკრიბება საგანგებო კომიტეტი. ჩვენთანაა კოტე გაბაშვილიც, ქალაქის მერი, უპირველესად, მისახედია თბილისი, ფოთი და სამტრედია. ზაზა ჩაჩუამ დაიწყო მოქმედება - ზვიადისტების რამდენიმე ბუდეში პროფილაქტიკური ღონისძიება ჩაატარა. ქუჩაში პატრული გამოჩნდა. ზეიკიძეს ვერაფრით ვერ ვიყაბულებ, რომ ქალაქში შემოვიღოთ მოსახლეობის მორიგეობა, როგორც ეს გავაკეთეთ ოჩამჩირეში. გერმანელებთან ომის დროსაც ასე იყო თბილისში - ყველა სახლის კართან და სადარბაზოსთან შებინდებიდან დილამდე მორიგეობდნენ მცხოვრებლები. ეს ძნელი არ იყო - თითო ოჯახს თვეში ერთხელ ან ორჯერ უწევდა ღამის გატეხვა. სამაგიეროდ, მთელი უბნები შეკრულები იყვნენ, უყურადღებოდ ვერავინ გაიჭაჭანებდა. ქურდობა-ყაჩაღობა მინიმუმამდე დავიდა. ვინმე თავზე ხელაღებული თუ რაღაცას ჩაიდენდა, იმასაც აუცილებლად მილიცია გაიგებდა - ვიღაცა დაინახავდა, ვიღაცა ხელს შეუშლიდა, ვიღაცა იცნობდა.

ზეიკიძე, სოხუმიდან რომ ჩამოვიდა, პირველ დღეებში ჩემ მიმართ პირმოთნეობით იყო დაკავებული: „ჩვენი გიორგი სააკაძე ხარ“, - მეუბნებოდა (საქართველოს ისტორიის მისი ცოდნა ამით შემოიფარგლებოდა - ფილმი ჰქონდა ნანახი). ერთხელ დამირეკა და მეუბნება: „ბატონო ჯაბა, 360 გრადუსით შემოვბრუნდი, 360-ით!“ „ისევ იქ ყოფილხარ-მეთქი“, ვუთხარი და ყურმილი დავუკიდე.

მიხარია, რომ ბიჭები აქტიურობენ. გია ჭანტურია კისრულობს ედპ-ს ორასკაციანი რაზმის შეკრებას და დასავლეთ საქართველოში გაგზავნას, ოღონდ იარაღს თხოულობს. დათო მაღრაძე ინტელიგენციაში ფულს აგროვებს იარაღისა და სხვა დანიშნულებისთვის. ვიბარებ გამგებლებს და ვთხოვ, შეაგროვონ შემოწირულობანი კომიტეტის ფონდისთვის. გია ჟორჟოლიანი თეორიულ საბუთებს ამზადებს. ერთი ყარყარაშვილი და ბათიაშვილი ვერ არიან მონდომებულები. ყარყარაშვილი თავს იფასებს, ერთი-ორჯერ დაესწრო ჩვენს შეკრებას და მერე მოადგილეებს გზავნის - მინისტრობს. ბათიაშვილი უხერხულად გრძნობს თავს. ძალაუფლებაში ჩემს ოფიციალურად დაბრუნებას არ მოელოდა. არადა, რა არის ეს ცხოვრება. შვილივით მიყვარდა, დღედაღამ მაგათ სახლში

ვიყავი, ჩემს მეგობარ მედეა კუჭუხიძესთან - დეიდამისთან. რაღაც მამობრივი ამაგიც მაქვს გაწეული. მისი პროტესტანტული მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში არცთუ პატარა ღვაწლი მიმიძღვის. კომიტეტის თავმჯდომარედაც უჩემოდ არ დაუნიშნავთ. და აი, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ზურგში დანა არ ჩამცხო?! ცალკე გამყავს და, იმის მაგიერ, რომ რაღაცნაირად ბოდიში მოიხადოს, ისევ მე ვთხოვ ყველაფრის დავიწყებას და შერიგებას. ახალგაზრდა კაცია. ოდესმე მიხვდება, რომ არც კაცურად, არც პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სწორად არ მოიქცა.

სამტრედიაში კაკო ვაშაკიძე მხნედ არის. მპირდება, რომ სასწრაფოდ დაიბრუნებენ ხონს. ქუთაისში ჩასულია თენგიზ კიტოვანი, რა მისიით და გეგმებით, გაურკვეველია. ვურეკავ შაშიაშვილს, ქუთაისის მერს. „ჩვენ აქ ძალიან გვეხმარება ბატონი თენგიზი“, - მეუბნება. საღამოს ისევ ვრეკავ სამტრედიაში. ველაპარაკები კაკო ვაშაკიძეს. მერე აჩიკო მიშველაძის - მწერალ რეზო მიშველაძის შვილის ხმა ისმის ყურმილში. „სადა ხარ, ბიჭო, მამაშენი გეძებს. ახლავე წამოდი თბილისში“. „ჰო, ჰო, ძია ჯაბა, - მეუბნება, - ხვალ დილითვე წამოვალ!“ გამეხარდა, მეგონა, სოხუმში დავკარგე. თბილი, ვაჟკაცი ბიჭია. ყველაფერი ერთიმეორეზე როგორ წაეწყობა ხოლმე. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, - ყურმილს ვკიდებ და ათი წუთის შემდეგ მოდის მიშველაძე: „რეზო! აჩიკო გამოჩნდა. ათი წუთის წინ ველაპარაკე. სამტრედიაშია. ხვალ წამოვა.“ რეზო მეხვევა და კმაყოფილი მიდის. აჩიკო კი, აცხონოს ღმერთმა, ჩემთან ლაპარაკის მერე, ნახევარ საათში, ხონზე იერიშის დროს დაიღუპა.

გია ჭანტურია აპირებს, თავისი პარტიის ბიჭები ხონში წაიყვანოს. თვითონ, მგონი, იქაურია. ვაძლევ ას ახალთახალ ავტომატს თავისი ტყვია-წამლით. მე ქუთაისში მივდივარ. მინდა, იქიდან გავიდე გურიაში, ფოთის მისადგომებთან. თუ ფოთი სასწრაფოდ არ დავიბრუნეთ, დავიღუპებით.

თენგიზ კიტოვანი შაშიაშვილის კაბინეტში ზის, გვარდიის აღდგენას თხოულობს. შევარდნაძე ეთანხმება და დასავლეთის თუ აღმოსავლეთის რაღაც მითიურ თანამდებობაზე ნიშნავს. ვანში გადატრიალების მაგვარი გაურკვეველი რამ ხდება. ერთი და იგივე პიროვნებები, ვანის მილიციასთან ერთად, ხან ჩვენი სახელით მოქმედებენ, ხან - ზვიადისტების. გურიის

მხედრიონი აჩიკო ხოფერიას მეთაურობით ხონშია. სჯობს ისინი აქეთ, ფოთისკენ გადმოვისროლოთ, თანაც, გურიას მოუვლიან. ვუკავშირდები ოზურგეთის გამგებელ გია გოგიბერიძეს. აფორიაქებულია, ქობალიას ხალხი ფოთიდან გვიტევსო. იმავე დღეს ჩავდივარ ოზურგეთში. მოსახლეობა პანიკაშია, გამგეობასაც კი არ ეკარებიან. ვაზუსტებ, რა მდგომარეობაა - საშიში არაფერია. ორას კაცამდე შეიარაღებული ჰყავთ. ტყვიამფრქვევებიც აქვთ. ფოთიდან შემოსასვლელი ვიწრო ყელია, აქეთ-იქიდან მოხერხებული მთები და გორაკები არტყია. ათ-თხუთმეტ კაცს შეუძლია, ერთი პოლკი შეაჩეროს. ვალაგებ რაზმებად. ვუბრძანებ, გორაკებზე პოზიციები დაიკავონ. საგანგაშო არაფერია. „ჰო, - მეთანხმებიან. - აქ მთელ ჯარს შევაჩერებთ, მაგრამ ტექნიკა არა გვაქვს. ზვიადისტებს კი ტანკები ჰყავთ. აქ ახლო, რამდენიმე კილომეტრზე, რუსების ორი ტანკი დგას, აჭარაში განლაგებულ ნაწილებს ეკუთვნის. აი, ეგენი რომ დაგვეხმარონ“... „წადით, - ვეუბნები, - მოელაპარაკეთ. ფულისთვის ყველაფერს იკისრებენ“. „უკვე ვიყავით, ფულსაც შევპირდით და პატივისცემასაც. მაგათი უფროსი, ვინმე ჯიმი ამბობს, ასლან აბაშიძემ მიბრძანოს და შევასრულებო“. „კარგი, ასლანს მე დავურეკავ“. ოზურგეთის „კაგებეს“ „ვეჩე“ ჰქონია. ვბრუნდები და ვუკავშირდები ასლანს. „გავიგებ, ვინ და რა არის. თხუთმეტ წუთში დამირეკეთ“, მპასუხობს ასლანი. თხუთმეტი წუთის შემდეგ ოზურგეთში ყველა ტელეფონი ითიშება, მათ შორის - „ვეჩეც“. ბიჭებს ვაიმედებ, ხონიდან დასახმარებლად გამოვუშვებ გურიის მხედრიონს.

ღამით მივდივარ სამტრედიაში, ვიძინებ ზოროსთან, დიდ ჯიხაიშში. დილით კი ხონში, პოზიციებზე მივდივარ.

აჩიკოს საქმე კარგადა აქვს დაყენებული. ქალაქშიც ურიგო სახელით არ სარგებლობს. ერთი ეგ არის, როგორც ყველა გურულს, პოლიტიკა უყვარს. აქვე, ხონში, რუსების ყოფილი ყაზარმები და სამხედრო ბანაკია. ახლა აქ იკრიბება გვარდიის თუ ჯარის ნაწილი და მათი ბიჭები ზვიადისტებთან მოლაპარაკებაზე ხიდგაღმა გადიან. ხონში რაღაც მიტინგის ჩატარება უნდათ. აჩიკოს მკაცრად ვუკრძალავ, ასეთ გადასვლა-გადმოსვლებში მონაწილეობა არ მიიღოს და ვუბრძანებ, სამხედროები ხიდზე, არც იქით და არც აქეთ, არ გადმოუშვას. ზვიადისტებმა ეგ ფანდი უკვე რამდენჯერმე გამოიყენეს. ხობში, სენაკში - შევრიგდეთ, მარიამობაო და,

როცა ელგუჯა ბუცხრიკიძის მეომრები გულუბრყვილოდ დათანხმდნენ - ქართველები ვართ, საჩხუბარი რა გვაქვსო, - ისინი შემოვიდნენ, ყველა განაიარაღეს და გამორეკეს სენაკიდან, ზოგიც ტყვედ დაიტოვეს.

აჩიკო ხოფერია მამასთან ერთადაა. ახლა ეს ერთი ვაჟი დარჩა ოჯახს. ჯამბული - მხედრიონის ერთ-ერთი სანაქებო ვაჟკაცი - ლაშკანდერის მთაზე დაიღუპა ტყვარჩელის ოპერაციის დროს. აჩიკოს ვთავაზობ, გადავიდეს გურიაში, ჯაპანის მიდამოებში - სუფსის გადასახვევს მიხედავს და ოზურგეთელებსაც დაეხმარება. სიამოვნებით მთანხმდება.

გავდივარ ყაზარმებში. მიმდინარეობს სამხედრო ნაწილის ფორმირება. მხვდებიან ოჩამჩირეში, კერძოდ, მერკულაში ნაბრძოლი ბიჭები. დიმას მოადგილეც აქ არის - საზრიანი ქუთაისელი ახალგაზრდა. ჯერ დამტკიცებული არ არის, მაგრამ, სავარაუდოდ, ის იქნება უფროსი. ვაფრთხილებ, ჯარისკაცები ყაზარმიდან არ გაუშვას ქალაქში და, მით უმეტეს, ხიდის იქით.

სამტრედიაში მყარი მდგომარეობაა. აქ სიტუაციას აკონტროლებენ კაკო და დათო ვაშაკიძეები, აგრეთვე, შინაგანი ჯარის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბაჩუკი ბაზიერაშვილი. აქვეა პოლიციის ერთი ნაწილიც თბილისიდან. ხონში ჩადის გია ჭანტურია თავისი ხალხით. გადაიბარეს პოზიციები. მხედრიონი სამარქაფოდ დიდ ჯიხაიშში გადმომყავს. გია ჭანტურია, როგორც მას სჩვევია, მთელი ენერგიით შეუდგა, ასე ვთქვათ, კომისრის მოვალეობის შესრულებას. იგი ხომ საგანგებო კომიტეტის წევრია. ქალაქში დაიწყო ზვიადისტებისა და „მეხუთე კოლონის“ აღმოჩენისა და ძიების პროცესი. როგორც მითხრეს, ცოტა ზედმეტად გაერთო ამ ამბით. ჩავდივარ ხონში. ქალაქის გამგეობაში დაუდიათ ბინა. ბიჭები რეჟიმში არიან. ყარაულები, პატრულები, საეჭვო პირების აყვანა. დაკითხვებს თვით გია აწარმოებს. დაშინების მიზნით ფეხებში სროლა და დაჭრაც ყოფილა. კაბინეტში ხალხმრავლობაა. დიდი ხნის შეღამებულია. ელექტრონის მკრთალ შუქზე გიას სახე არ ჩანს, სამაგიეროდ მისი ზორბა ტანი მეტყველად მოძრაობს. ეგზალტირებულია. ეტყობა, ვიღაც ჰყავდა დაკითხვაზე და აღშფოთებულია იმით, თუ ეს ზვიადისტები რა გაიძვერა და ძირნაყარი ხალხია. აქვეა რუსლან მიქაბერიძე. როგორც მეჩვენება, გიას მაგივრად ცოტა უხერხულ

მდგომარეობაშია. არაფერს ვეუბნები. ან რა უნდა ვუთხრა, კაცი მთელი გულითა და სულით არის ჩართული. თუ სადმე გადააჭარბებს, სულ მალე თვითონ მიხვდება. ასეთ საქმეში, თეატრის მსახიობისა არ იყოს, სჯობს გადააჭარბო, ვიდრე დააკლო. ვთანხმდებით, რომ ედპ-ს ბიჭებს მხედრიონელები ორ დღეში შეცვლიან პოზიციებზე. „ორი დღეა არ უძინიათ“, - მოაქვს არგუმენტი. არ ვპასუხობ. გუნებაში კი ვფიქრობ, მაშ, ჩვენმა ბიჭებმა რაღა თქვან - წელიწადზე მეტია, არ დაუსვენიათ.

დიდ ჯიხაიშში ვათვალიერებ მხედრიონელების ადგილსამყოფელს. ჩვენი რიგები ახალი ხალხით შეივსო. სიფრთხილეა საჭირო. უნდა ვიცოდეთ, ვინ არიან. უწინ ახალბედაზე ორი კაცი აგებდა პასუხს. შემდეგ, დრო რომ გაივლიდა, ფიცს ვაწერინებდით. და უკვე მერე, როცა დაიმსახურებდა, მხედრიონელის სახელს ვანიჭებდით - სადღესასწაულო ვითარებაში გადავცემდით მედალიონს. ახლა ხალხი გვაკლია. 700 კაცზე მეტი დაგვეღუპა, ორი ამდენი კი დაჭრილია. ასე რომ, ყველაფერი ეს - გამოსაცდელი პერიოდიც და პასუხისმგებლობის ფორმაც - გაუბრალოვდა. კარგი ბიჭია, ნაბრძოლია, - იტყვის ვიღაც. სხვებიც ეთანხმებიან. არადა, რა ვქნათ, დრო აღარ ითმენს.

მახსოვს, თავიდან, 1988 წელს, როცა მხედრიონს ვაყალიბებდი, სხვა კრიტერიუმები მქონდა - სასურველი არ იყო ყოფილი აქტიური კომკავშირელი, მილიციისა და უშიშროების თანამშრომელი. მაგათ ისევ ცხოვრებაარეული, ნატანჯი ბიჭები მერჩია, დისიდენტები ან მოდისიდენტო ნაციხარი ადამიანები, ვისაც კომუნისტები და ჩეკისტები ეჯავრებოდათ. მერე, როცა მხედრიონი მასობრივ ორგანიზაციად იქცა, უკვე რეკომენდაციებიც საკმარისი იყო. ერთხელ ერთ ჩვენს აქტიურ და უკვე ავტორიტეტმოხვეჭილ წევრზე საჩივარი შემოვიდა. როცა მომჩივანს შევხვდი, მითხრა, ეგ თქვენი ავტორიტეტი საბჭოთა შინაგან ჯარშია ნამსახურებიო. გამეცინა. „კაცო, - ვუთხარი“, - სად ვეძებო ხუთი ათასი წმინდა წყლის დისიდენტი“. გავიდა ხანი და, რა გინდა, ის კაცი მართალი გამოდგა. ეს ჩვენი ავტორიტეტი „კაგებეს“ აგენტი აღმოჩნდა. ახლა კი... რაღა დროს დისიდენტებია, თუ ძებნილი ან ყოფილი რაიკომის მდივანი არ არის, ყველას ვიღებთ.

ქუთაისში შაშიაშვილი რაღაც სახალხო ლაშქრის შექმნას

ცდილობს. მეუბნება, ზვიადისტები მირეკავენ, ჩემი გადაბირება სურთო. აი, სად არის ნამდვილი კომკავშირული შემართება - დღეში ხუთ სხდომას ატარებს და სულ ტელევიზორში აჩვენებენ - მიუქარავს შევარდნაძეს. ხალხმა მერი ლიკლიკაძე შეარქვა.

თბილისში პარლამენტს მიუღია ოფიციალური გადაწყვეტილება საქართველოს „ესენგეში“ (დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) შესვლის შესახებ. ხონიდან რეკავს გია ჭანტურია და მეუბნება, რომ თავის ხალხთან ერთად პროტესტის ნიშნად ტოვებს ხონს. „ჩამოდი და გადაიბარეთ პოზიციები“. „გია, რა ბავშვობაა, ეს არასერიოზულობაა“, - მინდა, გადავაფიქრებინო. „არა, არა! ჩამოდი, ჯაბა, ჩამოდი“. რა გაეწყობა. ღამეა. ქუთაისიდან მივდივართ ხონში. ყველა უკვე გამგეობასთან შეკრებილა. პოზიციები მიტოვებულია. ეზოში მხვდებიან ყოფილი მხედრიონელები, რომლებიც მერე ედპ-ში გადავიდნენ. თავს დამნაშავედ გრძნობენ: „რა ვქნათ, გიამ ასე გადაწყვიტა“. ამასვე ამბობს რუსლან მიქაბერიძეც. გია კაბინეტში მელოდება. „არავითარ შემთხვევაში. იმისთვის ვიბრძოდით, რომ ისევ იმპერიაში შევყოთ თავი?“ - ამბობს პათოსით და თავის ხაბაკს აგროვებს. „ხვალ დილამდე მაინც დაგეცადათ. მოფარღალალავებულ პოზიციებს როგორ ტოვებთ?“ „არა, არა“. - ჯიუტი ბავშვივით გაიძახის იგი.

გიგა გელაშვილს ვგზავნი დიდ ჯიხაიშში ასი კაცის წამოსაყვანად. მე კი გავრბივარ ყაზარმებში, ჯარისკაცებთან. პოზიციები აღვადგინეთ. კიდევ კარგი, რევანშისტებმა არ გაიგეს, თორემ დიდი უბედურება დაგვატყდებოდა. „მაგათ უნდათ, ყველაფერი სხვისი ხელით გააკეთონ. მიზეზი ნახეს“, - ამბობენ უკმაყოფილო ჩვენი მეომრები.

საგანგებო კომიტეტიდან პროტესტის ნიშნად გამოდიან ირაკლი ბათიაშვილი, გოგა ხაინდრავა. ბათიაშვილი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეობიდანაც გადადგა. ასევე გადადგა ირინა სარიშვილი ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან. ვურეკავ, ვეკითხები: „რა არის ეს, რა ბავშვობაა? ნუთუ არ გესმით, რომ საქართველოს ბედი ბეწვზე ჰკიდია? რუსები უკვე გამსახურდიას ეხმარებიან. „ესენგეში“ გაწევრიანებაზე იგი ჯერ კიდევ ბუნკერში ყოფნისას დათანხმდა“. „რა ვუყო, არ მიჯერებს, იქნებ თქვენ გააგებინოთ

რამე“, - მპასუხობს იგი.

ჩემს სასტუმრო ოთახში მაყურებლების როლში არიან იგორ გიორგაძე და თემურ ხაჩიშვილი. ვიცი, რომ კარგი ურთიერთობა აქვთ რეუტთან - რუსთა სარდალთან. ვეუბნები: „კი მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ამ რუსებმა რა გააწყალეს გული, რა უნდათ, გაგვაგებინონ“. „შევარდნაძის არ სჯერათ, არა,“ - ორაზროვნად იღიმება გიორგაძე. „ხომ შევედით ამ „ესენგეში“, კიდევ რა ჯანდაბა ვქნათ, რას გვიბუნტებენ ამ ხალხს. აფხაზეთი წაგვართვეს! ახლა ისევ გამსახურდია გამოიყვანეს არენაზე“.

შევარდნაძე ამ გადადგომებით მაინცდამაინც შეწუხებული არ არის. ის კი არა, ყარყარაშვილიც რომ მიჰყოლოდა მათ, კიდევ უკეთესი იქნებოდა. ასე უნდა ფიქრობდეს, ვინაიდან მეუბნება: „ყარყარაშვილი რაღაც საშინლად გამოსულა ტელევიზიით. ჩემი ცოლი ასეთ ამბებში საერთოდ არ ერევა, მაგრამ ახლა ვეღარ მოუთმენია და გოგელიასათვის დაურეკავს“... ირინას და ჩემს სატელეფონო საუბარზე გადამაქვს სიტყვა. „ჰო, მეც მელაპარაკა. პირდაპირ ტიროდა ქალი“... მე ხმამაღლა ვიწყებ ფიქრს: „რა ვქნათ, ზვიადისტები მოდებული არიან ყველგან. ფოთი თუ არ დავიბრუნეთ, აქაც ყველაფერი აირევა“... „საიდანღაც გონების თვალით ვხედავ ერთ-ერთ სატელევიზიო კადრს. ზვიადისტების მეჩხერი მიტინგი, ვიღაც ხეიბარი თავდაყირა დგება, ხელებზე ხტის და გაჰყვირის: „ზვი-ა-დი, ზვი-ა-დი!“ თავს ვერ ვიკავებ, ვიცინი და ვეუბნები: ისღა დაგვრჩა, წარმოიდგინეთ, ერთ მშვენიერ დღეს მოდიხართ სამსახურში, მე ქუჩაში თავდაყირა გხვდებით და გავყვირი: „ზვი-ა-დი, ზვი-ა-დი!“ მგონი, ვერ გაიგო. ყოველ შემთხვევაში, მე უფრო მეტს ვიცინი.

ჩვენს სატკივარს ვუბრუნდებით. „იარაღი არა გვაქვს. ტექნიკა, სანამ ჩვენ სოხუმში ვიყავით, ოჩამჩირეში, ზოგი ძალით და ზოგიც ნებით, ქობალიამ ჩაიგდო ხელში. რუსებმა თუ არაფერი მოგვცეს, მთლიანად ჩვენს ნაწილებში 13-14 ერთეულზე მეტი ვერ შეგროვდება. მათ კი 30-40 ტანკი „ბეემპე“ და „ბეტეერები“ აქვთ. რით გინდა შეუტიო“. აქ უკვე ვწყვეტ ხმამაღლა ფიქრს და ჩემთვის ვაგრძელებ: აი, რა ქნა წალენჯიხის დაუმთავრებელმა საქმემ, მიშვებულობამ, პოპულიზმმა და პარლამენტში პარტიებთან თამაშმა. „რა ვუყოთ უშიშროებას, ვინ დავნიშნოთ ბათიაშვილის მაგივრად? უკვე შინაგან

საქმეთა მინისტრიც საჭიროა. მე ვეღარ ვიცლი. ავთო იოსელიანი?“ - მეკითხება გულახდილად. ამაზე მეც კარგა ხანია ვფიქრობ, მაგრამ საბოლოოდ ვერ გადავწყვიტე. შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში ავთოს ძვლებს არ დატოვებენ, შეჭამენ. თვითონაც მაინცდამაინც თავს არ იკლავს. პროფესიით მემკვიდრეობით რკინიგზელია და ჩემთვის რამდენჯერ უთხოვია, რკინიგზაში გამიშვითო. მე ისევ შოთა კვირაიას კანდიდატურას ვუბრუნდები. ერთხელ უკვე ვურჩიე და ახლოს არ გაიკარა. ახლა არაფერს მპასუხობს. მე არგუმენტები მომაქვს. „პროფესიონალია. რაც არ უნდა იყოს, დოკუმენტების გაფორმება იცის, - ვიღიმები, - განზოგადების უნარი აქვს“... „ჰო, მაგის ფანტაზიებით იყო, სოხუმიდან გამოფრენისას კინაღამ რომ ჩამომაგდეს“,- მაწყვეტინებს. მერე ცხვირს ისრესს და დასძენს: „ვნახოთ... ხომ იცით, ასე იოლად ვერ ვიღებ გადაწყვეტილებას“. შემდეგ ჩვენი ბჭობა კვლავ უშიშროებას ეხება. ვიდრე შევარდნაძესთან ამოვიდოდი, კიბეზე იგორ გიორგაძე შემხვდა. ვთხოვე, რეუტთან მისულიყო. „ჩვენთვის გამოყოფილი საბჭოთა კავშირის წილიდან ჯერ კიდევ ბევრი რამ გვეკუთვნის. რას გვიწელავენ! ტანკები მაინც მოგვცენ „ტ-72“, რაღაც ჩამოწერილ, ჩაპაევის ნაქონ დანგრეულ ნაგავს რომ გვტენიან“. ამას ვუყვები შევარდნაძეს. თან განვაგრძობ ხმამაღლა ფიქრს: „გიორგაძე რომ დაგვესვა უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ? ძველი ჩეკისტია. ერთ დროს ისიც მომდიოდა თავში, თავდაცვის მინისტრად აგვეყვანა. რაღაც სპეცსასწავლებლები, აკადემიები აქვს დამთავრებული, ტრადიციულ სამხედრო ოჯახშია გაზრდილი, რუსეთის „კაგებეს“ი 18-20 წელს იმსახურა. ახალგაზრდაა“. „მაგისი ვერ გავიგე, - ამბობს შევარდნაძე, - სულ ხელიდან მისხლტება. კუდში მოვკიდებ ხელს - თავიდან მიძვრება, თავში - კუდიდან“. ვერაფრით ვახდენ რეაგირებას. ეს გამონათქვამი რუსული კაზმულსიტყვაობის კალკაა. ალბათ, მოსკოვში, საგარეო საქმეთა სამინისტროში აითვისა, მაგრამ ამ შემთხვევაში რა გამოჭერაზეა ლაპარაკი, არ მესმის.

სიტყვა ეხება ზვიადის ფაქტორს. „მეცოდება“,- ამბობს ისეთი ზიზღით, რომ ამას შეცოდებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. „კი მაგრამ, - მაინტერესებს, - ის ხომ თქვენი აგენტი იყო?“ უარყოფს და მისახელებს ვიღაც მოსკოველი რუსი ჩეკისტის გვარს, რომელმაც მოაწყო გამსახურდიას ტელევიზიით

გამოსვლა-მონანიება. „თქვენ არ შეარჩიეთ გივი გუმბარიძე ცეკას მდივნად? მან ხომ დიდად შეუწყო ხელი გამსახურდიას პოპულარიზაციას. განა ის თქვენს დაუკითხავად მოქმედებდა?“ „პირველ ხანებში არა, მაგრამ მერე, სულ მალე, გორბაჩოვთან ჰქონდა პირდაპირი კავშირი. მე აღარც კი მირეკავდა“. რუსეთთან ურთიერთობაზე ჩამოვაგდე სიტყვა. შერბილებული სახით და ზოგადად ვაწვდი იმ აზრს, რომ საზოგადოებაში და ხალხში ვრცელდება შეხედულება, თითქოს შევარდნაძე რუსეთისთვის არის „პერსონა ნონ გრატა“ და ამიტომ ყველა უბედურება თავს ატყდება საქართველოს. უცებ ფეთქდება: „თუ ასეა, წავალ, გადავდგები“. „არა, კი არ უნდა გადადგეთ, პირიქით, საჭიროა, ელცინმა ან ვინმე გავლენიანმა კაცმა რუსეთის მთავრობიდან, ოფიციალური ან ნახევრად ოფიციალური განცხადება გააკეთოს ამის შესახებ“. „არ დამაღებინონ პირი, საქვეყნოდ არ მალაპარაკონ“, - რუსები ჰყავს მხედველობაში. მის გულმოსულობაში რაღაც სასოწარკვეთილი ნოტი ჟღერს. მეორე დღეს მირეკავს. „გცალიათ?“ „ჩამოვალ“, - ვპასუხობ, თუმცა, ასასვლელი ვარ და არა ჩასასვლელი. ეს წინათ იყო, არჩევნებამდე, როცა იგი მეორე სართულზე იჯდა. ახლა მეოთხეზეა, ჩემს თავზე, მაგრამ, მიჩვეული, ხშირად ვპასუხობ „ჩამოვალ“. „გადავწყვიტე, გიორგაძე გავუშვათ უშიშროებაში. რუსებმაც დამირეკეს, კარგი იქნებოდა, ურთიერთობა გაგვიადვილდებოდაო. კვირაიას ამ დღეებში დავნიშნავ და პარლამენტზე გავიტან, უშიშროებაში კი გიორგაძე კოლექტივს თქვენ წარუდგინეთ. დღეს ორივენი მოვლენ ჩემთან, მერე თქვენთან გამოვუშვებ“.

საინტერესოა ადამიანის ბედის კარდიოგრამა. ახალგაზრდობაში ჩემი ყველაზე სანუკვარი ოცნება ალბათ ის იქნებოდა, რაღაც მანქანებით შემძლებოდა „კაგებეს“ გაუქმება. ნაწილობრივ ეს მოხდა, თუმცა არასოდეს მინატრია, წარმოდგენის იმდენად აბსურდულ სფეროს განეკუთვნებოდა ასეთი აბდაუბდა. არადა, ჩემი დაჟინებული მოთხოვნით შეიქმნა მერაბ ალექსიძის კომისია, რომელმაც ფაქტობრივად დაშალა „კაგებე“საქართველოში. ახლა ეს ზიგზაგი მკვეთრად ქვემოთ ეშვება და მევე გამოვდივარ ამ არადემოკრატიული სახელმწიფო ბლოკის აღმდგენი. ირაკლი ბათიაშვილმა ვერც ახალი სული ჩაუდგა ამ უწყებას და ძველიც ხავსმოკიდებულად შეინარჩუნა. ახლა იგორი შეძლებს, ან მოისურვებს კი, ცივილიზებული რეფორმა გაატაროს ამ

ტრადიციულად არასიმპათიურ ორგანიზაციაში?!

უშიშროების თანამშრომლები შეკრებილნი არიან სააქტო დარბაზში. სამარისებურ სიჩუმეში წარვადგენ იგორ გიორგაძეს, თუმცა, უმეტესობა მას კარგად იცნობს. ცოტას ვლაპარაკობ, სულ რამდენიმე ათეულ ფრაზას. ხაზს ვუსვამ ამ დაწესებულების მიერ რუსებთან ურთიერთობის გაუარესების ტენდენციას, რაც დაუშვებელია ჩვენი დღევანდელი პოლიტიკური ვითარებისთვის. გულში იმასაც ვფიქრობ, დარბაზში მსხდომთაგან ბევრი აგენტი და ბევრიც საბჭოთა კავშირის, ესე იგი, რუსეთის „კაგებეს“ მრავალი წლის კადრი და ღირსეული ჩეკისტია.

მახსენდება ჩელიაბინსკის ციხე. 1950 წელი. კამერაში შემოდიან რიგით ჩხრეკაზე, მართმევენ ჩემი მომავალი მეუღლის ფოტოსურათს. ეს უკანონობაა - პატიმარს უფლება აქვს, ჰქონდეს ახლობლების სურათი. ყველა კამერაში ჰკიდია ხის ჩარჩოში ჩასმული „პრავილა“ - თვით შინაგან საქმეთა მინისტრის, ბერიას მიერ დამტკიცებული წესები. ეს აღნიშნულია მოვალეობებისა და უფლებების ერთ-ერთ პარაგრაფში. პროტესტს ვაცხადებ. კარს მიჯახუნებენ და მაგინებენ. ვიწყებ ბრახუნს, ვითხოვ უფროსს. ცოტა ხნის შემდეგ გავყავარ რეჟიმის უფროსის ოთახში. „რატომ ხულიგნობ?“ - არ მიყურებს, ისე მეკითხება. „მე ვითხოვ იმას, რაც წესით მერგება“. „რაც გერგება, ყველაფერი დიდ ქვაბში დევს“, - იმეორებს ცინიკურ და „გულაგის“ სისტემაში ასეთი შემთხვევისთვის მოარულ ფრაზას. „პრავილა“ აქაც ჰკიდია. „აი, - ვეუბნები, - ეს ხომ კანონია“, - და ვუთითებ პარაგრაფზე. კიდევ არ იღებს თავს, რაღაცას წერს და დოქტორალურად მეუბნება: „კანონი კანონია, მაგრამ ჩვენ კიდევ ინსტრუქციები გვაქვს“. „მერე, თუ ის ინსტრუქციები მე მეხება, რატომ არ ჩაწერთ ამ წესებში. მე ხომ უნდა ვიცოდე, რა შეიძლება და რა არა. წამაკითხეთ“. იგი იქვე მდგომ კორპუსის უფროსს აწვდის ქაღალდს: „წაუკითხე“. კორპუსის უფროსი კითხულობს: „კამერაში ხულიგნური გამოხდომისთვის და ზედამხედველებთან უცენზურო შეპასუხებისთვის 10 დღით გადაიყვანეთ კარცერის რეჟიმზე“. ეგრევე მესევა სამი ზედამხედველი, კორპუსის უფროსი და მიმაჩაქჩაქებენ სარდაფში, სადაც კარცერებია განლაგებული. ვაცხადებ სასიკვდილო შიმშილობას. ვითხოვ ზედამხედველ პროკურორს. 9 დღე მშიერი, მწყურვალი სიცივეში, ცემენტის

იატაკზე ვაგდივარ. კაციშვილი არ მაკითხავს, მხოლოდ დილდილაობით, პურის დარიგების დროს, აღებენ კარში დატანებულ „კარმუშკას“ და მეკითხებიან: „პურს აიღებ?“ „არა!“ - ვპასუხობ. ახალგაზრდა ვარ, ილუზიები საბჭოთა ჰუმანურ საზოგადოებაზე ჯერ კიდევ მთლად არ გამქრალან. მოსკოვის „კრასნაია პრესნიას“ ციხეში ჯერ არ შევხვედრივარ კბილებჩამოცვენილ ესტონელ ახალგაზრდას, რომელიც თერთმეტ თვეს უშედეგოდ შიმშილობდა, ჯერ კიდევ არ გამეგო, რომ კალინინის ციხეში ხელოვნურ კვებაზე სამ წელიწადს შიმშილობდა პატიმარი, ჯერ კიდევ არ გამეგო მაშინდელი პენიტენციალური სისტემის მესვეურთა ფრთოსანი ცინიკური ფრაზა: „რაც უფრო დიდხანს ზის პატიმარი, მით მეტი საფუძველი არსებობს მისი არგაშვებისთვის“. ჯერ კიდევ არ ვიცოდი, თურმე ერთ-ერთი ინსტრუქცია ისიც იყო, რომ პატიმარს, რაგინდ მართალიც უნდა გამოდგეს, თავისი არ უნდა გააყვანინო. ერთი დღეღა მაკლია და კარცერიდან საერთო კამერაში გადამიყვანენ. ფეხზე ვეღარ ვდგები, თავბრუ მეხვევა. ვანგარიშობ, რამდენი სისხლი აქვს დალეული ამ მაიორს - რეჟიმის უფროსს. მე ხომ, სულ ცოტა, 4-5 კილო დავიკელი. აქედან სუფთა სისხლი რამდენი იქნება - დავუშვათ, ორასი გრამი. ახლა დღეში რამდენი კაცია ჩემისთანა - დიდი ციხეა, უზარმაზარი, სულ ცოტა, ათი კაცი. ესე იგი, ათ დღეში ორი ლიტრი. თვეში 6 ლიტრი ადამიანის სისხლი გააშრო ანუ დალია ამ ვამპირმა. მეცხრე დღეს მოდის ექიმი: „თუ შიმშილობას გააგრძელებ, ხელოვნურ კვებაზე უნდა გადაგიყვანო, თუ არა და, ახლავე წახვალ კამერაში“. იქვე მდგომი „კეთილი“ ზედამხედველი მირჩევს: „რად გინდა, თავს რომ იწამებ, მაინც ვერაფერს მიაღწევ. ადი ახლა კამერაში და მორჩი“... სუსტია ადამიანი. უცებ წარმოვიდგინე კამერა, ბევრი ხალხი, თუთუნი, პური, სითბო, ცხელი კერძი. არადა, მართლაც, ვის რას დაუმტკიცებ. ათი დღე ხვალ ისედაც გადის. ასე სამარცხვინოდ ვთანხმდები. გუნებაში ერთი სანუგეშო , თავის გასამართლებელი მოწოდება მიტრიალებს: ჯაბა, არ დაივიწყო, არ დაივიწყო! აკი დავივიწყე და აჰა, „კაგებეს“ ხელახლა ვაშენებ! მაშასადამე, მართლაც, დრონი მეფობენ და არა მეფენი. ვაკეთებ იმას, რის წინააღმდეგაც მთელი ცხოვრება ერთპიროვნულად ვიბრძოდი. ადამიანი ყველა შემთხვევაში თავს იმართლებს საკუთარი თავის წინაშეც კი“ - „არა უშავს, ეს „კაგებე“დემოკრატიულ პრინციპებზე იმუშავებს“.

სამტრედიიდან მირეკავს კაკო ვაშაკიძე. პირდაპირ არ მეუბნება, მაგრამ მაგრძნობინებს, რომ ჩემი ჩასვლა აუცილებელია. იქ დაპირისპირების ყველაზე ცხელი მონაკვეთია, საჭიროა ავტორიტეტი და რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება. ვკრებ საგანგებო კომიტეტს, ვავალებ შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების კომიტეტს, თავდაცვის სამინისტროს, ჩართონ მაშველთა კორპუსიც, ერთ მუშტად შევიკრათ, გამოვიყენოთ მთელი ჩვენი შესაძლებლობები, რათა სასწრაფოდ დავამთავროთ სამოქალაქო ომი. იგორ გიორგაძე უკვე მოქმედებს, მას რეუტმა გადასცა 4 ტანკი „ტ-72“. ორს თბილისში მივიღებთ, ორსაც - ქუთაისში. დგება რაღაც ქაღალდები, გაანგარიშებები. „არ გვინდა ეს ქაღალდები, საქმე, საქმე!“

ოზურგეთიდან მირეკავენ. ფოთიდან მოწოლაა, შემოდიან ქობალიას რაზმები, გამსახურდია ფოთშია. აჩიკო ხოფერია ტყვედ აიყვანეს ჯაპანის გადასასვლელთან. დოდო გუგეშაშვილმა თავისი რაზმით ლიხაურის ტყეს შეაფარა თავი. მართლაც, ჩემი ჩასვლაა საჭირო. ავდივარ შევარდნაძესთან. მასაც შეუტყვია ეს ამბავი. შეწუხებულია, ეტყობა, უნდა, რომ წავიდე, მაგრამ კარგ მომენტს ეძებს სათქმელად. მე ვხსნი ამ უხერხულობას, ვეუბნები, რომ დღესვე მივდივარ. ცხვირს იფშვნეტს და ნასიამოვნები მეუბნება: „კარგია, კარგია!“

გია ვაშაკიძე და გიგა გელაშვილი მომყვებიან. გია ვაშაკიძე თავდაცვის მინისტრის მოადგილეა სამოქალაქო თავდაცვის ხაზით - ფაქტობრივად, ნომინალური თანამდებობაა. შტაბში ერთი კაციც არ ჰყავს. ეტყობა, ეს გადაწყვეტილება თავის დროზე მიიღეს შევარდნაძემ და ყარყარაშვილმა. მიუხედავად ამისა, მას საკმაო გავლენა აქვს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობაზე. იქ არიან ზაურ უჩაძე, გურამ ნიკოლაიშვილი, პაატა დათუაშვილი, ვანო გურგენიძე, ყველა საველე მეთაური, რომლებიც მასთან ერთად იბრძოდნენ გაგრასა და ოჩამჩირეში. ყველამ კარგად იცის მისი ღვაწლი საერთოდ აფხაზეთის ომშიც. გიგასაც ყველა იცნობს. ახლა მომყვებიან, რათა დამეხმარონ მხედრიონელების ორგანიზებაში. ვზივარ ერთ კაბინეტში, ერთ-ერთ კაცთან, ვისი დასახელებისგანაც ჯერჯერობით თავს ვიკავებ. მისაღებში კი მელოდებიან გია ვაშაკიძე და გიგა გელაშვილი. იმედი გვაქვს, რომ მივიღებთ რაიმე იარაღს. კაბინეტის პატრონს მაგიდაზე გაშლილი აქვს საქართველოს რუკა. მისალმების შემდეგ რეკავს

„ვეჩე“. იგი ყურმილს იღებს, როგორღაც ნართაულად ლაპარაკობს. მასპინძელმა რომ თავი უხერხულად არ იგრძნობს, რუკას ჩავკირკიტებ, თანაც, მესმის ასეთი პასაჟები: „დიახ, კი, ზუგდიდშია. ტელეფონით ველაპარაკე. კი, კი, ვუთხარი, გვირაბის იქით ვეღარ წახვალთ-მეთქი“. მეორე ყურმილიდან რაღაცას ეკითხებიან. ჩემი მასპინძელი პასუხობს: „მერე. მერე არ იცით, ახტა-დახტა...“ მეორე ყურმილი ისევ აწყვეტინებს. „მეც ეგრე ვუთხარი, გავუშვი სამ ასოზე“. ყურმილს კიდებენ. მასპინძელი დგას და გამომცდელად მიყურებს. პაუზა. მე თავს არ ვიღებ, ისევ რუკას ჩავცქერი. „ხედავთ, ჯაბა, აი, ამ სამ ტანკს“, - თითით მაჩვენებს იგი წითელ კუბიკებად ჩახატულ ტანკის მაგვარ კოლოფებზე. „ჰო, - ვეუბნები. - ეს ზესტაფონია. დიახ, ზესტაფონი, უკეთ - ნახევარი ზესტაფონი, ხიდამდე“. „მერე?“ - ვეკითხები. იგი მოწყვეტით ჯდება მაგიდასთან, ფეხებს შლის, უჯრას გამოაღებს, ვითომ რაღაცას ეძებს და სხვათა შორის მეუბნება: „მერე ის, რომ თუ ამ ორ-სამ დღეში აბაშას არ დაიბრუნებთ, საქართველო გაიყოფა ორ ნაწილად: აღმოსავლეთი და დასავლეთი. აღმოსავლეთში იქნება შევარდნაძე, დასავლეთში - გამსახურდია“. მზარავს და ვფიქრობ: „სამად: აფხაზეთში - არძინბა“. არ ვიცი, რა ვუთხრა, მადლობა, თუ ვიყვირო და რაღაც პროტესტი გამოვხატო. იგი დაჯერებულად, როგორც საქმის კარგი მცოდნე, განაგრძობს: „არავითარი გვარდია და პოლიცია - უმრავლესობა გაყიდულია. მხოლოდ მხედრიონი და, რაც შეიძლება, სწრაფად. სულ ყველა ფაქტის წინაშე უნდა დადგეს... გესმით?“ რასაკვირველია! ცივილურ კოსტიუმში ვარ გამოწყობილი. ჩემი მოდური ჰალსტუხი ამ ვითარებაში, აქლემს რომ უნაგირს დაადგამენ, ისე გამოიყურება - „პიჟონობაა“ და მეტი არაფერი. ვიხსნი და ჯიბეში ვიდებ. მასპინძელი იცინის: „დაგცხათ?“ მადლობას ვუხდი, წასასვლელად ვემზადები. თან დაპირებული იარაღი შევახსენე. „ახლა თქვენები სამტრედიაში შეტევას ამზადებენ. როგორც ვიცი, ხვალ დილით, ადრე. ორი „ტ-72“ მივეცით. ამ დღეებში ორას ავტომატსაც მოგცემთ. ვინმე გამომიგზავნეთ“. „მოსაცდელში ჩემი მოადგილეები არიან“. ვეძახი გია ვაშაკიძეს - მაინც გენერალია! გიგა დელიკატურად არ შემოდის, თამაზ-წესრიგასთან რჩება, მოსაცდელში.

ღამის ორ საათზე ჩავდივართ სამტრედიაში. შტაბში შეგროვილან კაკო ვაშაკიძე, ბაჩუკი ბაზიერაშვილი,

სამტრედიის „კა-გე-ბე“, განყოფილების უფროსი დემური. შტაბი მილიციაშია, რაცია კი - დემურის კაბინეტში. დაგეგმილია დილის შეტევა. მხედრიონელთა ერთი ნაწილი უკვე გადასულია ცხენისწყლის იქით, მოფონებულ ადგილებში. დილით თვითმფრინავი დაბომბავს მათ ტექნიკას, რომელიც აბაშასა და დასახლება მარანს შორის დგას და ეს იქნება იერიშის დაწყების ნიშანი. აქვე არიან პოლიციის მეთაურები, რომლებიც ხიდთან მდგარ ძალებს ხელმძღვანელობენ. ყველაფერი შეთანხმებულია. დეტალების დასაზუსტებლად გია ვაშაკიძე რჩება. ჩვენ კი დასაძინებლად კაკო ვაშაკიძეს მივყვებით დიდ ჯიხაიშში. დილით ჩამოვალთ შტაბში. ვიდრე ვივახშმეთ და დავლაგდით, დილის ოთხმა საათმაც მოაწია. მაინც ვწვებით, დაღლილები ვართ, ნამგზავრები. ძილში ჩამესმის თვითმფრინავის ხმა. გავიფიქრე, ალბათ დაიწყო-მეთქი. ერთ საათს კიდევ მოვატყუებ თვალს. არა, არაფერი გამოდის. ვდგები, ბიჭებს ვაღვიძებ. უკვე 8 საათია. სახელდახელოდ ვსაუზმობთ და ჩავდივართ სამტრედიაში. ეზოს კარებთან გამოსული მოსახლეები რაღაც დამფრთხალი მეჩვენებიან, თვალს აყოლებენ ჩვენს მანქანას. გზაში არც სამხედროების მოძრაობა ჩანს. ალბათ, ყველა უკვე აბაშისკენ გადავიდა. მილიციის ეზოშიც არავინაა. ისმის ტყვიამფრქვევის კაკანი. შენობაც ცარიელია. შეშფოთებული დემური გამოდის კაბინეტიდან. „რა ხდება?“ - ვეკითხები. „არ ვიცი. მეც ახლა მოვედი. არავინაა“... „წადი, გაიგე, რა ხდება“. რაცია ჩართულია. ისმის სროლა, მერე განწირული ხმა: „რას შვრებით, ჩვენებს ესვრით, გაჩერდით, რას შვრებით“. „ეს ტანკია“, - ამბობს კაკო. კვლავ პანიკაა, - გამიელვა თავში. „გავიდეთ, მგონი ერთმანეთს ესვრიან ეს იდიოტები“. რაციაში ისევ გაისმის გინება და: „ნუ ისვრით, ჩვენებს ესვრით!“ ეზოში აღარც ჩვენი მანქანაა. გავრბივართ სასტუმროსკენ, საიდანაც ტყვიამფრქვევის კაკანი ისმის. მილიციასთან მიჯრილი სახლის აივანზე ხანში შესული ქალი გამოსულა, მოთქმით მიკივის: „ბატონო ჯაბა, რა ხდება, ქალაქში შემოვიდნენ?“ ერთი წუთით ვჩერდები და უხეშად ვუყვირი: „სახლში შედით. ნუ პანიკიორობთ, ჩვენები არიან, შედით!“ ისევ გავრბივარ. მინდა, დაწინაურებულ თამაზს, გიგას და კაკოს დავეწიო. უცებ ვხედავ, ჩაცუცქული კაკო უკან-უკან მოიწევს და ვიღაცას ავტომატს უმიზნებს. თავზე წავადექი. „რას შვრები, ბიჭო?“... „გიგა და თამაზი“... - მეუბნება და ხელს მკიდებს. „წავიდეთ, წავიდეთ“, - ჩქარი ნაბიჯით უფრო მორბიან, ვიდრე მოდიან

გიგა და თამაზი. „გავიდეთ, ქალაქი ჩაბარებულია“. „როგორ?“ მანქანა არა გვაქვს. ბედად, ყვითელმა „ჟიგულმა“ შემოუხვია. კაკო აჩერებს. ვსხდებით. სამი ჩვენი ბიჭი ახდილ საბარგულში თავსდება. „გადი ქალაქიდან, ხონის გზით!“ „სად არის გია? - ვკითხულობ, თუმცა, ვიცი, რომ ეს რიტორიკული კითხვაა. - ჯერ მხედრიონის ბაზაზე გავუხვიოთ“. გზაში გიგა და თამაზი ჰყვებიან: „სასტუმროსთან გავედით თუ არა, შუა მოედანზე ტანკი დაგვხვდა, ტყვიამფრქვევით მუშაობდა. თამაზი მივარდა და დაუწყო გინება: „რას შვრებით, რატომ ისვრით“. მათ შეწყვიტეს სროლა. ჯერ გაკვირვებული იყურებოდნენ. თამაზი კიდევ აწვება: „რატომ ისვრით? გაჩერდით!“ მერე ტანკიდან ერთი ეკითხება: „შენ ვინა ხარ?“ წესრიგა სიტყვას ართმევს გიგას: „ჩემს დღეში არ მითქვამს, რომ მილიციის თანამშრომელი ვარ. ახლა რამ მათქმევინა, არ ვიცი. ენაზე მადგა - ჯაბას დაცვის უფროსი ვარ-მეთქი. ბოლო წამს გადავიფიქრე. ერთი მეტაკა, ავტომატს მართმევს, მე აქეთ ვექაჩები, ის - იქით. თან ვუყვირი: „რატომ ისვრით ქალაქში“. მეორემ ფეხებთან ავტომატის ჯერი მომიშვა. სხვები გიგას ეცნენ, იარაღი აართვეს. ტანკიდან მექანიკოსი გადმოვიდა, მეხვევა და მკოცნის. ვეღარაფერი გავიგე, თუმცა, უკვე მივხვდი, რომ ზვიადისტები არიან. ერთი სიტყვით, - ასკვნის გიგა, - მილიციის თანამშრომლები ვეგონეთ. სულ იმას ვდარდობდი, ახლა ბატონი ჯაბა გამოჩნდება და ყველანი დავიღუპებით-მეთქი, მაგრამ მალე გაგვიშვეს, იარაღი დაიტოვეს და გაგვიშვეს“. თამაზი და გიგაც სამოქალაქო ტანსაცმელში არიან. „კიდევ კარგი, - ამბობს თამაზი, - თორემ სამხედრო ფორმაში გვიცნობდნენ“. „იმ შეშინებულმა ქალმა, აივნიდან რომ ყვიროდა და შემაყოვნა, გადაგვარჩინა“, - ვიცინი მე.

მხედრიონის შტაბში არავინაა. გია სად უნდა იყოს? „ის სახლში წამოვიდოდა, თქვენს გამოსაყვანად“, - ვარაუდობს კაკო.

ქალაქიდან ხონის გზით გავდივართ. გზაში ვუსწრებთ ლტოლვილების მანქანებს. მაინც რა მოხდა, ჩვენ აბაშაში უნდა შევსულიყავით და ისინი სამტრედიაში აღმოჩნდნენ? „ხიდიდან თუ შემოუშვეს, - ამბობს კაკო, - იქ პოლიცია იდგა, აბა სხვანაირად როგორ მოხვდებოდნენ შუა ქალაქში ან ბრძოლა რატომ არ გაიმართა ქუჩებში? მხედრიონელთა ნახევარი წუხელ შევიდა ცხენისწყლის გადაღმა, ნახევარი გიასთან უნდა იყოს, მაგრამ სად? ხონში ელგუჯა ბუცხრიკიძეა

თავისი „ომონით“. ვაითუ ტყვედ ჩაიგდეს! სასწრაფოდ უნდა დავუკავშირდეთ, გამოვიდეს, თორემ დიდ ჯიხაიშთან გზას გადაუჭრიან“. „მანდ კიდევ სხვა გზაა, წყალტუბოში გამოდის“, - მაიმედებს კაკო.

ქუთაისი აფორიაქებულია. ვერავის ვპოულობ, რომ წამომყვნენ და ქალაქის შემოსასვლელი გავამაგროთ. ჩვენ სულ შვიდნი ვართ. სულ ერთია, უნდა გავიდეთ და გავიგოთ, მაინც სადამდე შემოიჭრნენ. შაშიაშვილს ვუბარებ, დაუკავშირდეს ხონს და გააფრთხილოს ბუცხრიკიძე. მივექანებით კოპიტნარისკენ. ქალაქის გასასვლელამდე ნახევარი კილომეტრით აქეთ, ბენზინის გასამართ პუნქტთან, ვხედავთ პატარა შეიარაღებულ ჯგუფს, მათ შორის ჩვენს უკრაინელებს - სერგეის, მხარზე შემოდებული ყუმბარმტყორცნით და წოწოლას, რომელიც ქვაზე ჩამომჯდარა და მაინც სერგეის სიმაღლისაა. სერგეი იღრიჭება, უხარია ჩემი დანახვა. საიდან? - ვეკითხები. „სამტრედიიდან გამოვიქეცით“. უკვე თხუთმეტნი ვართ. უნდათ, აქვე რაღაც გამაგრება მოაწყონ. ჯერ გავიგოთ, სადამდე მოვიდნენ. მზვერავების ძებნის, გაგზავნის და შემდეგ მათი ლოდინის დრო არ არის. ოთხი მანქანით მივყვებით შოსეს. კოპიტნარამდე გზა ჩამკვდარია და ირგვლივ, თვალსაწიერზე, არავითარი მოძრაობა არ შეიმჩნევა. მეკითხებიან: „კოპიტნარში შევიაროთ?“ „რასაკვირველია“. აეროპორტშიც არავინ არის. ალაყაფის კარი მოფარღალალებულია. არც ყარაული ჩანს, სადარაჯო ჯიხურიც ცარიელია. მოედანზე ორი სამხედრო თვითმფრინავი დგას. აეროდრომზე კაციშვილის ჭაჭანება არაა. ანაზდად სადისპეტჩეროდან ვიღაცამ თავი გამოყო. ხელს მიქნევს. ავრბივართ. პულტთან მარტოდმარტო ბუსავით ზის გენერალი ზურაბ ნარუაშვილი. „აქ რას უზიხარ?“ „მა რა ვქნა, ყველანი გაიკრიფნენ“. საყვარელო, გავივლე გულში. მინდა, მოვეხვიო, ბოდიში მოვუხადო. კარგა ხნის წინათ „იმელში“ ნასვამი შემხვდა და რაღაც ფამილარობა დამიწყო. ტყუილუბრალოდ გამოვლანძღე. შემდეგ სოხუმში, ვერტმფრენში, ჩემი გულისთვის კინაღამ დაიღუპა. „სამტრედიაში შემოვიდნენ, აქეთ მოდიან“, - ვეუბნები და მხარზე ხელს ვადებ. შეუფერებელი ჟესტია - ჩემს ჭკუაში ვეფერები. „ვიცი“. „მერე?“ „თვითმფრინავებს ხომ ვერ მივატოვებ?!“ გამოვუყავი სამი კაცი, ჩვენ კი წინ მივიწევთ. ორ კილომეტრზე, ხიდს გადაღმა არიან მომდგარი. შეგვნიშნეს და დაგვიწყეს დაბომბვა. გასაკვირი ის არის, რომ ეს

ასოცმილიმეტრიანი ნაღმტყორცნებია, სოხუმში რომ მუშაობდნენ. რუსებმა უარი გვითხრეს, არა გვაქვსო. აბა, ამათ ვინ მიაშავა? აფხაზეთიდან წამოყოლილი დაქირავებულები ხომ არ არიან? ესენიც კვადრატულად გვბომბავენ. ვეფარებით რაღაც ფარდულებს და გზის თხრილებში, კიუვეტებში ვლაგდებით. ყუმბარებს ოთხკუთხედებად გვიმწკრივებენ გზაზე. მზე ნელ-ნელა ჩადის, საღამოვდება. საიდანღაც რამდენიმე ქუთაისელი გვემატება. ერთი შლაპინია. ეს ხომ კოსტიაა - ნახევრად მხედრიონელი. ესეც ხოსია, ნაღდი ქუთაისელი. იგი არც რომელიმე პარტიის წევრია, არც თანამდებობის პირი, არც რითიმე დაინტერესებული, არც ჩემი მეგობარი. უბრალოდ, ვაჟკაცია და თავის მოვალეობად ჩათვალა, გვერდში დამიდგეს. გადარბენებით მაინც წინ მივიწევთ, გვინდა, სადმე მოხერხებულ ადგილას პოზიცია დავიკავოთ, თორემ აქ ვერ გავმაგრდებით - თითო-ოროლა ნაგებობაა და გაშლილი ვაკე. უკნიდან „ბეტეერი“ მოგვადგა. მათი მეთაური მეძებს. რუსულად მომმართავს. არ ვიცი, რუსია თუ ჯარში გარუსებული ქართველი. იგორ გიორგაძეს ჩემს დასაცავად თბილისიდან გამოუგზავნია. „კომანდორმა“ (ეს იგორის კოდირებული სახელია) გვიბრძანა, თქვენს დაცვაში ვიყოთო. თამაზ-წესრიგას განკარგულებაში გადამყავს ეს სულზე მოსწრებული დახმარება. ჩვენს ერთ-ერთ მანქანას ყუმბარა ხვდება. ერთი კაცი დაიღუპა. სახელდახელო დაზვერვა ბრუნდება. მოწინააღმდეგე ხიდს გადაღმაა მომდგარი. ჩქარა, ჩქარა ჩავიდეს მზე! ოცდაათი კაცი არცა ვართ, ღამით ვერ გაბედავენ შემოსვლას. „ბეტეერი“ ხიდზე გადის, ტყვიამფრქვევით მიმდებარე არემარეს უშენს, ტრიალდება და სწრაფად ბრუნდება უკან. რამდენიმე მეტრით ჩამიქროლა და უცებ ამუხრუჭებს. ეტყობა, ახლაღა შემნიშნეს. მეთაური მორბის, მატყობინებს, რომ მსროლელი მძიმედაა დაჭრილი. ხიდგაღმიდან ყუმბარმტყორცნები დაუშინეს. საავადმყოფოში მივიყვან და დავბრუნდებითო. მისი არც მოსვლისა და არც წასვლის გამგებელი არა ვარ, თორემ შეიძლებოდა, დაჭრილი მანქანაში გადაგვეყვანა და „ბეტეერი“ დარჩენილიყო - ჩვენ ხომ არაფერი გაგვაჩნია. ჩემს დაცვასა და სერგეის მხოლოდ თითო-თითო ყუმბარმტყორცნი აქვთ. მეთაური კატეგორიული და საქმიანია, რაციით სამხედრო ყაიდაზე აძლევს ბრძანებას თავის ხელქვეითებს. მეც მთავაზობს, როგორც კი დაბრუნდება, „კომანდორს“ დამალაპარაკებს. ყველაფერი ეს, ამ ჩვენს იმპროვიზებულ ვითარებაში, ომის თემაზე დადგმული

სპექტაკლის ეპიზოდი მგონია. ვრჩებით ისევ და ისევ ჩვენი ავტომატების ანაბარა. ახლა იცოდეს მოწინააღმდეგემ, რომ აქ ოციოდე კაცი ვდგავართ... დაბომბვა გრძელდება. ბიჭები გაუბედავად მირჩევენ, ქუთაისში წავიდე, თვითონ აქ დარჩებიან. სისულელეა! მე რომ აქედან წავიდე, შვიდი კაცი უნდა გამომყვეს, აბა, აქ ვიღა დარჩება?! გიგას ვავალებ, ვინმე გაგზავნონ ქუთაისში, შაშიაშვილთან, რაღაც ლაშქარს რომ აყალიბებდა, იქნებ ხალხი მოგვაგშველოს. ნუთუ ათი კაცის მეტს არ აინტერესებს თავისივე ბედი. ქუთაისში თუ შემოვლენ, ხომ არ ჰგონიათ, პირზე კოცნით დამთავრდება ყველაფერი?! ყუმბარა ხვდება აეროდრომის ახლოს რაღაც საცავს. ცეცხლის ვეებერთელა ენა აღიმართა და გაანათა უკვე დაისით მოცული არემარე. რომელიღაც ქუთაისელი ამბობს, ეს თუ გაზსაცავია, რომელიც აქვე ახლოს უნდა იყოს, მაშინ უძლიერესი აფეთქებაა მოსალოდნელი. კიდევ ერთი კაცი დაგვეჭრა სასიკვდილოდ - თხრილში ჩაწოლილს ყუმბარის ნამსხვრევი მუცელში მოხვდა. მიკვირს: რა, გულაღმა იწვა?.. ჩემთან ახლოს მოწუის ყუმბარა. წესრიგა ზემოდან მახტება. გადავრჩით. „ბიჭო, ნუ იცი ხოლმე ასეთი დახტომა, რა ყუმბარას მოუკლავარ და რა - შენ“.

მოდის შაშიაშვილი. მეუბნება, რომ ლაშქარი, რომელიც უმთავრესად პოლიციელებით არის დაკომპლექტებული, მალე მოვა, მხოლოდ იარაღი არა აქვთ. ჯანდაბას, ვფიქრობ, ბიჭები მარტონი მაინც არ იქნებიან. ცეცხლის ალი ამოფეთქილი ვულკანივით დგას ჰაერში - გიგანტური სანთელი, ოდნავ შეციებულივით კანკალებს. შაშიაშვილს ჩვენთან დარჩენა უნდა. „შენ აქ ვერაფერს მიშველი, სჯობს, ლაშქარს მიხედო, თორემ საერთოდ არ მოვლენ“. დაბობვა არ წყდება. უკვე გვარიანად ბნელა. მერვე საათია. მგონი გადავრჩით. ქალაქს კარგა მანძილით ვართ მოწყვეტილი. რომ დაგვიარონ და ზურგში შემოვიდნენ, ამის საშიშროებაც არის. ჩვენ მხოლოდ ერთი პატარა ჯგუფი ვართ, ამ შოსეზე აქეთ-იქითა თხრილებში ჩაწოლილი. ქუთაისელები მეუბნებიან, რომ მართლაც ორი მხრიდან არსებობს სხვა გზა ჩვენს ზურგში - ფარდულებთან გადასახვევია და გზაგასაყარი.

შაშიაშვილი ლაშქრის მოსაყვანად წავიდა. რაღაც ტექნიკის გრუხუნი გაისმის. ზურგიდან ტანკის ხმაა. მოდის სწრაფად, დაჯერებულად. ასე მხოლოდ თავისიანებთან მიდიან. „ტ-72-ა“. უკან მანქანა მოჰყვება - კაკო ვაშაკიძეა. გია გამოსულა

სამტრედიიდან, ეს ტანკიც გამოუყვანიათ. „ყველაფერი რიგზე აქვს?“ - ვკითხულობ. „ჰო, მხოლოდ მსროლელი არ ჰყავს“. საიდანღაც კახეთის მხედრიონის 12 მებრძოლი შეგვემატა. ახლა უკვე საჭიროა პოზიციის ამორჩევა და საფუძვლიანი გამაგრება. ხვალ დილამდე, დილით კი რამეს მოვიფიქრებთ. თბილისის და რუსთავის მხედრიონელები უნდა ჩამოვიდნენ. ორ დღეში კი თავდაცვის სამინისტროს ხალხიც შემოგვიერთდება. მათ ტექნიკაც აქვთ. გადავწყვიტე, კოპიტნარის აეროპორტთან გავმაგრდეთ. მოხერხებული ადგილია, ოდნავ მოსახვევი, სამაგიეროდ, წინ გამოწეული საყარაულო პოსტი რამდენიმე კილომეტრზე გაჰყურებს ლარივით სწორ გზას. იქვე, მინდორში, შეჭრილი წარაფია - კარგი თავშესაფარი, მარჯვნივ - ხიდი, ესტაკადის მაგვარად აწეული. დაბომბვის დროს მის ქვემოთ უსაფრთხოდ შეიძლება განლაგება. თანაც, აეროპორტს დავიცავთ. იქ ხომ ორი თვითმფრინავია. უკან დავიხიეთ და შევქმენით პოზიცია. ბიჭებმა ტანკი ხრეშში ნახევრად ჩაფლეს. კახელებიდან ერთ-ერთმა სროლა იცის, მაგრამ, მგონი, ქვემეხი დაზიანებული აქვს. სამაგიეროდ, ტყვიამფრქვევი მუშაობს. უკვე შეიძლება, ბიჭები დავტოვო და ქალაქში გავიდე, ხალხს თავი მოვუყარო, გია და დათო ვაშაკიძეებს დავუკავშირდე. ჩვენი მანქანა მთელი სისწრაფით მიჰქრის. ყველამ იცის, საიდან მოვდივართ. ხალხი განათებულ ადგილებში შექუჩულა და დამფრთხალი გამოგვცქერის. „ნელა წაიყვანე!“ - ვეუბნები, - გამოქცეულები ვეგონებით, პანიკაში ჩავარდებიან, როცა იქით მივდივართ, სწრაფად წავიდეთ, როცა აქეთ - დინჯად, ვითომც საშიში არაფერი ხდება“. გზაში შეგვხვდა შაშიაშვილის ლაშქრის ხალხი პოლიციის ოფიცრის მეთაურობით. „ბატონო ჯაბა, იარაღი არა გვაქვს და სად მივდივართ?“ ღიმილით მეუბნება. ეს უფრო მთხოვნელის, განმსჯელის ღიმილია, ვიდრე ირონიული. ვბრუნდები და მიმყავს ჩვენს პოზიციებამდე ორი-სამი კილომეტრით დაშორებულ გზაგასაყართან. „თქვენი ამოცანაა აქ ყარაულობა. თუ მოწინააღმდეგე გამოჩნდა, შეატყობინეთ აეროდრომთან გამაგრებულ ჩვენს ბიჭებს, რათა ალყაში არ მოექცნენ“. ბოლოს ირკვევა, რომ ნახევარზე მეტი მაინც შეიარაღებულია. სულ ორმოცდაათი კაცი იქნება. „ჰოდა, თქვე კაი ხალხო, ერთი-ორჯერ გაისროლეთ, ჩვენი ბიჭებიც გაიგებენ და ჩამოვლენ, მოგეხმარებიან“. - განვაგრძობ მათ შეგონებას. „მაგი, კი, კაცო, ეგრეც არ არის საქმე, აქ მათ შევებრძოლებით კიდეც“ . - მეუბნება თავისი გამბედაობით თავმოწონებული

ახალგაზრდა. მათი უფროსი მიმყავს აეროდრომთან. პოზიციაზე უნდა იცოდნენ, რომ მათ ზურგში ხალხი დგას. უფრო მშვიდად იქნებიან. ამავე დროს პაროლებზე მოილაპარაკებენ - უდროო დროს სროლა და პანიკა არ ატყდეს. ჩემი მძღოლი ახლა უკვე ითვალისწინებს ჩემს შენიშვნას: იქით გიჟივით ერეკება, აქეთ ისე ნელა მოჰყავს, გეგონება, ტურისტები ბუნებას ათვალიერებენო. მაგრამ რომ ბნელა?

ღამეს შაშიაშვილის კაბინეტში ვათენებთ. შუაღამისას მოდიან სამტრედიიდან გამოღწეული მხედრიონელები, ჰყვებიან იქაურ ამბავს. გია და დათო ვაშაკიძეები აგროვებენ მათ, დაასვენებენ და ხვალ პოზიციაზე გაიყვანენ. ყველა მონაცემით, სამტრედიაში პოლიციამ ხიდი დატოვა და ზვიადისტები იქიდან პირდაპირ ქალაქში შემოვიდნენ. მაგის გარჩევის დრო არ არის, მაგრამ ახლა მაინც სად დაიკარგა ეს პოლიცია და შინაგანი ჯარი? თავში ერთი ფრაზა მიტრიალებს: „თუ ორ-სამ დღეში ფაქტის წინაშე არ დააყენეთ... აღმოსავლეთში იქნება შევარდნაძე, დასავლეთში - გამსახურდია“. ორი დღე უკვე გავიდა. დღეს 18 ოქტომბერია და ყველაფერი პირუკუა. გია ვაშაკიძესთან ერთად ვარჩევთ სამტრედიაში შეღწევის ვარიანტებს. ვკრავთ რაზმს, რომელიც ღამე გადავა და რკინიგზის ხიდის მიდამოებში დაელოდება ჩვენს იერიშს, დასახლება იანეთის ზურგში მოექცევა, სადაც ახლა მტრის მთავარი ძალაა განლაგებული. ეს რაზმი მთლიანად სამტრედიელებისგან არის დაკომპლექტებული. ჩვენ კი, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ხვალ ან ზეგ უნდა შევუტიოთ მთელი ფრონტით.

დღეს ჩამოდის თბილისის მხედრიონი. რუსთავის მხედრიონი უკვე გზაშია. თუ თავდაცვის სამინისტროს ხალხიც შემოგვემატა, ხომ კარგი, თუ არადა, ბუცხრიკიძეც ხონის გადასახვევთანაა გამაგრებული და ისიც წინ წავა.

მოდიან ვიღაც ავანტიურისტები. ერთი რუსია. მომმართავს: „გოსპოდინ გენერალ“. სამხედრო წესისამებრ, ყოველ სიტყვაზე მეჭიმება და იძახის „არის!“ მასთან ერთად ათი კაცია. მთხოვს თორმეტ ავტომატს და კიტოვანის მიერ შეპირებულ ფულს, კისრულობს, ჩვენთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ყველაზე ძნელ ოპერაციებში. „ვინ არის, რანი არიან“, - გიგა გელაშვილს და დათო ვაშაკიძეს ვავალებ, გაიგონ. თვითონ ამბობენ, რომ კიტოვანის დაქირავებულები არიან. თვით კიტოვანი ჩემი

ჩამოსვლის შემდეგ თვალით აღარ მინახავს. შუაღამე გადასული იყო, შევარდნაძეს ველაპარაკე. იქნებ დააჩქაროს თავდაცვის სამინისტროს ნაწილების გამოგზავნა.

დოდო გუგეშაშვილისგან მაცნეს ველოდები - უნდა გადავცე, როგორ მოიქცეს. მოსასვენებლად ერთი წუთითაც ვერ მოვიცალე. განთიადისას გავდივარ პოზიციაზე. ქუთაისის ლაშქრიდან გზაგასაყართან კაციშვილი არ არის. კოპიტნართან კარგად მოუწყვიათ პოზიცია, ღამით კიდევ ხუთი კაცი დაგვღუპია, აქედან - ორი ქუთაისელი. მხოლოდ შუაღამისას შეუწყვეტიათ დაბომბვა. ახლა სიწყნარეა. ერთი კილომეტრით წინ ბიჭებს ფარული პოსტი აქვთ. დაღლილები არიან, უძილოები. ვამხნევებ, ვპირდები, რომ რამდენიმე საათში ხალხს დავუმატებ და შეძლებენ ადგილზევე დაისვენონ. შაშიაშვილი დარბის, დაეძებს ლაშქარს და უნდა, რომ მე იქ ვიყო, აეროდრომის პოზიციაზე - გული იმედიანად ექნება. გუნებაში მეცინება. ალბათ, ჩემი ბრალია, რომ ადამიანებთან ურთიერთობაში ამპარტავნულ დისტანციას არ ვიცავ. კიტოვანი დღედაღამ მის კაბინეტში, მის სავარძელში იჯდა და იმას ვერაფერს უბედავდა, მე კი ოცმეთაური ვგონივარ. წარმომიდგენია, ახლა ეგ იყოს ჯაბა იოსელიანი. რესპუბლიკის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე შეუზღუდავი უფლებებით - აუჰ! ჩემი ბიჭები ამას ხედავენ და ღიზიანდებიან - ერთი სული აქვთ, წამოუთაქონ. ყურადღებას არ ვაქცევ, ბიჭებს კი ვტუქსავ, თორემ, თუ წამოუარა...

გამგეობის წინა მოედანი და მიმდებარე ქუჩები გატენილია ხალხით, უმეტესობა ჯან-ღონით სავსე მამაკაცებია. ისე შემოგვცქერიან, თითქოს დოღზე იყვნენ მოსული. მახსენდება ოჩამჩირე, გალი. იქაურებიც ასევე შეჰყურებდნენ ჩვენს ომს აფხაზებთან, ვითომც ის ორ და სამსართულიანი სახლები და მსუბუქი ავტომანქანები კახეთიდან ჩამოსულ მხედრიონელებს ეკუთვნოდა და ამიტომაც მათ უნდა ეომათ.

დღეს ზაზა ვეფხვაძემ და დათო მამულაშვილმა თბილისის მხედრიონი ჩამოიყვანეს. კოპიტნარის გზაზე მიტოვებულ ტურბაზაში თუ რაღაც ყაზარმისმაგვარ შენობაში მოვათავსე. ახლა აღარაფერი გვიჭირს. თემურ ტალახაძეც ჩამოვიდა რუსთავის მხედრიონით. მათ წყალტუბოში ვგზავნი. კურორტის პატრონი მირზა შემომიჩნდა, მეხვეწება, მხედრიონელები მომეცი, თორემ დავიღუპები. ვაითუ,

წყალტუბოს გზით შემოვიდნენო. „ომი რომ დამთავრდება, ერთს მაინც თუ მიიღებ უსაგზურად“... - ვეხუმრები. „მთელ მხედრიონს ერთ სეზონს დავუთმობ, სხვას არავის შემოვუშვებო“. „იმდენი შენ რა გითხრა. ახლა ამბობ ამას, თორემ, ვინ იცის, გამარჯობაც არ გაიმეტო-მეთქი“.

გამოჩნდა მეორე ტანკიც - „ტ-72“. მასზე სამტრედიელი დათო ზის. მაგარი ბიჭია. მინდა, გავუშვა აეროდრომთან, კოპიტნარში, მეორე ტანკთან. კაკო ვაშაკიძე მირჩევს, ერთი ჩვენთან დავტოვოთ, ვინ იცის, როდის დაგვჭირდება. კოპიტნარში კი თბილისიდან ჩამოსული ჩვენი მხედრიონის რაღაც „ეშმაკის მაშხალა“, თვითნაკეთი „ნურსის“ ტიპის, დიდი ეფექტის მქონე დანადგარი წავიდეს, რომელსაც ნიკო გედევანიშვილი - „ვიეტნამა“ - მართავს. სამტრედიელების დივერსიული რაზმი უკვე შესულია მოწინააღმდეგის მხარეს, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა. რკინიგზის ხიდთან, ჩიხში, დაზიანებულ ვაგონებში არიან ჩასაფრებულები. ელგუჯა ბუცხრიკიძე ცუდ დღეშია. ხონის გზის გასაყართან აქვს პოზიცია. რაციით გადავცემთ, როგორმე ერთ დღეს გაძლოს. ხვალ ყარყარაშვილი და ჭუმბურიძე ჩამოდიან, მგონი მეთერთმეტე ბატალიონით დათო თევზაძესთან ერთად.

ღამით შაშიაშვილის კაბინეტში ვიძინებ. დილით ადრე ვდგები, რათა ხვალისთვის საიერიშო თადარიგი დავიჭირო. ჩამოვიდნენ თბილისელი ბიჭები. მათ შორის, ავტომატგადაკიდებული პაატა ჩლაიძე - „ძველი ბიჭი“. მიხარია, სოლიდარობას მიცხადებენ, თორემ აბა რისი მებრძოლები არიან. დიდ მადლობას ვუხდი და სახლებში ვუშვებ. ათი-თერთმეტი საათი იქნება. განგაშია! წყალტუბოში შემოიჭრნენ და აქეთ მოდიან. ახლა აქ მყავდა ზაზა პაიჭაძე, თემურ ტალახაძის მოადგილე. მეფიცებოდა, ჩვენთან, წყალტუბოში, სიმშვიდეა და ყველაფერი რიგზეაო. ჩვენს წინ მდგარი „ტ-72“ - დათო პირდაპირ წყალტუბოსკენ მიექანება. გიგას კოპიტნარში ვუშვებ - იქიდანაც ხომ არ აპირებენ თავდასხმას. თუ საჭირო იქნება, წაიყვანოს ტურბაზაში დაბანაკებული მხედრიონელები. თავს ვუყრი ყველა მებრძოლს, რომელიც კი ქალაქშია დარჩენილი. წყალტუბოდან გვატყობინებენ, რომ პირველი იერიში მოგერიებულია, ახლა გვიშტიბთან არის ბრძოლა. თბილისიდან ჩამოგვისწრო თავდაცვის სამინისტროს ტექნიკამ. ჩვენს მოედანზე გაჩერდა სამი „ბე-ემ-პე“. ყარყარაშვილის ხალხიც ეს-ესაა შემოვა ქუთაისში. ჯარს ვეღარ

დაველოდებით. ტექნიკას წყალტუბოსკენ ვგზავნი. გია ვაშაკიძე მეთაურად მიუძღვება. ერთი საათის შემდეგ გვატყობინებენ, რომ ჩვენები კონტრიერიშზე გადავიდნენ, ზვიადისტებმა მიატოვეს ტექნიკის ნაწილი და გაიქცნენ. ჩვენც ვიკრიბებით კოპიტნართან, ვაწყობ კოლონას. ვაფრთხილებ კაკოს და გიას (რომელიც უკვე დაბრუნდა გვიშტიბიდან), რომ რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, კოლონის თავსა და ბოლოში იყოს თითო ტანკი. მივდივართ პირდაპირ სამტრედიისკენ.

ჩემი მანქანა შუა კოლონაში მოძრაობს. გავიარეთ იანეთი, შევდივართ სამტრედიაში და მოულოდნელად კოლონა გაჩერდა. შორიდან ისმის ავტომატების შრიალი. რაშია საქმე, ვკითხულობ. რაციით მპასუხობს გია ვაშაკიძე: „არაფერი, პატარა გაუგებრობა მოხდა“. ხმა ჩავარდნილი აქვს. „მაინც?“ „მოწინავეებმა და ჩვენმა ჩასაფრებულებმა ერთმანეთს ესროლეს“. „ხომ გავაფრთხილე?“ „კი, მაგრამ სამტრედიელი ბიჭები მსუბუქი ავტომანქანებით წინ გაცვივდნენ, უნდოდათ, სამტრედიაში პირველები შესულიყვნენ“. „მსხვერპლი არის?“ „სამი ძალიან კარგი ბიჭი, ერთიც - მძიმედ...“

ქალაქი დაცარიელებულია. ზვიადისტები ერთი საათის წინ გაკრეფილან. მოსახლეობა სიხარულის ყიჟინით გვხვდება. მილიციასთან, აივანზე გამოსულა ის ქალი, უნებლიეთ რომ გადაგვარჩინა. ხელს მიქნევს, იღიმის, რაღაცას ყვირის. მეც ვესალმები, მეც რაღაცას ვყვირი.

მეორე დღეს შევდივართ აბაშასა და ხონში. ზვიადისტები ტეხურას მიღმა არიან გამაგრებული. ხიდთან პირისპირ პოზიციას არ ვქმნით. ქალაქში მეომრები მსხვილ ჯგუფებად დავქსაქსე. ცენტრში, კომბინატში, თბილისის მხედრიონი ჩავაყენე. მათ ბაჭია მეთაურობს.

შემოგვემატა სოსო ახალაიას სოხუმის პოლიცია. მათ ერთი „ბეემპე“ აქვთ. საავადმყოფოში დავაბინავე. დღეებს ვითვლი მას შემდეგ, რაც მითხრეს, „თუ ორ-სამ დღეში სამტრედია ჩვენი არ იქნება, მაშინ აღმოსავლეთში - შევარდნაძე, დასავლეთში - გამსახურდია“. სამი დღით დავაგვიანე. სამაგიეროდ, არის ხონი და აბაშაც. ვუკავშირდები: „როგორ არის ჩემზე შეპირებული ორასი ავტომატის საქმე?“ პასუხით ყველაფერი გაირკვევა. იცინის: „ხვალ გამოვგზავნი სამას ავტომატს“. გულზე მეშვება. ვურეკავ შევარდნაძეს. კარგ გუნებაზეა, უკვე თავის ამპლუაში:

„დასავლეთის საგანგებო კომიტეტის რწმუნებულად დავნიშნე გივი ლომინაძე“, - საქმის კურსში მაყენებს, თითქოს მებოდიშება - ჩემთან ხომ უნდა შეეთანხმებინა. „ვინ გირჩიათ?“ - ვეკითხები ოდნავ უხეშად. ისიც იქიდან თავის მდგომარეობას ხაზს უსვამს: „არავინ. მე თვითონ გადავწყვიტე“. „მაინც უნდა გეკითხათ“, - შემრიგებლურად ვეუბნები. არ ღირს ამაზე ყურადღების გამახვილება, მთავარია, რომ შოკიდან გამოსულა. „თქვენ არ იყავით აქ“, - ისიც შემრიგებლურად მპასუხობს. „რა მდგომარეობაა რუსებთან ურთიერთობაში?“ „მგონი გვარდება. იქნებ რუსების, უკრაინელების, სომხებისა და ჩვენი ერთობლივი ძალებით სოჭამდე გზა გაიწმინდოს“, - მიყვება ძუნწად და, როგორც სჩვევია, ყოყმანით დასძენს: „რა ვიცი, მაგათ ხომ ვერ ენდობა კაცი“.

გამსახურდია, როგორც ამბობენ, ფოთშია. ახლა ფოთია გასათავისუფლებელი. დოდო გუგეშაშვილი ტყიდან გამოსულა, ოზურგეთის მხედრიონიც, ასე თუ ისე, შეკოწიწებულია. იქ ვაჟა ქრისტესიაშვილია კახელების პატარა ჯგუფით. გავდივარ გასაგებად, რა ხდება, როგორ არიან. იქნებ იერიში მოვამზადო. თბილისიდან ჩემთან ისევ ჩამოვიდა იგორ გიორგაძის მიერ გამოგზავნილი „ბეტეერი“ დაცვით და კუდში დამდევს. ფოთის მისადგომებთან აჟიოტაჟია. ვაჟა და დოდო ხელმძღვანელობენ საომარ მოქმედებას. ტექნიკა არა აქვთ, სამაგიეროდ, გრიგოლეთში ისეთი სანგრები გაუთხრიათ, იქიდან ვერავინ დაძრავს. მხოლოდ ერთია - სანგრებში ჯგუფ-ჯგუფად სხდებიან. გამოხშირვის თვალსაზრისით წინ გადამყავს - ჯობია, სანგრებში ხალვათობა იყოს, მოქმედება შეიძლებოდეს; ღმერთმა ნუ ქნას და, ერთი ჭურვი ერთბაშად ათ-თხუთმეტ კაცს დააზიანებს. იერიშისთვის ხალხი საკმარისი არ არის, თუმცა, ბიჭები შედიან ფოთის შემოგარენში, რაღაც ოპერაციას ჩაატარებენ და ისევ გამოდიან. ვპირდები, რომ სენაკის აღებას აღარ დაველოდებით, გამოვგზავნი ტექნიკას და მეომრებს. რუსები ჯერჯერობით მათ ეხმარებიან. ორი დღის წინ ტყვია-წამლით გატენილი სატვირთო მანქანა შესულა ბათუმიდან, ვითომც გრიგოლეთსა და მალთაყვას შუა დასახლებულ რუსი სამხედროების ოჯახებს პროდუქტები შეუტანეს.

შევარდნაძე ქუთაისში ჩამოდის. აეროპორტში მიბარებს, უნდა შეხვდეს ნახევრად რუს, ნახევრად უკრაინელ ადმირალ

ბალტინს. არ ვიცი, ეს შეხვედრა ვინ მოამზადა. თუ რამ კარგი ხდება, ყოველთვის ყველა თავის თავზე იბრალებს. ერთი კია, შევარდნაძეს თან ახლავს ავთანდილ მარგიანი, რომელიც, როგორც სჩვევია, ყველას ფამილარულად გვექცევა, რაც ამ სიტუაციისთვის გამართლებულია. ვთანხმდებით, რომ ბალტინი ფოთში შემოიყვანს სამხედრო გემებს. მხოლოდ ნაპირზე არ გადმოვა. ჩვენთვის მთავარია იმის დემონსტრირება, რომ რუსები ჩვენ გვიჭერენ მხარს. ამ ბოლო დღეებში შევარდნაძემ შესაშური აქტივობა გამოიჩინა. გარდა იმისა, რომ რუსებთან, უკრაინელებთან, სომხებთან საქმიანი ურთიერთობები დაამყარა, მან მობილიზაცია გაუკეთა ყველა უწყების ხელმძღვანელებს და, ჩემსავით იზოლირებულად კი არ მოქმედებს (მე ვიბრძოდი, მინისტრების უმრავლესობა კი კორუფციითა და საკუთარი სკამის გამაგრებით იყვნენ დაკავებული). არა - შევარდნაძემ მათ ყურში მოჰკიდა ხელი. „ყველაფერი ომისათვის!“ - ამ ლოზუნგით გააერთიანა და ბევრი მათგანი თან წამოიყვანა სამეურნეო საკითხების ადგილზე გადასაწყვეტად. მასთან ერთად არიან ვიცე-პრემიერები, მენაღარიშვილი, კერვალიშვილი, მარგიანი, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის მინისტრები და სხვები. როგორც ირკვევა, ჩაშლილია ის მოლაპარაკება, სადაც გადაწყდა რუსების, უკრაინელების, სომხებისა და ჩვენი შეიარაღებული ძალებით დაგვეწყო დასავლეთის სატრანსპორტო არხების გაწმენდა (აფხაზეთიც თავისთავად შედიოდა ამ ფართომასშტაბიანი ოპერაციის სფეროში და, რასაკვირველია, ჩვენთვის ეს უპირველესი ამოცანა იყო) - ბოლო მომენტში სომხეთის მთავრობას უარი უთქვამს. ჩვენი მიცვალებულისთვის ისევ ჩვენ უნდა მიგვეხედა. ყარყარაშვილი ჩამოსულია, მაგრამ თავი განცალკევებულად უჭირავს. წყალტუბოში, კომფორტულ სამხედრო სანატორიუმში დაიდო ბინა და ჩვენ არ გვეკარება. იძულებული ვხდები, იქით მივაკითხო, რომ შეთანხმებულად ვიმოქმედოთ. დრო აღარ ითმენს - სამოქალაქო ომი სასწრაფოდ უნდა დამთავრდეს. ყველანი აყრილი და მობილიზებული ვართ. მხედრიონი, ჯარი, შინაგანი ჯარი, პოლიცია, უშიშროება. შოთა კვირაიამ 700 პოლიციელი ჩამოიყვანა. მართალია, ნახევარზე მეტი შეუიარაღებელია, მაგრამ მე ვაძლევ შეპირებულ სამას ავტომატს - მერე დამიბრუნებენ.

სამტრედიაში ვიკრიბებით. შევარდნაძე ატარებს სხდომას.

უნდა დამტკიცდეს კონკრეტული მოქმედების გეგმა. აქ არიან ვიცე-პრემიერი მენაღარიშვილი, მინისტრები: ყარყარაშვილი, ლომინაძე, კვირაია. გასათავისუფლებელია სენაკი, ხობი და ზვიადისტების ბოლო ციტადელი - ზუგდიდი. გვაქვს ცნობა, რომ აბსანძემ, გამსახურდიას ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა, ზუგდიდსა და ხობში ჩეჩენი და აფხაზი ბოევიკებით სავსე ორი ავტობუსი შემოიყვანა. თითქმის ყველა იმ აზრისაა, რომ ახლა მთავარია სისწრაფე, ტემპი არ დავაგდოთ. გამოდის ყარყარაშვილი და რაღაცას მიედ-მოედება. ვერაფერს ვიგებ. იმასაც კი ამბობს, იქნებ გამსახურდიასთან დაგვეწყო მოლაპარაკებაო. ეჭვიც შეაქვს ჩვენი ოპერაციის წარმატებაში. ჩემს პირდაპირ შეკითხვაზე: „გაგვაგებინე, გია, რას გვთავაზობ“, მპასუხობს: „მე ზუგდიდში არ შევალ“. „რატომ?“ „იმიტომ, რომ გამსახურდიას ხალხი ჩხოროწყუსა და წალენჯიხაშია და არა ზუგდიდში“. ეს სისულელეა. ახლა მოადგა ენაზე. მე მაინც ჩავეძიე, რატომ არ უნდა ზუგდიდში შესვლა. ისევ მიედ-მოედება. გული მომდის - აქ მასზე უფროსი ამდენი ადამიანია - წლოვანებით, თანამდებობით, განათლებით, გამოცდილებით და ყველას გვამაიმუნებს. შევარდნაძე დუმს, როგორც ყოველთვის, როცა ორი მხარე კამათობს: ღიად და აშკარად არც ერთს მხარს არ დაუჭერს, მაგრამ, ვატყობ, ყარყარაშვილის თამაში მასაც ყელში ამოუვიდა. „იქნებ იმიტომ არ გინდა ზუგდიდში შესვლა, რომ ხელწერილი გაქვს მიცემული?“ - ვახსენებ ზუგდიდში თავისი ტყვეობის ამბავს. „არა, პრინციპულად არ შევალ!“- გაიძახის იგი. „მაშინ გადადექი, წადი მინისტრობიდან!“ - მკვახედ ვეუბნები და ვფიქრობ, თუ შევარდნაძე მხარს დამიჭერს, აქვე გავათავისუფლოთ. ბოლოს და ბოლოს, რას ველოლიავებით? შევარდნაძეს არ უნდა, რომ ჩვენმა სხდომამ ასეთი დაბოლოება მიიღოს. როგორც შევიკრიბეთ, ისევე ვიშლებით. ესე იგი, უნდა იომოს მხედრიონმა და ნაწილობრივ, შინაგანმა ჯარმა. პოლიცია კი ქალაქის განთავისუფლების შემდეგ წესრიგს დაამყარებს და საკომენდანტო სამსახურს გასწევს. ყარყარაშვილის ჯარის ნაწილები ალბათ ჩხოროწყუსა და წალენჯიხაში წავლენ, თუ სადმე წავლენ საერთოდ. შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსად ინიშნება გურამ ნიკოლაიშვილი. არ ვიცი, რა მადლი ჰპოვა მან შევარდნაძის თვალში, მე კი მაინცდამაინც ვერ ვენდობი. უყვარს ტყუილი, ფაქტების გაფორმება უფროსთა სასიამოვნოდ - ძველი, კომუნისტური სტილის „შტაბნიკია“. შევარდნაძე ჩვენთან

რჩება, თბილისში აღარ მიდის. ძალაუნებურად მინისტრებიც რჩებიან. საგანგებო კომიტეტი სინამდვილეში აღარ არსებობს; გია ჭანტურია გავიდა, ირაკლი ბათიაშვილიც. კომიტეტის წევრებიდან ერთი გია ჟორჟოლიანია ჩვენთან წამოსული. გია ყარყარაშვილს ჯერ მაშინ არ ვეხატებოდი გულზე და ახლა საერთოდ ტყეში იყურება. საჯაროდ უნდა შევეკითხო, მაჭარკიდან ორასი კაცის მოსაყვანად რომ წავიდა და იქ მისი მომლოდინე შემატოვა, რა ერქვა ამ საქციელს. მერე გადავიფიქრე - მაშინ ისიც უნდა მოვკითხო, ოჩამჩირეში ორგზის რატომ არ შეასრულა შეთანხმება ან ლაშკანდერის მთაზე ამ ჩვენს ბიჭებს ოც დღეს რატომ აცდევინეს. ამას რაღა ვუწოდოთ?! ეჰ, მარტო ეგ ხომ არ არის. მახლას...

შევარდნაძის აქტიურობა გამორიცხავს კომიტეტის ახლად შედგენის პროცესს. არც არის საჭირო. სადაცაა ომს დავამთავრებთ და საგანგებო ვითარება აღარ იქნება - შესაბამისად აღარც კომიტეტის აუცილებლობა, მით უმეტეს, რომ შევარდნაძე ფორმაშია. რუსები შევარდნაძეს შეჰპირდნენ ტანკებს თავისი ეკიპაჟებით, მაგრამ ისინი ჩვენს უკან დგებიან, ზურგში. სამტრედიაში არ შემოვიდნენ. ვიდრე აბაშაში არ შევედით, მანამდე იანეთთან და დაფნართან იდგა სამად სამი ტანკი. გუნებაში მეცინება: მგონი, ეს ის სამი ტანკია, რუკაზე ჩემი თვალით რომ ვნახე.

ზვიადისტებმა ფოთი დატოვეს და ჩვენებიც შევიდნენ დოდო გუგეშაშვილისა და ვაჟა ქრისტესიაშვილის ხელმძღვანელობით. საიდანღაც თავდაცვის სამინისტროს დბშ ნაწილიც იქ გაჩნდა. ადმირალმა ბალტინმაც შეასრულა დანაპირები - ფოთში გემები შემოიყვანა. ანაკლიაში, სადაც ქობალიას ბაზა აქვს, იგორ გიორგაძემ დესანტი გადასხა. ააფეთქეს საარტილერიო დანადგარები. უკან დაბრუნებისას დაიჭრა რამდენიმე კაცი, ერთი მხედრიონელი - მძიმედ და საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა. გაირკვა, რომ ზვიადისტებს არავითარი სერიოზული ზურგი და მარქაფი არა აქვთ.

შევარდნაძეს ვათავსებ აბაშის გამგეობის შენობაში, გურამ მგელაძის ყოფილ კაბინეტში, სადაც საბჭოთა კავშირის „პერესტროიკის“ ნაპერწკალი გაღვივდა. შევარდნაძე იყო ამ პოლიტიკური სპექტაკლის ავტორი. იყო ხმაური ტელევიზიაში, პრესაში, დელეგაციები ჩამოდიოდნენ. კომუნისტების ძველმა

ლაქიამ, მწერალმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ უშველებელი სტატია-ნოველები გამოაცხო სენსაციური სათაურით „რა მოხდა აბაშაში“. რა მოხდა და არაფერი; ერთ წელიწადს მიწები არენდით დაარიგეს. კომუნისტური პრაქტიკისთვის უჩვეულოდ დიდი ნაწილი მწარმოებელს დაუტოვეს. გლეხებს უფლება მისცეს, ნორმაზე მეტი საქონელი ჰყოლოდათ. ეს იყო და ეს. მეორე წელს ყველაფერი ძველებურად მოითხოვეს: გადასახადები, დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულება. ერთი სიტყვით „მინინეპი“ გაიმეორეს. იმაში დასარწმუნებლად, რომ კერძო ინიციატივა უფრო მომგებიანია ეკონომიკაში, ვგონებ, ამერიკის, იაპონიის და დასავლეთის არსებობაც საკმარისია. და თუ მაინცდამაინც შესადარებლად გინდა, აგერ, ერთი ერის, ერთი ტრადიციების, ერთი ფსიქოლოგიის, ერთი ისტორიული ბედის სახელმწიფოებს გადახედე: დასავლეთ გერმანიაში კერძო საკუთრებაა, აღმოსავლეთში - სოციალისტური; დასავლეთი დოვლათით აივსო, აღმოსავლეთში გაჭირვებაა. ასევეა სამხრეთ და ჩრდილო კორეაში, ტაივანსა და კონტინენტურ ჩინეთში. რად უნდა ამას აბაშის ექსპერიმენტი? მიუხედავად ყველაფერი ზემოთ თქმულისა, აბაშაში მართლაც მოხდა დიდი რამ: აქ მოინიშნა მიხაილ გორბაჩოვისა და ედუარდ შევარდნაძის კონიუნქტურული ტანდემი, რამაც შემდგომ ის ცნობილი, მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენა გამოიწვია, რუსეთის წითელი იმპერიის დანგრევა რომ ჰქვია.

ახლა შევარდნაძე ზის აბაშის გამგებლის ოვალურ მაგიდასთან და დასაძინებლადაც აქ აპირებს დარჩენას. დაცვას ვაძლიერებ. ქალაქი მყარადაა ჩვენს ხელში. მხედრიონი აქ არის, შინაგანი ჯარის ნაწილიც, კომენდატურაში - პოლიციის დიდი ჯგუფი გია ჩეჩელაშვილის ხელმძღვანელობით. აქვეა სოსო ახალაიას სოხუმის ლტოლვილი პოლიცია. მეომრებმა და მეთაურებმა იციან, რომ მე ხშირად ამ კაბინეტში ვარ, ამიტომ მოურიდებლად შემოდიან კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად. როგორც ყოველთვის, ჩემთანაა თამაზ-წესრიგა. რახან ჩემი დაცვის უფროსი ჩვენთანაა და ფანჯრის რაფაზე ზის, მეორე რაფაზე გაუბედავად ჯდება შევარდნაძის დაცვის უფროსი გურამ ჯალიაშვილი. ვატყობ, ეს რია-რია შევარდნაძისთვის აუტანელია. ისეთი სახე აქვს, თითქოს ძლიერ კბილის ტკივილს უძლებს და არ ამჟღავნებს. რა ქნას. თუ ჩემთვის ასეთი გარემოცვა სახალისო და ჩვეულებრივი

მდგომარეობაა, მისთვის ეს ჩინუპატივცემულობა შეურაცხყოფის ტოლფასია. ყველას ვისტუმრებ, თამაზ-წესრიგას ჩათვლით. „თამაზ, - ვეუბნები ხუმრობით, - დაგვტოვე, ნუ გეშინია, ედუარდი არ მომკლავს“. ვსაუბრობთ ცოტ-ცოტას ყველაფერზე. მაინტერესებს, იცის თუ არა რამე რუკისა და ზესტაფონთან ჩახატული სამი ტანკის თაობაზე. იცის, რომ იმის იქით გადაწყვეტილი იყო ზვიადისტების შეჩერება. ვფიქრობ, ისიც იცის: „აღმოსავლეთით - შევარდნაძე, დასავლეთით - გამსახურდია“. თუ არ იცის, ამას რაღა მიხვედრა უნდა. მაინც არაფერს ამბობს. როგორც ვთქვი, მას არ ახასიათებს ინფორმაციის ბოლომდე გაცემა. მისი პრინციპია: ყველა საუბრის ინფორმაციული სალდო მას უნდა დარჩეს მოგებაში: მინიმუმის გაცემა, მაქსიმუმის მიღება; ადამიანებს არ ახასიათებს, თუ ეს რაიმე დავალებას არ უკავშირდება. უბრალოდ, თავისი აზრის გაზიარება არ სურს. ალბათ ესეც სიფრთხილის ბრალია - გამოთქმული აზრი ხომ შესაფერ მოქცევას მოითხოვს, ეს კი ლავირების საშუალებას ზღუდავს. ან იქნებ მისთვის ყველა ადამიანი პოტენციური მტერია. არ ვიცი, ამაში ვერ ვერკვევი. როგორც რუსები ამბობენ, სხვისი სული წყვდიადია.

აბაშაში ჩვენს შემოსვლამდე ერთი დღით ადრე მოკლეს გენერალი ზურაბ ნარუაშვილი, ალალი და მამაცი მეომარი, მფრინავი. ტყვედ აყვანილი შვილის გამოსახსნელად მოლაპარაკებაზე გადმოსული მუხანათურად ჩაცხრილეს მანქანაში. სენაკი ორჯერ გადად-გადმოდის ჩვენსა და რევანშისტების ხელში. ერთხელ თავდაცვის სამინისტროს ძალები დევის მეთაურობით ნახევრად აღებული ქალაქიდან უკან იხევენ, მერე მხედრიონის ასკაციანმა რაზმმა ელიავას და ჟღენტის ხალხი გაფანტა და სენაკი დაატოვებინა. დღის მეორე ნახევარში შინაგან საქმეთა ახალ მინისტრთან შოთა კვირაიასთან ერთად ქალაქში 700 პოლიციელი შემყავს. კვირაია ჩემს გვერდით მოაბიჯებს. მიკვირს და მიხარია. ეს პირველი შემთხვევაა - მინისტრი უშუალოდ იღებს მონაწილეობას ოპერაციაში. ჩივის, რომ პოლიცია ნახევრად შეუიარაღებელია. ვპირდები იარაღს, ამავე დროს ვუხსნი ამოცანას. მხედრიონელები დასასვენებლად გამომყავს. ხვალ ისევ შემოვიყვან. პოლიციის საქმეა, პოსტები განალაგოს და ქალაქში პატრულირება მოაწყონ. კომენდანტად დანიშნულია წკრიალაშვილი. მარშით მიმყავს მილიციის შენობაში. თვით

კვირაიას სახლიც იქვე, გვერდითაა. იგი წარმოშობით სენაკელია. მხედრიონი ბრუნდება თავის ბაზაზე, აბაშაში. მე დასაძინებლად კვლავ სამტრედიაში შევდივარ. გზაში რუსის ეს ყბადაღებული სამი ტანკი მხვდება. ძლივს ვიყაბულებთ (არა უანგაროდ), რომ ახლა მაინც დადგნენ ტეხურის ხიდთან, ჩვენ ხომ უკვე სენაკში ვართ.

დილით ვიგებ, რომ პოლიციამ სენაკი მიატოვა და გამოიქცა, თუმცა, ზვიადისტების მხრიდან რაიმე სერიოზული შეტევა ან იერიში არ განხორციელებულა. ვუშვებ დაზვერვას. ირკვევა, რომ სენაკში მხედრიონელთა პატარა ჯგუფი ჩარჩა. ელიავას ხალხი 40-50 კაცი იქნება. შებინდებისას ორ პატარა რაზმს ვამზადებ შესაყვანად. მე თვითონ, პროვოკაციის მიზნით, ანთებული ფარებით მივდივარ ხიდისკენ, რომ ყურადღება მივიქციოთ. ჩემთან გიორგაძის „ბეტეერია“. ვაკეთებთ იმიტაციას, თითქოს ხიდზე გვინდა გადასვლა. დაგვაყარეს ხიდის ქვემოდან. ყუმბარმტყორცნის რამდენიმე ჭურვი ვარდება ჩემს მანქანასთან. სინათლეებს ვაქრობთ, გადმოვდივართ, ვწვებით დაქანებულ გზისპირას. „ბეტეერი“ მუშაობს - ცეცხლი აქვს გახსნილი იმ წერტილების ჩასაქრობად, საიდანაც გვსვრიან. მაგრამ თვითონ სინათლეების გამორთვა დაავიწყდა და ჩვენც გვანათებს. „ჩააქრე, ჩააქრე!“ - უყვირიან ბიჭები. არ ესმის. თამაზ-წესრიგა და ნიკუშა გედევანიშვილი („ვიეტნამა“) გადარბიან მცელავი ტყვიების ზონას, სინათლეს აქრობინებენ. შემდეგ ნიკუშას ჩემი მანქანა გამოჰყავს და წესრიგას დაჟინებული მოთხოვნით სასწრაფოდ გადავყავარ უსაფრთხო ადგილას. კანონადა წყდება. ესე იგი, ხვალ, თუ ჩვენმა ჯგუფებმა არაფერი იღონეს, შტურმით მოგვიწევს ხიდის აღება.

მივდივარ გამგეობაში. სიბნელეა. მთელ შენობაში არავინ არის. ავრბივარ კიბეზე. აქაც არავინაა. გამგებლის კაბინეტში მხოლოდ შევარდნაძე ზის. ფიქრებში დანთქმულა. „რა ხდება?! - ვეკითხები. - სად არის თქვენი დაცვა ან შენობის ყარაულები?“ მხრებს იჩეჩავს. წესრიგას ვგზავნი, რომ მოძებნონ და კისრისტეხით მოიყვანონ.

შევარდნაძეს ჩამოუტანეს ორდენები. უნდა, რომ ხვალ სადღესასწაულო ვითარებაში გადმომცეს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი და სათანადო მასალა გაუშვან ტელევიზიით. ვიცინი. „ნუ იცინით, ეს საჭიროა“. „კი ბატონო, თუ საჭიროა“...

„თქვენ კი, თქვენი მხრივ, ასევე სადღესასწაულო ვითარებაში, ორდენები გადაეცით იმ ბიჭებს, ვინც გვიშტიბში თავი გამოიჩინა“.

მეორე დღეს ამ პროცედურის ჩატარების დრო აღარ დარჩა. დილითვე გაირკვა, რომ მხედრიონელების მიერ ღამით ჩატარებულმა რამდენიმე შეტაკებამ ზვიადისტები აიძულა, სენაკი დაეტოვებინათ. შევდივართ მთელი შემადგენლობით. უპირველესად ვამაგრებ მენჯსა და ჩხოროწყუდან შემოსასვლელ გზას - ყველაზე მომგებიანია ქალაქზე შეტევისათვის და სუსტია დასაცავად - არეული ლანდშაფტია: მთები, ტყე, ქვემოთ გაშლილი მინდორი, გამოსასვლელად - ვიწრო ყელი.

ცივი, ქარიანი დღეა. ისე უბერავს, მთაზე მოთავსებულ პოსტზე ორ საათზე მეტს ვერ გაძლებს კაცი. დოდო გუგეშაშვილი გამოჩნდა ფოთიდან და ის კისრულობს მენჯზე მეთვალყურეობას. ხობის გასასვლელისკენ ხიდი აფეთქებულია. ტექნიკამ მოვლითი მანევრი უნდა განახორციელოს. დაზვერვა იტყობინება, რომ გამაგრებული არიან თეკლათთან. სოფლებში კი ჩეჩნებისა და აფხაზების შერეული ჯგუფები დაძრწიან. თეკლათიდან შემოსასვლელში პოსტების დაყენებისას კვლავ ნაღმმტყორცნის ცეცხლი გაგვიხსნეს. ამბობენ, თითქოს ქალაქში დარჩენილია დივერსიული ჯგუფი და შტაბ-ბინა სენაკის თეატრში აქვთ, სახურავზე. ოხ, ეს თეატრი! ეროვნული მოძრაობის შტაბები მაინცდამაინც თეატრებში იდებდნენ ბინას. ასე იყო სოხუმში, ცხინვალში. ამ მხრივ არც რუსთაველის თეატრია გამონაკლისი. ეგ კი არადა, ალბათ ჯერ კიდევ შესასწავლია აკაკი ბაქრაძის დირექტორობისა და რობერტ სტურუას სპექტაკლების მნიშვნელობა ეროვნულ მოძრაობასთან კავშირში. პოლიციისა და მხედრიონელების ერთობლივ ჯგუფს ვგზავნი სენაკის თეატრის დასაზვერად. ვაზნებისა და ნატყვიარების მეტი ვერაფერი იპოვეს. შტაბი სენაკში გადმოგვაქვს. შევარდნაძე მოდის სწორედ ისეთ დროს, როცა გვბომბავენ. ყარყარაშვილიც გამოჩნდა. აქამდე არ გვეკარებოდა, მთელ დღეებს წყალტუბოში ატარებდა. მენჯთან ორი შეტევა მოვიგერიეთ. თეკლათიდან გვბომბავენ. დასაზვერად გაშვებული თვითმფრინავი ჩამოგვიგდეს. მფრინავმა კატაპულტირება მოასწრო და თეკლათსა და ფოთს შორის, ჭალადიდთან გადმოხტა. მაშასადამე, საზენიტო „სტრელები“ აქვთ. ეს ჰაერის

საწინააღმდეგო უტყუარი იარაღი აფხაზებთან მთელი ომის განმავლობაში სამ ცალზე მეტი არ გვქონია. შინაგანი ჯარი და მხედრიონი ვამზადებთ ერთობლივ შეტევას. სენაკში ჩვენთან იქნება მე-11 ბატალიონი დათო თევზაძის მეთაურობით. შემდეგ ისინი წავლენ ჩხოროწყუ-წალენჯიხისკენ. ჭორები დადის, თითქოს მთელი ნაყაჩაღარი ქონება ზვიადისტებს წალენჯიხაში გააქვთ. ლანჩავას მოაქვს მოქსოვილი თეთრი ქუდები, ნახევარი - მხედრიონელებს, ნახევარიც - შინაგან ჯარს, რომ მეომრები გამოირჩეოდნენ.

შეტევა გამთენიისას უნდა დავიწყოთ. შევარდნაძე საგანგებოდ აფრთხილებს ლანჩავას, რომ არ დაიგვიანოს. მხედრიონელები ორი მხრიდან შეუტევენ - მენჯის გზიდან გადმოღმა და თეკლათის გზით შინაგან ჯართან ერთად. ჯერ გათენებული არ იყო, რომ სენაკის მიმდებარე დასახლებებში შეპარულმა ჩვენმა ბიჭებმა მოკლეს რამდენიმე ინტერვენტი ადიღეელი და ჩეჩენი. ეს საკმარისი გამოდგა, რომ მოწინააღმდეგე უკუქცეულიყო. მე, გიგა გელაშვილი და ლანჩავა სამეთაურო კავშირის მანქანაში ვსხედვართ დათო თევზაძესთან ერთად. კავშირის სხვა საშუალება არა გვაქვს. თევზაძე ხელმძღვანელობს ჯარის ნაწილს, რომელიც ჩხოროწყუსკენ მიემართება, ჩვენ კი ხობის მიმართულებით ვაგრძელებთ შეტევას. თევზაძე გვაფრთხილებს, რომ დღის პირველი საათისთვის მან უნდა წაიყვანოს მანქანა, ესე იგი, ჩვენ უკავშიროდ ვრჩებით. ასეთი ბრძანება გაუცია გია ყარყარაშვილს. თვითონ წყალტუბოშია. ჯერ ერთი, ვერ გამიგია, რა უნდათ ამ წალენჯიხაში. მეორეც, შუა ომში კავშირის გარეშე უკავშირებოდ ჩვენი დატოვება რა წესია? რას იზამ - კიდევ ერთ ომს ხომ არ დაიწყებ, უნდა გადაყლაპო. მადლობა ღმერთს, სამი საათისთვის ყველაფერი დამთავრდა. ხობში შედიან ჩვენი ხობელი მხედრიონელები, რუსთაველები და შინაგანი ჯარი. მეც ჩავდივარ. იქ გვიერთდება ფოთიდან წამოსული ლანჩხუთის მხედრიონი აჩიკო ხოფერიას მეთაურობით. მოსახლეობა გვიყვება, რომ ორი დღის წინ შემოსულან ჩეჩნები, შესაძლოა, აფხაზებთან ერთად.

ვემზადებით ზუგდიდზე გასალაშქრებლად. აჩიკო ხოფერია ტყვედ ჰყავდათ ზვიადისტებს და გაუშვეს. როგორ და რა პირობებში - თავის დროზე არ გამოვკითხე. ახლა უარს ამბობს ზუგდიდში შესვლაზე. გული მომდის. „რატომ? - ვეკითხები. „იმათ გამიშვეს და როგორ“... - თავს იმართლებს. „მერე, შენც ტყვედ აიყვანე და შენც გაუშვი“... უკმეხად მპასუხობს.

„საიდანაც მოსულხართ, იქ წადით! არ გვინდა თქვენი მონაწილეობა. საერთოდ, თვალით არ დამენახოთ!“ - ვფიცხობ და მთელ რაზმს უკან, ლანჩხუთში ვუშვებ. „რა ემართებათ ამ ტყვედ ნამყოფებს, რაღაც მონუსხულებივით არიან, - კითხულობს გიგა, - რომან გვენცაძე, სანდრო კავსაძე, გია ყარყარაშვილი... მართლა ხელწერილები ხომ არ ჩამოართვეს?! ალბათ სტალინი ნაწილობრივ მართალი იყო - ტყვედ ნამყოფი კაცი უკვე მეომარი აღარ არის“.

თეკლათთან ვაყენებ ოცკაციან რაზმს. ხობის ბრძოლაში თავი გამოიჩინა შინაგანი ჯარის კაპიტანმა (კაკო მახათაძე?), რომელიც მე მახლდა სოხუმში, როცა მე-6 სატანკო ბატალიონიდან ცეცხლი გამიხსნეს. მაშინ საკმაოდ ციოდა. კაკო ზაფხულის ფეხსაცმლით იყო წამოსული საბრძოლველად. მეტი ვერაფერი მომცესო, - ჩიოდა უფროსობაზე. ახლა ლანჩავა საგანგებოდ გავაფრთხილე, იგი ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენზე და მაიორის წოდებაზე წარადგინონ. არტილერია გადმოგვყავს თეკლათსა და ხობს შორის. დაზვერვას მოაქვს ცნობა, რომ ცაიშთან ზვიადისტებს „გრადის“ დანადგარი უდგათ და იქ არიან გამაგრებული. გამსახურდიამ ვითომც თავი აფხაზეთს შეაფარა. სენაკში ვბრუნდები. გზაზე შევარდნაძე მხვდება. ვტრიალდები და უკან მოვყვები, სურს, თავისი თვალით ნახოს ყველაფერი. შევარდნაძეს სენაკის სადგურზე, სპეცვაგონში სძინავს. მისი მზარეულიც იქ არის. კარგად მოეწყო. იციან კომუნისტებმა კომფორტის ყადრი. გივი ლომინაძე რამდენიმე დღის დანიშნული იყო დასავლეთის რწმუნებულად და სენაკში უკვე კაბინეტი მოიწყო. მდივანი, ტელეფონები, საგანგებო საუზმე. მე, ამ ჩემი თორმეტგოჯას წყლულის გადამკიდე, მოვკვდი კონსერვების ჭამით. ამათთვის კი უცებ საიდანღაც მწვადები და შინაური საჭმელები ჩნდება.

შევარდნაძემ საფრანგეთის ელჩი ოფიციალური ვიზიტით სენაკის ვაგონში, საბრძოლო გარემოცვაში მიიღო. „კარგია, კარგი“, - როგორც თვითონ იცის თქმა.

ხობის გამგებელი თემურ გერგაია აზუსტებს დაზვერვის ყველა მონაცემს. ზუგდიდის გარშემო სოფლებში ჯგუფებად არიან კარგად შეიარაღებული ზვიადისტები. შესაძლოა, ქალაქში შეგვიშვან და მერე თავს დაგვესხან. არც ის არის გამორიცხული, ზუგდიდშიც იყოს დარჩენილი დივერსიული

რაზმი.

ექვს ნოემბერს ხობში ვიკრიბებით. ბოლო თათბირია, ზუგდიდი თუ გავათავისუფლეთ, ალბათ სამოქალაქო ომიც დამთავრდება.

წინა დღეს შევარდნაძესთან ვსაუბრობდი. ჩემი წინადადება ასეთი იყო: რაიმე არეულ-დარეულობის თავიდან ასაცილებლად, მაგალითად, ისეთის, რაც მოხდა სენაკში, როცა პოლიცია გამოიქცა და მეორედ მოგვიხდა სენაკის აღება, სჯობს კომენდანტად დავნიშნოთ კაცი, რომელსაც ბრძოლაც შეუძლია და გვერდით ეყოლება თავისი, გამოცდილი ხალხი. ასეთად მიმაჩნია ზაზა პაიჭაძე, რომელიც გვიშტიბშიც და ახლაც, ხობის აღების დროს, კარგად გაუძღვა რუსთავის მხედრიონს. მთავარია, ეს დარტყმა ბოლო გამოდგეს-მეთქი. შევარდნაძე დამთანხმდა. ხობში, სხდომაზე ვიკრიბებით: შევარდნაძე, მე, კოტე გაბაშვილი, შოთა კვირაია, გია ჟორჟოლიანი (საგანგებო კომიტეტის წევრი), გივი ლომინაძე (საგანგებო კომიტეტის წევრი და დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი), კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დემურ მიქაძე, ხობის გამგებელი თემურ გერგაია, შინაგანი ჯარების სარდალი გელა ლანჩავა და სხვები, ორმოცამდე თანამდებობის პირი. ვინაიდან ამ შეკრებაზე ჩემი მოქმედება გამოდგა ერთადერთი საფუძველი ჩემ წინააღმდეგ აღძრული ბრალდებისა „ბანდიტური ორგანიზაციის“ შექმნასთან დაკავშირებით, ობიექტური სურათის წარმოსაჩენად აღარაფერს ვიტყვი. მომაქვს 1995 წლის 15 ნოემბრის ჩემი დაპატიმრების შემდეგ წაყენებული ბრალდებისა და „გამოძიების“ მიერ დამუშავებული მოწმეების ყველაზე „მამხილებელი“ ტექსტები (იხ. სისხლის სამართლის საქმე №7495911, ტ. VII). შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროს ერთობლივ სამოქმედო გეგმაში, რომელსაც ამტკიცებენ შესაბამისი მინისტრები და შევარდნაძე, სამთავრობო შეიარაღებული ძალების წინაშე ასეთი ამოცანებია დასახული. წარმოდგენილი გეგმა რუსულ ენაზეა შედგენილი. მომყავს მთავარი დავალებები (თარგმანი ჩემია - ჯ.ი.): „...იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციის ტერიტორიული ორგანოების პირადი შემადგენლობის უმეტესობა დემორალიზებულია, უპირველესი ამოცანაა მათი დაკომპლექტება უსაფრთხო პირადი შემადგენლობით...

განხორციელდეს ღონისძიებები მოსახლეობიდან იარაღის ამოსაღებად... ბოროტმოქმედთა გამოსავლენად, ცეცხლსასროლი იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებების და მოტაცებული ავტომანქანების გამოსავლენად... კომენდანტებმა და უშიშროების სამინისტროს რწმუნებულებმა ქალაქში დააზუსტონ სიები ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების დასაკავებლად... ამ ოპერაციებში მონაწილეობა არ მიაღებინონ ადგილობრივ პირად შემადგენლობას, ვიდრე მათ ფილტრაციამდე“ (საქმე №74, 95911, ტ. X, გვ.9).

„ბ-ნ. ჯაბას რეკომენდაციით, სახელმწიფო მეთაურმა დამნიშნა მე. ყველა იქ მყოფმა მომილოცეს კომენდანტად დანიშვნა, მათ შორის, ჯ. იოსელიანმა, რომელმაც ხუმრობით მითხრა, ერთი „მერსედესი“ შენზეა. თათბირის დამთავრების შემდეგ იქ მყოფ ხალხთან საუბრისას გავიგონე იოსელიანის სიტყვები: „ბიჭები ტყვიაზე მიდიან, დაღლილები არიან, უნდა დავასვენო, სამი დღე უფლება უნდა მივცე, ზუგდიდში გაიარ-გამოიარონ“. (საქმე №7495911, ტ. IX, კვ. 74. ზ. პაიჭაძესთან დაპირისპირება).

„იქ, თათბირზე (ხობში) გადაწყდა, რომ ზაზა პაიჭაძე დაინიშნებოდა ზუგდიდის კომენდანტად... ბ-ნმა ჯაბა იოსელიანმა უთხრა: „ზაზა, შენ იცი, ერთი „მერსედესი“ შენზეაო, და ყველამ იქ გაიცინა“ (იქვე, გვ. 70-71. ო. ჩახუნაშვილთან დაპირისპირება).

„...ბიჭები არიან მშივრები, ტყვიაზე მიდიან და სამი დღე უნდა მივცე საყაჩაღოდ“ (იქვე. გვ. 81. ფრ. ადამიასთან დაპირისპირება).

„...6 ნოემბერს ხობში, პოლიციის უფროსის კაბინეტში, ითქვა თქვენს მიერ ზემოთ აღნიშნული სიტყვები. იქ იყო დემურ მიქაძე, ლანჩავა, სახელმწიფოს მეთაური შევარდნაძე, ზემოთ ჩამოთვლილი პირები, მე გავიგონე ეს სიტყვები“ (იქვე, გვ. 82).

„კომენდანტად ჯაბა იოსელიანის წინადადებით და რეკომენდაციით ზაზა პაიჭაძე დაინიშნა“... „თათბირის დამთავრების შემდეგ მე გავიგონე ჯაბა იოსელიანის სიტყვები, როცა ის ეუბნებოდა ზაზა პაიჭაძეს და მათთან მყოფ პირებს: „ბიჭებო, სამ დღეს გაძლევთ ზუგდიდსო“ (იქვე, გვ. 84. ლანჩავასთან დაპირისპირება). „ზუგდიდის კომენდანტის მოადგილედ დაინიშნა მილიციის პოლკოვნიკი ჯიმი

სხირტლაძე, რომელიც სხდომას არ ესწრებოდა, დერეფანში იდგა. სხდომაზე მხოლოდ პირველი პირების მონაწილეობა იყო დაშვებული (იქვე, გვ. 90). სხირტლაძეს თვითონ, მართალია, არ გაუგონია, მაგრამ... (ორი წლის, ესე იგი, ჩემი დაპატიმრების შემდეგ)... ყველა დაუსჯელი და კანონსაწინააღმდეგო ნაბიჯი ჯაბა იოსელიანის მფარველობით და ნებართვით ჩადენილად მიმაჩნია“ (გვ. 90).

გამომძიებელი ეკითხება ედიშერ ჩარგაზიას (ზუგდიდის გამგებელს): „იცოდით თუ არა, რომ ჯაბა იოსელიანის მიერ მხედრიონელებს სამი დღე ჰქონდათ მიცემული ზუგდიდის საძარცვად?!“ ე. ჩარგაზია: „აღნიშნულის შესახებ მე არაფერი არ ვიცოდი და არც არავისგან გამიგონია“ (იქვე, გვ. 93).

იგივე საქმის მასალებიდან გამომდინარე, ათი დღის განმავლობაში ზუგდიდში ძარცვა-ყაჩაღობის სულ 9 ფაქტია მოყვანილი, როცა მოსახლეობა 60 ათასზე მეტია. მაშ, სამ დღეში მეტი არაფერი ჩაუდენიათ საძარცვავად მიშვებულ მხედრიონელებს? დამახასიათებელია დაზარალებულ ჯინჯოლავას ჩვენება და დაპირისპირება ვინმე ჭინჭარაძესთან. „საღამოსთვის დაუგეგმიათ ჩემს სახლში მოსვლა, მაგრამ პირველად მისულან შოთა აბრალავას სახლში, რომელიც ცხოვრობს ჩემს მეზობლად. იქ იმყოფებოდა მისი ცოლის ძმა, ზვიადისტი, დაჭრილი. მათ თავიანთი თავის გადარჩენის მიზნით მოიყვანეს თავდამსხმელები ჩემს სახლში“ (იქვე, ტ. X, გვ. 223-224). დაზარალებულ ჯინჯოლავას გარდა, ეს მოწმეები არიან: ზაზა პაიჭაძე - კომენდანტი, ფრიდონ ადამია - ზუგდიდის მილიციის უფროსი, გელა ლანჩავა - შინაგანი ჯარის სარდალი, ჯიმი სხირტლაძე - კომენდანტის მოადგილე, ედიშერ ჩარგაზია - ზუგდიდის გამგებელი, - ყველა ის პირი, ვისაც წესრიგის დაცვა ევალებოდა და რომელთა მისამართით მე ან სიტყვიერი, ან წერილობითი განკარგულება უნდა გამეცა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხედრიონელები დაუსჯელად ხომ ვერ იყაჩაღებდნენ? ეს ისევ სტალინის დროინდელ ანეკდოტს ჰგავს. გორში ერთი ებრაელი ტრაბახობდა, სტალინის ახლო მეგობარი ვარო, როცა სტალინი ციხიდან გაიქცა, ჩემს სახლში ვმალავდიო. ერთ მშვენიერ დღეს გორის ებრაელობა მიადგა მას და სთხოვა: „წადი, დაგენაცვლე, და უთხარი იმ შენს ძმაკაცს, კერძო ვაჭრობას ნუ დაგვიშლის, ჰოდა, სავახეზოდ შენც რაღაცას დაგიადებთო. დათანხმდა სტალინის „ძმაკაცი“ და წავიდა. კარგა ხანს არ ჩანდა გორში. მერე გაიგეს, ჩამოვიდაო.

შეიკრიბნენ ებრაელები და მიეახლნენ: დაგენაცვლე, როგორაა საქმეო? „კარგად, - უთხრა, - სოსო ვნახე და ასე დამაბარა: „ივაჭრონ, მარა „ობეხეესს“ და მილიციას ერიდონო“. ეგრე ყოფილა ზუგდიდში მხედრიონის ყაჩაღობის საქმეც. მითქვამს, იყაჩაღეთ, ოღონდ მილიციას, შინაგან ჯარს, გამგებელს და პროკურორს ერიდეთ, რადგან მათთვის ეს ნებართვა არ გამიცია-მეთქი. გულზე ხელი რომ დავიდო და ვთქვა, არ მახსოვს, რაღაც ამდაგვარი იქნებ მართლაც ვთქვი, მაგრამ ალბათ ხუმრობით ან სხვა რამ კონტექსტში. იქნებ საუბარი ეხებოდა ზუგდიდში დაყაჩაღებულ მანქანებს. თუ არა და, სერიოზულად თუ მივიღებთ ამ მოწმეების ჩვენებას, სადაც მაგალითად, იგივე ფრიდონ ადამია ასეთ რამესაც ამბობს, ვითომც მე მითქვამს, „დიდი იმპერატორი ნაპოლეონიც კი აძლევდა ჯარს უფლებას, სამი დღით ეძარცვათ დაკავებული ქალაქი“ (იქვე. ტ. X, გვ. 41), ხობის მილიციის ოთახში ასეთი სურათი წარმოვიდგინე: ზუგდიდის კომენდანტად ვნიშნავ ზაზა პაიჭაძეს და ვეუბნები: „ერთი „მერსედესი“ შენზეა“. ეს არასერიოზული ხალხი, ყველაფერი რომ ხუმრობად მიაჩნიათ: შევარდნაძე, კვირაია, ინჯია, ლანჩავა, გაბაშვილი, მიქაძე და სხვები იცინიან. რახან ესენი იცინიან, გამოდის, არ სჯერათ ჩემი. მაშინ მე უფრო დამაჯერებლად ვმოქმედებ. სხდომა უკვე დამთავრებულია, მაგრამ ჯერ ყველანი ადგილებზე არიან და მე მივმართავ მხედრიონელებს, მართალია, თამაზ-წესრიგას გარდა ოთახში არავინ არის, მაგრამ, სადაც უნდა იყვნენ, ისინი გამიგებენ. იგივე ვაჟა ქრისტესიაშვილი, იგივე დოდო გუგეშაშვილი, რომლებიც ფოთში არიან (ეს უკანასკნელი სენაკიდან ორი დღით ფოთში გადავიდა). ჰოდა, მივმართავ მათ ეთერში. რად გვინდა რადიო ან გადამცემები და რაციები, ჩემს ხმას ისინი ისედაც მოისმენენ დისტანციური ტელეპატიის საშუალებით: „მხედრიონელებო, თქვენ ხართ მშიერი და მწყურვალი, დაუბანელი და ჩაუცმელი, დაღლილი და უძილო“. აჰა, თქვენს წინაშეა თავისი „მერსედესებით“, ელარჯით, ზვიადისტებითა და სამშობლოს მოღალატეებით სავსე ზუგდიდი. როგორც ნაპოლეონი მოუწოდებდა თავის ჯარს ეგვიპტეში, პირამიდების წინ, ასევე მეც მოგიწოდებთ: „თქვენ შემოგცქერით კოლხეთის ოცდახუთსაუკუნოვანი ისტორია. აიღეთ უძველესი ქალაქი ოდიში და სამი დღით იგი თქვენს განკარგულებაში იქნება! დაისვენეთ და გაიარ-გამოიარეთ, ესე იგი, „იყაჩაღეთ!“ ამ მოკლე, მაგრამ მგზნებარე სიტყვით მივმართავ უხილავ მხედრიონელებს. ოჰ, რაც მთავარია,

დამავიწყდა! ვიდრე მე ამ სიტყვა-ედიქტს, სიტყვა-კანონს ჩემს ბაგეთაგან წარმოვთქვამდე, დამსწრე საზოგადოებას - შევარდნაძით დაწყებული, კავშირგაბმულობის მინისტრით დამთავრებული, - ვურიგებ საცობებს - სასურველი არ არის, გაიგონონ ასეთი კანონის გამოქვეყნება. რა იცი, ახლა წაუყრუონ და ორი წლის მერე გაგიხსენონ!... ეს საცობები აღარ მეყო მილიციის უფროს ადამიასთვის და შინაგანი ჯარის სარდალ ლანჩავასთვის. ზაზა პაიჭაძეს თავისთავად უნდა გაეგონა და ამისთვის აღარც მიზრუნია.

მეორე ვარიანტი კი ასეთია: წინადადება მივეცი სახელმწიფო მეთაურს, შინაგან საქმეთა მინისტრს და სხვებს, რომ „ბიჭები არიან მშივრები, ტყვიაზე მიდიან და სამი დღე უნდა მივცე ბიჭებს საყაჩაღოდ“, რაზეც ზემოთ აღნიშნულ პირებს საწინააღმდეგო არაფერი უთქვამთ. ამან გამოიწვია უბედური ყაჩაღობა - 10 დღეში 9 ოჯახზე მოხდა თავდასხმა და ეს ხდება ომის პერიოდში იმ ქალაქში, სადაც ერთდროულად შევიდა ათას ხუთასამდე შეიარაღებული კაცი, სადაც 60 ათასი მცხოვრებია და სადაც უმაღლესი ხელისუფლების მიერ გაცემულია ბრძანებულება სამდღიანი ყაჩაღობის ნებართვის შესახებ. აფერუმ, ჩვენს მხედრობას, რომ ამ სამ დღეში სულ სამი შემთხვევა მოხდა და არა ათასი ან სამი ათასი...

სხდომის შემდეგ ვბრუნდებით სენაკში, შევარდნაძე - სპეცვაგონში, მე - კვირაიას სიმამრის სახლში. ხვალ დილით ხობიდან ვიწყებთ. ორი ჯგუფი ღამით უკვე შევიდა. დაზვერეს ცაიში. იქ მართლაც დგას „გრადის“ დანადგარის „კუკლა“. ზვიადისტები გასული არიან ტყესა და მიმდებარე სოფლებში. კვირაიას სიმამრთან მეგრული პურმარილია. ერთი სული მაქვს, მივეგდო და დავიძინო, მაგრამ უხერხულია. აქ არიან შოთა კვირაიას თანამშრომლები - დემურ მიქაძე, მგონი პრესცენტრის ხელმძღვანელიც და სხვები. იტყვიან, არ გვიკადრაო. ამიტომ, თვალები კი მეხუჭება, მაგრამ ძალაუნებურად ვუსმენ ამ ჩვენს ტრადიციულ სადღეგრძელოებს. შოთა კვირაიას პირფერობას საზღვარი არა აქვს. უხერხულ მდგომარეობაში ვარ: „მამა ხარ ჩემი“, - მივარდება მუხლებში. ეს უკვე ნამეტანია“ „ადექი, შოთა!“ - ვეუბნები მკაცრად. „არა, მამა ხარ ჩემი“, - გაიძახის და რაღაც სისულელეებს როშავს. ჩვენთან არის აგრეთვე თამაზ შონია - სამურზაყანოს ბატალიონის უფროსი. იგი ღამის ორ საათზე ადგა და სადღაც წავიდა. მეც დრო ვიხელთე და კვირაიას

სიმამრს ვთხოვე, გავეყვანე იქ, სადაც ჩემთვის ლოგინია გაშლილი. სამ-ოთხ საათს მეძინა. ჯერ კიდევ სიბნელეში ვდგები. სხვებიც იღვიძებენ, დგებიან და მივდივართ ხობში.

ზღაპარ იყო...

გადის ზუსტად ორი წელი და რამდენიმე დღე. 1995 წლის 14 ნოემბრის შუაღამეა. ახლახან დავბრუნდი სახლში, იოსელიანის ქუჩაზე, და დასაძინებლად ვეწყობი ჯაბუკასთან. „ბაბუ, ზღაპარი მომიყევი რა“, - მთხოვს პატარა ჯაბა და მხარზე მეკრობა. არ იძინებდა, მელოდებოდა. ყურები დაწითლებული აქვს და ძალზე დიდი მოუჩანს. „კეთილი“ - ვთანხმდები, თუმცა გადაღლილი ვარ, რა მეზღაპრება!“ „რამპარა-ტარაპარა, რამპარა-ტარაპარა, რამპარა-ტარაპარა...“ - ვიწყებ მუსიკალური გაფორმებით დროის მოსაგებად, რაიმეს მოსაფიქრებლად. ერთი-ორი-სამი - სდექ! შუადღემდე თავისუფალი ხართ! - გასცა ბრძანება უფროსმა და მოედანზე გამწკრივებული ჯარისკაცები დაიშალნენ. პატარა ჯარისკაცი და დიდი ჯარისკაცი სწორედ ამას ელოდნენ. ცხელოდა და იმწამს მდინარისკენ გაიქცნენ საბანაოდ. პატარა ჯარისკაცმა კარგად იცოდა ცურვა და დიდს ასწავლიდა. ახლაც გზაშივე გაიხადა სამხედრო ტანსაცმელი და მდინარეში გადაეშვა. წინა დღეებში მაგრად წვიმდა და მდინარე ადიდებული დახვდათ. ამიტომაც დიდი ჯარისკაცი ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, შესულიყო თუ არა სწრაფად მომდინარე წყალში. „მოდი! ჩამოდი!“ - უყვიროდა პატარა ჯარისკაცი, თან იცინოდა და ყურყუმელაობდა. უცებ გაისმა ქალის ხმა: „მიშველეთ! მიშველეთ!“ დიდი ჯარისკაცი და პატარა ჯარისკაცი გაქანდნენ იქით, საიდანაც ხმა მოდიოდა. ბექობთან რომ მოუხვიეს, დაინახეს მოხუცი ქალი, რომელიც შველას ითხოვდა. ზვირთებად მოქანავე წყალს ხიდის ორივე მხარე მოერღვია, წაეღო და მოხუცი ქალი შემორჩენილი ხიდის შუა ნაწილზეღა იდგა. პატარა ჯარისკაცი ისევ ჩახტა მდინარეში და ცურვით მიუახლოვდა მოხუცს, ხელი გაუწოდა, ვერ მისწვდა, აქეთ-იქიდან მიუდგა, მაგრამ ხიდი მაღალი გამოდგა: „ბები! გადმოხტი და მე დაგიჭერ!“ - შესთავაზა პატარა ჯარისკაცმა. „არა, შვილო, აბა მე როგორ გადმოვხტები. იქნებ

სხვა რამე მოიფიქრო“. მაშინ დიდი ჯარისკაცი ნელ-ნელა შევიდა წყალში. რაც უფრო უახლოვდებოდა ხიდს, წყალი სულ მაღლა და მაღლა ამოდიოდა. ხელის გაწვდენამდე რომ მივიდა, წყალი ნიკაპამდე სწვდებოდა და მისი მჩქეფარე ტალღები პირისახეშიც ურტყამდა, ხანდახან თავზეც გადასდიოდა. დიდი ჯარისკაცი ამას ყურადღებას არ აქცევდა, ცდილობდა, ხელში აეყვანა ბებია, მაგრამ ვერაფერი გააწყო და ბევრი წყალიც ყლაპა. მაშინ პატარა ჯარისკაცი აახტა მას მხრებზე, ორივე ხელი ბებიას გაუწოდა და ატატებული გადმოიყვანა დიდი ჯარისკაცის მხრებზე. დიდმა ჯარისკაცმა კი ნაბიჯ-ნაბიჯ გამოიყვანა იგი. „ღმერთმა აგაშენოთ, შვილებო, თქვენ გაიხარეთ! - ლოცავდა ბებია, - მე ისეთი უბედურება მჭირს, რომ დავმხრჩვალიყავი, ის მერჩია, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ პატარა იმედი მაქვს, იქნებ სამხედროებმა მიშველონ. აი, ახლაც მათთან მოვდიოდი. ხიდზე ფეხი შევდგი თუ არა, ორივე მხარე წყალმა მოარღვია და წაიღო“. „რა, ბები, რა გაგჭირვებია?“ - ჰკითხა პატარა ჯარისკაცმა. „რაღა რა, შვილო, ჩემი შვილიშვილი ცისკარა დევმა მომტაცა და დავეძებ. იქნებ როგორმე ვიპოვნო, ან ვინმემ მიშველოს“. დიდმა და პატარა ჯარისკაცებმა ერთმანეთს გადახედეს. პატარამ თქვა: „ჩვენ ჯარისკაცები ვართ. ჩვენს უფროსთან მიგიყვანთ და ის აუცილებლად დაგეხმარება“. „თქვენ გაიხარეთ, თქვენ გაიხარეთ“, - ატირდა ბებია. მართლაც, ჯარისკაცებმა ბებია უფროსთან მიიყვანეს და ყველაფერი უამბეს. უფროსმა ბებია დააწყნარა, თავი მოიფხანა, გაიხედ-გამოიხედა, მერე დიდსა და პატარა ჯარისკაცებს შეხედა და უბრძანა: „დიდო ჯარისკაცო!“ „გისმენთ!“ - გაეჭიმა დიდი ჯარისკაცი. „პატარა ჯარისკაცო!“ - „გისმენთ!“ - გამოეჭიმა პატარა ჯარისკაციც. „ახლავე წახვალთ, მონახავთ დევის ადგილსამყოფელს და ცისკარას დაუბრუნებთ ბებიას“. „არის!“ - ერთხმად დაიძახეს დიდმა და პატარა ჯარისკაცებმა, თავ-თავიანთი ავტომატები აიღეს და გაუდგნენ გზას. ცოტა რომ გაიარეს, პატარა ჯარისკაცმა იკითხა: „კი, მაგრამ ჩვენ საით გაგვიწევია, ვიცით რო სად ცხოვრობს დევი?“ „ჰა?“ - იკითხა დიდმა ჯარისკაცმა. „ჰა და ზახრუმა! ვიცით კი სად მივდივართ? „ბიჭო, იცი, რას გეტყვი, ნუ გაქვს ეგეთი ჩვეულება. ზრდილობიანად მომმართე ხოლმე“, - განაწყენდა დიდი ჯარისკაცი, ტუჩები დაბერა და მთელ გზაზე ხმას აღარ იღებდა. ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს, მიადგნენ ერთ უსიერ ტყეს. დიდ ჯარისკაცს წყენა დავიწყებოდა და პირველმა დაარღვია დუმილი: „ტყეში უნდა შევიდეთ?“ „მაშ, დევები

მეტროში ხომ არ დაგვხვდებიან“, - მოუჭრა პატარა ჯარისკაცმა. დიდ ჯარისკაცს ისევ გული მოუვიდა, უფრო კი თავის თავზე - აკი გადაწყვეტილი ჰქონდა, პირველს ხმა არ ამოეღო და ახლა ფეხს აუჩქარა. პატარა ჯარისკაცი ძლივსღა ეწეოდა: „მოიცა, ბიჭო, რა გარეკე“, ქოშინით მისდევდა იგი. ტყეში სიჩუმე იდგა. ათასნაირი ყვავილისა და ფოთლის სურნელი ყოველ ნაბიჯზე იცვლებოდა. ჯარისკაცებს უკვე შიოდათ, საგზალი კი მხოლოდ სამი დღისა ჰქონდათ და გადაწყვიტეს, ჯერ ტყის ნობათით დანაყრებულიყვნენ. შორიახლოს დიდი კაკლის ხე იდგა. გაიხარეს ჯარისკაცებმა, მაგრამ, მიუახლოვდნენ თუ არა, შეამჩნიეს, რომ ნაყოფი ვიღაცას უკვე გაეკრიფა. უცებ რაღაცამ გაიფხაჭუნა. დიდ ტოტზე წითურა ციყვი გამოჩნდა. პირში კაკალი ეჭირა. დიდმა ჯარისკაცმა ავტომატი მოიმარჯვა, პატარამ ცალი ხელი მკლავში ჩაავლო, მეორე ხელის საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიტანა: „სსუუ! აქ იყავი, არ გაინძრე!“ - წაიჩურჩულა მან და ფეხაკრეფით მიჰყვა ციყვს, რომელიც უკვე ძირს ჩამოსრიალებულიყო და ფუმფულა კუდის ქნევით ფრთხილად მიცუნცულებდა, რომ კაკალი პირიდან არ დავარდნოდა. დიდი ჯარისკაცი, ავტომატით ხელში, ისე გადაზნექილი და გაშეშებული იდგა, რომ შორიდან კვრინჩხის ხე გეგონებოდა. ციყვი და პატარა ჯარისკაცი ხეთა ლაბირინთებში დაიკარგნენ. მას ისღა დარჩენოდა, გაუნძრევლად დალოდებოდა პატარა ჯარისკაცს. დრო ძალიან ნელა გადიოდა. ის-ის იყო, დიდ ჯარისკაცს წელში გასწორება მოუნდა, რომ ფიჩხის ტკაცუნი გაისმა და პატარა ჯარისკაცი გამოჩნდა: „მივსდიე და მივაგენი, სად ინახავს კაკალს. ისეთი დიდი ფუღურო გაუთხრია, ეს ხე, ეტყობა, სულ მაგ მოროდიორების გაძარცულია. იქ ალბათ, ბევრი კაკალი დაგვხვდება. წავიდეთ!“ „ბაბუ, მოროდიორი რა არის?“ - მეკითხება ჯაბა. „მოროდიორი? აი, შენს დღეობაზე ვიღაცამ სათამაშო რომ მოგიტანა და მერე ჩუმად უკან წაიღო“. „ჰოო? ისე გამოვიდა, თითქოს მათხოვა, არა?“ - ასკვნის გულდაწყვეტილი ჯაბა. ისევ ზღაპარს ვუბრუნდები. ჰოდა, მიადგნენ ფუღუროს. ციყვს ვიწრო შესასვლელი ხავსით დაეფარა. იქ პატარა ჯარისკაცის ხელი თუ შეეტეოდა. ჩაცუცქდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა. ნელა შეყო ხელი და იქიდან, ასევე ფრთხილად, გაღიმებულმა რაღაც გამოიღო. ხელისგულზე აღმოჩნდა დიდი სააღდგომო კვერცხის მსგავსი, სხვადასხვა ფერად შეღებილი რაღაც, რის დანახვაზეც დიდმა ჯარისკაცმა შეჰყვირა: „შეაგდე უკან და დაწექი!“ პატარა

ჯარისკაცს ეს რაღაცა ხელიდან გაუვარდა და ძირს დაემხო. ერთხანს ორივენი გაუნძრევლად იწვნენ. მერე, როცა აღარაფერი მოხდა, პატარა ჯარისკაცმა თავი წამოსწია: „რას იყვირე? - შეეკითხა ჯერ კიდევ თავჩარგულ დიდ ჯარისკაცს. „ეგ ბომბია, ჩქარა აქაურობას გავეცალოთ, თორემ აფეთქდება“, - წამოხტა და გაიქცა. პატარა ჯარისკაცი უკან მიჰყვა. დიდხანს ირბინეს. სამშვიდობოს რომ გავიდნენ, პატარა ჯარისკაცმა იკითხა: „რა იცი, რომ ბომბი იყო?“ „მა სხვა რა იქნებოდა ეგეთი ლამაზი?“ „ლამაზი მარტო ბომბი ხომ არ არის. შენ რაღაც აურიე“. „მა ის წითელი, მწვანე და ყვითელი, შუშხუნის მაგვარი ზოლები რომ დაუდიოდა, რა, კაკალი იყო?“ „ჰო, რა ვიცი“, - თქვა შეფიქრიანებულმა პატარა ჯარისკაცმა. „დაველოდოთ, თუ აფეთქდა, ხმას ხომ გავიგონებთ. თუ არადა, ისევ მივაკითხოთ“. ცოტა ხანს იყუჩეს. უკვე ბინდდებოდა და დაბრუნება აღარ ღირდა. გადაწყვიტეს, დასაძინებლად იქვე მოწყობილიყვნენ. შორიდან გუგულის ძახილი ისმოდა. ერთი-ორჯერ ბუჩქებში რაღაცამ გაიფაჩუნა, რამდენჯერმე სინათლის წითელმა წერტილებმა გაიელვეს. „ვინმე მაინც გამოჩნდეს, რომ ვკითხოთ, დევი სად ცხოვრობს, თორემ ეგრე ჩვენ აქ მგლები შეგვჭამენ“, - თქვა მოუსვენრად გვერდიდან გვერდზე მოტრიალე პატარა ჯარისკაცმა. დიდი ჯარისკაცი ხვრინავდა. ანაზდად რაღაც ქარივით ამოვარდა. შრიალით გადაიღუნ-გადმოიღუნენ უზარმაზარი ხეები, სხვადასხვა ფერად განათდა და აციმციმდა იქაურობა. ზემოთ ვერტმფრენივით რაღაცამ დაიწყო ფრენა. დიდ ჯარისკაცსაც გაღვიძებოდა. ორივენი ერთმანეთს მიჰკვროდნენ, შეშინებულები მისჩერებოდნენ, თუ როგორ დაეშვა ცისარტყელასავით მოკიაფე არსება და დაიწივლა: „თქვენ აქ რას აკეთებთ?“ შუქნიშანივით მწვანედ მოციმციმე თვალები პირდაპირ ჩასცქეროდნენ პატარა და დიდ ჯარისკაცს. „ტროლეიბუსს ველოდებით“, - წამოაყრანტალა დიდმა ჯარისკაცმა. „რა ტროლეიბუსს?“ - ვერაფერს მიხვდა არსება. „რა დროს ხუმრობაა, კაცი წესიერად გვეკითხება, ჩვენც სიმართლე ვუთხრათ“, - პატარა ჯასკაცი ფეხზე წამოდგა: „ჩვენ ჯარისკაცები ვართ და ვეძებთ დევს“. „დეევს?“ - განიხიბლა ჩამოფრენილი. „ჰო, მან ცისკარა მოიტაცა და ჩვენ უნდა ვუშველოთ ბებიას“, - გონს მოეგო დიდი ჯარისკაციც. „მაშ, თქვენც ჩემს დღეში ყოფილხართ. გუშინ ამ კაკლის ხესთან მეც ჩემი კვერცხი დავკარგე. ვერა და ვერ მიპოვია. ისეთი ნაზი და მსუბუქია, ვერც კი გავიგე, როგორ დამივარდა“. „მოიცა, მოიცა, - წამოიძახა პატარა ჯარისკაცმა. - რა კვერცხი?“ „ჩემი კვერცხი,

რომელსაც ას წელიწადს ველოდებოდი. სადაცაა იქიდან ჩემი შვილი - პატარა ფასკუნჯიკო უნდა გამოჩეკილიყო“. „ხავერდივით რბილი და შენისთანა ფერებით შეღებილი?“ - აღელდა პატარა ჯარისკაცი. „ჰო. შენ საიდან იცი?“- დაიწუილა ჩამოფრენილმა და დიდ ჯარისკაცს ქუდი გადაუვარდა. „მაშასადამე, შენ ფასკუნჯი ხარ? ხა! ხა! - გაიცინა პატარა ჯარისკაცმა. - წავიდეთ, მე გაპოვნინებ შენს კვერცხს!“ „ოჰ! პატარა ჯარისკაცო! შენ თუ ამას მოახერხებ, გაძლევ ფასკუნჯის პატიოსან სიტყვას, ცისკარას გამოხსნაში დაგეხმარებით. წავიდეთ, წავიდეთ“. დიდი ჯარისკაციც წამოდგა. ფასკუნჯმა ერთი შეიფრთხიალა და იქაურობას ქარი დაატეხა. „არა! - გადაიფიქრა პატარა ჯარისკაცმა, - შენ აქ დარჩი! ჩვენ წავალთ და მოვიტანთ კვერცხს, თორემ შეიძლება შენი შიშით იქ რაიმე უბედურება დატრიალდეს“. პატარა ჯარისკაცმა და დიდმა ჯარისკაცმა ძლივს მიაგნეს ციყვის ფუღუროს. ფეხაკრეფით მიეპარნენ, მიაყურადეს. რაღაც ხმები გამოდიოდა. პატარა ჯარისკაცი მიწაზე გაწვა, შეიხედა და რა დაინახა: ფასკუნჯის კვერცხი ნახევრად გატეხილიყო, საიდანაც თავი წამოეყო წიწილისმაგვარ არსებას, რომელსაც ჯერ თვალები დახუჭული ჰქონდა, თავზე მამლის ბიბილოსავით რაღაც წამოზრდოდა, ბრჭყვიალებდა და ნარინჯისფრად ანათებდა იქაურობას. კვერცხის ირგვლივ კი წითურა ციყვი ცეკვავდა, კუდი ყელზე შემოეხვია და მღეროდა: „მე კაკალი მეგონე, შენ კი კანკალი დაიწყე“... პატარა ჯარისკაცმა დიდ ჯარისკაცს ხელით ანიშნა, ახლოს მიჩოჩებულიყო. დიდმა ჯარისკაცმა შეიხედა თუ არა, დაიღრიალა: „პატარა ფასკუნჯიკოა, პატარა ფასკუნჯიკო“. ხელით ეცა ფუღუროს შესასვლელს, მაგრამ ვერ შეატია. ფუღუროდან კი დამფრთხალი ციყვი გამოხტა და სიბნელეში გაუჩინარდა. „ეეე! შე ბოთე! რა კონცერტი ჩაშალე!“ - თქვა პატარა ჯარისკაცმა. მერე ფუღუროში შეიხედა, ხელი შეაცურა და ცეცხლის ალივით მოლივლივე ფასკუნჯიკო გამოიყვანა. ფასკუნჯმა, დაინახა თუ არა თავისი ფასკუნჯიკო, ერთი შეჰკივლა და გასროლილ რაკეტასავით ცაში ავარდა. ნაირფერი შუშხუნებით გააცისკროვნა ტყე, ირაო დაჰკრა, მერე ნარნარად ჩამოეშვა, თითქოს სიბნელეში ვერ ეტევა და გზას ძლივძლივობით იკაფავსო. თანაც, ფასკუნჯურ ენაზე რაღაცას ლუღლუღებდა. დაშვებისას ძლიერი ფრთები მოადუნა, ფასკუნჯიკოს ხალიჩასავით გაუფინა მიწაზე და, როცა იგი მოხერხებულად მოეწყო დედის ფრთაზე, ფასკუნჯმა ფრთები შეიკეცა, შვილი

გულში ჩაიხუტა, ისევ ზემოთ აიჭრა და იქიდან გადმოსძახა: „ჯარისკაცებო, ჩემს ფასკუნჯიკოს დავაბინავებ. ხვალ დილით კი თქვენთან ერთად წამოვალ ცისკარას საძებნელად, ახლა დაიძინეთო“. ჯაბუკას გადავხედე. არ იძვრის: „გძინავს?“ „არა!“ - მპასუხობს სერიოზულად. „მაშ, დაიძინე და ხვალ განვაგრძოთ ზღაპარი“. „არა! არა! ბაბუ, მიდი, გააგრძელე!“ რა გაეწყობა. ვიდრე რამეს მოვიფიქრებდე, კვლავ მუსიკალურ გაფორმებას ჩავებღაუჭე - რაღაც მინორული მელოდია წავიღიღინე. ჰოდა, - განვაგრძობ, - ის ღამე დიდმა და პატარა ჯარისკაცმა ტყეში გაათიეს. ტკბილად და უშფოთველად ეძინათ. სამაგიეროდ, ციყვს სულ ერთი „კლამპიც“ კი არ უძინია. როგორც კი ფუღუროდან გამოვარდა, დიდი ჯარისკაცის ჯიბეში მოხვდა, რაღაც ღილებსა და ნაკერებში გაიხლართა და კუდიც მოეწეწკვა. ვეღარ ინძრეოდა, ეშინოდა, დიდ ჯარისკაცს არ ეგრძნო და არ გამოეჭირა. აღარ იცოდა, ამ ტყვეობისგან როგორ დაეღწია თავი. ყველაფერს თავის სიხარბეს აბრალებდა. კაცმა რომ თქვას, რად უნდოდა რაღაც კვერცხი, მაგრამ იგი ხომ ლამაზი ფასკუნჯიკო გამოდგა? ეს ჯარისკაცები რომ არა, ეს მოროდიორები, ფასკუნჯიკოს გაზრდიდა, მოუვლიდა. დიდი მეგობრები გახდებოდნენ. თავსაც მარტო აღარ იგრძნობდა ამ ტყეში. წითურა ციყვს ძალიან შეეცოდა თავისი თავი, ცრემლებიც კი მოადგა. „ბაბუ, აკი ციყვი იყო მოროდიორი?!“ დაინტერესდა ჯაბუკა. „ო, ეგრე ხდება ხოლმე, თავისი მარცხი ყველას სხვისი ბრალი ჰგონია“. - ვაფუჩეჩებ ამ საკითხს და კვლავ თხრობას განვაგრძობ. ერთი სიტყვით, ფასკუნჯი სიტყვის პატრონი გამოდგა. ჯერ კარგად არც კი ენათა, რომ თავს წაადგა მძინარე ჯარისკაცებს. ერთი დაუსტვინა და ორივე ფეხზე წამოაგდო. დიდმა ჯარისკაცმა თვალები მოისრისა, ავტომატს ხელი დაავლო და გაიჭიმა. პატარა ჯარისკაცს რაღაც კარგი სიზმარი ენახა, ფეხზე კი იდგა, მაგრამ გამოყოლილი ღიმილი ჯერაც სახეზე ეფინა. „აბა, წავიდეთ, მე ვიცი, სად არის დევის სამფლობელო, შემომასხედით!“ - დაიბუბუნა ფასკუნჯმა. ორივე ზურგზე შეისვა და ღონივრად დაიქნია ფრთები. დღისით ფასკუნჯი ისე ლამაზად აღარ გამოიყურებოდა, სამაგიეროდ, ნაკლებად საშიშიც ჩანდა, ფარშევანგის გაშლილი კუდისმაგვარი ბუმბული თბილი და ალერსის ჟინის მომგვრელი იყო. პარაშუტიდან ხტომას ნაჩვევი დიდი და პატარა ჯარისკაცი ცაში აფრენისას მაინცდამაინც არ შეშინებულან. „ვახ! რა გაშლილი მინდორ-ველებია!“- ქვემოთ გადმოიხედა დიდმა

ჯარისკაცმა, - დრო რომ გვქონდეს, გადმოხტებოდა კაცი!“ „უპარაშუტოდ?“ - ნიშნის მოგებით ჩაეკითხა პატარა ჯარისკაცი. „ჰა?“ - პირი დააღო დიდმა ჯარისკაცმა. ახლაღა მიხვდა, გადმოხტომა ან გადმოვარდნა გაუხსნელი პარაშუტის შედეგს მოიტანდა და ფასკუნჯს მხრებში ჩააფრინდა. „ხი, ხუ, ხა! - ჩაიქირქილა ფასკუნჯმა - ნუ გეშინიათ, ცოტაც მოითმინეთ. ადამიანი ზემოთ, ცაში უნდა იყურებოდეს და არა მიწაში, თუ უნდა, რომ არ დაიღუპოს. მალე ფასკუნჯი ღრუბლებში შეიჭრა. ყველაფერი ბურუსმა მოიცვა, მერე კაშკაშა მზეზე გავიდა და ღრუბლები თეთრ, ქათქათა თოვლის უდაბნოდ გაეფინათ ფეხებთან. დიდი ჯარისკაცის ჯიბეში გამომწყვდეული საწყალი წითურა ციყვი შიშისგან ცახცახმა აიტანა. მას ხის კენწეროზე მაღალი აღარაფერი წარმოედგინა. ახლა კი, როცა ჯიბეში გამოღრღნილი ჭუჭრუტანებიდან დროდადრო ჩახედავდა უსასრულობას, თვალებს სწრაფად ხუჭავდა და სული ეხუთებოდა. ერთი-ორჯერ ისე აკანკალდა, რომ დიდი ჯარისკაცის ხმამ მოიყვანა გონს: „რა არის, კაცო, თეძო რატომ მეფხანება?“ „ფასკუნჯს ხელი არ გაუშვა, თორემ ერთხელ და სამუდამოდ გაფრინდები“, - შეახსენა პატარა ჯარისკაცმა. ციყვის საბედნიეროდ, დიდი ჯარისკაცი უფრო ძლიერად ჩაეჭიდა ფასკუნჯის მხრებს. ბევრი იფრინეს თუ ცოტა იფრინეს, მიადგნენ ერთ მთაგორიან ადგილს. ყველაზე მაღალი მთა ხასხასა მწვანე ტყეში ჩაფლულიყო, წვერთან კი პატარა მზეს გამოეშვა ვერცხლისფერი სხივები. „აი, ეგ დევის სასახლეა, - დაიწყო დუდუნი ფასკუნჯმა, - ასეთ დროს სახლში არ იქნება. სულ მარტოა. ალბათ, ცისკარა ბროლის სასახლეში ჰყავს გამოკეტილი. უნდა ვიჩქაროთ, სანამ დაბრუნდება. ფასკუნჯმა დაშვება იწყო. ჯარისკაცებიც მოემზადნენ. წითურა ციყვს სულ ცოტაღა დარჩენოდა, რომ ჯიბე გაერღვია და განთავისუფლებულიყო, ჯიბის ღრიჭოდან გაიხედ-გამოიხედა, უკვე გვიან იყო - კარგი მომენტისთვის გადადო გაქცევა. „ბაბუ, ავტომატები?“ - მეკითხება ჯაბა. „რა ავტომატები? - ვიმეორებ იმისთვის, რომ რაღაც მოვიფიქრო. მივხვდი, „იაღლიში“ მომივიდა. „სად არის პატარა ჯარისკაცის და დიდი ჯარისკაცის ავტომატები?“ „ჰო, ავტომატები ხომ ტყეში დატოვეს“. „რატომ“? „აბა, აქ რაში დასჭირდებოდათ?“ „მაშ, დევი?“... „დევი უკვდავია, - უცებ გამინათდა გონება, - ხომ ვერ მოკლავ. ბროლის სასახლე შორიდან ელავდა, ახლოდან პრიალებდა, თუ ხელს მოიჩრდილავდი - გამჭვირვალე იყო. ერთ უზარმაზარ ლარნაკს წააგავდა. შესასვლელი და კიბე არსად ჩანდა.

ფასკუნჯმა დაუარა სასახლეს, მაგრამ შიგ შესაღწევი ვერ აღმოაჩინა. უცებ პატარა ჯარისკაცმა დაინახა, რომ სასახლეში რაღაც მოძრაობდა, ხელი კარგად მოიჩრდილა, დააკვირდა სასახლეში ატეხილ მოძრაობას და დაიყვირა: „ცისკარა! ცისკარა!“ - ყველა მიადგა პრიალა კედლებს, გასაქცევად მომზადებული ციყვიც კი დაინტერესდა და გაიტრუნა დიდი ჯარისკაცის ჯიბეში. თეთრ კაბაში გამოწყობილი ლამაზი გოგონა რაღაცას ყვიროდა და ხელით სასახლის კედლის ერთ ადგილზე ანიშნებდა. ყველანი იმ ადგილას მიიჭრნენ. მერე ფასკუნჯი გაქანდა, თავისი ძლიერი მხრებით მიენარცხა იმ წერტილს, რაზეც ცისკარა მიანიშნებდა. სასახლის ის ნაწილი გაიღო და წიგნივით გადაიშალა. „შენს წასაყვანად მოვედით, ბებიამ გამოგვგზავნა!“- შესძახა პატარა ჯარისკაცმა. ცისკარამ ისე გაიხარა, რომ ყველა გადაკოცნა. „ახლა სწრაფად უნდა წავიდეთ, დევმა არ მოგვისწროს, - წაიდუდუნა ფასკუნჯმა. „ჩქარა! შემომასხედით ორნი! სამს ვერ ავიტან. ჯერ ცისკარასა და პატარა ჯარისკაცს, მეორე რეისით კი დიდ ჯარისკაცს წამოვიყვან!“ პატარა ჯარისკაცს ძლიერ უნდოდა ცისკარასთან ერთად მგზავრობა, მაგრამ დიდ ჯარისკაცს მარტო ხომ არ მიატოვებდა. ამიტომ თქვა: „ჯერ ცისკარა და მერე - ჩვენ“. თავპატიჟის დრო არ იყო - ფასკუნჯმა შეისვა ცისკარა, დატრიალდა და გაფრინდა... „ბებიას ხიდთან დამელოდე, ბებიას ხიდთან!“ - მიაყვირა პატარა ჯარისკაცმა. ფასკუნჯი თვალს მიეფარა თუ არა, ხმაური გაისმა. „დავიმალოთ, მგონი, დევი მოდის“, - შეხტა სასახლეში პატარა ჯარისკაცი და იქვე, შესასვლელთან მდგარ დიდ კიდობანს ამოეფარა. „არ გაინძრე, ხმა არ ამოიღო!“ - წასჩურჩულა მან დიდ ჯარისკაცს, რომელიც წამსვე მის გვერდით გაჩნდა. დევი ბურდღუნით მოდიოდა. მარტოობაში მყოფ სულს ფიქრისა და სიტყვის განსხვავება არ სჭირდება. დევიც, რასაც ხედავდა, გრძნობდა, ვარაუდობდა, სურდა თუ უკვირდა - ყველაფერს ლაპარაკობდა. დათვზე გაცილებით დიდი და გაბურძგნილი იყო. ხოლო თავი ოთხკუთხა პანორამულ ტელევიზორს მიუგავდა, რქაც ანტენასავით ჰქონდა ამოშვერილი. „ეს რა უბედურებაა ჩემს თავს, რატომაა სასახლის კარი ღია, ცისკარა ხომ არავინ მომტაცა, ვაიმე!“ - დაიგრუხუნა დევმა და სასახლის ზემოთა სართულზე ავარდა. როცა მთელი სასახლე დაირბინა და ცისკარა ვერსად ნახა, უმწეოდ დაჯდა ბროლის იატაკზე და მოჰყვა უსაშველო ვაი-ვიშს: „რა მეშველება მარტოდმარტოს. მას შემდეგ, რაც კატა გარდამეცვალა, სუდ მარტო ვიყავი. და ჰა,

როგორც იქნა, მოვიყვანე ცისკარა. მეგონა, ჩემს აკვარიუმს გაანათებდა. ახლა ისევ მარტო დავრჩი, რად მინდა სასახლე ან ჯადოსნური ტბა და აკვარიუმი. მარტომ რა თავში ვიხალო, - ცხარე ცრემლებით ტიროდა და მოთქვამდა დევი, - ერთი სულიერი არსებაც კი არ არის ჩემთან. დავეხეტები ამ ტყე-ღრეში. რას ვეძებ, მე თვითონ არ ვიცი. რაღაც მინდა სიცოცხლე? მოკვდავი მაინც ვიყო - მოვკვდებოდი და ამით დამთავრდებოდა ჩემი სიმარტოვე, მაგრამ სამუდამოდ ეულად ყოფნა ხომ აუტანელია?!“ დევი ისე გემრიელად ზლუქუნებდა, რომ დიდ ჯარისკაცსაც გული აუჩუყდა და მანაც ერთი ლაზათიანად დაიზლუქუნა. „ეს რა ხმა იყო, ეს რა მომესმა“, - მიმოიხედა თავისი ოთხკუთხა თავით დევმა, წამოდგა და იქით გაეშურა, საიდანაც ხმაური შემოესმა. დიდ ჯარისკაცს და პატარა ჯარისკაცს შიშისგან ფერიფური წაუვიდათ, თავბრუ დაეხვათ და, ის-ის იყო, უნდა წაქცეულიყვნენ, რომ ანაზდად დიდი ჯარისკაცის ჯიბიდან წითურა ციყვი გამოხტა და დევს ყიჟინით შეეგება: „ეს მე ვარ, მე“. - პირდაპირ მხარზე შეახტა. „ვახ! შენ ვინა ხარ?“ - გახარებულმა დევმა ციყვისკენ წაიღო ტორი, ხოლო წითურამ მის ყურს შეაფარა თავი. მერე ამოხტა, იღლიაში შეუძვრა და ღიტინი დაუწყო: „ხა! ხა! ხა!“ - ხარხარებდა დევი და ციყვის დაჭერას ლამობდა. ის კი ხან ერთ მხარეს უღიტინებდა, ხან მეორე მხარეს, ხან ყურში ჩაუძვრებოდა, აცინებდა და თვითონაც კისკისებდა: „ნუ გეშინია, დევო, მე შენთან დავრჩები და მარტო აღარ იქნები, ოღონდ კაკლის ხე თუ გაქვს შენს სამფლობელოში, კაკლის ხე?“ „მაგის მეტი რა მაქვს, თრითინავ! წამო, გაჩვენო!“ - სიხარულით მთლად გადაირია დევი და ხტუნვა-ხტუნვით ფერადი შუშაბანდიდან აივანზე გავიდა. შემდეგ აივანი ძირს დაეშვა, შუშაბანდი მოირღვა, პატარა ჯარისკაცმა და დიდმა ჯარისკაცმა დაინახეს ცისფერი კამკამა ზღვა, რომლის ნაპირზეც უამრავი კაკლის ხე იდგა. შორს კი მწვანეში გამოწყობილი თეთრქუდა მთების ჯარი გამწკრივებულიყო. „აუ!“ - გაკვირვებისგან პირი დააღო დიდმა ჯარისკაცმა. პატარა ჯარისკაცმა წამსვე პირზე ხელი მიაფარა და მიუსისინა: „სუუ!“ - ზღვა ბროლის სასახლის ქვედა სართულის კედლებზე მომდგარიყო, ლურჯი და ვერცხლისფერი ათინათებით ლივლივებდა. „თრითინ! გეყოფა ოინბაზობა, ახლა მთავარია ჩვენ გავსინჯოთ აკვარიუმი!“ - დევი ბროლის კედელს მიადგა. „აი, ამ პატარა ყუთს ხედავ? აქ შენ დადგები, ამ მეორე ყუთზე - მე. ეს აკვარიუმია. - მიარტყა ტორი კედელს, საიდანაც ზღვა

იცქირებოდა - როცა მე ამ დიდ ყუთზე ვდგები, თუ ვინმე სულიერი მაგ პატარა ყუთზე არ შედგა, აკვარიუმი არ მუშაობს. აი, რას ნიშნავს მარტოობა! შეხტი, თრითინ!“ - მიიწვია დევმა და ბაჯბაჯით ავიდა ყუთზე. ციყვმა მიიხედ-მოიხედა, თვალი მოჰკრა თავგამოყოფილ ცნობისმოყვარე ჯარისკაცებს, კუდი დაუქნია და ყუთზე შესკუპდა. ანაზდად სიღრმეში ზღვა განათდა. იქიდან ნარნარი მუსიკის ჰანგები გაისმა, ზღვის ფსკერიდან ერთიმეორის მიყოლებით გადაჯაჭვული ოქროს თევზების რიგები გამოჩნდა. წინ - დიდი, თანდათან პატარები, ბოლოს კი სულ ერთი ციცქნა ლიფსიტები აბრჭყვიალებდნენ ზღვას. ყველანი მუსიკის რიტმზე არხევდნენ კუდებს და თვალები მინაბული ჰქონდათ. ერთი წრე შემოუარეს და, როგორც ანაზდად გაჩნდნენ, ისევე მოულოდნელად გაქრნენ. ახლა სალამურის ჯადოსნურ ხმაზე აკვარიუმის კედლებთან ზებრასავით ჭრელი თევზი ტაატით მოძრაობდა, ნაზად იზმორებოდა და ვიღაცას ეპრანჭებოდა. მერე შავმა, წითელთვალება დიდმა თევზმა ამოყვინთა და ჭრელ თევზთან დაიწყო ცეკვა. „ჰა, როგორია? - თავმომწონედ ამბობდა დევი, - მოგწონს?“ „საუცხოოა, გადასარევია“, - ისევ ყუთზე ხტოდა ციყვი. მეყსეულად მუსიკა შეწყდა და სასახლის კედელთან, ზღვაში, უშველებელი ზვიგენი ამოხტა, უკუღმა გადატრიალდა, ნიანგივით მოგრძო პირი დაკრიჭა და ბროლის კედელს სთხლიშა თავი. „ვაი!“ - შეშინდა ციყვი. „რა მშიშარა ყოფილა, სამაგიეროდ, კეთილი უნდა იყოს, - თქვა დევმა. - ახლა ვეშაპი გამოჩნდება და ალბათ, დაწყნარდება“. მართლაც, ზღვა აღელდა, ტალღები აიქოჩრა. ხმაურიანმა მუსიკამ იგრიალა. ზღვიდან შადრევანმა დაიწყო ჩქეფა. ნელ-ნელა ზღვის ზედაპირზე მთა ამოიზარდა. ზვიგენი დაფრთხა, სასახლის კედლებს მიაწყდა, შემდეგ ჩაყვინთა, მაგრამ ვეშაპმა მოასწრო და ზვიგენს კუდი სთხლიშა! „ვაი!“ - დაიძახა ციყვმა და ყუთიდან გადმოხტა. მისი ჩამოხტომა და ზღვაზე სინათლის გამორთვა ერთი იყო. დევმა გადაიხარხარა და თქვა: „აი, ხომ ხედავ, თუ არ მოგეწონება, ჩამოხტები და ამით დამთავრდება ყველაფერი“. „არა, კი არ შემეშინდა, მომშივდა, - უპასუხა ჩაფიქრებულმა ციყვმა, - მომიტანე კაკალი. ვნახოთ, როგორი კაკალი მოდის შენს ტყეში“. დევი მოსატანად გაიქცა, ციყვი კი კიდობანს ეცა: „ჯარისკაცებო! ვიდრე მე დევთან აკვარიუმს ვუყურებ, თქვენ გაიქეცით. მალე ფასკუნჯი მოგაკითხავთ და გადით სამშვიდობოს“. „კი მაგრამ, შენ აქ როგორ მოხვდი?“ - ჰკითხა პატარა ჯარისკაცმა. „დიდი

ჯარისკაცის ჯიბით ვიმოგზაურე. ახლა ამის მოყოლის დრო არ არის. გზა მშვიდობისა, მე აქ დავრჩები. აბა ჩქარა!“ პატარა ჯარისკაცი და დიდი ჯარისკაცი ეზოში გაცვივდნენ და ხეებს ამოეფარნენ. „ხედავ, მაგ მოროდიორს, რა მარდი ვინმე ყოფილა“, - ჩაილაპარაკა რატომღაც დარცხვენილმა დიდმა ჯარისკაცმა. მალე სასახლიდან მელოდიური ჰანგები გაისმა. ცოტა ხანში ღრუბლებში ფასკუნჯი გამოჩნდა. პატარა ჯარისკაცმა ბლუზა და ყვითელი მაისური გადაიძრო, თავს ზემოთ დაატრიალა, ფასკუნჯს მიუთითებდა, სად უნდა დამჯდარიყო. ფასკუნჯს ჯერ კიდევ მიწაზე ფეხი არ დაედგა, რომ ჯარისკაცები მისცვივდნენ, მოახტნენ და შეეხვეწნენ: „ჩქარა! ჩქარა! ვიდრე დევი აკვარიუმთან თამაშობს, გავეცალოთ აქაურობას!“ ჩემი ამასწინანდელი „იაღლიში“ რომ გამომესწორებინა, უკანა გზაზე ფასკუნჯი, თავისი მგზავრებიანად, ტყეში შევაჩერე და, კინაღამ ძილმა მომტაცა თვალი, ამიტომ ხმამაღლა განვაგრძე: ჯარისკაცებმა ავტომატები მოძებნეს, ფასკუნჯს დაემშვიდობნენ, ფასკუნჯიკოსთან მოკითხვა დააბარეს და ყაზარმისკენ გასწიეს. ხიდთან, რომელიც უკვე შეეკეთებინათ, ყვავილებით ხელში მათ ცისკარა ელოდებოდა. სამხედრო ნაწილში კი კარგა ხნის წინ გაეგოთ ცისკარას გათავისუფლების ამბავი. ჯარის უფროსს ჯარისკაცები სადღესასწაულო ტანისამოსში გამოეწყო, რიგში დაემწკრივებინა. იქვე სამხედრო ორკესტრიც გაჭიმული იდგა და, როგორც კი პატარა და დიდი ჯარისკაცი გამოჩნდნენ, დასცხეს მარში. დიდი ჯარისკაცი და პატარა ჯარისკაცი უფროსს გაეჭიმნენ და მოახსენეს: დავალება შესრულებულია, ცისკარა განთავისუფლებულია!“ „გმადლობთ! - თქვა უფროსმა. - ახლა წადით სასადილოში, იქ ცხელი საჭმელი გელოდებათ: შენ, პატარა ჯარისკაცო, შენი საყვარელი წიწიბურას ფაფა, შენ კი, დიდო ჯარისკაცო - შენი საყვარელი ბორში!“ ქატო - იქა, ფქვილი - აქა, წყალი - იქა, ღვინო - აქა!“

პატარა ჯაბას გადავხედე. უკვე ეძინა. მეც რული მომეკიდა. კარზე ნაცნობი ბრახუნი გაისმა. მოვიდნენ. ჩემს ცოლს არ სძინავს. ჩვენთან ჩემი დეიდაშვილის შვილი, მამუკა ტყავაძე მორიგეობს. „ვინ არის?“ - კითხულობს სუსკია. „შინაგან საქმეთა სამინისტროდან“. ვდგები. „ხვალ დილით მოდით. ამ შუაღამეს კარი არ გაიღება“. ბრახუნი წყდება. ჰოლში სინათლე არ ანთია. სუსკია გაშეშებული დგას. კვლავ აბრახუნებენ.

სუსკია უყვირის: „ხვალ მოდით, ხვალ, ახლა მინისტრს დაურეკეთ, შოთა კვირაიას“. „შოთა ვარ, შოთა!“ ვიცანი კვირაიას დაგუბებული ხმა. მოულოდნელად სწრაფად ვაღებ, კართან მომდგარ კვირაიას შიგ ვიტაცებ და რკინის კარს უმალ ვაჯახუნებ. კარი ავტომატური საკეტით იკეტება. იქიდან აბრახუნებენ. კვირაია აქედან უწყრება მათ. ოთახში შევდივართ. კვირაია ნასვამია - თავის გასამხნევებლად თუ დალია. სუსკია გახარებულია: „შოთა, შოთა!“ - კოცნის. „მოიცა!“ - უხეშად ვართმევ ამ ბოლო იმედს. ვიცი, რატომაც არის მოსული. თუ ამდენი გაბედა, ახლა გინდ აკოცე და გინდ ურო ურტყი თავში. „რაშია საქმე?“ - ვეკითხები. სუსკია მეორე ოთახში გამყავს. „თბილები მოამზადე“. - ვეუბნები. გაოგნებულია. კვირაიას თავი ჩაურგავს, „პარაბელუმები“ მაგიდაზე დაუდია. რა არის ეს? თავის მოკვლას მთავაზობს? თუ მაგაზე მიდგება საქმე, ჯერ ამ ბაყაყს მოვკლავ და მერე ვნახოთ... ჰო, რას გაიხარებს შევარდნაძე - ერთბაშად ორივეს მოგვიცილებს. სტალინის კიდევ ერთ პრინციპს გაატარებს: „არის ადამიანი - არის პრობლემა, არ არის ადამიანი - არ არის პრობლემა“. ალბათ ასე შესთავაზეს თავის მოკვლა ფინანსთა მინისტრ დემურ დვალიშვილსაც, გამიელვა თავში და ეს აზრი კიდევ უფრო განმიმტკიცდა მერე, როცა შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტში კვირაიამ გაიმეორა ეს პროვოკაციული მიზანსცენა. ახლა რაღაცას ლუღლუღებს. ცალკეული სიტყვებიდან ფრაზებს ვაკოწიწებ: დღეს ერთ საათს რუსთა ჯარის სარდალ რეუტთან ყოფილა, მერე სამ საათს - შევარდნაძესთან და ახლა უნდა წავყვე... „მაგათ უნდათ“... აღარ აბოლოებს, სამ თითს „კუკიშად“ კეცავს, ჩემს დასანახავად ვიღაცას უჩვენებს თუ ჩემს გასაგონად ამბობს: „აი, არ გამოუვათ“... დიდ ფსიქოლოგად მომაქვს თავი, მაგრამ საბჭოთა მილიციელს ბოლომდე ვერასოდეს გავუგე. აქ ნაძირალობის ისეთი სიღრმეებია, თვით დოსტოევსკიც კი ფეხს წაიმტვრევდა. ერთი სიტყვით, უნდა წავიდეთ. თბილად ვიცვამ. სუსკიას შევავლე თვალი: „ბავშვს ხომ არ გაუღვიძია?“ „არა“. მთელი ჩვენი ორმოცი წლის ახლობლობაში პირველად მეცოდება - უღრმეს მწუხარებას და სასოწარკვეთილებას მოუცავს. „წავიდეთ!“ - ვეუბნები კვირაიას.

კართან თხუთმეტიოდე შეიარაღებული პოლიციელი გველოდება. ეზოში, ქუჩაში მანქანები სავსეა შეიარაღებული თანამშრომლებით. სახლის მისადგომებთან

ჯავშანტრანსპორტიორები დგას, მგონი ერთი ტანკიც არის - მხედრიონის ნაალაფევი და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემული. გუნებაში მწარედ მეცინება: ტრადიციული ბოლშევიკური სპექტაკლი. საკმარისია ერთი ავტომატის ჯერი და, ვინ ვის გაასწრებს - მიმოიფანტებიან. მისი მანქანით მივდივართ. გვერდით მიჯდება, რაღაცას მედუდუნება, ვერ ვარკვევ. კაბინეტში პურმარილს მიწყობს, სიყვარულს მეფიცება. კამერებიდან ამოჰყავს გიგა გელაშვილი და დათო შენგელია. ფანჯარაზე შემოდგმულ აკვარიუმს რთავს, ალბათ, ჩასაწერი აპარატურაა. თავისი ჭკუით, მეგობრულ, იმპროვიზებულ დაკითხვას მიწყობს. მერე გიგა და დათო კამერებში ჩაჰყავთ. ჩემზე კი თავისი დაცვის უფროსს და მის მოადგილეებს, რომლებიც მოსაცდელში სხედან, უბრძანებს: „ბატონი ჯაბა ჩემი მანქანით სახლში მიიყვანეთ“. გავდივარ დერეფანში, მერე ლიფტისკენ. კვირაიას მისაღებთან რაღაც ჩოჩქოლია: „ბატონო ჯაბა, მინისტრმა ბრძანა თქვენი დაკავება“. წინ მეღობებიან. „ნუ სულელობს. გადაეცით, რომ მე პარლამენტარი ვარ და, ვიდრე პარლამენტის თანხმობა არ იქნება, ჩემი დაპატიმრება უკანონობაა“. თვალის ასახვევად თუ მართლა, ერთ-ერთ კაბინეტში შევყავარ და ჩემი პროტესტის შესახებ კვირაიას ატყობინებენ. მერე მოდიან და მეუბნებიან: „დააპატიმრეთო, გვიბრძანა...“

1993 წლის 7 ნოემბერია. დილაა. ზუგდიდში შევდივართ. წუხელ ღამით მოკლეს ორი მხედრიონელი, სოფელ პირველ მაისთან კი - კვირაიას სიმამრის სახლიდან წასული თამაზ შონია - სამურზაყანოს ბატალიონის უფროსი. ორი დღის წინ ხობში ზვიადისტებმა დახვრიტეს ექვსი გვარდიელი, მათ შორის, ჟურნალისტი დათო ბოლქვაძე.

ზუგდიდის ქუჩები მიყუჩებულია. ზოგიერთ ეზოში დიდიან-პატარიანად, მთელი ოჯახებია გამოფენილი. აქა-იქ ჭიშკრებთან შექუჩული ხალხი დგას. ზვიადისტებმა დატოვეს ქალაქი, მაგრამ, ძველი გამოცდილებით ვიცით, დილით ჭიშკრებსა და ბაღებში ასე იდგნენ ხოლმე, მოლაზღანდარე მცხოვრებლებივით, საღამოს კი, იარაღასხმული, თავს ესხმოდნენ სამხედრო ობიექტებს! მივდივართ ლოთი ქობალიას შტაბში, „ბერნქარხნის“ ყოფილ შენობაში, ჯერ შენობაში არ ვართ შესული - მენაღმეების მიპატიჟებას ველოდებით, რომელნიც ობიექტის უსაფრთხო მგომარეობას არკვევენ. ეზოში შემოჰყავთ ოთხი ტყვე - სამი ჩეჩენი და ერთი

აფხაზი. წელს ზემოთ რატომღაც ოთხივე გაშიშვლებულა. კუკური ინჯიას - ახლად დანიშნულ მილიციის უფროსს, რომელიც დაგვიანებით შემოვიდა ზუგდიდში, ვგზავნი მილიციაში, ვავალებ, შეკრიბოს თანამშრომლები და ამორჩევით ჩააბას საქმეში. ზაზა პაიჭაძეს ვაბარებ ამ ყოფილ შტაბს - კომენდატურისთვის გამოდგება. აქვს გალავანი, დიდი ეზო, სადაც ტექნიკა მოთავსდება. ერთ საათში მოდის შევარდნაძე. ვეხვევი, ვულოცავ სამოქალაქო ომის დამთავრებას. მასთან არის გივი ლომინაძეც. ადგილობრივი მხედრიონის უფროსი მურმან გუჩუა გვატყობინებს, რომ ზვიადისტები ზუგდიდის ახლომახლო სოფლებში არიან მიმალულნი. ქალაქში გავდივარ. მინდა მოსახლეობას შევხვდე, დავაწყნარო. ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენზე იმდენი ჭორი დაყარეს, რომ თავის თავსაც აღარ უჯერებენ. პირველი შემოსვლისას, 1992 წლის მარტში, განა არ შევხვდი, განა თვითონ არ აირჩიეს გამგებლად გურამ გუნავა, განა ერთ დღეს მაინც იყო მაშინ ზუგდიდში მხედრიონი, მაგრამ რა გინდა, კომუნისტები და ზვიადისტები ცილისწამებაში ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ დროის დისტანციისა და საღი ანალიზის გარეშე ეს მხედრიონის საფრთხობელას ხატი ვერ მოიშლება. პაიჭაძეს განსაკუთრებით მკაცრად ვაფრთხილებ, რომ დაიტოვოს ათი-თხუთმეტი კაცი, დანარჩენი მხედრიონელები, მას შემდეგ, რაც დარწმუნდებიან, რომ მასობრივი თავდასხმა არ არის მოსალოდნელი, გაუშვას სახლებში. იმოქმედოს შინაგანი ჯარის, პოლიციის მუშაკებთან ერთად. მე და გივი ლომინაძე მივდივართ ადგილობრივ ტელევიზიაში. იქ იწერენ ჩვენს გამოსვლას, მოსახლეობას მოვუწოდებ სიმშვიდისკენ, ყველა გაუგებრობის შემთხვევაში მიმართონ კომენდატურას, გამგებელს - ედიშერ ჩარგაზიას და რეგიონის მინისტრ-რწმუნებულს გივი ლომინაძეს. შევარდნაძე მილიციაშია. სენაკის შემდეგ იგი უკვე თვითონ განაგებს ვითარებას და იღებს გადაწყვეტილებებს. ვთანხმდებით, რომ ხვალ მივდივარ თბილისში, გამყავს მხედრიონის მთავარი ძალა და ძალაუფლებას ვუტოვებთ ედიშერ ჩარგაზიას - გამგებელს, კომენდატურას და მილიციას, რომლის ახლად დაკომპლექტებაში ჩაერევა მინისტრი კვირაია. პოლიცია და შინაგანი ჯარიც აქ დარჩება, ვიდრე სიტუაცია მთლიანად არ დაწყნარდება. ახლა მთავარია ოპერატიული მუშაობა - ბანდიტური ჯგუფების განიარაღება, ზოგიერთთან - მოლაპარაკება.

შევარდნაძე რაღაც ვერ არის გუნებაზე. მომყავს კომენტანდის მოადგილედ დანიშნული პოლკოვნიკი სხირტლაძე, რომელმაც კარგი ანეკდოტების მოყოლა იცის. შევარდნაძეს ეს ფამილარობად მიაჩნია და იბღვირება. ასე რომ, სხირტლაძე კი ჰყვება რაღაცეებს, მაგრამ უკვე საინტერესოდ ვეღარაფერი გამოდის.

გამოჩნდა შოთა კვირაია. არ ვიცი, წუხანდლიდან ვერ გამოფხიზლებულა, თუ დღეს დალია - ენა და ფეხი ერევა. ცალკე მეჩურჩულება, რომ მის ნათესავს, ქობალიას მიერ დაპატიმრებულ 17 წლის ახალგაზრდას იზოლატორში თავი ჩამოუხრჩვია და, კარგი იქნებოდა, ოჯახში, სამძიმარზე, ჩვენც მივსულიყავით. ჩვენთან ერთად შევარდნაძეც რომ წამოსულიყო, ხომ მთლად კარგი ჟესტი იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის თვალში - მიცვალებულისა და ჭირისუფლებისადმი ყურადღებას აქ დიდად აფასებენ. ჩემთვის ეს პოპულისტური თვალთმაქცობაა, მაგრამ ვიცი, რომ შევარდნაძე ასეთ მოჩვენებითობას დიდ ყურადღებას აქცევს. წინადადებას ვაძლევ, იქნებ წავსულიყავით-მეთქი. კვირაია გვიახლოვდება. შევარდნაძე ჯიქურ უღრენს: „რა, დალიე?“ კვირაია რაღაცას ლუღლუღებს. „მეორედ აღარ გაბედო და ნასვამი არ მეჩვენო“. კვირაიამ მორცხვად ჩაქინდრა თავი. ოთახი საკმაოდ მოზრდილია და კუთხეში დამიმარტოხელა: „წამოვიდეს რა, უთხარით, ძალიან საჭიროა, 17 წლის ბიჭმა ზვიადისტების გამო თავი ჩამოიხრჩო!“ მეც ჭკუაში მიჯდება, გავიგებ მაინც - რატომ, რისთვის. შევარდნაძე დავითანხმე. გავდივართ: შევარდნაძე - თავისი დაცვით. მასთანვეა ეგრეთ წოდებული „ამერიკელების“ რაზმი, მე - ჩემი დაცვით, და კვირაია. მივადექით ერთსართულიან ოდას. ვფიქრობ, ახლა აქ იქნება ქალების ვაი-ვიში, მაგრამ ეზოში არავინ ჩანს, არც აივანზე. კვირაიას შევყავართ ოთახში. სადაა მიცვალებული? რაღაცას ბურდღუნებს. გადის მეორე ოთახში. შევარდნაძე მე მიყურებს, მე - მას. რა, მიცვალებული ახლა უნდა გამოიტანონ? კედელზე მართლაც ჰკიდია გადიდებული სურათი, მაგრამ ისეთ იდიოტურ მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი, რომ ვერ ვარჩევ, სურათზე კაცია თუ ქალი, თანაც, ოთახში საკმაოდ ბნელა. ბრუნდება კვირაია. მას მოჰყვება ახალგაზრდა ქალი. არავითარი ჭირისუფლობა არ ეტყობა - ჭრელ ჭითის კაბაზე მუქი კოფთა მოუცვამს. კვირაია კვლავ რაღაცას ბურტყუნებს და წარმოგვიდგენს მას. ალბათ, ხელი უნდა ჩამოვართვათ.

ვკისრულობ ამ მისიას. შემდეგ შევარდნაძეც უწვდის ხელს, მაგრამ ისეთი სახით, თითქოს ახლად მოყვანილი პატიმარია და დაქტილოსკოპია უნდა ჩაუტარონ. გამოვდივართ აივანზე. გვესმის ქალების საშინელი კივილი. ალბათ, სახლი შეგვეშალა, - გამიელვა თავში. თამაზ-წესრიგა ბიჭებს გზავნის, გაიგონ, რაშია საქმე. კივილი არ წყდება, პირიქით, ძლიერდება და მას ემატება მომიტინგე ბრბოსმაგვარი ხმაური. ფეხით მივდივართ იქით. ახლოა. კუთხეში გამოფენილი ხალხიც კი მოჩანს. შევარდნაძეს ვებნები, რომ ჯობია, წავიდეს - ამ წივილ-კივილს რაღაც პროვოკაციის სუნი უდის. არ მთანხმდება და ჩემთან ერთად მოდის. ინტუიცია არ მღალატობს - მართლაც მომიტინგე ზვიადისტი ქალები არიან. რაღაცას ყვირიან, ხელებს იქნევენ, ერთმანეთს არ აცლიან ლაპარაკს. რამდენიმე მათგანი კი გაბმულად კივის. „რაშია საქმე?“ „ყაჩაღები დაგვესხნენ თავს და გვძარცვავენ“. „სად?“ - ვეკითხებით. არ გვპასუხობენ. წივიან, კივიან და ჩვენ გვწყევლიან. ჩემი დაცვის ბიჭები და შევარდნაძის „ამერიკელები“ გარბიან მითითებული სახლისკენ. ქუჩაში მოსახლეობაც გამოეფინა. საღამოვდება. შემთხვევის ადგილი სულ რაღაც ოთხი-ხუთი სახლის იქითაა. ხალხი შეგროვილა, ისმის სროლის ხმა - ავტომატის რამდენიმე ჯერი. მორბის თამაზ-წესრიგა: „მოროდიორები არიან, აიყვანეს“. შემდეგ სხვებიც ბრუნდებიან: „შოთა კვირაიამ დახოცა ექვსივე“, - ამბობენ. მივიხედ-მოვიხედე. კვირაია ჩვენთან აღარ ჩანს. დაუჯერებელია. ახლა აქ იყო. ხალხი წყალგადასხმულივით იშლება. მკივანა ქალები სადღაც გაქრნენ. ვბრუნდებით მილიციის შენობაში. „კარგი სამძიმარი გამოგვივიდა“, - ვეუბნები შევარდნაძეს. ხმას არ იღებს. დაწვრილებით მილიციაში ვიგებთ, რაც მოხდა. მოროდიორები შემძვრალან დაკეტილ სახლში. გვარწმუნებენ, გაქცეული ზვიადისტების სახლიაო. მეზობელს დაუნახავს და განგაში აუტეხია. ჩვენი ბიჭების მოსვლისთანავე გამოსულან და ჩაბარებულან. „ამერიკელებს“ ხელბორკილი დაუდიათ და მიწაზე პირქვე დაუწვენიათ. ამ დროს გამოსულა კვირაია და ავტომატის ჯერით გადაუარ-გადმოუარა მათ. ხუთი ადგილზევე ჩახოცა, ერთი მგონი გადარჩა.

კვირაია არ გვეკარება. არ ვიცით, სად არის.

მეორე დღეს გავდივარ რუხში, სადაც ჩვენი ჯარის მოყარაულე რაზმი უნდა იდგეს. ადვილი მოსალოდნელია, აფხაზები საკუთარი ინიციატივით ან ზვიადისტებთან ერთად თავს

დაგვესხან. ხიდის აქეთ, პატარა ჯიხურში, სამოქალაქოტანსაცმლიანი სამი დარაჯია. ღმერთმა ნუ ქნას და, ზუგდიდში ერთი ყუმბარაც რომ ჩამოაგდონ, ისეთი პანიკა შეიქმნება - მტრისას. მოპირდაპირე მთაზე, გამოსაჩენ ადგილას, აფხაზებს ტექნიკა აუტანიათ. ეს ოდენავ მაიმედებს, რომ აქეთ წამოსვლას არ აპირებენ. ედიშერ ჩარგაზიას ვუბარებ, ბიჭებმა უყურადღებოდ არ დატოვონ ხიდი. თვითონაც, ყოველ შემთხვევისათვის, მოსახლეობისათვის თავშესაფარი მოამზადოს. არ შეიძლება, რომ აქ კომუნისტების დროიდან „გეოს“ რაიმე სარდაფები ან სპეციალური სადგომი არ ჰქონდეს. ლომინაძეს არ სურს შტაბბინა ზუგდიდში გადმოიტანოს. „ჯერჯერობით სენაკში ვიქნები“, - მეუბნება. აღარ ვაცივდები, იქნებ უკეთესიცაა, თორემ აქ ედიშერ ჩარგაზიასთან პარალელური ძალაუფლება საქმეს უფრო გააფუჭებს“. „მიხედეთ ადგილობრივ მილიციას და ჩამოსულ პოლიციას. მხედრიონი გავიდეს ზუგდიდიდან. ბანდებით გარემოცულ ქალაქში არ შეიძლება რამე არ მოხდეს - ყველაფერს მაგათ დააბრალებენ“. შევარდნაძეს შევუთანხმდი: მივდივარ სენაკში, შემდეგ - ქუთაისში. ორ დღეში თბილისში შევხვდებით ერთმანეთს. იგი აპირებს, კიდევ ერთ დღეს დარჩეს ზუგდიდში.

ხობის გზაზე რევანშისტებს ჩემზე თავდასხმა ჰქონიათ განზრახული - ადგილობრივმა მხედრიონმა ჩაშალა. ღამით გავდივარ ხობში. ვკითხულობ: „სად არის კვირაია?“ „მგონი იგორ გიორგაძის „ბეტეერით“ თბილისში წავიდა“, - მპასუხობენ.

ორი დღის შემდეგ შევარდნაძესთან ვარ, კაბინეტში: „კვირაია ჩვენი კაცია?“ - მეკითხება. „როგორ, მაშ, ვისი უნდა იყოს?“ „მითხრეს, ის ბიჭები რომ დახოცა, მერე ხობში გაქცეულა. იქ სუფრაზე უთქვამს, მაგათ - ჩემზე და თქვენზე, - დედას ვუტირებ. ახლა შევეკვრები ყარყარაშვილს და, ნახეთ, რა ვუყოო“. „ვიღაცამ მოუგონა, მაგას როგორ იტყოდა“, - ვიცინი. ვფიქრობ, მორიგი ცილისმწამებლური ენა მოუტანეს. „არა, არა, - დარწმუნებით ამბობს შევარდნაძე, - ისეთმა კაცმა თქვა, არ მოიტყუება“. „ვინ?“ - ვეკითხები. ასახელებს, რასაც იშვიათად აკეთებს ხოლმე. მართლაც, ეს კაცი არ მოიტყუებოდა. გაოგნებული ვარ. შევარდნაძე ისევ იმას იგონებს, სოხუმში, კვირაიას წყალობით, კინაღამ რომ ჩამოაგდეს მისი თვითმფრინავი.

დღის წესრიგში დგას ახალი პრემიერ-მინისტრის საკითხი. შევარდნაძე მიხასიათებს აკადემიკოს ფრანგიშვილს. უკვე მეუღლესთან ჰქონია ზონდირებული საუბარი. თვითონ მოსკოვშია. გავლენიანი კავშირები აქვს. მე ფრანგიშვილის სახელი გამიგია, პირადად არ ვიცნობ. „ახლა საქართველოს ესაჭიროება ნიჭიერი, პატიოსანი, გამბედავი სამეურნეო მუშაკი, ეკონომიკაში ჩახედული ადამიანი. სასწრაფოდ კარდინალური ეკონომიკური რეფორმები თუ არ დავიწყეთ, თუ ვერ გამოვედით ამ ბიუროკრატიული სტრუქტურული მარწუხებიდან, ვერაფერს მივაღწევთ. ერთდროულად უნდა მოხდეს სამართალდამცავი ორგანოების ტრანსფორმაცია, მაკონტროლებელი სახელმწიფო სისტემის გამარტივება პარალელური ფუნქციების მქონე უწყებების ლიკვიდაციით.

განსაკუთრებული მდგომარეობაა შინაგან საქმეთა სამინისტროში - სამოცდაათიათასიან ჩინოვნიკურ მონსტრში. აქ თუ არ დაიწყება გაჯანსაღების პროცესი (და ეს უპირველესად უნდა მოხდეს მხოლოდ იმ უფუნქციოდ დარჩენილი სექტორების გაუქმებით, რომლებიც დემოკრატიულ სახელმწიფოში ან რუდიმენტებად იქცევიან, ან პარაზიტებად), არაფერი გამოვა. მას ვერც შოთა კვირაია უშველის და ვერც ჟოზეფ ფუშე! „მომეცით ჟოზეფ ფუშე და, თუ ვერ უშველის, იმასაც ვნახავ“, - ღიმილით მპასუხობს შევარდნაძე.

საგანგებო კომიტეტის არსებობა ეფემერულიც აღარ არის - საერთოდ არ არსებობს. ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც ოფიციალურად უნდა გაფორმებულიყო სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით (თუ იგი მხოლოდ სამოქალაქო ომის პერიოდისთვის იყო განსაზღვრული), შესრულებული და ამოწურულია - სამოქალაქო ომი დამთავრდა. ჩემი სტატუსი კვლავ ჯაბა იოსელიანია. აბაშაში, რატომღაც, მომავალ ადმინისტრაციულ მოწყობაზე ვსაუბრობდით. მაშინ ასეთი რამ შევთავაზე: სახელმწიფოს მეთაურის მზარდი აპარატის ნაცვლად კომპაქტური მრჩეველთა საბჭო და საბჭოს თავმჯდომარედ - მე, ვიდრე სიტუაცია მეტ-ნაკლებად დალაგდება და ვიდრე მივიღებთ ახალ კონსტიტუციას, რომელზეც სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ მუშაობა. მაშინ მან თქვა: „ჰო, ალბათ, ასე აჯობებს“. მაგრამ ეს იყო აბაშაში. დღეს სხვაგვარად ფიქრობს - მმართველობითი „ტიკების“ გამოცვლას არ ჩქარობს. ეჭვი მიჩნდება, რომ მას ძველ ტიკებში ისევ ძველი

ღვინის ჩასხმა გადაუწყვეტია. აპრობირებული მექანიზმები, შესისხლხორცებული მეთოდები, აღმსრულებელთა ნომენკლატურული გარემოცვა.

კვირაია არ მეკარება. დავინტერესდი შევარდნაძის მონაყოლით, ხობში კვირაიას მიერ გამოთქმული მუქარის თაობაზე. კი, ყველაფერი ასე ყოფილა. ზუგდიდში დახვრეტილი ბიჭების გამო, ხობში და თბილისშიც ნათესავ-მეზობლები და, საერთოდ, ჩვენი მოწინააღმდეგეები, რომელნიც მზად არიან, ნებისმიერი საბაბით საპროტესტო აქციები ჩაატარონ, ამზადებენ საშიმშილო გამოსვლას კვირაიას პასუხისგებაში მიცემის მოთხოვნით. ვურეკავ კვირაიას, ვიბარებ მოვიდეს, გავერკვეთ დეტალებში, რა მოხდა და როგორ შეიძლება ამ საქმეს მოვუაროთ. ვიბარებ ხობის გამგებელ თემურ გერგაიას. კვირაია მპირდება, რომ მოვა. ველოდები. არ მოდის. ავდივარ შევარდნაძესთან, ვუხსნი ვითარებას. ჩემი აზრით, კვირაიასთვისაც და საქმისთვისაც ჯობს გადადგეს ან ჩვენ გავათავისუფლოთ“. „არა, არა! ჯერ არა!“ - იმ პერიოდისთვის უჩვეულო სიმტკიცით ამბობს იგი. რაღაც ქაღალდები ფაციფუცით გადააქვს საწერი მაგიდის ერთი ადგილიდან მეორეზე და სხვა თემაზე იწყებს საუბარს. კვლავ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის ძიებაში ვართ - მე ვიკა გელოვანს ვასახელებ, მარშალ გელოვანის შვილს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, შედარებით ახალგაზრდა კაცს (ორმოცზე ცოტა მეტის არის), რომელსაც რუსეთშიც და უცხოეთშიც გავლენიანი კავშირები აქვს. ჭკუაში უჯდება, ოღონდ, გადაწყვეტას, როგორც ყოველთვის, დროს ანდობს. „ვნახოთ, ნუ ვიჩქარებთ!“ - მეუბნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ინიციატივა არ გამოვიჩინო - ჯერ არაფერი მოვიმოქმედო და ამის შესახებ არსად არაფერი ვთქვა.

პარლამენტში მწიფდება მკვეთრი დაპირისპირება, ერთი მხრივ, შევარდნაძისა და მისი მომხრეების და, მეორე მხრივ, ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელ პარტიებს შორის. შევარდნაძის მომხრეებში მეტწილად ყოფილი ფუნქციონერები არიან - კომუნისტების დროს ამა თუ იმ მიზეზის გამო უპერსპექტივო მოხელეები და კორუმპირებული თანამდებობის პირები. შუაში არიან ეროვნულ-დემოკრატები, რომლებიც შევარდნაძეს ეთამაშებიან თანამდებობის დათრევის იმედით. თვით შევარდნაძე ყველა მოთამაშესთან - რესპუბლიკელებთან, ტრადიციონალისტებთან სიამოვნებით

თამაშობს. სამაგიეროდ, ხაზგასმული გაღიზიანებითა და ირონიით ეკიდება ჭავჭავაძის საზოგადოებას, ირაკლი წერეთლის პარტიას, მონარქისტებს, კოსტავას საზოგადოებას. მე ყველასთვის მიუღებელი ფიგურა ვარ. ერთნი შევარდნაძის ხელისუფლების საყრდენ ძალად მცნობენ, მეორენი - ორგანულად შეუთავსებელ პიროვნებად. არიან ისეთებიც, რომელთაც, უბრალოდ შურთ ჩემი. მთავარი ის არის, რომ ასეთ ვითარებას შევარდნაძე კულტივირებას უკეთებს. მიუხედავად ამისა, პარლამენტის წევრები ჩემს სიტყვას და მიღებულ გადაწყვეტილებას სერიოზულ ანგარიშს უწევენ. შევარდნაძეც კრიტიკულ მომენტში მთხოვს, გამოვიდე ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დავუჭირო. მე როგორღაც შევახსენე, რომ ნუ ჩამთვლის თავის პირად ერთგულ კაცად. ვიდრე იგი საქართველოს პრობლემების გადაწყვეტისთვის იღვწის, მე თავს არ დავზოგავ. მაგრამ თუ შევატყვე, რომ ეს საზიანოა, ჩემი მხარდაჭერის იმედი ნუღა ექნება. „ვიცი! - მეუბნება და ხშირად იმეორებს ასეთ ფრაზას - ჩვენი ურთიერთობის უნიკალურობაც სწორედ ამაშია“. პირველად უსიამოვნოდ ჩამაფიქრა მისმა ერთმა პასუხმა. „პარლამენტარებს რატომ ვურიგებთ და ვპირდებით თანამდებობებს? ამის გაკეთება არ შეიძლება“, - ვუთხარი მე. „მაშ რა ვქნათ? თქვენ გგონიათ, ისე მოგვემხრობიან?!“

ერთხელ ჩემს დასთან, ლილისთან, კამათი მომივიდა. ჩემი ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლა არ მოეწონა - ზედმეტად კატეგორიულად და პირდაპირ აღიქვა იგი. მე ამის მიზეზი დავუსახელე. აღარ შემეკამათა, დაფიქრდა და თქვა: „შენ იდეალისტი ხარ“. დღევანდელი პოლიტიკოსისთვის ეს მომაკვდინებელი დახასიათებაა. იგი მართალი იყო.

„რას იტყვით, ოთარ ფაცაცია რომ გავუშვათ პრემიერ-მინისტრად? - მეკითხება შევარდნაძე და ჩემ მიერ სავარაუდოდ გამოთქმულ ეჭვებს აღარ ელოდება, - მართალია, დიდი გაქანება არა აქვს, მაგრამ მეგრელია - ახლა ეს გასათვალისწინებელია და, რაც მთავარია, პრობლემებს არ შეგვიქმნის“. ჩემთვის ეს მოულოდნელი კანდიდატურაა. ერთბაშად ვერაფერს ვპასუხობ. თავში კი, რატომღაც, ერთი ჩასიძებული კაცის სიტყვები მომდის: ამბობენ, უმზითვო ქალი უნდა ითხოვო, თუ გინდა, მერე არაფერი წამოგაყვედროსო. არ არის სწორი. ცოლი, ღატაკია თუ მილიონერი, მაინც წამოგაძახებს რამეს, ბოლოს და ბოლოს, შენზე კარგ ბიჭს

მირიგებდნენო. ჰოდა, ჯობია მილიონერმა წამოგაყვედროს, ვიდრე ღატაკმა.

ფილარმონიაში „თბილისელების“, ასე ვთქვათ, აქტივი კიდევ ერთ შეხვედრას აწყობს. გვპატიჟებენ ჩვენ - მე და შევარდნაძეს. ეტყობა, შევარდნაძე მათ ცალ-ცალკე ესაუბრა. მათ ურთიერთობაში უკვე რაღაც დაინტერესება გამოსჭვივის. უმეტესობა პოლიტიკის მიღმა დარჩენილი ადამიანები არიან, კომუნისტების დროს ეგრეთ წოდებულ ჩრდილოვან ეკონომიკასთან ახლო მდგარი ქართველი ფილისტერები. ეროვნული მოძრაობის პერიოდში, როგორც ყოველი მეშჩანი, თავისი კონფორმიზმის გასამართლებლად, აქტივისტებს ირონიული განწყობით ეკიდებოდა, თვითონ კი ბუჩქებში ჰქონდა თავი ჩარგული. ახლა, როცა პოლიტიკურ ატმოსფეროში რესტავრაციის ნელთბილი ნიავი შეიგრძნობა, შურისგებით შეპყრობილებს, სურთ, წინა პლანზე გამოვიდნენ. ცხადია, ეს არავითარ რისკთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. ეს ის ჭაობია, რომელიც ნებისმიერ იდეოლოგიას მიეკედლება, ოღონდაც მათი კეთილდღეობა გარანტირებული იქნეს. მათ იციან, რომ დისკრედიტირებულ კომუნისტებს რესტავრაციის მასალისთვის ესაჭიროებათ ახალი შენაერთი და ასეთად თავისი თავი მიაჩნიათ. მართლაც, კომუნისტური წყობის ბოლო პერიოდში ნომენკლატურა არალეგალურად გამდიდრდა. კორუფცია საბჭოთა წყობილების საყოველთაო დაუწერელი კანონი გახდა. ბუნებრივია, ეს გაკაპიტალისტებული კომუნისტები კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას თვალთმაქცურად საჯაროდ გმობდნენ, გულში კი ოცნებობდნენ საკუთარი ქონების ლეგალიზაციაზე. ამას სჭირდებოდა ახალი ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორმაცია. ეს ფსიქოლოგიური მუხტი და კაპიტალის, როგორც განძად არსებული ფაქტის რეალობა, „ზემოდან“ დაწყებული ნგრევის ერთ-ერთი დაუსახელებელი ინგრედიენტი გამოდგა. როგორც ყოველთვის, „პერესტროიკის“ დროსაც ნგრევამ უბრალო ხალხზე გადაიარა, საძირკვლამდე და ფესვებამდე ვერ მიაღწია. ამიტომაც ახალ მშენებლად პოსტკომუნისტურ სივრცეს კვლავ ყოფილი ფუნქციონერები მოევლინენ. კარიერისტმა და კორუმპირებულმა კომუნისტებმა ტყავი გამოიცვალეს, საბჭოთა ფილისტერებში აითქვიფნენ და ნელ-ნელა რესტავრაციის პროცესი წამოიწყეს, მაგრამ ეს რესტავრაცია, რასაკვირველია, სხვა მოპირკეთებითა და ლოზუნგებით

ლამობს დამკვიდრებას. ეროვნული მოძრაობის ქაოსური ხანის მცირე მონაკვეთმა თავის თავში ვერ მონახა ძალა იმ იდეალების ხორცშესხმისათვის, რომელებიც ჩადებულია თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის ცნებებში. ამის უპირველესი მიზეზი კი ის იყო, რომ თვით ეროვნულმა ძალებმა ტოტალიტარული აზროვნების ტყვეობას თავი ვერ დააღწიეს. ლიდერიზმი, ბელადომანია, პარტიულობის პრიმატის პრინციპი, პოლიტიკური ცხოვრების სტრუქტურული არადემოკრატიზმი, საბჭოთა ინტრიგანული პოლიტიკური ცხოვრების ინერცია, თვით პოლიტიკის ბინძურ საქმედ მიჩნევა - ყველაფერი ეს ისეთ ხერხებს საჭიროებდა, რომელთა გამოყენება, თავისთავად, ტოტალიტარული რეჟიმის რესტავრაციისკენ მიაქანებდა ქვეყანას. ერთი სიტყვით, ახალ პოლიტიკურ ძალად (დროებით მაინც) შეიძლება გამოსულიყო საბჭოთა ფილისტერი. შევარდნაძეს ინტუიციამ არც ამჯერად უმტყუნა და და ეგრეთ წოდებულ თბილისელებს ჩაავლო ხელი. „რა იქნება, რომ ჩვენ ამ ხალხს ორგანიზება გავუკეთოთ და პარტიად ჩამოვაყალიბოთ?“ - მითხრა მან ერთ-ერთი ასეთი თავყრილობის შემდეგ. „პარტია არ გამაგონოთ, ბატონო ედუარდ! - ვუპასუხე ღიმილით, - მე თუ მკითხავთ, პარტიები საერთოდ უნდა დაიშალოს. აბა, რად უნდა საქართველოს 40-50 პარტია, ან რა იდეურ-კონცეპტუალური განსხვავებაა მათ შორის?“ იგი ჩვეულებისამებრ მეთანხმება, თვითონ კი სხვას ფიქრობს. „მართალია, მაგრამ საჭიროა რაღაც პოლიტიკური ძალა, რაიმე საზოგადოება... ვიღაცას ხომ უნდა დავეყრდნო“... „არ გირჩევთ. თუ ერის გამთლიანებაზე ფიქრობთ, რად გინდათ პარტია?“ - ვამბობ და აზრს აღარ ვაბოლოებ. მას, როგორც სახელმწიფო მეთაურს, მოქმედი კანონით, პარტიის წევრობის უფლებაც არა აქვს.

„მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრს შეუძლია წავიდეს“. ასეთ ვითარებას ქმნიან მხედრიონის ირგვლივ. მაგრამ სად უნდა წავიდეს, ამაზე ნაკლებად ფიქრობს საზოგადოება, მთავრობა, პარლამენტი, შევარდნაძე. ჩვენ უკვე შვიდასზე მეტი მხედრიონელი დაგვეღუპა... ახლა წავიდეს სახლში და უმუშევარი, პირდაპირი გაგებით, მშიერი მოკვდეს?! ამ დროს მათმა თანატოლებმა, რომელთაც მთელი ამ ბობოქარი პერიოდის მანძილზე თითი თითზე არ დაუკარებიათ, მომენტით ისარგებლეს და თაღლითობით ფული იშოვეს, ან პარლამენტში ლაქლაქითა და პირფერობა-ფარისევლობით

თანამდებობა მიიღეს. განა მათ უნდა დაემონონ შემთხვევით ცოცხლად გადარჩენილი ბიჭები?! მხედრიონელები უსასყიდლოდ ასრულებდნენ ჯარისკაცების საქმეს, მხედრიონელები იბრძოდნენ პოლიციელების მაგივრად ბანდების ასალაგმავად და ახლა გზებზე ტრანსპორტის პოლიცია ყაჩაღობს და ფულს სძალავს მგზავრებსა და მძღოლებს. საბაჟო პარტიებისა და პარლამენტის პროტეჟეების ხელშია, სარფიან ადგილებზე ნაკომუნისტარი მოხელეები მოეწყვნენ. თუ ვიღაც საქმოსანს წილში ჩაუსვამ რომელიმე დაინვალიდებულ მხედრიონელს, ყაჩაღობას აბრალებენ. ვიღაც მოტმასნებული და სპეციალურად შემოყრილი აგენტები ხომ ყოველ ნაბიჯზე სახელს გვიტეხენ: ვინმეს მანქანას წაართმევენ და ეუბნებიან, მხედრიონელი ვარო. აბა, სად გაგიგია, კაცი ყაჩაღობას აფიშირებას უკეთებდეს. ზვიად გამსახურდიას დროს აგორებული ცილისწამების კამპანიის განახლება ყველას ხელს აძლევს. მილიცია-პოლიციას მხედრიონი კონკურენტად მიაჩნია, ვერც იმას პატიობს, რომ იგი მათი ბევრი სიმხდალის მოწმეა. საბჭოთა კორუმპირებული კონვეიერის სისტემაში ახალი ძალის მოსვლა მის დანგრევას იწვევს. ეს კი აფერხებს ათწლეულობით მოქმედ მექანიზმს. საქმოსანი ქრთამს აძლევდა: საუწყებო კონტროლს, დაზღვევას, სანეპიდსადგურების კონტროლს, სახანძროს, პოლიციას, პროკურატურას, სახალხო კონტროლს (ახლა კონტროლის პალატას), საგადასახადო ინსპექციას, შემთხვევიდან შემთხვევამდე - შავ სამყაროს. ეს მხედრიონი ვინღა ჯანდაბაა? რისი მანქანაა? ზემოთ ჩამოთვლილი უწყებები სახელმწიფო მაფიის აწყობილი მექანიზმია და შეუძლიათ რაიმე გავნონ: სამსახურიდან გაგათავისუფლონ, დაგაჯარიმონ, დაგაპატიმრონ.

ესენი? ამათ რა შეუძლიათ? იბრძოლეს? მერე ვინ ეკითხებოდათ? აღშფოთებულები თავიანთ პატრონებს მიმართავენ. ისინიც, თავის მხრივ, სხვადასხვა პროვოკაციულ ქმედებებს აპროგრამებენ. მაშველთა კორპუსის იმედი მაქვს. იქნებ, სხვადასხვა უწყებების ხელშეწყობით, ფეხზე დადგეს ეს სამსახური. ბიჭები დასაქმდებიან და ნელ-ნელა გზას ეწევიან. არა! პარლამენტში პარტიების უმრავლესობას ჩემი გაძლიერების ეშინია. არადა, როცა ყველაზე ძლიერი ვიყავი, ყველანი მოვიწვიე და, ასე თუ ისე, სახელმწიფო სადავეები

მივეცი ხელში. მაინც ეჭვიანობენ. ეს შევარდნაძესაც ეხება. ვმსჯელობთ რეადაპტაციის ამ პრობლემებზე. მე მეტს ვლაპარაკობ. ის ისმენს. ეს პრობლემა ყველა ნაომარი ქვეყნის უპირველესი გასაჭირია. ამერიკა რომ ამერიკაა, პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ ამ მხრივ მან სოციალური კრიზისის პერიოდები გადაიტანა. უახლესი ისტორიაც ამაზე მეტყველებს: ეგრეთ წოდებული ვიეტნამის სინდრომი, ეგრეთ წოდებული ავღანელთა მოძრაობა. ვიხსენებ სტალინის ეპოქას, ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცების ტრაგიკულ ბედს. „სტალინმა რეადაპტაციის პრობლემა მარტივად გადაწყვიტა: ყველა ციხეში შეყარა და ცინიკურად მიაძახა: „ზა სტაროე სპასიბო, ზა ნოვოე ოტვეჩაი!“ შევარდნაძე იცინის.

მწვავედ დგება აფხაზებთან მოლაპარაკება-არმოლაპარაკების საკითხი. პარლამენტის ურაპატრიოტები კატეგორიულად წინააღმდეგი არიან. აფხაზეთი გამოვაცხადოთ ოკუპირებულ ზონად და რუსეთთან გავწყვიტოთ ურთიერთობა - ასეთია მათი მოთხოვნა. ეს საქართველოს თვითმკვლელობის კურსია. ამის კრიტიკაც არ ღირს. დღეს მსოფლიომ კიდევ არ იცის, რა მოხდა აფხაზეთში, ვინ გვეომებოდა, ვისი ბრალია. უცხოეთში ჯერჯერობით გავრცელებულია ის აზრი, რომ ჩვენ მინიიმპერია ვართ, რომ აფხაზებმა მოახდინეს თვითგამორკვევა, რაც ადამიანის უფლებათა დეკლარაციასა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს არ ეწინააღმდეგება. უპირველეს ყოვლისა, ეს მითია გასაბიაბრუებელი. მეორეც - არის რაღაც იმედები, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ „ესენგეში“ შევედით, რუსეთი იძულებული იქნება, დაიცვას ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის იდეა და პრაქტიკულად ხელი შეგვიწყოს ან ხელი არ შეგვიშალოს აფხაზეთის დაბრუნების პროცესში. მესამეც - აფხაზებმა ვერ უნდა ჩაასახლონ ქართველების სახლებსა და მათ ადგილებში კაზაკები, თურქები, სომხები და სხვები. და ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი დაბრუნების პერსპექტივა არ მოიშლება. დაბოლოს, ჩვენ სულის მოსათქმელად დრო გვჭირდება, თორემ აფხაზ-ჩეჩენ-რუსებმა რომ მოინდომონ, ქუთაისამდე სულ რიკინ-რიკინით ჩამოვლენ. აკი სენაკთან, ზვიადისტების ბანდებში, უკვე იყვნენ მათი მსტოვრები.

ამჯერად ცრუ მოკრძალებას თავიდან ვიცილებ და აფხაზეთის კომისიის თავმჯდომარეობას ვკისრულობ. სანდრო კავსაძე არ არის ურიგო კაცი, მაგრამ მისი ხელმძღვანელობით

ჩატარებული ყველა მოლაპარაკება მარცხით დამთავრდა. მე თუ არა, მაშ ვინ? 1989 წლიდან მოყოლებული, აფხაზეთში ქვა არ გადაგორებულა ჩემი მონაწილეობის გარეშე. და თუ კიდევ რამე მოხდა, და ალბათ მოხდება, პირველი ისევ მე უნდა წავიდე. ამიტომ სჯობს ვიცოდე, რაზე მივდივარ. შევარდნაძე თანხმდება, მაგრამ თავის პარალელიზმის პრაქტიკას მაინც ვერ ელევა. მე თავმჯდომარე, ხოლო კავსაძე - მისი საგანგებო წარმომადგენელი. კომისიის შემადგენლობაში შემყავს ჩვენი აფხაზები - ზურაბ ერქვანია, ადა მარშანია - ყველამ უნდა იცოდეს, რომ, არძინბას გარდა, არის სხვა აფხაზეთიც.

მივდივარ ჟენევაში - გაეროს ეგიდით იქ არის დანიშნული შეკრება. გზის გარდა ყველა სხვა ხარჯს გაერო იხდის. მოლაპარაკებას ხელმძღვანელობს ედუარდ ბრუნერი - შვეიცარიის ელჩი საფრანგეთში, გაეროს გენერალური მდივნის, ბუტროს გალის მეგობარი და ოფიციალური წარმომადგენელი. რუსების დელეგაციას სათავეში უდგას ბორის პასტუხოვი - საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ყოფილი საბჭოთა კავშირის კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი. აფხაზეთის დელეგაციას ხელმძღვანელობს სოკრატ ჯინჯოლია.

თბილისის აეროპორტის მისასვლელთან ჩემი მანქანის გავლის მომენტში ბომბი აფეთქდა. საბედნიეროდ, არავინ დაშავდა, გარდა მახუტი კეკელიასი, რომელიც მაცილებდა და მომდევნო მანქანაში იჯდა. მსუბუქი კომოციო მიიღო და მანქანა დაზიანდა. ალბათ, მე მაფეთქებდნენ, რაღაცამ შეუშალა ხელი. აეროპორტში დენი არ არის. ფრენა დილამდე გადაიდო. მოცვივდა უშიშროება, პოლიცია, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. ჩემი მიზანია ამ მოლაპარაკებიდან მივიღო შემდეგი შედეგი: პირველი - მსოფლიოს გავაცნო საქმის ჭეშმარიტი ვითარება, დამკვიდრდეს საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენ აფხაზეთის ხელით გვეომებოდა რუსეთი, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილია ისტორიული პერიოდიდან დაწყებული დღევანდლამდე. მეორე - აფხაზეთში ექსტრემისტებმა ჩაატარეს ეთნიკური წმენდა და ახლაც მიდის ქართველების გენოციდი. მესამე - ვაიძულოთ სეპარატისტები, ცნონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მეოთხე - სასწრაფოდ დავიწყოთ ლტოლვილების დაბრუნება. მეხუთე - დავიწყოთ პოლიტიკური სტატუსის შესახებ მსჯელობა - ჩვენ მზად ვართ, ფედერაციის ფარგლებში მივცეთ აფხაზეთს

ფართო ავტონომია. ჩვენს სავარაუდო კომუნიკეში ერთ-ერთ პუნქტად (ჩვენი პირველი შეხვედრა სხვა სახით ალბათ ვერ გაფორმდება) შემაქვს დიდი პოტენციისა და პერსპექტივის შემცველი წინადადება, სადაც ლაპარაკია აფხაზეთის საერთაშორისო ფონდის შექმნაზე, რომელიც მიმართული იქნება აფხაზეთის ეკონომიკის აღორძინებისა და ომით დანგრეულ-გადაბუგული ქვეყნის აღსადგენად. ამის შესახებ ცალ-ცალკე ვესაუბრე პასტუხოვს, რუსეთის გენერილატეტს, ზოგადად - თავდაცვის მინისტრ პაველ გრაჩოვს, უფრო დაწვრილებით კი - მის მოადგილეს, გენერალ-პოლკოვნიკ გიორგი კონდრატიევს. მივანიშნე, რომ, თუ ეს გეგმა განხორციელდა და ჩვენ შევძელით ამაში ჩავრთოთ ერთი ან ორი სერიოზული საერთაშორისო კომპანია, მომავალში აფხაზეთი დიდი შემოსავლის წყარო გახდება როგორც ტურისტული, ისე ერთ-ერთი უნიკალური სამკურნალო-დასასვენებელი ცენტრი. ამ შემოსავალში კი მეპაიეებად იქნებიან ისინი, ვინც დღეს შეუდგება ამ გეგმის განხორციელებას. რუსები მზად არიან ამისთვის. ამბობენ, ჩვენ ჩავრთავთ სამხედრო სამეურნეო კომპლექსს, ურალის ნავთობ-გაზის კონცერნს. ბრუნერიც იმედოვნებს, დააინტერესოს უცხოური კომპანიები. ვფიქრობ, გაეროც უნდა დაგვეხმაროს - რეკომენდაციებით, მიმართვებით, სახელმწიფო მეთაურთან კონტაქტებით. ამით აფხაზებიც უნდა იყვნენ დაინტერესებული. სხვაგვარად აფხაზეთს ვერ აღადგენენ არა თუ აფხაზები, არამედ ვერც მთლიანად საქართველო და ვერც რუსეთი - ჯერჯერობით მაინც. და თუ ეს საქმე დაიძრა, ვიღას გაახსენდება ტოპონიმიკა, რასაც ფორმალურად გადაჰყვა ამდენი ადამიანის სიცოცხლე.

ერთხანს ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ პრეზიდენტ კლინტონის ინიციატივით, აფხაზეთის საკითხის მოსაგვარებლად სენატი გაეროს გამოუყოფდა 300 მილიონ დოლარს. მაშინ მე ნახევრად ხუმრობით ვუთხარი აფხაზებს: რად გვინდა გაერო ან რუსები, სამშვიდობო ჯარის ხარჯი და სხვა. ავიღოთ ჩვენ ეგ სამასი მილიონი. ორასი - ჩვენ, როგორც დამარცხებულებს, ასი - თქვენ. შევრიგდეთ და დავიწყოთ ახალი, მშვიდი ცხოვრება. იცინეს, მაგრამ თუ ჩვენს მოლაპარაკებას ამ განხრით მართლაც სერიოზულად წარვმართავთ და ეს საქმეში გადაიზრდება, სამხედრო წინააღმდეგობისა და ძალმომრეობის საკითხები, მათ შორის

პრობლემა პოლიტიკური სტატუსის შესახებ, მეორე პლანზე გადაინაცვლებს, ეკონომიკური ცვლილებები კი თავისთავად მოიტანს სტაბილიზაციას და ურთიერთობათა კომპრომისულ დარეგულირებას. პირველი კომუნიკე სათაურიდან ბოლო პუნქტამდე ჩემი გეგმით მივიღეთ. ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს გაერომ, ევროკავშირის წარმომადგენელმა, რუსებმა, ჩვენ და აფხაზებმა. როცა ბრუნერს გაუგია, რომ მე ვარ კომისიის ხელმძღვანელი, წამოუყვირია: „საშინელებაა, საშინელება!“ მერე კი, როცა მოლაპარაკება დამთავრდა, უთქვამს: „რა ბედნიერებაა, ბედნიერება, ბედნიერება!“ ჟენევაში შეხვედრამდე იგი სოხუმში, ომის დროს გამაცნეს. ეგ იყო და ეგ. შვეიცარიაში კი დიდხანს მოგვიხდა ერთად ყოფნა.

1994 წლის ახალ წელს ვენაში ვხვდები. ჩვენი მასპინძლები არიან დათო სანიკიძე და ლეო ბაუსბეკი - სასტუმრო „მეტეხისა“ და გუდაურის ამშენებელი. აქვე ვიგებ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ამბავს. სინანულითა და რაღაც იმედით შეზავებული გრძნობა მიპყრობს. მებრალება, როგორც ტრაგიკული ფიგურა და იმასაც ვფიქრობ, იქნებ ახლა მაინც გონს მოეგონ, რეალობას ჩაუკვირდნენ თავგაგიჟებული ზვიადისტები. იქნებ დამთავრდეს ეს მასობრივი მტრობა საქართველოში.

შევარდნაძის პრაქტიკის - პარალელიზმის - მანკიერება საქმით მრავალგზის დამტკიცებულა, მაგრამ იგი ჯიუტად იცავს ამ წესს. იმიტომ, რომ მისთვის მთავარია მის ირგვლივ მყოფ ადამიანთა ურთიერთობის მისეული რეგულირება, საქმე კი, ასე თუ ისე, გაკეთდება. თუ გაფუჭდა, დამნაშავე ან ერთ მხარეს მოიძებნება, ან მეორეში. სანდრო კავსაძე და ირაკლი მაჭავარიანი (ჩვენი კომისიის აქტიური წევრი) თავს უფლებას აძლევენ, მოსკოვში ხელი მოაწერონ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ფართომასშტაბიანი პოლიტიკური მოლაპარაკების საფუძვლებს, კერძოდ, აფხაზეთის სტატუსის - ცენტრისა და ავტონომიის უფლებამოსილების ერთობლიობას და გამიჯვნას. მართალია, ეს ჯერ სამუშაო დოკუმენტია (საბოლოოდ იგი პლენარულ სხდომაზე უნდა მივიღოთ), მაგრამ, ორიენტირების თვალსაზრისით, ყოველთვის შეიძლება მოწინააღმდეგე მხარემ გამოიყენოს როგორც „კაზუს ბელი“. აქვე კვლავ ცდილობენ, არ მიიღონ ჩვენი მოთხოვნა ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ. ეტყობა, ამჯერად ვეღარ გაბედეს ჩემს დაუკითხავად ხელი მოეწერათ, შეიძლება შევარდნაძემაც არ ურჩია და ღამის

თერთმეტ საათზე მოსკოვიდან თბილისში მირეკავენ. მანამდე კი შევარდნაძემ მომძებნა და გაურკვევლად მითხრა: „სანდრომ ლტოლვილებთან დაკავშირებით რაღაცას უნდა მოაწეროს ხელი. დაინტერესდით, რაშია საქმე“. „საქმე იმაშია, - ოდნავ გაცხარებული ვპასუხობ, - რომ ეგენი უჩემოდ არაფერს არ უნდა აკეთებდნენ“. მელაპარაკება პასტუხოვი: „ჯაბა კონსტანტინოვიჩ, ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას ლტოლვილების დაბრუნების შესახებ“. და მიკითხავს ყველა არასადავო პუნქტს. და უცებ, სხვათა შორის, ასეთ ფრაზას: „სასწრაფოდ, უპირობოდ, მთელ კონფლიქტის ზონაში დაბრუნდნენ ლტოლვილები, პირველ რიგში, გალის რაიონში. ყველას გარანტირებული აქვს უშიშროების იმუნიტეტი. გარდა იმათი, ვინც იარაღით ხელში ომობდა“. „სტოპ! - ვეუბნები, - გაიმეორეთ“. იგი იმეორებს. მე სარკასტულად ვიცინი: „ეგ ვინ მოიგონა“, „როგორ, ვინ მოიგონა?“ „ჰო, ვინ ჭკვიანმა მოიგონა?“ „მაშ, თქვენ რა გინდათ, ხელახლა ომი ატყდეს და სისხლი დაიღვაროს? - გაწიწმატდა პასტუხოვი, - აი, ელაპარაკეთ სანდროს, ისიც თანახმაა“. რა მოსდის ამ სანდროს, არ ვიცი. პირად ურთიერთობაში არაფრის დამთმობი არ არის და მოლაპარაკებების დროს, არ ვიცი, უხერხულ მდგომარეობაში აყენებენ თუ თავისით ჩაუვარდება კლავიში და ვეღარ გასცდება რაღაც აზრს. ერთ საათს მიმტკიცებს, რომ ამაში არაფერია საგანგაშო, რომ ეს ფორმალობაა, თუ არ მივიღეთ ეს ფორმულირება, შეფერხდება სამშვიდობო ჯარების ჩაყენება და ა. შ. კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. გარდა ჩვენი კომუნიკესი, არის გაეროს რეზოლუცია, სადაც პირდაპირი მოწოდებაა ლტოლვილების უპირობო დაბრუნების აუცილებლობაზე. კვლავ პასტუხოვი ართმევს ყურმილს: „თქვენ გინდათ ჩაიშალოს მოლაპარაკება“. „ეს მოლაპარაკება არ არის. ეს ულტიმატუმია. ჩაიშალოს“, - და ყურმილს ვკიდებ. შუაღამე გადასულია. ისევ მირეკავენ. „აი, აქ ჩვენ ასეთი ფორმულირება მივიღეთ, - ამბობს პასტუხოვი, - ვინც ომობდა და დღესაც სურს იარაღით ხელში დაბრუნება“. ვფიქრობ. ვინც ომობდა? გაგრაში, სოხუმსა და ოჩამჩირეში მთელი ხალხი ომობდა, გალში მხოლოდ 300-400 კაცი, აქედან 170 - დათო შენგელიას მხედრიონელები და დანარჩენი ორას კაცამდე - თამაზ შონიას სამურზაყანოს ბატალიონი. ახლა მხოლოდ მხედრიონი დათო შენგელიას მეთაურობით თუ აკეთებს რამეს. ასე რომ, არდაბრუნება მათ შეეხება. ასეთ პირობებში ისინი არც აპირებენ დაბრუნებას, პარტიზანულ ომზე არიან

გადასული. მათ იქ კი არა, მგონი აქაც არ სწყალობს ჩვენი მთავრობა. მე ვაზუსტებ ფორმულირებას: „ვინც ომობდა და დღესაც ძალის გამოყენებით, იარაღით ხელში ცდილობს დაბრუნებას“. პატარა პაუზის შემდეგ ეს ფორმულა გადის. იქვე მირეკავს შევარდნაძე. ვითარება აინტერესებს. დაწვრილებით ვუყვები. არ მაწყვეტინებს. ისმენს და ბოლოს მეუბნება: „კარგი, კარგი“.

ასე მოეწერა ხელი მოსკოვში შეთანხმებას ლტოლვილების დაბრუნების შესახებ. თუმცა, შემდეგ ეს დოკუმენტი პლენარულ სხდომაზე უნდა დამტკიცებულიყო და საბოლოოდ პარლამენტის მიერ რატიფიკაციასაც მოითხოვდა. ასე რომ, საგანგაშო არაფერი ჩანდა. გამოვიყენეთ დიპლომატიური ტავტოლოგიის ხერხი, როცა რთული წინადადების ერთი ნაწილი გაბათილებულია მეორით. სამაგიეროდ შევქმენით ჩვენი კეთილი ნებისა და უკიდურესი კომპრომისის ილუზია მსოფლიოს თვალში და სამშვიდობო ჯარების ჩაყენების ფაქტით, რომლებიც განლაგდებოდნენ მდინარე ენგურის აქეთ და იქით 12 კილომეტრის რადიუსით, მივიღეთ დემილიტარიზებული ზონა. აქ შედიოდა ზუგდიდი ხობამდე და წალენჯიხაც. ენგურის იქით კი - მდინარე ღალიძგის არხამდე. გარდა ამისა, მოვიგეთ დრო, რომელიც გვჭირდებოდა დამარცხებული და დემორალიზებული შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციისათვის, სამოქალაქო ომის კერების (როგორიც იყო ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონები) ნეიტრალიზებისთვის. ყველაფერ ამის ხმამაღლა გაშიფვრა არ იყო მიზანშეწონილი. ეს ჩვენს ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს უნდა სცოდნოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, პარლამენტში ურაპატრიოტიზმი, პოპულიზმი და პარტიულობის პრინციპი დომინირებდა. ამიტომაც ამ შეთანხმებას ბევრნი შეხვდნენ არა მხოლოდ უარყოფითად, არამედ მოაწყვეს თაღლითობაც. ნოდარ ნათაძემ გაავრცელა შეთანხმების დამახინჯებული ტექსტი, სადაც ორი ნაწილისგან შემდგარი წინადადება ამოკვეთილი დარჩენილიყო და ასე გამოიყურებოდა: „უსაფრთხოების იმუნიტეტით არ სარგებლობენ ისინი, ვინც ომობდა“... მორჩა და გათავდა. დავინტერესდი, საიდან მოიტანა ნათაძემ ეს ყალბი ტექსტი . მან გაკვრით მიპასუხა - როცა პარლამენტის შენობაში შემოვიდა, თითქოს ვიღაცამ ხელში შეაჩეჩა. ამით მან ამ საკითხის მიფუჩეჩება მოინდომა. „კი, მაგრამ ქსეროქსზე ვინღა გაამრავლა?“ ამას აღარ მოელოდა.

„მე“, - მიპასუხა გამომწვევად. „მერედა, რა თავი გადადე, ეს ხომ შენი საქმე არ არის. გამრავლება ტექნიკურ პერსონალს ევალება. ჯერ მოსულიყავი, ჩემთვის გეკითხა, ან გენახა, შეგემოწმებინა ოფიციალური დოკუმენტი. გაზეთებში ხომ გამოქვეყნდა?!“ შავი საქმე გაკეთებული იყო. პარლამენტართა ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შევარდნაძის და ჩემ წინააღმდეგ გალაშქრების საბაბს ეძებს, ან მუქთ პატრიოტად თავის გამოჩენის ტრფიალნი არიან - უკვე განეწყვნენ აგრესიულად. მთელი ჩემი გამოსვლა მოვანდომე იმის მტკიცებას, რომ შეთანხმების ტექსტის მედავითნეობა განწირულია მარცხისთვის, რომ სიტყვები „ვინც ომობდა“ არ არის იმ აზრის შემცველი, რაც სურთ მიაწერონ ამას ჩვენმა ოპონენტებმა, ვინაიდან მას მოჰყვება განმმარტავი ფრაზა: „და დღესაც ცდილობს იარაღით ხელში, ძალით დაბრუნებას“... სიტყვასიტყვით, ბგერაბგერით რამდენჯერმე მომიხდა ტექსტის ციტირება, მაგრამ რად გინდა, თუ სიტყვასიტყვით, ბგერაბგერით ვერაფერს საწინააღმდეგოს ვერ მეუბნებოდნენ, თავიანთ გამოსვლებში ისევ და მაინც იმეორებდნენ ფრაზის მხოლოდ ამ ყბადაღებულ პირველ ნაწილს. „თქვენ ისე გამოგდით, - მივმართე მათ, - როგორც იმ ანეკდოტშია, სურათზე ხატია იხვი და ქვემოთ დიდი ასოებით დამარცვლულად წერია: „იხ-ვი“. პირველი კლასის მოსწავლე კითხულობს „ი-ხ-ვ-ი“. მაშ, რა ყოფილა ეს? - ეკითხება მასწავლებელი. „კვატა“. - პასუხობს ბავშვი. მე გიკითხავთ: „ი-ხ-ვ-ი“. თქვენ თავს მიქნევთ და შემდეგ ამბობთ: „კვატა“.

ჩავდივარ ზუგდიდში. ვხვდები მოსახლეობას. ირგვლივ კეთილგანწყობაა. ლტოლვილებს ჩემი დიდი იმედი აქვთ. ვათვალიერებ დათო შენგელიას პარტიზანულ ჯგუფს. ჩამომაქვს იარაღი და სადივერსიო მოწყობილობები. უშიშროებიდან ჩამომყავს ინსტრუქტორი, რომელიც დარჩება პარტიზანებთან, შეასწავლის სადივერსიო საქმეს. მათ მატერიალურ უზრუნველყოფას ვავალებ თემურ გერგაიას და ნაწილობრივ ფოთის მერს, რომან მელიას. ზუგდიდში ედიშერ ჩარგაზია კარგად უძღვება ქალაქს და რაიონს. ჩემი დავალება - დაბომბვის შემთხვევაში მოსახლეობის თავშესაფრით უზრუნველყოფის საკითხი - თითქმის გადაწყვეტილი აქვს. აფხაზთა მხრიდან გამორიცხული არ არის რაიმე პროვოკაცია.

გალის რაიონში კვლავ გრძელდება ქართველების გენოციდი. არძინბა დალის ხეობისკენ იქაჩება. ჩვენი მონაცემებით,

აფხაზეთში ფულის საშოვრად ჩამოსულ ნაყარნუყარ დაქირავებულებს შეპირებია დალის ხეობაში შეფარებულ და თავმოყრილ განძეულობას, იარაღს და ავტომანქანებს, თუკი ისინი ხეობიდან ქართველებს განდევნიან. თურმე განსაკუთრებით აქტიურობენ იქაური სომხები. ზუგდიდში მატყობინებენ ზაზა ვეფხვაძისა და გია სვანაძის მკვლელობის ამბავს. სასწრაფოდ ჩამოვდივარ თბილისში. ეს უკვე სერიოზული რამაა. ვინ გაბედა? ბუღა! ახლა ზაზა და გია?! ეს ისეთი ძალაა, რომელიც გზას იკვლევს ხელისუფლებისკენ ან პოზიციებს იმაგრებს ხელისუფლებაში. ზაზა და გია - ისინი ხომ პირველი მხედრიონელები არიან. ორი ლამაზი ვაჟკაცი, ორი მეგობარი. მე ბევრ რამეს ვპატიობდი, როცა ვხედავდი, როგორი ჭეშმარიტად ქართველური, მე ვიტყოდი, რუსთველური მეგობრობა აკავშირებდა მათ. ეს იყო ქართული ტრადიციების ერთ-ერთი საუკეთესო ინსტიტუტის - მეგობრობის უშუალო გამოვლენა, ქართული სულიერი ფასეულობის ცოცხალი საგანძური. გამსახურდიას მიტინგებს რომ ვიხსენებდით, ზაზა იცინოდა: „რა ყოფილა, ბატონო ჯაბა, ეს პოლიტიკა. თავი პირველ „კრასავეცად“ მომქონდა და არ გადამირია ზვიადამ ეს „ბალზაკის ასაკის“ მრევლი. „ეეე, მანდ სხვა მექანიზმიც მუშაობს: სოფლებიდან ჩამოსულებს პრეფექტები მივლინების ფულს უწერენ, აქაურ დიასახლისებს კი დღიურს ურიგებენ“, - აკონკრეტებს საქმეში ჩახედული და მამაკაცურ ღირსებაში ჩრდილმიყენებული გია.

შევარდნაძეს სურს, ჩემი აღარარსებული კომიტეტის საკომპენსაციოდ შექმნას რაღაც აპარატი, რომლის თავმჯდომარეც, რაღა თქმა უნდა, თვითონ იქნება, მე - ალბათ მოადგილე. ფიქრობს, დააკმაყოფილოს ჩემი პატივმოყვარეობა. აყალიბებს საკოორდინაციო კომისიას, რომელსაც, ფაქტობრივად, ენიჭება უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს ფუნქციები. ადმინისტრაციული აპარატის რეფორმაზე ხმას აღარ იღებს. გულახდილად რომ თქვას კაცმა, მართლაც ძნელია ამხელა შტატის გაუქმება - მის აპარატში რამდენიმე ასეული კაცია. იმ რეფორმის შედეგად, რომელზეც აბაშაში ზოგადად ვისაუბრეთ, დარჩებოდა სულ რაღაც 20-30 გამორჩეული ადამიანი. საკოორდინაციო კომისიის სხდომები ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით იმართება. შევარდნაძე, მე, ფაცაცია (უკვე პრემიერ-მინისტრია), ვიცე-პრემიერები - კერვალიშვილი, მარგიანი, ნადარეიშვილი, ძალოვანი სტრუქტურების

მინისტრები. შევარდნაძის საკადრო დღის წესრიგშია ყარყარაშვილის უმტკივნეულოდ მოცილება და რუსეთში ჩვენი ელჩის, ადვაძის მაგიერ, ვინმე მოხერხებული და გამოცდილი კაცის მონახვა, რომელსაც რუსეთში გავლენიანი კავშირები აქვს. ერთ-ერთ შეკრებაზე მოულოდნელად გამოჩნდა ახალგაზრდა პოლკოვნიკი კობა კობალაძე, შავნაბადას ბატალიონის უფროსი. ჩვენ ყველანი ჩვენს ადგილებზე ვსხედვართ. მხოლოდ ყარყარაშვილის ზურგს უკან, ფანჯრის რაფას მიყუდებია კობა კობალაძე. ყარყარაშვილი მოუსვენრად ცქმუტავს სკამზე, მერე კობალაძისკენ ბრუნდება და შევარდნაძეს მიმართავს: „ამას აქ რა უნდა?“ „კარგი რა, გია, არ გინდა ეს ეჭვიანობა“, - სწრაფად უჭრის სათქმელს შევარდნაძე. ახლაღა ვხვდები, რაშია საქმე. ზუსტად ასეთივე მიზანსცენა გათამაშდა მაშინ, როდესაც კიტოვანის ზურგს უკან მდგარი ყარყარაშვილი რამდენიმე დღეში თავდაცვის მინისტრი გახდა. მიზანსცენა ჭეშმარიტად კლასიკურია - სტანისლავსკის „ფიზიკური მოქმედების მეთოდის“ თვალნათლივობა.

1994 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში თბილისში ველოდებით პრეზიდენტ ბორის ელცინს. ხელი უნდა მოეწეროს ეგრეთ წოდებულ ფართომასშტაბიან მოლაპარაკებას. პირველ ვიცე-პრემიერ სოსკოვეცთან და წამყვანი დარგების მინისტრებთან ერთად ჩამოდის. იქნებ ახლა მაინც გვეშველოს, ბოლომდე გაირკვეს ურთიერთობა, გადაწყდეს აფხაზეთის საკითხი. მისი ჩამოსვლის დღეს ხდება უსიამოვნო ამბავი - ყარყარაშვილის მოადგილეს, ნიკუშა კეკელიძეს, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ბიზნესს ხელმძღვანელობდა, აფეთქებენ საკუთარ სახლში.

მოსკოვის სამთავრობო დელეგაციას მასპინძლები დარგების მიხედვით მიუჩინეს. მიღების ცერემონიალები, რიტუალები, მაგიდების და ადგილების განლაგება - ყველაფერი მაღალ დონეზე სრულდება. შევარდნაძის გამოცდილება აქ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა. ჩემი ობიექტებია თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბორის პასტუხოვი. გრაჩოვი ორი დღით ადრე ჩამოდის თბილისში. შევარდნაძე მირეკავს: „იქნებ თქვენ დახვდეთ ფაცაციასთან ერთად. იქიდან მთხოვა, ყარყარაშვილი არ დამანახოთო“. ამბობენ, ვითომც მოსკოვში შეხვედრისას ყარყარაშვილს გრაჩოვისთვის ირონიულად უთქვამს: შენს კაბინეტში რაც ითქმება, მეორე დღესვე ვიციო.

მე და პრემიერ-მინისტრი გავდივართ ვაზიანის აეროპორტში. იქ გვხვდება ვარდიკო ნადიბაიძე. იგი ჯერ კიდევ გენერალ ფიოდორ რეუტის - საქართველოში რუსთა სარდლის მოადგილეა. რეუტიც აქ არის, მაგრამ ჩვენს შესახვედრად არ გამოვიდა - ცივა, ქარია და სადისპეტჩეროში აქვს თავი შეფარებული. ვიდრე თვითმფრინავი გამოჩნდებოდეს, ჩვენც იქით მივდივართ. რეუტი ცივად მართმევს ხელს, ზურგს მაქცევს, ხმას არ იღებს, ფანჯრიდან გასცქერის მოედანს. „ეს უზრდელობა და ხამობაა“, - ვამბობ გაბრაზებული, უკანასკნელი სიტყვებით ვიგინები, გამოვდივარ და კარს ვუჯახუნებ. ნადიბაიძე და ფაცაცია შეშფოთებულები არიან. დაშოშმინებასაც ვერ მიბედავენ. საბედნიეროდ, იქვე თვითმფრინავიც გამოჩნდა. გრაჩოვი ჩემი დანახვით გახარებულია - თხოვნა შეუსრულეს. გადმოდის, გულწრფელად იღიმება, მეგობრულად მეხვევა, შემდეგ რეუტს და ფაცაციას ესალმება. რეუტი დაბნეულია. „ვაი, თქვე უბედურებო“, ვამბობ გუნებაში. მოდის პირმოთნეობით სავსე გამომეტყველებით და მთხოვს: „პაველ სერგეევიჩი ჩვენს ნაწილში მიგვყავს. იქნებ თქვენც წამობრძანდეთ“. „არა, არა! - ვეუბნები მკვახედ, - ჩვენს პროტოკოლში სხვა განრიგია“.

გრაჩოვთან ჩემი საუბრების უმთავრესი თემა აფხაზეთია. ახლა იქ მდგომარეობა გამძაფრებულია იმითაც, რომ დალის ხეობაში აფხაზებმა, კონფედერატებმა და სომხებმა შემოტევა დაიწყეს, დავკარგეთ ლათასთან არსებული გვირაბები. სამშვიდობო მოლაპარაკებების ფონზე რუსეთის პოზიცია ამჯერად პრაქტიკულად უნდა გამოვლინდეს. გრაჩოვს ვახსენებ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორიას. ვუხსნი, თუ რუსეთთან შეერთებისათვის რა მნიშვნელობა ჰქონდა მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის ფაქტორს. ვუყვები გიორგი XII-ის ბოლო არგუმენტის შესახებ, რომელიც მან სოლომონ ლეონიძის იმ დროისთვის პრაგმატული მტკიცებების გასაბათილებლად გამოიყენა: „სწორი ხარ, ჩემო სოლომონ, მართებულად მსჯელობ, მაგრამ ქრისტე ღმერთს რა პასუხი გავცე? რომ შემეკითხება, რატომ ჩააგდე შენი ერი მუსლიმანურ სიბნელეშიო, რა ვუთხრა?!“ ჩემთვის მოულოდნელად ეს ძლიერ მოქმედებს გრაჩოვზე. „ეს სულ სხვა ლაპარაკია, ეს სულ სხვა რამ არის...“ - ამბობს იგი პათეტიკურად. მე კიდევ ერთი რამ მაკვირვებს. რატომ არ იცის რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, რომ დალის ხეობის აღების

შემთხვევაში ჩრდილოკავკასიელები გამოდიან შავ ზღვაზე, რაც მათი საუკუნეობრივი ოცნებაა და თუკი ჩეჩნებმა ხეობა ხელში ჩაიგდეს, მაშინ თურქეთთან და მაჰმადიანურ ქვეყნებთან გზა დაღესტან-აზერბაიჯან-თურქეთით კი არ მოივლის ან ორჯონიკიძე და სოჭი კი არ დასჭირდება, პირდაპირ ზღვიდან, სადაც მოუნდება, იქ გავა. „მერედა როგორ?“ - დაბნეული კითხულობს იგი და რუკას ითხოვს. ვუთითებ რამდენიმე უღელტეხილზე - მარუხზე, ქლუხორზე და ვეუბნები, რომ უღელტეხილებამდე ჩრდილოკავკასიელებს სულაც ექვსი კილომეტრის გაკაფვა დასჭირდებათ. იქამდე კი მოასფალტებული ავტოსტრადაა. მერე მივმართავ პასტუხოვს, სიტყვას ჩამოვუგდებ ვითომც თავისთავად ნაგულისხმევ რუსეთის ტრადიციულ აღმოსავლურ პოლიტიკაზე, თითქოს მართლაც რამე იცოდეს პოტიომკინის აღმოსავლურ კონცეფციაზე, რომელიც აგერ უკვე სამი საუკუნეა, რუსული დიპლომატიის იზოთერული სახელმძღვანელო პროჟეკტია. „და, და“, - რიხიანად მიკრავს კვერს პასტუხოვი. „ისემც რა გითხრა, - ვფიქრობ, - თავი ჯერ კიდევ პარტიული ყრილობების თარიღებითა და კომკავშირული ლოზუნგებით გაქვს გამოტენილი“.

ელცინთან შეხვედრაზე თეთრ ჩოხას ვიცვამ. ვიცი, ექსტრავაგანტობაში ჩამომართმევენ, მაგრამ მე დემონსტრაციულად ვიქცევი ასე და თავს ვაძალებ. თუ დამოუკიდებლობაზეა საუბარი, სიმბოლოებმაც უნდა იმუშაონ. „ნუ, კაკ ნაშ ცარ? - ცუღლუტურად მეკითხება გრაჩოვი, - მოგწონთ ჩვენი მეფე?“ არადა, მართლა მომწონს. სურათებში და ეკრანზე უხეში, ეშმაკი რუსის მუჟიკია. კი, ასეც არის, მაგრამ რაღაც გულის ამაჩუყებელი დაუცველობა, მოკრძალებული, ტკივილიანი გამოხედვა და მოძულებული, თუმცა, სავალდებულო მოძრაობები არაადეკვატურად უძღვიან შინაგან მოქმედებას. მე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს გულის კუნჭულში, არაცნობიერად, დამნაშავედ მიაჩნია თავი ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის დახვრეტაში. წარმოშობით ხომ იგი იმ მხრიდან არის, სადაც ეს საშინელი და სამარცხვინო აქტი ჩაიდინეს კომუნისტებმა. მახსენდება ინოკენტი სმოკტუნოვსკი მეფე თედორეს როლში მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე. ინტრიგებში გართულმა მაშინდელმა თეატრალურმა სამყარომ ჯეროვნად ვერ შეაფასა დიდი მსახიობის მიერ შექმნილი შედევრი. ტრადიციულად

მიღებული მოჩერჩეტო, აბუეტი მეფის ნაცვლად, წარმოგვიდგა XX საუკუნის მორწმუნე ინტელიგენტი, რომელიც ძალაუნებურად მოხვდა შუა საუკუნეების სისასტიკით აწყობილ სასახლისა და სახელმწიფო ცხოვრების ორომტრიალში. მას მამამისის - ივანე მრისხანის ყოფილი გარემოცვა, ძალაუფლების უზურპაციის მოსურნენი - შუისკი და გოდუნოვი, რომელთაც ჰგონიათ, რომ თედორეს ატყუებენ - უბედურ ცოდვილებად მიაჩნია. იგი გულმოწყალებით აბათილებს მათ პრიმიტიულ ხრიკებს და შეცდომაში შესაყვანად პროვოცირებულ ვითარებებს მარტივად და სამართლიანად განმუხტავს. ვისაც იგი დებილი ჰგონია, მათ თვალში ეს ყველაფერი ჭირვეულობის სახეს იღებს. „მე მეფე ვარ თუ არა?“ - კითხულობს იგი სრულიად სერიოზულად და მტკიცედ, რის უკანაც დგას ორმაგი პლანი: სცენური სახის ლოგიკა და მისი ზეამოცანა. მოწინააღმდეგეებს ეს კვლავ აბუეტის ახირებად მიაჩნიათ. მაყურებელი კი ხვდება, რომ თედორე მეფე ამას შეგნებულად აკეთებს. ახსნა-განმარტება ამჯერად არაფერს მოიტანს. ის, ვისაც ჭეშმარიტი ჰუმანისტური აზრი არასოდეს დაბადებია, ვერც ვერაფერს გაიგებს. აქ უნდა იმოქმედოს მხოლოდ იმპერატივმა: „ვარ თუ არა მეფე“... თუ ვარ, გააკეთეთ ისე, როგორც გეუბნებიან - მორჩა და გათავდა.

წვეულებაზე გრაჩოვი ჩემს გვერდითაა. კვლავ ამ შეკითხვას მისვამს და ირონიულად იღიმება: „ნუ, კაკ ნაშ ცარ?“ მწყინს, რომ ჩემგან ასევე აგდებულ პასუხს ელოდება. „კიტოვანი გავაფრთხილე, - თითქოს თავს იმართლებს ჩემს წინაშე, - როცა ტექნიკა გადავეცი, ვუთხარი, თენგიზ, აფხაზეთში არ შეხვიდე, ცუდად დამთავრდება-მეთქი. ხელწერილიც კი ჩამოვართვი... ორი კვირაც არ გასულა, დაადო თავი და შერიხინდა“. „ისეთი დანგრეული ტანკები მოგვეცით, მართლაც რომ შერიხინდა“. - ჩავურთე მე. „რატომ, „ტ-55“ მშვენიერი მანქანაა. აბა, „ტ-74“ აქ ჩვენ თვითონ რამდენიმე ცალი გვქონდა“.

გრაჩოვი ცივი იარაღის კოლექციონერი ყოფილა. მეც ვითომ ვიწყებ კოლექციონერობას. ჯერჯერობით სახარბიელო არაფერი მაქვს, რომ ვაჩუქო. ბიჭებს ვავალებ, იქნებ სადმე ძველებურ ხანჯალს ან ხმალს მიაგნონ. ზურაბ ქარსელაძეს მოაქვს მშვენიერი არაბული ვერცხლისტარიანი ხანჯალი. ლეგენდით, შამილის ნაქონია. „ჩემი პრეზენტია. სიმბოლურია - შამილი 25 წელიწადს ეომებოდა რუსებს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც

ქართველები ჩაებნენ ომში, გუნიბის ბრძოლის მოგებამ გადაწყვიტა დაღესტნის საკითხი. ჩრდილო კავკასიაში უჩვენოდ ახლაც არაფერი გამოვა“, - ვიძლევი ანოტაციას; ბავშვივით უხარია. მგონი, ყველაფერმა კარგად ჩაიარა: დოკუმენტები ხელმოწერილია, სიტყვიერი შეპირებები - უხვი, ურთიერთობები - კეთილგანწყობილი.

ელცინის გაცილების ცერემონიალი შეიკვეცა. ცივი, ძლიერი ქარი ქრის. აეროპორტშიც საკმარისი, სადღესასწაულო განათება არ არის. გაფრენის წინ სასტუმრო ოთახში ვრჩებით სამნი - ელცინი, შევარდნაძე და მე. ელცინი შეზარხოშებულია. ოფიციანტს შემოაქვს სინზე შედგმული კონიაკის ბოთლი და მუქი ყავისფერი სითხით სავსე პატარ-პატარა ჭიქები. ელცინს თვალები ისე გაექცა ბოთლისკენ, როგორც მოარშიყე მამაკაცს - გამომწვევად მოსეირნე ლამაზი ქალისკენ. ერთი წაიწია კიდეც, მერე შეჩერდა, ეტყობა, რაღაც გაახსენდა, გულდაწყვეტილი შემობრუნდა და პათეტიკურად შესძახა: „ენისელი! მსოფლიოს საუკეთესო კონიაკი!“ ვიცინით. მე ზემოდან შავი, მსუბუქი, მოქარგული ნაბადი მაქვს მოხურული. ელცინი აღტაცებული მიყურებს და ქათინაურს მეუბნება. შევარდნაძეს გავხედე. მიმიხვდა და თვალით მაქეზებს. ნაბადი მოვიხადე და ელცინს მხრებზე წამოვასხი. „ფეშქაშ!“ დარწმუნებული არა ვარ, რომ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა. მეხვევა. თანმხლები პირებით შემოდის სოსკოვეცი. აცხადებს, რომ ბორის ნიკოლაევიჩს ელოდებიან, სასწრაფოდ უნდა გავიდნენ, თორემ, შესაძლოა, ამინდმა გაფრენა შეაფერხოს. ქარი ყველას თვითმფრინავისკენ მიაფრენს. მე მანქანაში ვრჩები: „ვარ თუ არა მეფე?“ არის კი ელცინი თედორე-სმოკტუნოვსკი?!

ჩვენი იმედები სულ მალე გაცრუვდა. როგორც ეტყობა, ელცინთან შევარდნაძეს ღია, გულახდილი და საქმიანი ლაპარაკი არ გამოუვიდა. საბოლოოდ ვერ გაირკვა, რა უნდა დავთმოთ ჩვენ და რაზეა მზად რუსეთი, რომ აფხაზეთის პრობლემა დროებით მაინც გადაიჭრას. არც ჩვენს ხალხში და არც პარლამენტში ჯერ კიდევ გაცნობიერებული არ არის, თუ რა სერიოზულ ამბავთან გვაქვს საქმე. გარდა იმისა, რომ რუსეთი არ შეცვლის კავკასიის სტრატეგიულ პოლიტიკას, ასე ჰაიჰარად არ დათმობს შავ ზღვას, რიწას, გაგრას, ბიჭვინთასა და მიუსერას. არც აფხაზებს აქვთ უკან დასახევი გზა. ამას არც ბავშვური პრეტენზიები, არც ურაპატრიოტული ლოზუნგები და დიპლომატიური ხრიკები არ უშველის. ამას უნდოდა

მთელი ერის თავდადება, ერთ მუშტად შეკვრა და, რაკი თავის დროზე პოლიტიკურად ვერ მოვუარეთ საქმეს, უნდა გვეომა საქართველოს მთლიანობისათვის, ჩვენი მიწა-წყლისათვის და არა კარიერისა და ძალაუფლებისთვის. ახლა შესაძლებელია მხოლოდ ერთი რამ: აღდგეს საბჭოთა პერიოდის „სტატუს-კვო“ ახალი გაფორმებითა და ფრაზეოლოგიური საბურველით. სახელად - ჩვენი, სახრავად - რუსების. რას იზამ, დროებით მაინც. აი, ასეთი პოლიტიკური მოდელის სტატუსი უნდა მოვნახოთ. თავის დროზე, ესე იგი, მოლაპარაკებაში ჩემი ჩართვის მომენტში, შევარდნაძეს შევთავაზე, დღის წესრიგში დაგვეყენებინა დირექტორატის მმართველობის საკითხი. ეს მან სერიოზულად არ მიიღო, ამჯობინა აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკის სტანდარტული მოდელებით აპელირება, ისეთით, როგორიც არის ფედერაცია, სახელმწიფოებრივი სუბიექტების არსებობისა და ურთიერთობის ნიუანსებში ქულების დაგროვება. იმასაც ვამბობდი, პოლიტიკური სტატუსის ირგვლივ ყურადღებას ჯერ ნუ გავამახვილებთ-მეთქი. ის, რომ აფხაზები მოლაპარაკებაზე მოდიან გაეროს რეზოლუციების აღიარებით, სადაც მკაფიოდ განსაზღვრულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობა, თავისთავად გულისხმობს, რომ ისინი თანახმა არიან ამ ფორმულაზე. ჩვენთვის მთავარი იყო ლტოლვილების დაბრუნება მეტ-ნაკლებად უსაფრთხო პირობებში. ის მაქსიმალისტური და იდეალისტური მოთხოვნები, რომ ვიდრე ჩვენი იურისდიქცია არ გავრცელდება მთელ აფხაზეთზე და, ვიდრე აფხაზები, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ბეთჰოვენის მეცხრე - გმირული სიმფონიით არ შეგვხვდებიან, არ დავბრუნდებით - სინამდვილეში კაპიტულანტობაა და მეტი არაფერი. დირექტორატი, სადაც პარიტეტულად იქნებოდნენ ტერიტორიული მთლიანობის სახელმძღვანელო იდეით გაერთიანებული ჩვენი, აფხაზების და რუსების (თუ მოვახერხებდით, გაეროს) წარმომადგენლები, დროთა განმავლობაში ჭკვიანური პოლიტიკური და ეკონომიკური ღონისძიებების გატარებით ჩვენ მოვახერხებდით აფხაზებთან ერთიანი ცხოვრებისკენ წინსვლას. სამწუხაროდ, ყველაფერ ამისთვის საქართველო მზად არ არის. ჩვენი პოლიტიკაა პოპულიზმი, ლოზუნგები და ქიმერების დევნა.

გია ყარყარაშვილი განცხადებას წერს და მიდის მინისტრის

პოსტიდან. პაატა დათუაშვილთან ერთად აპირებს ისწავლოს მოსკოვში, გენშტაბის აკადემიაში. მინისტრად ინიშნება ვარდიკო ნადიბაიძე.

რუსეთის სამშვიდობო ძალები, რომელთაც უნდა დაიცვან ჩვენი შეთანხმება ჯარების დაშორიშორებისა და ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების შესახებ, განლაგდნენ, როგორც იყო გათვალისწინებული: აქეთა მხარეს ზუგდიდი-წალენჯიხა, იქით - გალი-ოჩამჩირე. აქეთა მხარეს ხელმძღვანელობს გენერალი ალექსეი პოტაპოვი, იქით - გენერალი ვასილი იაკუშევი.

ამ დროს აფხაზები დალის ხეობაში უკვე წინ მოიწევენ. დაიკარგა ქვემო და ზემო ლათა. თავდაცვის სამინისტროში სძინავთ, პარლამენტი მთლიანად აყოლილია შევარდნაძის ინტრიგებს. მისი შეურიგებელი მოწინააღმდეგეებიც კი, იმის მაგიერ, რომ ძალაუფლების უზურპაციაში, ფსევდორეფორმატორობაში და პოპულისტური პოლიტიკის გატარებაში დასდონ ბრალი, შეაჯანჯღარონ და გონს მოიყვანონ, ჭორითა და ბავშვური „დომაშნიაკური“ (რაც ზვიად გამსახურდიასგან მოდის) გამოხდომებით, როგორიცაა, მაგალითად, „კრემლის აგენტია“, „საქართველო გაყიდა“, „აფხაზეთი სპეციალურად ჩააბარა“ და ა. შ. იცუცურაკებენ თავს.

გია ვაშაკიძე და დოდო გუგეშაშვილი თავისი მცირე რაზმით მიმყავს ქუთაისში. იქ ერთი სათუო საჰაერო დერეფანია დარჩენილი - იქნებ ომარიშარის ზურგიდან როგორმე გავძვრეთ აჟარაში. ტყვარჩელის მიდამოებიდან „გრადი“ ბომბავს მთელ ხეობას. საბედნიეროდ, ჯერ ვერ სწვდება სოფელ აჟარას, რადგან იმდენად ციცაბოა, რომ „გრადის“ ჭურვები ტრაექტორიას ვერ ასწრებენ და აჟარისა და გენწვიშის მთებზე სკდებიან. სამაგიეროდ, დაბომბვის პერიოდში ვერტმფრენი იქ ვერ გაივლის. მაინც ვრისკავთ. ემზარ კვიციანი ვაჟკაცია და პანიკიორი არ არის. რაკი მან გადმოგვცა, თუ არ მოგვეშველებით, ხეობა დაიკარგებაო, მართლაც საგანგაშო მდგომარეობაა. ჭუბერში ვსხდებით. გვატყობინებენ, რომ ხეობა დილიდან იბომბებოდა. ახლა ექოდ წამოსული ზალპები აღარ ისმის, სამაგიეროდ, ნისლია. პილოტის ინტუიცია თუ გვიხსნის... „სულ ათი წუთი გვჭირდება, - ვამბობ მე, - დასაღუპავად კი ერთი წამიც საკმარისია“. დოდო, გია და მე

ვიცინით. პილოტიც ჩვენისთანა გიჟი გამოდგა. სადაც წვრილია, იქ გაწყდეს, - ამბობს იმედიანად და მანქანას ქოქავს. ავიწიეთ. ომარიშარი მარცხნივ გვრჩება, მერე ნახევრად ვტრიალდებით და ხეობაში შევდივართ. ქარი გლეჯს იქაურობას. გია ვაშაკიძე ერთხელ უკვე მოხვდა ვერტმფრენის ავარიაში. სასწაულებრივად გადარჩა. ახლა მაინცდამაინც თავს მშვიდად ვერ გრძნობს და ხუმრობს: „მგონი, ეს ჩვენი ვერტმფრენიც შიშით ცახცახებს“. ქვემოთ თოვლია. უამრავი მანქანა ჯგუფ-ჯგუფად გაფანტულა. ხუთასამდე დავითვალე. ლტოლვილების დატოვებულია. ვსხდებით აჟარაში. აქ ვერტმფრენის გამოჩენა მთელი მოვლენაა, მაგრამ ამჯერად არავინ გვხვდება. მივდივართ შტაბ-კანტორაში. იქაც არავინაა. გამოვდივართ სოფელში. ქალები და ბავშვები არ ჩანან. მამაკაცები ზლაზვნით იკრიბებიან. „სად არის ემზარი?“ - ვკითხულობ. „ქვაბჩარაში. დილიდან გვბომბავდნენ. ერთმა ჭურვმა სოფლის ბოლოს მაინც ჩამოაღწია“, - უხალისოდ მპასუხობენ. მანქანები სავსეა, მაგრამ საწვავი არ არის. მოდის ნუგზარი, ყოფილი მხედრიონელი. სატვირთო მანქანა გამართული აქვს და მომემსახურება. მე და გია მივდივართ ქვაბჩარისკენ. ნუგზარი გზაში გვაცნობს მდგომარეობას: „უმრავლესობამ ოჯახი გაიყვანა. საჭმელი არ არის, პური არ არის, საწვავი არ არის, მედიკამენტები არ არის, ხალხიც აღარ არის - ზოგმა ცოლ-შვილი წაიყვანა, ზოგიც ტყისკენ იყურება“. ვხედავთ, ქვემოდან, გზაზე მძიმე ნაბიჯით ვიღაც ამოდის. მხრებზე მეცხვარის კეტივით ავტომატი გაუდია და ზედ ხელები ჩამოუწყვია. „ბაბაჯო! ემზარი!“ - ამბობს ნუგზარი. ვერ ვცნობ, მოხუცი კაცის ნაბიჯით მოდის. „ყველანი ტყეში წავიდნენ, ბატონო ჯაბა. ახლა მეც მინდოდა გზა ამეფეთქებინა და გავსულიყავი“. უძილობისგან თვალები ჩაცვენილი და დაწითლებული აქვს. „ჩხალთაში ათი-თორმეტი კაცია დარჩენილი 51-ე ბატალიონიდან. კარგი ბიჭები არიან... დანარჩენები წავიდნენ. ხელშეკრულებით იყვნენ, ვადა დაუმთავრდათ. არც საჭმელი, არც ჯამაგირი -წავიდნენ. წუხელ აფხაზები გამოვიდნენ რაციაზე. მოამზადეთ თქვენი ცოლები, მოვდივართო... მაგათ აქ დატოვებული მანქანების ხელში ჩაგდების იმედი აქვთ. მე ვუთხარი, როგორც კი შევიტყობ, საქმე ცუდად არის, ყველას ავაფეთქებ და დავწვავ. თქვენ აქ სიკვდილის მეტს ვერაფერს ნახავთ-მეთქი.

ემზარს ვაბრუნებ და მივემართებით ქვაბჩარისკენ. როგორც კი

ჩხალთას გავცდით და ქვაბჩარას მივუახლოვდით, ავტომატებით სროლა აგვიტეხეს. „მდინარე კოდორს გაღმა, მთაზე, სათვალთვალო ჰქონიათ“. „გუშინ არ იყვნენ, წუხელ ჩვენებს აქაურობა მიუტოვებიათ და ალბათ შემოიპარნენ“, - მპასუხობს ჩავარდნილი ხმით, როგორღაც გულგრილად, ეტყობა, გადაღლილობისგან აპათია დაუფლებია. მივიწევთ წინ, ხიდამდე. ვიცი, იქ ემზარს ფარული სამუშაოები ჰქონდა გაკეთებული. „აქ ყველაფერი დანაღმულია, ეგ პატარა ქოხიც, მანქანაც, ხიდიც, მთის ფერდობიც და გზაც. ხომ არ ავაფეთქოთ? - მეკითხება, - დღეს აქ აღარავინ იდარაჯებს, ხალხი არ არის...“ „დაიცა, კაცო, ეგრე არ არის საქმე. აი, ჩვენ ჩამოვედით, დოდო - თავისი ჯგუფით, ორ დღეში სამას კაცს ჩამოგიყვან. ხომ გეყოფა? გიაც აქ დარჩება“. ოდნავ უნდოდ იღიმება. ხიდის იქიდან ყუმბარმტყორცნს გვესვრიან. ჩვენამდე ვერ აღწევს, კლდეს ვეფარებით. ჩხალთასა და ქვაბჩარას შორის პატარა შეჭრილ მოედანზე ორი ახალთახალი „ჰაუბიცა“ დგას. „ჭურვები არის?“ „კი, მაგრამ არტილერისტი ერთი ლოთი ვინმეა“. „ახლავე მონახეთ, აუცილებლად! „ჰაუბიცები“, ძმაო, სოხუმში რომ გვქონოდა... მონახეთ არტილერისტი, დღესვე დაბომბოს იქითა მხარე! კორექტირება და მიზანში ამოღება საჭირო არ არის. მთავარია, მათ იცოდნენ, რომ ჩვენ აქა ვართ და შეიძლება იერიშიც დავიწყოთ“.

დოდო აქ შინაურია. თავისი ბიჭები უკვე დაუბინავებია და შტაბ-კანტორაში რაციას მისჯდომია. იცინის. „რად გინდა, ვერავის დაუკავშირდები. აღარავინ არის ადგილზე“. მაგონდება ერთი გურულის ნატრაბახევი: „მარტო მე მაქვს, ძამა, მთელ რაიონში ტელეფონი“. „ჰოდა, დაჯექი და შენს თავს ელაპარაკე“, - ვუპასუხე მეტიჩარას. მაინტერესებს, როგორაა ჭუბერთან გზის საქმე. რამდენი ხანია, ვეჩიჩინები მთავრობას, თავდაცვის სამინისტროს, შევარდნაძეს - ჭუბერსა და დალის ხეობას შორის ისეთი გზაა გასაყვანი, რომელიც ზამთარ-ზაფხულ იმუშავებს. თბილისში ჯარის ნაწილები სრულებით არ არის საჭირო. ჭუბერში ერთი დიდი ბანაკია გასამართავი. აქ შეიძლება წვევამდელების მომზადება, სადესანტო ბატალიონების ბაზის შექმნა, გაკონტროლდება მთელი უღელტეხილი და დაცული იქნება ხეობაც. სტრატეგიულადაც მთელ აფხაზეთს გადაჰყურებ. ყველა სიმაღლე ჩვენი იქნება, ტყვარჩელიც - გადარაზული.

ვხვდები 51-ე ბატალიონის ბიჭებს. ისინი ჩვენს დეპუტატს,

პავლიკა იოსელიანის ძმას, არჩილს ჩამოუყვანია. ცოტა ხანს თვითონაც აქ დარჩენილა. ახლა მიტოვებული არიან. ვათვალიერებ შენობებს. სკოლის შენობა ყაზარმისთვის გამოდგება. ეზოში ბიჭებს სანგრებიც გაუთხრიათ, ყოველი შემთხვევისთვის - ხიდის დასაცავად და დაბომბვის დროს თავის შესაფარებლად. ოღონდ იქაურობა დასასუფთავებელია. ამას დოდო მოუვლის. ერთი სიტყვით, დოდოს ვტოვებ შტაბის უფროსად, გიას, ემზართან ერთად, საერთო ხელმძღვანელობას ვაბარებ. რაციას ქუთაისთან და თბილისთან აქვს კავშირი. ქუთაისში იქნება მეორე შტაბი, რომელიც ხალხს, პროდუქტებს, ტყვია-წამალს და მედიკამენტებს აქეთ გამოუშვებს. შევეცდები, ერთი შტაბიც ჭუბერში შევქმნა.

მეორე დღეს ვბრუნდები თბილისში. ვტეხ განგაშს. შევარდნაძე იწვევს საგანგებო თათბირს. ვგზავნით დეპეშებს გაეროში, ელცინთან. პროტესტს ვაცხადებთ, რომ ირღვევა ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. სამეურნეო საკითხებს შევარდნაძე ავალებს ავთანდილ მარგიანს. თავდაცვის სამინისტროდან, ჩემი მოთხოვნით, კოდორის ხეობას გუჯარ ყურაშვილი უხელმძღვანელებს. თავდაცვის სამინისტროში გუჯარი სასიამოვნო გამონაკლისია - არც მშიშარაა და არც ტყუილების გუდა. ხანდახან თუ უბოროტოდ წაიტრაბახა, ეს არაფერი. მონადირისა არ იყოს, სამხედროებში მოდის. იგი მთელი ენთუზიაზმით ერთვება საქმეში. საკუთარი გეგმაც აქვს. თანახმაა, ჭუბერში ბანაკი დავცეთ, გზა გავიყვანოთ. იქ, ფაქტობრივად, ორი გზა არსებობს, ოღონდ ზამთარში ვერ ისარგებლებ. ბოლოს და ბოლოს, თუკი ჩვენი ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ასე მოკლე დროში ზამთრის გზას ვერ მოვამზადებთ, მონაკვეთებში ბულდოზერებისა და გამწე ტრაქტორების სამხედრო-ტექნიკური სადგურები დავაარსოთ. გუჯარს მიაჩნია, რომ ორი საცეცხლე წერტილი უნდა შევქმნათ ხეობასა და ჭუბერს შორის, რომელიც დამიზნებული იქნება ტყვარჩელსა და მის მიმდებარე ზონებზე. სამას ჯარისკაცს კი წვევამდელებიდან ამ მოკლე ხანში გამოუშვებს ხეობაში.

ქუთაისში ვქმნით გამანაწილებელ შტაბს. იქ იქნება ავთანდილ მარგიანი. ხეობაში გაიგზავნა ფქვილი, შაქარი და მხედრიონის 50 კაცი. გუჯარი ხან აქაა, ხან - იქ, როგორც საქმე მოითხოვს. მანამდე კი ხეობაში მხედრიონია დოდოს უფროსობით და ემზარის 400-კაციანი ლაშქარი. მივფრინავთ მე, გუჯარი,

ავთანდილი. ხეობა გამოცოცხლებულია: ემზარი ჯარასავით ტრიალებს, გია ვაშაკიძე და დოდო პოზიციებს უვლიან, იქაურობას ზვერავენ. ავთანდილი იმ დღესვე დაბრუნდა, მე და გუჯარი რამდენიმე დღეს დავრჩით ხეობაში. როგორც დაზვერვამ შეგვატყობინა და ჩვენც მივხვდით, აფხაზების იერიში გადაიდო. ჩვენებმა ზემო ლათის რამდენიმე მთა-გორაკი დაიბრუნეს. აფხაზების მხარეს ძლიერ აქტიურობს ორასამდე კარგად შეიარაღებული ადგილობრივი სომეხი. აფხაზები ემზარს მოსალაპარაკებლად იწვევენ. მეკითხება, წავიდეს თუ არა. „მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მყარი გარანტიები იქნება - ეგენი ყველაფერზე წავლენ. ყველა პირობა, ყველა ხელშეკრულება, ყველა სიტყვა გატეხეს. იციან, რომ შენ აქ ერთ-ერთი პირველი კაცი ხარ და გამორიცხული არ არის, კიდევ ერთხელ გვიმუხთლონ. ან რაზე უნდა მოგელაპარაკონ, რა უნდა გითხრან? ის, რითაც მეგრელების მოტყუება სურდათ? თქვენ ხომ ქართველები არა ხართ, თავს რას იკლავთ, ჩვენ ხელს არ გახლებთო. არადა, მთელი აფხაზეთი სამეგრელოა. ან, თუ ეგრე იყო, რა ქნეს გაგრაში, ლესელიძეში, გუდაუთის სოფლებში, კოჩარაში - მეგრელებისა და სვანების მშვიდობიანი მოსახლეობა არ ამოწყვიტეს?“

მე მალხაზ კორძაიას სახლში მძინავს. ეს ის მალხაზია, ვისთან ერთადაც ჩემი კოწია წალენჯიხაში იცავდა მარჯვენა ფლანგს. შემდეგ სოხუმში ბატალიონი „ბაგრატიონი“ ჩამოაყალიბა. მეუღლე რუსი ჰყავს, საკმაოდ განათლებული ქალი. ბავშვები ხეობიდან გაუყვანიათ. თვითონ ქმართან დარჩა გაჭირვების ჟამს. რუსი გენერალი იაკუშევი რაციით ამოსვლას ითხოვს. მე უხეშად ველაპარაკები. მოვითხოვ, რომ რუსების სამშვიდობო ჯარს პოსტები ჰქონდეს დაშორიშორების შუაში და არა ზურგში, როგორც აქ, ხეობაშია: სომხების უკანონო ფორმირება ლათასთანაა, რუსების ჯარისკაცები კი - წებელდაში. თუ ჩემთან შეხვედრა სურს, ხვალ ზუგდიდში გამოვიდეს. ემზარი ისევ თავისას გაიძახის: „გზას ავაფეთქებ და რუსებს არ შემოვუშვებ“. „მერე მაგის აღდგენა არ გინდა?!“ - ვეუბნები. „ჰო, ძნელი იქნება“, - მეთანხმება იგი. მე და გუჯარი კიდევ მივდი-მოვდივართ ქუთაისში, ზუგდიდში, ჭუბერში, აჟარაში, ჩხალთასა და ქვაბჩარაში. ერთხელაც, ხეობაში ამოსვლისას, გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ კორესპონდენტი კაკო მიქაძე დამემგზავრა. უხარია, ასეთ „ცხელ წერტილში“ და ულამაზეს მხარეში რომ მოხვდა. „ამ დღეებში ჟენევაში მივდივარ. ღმერთი

არ გაგიწყრეს, არ მომიხსენიო, თუ რამეს დაწერ, მე ხომ მშვიდობის მაძიებელი ვარ, კომისიის თავმჯდომარე. ჰაი, ჰაი, რომ მართლაც ვარ, მაგრამ განა ასე გაიგებს დიპლომატიური საზოგადოებრიობა? მაგათ „მშვიდობის მტრედი“ გაეროს ან პარლამენტის სვეტებიან დარბაზში და მყუდრო კაბინეტებში მთვლემარე წარმოუდგენიათ“.

დალის ხეობაში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, მთელი მსოფლიოს ყურადღება გამახვილებულია. გაეროს დამკვირვებლები ფრთხილად, მაგრამ მაინც მოქმედებენ. რუსები პასუხისმგებლობის წინაშე დგანან. ხეობაში ჩვენი ძალები გაძლიერებულია. ამჯერად აფხაზებს ფაქტის წინაშე დაყენების პოლიტიკა ჩაეშალათ. ვიდრე ჟენევაში გავემგზავრებოდეთ, კომისიის წევრები შევარდნაძესთან ვიკრიბებით. აქამდე ჩვენ და რუსებს ყველა მოლაპარაკებაზე საკუთარი პროექტები გვქონდა. აფაზები რუსების პროექტებით ხელმძღვანელობენ იმ პუნქტებში, სადაც რუსები არაფრის მთქმელ ფრაზებს იყენებენ. აფხაზები თავიანთ რადიკალურ მოთხოვნებს ურთავენ. პირველ ორ სხდომაზე გაეროს მხრიდან ედუარდ ბრუნერმა თავისი პროექტი მოიტანა, მაგრამ დარწმუნდა, რომ მოლაპარაკების პროცესი სულ სხვაგვარად მიმდინარეობს და ვერც ერთ ფორმულასა თუ ფორმულირებას თავს ვერავის მოახვევს და იმპროვიზებულ სქემებს გვთავაზობს. ბრუნერი მოქნილი დიპლომატია. ძლიერ მოწადინებულია, ამ კონფლიქტის მოგვარებას დაადგას თავი. ეს მისი კარიერისთვის უდიდესი მოვლენა იქნება. მასში რაღაც ნარცისიზმი შეიმჩნევა, თუმცა, მანერები არისტოკრატული აქვს და ურთიერთობაში უკომპლექსოდ თავისუფალია. პასტუხოვი - რუსთა დელეგაციის ხელმძღვანელი - ყოველ შეხვედრაზე წინა გადაწყვეტილებით მოდის. ამიტომ ჯიქურ მოქმედებს. მას რაღაც სიმპათიური კავშირები უნდა ჰქონდეს აფხაზებთან. შევარდნაძემ, როცა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, სამინისტროდან ავღანეთში ელჩად გაუშვა. როგორ უნდა იყოს მისდამი გამსჭვალული, გასაგებია: კომფორტული სამინისტროდან დაუნდობელი ომის ვითარებაში რომ გადაგისვრიან. თუმცა, სურს დამაჯეროს, ვითომც ამით შევარდნაძის დიდი მადლიერია. ავღანეთში ფასდაუდებელი გამოცდილება შეიძინა. სოკრატ ჯინჯოლია - აფხაზეთის დელეგაციის მეთაური - უბოროტო კაცი ჩანს, კეთილად იღიმება, სამაგიეროდ, ანრი ჯერგენია, მისი

მოადგილე, არძინბას ახლო ნათესავი, წმინდა კომუნისტური შეუვალობით გამოირჩევა. მეტიც: უნდა, რომ თავი რკინა-ბეტონის ციტადელად გაასაღოს. შევარდნაძე ყოველი წასვლის წინ გვარიგებს, რომ ჩვენს მოთხოვნებში უნდა იყოს იმაზე მეტი, რის მიღწევასაც სინამდვილეში ვესწრაფით, რომ სავაჭრო და დასათმობი გვქონდეს. ამას იგი ისეთი მენტორული ტონით და პროფესიონალის თავმოწონებით გვანდობს, რომ, ვფიქრობ, ეს ტენდენცია თავისი დიპლომატიური მოღვაწეობის დასაწყისში ვიღაც ავტორიტეტმა შეაგონა. ყველა მოლაპარაკება, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მიერ მიღებულ სქემას უტრიალებს. არა იმიტომ, რომ სხვებზე ჭკვიანები ვართ, უბრალოდ, სიმართლე ჩვენს მხარესაა და ლოგიკაც აქედან გამომდინარეობს.

ჟენევაში ჩამოდის რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი გიორგი კონდრატიევი. აქვეა გაეროს დამკვირვებელი გენერალი ჰოდეგარტი. თავს არაფერზე იტკივებს, დიდად კმაყოფილია თავისი მდგომარეობით. აფხაზებთან კარგა ჩახუტებულიც ჩანს. ერთი-ორჯერ შევუღრინე და ნართაულად გადავუკარი სიტყვა. მიმიხვდა, წამოჭარხლდა და მას შემდეგ დამთმობი ტონით მესაუბრება. ერთხელ შევარდნაძემაც მოხდენილად გააქილიკა: „როგორც მითხრეს, თქვენ ბიჭვინთაში დაიდეთ ბინა, არა? ჰო, გეტყობათ, გეტყობათ - მზე მოგკიდებიათ. ჩვენც, პოლიტბიუროს წევრები, დასასვენებლად მანდ, ბიჭვინთაში მოვდიოდით ხოლმე“.

კონდრატიევი ერთ დღეს დაესწრო ჩვენს მოლაპარაკებას, ჯარისკაცურად, უცერემონიოდ ხელში ჩაიგდო ინიციატივა და რაღაცას მიერეკება. მოგვიწოდებს, მალე გადავიდეთ პრაქტიკულ საქმეზე. ლტოლვილები სასწრაფოდ უნდა დავაბრუნოთ.

საღამოს ვახშამზე მპატიჟებს. რუსეთის საელჩოში ვახშმის შემდეგ ცალკე მიწვევს კონფიდენციალური საუბრისთვის. გამოდის, სპეციალურად ჩემთვის ჩამოსულა. ხვალ დილით, როგორც ამბობს, ბრიუსელში მიდის. სუფრაზე დალია და ზარხოში ახლა ეკიდება. კონიაკს და ვისკის მთავაზობს, რუსულად - ჩაის ჭიქებით. ვაი, შენ, ჩემო თავო, უკან დასახევი გზა არა მაქვს, ამფსონობა უნდა გავუწიო. ეტყობა, ჩემ შესახებ ლეგენდები უამბეს. გაკვრით მიყვება თავის ბავშვობას,

მიმანიშნებს, რომ ქუჩურ ცხოვრებაში არიფი არ არის. ქათინაურებს მეუბნება. თავს რაღაც დამნაშავედ გრძნობს ქართველების წინაშე; ცხინვალშიც ეგ მოქმედებდა, გაგრაშიც. ჩვენს ხელმძღვანელობასაც ადანაშაულებს, გამსახურდია ფაშისტი იყოო. არც შევარდნაძეზეა დიდი წარმოდგენის. არავითარი პირადი კონტაქტები არ გვქონდა, საქმე კი პირადი ურთიერთობით კეთდებაო.

ერთი სიტყვით, ყველაფერს მპირდება. მგონი, არძინბას ვერ იტანს. როგორც კი მის სახელს გაიგებს, თითქოს ჭინჭრით დასუსხესო, ყვირის: „ა ხტო ონ ტაკოი, ეტოტ არძინბა? ხტო?“ „კ“-ს მაგიერ „ხ“ -ს ხმარობს, როგორც შუა რუსეთში მცხოვრებ უკრაინელებს სჩვევიათ. ეს მახალისებს და შიგადაშიგ ისევ ვახსენებ არძინბას. „თქვენ კი მპირდებით გალში ლტოლვილების სასწრაფოდ დაბრუნებას, მაგრამ, აი, არძინბა...“ მაწყვეტინებს: „ა ხტო ონ ტაკოი, ეტოტ არძინბა, ხტო? ხტო?“ როგორც ის იქცევა, ჩვენც ასევე ფაქტის წინაშე დავაყენებთ. ჩვენი თავდაცვის მინისტრის ვაკანტურ ადგილზე მეკითხება, ვინ გინდათო. არ იცის, რომ ვარდიკო ჯერ გაფორმებული არ არის და უკვე შეუდგა მუშაობას. ბორის ნიკოლაევიჩმა (ელცინმა) მითხრა: „ეგ საქმე ჩქარა დაამთავრეო. ზუგდიდში ჩამოვალ და შევხვდეთ, ყველაფერზე კონკრეტულად მოვილაპარაკოთ“. „არძინბა! ა ხტო ონ ტაკოი!“ ჩანს, რუსეთის კურსი აფხაზეთის მიმართ მართლაც შეიცვალა. საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი სოხუმში ჩადის და მას არ ხვდება არძინბა. ეს ხაზგასმული პროტესტია - დემარში. მოსკოვში ჩავდივარ და კონდრატიევს ნიშნის მოგებით ვახსენებ: „ვოტ, ხტო ეტოტ არძინბა!“ იგინება. მის კაბინეტში რომ შემიყვანეს, არ დამხვდა. მივიხედ-მოვიხედე. ანფილადურად გამწკრივებული ოთახები, მაგიდაზე, გამოსაჩენ ადგილას, მოყვარულის მიერ გადაღებული ორიოდე სურათი აგდია. ვხედავ, ერთში თენგიზ კიტოვანი იკრიჭება, მის გვერდით კი კონდრატიევია. ალბათ, სპეციალურად დამტოვა მარტო და ეს სურათები დამიყარა. ხუთი წუთის შემდეგ შემოდის, ბოდიშს იხდის, რომ ვერ შემხვდა. მოვილაპარაკეთ: როცა დალის ხეობაში გადავალთ, იქ გადავწყვიტოთ, როდის შევიყვანოთ ლტოლვილები. რაც მეტს მოუყრით თავს, მით უკეთესი - ორმოცდაათი ათასი, ასი. უსაფრთხოების გარანტიას შეყვანის დროს და პირველ ხანებში, სანამ მოილაპარაკებთ, მე ვიძლევი. მთელ ტექნიკას და ჯარს

გავამწკრივებ ოჩამჩირის არხთან. ამ დროს გალელი ლტოლვილები ენგურით გადმოვლენ და გაეშურებიან თავ-თავიანთი სახლებისკენ. „აბა, ერთი აფხაზებმა რამე გაბედონ!“ იგინება. ვეუბნები, რომ ეს ჩვენს ახალ თავდაცვის მინისტრთან, ვარდიკო ნადიბაიძესთან ერთად უნდა დავგეგმოთ. მეთანხმება.

ჩავდივართ ზუგდიდში. ლტოლვილებს ფსიქოლოგიურად ვამზადებ. რასაკვირველია, ჯერ დეტალებს არ ვაცნობ, მაგრამ ვპირდები, რომ მეც მათთან ერთად შევალ გალში და მართლაც ასე მაქვს გადაწყვეტილი. ჩემთან ერთად შემოვა დათო შენგელიას ორასი შეიარაღებული მხედრიონელი. რუსებიც თუ ნეიტრალურ და შემკავებლურ პოზიციას დაიკავებენ, გალის საკითხი გადაწყვეტილია. ამის შესახებ ვეთათბირები ვარდიკო ნადიბაიძეს. იგი ყველაფერზე მეთანხმება. მომენტი უნდა გამოვიყენოთ, სხვა გზა არ არის. შევარდნაძე გამოკვეთილად არაფერს ამბობს. გასაგებია: გამოვა - ხომ კარგი, არადა, ჩვენ დაგვბრალდება. ვარდიკო დარწმუნებულია წარმატებაში. გენერალი ვასილი იაკუშევი მისი ძველი ნაცნობია. ახლა იგი ორივე მხარის სარდალია - იმ ნაწილებისაც, რომლებიც ზუგდიდსა და წალენჯიხასთან დგანან და აფხაზეთში ყველა სამშვიდობო ნაწილისაც. საქმე ის არის, რომ, როგორც ოფიცრობაში, ისე ჯარისკაცებში, ამ გაყოფილ ჯარს შორისაც ბუნებრივად წარმოიშვა კონფლიქტი. ჩვენი მხრის გენერალი ალექსეი პოტაპოვი სარდლობიდან გაათავისუფლეს. აფხაზებმა თავიდანვე დიდი პროტესტი გამოთქვეს პოტაპოვის დანიშვნის გამო: პროქართული გენერალიაო. იაკუშევს გენერალ-ლეიტენანტობას ჰპირდება ვარდიკო, თვითონ სთხოვა, მინისტრთან მიშუამდგომლეო. მას ბევრ სხვა რამესაც ჰპირდებიან. ვარდიკოს უნდა, თვითონ გახდეს ამ გამარჯვების ტრიუმფატორი. მეც ხელს ვუწყობ, დე, ასე იყოს, თორემ ამ ჩვენმა ურაპატრიოტებმა შეჭამეს. ჯერ მუშაობა არ დაუწყია და: რუსის საქმეს აკეთებს, რუსების აგენტიაო და სხვა მისთანანი. ახლა მას რაღაც პოლიტიკურ-პროფესიული კაპიტალი სჭირდება. რაც მთავარია, სულითა და გულით მოწადინებულია. შევარდნაძემ ჩართო ფაცაციაც, ცოტა მოგვიანებით და ისე გვერდულად, რომ ლტოლვილების ოფიციალური მეურვეები გვიერთდებიან - ჩვენი კომისიის წევრი, დევნილობაში მყოფი, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია, გალის ყოფილი გამგებელი

ყოლბაია. ვარდიკოს „მიჰყავს პარადი“ - აღარც სძინავს, აღარც არავის ალაპარაკებს. დღედაღამ რუს გენერლებთან სვამს და თამადობს. არადა, საწყალს, წნევა აწუხებს. ეგ კი არა, როცა კონდრატიევთან ერთად დალის ხეობიდან ვბრუნდებოდით, კინაღამ ვერტმფრენიდან გადმოგვიხტა. კონდრატიევმა უარი თქვა ზუგდიდში თავშეყრილი ლტოლვილების წინაშე გამოსვლაზე და გზის გაგრძელება მოინდომა. ვარდიკომ ისე მტკიცედ და თავგანწირვით უთხრა, ზუგდიდში თუ არ გადმოხვალთ, ახლავე კარს გავაღებ და გადავხტები, ჯანდაბას ჩემი თავიო, რომ სადღაც მე დავიჯერე.

რუხთან უზარმაზარი მიტინგია. ჩამოსული არიან რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე - ერთი ახმახი, მაგრამ კეთილი სახის კაცი, პასტუხოვი, ვახტანგ გოგუაძე, ვახტანგ რჩეულიშვილი და ახლა ვარდიკომ კონდრატიევიც იქ გააქანა. მათ ფაცაციაც მიჰყვება. მე ზუგდიდში ვრჩები - რა მინდა მიტინგზე. ცოტა ხანში მოდიან და მთხოვენ, კონდრატიევი იქიდან პირდაპირ მიემგზავრება, პურმარილზე არ რჩება. იქნებ შენი ხათრით დარჩეს, წამო, წამოიყვანეო. მეც ჩემი დარდი მაქვს: ერთ იაპონურ ხმალს დავათრევ, მინდა, კონდრატიევს ვაჩუქო. ვერა და ვერ შევარჩიე შესაფერი მომენტი.

მივდივარ რუხში. ისეთი დიდი მიტინგია, სახელდახელოდ ფიცარნაგიც კი აუგიათ. როგორც კი ხალხმა დამინახა, დასცხო ტაში. მიტინგი გაიპო და სასწრაფოდ გზა გაიკაფა. ტრიბუნაზე შეცბუნებული არიან - რა ხდება, მათ აღარავინ უსმენს. ოვაციებით და შეძახილებით მხვდებიან. უხერხულ მდგომარეობაში ვარ, ალბათ სურთ, რაიმე ვუთხრა. იციან, ტყუილს არ ვეტყვი. მაგრამ ჯერ რომ არაფრის თქმა არ შეიძლება?! კონდრატიევი შევიპირე და ისევ უკან ვბრუნდები. ხალხი ისევ ოვაციით მაცილებს. შემდეგ უკვე მოსკოვში მეტყვის პასტუხოვი: „დახე, ხალხს როგორ უყვარხარ და პატივს გცემს. ჩვენ კინაღამ ტრიბუნიდან ჩამოგვყარეს!“

დღე დაინიშნა. დილის ათი საათისთვის ხიდიდან და, საერთოდ, სადაც შეიძლებოდა გადასვლა, უნდა დაწყებულიყო შესვლა. წინა დღით გააფრთხილეს ლტოლვილების თავკაცთა ერთი ნაწილი, დანარჩენები ოთარ ფაცაციას, ზურაბ ერქვანიას, ყოლბაიას უნდა მოემზადებინათ. როგორც ჩვენი დამკვირვებლები, ისე რუსთა სამშვიდობო ჯარის ხელმძღვანელობა მოწმობს - ტექნიკა მოცილებული იყო

ენგურის მიდამოებს, საკონტროლო პუნქტზე ყარაულები აღარ იდგნენ და ელოდნენ მსვლელობას. მხოლოდ პირველი საათისთვის მოხერხდა 500-მდე ლტოლვილის შეკრება. ამ დროს კი აფხაზებმა მოაწყვეს ქალების დემონსტრაცია და, როგორც შემდეგ გვითხრეს, რუსების ტანკებსა და ტექნიკას დაუწვნენ, აღარ მისცეს გადაადგილების საშუალება. არც ხუთასით და არც ათასი კაცით გადასვლას აზრი არ ჰქონდა - იქიდან დარბეულები თუ გამოასწრებდნენ. აქ საჭირო იყო მასა - 40-50 ათასი ადამიანი. ამის ორგანიზება ვერ მოახერხეს ლტოლვილთა აქტივისტებმა და ლტოლვილთა დაბრუნების საქმეში ეს რისკიანი, მაგრამ ერთადერთი გამოსავალი ჩაიშალა. ვფიქრობ, ამას გადაჰყვა კონდრატიევიც. აფხაზებმა ჯერ გუდაუთაში მოუწყვეს თავდასხმა, შუაღამისას დაუცხრილეს საძინებელი ოთახი სასტუმროში, მერე კი საერთოდ გაქრა. ბოლოს შევიტყვეთ, რომ გადააყენეს მინისტრის მოადგილის პოსტიდან. „აი, ხტო ტაკოი არძინბა!“ ეტყობა, რუსეთის რეაქციულმა ძალებმა კვლავ დაჯაბნეს სამართლიანობის მხარდამჭერი ფრთა ხელმძღვანელობაში და კონდრატიევს ეს თავგანწირული ნაბიჯი ავანტიურაში ჩაუთვალეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აქციის დაგეგმვის პერიოდში იგი სოჭში, ჩვენი კომისიის სხდომაზე რამდენიმე საათით ამოვიდა ჩემს სანახავად, დამაიმედა, რომ თავის ნათქვამს არ გადაუხვევდა. „მაგათ ილაპარაკონ, - მითხრა მაშინ, - ჩვენ საქმე გავაკეთოთ“. მისი დიდი მადლიერი ვარ.

ამის შემდეგ ბევრ რამეზე გული ამიცრუვდა: როცა საქმე საქმეზე მიდის, ჩვენ არ გვინდა ომი, არ გვინდა გავწიოთ რისკი. მაშ, რა გვსურს, ვის ვუყენებთ პრეტენზიებს, თუ ჩვენი თავისუფლებისა და კეთილდღეობისთვის ბრძოლა არ შეგვიძლია?! მე მაინც ვფიქრობ, ეს მონური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულებაა, ჩვენი ბედ-იღბლის სხვისთვის გადაბარების სინდრომი. ამიტომაც ჩვენი ხალხის ბოლო შეკითხვაა: „ვის გავყვეთ?“ ეს პასუხისმგებლობის გადაბარება, ყოჩის მოთხოვნილება ცხვრებში, ბელადომანია და მისი უკუპროცესი - დამნაშავის ძიება - მონური საზოგადოების ჩვევაა. განა მარტო ქართველებს სჭირთ ეს უკეთურობა. გავიხსენოთ, რა უთხრა უფალმა ბიბლიურ მსაჯულ სამუელს, როცა მან ღმერთს გაანდო ხალხის ნება მეფის მოთხოვნის შესახებ. ხალხი თავისუფალი იყო და მეფე მოინდომა. „ამით შენ კი არ უარგყვეს, არამედ მე უარმყვეს თავიანთ მეფედ“. და

მართლაც, თავისუფლებას, რომელიც უფალმა უბოძა ადამიანს, როგორც თავისი ბედის განმკარგავს მიწიერი ცხოვრების ჟამს, ურწმუნო ადამიანი მძიმე ტვირთად აღიქვამს. სამუელის ყველა გაფრთხილება, თუ რა მონობაში ჩააგდებდა მათ მეფობა, უარყვეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ პასუხისმგებლობა სხვისთვის გადაებარებინა. თქვეს: „არა და არა! მეფე უნდა გვესვას. ჩვენც ისეთები უნდა ვიყოთ, როგორც სხვა ხალხები არიან. ჩვენი მეფე განგვსჯის ჩვენ, წინ წაგვიძღვება და ჩვენი გულისთვის იბრძოლებს“. გაიგეთ? ჩვენი გულისთვის იბრძოლებს!

თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობით თავმომწონე პარტიების უმრავლესობა და პარლამენტის წევრები ასევე იხსნიან პასუხისმგებლობას და შევარდნაძეს აჩეჩებენ განუკითხავ ძალაუფლებას. 1994 წლის 12 ივლისს ეკონომიკის სფეროს დაუკანონეს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები მიღება ვითომცდა დამუხრუჭებული რეფორმების ჩასატარებლად. ბრძანებულებებით და დადგენილებებით განხორციელებული რეფორმა დესტაბილიზაციის წყაროა, მაგრამ აქ შევარდნაძის მთავარი მიზანი იყო ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცება საკუთარი სადავეების ხელში ჩაგდებით და არა ჭეშმარიტი რეფორმები. მისი ბრძანებულებების უმრავლესობა დროთა განმავლობაში ან ერთმანეთს გამორიცხავდნენ, ან კამუფლაჟური დანიშნულებისა იყვნენ, ან პალიატიურ ღონისძიებებს შეიცავდნენ, რაც ჭეშმარიტი რეფორმების გატარებისთვის და ქვეყანაში მზარდი ეკონომიკური სტაბილიზაციის დამღუპველია, თუნდაც იმიტომ, რომ კანონების არარსებობის პირობებში, სხვა თუ არაფერი, ეს ვოლუნტარიზმია, კორუფციის სათბური. და, საერთოდ, ნახევრად მიღებულ ზომებს უმოქმედობა სჯობია.

შევარდნაძე აყალიბებს პარტიას. აღარ ვეწინააღმდეგები, ოღონდ, ვცდილობ, დავარწმუნო, რომ ისეთივე სტრუქტურის, როგორიც კომუნისტური იყო და ჩვენი თითქმის ყველა პარტიაა, არ გამოდგება, რეაქციულ ძალად იქცევა. თუ შიგნიდან დემოკრატიულ პრინციპებზე არ იქნება აგებული, ქვეყანას თავს მოახვევს თავისი ცხოვრების წესს. მეთანხმება, მაგრამ, ვფიქრობ, ყასიდად. მას, როგორც კომუნისტური წიაღიდან გამოსულ ყველა პოლიტიკოსს, მხოლოდ ფორმა ადარდებს, თორემ გულის სიღრმეში ბოლშევიკური

დისციპლინა, ჩინოვნიკური იერარქია, ბელადობა, აპარატის ძალაუფლება - პოლიტიკური ორგანიზაციისთვის იდეალურ პოსტულატებად მიაჩნია. „სოციალიზმი ადამიანური სახით“ - ვითომ ფორმა მონახა ჩეხოსლოვაკიის ლიდერმა ალექსანდრ დუბჩეკმა. ამისგან რაც გამოვიდა, ყველამ კარგად ნახა. ეს ხალხი ვერ ხვდება, რომ თუ აპარატის, ესე იგი, ბიუროს ძალაუფლებას მისდევ, მაშ, დემოკრატი როგორღა ხარ? მაშ რაღაა ბიუროკრატი?! უნდა აირჩიო - ან „ბიურო“, ან „დემოსი“. შევარდნაძეს გულში მაინც იმედი აქვს, რომ შეძლებს ამ წინაუკმობის შეთავსებას. ბევრი ფიქრის შემდეგ მოუძებნეს სახელწოდება: „მოქალაქეთა კავშირი“. ყველა მსურველს იღებენ. შევარდნაძე მხედრიონელებსაც იწვევს. გიგა გელაშვილი და ლონგი ჭელიძე გამგეობის 20-კაციან წევრებში შეიყვანეს. ეს საქართველოს მხედრიონის ოფიციალური დაშლა გამოვა. ცხადია, ჩემმა ყველა იდეამ და ოცნებამ ახალი საზოგადოებრივი წყობის, საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში ახალ დემოკრატიული, აქტიური, არაპოლიტიკური სტრუქტურის დაფუძნების ცდამ უქმად ჩაიარა. ჩვენი მოსვლისათვის საქართველო მზად არ აღმოჩნდა. სწორედ იმიტომ, რომ მისი პოლიტიკური ელიტა გამოდგა კომუნისტური ტოტალიტარიზმის ღვიძლი მემკვიდრე და ჩვენ, როგორც ანარქიულ ძალას, დევნა დაგვიწყეს. ოფიციალური ხელისუფლება ყოველმხრივ გვდევნიდა, როგორც დაუმორჩილებელ ძალას. პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები გვებრძოდნენ, როგორც მათ ანტიპოდს და, ამდენად, პოტენციურ მეტოქეს. ძალოვანი სტრუქტურებისთვის ვიყავით რეალური კონკურენტი, რომელმაც საქმით დაამტკიცა თავისი ეფექტიანობა: ომში ჯარს ჩვენ ვაჯობეთ. პოლიციისა და უშიშროების მოვალეობებმა სამოქალაქო ომსა და ბანდების განადგურებაში ჩვენს კისერზე გადაიარა. ახლა კი, როცა ეს შავი სამუშაო შესრულებულია, კომუნისტების მიერ დაკანონებულ სახელმწიფო რეკეტებში მხედრიონის ჩართვა არა თუ არავის აძლევდა ხელს, თვით მხედრიონელებსაც ორგანულად არ შეეძლოთ სახელმწიფო შანტაჟის გზით ჩარეულიყვნენ ამ საყოველთაო კორუფციის კონვეიერულ სისტემაში.

ომგადახდილთა პრობლემა ცივილიზებული სამყაროსთვის ჯერაც გადაუჭრელი რჩება. პირველ მსოფლიო ომში გადარჩენილ ახალგაზრდობას „დაკარგული თაობა“ ეწოდა.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა უმრავლესობამ საკონცენტრაციო ბანაკებში გაატარა სიცოცხლის საუკეთესო წლები. მერე სტალინმა ტყვედ ნამყოფობა ზოგს დანაშაულად ჩაუთვალა, ზოგიც საბჭოთა ცხოვრების ეკონომიკურად გაუსაძლის პირობებში სისხლის სამართლის დამნაშავედ აქცია. დიდმა ბელადმა, როგორც ითქვა, სოფიზმის ყველაზე ცინიკური ფორმულა მონახა და ქვეყანას მოსდო ფრთიანი ლოზუნგი: „ძველისთვის მადლობა, ახლისთვის პასუხი აგე“. ამის შესახებ ვესაუბრე შევარდნაძეს. ვფიქრობ, ეს ლოზუნგი მოეწონა, მაგრამ ხმას არ იღებს. მართლაც, სად შეგვიძლია უკიდურესი გაჭირვების ჟამს, ისეთივე პრივილეგიები შევუქმნათ ჩვენს ბიჭებს, როგორიც, მაგალითად, ვიეტნამის ომის ვეტერანებს ამერიკაში, ან ისრაელის კომანდორებსა და, საერთოდ, მეომრებს. მაგრამ ხომ შეიძლება რაღაც მინიმალური მხარდაჭერა, მაგალითად, ისეთი, როგორითაც სარგებლობენ ავღანეთიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, რომლებიც, შედეგებისა და სამართლიანობის თვალსაზრისით, გაუმართლებელ ომში მონაწილეობდნენ?! რაღა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენმა უმწეო ხელისუფლებამ და საზოგადოებამ კვლავ სტალინური სტანდარტი აირჩია, გადაწყვიტეს, კი არ განედიდებინათ და პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ სიკვდილს გადარჩენილი, სამშობლოსთვის თავდადებული ახალგაზრდები, უანგაროდ შეწირულები და დასახიჩრებულები, არამედ უბრალოდ მოეცილებინათ თავიდან, როგორც უკვე გამოუსადეგარი რამ ნივთი. ყველა ცოდვა მათთვის დაებრალებინათ და ასე ვთქვათ, განტევების ვაცად გამოეყვანათ, მით უმეტეს, რომ ყველა წარუმატებლობის პირისპირ მხედრიონი იდგა შიშველი ხელებით. მხედრიონს დაუპირისპირდა ყველა: ზვიადისტები, როგორც ზვიადის ხელისუფლების დამამხობელს, ანტიშევარდნაძისტები, როგორც შევარდნაძის ჩამომყვანს, შევარდნაძისტები, როგორც დაუმორჩილებელს, პარტიები, როგორც აქტიურ ქმედით ორგანიზაციას, საქმოსნები და კორუმპირებული სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც უკვე გადებულ ხიდებზე ახალი ხალხის გაშვება აღარ ეპიტნავებოდათ, პროკურატურა-პოლიცია, როგორც მექრთამეობაში ხელის შემშლელ ძალას. ერთი სიტყვით, მხედრიონი, როგორც ორგანიზაცია, ჯობდა, დაშლილიყო. ასეც მოვიქეცით - 1994 წლიდან მხედრიონმა შეწყვიტა არსებობა. მის ბაზაზე წარმოიშვა მაშველთა კორპუსი, რომელიც

სინამდვილეში უკანასკნელი თავშესაფარი და სტრუქტურული სიმბიოზი აღმოჩნდა. აქ თავი მოიყარა ყველა ჯურის მოუწყობელმა ადამიანმა, მაგრამ წამყვან ძალად მაინც მხედრიონელები დარჩნენ, თუმცა, უკვე არა პატრიოტული სულისკვეთებითა და ენთუზიაზმით აღტყინებულები, არამედ მერკანტილური მიზნებითა და კერძო ინტერესებით დატვირთულნი. მაინც ყოველი მხრიდან ვგრძნობდით სისტემატურ თავდასხმას. ჩაღდებოდა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი კამპანია. მეორდებოდა გამსახურდიას ხელისუფლების მიერ უკვე გამოყენებული მეთოდები: ცილისწამება, ფაქტების გამუქება, აგენტურული პროვოკაციები, ჭორი. მაგრამ ყველაფერ ამას უკვე კარგად ნაცნობი ილეთებით ასრულებდნენ. ამას დაემატა ტერორი. ააფეთქეს მაშველთა კორპუსის მთავარი შტაბ-ბინა, სადაც დაიღუპა ორი ადამიანი, რუსთავში ააფეთქეს მხედრიონის უფროსი თემურ ტალახაძე, დაიღუპა ექვსი ადამიანი, ააფეთქეს რუსთავის შტაბი, სადაც სამი მხედრიონელი დაიღუპა. ააფეთქეს თელავის მაშველთა კორპუსის შტაბი. თავის ბინაში დახოცეს ზურია მარუაშვილი და მისი ძმა, მოკლეს „წნევა“, „მუსტო“ და კიდევ რამდენიმე მხედრიონელი. აღარაფერს ვამბობ თამაზ ყურაშვილზე (ბუღა), ზაზა ვეფხვაძეზე, გია სვანაძეზე. მათით დაიწყო ეს სისხლიანი ავკაცობა. საგულისხმო ის არის, რომ ვერც ერთი დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს. ასეთ ვითარებაში ჩვენი ფსევდოდემოკრატი პარლამენტარები, იმის მაგიერ, რომ ამ საქმეში სერიოზულად ჩაეხედათ, გაერკვიათ, ვინ და რატომ ხოცავს ამ თავგადადებულ ბიჭებს, რომლებმაც ეს უნიათო პარლამენტი ხელისუფლებაში მოიყვანა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ერთიანობისა და დემოკრატიისთვის ბრძოლაში ფაქტობრივად გაწყდა (800 კაცი), პირიქით, ხელისუფლებას უკიჟინებდნენ, კიდევ მეტი ოფიციალური თუ არაოფიციალური რეპრესიები გამოეყენებინათ. ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ მხედრიონის ყოფნა-არყოფნა პირდაპირ კავშირში იყო დემოკრატიის ყოფნა-არყოფნასთან. შევარდნაძე რის შევარდნაძე იქნებოდა, ასეთი ვითარება არ გამოეყენებინა - „ავტომატიან კაცებთან“, „მაფიოზურ კლანებთან“, „მოთარეშე მხედრიონელთა“ წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ მან აიყვანა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში. სხვა სიტყვებით, გაჩაღდა სტანდარტული ბოლშევიკური კომუნისტური „ჭინკებთან ბრძოლის“ ათას მეერთე ეპიზოდი: თუ სადმე ნასვამ

მხედრიონელს ნახავდნენ, იმწამსვე ტელევიზიაში პოლიციური სულისკვეთების კომენტარით ამკობდნენ. თუ ვინმეს ყაჩაღობაზე წაასწრებდნენ, იყო თუ არა მხედრიონელი, მაინც მხედრიონს აწერდნენ. მაშველთა კორპუსის კეთილ საქმეებს ჩქმალავდნენ და კიდევ იქით უტევდნენ. როცა შევარდნაძემ გაიგო, კახეთში მხედრიონელები მასწავლებლებს ფქვილს უფასოდ ურიგებენო, „საიდან გაქვთო?“ - ამაში დაადანაშაულა. ის, რომ მაშველთა კორპუსმა გმირული თავდადება გამოიჩინა ტელეანძაზე ხანძრის ჩაქრობაში ან სპორტის სასახლის მიმდებარე სახლების გადარჩენაში, ბორჯომის ხეობაში ტყის ხანძრის ჩაქრობაში, გუდაურში ზვავიდან ხალხის გამოყვანაში, არავითარი დაინტერესება, ყურადღება, გამოხმაურება არ გამოიწვია. კახეთში, რაჭაში, მარნეულში მაღალკვალიფიციურად ჩატარებული სასწავლო მანევრები - ყველაფერი ეს ფართო საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა. ასეთ საინტერესო მასალას, როგორც შინაარსობრივად, ისე ვიზუალურად, ტელევიზია არჩილ გოგელიას ხელმძღვანელობით გვერდს უვლიდა და კომუნისტური ყაიდის მთვლემარე სხდომებს, სადაც, როგორც ყოველთვის, შემაჯამებელი სიტყვით გამოდიოდა შევარდნაძე, საათობით უშვებდა ეთერში. აი, ასე ხდებოდა ტოტალიტარიზმის რესტავრაცია საქართველოში.

ერთადერთი იმედი მოახლოებულ არჩევნებსა და კონსტიტუციის მიღებას უკავშირდებოდა.

მზადდება კონსტიტუცია. შევარდნაძემ უკვე შეუნიღბავად დაიწყო ბრძოლა საპრეზიდენტო რესპუბლიკის დამყარებისთვის. ამის შესახებ რამდენიმე მოკლე დიალოგი გვქონდა. „რად გინდათ ეს პრეზიდენტობა, გამსახურდია პრეზიდენტი იყო, სნეგური პრეზიდენტია, დუდაევი პრეზიდენტია, არძინბა პრეზიდენტობას იჩემებს, თათრეთს პრეზიდენტი ჰყავს. თქვენ ედუარდ შევარდნაძე ხართ. თუ დაგაკნინებთ, თორემ არაფერს შეგმატებთ პრეზიდენტის სახელი“... - არაფერს მპასუხობს. ეტყობა, მის კარიერისტულ მსოფლშეგრძნებას ასე აქვს წარმოდგენილი: „თუ მილიონს კაპიკი აკლია, მილიონი აღარ არის“. მომყავს მთავარი არგუმენტი, რასაც ხშირად გაკვრით ვამბობდი. ჩვენს ხალხს არ გამოადგება პიროვნების ეს ამბიციური ფორმა, სულ დაკა-დაკა იქნება. თქვენ არავინ გპატიობთ, თქვენ, მსოფლიო ავტორიტეტის მქონე პოლიტიკოსს, და ვიღაც შინგამოჩეკილს

მიიღებენ? როდისღა შეიქმნება საბჭოთა იმპერიის მნიშვნელობის სახელმწიფო და ვინღა იქნება ქართველებიდან მისი დამანგრეველი? ასე რომ, შთამომავლობას ნუ დავუტოვებთ საცილობელ ვაშლს. მსწრაფლ მეუბნება: „ჩვენს შემდეგ შეცვალონ. აგერ, ამერიკაში რამდენჯერმე შეასწორეს კონსტიტუცია“. აჰა! „ა, პრი ნულე დელი უჟ!“ - თქვა პომპადურმა თუ ლუდოვიკო XIV. ერთი კითხვა მებადება და იგი ანალიზს საჭიროებს: შევარდნაძე რომ გამხდარიყო საბჭოთა იმპერიის პირველი კაცი - პრეზიდენტი, შეეცდებოდა საკუთარი ძალაუფლებისა და ქვეყნის დანგრევას, როგორც ეს გააკეთა მიხაილ გორბაჩოვმა?! რასაკვირველია, არა! უფალმა განა ტყუილუბრალოდ ამოირჩია იგი მეორე კაცად, განა შემთხვევით ჩააგონა გორბაჩოვს საგარეო საქმეთა მინისტრად შევარდნაძის წაყვანა?! აქ მინდა, მოვიშველიო ჩემი პროვიდენციული განსჯა: სტალინის გარდაცვალების კვირაძალს მსოფლიო ატომური ომის საშიშროების წინაშე იდგა. უფალმა შეიწყნარა კაცობრიობა და სტალინი გაუყენა თავის გზას. საომრად შემართული უზარმაზარი იმპერიის სათავეში მოექცა არა ჭკვიანი და სერიოზული მმართველი, არამედ უბრალო ტაკიმასხარა - ნიკიტა ხრუშჩოვი. რაში მდგომარეობდა მისი პროვიდენციული დანიშნულება? განა სტალინის მემკვიდრეებს შორის არ იყვნენ მასზე ჭკვიანი, ეშმაკი და გავლენიანი პირები, იგივე მოლოტოვი, ბერია, ჟუკოვი და სხვები? არა! მაინცდამაინც, ტინგიცა ხრუშჩოვი! საქმე ის იყო, რომ მთელ მსოფლიოში მოდებულ კომუნისტურ იდეებს, ბელადობას, როგორც სახელმწიფო მმართველობის საუკეთესო ფორმას, გატრიზავება ესაჭიროებოდა. ამას კი, მისდაუნებურად, ყველაზე უკეთ მასხარა შეასრულებდა. ხრუშჩოვმაც არ დაახანა და ერთმანეთის მიყოლებით ისეთი „კანკანები დაურტყა“, რომ ეს ტრაგიკულად მოღუშული და შეშფოთებული კაცობრიობა ჯერ ირონიულად გააღიმა, შემდეგ კი ჰომერული სიცილით აახარხარა. რად ღირდა თუნდაც კრემლის შიდა ინტრიგების გამოცდილების გადატანა ზესახელმწიფოთა მეთაურებს შორის პირადი უთანხმოების ჩამოსაგდებად, ამერიკისა და საფრანგეთის პრეზიდენტებთან, ეიზენჰაუერთან და დე-გოლთან ცალ-ცალკე შეხვედრის დროს. ანდა, მისი აკვიატებული ეკონომიკური პროგრამის „პანაცეა“ - სიმინდის მოშენების იდეა. მსოფლიო ომის დამთავრების ათი წლისთავზე ტრიუმფატორის როლში მისი გამოჯგიმვა, ცირკის არენაზე გამოჩენილ მასხარასავით გაეროში ფეხსაცმლის გახდა

და იმით ბრახუნი. მისი აღიარებები, რომ ახალგაზრდობაში ღორებს მწყემსავდა, რომ 28 წლის ასაკში პირველად გაიგო, „რითი იჭმევა ბალეტი“. მის დროს დაიწყო კომუნისტური კერპების დევალვაცია, ანეკდოტების სერიალები ლენინსა და ვასილი ჩაპაევზე, მისი გახმაურებული „ანგლობა“, როცა დათვრა და პოლიტბიუროს წევრებს აშინებდა, გამიშვით, ატომის ღილაკს თითი უნდა დავაჭიროო. ერთი სიტყვით, მარქსის ნათქვამი, კაცობრიობა სიცილით ემშვიდობება თავის წარსულსო, ამჯერად, მგონი, ნაწილობრივ სრულდებოდა. ხრუშჩოვის პერიოდში თავი იჩინა არაერთმა სისხლიანმა მოვლენამაც. ამ პერიოდში გაიმართა საბჭოთა კავშირში პირველი სტიქიური საპროტესტო მიტინგი: 1954 წლის ივნისში ლენინგრადში, სუვოროვის სახელობის მოედანზე, 30 ათასმა კაცმა მოიყარა თავი. მოითხოვდნენ მათთვის გადაეცათ მილიციის თანამშრომელი, რომელმაც მოედანზე 8 წლის ბავშვი მოტოციკლით გაიტანა და იქვე, სახლებში მიიმალა. მხოლოდ მეორე დღეს, შეპირებებისა და უიარაღო ჯარის ჩაყენების შემდეგ, ხალხი დაიშალა. რასაკვირველია, მილიციელი ხალხს არ გამოუყვანეს. ის კი არა, მეორე დღეს ჩასულ ხრუშჩოვს, რომელიც, კომუნისტური ტრადიციების მიხედვით, ქალაქის ეგრეთ წოდებულ აქტივს შეხვდა, მილიციის სამმართველოს უფროსმა, გენერალმა სოლოვიოვმა უპატაკა, რომ ამ უპრეცედენტო შემთხვევაში დამნაშავეა ქალაქის ადვოკატურა. თურმე წლების განმავლობაში სასამართლოებში თავიანთი გამოსვლებით ვექილები მილიციის წინააღმდეგ განაწყობდნენ მოსახლეობას, კერძოდ, მათ ცილს სწამებდნენ პატიმრების ცემა-წვალებაში, ქრთამის გამოძალვაში. ხრუშჩოვმა თავის შემაჯამებელ გამოსვლაში მოედანზე შეკრებილ ხალხს ორგანიზებული ხულიგნები უწოდა, მითიურ ორგანიზატორებს კი - კრიმინალური ელემენტები („უგალოვნიე ელემენტი“). ქალაქის ადმინისტრაციას დაავალა, სასწრაფოდ ჩამოეყალიბებინათ მილიციის დამხმარე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ნაროდნიე დრუჟინიკები“. თავის მხრივ კი მოსამართლეებმა შეუტიეს ვექილებს. საბჭოთა კანონებით ისედაც უუფლებო ადვოკატურა სულ აბუჩად აიგდეს. ხრუშჩოვის სიტყვის მესამე დღესვე ოქტომბრის რაიონში ახალგაზრდა მოსამართლე ქალმა სახელგანთქმულ მხცოვან იურისტს, ქალაქში ცნობილ ღვთისნიერ კაცს, სერებრიაკოვს, სიმთვრალე დასწამა და სასამართლო პროცესიდან გააგდო ამ სიტყვის სრული

მნიშვნელობით, თან, უკვე ლოზუნგად ქცეული ხრუშჩოვის ფრაზაც აადევნა: „დამპალო ინტელიგენტებო, როდემდე უნდა გითმინოთ ცილისწამება ჩვენს სახელოვან მილიციაზე“ და იქვე მოხდა კურიოზი: დარბაზში წამოდგა ვიღაც ნასვამი კაცი და დამსწრეთა სიჩუმე ხრინწიანი ბასით დაარღვია: „დიახ, თქვენ მართალი ხართ, ამხანაგო მოსამართლევ! წარმოუდგენელია მილიციას ცილი დასწამო“. „ჰო, დიახ!“ - გაიხარა ხალხის მხარდაჭერით გულმოცემულმა მოსამართლემ. „მე იმას ვამბობდი, - ამოსლოკინების შემდეგ განაგრძო კაცმა. - ვერაფრით ცილს ვერ დასწამებ-მეთქი. რაც არ უნდა დააბრალო, ყველაფერი მართალი გამოდგება“...

ასე გამოდიოდა საღათას ძილიდან საბჭოეთი. და მაინც, საქართველომ მაშინაც პირველმა ჩაყო თავი ადუღებულ წყალში, სისხლი პირველად თბილისში დაიღვარა. 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი დღეების სხვადასხვაგვარი ისტორიულ-პოლიტიკური შეფასებები არსებობს. მე მონაწილე ვარ 1955 წლის სტიქიური თავშეყრისა, რომელიც 5-6 მარტს თბილისში, სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან შედგა. ეს იყო საბჭოთა კავშირში მასობრივი საპროტესტო აქციების პირველი მოთელვის ნიმუში და 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის პრელუდია. ხალხმრავალი თავყრილობა კანონიერი ფორმის, ასე ვთქვათ, ორთოდოქსული შემართების საფარველით მოქმედებდა. აქაც, ისევე როგორც ლენინგრადის სუვოროვის მოედანზე, ხალხი სწორედ საბჭოთა კანონების დასაცავად გამოდიოდა, თუმცა, ის არაადეკვატური ვნებათაღელვა, რაც საპროტესტო საგანსა და მომიტინგეებს შორის ვლინდებოდა, რაღაც დიდ დამანგრეველ პოტენციაზე მიანიშნებდა. მართალია, „ჰომო სოვეტიკოსის“ არაცნობიერში დავანებული რეპრესირებული ბუნებრივი მოთხოვნილებები კვლავ სუბლიმირებულ ხატებს ებღაუჭებოდნენ, მაგრამ გამოვლინების პროცესში უკმარისობის გრძნობით განხიბლულნი უკვე საკუთარ სახელებს ეძიებდნენ. 5-6 მარტს სანაპიროზე ისეთ ადამიანებს მოვკარი თვალი, რომელნიც სტალინის „დაჩაგვრით“ არ უნდა ყოფილიყვნენ შეწუხებული, პირიქით, ზოგიერთ მათგანს სტალინის სიცოცხლეში იგი პირად მტრადაც კი მიაჩნდა. შეკრების მთავარი ხიბლი ის იყო, რომ უცნობი ადამიანები ერთმანეთს ღიად უზიარებდნენ თავიანთ შეხედულებებს და ამისი არ ეშინოდათ. ეს შეკრება ჯერ არც მიტინგი იყო და არც დემონსტრაცია; ხალხი პატარ-

პატარა ჯგუფებად იდგა, ნება-ნება ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, მსჯელობდა ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხზე. ეს უფრო წააგავდა რაღაც ფიზიკურ და სულიერ სეირნობას. წრიულად შეკრულ ჩვენს ჯგუფში ჩემი ახლო მეგობარი კაკო გოგოლაშვილი აყალიბებდა თავის დიდი ხნის გამოკოპიტებულ აზრებს: „მე აქ სტალინის დასაცავად უნდა ვიდგე?“ - ირონიულად იღიმებოდა იგი. და, მართლაც, მახსოვს, სტალინის სიკვდილის შემდეგ, როცა ბერია ჯერ კიდევ არ იყო დაპატიმრებული, საბჭოთა გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა სენსაციური სტატია - ამერიკის პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის სიტყვა, მთლიანად და უკომენტაროდ: „სტალინის ეპოქა დამთავრდა“. იმ დილით რაღაც საქმეზე კაკო გოგოლაშვილთან მივედი. ვხედავ, ნახევრად წამოწოლილს გაზეთი უჭირავს და უხმოდ ტირის. „რა მოხდა?“ - ვკითხე შეწუხებულმა. „აი, კაცი! აი, სიმართლე!“ წამოდგა და გაზეთი შემომაჩეჩა. ახლა კი აქ, სანაპიროზე მოსულიყო და ღიმილი ვერ მოეცილებინა: „რას იზამ, - განაგრძობდა კაკო, - ეგენი (კომუნისტებს გულისხმობდა) ისეთი ჯიგრები არიან, დრო მოვა და ჩვენ დაგვაბრალებენ კომუნისტობას“. ირგვლივ შეკრებილები იცინოდნენ, იმდენად აბსურდულად მიაჩნდათ მისი სარკაზმი. ჩვენს ზურგს უკან ვიღაც კაცი განაბულიყო, სახეზე შვებისა და ბედნიერების იონქარი დასთამაშებდა. უცებ კაკო მიბრუნდა, წაიკუზა და უხეშად უთხრა: „აი, აქ დამადე ყური“... სამი წლის შემდეგ როსტოვის „პერესილკის“ ციხეში შემხვდა იმათ შორის, ვისაც იმ დღეს სანაპიროზე ვხედავდი. თვითონაც არ იცოდნენ, სად მიერეკებოდნენ 1956 წლის 9 მარტს ჩატარებული მიტინგისთვის მსჯავრდებულებს. ერთ-ერთში ის ცნობისმოყვარე ამოვიცანი, კაკომ შეცდომით დამბეზღებლად რომ მიიჩნია.

ხრუშჩოვის მმართველობის ხანას ეკუთვნის 1962 წლის ნოვოჩერკასკის სისხლიანი დღეები, უნგრეთის აჯანყებაც, გამოსვლები პოლონეთში, უშედეგო კომუნისტური ბღლარძუნი კონგოსა და ინდონეზიაში (ლუმუმბა და სუკარნო), კარიბის აუზის კრიზისი, გაგარინის ეპოპეა, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ინერციით მოქმედებდა. მთავარი საქმე გაკეთებული იყო: წითელი იმპერიის ექსპანსიური იდეა, კომუნისტური სამოთხე, ბელადობა - გამასხარავებული აღმოჩნდა. ერთ-ერთი სიმბოლური ანეკდოტი ასეთია: ვაშინგტონში ჩატარდა შეჯიბრება სირბილში ამერიკის

პრეზიდენტ ჯონ კენედისა და საბჭოთა დიქტატორ ნიკიტა ხრუშჩოვს შორის. შედეგს აცხადებს საბჭოთა კომენტატორი: ხრუშჩოვი მოვიდა მეორე, კენედი კი - ბოლოდან მეორე.

როგორც კი ხრუშჩოვმა თავისი პროვიდენციული მისია შეასრულა, ასპარეზზე უმალ გამოვიდა ისეთი რიგითი ობივატელი, როგორიც გახლდათ ბრეჟნევი. მისი ეგრეთ წოდებული სტაგნაციის - უძრაობის პერიოდი გამოდგა ის საკაცობრიო პაუზა, რომლის მეშვეობითაც შეიძლებოდა ახალი მსოფლწესრიგის გააზრება და ხრუშჩოვ-ლენინის კაპიტალიზმისა და სოციალიზმის თანაარსებობის („სოსუშესტვოვანიე“ - ამ სიტყვაზე ბრეჟნევი ყოველთვის ბორძიკობდა. ასევე ვერაფრით ისწავლა, სწორად გამოეთქვა „დემოკრატია“, ამბობდა „დუმოკრატია“, ყბადაღებული „დოქტრინის“ გადაკეთება რაღაც მისაღებ, რეალურ მოდელად. ამ პერიოდშიც მოხდა იმპერიული პოლიტიკის რეციდივები ჩეხოსლოვაკიის მოვლენებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ნიშანსვეტები, როგორც ითქვა, ინერციაა და დაავადებული საზოგადოების კონვულსიებს გამოხატავდა. სამაგიეროდ, გაჩნდნენ ალექსანდრ სოლჟენიცინი, ანდრეი სახაროვი, პოლონეთის პროფკავშირი „სოლიდარნოსტი“ - ლეხ ვალენსა, აუღებელი ავღანეთი. უფრო განჭვრეტით, ყველაფერი ეს თვალნათლივი აღქმისთვის იყო განკუთვნილი. იმპერიის ლპობა პერსონიფიცირებული გახდა დაძაბუნებულ ბრეჟნევში, ლოგინად ჩავარდნილ ანდროპოვსა და უკანასკნელ დღეში მყოფ ჩერნენკოში, რომლის ჟესტი ტელევიზიის ეკრანზე - ძლივს-ძლივს აღმართული და მსწრაფლ ჩამოვარდნილი მკლავი ხელის ჩაქნევას და ყველაფრის დამთავრებას წარმოაჩენდა. და ბოლოს, როგორც ღვთიური მითითება, სცენაზე გამოჩნდა თავზე ტყირპით აღბეჭდილი მიხაილ გორბაჩოვი, რომელმაც გვერდით ამოიყენა დაფეხვილი ებრაელი ალექსანდრ იაკოვლევი და ნაძალადევად მოღიმარი ქართველი ედუარდ შევარდნაძე. შევარდნაძის ამ დაწინაურებასთან დაკავშირებით მშვენიერი ანეკდოტი თქვა ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო საბჭოს წევრმა და გაეროში აშშ წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა მადლენ ოლბრაიტმა: ბუშმა, პრეზიდენტად გახდომისთანავე, უხმო მრჩეველს: რა ვქნა, როგორ მოვიძიო ისეთივე ერთგული თანამშრომლები, როგორიც გორბაჩოვს ჰყავსო. მრჩეველმა უთხრა: გორბაჩოვმა დაიბარა შევარდნაძე და ჰკითხა, ვინ არის

ჩემი ძმის ძმა, დედაჩემის შვილიო. შევარდნაძემ, არც აცია, არც აცხელა, მეო, უთხრა. ჰოდა, გორბაჩოვმა დანიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად. ბუშს ეს ამბავი მოსწონებია - მეც ასე ვიზამო. დაუძახა სახელმწიფო მდივნის ერთ-ერთ პრეტენდენტს და ჰკითხა: „ვინ არის ჩემი ძმის ძმა, დედაჩემის შვილი?“ პრეტენდენტი ჩაფიქრდა, ამას ხვალ მოგახსენებთო. წასულა და თავდაცვის მინისტრ ჩეინისთვის გაუმხელია, ბუშმა ასე მკითხაო. ჩეინის გასცინებია, უნდა გეპასუხა, მე ვარ-თქო. პრეტენდენტი გაიქცა და ბუშს ახარა. გავიგე, გავიგე! - ჰო, ვინ არის? - ვინ და არის ჩეინი! - ეჰ, არა კაცო, ჩეინი კი არა, შევარდნაძეო, - ჩაულაპარაკია გულდაწყვეტილ პრეზიდენტს.

იმპერიის თვითდაშლის გამომწვევი პოლიტიკური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ისტორიული მიზეზები განსაკუთრებული მსჯელობის საგანია. ორი სიტყვით კი ეს ასე წარმომიდგენია: თუ რომულუს დიდს არ ჩავთვლით რომის იმპერიის დაღუპვის ერთ-ერთ კატალიზატორად, მაშინ გორბაჩოვი ერთადერთი ისტორიული ფიგურაა, რომელმაც ნებაყოფლობით უარი თქვა მსოფლიო ბატონობაზე. მართალია, დასავლეთის ლიდერების, რონალდ რეიგანისა და მარგარეტ ტეტჩერის მტკიცე პოლიტიკა რომ არ აღდგომოდა წინ, იქნებ კარგა ხანსაც ეკუნტრუშა, მაგრამ ფაქტია, რომ დათმობებისთვის იგი უკვე მზად იყო. ამ პროცესის პრაქტიკულად განხორციელებაში შევარდნაძეზე უკეთ მას ვერავინ მიეხმარებოდა. ყოველი რუსისთვის დედის რძესთან შეზრდილი მესიანიზმის ეზოთერული იდეა შევარდნაძისთვის უცხო იყო. „წმიდა რუსეთისადმი“ პატრიოტული გრძნობაც არ გააჩნდა. რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში ჯერ კიდევ ახალბედა, მაგრამ საკმაოდ ხანდაზმული იყო იმისთვის, რომ კრიზისში მყოფი ქვეყნის მართვის ინტრიგებში ჩარეულიყო. ამავე დროს, იგი უკვე აღარც თავისი, მხოლოდ შემსრულებლის როლით ჩანდა კმაყოფილი. გორბაჩოვთან ფეხაწყობილი კი უცებ გადიოდა მსოფლიო პოლიტიკის მაგისტრალურ ხაზზე და მსოფლიო პოლიტმახერების კოლეგა ხდებოდა. თავისი ელასტიკურობით გორბაჩოვის ფიგურასაც ჩრდილავდა და, რაც მთავარია, ყველაფერი ეს ზედგამოჭრილი მისი სტიქია გამოდგა. როგორც ვთქვი, ამ ურთულესი მოვლენების თუნდაც ზედაპირული დახასიათება არ არის ჩემი პროვიდენციული თვალთახედვის ობიექტი. ჩემთვის საინტერესოა ღვთიური განჭვრეტის მინიშნება. საბჭოთა იმპერიის დაშლა ისეთივე

ტერიტორიული გადანაკერების მორღვევით წარიმართა, როგორც ალექსანდრე მაკედონელის ელინისტური იმპერია და ჩინგიზ-ხანის მონღოლთა იმპერია დაიშალა. სასიკვდილო სარეცელზე მყოფი ალექსანდრეს იმპერია მისმა მხედართმთავრებმა ბუნებრივ ისტორიულ რეგიონებად გაიყვეს. ასევე ჩინგიზ-ხანის მემკვიდრეებმა - შვილებმა და შვილიშვილებმა - ეროვნული ნიშნით გაერთიანებულ მხარეებად დაინაწილეს „მზის ამოსავლის და ჩასავლის“ ქვეყანა. სტალინის სიკვდილის შემდეგ კი რესპუბლიკების ფაქტობრივმა არსებობამ ისტორიის დღის წესრიგში დააყენა მისი შინაარსით შევსება. ამ პროცესში საბოლოოდ იმარჯვეს უმაღლესმა მოხელეებმა - პოლიტბიუროს წევრებმა და ცეკას მდივნებმა და ბიუროკრატიული მემკვიდრეობითობის რეალობაზე დაყრდნობით, რესპუბლიკებად გადაკერებული საბჭოთა იმპერია დაინაწილეს: ელცინმა - რუსეთი, შევარდნაძემ - საქართველო, ალიევმა - აზერბაიჯანი, ნაზარბაევმა - ყაზახეთი, კარიმოვმა - უზბეკეთი, კრავჩუკმა - უკრაინა, ბრაზაუსკასმა - ლიტვა, ნიაზოვმა - თურქმენეთი, აკაევმა - ყირგიზეთი და ასე შემდეგ. ეს, რაც შეეხება იმპერიის რღვევის თვალნათლივობას, ხოლო დიქტატურის, პიროვნების კულტის განქიქების პროცესს, როგორც იმპერიის უმთავრესი სასიცოცხლო ღერძის მორყევას, საკუთარი თანმიმდევრობა და ლოგიკა აქვს.

დავუბრუნდეთ საბჭოთა დიქტატორების გალერეას: ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ანდროპოვი, ჩერნენკო. მიუხედავად სხვადასხვა დონისა და პიროვნული შესაძლებლობებისა, მათი საქმიანობა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ამ შემთხვევაში ჩვენ იმპერიის რღვევის პერსონიფიცირების დემონსტრაციასთან გვაქვს საქმე, როცა დიქტატორის, ბელადობის კრიტიკულად აღქმისთვის ეს მასალა ნაკლებად გამომსახველია, რადგან რღვევის პროცესი ამ მხრივ პირად მახასიათებლებს მკაფიოდ ვერ წარმოაჩენს. სტალინიზმი კაცობრიობის ისტორიაში ტირანიის უკიდურესი ფორმაა. მისი დესპოტიზმი ვრცელდება ადამიანის ცხოვრების მატერიალურ, პიროვნულ, სულიერ, ფიზიკური საზოგადოებრივ - ერთი სიტყვით, ყველა სასიცოცხლო სფეროზე. ეგოცენტრისტულად განწყობილი, ნარცისიზმით შეპყრობილი, ამბიციური სულისკვეთებით გაბრუებული ადამიანებისთვის სტალინიზმი არის და დარჩება თვითრეალიზაციის იდეალურ მოდელად. ეს

მოვლენა განსაკუთრებით შთამბეჭდავია აღმოსავლეთის სამყაროსთვის, სადაც პიროვნების კულტისა და დესპოტიზმის უმდიდრესი ტრადიციები არსებობს. ქართველისთვის კი ეს ფენომენი დამატებითი ექსპრესიის მომგვრელია ეროვნული მესაკუთრის თვალსაზრისით; მასთან მეტ-ნაკლებად ზიარება ყველა ქართველს სულ მუქთად შეუძლია, ვინაიდან სტალინიც ქართველი იყო.

საქართველოში, როგორც ითქვა, ბელადების ძეგლები კი დაანგრიეს, მაგრამ კვარცხლბეკები დატოვეს. ასევე მოხდა ეს ხალხის მენტალიტეტშიც. საკმარისი იქნებოდა მავანი შესკუპებულიყო ამ კვარცხლბეკზე და ხალხი შვებით განთავისუფლდებოდა იმ მშფოთვარე პასუხისმგებლობისგან, რომელიც მას თავისუფლებამ მოუტანა. მონობის სიმყუდროვე უფრო ბრძნული და ადამიანური მოჩანდა. ფასინაცია (თავის გადატანა სხვაში, ამჯერად, ბელადში) და იდენტიფიკაცია (წარმოსახვითი გაიგივება) აქტიურობის ილუზიას ქმნიდა და საკმარისი იყო თავის მოსატყუებლად.

საქართველოში რომ ბელადის, ლიდერის ხატი უმთავრესი პიროვნული მამოძრავებელია, იქიდანაც ჩანს, ერთი - ილია ჭავჭავაძის საზოგადოებიდან - უამრავი პარტია წარმოიშვა. მათი დანაწევრება გაპირობებულია არა რაიმე განსხვავებული იდეებით, კონცეფციებითა თუ ეკონომიკურ-პოლიტიკური პროექტებით, არამედ ავტორიტეტების ლიდერად გადაქცევის მისწრაფების გამო. მოკლედ, სტალინის ფენომენი, 70-წლიანი მონური ფსიქოლოგიის ინერცია და მთელ დუნიაზე ცნობილი ქართული ზვიადობა - აი, ის ინგრედიენტები, რომლებიც შეადგენს ჩვენში დიქტატურის დამყარების შესაძლებლობას. არ ვამბობ „აუცილებლობას“, რადგან აქ გვეღობება ღვთიური განჭვრეტის იდეა, იგი ხელს გვიწყობს, რათა შევიგნოთ, რა არის თავისუფლება, რომელიც უფლისგან გვაქვს მონიჭებული. ვერავითარი შეგონება, ვერავითარი პოლიტიკური თუ ეკონომიკური პირობები, ვერავითარი ჯარი ან თუნდაც ამბოხება ვერ გაგვათავისუფლებს, გარდა საკუთარი თავისა. ამისთვის კი ბევრი არაფერია საჭირო, საკმარისია ვიწამოთ ღმერთი, გავიხსენოთ მისი მცნებები კერპების შესახებ, თვალი მივადევნოთ მის განჭვრეტას და ამ სენისაგან განვიკურნებით. მაცხოვარი ყოველდღიურ ცხოვრებაში იძლევა მაგალითებს. ამჯერად მან ორი, ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავებული პიროვნება წარმოგვიდგინა: შევარდნაძე და

გამსახურდია. ერთი - გულადი, მეორე - მშიშარა; ერთი - ფრთხილი, მეორე იმპულსური; ერთი - დინჯი, მეორე - ნევრასტენიკი; ერთი - კომუნისტი, მეორე - ფაშისტი; ერთი - პროვინციალი, მეორე - ელიტარი; ერთი - საერთაშორისო პრაქტიკის მქონე პროფესიონალი, მეორე - შინგამოჩეკილი პოლიტიკოსი... და მაინც, ისინი ერთიმეორეს ჰგვანან.

ერთი რამ მსურს, აღვნიშნო. მე ხშირად ვიყენებ ტერმინ „კომუნისტს“. ეს არ ნიშნავს, რომ მე ვგულისხმობ პარტიის წევრს. ჩემთვის კომუნისტი გარკვეული ტიპის ადამიანია, რომლის მთავარი მახასიათებელი მაკიაველიზმია. არსებობს კომუნისტის კიდევ ერთი სინონიმი - ბოლშევიკი, მაგრამ სტალინმა ომის შემდეგ მოხსნა ფრჩხილებში ჩასმული (ბ) და დარჩა მხოლოდ კომუნისტი. ამით მან ხაზი გაუსვა მსოფლიოში კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას და ხელი შეუწყო სხვა ქვეყნების კომუნისტების საბჭოურთან მოშინაურებას. ჩემთვის კი კომუნისტი იგივე ფაშისტია, პლუს პირმოთნეობა.

ღმერთის მიერ მონიჭებული თავისუფლების ნებაყოფლობით უარყოფა, ისევე როგორც სხვისი თავისუფლების ხელყოფა, შედეგების მხრივ ამაო და უფლის წინაშე დანაშაულია. თითოეული ადამიანი იბადება, როგორც გარკვეული მიკრო ან მაკრო მისიის მატარებელი, რომელიც თავისუფლებაში უნდა გამჟღავნდეს. და თუ შენ უგულებელყოფ თავისუფლებას პასუხისმგებლობის ტვირთის მოხსნით, ესე იგი, ავლენ შენი გაჩენის უაზრობას და ღვთიური განჭვრეტის ბალასტად იქცევი. ისევე, როგორც სხვისი თავისუფლების უზურპატორი, ნებსით თუ უნებლიეთ, მისთვის გადაბარებული უცხო მისიის შემსრულებლად გარდაიქმნება და, რადგანაც სხვის დანიშნულებას იგი ბუნებრივად ვერ შეეთვისება, ამას შედეგად მოჰყვება ამაოება. ამგვარად, უზურპატორის დაბადებაც გაუმართლებელი და პიროვნულად გამოუვლენელი, არარეალიზებული რჩება. შევარდნაძისთვის ხშირად მიკითხავს: „რად გინდათ, ყველაფერში რომ ერევით? რა თქვენი საქმეა, მაგალითად, რაიონის გამგებლის დანიშვნა (გლდანის გამგებელზე ვსაუბრობდით). დანიშნოს ლეკიშვილმა, ქალაქის მერმა. ან მილიციის უფროსი დამტკიცების წინ რატომ უნდა მოჰყავდეთ თქვენთან გასაუბრებაზე? ამისთვის არის ქალაქის სამმართველო, ჰა-ჰა, ჯანი გავარდეს, შინაგან საქმეთა მინისტრი. შეძლებთ

ყველაფრის გაკონტროლებას, მით უმეტეს, მომავალში, როცა კერძო საკუთრება ამოქმედდება?“ „ვერა“, - მპასუხობს გულახდილად. „მაშ, რატომ აკეთებთ ამას?“ „უჩემოდ არაფერი გამოსდით“. „აი, ეს არის სტალინიზმი“, - ვფიქრობ. ეს ის გამარტივებული ფორმულაა, რაც საკუთარი თავის წინაშე გასამართლებელ საბუთად გჭირდება. სწორედ ამაშია დიქტატორების სიბეცე. თავისი საქმე ყველამ თავისებურად უნდა აკეთოს, სხვისებურად გაკეთებულ საქმეს ხეირი არავისთვის მოაქვს. ერთხელ პარლამენტში ავტორიტარი და დიქტატორი იმ ობობას შევადარე, რომელიც იმდენ ქსელს აბამს, რისი გაკონტროლებაც არ ძალუძს. როცა ობობას აბლაბუდას ყოველ რხევაზე უხდება ცრუ გამოვარდნა ან ნამდვილი მსხვერპლის - ბუზისა თუ სხვა მწერის - ფართხალი ობობას სორომდე ვერ აღწევს, რაც, ბოლოს და ბოლოს, მის დაღუპვას განაპირობებს. საუბედუროდ, ყველა ეკივოკი, ნართაული თუ ქარაგმა, პირდაპირი საუბარი თუ საჯარო გამოსვლა უშედეგო გამოდგა. ჩემს მცდელობას, შევარდნაძეს როგორმე ხელი აეღო ბელადომანიურ კურსზე, გაღიზიანებისა და მტრობის მეტი აღარაფერი მოჰქონდა. გადავწყვიტე, ისევე, როგორც თავის დროზე გამსახურდია, თავის ნებაზე მიმეშვა შევარდნაძეც. ალბათ საჭიროა, მან ბოლომდე გამოავლინოს ყველა ის მანკიერება, რაც დიქტატურას ახასიათებს, რათა შინაგანი თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე დამდგარმა ჩვენმა ხალხმა აღიქვას ეს პროცესი, როგორც წითელი შუქნიშანი. ტოტალიტარიზმის სახელმწიფო მანქანების რესტავრაცია გამალებით მიმდინარეობდა. კარიერისტების პარტიამ - მოქალაქეთა კავშირმა - იყნოსა რა ლეშის სუნი, ყვავ-ყორნებივით შეესივნენ თანამდებობებს და მკერდზე მჯიღის ცემით გაიძახოდნენ: „მე შევარდნაძის კაცი ვარ“.

არის ასეთი რწმენა და დასაბუთებული შეხედულებებიც: რაიმე ხდომილების აღმწერს თავის ზურგზე უნდა ჰქონდეს გადატანილი იგი. მეც ასე მეჯერა და ერთხანს ძლიერ მიკვირდა კიდეც ის, თუ აღმოსავლეთ ციმბირის ერთი მონახულებით როგორ შეძლო ანტონ ჩეხოვმა კატორღელების ცხოვრების ისეთი წვრილმანის შემჩნევა, რომელიც, სულ ცოტა, კატორღული ცხოვრების ხუთი-ათი წლის შემდეგ შეიძლება შეიცნო. მე ამას, რასაკვირველია, გენიოსების ხვედრად მივიჩნევდი. ხოლო ახლა, როცა ჩემს პრაქტიკაშიც მსგავსმა ვითარებებმა იჩინეს თავი, ამას უკვე ღვთიური განჭვრეტის

სფეროს ვაკუთვნებ. მაგალითად, ჩემი რომანი - „სანიტარული მატარებელი“ - სამოქალაქო ომზეა დაწერილი 1980 წელს, როცა სამოქალაქო ომამდე ჯერ კიდევ 12 წელი იყო გასავლელი. მაშინ მე არათუ ომში, ჯარში ნამყოფიც არ ვიყავი. და ახლა, როცა ცხოვრებამ სამწლიანი ომის თითქმის ყველა პერიპეტიაში გამატარა, ჩემს რომანთან განსაცვიფრებელი პარალელები შემხვდა. ასევეა ჩემი სამეცნიერო ნაშრომი „ჰერმენევტიკა და თეატრი“. იგი დაწერილია 80-იანი წლების დასაწყისში, იმ დროს, როცა მიტინგებსა და „კარვის ქალებზე“ კი არა, რაიმე უსანქციო ხუთკაციან შეკრებაზეც ზედმეტი იყო ლაპარაკი. ჩემი ნაშრომის ერთ მონაკვეთში, სადაც მასების ფსიქოლოგიაზე ვსაუბრობ, წარმოჩენილია იმ სულიერი მამოძრავებელი ძალების ერთობლიობა, რომლითაც მოქმედებდა, რასაც ეყრდნობოდა მასობრივი ფსიქოზი და კერპთაყვანისმცემლობა და რაც ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის.

ზიგმუნდ ფროიდი ვერ ხედავს განსხვავებას სოციალურ (მასის) და ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას შორის. მასის ფსიქოლოგიას, მისი აზრით, ლიბიდოიალური კონსტიტუცია აქვს, რომელიც შეიცავს რთულ სექსუალურ სიყვარულს, იდეალურ სიყვარულს, ჰიპნოზის შენაერთს, ობიექტის იდეალიზებასა და იდენტიფიკაციას თავისი სუბლიმაციითა და ფალსიფიკაციით. ამ ელემენტთა ერთიანობის მოქმედებით იშლება ინდივიდუალობა. იგი კარგავს განსხვავებულობას, ანუ მხოლოდ მის პიროვნულ დამახასიათებლობას. ცნობილი ფსიქოლოგი ლე ბონი თავის წიგნში „მასების ფსიქოლოგია“ ამტკიცებს, რომ ხალხის მასაში მოხვედრილი ადამიანი, უმეტეს შემთხვევაში, იქცევა ისე, როგორც მას არ სჩვევია. ამაში ლე ბონი ხედავს არაცნობიერის ამოტივტივებას, რომელიც უკუაგდებს მემკვიდრეობით ჩამოყალიბებულ განსაკუთრებულობას და, რადგანაც არაცნობიერი თითქმის ყველა ადამიანისთვის ერთნაირია, პიროვნება უფერულდება, მასში ითქვიფება და ყველა ერთმანეთს ემსგავსება. ფროიდიც და ლე ბონიც გადამდებლობას მიაკუთვნებენ ჰიპნოზურ ფენომენს, რომელიც შთაგონების შედეგია. როცა პიროვნება კარგავს საკუთარ ინდივიდუალურ ცნობიერებას, დამუხრუჭებულია განსხვავების უნარი და ნებელობა, ინდივიდი ხელმძღვანელობს მხოლოდ ჰიპნოზური მითითებებით, შთაგონებით (ზოგიერთი მეცნიერი,

მაგალითად, ტარდი, ტერმინ „შთაგონების“ ნაცვლად გვთავაზობს ტერმინ „მიბაძვას“. ეს, ვფიქრობ, არისტოტელეს მიზეზის ეკვივალენტია). მაშასადამე, ადამიანის მიბაძვის ბუნებრივი ნიჭი გამოდის წინა პლანზე, როგორც მასის მახასიათებელი. ამიტომაც მასას სულაც არ აინტერესებს ჭეშმარიტება, იგი ელის მისტიფიკატორს, მას სურს ილუზია. მახსენდება, რომ არც ერთ „ზვიადისტს“ (ეს პირობითი ზოგადი სახელი ამჯერად მასას გულისხმობს) არ სურდა, მიეღო გამსახურდიას აბიურაციის, მონანიების შემარცხვენელი ფაქტი, მათ აინტერესებდათ ილუზია: ზვიადი - საქართველოს გადამრჩენელი, მისი თავისუფლების ბაირახტარი! ინგლისელი მეცნიერი ტროტერი აღნიშნავს მასის კიდევ ერთ ფსიქოლოგიურ ნიშან-თვისებას. ერთად ყოფნის პირველყოფილი ინსტინქტის მოთხოვნილებას, მასის დაკარგული ინდივიდუალობა საჭიროებს კომპენსაციას, ამიტომ იგი მზად არის, მიიღოს იდეალური ხატი ლიდერისა, ბელადისა, რაშიც მოახდენს იდენტიფიკაციას ან ფასინაციას და თავისი დაკარგული უფლებების სუბლიმირებას. რაც უფრო მეტი პიროვნული უფლება აქვს მას დაკარგული, მით უფრო შთამბეჭდავი და ექსპრესიულია ამის გამოვლენა. გავიხსენოთ 1993 წლის 14 სექტემბერი, ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის დამოკიდებულება შევარდნაძისადმი - პარლამენტის წინ დაჩოქილი ხალხი. მართალია, ზვიადისტები ამაში არ მონაწილეობდნენ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ცნობილია: ბელადის შეცვლა მასაში ყოველთვის უკმაყოფილებას იწვევს. აბა, ერთი გამსახურდია ყოფილიყო - ისინი ისევე ხალისიანად დაეცემოდნენ მუხლებზე, როგორც ახლა შევარდნაძისტები. ამაში უკანასკნელ როლს არ თამაშობდა მასაში პასუხისმგებლობის დაკარგვის შეგნებაც - პირადულის მოშლითა და ანონიმური უსაფრთხოების გარანტიით. სიმრავლის ფაქტი მასას აძლევს სიმძლავრის შეგრძნებას, ამიტომაც მასამ არ იცის ყოყმანი. არაცნობიერი ადამიანის პირველადი ინსტინქტების მატარებელიცაა. როცა ლაპარაკია მასაზე, როგორც ლიბიდოს სუბლიმაციის საშუალებაზე, სადაც მოხსნილია დაუკმაყოფილებელი სექსუალური მოთხოვნილებების რეპრესიები, თვალწინ მიდგება ზვიადისტი ქალების დაელმებული თვალები. ასეთივე მზერამოშლილი ქალების თვალებს ვაწყდებოდი ცხინვალში, 1989 წლის აქციების მონაწილეთა შორის. ასევე კვინიხში ჰქონდათ თვალები წასული ქუჩაში გამოსულ მომიტინგე

აფხაზ ქალებსაც. როგორც უკვე ვთქვი, განა მხოლოდ მასაში იკარგება ინდივიდუალობა, თვით ბელადები, ლიდერები, მისტიფიკატორებიც ერთმანეთს ემსგავსებიან და მათი ინდივიდუალობაც მოშლილია. ისინი კისრულობენ იმ როლს, რისთვისაც მასამ გაწირა. ასე დაამსგავსა ერთმანეთს ბელადობის ჟინმა, მასებით მანიპულირებამ შევარდნაძე და გამსახურდია, ასე გახდა ორივე უნდობლობით აღსავსე. ორივესთვის ყველა ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, მტერია, მათ აუცილებლად სჭირდებათ მასა, განა მხოლოდ იმიტომ, რომ ცალკეული ადამიანის ცდუნება უფრო ძნელია, ვიდრე მასისა, კიდევ იმიტომაც, რომ მასისგან მიიღოს ბელადის ხატის აღიარების რწმუნება, განაგრძოს მითოლოგიური არსებობა და თუ ამას დაემატა ერთი პარტიის ან პიროვნების მმართველობა, ეს არის ჩამოყალიბებული ტოტალიტარიზმი, რომელიც აუცილებლად მოითხოვს დიქტატურას.

1989 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღეს სოფელ მატანში მივემგზავრებოდი. ჩემთან ერთად სამი მხედრიონელი მოდიოდა. ირაკლი წერეთელმა გამოგვიარა და მითხრა, თელავში მას ელოდება რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებსაც სურთ მხედრიონში შემოსვლა და ჩემთან შეხვედრა. პაემანი დავნიშნეთ 2 საათისათვის თელავის თეატრთან, სადაც მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას და ირაკლი წერეთელს დაგეგმილი ჰქონდათ მიტინგი. ისე მოხდა, რომ თბილისიდან ერთად გავედით. ერთი რამ გამიკვირდა: თელავში აპირებდნენ მიტინგის ჩატარებას და აქედან მიჰყავდათ ხალხით გატენილი ოთხი ავტობუსი. მე ჩემი მანქანით დავწინაურდი. საგარეჯოში საქმეზე შევიარე, ხოლო როცა თელავში ჩავედი, მიტინგი უკვე დაწყებულიყო. ტრიბუნაზე ზვიად გამსახურდია იდგა. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ცოტა ჩანდა, მოედანზე მქუხარე ოვაციები ისმოდა. მივიხედ-მოვიხედე. აღტაცებული მომიტინგეები, ორი ათეული კაცის გარდა, ყველანი თბილისიდან წამოყოლილი ნაცნობები იყვნენ. ექვსი წლის შემდეგ იმავე თელავში, მართალია, არა მოედანზე, არამედ შიგ თეატრში, შევარდნაძე თავისი თბილისური, ეგრეთ წოდებული აქტივით, ესე იგი, პოლიციის ხელმძღვანელებითა და თავისი ჩინოვნიკებით გარშემორტყმული, კახელებთან შეხვედრას ატარებდა. და აქაც, როგორც ზვიადის მიტინგზე, ტაშისცემასა და აღფრთოვანებაში გამოირჩეოდა სწორედ შევარდნაძის თბილისიდან წამოყოლილი აქტივი. ჯერ კიდევ გამსახურდიას

დროს ხშირად მითქვამს: დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს მხედრიონთან ბრძოლით იწყება. მხედრიონი ლაკმუსის ქაღალდია. რაშია საქმე? მხედრიონს ხომ ხელისუფლებაში მოსვლა არ უნდა. ამ თვალსაზრისით, მას პოლიტიკურ ორგანიზაციად ვერ ჩათვლი. სამაგიეროდ, იგი ძალისმიერი ფორმირებაა. გარდა იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას იცავს და უმთავრესად იმისთვის არის შექმნილი, რომ ქვეყნის შიგნით ყოველგვარი სეპარატიზმი აღკვეთოს, მას კიდევ ძალუძს, წინ აღუდგეს სახელმწიფოს ტოტალიტარულ მისწრაფებას, რათა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებამდე პიროვნებას ჰქონდეს ძალისმიერი თავშესაფარი. აი, ამ ბოლო ფუნქციას ვერ იტანს პოლიტიკური ელიტა და უპირველესად დიქტატორული, ავტორიტარული მიზანდასახულობის პოლიტიკოსი. ფორმალურად მათ, რაღა თქმა უნდა, აქვთ ამის საფუძველი, მაგრამ ეს არგუმენტი გამომდინარეობს ტოტალიტარული სტანდარტებიდან და არა პოსტკომუნისტური რეალობიდან, სადაც სამართლიანობის ბალანსირება უშუალოდ ხალხის ხელში უნდა იყოს, ვიდრე სამართლებრივი სახელმწიფო შეიქმნება. ეს „ხალხის ხელში ყოფნა“ კი საქართველოს მხედრიონია, სადაც თავმოყრილია ხალხის ყველა ფენის თავისუფალი ახალგაზრდობა. მხედრიონი უმთავრესად უბრალო ხალხის წიაღშია დაბადებული. იგი დემოსის შვილია და ამიტომ დემოკრატია მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. მხედრიონში ბევრი ისეთი ახალგაზრდაა, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანა კომუნისტური ძალმომრეობის უსამართლობა, ბევრი მათგანი ციხეებში და ლაგერებში გაეცნო ტოტალიტარული რეჟიმის „სიმშვენიერეს“, ზოგსაც გამსახურდიამ აგემა უსამართლობა. ასე რომ, მათთვის პიროვნების თავისუფლებაც სისხლხორცეული საკითხია. ერთ-ერთი გავრცელებული ბრალდება, რომელსაც ხელისუფლება უყენებს მხედრიონელებს და რა საბაბითაც მრავალი მხედრიონელი დააპატიმრეს, იარაღის საკუთრების უფლებაა. პრინციპულად რატომ არ უნდა ჰქონდეს პიროვნებას პისტოლეტი, როცა სახელმწიფოს აქვს, დავუშვათ, ტანკი?! ბევრი შემთხვევაა, როცა მხედრიონელებს აკითხავენ პოლიციის მიერ შეწუხებული ადამიანები, თუ გნებავთ, იგივე ნარკომანები, რომელთაც პოლიცია ქრთამს გამოსძალავს. ხშირად აკითხავენ სამართლის მაძიებელი მოქალაქენი,

ვინაიდან ჯერ კიდევ კომუნისტური კანონებით მოქმედი სახელმწიფო მათ ვერ იცავს. მაგალითად, ვალის დაუბრუნებლობის ესოდენ გავრცელებული უზნეობა საქართველოში. არაერთი მხედრიონელი დააპატიმრეს ასეთი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის გამო, კომუნისტური ტრადიციებით შეთითხნილი ეგრეთ წოდებული გამოძალვის ან ადამიანის მოტაცების ბრალდებით. მხედრიონი წინ აღუდგა გამსახურდიას დიქტატორული რეჟიმის დამყარების პროცესს, რომელიც უწინარესად იმაში გამოიხატა, რომ შემოღებულ იქნა ბიუროკრატიული პრეფექტების ინსტიტუტი. სამტრედიაში ეს წინააღმდეგობა სისხლისღვრამდეც კი მივიდა. ასევე მოხდა შევარდნაძის მიერ ერთპიროვნულად, უკანონოდ შემოღებული გუბერნატორების და ქვეყნის დაქუცმაცების შემთხვევაშიც, რასაც მოჰყვა ხელისუფლების მიერ პროვოცირებული ინციდენტი რუსთავში. რასაკვირველია, მხედრიონში ანგელოზები არ არიან და იქ, გარდა თვითნებურად მოქმედი პიროვნებებისა, ბევრი ოფიციალური პროვოკატორიც იყო, მაგრამ ამ ორგანიზაციის სამართლებრივი ტრადიციები და თვით მისი არსებობის ფაქტი ჭეშმარიტად პატრიოტულ და დემოკრატიულად მოაზროვნე საზოგადოებაში დემოკრატიის ერთ-ერთ ძლიერ ციტადელად უნდა ქცეულიყო, მაგრამ, ვაგლახ, ჩვენი პოლიტიკოსები კვლავ კომუნისტურ ჭაობში ისხდნენ და სულაც არ აპირებდნენ ხმელეთზე გამოსვლას. უბრალოდ, მეზობლის ჯინაზე ყიყინებდნენ თავისუფლების შესახებ, რომელზეც ხშირად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა სწორად ვერ შეაფასეს პირადად ჩემი როლი დემოკრატიული პროცესის განვითარების საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ გამოვლილი იყო გამსახურდიას პერიოდი, სადაც ჩემი პოზიცია მთლიანად გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის ჩამოყვანითა და ფაქტობრივად ჩემი ადგილის მისთვის დათმობით (რაც უიშვიათესი შემთხვევაა ძალაუფლებისთვის ბრძოლის ისტორიაში) დავამტკიცე ჩემი უანგარობა; მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ ნებაყოფლობით დავთმე ყველა უმაღლესი თანამდებობა (უშიშროების და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეობა, საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარეობა, საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეობა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მოგვარების კომისიის თავმჯდომარეობა),

მიუხედავად არაერთგზის ჩემი განცხადებისა, რომ დიქტატურისა და ავტორიტარული სახელმწიფოს შექმნის მცდელობას შევებრძოლები, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში სახელმწიფოს მეთაურისთვის განუკითხავი ძალაუფლების გადაცემის წინააღმდეგ ყველაზე რადიკალურად მე გამოვედი, მაინც ამ ოპოზიციად მიჩნეულ ძალებს ნომერ პირველ ამოცანად თურმე პოლიტიკური ასპარეზიდან ჩემი, როგორც შევარდნაძის ყველაზე ერთგული და რეალური ძალის მოცილება დაუსახავთ. რას იზამ, ეტყობა, ისტორიის წინსვლა შეცდომიდან შეცდომაზე ხტომაში გამოიხატება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ პარლამენტის წევრებს არ გაახსენდათ, რამდენი მხედრიონელის სიცოცხლე შეეწირა პარლამენტის შექმნას, არჩევნებს, სამოქალაქო ომს, რის შედეგადაც პარტიების წარმომადგენლები და მაჟორიტარები შერჩნენ ხელისუფლებაში?! ან ის, რომ პარლამენტში მხოლოდ ერთი - მურთაზ ჭანკვეტაძე ჰყავდა მხედრიონს, განა იმაზე არ მეტყველებდა, რომ მხედრიონი ძალაუფლებისთვის არ იბრძოდა? ისიც ტრაგიკული და ამაღლებული სიმბოლოა, რომ პარლამენტის წევრებიდან, თვით აფხაზთა დეპუტაციის ჩათვლით, აფხაზეთის ომში სულ ორი დაღუპული დეპუტატიდან ერთი მხედრიონელი, იგივე მურთაზ ჭანკვეტაძეა! ყველაფერი ეს, გარდა დანაშაულებრივი უმადურობისა, ამ ძალების პოლიტიკურ სიბეცეზე ღაღადებს. ისინი ვერ მიხვდნენ უბრალო ჭეშმარიტებას: ჩემი წასვლით ისინი დაკარგავდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენას, უმრავლესობა კი საერთოდ შეწყვეტდა არსებობას. ტივზე ტივისაევე მორებით კოცონის დანთება თბილად დახრჩობას ნიშნავს.

პარლამენტში გაისმოდა ხმები მაშველთა კორპუსის განიარაღების შესახებ. პოლიციის ხელმძღვანელები და მთავრობის კორუმპირებული მოხელეები ყოველ მოხერხებულ ადგილას გაიძახოდნენ: „მე შევარდნაძის კაცი ვარ, მე შევარდნაძის კურსს ვუჭერ მხარს“. ამის შესახებ კარგად თქვა დათო მაღრაძემ - მაშინ ჯერ კიდევ კულტურის მინისტრმა: ის, ვინც ამბობს, რომ ვიღაცის კაცია, ის არავის კაცი არ არის, ის, უბრალოდ, არაკაცია“.

ბიუროკრატიის ყველა საკვანძო ადგილზე ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერები მოკალათდნენ. ჩამოყალიბდა

ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი - იგივე კომკავშირი, პარლამენტის უმრავლესობა მთლიანად კორუმპირებული გახდა. ისინი სარფიან ადგილებზე გაუშვა შევარდნაძემ. დაიწყო პოლიციის განუკითხავი ძალაუფლების აღზევება. შტატები გიგანტურად გაიზარდა. ზუგდიდის ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ, სადაც კვირაიამ ხელბორკილდადებული ხუთი პატიმარი მოკლა, იგი მთლიანად შევარდნაძის შანტაჟის ქვეშ მოექცა. მათ, ერთობლივად, ძალის დემონსტრირებას მიჰყვეს ხელი. ხდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობის მობილიზაცია და კარგად შეიარაღებული რამდენიმე ათასი კაცი „კრიმინალებთან საბრძოლველად“ სხვადასხვა რაიონებში მიეშურებოდა. განურჩევლად ატარებდნენ ჩხრეკებს - ხან ომიდან დაბრუნებული ბიჭების სახლებიდან გამოჰქონდათ იარაღი, ხან თვითონ უდებდნენ. საბოლოოდ ათ-თხუთმეტ ნარკომანს ან იარაღის პატრონს თუ დააკავებდნენ და ამას „რაუნდები“ ერქვა. თითო ასეთი გასვლა სახელმწიფოს 70-80 ათასი დოლარი უჯდებოდა. როცა თბილისში ჩატარდა პირველი „რაუნდი“ და ქუჩებში გამოეფინა ათასობით პოლიციელი ტანკებითა და „ბეემპეებით“ (ეს ტექნიკა ომის დამთავრების შემდეგ მხედრიონმა გადასცა შინაგან საქმეთა სამინისტროს), ჩემთან თხოვნით მოვიდნენ მხედრიონელები: „ბატონო ჯაბა, ნება მოგვეცით და ამათ ორ საათში შევრეკავთ, საიდანაც გამოძვრნენ“. სასტიკად გავუწყერი, არადა, საჭირო იყო გადაწყვეტილების მიღება ან წასვლა და ყველაფერზე ხელის ჩაქნევა, რის უფლებაც მე არ მქონდა: პატრიოტი ბიჭები, რომლებიც დაიღუპნენ დემოკრატიისთვის ბრძოლაში, ღალატს არ იმსახურებდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ საქართველოს ბედ-იღბალზე, საქართველოსი, რომელიც უბრუნდებოდა მონური, ტოტალიტარული, ეგრეთ წოდებული სტაბილიზაციის მოჩვენებით წესრიგს.

ამ ვითარებას კარგი საბურველიც ჰქონდა. ომის დამთავრების შემდეგ ქვეყანა ბუნებრივად მოითხოვდა მშვიდობიან რიტმზე გადასვლას. რასაკვირველია, საჭირო იყო რაციონალური ზომების მიღება, როგორც ეს ხდება ყველა სამოქალაქო საზოგადოებაში, მაგრამ არა ისე, როგორც ზუსტად აღნიშნა აკაკი ბაქრაძემ - ვერაფერი წესრიგია, როცა დიდი ქურდი პატარა ქურდს იჭერს. ეგრეთ წოდებული სტაბილიზაცია სტალინური მეთოდებით მიმდინარეობდა: „ზა სტაროე

სპასიბო, ზა ნოვოე ოტვეჩაი“. „სპასიბო“ ჩვენში სიტყვებითაც არ გამოთქმულა. ახალგაზრდები ომობდნენ უკიდურესად უთანასწორო ბრძოლაში; გვმტრობდნენ: რუსეთის იმპერია, ჩრდილოკავკასიელი ინტერვენტები, აფხაზები, საკუთარი რევანშისტები. ომი წააგო მთლიანად საქართველომ. მხედრიონს არც ერთ პოზიციაზე ბრძოლა არ წაუგია. პირიქით, სწორედ მხედრიონმა იმარჯვა და სულ მალე დაამთავრა სამოქალაქო ომი. ბიჭებს დაყვავება, ეკონომიკურად ხელის შეწყობა, დასაქმება ესაჭიროებოდათ და არა პროვოკაციები, ცილისწამება და ბანდიტებად გადაქცევა. ერთი სიტყვით, დილემის წინაშე დავდექი. ასეთ მდგომარეობაში წასვლა გამოირიცხა. მაშ, სხვა რა - ისევ ომი? ესეც გამოირიცხა. ასეთივე არჩევანის წინ დამაყენა გამსახურდიამ და მაშინაც სისხლისღვრას ციხეში წასვლა ვარჩიე. ახლაც ასე გადავწყვიტე: დაე, აღსრულდეს ნება ღვთისა! ხალხმა დაინახოს, რომ ყველა დიქტატორი ერთი დედის შვილია. ახლა, თუ რამე უშველიდა საქართველოს, მხოლოდ და მხოლოდ ახალი აქტიური ძალის გამოჩენა. ზვიადისტები დამარცხებულები, დაშლილები და პოლიტიკურად გაკოტრებულები იყვნენ. ხელისუფლებაში მოსულ შევარდნაძის ტყავგამოცვლილ კომუნისტებს ხალხი არაფერში ენდობოდა. ისინი თავიანთი „მეორე დაბადებით“ კომუნისტების დროინდელ ფსიქოლოგიას აღადგენდნენ. მათთვის მთავარი იყო კარიერა და კორუფცია; საქართველო კვლავ საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ნიშნით არსებობდა - „მეწველი ფური“. ოპოზიციამ, რომელიც ვერაფრით ვერ დასცილდა პოპულისტურ-ლოზუნგურ ცხოვრებას, ხალხი განხიბლა. მათმა, გინდა თუ არა, შევარდნაძის კრიჭაში ჩადგომამ კი ყველა გააღიზიანა. ოპოზიციას სერიოზულ ძალად უკვე აღარავინ აღიქვამდა. საქართველოს მხედრიონი, როგორც ორგანიზაცია, აღარ არსებობდა. მაშ, ვინღა რჩებოდა? ტექნოკრატები, მეცნიერები, სპეციალისტები, უბრალო მშრომელი, პატიოსანი ადამიანები. ესენი თუ უშველიდნენ საქმეს. მაგრამ პოლიტიკურ სარბიელზე მათი გამოყვანა უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ასეთი ადამიანები მეტწილად მოკრძალებული ინტელიგენტები არიან. ამ გაქსუებულ დემაგოგებთან, პარტიულ გახრწნილობაში გამობრძმედილ ყოფილ კომუნისტურ ფუნქციონერებთან, ინტრიგანებთან, თავხედებთან და, როგორც ყველა ნახევრად წიგნიერი ადამიანი, თვითდაჯერებულებთან ბრძოლას ვერ შეძლებდნენ. გარდა

ამისა, ისინი ხომ ორგანიზებული არ იყვნენ. ბევრი მათგანი სანთლით საძებარიც გახდა. ასე რომ, ამ პრობლემების გადაჭრა მხოლოდ პატიოსან და წესიერ არჩევნებს შეეძლო. მანამდე კი საჭირო იყო მათი აღმოჩენა, დაინტერესება, დათანხმება და ორგანიზება. ამისათვის შევქმენი საზოგადოება „არჩევნები“. მისი დანიშნულება იყო მხარდაჭერა პიროვნებისთვის და არა პარტიათა „კონცეფციებისთვის“, რომელნიც, სიტყვამ მოიტანა და, არც არსებობდნენ. პარტიებსა და საზოგადოებებს ჰქონდათ გაჭრილი ვაშლივით ერთმანეთის მსგავსი ლოზუნგები და პროგრამები. ჩვენ კი გვსურდა, რომ პარლამენტში მოხვედრილიყვნენ ყოველგვარ პარტიულ, კასტურ თუ გუნდერ ინტერესებს გამიჯნული თავისუფალი ადამიანები, რომლებიც ყველა საკითხის გადაწყვეტისას იხელმძღვანელებდნენ ობიექტური განსჯით, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, წრფელი გულით ღვთისა და საკუთარი სინდისის წინაშე. რასაკვირველია, ამ იდეალური მოთხოვნების დაკმაყოფილების დიდი იმედი არ არსებობდა, თუმცა ცდუნებების, ზეწოლის, შიშის ატმოსფეროს მოხსნით, რასაც ჩვენ შევუწყობდით ხელს, ვფიქრობდით, სახელმწიფოს დემოკრატიული შარაგზიდან ინტრიგანულ ბილიკებსა და წუმპეებში გადასული ჩვენი ხელისუფლება დაგვებრუნებინა თავისუფალი განვითარების ბუნებრივ კალაპოტში. მართალია, ამას მოჰყვებოდა საზოგადოებრივი წესრიგის რაღაც დანახარჯები, ინციდენტები, მაგრამ ეს იქნებოდა კერძო შემთხვევები, საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის უმნიშვნელო ექსცესები. სამაგიეროდ, პიროვნულ თავისუფლებებზე, მოვალეობებსა და უფლებებზე დამყარებული სტაბილიზაცია გაცილებით მყარი და ჭეშმარიტად დემოკრატიული გახდებოდა, ვიდრე მონური სულისკვეთებით ჩასაფრებული ტოტალიტარული ყოფა. მე კიდევ ერთხელ ვცადე შევარდნაძის, ასე ვთქვათ, შემობრუნება. ავუხსენი, რას წარმოადგენდა ჩვენი საზოგადოება, რომ ეს არის ინსტიტუტი, რომლითაც უნდა გავიკაფოთ გზა დემოკრატიისკენ, ვინაიდან საზოგადოება „არჩევნებს“ არა აქვს ძალაუფლების ხელში აღების პრეტენზია. იგი არჩევნების შემდეგ იშლება. მისი წევრი თავისუფალია რაიმე პარტიული ინტერესების დაცვისგან ან რაიმე დავალებებისგან. პოსტკომუნისტური ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, უნდა გამოვიდეს კოლექტიური აზროვნების ტყვეობიდან. დროა, აღდგეს ინდივიდი ღვთით მინიჭებულ უნივერსალურ უფლებებში. კომუნისტური დოქტრინა იმის

თაობაზე, რომ სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კოლექტიური, პარტიული და ყოველგვარი ჯგუფური ინტერესი უპირატესია ინდივიდუალურზე, აღმოსაფხვრელია ხალხის შეგნებიდან და დემაგოგების ლექსიკონიდან. მე ისიც ვუთხარი (და ამას მართლაც ასე ვვარაუდობდით), რომ არჩევნებში ჩვენ მას დავუჭერთ მხარს. შევარდნაძემ, როგორც ყოველთვის, მოისმინა და დამეთანხმა, ხოლო მერე გაირკვა, რომ მას, როგორც ყოველთვის, თავისი გეგმები ჰქონდა და ნაცადი სტანდარტებით მანიპულირებდა.

საზოგადოება „არჩევნების“ ჩამოყალიბების ამბავი მეხივით გავარდა. უპირველესად შეშფოთდნენ პარტიები. „მაფიოზური კლანები ხელისუფლებას ხელში ჩაიგდებენ“, - გაიძახოდნენ ისინი. რასაკვირველია, ამას ვერ ასაბუთებდნენ, მაგრამ ხედავდნენ, თუ ეს იდეა და უკვე ჩამოყალიბებული „არჩევნები“ გაიმარჯვებდა, მათ მოუხდებოდათ ძირფესვიანად შეეცვალათ პარტიების ლენინურ-სტალინური დემოკრატიული ცენტრალიზმის სისტემა, რისთვისაც ისინი არც თეორიულად და არც პრაქტიკულად მზად არ იყვნენ. ან საერთოდ უნდა ჩამოშორებოდნენ პოლიტიკურ ცხოვრებას.

საზოგადოება „არჩევნებში“ სანდომიანი ხალხი შეიკრიბა: იურისტები, ეკონომისტები, მეცნიერები, ჟურნალისტები, ბიზნესმენები, ზოგიც - თანამდებობის პირი. რაიონებში გაიხსნა ცენტრიდან დამოუკიდებელი ორგანიზაციები. თავმჯდომარედ ავირჩიეთ ცნობილი იურისტი ლევან გიორგაძე (ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი და რეზო გაბაშვილის დისწული). გამგეობაში შევიდნენ კულტურის მინისტრი დათო მაღრაძე, ცნობილი რეჟისორი ნუკრი ქანთარია, აკადემიკოსები ზაზა კახიანი, ოთარ საღარეიშვილი, ჯაბა ონიანი, პროფესორი გივი ჟორდანია და სხვები. ერთი სიტყვით, რაღაც იმედმა გაიჭიატა. შევარდნაძემ მოქალაქეთა კავშირში გადაიბირა მწვანეები: ზურაბ ჟვანია, გია ბარამიძე, ლევან მამალაძე. მახსენდება ჰელმუტ კოლის გამონათქვამი ევროპელ მწვანეებზე: „ისინი პამიდვრები არიან, ბოლოს წითლდებიანო“. ამას ვამბობ პარლამენტში და ცალკე შევარდნაძესაც ვეხუმრები.

ბოლო დროს ჩვენ მხოლოდ მისი ინიციატივით ვხვდებით ერთმანეთს. საუბარი ყოველთვის კონკრეტულ საქმეს ეხება, თუმცა, ხშირად ვაზოგადებ: ძალაუფლება კაცს მაშინ აქვს,

როცა უდანაშაულოს დასჯა შეუძლია. იღიმება. სხვა დროს საკითხების გადაწყვეტის მისეულ ხასიათზე ვამახვილებ ყურადღებას. „ეს პალიატივია“, - ვამბობ. წუთიერად ცნობისმოყვარეობის ნიავი გაჰკრავს სახეზე: რაღაც ახალია და, როგორც კი ხვდება, რაზეა ლაპარაკი, ისევ თავისი აზრების მდინარებას უბრუნდება. ვხვდები, რომ პალიატივსა და კომპრომისს შორის განსხვავება მისთვის მწიგნობრული ნიუანსია. თავისი ცხოვრებიდან გამომდინარე, ასე სჯერა. მე კი ვიცი, რომ ცეცხლის ჩაქრობაცა და გაღვივებაც ერთი და იმავე მოქმედების ინტენსივობაზეა დამოკიდებული: მაგრად ჩაჰბერავ - ჩააქრობ, ნელა - გააღვივებ. ამის შესახებ პარლამენტში გამოვდივარ. პურის ფასების ეგრეთ წოდებულ ლიბერალიზაციაზე ვმსჯელობთ. თუ საბაზრო ეკონომიკის გავრცელებაზე ვზრუნავთ, ნამდვილად გავათავისუფლოთ ფასი და არა ნახევრად, რომელიც ხალხის გაღიზიანების მეტს არაფერს მოიტანს. ყველაფერში ნახევარზომებით გვინდა წარმატებებს მივაღწიოთ. პრობლემებს დროებით ვითომ ვიცილებთ და ისინი სულ მალე უფრო დიდ თავსატეხს გვიჩენენ. ეს იმის ბრალია, რომ კომპრომისი პალიატივთან გვაქვს გაიგივებული. კომპრომისი მყარ გამარჯვებად მაშინ ჩამითვლია, როცა გამარჯვებულისა და დამარცხებულის ურთიერთობაზე ჩავფიქრებულვარ. ყოველ გამარჯვებაში მომავალი დამარცხების ნაცარწაყრილი ნაღვერდალია. ყოველი მარცხი რევანშის მომლოდინეა. ასე რომ, პრობლემა გაუკვანძავი რჩება, როცა კომპრომისი ორივე მხრიდან ნებაყოფლობით ხსნის პრობლემას, რაც ჭეშმარიტი გამარჯვებაა. პალიატივი კი ნახევარზომებით საკითხის მიფუჩეჩებაა, დროებით თავის მოტყუებაა. მართლაც, რა გენიოსია ეკლესიასტე: „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება. არაფერია მზის ქვეშ ახალი“.

ვიბორგის „დაკეტილ ციხეში“ ვზივარ და ზემოთ მოტანილ ტერმინებზე ვფიქრობ. თავში გაჭედილი მაქსიმა მომდის: ჭეშმარიტი გამარჯვება კომპრომისია. უბის წიგნაკში ვიწერ. გადის ორი კვირა და გაზეთში ვკითხულობ გაეროში ინდოეთის პრეზიდენტის, ჯავაჰარლალ ნერუს გამოსვლას: „...ჯერ კიდევ ბუდა ამბობდა - ჭეშმარიტი გამარჯვება კომპრომისია“. აი, ესეც შენი ველოსიპედი.

რამდენჯერმე უკვე ვთქვი, რომ ზვიად გამსახურდია და ედუარდ შევარდნაძე ერთმანეთს ჰგვანან. განუსაზღვრელი

ძალაუფლებისკენ სწრაფვა მათ ერთი და იმავე ამოცანების გადასაჭრელად ერთი და იმავე საშუალებებისკენ უბიძგებს. ეს რომ ლიტონ სიტყვებად არ ჩამეთვალოს, მივუბრუნდეთ საყოველთაოდ ცნობილ სინამდვილეს. უპირველესად, მინდა აღვნიშნო ის მომენტები, სადაც გამოჩნდება, თუ რას წარმოადგენდა გამსახურდიას ეგრეთ წოდებული კანონიერი პრეზიდენტობა; კონკრეტულად რა დანაშაულებები აქვს ჩადენილი; რატომ იყო აუცილებელი და კანონიერი ძალაუფლებიდან მისი მოცილება: უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში, როგორც კი უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვა, ზვიად გამსახურდიამ უმალ პრეზიდენტობა მოისურვა. ამისათვის მან ჯერ უმაღლეს საბჭოს დაანიშნინა თავი პრეზიდენტად და მერე ჩაატარა საყოველთაო საპრეზიდენტო არჩევნები. ქვეყანა დადგა ძალაუფლების უზურპაციისა და უკანონობის ფაქტის წინაშე. საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებისათვის არ არსებობდა საკანონმდებლო საფუძველი, არ იყო განსაზღვრული პრეზიდენტის ინსტიტუტის რაობის საკითხი, საქართველოს პირობებში მისი უფლებამოსილების გავრცელების არეალი, იმპიჩმენტის მექანიზმი, აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ბლოკებთან ურთიერთობის რეგლამენტი. ფაქტობრივად, საქმე ეხებოდა ახალი სახელმწიფო წყობილების დამყარებას, რის შესახებაც, სულ ცოტა, რეფერენდუმი მაინც უნდა ჩატარებულიყო. ის, რომ პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნები შედგა, არაფერს ნიშნავს. ეს იყო არჩევანი პიროვნებათა შორის (დავუშვათ, გამსახურდია თუ ადვაძე) და არა სახელმწიფო წყობილების მიღება-არმიღების ალტერნატივა. ამიტომაც ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის კანონიერებაზე საუბარი ან უმეცრებაა, ან პარტიულ-კასტური მიკერძოება. შორს აღარ წავალ იმ დამღუპველი უკანონობისა და ვოლუნტარიზმის აღწერით, რომელიც უხვად მოიპოვება გამსახურდიას მოქმედებებში. მოვიხსენიოთ უდავო, ყველასთვის ცნობილი ფაქტები. სარკინიგზო მაგისტრალის გადაკეტვა, ოსური საკითხის ქსენოფობიამდე გაღვივება, ჩემი პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენის პროცედურაში თაღლითობა (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 25 აპრილი. 1991 წ.), კანონის უკუქმედების გამოყენების უპრეცედენტო შემთხვევა (თუ არ ჩავთვლით ნ. ხრუშჩოვის მიერ ალმა-ატაში „ვალუტჩიკის“ დახვრეტას 1956 წ.), საყოველთაო არჩევნებით არჩეული

„ეროვნული კონგრესის“ დევნა-ცილისწამება, ტელევიზიისა და პრესის ბლოკირება, დედაქალაქისა და რაიონების მოსახლეობის დაპირისპირება, მიტინგების ჯერ დარბევა და შემდეგ დახვრეტა. ყოველივე ამის შემდეგ მისი გადადგომა მოითხოვა არა მხოლოდ ხალხის (60-ათასიანი მიტინგი რესპუბლიკის მოედანზე, 1991 წლის დეკემბერი) და პოლიტიკურ პარტია-საზოგადოებათა უმრავლესობამ, სტუდენტობამ, ინტელიგენციამ, არამედ თვით მისმა მომხრე უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა. და მაინც, მან სისხლის დაღვრა არჩია მშვიდობიან გადადგომას. რა კანონს ეფუძნებოდა ეს ძალაუფლებაზე ჩაბჟირება? ნიკოლოზ II, რუსეთის იმპერატორი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა მემკვიდრეობითობის 300 წელი, დუმის ორად ორი წევრის - გუჩკოვისა და შულგინის მოთხოვნით გადადგა, რათა ქვეყანაში სისხლი არ დაღვრილიყო და ამის მიზეზი არ გამხდარიყო მეფე. რა განსაკუთრებულ უფლებას ებღაუჭებოდა ერთი წლის წინათ საეჭვო ვითარებაში და უკანონოდ არჩეული ეგრეთ წოდებული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია? იმას, რომ მამამისი გამოჩენილი მწერალი იყო, თუ იმას, რომ თარგმნა ბოდლერი?! უწინარესად, მას ჰქონდა ძალის იმედი - იმედი რაიონებში მის მიერ დანიშნული პრეფექტებისა, რომელთაც განუზომელი ძალაუფლება ჩააბარა. ყველაფერ ამას ყველაზე აქტიურად წინ აღუდგა მხედრიონი (სამტრედიის ინციდენტი, შიმშილობა ოპერის ბაღში და სხვა). გამსახურდია მიხვდა, რომ საქართველოს მხედრიონის არსებობის პირობებში დიქტატურა ფონს ვერ გავიდოდა. ამიტომაც გადაწყვიტა, მოვეცილებინეთ. ცილისწამებისა და პროვოკაციების ტალღაზე გააუქმა მაშველთა კორპუსი, შემდეგ რუსთა სადესანტო საიერიშო ჯარი თავს დაგვასხა შავნაბადაზე, მხედრიონის ბაზაზე (1990 წლის 17-18 თებერვალი). ამას მოჰყვა მხედრიონელთა სათითაოდ დაპატიმრება.

დავუბრუნდეთ შევარდნაძის დამოკიდებულებასა და მოქმედებას იმავე საკითხებთან დაკავშირებით: გაინაღდა თუ არა პარლამენტში უმრავლესობის მხარდაჭერა, ედუარდ შევარდნაძე შეუდგა კონსტიტუციის იმ სახით მიღების მცდელობას, რომლითაც პრეზიდენტად სახელდებული ერთპიროვნული, განუკითხავი მმართველი გახდებოდა. ამ მიზნის მისაღწევად იგი კანონიერების საბურველს იშველიებს,

თუმცა, საშუალებები, რითაც, ბოლოს და ბოლოს, მან მიაღწია დიქტატურის საპრეზიდენტო მმართველობად გამოცხადებას, იგივე უკანონობა და მცოცავი უზურპაციაა. შევარდნაძემ გამოიყენა საგანგებო და საომარ ვითარებაში მოხვედრილი ქვეყნის ძალაუფლების სიმყიფე, მიითვისა პარლამენტის ყველა პრეროგატივა. მაგალითად, პარლამენტარების აღმასრულებელ ხელისუფლებაში შეთავსების ნებართვის გაცემის ერთპიროვნული უფლება, რითაც მანიპულირებდა კარდინალურ საკითხებზე კენჭისყრის დროს, საკადრო პოლიტიკის ერთპიროვნულად წარმოების უფლება. ეგრეთ წოდებული, გუბერნატორების ინსტიტუტის შემოღება პარლამენტის თანხმობის გარეშე. ეს რწმუნებულ-გუბერნატორები, რომელნიც მხოლოდ პირადად მას ემორჩილებიან და საქართველოს ისტორიული მხარეების განუკითხავი მმართველები გახდნენ, არჩევნებში ზეწოლისა და შანტაჟის ბიუროკრატიულ წანაზარდად იყვნენ გათვალისწინებული. ხალხის მხრიდან ვის შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია მათი დესპოტური თავნებობისთვის? მხედრიონელებს. ვის შეეძლო ემხილებინა ფალსიფიკაცია არჩევნების დროს და ღიად გამოსულიყო ამა თუ იმ კანდიდატის წინააღმდეგ, თუნდაც შევარდნაძის ავტორიტარული მისწრაფებების განქიქებით? უპირველესად ისევ მხედრიონელებს. როგორც გამსახურდიამ, შევარდნაძემაც გააუქმა მაშველთა კორპუსი. ზოგან ტყუილითა და ზოგან მართლით, ტელევიზიის, პრესის, ცალკე ჭორებისა და ცილისწამების ფონზე დაიწყო რეპრესიები, პარალელურად კი - არჩევნებისთვის მზადება. ასე რომ, გამსახურდიასა და შევარდნაძის შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს: კანონიერება და უკანონობა მოვლენათა შედეგების თვალთახედვით ზედმიწევნით პირობითი კატეგორიები ყოფილან. შევარდნაძეს გაუადვილდა ეს პროცესი. ჯერ იმიტომ, რომ გამსახურდიამ გზა სანახევროდ გაკაფული დატოვა; მეორეც - იგი დარწმუნებული იყო, რომ მხედრიონი, ისევე როგორც გამსახურდიას შემთხვევაში, ომს არ წამოიწყებდა. ეს მაგონებს რომის იმპერატორ გაიუს კალიგულასა და მირმილანის შერკინებას. გლადიატორთა სკოლის ხელმძღვანელი დიდხანს ხის მახვილით ეფარიკავებოდა კალიგულას, ბოლოს მის წინაშე ყასიდად დაეცა, გაიუსმა კი უმალ რკინის ხანჯალი ჩასცა ზურგში და პალმით ხელში შემოირბინა გამარჯვების წრე.

აფხაზეთის საკითხი არ იძვრის. კონდრატიევის „ავანტიურა“ ბოლო გაბრძოლება გამოდგა. გრაჩოვმა ორმაგ თამაშს მიჰყო ხელი: ჩვენთან ჩვენია, არძინბასთან - არძინბასი. ვარდიკო ნადიბაიძეს მაინც სჯერა, რომ აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა ახლა ყველაზე მეტად გრაჩოვზეა დამოკიდებული. მისი აზრით, ეს გაჭიანურება ჩვენი ბრალია. რუსეთის სამხედრო ბაზებზე შეთანხმებას სასწრაფოდ უნდა მოაწერონ ხელი. ჩვენი პარლამენტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო და შევარდნაძეც კი იმ ჭკუაზე არიან, რომ, ვიდრე აფხაზეთის საკითხი ჩვენს სასარგებლოდ არ გადაწყდება, ბაზები არ დავუკანონოთ. არ არის მოფიქრებული ვადა, რამდენი ხნის უფლება უნდა მივცეთ; არც კომპენსაციის საკითხია გარკვეული. ერევნიდან ჩამოდის პაველ გრაჩოვი. იქ მან სომხებს ხელი მოაწერინა რუსეთის ბაზების ხელშეუხებლობაზე 25 წლის ვადით. გახარებულია. დიდი საქმე გააკეთა, მოსკოვში შერყეული რეპუტაცია ნაწილობრივ აღიდგინა. ახლა თუ ჩვენც მოგვაწერინებს ხელს, თეთრ ცხენზე ამხედრებული დაბრუნდება მოსკოვში. რაც ამდენ ხანს ვერ შეძლეს რუსეთის დიპლომატებმა, მან ერთი იმპროვიზებული ვოიაჟით მოაკვარახჭინა. ვიკრიბებით შევარდნაძესთან - მე, გოგუაძე, ფაცაცია, ნადიბაიძე, გიორგაძე. გრაჩოვი ღიმილს ვეღარ იკავებს, ვარდიკოსგან დაიმედებულია, რომ ყველაფერი რიგზე იქნება. ვარდიკომ მეც მითხრა, თუ შევარდნაძე არ დასთანხმდება, მე მაინც მოვაწერ ხელსო. გადადება აღარ შეიძლება. შევთანხმდით, როგორც კი ბაზების საკითხი მოგვარდება, მაშინვე ჯარით შევდივარ და გალში ლტოლვილები შემყავსო. „კი მაგრამ, ჯერ შევიდეთ, ჩვენ რა გამქცევები ვართ?“ - ვეპასუხები ჩემი ეჭვების გადასამოწმებლად. მთელ დღეს გრაჩოვთან არის, ერთად სვამენ. „შევარდნაძეს არ ენდობიან“, - მოკლედ მიჭრის.

ტრადიციული მისალმებითა და ზოგადი მიმოხილვის შემდეგ იწყება კონკრეტული საუბარი. „აი, ჩვენ სომხებთან გავაფორმეთ 25-წლიანი ხელშეკრულება ბაზების თაობაზე, - ამაყად იწყებს გრაჩოვი. - ახლა გვსურს, თქვენც შემოგვიერთდეთ და წავიდოდა საქმე, მაგრამ ეს თქვენი დიპლომატები რაღაც ფეხს ითრევენ“, - იღიმება ირონიულ-შემწყნარებლურად. „ჰოდა, - ერთვება შევარდნაძე, - მართლაც, უცნაური ხალხია ეს ქართველი დიპლომატები. მაგათ ჰგონიათ, როგორც სომხებს მიეცით ნახევარი აზერბაიჯანი, ასევე ჩვენ

დაგვიბრუნებთ აფხაზეთს“. მე ხმამაღლა და ხაზგასმით ვიცინი. გრაჩოვი რატომღაც ნირწამხდარი იგრიხ-იჭიმება სკამზე. ამ ეკივოკით ყველაფერი ნათქვამია. შემდეგ იწყება მეორეხარისხოვანი მსჯელობა პარლამენტის და დუმის პოზიციებზე. პასუხი კი ხვალ დილისთვისაა გადატანილი. ვრჩებით მე და შევარდნაძე. „არ შეიძლება ხუთი ან ათი წლით მეტზე მოვაწეროთ ხელი“, - ამბობს შეფიქრიანებული. „არ დათანხმდებიან. ხუთი წელი მარტო საჰაერო თავდაცვის ხელახალ გაწყობას, ოჯახების გადმობარგებას, ყაზარმებისა და ინფრასტრუქტურის განახლება-აშენებას დასჭირდება და მერე უნდა წავიდნენ? არ გამოვა“. „მართალი ხართ! - მეთანხმება. - თხუთმეტ წელზე ნაკლები მაგათთვის უაზრობაა“. „მივცეთ ოცი-ოცდახუთი წლით, ოღონდ, ყოველ ხუთ წელიწადში გადასინჯვის უფლებით“. არაფერს მპასუხობს. საერთოდ, გაღიზიანებულია - ვიღაცას ამბავი მიუტანია, ვითომც გოგუაძე შეჰპირდა გრაჩოვს, პარლამენტი წინააღმდეგი არ წავაო. მეც მითხრეს. ვფიქრობ, ეს უფრო ვახტანგ რჩეულიშვილის მეტიჩრობაა. სადილზე ეგ იყო თამადა. ალბათ, სადღეგრძელოში თუ თქვა.

მეორე დღეს მცირე სკანდალი გათამაშდა. გრაჩოვი გარბის, აქ საერთოდ აღარ ჩამოვალო. აეროპორტის გზიდან ნადიბაიძემ ძლივს მოაბრუნა კრწანისის რეზიდენციაში. შევარდნაძე ენის მიტან-მოტანაზეა გაბრაზებული, ქართველების ინტრიგანულ თვისებაზე აღშფოთებული ლაპარაკობს. რაღაც მის კარიერას ეხება. ვერ ვიგებ და არც მაინტერესებს, რაშია საქმე. იგი პატარა ამბიციურ ჩინოვნიკად მეჩვენება, თითქოს სკოლის მოწაფე ყოფილიყოს - ხუთიანი ეკუთვნოდა და განაწყენებულია, რომ ოთხიანი დაუწერეს. აფხაზეთის კონფლიქტი თავიდან რომ მეორეხარისხოვანი საკითხი იყო მსოფლიო საზოგადოებრიობისა და, სახელდობრ, გაეროსთვის, ზერელე დაკვირვებითაც გეცემოდათ თვალში. ჟენევაში ჩვენი ყოფნის დროს მიმდინარეობდა მოლაპარაკება იუგოსლავიის შესახებ. ამ ბოსნიელ, სერბ და ხორვატ ლიდერებს დასდევდნენ ტელეკომენტატორები, ჟურნალისტები, კორესპონდენტები. ჩვენთან კი მხოლოდ რუსეთის რომელიმე გაზეთის წარმომადგენელი თუ შემოღერღეტდებოდა. ასევე იყო გაეროს შტაბ-ბინაში - ჩვენ მომცრო დარბაზი დაგვითმეს, იუგოსლავიელთა სხდომები კი დიდ სააქტო აუდიტორიაში ტარდებოდა. თანდათანობით ვითარება შეიცვალა: მართალია,

გაეროში სააქტო დარბაზში არ გადავუყვანივართ, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის კორესპონდენტები უკვე ჩვენი ხშირი სტუმრები გახდნენ. მსოფლიო საზოგადოებრიობიდანაც მეტ ყურადღებას ვგრძნობთ, გაჩნდა „საქართველოს მეგობართა ჯგუფი“, რომელშიც შედიან ამერიკის, ინგლისის, გერმანიის პოლიტიკოსები. ისინი გვირჩევენ, ერთგვარ გავლენასაც ახდენენ გაეროს ხელმძღვანელობაზე. სპეციალურად აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველოში ჩამოდის აშშ მისიის ხელმძღვანელი გაეროში, პრეზიდენტ კლინტონის პრეზიდენტის საბჭოს (ერთგვარი ამერიკული პოლიტბიურო) წევრი, ქალბატონი მადლენ ოლბრაიტი. მე იგი ნიუ-იორკში გავიცანი. შუახნის მარჯვე ქალია. მიმყავს ზუგდიდში, ლტოლვილებთან. მათმა აგრესიულობამ ოდნავ დააფრთხო მისი დაცვის უფროსი - ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა ქალი. უსაფრთხოების მიზნით ურჩევს, მიტინგზე გამოსვლისგან თავი შეიკავოს. ვაწყნარებ: „პასუხისმგებლობას მე ვკისრულობ“, - ვეუბნები ღიმილით. ოლბრაიტს, ეტყობა, ლტოლვილების საკითხში რაიმე პრაქტიკული დახმარების იმედი არა აქვს, ზოგადი შეპირებებით კმაყოფილდება. მიმყავს მეგრულ „ლანჩზე“ - ქართული პურმარილი მთელი თავისი ატრიბუტებით. მოსწონს ცხელი ღომი და სულგუნი. „რას შვრებით?“ - ნახევრად ხუმრობით ვსაყვედურობ მასპინძელს, - ამ სუფრის შემხედვარე, ჰუმანიტარულ დახმარებას გამოგვიგზავნის?“ ქალბატონი მადლენი მოსკოვიდან ჩამოვიდა და მოსკოვის გავლითვე დაბრუნდება ამერიკაში. მისი ცხოველი ინტერესების წრე რუსეთია. რამდენადმე დაახლოების შემდეგ სურს, გაიგოს ჩემი აზრი, ვის უნდა დაუჭიროს მხარი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა: ელცინს, თუ არის ვინმე სხვა პერსპექტიული დემოკრატებს შორის. აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ერთი საინტერესო მოვლენაც ხდება: საქართველოში ჩამოდის ბუტროს ბუტროს გალი. ჩვენს კალამბურებს, რაც გაეროს გენერალური მდივნის სახელთან (გალი) იყო დაკავშირებული, პატარა ტოტი მოეჭრა. გამოჩენილმა ლინგვისტმა, ბატონმა თამაზ გამყრელიძემ გაგვარკვია, რომ თურმე ბუტროს ბუტროს გალი კი არ ყოფილა, არამედ ბუტროს ბუტროს ღალი. ასე რომ, გალის კალამბურებში ჩართვა გაგვიცუდდა. ეს მაგონებს ქართული ენის სიწმინდის ძალიან-ძალიან დამცველების ერთ კურიოზს: რუსეთიდან ქაბულში ტანკებით ჩაყვანილ ავღანეთის ხელმძღვანელ ბაბრაკ კარმალს ჩვენმა პოლიტიკურმა

მიმომხილველებმა ქართული ტრანსკრიფცია შეუფარდეს: რუსულ კალკს რომ ასცდენოდნენ, „კ“ -ს ნაცვლად „ქ“ მოიმარჯვეს, ესე იგი, „კარმალი“ კი არა, „ქარმალი“ დაარქვეს და კარგა ხნის განმავლობაში ჩვენი პრესაც ასე მოიხსენიებდა მას. თურმე ნუ იტყვით, ამ შეჩვენებული კომუნისტის სახელი ფსევდონიმი არ ყოფილა?! იგი წარმოდგება კარლ მარქსისა და ლენინისგან: კარ-მა-ლ. რა ვიცი, „კარლო“ ან „კარლი“ ქართულად „ქარლო“ ან „ქარლია“?! ღმერთმა ნუ ქნას, „ღალიც“ ასე არ გაიშიფროს და საერთოდ არ დავიღუპოთ, აფხაზი არ გამოდგეს - ღალიძგა ხომ მდინარეა გალსა და ოჩამჩირეს შორის. 1994 წელს ღალიმ ნიუ-იორკში, თავის რეზიდენციაში მიგვიღო: შევარდნაძე, მე, საშა ჩიკვაიძე - ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი და პეტრე ჩხეიძე - გაეროში ჩვენი წარმომადგენელი (მაშინ ელჩის თანამდებობასაც ითავსებდა). იქვე დაგვხვდა ამერიკულ ყაიდაზე დაბალ მაგიდაზე ფეხებშეწყობილი ედუარდ ბრუნერი. შეხვედრამ ნახევარ საათს გასტანა და არაფრით არ მეგონა, თუ დამიმახსოვრებდა, მით უმეტეს, იქ მხოლოდ ორი სიტყვა ვთქვი. მახსოვრობის გარდა, მიუხედავად იმისა, რომ 74 წლისაა, ბუტროს ღალი ფიზიკურადაც კარგ ფორმაშია. საქართველოში მისი ერთ-ერთი მასპინძელი მეცა ვარ. მიმყავს სვეტიცხოველში. აქ მაშველთა კორპუსის გუნდი ხიბლავს საეკლესიო და საერო სიმღერებით. იგი ეგვიპტელი კოპტია, ქრისტიანი, ჩვენს საქმეებში მეტ-ნაკლებად ჩახედული. „თქვენი მიკვირს, - მომმართავს გულწრფელად, - ჩვენ, ეგვიპტელებს, ორმოცი წელიწადი დაგვჭირდა იმისთვის, რომ თავი დაგვეღწია ისეთი დემოკრატიული ქვეყნის პატრონაჟიდან, როგორიცაა ინგლისი. თქვენ კი გინდათ, რუსეთისგან ორი მიტინგით განთავისუფლდეთ?“ „მიდი ახლა და უჩივლე რუსეთს“, - ვფიქრობ ჩემთვის.

მანქანიდან რაღაც სევდიანი ცნობისმოყვარეობით გასცქერის ჩვენს მთებსა და ველ-მინდვრებს. არც ლამაზ ქალებს არიდებს თვალს, იღიმება და შემომჩივის: „თითქოს მთელი მსოფლიო მოვიარე, მაგრამ, რა გინდა, გეგონება, ერთსა და იმავე ადგილას ტრიალებ. მიღებები, შეხვედრები, სხდომები, ბანკეტები, თვითმფრინავები და ისევ თავიდან... თითქოს ყველაფერი ჩემს მიღმა ხდებოდეს“. ძალიან კარგად მესმის მისი. მართალია, სულ სხვა ვითარებებიდან გამომდინარე, მაგრამ იგივე მოძრაობა-უძრაობის ეფექტი. ლენინგრადის ციხე „კრესტები“

და „ნევსკაია დუბრუოვკა“, ვოლოგდის ციხე, ჩელიაბინსკის ციხე, ვიბორგის ციხე, მოსკოვის „ტაგანკა“, „ბუტირკა“, „პრესნია“, როსტოვის პერესილკა, ნოვოჩერკასკის დაკეტილი ციხე, „მახაჩკალას დაკეტილი“, კიროვის პერესილკა, კრასნოიარსკის ციხე, პერმის ციხე და იგივე თბილისის ციხეები. ყველა ეს ქალაქი ჩემთვის მხოლოდ დასახელებაა. იგივე კამერა, იგივე „პაიკა“, იგივე კომენდატურა, იგივე კარცერი, იგივე „პარაშა“ (ეგრეთ წოდებული საპირფარეშო), „პრაგულკა“ და ა.შ. გუნებაში მეცინება. ახლა ამას რომ ეს შედარება მოვუტანო, თანაც, რამე ეპიზოდი მაგალითად მოვიხმო, ხომ გადამიხტა მანქანიდან... ისევ ქალების საკითხს უბრუნდება: „ჩვენი პოლიტიკოსები მხოლოდ ახლა ხვდებიან, რომ „პლეიბოის“ პრობლემის გამოყენება დიდ პოლიტიკაშიც აუცილებელია. ამას წინათ ნიუ-იორკის შტაბ-ბინაში ახალი კორპუსის მშენებლობა დავამთავრეთ. მოვიდნენ კორესპონდენტები პოპულარული ჟურნალიდან. მოინდომეს, ახალი კორპუსის ფონზე ჩემთვის სურათი გადაეღოთ. უარი ვუთხარი და ვურჩიე, ჩემ მაგიერ ენახათ ლამაზი ქალი, ფეშენებელურ მანქანაში ჩაესვათ, ჩვენს ახალ კორპუსთან გაეჩერებინათ და სურათი მაშინ გადაეღოთ, როცა მანქანიდან გადმოდის, მაგრამ აუცილებლად უნდა ეცვას გვერდებზე შეჭრილი შლიცებიანი კაბა. უყურებს შენობას, იღიმება და კითხულობს: „რა არის აქ?!“ მას პასუხობენ, რომ ეს არის გაეროს ახალი კორპუსი. აი, ასეთი რეკლამა ეფექტურიც იქნება და ყველასაც დაამახსოვრდება. აბა, ჩემი დაჭმუჭნილი სახე ვის რაში ეპიტნავება-მეთქი“. ბუტროს გალის თანამშრომლები არ ემდურიან. გაეროს ოფისებში დემოკრატიული ურთიერთობა სუფევს, თუმცა, ზეპური საზოგადოების რაღაც პრეტენზიაც იგრძნობა. აქ არც ბიუროკრატიული წრებრუნვაა უცხო. თვით თანამშრომლები ოხუნჯობენ: „რატომ ხდება, რომ ჩვენთან ერთი და იგივე საქმე ორჯერ უნდა გააკეთო?“ „რას იზამ - ბუტროს ბუტროს“, - პასუხობენ მათ.

თბილისში ჩამოდის ჰენრი კისინჯერი, კომუნისტების ერთ-ერთი დაუძინებელი მტერი, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი. თვითონ მოუკითხივარ, მინდა გავიცნოო. თამაზ გამყრელიძემ წარმადგინა. დიდი ამბით შემხვდა, მაგრამ, ვფიქრობ, უკვე სხვა რაღაცეები აინტერესებდა. ასე რომ, ჩვენს შეხვედრას გაგრძელება არ მოჰყოლია, მით უმეტეს, რომ ეგრეთ წოდებულ პროტოკოლში მასთან ურთიერთობაში ჩაწერილი არ

ვიყავი. არადა, მისი ყველა მნიშვნელოვანი გამოსვლა კარგად მახსოვს. პოლონეთის პროტესტანტულ პოზიციაზე 70-იან წლებში მისი გავლენა აშკარად იგრძნობოდა. მაშინ ასეთი ჭორიც კი გავრცელდა. ვარშავაში მაღალი დონის შეხვედრაზე ჩასულა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა საბჭოთა სატელიტ ქვეყანაში აშშ-ს მეორე კაცი დაუკითხავად ერეოდა საშინაო თუ საგარეო საქმეში. ამ შეხვედრას ესწრებოდა ეგრეთ წოდებული მიუმხრობელი ქვეყნების რამდენიმე მეთაური, აგრეთვე ისრაელის პრემიერ-მინისტრი, 80 წელს გადაცილებული სახელგანთქმული ქალბატონი გოლდა მეიერი. სხდომის შემდეგ კისინჯერს ვიღაც ახალგაზრდა პოლონელი ქალი სასტუმროში მიუპატიჟებია და საღამო მასთან გაუტარებია. დილით კი ჟურნალისტები თავს დაესხნენ, გახარებულებს ეგონათ, მაკომპრომეტირებელ მასალას მიაგნეს. თვალთმაქცური კომუნისტური მორალის მიხედვით, მაღალი თანამდებობის პირები წმინდანებად უნდა მოსჩვენებოდნენ ხალხს. პირველივე შეკითხვა ნიშნის მოგებით დაუსვეს: „თუ საიდუმლო არ არის, ღამე ვისთან გაათენეთ?“ „ახალგაზრდა ქალთან“, - მშვიდად აუხსნა კისინჯერმა. „ჰოო?“ - დაიბნენ კორესპონდენტები. თქვენ რა, გეგონათ, გოლდა მეიერთან?“

აშშ სახელმწიფო მდივნებიდან, რომლებსაც შევხვდი (ბეიკერი, შულცი, კისინჯერი) ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჯორჯ შულცმა დატოვა. ვსხედვართ შულცი და მე კრწანისის რეზიდენციის სასტუმრო ოთახში. შემოდის ვახტანგ გოგუაძე, იღიმება: „ხომ გეუბნებოდი, ჯაბა, დაგსვამ მე შენ ბუშისა და შულცის გვერდით, ბუხართან-მეთქი, ხომ აგისრულე“. ხმამაღლა ვიცინით, მართლაც ასე ხუმრობდა ვახტანგი ჯერ კიდევ 1989 წელს. შულცს ვერ გაუგია ჩვენი მხიარულების მიზეზი. ახსნა დიდ დროს წაიღებს, ამიტომ რაღაცას მივედ-მოვედებით. შულცის ის ბავშვური, ანცი გამოხედვა, რითაც მიმიზიდა მოსკოვში მისმა სატელევიზიო გამოსვლამ, ჩამქრალა. მზერა თითქოს უსინათლოა, სამაგიეროდ, ბრმა ჰომეროსს და სხვა ანტიკური ბრძენკაცების ბიუსტებს მაგონებს. მშვიდია, როგორიც უნდა იყოს ცხოვრების ამაოების მცოდნე კაცი. „თქვენ ზედმიწევნით ელეგანტურად გაცვიათ“, - მეუბნება ისე, თითქოს მამხნევებს. ეტყობა, ამჩნევს მისდამი ჩემს განსაკუთრებულ მოკრძალებას. „თქვენი წითელი ჰალსტუხი მახსოვს, ალბათ იმიტომ დაგრთეს კომუნისტებმა ტელევიზიაში გამოსვლის ნება“, - მინდა, მეც რაღაც ყურადღება

გამოვიჩინო. არ მპასუხობს, ეშმაკურად იღიმის. მისი გამოსვლა უპრეცედენტო შემთხვევა იყო საბჭოთა წყობილების მთელი პერიოდისათვის - კომუნისტები იძულებული გახდნენ, კბილთა ღრჭენით პირველად დაეთმოთ ტრიბუნა მოწინააღმდეგისთვის.

თავისებურია შევარდნაძისადმი მისი დამოკიდებულება - ერთხელ და სამუდამოდ აწონილ-დაწონილი, ოდნავ ირონიული, მაგრამ მიმტევებლური, ონავარი შვილის მამას წააგავს მისი შემწყნარებლობა, თუმცა, 4-5 წლით თუ იქნება შევარდნაძეზე უფროსი, ყოველ შემთხვევაში, მისი თაობის კაცია. საქართველოში არც ცნობისმოყვარეობით ჩამოსულა, არც საქმისთვის, არც რაიმე დიპლომატიური ან მეგობრული ვიზიტით, თუმცა, ეს ყველაფერი ცოტ-ცოტა მაინც არის მისი აქ ყოფნის მიზეზი. შულცს რაღაც ინტერესები აქვს საგარეჯოს ღვინის ქარხნებში, ოღონდ არ ვიცი, რა ინტერესები. განა შევარდნაძე ვინმეს ჩაახედებს თავის საქმეში?! რაღაც უმნიშვნელო საკითხზე მსჯელობენ. ვიღაც ამბობს: „ოჰ! ეს წვრილმანია“. შულცი დამაჯერებლად გვეუბნება: „საქმეც ის არის, რომ ეშმაკი ყოველთვის წვრილმანშია ჩაბუდებული“.

პარლამენტში კვლავ გადაჯგუფებებია. ერთიანდებიან რესპუბლიკური პარტია და სახალხო ფრონტი. კონსტიტუციაზე სერიოზულად მუშაობენ. არის რამდენიმე პროექტი. მე მონარქისტული პარტიის მიერ მოტანილ პროექტზე ვმუშაობ. კონსპექტური ხასიათის სქემატური ნამუშევარია, კომპილაციაა, ჩვენთვის არაფერი დამახასიათებელი.

მოკლეს გია ჭანტურია - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი. თავისი და ჩემი სახლის წინ. ჩვენ მეზობლები ვიყავით. კვირა დღეა, წყნეთში ვარ. სასწრაფოდ ჩამოვდივარ. გამოუთქმელი შავი აპათია მეუფლება. მენანება ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანი. მახსენდება ჩვენი ურთიერთობა. მიუხედავად მისი პოლიტიკოსობის პრიმატით ნაკარნახევი დამოკიდებულებისა, პიროვნულად დიდ პატივს მცემდა და ანგარიშსაც მიწევდა. მეც ჩემს გულში ახალგაზრდა მეგობრად მიმაჩნდა, თუმცა რაღაც-რაღაცეებზე ნაწყენიც ვიყავი. შევარდნაძესთან შეიკრიბნენ ძალოვანი სტრუქტურის მინისტრები, პროკურორი. რამდენიმე ვერსიაზე საუბრობენ. დანა პირს არ მიხსნის. ვერც ვისმენ, რაზე მსჯელობენ. ვრჩებით

მარტო მე და შევარდნაძე. „თქვენ ვერაფერი შეამჩნიეთ?“ - მეკითხება. „რა?“ „იგორის გაკეთებული უნდა იყოს. ისე იქცეოდა“. გონების თვალით ვუბრუნდები შეკრების სურათს. ვერაფერს ვპოულობ. „რაში სჭირდებოდა?“ „რა ვიცი“.

ღამით გვიანობამდე ვერ ვიძინებ. თუ ეს პოლიტიკური მიზნითაა ჩადენილი, იდიოტები ყოფილან. ჯერ ვერც ერთ ტერორისტულ აქტს მიზნისთვის ვერ მიუღწევია. თუ ობიექტი რაიმე მოვლენის სიმბოლო ან თავიდათავია და ეს მოვლენა ცხოვრებისეულად აუცილებელი და სიცოცხლისუნარიანია, მოკლულის მაგიერ იგი სხვა პიროვნებას წამოწევს წინ. მეტ-ნაკლებად უკეთესს თუ უარესს - ეს საქმეს არ ცვლის. თუ მოვლენას მხოლოდ მისი ლიდერით უდგას სული, მას თვით ცხოვრება მოაცილებს. ვლადიმერ ლენინს ვერავინ შეედრება პროვოკაციების, ექსცესების, შანტაჟების დაგეგმვაში, მაგრამ როცა გაიგო მეფე ალექსანდრეს მოკვლის მცდელობანი და საკუთარი ძმის მონაწილეობა ამ საქმეში, ტერორი არ გაამართლა. „ჩვენ სხვა გზით წავალთ“, - თქვა მან და მართლაც „სხვა გზით“ გაიმარჯვა. შურისძიების გრძნობით კაცის მოკვლაც არაფერია. მოკალი. მერე? მან შეიძლება ერთი წუთით იგრძნოს შიში და ამით ყველაფერი მთავრდება. ამისთვის იწყმედ სულს და თავს ხიფათში იგდებ? კაცის კვლა არც მტრობითაა გამართლებული. არის აღმოსავლური შეგონება: „იძინე ტკბილად და შენი მტრის გვამს შენს გვერდით ჩაატარებენ“.

არაფერი არაფრად არ ღირს, დღევანდელი სატირელი ხვალ სასაცილოდ მოგეჩვენება. მაგონდება ჩემი დეიდა მარიკო. უფროსები მას დიდი რიდით მარი მარკოზოვნას ეძახდნენ. ცხონებული, ალბათ, პირდაპირ სამოთხეში მოხვდა ბიბლიოთეკიდან, სადაც იგი მსახურობდა. ეს იყო ყოვლად სპეტაკი და კეთილი ადამიანი. ახალგაზრდობაში მისმა საქმრომ მოულოდნელად სხვა შეირთო. მარი მარკოზოვნა რვა წელიწადი სახლიდან არ გამოდიოდა, საქმროს გადიდებულ სურათზე შავი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული, გლოვობდა, როგორც მიცვალებულს. ჩვენ, ბავშვები, მოწიწებით შევდიოდით მის ოთახში, ცნობისმოყვარეობითა და შიშით გავაპარებდით ხოლმე თვალს იმ კუთხისკენ, სადაც პირბადიანი სურათი ეკიდა. ვიცოდით, რომ იქ „ბოროტი სულის“ (ასე მოიხსენიებდა დეიდა მარიკო თავის ყოფილ საქმროს) გამოსახულება ეკიდა. ასე დარჩა გაუთხოვარი.

ერთხელ, როცა ჩვენ უკვე დიდები ვიყავით, გვიყვება: „ბაზარში შევედი. წვიმიანი დღე იყო. ვჩქარობდი, დიდხანს არ ვარჩევდი, რაც მომხვდებოდა, ვყიდულობდი. მივედი დახლთან, რომელსაც მხოლოდ ერთი მყიდველი მისდგომოდა. ეს კაცი ახალგაზრდა აღარ იყო. გაქუცულპალტოიანი, გაუპარსავი და მოუვლელი, თათრის ქალს ევაჭრება. სასწორის პინაზე დაყრილ კარტოფილს ორ ცალს ამატებს, გამყიდველი ჩამოუგდებს, ეს კიდევ შეაგდებს. ორივენი რაღაცას ჯიჯღინებენ. ის იყო, უნდა ჩავრეულიყავი. კაცს გადავხედე და... ვიცანი „ბოროტი სული“. ნაკბენივით გამოვხტი. მოვდივარ, თან მეტირება, თან მეცინება - ვაი, ვის შევალიე ჩემი ცხოვრება“.

იგორ გიორგაძე აღარ მეკარება. გრანდიოზული, საიდუმლო-გამჭვირვალე აღლუმი მოაწყო. შევარდნაძე, მთავრობა, პარლამენტის რამდენიმე წევრი. მეც დამპატიჟა, მაგრამ ბოლო მომენტში მიგანა - გამოვივლიო. ველოდი და აღარ გამოიარა. შევარდნაძესთან გამონახა საერთო ენა, თუმცა ჩემთან ერთმანეთს აგინებენ. „მაგ კაცის ვერაფერი გავიგე, კუდში მოვკიდებ ხელს - თავიდან მიძვრება, თავში - კუდიდან“, - ჩივის შევარდნაძე, თანაც, ყველაფერში ხელს უწყობს. იგორა „კაგებეს“ მაგარ ძალად აქცევს. რეუტისგან კარგ შეიარაღებას შოულობს. შექმნა საგანგებო დივიზიონები „ალფა“ და „ომეგა“. მხედრიონის ნაალაფარი მძიმე ტექნიკის ნაწილი მაგათ მივეცით. ყველა დაწესებულებაში, როგორც კომუნისტების დროს - საბაჟოებზე, აეროპორტში, სარფიან სამინისტროებში - შევარდნაძის განკარგულებით მოადგილეებად ინიშნებიან უშიშროების თანამშრომლები. „ამას რატომ აკეთებთ, ეს ხომ ისევ საბჭოთა „კაგებე“გამოდის? მაშ, რაღას დავშალეთ?“ „კონტროლია საჭირო, სულ აშვებული არიან. ერთ რამეში შევცდით - უშიშროება პარლამენტისთვის არ უნდა დაგვექვემდებარებინა“. მიდი ახლა და ელაპარაკე. უნდა, რომ ყველაფერი მის განკარგულებაში იყოს. იგორსაც იმიტომ უჭერს მხარს. მე არ მჯერა, მაგრამ ასლან აბაშიძე მარწმუნებს, ვითომც გიორგაძეს რუსებთან უთქვამს, ჯაბა და ასლანი უნდა მოვიშოროთო. ისე კი დღედაღამ რეუტთან ყრიან, ეგეც და კვირაიაც. თემურ ხაჩიშვილიც გაერია მაგ კამპანიაში. კვირაია მარტო შევარდნაძესთან არ იმაგრებს პოზიციებს, მოსკოვის ხშირი სტუმარია. თურმე, როცა დათვრება, გულზე მჯიღს ირტყამს და ყვირის: „ჩემი მინისტრი - ერინი!“ (რუსეთის შს მინისტრი). ერთხელ გამაბრაზა, ტელეფონით ჩემი მოტყუება

მოინდომა. ვაგინე და ვუთხარი: თუ წყობიდან გამოვედი, ვერც შევარდნაძე გიშველის, ვერც ერინი და ვერც რეუტი-მეთქი. შევარდნაძესთან, რასაკვირველია, მიჩივლებდა, მაგრამ რეუტთან ერთი კაცი შეესწრო და იმან მიამბო. მივარდნილა: ჯაბა გვემუქრება ყველას - მეც, შევარდნაძესაც, თქვენც, ერინსაც და გრაჩოვსაცო. ვიცინე. კი, მართალია, მაგრამ აი, გრაჩოვი რაღას დაამატა-მეთქი.

კონსტიტუციაზე მუშაობის დაწყებისას შევარდნაძე ხშირად რიხიანად ამბობდა, ჩვენ გვჭირდება ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი პარლამენტიო. მერე მე გადმომხედავდა ხოლმე. მე ვიღიმებოდი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ვერ გამეგო, ორივე ძლიერი როგორ უნდა ყოფილიყო. რაც დრო გადიოდა, ძლიერ პარლამენტს ნაკლებად ახსენებდა. მისეულ პროექტში პრეზიდენტ-დიქტატორის უფლებებს ისიც ემატებოდა, რომ პრეზიდენტს შეეძლო ყოფილიყო ნებისმიერი პარტიის წევრი. ეს კი, ჩემი აზრით, ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი სამოქმედო ღილაკია ჩვენი პოლიტიკური ინერციის გათვალისწინებით. წინააღმდეგი გამოვდივარ. ჩვენს დროებით კანონში „ხელისუფლების შესახებ“ მშვენიერი ფორმულირებაა: სახელმწიფო მეთაურს უფლება არა აქვს, იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.

ზურაბ ჟვანია, უკვე მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი, ებღაუჭება ახალ ფორმულირებას და წიწაკანაჭამივით ფიცხობს, რითაც ამჟღავნებს მოქალაქეთა კავშირის ერთადერთ შანსს, არჩევნებში გამოიყენონ შევარდნაძის სახელი.

ჩვენმა საზოგადოება „არჩევნებმა“ ფრთები გაშალა, ყველა რაიონში შემოიკრიბა საკმაოდ საინტერესო ადამიანები, რომლებიც უწინ პოლიტიკით არ იყვნენ დაკავებული. მართალია, მათ მორიდებულად უჭირავთ თავი და ფრთხილად მოქმედებენ, მაგრამ მთავარია, რომ თავის რაიონებში წესიერ ადამიანებად არიან ცნობილი.

ვამზადებთ კონფერენციას. ერთი რამაა აღსანიშნავი: ჩემი და შევარდნაძის უთანხმოების შესახებ ხალხმა ყურმოკვრით იცის და ეს აფრთხობს მას. ამიტომ ის, რომ შესაძლოა არჩევნებში ჩვენ შევარდნაძესაც დავუჭიროთ მხარი, ერთგვარ დადებით მუხტს აძლევს ჩვენს იმ წევრებს, რომლებსაც რაღაც გართულებების ეშინიათ. კარგად მუშაობენ ნუკრი ქანთარია და თორნიკე ბერიშვილი. ნუკრი ტელევიზიის ხელმძღვანელად

მინდოდა, შევარდნაძესთანაც შევთანხმდით. ჯერ მთავარ რეჟისორად წავიდეს და მერე, თუ თავი გამოიჩინა, გოგელიას მაგივრად გავუშვათო. ნუკრიმ ერთ თვეს იარა ტელევიზიაში, მაგრამ აჩიკო გოგელიამ იყნოსა და ისეთი პირობები შეუქმნა, რომ ინტრიგებზე ინტრიგებით უნდა ეპასუხა, ეთითლიბაზა, რასაც ნუკრი არ იკადრებდა. ამიტომაც წამოვიდა. ნიჭიერი კაცია, საუკეთესო რეჟისორი, კარგი ორგანიზატორიც. მხოლოდ თეატრში მისი ყოფნა ცოდვაა, თანაც, დღევანდელ თეატრში, სადაც არც არავითარი მატერიალური საშუალებაა, არც მოხალისეობა და არც მაყურებელი.

უკანასკნელი ღია განხეთქილება ჩემსა და შევარდნაძეს შორის გათამაშდა საქართველოს მხარეებად დაყოფის თვითნებური გადაწყვეტილების მიღებისა და რწმუნებულ-გუბერნატორთა დანიშვნის შემდეგ. როცა საკოორდინაციო კომისიაზე მან ეს საკითხი დააყენა, მე შევეწინააღმდეგე. მან ეს არაფრად ჩააგდო და ბრძანებულებებით, ერთიმეორის მიყოლებით, საქართველო გუბერნიებად დაანაწევრა. სხვა გზა აღარ მქონდა - საჯაროდ წინააღმდეგობა უნდა გამეწია. საკოორდინაციო კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე მოწვეული გვყავდა ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი. სწორედ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ქუთაისში ახლად შექმნილ რეგიონულ ანუ სამხარეო პოლიციას, რომლის ხელმძღვანელიც ელგუჯა ბუცხრიკიძე იყო, შაშიაშვილი არ ცნობდა. მან სხდომაზე დაასაბუთა, რომ სამხარეო პოლიცია ზედმეტი ბარგია და არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, რაზეც მე დავუკარი კვერი, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულად ბუცხრიკიძე ჩემთვის გაცილებით ახლობელი იყო. შევარდნაძე, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, როცა იცის, რომ თავისას ვერ გაიტანს, საკითხს არ ამწვავებს და არავითარ გადაწყვეტილებას არ იღებს. ელოდება უკეთეს დროს, ან სულაც კოლეგიალობის უგულებელყოფით შემდეგ კერძო ბრძანებულებით აფორმებს სასურველ აქციას. სხდომის დამთავრების შემდეგ შაშიაშვილი საგანგებოდ მოვიდა ჩემთან მადლობის სათქმელად. ხოლო მაგარიც ის არის, რომ ორი დღის შემდეგ, როცა შევარდნაძემ, ისე, რომ არავის ჰკითხა, იგი იმერეთის გუბერნატორად დანიშნა, შაშიაშვილს აღარ გახსენებია ის პრინციპული სახელმწიფო ინტერესები, რომლითაც კომისიაზე ამტკიცებდა სამხარეო პოლიციის გამოსადეგობასა და მავნებლობასაც. ქუთაისში გახარებული ჩავიდა, მეორე დღესვე დაიხურა მეშახტის

მუზარადი, დაათვალიერა ჭიათურის მაღაროები, როგორც ამ იაფფასიან პროპაგანდისტულ „პაკაზუხას“ თავის დროზე აკეთებდნენ ჩვენი ბელადები და იმერეთის გუბერნატორის ახალ ამპლუაში ამაყად განაცხადა: „მე იმერელი კაცი ვარ“. ხელისუფლებაში ჩემს ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა, ცოცხალ დეკორაციად არ გამოვდგებოდი, განსაკუთრებით, ასეთ გადამწყვეტ პერიოდში. დიქტატურის ჩამოყალიბების პროცესს მე ხელს არ შევუწყობდი. პარლამენტის ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლები, კერძოდ, გაერთიანებული რესპუბლიკელები და ეროვნულ-დემოკრატები საქართველოს ხელისუფლებას, სინამდვილეში კი უკვე შევარდნაძის განუკითხავ ერთმმართველობას შევარდნაძე-იოსელიანის ხელისუფლებას უწოდებდნენ. პარლამენტის სხდომაზე ვაცხადებ, რომ ვტოვებ საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას. რაც შეეხება აფხაზეთისა და ოსური კონფლიქტების მოგვარების კომისიის ხელმძღვანელობას, აქედანაც უხმაუროდ გავთავისუფლდი, ვინაიდან ამოცანა, რომელიც ჩვენ წინაშე იდგა, შესრულდა - ჩვენ მოვიგეთ აფხაზეთისა და სამოქალაქო ომისგან სულის მოსათქმელი დრო. გაერომ, მსოფლიო საზოგადოებრიობამ და მთავრობებმა ჩვენი სიმართლე აღიარეს და პოლიტიკური მხარდაჭერაც გვაგრძნობინეს. ახლა დგება მოქმედების ჟამი, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ჩვენს ღია ან ეზოთერული გეოპოლიტიკისა და ორიენტაციის არჩევანზე. ეს კი მთელი ერის გადასაწყვეტი ისტორიული პრობლემაა. პარლამენტში ისიც ვთქვი, რომ მე შევარდნაძის მეგობარი არასოდეს ვყოფილვარ, რადგან ჩვენ სხვადასხვაგვარად გვესმის მეგობრობა. შევარდნაძე, რაღა თქმა უნდა, განაწყენდა და თქვა: რახან არ უნდა ჩემთან მუშაობა, რა ვუყოთ, აწი თეატრში შევხვდებითო, და დასძინა: „მე არასოდეს მითქვამს, რომ ჯაბას მეგობარი ვარ, მე ვამბობდი, ჯაბაა ჩემი მეგობარი-მეთქი“. აღარ ღირდა საჯაროდ ქექვა იმისა, თუ ვინ ვისი მეგობარია, თუმცა, მან ზუსტად დაამოწმა ჩემი სიტყვები: ესე იგი, მისთვის ცალმხრივი მეგობრობა დასაშვები ყოფილა, რაც ერთი პიროვნების მეორისადმი მონობას გულისხმობს.

ჩვენი დაპირისპირების არენამ ახლა პარლამენტში გადაინაცვლა. მე ხელთ მქონდა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები. მან ბოროტად გამოიყენა პარლამენტისგსან მინიჭებული უფლებები. შექმნა პარტია „მოქალაქეთა კავშირი“

და მას სათავეში ჩაუდგა. კანონი ხელისუფლების შესახებ ამას კრძალავს. მან მოახდინა ძალაუფლების ეგრეთ წოდებული მცოცავი უზურპაცია - პარლამენტის წევრების უმრავლესობას აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობები დაურიგა (ამით მან მოისყიდა და დაიმორჩილა პარლამენტის უმრავლესობა), რაც დაუშვებელია ზემოხსენებული კანონით. მხარეებად დაყო საქართველო და შექმნა გუბერნატორთა ინსტიტუტი, რითაც მიითვისა პარლამენტის უფლებამოსილება. პარლამენტს შევახსენე, რომ საქართველოს გაერთიანებას საუკუნეები დასჭირდა; და რომ არა რუსეთი, რომელმაც თავისდა უნებურად გაგვაერთიანა (როგორც თავად ისიც თავის დროზე მონღოლმა დამპყრობელმა გააერთიანა), ვინ იცის, იქნებ დღესაც დაქსაქსული საერისთავოები ან, კიდევ უარესი, რომელიმე ქვეყნის ავტონომია ვყოფილიყავით და ახლა ჩვენვე დავშალოთ ძლივს შეკოწიწებული ქვეყანა? მაინც რა აუცილებლობაა ამისა? შევარდნაძე ამ ბოროტების დასაცავად ასახელებდა სულ სხვადასხვა საბაბს, რომლებიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ: მაგალითად, ვითომ ეს საჭირო იყო აფხაზეთის ავტონომიის ანულირებისთვის, როცა ჩვენ, აფხაზეთის გარდა, გვექნება კიდევ 10-12 მხარე, რითაც პოლიტიკურ წონასწორობას დავიცავთ. ჩემი პასუხი შეკითხვით შემოიფარგლა: „ერთი უბედურება ათით შევცვალოთ?“ იქვე მოჰქონდა ეკონომიკური ფსევდომტკიცებები. მაგალითად, ქვემო ქართლში ინდუსტრია (რუსთავი) და სოფლის მეურნეობა (მარნეული) ერთმანეთს შეავსებენ. არ ვპასუხობ, არ გამომივიდეს, თითქოს მაზოლზე ფეხს ვაჭერ, არადა, ენაზე მადგას, ეგ ხომ ხრუშჩოვის ყბადაღებული „სოვნარხოზია“. და განა ეს საბაზრო ეკონომიკის დროს დასაშვებია? მაშ, ეკონომიკის კომუნისტური ადმინისტრირება რაღაა? არსებობდა კიდევ ერთი, კომუნისტების და პირადად მისი გამოცდილების დემაგოგიური ლოზუნგი - წესრიგის დამყარება და კრიმინალური ვითარების აღკვეთა. მერე, ამას გუბერნიებად დაყოფა რად უნდა, ამას კარგი პოლიცმაისტერი და სისტემატური ოპერატიული მუშაობა სჭირდება და არა კამპანიურობა, „რაუნდობა“ და ქვეყნის მხარეებად დაქუცმაცება. ყველა დიქტატორის „თეთრი ცხენი“ წესრიგის დამყარებაა. ჰიტლერს სურდა, ევროპაში დაემყარებინა წესრიგი. სტალინმა ისეთი წესრიგი დაამყარა, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგაც ადამიანებს მონური კომპლექსები

შემორჩა. ისტორია კიდევ სხვა მრავალ „წესრიგის“ დამამყარებელს და ამ წესრიგის შედეგებს იცნობს.

შევარდნაძის მტკიცებულებებს ჰქონდა კიდევ ერთი ასეთი ფსევდოარგუმენტი: საგადასახადო სისტემების კონტროლი. მერედა, განა ამას სჭირდება გუბერნატორი - ულტრაფეოდალი, რომელიც, პირიქით, ადგილობრივ შემოსავალს დამალავს თავისი ბიუჯეტის სასარგებლოდ. მეორეც - თუ ჩვენი საგადასახადო ინსპექცია საქმეს თავს ვერ ართმევს, შემოვიღოთ ფისკალების სისტემა. მაგალითად, რომში ამისათვის ჰყავდათ სპეციალური ჩინები - ფისკალები, რომლებიც მთელ იმპერიას ემსახურებოდნენ. გუბერნატორობის შემოღება საქართველოში ეკონომიკურად გაუმართლებელია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ თითო გუბერნატორი თავისი თავდაპირველი, ჯერ კიდევ მცირე აპარატით სახელმწიფოს საშუალოდ 2,5 მილიონი დოლარი უჯდება, არამედ იმიტომაც, რომ საწარმოთა კონტროლი, რომელიც მასვე ევალება, კომუნისტური ყაიდის თათბირებითა და ანგარიშვალდებულებებით, საბაზრო ეკონომიკის პარაზიტად გვევლინება. მმართველობის თვალსაზრისით რა საჭიროა ეს ხორცმეტი, როცა გყავს დანიშნული და არა არჩეული რაიონის გამგებელი?! მისი პოლიტიკური ასპექტი კი ანტიდემოკრატიულია; ვამატებთ ბიუროკრატიულ ერთეულს და გამოგვყავს იგი ტოტალიტარულ ასპარეზზე. მმართველობითი პარალელიზმი თავისი არსით უზნეობას შეიცავს, იწვევს რა პირად მტრობას, ქიშპობასა და ქართული ამბიციური ფსიქოლოგიისთვის კარგი საფუარიცაა. არც ის არის უმნიშვნელო ამბავი, რომ ამით ტრადიციულ რუსულ-ჩინოვნიკურ ხრახნილებს ვჩარხავთ. 200 წელიწადს ჩვენი ადმინისტრაციული წესწყობილება რუსული სტანდარტებით სულდგმულობდა და ახლა, როცა ჩვენს სახელმწიფოებრივ მოდელზე ვმსჯელობთ, კვლავ მათი მიბაძვით დავაფუძნოთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საწინააღმდეგო არტახები? რუსეთის ერთი გუბერნია სამი საქართველოს ტოლია. ეს ყველაფერი პერსპექტივაში ჩვენი ეკონომიკურ-პოლიტიკური დამოუკიდებლობის ზრდას შეაფერხებს. იმასაც ნუ დავივიწყებთ, როგორ ქუცმაცდებოდა საქართველო მხარეებად, რასაც ახლა ჩვენ სეპარატიზმს ვუწოდებთ. ქართველებს კარგი ანდაზა გვაქვს: ნაგუბარში წყალი ისევ ჩადგება. მხარეებად დაყოფა გუბერნატორ-რწმუნებულთან

ერთად სეპარატიზმის წყაროდ გადაიქცევა.

რამდენადაც მეტს ვუმტკიცებდი, იმდენად მეტად ჯიქდებოდა შევარდნაძე. მახსენდება ჩვენი ერთი დიალოგი. უშიშროებას ლოთი ქობალია ახალი ჩამოყვანილი ჰყავდა უკრაინიდან. „შიმშილობს, ჩემთან შეხვედრა სურს“, - მითხრა ღიმილით. „შეხვდით“. „არა, ცოტა ხნის მერე“. მაშინ გულში გავივლე, ასე ადვილია, როცა კაცს არ გამოუცდია ციხე, შიმშილი და წარმოდგენა არა აქვს, რა არის ეს „ცოტა ხანი“. „განა ქობალია გვეომებოდა? უმთავრესად ვინ დაუჭირა მხარი გამსახურდიას, ვინ უკეთებდა ხალხს ორგანიზაციას ჩვენს წინააღმდეგ? პრეფექტები. ამ ომს პრეფექტების ომი უნდა დაერქვას“, - ვითომ შევუმსუბუქე დანაშაული ლოთის. შევარდნაძე დადუმდა, როგორც ყოველთვის, როცა რაიმე ახლად გასააზრებელი ვითარების წინაშე დგებოდა. რატომღაც მგონია, რომ ამ აზრმა მაშინ გამოძახილი პოვა მის ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელ გადაწყვეტილებაში. მასშტაბებს მოუმატებს, პრეფექტები გუბერნატორებად იქცევიან, თავის ხალხს დაგზავნის რაიონებში, არჩევნებსაც გაინაღდებს და დამატებით საყრდენ ძალასაც შეიქმნის. ქვეყნისათვის ამას რა მოჰყვება, ეგ მეორეხარისხოვანი საკითხი და საკამათო მასალაა. ასეც გამოდგა - კამათში პარლამენტის უმრავლესობამ მისი რაციონალიზაცია მიიღო უტყუარად. ის პარლამენტარები კი, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობდნენ, იმდენად უსუსურად წრიპინებდნენ ხოლმე, რომ მათ არავინ არაფრად აგდებდა. პრინციპულად გამოვიდნენ ვახტანგ გოგუაძე, ლუიზა შაკიაშვილი, ვალერი კვარაცხელია, თამრიკო ჩხეიძე, მაგრამ ეს არ იყო შეკრული, ერთდროული დარტყმა. თუმცა, პარლამენტის კორუმპირებულ უმრავლესობას თვით ციცერონიც ვერ შეუცვლიდა წინაგანზრახვას. ჩემი მტკიცებები (რომ შევარდნაძემ უხეშად დაარღვია კანონი ხელისუფლების შესახებ), რომლებიც ქსეროქსზე გამრავლებული, პატარა წიგნაკად აკინძული, ნივთმტკიცებასავით მეკავა ხელში და მათზე შავით თეთრზე ეწერა, რომ პარლამენტის გარეშე ამის გაკეთების უფლება არავის არა აქვს, ცინიკურად უარყოფილ იქნა და „ბრმების შკოლის“ სცენა გათამაშდა...

ახალი წლის მისალოცი დეპეშის ნაცვლად, 1983 წლის 31 დეკემბერს ვიღებ სრულიად საკავშირო საატესტაციო კომისიის („ვაკი“) შეტყობინებას, რომ 15 იანვარს მოსკოვში დანიშნულია ექსპერტთა საბჭოს სხდომა, სადაც განიხილება ჩემი

სადოქტორო დისერტაციის დამტკიცება-არდამტკიცების საკითხი (რა კორექტულობაა, არა?). თავის დროზე, საკანდიდატო დისერტაციის დაცვისას, ნაცნობ-უცნობი - ყველა კეთილგანწყობილი იყო ჩემ მიმართ და პრობლემა არავის შეუქმნია. ქვეტექსტი ასეთი იყო: არა, რა გინდა, ჯაბა გამოსწორდა (ვითომც ლურსმანი ვყოფილიყავი), ახლა მეცნიერების კანდიდატი გახდება, ნიჭიერი კაცია, რატომ უნდა დაიკარგოს და ა. შ. როცა სადოქტორო წარვადგინე, ყველაფერი პირუკუ დატრიალდა. იმ დროისათვის მიღებული გამოთქმით, უმეტესობა მეცნიერებაში ჩემი შეშვების წინააღმდეგი გამოდგა. წინ დამახვედრეს ყველანაირი დაბრკოლება: იდეური, თემატური, ბიოგრაფიული და, ფრანგული ანდაზისა არ იყოს, „ეძიე ქალის“ პრობლემაც. ჩემი ნაშრომის იდეურ-თემატურ ხარვეზად ის მიიჩნიეს, რომ შესავალ ნაწილში არაფერი მქონდა ნათქვამი კომუნისტური პარტიის „ბრძნულ“ რეზოლუციებზე, სახელდობრ, დისერტაცია ვერაფრით უკავშირდებოდა ლეონიდ ბრეჟნევის შეხედულებებს, არ ჩანდა ეგრეთ წოდებული დიალექტიკური ერთიანობა საბჭოთა ესთეტიკურ ნააზრევსა და კომიზმსა და ქართული კომედიის ნიღბებს შორის, რაც სადისერტაციო ნაშრომის თემა იყო. ასეთი აბსურდის წინააღმდეგ კრინტი რომ დაგეძრა, პირდაპირი გაგებით, რევოლუცია უნდა მოგეხდინა. დავკმაყოფილდი იმით, რომ გავიფიქრე, თუკი ბრეჟნევს კომიკურ ნიღბად განვიხილავთ, მაშინ ჩემს დისერტაციას მართლაც ბევრი რამ დაჰკლებია, რადგან ქართული კომედიის რომელიმე ნიღაბი შეიძლებოდა რაღაც ატრიბუტიკით დამსგავსებოდა გენერალური მდივნის ხატს, მაგალითად, აბუეტი დევის სახისთვის ჩინ-მედლების დაუცხრომელი ჟინი რომ მიმეწერა.

რაც შეეხება ჩემს ბიოგრაფიას, ეს ხომ კულუარების მუდმივი სალაპარაკო მასალა გახდა: როგორ? არაპარტიული, კომკავშირში არნამყოფი, ნაციხარი, ჯარში არნამსახურევი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არააქტიური და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ბოლოს და ბოლოს, ვინ არის ეს იოსელიანი? ამას დაემატა ერთი პიკანტური გარემოებაც. ჩემი „შავი რეცენზენტის“ ცოლის დაქალი, გასაგები მიზეზების გამო, ჩემი ამაოდ მოძულე ქალბატონი გამოდგა. ერთი სიტყვით, მოსკოვში მიბარებდნენ, რათა გაეფორმებინათ ჩემი დისერტაციის ჩაგდება. დარბაზში, სადაც მრგვალი მაგიდის გარშემო ისხდნენ ექსპერტიზის კომისიის წევრები,

თავმჯდომარემ, შუახნის ჩასუქებულმა, მაგრამ სხარტად მოძრავმა აკადემიკოსმა, მბრძანებლური ჟესტით მიმიწვია და ერთი კაცის გამოშვებით გვერდით მიმისვა. წაიკითხეს ანკეტური მონაცემები, „შავი რეცენზია“ და მომცეს ათწუთიანი სიტყვის უფლება. მე უამრავი არგუმენტი გამაჩნდა იმის დასამტკიცებლად, რომ რეცენზია არათუ რაიმე ობიექტური მონაცემებით სარგებლობდა ჩემი „გაშავების“ მცდელობისას, არამედ მის ავტორს ნაშრომი ბოლომდე წაკითხული არ ჰქონდა და, რაც მთავარია, ყოვლად უწიგნურად დაწერილი ჩანდა. მივხვდი, ამდენს არ მალაპარაკებდნენ. საჭიროა უტყუარი კონკრეტული მაგალითი. ასეთად უამრავი აირჩეოდა. ავიღე უმარტივესი და ცხადზე უცხადესი. ჩემს დისერტაციაში ერთ-ერთი პრობლემის გადაწყვეტისას დავეყრდენი კარლ იუნგის დებულებას არქეტიპების შესახებ. ანონიმური რეცენზენტი, როგორც შემდეგ გაირკვა, გახლდათ ერთი ხანშიშესული მოსკოველი პროფესორი, რომელსაც დისერტაცია დაცული ჰქონდა ჯერ კიდევ სტალინის დროს, როცა რკინა-ბეტონის ვიწრო იდეოლოგიური ყალიბების ფსევდომეცნიერულად გადამღერება და ჰუმანიტარული მეცნიერების, ასე ვთქვათ, ტენდენციურობა, უკეთ, კომუნისტური იდეოლოგიის ქვეშევრდომობის „მეცნიერული“ ტერმინოლოგიით შემკობა საკმარისი იყო მეცნიერის ხარისხის მოსაპოვებლად. ეტყობა, შემდეგ ჩემს ოპონენტს სერიოზულად არაფერი შეუთვისებია და, საერთოდ, დასავლურ მეცნიერებას საგინებელ ტერმინად ხმარობდა. ასე რომ, იუნგის არქეტიპების ირგვლივ ბაიბურში არ იყო. მან არქეტიპი მიიჩნია არქეტიპად. ეს სიტყვა რემინგტონზე ნაბეჭდ რეცენზიის ტექსტში ყველგან თავისი ხელით ჰქონდა ჩასწორებული. ბოლოს, ვითომც თავლაფს მასხამდა, მიხსნიდა, თუ რას ნიშნავდა არქეტიპი, როცა საქმე ეხებოდა არქეტიპს. ერთი სიტყვით, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ბალზე იჯდა და ტყემალს ჭამდა. მე, ამ „შავი რეცენზიით“ ხელში, მაგალითად ეს ფაქტი მოვიტანე და სიტყვასიტყვით წავიკითხე ტექსტი, რამაც დარბაზში უკმაყოფილო შარიშური გამოიწვია...

ფედია კარტოშკას გაწყალებული დიდი ცისფერი თვალები და კარტოფილივით მიმჯდარი ცხვირი ჰქონდა. ჩელიაბინსკის ციხეში გავიცანი. ამ მოუსვენარ და კონფლიქტურ კაცს დიდი სახელი გავარდნოდა. „რაც მეტი მტერი გყავს, მით იოლია ცხოვრება“, - გაიძახოდა. ადამიანებთან მშვიდ თანაცხოვრებას

ვერ ეგუებოდა. კამერაში, სადაც კი მივიდოდა, თუკი არ თამაშობდნენ და პატიმრები ერთმანეთთან ნორმალურ ურთიერთობაში იყვნენ, ცინიკურად ატეხდა ხარხარს: „რა უბედურებაა ეს შოკოლადური ურთიერთობები. თქვენ, კარპ კარპოვიჩ და თქვენ, სიდორ პოლიკარპოვიჩ, - იმანჭებოდა იგი, - ფოე-ფოე! აიტ! თქვენი ასე და ისე, მოდით, კარტი ვითამაშოთ, ასე ხომ მოწყენილობა დაგვალპობს“. და აირეოდა მონასტერი. გუშინდელი მეგობრები მტრებად იქცეოდნენ, იყო ერთი ყვირილი და აურზაური. ჩემთან ყოფნისას ცუდი რამ შეემთხვა - ერთ-ერთ თავის მოქიშპეს საერთო ფულის მოპარვა დააბრალა. როცა სიმართლე გაირკვა, დანაზე წამოგება მოუნდომეს. მაშინ ჩავერიე, როგორც თვითონ ირწმუნებოდა, ეს გაუგებრობას მივაწერე. თუმცა გულის სიღრმეში არ მჯეროდა მისი, მაინც სიკვდილს გადავარჩინე. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. ერთიც ვნახოთ, პეჩორის სპეცბანაკში არ შემოხარხარდა?!.. ბუნებრივია, ჩემთან მოვიდა და ერთხანს პურს ერთად ვჭამდით. თანდათანობით თავისი ბუნება გამოავლინა. მის თავხედობას საზღვარი აღარ ჰქონდა. ბანაკში მოსახლეობა აბუზღუნდა. მას ვერაფერს უბედავდნენ, მის აღზევებას კი მე მაბრალებდნენ. მალე ბევრნი შემოეტმასნენ და, ქურდული წესების გატარების მომიზეზებით, პატიმრებს უმოწყალოდ ყვლეფდნენ. უკმაყოფილი ქურდები კი, მოგონილი თუ ნამდვილი მიზეზებით, შანტაჟის ქვეშ მოაქციეს. ამის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, გამოვეცალე და მისი კონკრეტული გამოხდომებისა და დანაშაულებრივი საქციელის გამო რამდენჯერმე შევეტაკე. ვერაფერი დავაკელი, რადგან გარემოცვა მასში უფრო მეტ ძლიერებას ხედავდა, ვიდრე ჩემში. სამართლიანობა კი, როგორც ყოველთვის ხდება, მათ მაშინ აგონდებოდათ, როცა თვითონ დაზარალდებოდნენ.

ჩვენი ურთიერთობა შეწყდა, თუმცა ერთხელ, შუაღამისას, მთვრალმა მომაკითხა, რა განზრახვით - არ ვიცი. ხეირიანად ვერც ის გავიგე, რას ბურდღუნებდა, აჩემებულ ფრაზას იმეორებდა: „ვინ არიან ეგენი, პარჩაკები“... ვურჩიე, გამოფხიზლებულიყო და ისე მოსულიყო სალაპარაკოდ, მაგრამ მერე აღარ მომკარებია. ამ დროს ეტაპი მოვიდა ლენინგრადის ციხე „კრესტებიდან“. მას მოჰყვა ერთი ახალგაზრდა ქურდი სიომა პიტერსკი, რომელმაც ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ფედია კარტოშკას დანაშაულის პირდაპირი მტკიცებულება მოიტანა. ფედიას თავისი თანამოსაქმე, ვინმე ზიუსი გამცემად

მოიხსენიებდა. საგამომძიებლო კორპუსში სიომა პიტერსკი კარგა ხანს ამ ზიუსთან ერთ კამერაში მჯდარა და მისგან იცოდა ყველაფერი. ეგრეთ წოდებული ოპერატიული თვალსაზრისით პატიმრები ხშირად გადაჰყავთ კამერიდან კამერაში. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების დროს ზიუსიც გაუყვანიათ. მას კი ადვილად შესანახი, ერთწინადადებიანი წერილი-ცნობა დაუტოვებია სიომასთვის იმ შემთხვევისთვის, თუკი იგი მის თანამოსაქმე კოლიას შეხვდებოდა. ჩეკას ისინი სხვადასხვა კორპუსებში ჰყავდა დაქსაქსული. სიომამ ეს ყველაფერი საიდუმლოდ გამანდო და რჩევა მკითხა. „ჯერ ნურავის ნურაფერს ეტყვი, ისეთი კაცის გამტყუნება, როგორიც ფედია კარტოშკაა, იოლი არ იქნება“. - გავაფრთხილე, თანაც, იმ პერიოდში „კრესტებში“ ნაჯდომ პატიმრებთან სასხვათაშორისო გამოკითხვა დავიწყე. ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბრებიდან გაირკვა, რომ ფედია მართლაც მჯდარა 419-ე კამერაში, გადიოდა კოლიასა და ზიუსის საქმეში, რომლებიც შემდგომში დაუხვრეტიათ. მაგრამ მისი გამცემობის შესახებ არავის არაფერი წამოსცდენია და აღარც მე ჩავძიებივარ, - ვფრთხილობდი, ფედიას ყურამდე არ მისულიყო. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებები ისეთი გაქნილი, თავხედი და ურცხვი ადამიანის წინააღმდეგ, როგორიც ფედია იყო, შესაძლოა საკმარისად არ მოსჩვენებოდათ „ძველ ბიჭებს“, მით უმეტეს, რომ ნახევარზე მეტი უკვე დამონებული ჰყავდა. მაინც გადავწყვიტე დავტაკებოდი და, სხვა თუ არაფერი, იქნებ ბანაკიდან გამექცია. მოუმზადებლად შევკრიბე „ძველი ბიჭები“. ვიდრე საქმის ვითარებას გავაცნობდი, ვითომ სხვათაშორის, მაგრამ ყველას გასაგონად ვიკითხე, იცნობს თუ არა ვინმე ზიუსს. კოლია აღარ დავასახელე, რათა არ დამეფრთხო და დავთრები არ აერია. შეკრებილთ ელვის სისწრაფით მოავლო თვალი და, როცა გატრუნულ სახეებზე საგანგაშო ვერაფერი ამოიკითხა, დაუდევრად მომახალა: „რა ვიცი, წარმოდგენა არა მაქვს“. „კოლიას?“ „კოლიას მეტი რაა ამქვეყნად? - ნაძალადევად გადაიხარხარა. - შენ რა, დაკითხვას მიწყობ?“ „მე გეკითხები იმ ზიუსსა და კოლიაზე, შენი თანამოსაქმენი რომ იყვნენ“, - მოვუჭერი. „ა, ეგრე გეთქვა, შე კაი კაცო, - მოულოდნელად დატკბა. - მერე რა?“ „აკი არ იცნობდი“. „ვინ თქვა, რომ არ ვიცნობდი, - ისევ იერიშზე გადმოვიდა, - ძმებო! - მიმართა დამსწრეთ, - ეს უკვე ძაღლური დაკითხვაა. რა შენი საქმეა, მე ვისთან რა გამიკეთებია. ჩეკამ დაგავალა ამის გარკვევა?!“ „კრესტებში“ რომელ კამერაში

იჯექი?“ - არ ვაგდებ ტემპს. „არ მახსოვს... - შემდეგ გონს მოდის, იცის, რომ თავდაცვას თავდასხმა სჯობია... - ახლა შენ ყველაფერს დაფქვავ, რა იცი და ვინ დაგავალა ჩემი დაკითხვა. - ხელები დაიკაპიწა, ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს რაღაც საგანს ეძებს, რომ მთხლიშოს. - მერე კი მოგივლი“. „ბებიაშენი დააშინე, კრეტინო“, - ვპასუხობ უფრო იმისთვის, რომ საერთო განწყობა არ დაფოლდეს, თორემ შემდეგ ყველა თავის თავს გაუფრთხილდება და შესაჭმელად მიგაგდებენ. მივმართავ სიომა პიტერსკის, რომელსაც ფერი კი აქვს დაკარგული, მაგრამ თვალები მტკიცე გადაწყვეტილებით ანთებია. „შენ, სიომა, იმ დროს „კრესტებში“ იყავი. ალბათ, გახსოვს, რომელ კამერაში იჯდა ფედია?“ „ოთხას ცხრამეტში!“ სიომა ახლა უკვე წამოწითლებულია. ფედია მსწრაფლ გამომცდელ მზერას სტყორცნის. აჰა, საშიშროება აქედან მოდის. „გინდ ეგრე იყოს. სადაც მე ვმჯდარვარ და ვყოფილვარ, ყველგან ჩემი სახელი რომ დამეტოვებინა, აქამდე ჩემი ბუნდღა აღარ იქნებოდა“, - კვლავ ნაძალადევად ხარხარებს. „ჰოდა, აი, წაიკითხე, რა წერია“, - ჯიბიდან ვიღებ გაზეთილ ქაღალდში გახვეულ პაწაწინა ნაწერს, სათუთად ვხსნი და იქ მყოფთ ვუხმობ. ფედია კატის ნაბიჯით მიახლოვდება. ვკითხულობ...

საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე მაწყვეტინებს, შემელოტებულ თავს იქექავს და ამბობს: „დიახ, წერა-კითხვა დღეს ყველამ იცის, რა მოტყუებაზეა ლაპარაკი. აქ წერია, რომ სახელმწიფო მეთაურს უფლება აქვს, იყოლიოს რწმუნებული. მორჩა და გათავდა“. „კი, მაგრამ, რა მოსდევს ამ წინადადებას? - ვცხარობ და განვაგრძობ კითხვას: - რწმუნებულის საქმიანობის წესს განსაზღვრავს და ამტკიცებს პარლამენტი“. „მთავარია, რომ მას შეუძლია დანიშნოს რწმუნებული“, - ფეხზე დგება ინტელიგენტური შესახედაობის ქალი, მიახლოვდება და პროტესტის ნიშნად მაგიდაზე მიდებს ჩემს ავტორეფერატს. „დანიშვნაც პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს“, - არ ვნებდები მე. „მოვუსმინოთ ჩვენს პატივცემულ სწავლულ მდივანს“, - დამტკბარი ტონით ამბობს თავმჯდომარე. ფეხზე დგება შავჩეფჩიკიანი მაღალი კაცი: „უპირველეს ყოვლისა, აქ ჩვენ საქმე გვაქვს სამ ვითარებასთან. პირველი - ეს არის ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპი. მეორე - გეოგრაფიული დაყოფის პრინციპი და მესამე - შავჩეფჩიკიანი სიტყვებს ტკეპნის - თვითდამტკიცების პროცედურის არსებობის პრინციპი. ამ პრინციპების აღრევა არ შეიძლება“... „აქ ნათლად

წერია, რომ პარლამენტის გარდა არავის აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ და აქ არაფერ შუაშია პრინციპების აღრევა“, - ვყვირი. „შეურაცხყოფას ნუ გვაყენებთ! და არა მარტო ჩვენ - მთელ „ვაკს“ - მაწყვეტინებს თავმჯდომარე. „თქვენ ალბათ აქ ბანკების გატეხასთან დაკავშირებული პოლემიკა გგონიათ“, - მახლის რატომღაც გაწიწმატებული ინტელიგენტური გარეგნობის ქალი. „არც ცეკას რეზოლუციების მიღების პროცედურაა“, - ვუღრენ. „ამ ავტორეფერატს მე ვერ შემოვდებ ლენინის ბიბლიოთეკის თაროზე. აქ არ წერია ის, რასაც თქვენ ამტკიცებთ“, - კატეგორიულად ასკვნის თავმჯდომარე. „აბა, ეს რა არის, წაიკითხეთ“... „ძველი ბიჭების“ ერთი ნაწილი ნაწერს დასცქერის. „ხედავთ? - ვაჩვენებ მე. - არქეტიპი, კიდევ აი, აქ არქე-ტიპი, აქაც, აქაც“... წრეზე გამოდის კოსტია ფოქსტროტი (ფედიასთან ერთად იკეთებს წამალს): „ეგ ალბათ მბეჭდავს შეეშალა“. „კარგი, - ვპასუხობ. - ეს რაღაა?“ - ვუთითებ ხელით ჩასწორებულ შემაერთებელ რკალზე: - „არქეტიპი. ფოქსტროტი დასცქერის გაყვითლებულ ქაღალდებს. მხრებს იჩეჩავს: „ფედია ხომ ამბობს, მბეჭდავს შეშლიაო“. კვლავ ფედია იღებს ინიციატივას, მიმართავს ერთ გაქნილ ქურდს „ვანკა აჩკარიკს“. ფედიას მისთვის ბრუციანის, ნიკოლოზის დროინდელი თახსირის და დამპალის გარდა თავის დღეში არაფერი დაუძახია. „ვანკა აჩკარიკიც“, თავის მხრივ, დაჯაბნილად რომ არ ჩაითვალოს, შიგადაშიგ რაღაცას წაჰკბენს ხოლმე. ახლა კი ფედია მოფერებით უწვრილებს ხმას: „ვანჩო, ერთი, თუ ძმა ხარ, მოდი აქ, ჩემთან, გამოდი, გამაგებინე, რას მიედ-მოედებიან“. „ვანკა აჩკარიკი“ კმაყოფილია ასეთი მოპყრობით, თანაც, იმედი ეძლევა, რომ ამ მეგობრულ ჟესტს მომავალში გამოიყენებს, იმის ჩიტი არ არის, ტყუილუბრალოდ გვერდში დაუდგეს. სათვალეს იმარჯვებს: „რა ვიცით, რომ ეს თქვენი ჩასწორებული არ არის, ან სულაც, საიდან მოიტანეთ“... „მოიცა, მოიცა, - ვაწყვეტინებ, - აქ ხომ სიტყვასიტყვით წერია, - განვაგრძობ კითხვას. - „არქეტიპი წარმოადგენს ზესახიერ ტიპს“. „მაშ ეს რაღაა?“ „როგორ არ გესმის, კაცო, ფედია ხომ ამბობს, ეს ასე არ უნდა გავიგოთო“, - კვლავ ეჩრება კოსტია ფოქსტროტი. ფედია ხვდება, რომ უმრავლესობა მას მხარს დაუჭერს და მოქნეულად ამბობს: „გინდაც მანდ ეს მძიმე თუ წერტილი სწორად ვერ დაწერეს, რა, მე ამისთვის ჩამომკიდებთ?“

გამოდის იუსტიციის მინისტრი თედო ნინიძე, ნაწერს დასცქერის და განმარტავს: „აქ წერია: „ვ ჩეტირესტა დევიატნადცატომ სიდიტ ფედია ბლიად კოლია გდე ტი - ზიუს“. ყველაფერი სწორია, აქ, უბრალოდ, ზიუსს მძიმე დავიწყებია. ამიტომ ეს წინადადება ასე იკითხება: „ვ ჩეტირესტა დევიატნადცატომ სიდიტ ფედია, ბლიად კოლია, გდე ტი - ზიუს. თედო ნინიძე შევარდნაძის აღმოჩენაა. ისინი ერთმანეთით ამაყობენ. მომავალში ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე საჯაროდ, ოფიციალურად განაცხადებს: „ხანდახან სახელმწიფო ინტერესები კანონზე მაღლა უნდა დავაყენოთ“. „მოიცა, მოიცა, - ვაწყვეტინებ, - ეს ხომ აბსურდია. გამოდის, ზიუსი ბოზ კოლიას ანგარიშს აბარებს და მისი გულშემატკივარია?!“ სიტყვას იღებს პარლამენტარი ნანა დევდარიანი. მან ამ ბოლო დროს ამოიღო ხმა, - გადაწყვიტა, რომ შევარდნაძის მეშვეობით დიდ პოლიტიკურ არენაზე გამოვიდეს, თორემ უწინ სხდომებზე თავისთვის მოკრძალებულად იჯდა. სათვალეს ისწორებს და ქაღალდს დასცქერის: „რა გასაკვირია, რუსები ხომ ყოველ სიტყვაზე „ბლიად, ბლიადს“ გაიძახიან. აქ მეგობრული მოკითხვაა, „ბლიად კოლია გდე ტი?“ - ავლენს თავის ერუდიციას რუსული ხასიათისა და ფოლკლორის ცოდნაში. მიკროფონთან მიდის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი. მას სურს, შევარდნაძეს აგრძნობინოს, რომ საქმე ასე მარტივად არ არის, აქ, მისი სახით, მხოლოდ მაღალპროფესიული კაზუისტიკა თუ იხსნის მდგომარეობას: „ვინ დაამტკიცებს, რომ აქ მძიმე ან წერტილი უნდა იყოს „ბლიად“-ის შემდეგ?“ არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ გამომსვლელები შევარდნაძის ხალხია. ახლა მას სურს ოპოზიციიდან, იმ პარლამენტარებისგან მიიღოს მხარდაჭერა, რომელთაც თვითონ და საპასუხოდ ისინიც დაუდევრად ეკიდებიან. ერთ-ერთი ასეთია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთაგანი მამუკა გიორგაძე. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მან რაღაც უკმაყოფილება გამოთქვა ჩემ მიმართ. ამის გამოყენებაა საჭირო. „მამუ! აქ მოდი, ტრიბუნიდან, მამუ, ტრიბუნიდან! - ეპატიჟება შევარდნაძე. ასეთი მეგობრული ფამილარობა თან სიამოვნებს, თანაც აკრთობს მამუკას: „ჩვენ, - ამბობს იგი (ჩვენ, ესე იგი, ეროვნულ-დემოკრატებს) „ბლიადების“ შესახებ ცალსახა მიდგომა გვაქვს. თუ წერტილია, მისი მრავალწერტილად გადაქცევა შეიძლება, აი, თუ მძიმეა - კუდს ხომ ვერ მოაჭრი“. დარბაზში აღარ სურთ

ამაზე დავის გაგრძელება, შევარდნაძე ამას ხვდება, დგება და უკვე წასასვლელად აშლილ, ახმაურებულ აუდიტორიაში გამარჯვებული ამბობს: „თუნდაც ასე იყოს, ახლა რა, ჩამომკიდებთ?“ „აქ ნათლად წერია: ვ ჩეტირესტა დევიატნადცატომ სიდიტ ფედია ბლიად, კოლია გდე ტი? - სად გაგიგონიათ ასეთი მიმართვა: „ბლიად კოლია გდე ტი?“ - ვყვირი. არავინ მისმენს. გუბერნატორების საკითხს მრავალწერტილი დაესვა. სხდომა წყდება. ვეღარ ვიგებ, სადა ვარ - ხალხის არჩეულ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, მეცნიერების საატესტაციო უმაღლეს ინსტანციაში თუ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა პეჩორის სპეც-ბანაკში?!

მადრიდში ჩემი ნათლულის, მარიამ ბაგრატიონის სტუმრად ჩავედი. ქართული სტუმარ-მასპინძლობის წესით მხვდება, ყოველგვარ მეურვეობას მიწევს, იმდენად, რომ სასტუმროს ფულის, საუზმისა თუ რაიმე საყიდლის გადახდის დროს ჭიდაობა მიხდება. ტოლედო, კათედრალური ტაძარი - გენიოსების ხელით შემკული, ელ გრეკოს სახლი, მისი პორტრეტები - საუკუნეებიდან მომზირალი მოციქულები, ხელოვნებით შეჩერებული სიცოცხლის წუთი, კრამიტდაცურებული, გულში ჩასახუტებელი ლამანჩელი და ბრძენი გუბერნატორი სანჩო, სამხედრო აკადემიაში კიბეზე მორთმეული კურსანტის ტრადიციული საუზმის ულუფა. ველასკესი, გოია, პიკასო - ეს ყველაფერი ცოცხალია და დაგდევენ, როგორც ესპანეთის კულტურის სულიერი დაცვა.

საღამოს მარიამი პატარა ძველებურ რესტორანში გვპატიჟებს. აქ ყველაფერი ტრადიციების მკაცრი დაცვით სრულდება - შესასვლელი კარის გაღებით დაწყებული, კერძების გაფორმებითა და მიტანის ცერემონიალით დამთავრებული. პატარა სცენაზე ორი გიტარისტი ხალხურ მელოდიას უკრავს. მეინახენი ნელ-ნელა იკრიბებიან. ღამის თორმეტ საათზე იწყება ცეკვა. ჭრელ ეროვნულ ტანსაცმელში გამოდის ქალთა ჯგუფი. ყველას თავისი სოლო ნომერი აქვს. შემდეგ შერეულად ემატებიან, ენაცვლებიან ერთმანეთს, პლასტიკურად მოძრაობენ და მოხდენილად აბაკუნებენ ფეხებს. სულ სხვადასხვა რიტმით, სიძლიერით, სიფაქიზით, უხეშად თუ სიფრიფანა გახახუნებით იქმნება საოცარი ჰარმონია, სინკოპი, ხმაურის პოეტური წესრიგი, გრძნობათა ფორიაქი, აღტყინება, ჩათრევა, მიყოლა და ორომტრიალი. გაურკვეველი ელეგიური განწყობით მაგიდას ვუსხედვართ ახლობელი ადამიანები.

მართლაც რომ დროული ყველაფერი კარგია. კარგია, რომ დრო მოვლენებით აღირიცხება. მშვენივრად ვიცი, რომ მომხდარსა და მოსახდენზე განცდა სისულელეა: მომხდარი უკვე განიცადე, მოსახდენზე კი არაფერი იცი, როგორ მოხდება. ამ წუთში მხოლოდ ამ წუთიდან უნდა იცხოვრო, მაგრამ, სამწუხაროდ, თავი ვერ დამიუნჯებია ამ მსუბუქ, დროს გასატარებელ, შემთხვევით საკრებულოში. ქუსლთა ნელი, მონოტონური ბაკუნი შორეულ გზას გაყენებულ ეტაპს მაგონებს. ადამიანების მხუთრით გამონაბოლქვ, პატიმრებით გადატენილ რონოდას, გადაკერებულ ლიანდაგებზე რომ ბუქნაობს და კაკუნით რითმავს გაუთავებელ ბალადას, ბურუსით, ყინვით, ლატარეაში ჩაყრილი კოჭებივით რომ ბრუნავს თავისი ბედისწერის ღერძზე. ერთი თვეა, მოსკოვიდან ურალამდე მოვდივართ. ჩვენს ეშელონს გაჩერებები სწორედ მაშინ უწევს, როცა გვგონია, ჰა და ჰა, უჰაერობისგან დავიხრჩობით. რონოდის შესასვლელს ყურთამდე გვიღებენ და წამში ისეთი სიცივე შემოიჭრება, ბადრაგს ვეხვეწებით, კარი მოგვიკეტოს. „მეორედ აღარ მომთხოვოთ გაღება“, - ბუზღუნებს. თუ კარგი ვინმეა, უხალისოდ კეტავს, თუ არადა, ვიყინებით. ვიდრე მატარებელი არ დაიძვრება, ერთმანეთს ბეღურებივით ვეკრობით. გვაჩერებენ სადღაც, სადგურისგან გადაკარგულ ჩიხებში. ირგვლივ დაჟანგული ვაგონების მეტი არაფერი მოჩანს. გარესამყაროსთან არავითარი შეხება არ უნდა გვქონდეს. არ შეიძლება ხალხმა დაგვინახოს - ჩვენ ხომ საბჭოთა ქვეყანაში პატიმრები არა გვყავს. ჩვენ ვართ „დროებით იზოლირებულები“, როგორც ამას ამბობენ სახელმწიფოს მაღალი მოხელეები. ჩემი ნარის ქვეშ ვიღაც ახალგაზრდა მოკუნტული წევს. მთელ გზაზე ხმა არ ამოუღია. დილით მისცემენ პურს, შეჭამს, მერე ბუშლატს თავზე წაიფარებს და არ ინძრევა. რუსი არ უნდა იყოს, ინტელიგენტური იერი აქვს. დავინტერესდი, საიდან არის. ლატვიელი გამოდგა, რიგიდან. რიგა ჩემი ახალგაზრდობის ნაწილია. როგორც კი იქაურ კლუბებსა და რესტორნებში გამოვჩნდებოდი, დამესეოდნენ მეტრდოტელები, ოფიციანტები, მონატრებული ღვიძლი შვილივით მიღებდნენ. რასაკვირველია, ეს მთლად უანგაროდ არ ხდებოდა, მაგრამ მე გამორჩეული ბიჭიც ვიყავი. ყველაზე კარგ ადგილას დამსვამდნენ, მუსიკოსები ჩემს პატივსაცემად ქართულ მელოდიას დაუკრავდნენ, გოგოები საცეკვაოდ მიწვევდნენ. მე კი, ცუდდიდებით მოჯადოებულს, კიტრად მომქონდა თავი.

ლამაზმანები მეხვეოდნენ, მე კი ვიღაც უმშვენიერესს ვეძებდი. თუმცა, ეს ოცნებებში, ისე კი, იმ წუთით ვიყავი დაკავებული, რა წუთსაც ვცხოვრობდი. ახალგაზრდობა სიცოცხლის გაუცნობიერებელი სიბრძნეა. ასეთი განწყობით ყველა რიგელი ნათესავი მგონია. ჩემს რიგელს ვეკითხები, რაზე ზის. 25 წელი აქვს მისჯილი მხოლოდ იმიტომ, რომ ორ მეზობელთან ერთად სისტემატურად უსმენდა „ამერიკის ხმას“. ამით თურმე ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულებრივ ბანდას აყალიბებდა. რად მინდა ახლა ამ ნახევარი საუკუნის წინანდელი ამბის ხელახლა განცდა, დღევანდელობას რაში სჭირდება? აჰა, უცხოეთში ვარ. მაშინ ამის წარმოდგენაც კი ზღაპარი იყო... გიტარა ყრუდ გადად-გადმოდის ყაიდებს, აგერ, უხეშად გაიბაკუნა რამდენიმე ჯერმა, მტერი არ გვაძლევს საშუალებას, ბეტონის სადარაჯოდან თავი ამოვყოთ. არადა, დაბრმავებულები ვართ. ასე დაგვივლიან და მოგვიმწყვდევენ ამ ჯიხურში. საჭიროა შეუმჩნევლად გავძვრეთ გარეთ და ღიად შევებრძოლოთ. მივფოფხავთ საძირკველთან, სიფრიფანა გახახუნება და მოულოდნელი, შეუჩერებელი ბაკუნი. გარეთ ვართ, გადავდივართ შეტევაზე, სცენაზე ორომტრიალია, სინათლე ქრება, მხოლოდ სანთლები კიაფობენ, ადამიანების აჩრდილები ირხევიან გლეხურად კირით გალესილწ კედლებზე, ესპანელი მღერის გიტარაზე, მაგიდებს გრძელი სკამები აქვს შემოწყობილი. დამსწრე საზოგადოება ჩაჭედილია და თავს მთლიან არსებად გრძნობს. ფეხების ბაკუნი თანდათან მატულობს და თქარათქურად იქცევა, გაისმის რაღაც გუგუნიც...

სტალინის დასაფლავების წინა ღამეა. მოსკოვის ვიწრო ქუჩებიდან ხალხის ბრბოები ამღვრეულ ღელეებად მიისწრაფიან, უერთდებიან დატბორილ პროსპექტებს. მერე რუსხმული სადღაც გაირღვევა, ადამიანთა ნიაღვარი ბრაგაბრუგით და ჭენებით მიედინება წითელი მოედნისკენ. სტალინი აღარ არის, სტალინი! რა გვეშველება, წავიდეთ, ვნახოთ, იქნებ ტყუილია. სულერთია, წავიდეთ, წავიდეთ, ერთად ვიყოთ. იმ ღამეს რვაასი ადამიანი გადაიქელა, რვაასი კაცი სამუდამო ესკორტად გაჰყვა ბელადს. რა იყო ეს - მითოლოგიური სიუჟეტი, უღმრთო ადამიანების მარტოხელობის თუ მონათა გაუცნობიერებელი თავისუფლების ყივილი?!

კომუნისტურ მანდარინებს უსაგნოდ, მაგრამ სადღაც მაინც

გამოუთქმელი იმედი ჰქონდათ, რომ სტალინი არ მოკვდებოდა და თვითონაც რაღაცნაირად ეზიარებოდნენ ამ უკვდავებას. და უცებ მოკვდა. „როგორ მოკვდა?“ - გაოგნებული სახეებით რიტორიკულად კითხულობდნენ ისინი. „როგორ და ისე, უბრალოდ - გადაბრუნდა და მოკვდა“, ვეუბნებოდი ქირქილით. ლამის მცემოდნენ და გავეგლიჯე. „თქვენისთანები მეტი უნდა დაეხვრიტა!“ - აღშფოთებულნი მომაძახებდნენ და ზიზღით გამეცლებოდნენ ხოლმე. ტირანიის ჟამს სიმართლის თქმა მხოლოდ უკანასკნელი მონის ხვედრია. მეც მქონდა ბედნიერება, ეს უფლება გამომეყენებინა. ჩემს მეგობარს, კაკო მშვენიერაძეს, მსოფლიოში განთქმულ სპორტსმენს, ცხენისტოლა ლამაზი დოგი ჰყავდა, არაფრის მაქნისი, დღეში სამ კილო ხორცს ჭამდა. ერთხელ სოფელში ჩამოიყვანა. დედაქალაქის მკვიდრს, ოთახში გაზულუქებულს, გოჭი არასოდეს ენახა. ეზოში სასეირნოდ გამოუშვეს. ერთიც ვნახოთ, ეს ამხელა ძაღლი გარბის, მარა, რას გარბის. უკან ჭყიპინით მისდევს პაწაწინა თეთრი გოჭი. ჰოდა, ვურეკავ კაკოს. „ჩემი ძაღლი ხომ იცი, „შახი?“ (ასე ერქვა დოგს). „მერე?“ „მოკვდა“, - მეუბნება დამწუხრებული ხმით. „ვა! - ვიძახი. - შახი“ მოკვდა და სტალინი ჩაძაღლდა!“ ეგრევე მიკიდებს ყურმილს. აქაც არაჩვეულებრივად გაფორმებული შემწვარი გოჭი შემოაქვთ. ესპანეთში ეს კერძი ტრადიციულია და, როგორც მარიამის მეუღლე გვიხსნის, „გოჭი ნიუ“ ჰქვია.

მეორე დღეს მარიამს დედის საფლავზე მივყავარ. მე ყვავილების საყიდლად ვემზადები. თურმე ნუ იტყვით, დედამისი დაკრძალული ყოფილა ესკარიოლას სასახლეში, სადაც ესპანეთის მონარქები - კარლოსები, ფრიდრიხები და ფერდინანდები მოოქრულ სარკოფაგებში არიან დაბალზამებულ-შენახულნი. მარიამის დედაც ხომ ბურბონი იყო - ფრანგებისა და ესპანელი მონარქების შტოდან. ახლანდელი მეფის, ხუან-კარლოსის დედას და მარიამის დედას ერთი დიდი ბებია-დედოფალი ჰყავდათ. ასე რომ, აქ ჩემი პროვინციული გალანტობა უადგილოა.

ცად აზიდული უზარმაზარი რუხი ბეტონის ჯვარი. დაკოჟრილ კლდოვან გორაკზე ბალახიც კი არ არის. მხოლოდ და მხოლოდ ჯვარი და მეტი არაფერი. მის შემხედვარეს სიცივე, ასკეტური სისადავე გეცემა. გორაკის შიგნით კი გვირაბი-აკლდამაა. ეს ნაგებობა მიეძღვნა სამოქალაქო ომის მსხვერპლთ - კომუნისტებსა და ფრანკისტებს. კაუდილიოც აქ მარხია,

ფრანკო - მარმარილოს უდაბნოში. მოკრძალებით მიაბიჯებ და შენივე ფეხის ხმა გაკრთობს. ირგვლივ დუმილი, სამუდამო დუმილის სამყარო.

თბილისის ციხის კამერაში, ფანჯარასთან, მუცელზე წევს ირაკლი მოხევე. წელს ზემოთ შიშველია. მის გოლიათურ ზურგზე უშველებელი ჯვარია ამოსვირინგებული. ჯვარი სასაფლაოს ინკრუსტირებული ზღუდეებით არის შემოფარგლული. აქა-იქ საფლავებია, ზოგი ეშმაკების ფიგურებით და ზოგიც ანგელოზებით დამშვენებული. ირაკლის გვერდით მუხლებზე წამომჯდარი მხატვარი თვითნაკეთ ტუშში ამოვლებულ ნემსთა კონით რაღაც დეტალს ასწორებს მის ზურგზე. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს მესაფლავე საფლავის გისოსებს ღებავს. ამ სვირინგის კომპოზიციას „სამუდამო დუმილი“ ეწოდება. მე თექვსმეტი წლისა ვარ და ჩემთვის ეს სიკვდილი კი არა, ცხოვრების კარიბჭეა; სიბნელიდან წინ მხტომარე ათინათებისკენ ლტოლვაა, რაღაც ბედის ძახილი. ესპანეთის სამხედრო აკადემიაში, სადაც სამხედრო საბჭოს დარბაზი გამოჩენილი გენერლების ფერწერული სურათებითაა დამშვენებული, ფრანკო მოვიკითხე. აკადემიის უფროსის მოადგილემ ერთგვარი სიფრთხილით გამიყვანა და საპარადო დარბაზებიდან მოშორებით, მიყრუებულ ნიშში ჩამოკიდებული მისი პორტრეტი მაჩვენა. გაკვირვებულმა კინაღამ შევყვირე - ეს ხომ ელ გრეკოს თუ ველასკესის „უცნობი პატრიოტის“ დუბლია! ნუთუ ეს გენიოსების ვიზუალური გამოსხივებაა?! „ახლანდელ ახალგაზრდებს არ უყვართ იგი, მას დესპოტად და ანტიდემოკრატად მიიჩნევენ“, - ნაწყენი კილოთი მითხრა ჩემმა გიდმა. შეიძლება პარადოქსად ჟღერდეს, თუ ვიტყვით, რომ ფრანკოს როლი მსოფლიო დემოკრატიული პროცესის განვითარებაში ისტორიკოსებს ჯეროვნად არ შეუფასებიათ. მან კომუნისტური ექსპანსიისაგან იხსნა ევროპა და, შეიძლება ითქვას, მსოფლიოც. დახედეთ რუკას და მიხვდებით: 1937 წელს ევროპის ზურგში მოქცეული მსოფლიო ინტერნაციონალიზმი, როცა „კომუნიზმის აჩრდილი დაძრწოდა ევროპაში“, რა იოლად გააწითლებდა საფრანგეთს, იტალიას, გერმანიას, მით უმეტეს, რომ ხალხთა მასები უკვე დაავადებულნი იყვნენ ტოტალიტარიზმით და აღმოსავლეთიდან საბჭოთა იმპერია ძალადობდა. მე მესმის იმ ახალგაზრდებისა, რომელთაც სულ

არ აინტერესებთ მაკროპოლიტიკა. მათთვის უფრო ძვირფასია მათი ქვეყნისა და მათივე თანამედროვე პრობლემების გადაწყვეტის ბედი. მართლაც, შესაძლოა, დიდი პოლიტიკური ორშიმო ვერ გამოიყენება პატარა ჭურისათვის, სადაც მას უბრალო ხრიკა აჯობებს. იქნებ იგივე განწყობაა შევარდნაძისადმი საქართველოში?! ანალოგია მხოლოდ საერთაშორისო ასპექტზე გამოდგება, თორემ ფრანკომ, უპირველეს ყოვლისა, ესპანეთისათვის გააკეთა დიდი საქმე. ჯერ ერთი, წითელი ეპიდემია მოიცილა. მეორეც - მრავალი პროვოკაციის მიუხედავად (გინდ ფაშისტებისგან და გინდ საბჭოეთის მხრიდან) ესპანეთი არ ჩააბა მსოფლიო ომში. მადრიდ-ბარსელონის ისტორიული მტრობის პირობებში შეინარჩუნა ტერიტორიული მთლიანობა. სამოქალაქო ომის შემდეგ მოაწყო საყოველთაო ეროვნული შერიგება. ქვეყანა ეკონომიკურად გააძლიერა და, რაც მთავარია, ჯერ კიდევ სიცოცხლეში მოამზადა სახელმწიფო მმართველობის ეროვნული ფორმა - დემოკრატიული მონარქია, სადაც შეჯერდა ტრადიცია და თანამედროვეობა. შევარდნაძე კი, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ასეთ გადამწყვეტ მომენტში, კვლავ ეპოტინება დაჟანგულ კომუნისტურ სტანდარტებს, ისეთებს, როგორიცაა: დაყავი და იბატონე; ურტყი მოყვასს, რომ მტერს ეშინოდეს; ჭინკებზე ნადირობა; მტრის ხატის შექმნა; მთავარია რეზონანსი და არა საქმე; კაცი იყოს, თორემ საქმე (სისხლის სამართლის) გამოინახება; შავ საქმეებში ხალხის სახელის გამოყენება; ყველას დადანაშაულება და ამით ხელისუფლების განმტკიცება - ყველაფერი ეს, რაღა თქმა უნდა, სიმპათიით ვერ განაწყობს ქვეშევრდომს და ქვეყნის მომავლისთვის დამღუპველია. ამის მაგალითია თვით საბჭოთა იმპერიის კრახი, ბროზ ტიტოს შემდგომი იუგოსლავიის ბედი. ესპანეთში ყოფნამ კიდევ უფრო განმიმტკიცა რწმენა, რომ საქართველოს მხარეებად დაყოფა დაუშვებელია. ვერავითარი ფრაზეოლოგია თანამედროვე ქართველი კაცის მენტალიტეტის, ეროვნული ერთიანობის შესახებ ამას ვერ გადამათქმევინებს, ის მტკიცებულებებიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, რომელნიც, შესაძლოა, მავანმა სავარაუდოდ მიიჩნიოს. მადრიდ-ბარსელონის დაპირისპირება, კატალონია-კასტილიის მტრობა, რამდენიმე საათით ელექტროენერგიის გამორთვა, ავტომატის ერთი ჯერი და მგზნებარე ლოზუნგები ისეთ კონდიციამდე მივა, რომ სამოქალაქო ომი გარდაუვალი იქნება. ეს იქ, შუა ევროპაში, როცა ჩვენი მეგრელი და გურული

პარლამენტარები ერთმანეთს დაერივნენ იმის თაობაზე, თუ რომელ მხარეს მიეკუთვნოს ფოთი.

რუსეთმა ჩეჩნეთში იმთავითვე წასაგებად განწირული ომი წამოიწყო. ჯოჰარ დუდაევმა რამდენიმე ხნის წინ შემომითვალა, იქნებ ჩამოხვიდე, ან რაღაც მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთო. ჯერ საჯაროდ დაგმოს ის, რაც მაგათ აფხაზეთში ჩაიდინეს და მერე ვნახოთ-მეთქი. რა დამავიწყებს იმ კადრებს, რუსეთის ტელევიზიამ რომ აჩვენა გაგრის დაცემის დღეებში. ადლერის საზღვართან ჩეჩენი ბოევიკები ნაძარცვი ქალის კაბებითა და საოჯახო ნივთებით, ძლივს-ძლივს დახურული მანქანების საბარგულები, თვალებზე ჩამოფხატული მწვანეზოლიანი ფაფახები, ველური ცეკვა. რატომღაც მგონია, გამარჯვებულთა ღრეობა ხაჩატურიანის ბალეტის, „გაიანეს“ ჰანგების ფონზე მიმდინარეობდა. ჟენია პრიმაკოვი მეუბნება, გრაჩოვი ჩეჩნეთის ამბავს შეეწირებაო. ცხოვრება მაინც საინტერესო რამ არის. საუკუნეა ჟენია არ მინახავს. ვუყურებ და ისევ იმ დედიკოს ბიჭად მეჩვენება ლენინგრადის ქუჩიდან. ჩვენ საერთო მეგობრები გვყავდა, ცხონებული არამა პეტროსიანი, „სტარიკა“ - ლიოვა ონიკოვი, გივი კოკაია. ახლა ამ თბილისელ ბიჭს ლავრენტი ბერიას თანამდებობა უკავია. პურმარილი გამიწყო. ბავშვობას ვიგონებთ. მე ისიც მაინტერესებს, პრეზიდენტი ელცინი მხარს უჭერს თუ არა შევარდნაძეს. გენერალიტეტს, დიპლომატიურ კორპუსსა და სხვადასხვა რანგის პოლიტიკურ მოღვაწეებს მისი სახელის გაგონებაც არ სურთ. არც ჟენიაა მასზე დიდი წარმოდგენისა, მაგრამ ელცინს თურმე იგი თავის კაცად მიაჩნია. „მაშ, რაღაზე გაჯანჯლდა აფხაზეთის საკითხი?“ „აქ ასე მარტივად არ არის საქმე“, - მპასუხობს მცირე პაუზის შემდეგ. მგონი, მოუნდა, ყოველნაირად აეხსნა, რა სირთულეებს გულისხმობდა და უცებ რატომღაც გადაიფიქრა, დიპლომატიურ ფორმულას იმეორებს: „არძინბა კონფედერაციის გარდა არაფერზე დათანხმდება“. „კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, ვინ არის არძინბა?“ - ვამბობ და ღიმილს ვერ ვიკავებ. მახსენდება გენერალი კონდრატიევი: „ა ხტო ონ ტაკოი, ეტოტ არძინბა, ხტო?“ „ვინ არის და, ჩემთან მსახურობდა უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, როცა აღმოსავლეთის ინსტიტუტის დირექტორი ვიყავი“, - იღიმება ჟენიაც და სიტყვას ბანზე მიგდებს. დამშვიდობებისას ლიფტამდე მაცილებს. მპირდება, რომ ყველა ღონეს იხმარს,

გამოიყენებს თავის გავლენას ჩვენთვის ამ სამკვიდრო-სასიცოცხლო პრობლემის მოსაგვარებლად.

ვამზადებთ საზოგადოება „არჩევნების“ კონფერენციას. უნდა გავახმიანოთ სამხარეო დაყოფისა და გუბერნატორების დანიშვნის უკანონობის ამბავი. ვიმსჯელოთ კონსტიტუციის პროექტის არადემოკრატიულობასა და საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის შესახებ. მოვისმინოთ წინადადებები არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით, მოვახდინოთ ჩვენი ძალების დათვალიერება. მხარეების დაყოფასთან დაკავშირებით სადისკუსიოდ მივდივართ ისტორიის ინსტიტუტში. უმრავლესობა ჩვენ გვიჭერს მხარს. ვისაც განსხვავებული შეხედულებები აქვს, მათ, უბრალოდ, მონაწილეობა არ მიიღეს შეხვედრაში. მეორე დღეს „ცხელ კვალზე“, შთაბეჭდილების გასაქარვებლად, განწყობის გარდასატეხად, მივარდნილან მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები. საერთოდ, ნამეტანი აფორიაქებული არიან. შევარდნაძე კარგა დამფრთხალია. პარლამენტის ერთ ნაწილს სწადია, გაიხანგრძლივოს უფლებამოსილება. „გადავდოთ არჩევნები“, - გაიძახიან ისინი. მე ამის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. ერთადერთი იმედი ეს არის - როგორმე ავირჩიოთ ერის ღირსეული შვილები: მეცნიერები, იურისტები, ეკონომისტები, სპეციალისტები და არა ყველა ჯურის პარტიული მუშაკები, რომელთაც ინტრიგა და სასწორის პინიდან პინაზე ხტომა პოლიტიკა ჰგონიათ. ყველას ვახსენებ, რომ თუ პარლამენტმა თვითგაგრძელება მოახდინა, ეს გამოვა უკანონობა და მაშინ საქმე მორევაზე იქნება. პარტიების შეშფოთება გამოიწვია იმან, რომ „არჩევნების“ საზოგადოების გამგეობის წევრმა, მხედრიონელმა ვახტანგ ბეგიაშვილმა თბილისის ვაკის რაიონში გაიმარჯვა და აჯობა მოქალაქეთა კავშირის წევრს, პარტიის მატერიალური მხარის ერთ-ერთ იმედს, ცქიტიშვილს, რომელსაც კერძო წარმოება აქვს და ერთგვარი პროტექციონიზმით წარმართავს საქმეს. მსგავსი რამ მოხდა რუსთავშიც, სადაც მურმან ომანიძეს ჩვენი ბიჭები მიეხმარნენ არჩევნების პროცესში. შევარდნაძე უკვე აზოგადებს ამ ფაქტებს და ყიჟინებს: „იარაღიანი და ფულიანი ხალხი არ უნდა მონაწილეობდეს არჩევნებში“. მეცინება - რაც მაგათ იარაღი და ფული აქვთ, ჩვენ არც დაგვესიზმრება. შევარდნაძემ გამოსცა განკარგულება „მაშველთა კორპუსის“ განიარაღების შესახებ.

ეს ღია პროვოკაციული ნაბიჯია. ვიცი, ამას რაც მოჰყვება. უკვე

მომდის ხმები, რომ შევარდნაძემ დაავალა კვირაიას და ბაბილაშვილს (გენერალურ პროკურორს), თანდათანობით დაიწყონ მხედრიონელების დევნა-დაპატიმრება. სახელმძღვანელოდ გამოიყენონ სტალინის ისევ ის ზემოთ აღნიშნული კულუარული ლოზუნგი: „კაცი იყოს, თორემ საქმე გამოინახება“. ამაში შევარდნაძეს „ხუთიანი“ უწერია; მთელი მისი პოლიტიკური კარიერის გაფურჩქვნა შანტაჟისა და მლიქვნელობის შეხამებულ მეთოდს ემყარებოდა. მართალია, მაშინ დახურულ, კომუნისტურ საზოგადოებაში ასეთ „მოღვაწეობას“ ინტრიგები განაპირობებდნენ და ახლა ეს ასე იოლად არ ჩაივლის, სამაგიეროდ, მასალაა საუკეთესო. მხედრიონის ეკონომიკური, პოლიტიკური, სტრუქტურული მიუსაფრობისა და ომის შემდგომი რეადაპტაციის უქონლობის პირობებში ამაზე ნაღდ განტევების ვაცს ვერავინ ინატრებს. ეს საკითხი გამომაქვს პარლამენტზე, თუმცა, წინასწარ ვიცი, მხარს ერთეულები დამიჭერენ. არავინ დაიჯერებს, რომ მე ძალაუფლება არ მსურს. არადა, ეს ბეცი ვაიპოლიტიკოსები იმას ვერ აღიქვამენ კრიტიკულად, რამაც მათ თვალწინ ჩაიარა. მე რომ ძალაუფლება მდომებოდა, რაღაზე გადავდგებოდი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ! რაღას ჩამოვიყვანდი შევარდნაძეს, რაღას დავუთმობდი ჩემს ადგილს? მერე რაღაზე მივატოვებდი უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს, რაღაზე არ ვიხელთებდი მომენტს საგანგებო კომისიის თავმჯდომარეობისას, როცა თვითონ შევარდნაძემაც კი შემომთავაზა ძალაუფლების ხელში აღება. ან ახლა რაღაზე მივატოვებდი ყველა თანამდებობას, ან რაღატომ გამოვიტანდი საბაზროდ განიარაღების საკითხს?! - უბრალოდ, არ განვიარაღდებოდი და დავუცდიდი არჩევნებს. რა, შევარდნაძე ომს დაიწყებდა? მერედა, ვინ დაუდგებოდა გვერდში? მიუხედავად ვარდიკო ნადიბაიძის ნეიტრალიტეტისა, ჯარის 70-80% ჩვენთან ერთად ნაომარი ბიჭები იყვნენ. მათ რამდენჯერმე შემოგვითვალეს კიდეც, იცოდეთ, თუ დაგჭირდით, თქვენთანა ვართო. იგორ გიორგაძე ჩვენ ალბათ არ მოგვემხრობოდა, მაგრამ არც წინააღმდეგი იქნებოდა. უთავკაცოდ დარჩენილი გაბოგანოებული გვარდიელების კარგა დიდ ჯგუფს ერთი სული ჰქონდა, დაებრუნებინა რაღაც გავლენა საზოგადოებაში, ამას მიუმატეთ ზვიადისტები, განაწყენებული ინტელიგენცია, უმუშევრები, ქუჩა. მაშ ვიღა რჩებოდა შევარდნაძეს - პოლიცია? შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანი, დღეს რომ მჯიღს ირტყამს გულში, ხშირად მეფიცებოდა: „ბატონო ჯაბა,

თუ დაგჭირდა, ჩემი ხუთი ათასი კაცით შენთან ვარ“. მე, რასაკვირველია, მათი არც ერთი სიტყვის არ მჯეროდა - ომმა, როგორც სამოქალაქომ, ისე აფხაზეთისამ, ნათლად დაგვანახვა მათი სახე. მაგრამ ის, რომ კვირაიას უწყებაში ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა ჩასაფრებული და მომენტს ელოდა, ყველასთვის ცნობილი ფაქტია. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, მე ეს არ მსურდა, არა მხოლოდ პიროვნულად, არა, ეს საქართველოსთვის დამღუპველ გზად მიმაჩნდა - კიდევ ერთი შიდა ომი, თუგინდ პატარა? არავითარ შემთხვევაში! და, რაც მთავარია, ყოველთვის მიმაჩნდა და ახლაც ასე ვთვლი, რომ შევარდნაძე საქართველოს სჭირდება, მაგრამ არა დიქტატორი, არამედ დემოკრატი, არა აღმოსავლური ტიპის დესპოტი მმართველი, არამედ კონტროლირებადი, თუნდაც ერთპიროვნული ხელმძღვანელი. ჩვენ ხომ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას ვესწრაფით. ამიტომ დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნა-განვითარებას უნდა მივყოთ ხელი და არა მილიტარისტულ-პოლიტიკურ-ბიუროკრატიული რეჟიმის განახლებაზე დავხარჯოთ თავისუფლებით მოპოვებული სულიერი ენერგია და ჩვენი ეკონომიკის მწირი შემოსავალი.

პარლამენტმა გადაწყვიტა მაშველთა კორპუსის განიარაღება. შედგა კომისია, რომელიც აღნუსხავს ტექნიკას და იარაღს, გადააბარებს მას თავდაცვის სამინისტროს, უშიშროებას და პოლიციას. ეს ყველაფერი - ყველაზე დაბალი ფასების ნიხრით ხუთ მილიონ დოლარზე მეტი - უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს. და მერე, მადლობის მაგიერ, მხედრიონელებს ციხეში შერეკავენ. აფერუმ, შევარდნაძე, აფერუმ, პარლამენტო, აფერუმ, ქართველო ხალხო, ვისი გულისთვისაც გაიწირა 800 მხედრიონელის სიცოცხლე! აი, სად გამართლდა მაკიაველის 500 წლის წინანდელი გაფრთხილება და მერაბ ალექსიძის ჩემთვის ნაჩუქარი წიგნის, „ხელმწიფის“ ნოტაბენეს ადგილები.

ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში წარმატებით ჩატარდა საზოგადოება „არჩევნების“ კონფერენცია. იმდენი ხალხი მოვიდა, რომ ქანდარაც გაივსო. პარტერში ყველა სკამზე საინფორმაციო ბიულეტენებია - რეზოლუციის პროექტის ინვარიანტული პასაჟები და ღიად დატოვებული გადაწყვეტილებები. კონფერენციის პირველი ნაწილი მიჰყავდა საზოგადოების თავმჯდომარეს, ლევან გიორგაძეს. მეორე

ნაწილი ნუკრი ქანთარიამ განაგრძო. მიმდინარე პერიოდის საჭირბოროტო საკითხებზე კონკრეტული წინადადებით გამოვიდნენ პროფესორი გივი ჟორდანია, დათო მაღრაძე, რომელმაც პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაზე გაამახვილა ყურადღება. მოკლე სიტყვით მეც გამოვედი. მიმოვიხილე ქვეყნის პოლიტიკური ვითარება, აღვნიშნე, რომ ფსევდორეფორმების პარალელურად მიმდინარეობს დემოკრატიის ცნების პროფანაცია. ხელისუფლება მრავალნაირი ზეწოლით ცდილობს, საკონსტიტუციო კომისიას და პარლამენტს მიაღებინოს დიქტატორული თარგის კონსტიტუცია. რასაკვირველია, ვილაპარაკე ახალ ბიუროკრატიულ წანაზარდზე - რწმუნებულ-გუბერნატორების უკანონო ინსტიტუტზე და სახელმწიფო მეთაურის მიერ ერთპიროვნულად განხორციელებულ აქტზე საქართველოს მხარეებად დაყოფაზე. აქტიურობისკენ მოვუწოდე საქართველოს მოსახლეობას, ინტელიგენციას. აუცილებელია, რომ ისინი, ბოლოს და ბოლოს, გამოვიდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე, რისთვისაცაა მოწოდებული საზოგადოება „არჩევნები“. საზოგადოება მხარს დაუჭერს ყველა ღირსეულ კანდიდატს. ეს პრაქტიკულად ადვილად განხორციელდება, თუ გავიზიარებთ საზოგადოება „არჩევნების“ მთავარ მოთხოვნას: საქართველოს წინაშე არსებული პრობლემები არ უნდა წყდებოდეს პარტიული პრინციპებიდან გამომდინარე.

კონფერენციას დიდი რეზონანსი მოჰყვა. სამარცხვინო იყო შევარდნაძისა და მისი გარემოცვის რეაქცია. ტრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში, რომელსაც ხალხმა „გლახის ნაამბობი“ შეარქვა, ის და მისი საშტატო კორესპონდენტ-თუთიყუში ნატო ონიანი კვლავ მდაბიური ხერხით შეეცადნენ ხალხის ქვენა გრძნობების გაღვივებას. თურმე ფილარმონია სავსე იყო დასავლეთიდან ჩამოსული „მერსედესებით“ და კონფერენციის მონაწილეებს მუქთა ნაყინითა და ბორჯომით იტყუებდნენ. დასავლეთის რომელ მხარეს გულისხმობდნენ, არ ვიცი. ფოიეში არც უფასო ნაყინი და ბორჯომი ყოფილა, ხოლო „მერსედესები“, შესაძლოა, მართლაც იდგა. ერთი - იქვე ახლოს, მაგრამ ნიშანდობლივია ის, რომ „მერსედესების“ თემას (ალბათ როგორც ყველაზე შთამბეჭდავს) დემაგოგიის მასალად ხშირად იყენებდა შევარდნაძის გუნდი. მაგალითად, როცა პარლამენტში ომგადახდილთა პენსიების საკითხს იხილავდნენ, ჩამონათვალში: პოლიცია, ჯარი, უშიშროება,

შემთხვევით გამორჩათ მაშველთა კორპუსი. ეს აღმაშფოთებელი ფაქტი იყო და, როცა პროტესტი განვაცხადე, ზურაბ ჟვანიასთან პატარა კონფლიქტი მომივიდა. შევეკითხე: „კი მაგრამ, შენ რატომ უნდა განაგებდე, ვის ეკუთვნის პენსია? შენ, ახალგაზრდა კაცი, პოლიტიკურ მოღვაწეობაზე თავს რომ დებ, ორ წელიწადს მიმდინარეობდა ომი, რატომ არ იბრძოდი. კარგი, ბრძოლას თავი გავანებოთ, ერთხელ მაინც რატომ არ ჩამოხვედი აფხაზეთში?“ გაწიწმატებულმა მიპასუხა: „მხედრიონელები „მერსედესებით“ რატომ დადიან ქალაქში?“ აი, ასეთ შემთხვევაში ხელს ჩაიქნევენ ხოლმე და იტყვიან: მახლას...

საზოგადოება „არჩევნების“ ოფისი გამომცემლობა „სამშობლოს“ ბოლო სართულზეა. გვაქვს სხდომათა დარბაზი. ჩვენი შეკრებები უფრო ხშირი ხდება, ხალხი მატულობს და მატულობს. შეიქმნა აზრი, რომ ჩავატაროთ ეროვნული ყრილობა, რომელიც გამოიმუშავებს ხელისუფლებისთვის რეკომენდაციებს ამა თუ იმ პრობლემებთან დაკავშირებით, აგრეთვე, წინადადებით შევა საკონსტიტუციო კომისიაში, თუ მოხერხდა, შესთავაზებს ალტერნატიულ პროექტს. იქმნება 200-კაციანი საინიციატივო ჯგუფი, რომელიც თავმჯდომარედ ირჩევს კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს გურამ ხარატიშვილს. გვიერთდება ოცზე მეტი პარტიის წარმომადგენელი, 50 პარლამენტარი. ფაქტობრივად იქმნება პოლიტიკური ცხოვრების ახალი ცენტრი. შევარდნაძე პარლამენტის სხდომაზე რიტორიკულად კითხულობს: „კი მაგრამ, რა არის ეროვნული ყრილობა?“ ჯერ ვერ გადაუწყვეტია, ღიად შეებრძოლოს, ფარულად, თუ თვითონაც ჩაებას და შეეცადოს, თავისკენ წაიყვანოს ეს ახალი დინება. არადა, პირდაპირი, უშუალო დემოკრატიული ინსტიტუტი ყალიბდება. გადაწყვეტილია, ყრილობა სექტემბერში ჩატარდეს სპორტის სასახლეში. რაიონებში საარჩევნო ჯგუფები იქმნება საზოგადოება „არჩევნების“ ხელშეწყობით. მხედრიონი, როგორც ორგანიზაცია, დიდი ხანია აღარ არსებობს: მაშველთა კორპუსი მისი ერთგვარი მემკვიდრეა. ვქმნი პოლიტიკურ პარტია „მხედრიონს“, რომელიც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას, ასევე იზრუნებს ეროვნული ყრილობის ჩასატარებლად.

პარლამენტში გამოვდივარ და მოვითხოვ, გადადგეს შინაგან საქმეთა მინისტრი კვირაია, რომელმაც ზუგდიდში თავისი

ხელით მოკლა ხუთი ახალგაზრდა. შევარდნაძეს და კვირაიას მაშველთა კორპუსის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აჰყავთ. იწყება სახელმწიფო ტერორი. მხედრიონელებს აპატიმრებენ სხვადასხვა საბაბით და ამ ყველაფერს ტელევიზიით გადასცემენ ცილისმწამებლურ კომენტარებთან ერთად. გოგელია მემალება და, საერთოდ, იწყება „ცალ კარში“ თამაში. ტელევიზია დაიხურა ყოველგვარი ოპოზიციური აქციის ობიექტურად გაშუქებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს „რაუნდები“: ტანკები ქუჩაში და ათასობით შეიარაღებული პოლიციელი ხალხის დასაშინებლად. მაშ, რად უნდა საცოდავ ნარკომანს ვერტმფრენებითა და „ბეტეერებით“ დევნა?! დაარბიეს კახეთის მაშველთა კორპუსის შტაბი. დააპატიმრეს თითქმის მთელი შემადგენლობა. ხალხი დამფრთხალა, საზოგადოება „არჩევნების“ სხდომებზე ზოგიერთის ათვალებში შეშფოთებას ვამჩნევ. პროფესორმა გივი ჟორდანიამ შემომითვალა, მაპატიე, ვეღარ მოვალ, ჩემს შვილს, რომელიც საზღვარგარეთაა, პრობლემები შეუქმნესო. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატში ჩვენი საზოგადოების წევრი პროფესორ-მასწავლებლები დაარბიეს და მაგრად შეაშინეს. სამაგიეროდ, გვიერთდება რამდენიმე პროზვიადისტური ორგანიზაცია. ნუკრი ქანთარიამ ახმეტელის სახელობის თეატრში დადგა ჩემი „შავი კატა“. ეს პიესა ოცი წლის წინ დავწერე. მაშინ ვინ გაბედავდა მის დადგმას. წარმოდგენამ დიდი წარმატებით ჩაიარა. ნუკრი არ წავიდა იაფფასიანი ეფექტებისა და კომიკურობის იოლი გამარჯვების გზით, თუმცა, პიესაში ამის ცდუნება არის. რეჟისორული განსჯა მრავალმხრივი ფსიქოლოგიური წიაღსვლებისკენ გვიბიძგებს. სპექტაკლი ლაღად გადის გემოვნების ბეწვის ხიდზე. იქმნება საერთო ჰუმანისტური განწყობა: განსაკუთრებით შთამბეჭდავია ფინალური უსიტყვო სცენა, სუფთა თეატრალური შემოქმედება - მსახიობში გაცხადებული რეჟისორი. შეყვარებული წყვილის გამოთხოვების მონაკვეთი, რაც პიესაში არ მქონდა. ამას დიდი სიფაქიზით ასრულებენ მსახიობები. პოლიციამ - „დეუს ექს მახინამ“ - გახსნა ფრჩხილები. მიშა სპორტსმენი კი არა, უბრალო ჯიბგირია, მისი შეყვარებული კი - „სტუდენტი და გენერლის ქალიშვილი“ - რამდენჯერმე ნასამართლევი „შავი კატის“ ბანდის წევრი გამოდგა. მიუხედავად თავზარდამცემი სინამდვილისა, ისინი დიდი შინაგანი ტაქტით შესცქერიან ერთმანეთს, ერთმანეთის წინაშე

თავს დამნაშავედ გრძნობენ, ერთმანეთი ებრალებათ - გამოგონილი სამყარო დაიმსხვრა, პატიობენ და ერთმანეთის მადლიერები არიან. ისინი ხომ ადამიანობაში არ ჩაჭრილან; მათი გრძნობა ახლა უფრო ამაღლებული ჩანს. მართალია, ვეღარასოდეს იქნებიან ერთად, თუმცა, არც არასოდეს დაივიწყებენ ერთმანეთს. „ეს რა მაგარი რამე დაგიწერია, აი, ნამდვილი რამეა“, - მეუბნება გიგა ლორთქიფანიძე. გუნებაში ვფიქრობ, ასეთები იყო ჩემი სხვა პიესებიც, მაგრამ მაშინ თქვენ სოცრეალიზმი გჭირდებოდათ.

შევარდნაძის პოლიტიკური სპურტი - მთელი ძალების მობილიზება ფინიშის ხაზზე - უნდა დაერქვას მის ბოლოდროინდელ მოქცევას. ყველაზე დიდ იმედს ამყარებს კონსტიტუციის მიღებაზე, სადაც პრეზიდენტის მმართველობა კანონდება. სხვაგვარად იგი კარგავს მისთვის განსაკუთრებულ ვითარებებში შეჩეჩებულ ერთპიროვნულ, განუკითხავ ძალაუფლებას და რჩება პარლამენტის მიერ კონტროლირებად სახელმწიფო მეთაურად. არჩევნებიც რას უქადის, ჯერ გაურკვეველია, ამიტომ ჩქარობს კონსტიტუციის მიღებას, ჩქარობს, გაიფორმოს ძალაუფლება. საკონსტიტუციო კომისიის წევრები ყველაფერზე ეთანხმებიან. მათი მიზანი ის კი არ არის, როგორ კონსტიტუციას მიიღებს საქართველო, მათთვის მთავარია მოინახოს ისეთი ფორმულირებები, რომ პარლამენტმა დაამტკიცოს იგი.

მე ვაცხადებ, რომ წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტი სხვა არაფერია, თუ არა დიქტატორული რეჟიმის დაკანონება და პროტესტის ნიშნად დემონსტრაციულად გამოვდივარ საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობიდან.

ერთიმეორის მიყოლებით იმართება პარლამენტის სხდომები. შევარდნაძე სახეაფორაჯებული, ქაღალდებში ჩაფლული ზის, მაგრამ შინაგანად ფლუგერივით ამჩატებულია; აღგზნებულად და გადარაჯებული იჭერს ყოველ სიტყვას, რაც კი ირგვლივ ითქმება. მიდის რაღაც გარიგებებზე, შეთანხმებებზე, დაპირებებზე - ეს ნამდვილი მოთამაშის აზარტია. გუნებაში მეცინება. კარგად უთხრა ლუიზა შაკიაშვილმა: „გულზე ხელი გედო და გვეფიცებოდი, თუ დიქტატორი გინდათ, სხვა ეძებეთ, მე არ გამოგადგებითო. აკი კარგად გამოდექი“. ზარ-ზეიმით და ნიშნის მოგებით ცხადდება ბორჯომის ოფისში მომხდარი მკვლელობის ამბავი.

ახლა, როცა დაწვრილებით გავეცანი საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ მოტივი, ასე თუ ისე, გასაგებია, რადგანაც მოკლულები შეიარაღებულები მოსულიყვნენ, ასე ვთქვათ, „შესაწერად“, პირველებმა სასიკვდილოდ დაჭრეს ერთ-ერთი მასპინძელი, მაინც შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედებაა. არანაკლები მკრეხელობაა მისი გამოყენება პოლიტიკური მიზნებისათვის. ერთი კვირის განმავლობაში ტელევიზიის ეკრანზე გვამებს ატრიალებენ. ეს მაგონებს ზვიად გამსახურდიას ამაზრზენ საქციელს, როცა სოფელ ფრისში შემთხვევით მოკლული ნახევრად ქართველი, ნახევრად ოსი ბავშვის აკვანს მიტინგიდან მიტინგზე დროშასავით დააპროწიალებდა და „პატრიოტული“ მოწოდებებით ბრბოს ქვენა გრძნობებს აღაგზნებდა. ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ ბორჯომის მკვლელობის შესახებ მეორე დღესვე იცოდა შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ თვითმხილველი მოწმეების წერილობითი განცხადებით, და მხოლოდ შვიდი თვის შემდეგ, არჩევნების კვირაძალს ატყდა ხმაური. არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ინფორმაცია განზრახ შემოიტოვეს. მაშ, რაშია საქმე? ამ მკვლელობის აქტიური მონაწილე რომ დაეპატიმრებინათ, ან თუნდაც ემხილებინათ, არც გია ჭანტურიას, არც სოლიკო ხაბეიშვილის ტრაგედია არ დატრიალდებოდა, ვინაიდან ეს ტერაქტები ერთმა და იმავე პირმა შეასრულა.

ვიბარებ გიგა გელაშვილს. „რა ხდება, გიგა?“ - ვეკითხები. „არაფერი, ბატონო ჯაბა, მაგ დროს სტადიონზე ვიყავი, მთელი ბორჯომი მოწმეა“. „მართლა მაშველთა კორპუსის წევრები არიან?“ „არა, ჩვენთან ნაბრძოლი ბიჭები არიან. წევრები არასოდეს ყოფილან!“ „ახლავე გააკეთე ტელევიზიაში განცხადება, რომ ისინი მაშველთა კორპუსის წევრები არ არიან“.

პარლამენტში „რეფორმატორთა კავშირის“ სახელით ბაკურ გულუა გვთავაზობს კონსტიტუციის ამერიკულ ვარიანტს. აშკარა კომპილაციაა, მაგრამ მთავარია, რომ ძალაუფლება დაყოფილია მონტესკიეს ცნობილ სამ განშტოებად: კანონმდებელი, აღმასრულებელი, სასამართლო. ამის მიღება შეიძლება, ეს სულ სხვა რამეა, ვიდრე შევარდნაძისეული ეგრეთ წოდებული მეთორმეტე ვარიანტი, სადაც ფაქტობრივად დიქტატორული მმართველობის დაკანონებაზე იყო საუბარი. შევარდნაძე ისეთი კეთილგანწყობით ხვდება ამ წინადადებას, ეტყობა, ნაწილობრივ მაინც შეთანხმებულია მასთან. მე

გამოვდივარ და ძირითადად მხარს ვუჭერ ბაკურ გულუას. მანანა გიგინეიშვილი გაკვირვებული მეკითხება: „თქვენ მხარს უჭერთ?“ მაგათ ჰგონიათ, მე პიროვნულად ვუპირისპირდები შევარდნაძეს და რახან მისთვის მისაღებია, მე წინააღმდეგი უნდა ვიყო. რას იზამ! ყველა თავისი სამრეკლოდან რეკავს.

თავპატიჟს იდებენ გაერთიანებული რესპუბლიკელები. ახლა ისინი ოცდაათამდე არიან და პარლამენტში აზრთა თანაფარდობის ბალანსირებისას თავიანთი არამყარი და გაურკვეველი პოზიციით მოულოდნელად გაწონასწორებულ 2/3 მიჯნასთან მოექცნენ. ახლა მათზეა დამოკიდებული ქვეყნის ბედი. მისცემენ ხმას კონსტიტუციას, ესე იგი, საქართველოში იქნება საპრეზიდენტო მმართველობა, თუ არა, მაშინ 1921 წლის კონსტიტუცია და პარლამენტის მიერ მიღებული „კანონი ხელისუფლების შესახებ“ გააგრძელებს მოქმედებას და საქართველო პარლამენტარულ რესპუბლიკად დარჩება. შევარდნაძე თავის აქტიურ მომხრეებთან ერთად, სპიკერატიდან ვახტანგ რჩეულიშვილი და რუსუდან ბერიძე (რომელიც ბოლო მომენტში შეახტა შევარდნაძის დაძრულ მატარებელს), აგრეთვე მოქალაქეთა კავშირის წევრები, როგორც შევარდნაძე უწოდებს დაყაბულების პროცესს, „მუშაობენ“ რესპუბლიკელებთან. მთავარი ფიგურაა ვახტანგ ხმალაძე, რადგანაც იგი საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა. ხმალაძე ღრმად არის ჩახედული კონსტიტუციის პროექტების ყოველ ნიუანსში, ამიტომაც ამ საკონსტიტუციო დოღში სულ უბრალოდ შეუძლია ისეთ „წვრილმანში“ გააცუროს პარლამენტი, რომელიც ყოფნა-არყოფნის ტოლფასია. მისი უპრინციპობა ჯერ მაშინ გამოჩნდა, როცა გამსახურდიას დროს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იყო და ჩემი პრეზიდენტობის კანდიდატურის დოკუმენტაცია გაყალბდა. კონსტიტუციის დამტკიცების წინა დღეს სიტყვით გამოდის რესპუბლიკელთა ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი და სავსებით რეალურად აფასებს წარმოდგენილ პროექტს. იგი მას უწოდებს არა კონსტიტუციას, არამედ კონსტიტუციურ აქტს და მიაჩნია, რომ მისი მიღება ნაადრევია. მეც მაგ აზრისა ვარ, ვინაიდან საქართველოს ჯერ არ გადაუწყვეტია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემები, ამიტომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაზე კანონის მიღება არ შეიძლება. ამავე დროს, არ არის გადაწყვეტილი მიწის რეფორმისა და კერძო

საკუთრების გარანტიების საკითხი. ასევე პროექტში ასახვა ვერ ჰპოვა ადგილობრივი მმართველობის პრობლემამაც. გაურკვეველია დებულებები სასამართლო ხელისუფლების შესახებ, რაც სხვადასხვაგვარი განსჯის საშუალებას იძლევა. და საერთოდ, პარლამენტური წყობილებიდან საპრეზიდენტოზე გადასვლა დემოკრატიის თვალსაზრისით რეტროგრადობა, უკან გადადგმული ნაბიჯია. ამის საპასუხოდ ჩვენ გვიკიჟინებენ: ჩქარა, ჩქარა! - რაშია საქმე? მოაქვთ არგუმენტები, რომ თუ კონსტიტუცია არ მივიღეთ, არ მოგვცემენ კრედიტებს, არ შემოვა ინვესტიციები, დიპლომატიურ და საქმიან კავშირს არავინ დაიჭერს - წმინდა წყლის სპეკულაციაა, მაგრამ რა გინდა - გადის. კანონით დადგენილი უკანასკნელი ვადების წკიპზე მიდის ეს „არიფების დოღი“.

1946 წელია. ლვოვში ვარ. ეს ქალაქი ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე სტალინისა და ჰიტლერის გარიგებით მოექცა საბჭოთა იმპერიის ფარგლებში. შემდეგ იგი გერმანელებმა დაიბრუნეს, ახლა კი გამარჯვებული საბჭოეთის ქალაქია, სადაც ევროპული ცხოვრების ინერცია შეეჯახა უხეშ ძალადობაზე დამყარებულ წესწყობილებას. ლვოვი განთქმულია თავისი საოპერო თეატრის მშვენიერებითა და სასაფლაოს სილამაზით. აქ ჯერ კიდევ უკანასკნელი კონვულსიური ბრძოლაა - უკრაინელი ნაციონალისტები ებრძვიან საბჭოთა ჩეკისტებს. ღამღამობით ხშირად გაისმის ავტომატთა კაკანი. ოპერაში დილის სპექტაკლებს ბავშვებთან ერთად ესწრებიან იარაღასხმული ადამიანები. საღამოობით კი ოღრაშებს ადგილობრივი ბოზები კლიენტებთან ერთად გაჰყავთ სასაფლაოს ტერიტორიაზე. ძველ თბილისში ოღრაშებს ჩაცმულობით სცნობდნენ. ერთ ფეხზე ჩექმა ეცვათ, მეორეზე - წინდა. აქ კი მათ შავი ჰალსტუხები უკეთიათ. ქალაქი აჭრელებულია რუსეთიდან ახალი საშოვარი ადგილების ასათვისებლად დაძრული ავანტიურისტებით, ვაჭრებით, ჯიბგირებით. ქუჩაზე, ტრამვაის გაჩერებისკენ, გადარბის რაიონიდან ჩამოსული, ამ სიჭრელით და მოძრაობით დაფეთებული უკრაინელი გლეხი. შინ დამოკლებული ჯარისკაცის ფარაჯა აცვია, ხელში ხის ჩემოდანი უჭირავს, პირდაღებული აქეთ-იქით იყურება. ოდესელი ჯიბგირების ჯგუფმა, სადაც ორი თბილისელიცაა - „შალვა დარაგოი“ და სომეხი „კიზილა“, ის რკალში აიყვანეს. ჩამოდგა თუ არა

ტრამვაი, გლეხთან ერთად ჯიკავ-ჯიკავით მიიწევენ წინ. ვაგონში ხალვათობაა, მაგრამ ესენი ისეთ „პონტს“ ქმნიან და გაიძახიან: „ჩქარა, ჩქარა“, თითქოს, ჰა და ჰა, ტრამვაი დაიძრება და შესვლას ვერ მოასწრებენ. ვიდრე კუთხეში მიჭეჭყავდნენ, უცებ გაუსინჯეს ყველა ჯიბე, ერთის გარდა - იმ მხარეს ჩემოდანი უჭირავს და ვერ მიუდგნენ. „ეს ჩემოდანი რომ გამოგიშვერია და ფეხი მომტეხე, მაღლა ვერ დაიჭერ?“ „ჰა?“ - თვალებს ბლიტავს გლეხი. „აიღე და დაიკავე ასე, თავს ზემოთ და არავის მოხვდება“, - ურჩევს „შალვა დარაგოი!“ ისიც მორჩილად, ტრანსპარანტივით ზევით წევს ხის ჩემოდანს.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიას „რესპუბლიკელები“ ეწოდება და, წესით, მათ დემოკრატიული ინსტიტუტები წმიდათაწმიდად უნდა მიაჩნდეთ, მეორე დღეს, კულუარული გარიგებების შემდეგ, კენჭისყრისას, მოულოდნელად ხმას აძლევენ კონსტიტუციის პროექტს, სადაც ყველაფერი, რაც წინა დღეს დაიგმო, შენარჩუნებულია. შესწორებებში კი შეტანილია გუბერნატორთა ბიუროკრატიული აპარატის საფუძველი - ეგრეთ წოდებული, პრეზიდენტის რწმუნებული, პროკურატურისთვის დევნის ფუნქცია და სხვა ისეთი წვრილმანები, სადაც, შულცის ნათქვამისა არ იყოს, ეშმაკებია ჩაბუდებული.

ეს მოვლენა იყო ნიმუში იმისა, რომ ჩვენს პარტიებს არათუ რაიმე სახელმწიფოებრივი კონცეფცია და პრინციპული პოზიცია არ გააჩნიათ, არამედ ნათელი გახდა: მათთვის პასუხისმგებლობის გრძნობაც უცხო ხილია. ისინი მხოლოდ შევარდნაძის ინტრიგანულ თამაშს მიიჩნევენ პოლიტიკის დედაარსად.

შიგადაშიგ დათო სანიკიძე მირეკავდა ხოლმე, ხან ვენიდან, ხან პარიზიდან, მომიკითხავდა, „ჭაღარა“ როგორაო, მეკითხებოდა. შევარდნაძეზეა შეყვარებული. მოსკოვში ყოფნისას, როცა შევარდნაძე უმუშევარი იყო, მიშა მამიაშვილი, ყოფილი მოჭიდავე, რუსეთის პოპულარული ძალოსანი, თავისი ბიჭებით შევარდნაძის არალეგალურ დაცვას უფროსობდა, მათ კი დათო სანიკიძე აფინანსებდა. ბოლო ხანებში აღარ მირეკავს. ნაწყენი იქნება. ალბათ შეიტყო, რომ ჩემსა და „ჭაღარას“ შორის უსიამოვნებაა. აღარც გურამ მგელაძე მეხმიანება. კომუნისტებისა და ნაკომუნისტარი ხალხის არაფერი გაიშვა - მგელაძემ ასევე მიგანა მაშინაც, როცა

ზვიად გამსახურდია მდევნიდა. ერთი ზურაბ წერეთელია, რომელიც, როგორც იტყვიან, ქვეშიდან არ გამოდის. მოვიდა, შუაკაცობას კისრულობს. „ზურა, პიროვნულად მე მაგასთან არავითარი პრეტენზია არა მაქვს. უბრალოდ, არ შემიძლია გავჩუმდე, როცა საქართველოს ისევ მონობის წუმპეში ექაჩება“. ზურაბ წერეთელს სახეზე ეტყობა, ჩემი სიტყვების არ სჯერა, თუმცა, არ სურს, მაგრძნობინოს. აბა, ხომ ვერ წარმოიდგენს, თუ ასეთი გულუბრყვილო ვარ. განა შეიძლება ამისთანა სისულელეებს კაცმა ყურადღება მიაქციოს?!

გვიან ღამით წყნეთში ამოდის მოსკოვიდან ერთი დღით ჩამოსული ჩვენი ელჩი ვაჟა ლორთქიფანიძე. მასაც ეს საკითხი აწუხებს, მაგრამ, ვფიქრობ, უფრო სიტუაციის გასარკვევადაა მოსული. მე იმედი გადავუწურე: „ხიდი ჩატეხილია, ვაჟა. ძალაუფლების ვნებით ეგ ისეა შეპყრობილი, უკან აღარაფერზე დაიხევს. იცის, რომ აღარ აირჩევენ და გადარეულია, ყველაფერზე წავა, შვილსაც არ დაინდობს“.

შვეიცარიის ელჩი საფრანგეთში, აფხაზებთან ჩვენი მოლაპარაკების თავმჯდომარე, გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს ბუტროს გალის პირადი წარმომადგენელი ედუარდ ბრუნერი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ჩემს მიმართ. დასასვენებლად მეპატიჟება შვეიცარიის ალპებში, მიწყობს სადილებს. ერთხელ ჩემით რატომღაც ზედმეტად დაინტერესებული მილიონერი ლამაზმანის სახლში ვახშამზე მიმიწვია. კოპწია სასახლე რომაულ სტილში, ატრიუმებითა და ყვავილნარით დამშვენებული, ჟენევის ტბის პირას მოყუჩებულა. შესასვლელში 34-36 წლის თაფლისფერთვალება, სანდომიანი გარეგნობის, ჯანმრთელ ფეხებზე შემდგარი, მოუსვენარი დიასახლისი გამოჩნდა. გვხვდება, როგორც ძველ მეგობრებს. ვათვალიერებთ სურათების კოლექციას. მოგვიანებით გვიერთდება მისი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე კარგა ჩადონდღლოებული ქმარი, რომელიც თავისი ხაზგასმული მორჩილებით საქმის მწარმოებელს უფრო ჰგავს. დიასახლისი კენედების ოჯახის ახლობელია. ერთ-ერთ დარბაზში, გამოსაჩენ ადგილას, თავისი ყოფილი საყვარლის ფერწერული სურათი უკიდია. ეტყობა, ქმარსაც ეამაყება მეუღლის წარსული.

ვახშამი ორიგინალური კერძებითა და მსახურთა აღმოსავლური ცერემონიით გამოირჩევა. მაჟორდომი ტაშის შემოკვრაზე

გამოჩნდება ხოლმე დავალებების მისაღებად. თავი ალიბაბასთან სტუმრად მგონია. დამშვიდობებისას ჩემს მასპინძლებს საქართველოში ვპატიჟებ.

ბრუნერი ნახევრად საქმიანი ვიზიტით ორი დღით ჩამოდის თბილისში. ამჯერად ჩემი სტუმარია. მიმყავს მცხეთაში, სვეტიცხოველში, ჯვრის მონასტერზე. მაშველთა კორპუსის მომღერალი ბიჭები საუცხოო საეკლესიო გალობით გვხვდებიან. მინდოდა, ზედაზენზე ამეყვანა, მაგრამ ამინდი გაფუჭდა. ბრუნერი აღტაცებულია გარემოს მშვენიერებით.

1972 წელია, კოტე მარჯანიშვილის საიუბილეო დღეები. ჩემი სტუდენტები დამყავს ასეთ ღონისძიებებზე, ლექციებს თეატრის ისტორიაზე ხშირად ვუტარებ თეატრალურ და ხელოვნების მუზეუმებში, ხანაც სპექტაკლების რეპეტიციებს ესწრებიან. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, საპატიო პრეზიდიუმში, არიან ბესო ჟღენტი, აკაკი ვასაძე, მწერლები, მსახიობები. მოგვიანებით ჩოხასა და ფაფახში შემოდის კონსტანტინე გამსახურდია. პრეზიდიუმში ეპატიჟებიან. თვალები არეული აქვს. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ვერავის ხედავს, ან დაავიწყდა, აქ რატომ მოვიდა, რატომ არის ეს ხალხი შეკრებილი. არ ჯდება, რაღაც ნიშნის მოგების მაგვარი ღიმილი ჩამოუდის ნიკაპზე. ვიღაცასთან მიდის, ვიღაც მასთან მოდის, მზრუნველად ჰკიდებენ ხელს და გაჰყავთ.

რა არის ეს? ამაოებათა ამაოება. ამბობენ, რომ ავადაა... პრეზიდიუმში ელენა გოგოლევა - მოსკოვის მცირე თეატრის სახელგანთქმული მსახიობი, შავგვრემანი, დიდი მწვანე, ვეფხვის თვალებით მოელვარე, ულამაზესი რუსი ქალი, კონტრალტოს ჟღერადი ხმით, დახვეწილი რუსული ენით მოლაპარაკე. ცნობილია, ასეთი დიქცია და მეტყველება მხოლოდ მცირე თეატრში ყალიბდება. ახალგაზრდობაში მას უყვარდა ვსევოლოდ აქსიონოვი, ისიც პოპულარული მსახიობი, მოსკოვის ზეპური საზოგადოების ლომი; ჩემი ინტერესი გოგოლევასადმი პროფესიულია. ვწერ წიგნს სერგო ამაღლობელზე, ერთ-ერთ პირველ ქართველ და საბჭოთა თეატრმცოდნეზე, 1934-37 წლებში მოსკოვის მცირე თეატრის ხელმძღვანელზე. 1937 წელს ლავრენტი ბერიამ იგი დასახვრეტთა სიაში შეიყვანა მხოლოდ იმიტომ, რომ მის მტერს, ყოფილ ცეკას მდივანს და იმხანად მოსკოვის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორ მამია ორახელაშვილს,

როგორც ქართველმა ქართველს, პურმარილი გაუმართა. ეს იყო ნამდვილი მიზეზი, ისე კი სტალინზე აფეთქების მომზადების ბრალდებით თბილისში ჩამოიყვანეს და აქ დახვრიტეს. მისი წიგნები გაანადგურეს, არქივი დაწვეს, ერთი სიტყვით, სახსენებელი ამოაგდეს. მეც დავდიოდი, მისხალ-მისხალ ვკრეფდი მონაყოლს, არქივებში ვიქექებოდი, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ მის წიგნებსა თუ გაზეთებში შემორჩენილ სტატიებს თავს ვუყრიდი. გოგოლევამ დიდი დახმარება გამიწია, მიმასწავლა, სად რა შეიძლებოდა მეპოვა. მას ყველა ქართველის - სუმბათაშვილი-იუჟინის, კოტე მარჯანიშვილისა და სერგო ამაღლობელის შვილად მიაჩნდა თავი. ისიც კი მირჩია, საბუღალტრო დავთრებში ეძებე, რაც მატერიალურ ფასეულობასთან არის დაკავშირებული, იმას უფრო გულმოდგინედ ინახავენ კომუნისტებიო. მართლაც, მცირე თეატრის არქივის ადმინისტრაციულ დავთრებსა და საბუღალტრო ანგარიშებში წავაწყდი სახელგანთქმული ინგლისელი მხატვრისა და რეჟისორის, გორდონ კრეგისა და სერგო ამაღლობელის მიმოწერას, საიდანაც გაირკვა, რომ საბჭოთა კავშირში გორდონ კრეგის ჩამოსვლის ორგანიზატორი სერგო ამაღლობელი ყოფილა. ამ ორ წერილში საუბარია მის ზოგიერთ შემოქმედებით გეგმასა და პრინციპებზე. მე კი იმხანად უკვე პენსიაში გასული, მცირე თეატრის მუზეუმის გამგე მეფიცებოდა, რომ სერგო ამაღლობელის დაჭერის მესამე დღეს იგი დაიბარეს ლუბიანკის (მოსკოვის შინსახკომის შენობა) ახლო მდგარ ტექნიკური ინსტიტუტის შენობაში, სადაც მას დახვდა შავკოსტიუმიანი სამი ახალგაზრდა კაცი. მათ გააფრთხილეს, სერგო ამაღლობელის ყველა საბუთი გაენადგურებინა, თორემ... „ჩვენ გამოვივლით და შევამოწმებთო“. მართალია, ისინი აღარ მოსულან, მაგრამ, რაც კი ამაღლობელს შეეხებოდა, ანკეტით დაწყებული, აფიშებით დამთავრებული, ყველაფერი გავანადგურეო.

ცნობილია, რომ რეზო თაბუკაშვილისა და მედეა ჯაფარიძის ოჯახი, ასე ვთქვათ, მთელი ქვეყნის მასპინძელია. ვის არ შეხვდებით მათ სახლში: მწერლებს, მსახიობებს, ემიგრანტებს, გამოჩენილ არქიტექტორს თუ სამხატვრო აკადემიის სტუდენტს, ყოფილ თავადიშვილს თუ მოინტელიგენტო რაიკომის მდივანს. ეს არის ადამიანობის სალონი, სადაც მხოლოდ სიკეთის საძიებლად მოდიან. გოგოლევაც მათი სტუმარია. მიჰყავთ მცხეთაში, ჯვარზე; როცა ზედაზნიდან

გადახედა თეთრ არშიად აქაფებულ არაგვს, დარბაისლურად ჩამჯდარ სვეტიცხოველს, მითიურ არმაზის ხეობას, შორს, მზის სხივებში მოლივლივე თბილისს, ცრემლებამდე აღფრთოვანდა. მერე წუთით მოიწყინა და უცებ ჰკითხა მედეას: „როცა ვსევოლოდი თბილისში ჩამოვიდა, აქ გყავდათ? აქაურობა ნახა?“ აქსიონოვი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო და გოგოლევასაც კარგა ხანია სხვა ქმარი ჰყავდა. რა ჰქვია ამ მეხსიერებას? სად არის ცხოვრების ნაღდი ფასეულობა? იქნებ იმ მილიონერ ქალს საყვარლის პორტრეტი მადლიერების გრძნობით აქვს გამოფენილი... ვინ იცის?

რამდენიმე დღით ჩემთან ჩამოდის გია მეფისაშვილი, ყოფილი მხედრიონელი, მაშველთა კორპუსის შექმნის ერთ-ერთი იდეოლოგი, მასონთა ლოჟის ერთადერთი ქართველი წევრი. გამსახურდიას რეპრესიების დროს შეძლო, ამერიკაში წასულიყო და პოლიტიკური თავშესაფარი მიეღო. ახლა ნიუ-იორკში ცხოვრობს. „ხუთი წელი გავიდა, - ამბობს იგი. - აქ არაფერი შეცვლილა. ისეთივე დაძაბულობა, მტრული ურთიერთდამოკიდებულება ხალხში, მხედრიონს ისევ დევნიან“. ცოტა ადრე რომ ჩამოსულიყო, დავიყოლიებდი, დარჩენილიყო. იქნებ საქმე სხვაგვარად წარმართულიყო. იგი აუცილებლად მაშველთა კორპუსის თავმჯდომარე გახდებოდა. განათლებული, ნიჭიერი ახალგაზრდა კაცია, ორგანიზატორობის გამოცდილებაც აქვს, ძველ მხედრიონელებს შორისაც ავტორიტეტით სარგებლობს. 1990 წელს მიწისძვრის დროს ირანელთა დასახმარებლად მისი თაოსნობით წავიდნენ მაშველთა კორპუსის წევრები და ირანის მთავრობის სამადლობელი სიგელიც ჩამოიტანეს. ახლა ამერიკაში ექსტრასენსობით ირჩენს თავს. თავის დროზე თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული მომირჩინა. მონატრებული აქვს გოგირდის აბანო. თამაზ-წესრიგამ საღამოს შვიდი საათისთვის ნომერი შეუკვეთა.

დილით პარლამენტის სხდომაზე ვიყავი. გადაწყვიტეს, დღის მეორე ნახევარში ყოფილ პიონერთა სასახლეში კონსტიტუციის ხელმოწერის ცერემონია ჩაატარონ. მე არ მივდივარ. ჯერ ერთი, არ მიმაჩნია, რომ ეს სადღესასწაულო კონსტიტუციაა, თუმცა, სულ არარაობას „ცალი ხარი ჯობია“. მეორეც - აბანო მაქვს შეკვეთილი. თათბირისმაგვარ პატარა შეკრებას ვატარებ საზოგადოება „არჩევნების“ წევრებთან. აბანოდან გვირეკავენ. „მოდიხართ თუ არა?“ - ეკითხებიან თამაზს. „მოვდივართ,

მოვდივართ“. თამაზი ჩადის, ამზადებს მანქანებს და დაცვას. ვდგები, დამსწრეებს ვემშვიდობები, უნდა გავიდეთ. კვლავ რეკავენ აბანოდან. გია მეფისაშვილი ელაპარაკება, მეც წუთიერად შევყოვნდი. უცებ გამაყრუებელი და გულის შემძვრელი აფეთქების ხმა. კედლები სკდება, სურათები ცვივა, ტალღა სავარძელზე მაგდებს, ყურები მიბჟუის. „კიდევ ამაფეთქეს“, - გამიელვა თავში. მისაღებში წივილ-კივილია. რა ხდება? დერეფანში გავრბივარ. ეზოდან ბოლი ამოდის. ეზოს კართან ფაციფუცია. შევარდნაძე გადიოდა და ის ააფეთქეს. გადარჩა: მსხვერპლი არ არის.

ნოვოჩერკასკის „დაკეტილ ციხეში“ ყოფნის მესამე წლის ბოლო თვენახევარი მარტო დავრჩი. საკანში მომიკვდა მეგობარი, არმავირელი „ძველი ბიჭი“ იურკა, მეტსახელად „კროშკა“. ამასთან გავატარე ციხეებისა და ლაგერების ჩემი ბოლო ხუთი წელიწადი. 50-60-იან წლებში მისი სახელი ქუხდა სოლიკამსკის, ტაიშეტის, მონღოლეთის, კალიმისა და უხტა-პეჩორის ლაგერებში. პირველად 1950 წელს ჩელიაბინსკის გამნაწილებელ ციხეში შევხვდი. რამდენიმე დღეს ერთ კამერაში ვიყავით. მერე მონღოლეთში წაიყვანეს, მე კი ჩელიაბინსკის ახლოს, „ბაკალსტროიში“ დამტოვეს. 1956 წელს იგი კალიმიდან „პეჩორლაგის“ სპეცბანაკში მოიყვანეს. მეც იქ დავხვდი. „კროშკას“ დედა კაზაკი ჰყავდა, მამა კი არმავირში შემთხვევით მოხვედრილი ქართველი, რომლის ვინაობა და ასავალ-დასავალი, არა თუ „კროშკამ“, დედამისმაც არ იცოდა. ის კი არა, გვარიც ხეირიანად ვერ გაერკვიათ - მერელაშვილი, მირიანაშვილი თუ მირიაშვილი, მაგრამ მაინც „შვილი“ და დედამისს ქართველად ჩაუწერია. „კროშკა“ არტისტული მონაცემებით დაეჯილდოებინა გამჩენს: საშუალო სიმაღლის შავგვრემანი, კეთილშობილი, ვაჟკაცური სახის ნაკვთები, გამორჩეული მიხრა-მოხრა, საოცარი ტემბრის ბას-ბარიტონი, უაღრესად მუსიკალური, „ჩიჩოტკის“ უბადლო მოცეკვავე, გიტარის ტრფიალი და მომღერალი. უყვარდა პოეზია, ზეპირად გეტყოდათ ესენინის თითქმის ყველა ლექსსა თუ პოემას (ესენინი მაშინ აკრძალული იყო). ირონიულად ციტირებდა მაიაკოვსკის, მოხიბლული იყო პუშკინით, განსაკუთრებული ელეგიური შეფერილობით მღეროდა თეთრგვარდიელების „კრიმინალურ“ სიმღერებს. რატომღაც მგონია, რომ საკუთარი მამა თეთრგვარდიელ ოფიცრად ჰყავდა წარმოდგენილი. „ბლატნოი“ სიმღერებს, როგორც თვითონ ამბობდა, კარაქიანი

პურივით აყოლებდა ცეკვას. ერთი ქართული სიტყვაც არ გაეგებოდა, საქართველოშიც არასოდეს ყოფილა. ჩემს მეტი ქართველი მეგობარიც არ ჰყოლია, მაგრამ ყველგან ამბობდა, რომ ქართველია და მუქარით დასძენდა: „და არა კინტოო!“. რას გულისხმობდა ამ კინტოში, ძნელი სათქმელია. იქნებ სადმე შეხვედრია აბუჩად აგდებული, გამასხრებული ქართველი, ან ფილმი „ქეთო და კოტე“ თუ ჰქონდა ნანახი და დამამცირებელ ეპითეტად მიაჩნდა იგი. გადამდები სიცილი იცოდა, უყვარდა ყოფით, უბრალო ამბებში ღრმა მნიშვნელობის ძიება, რასაც უმისამართო სინანული ან, ერთი შეხედვით, გაურკვეველი აღფრთოვანება გაჰკრავდა.

ერთხელ, სხვათა შორის, ასეთი რამ მითხრა: დიდი ხნის წინ წავიკითხე, რომ ევროპის რომელიღაც ცნობილ მუზეუმში გამოფენილია V საუკუნის შავი თიხის ლამაზი დოქი, რომელსაც ბერძნულად აწერია: „კოლხმა გამაკეთა“ და მეტი არაფერი, ა? როგორია?! ის ხომ მონად იქნებოდა წაყვანილი. ვინ იცის, სამშობლოდან სამუდამოდ გადახვეწილმა რამდენი უბედურება გადაიტანა სადღაც გადაკარგულში, გარემოცვაში, სადაც კოლხეთის შესახებ შეიძლება არავინ არაფერი იცის. ოსტატი თავის ნამუშევარს აწერს: „კოლხმა გამაკეთა“. აი, პატრიოტი, „ჯაბკა“.

ცნობილია, რომ დროისთვის საჭირო იდეები თვითონ აიშლებიან ხოლმე მარადიულობის სამარხებიდან და სივრცეში იწყებენ რონინს. ასევე დაფრინავენ მხატვრული შემოქმედების გამოხატვის ფორმებიც. თვით გემოვნებაც საიდანღაც აჭრილი და ჰაერში მოფარფატეა. „კროშკას“ საკუთარი სიმღერების ტექსტები და მელოდიები არ ჰქონდა, სამაგიეროდ, ამ სიმღერების შესრულება იყო ისეთი, როგორიც ათი წლის შემდეგ გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

ბუნებრივი, სადღაც, სულ ოდნავ ხრინწგაკრული გულითადი ტემბრი, რეჩიტატივური აქცენტირება და სარკაზმული ტონალობა. მსოფლიო ესტრადაზე ჯერ არც ბულატ ოკუჯავა, არც გრალიჩი და არც ვისოცკი არ გამოჩენილიყვნენ, შარლ აზნავურსაც არ იცნობდნენ საბჭოთა კავშირში. „კროშკა“ ასე მღეროდა სოლიკამსკის, ტაიშეტის, კალიმის, უხტა-პეჩორის, მონღოლეთის საპატიმრო ზონებსა და ბარაკებში. ხშირად დილიდან საღამომდე, მშიერი და გაყინული, კარცერში აბაკუნებდა „ჩიჩოტკას“ და ხვეწდა ცალკეულ მუხლებს. და ეს

ყველაფერი უცებ, ერთი ხელის დაკვრით მოიშალა. „გულაგმა“ შემოიღო დაკეტილი ციხეების სისტემა, ორ-სამკაციანი საკნების მონოტონური ცხოვრებით. სხვა დაუკმაყოფილებელ ბუნებრივ მოთხოვნილებებთან ერთად გაჩნდა ადამიანთა ურთიერთობის უკმარისობის გრძნობა, არტისტული ბუნების ადამიანისთვის აუტანელი - აუდიტორიის უქონლობა. ამას დაემატა ხრუშჩოვის მიერ გამოშვებული ბრძანება პატიმრების შეწყალების შესახებ. შეწყალება ითვალისწინებდა დიფერენცირებულ მიდგომას და ვრცელდებოდა ეგრეთ წოდებულ „გამოსწორების გზაზე“ ფარისევლურად დამდგარ მონა-პატიმრებზე. ფორმულირება „გამოსწორების გზაზე დამდგარი პატიმარი“ ამ იარლიყის მქონისგან მოითხოვდა ჩეკისტების ხელშემწყობ შტრეიკბრეხერობას. რასაკვირველია, ეს ეხებოდა „ძველ ბიჭებს“ - ბლატნოებსაც, მაგრამ მათ ასეთი, ბოდიში და, ნდობის მოპოვება შეეძლოთ მხოლოდ ოფიციალური აბიურაციის შემდეგ - წერილობით, რასაც „პოდპისკას“ უწოდებდნენ. არსებობდა აბიურაციის სხვა ფორმებიც, მაგალითად, წითელი ყელსახვევის ტარება, მორიგეობა და ჩეკისტებისთვის პატაკის ჩაბარება. თავისი არსით, ათწლეულების განმავლობაში კომუნისტების მიერ ექსპლოატირებული ეს მეთოდი, ერთ მიზანდასახულებას შეიცავდა: პიროვნების მოშლას, ინდივიდის ტოტალიტარულ ერთეულად ქცევას. ეს სუფთა ტოტალიტარული ღონისძიება სათავეს იღებდა ჯერ კიდევ კომუნისტური პარტიის XIV-XV ყრილობებიდან, სადაც სტალინმა ოპოზიციას მოსთხოვა, საქვეყნოდ დაეგმოთ თავიანთი შეხედულებები, მოენანიებინათ შეცდომები, თუ არ სურდათ, პარტიიდან პირდაპირ ციხეში შეეყარათ ისინი. ამან დასაბამი დაუდო ეგრეთ წოდებული ახალი ადამიანის შექმნის გლობალურ თეორიას, რომელსაც ამაოდ ნერგავდნენ იდეოლოგები: ხელოვნებაში - სოციალისტური რეალიზმის სახით, იურისპრუდენციაში - ბრალეულობის მტკიცების, ფარდობითობის თეორიით მეცნიერებაში - დიალექტიკური მეთოდის გამოყენების აუცილებლობის მოთხოვნით. აქ კი ახლა უნდა დამთავრებულიყო ამ ფარისევლურ-ტირანისტული თეორიის „ახალი ადამიანის“ პრაქტიკული მოდელის შექმნა, ასე უნდა შედედებულიყო ადამიანის „ახალი სულიერი პროტოპლაზმა. ხრუშჩოვის მიერ ამ განახლებულ კამპანიას აღმზრდელობით მუშაობას უწოდებდნენ, რომელიც სასტიკი ძალდატანებითა და ცინიზმით მიმდინარეობდა. ამ პროცესს

პატიმრები ოდითგანვე „გნულოვკას“ - უბრალოდ, ადამიანის მოღუნვას უწოდებდნენ. მე და „კროშკამ“ ამ „აღზრდას“ ჩვენი ჯანმრთელობის დიდი ნაწილი მივუძღვენით. მაგალითად, ამ ნიადაგზე 1958 წლის 240 დღე კარცერში გავატარეთ, ესე იგი, თითქმის შვიდი თვე ულოგინო ცემენტის იატაკსა და 300 გრამ შავ პურზე, 80 დღე ვიშიმშილეთ, სიკვდილის კარიბჭესთან რამდენჯერმე „დასამშვიდებელი პერანგი“ გადაგვიჭირეს, რამდენიმე ათეული საათი კი გალურჯებამდე მოჭერილ ხელბორკილებში გვამყოფეს. და ეს ყველაფერი - ერთ წელიწადში. მე, 183 სმ სიმაღლის კაცი, 54 კგ-ს ვიწონიდი, როცა ჩემი ნორმალური წონა 90 კგ იყო.

ბოლოს და ბოლოს, ორი წლის შემდეგ მოგვეშვნენ, როგორც ელემენტებს, რომლებსაც არ სურთ, „დაადგნენ გამოსწორების გზას“. თუმცა, ეს კიდევ ერთ სასამართლო პროცესად და დამატებითი სასჯელის მიღებად დამიჯდა. ჩემი 25 წლის პატიმრობის ვადის ათვლა ხელახლა დაიწყო, ვინაიდან ჩემს ერთ-ერთ მტანჯველს, კორპუსის უფროსს, შეპირებული ცალი თვალი ამოვუგდე. ყველაფერმა ამან, რაღა თქმა უნდა, ფიზიკურის გარდა, ფსიქიკური დანახარჯებიც მოიტანა - დამჩემდა ქრონიკული უძილობა, იურკა „კროშკას“ კი - ფობიები: მცირე სივრცისა და მარტოობის ცხოველური შიში. ბოლო ხანებში ერთი წარმოდგენა აეკვიატა. ამაზე არ ლაპარაკობდა, ჩემი რცხვენოდა, მაგრამ მისი საუბრების ცალკეულ გამონათქვამებში ნათლად იკითხებოდა ამ წარმოსახვის შინაარსი. საკმარისია რაღაც უაზრო, პირობით ქაღალდზე ხელი მოაწეროს და მის სატანჯველად დარჩენილი 7 წელი (ამჯერად 15 წელი ჰქონდა მისჯილი) ერთ თვეში გაქრებოდა, თავისუფლებას ეღირსებოდა და ეს მოხდებოდა დაუყოვნებლივ. არა იმიტომ, რომ ვინმე დაიჯერებდა მის „გამოსწორების გზაზე დადგომას“, ან ვინმეს შეეცოდებოდა, ან ვინმე კანონის აღსრულებისთვის თავს მოიკლავდა, არა - უბრალოდ, საპროპაგანდოდ. აი, იურკა „კროშკამ“, ასეთმა ავტორიტეტმა, შეიგნო ჩვენი აღმზრდელობითი მეთოდების სიკეთე და ჩვენც გავათავისუფლეთ იგი.

მოკლედ, კარზე მისი ერთი დაკაკუნება და ციხის უფროსთან მოსალაპარაკებლად გასვლა წყვეტდა სიკვდილ-სიცოცხლის ბედს. მასაც დაეწყო უძილობა, მაგრამ უცნაური სახით - თუ მე მეღვიძა, ის იძინებდა, თუ მე მეძინა - აღელვებული, შეშფოთებული მიდი-მოდიოდა ხუთნაბიჯიან საკანში და

ცდილობდა, როგორმე გავეღვიძებინე. კითხვა უყვარდა, მაგრამ ახლა საათობით ეკავა წიგნი ხელში და ფურცლები არ გადადიოდნენ, მიშტერებული კითხულობდა ერთსა და იმავე გვერდს. ხშირად შემომჩივლებდა, რომ ცუდად არის, თუმცა, არ იცის, რა სტკივა. გამოძახებული ექიმი ვერაფერს იგებდა, წნევა - ნორმალური, ტკივილებს არ უჩივის, ჰოდა, დაუტოვებდა რაღაც აბებს, რომელსაც მისი წასვლისთანავე „პარაშაში“ ყრიდა. როგორმე უნდა გამომეყვანა ამ მდგომარეობიდან. ვთხზავდი რაღაც ლიტერატურული გმირების მაგალითებს, ვეუბნებოდი, რომ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, ისიც კი ავუხსენი, რომ მსგავს ფსიქიკურ მდგომარეობას „ადრენალინის დარდს“ უწოდებენ და საკმარისია, კარგ გუნებაზე დადგეს ადამიანი, თუ სურს თავიდან მოიცილოს ეს დამთრგუნველი განწყობა. თითქოს რაღაც იმედით მისმენდა, მაგრამ შფოთიან ფონს მის გულში მაინც თავისი გაჰქონდა.

ერთხელ თავს ძალა დავატანე და მის გასამხიარულებლად რაღაც საცეკვაო მელოდიები წავიმღერე. ჩანთიდან ჩემი ახალთახალი შტიბლეტები ამოვიღე და შევეხვეწე, ეცეკვა. ჩაიცვა, მერე გაიხადა, მერე ისევ ჩაიცვა და აცეკვდა. ერთხანს უხალისოდ აბაკუნა ფეხები, უცებ ჩაცუცქდა, ხელები სახეზე მიიფარა და ატირდა. ეს თითქმის წარმოუდგენელი რამ იყო - იურკა „კროშკა“, ლაგერების მძვინვარე ვეფხვი, ქალაჩუნასავით ტიროდა! დროდადრო რაღაც უცნაურობას იტყოდა ხოლმე, რომელიც ამხელდა მის ინტროსპექციულ აზრებს: „იქნებ ეს იმიტომაა, რომ შენ ჩემზე ჭკვიანი ხარ“, ან „რატომ არ გვაშინებს ის, რომ დაბადებამდე არ ვარსებობდით“. „ყველაფერი აბუეტობაა ამ ცხოვრებაში. აბა, ვის რაში დასჭირდა კარის მოგონება, იყოს შემოსასვლელი უკაროდ“, - ყვიროდა იგი.

ბოლო ხანებში ჩვენი საუბრები ერთი მიმართულებით მიედინებოდა. მე შეფარვით ვუმტკიცებდი, რომ ცხოვრებაში ყველაფერი პირობითობაა. ზნეობით, ცოდნით დაწყებული და დაწერილ-დაუწერელი კანონებით დამთავრებული. მართალია, მე ასე არ ვფიქრობდი, მაგრამ მისი არჩევნის გასაიოლებლად ვამბობდი: „ჩვენ მრავალშვილიან ოჯახებს და დედებს ვაჯილდოებთ, ჩინეთში კი მათ სჯიან. ჯვარი, როგორც საწვალებელი იარაღი, ხალხს სძულდა, ახლა ყელზე ატარებენ, როგორც კეთილშობილებისა და რწმენის სიმბოლოს“. იგი თითქოს ვერ იგებდა, არაფერს მპასუხობდა და უადგილო

ადგილას ლოზუნგივით წამოისროდა: „ტანჯვა ადამიანობის უმაღლესი გამოხატულებაა“. „იქნებ სხვა კამერაში გადახვიდე. ჩვენ ერთმანეთს მოვყირჭდით. სხვა ადამიანებთან ახალი შთაბეჭდილებები გამოგიყვანდა ამ ერთფეროვნებიდან“, - შევთავაზე მე. რამდენიმე დღეს იფიქრა და დამთანხმდა. წავიდა. ორი კვირაც არ იყო გასული, საჰაერო ეზოში გაყვანილმა, განაპირა კამერის ფანჯარასთან მოვკარი თვალი. განწირული ხმით მომაყვირა: „ჯაბუშკა! მოითხოვე, შენთან გადმომიყვანონ“. თვალები დევნილი ნადირისა ჰქონდა. მოვიდა. პირველ ორ დღეს ზედმეტად გახარებული, აღგზნებული იყო, ხელოვნურად აღვივებდა ამ განწყობას, თუმცა ეტყობოდა, ის ჭია გულის კუნჭულს მაინც უღრღნიდა: „რას მივდიოდი იმ იდიოტებში, ცხოველებივით ცხოვრობენ. მივლახ-მოვლახე და წამოვედი“.

მალე ისევ დაეწყო უსაგნო წუხილი, შფოთი, უძილობაში მეც ამიყოლია. ახალჩაძინებულს სხვადასხვა ფანდით მაღვიძებდა; ხან წიგნს დააგდებდა ძირს, ხან ფეხს გამოჰკრავდა რამეს, ხან ხველას ატეხდა. როცა ვიღვიძებდი, ფანჯარას გავხედავდი, დღის სინათლე ხომ არ შემოჭრილა-მეთქი, და როცა მეგონა, ეძინა, უცებ კმაყოფილ ხმას გავიგონებდი: „სინათლეს არ ეძებენ, ის თვითონ მოგძებნის“. წინა დღეს მითხრა, იქნებ ვენები დავიჭრაო. გადავაფიქრებინე. ახლა ვნანობ, იქნებ ჯობდა... უწინ ხომ დალაქები ასე მკურნალობდნენ ზოგიერთ ავადმყოფს. დილით გავიღვიძე და გარდაცვლილი დამხვდა. წაიყვანეს. ისიც არ მითხრეს, რითი გარდაიცვალა.

ეს იყო თვე-ნახევრის წინათ. ახლა მეც უძილობა მაწუხებს. ხან აპათიაში ვვარდები. არ ვიცი, ღირს კი სიცოცხლის გაგრძელება. მერვე წელია ვზივარ და კიდევ 25 წინა მაქვს. კითხვითაც ვეღარაფერს ვკითხულობ. რაც ჩემ ირგვლივ ხდება (თუმცა არაფერიც არ ხდება. ვზივარ მარტო. ორჯერ მოაქვთ საჭმელი და ერთხელ, ნახევარი საათით, ჰაერზე გავყავარ), აღარ მაინტერესებს. ამ კაცს, ბოლთას რომ სცემს და საკუთარ ლანდს ჰგავს, თითქოს ჩემთან საერთო არაფერი აქვს, ეს, მე კი არა, ვიღაც სხვაა - მუნჯი ფილმიდან. მოხდება, ძილი მომიტაცებს, სინამდვილესთან არაფრით დაკავშირებულ, რაღაც აბსურდულ სიზმრებს ვხედავ, ვისვენებ სულითა და ხორცით. უცებ თითქოს ვიღაცამ დაშნა დამაჭირა გულზე, გამიხვრიტა. გონს ვეგები. პირველი აზრია: აბ, ნეტავი მე მე არ ვიყო. მსურს, სიზმრის კუდს ჩავეჭიდო, ავიწიო, მოვწყდე აქაურაობას,

გავექცე ჩემს თავს, დავუბრუნდე სიზმრისეულ სამყაროს. ზაფხულის საღამო იწურება. საათის ქანქარასავით აქეთ-იქით დავდივარ. ანაზდად საკანში, ფანჯრის გისოსებში, რაღაც შემოსრიალდა, ფრთები გაშალა, მოყვითალო-მოოქროსფრო გულმკერდი გამოაჩინა. გაოგნებულმა ვეღარ აღვიქვი ერთი, ორი თუ სამი წრე დაბერა საკანში. მოყავისფრო ფრთები შეიკეცა და, როგორც შემოსრიალდა, ისევე გასრიალდა - კარგა მოზრდილი ძერა ან შევარდენი. შემდეგ, ვისაც ამ სცენას აღვუწერდი, ისინიც ასე ასკვნიდნენ: ან ძერა, ან შევარდენი. ჯერ კიდევ ამ შთაბეჭდილებებში ვარ ჩაფლული, ვერ ამიხსნია, თუ საიდან გაჩნდა ეს ფრინველი ამ ტიალ ადგილას, სადაც ბეღურების ჟღურტულსაც კი იშვიათად გაიგონებ, ან სად იპოვა გამოსაქანებელი სივრცე - ჩემი ფანჯარა ხომ ყრუ და ბრმა ბეტონის კედელს ებჯინება, აქ მხოლოდ შემოძრომა თუ მოხერხდება და არა ასე შურდულივით შემოჭრა. უცებ მეძახიან: „შეაგროვე შენი ჩიხო-მახოები“. მსვამენ პატიმრების სპეციალურ მანქანა „ვარანოკში“ და, ჰაიდა, სადგურისკენ. ვფიქრობ, რა ხდება ჩემს თავს. მხოლოდ როსტოვში გავიგე, რომ თბილისში მივყავარ.

ცხონებული დედაჩემი თბილისში ჩამოსულ ხრუშჩოვს დადარაჯებია და წყნეთის გზაზე თურმე მანქანას გადაუდგა. ხრუშჩოვს შეუმჩნევია და უკითხავს: „რა უნდა მაგ მოხუცებულს“. დედაჩემს არზა ჰქონია ხელში, სადაც თხოულობდა ციხიდან ციხეში ჩემს გადაყვანას. სწორედ იმ დღეს ედუარდ შევარდნაძესაც ქაღალდი ეჭირა ხელში, სადაც საქართველოს ახალგაზრდობის სახელით მისასალმებელი სიტყვა ეწერა: „ნაშ დარაგოი ნიკიტა სერგეევიჩ“. არ ვიცი, მოეწონა თუ არა საქართველოს კომკავშირის ცეკას მდივნის სიტყვა, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ხრუშჩოვმა „დიდსულოვნება“ გამოიჩინა და თხოვნას დაადო დამაკმაყოფილებელი რეზოლუცია, ხოლო მაგარიც ის იყო, რომ ადგილობრივი „ჩეკა“ ეგრეთ წოდებული ოპერატიული თვალსაზრისით წელიწად-ნახევარს აჯანჯლებდა თვით ხრუშჩოვის განკარგულების შესრულებას, ვიდრე საქმეში არ ჩაერივნენ სერგო ზაქარიაძე, ბესო ჟღენტი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. ბოლოს, როგორც იქნა, ნოვოჩერკასკის დაკეტილი ციხიდან თბილისის დაკეტილ ციხეში გადმომიყვანეს. საქართველოში ჩემი ყოფნა მალე კვლავ პრობლემა გახდა, რადგან ციხის რეჟიმის დამთავრების შემდეგ ჩემი

მოსათავსებელი ადგილი არ აღმოჩნდა ჩემი ტიტულის - „განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის“ - გამო. საქართველოში ასეთი „კლიენტი“ პირველი ვიყავი და არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. როგორც იქნა, გადაწყვიტეს, გავეშვი რუსთავის ტუბერკულოზური საავადმყოფოს ტუბზონაში, რომელიც სულ მალე ქსანში გადავიდა. ტუბზონაში მაშინ სასჯელს იხდიდა, ასე ვთქვათ, ქურდული ელიტა: ოთარ გველესიანი, კოლია „ინტელიგენტი“, ნაჩე, ვანო რობაქიძე, კოლია „კულტიაპი“, გოგი ეგიევი, ჰაიკაზა ხანგალდიანი. მოგვიანებით მოვიდნენ: ბუჭა ბოჭორიშვილი და ათიოდე ახალგაზრდა პოპულარული „ძველი ბიჭი“. ბანაკში არეულ-დარეული სიტუაცია დამხვდა. ქურდები ერთმანეთს მტრობდნენ. ეს სხვა პატიმრებზეც მოქმედებდა. ნაჩე ბაგერამობდა - ბაყბაყდევობდა. ფიზიკურად ძლიერი, თავისი ბანდით აშინებდა ყველას, უფროსით დაწყებული, ქურდებით დამთავრებული. ნებისმიერი გადაწყვეტილება მატერიალური გამორჩენით იზომებოდა. საერთო ფულის შემოსავალ-გასავლის კონტროლს ვერავინ ბედავდა. ზონაში ღია ბატონობის განუკითხავი ცხოვრება მიმდინარეობდა. ვისაც შეეძლო, სხვა ზონაში გარბოდა. დანარჩენები, დაბეჩავებულები, ყოველ წამს შეურაცხყოფასა და გალახვას მოელოდნენ. სულ მოკლე ხანში ყველაფერი მოწესრიგდა. ვინც ვერ შეეგუა სამართლიან, წესიერ ცხოვრებას, ზოგს ყურები მოეხა, ზოგს სხვა ლაგერში მოუხდა გადაბარგება. დანარჩენებმა იწყეს ნორმალური პატიმრის ცხოვრება. მაგრამ მაგარიც ისაა, რომ საზოგადოების წევრების თანაცხოვრება ვერ იტანს თანასწორუფლებიანობას. ძალდატანების ვაკუუმი დიდხანს შეუვსებელი არ რჩება. როგორც კი ქურდები სამართლიანი ურთიერთობის წესს დაადგენენ, პატიმართა ერთმა, წინათ დაბეჩავებულმა ნაწილმა, კერძოდ, ლაგერის ბიუროკრატიამ, ვისაც რუსეთში დაცინვით „პრიდურკებს“ უწოდებდნენ (სიტყვა „პრიდურკი“ ნაწარმოებია ზმნიდან „პრიდურივატსია“, ესე იგი, თავის მოკატუნებიდან), წამოყო თავი. ესენი იყვნენ: სასადილოს გამგე, ფერშალი, მეწაღე, აბანოს გამგე, მეკუჭნავე, პურის დამრიგებელი, უფროსის გამომძახებელი და მასთან მიტმასნილი პირები. მათ რომ აღარავინ ავიწროებდა, ახლა თვითონ მოინდომეს ლაგერის მოსახლეობის ხარჯზე ცხოვრება, თანამდებობის გამოყენება და ეს ნაწილობრივ მოახერხეს კიდეც. მაგალითად, ფერშალი დახმარების გასაწევად ავადმყოფს ფარულად ფულს ან რაიმე

მატერიალურ ანაზღაურებას სთხოვდა, სასადილოს გამგე პატიმრების პროდუქტებს ყიდდა, აბანოს გამგე ქრთამის გარეშე ძაღლივით იღრინებოდა ან აბანოში სულაც არ უშვებდა.

ფული რომ გაუჩნდათ, დაიწყეს ზონაში სასმელის შემოტანა. დროდადრო ჩუმად ქალებიც მოჰყავდათ. ზოგმა ნარკოტიკების გაყიდვა-მოხმარებას მიჰყო ხელი. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ფარულად ხდებოდა, რადგან ჩემი იქ ყოფნა და, აქედან გამომდინარე, ქურდების რეაქციაც ცალსახად უარყოფითი იყო და ხშირად დამნაშავე კონფისკაციით, დამუქრებით, ერთი-ორი წამორტყმით ისჯებოდა, რაც, როგორც ჩანს, არ იყო გამართლებული. დამნაშავე მკაცრად უნდა დამესაჯა, რომ მეორედ აღარ გაებედა, თორემ ასეთი დანდობილი დასჯა მხოლოდ წინააღმდეგობისთვის აგულიანებდა მათ.

„პრიდურკებს“ ჯერ კიდევ თავისუფლებიდან შემოყოლილი მენტალიტეტი, ანუ საბჭოთა მორალის ის პოსტულატი ამოძრავებდათ და თავის სიმართლეში აჯერებდათ, რომ სწორედ მათ - თანამდებობის პირებს ეკუთვნით არა მხოლოდ ძალაუფლება, არამედ, აქედან გამომდინარე, სარფიანობაც. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს მოილაპარაკეს, თავიანთ მომხრეებად დაიგულეს ქურდებზე განაწყენებული რამდენიმე პატიმარი, ზოგიც კუთხურობის ეშხით მიემხრო მათ (მაგალითად, კახელების პატარა ჯგუფი, რადგან ფერშალი და სასადილოს გამგე მათი თანასოფლელები იყვნენ). და ყველა ესენი, მთვრალები, ღამით თავს დაესხნენ ბარაკს, სადაც კოლია ინტელიგენტი, გოგია ავლაბრელი და სხვა ქურდები ცხოვრობდნენ. კოლია ინტელიგენტი სასიკვდილოდ გაიმეტეს. უმოწყალოდ სცემეს იქ მყოფ სხვა ქურდებსაც: მაგრამ ამ დროს ზონაში ხალხმა გაიღვიძა, მთელი ზონის მოსახლეობა - 300 კაცზე მეტი - ფეხზე დადგა და მათი ჩაქოლვა მოინდომა. ღამის ორ საათზე ამ ამბით ჩემთან მოირბინეს. წამოვხტი, ნახევრად ჩაცმული გავიქეცი. იმ დროს მივასწარი, როცა „პრიდურკები“ განაპირა ბარაკში მიემწყვდიათ. ბრბო, რომელიც შეიარაღებული იყო კეტებით, არმატურებით, დანებით, ფანჯარასა და კარში შევარდნას აპირებდა.

კარებთან უკვე ხელჩართული ბრძოლა გაემართათ. ზოგი საიდანღაც ბიდონით ნავთს მოარბენინებდა, რომ ბარაკისთვის ცეცხლი წაეკიდებინა. „შეჩერდით!“ - ვიღრიალე და

ხელებაღმართული შევვარდი ბარაკის კართან წამოწყებულ დაკა-დაკაში. წამით ყველა ადგილზე გაიყინა. ერთი არასწორი ნაბიჯი და, ტრაგედია დატრიალდებოდა. ხალხი ისე იყო ეგზალტირებული, რომ მათი უშედეგოდ დაშლა არ გამოვიდოდა. ადამიანებში ჩაბუდებული ძალადობის მხეცი გაღვიძებული ბორგავდა. არადა, როგორც კი ამას მსხვერპლი მოჰყვებოდა, ჩვენ და, პირველ რიგში მე, განწირული ვიყავით. ყველაფერი ჩვენ დაგვბრალდებოდა, ბრბო კი დაუსჯელი დარჩებოდა. ასე რომ, მათი ჩვენდამი ერთგულება დათვური სამსახური იყო. „შედით ბარაკში!“ - ვუბრძანე „პრიდურკების“ მოწინავეებს, რომლებიც ხელკეტმომარჯვებულნი გამოფენილიყვნენ ბარაკის კიბესთან. ისინი უხმოდ და სწრაფად დამემორჩილნენ, სამაგიეროდ, აყვირდა დიდ ტალღად მომდგარი ჩვენი მომხრეების ნაწილი.

„დავხოცოთ, ჯაბა, დავწვათ ეგ ჩათლახები, კოლია ინტელიგენტი მოკლეს!“ - მომიწოდებდნენ აქეთ-იქიდან. „იქით დაიწიეთ!“ - ვუყვირე ალყას. წინ ჩავდექი, რომ ბარაკში არავინ შევარდნილიყო და ნელ-ნელა, ზეწოლით და ბრბოს დაშოშმინებით „პრიდურკები“ გავაქციე „ვახტზე“, სადაც ისინი შეიფარეს ავტომატიანმა ყარაულებმა და განგაშზე მოცვენილმა დაცვის დივიზიონმა, რომელიც ზონის გარეთ, ჰაერში ისროდა.

ორი დღის მერე, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენ, 15 კაცი, მოგვხვეტეს და წაგვიყვანეს ციხეში. დაიწყო გამოძიება. რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ჩვენ გვბრალდებოდა. უმთავრესად - მე, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული მხარე ჩვენ ვიყავით. კოლია „ინტელიგენტი“ კლინიკური სიკვდილიდან ჩემმა ცოლმა გამოიყვანა. მაშინ არამიანცის საავადმყოფოში მუშაობდა და დილაუთენია სასწრაფოდ ორგანიზება გაუკეთა ოპერაციას, რომელიც პროფესორმა ანთელავამ ჩაატარა. თუმცა, მას შემდეგ კოლია ვერ მომჯობინდა და ერთ წელიწადში გარდაიცვალა. ცხონებული, დიდი იუმორის პატრონი იყო. ერთხელ პატიმარი მოვიდა საჩივლელად, კოლია „ინტელიგენტმა“ ტყუილუბრალოდ გამლახაო. დავუძახე. „მე გავლახე?“ - დიდად გაიკვირვა, - შეხედე მაგის შლაბოლოკის სიფათს. - მართლაც, მომჩივანს რაღაც ოთხკუთხა, ყბებგამოშვერილი, უხეშზე უხეში სახე ჰქონდა. - ახლა აქ შემომხედე, - უწყინრად იღიმის „ინტელიგენტი“ და თავის გამხდარ, ჩალურჯებულ მაჯებს მიჩვენებს, - ერთხელ გავარტყი და მაგ ჩათლახმა თავისი ყბებით კინაღამ ხელი არ მომტეხა“.

ლოგინად რომ ჩავარდა, მორფის სისტემატური გაკეთება დაიწყო. ჯერ კიდევ იმედი მქონდა, მეგონა, ფეხზე დავაყენებდით. ამიტომ ყველა სასტიკად გავაფრთხილე, არაფერი მიეცათ. სანახავად მივედი. პალატასთან მედდა შემხვდა. შემომჩივლა, გვეჩხუბება, ნარკოტიკებს ითხოვსო. შევდივარ. უკან მედდა მომყვება. „ინტელიგენტმა“ წამსვე შეაფასა ვითარება, მიხვდა, რომ „ჩაშვებულია“. „მე შენ გიჩვენებ სეირსო“, - ექადნება მედდას. „კარგი ერთი, თუ ხათრი გაქვს, რა უნდა მიქნა, სული ძლივს გიდგას“. „რა უნდა გიქნა? ცემით, რასაკვირველია ვეღარ გცემ, მარა დაგფხაჭნი, - მიკნავებული ხმით ეუბნება კოლია, თანაც, უწყინრად იღიმის, - დაგფხაჭნი“.

გამოძიება ჩვეული საბჭოთა მეთოდებით მიმდინარეობდა: თითხნიდნენ საქმეს. იშოვეს ერთი ცრუ მოწმე, იქნებ მართლაც ნამყოფი ჩვენს ზონაში და ალაპარაკებდნენ, რაც კი დასჭირდებოდათ. თვითონ „პრიდურკები“, იმის მაგიერ, რომ მადლიერები ყოფილიყვნენ (ჩვენ ხომ არ ვუჩიოდით მათ, მე კი უეჭველ სიკვდილს გადავარჩინე), მაინც რაღას არ მწამებდნენ, თუმცა, ეს გასაკვირი არ არის. საერთოდ ასეა: ვინც ცილს გწამებს, თავისივე სიცრუის გამო სძულხარ. „პრიდურკები“ ცალკე გამოძიებას უკიჟინებდნენ, ეგ არის, რაც არისო - ჩემზე - ნამდვილი ქურდი და ყაჩაღიო. ცალკე ქურდებს მისწერეს წერილი, რას უყურებთ, ეგ თქვენი ჯაბა რა ქურდია. ჩვენ ქურდები დავხოცეთ, მან კი ცოცხლები გამოგვაქციაო. ეს ვრცელი წერილი შევინახე, შემდეგ გამოძიებას ჩავაბარე. პროკურატურაში არ ეჭაშნიკათ - წერილი შეთითხნილი საქმის ლოგიკაში არ ჯდებოდა. ჰოდა, გააქრეს, ეგონათ, ეგრე მიამიტი ვიყავი. რამდენიმე ფოტოასლი შენახული მქონდა. ამ დროს ერთმანეთს გადაეხლართა ჩემი ცხოვრებისათვის ღირსშესანიშნავი შემთხვევები. ქსნის კოლონიაში ხელი მოვაწერე ჩემს ცოლთან. შუკშინი ამბობს: თუ გინდა, კაცი შეიცნო, უნდა იკითხო, როგორ დაიბადა, როგორ იქორწინა და როგორ გარდაიცვალაო. არ ვიცი, რას გულისხმობს ამაში რუსი მწერალი. დაბადება ჩემზე არ იყო დამოკიდებული, თორემ იქნებ სულაც არ დავბადებულიყავი. სიკვდილისასაც ჯერჯერობით ვერაფერს მოგიყვებით, თუმცა, მერე საერთოდ ვერაფერს ვიტყვი. რაც შეეხება ჩემს ქორწინებას - საპაემნო ოთახში სამნი ვისხედით: მე, ჩემი ცოლი და ზედამხედველი მიშა. გვქონდა ერთი ბოთლი კონიაკი და რაღაც საუზმე.

უმცროსმა სერჟანტმა მიშამ დაგვლოცა. შესაძლოა ამაში ის ნიშანდობლიობაა, რომ ჩემს ცხოვრებაში დაცვის გარეშე არაფერი ხდება. რა ვიცი... მეორე დაბადებად იქნებ ის ჩაითვალოს, რომ სულმნათი მედეა ჯაფარიძე მაშინ გახდა საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და, მისი დიდი მეცადინეობით ჩემს 27-წლიან სასჯელს 15 წელი მოაკლდა. ამავე დროს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა ედუარდ შევარდნაძე. მასთან მივიდნენ დოდო აბაშიძე, შოთა სალუქვაძე, ჩემი და, ლილი იოსელიანი, ცნობილი რეჟისორი, ვითომც მისგან დაფასებული ადამიანები. აუხსნეს საქმის ვითარება. ცივი უარით გამოისტუმრა. აბა, რა იქნებოდა, მაშინ იღებდა გაქანებას კარიერისტული კუდის მოქნევისთვის. მაგ ჭკუაზე იყო, საორჭოფო საქმეში ჩარევით შეებღალა თავისი ჭეშმარიტი და უმწიკვლო კომუნისტის რეპუტაცია.

ჩვენ, ეს უდანაშაულო პატიმრები, განწირული ვიყავით. მე სასწაულებრივად შემიმცირეს ამხელა სასჯელი, დამრჩა რაღაც ორი-სამი თვე და, მადლობის მაგიერ, რომ თავიდან ავიცილე ყველა ტრაგედია, კვლავ ახალი - თხუთმეტწლიანი სასჯელი მემუქრება. დაილოცოს საბჭოთა კორუფცია. პროკურატურა არ დაიბნა, ჩვენც ფული გამოგვძალა და „პრიდურკებსაც“. თანაც, მაზანდას მოუმატა - ხომ იცით, რა რისკზე მივდივართ, შევარდნაძემ რომ გაიგოს, დავიღუპებითო. ასე გამოვედი ბეწვის ხიდით თავისუფლებაზე. ეს ხომ პირველი არ იყო. ჭეშმარიტად ადამიანის ბედისწერა მისი ხასიათია, მისი ხასიათი კი ღვთიური პროგრამაა, მას ვერსად წაუხვალ.

24 წლისა ვარ. ჩელიაბინსკის ციხეში ეტაპით მიმიყვანეს. ორ თვეზე მეტია ციხიდან ციხეში გვათრევენ. მგონი ბოლო გაჩერებაა. ჩვენი ეტაპიდან რამდენიმე კაცი გაიყვანეს, ეტყობა, ადგილობრივ ბანაკში, ვინაიდან ხელოსნებსა და სპეციალისტებს ეძებენ. ციხის უფროსთან ერთად ნახევრად სამხედრო ფორმაში ჩაცმული მსუქანი ჩეკისტი ჩვენს კამერაში უფრო ცნობისმოყვარეობამ შემოიყვანა, ვიდრე საქმემ. იციან, ვინა ვართ. „სპეციალისტებს ეძებთ?“ - ირონიულად ეკითხება იურკა „კროშკა“. „მილების მოღუნვა თუ შეგიძლიათ?“ - ასევე ირონიულად კითხულობს ციხის უფროსი. „მილების? - იცინის კროშკა, - რატომაც არა. ფალოპის მილებს სიამოვნებით მოვღუნავთ“. ჩეკისტები ვერ ხვდებიან, რატომ ვიცინით ასე მხიარულად, სახიმანდრო ფანდს გრძნობენ და სასწრაფოდ

გადიან.

„კროშკა“ ორი დღის წაყვანილი იყო, ციხის უფროსი რომ შემოვიდა. „სად არის გინეკოლოგი, ფალოპის მილების გრეხვის სპეციალისტი?“ - იღიმება ორაზროვნად, ალბათ ლექსიკონში საგანგებოდ ჩაიხედა. განხიბლული რჩება, სარევანშო სცენა რომ არ შედგა.

ციხეში „სლაბინაა“, ესე იგი, მკაცრი რეჟიმი არ არის. „განაბების“ შემადგენლობაში „პარჩაკები“ ჭარბობენ. მაგათი დაფერთხვის დრო არ არის, ადგილზე მივალთ და იქ გამოჩნდება, ვინ ვინ არის. არადა, თავხედობენ, ზედამხედველებს უმიზეზოდ აგინებენ. ეზოში გაყვანას ზედმეტად თხოულობენ. კამერიდან კამერაში წამდაუწუმ, უსაქმოდ გადად-გადმოდიან. ერთმა შუადღისას ჩაი მოინდომა, როცა განაწესით, მხოლოდ დილით და საღამოს მზადდება. „ბიჭო, - ვეუბნები, - ერთი ჭიქა წყლის გულისთვის ბოილერს ხომ ვერ ჩაგირთავენ. აგერ, ჩეფირის ჭურჭელი, აადუღე, ვინ გიშლის“. „ფეხებზე მკიდია, საიდანაც უნდათ, მოიტანონ“, - არაფრად აგდებს ჩემს რჩევას. „შენ არ იყავი, ვოლოგდის ციხეში მოკაკული თითით აკაკუნებდი და ერთი ხვეწნა-მუდარა გქონდა, რომ ასანთის ღერი მოეცათ? აქ გაგდის და დედას აგინებ?“ „შენ რა გენაღვლება, ოთხი თვე გაქვს დარჩენილი“, - დაუდევრად მპასუხობს და კარს გამწარებით ურტყამს წიხლებს.

ერთ საღამოს აურზაური ატეხეს. გინდა თუ არა, მეზობელ კამერაში გაგვიშვიო. რაც კი ხელთ მოხვდათ, უბრახუნეს და უბრახუნეს კარს. შემდეგ „კარმუშკა“ (კარის სარკმელი) გაანგრიეს. მოვიდნენ უფროსები: კორპუსის, რეჟიმის, მერე - ციხის. ვერაფრით დააწყნარეს. მე არ ვერევი. ეგენი მგონი ჩემს ჯინაზე უფრო იქცევიან ასე. უფროსობა მიდის. რაღაც საეჭვო სიჩუმე ჩამოვარდა. მორიგე ზედამხედველი არ გვეკარება. ერთი საათის შემდეგ დერეფანში ატყდა ჩექმების ბრახუნი. სინათლე გამოირთო. შემოცვივდნენ დივიზიონის ჯარისკაცები და დაიწყო უმოწყალო ცემა-ტყეპა. დამესივნენ აქეთ-იქიდან. ვხედავ, ამათ ვერ გავუმკლავდები, ამიტომ ერთ-ერთი ამოვირჩიე და ყრონტში ვტაცე ხელი. გამიშვით, თორემ დავახრჩობ-მეთქი, ვყვირი. უკანიდან რაღაც ჩამარტყეს თავში. ყვითელი ბრჭყვიალები აციმციმდნენ. გონება დავკარგე. როცა გამოვფხიზლდი, მთლად სველი ვეგდე კარცერში. ეტყობა,

წყალი მასხეს და აქ ჩამომათრიეს. თავი გახეთქილი მაქვს. მივაბრახუნ-მოვაბრახუნე. კარცერის კამერებში, ყველგან, ჩვენი ნაცემი ხალხია. ესეც არ გვაკმარეს, საქმე აღძრეს და ბუნტის მოთავედ მე გამოვყავარ. კიდევ კარგი, ბიჭებმა ინამუსეს, ჩემზე ცუდი ჩვენება არ მისცეს. „ოპერი“ მაინც თავს არ მანებებს, გამომძიებლებს უჩიჩხინებს. ორ დღეს ვიყავი იზოლატორში. მერე ლაგერში, ქვის სატეხ კარიერზე წამიყვანეს სამუშაოდ. მგონია, მომეშვნენ. განთავისუფლებამდე ათი დღე დარჩა. უკვე გეგმებს ვადგენ, სად წავალ, პირველად ვისთან მივალ, ვინ უნდა ვნახო, სად გავჩერდე და... უცებ ძილის წინ მოდის მთავარი ზემდეგი და მეუბნება, ჩააბარე, რაც ჩასაბარებელი გაქვს, გაემზადე, ხვალ დილიდან სასამართლოზე მიდიხარო. რის სასამართლოზე-მეთქი, დამცეცხლა თავში. მოწმედ მიყავხარ. აქ იქნება აღარც კი დაგაბრუნონ. მაშასადამე, ოპერმა მაინც თავისი გაიტანა. არავითარი ჩვენება არ მიმიცია. მაშ, რისი მოწმე ვარ? სასამართლოზე სურთ „დამჭედონ“. იციან, რომ, როგორც მოწმე, ჩვენებას არ მივცემ და ორ წელს მომისჯიან. რა ვქნა? არ წახვალ? ძალით წაგიყვანენ. სასწრაფოდ ავადმყოფობა უნდა მოვიგონო, მაგრამ რა? მომიხარშეს თამბაქო. ვსვამ. მწვანედ მაღებინებს. სიცხეს მაძლევს - 38 გრადუსი მაქვს. ვიწყებ ოხვრას და ყვირილს, აპენდიციტის შეტევას ვიგონებ. „უთხარი, მესამე შეტევაა-თქო. როცა თადარიგს დაგიჭერენ, მაშინ არ მისცე რეაქცია, როცა აგიშვებენ, მაშინ იყვირე“ - მარიგებს ვალოდკა „მალაფეიკა“, ჩემი მეგობარი. „ისე, სულ შენი ბრალია. ყველა მაიმუნს თავს უყადრებ. უნდა მოგეხია ყურები მაგ „პარჩაკებისთვის“ და აქამდე არ მივიდოდა საქმე“, - იგინება ჩემი თანამოსაქმეების მისამართით. მოდის ექიმი, შემდეგ ოპერი. „რვიანია“, - ამბობს ოპერი. მე უფრო ხმამაღლა ვიწყებ ოხვრას. ექიმი ჯერ კიდევ გაუფუჭებელი ახალგაზრდაა, ერთი წელია მუშაობს. თავს იკლავს: „არავითარი სასამართლო არ ვიცი. პასუხს მე ვაგებ. ახლავე გაამზადეთ ტრანსპორტი. საოპერაციოა. სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეთ“. იანვარია. ყინავს. თოვლიანი ქარბუქია. მარხილით მივყავარ საავადმყოფოში. ლაგერიდან 25-30 კილომეტრია. ღამის ორ საათზე საოპერაციო მაგიდაზე ვწევარ მოკრუნჩხული, ვკვნესი, ვაითუ, გადაიფიქრონ. მგონი მე თვითონაც დავიჯერე, რომ სასტიკად მტკივა.

ქირურგი თბილისსა და ბაქოში ნაცხოვრები გერმანელია. ორი

ღერი ქართული იცის. ომის დროს გადმოუსახლებიათ და 8 წელი აქ გაატარა. განთავისუფლების შემდეგ წასასვლელი არსად ჰქონდა და დარჩა. „ასეთი მშიშარა ქართველი არ შემხვედრია. რა გაყვირებს? ახლავე ამოგაჭრი და ზეგ ლეკურს იცეკვებ“, - თავისი ჭკუით მაწყნარებს. „ათი დღე მაქვს დარჩენილი და ახლა აქ უნდა მოვკვდე?“ - თავს ვისაწყლებ. როგორც კი დანა დამადო, დავწყნარდი. ექიმს უკვირს. აზრზე მოვდივარ და ისევ მივაყვირე: „გამჭერით, ჩქარა!“ ვფიქრობ, გამჭრა, მონახა ბრმა ნაწლავი. „ახლა ცოტა გეტკინება, მოითმინე“, - მითხრა. კრინტს როგორ დავძრავ. ამოჭრა, მაჩვენებს პაპიროსისხელა სუფთა ნაწლავს. „ეს რა არის, ბიჭო?“ - მეკითხება ქართულად. ყველაფერს გულახდილად ვუყვები. იცინის. „გეთქვა და არ ამოვჭრიდი, იქნებ კიდევ დაგჭირდეს, რა იცი“... ჰაი, ჰაი, რომ დამჭირდა და მერე რამდენჯერ, მაგრამ სადღა იყო.

სასამართლო ერთი კვირით გადაიდო. საავადმყოფოში მომაკითხეს. სამი დღე მაკლია თავისუფლებას! ღმერთმა გაანათლოს გერმანელი ექიმის სული - არ გამატანა, პერიტონიტი ეწყება, განძრევა არ შეიძლებაო. უფალი ყოველ ადამიანს უგზავნის მისი ბედის ნიშანსვეტებს - წაკითხვა უნდა მხოლოდ. ცნობილია, რომ ავგუსტუსს, ყრმობის პერიოდში, როცა იგი ჭალაში საუზმობდა, არწივმა ხელიდან პური გამოსტაცა. მაღლა აფრინდა, შემდეგ ნელ-ნელა დაეშვა და ნადავლი დაუბრუნა. ტიბერიუსმა კი, ავგუსტუსის სიძემ და მემკვიდრემ, გადასახლების შემდეგ, როდოსიდან რომში დაბრუნებამდე ორი-სამი დღით ადრე, მისი სახლის სახურავზე შემომჯდარი არწივი შეამჩნია. სხვა დროს კუნძულზე არწივი არავის უნახავს. არც საქართველოა რომის იმპერია და არც მე ვიყავი იმპერატორი, მაგრამ ღვთაებრივი ცეზარის შვილიშვილის აღზევება ან კეისრის სიძისა და შვილობილის რომის იმპერიის მმართველად გახდომა, ვფიქრობ, ნაკლებად უჩვეულოა, ვიდრე უფსკრულიდან ჩემი ამობობღება. განა ნოვოჩერკასკის საკანში შემოჭრილი შევარდენი (თანაც, შევარდენი!) არაფრის მთქმელი მოვლენა იყო ჩემთვის?!

ხუთი წლის ასაკამდე თითქმის არაფერი მახსოვს, რაღაც უმნიშვნელო, ასე ვთქვათ, „სტოპკადრების“ გარდა, მაგრამ ერთი რამ, რაც შემდეგ მახსენდებოდა სხვადასხვა გარემოებასთან დაკავშირებით, ყოველი წვრილმანით ჩამებეჭდა მეცნიერებაში. სამი წლის ბუნჩულა, ლამაზი ბიჭუნა

ვიყავი. დედა ერიდებოდა სახლიდან ჩემს გაყვანას, რადგან იმწამსვე ყურადღებისა და მოფერების ობიექტად ვიქცეოდი, რაც დედაჩემს აღიზიანებდა. „ბავშვს თვალი არ ეცესო“, - ხშირად ამბობდა და, როგორც ძველ საქართველოში იცოდნენ, როცა სტუმრად მივდიოდი, ხან გიშერს, ხან რაღაც შელოცვილ ნივთს ჩამომკიდებდნენ. ჩემი უფროსი დის, ლილის გარდა, თმაზე ხელს არავის ვაკიდებინებდი. ხუჭუჭა კულულები მქონდა და, ტკივილი რომ არ მოეყენებინა, ფრთხილად და სუფთად დამვარცხნიდა. მერე გამომპრანჭავდნენ. ახლაც, თუ სადმე მეცა ქათქათა პერანგის გახამებული საყელოს სუნი, იმ სანუკვარ დღეებს მაგონებს. არ ვიცი, იმჯერად დედას სად მივყავდი. მახსოვს, დიდხანს მამზადებდნენ. ლილიმ აქა-იქ კულულები შემაჭრა. დედა ბაფთას მიკრავდა და ისევ მიხსნიდა, მზრუნველად მეკითხებოდა, ყელზე ხომ არ გიჭერსო. მე ყველაფერზე თავს ვუქნევდი, ოღონდ მალე მორჩენილიყო ეს გულის გამაწვრილებელი სამზადისი. ბოლოს, როგორც ბებია იტყოდა ხოლმე, ძლივს გავეტიეთ სახლიდან. „კიროჩნიზე“ (ახლა მარჯანიშვილის მოედანი) კონკის გაჩერებასთან მივედით. ველოდებით კონკას, რომელიც ახლად გადაკეთებული იყო - ცხენების ნაცვლად, დენით მოძრაობდა. უცებ ვხედავ, გვიახლოვდება რაღაც არსება, წითელი ქუდით, ლურჯი ტანსაცმლით, თეთრი ხელთათმანებით, წელზე შემორტყმული და მხრებზე გადაჭერილი მსხვილი ღვედებით. თეძოსთან რაღაც გამობერილი ტყავი ჰკიდია. აღარ მახსოვს, რა გრძნობამ მომიცვა. ავტეხე ტირილი, მაგრამ რა ტირილი! ვერავინ და ვერაფერმა გამაჩერა. არავითარმა მოფერებამ, გაწყრომამ, შეგონებამ, სათამაშოების დაპირებამ, გამვლელი ხალხის სხვადასხვაგვარმა რეაქციამ - აღარაფერმა მიშველა. დედას სადღესასწაულო განწყობა, რასაკვირველია, გაუფუჭდა. იძულებული გახდა, დავბრუნებულიყავით. ტირილ-ტირილით, ბუზღუნ-ბუზღუნით, გადაფიჩინებული მოვედით სახლში და როცა დამესივნენ შეშფოთებული ჩვენიანები, აივანზე გამოეფინენ მეზობლები, დედამ ჩავარდნილი ხმით თქვა: „მილიციელის შეეშინდა“...

მთელი ჩემი ცხოვრებაც ალბათ მაშინ გამოვიტირე.

1996 წლის 10 დეკემბერი

ჯაბა იოსელიანი (1926-2003) სამეცნიერო ნაშრომები: „ჰერმენევტიკა და თეატრი“

„სერგი ამაღლობელი“

„კომიზმი და ქართული კომედიის ნიღბები“

„ესეები და ნარკვევები“

პიესები: „ეთერიანი“

„სტუმარი“

„ტაკიმასხარა“

„შავი კატა“

„საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“

„ულტიმა რაციო“

რომანები: „სანიტარული მატარებელი“

„ლიმონათის ქვეყანა“

„სამი განზომილება“

„სარეჟისორო გეგმა“